მთარგმნელი თამარ მაღრაძე,
ზეინაბ ხახანაშვილი

შარლოტა ბრონტე

მსოფლიო ლიტერატურაში კარგად ცნობილი მწერალი ქალი შარლოტა ბრონტე დაიბადა იორკშირის ერთ-ერთ სოფლის მღვდლის ოჯახში 1816 წელს. შარლოტას მამა პატრიკ ბრონტე წარმოშობით ირლანდიელი ღარიბი ფერმერის შვილი იყო. ახალგაზრდობაში ფეიქრად მუშაობდა, დიდი გაჭირვებით ისწავლა და შემდეგ მღვდლად ეკურთხა. იგი, როგორც ადამიანი, გაორებული პიროვნება ყოფილა. პატრიკ ბრონტე მომსწრე იყო ლუდიტების აჯანყებისა. იგი, ერთი მხრივ, მოხალისეთა რაზმში ჩაწერილა და ფაბრიკის მეპატრონეთა ქონება იარაღით ხელში დაუცავს, ხოლო, მეორე მხრივ, გაფიცულ მუშათა სახლებში უვლია და მათ მიმართ მკაცრი რეპრესიების მიღების წინააღმდეგ სასტიკად გაულაშქრია. თავისი ასეთი მოქმედებით მას, როგორც ერთი _ მეამბოხე ლუდისტების მხრივ, ისე მეორე _ ფაბრიკების მეპატრონე ბურჟუების მხრივ, სიძულვილი და უპატივცემლობა დაუმსახურებია. ოჯახში მკაცრი, უხეში და კადნიერი ხასიათი ჰქონია. პატრიკ ბრონტეს ცოლი ადრე გარდაცვლია და ექვსი შვილი მარტო მის ანაბარად დარჩენილა.

რვა წლის შარლოტა ორ უფროს დასა და უმცროს ემილისთან ერთად პატრიკ ბრონტემ მიაბარა პასტორ უილსონის საქალებო სასწავლებელში, სადაც მდიდართა ოჯახებისათვის აღმზრდელებს ამზადებდნენ. სწორედ პასტორ უილსონის მზრუნველობის ქვეშ მყოფი კოვან-ბრიჯის სკოლა იქცა შარლოტა ბრონტეს მიერ «ჯეინ ეარში» აღწერილ ლოვუდის სკოლის პროტოტიპად. თვითონ პასტორი უილსონის, ამ ცივი, უკარება, ანგარებიანი, მაღლა მდგომთადმი მლიქვნელის, ხოლო დაბლა მდგომთადმი მტარვალის ჭეშმარიტი პორტრეტი მწერალმა ქალმა რეალისტური საღებავებით დაგვიხატა ლოვუდის სასწავლებლის მზრუნველ ბროკლჰერსტის სახით. შარლოტა ბრონტეს უფროსი დები _ მარიამი და ელისაბედი ამ სასწავლებელში დაავადდნენ ჭლექით და გარდაიცვალნენ. მათი ნათელი ხსოვნის, უფრო კი მარიამის _ ანარეკლია ელენ ბერნსის ხატება რომანში _ «ჯეინ ეარი».

პასტორ უილსონის სასწავლებლიდან გამოყვანილი შარლოტა მამამ კერძო პანსიონში მიაბარა, რომლის დამთავრების შემდეგ მომავალი მწერალი ქალი იქვე იწყებს აღმზრდელად მუშაობას. შემდეგ იგი აღმზრდელად ეწყობა იორკშირში ერთ-ერთი ფაბრიკანტის ოჯახში, სადაც მრავალი დამცირება და შეურაცხყოფა გადაიტანა. მისმა თავისუფლებისმოყვარე და ამაყმა სულმა დიდხანს ვერ გაუძლო ამ დამცირებას, მალე თავი მიანება აღმზრდელად

მუშაობას და ბრიუსელის ერთ-ერთ პანსიონში ინგლისური ენის მასწავლებლად მოეწყო.

ლექსებისა და რომანების წერა შარლოტამ, ემილიმ და ანამ ადრე ბავშვობაშივე დაიწყეს. შარლოტა ბრონტეს სამწერლო სარბიელზე ბევრი წარუმატებლობა ხვდა წილად, მაგრამ, თავის შემოქმედებით უნარსა და ძალაში დარწმუნებული, ხალასი ნიჭით დაჯილდოებული მწერალი ამ დროებითმა წარუმატებლობამ სულიერად ვერ გატეხა. მისი პირველი რომანი «მასწავლებელი» ყველა გამომცემლობამ უკან დააბრუნა. ცნობილმა პოეტმა რობერტ სოუთიმაც უკანვე გამოუგზავნა ლექსები და წერილს დიდაქტიკური დარიგებაც დაურთო: მწერლობა ქალის საქმე არაა, იგი ქალს ძირითად ოჯახურ მოვალეობას სწყვეტსო. მაგრამ შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე, ნიჭიერი, შეუპოვარი, უტეხი ნებისყოფის შარლოტა ბრონტე მეორე რომანზე მუშაობს. 1847 წელს ფსევდონიმით გამოაქვეყნა რომანი «ჯეინ ეარი», რომელსაც წილად უდიდესი წარმატება ხვდა. ნაწარმოები მაშინვე ითარგმნა სხვა ევროპულ ენებზე.

1848-49 წლებში ისედაც ჯანგატეხილ შარლოტა ბრონტეს სამი უბედურება ზედიზედ დაატყდა თავს: ჭლექმა ერთმანეთის მიყოლებით ჩააწვინა საფლავში მისი საყვარელი დები _ ემილი, ანა და ერთადერთი ძმა _ პატრიკ ბრენუელი.

სულითა და ხორცით დაავადებული შარლოტა ბრონტე უკანასკნელი ძალის დაძაბვით ამთავრებს რომანებს «შერლისა» და «ვილეტს». 1854 წელს იგი ცოლად მიჰყვება მღვდელ არტურ ბელა ნიკოლსს. ფეხმძიმობამ მისი ჯანმრთელობა კიდევ უფრო შეარყია. ამას ზედ ძლიერი გაციებაც დაერთო და 1855 წლის მარტში შარლოტა ბრონტე გარდაიცვალა.

«ჯეინ ეარმა» შარლოტა ბრონტე მსოფლიო ლიტერატურის სახელმოხვეჭილ ოსტატებს გვერდში ამოუყენა. ძირითადი პირობა, რამაც განსაზღვრა «ჯეინ ეარის» წარმატება, ეს მთავარი გმირის _ ჯეინის დაუდგრომელი, მებრძოლი და მეამბოხე სულია.

მართალია, ნაწარმოების პირველ თავებში აღწერილ რიდების ოჯახში ჯეინი ჯერ კიდევ უმწეო ბავშვია, მაგრამ არსებული სინამდვილისადმი წინააღმდეგობის გაწევის სურვილი ბობოქრობს მასში. იგი მებრძოლი, მეამბოხე სულით დაჯილდოებული ადამიანია. რიდების სახლში მისის რიდის ნებიერ ჯონს ყველა უსიტყვოდ ემორჩილება: გარეგნულად ლამაზი, მაგრამ უშინაარსო, ჭრიჭინასავით უზრუნველი ჯორჯიანა, ძუნწი და ანგარებიანი ეგოისტი, ხარბი და მაბეზღარა ელიზა, ანდერძის გამტეხი, შურიანი, უსამართლო მისის რიდი და, რაღა თქმა უნდა, უკლებლივ ყველა მსახური. აი, ასეთ, უკვე მეპატრონის ფსიქოლოგიით აღჭურვილ, გათავხედებულ ჯონის აღუდგა წინ ჯეინი. ამ პატარა, მაგრამ მგრძნობიარე გულითა და გამჭრიახი გონებით მიმადლებულმა ბავშვმა იგრძნო, რომ «მაღალი წრის» ადამიანები საკუთარ ბავშვებს ადრეულ სიყმაწვილიდანვე უნერგავენ იმ აზრს, რომ ღარიბებთან დამოკიდებულებაში, თუნდაც ისინი

მათი სისხლით ნათესავებიც იყვნენ, სხვანაირად უნდა მოიქცნენ. ასეთი აღზარდა მისის რიდმა საკუთარი შვილი ჯონ რიდი. იგი ყოველმხრივ ანებივრებდა ვაჟს და აკი შვილიც გაზულუქებული, უნებისყოფო, ლოთი და კარტის მოთამაშე გამოვიდა. დედის მიერ გაგზავნილი ფულები ლოთობასა და გარყვნილებაში გაანიავა. მშობელმა დედამ ფულის მიცემაზე უარი რომ შეუთვალა, საწამლავი დალია და თავისი უშინაარსო ცხოვრება ასე დაამთავრა. ჯორჯიანამ ვიღაც მდიდარ გაქნილ ჯენტლმენზე დაიწერა ჯვარი და ბრწყინვალე კარიერა შეიქმნა. ელიზა საზღვარგარეთ გაემგზავრა, სადაც თავისი პირველმოქცევის ხანა დაჰყო და იმავე მონასტრის იღუმენიად აირჩიეს. ასე დასრულდა ჯეინის შეძლებულ ბიძაშვილთა ცხოვრება.

ჯეინი აღშფოთებულია ლოვუდის სკოლის აღმზრდელთა საქციელით და ელენ ბერნსთან საუბარში ამბობს: «როცა უმიზეზოდ გვცემენ, ჩვენ დარტყმას დარტყმით უნდა ვუპასუხოთ. თანაც ისეთი ძალით უნდა დავკრათ, რომ ჭკუა სამუდამოდ ისწავლონ».

ელენ ბერნსი ლოვუდის სკოლაში სხვა ბავშვებისაგან განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩევა. ხშირად ოცნებობს და არსებული სინამდვილიდან მოწყვეტილს დროგამოშვებით ავიწყდება ლოვუდის სკოლის მკაცრი კანონები. ამიტომაც არ მოსწონს იგი მონური ფსიქოლოგიის მის სკეჩერდს. იგი ელენ ბერნსის ჯალათად იქცა და ნაადრევად ჩაიყვანა საფლავში ეს ობოლი, ღარიბი ირლანდიელი გოგონა.

მის სკეჩერდი და სხვა მისი მსგავსი მასწავლებლები აღსაზრდელებს უსიტყვო მორჩილებითა და მონური ფსიქოლოგიით ზრდიან.

ერთადერთი ნათელი პიროვნება ამ ჯოჯოხეთურ სასწავლებელში მის ტემპლია. მხოლოდ მისგან გრძნობენ ბავშვები სითბოს.

ნაწარმოების ცენტრალური ფიგურაა მისტერ როჩესტერი, რომელიც საკუთარი მამისა და მდიდარი ვაჭრის გარიგების მსხვერპლი გახდა. მან მამის დავალებით შეირთო მდიდარი ვაჭრის ქალიშვილი, რომლის დედასაც თავისი სიცოცხლის დღენი სულიერ ავადმყოფთა თავშესაფარში დაულევია და მემკვიდრეობით ქალიშვილისთვისაც გადაუცია იგივე ავადმყოფობა. შარლოტა ბრონტე სამარცხვინო ბოძზე აკრავს მშობლიურ გრძნობაზე მოზეიმე ანგარებას, რომლითაც აღვსილი იყო მისტერ როჩესტერის მამის გული. მან შესანიშნავად იცოდა, რომ სარძლოს დედამ სულიერ ავადმყოფთა თავშესაფარში დალია თავისი დღენი, მაგრამ მამული რომ ორად არ გაეყო, საკუთარი შვილი სამუდამოდ გაწირა.

შარლოტა ბრონტე დაუნდობლად ამხელს გაღარიბებულ, მაგრამ კუდაბზიკა, ქედმაღალ არისტოკრატ ქალებს, რომელთა ქარაფშუტული არსებობის ერთადერთი მიზანი მდიდარი საქმროს ხელში ჩაგდებაა. ამ მხრივ თავისი კლასის ნამდვილი შვილია მის ინგრემი, რომელიც ყურს მოჰკრავს თუ არა, როჩესტერი გაღარიბდაო, მაშინვე იბრუნებს მისგან პირს.

ქართველი მკითხველი უთუოდ დიდი ინტერესით გაეცნობა სასულიერო წოდების ორი საპირისპირო ბანაკის წარმომადგენლების საინტერესოდ აღწერილ ცხოვრებას.

თუ ბროკლჰერსტის სახით შარლოტა ბრონტემ ნიღაბი ჩამოჰგლიჯა მდიდრულად მოსილ, გარეგნულად სათნო, ნეტარ სახეს და გვიჩვენა, რომ თვით ეს სახეზე გადაფენილი სათნოებაც თვალთმაქცობაა და ამის იქით ნამდვილი მტარვალი, გაიძვერა, ორპირი და ათასგვარი მდაბალი საქციელის ჩამდენი პიროვნება იმალება, სენტ-ჯონის სახით მკითხველს წარმოუდგება ვაჟკაცური აღნაგობის, ცისფერთვალა, ფიზიკურად უნაკლო არსება, რომელიც უყოყმანოდ მიდის ღარიბი და გაჭირვებული ადამიანების დასახმარებლად. დაინტერესებულია ღარიბთა ბავშვებისათვის სკოლის გახსნით, თავის სიყვარულსაც კი ზვარაკად სწირავს საღმრთო სამსახურს, ფანატიკურად სწამს მხოლოდ იმქვეყნიური ცხოვრება და ყოველივე სააქაოზე ხელი აუღია, მაგრამ, როგორც კი მათი მდიდარი ბიძა გარდაიცვლება, იგი ამქვეყნიური ცხოვრების ჭუჭყით წაწყმდება და იკითხავს, მემკვიდრეობა ვის დაუტოვაო. მართალია, მან მდიდარ, მშვენიერი ქალის შერთვაზე უარი თქვა და თავისი ხელი ჯეინ ეარს შესთავაზა, მაგრამ ესეც ადამიანური სისუსტით _ ეგოისტობით მოუვიდა. სენტ-ჯონმა კარგად იცოდა, რომ მისიონერის ძნელ და ნარეკლიან გზაზე მტკიცე ნებისყოფის, ამტანი ბუნების ადამიანი იყო საჭირო და არა გარეგ-ნულად სრულქმნილი ტიკინა. ამავე დროს იგი მშვენივრად გრძნობს, რომ მის კვალს, დღეს თუ არა ხვალ ინგლისელი ჯარისკაცი მიჰყვება, მისგან სულიერად დამორჩილებულ ხალხს ფიზიკურად დაიმორჩილებს და სენტ-ჯონის სახელი სამუდამოდ დარჩება სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავდადებულ ღვთისმოსავ წმინდანთა შორის.

შარლოტა ბრონტე თავის მასწავლებლად ინგლისური კრიტიკული რეალიზმის უდიდეს წარმომადგენელს, უკვდავი «ამაოების ბაზრის» შემქმნელს _ უილიამ თეკერეის თვლიდა, მასვე მიუძღვნა «ჯეინ ეარი» და მწერლობაშიც მისსავე კვალს გაჰყვა.

თეკერეის დევიზი:»რომ მწერლები მოვალენი არიან ცხოვრება ასახონ, როგორც სინამდვილეშია, მათ არ უნდა გამოიგონონ ისეთი გმირები, რომელთაც არაოდეს უცხოვრიათ და არც შეეძლოთ არსებულიყვნენ", _ შარლოტა ბრონტემ თავის დევიზად აქცია. ასეთი სულიერი იარაღით აღჭურვილმა მაღალი კლასის წარმომადგენლებში ვერ ჰპოვა ადამიანური კეთილშობილებით აღსავსე გმირი, რომელიც სხვებისათვისაც მისაბაძი გახდებოდა და იძულებული შეიქმნა თავის გარშემო მიმოეხედა. შარლოტა ბრონტეს მახვილმა თვალმა ასეთი კეთილშობილება მხოლოდ უბრალო ადამიანებში დაინახა. ესენი არიან: რიდების სახლში _ ბესი, ლოვუდში _ მის ტემპლი, მარშენდში _ დიანა და მერი, ფერნდენის ციხე-კოშკში _ მოხუცი ცოლ-ქმარი ჯონი და მერი და სხვები. მართალია, შარლოტა ბრონტეს პირდაპირ არ უთქვამს, რომ მაღალი წრის ადამიანთა შორის დადებითი ადამიანი არ მოიძებნებაო, მაგრამ მის შემოქმედებიდან ეს აზრი ობიექტურად

გამომდინარეობს და მორტონში სენტ-ჯონისაგან მასწავლებლად გამწესებული ჯეინ ეარის ტირადა, რომ მისი მოსწავლე: «უბადრუკი პატარა გლეხუჭები სულითა და ხორცით ისეთივე კარგები არიან, როგორც უკეთილშობილესი წარმოშობის ჩამომავალნი; სიკეთის, კეთილშობილების, სიბრძნისა და კარგი გრძნობების საწყისი მათშიც ისევეა მოცემული, როგორც საუკეთესო წარმოშობის ადამიანებში», შარლოტა ბრონტეს იმისთვის სჭირდება, რომ თავისი აზრი დაბალი და მაღალი ფენებიდან წარმოშობილ ადამიანთა გონებრივ და ფიზიკურ თანასწორობაზე, სიბრძნეზე, სიქველეზე, თავისი დროის «კეთილშობილთაც» ჩაუნერგოს.

ელგუჯა მაღრაძე

ჯეინ ეარი

თავი I

სასეირნოდ გასვლა იმ დღეს შეუძლებელი იყო. მართალია, დილით მთელი საათი დავეხეტებოდით ფოთლებშემოძარცვულ ბუჩქნარში, მაგრამ ნასადილევს (მისის რიდი ადრე სადილობდა, თუ სტუმრად არავინ ჰყავდა) ზამთრის ცივმა ქარმა ცაზე შავი ღრუბლები მოჯარა და ისეთი თავსხმა წამოვიდა, რომ გასეირნებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო.

მით უკეთესი. ზამთარში არ მიყვარდა დიდხანს სეირნობა, ისიც ნაშუადღევს, ცივ ამინდში. ჭირივით მძულდა, როცა შებინდებისას ხელფეხგაყინული შინ ვბრუნდებოდით; გულს მიწყალებდა ჩვენი აღმზრდელი ქალის ბესის დაუსრულებელი ბუზღუნი; იმის გახსენება კი, რომ ელიზა, ჯონი და ჯორჯიანა რიდები გარეგნულად ჩემზე ბევრად უკეთესები იყვნენ, უფრო მიმატებდა ნაღველს და ჩემს საკუთარ თვალში მამცირებდა.

ელიზა, ჯონი და ჯორჯიანა ახლაც სასტუმრო ოთახში დედის გარშემო შეკრებილიყვნენ. ქალი ბუხრის წინ დივანზე იწვა, ირგვლივ საყვარელი შვილები ეხვია (ისინი ამჟამად არ ჩხუბობდნენ, არც ყვიროდნენ) და სახეზე ბედნიერების ღიმილი დასთამაშებდა. მისის რიდი მიკრძალავდა მათთან ახლოს ყოფნას. ეს გარემოება კი, როგორც თვითონ ამბობდა, თითქოს აწუხებდა. მისის რიდს ჩემი საქციელი არ მოსწონდა, მან განმიცხადა, რომ ვიდრე ბესი არ შემაქებდა ან საკუთარი თვალით არ ნახავდა, რა გულმოდგინედ ვცდილობდი მესწავლა საზოგადოებაში ქცევის წესები, მიმებაძა საუკეთესო ბავშვებისათვის, ვყოფილიყავი უფრო მხიარული, ალერსიანი, გულღია, უფრო ბუნებრივი და გამგონი, მანამდე ბავშვებს არ გაგაკარებო, არა და, ყოველთვის მოკლებული უნდა ვყოფილიყავი იმ დიდ

სიამოვნებას, რასაც დაუყვედრებლად ღებულობენ ხოლმე უზრუნველი და ბედნიერი პატარები.

_ რა თქვა ბესიმ, განა რა ჩავიდინე ასეთი? _ ვიკითხე მე.

_ ჯეინ, არ მიყვარს, როცა მედავებიან, ან წარამარა მეკითხებიან. ბავშვებს ეკრძალებათ უფროსებისადმი უკმეხი მიმართვა. დაჯექი სადმე და, ვიდრე ზრდილობიან ლაპარაკს არ ისწავლი, ჩუმად იყავი.

სასტუმრო ოთახის გვერდით პატარა სასადილო ოთახში შევიპარე, წიგნების კარადიდან ამოვირჩიე ერთ-ერთი ტომი, რომელშიაც ყველაზე მეტი ნახატი იყო, ფანჯრის რაფაზე ავძვერი და იქ თურქულად ფეხმორთხმული მოვკალათდი. მერე ფანჯარაზე წითელი შტოფის ორმაგი ფარდები ჩამოვუშვი და გარე სამყაროსგან ორმხრივ განმარტოებული აღმოვჩნდი. მარჯვნივ ალის-ფერი ფარდის ნაკეცები მფარავდნენ, მარცხნივ კი კრიალა ფანჯრის მინები მიცავდნენ ნოემბრის მოსაწყენი და ცივი ამინდისაგან, თუმცა უამინდობას აქ, ჩემ თავშესაფარშიც, ცხადად ვგრძნობდი. წიგნის ფურცვლისას დროდადრო ვაკვირდებოდი, თუ როგორ ნელ-ნელა ილეოდა ზამთრის ხანმოკლე დღე. შორს გაცრეცილი ღრუბლები და ნისლი გაწოლილიყო, უფრო ახლოს სველი მოლი და ქარიშხლისაგან ტოტებდალეწილი ბუჩქნარი მოჩანდა; ქარის ქროლვით გაგულისებული წვიმა კი კოკისპირულად ასხამდა, თითქოს ყველაფრის წალეკვას ლამობდა.

მე კვლავ დავუბრუნდი წიგნს, ბევიკის ბრიტანეთის ფრინველთა ისტორიას. გულახდილად რომ ვთქვა, ნაკლებად მიზიდავდა ილუსტრაციების ქვემოთ მინაწერი ტექსტის შინაარსი. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ პატარა ვიყავი, ზოგიერთ ადგილს მაინც ვერ ვტოვებდი უყურადღებოდ. ამ ადგილებში აღწერილი იყო ზღვის ფრინველთა თავშესაფრები მიყრუებულ კლდეებსა და კონცხებზე, სადაც მხოლოდ ეს ფრინველები ბუდობენ. ნორვეგიის ნაპირები, უკიდურესი სამხრეთ ლიდენზენიდან ნორკაპამდე, სადაც უამრავი კუნძული გაფანტულა.

მხარე, სადაც ჩრდილოეთის
ოკეანე ღელავს ვრცელი,
შფოთვით უვლის თულის კუნძულს,
უშორესს და უკაცრიელს.
და იქ, სადაც ატლანტიკის
ოკეანე თვალუწვდენი
ქარიშხლიან ჰებრიდებზე
მოაგორებს ტალღას ძლიერს.

ასევე უყურადღებოდ არ შემეძლო დამეტოვებინა ლაპლანდიის, ციმბირის, შპიცბერგენის, ახალი მიწის, ისლანდიისა და გრენლანდიის ყინულოვანი ნაპირების აღწერა. არქტიკული ზონის ეს ვრცელი ჰორიზონტი, უკაცრიელი ადგილები და მოსაწყენი სივრცეები, მუდმივი თოვლისა და ყინვის სამყარო; გაქვავებული, ყინულოვანი, თვალუწვდენელი ადგილები, უკიდეგანო ველებს

რომ მოგაგონებთ, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ზამთარს თავის სავანედ უქცევია და ყოველწლიურად ყინულის ახალ-ახალი ფენები ფარავს, ალპებივით ცამდე აზიდულა, მაღლა მიიწევს, პოლუსს გარს ევლება და იქ გამეფებულ საშინელ სიცივეს კიდევ უფრო ამკაცრებს. ამ თეთრ უსიცოცხლო სამყაროზე მე საკუთარი შეხედულება შემექმნა _ მართალია, ბუნდოვანი, ბავშვის გონებისათვის მიუწვდომელი, მაგრამ მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. წიგნის ყოველი ახალი თავის შინაარსი და ნახატი იმგვარად ერწყმოდა ურთიერთს, რომ თავისებურ ელფერს აძლევდა აქაფებულ ტალღებში განმარტოებულ კლდეებს, უკაცრიელ ნაპირზე გამორიყულ დამსხვრეულ გემს, ცივსა და ფერმიხდილ მთვარეს, წამით ღრუბელთა საფარს რომ დაუსხლტება, რათა კიდევ გადმოხედოს დაღუპულ გემს, რომელიც ზღვის ფსკერისკენ მიექანება.

ვერ გადმოგცემთ იმ გრძნობას, რომელსაც იწვევდა ჩემში განმარტოებული სასაფლაო, წარწერიანი საფლავის ქვა, ჭიშკარი, ორად ორი ხე, ჰორიზონტი და ჩამონგრეული კედლები, რომელიც ერთ დროს სასაფლაოს ყორედ ჰქონია შემოვლებული. ცაზე ნამგალა მთვარე ანათებს, ის საღამოს მოახლოებას გვატყობინებს. მდუმარებით მოცულ ზღვაში ქარიშხალს გადარჩენილი ორი გემი ურჩხულებს მივამგვანე. ხოლო ის გვერდი, სადაც ეშმაკი ქურდს მოპარულ ფუთას ართმევს, სწრაფად გადავფურცლე, რადგან შიშმა ამიტანა. გულის კანკალით შევყურებდი შავრქიან მოჩვენებას, რომელიც მოშორებით, კლდეზე მოკალათებული, ათვალიერებდა სახრჩობელას გარშემო მოფუსფუსე ხალხს.

თითოეული სურათი თავისთავად დასრულებულ მოთხრობას წარმოადგენდა. ისინი, ჩემი ჩამოუყალიბებელი გრძნობისა და გონებისათვის ჯერ კიდევ იდუმალებით მოცულნი, ღრმა ინტერესს აღმიძრავდნენ. ეს მოთხრობები ისეთივე მიმზიდველი და საინტერესო მეჩვენებოდა, როგორც ის ზღაპრები, რომელთაც ბესი გვიყვებოდა ხოლმე საღამოობით ზამთარში, თუკი კარგ გუნებაზე იყო. მას მაგიდა საბავშვო ოთახში შემოჰქონდა, ბავშვებს ნებას გვაძლევდა, გარშემო შემოვსხდომოდით, თვითონ მისის რიდის თეთრეულის მაქმანებს ან საღამურ ქუდზე მოვლებულ არშიებს აუთოებდა და თან ჩვენ დაძაბულ სმენას ხიბლავდა ძველთაძველი ზღაპრებიდან და ბალადებიდან ამოღებული სათავგადასავლო და სამიჯნურო ნაწყვეტების მოყოლით. მოგვიანებით შევიტყვე, ბესი თურმე ზოგიერთ ნაწყვეტს «პამელადან», ან ჰერცოგ ჰენრი მორლენდის ცხოვრებიდან გვიამბობდა. მუხლებზე ბევიკის წიგნი მედო და თავს ბედნიერად ვგრძნობდი. ყოველ შემთხვევაში ეს მაშინ ბედნიერებად მიმაჩნდა. ვშიშობდი, მყუდროება არავის დაერღვია ჩემთვის, მაგრამ მალე პატარა სასადილო ოთახის კარი გაიღო.

_ სად ბრძანდებით, ქალბატონო? _ გაისმა ჯონ რიდის ხმა. ის ერთი წამით შეჩერდა. ოთახში ვერავინ შენიშნა.

_ სად ეშმაკებში წავიდა? _ განაგრძო მან. _ ლიზი! ჯორჯიანა! _ გასძახა მან თავის დებს. _ ჯენი აქ არ არის. დედას უთხარით, ალბათ, გარეთ დაეხეტება წვიმაში. საზიზღარი ცხოველი!

«კიდევ კარგი, რომ ფარდა ჩამოვუშვი", _ გავიფიქრე. იმასღა ვნატრობდი ჩემი თავშესაფარი არ აღმოეჩინათ. ჯონ რიდს, რა თქმა უნდა, ეს არ შეეძლო, რადგან მას გამჭრიახობა და სწრაფად ალღოს აღების უნარი არ გააჩნდა. ელიზამ კი, შემოჰყო თუ არა თავი ოთახში, მაშინვე თქვა:

_ დარწმუნებული ვარ, ის ფანჯრის რაფაზე იქნება, ჯეკ.

იმის შიშით, რომ საფარიდან ჯეკს არ გამოვეთრიე, მაშინვე გამოვედი.

_ რა გნებავთ? _ ვკითხე გაუბედავად.

_ თქვი, რა გნებავთ, მისტერ რიდ? _ შემისწორა მან. _ რა მნებავს? მინდა რომ აქ მოხვიდე, _ და სავარძელში ჩაჯდა, ხელით მანიშნა მივახლოვებოდი და მის წინ გავჩერებულიყავი.

ჯონ რიდი უკვე მოსწავლე იყო, დაახლოებით თოთხმეტი წლისა, ჩემზე ოთხი წლით უფროსი. მე მაშინ მხოლოდ ათი წელი შემისრულდა; ის თავისი ასაკისათვის საკმაო დიდი და მსუქანი ყმაწვილი გახლდათ. სახე ფართო ჰქონდა, მეტად ფერნაკლული და ძიძიბებიანი, ნაკვთები კი _ ჯმუხი. ჭამა ძალიან უყვარდა და ხარბად სანსლავდა ყველაფერს სუფრაზე. მისი თვალები ჭამის დროს მეტად უაზრო გამომეტყველებას იღებდა. სწორედ რომ გითხრათ, დიდი უსიცოცხლო და დონდლო რამ იყო. იმის მაგიერ, რომ სასწავლებელში ევლო, «სუსტი ჯანმრთელობის» გამო «დედიკომ» ის ერთი თვით შინ მოიყვანა დასასვენებლად. მისი მასწავლებლის, მისტერ მაილსის, თქმით, ბავშვი უფრო უკეთ იგრძნობდა თავს თუ სახლიდან შედარებით ნაკლებ ნამცხვარსა და ტკბილეულს გამოუგზავნიდნენ. მაგრამ დედის გული, აბა, ამ აზრს როგორ შეურიგდებოდა? პირიქით, მისის რიდი ფიქრობდა: ჯონის სისუსტე მეტისმეტი გადაღლითა და შინაურებზე დარდით იყო გამოწვეული.

ჯონს მაინცდამაინც დიდად არ უყვარდა თავისი დედა და დები, მე კი ვძულდი. ყოველთვის მაშინებდა და უდიერად მექცეოდა. ეს ხდებოდა კვირაში ორ-სამჯერ, ან დღეში ერთხელ ან ორჯერ კი არა, არამედ _ გამუდმებით. ყოველ მის მოახლოებაზე შიშით ვთრთოდი; სხეულის ყოველი ნაკვთი მიცახცახებდა. იყო ისეთი წამებიც, როცა შიშისაგან გაფართოებული თვალებით შევცქეროდი, რადგან ვიცოდი, მისი მუქარისა და ცემა-ტყეპისაგან არავინ დამიფარავდა.

მოსამსახურეები ვერ გამომექომაგებოდნენ, რადგან არავის სურდა ახალგაზრდა პატრონის განაწყენება; მისის რიდი კი თვალს გვარიდებდა და ყურს იყრუებდა. ჯონი მისი თანდასწრებითაც მცემდა და მლანძღავდა. უფრო ხშირად კი მისგან დაფარულად.

ჯონ რიდის ნება-სურვილს ყოველთვის უსიტყვოდ ვასრულებდი. ამჯერადაც მაშინვე მივუახლოვდი მის სავარძელს. რამდენიმე წუთს იმით ერთობოდა, რომ ენას მიყოფდა. ვგრძნობდი, მალე ჩამარტყამდა. მაშინ მხოლოდ მის საზიზღარ და მახინჯ გარეგნობაზე ვფიქრობდი. მან თითქოს

ამოიკითხა ჩემ სახეზე ეს აზრი და მოულოდნელად ისე ძლიერად მითავაზა, რომ დავბარბაცდი. წონასწორობა რომ არ დამეკარგა, ტორტმანით ერთი-ორი ნაბიჯი უკან გადავდგი.

_ ეს იმისათვის, დედას ასე უხეშად რომ მიმართე, _ მითხრა მან. _ ესეც, ფარდის უან რომ დაიმალე, ეს კი იმ გამომეტყველებისათვის, რომელიც ამ ორიოდე წუთის წინ შენს თვალებში ამოვიკითხე, შე ვირთხა, შენა!

უკვე შეჩვეული ვიყავი ჯონ რიდისაგან ასეთ შეურაცხყოფას და აზრადაც არ მომსვლია წინააღმდეგობის გაწევა. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როგორ ამეცდინა დარტყმა, რომელიც, ჩვეულებრივ, მის ასეთ საქციელს მოჰყვებოდა ხოლმე.

_ რას აკეთებდი ფარდის უკან? _ მკითხა მან.

_ ვკითხულობდი.

_ მიჩვენე წიგნი.

ფანჯარასთან მივედი, წიგნი ავიღე და მივუტანე.

_ რა ხელი გაქვს ჩემ წიგნებთან? დედა ამბობს, რომ სამოწყალოდ გინახავთ. მამაშენმა არაფერი დაგიტოვა, გროშიც კი არ გაბადია. განა შენ კეთილშობილი ადამიანების ისეთ ბავშვებთან უნდა იზრდებოდე, როგორებიც ჩვენა ვართ? შენ უნდა მათხოვრობდე. ნუთუ შენც იმ საჭმელს უნდა ჭამდე, რასაც ჩვენ? იგივე გეცვას, რაც ჩვენ გვაცვია? ხომ იცი, დედა სამოწყალოდ გაცმევს. გასწავლი, როგორ უნდა ჩემს წიგნებში ხელის ფათური. ეს სახლიც მე მეკუთვნის და წიგნებიც. ყოველ შემთხვევაში, ამ სახლ-კარის ბატონ-პატრონი რამდენიმე წელიწადში მე ვიქნები. გასწი ახლა და კარებთან დადექი, ფანჯარასა და სარკისაგან რაც შეიძლება, მოშორებით.

თავდაპირველად განზრახვას ვერ მივუხვდი და კვლავ დავემორჩილე. მან წიგნი აიღო, დამიმიზნა და ის იყო უნდა ესროლა, რომ შეშინებულმა შევკივლე და უნებურად განზე გადავხტი. ვეღარ მოვასწარი, წიგნი მომხვდა, დავეცი, თავი კარებს მივარტყი და გავიტეხე. საშინელი ტკივილი ვიგრძენი. ჭრილობიდან სისხლმა დამიწყო დენა. მალე შიში გაქრა და მხოლოდ ტკივილიღა მაწუხებდა.

_ ბოროტო, საზიზღარო, მკვლელო, _ გავკიოდი მე. _ შენ ადამიანს კი არა, მონების სისხლისმსმელ ჯალათებს, რომაელ იმპერატორებს მაგონებ.

წაკითხული მქონდა გოლდსმითის რომის ისტორია და ჩემი შეხედულებაც გამაჩნდა ნერონზე, კალიგულასა და სხვებზე. გულში კიდეც ვამსგავსებდი ჯონს მათ, მაგრამ არასოდეს ფიქრად არ მომსვლია, ეს ხმამაღლა მეთქვა.

_ რაო, რაო? _ დაიღრიალა მან, _ ეს მე მითხრა? გაიგონეთ თუ არა, ელიზა, ჯორჯიანა? განა არ უნდა ვუთხრა დედას? დამაცადე, მაგრამ ჯერ...

გამხეცებული მომვარდა, ხელი ჩამავლო მხრებსა და თმებში, აღარაფერი ახსოვდა. ახლა კი ნამდვილად დავინახე მასში ჯალათი და მკვლელი. ჭრილობიდან სისხლი წვეთ-წვეთად კვლავ ჩამომდიოდა კისერზე. ტკივილი აუტანელი იყო. ამ გრძნობამ დასძლია შიშს და ახლა მე მივვარდი მას გააფთრებული. არ მახსოვს, რა ჩავიდინე, მაგრამ ეს კი მახოვს, როგორ

ღრიალებდა: _ ვირთხა, ვირთხაო. ქომაგიც მალე გამოუჩნდა. ელიზა და ჯორჯიანა მაღლა სართულში გაიქცნენ მისის რიდის დასაძახებლად. მან, ბესისა და მოსამსახურე ქალის ებოტის თანხლებით მოირბინა ჩვენთან. გაგვაშველეს... ყური მოვკარი სიტყვებს.

_ ღმერთო ჩემო, რამ გადარია ეს ბავშვი? გინახავთ ოდესმე ასეთი სიკაპასე?

მერე გავიგონე მისის რიდის სიტყვები:

_ წაიყვანეთ და წითელ ოთახში ჩაკეტეთ.

ოთხმა ხელმა ამწია და ზემო სართულში ამათრიეს.

თავი II

გზაზე საშინელ წინააღმდეგობას ვუწევდი. ამ საქციელმა ბესისა და მის ებოტის კიდევ უფრო განუმტკიცა ცუდი შეხედულება ჩემზე, მართლაც მოთმინება დავკარგე, ან, როგორც ფრანგები ამბობენ. ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი. სწორედ ამ უჩვეულო სიანჩხლის გამო შეუბრალებლადაც დამსაჯეს. ჩემში მეამბოხე მონის სულმა გაიღვიძა და სასოწარკვეთილმა მტკიცედ გადავწყვიტე ბოლომდე მებრძოლა.

_ ხელები შეუკარით, მის ებოტ; ცოფიან კატას ჰგავს. რა სირცხვილია!

_ რა თავის მოჭრა! _ კიოდა ქალბატონის პირისფარეში. _ გაუგონარი ამბავია, მის ეარ. ვის უნახავს, ხელი შეუბრუნო ახალგაზრდა ჯენტლმენს და ისიც შენი კეთილისმყოფელის ვაჟიშვილს, შენს ახალგაზრდა ბატონს?

_ ბატონს? მერედა, ვინ არის ჩემი ბატონი? განა მე მოსამსახურე ვარ?

_ არა, შენ მოსამსახურეზე ბევრად ნაკლები ბრძანდები, საკუთარი თავის რჩენაც არ შეგიძლია. აი, დაჯექი და შენ დანაშაულს დაუფიქრდი.

ამ სიტყვებით მათ ქალბატონ რიდის მიერ მითითებულ ოთახში შემათრიეს და სკამზე დამაგდეს. ხელი გამიშვეს თუ არა, დაჭიმულ ზამბარასავით ჩემდაუნებურად წამოვხტი. მაშინვე ოთხმა ხელმა გამაკავა.

_ თუ წყნარად არ დაჯდები, დაგაბამთ, _ მითხრა ბესიმ. _ მის ებოტ, მათხოვეთ თქვენი წვივსაკრავები, ჩემსას დაწყვეტს.

მის ებოტი მიბრუნდა, რომ მსუქან ფეხზე წვივსაკრავი მოეხსნა. მივხვდი, უცნაურ ბორკილებს მიმზადებდნენ და აპირებდნენ უფრო მეტად შეელახათ ჩემი თავმოყვარეობა. გონს მოვედი.

_ ნუ იხსნით! _ წამოვიძახე მე, _ არ გავინძრევი, _ და ამის დასამტკიცებლად ორივე ხელით სკამს ჩავებღაუჭე.

_ მაშ გახსოვდეს და ნუ გაინძრევი, _ მითხრა ბესიმ და ხელი გამიშვა, როდესაც დარწმუნდა, რომ ნამდვილად დავემორჩილე. ის და ებოტი კვლავ გულხელდაკრეფილნი, შუბლშეკრულნი იჭვნეულად მიყურებდნენ, თითქოს არ სჯეროდათ ჩემი სიტყვების.

_ ასეთი რამ არასოდეს ჩაუდენია, _ უთხრა ბოლოს ბესიმ.

_ მას ამგვარ სიანჩხლეს ყოველთვის ვამჩნევდი, _ გავიგონე ებოტის პასუხიც. _ ჩემი აზრი ამ ბავშვის შესახებ ხშირად გამიზიარებია მისის რიდისათვის. ისიც, რასაკვირველია, მუდამ მეთანხმებოდა. დიდი გაიძვერა უნდა იყოს! არასოდეს მინახავს ამ ხნის ბავშვი ასე გულჩათხრობილი.

ბესიმ აღარაფერი უპასუხა. შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა: _ უნდა იცოდე, მის, რომ მისის რიდი სამოწყალოდ გინახავს. სახლიდან რომ გაგაგდოს, ღარიბთა თავშესაფარში მოგიწევს ცხოვრება.

ვერაფერი ვუპასუხე. ეს ჩემთვის ახალი ამბავი არ იყო. რაც თავი მახსოვდა, სულ ამას ჩამჩიჩინებდნენ; საყვედურები ჩემი მუქთახორობის შესახებ განუწყვეტლივ ჩამესმოდა ყურში; ის სულს მიწუხებდა და განუზომელ ტკივილებს მაყენებდა, ჯერ კარგადაც ვერ გავრკვეულიყავ, თუ რა ხდებოდა ჩემ გარშემო.

_ ვის უტოლებ თავს, ელიზას, ჯონს და ჯორჯიანა რიდებს? _ დაუმატა მის ებოტიმ, _ განა ვერ ამჩნევ, რამდენად კეთილია მისის რიდი, რომ მათთან ერთად გზრდის? მათ დიდი ფულადი შემოსავალი აქვთ, შენ კი არაფერი გაბადია. მეტი თავმდაბლობა გმართებს. უნდა ეცადო, მუდამ ასიამოვნო მათ. ამას მხოლოდ შენ საკეთილდღეოდ გეუბნებით, _ შედარებით ალერსიანად დაუმატა ბესიმ. _ თუ იშრომებ და ეცდები, ყოველთვის ასიამოვნო მათ, ვფიქრობ, არც ისინი დაინანებენ თავშესაფარს შენთვის. მაგრამ შენ თუ გაუგონარი იქნები და სიანჩხლეს არ დაიშლი, მისის რიდი სახლიდან გაგაგდებს.

_ გარდა ამისა, ღმერთიც დასჯის ასეთ ადამიანს. ადვილი შესაძლებელია, სიკვდილითაც დასაჯოს. მერე რაღას იზამს? _ თქვა მის ებოტიმ. _ წამო, ბესი, მარტო დავტოვოთ. კიდევ კარგი, მაგასავით გულქვა არა ვარ. როდესაც მარტო დარჩები, ილოცე, მის ეარ. მაგრამ თუ ცოდვებს არ მოინანიებ, ვინ იცის, რა მოხდეს, იქნებ, ბუხრიდან ეშმაკიც კი ჩამოძვრეს და სადმე გაგაქროლოს.

ამ სიტყვებით ოთახიდან გავიდნენ და კარი გაიკეტეს.

დიდი დარბაზი, რომელსაც წითელ ოთახს უწოდებდნენ, კარგა ხნის მიტოვებული იყო. იქ იშვიათად თუ იძინებდა ვინმე, უფრო სწორად _ არასოდეს. ამ მდიდრულად მოწყობილ ოთახს მხოლოდ მაშინ გაიხსენებდნენ, როდესაც მოზღვავებული სტუმრებისათვის აღარსად ჰქონდათ მოსასვენებელი ადგილი. ამ დიდ სახლში ის ყველაზე ფართო და მდიდრულად მორთული იყო. მის შუაგულში კვარცხლბეკივით აღმართულიყო წითელი ხის სვეტებიანი საწოლი, მუქ-წითელი ფარდებით. ასეთივე ფერის ფართონაკეცებიანი ნაქარგი ფარდები სანახევროდ ფარავდა ორ უზარმაზარ ფანჯარას. საწოლს იქით მაგიდა იდგა. ზედ წითელი სუფრა ეფარა. ნოხიც მეწამული ფერისა იყო და კედლების ფერს ეხამებოდა. მათში ადგილ-ადგილ მიხაკის ფერი სჭარბობდა. ძველი, მუქი წითელი ხის გარდერობი, ტუალეტის მაგიდა და სკამები სარკესავით პრიალებდა. ამ მუქი ფერების ფონზე მკვეთრად გამოირჩეოდა მაღალი საწოლი თეთრად მოქათქათე ბუმბულის ლეიბებითა და ბალიშებით. საწოლს თოვლივით

თეთრი გადასაფარებელი ამშვენებდა. იქვე, თავთან ახლოს, ასევე თეთრი, ფართო და რბილი სავარძელი იდგა. მის წინ კი ფეხის მოსასვენებელ პატარა სკამს შეამჩნევდით. ეს სავარძელი ჩემს1წარმოდგენაში სამეფო ტახტის ელფერით ბრწყინავდა. ოთახი ცივი იყო, რადგან ცეცხლს იშვიათად ანთებდნენ; მდუმარებით მოცული იმიტომ, რომ მოშორებული იყო ბავშვთა ოთახსა და სამზარეულოს; განმარტოებულიც, რადგან შიგ იშვიათად თუ შეიხედავდა ვინმე. შაბათობით მხოლოდ მოსამსახურე თუ შევიდოდა და სარკეებსა და ავეჯს მთელი კვირის მტვერს გადაწმენდდა. ძალიან იშვიათად მისის რიდიც ესტუმრებოდა ხოლმე ამ ოთახს, ათვალიერებდა საიდუმლო უჯრაში ჩაწყობილ სხვადასხვა საოჯახო ხელნაწერს, ძვირფასი ნივთების შესანახ კოლოფს და გარდაცვლილი მეუღლის მინიატურულ სურათს. სწორედ ამ ბოლო სიტყვებში იყო ჩაქსოვილი წითელი ოთახის მთელი საიდუმლოებაც. მიუხედავად იმისა, რომ მეტისმეტად მდიდრულად იყო მორთული, ახლოს მაინც არავინ ეკარებოდა.

აი, უკვე ცხრა წელია, რაც მისტერ რიდი გარდაიცვალა. ამ ოთახში დაულევია სული; აქვე ესვენა თურმე და მესაფლავეებს აქედანვე გაუტანიათ მისი კუბო. იმ დღიდან, საშინელი შიშით შეძრწუნებულნი, ოთახში იშვიათად შედიოდნენ.

დაბალ სკამზე, მარმარილოს ბუხრის ახლოს, სადაც ენამწარე ებოტიმ და ბესიმ მიმატოვეს, გაუნძრევლად ვიჯექი. ჩემ წინ საწოლი იდგა. მარჯვნივ მაღალი მუქი ფერის სხივები არეკლილიყო. მარცხნივ, ფარდებით დაფარულ ფანჯრებს შორის, უზარმაზარი სარკე ამართულიყო, რომელშიაც მდიდრულად მორთული ოთახი და საწოლი მოჩანდა. ჯერ კიდევ არ ვიყავი დარწმუნებული, რომ მათ კარები ნამდვილად ჩამიკეტეს. როგორც იყო, გავბედე ავმდგარიყავი. კარებთან მივედი და, ღმერთო ჩემო! დაკეტილი დამხვდა. ალბათ არც ერთი საპატიმრო არ ყოფილა ასე საგულდაგულოდ ჩაკეტილი. უკან გამოვბრუნდი. სარკის წინ უნდა ჩამევლო. ჩემდაუნებურად მის სიღრმეში ჩავიხედე და ყველაფერს თვალიერება დავუწყე. სარკის ფანტასტიკურ სივრცეში სინამდვილესთან შედარებით ყოველი საგანი უფრო მუქი ჩანდა და ყოველი ნივთი თითქოს გაყინულიყო. სარკიდან პაწაწინა უცნაური არსება მიმზერდა გაფითრებული სახითა და აკანკალებული ხელებით. ამ გაქვავებულ სამყაროში იგი მართლაც მოჩვენებას ჰგავდა მოელვარე, შიშისაგან გაფართოებული თვალებით. ის იმ პაწაწინა ნახევრად ზღაპრულ ფერიებს თუ ეშმაკეულ სულებს მივამსგავსე, რომლებიც ბესის მონაყოლ ზღაპრებში განმარტოებული, უკაცრიელი და ხავსმოკიდებული ჭაობებიდან მოევლინებოდნენ ხოლმე დაგვიანებულ მგზავრებს.

ჩემს ადგილს დავუბრუნდი.

ცრუმორწმუნეობრივმა შიშმა შემიპყრო, მაგრამ ვგრძნობდი, ეს შიში ჯერ კიდევ არ გაბატონებულიყო ჩემზე. სისხლი მიდუღდა; მეამბოხე მონის განწყობა ჯერ კიდევ ბობოქრობდა ჩემში და ძალას მმატებდა. წარსული მთელი თავისი სიმწარით ნათლად წარმომიდგა თვალწინ. მოძალებულ

გრძნობებს უნდა გავმკლავებოდი, ვიდრე მძიმე აწმყო თავის საშინელ ბრჭყალებს შემახებდა.

მომაგონდა ჯონ რიდის გახელებული ძალმომრეობა, დედამისის სიძულვილი, მისი დების სიამაყით სავსე გულგრილობა, მოსამსახურეთა უსამართლო მოპყრობა და ყოველივე ეს ჭის ფსკერიდან ამოტივტივებული შავი ბინძური ნალექივით აიმღვრა ჩემს ისედაც განაწამებ გონებაში. ნეტავ რატომ მაწამებდნენ ასე? რისთვის ვცახცახებდი შიშით ყოველთვის? მუდამ დამნაშავედ მე რად მაცხადებდნენ და ბრალიც მუდამ მე რად მედებოდა? ნუთუ მართლა არ შემეძლო მესიამოვნებინა მათთვის? ყველა ჩემ ცდას _ მომე-პოვებინა რომელიმე მათგანის სიყვარული _ რატომ უნდა ჩაევლო ამაოდ? რატომ ექცეოდნენ კარგად, ან რისთვის უყვარდათ თავნება და ეგოისტი ელიზა? ნუთუ შეიძლებოდა კადნიერი, ღვარძლით სავსე და ანჩხლი ჯორჯიანას გაღმერთება? ალბათ მისი სილამაზე, ვარდისფერი ღაწვები და ოქროსფერი, მბზინავი კულულები ატყვევებდა მხილველს და დანაშაულსაც ამითვე გამოისყიდდა ხოლმე. ჯონს ხომ არავინ სჯიდა და ყველაფერს უსრულებდნენ. თუმცა მტრედებს ხშირად კისერს უგრეხდა, ახლად გამოჩეკილ წიწილებს ხოცავდა, ცხვრებს ძაღლებს უსევდა, სათბურში მკვახე ყურძენს იპარავდა, ორანჟერეაში კი საუკეთესო ნარგავთა კვირტებს ანადგურებდა. თავის დედას ბებრუცუნას ეძახდა და ხშირად დასცინოდა კიდეც. არ მოსწონდა მისი სახის მოყვითალო ფერი, თუმცა თავად სწორედ ამით მიაგავდა დედას. ის მისის რიდს არასოდეს ემორჩილებოდა, ხშირად დაუხევია და გაუფუჭებია მისი აბრეშუმის კაბები და მაინც მისი «საყვარელი შვილიკო» გახლდათ. მე კი სულ მცირე დანაშაულსაც არავინ მაპატიებდა. ძალ-ღონეს არ ვზოგავდი, ყველაფერი კარგად გამეკეთებინა, მაგრამ მაინც აბეზარს, უხასიათოს, გაუგონარსა და მატყუარას მეძახდნენ დილიდან დაღამებამდე.

წაქცევის მერე თავი ჯერ ისევ მტკიოდა; ჭრილობიდან სისხლი კვლავ მოწვეთავდა; მაგრამ ამ უმსგავსი საქციელისათვის ჯონი არავის გაუკიცხავს. მე კი იმიტომ, რომ გავბედე და ხელი შევუბრუნე, საერთო გულისწყრომა დავიმსახურე.

_ უსამართლონი! უსამართლონი! _ დაჟინებით ვიმეორებდი ჩემთვის. ტანჯვამ, რაც თავს გადამხდა, თითქოს წლები შემმატა, დამაჭკვიანა და ახლა დიდი ადამიანივით ვაზროვნებდი. გამბედაობა მიკარნახებდა და მაქეზებდა აუტანელი ჩაგვრისაგან თავის დასახსნელად რაიმე გზა მომეძებნა. სახლიდან გაქცევა გადავწყვიტე, მაგრამ თუ ამას ვერ მოვახერხებდი, შიმშილით უნდა მომეკლა თავი.

ოჰ, როგორ გამამწარეს იმ საშინელ დღეს! გონება ამერია, გული ამოვარდნაზე მქონდა! ოჰ, რა წყვდიადით იყო მოცული და რა გაურკვეველი ჩემთვის ის სულიერი ბრძოლა, რაც მაშინ გადავიტანე. პასუხი ვერ მეპოვნა კითხვაზე _ რატომ ვიტანჯებოდი ასე; ვერ გეტყვით რამდენი წელი მაშორებს იმ გარდასულ ხანას, მაგრამ ყველაფერი ახლაც კარგად მახსოვს.

როგორც ჩანს, გეიტსჰედჰოლში ზედმეტი ვიყავი; ყველას თვალში ეკლად ვესობოდი. მისის რიდსა და მის შვილებთან საერთო ენა ვერ გამოვნახე; არც მსახურებთან მწყალობდა ბედი. მაგრამ თუ მათ არ ვუყვარდი, არც მე მიყვარდა ისინი. ან კი რისთვის უნდა ეზრუნათ ისეთ არსებაზე, რომელსაც არც ერთი მათგანი არ უყვარდა. რატომ მოექცეოდნენ თბილად უქნარას, მათგან ხასიათით, მისწრაფებებითა და უნარით სრულიად განსხვავებულს; ბოროტ ბავშვს, რომელიც არასოდეს ასიამოვნებდა მათ, არც ერთი მათგანის აზრს არ იზიარებდა; ყოველ მათ საქციელს სიძულვილით პასუხობდა და თავის სულში ამ სიძულვილს აღვივებდა კიდეც. დარწმუნებული ვარ, მე რომ მხიარული, სიცოცხლით სავსე, თავნება, ლამაზი და ანცი ბავშვი ვყოფილიყავი, თუნდაც სხვის მოწყალებაზე მყოფი და უთვისტომო, მისის რიდი უფრო გულკეთილად მომექცეოდა. მისი შვილებიც მეტ გულკეთილობას გამოიჩენდნენ, დამიმეგობრდებოდნენ და აღარც მოსამსახურეები ამიგდებდნენ აბუჩად.

დღის სინათლე თანდათანობით ტოვებდა წითელ ოთახს. დაახლოებით ხუთი საათი იქნებოდა. ღრუბლიანი დღე იყო. ბინდი ჩამოწვა და მთლად ჩამობნელდა. მესმოდა, როგორ განუწყვეტლივ შხაპუნობდა წვიმა შემოსასვლელი კიბის ფანჯრის მინებზე. ქარი კი სახლს უკან ხეივანში დაუსრულებლად ზუზუნებდა. სიცივე ძვალ-რბილში გამიჯდა და გამბედაობამაც მიმტყუნა. მარტოობის, სასოწარკვეთილების, დამცირებისა და საკუთარი უძლურების შეგრძნება მომეძალა და ჩემში ისედაც ჩაფერფლილ აღშფოთებას ცივი წყალივით გადაევლო. ამ ოჯახში ყველა ბოროტად მთვლიდა, იქნებ, ასეც იყო. განა შიმშილით თავის მოკვლაზე ფიქრი დანა-შაული არ არის? ნუთუ მართლა მზად ვიყავი სიკვდილისათვის? ნუთუ გეიტსჰედის საყდრის საკურთხევლის თაღებქვეშ მოქცეული აკლდამა ასე მიმზიდველ სამარადჟამო სავანედ მიმაჩნდა? როგორც მითხრეს, ასეთ აკლდამაში განისვენებდა მისტერ რიდი. მისტერ რიდის გახსენებაზე შემაძრ-წუნებელმა შიშმა შემიპყრო. კარგად არ მახსოვდა ის, თუმცა ვიცოდი, რომ მისტერ რიდი ჩემი ალალი ბიძა იყო _ დედაჩემის ძმა. მას წამოვუყვანივარ ობოლი ჩვილი თავის სახლში. სიკვდილის უკანასკნელ წამებში მისის რიდისათვის პირობაც კი ჩამოურთმევია, რომ მიპატრონებდა და საკუთარი შვილივით აღმზრდიდა. შესაძლებელია, ქალბატონი რიდი ფიქრობდა, პირობა შევასრულეო. მან მართლაც შეასრულა პირობა, რამდენადაც საკუთარი ბუნება ამის საშუალებას აძლევდა. ან კი რისთვის უნდა ჰყვარებოდა ძალად თავსმოხვეული გოგონა, მისთვის და მისი ოჯახისათვის სრულიად უცხო არსება, რომელთანაც მეუღლის სიკვდილის შემდეგ აღარაფერი აკავშირებდა. ვატყობდი, პირობის შესრულება ძალიან უმძიმდა. არ შეეძლო ჰყვარებოდა და დედის მაგიერობა გაეწია იმ უხასიათო ბავშვისათვის, რომელიც მის ოჯახურ მყუდროებაში მუდმივად შეჭრილიყო.

დარწმუნებული ვიყავი, მისტერ რიდი რომ ცოცხალი ყოფილიყო, კეთილად მომექცეოდა. მაგრამ ახლა ეს ჩამობნელებული კედლები, თეთრად

მოქათქათე საწოლი და მქრქალად მბრწყინავი სარკე, რომელშიაც დროგამოშვებით მოჯადოებულივით ვიმზირებოდი, მახსენებდა ყოველივეს, რაც გარდაცვლილთა სულების შესახებ მსმენოდა. ისიც გამეგონა, რომ თუ მიცვალებულებს მათ უკანასკნელ სურვილებს არ შეუსრულებდნენ, ისინი საშინლად იტანჯებოდნენ საფლავებში. მათი სულები კვლავ მოევლინებოდნენ ხოლმე დედამიწას, რათა დაესაჯათ ფიცის გამტეხნი და შური ეძიათ. უცებ თავში უცნაურმა აზრმა გამიელვა; იქნებ, მისტერ რიდის სულმა შეშფოთებულმა იმით, რომ მის დისშვილს ასე ცუდად ექცევიან, მიატოვოს ეკლესიის თაღებქვეშ სამუდამო განსასვენებელი, ან მიცვალებულთა უხილავი სამყარო და აი აქ, ამ ოთახში მომევლინოს. ცრემლები მოვიწმინდე და სლუკუნი შევწყვიტე. მეშინოდა ასეთ დიდ მწუხარებას არ გამოეწვია რაიმე ზებუნებრივი ხმა, რომელიც ჩემ დამშვიდებას შეეცდებოდა; ან სიბნელიდან შარავანდედით გაბრწყინებული მისი სახე არ მომვლენოდა და სიბრალულით ჩემკენ არ გადმოხრილიყო. აჩრდილის გამოჩენა, რომელსაც ვითომდა უნდა დავემშვიდებინე, ვგრძნობდი, უსაზღვრო შიშით ამავსებდა და მეტ განსაცდელს მომიტანდა. ამიტომ მთელი ძალით შევეცადე ეს აზრი თავიდან მომეშორებინა და შიში დამეძლია. თვალებზე ჩამოშლილი თმა უკან გადავიყარე, თავი ავწიე, რომ უფრო გაბედულად დამეთვალიერებინა წყვდიადით მოცული ოთახი. სწორედ ამ დროს კედელზე რაღაც სინათლის შუქი გამოჩნდა. _ იქნებ, ეს ფარდის ჭუჭრუტანიდან შემოჭრილი მთვარის სხივია? _ ვეკითხებოდი ჩემს თავს. _ არა, მთვარის სხივი ხომ უძრავი იქნებოდა, ის კი ირხევა. სხივმა ჯერ ჭერზე გადაინაცვლა და შემდეგ თავს ზემოთ აციმციმდა. ეს სხივი სახლის წინ მდელოზე მიმავალი ადამიანის ფარნიდან შემოდიოდა. მაგრამ მაშინ, როდესაც ჩემი გონება რაღაც საშინელებას მოელოდა და ნერვებიც, გადატანილი ტანჯვა-წამების გამო, აწეწილი მქონდა, სწრაფად მოფარფატე ნათელი სხივი საიქიოდან მომავალი აჩრდილის მაცნედ მივიჩნიე. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა; სისხლი სახეში მომაწვა; ფრთების შრიალიც კი შემომესმა; ვიგრძენი, თითქოს ვიღაც მომიახლოვდა. შიშისაგან სუნთქვა შემეკრა, სული დამიმძიმდა, გამძლეობამ ერთბაშად მიმტყუნა; კარებს მივვარდი და სასოწარკვეთილმა მთელი ძალით დავუწყე ნჯღრევა. დერეფანში აჩქარებული ნაბიჯების ხმა გაისმა და გასაღები გადაატრიალეს. ბესი და ებოტი შემოვიდნენ.

_ მის ეარ, ავად ხომ არა ხართ? _ მკითხა ბესიმ.

_ რა საზარელი ხმა იყო, შიშით კინაღამ გული გამისკდა, _ წამოიძახა ებოტიმ.

_ გამიყვანეთ აქედან, გამიშვით საბავშვო ოთახში, _ გავიძახოდი მე.

_ რისთვის? იტკინე რამე? ხომ არაფერი მოგეჩვენა? _ კვლავ შემეკითხა ბესი.

_ რაღაც სინათლის შუქი შევნიშნე და ვიფიქრე, მას მალე აჩრდილიც მოჰყვება-მეთქი.

ბესის ხელს მთელი ძალით ჩავებღაუჭე. არც უცდია ხელი გაეშვებინა.

_ განგებ ყვიროდა, _ განაცხადა ებოტიმ ზიზღით. _ მერედა, რა წივილ-კივილი ატეხა. რამე რომ სტკენოდა, კიდევ ჰო, მაგრამ ამით ჩვენი შემოტყუება ნებავდა. კარგად ვიცი მაგის ოინბაზობა.

_ რა მოხდა? _ გაისმა მისის რიდის მბრძანებლური ხმა და ისიც საღამური ქუდის ბაფთების ფრიალით და სამოსის შარიშურით დერეფანში გამოჩნდა.

_ ებოტი, ბესი, მგონია, ვბრძანე, რომ ჯეინ ეარი მარტო უნდა დაგეტოვებინათ წითელ ოთახში, სანამ თავად არ მოვიდოდი მის გამოსაყვანად.

_ მის ჯეინი ისე ხმამაღლა ყვიროდა, ქალბატონო... _ თავი იმართლა ბესიმ.

_ გაუშვით, შიგნით შევიდეს, _ მომესმა პასუხად. _ ბავშვო, ხელი გაუშვი ბესის, უნდა იცოდე, რომ ასეთი საქციელით ვერაფერს გახდები. თვალთმაქცი ბავშვები ძალიან მეჯავრება. ჩემი ვალია გიჩვენო, რომ ასეთი ოინებით შორს ვერ წახვალ. ახლა ერთი საათი კიდევ დარჩები აქ და მხოლოდ იმ პირობით გაგანთავისუფლებ, თუ წყნარად იქნები და სრულ მორჩილებას გამოიჩენ.

_ მისის რიდ, შემიბრალეთ და მაპატიეთ, თუ შეიძლება. მე ამას ვერ გადავიტან. სხვანაირად დამსაჯეთ, როგორც გნებავთ. ნამდვილად მოვკვდები, თუ თქვენ კიდევ...

_ გაჩუმდი, ასეთი თავშეუკავებლობა კიდევ უფრო აუტანელია. _ და მას მართლაც აუტანელ არსებად მივაჩნდი. ის მე გამოცდილ მსახიობად მთვლიდა, ალბათ ისეთად, რომელიც სავსეა ღვარძლით, სულმდაბლობითა და ორპირობით.

ბესიმ და ებოტიმ უკან დაიხიეს. მისის რიდმა, რომელსაც მობეზრდა ჩემი დაუსრულებელი გულისგამგმირავი ქვითინი, ხელი მკრა, სიტყვის შეუბრუნებლად უკან შემაგდო წითელ ოთახში და კვლავ ჩამკეტეს. დერეფანში სწრაფი ნაბიჯების ხმა გაისმა. მისი წასვლის შემდეგ, როგორც ჩანს, გული წამივიდა და გრძნობა დავკარგე.

თავი III

მხოლოდ ერთი რამ მახსოვს: როდესაც გონს მოვედი, ისეთი გრძნობა მქონდა, როგორც საშინელი კოშმარული სიზმრებიდან გამოფხიზლებულ ადამიანებს აქვთ ხოლმე. ჩემ წინ შავი მუქი ზოლებით დასერილი თვალისმომჭრელი სინათლე შევამჩნიე, გაურკვევლად ჩამესმოდა ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვებიც, თითქოს მათ ქარისა თუ წყლის ხმაური ახშობდა. მღელვარებამ და შიშმა იმდენად შემიპყრო, ძალა არ შემწევდა გავრკვეულიყავი, რა ხდებოდა ჩემ ირგვლივ. ცოტა ხნის მერე ვიგრძენი, რომ ვიღაც შემეხო და ისე ფრთხილად ცდილობდა როგორმე ლოგინზე წამოვმჯდარიყავი, რომ გავვოცდი, ასეთი ზრუნვა ამ სახლში არავისგან მახსოვდა. ბალიშს თუ ვიღაცის მკლავს მივესვენე და შვებით ამოვისუნთქე.

ხუთი წუთის შემდეგ ეს გაურკვევლობა გაქრა და ახლა უკვე ნათლად დავინახე საბავშვო ოთახში, ჩემ საკუთარ საწოლში ვიწექი და წითლად

მოელვარე შუქიც ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლიდან გამოკრთოდა. მაგიდაზე სანთელი ენთო; საწოლთან ახლოს ბესი შევნიშნე, თასით ხელში. იქვე, სავარძელში, ვიღაც ჯენტლმენი იჯდა, ჩემკენ გადმოხრილი. ის არც გეიტსჰედის მცხოვრები იყო და არც მისის რიდის ახლო ნათესავი. ამ სრულიად უცხო ადამიანის დანახვაზე შიში გამიქრა, დავმშვიდდი და ენით გამოუთქმელი შვება ვიგრძენი. ბესიდან ყურადღება (თუმცა მისი იქ ყოფნა გაცილებით ნაკლებ უსიამოვნო იყო _ ებოტისთან შედარებით) უცნობ ჯენტლმენზე გადავიტანე. მის სახეს თვალმოუშორებლად ვათვალიერებდი. მაშინვე ვიცანი, ეს ჯენტლმენი მისტერ ლოიდი გახლდათ, მეაფთიაქე. მისის რიდი მას მოსამსახურეთა ავადმყოფობის დროს იწვევდა ხოლმე, რადგან მას და მის შვილებს ექიმი მკურნალობდა.

_ აბა, მიცანი, ვინა ვარ? _ მკითხა მან. მეც მაშინვე წარმოვთქვი მისი სახელი და ხელიც გავუწოდე. მისტერ ლოიდმა ღიმილით ჩამომართვა ხელი და მითხრა: _ მალე კარგად გახდებიო, _ ამ სიტყვებით ისევ ბალიშზე მიმაწვინა და ბესის მიმართა: _ ფრთხილად იყავით, ღამით არავინ შეაწუხოსო. _ მერე რამდენიმე რჩევა მისცა, უთხრა, კიდევ შემოვივლიო, და, სამწუხაროდ, მალე დაგვტოვა. თითქოს მცველი და მეგობარი მყავდა, სანამ ის ჩემს თავთით სავარძელში იჯდა, მაგრამ გაიხურა თუ არა კარი, ოთახში თითქოს ჩამობნელდა და სევდა კვლავ მძიმე ლოდივით დამაწვა გულზე.

_ ხომ არ დაიძინებდით, მის? _ მკითხა ბესიმ უფრო ალერსიანად.

ვერ გავბედე მეპასუხნა, ვშიშობდი, ამას უხეში პასუხი არ მოჰყოლოდა. _ ვეცდები.

_ იქნებ დალიოთ ან შეჭამოთ რამე?

_ არა, გმადლობთ, ბესი.

_ მაშინ მეც დავიძინებ, უკვე პირველი დაიწყო. თუ ღამით რაიმე დაგჭირდეთ, დამიძახეთ.

რა უჩვეულო ყურადღებაა, ამან გამაბედვინა მეკითხა:

_ ბესი, რა დამემართა? ავად ხომ არა ვარ?

_ მე მგონი, წითელ ოთახში ტირილისაგან გული წაგივიდათ, უეჭველად მალე გამოკეთდებით.

ბესი საჯალაბოში შევიდა. გავიგონე, სარას უთხრა:

_ სარა, ჩემთან დაიძინე საბავშვო ოთახში, არ შემიძლია ამაღამ იმ საცოდავ ბავშვთან მარტო დარჩენა, შეიძლება დილამდე ვეღარც იცოცხლოს. ნეტავ რატომ წაუვიდა გული? იქნებ მართლა მოეჩვენა რამე? მისის რიდიც მეტისმეტად შეუბრალებლად მოექცა.

სარა ბესისთან ერთად შემოვიდა. ქალები დაძინებამდე ნახევარ საათს მაინც ლაპარაკობდნენ ლოგინში ხმადაბლა. მათ ჩურჩულს აქა-იქ მოვკარი ყური და გავიგე, რაზედაც საუბრობდნენ.

_ თეთრმა ლანდმა ჩაუქროლა წინ და სადღაც გაქრა, თურმე, ლანდს დიდი შავი ძაღლი მოსდევდა. კარზე სამჯერ დაურახუნებიათ, ეკლესიის ეზოში სინათლე სწორედ მის საფლავზე გამოჩენილა და... ათასი ამგვარი ამბები.

ბოლოს, ორივეს ჩაეძინა. ბუხარში ცეცხლი მინელდა და მაგიდაზე სანთელი დაიწვა. მე კი ის უგრძესი ღამე თეთრად გავათენე. სმენა, მხედველობა და გონებაც შიშმა მოიცვა, ისეთმა შიშმა, როგორიც ბავშვებმა იციან ხოლმე.

წითელ ოთახში მომხდარ ამბავს რაიმე მწვავე ტკივილი ან ხანგრძლივი ავადმყოფობა არ მოჰყოლია, მაგრამ ამ შემთხვევამ იმდენად ამიფორიაქა სული, რომ სამუდამო დაღი დაამჩნია ჩემს ცხოვრებას. დიახ, მისის რიდ, თქვენი წყალობითაა, ამდენი ტანჯვა-წამება რომ მხვდა წილად. მაგრამ, ვალდებული ვარ, მოგიტევოთ, რადგანაც არ იცოდით, თუ რასა იქმოდით. ალბათ ასეთი საქციელით ცუდ თვისებებს ებრძოდით ჩემში და მათი აღმოფხვრა გსურდათ.

მეორე დღეს შუადღისას წამოვდექი ლოგინიდან. ჩავიცვი და შალში შეფუთნილი საბავშვო ოთახში ბუხრის წინ დავჯექი. საშინელ სისუსტეს ვგრძნობდი. წინადღით გადატანილი სულიერი ტანჯვა მაწამებდა. ჩუმად ღაპაღუპით ჩამომდიოდა ცრემლები. ყველაზე დიდი ბედნიერება კი ახლა უნდა მეგრძნო, რადგან არც ერთი რიდი შინ არ იყო. ისინი დედასთან ერთად ეტლით წასულიყვნენ სასეირნოდ. ებოტი მეორე ოთახში რაღაცას კერავდა, ბესი ჩემ ახლოს მიმოდიოდა; სათამაშოებს თავის ადგილს უჩენდა; უჯრებს ალაგებდა და ხანგამოშვებით მისთვის უჩვეულო სინაზით მომმართავდა ხოლმე. თავი სამოთხეში უნდა წარმომედგინა. აქამდე, რაც არ უნდა გამეკეთებინა, მათგან მუდამ საყვედურებსა და უმადურობას ვიყავი ჩვეული. ასეთმა ცხოვრებამ იმდენად გამაწამა და დამქანცა, რომ ჩემ ირგვლივ გამეფებულ მყუდროებასაც კი აღარ შეეძლო დავეწყნარებინე.

ბესი სამზარეულოში ჩავიდა და ფაიფურის თეფშით ნამცხვარი ამომიტანა. მასზე ნათელი ფერებით იყო დახატული სამოთხის ჩიტი ხვართქლა ბალახისა და გაუშლელი ვარდის კოკრებისაგან მოწნულ ბუდეში. ეს თეფში ყოველთვის განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევდა ჩემში. არაერთხელ მითხოვნია, ნება მოეცათ ხელში ამეღო და კარგად დამეთვალიერებინა ეს ლამაზი სურათი. დღემდე ეს ბედნიერება არავინ მარგუნა წილად. ახლა კი ძვირფასი თეფში მუხლებზე მედო და ბესიც ალერსიანად მთხოვდა ნამცხვარი მეჭამა. გვიანი იყო მისი დიდსულოვნება. ეს ჰგავდა იმ დიდი ხნის ნანატრ სურვილს, რომლის შესრულებაზეც უარს გვიცხადებენ, და თუ ოდესმე მაინც გვისრულებენ, მას უკვე აღარაფრის ფასი აღარა აქვს. ნამცხვრისათვის ხელი არ მიხლია, ჭამა არ შემეძლო. დავცქეროდი თეფშს და მეჩვენებოდა, თითქოს ჩიტის ფრთებსა და ყვავილებს ფერი დაჰკარგოდათ. ნამცხვარი გვერდზე გადავდე. ბესიმ ახლა წიგნი შემომთავაზა. წიგნის გახსენებაზე წამიერად გამოვცოცხლდი და ვთხოვე ბიბლიოთეკიდან «გულივერის მოგზაურობა» მოეტანა. ამ წიგნს მუდამ სიამოვნებით ვკითხულობდი. მასში აღწერილი ამბები ნამდვილი მეგონა. ამიტომაც ჯადოქრულ ზღაპრებთან შედარებით ამ წიგნისადმი უფრო დიდ ინტერესს ვიჩენდი. ამ ზღაპრებში აღწერილ ფერიებს ამაოდ დავეძებდი ფუტკარას ფოთლებზე და მაჩიტებს შორის. მათ ვერც სოკოების ძირებში და ვერც კედლებზე ასული სუროს ფოთლების საფარქვეშ

ვპოულობდი. საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ისინი სადღაც ველურ ქვეყანაში, გაუვალ, უღრან, თითქმის დაუსახლებელ ტყეებსა და მიდამოებში ბინადრობდნენ, სადაც დედამიწის უმეტეს ნაწილზე ლილიპუტები და გოლიათები დასახლებულიყვნენ. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ საკუთარი თვალით ვნახავდი პატარა მინდვრებს, სახლებს, ხეებს, პაწაწინა ლილიპუტებს, ასევე პაწაწინა ძროხებს, ცხვრებსა და ფრინველებს. შევხვდებოდი ტყესავით მაღალ ყანებს, უზარმაზარ ლომებს, ვეებერთელა კატებს და კოშკის სიმაღლე ქალებსა და კაცებს. ხელთ მქონდა ჩემი საყვარელი წიგნი, ვფურცლავდი და ვეძებდი ამ შესანიშნავ სურათებს. წინათ მათი პოვნა დიდად მახარებდა; ახლა კი ყოვლად უინტერესო და თავმომაბეზრებლად მეჩვენებოდნენ ისინი. გოლიათები უშველებელ ურჩხულებად ქცეულიყვნენ; ლილიპუტები ბოროტ და საშინელ ეშმაკებად; გულივერი ამ საშიშ და ხიფათით სავსე მხარეში მარტოხელა მოხეტიალე მოგზაურად წარმომიდგა. წიგნი დავხურე. წაკითხვას ვერ ვბედავდი და ისიც ხელუხლებელი ნამცხვრის გვერდით დავდე.

ბესი მტვრის გადაწმენდასა და ოთახის დალაგებას მორჩა; ხელები დაიბანა; აბრეშუმისა და ატლასის ნაკუწებით სავსე ერთ-ერთი პატარა უჯრა გამოაღო და ჯორჯიანას დედოფალასთვის ახალი ქუდის კერვა დაიწყო; თან ღიღინებდა:

დიდი ხნის წინათ, მაშინ,
როცა ბოშებივით დავწანწალებდით...

ეს სიმღერა აქამდეც ბევრჯერ გამეგონა და ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვუსმენდი. ბესის ტკბილი ხმა ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ასე მეგონა. თუმცა მისი ხმა ახლაც ტკბილად ჩამესმოდა, მაგრამ ამ სიტკბომ მაინც ენით აღუწერელი სევდა მაგრძნობინა. ხელსაქმით გართული მინამღერს ძალიან დაბალი, გაბმული ხმით იმეორებდა. _ «დიდი ხნის წინათ»... _ ჟღერდა, როგორც ყველაზე ნაღვლიანი ადგილი სამგლოვიარო სულთათანაში. შემდეგ მეორე სიმღერაც წამოიწყო. ამჯერად უფრო მწუხარებით სავსე.

ფეხებს ძალა დაელია და სხეული მეთენთება,
გზა ვრცელია, უსასრულო; მთა სავალად ძნელი ხდება.
მალე წავა ეს დაისი, მალე ბინდი ჩამოწვება
და უმთვარო ღამისაგან ობლის გზაზე დაბნელდება.

რად გამგზავნეს ასე შორად, მარტომ გზა ვით გავიკვალო
მაღლა, სადაც ტორფნარია და უშქარი კლდეთა წყება?
რა ყოფილა კაცის გული, რა ცივი და უმოწყალო...
მაგრამ ობოლს გზად კეთილი ანგელოსი მიუძღვება.

აგერ, ბინდის ნიავია, შორეული, ნაზი, თბილი,
ცას კრიალას მოციმციმე ვარსკვლავების სხივი ფარავს
და მეუფე ყოვლისშემძლე, გულმოწყალე და კეთილი,
საწყალ ობოლს იმედით და მოვანებით დაიფარავს.

თუნდაც უფსკრულს გადიოდეს, ხიდი ჩატყდეს მის თვალწინა,
ანდა რამე მოჩვენებამ ნათელ გზიდან გადააგდოს,
დაილოცოს ნება მისი, უმალ გულში მისცემს ბინას,
საწყალ ობოლს მისი ღმერთი არ დააგდებს გზაზე მარტოს.

_ გეყოფათ, მის ჯეინ, ნუ ტირით. _ მითხრა ბესიმ, როცა სიმღერა დაამთავრა. განა შეეძლო ცეცხლისათვის ეთქვა, ნუ იწვიო. მას არ შეეძლო განეცადა ის საშინელი ტანჯვა, რომელიც გულს მიკლავდა. დილით კვლავ მოვიდა მისტერ ლოიდი.

_ როგორ, უკვე ადექი? _ მკითხა მან, შემოვიდა თუ არა საბავშვო ოთახში.

_ აბა, გამდელო, მიამბეთ, როგორ არის გოგონა?

ბესიმ უპასუხა, კარგად არისო.

_ მაშინ უფრო მხიარულად უნდა გამოიყურებოდეს. მომიახლოვდი, მის ჯეინ, შენ ჯეინს გეძახიან, არა?

_ დიახ, სერ, ჯეინ ეარს.

_ როგორც გეტყობა, გიტირია, მის ჯეინ ეარ. არ მეტყვი რაზე? გტკივა რამე?

_ არა, სერ.

_ მგონი, იმისთვის იტირა, რომ მათთან ერთად ეტლით სასეირნოდ ვერ წავიდა. _ ჩაურთო ბესიმ.

_ არა მგონია, ამხელა ბავშვმა ასეთ რამეზე იტიროს.

მეც ასე ვფიქრობდი; ამ ცრუ ბრალდებამ თავმოყვარეობა შემილახა და სწრაფად ვუპასუხე:

_ ასეთი რამისთვის ჩემ სიცოცხლეში არ მიტირია. ეტლით სეირნობა მეჯავრება კიდეც. იმიტომ ვტირი, რომ უბედური ვარ.

_ ოჰ, გრცხვენოდეთ, მის, _ მითხრა ბესიმ.

კეთილი მეაფთიაქე, ცოტა არ იყოს, გაოცდა. მე მის წინ ვიდექი; ისიც დაკვირვებით მათვალიერებდა. შევნიშნე, პატარა, ჭროღა თვალები ჰქონდა, არცთუ მოციმციმე; მაგრამ მეტად შორსმჭვრეტელი. მის ტლანქ სახეზეც მხოლოდ სიკეთეს ამოიკითხავდით. მან კვლავ გამოკითხვა დამიწყო:

_ რატომ გახდი გუშინ ავად?

_ წაიქცა, _ კვლავ აჩქარებით ჩაურთო ბესიმ.

_ წაიქცა? განა ისე პატარაა, რომ სიარული ვერ მოუხერხებია? რვა თუ ცხრა წლისა ხომ იქნება?

_ ძალად წამაქციეს, _ შელახულმა თავმოყვარეობამ სწრაფად წარმომათქმევინა ეს სიტყვები: მაგრამ ამას არ გავუხდივარ ავად, _ დავუმატე თან, სანამ მისტერ ლოიდი ერთ მწიკვ ბურნუთს შეიყრიდა ცხვირში.

ის იყო სათუთუნეს ჯიბეში იდებდა, რომ ზარმა მოსამსახურეებს სადილობის დრო აუწყა. ლოიდმა იცნო ზარის ხმა და ბესის მიუბრუნდა, _ ეს თქვენთვის არის, არა, გამდელო? წადით, ისადილეთ. მე კი თქვენ დაბრუნებამდე მის ჯეინს დარიგებას მივცემ.

ბესის დარჩენა ერჩივნა, მაგრამ იძულებული გახდა, წასულიყო. გეიტსჰედჰოლში ყველასათვის სავალდებულო იყო სადილობის დრო ზუსტად დაეცვა.

_ თუ დაცემისაგან არა ხარ ავად, მაშ რა დაგემართა? _ განაგრძო მისტერ ლოიდმა ბესის წასვლის შემდეგ.

_ წითელ ოთახში ჩამკეტეს, სადაც დაბნელდება თუ არა, აჩრდილი დადის.

მისტერ ლოიდს გაეღიმა და იმავე დროს შუბლიც შეეკრა.

_ აჩრდილი? თუმცა, ჯერ პატარა ყოფილხარ! განა მოჩვენების გეშინია?

_ მისტერ რიდის სულის მეშინია. ის იმ ოთახში გარდაიცვალა და იქიდანვე გაასვენეს. არც ბესი და არც სხვები არ შედიან, თუ რაიმე აუცილებლობა არ მოითხოვს. განა ჩემი მარტოდმარტო ჩაკეტვა დიდი ბოროტება არ იყო და ისიც სიბნელეში? ეს არასოდეს დამავიწყდება მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე.

_ სისულელეა! მერე ამიტომ ხარ ასე უბედური? დღისითაც გეშინია?

_ არა, მაგრამ მალე ხომ დაღამდება. მე ძალიან უბედური ვარ. ბევრი სხვა რამის გამოც ვარ უბედური.

_ რა მიზეზია მაინც, შეგიძლია მითხრა?

ოჰ, როგორ მსურდა გული გადამეშალა მისთვის. მაგრამ შესაფერი სიტყვების პოვნა გამიძნელდა. ბავშვები ყველაფერს გრძნობენ, მაგრამ ანალიზს ვერ უკეთებენ საკუთარ განცდებს, და თუ ნაწილობრივ მაინც გაერკვნენ მათში, სიტყვებით გადმოცემა ძალიან უმძიმთ. მეშინოდა, პირველივე შესაძლებლობა ხელიდან არ გამეშვა. მისთვის გამენდო ჩემი დარდი და ამით მწუხარება შემემსუბუქებინა. უხერხული დუმილის შემდეგ თავს ძალა დავატანე და დალაგებულად საუბარი თუ ვერ შევძელი, ყველაფერი გულმართლად მაინც ვუამბე.

_ პირველ ყოვლისა, ის მინდა გითხრათ, რომ არავინ გამაჩნია ამქვეყნად: არც დედ-მამა, არც დები და ძმები.

_ მაგრამ შენ კეთილი ძალუა და ბიძაშვილები გყავს.

კვლავ შევჩერდი, შემდეგ კი არეულად ვუყვებოდი, რომ სწორედ ჯონ რიდმა წამაქცია, მისის რიდმა კი წითელ ოთახში ჩამკეტა.

მისტერ ლოიდმა ბურნუთის კოლოფი ხელმეორედ ამოიღო ჯიბიდან.

_ არ მოგწონს გეიტსჰედჰოლის მშვენიერი სასახლე? _ მკითხა მან. _ განა მადლობელი არა ხარ, რომ ასეთ მშვენიერ ადგილას ცხოვრობ?

_ ეს ჩემი სახლი არ არის, სერ. როგორც ებოტი ამბობს, მე მოსამსახურეებზე ნაკლები უფლებებით ვსარგებლობ აქ.

_ ოჰ, შე სულელო, განა შეიძლება ასეთი დიდებული ადგილის მიტოვება?

_ მე რომ სხვაგან წასასვლელი მქონდეს, მართლაც სიხარულით დავტოვებდი აქაურობას, მაგრამ, აბა, სად წავალ, ვიდრე არ გავიზრდები?

_ ვინ იცის, იქნებ წახვიდე კიდეც. მისის რიდის გარდა სხვა ნათესავი არა გყავს?

_ მგონი, არა, სერ.

_ არც მამის მხრიდან?

_ არ ვიცი. ერთხელ მისის რიდს ვკითხე, ვიღაც ღარიბი და უმწეო ნათესავები უნდა მყავდნენ, გვარად ეარები, მაგრამ მათ შესახებ მეტი არაფერი იცის.

_ ნათესავები რომ გამოგჩენოდა, წახვიდოდი მათთან?

დავფიქრდი.

სიღარიბე მოზრდილთათვისაც საშინელებაა და მით უფრო ის ბავშვებს აშინებთ. მათ წარმოდგენაც არა აქვთ ისეთ სიღარიბეზე, რომელიც მუყაითი შრომის მერეც შეიძლება წარმოიშვას, თუმცა ასეთი სიღარიბე მეტისმეტად პატიოსნურია და არავისთვის დასაძრახი არ არის. სიტყვა სიღარიბე ბავშვის გონებაში დაკავშირებულია მხოლოდ ძონძებთან, ღარიბულ საკვებთან, ჩამქრალ კერასთან და უხეშ საქციელსა და სულმდაბალ თვისებებთან. ჩემთვის კი სიღარიბე დამცირებას ნიშნავდა.

_ არა, მე არ მინდა ღარიბ ნათესავებთან ცხოვრება, _ ვუპასუხე მე.

_ მაშინაც კი, თუ ისინი კარგად მოგექცევიან?

მე თავი გავიქნიე. ვერც კი წარმომედგინა, რომ ღარიბი ხალხი შეიძლებოდა კეთილი ყოფილიყო; მესწავლა და მელაპარაკა მათ კილოზე; შემეთვისებინა მათი ქცევები; ვყოფილიყავი გაუნათლებელი. ერთი სიტყვით, იმ ღარიბ ქალებს დავმსგავსებოდი, გეიტსჰედის ახლომახლო სოფლებში თავიანთი ქოხმახების წინ რომ ვხედავდი, როცა ისინი ბავშვებს არწევდნენ და სარეცხს რეცხავდნენ. არა, მხნეობა არ მყოფნიდა თავისუფლება ასე ძვირად მეყიდა.

_ ნუთუ შენი ნათესავები ასე ღარიბები არიან? გამრჯე ხალხია, ალბათ, არა?

_ არ ვიცი. ძალუა ამბობს, თუ ვინმე გაგაჩნია, ყველა მათხოვარიაო. მე კი არ მინდა, მათხოვარი ვიყო და მოწყალებას დავეძებდე.

_ არც სკოლაში აპირებ წასვლას?

კვლავ ჩავფიქრდი. კარგად არც მესმოდა, რას წარმოადგენდა სკოლა. ბესისაგან გამეგონა, რომ სკოლაში ახალგაზრდა ქალიშვილებს ისე წვრთნიდნენ, რომ წელში არ მოხრილიყვნენ; მათგან ზრდილობიან და კეთილშობილურ ქცევებს მოითხოვდნენ. ჯონ რიდს სძულდა სკოლა და ცუდად იხსენიებდა თავის მასწავლებლებს, მაგრამ მისი გემოვნება ჩემთვის კანონს არ წარმოადგენდა. ბესის საუბრები კი სკოლის ცხოვრების შესახებ (ეს ყველაფერი მან იმ ახალგაზრდა ქალიშვილებისაგან იცოდა, რომელთაც ის გეიტსჰედში მოსვლამდე ემსახურებოდა) საშინელებად მიმაჩნდა. თან ყოველი წვრილმანის გაგება მხიბლავდა, რადგან მათ გარკვეული ცოდნა მიეღოთ და კარგი ქცევებიც შეეთვისებინათ. ბესი ხშირად კვეხნით მიამბობდა ხოლმე, თუ როგორ ხატავდნენ ისინი ულამაზეს ლანდშაფტებსა და ყვავილებს; რა კარგად მღეროდნენ ან უკრავდნენ პატარ-პატარა ნაწარმოებებს ფორტეპიანოზე. როგორ ქსოვდნენ მშვენიერ ქისებს და თარგმნიდნენ ფრანგულ წიგნებს.

ვუსმენდი მას და გულში ვნატრობდი, თუ იმ ქალიშვილებს ვერ ვაჯობებდი, მათ მაინც დავმსგავსებოდი. გარდა ამისა, სკოლა მთლიანად შეცვლიდა ჩემს ცხოვრებას. ეს ხომ ხანგრძლივ მოგზაურობას, გეიტსჰედჰოლის სამუდამო განშორებას, სრულიად ახალი ცხოვრების დაწყებას ნიშნავდა.

ახლა ნამდვილად მომინდა სასწავლებელში წასვლა და მისტერ ლოიდს თანხმობა განვუცხადე.

_ დიახ, დიახ, ვინ იცის, რა მოხდება? _ თქვა მისტერ ლოიდმა და წამოდგა. _ ამ ბავშვისათვის აუცილებელია გარემო პირობებისა და ჰაერის გამოცვლა. _ და თან თავისთვის ჩაილაპარაკა, _ ნერვები არ უვარგა.

ბესი დაბრუნდა, იმავე წუთს მოახლოებული ეტლის ხმაურიც გაისმა ქვიშამოყრილ გზაზე.

_ გამდელო, ეს თქვენი ქალბატონია, ალბათ, არა? _ იკითხა მისტერ ლოიდმა. _ წასვლამდე მინდოდა მოვლაპარაკებოდი მას.

ბესიმ მისტერ ლოიდი სასაუზმე ოთახში მიიპატიჟა და თვითონაც წინ გაუძღვა. მივხვდი, რაც მოჰყვა მისის რიდისა და მეაფთიაქის საუბარს. ალბათ, მისტერ ლოიდმა გაბედა ეთქვა მისთვის, რომ სკოლაში გავეგზავნე. ეს წინადადება, ეჭვს გარეშეა, დიდი სიამოვნებით მიიღო მისის რიდმა. ერთხელ ღამით ებოტისა და ბესის საუბარიც მოვისმინე. მე ლოგინში ვიწექი. ქალები საბავშვო ოთახში ბუხრის პირას ისხდნენ და კერავდნენ. ებოტის ეგონა, რომ მეძინა, და ამიტომ ხმამაღლა თქვა:

_ მისის რიდი გახარებულია, რომ თავიდან იშორებს ამ საძაგელ გოგოს. ის თითქოს ყველას უთვალთვალებს, ყველას საეჭვოდ შეჰყურებს ოჯახში. აწყობს ინტრიგებსა და საიდუმლო შეთქმულებებს, თითქოს ყველას საწინააღმდეგოდ რაღაცას ამზადებს.

ებოტის სჯეროდა, რომ მართალია, პატარა ვიყავი, მაგრამ ყველაფერი შემეძლო. ამიტომაც პირწავარდნილი გაი ფოკსი შემარქვა.

იმავე დღეს ებოტისაგან პირველად შევიტყვე, რომ მამაჩემი ღარიბი მღვდელი ყოფილა. დედა მას ცოლად გაჰყოლია ახლობელთა სურვილის წინააღმდეგ, რადგან ამ ქორწინებას შეუფერებლად თვლიდნენ. პაპაჩემი რიდი ისე აღუშფოთებია ქალიშვილის საქციელს, რომ მისთვის მემკვიდრეობა წაურთმევია. ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ მამას ღარიბი ხალხისაგან ტიფი გადასდებია დიდ ინდუსტრიულ ქალაქში, სადაც ის თავისი მრევლის სანახავად დადიოდა, მას დიდხანს აღარ უცოცხლია, ერთ თვეში იმავე ავადმყოფობით დედაც გარდაცვლილა.

ბესიმ ეს ამბავი რომ მოისმინა, ამოიოხრა და წარმოთქვა, _ საბრალო მის ჯეინ ეარი, მართლაც რომ საცოდავია!

_ დიახ, _ დაუდასტურა ებოტიმ. _ ეგ რომ კეთილი და ლამაზი ბავშვი იყოს, შეგვეცოდებოდა კიდეც, მით უმეტეს, რომ ამქვეყნად აღარავინ გააჩნია, მაგრამ ეს პატარა გომბეშო არავის შეებრალება.

_ დარწმუნებული ვარ, მართლაც არავინ შეიბრალებს, _ დაეთანხმა ბესი. _ ასეთ მდგომარეობაში რომ ენახათ, ჯორჯიანას ყველა შეიცოდებდა, ის იმდენად მშვენიერია.

_ დიახ, მე ვაღმერთებ მის ჯორჯიანას, _ წამოიძახა აღტაცებით ებოტიმ. _ მართლაც ძალიან საყვარელია! გრძელკულულებიანი, ცისფერთვალება, ვარდისფერი ღაწვებით ის მართლაც კალმით ნახატს ჰგავს! ბესი, ამაღამ ვახშმად ძალიან მინდა შემწვარი ყველი.

_ მეც დიდი სიამოვნებით შევექცეოდი მოხრაკულ ხახვთან ერთად. წამოდი, ქვემოთ ჩავიდეთ, _ თქვეს და ამ სიტყვებით ოთახიდან გავიდნენ.

თავი IV

მისტერ ლოიდთან საუბარმა და ბესისა და ებოტის დიალოგმა იმედი ჩამისახა, ახლა უკვე მინდოდა მალე კარგად გავმხდარიყავი. ვგრძნობდი, ჩემი ცხოვრება უნდა შეცვლილიყო. გულით მსურდა ახალი ცხოვრების დაწყება და ჩუმად მოთმინებით ველოდი მას. დრო გადიოდა, დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას. ამ ხნის მანძილზე სრულიად გამოვჯანმრთელდი, მაგრამ ერთხელაც არავის დასცდენია სიტყვა იმ სანატრელ საგანზე, რომელზედაც ასე ხშირად ვფიქრობდი. მისის რიდი დროდადრო მკაცრად გადმომხედავდა ხოლმე, მაგრამ ვატყობდი, ჩემთან ლაპარაკი არ სურდა. იშვიათად თუ მაღირსებდა რამდენიმე სიტყვას. ჩემი ავადმყოფობის შემდეგ თავის შვილებს კიდევ უფრო მეტად ჩამომაშორა. ახლოს აღარ მაკარებდა. ყოველნაირად დამსაჯეს: მარტოდმარტოს უნდა დამეძინა პაწაწინა საკუჭნაოში, ცალკე უნდა მეჭამა და მთელი დღის განმავლობაში საბავშვო ოთახიდან ფეხი არ უნდა გამომედგა. ამიკრძალეს სასტუმრო ოთახში შესვლაც, სადაც ჩემი ბიძაშვილები ძალიან ხშირად თავს იყრიდნენ და ერთობოდნენ. მისის რიდს ერთი გადაკრული სიტყვაც არ დასცდენია სასწავლებელში გაგზავნაზე, მაგრამ გულის სიღრმეში ღრმად მწამდა, რომ ჩვენ ერთ ჭერქვეშ ყოფნას ის დიდხანს ვეღარ აიტანდა. მისის რიდის გამოხედვაში ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, აშკარად ვამჩნევდი ჩემდამი დაუძლეველ სიძულვილს.

კარგად ვამჩნევდი, ელიზა და ჯორჯიანა დედის ბრძანებას ასრულებდნენ და ჩემთან ზედმეტ ლაპარაკს ერიდებოდნენ. ჯონ რიდი კი თვალს მომკრავდა თუ არა, დაცინვის ნიშნად ენას მიყოფდა. ერთხელ ცემაც დამიპირა, მაგრამ ამჯერად ვეღარ მოვითმინე და გაცეცხლებული მივვარდი. კვლავ შემიპყრო მისდამი ღრმა სიძულვილმა და თავზე ხელაღებული ადამიანის აღშფოთებამ. მან შენიშნა, როგორ ააფორიაქა ამ ამბავმა მთელი ჩემი არსება და ამჯობინა, გამცლოდა. ყვირილი მორთო, იფიცებოდა, ცხვირ-პირი ჩამიმტვრიაო. მე მართლაც მოვუქნიე ხელი და, რაც ძალი და ღონე მქონდა, გავარტყი წინ გამოწეულ ყბაში. ამ დარტყმამ თუ ჩემი სახის გამომეტყველებამ ჯონი შეაშინა. ეს რომ შევამჩნიე, უფრო გავთამამდი და სურვილი აღმეძრა ბოლომდე მეჯობნა მისთვის, მაგრამ ვერ მოვასწარი. ჯონიმ დედის კალთას შეაფარა

თავი. გავიგონე, როგორ გულამოსკვნილი ტიროდა და შესჩიოდა დედას რაღაც გამოგონილ ამბებს: _ საძაგელი ჯეინ ეარი გაცოფებულ კატასავით მომვარდაო. მისის რიდმა კი მკაცრად შეაწყვეტინა ლაპარაკი და უთხრა: _ ნურაფერს მეტყვი მის შესახებ, ჯონ. ხომ გითხარი, ახლოს არ გაეკარო, ეგ ყურადღების ღირსი არ არის-მეთქი. არა მსურს, რომ შენ და შენი დები მაგას დაელაპარაკოთ.

ამ დროს კიბის მოაჯირზე გადმოვიხარე და ჩემდაუნებურად აღმომხდა:

_ სწორედ ეგენი არ არიან ღირსნი, რომ ხმა გავცე.

მისის რიდმა, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მსუქანი ქალი იყო, ამ უცნაური, მკვახე სიტყვების გაგონებაზე მარდად ამოირბინა კიბის საფეხურები, მომვარდა, ხელი მკრა, საბავშვო ოთახში შემათრია და ისეთი ძალით მიბიძგა, რომ ჩემი საწოლის კიდეს დავეჯახე და იქვე წავიქეცი. მერე მიბრძანა, მთელი დღის განმავლობაში ადგილიდან არ გავნძრეულიყავი და არც ხმა ამომეღო.

_ რას გეტყოდათ, ბიძაჩემი რომ ცოცხალი იყოს? _ ძლივს გავბედე შეკითხვა. იმიტომ ვამბობ, ძლივს-მეთქი, რომ ენამ ჩემდაუნებურად წარმოთქვა ეს სიტყვები. თითქოს ვიღაც სხვა ლაპარაკობდა.

_ რა? _ იკითხა მისის რიდმა და მის ჩვეულებრივად ცივსა და მონაცრისფრო თვალებში რაღაც შიშის მსგავსმა გაიელვა. მკლავზე ხელი გამიშვა და ისე დამაშტერდა, თითქოს აქამდე ვერ გაერკვია, ბავშვი ვიყავი თუ ეშმაკი. მეც, რადგან უარესს ველოდი, განვაგრძე:

_ ბიძაჩემის სული ზეცაშია და კარგად ხედავს, რასაც აკეთებთ და ფიქრობთ. ასევე ნათლად ხედავს ყველაფერს ჩემი დედ-მამაც. მათ იციან, როგორ ჩამკეტავთ ხოლმე მთელი დღე ოთახში და გინდათ მომკლათ.

მისის რიდი მალე მოვიდა გონს; მთელი ძალით შემანჯღრია; ორივე ლოყაში სილა გამაწნა და უსიტყვოდ გამშორდა. სამაგიეროდ, ბესიმ ისარგებლა ამ შემთხვევით და ერთსაათიანი ქადაგებით გული იჯერა. ის მიმტკიცებდა და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ იმათ შორის, ვინც კი ოდესმე სამადლოდ აღუზრდიათ, მე ვიყავი ყველაზე უზნეო და უმადური. მისი სიტყვები ნახევრად ვირწმუნე, რადგან ჩემს გულში მაშინ მხოლოდ ავი ფიქრები ბობოქრობდნენ.

გავიდა ნოემბერი და დეკემბერი. იანვარიც მიიწურა. შობა და ახალი წელი, ჩვეულებრივ, მხიარულად იდღესასწაულეს გეიტსჰედ- ჰოლში. ერთმანეთს საჩუქრებს უგზავნიდნენ, იმართებოდა სადილები და საღამოები. მე კი მოკლებული ვიყავი ყველა ამ სიამოვნებას. ამ საერთო მხიარულებაში მხოლოდ იმის მოწმე ვიყავი, თუ როგორ რთავდნენ ყოველდღე ელიზასა და ჯორჯიანას სიფრიფანა მარმაშის კაბებითა და ალისფერი ბაფთებით. მერე კი საგულდაგულოდ დახვეული კულულებით ისინი სასტუმრო ოთახში ჩადიოდნენ. იქიდან მესმოდა ფორტეპიანოსა და ქნარის დაკვრა, სახლთუხუცესისა და მოსამსახურეთა აჩქარებული ფეხის ხმა, ფაიფურისა და ბროლის წკრიალი, როდესაც სასმელებს სთავაზობდნენ ერთმანეთს. ხოლო,

კარის გაღებისა და დახურვისას, ჩემამდე აღწევდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბრის ზუზუნი. უსაზღვროდ მოვიქანცე კიბის ბაქანზე და მდუმარებით მოცულ საბავშვო ოთახში განმარტოებით ყოფნით. მართალია, ნაღვლიანი ვიყავი, მაგრამ თავს უბედურად მაინც არ ვგრძნობდი. უნდა ვაღიარო, არც მინდოდა მათთან ყოფნა, რადგან სტუმრები იშვიათად მთვლიდნენ ყურადღების ღირსად. ბესი ჩემდამი უფრო კეთილი და ალერსიანი რომ ყოფილიყო, ვფიქრობ, მასთან უფრო დამშვიდებით გავატარებდი ასეთ საღამოებს, ვიდრე ჯენტლმენებითა და ქალბატონებით სავსე ოთახში, სადაც მისის რიდის მრისხანე მზერისათვის უნდა გამეძლო. ბესი კი ჩააცმევდა თუ არა პატარებს, ელიზასა და ჯორჯიანას, მაშინვე სამზარეულოს ან მნე ქალის ოთახისაკენ მიეშურებოდა, სადაც მას მეტი მხიარულება ელოდა. ასეთ დროს სანთელიც თან მიჰქონდა. მე კი, მარტოდ დარჩენილი, დედოფალას მუხლებზე დავისვამდი, ცეცხლის პირას დავჯდებოდი და, ვიდრე ბუხარში ცეცხლი ჩაიფერფლებოდა, ნახევრად დაბნელებულ ოთახს შიშით ვათვალიერებდი. მინდოდა დავრწმუნებულიყავ, რომ ჩემს მეტი იქ სხვა არავინ იყო. ხოლო, როგორც კი ცეცხლი მინელდებოდა და მკრთალად ღვიოდა, ტანსაცმელს სწრაფად ვიხდიდი, ელვის სისწრაფით ვიხსნიდი ფეხსაცმელებზე ზონრებს და, სიცივითა და სიბნელით შეშინებული, თავშესაფარს საწოლში ვეძებდი. დედოფალას ჩემთან ერთად ვაწვენდი ლოგინში. ადამიანს რაიმე ხომ უნდა უყვარდეს და, რადგანაც მე არაფერი გამაჩნდა იმაზე უფრო ძვირფასი და საყვარელი, უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა ამ პატარა, საბრალო, გაცვეთილი და საფრთხობელას მსგავსი დედოფალას ალერსი და მოვლა-პატრონობა. ახლა მიკვირს, როდესაც ვიგონებ, თუ რა სულელური გულწრფელობით და გაგიჟებით შევიყვარე ეს პატარა სათამაშო. ისე მქონდა წარმოდგენილი, თითქოს ის ცოცხალი არსება იყო და ადამიანური გრძნობები გააჩნდა. ძილიც კი არ მეკარებოდა, თუ ჩემს საღამურ პერანგში არ გამოვხვევდი, ხოლო, როცა დავრწმუნდებოდი, რომ ჩემ გვერდით, საბანქვეშ, მას არც ციოდა და არც მზრუნველობა აკლდა, თავს ბედნიერად ვთვლიდი და ისიც ბედნიერი მეგონა.

თითქოს საათები გადიოდა, ვიდრე სტუმრები წავიდოდნენ და კიბეზე ბესის ფეხის ხმას გავიგონებდი. მსიამოვნებდა, როცა ის შემთხვევით შემოდიოდა საბავშვო ოთახში მაკრატლის ან სათითის საძებრად, მაგრამ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თუ გვერდითაც მომიჯდებოდა, სანამ მე მის მიერ ამოტანილ ვახშამს _ ფუნთუშას ან ყველიან ნამცხვარს _ შევექცეოდი, ის საბანს შემისწორებდა, შემომიკეცავდა, მაკოცებდა და მეტყოდა: _ ნახვამდის, მის ჯეინო, და ისევ სამზარეულოსაკენ გასწევდა. იმ წუთებში ბესი ამქვეყნად ყველაზე კარგ, ლამაზ და სათნო ადამიანად მიმაჩნდა. ვნატრობდი კიდეც, ყოველთვის ასეთი ალერსიანი და ყურადღებიანი ყოფილიყო: არასოდეს ხელი არ ეკრა ჩემთვის, უდანაშაულოდ ბრალი არ დაედო და ხშირად არ გამწყრომოდა.

ბესი ლი, ვფიქრობ, ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი უნდა ყოფილიყო: რასაც ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერს მარჯვედ აკეთებდა.

ამასთანავე, მას შესანიშნავი თხრობის უნარიც ჰქონდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ საბავშვო ოთახში ნაამბობი ზღაპრებით ის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. თუ მეხსიერება არ მღალატობს, გარეგნობითაც საკმაოდ ლამაზი იყო. ახლაც თვალწინ მიდგას ახალგაზრდა, ტანადი, შავთმიანი ქალი, მუქი თვალებით, ლამაზი სახის ნაკვთებითა და ჯანმრთელი იერით. თუმცა, მართალი გითხრათ, მას ნაკლიც ჰქონდა. მეტად ფიცხსა და ჯიუტს ცნებები: პრინციპულობა და სამართლიანობა სრულიად თავისებურად ესმოდა. მიუხედავად ამისა, გეიტსჰედჰოლში მაინც ის მერჩივნა ყველას.

თხუთმეტ იანვარს, დაახლოებით დილის ცხრა საათი იქნებოდა, როცა ბესი ქვემო სართულში ჩავიდა საუზმისათვის. ჩემი ბიძაშვილებისათვის ჯერ კიდევ არ დაეძახნათ, რომ სასტუმრო ოთახში ჩასულიყვნენ. ელიზამ ქუდი დაიხურა, პალტო ჩაიცვა და ბაღში ჩასასვლელად მოემზადა, რომ ფრინველები დაეპურებინა. ეს საქმიანობა ძალიან უყვარდა. უნდოდა მნე ქალისათვის კვერცხები მიეყიდა და ამ გზით ფული შეეგროვებინა. ვაჭრობის დიდი უნარი ჰქონდა და ფულის შენახვაც კარგად იცოდა. ის არა მარტო კვერცხებითა და წიწილებით ვაჭრობდა, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი მოგება მიეღო ყვავილის ნერგების, სხვადასხვანაირი თესლისა და სამყნობი კალმების გაყიდვით. თვითონ მისის რიდმა უბრძანა მებაღეს, ეყიდა ახალგაზრდა ლედისგან ყველაფერი, რის გაყიდვასაც გოგონა მოისურვებდა. ელიზა საკუთარ თმასაც კი გაყიდდა, თუ ვინმე სასურველ თანხას შესთავაზებდა. რაც შეეხება ფულს, პირველად იგი მას, ძონძებსა და ძველ დაჭმუჭნილ ქაღალდებში გამოხვეულს, ოთახის მიუგნებელ კუნჭულებში მალავდა. მოსამ-სახურეებმა ოთახების დალაგების დროს არაერთხელ აღმოაჩინეს ელიზას მიერ შენახული ფული. იმის შიშით, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს თანხა სამუდამოდ არ დაეკარგა, გადაწყვიტა იგი დედისთვის ჩაებარებინა, მაგრამ მან აქაც გამოავლინა თავისი ვაჭრული ბუნება. მისის რიდი სამ თვეში ერთხელ იხდიდა ორმოცდაათ თუ სამოც პროცენტს. გოგონას კი ეს ყველაფერი ზუსტად ჰქონდა აღნუსხული პატარა წიგნში.

ჯორჯიანა მაღალ სკამზე იჯდა სარკის წინ და თმას ივარცხნიდა. კულულებში იწნავდა ხელოვნურ ყვავილებსა და ფერგადასულ ფრთებს, რომლებიც სხვენში რომელიღაც უჯრაში ეპოვნა. მე ჩემ ლოგინს ვასწორებდი. ბესიმ წასვლისას მკაცრად მიბრძანა, მის დაბრუნებამდე ამელაგებინა ქვეშაგები. ახლა ის მოსამსახურესავით მიყენებდა და ყველაფერს მაკეთებინებდა. ვალდებული ვიყავი, საბავშვო ოთახი დამელაგებინა და სკამებზე მტვერი გადამეწმინდა. ჩემი საღამური პერანგი დავკეცე, საწოლზე გადასაფარებელი გადავაფარე და ფანჯრის რაფასთან მივედი _ წიგნებისთვის ადგილი უნდა მიმეჩინა; აქა-იქ მიმობნეული დედოფალას ოთახის ავეჯი თავის ადგილას დამეწყო. მაგრამ გავჩერდი, რადგან ჯორჯიანამ მკვახედ მიბრძანა, მისი სათამაშოებისათვის ხელი არ მეხლო (პაწაწინა სკამები, სარკეები, მშვენიერი თეფშები და ფინჯნები მხოლოდ მის საკუთრებას შეადგენდა). რადგან საქმე აღარაფერი მქონდა, ვცდილობდი, ფანჯრის

მინებზე ჩემივე ორთქლით გამელღო ყინვისაგან მოხატული ყვავილები და უფრო კარგად გადამეხედა ბაღში, სადაც მკაცრ ყინვას ყველაფერი გაეთოშა და გაექვავებინა.

ფანჯრიდან მოჩანდა კარისკაცის ქოხი და ეტლების სავალი გზა. როგორც კი ვერცხლისფერი ფოთლების საფარი ორთქლით გავადნე და მინაზე საკმაოდ დიდი ადგილი გავათავისუფლე გადასახედად, დავინახე, ალაყაფის კარები გაიღო და ეზოში ეტლი შემოგრიალდა. გულგრილად შევცქეროდი, თუ როგორ გვიახლოვდებოდა ეტლი. ეტლები ხშირად მიმოდიოდნენ გეიტსჰედ- ჰოლში, მაგრამ არც ერთ მათგანს არ მოუყვანია ჩემთვის სასურველი სტუმარი. ეტლი სახლის წინ გაჩერდა, მალე ზარის ხმა გაისმა კარებზე და ვიღაც ახალმოსული მიიღეს. ეს მე სრულიად არ მაინტერესებდა. ჩემი ყურადღება სულ სხვა რამემ მიიპყრო; ფანჯრის ახლოს, კედელთან, ალუბლის ფოთლებშემოძარცვულ ტოტზე შემომჯდარი პატარა მშიერი კიოტა საწყალობლად ჭიკჭიკებდა.

იმ დილით რძითა და პურით ვისაუზმე, დარჩენილი ფუნთუშის ნაჭერი დავფხვენი და ის იყო ვაპირებდი პატარა სარკმელი გამეღო და ნამცეცები საბრალო ჩიტისთვის დამეყარა ფანჯრის რაფაზე, რომ საბავშვო ოთახში სირბილით ბესი შემოიჭრა და მითხრა:

_ მის ჯეინ, მოიხსენი წინსაფარი, რას აკეთებ მანდ? ამ დილით ხელ-პირი დაიბანე თუ არა?

ვიდრე ვუპასუხებდი, ერთხელ კიდევ გამოვაღე სარკმელი, რომ ჩიტისათვის საკენკი დამეყარა. ძლივს შევძელი მისი გაღება და საცოდავ ფრინველს ნამცეცები გადავუყარე. როცა დავრწმუნდი, რომ საკენკი ალუბლის ტოტზე და ზოგიც ქვის კარნიზზე დაცვივდა, მხოლოდ შემდეგ მივხურე ფანჯარა და ბესის ვუპასუხე:

_ აი, სწორედ მოვრჩი წმენდას.

_ აუტანელი და უყურადღებო ბავშვი ხარ. ახლა რას აკეთებ? შენ ისე გაწითლებულხარ, უეჭველად რაიმე სისაძაგლეს ჩაიდენდი. რისთვის გააღე სარკმელი?

პასუხის გაცემა არ დამჭირდა. ბესი ისე ჩქარობდა, რომ ჩემი ახსნა-განმარტების მოსასმენად არ ეცალა. მან პირსაბანთან მიმიყვანა და ხელ-პირის ბანა დამიწყო. საპონს ისე მისვამდა, ვატყობდი, სრულიად არ ვებრალებოდი და არც დრო ჰქონდა ფრთხილად მომქცეოდა. რომელიღაც უხეში პირსახოცით სახე სასწრაფოდ შემიმშრალა; თმა მაგარი ჯაგრისით დამვარცხნა; წინსაფარი შემომაძრო; გარეთ გამიყვანა; კიბის ბაქანზე დამაყენა და მიბრძანა, სასტუმრო ოთახში ჩავსულიყავი, სადაც მიცდიდნენ.

ძალიან მინდოდა, მეკითხა _ ვინ მიცდიდა, ან მისის რიდი იქ იყო თუ არა, მაგრამ ვერ მოვასწარი. ბესი მაშინვე წავიდა და საბავშვო ოთახის კარიც მოხურა. ნელ-ნელა ჩავდიოდი კიბეზე. დაახლოებით სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მისის რიდის ბრძანებით საბავშვო ოთახიდან ფეხი არ გამომიდგამს და სასაუზმე, სასადილო და სასტუმრო ოთახებს ახლოსაც არ გავკარებივარ, იქ შესვლას შიშით ვერ ვბედავდი.

და აი, ახლა, დამფრთხალი და აცახცახებული ვიდექი სასაუზმე ოთახის კართან ცარიელ დერეფანში. რა საცოდავ და მხდალ არსებად მაქცია იმ უსამართლო მოპყრობამ მაშინ. შიშისაგან დაბნეულს ვეღარც საბავშვო ოთახში დაბრუნება მომეხერხებინა და ვერც სასტუმრო ოთახში შესვლა გამებედა. დაახლოებით ათი წუთი გავიდა ამ მღელვარებასა და ყოყმანში. ზარის მკვეთრმა ხმამ გადამადგმევინა გადამწყვეტი ნაბიჯი; უნდა შევსულიყავი.

_ ნეტავ, ვის უნდა ჩემი ნახვა? _ ვეკითხებოდი ჩემს თავს. კარის მაგარ სახელურს ორივე ხელი მოვკიდე. ვცდილობდი გამეღო, მაგრამ ვერ ვიმორჩილებდი. ნეტავ ვის ვნახავ იქ მისის რიდს გარდა, ქალს თუ მამაკაცს? სახელური გადავატრიალე, კარი გაიღო, შევედი და პირდაპირ იქ მყოფთაკენ გავემართე. რევერანსით მივესალმე და მხოლოდ მაშინ ავიხედე მაღლა. ჩემ წინ რაღაც შავი ბოძი აღმართულიყო. ყოველ შემთხვევაში პირველი შეხედვით ასე მომეჩვენა ეს მაღალი, გამხდარი, წელში გამართული და შავებში გამოწყობილი მამაკაცი, რომელიც ბუხრის წინ ნოხზე იდგა. მის აყლაყუდა ტანს ზომაზე მეტად დიდი თავი კაპიტელივით ედგა და მოღუშული სახეც ქვისაგან გამოკვეთილ ნიღაბს მიუგავდა.

მისის რიდმა, რომელიც თავის ჩვეულ ადგილას ცეცხლის პირას იჯდა, მანიშნა, მივახლოვებოდი. მეც დავემორჩილე. მან, ამ თითქოს გაქვავებული უცნობის წინაშე, შემდეგი სიტყვებით წარმადგინა:

_ აი, ის პატარა გოგონა, რომლის გამოც შეგაწუხეთ.

კაცმა, რომელიც ცოცხალი ადამიანი აღმოჩნდა, თავი ჩემკენ ნელ-ნელა მოაბრუნა, თავისი ცნობისმოყვარე ჭროღა თვალებით, რომლებიც ხშირსა და გაბურძგნილ წარბებს ქვემოთ უკიაფებდა, ამათვალიერ-ჩამათვალიერა და მედიდური იერითა და ბოხი ხმით იკითხა:

_ რამდენი წლისაა? ტანად ძალიან პატარაა.

_ ათის.

_ განა ამდენის იქნება? _ ეჭვით იკითხა მან და რამდენიმე ხანს დაკვირვებით მიმზერდა. მერე მომიბრუნდა და მკითხა:

_ რა გქვია, პატარა გოგონა?

_ ჯეინ ეარი, სერ.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე მაღლა ავიხედე. რადგან მე თავად მეტად პაწაწინა ვიყავი, ის ძალიან მაღალი მეჩვენა. ისიც შევამჩნიე, რომ სახის ნაკვთები ზომაზე დიდი ჰქონდა და მისი სახე, ისევე როგორც მთელი მისი აღნაგობა მხოლოდ სიმკაცრესა და მედიდურობას გამოხატავდა.

_ კეთილი, ჯეინ ეარ, შენ კარგი გოგონა ხარ?

შეუძლებელი იყო ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა, როდესაც ჩემ გარშემო მყოფნი მხოლოდ საწინააღმდეგო აზრისანი იყვნენ. ჩუმად ვიდექი. ჩემ მაგივრად მისის რიდმა უპასუხა. მან მრავალმნიშვნელოვნად გაიქნია თავი და სწრაფად დაუმატა:

_ მისტერ ბროკლჰერსტ, ამ საკითხზე რაც უფრო ცოტას ვილაპარაკებთ, მით უკეთესია.

_ ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი რამ მესმის. საჭიროა თავად მას ვესაუბრო. _ ამ სიტყვებით ის დაიხარა და მისის რიდის მოპირდაპირედ სავარძელში ჩაჯდა.

_ მომიახლოვდი, _ მითხრა მან.

ნოხისაკენ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. მან სწორედ თავის წინ დამაყენა. ახლა გარკვევით ვხედავდი მას. ღმერთო ჩემო, რა სახე ჰქონდა! რამოდენა ცხვირი, რა საშინელი პირი და მსხვილი წინწამოწეული კბილები!

_ ამქვეყნად გაუგონარ ბავშვებზე ცუდი არაფერია, _ დაიწყო მან: _ განსაკუთრებით პატარა ურჩი გოგონები არ მიყვარს. იცი თუ არა შენ, სად მიდიან ბოროტი ბავშვები სიკვდილის შემდეგ?

_ ჯოჯოხეთში, _ იყო ჩემი გაზეპირებული და მარლთმორწმუნე პასუხი.

_ იცი, რა არის ჯოჯოხეთი?

_ ცეცხლით სავსე ორმოა.

_ გინდა მერე იმ ორმოში ჩავარდე და იქ სამუდამო ცეცხლში იწვოდე?

_ არა, სერ.

_ მაშ რა უნდა ქნა, რომ საფრთხე თავიდან აიცილო?

ცოტა ხანს შევჩერდი, მაგრამ, როდესაც მოვიფიქრე, რა უნდა მეპასუხნა, პასუხი არასასიამოვნო აღმოჩნდა მისთვის.

_ უნდა ვეცადო, რომ კარგად ვიყო და არ მოვკვდე.

_ კარგი, მაგრამ როგორ შეინარჩუნებ ჯანმრთელობას? შენზე უფრო პატარებიც იხოცებიან ყოველდღე. ორი თუ სამი დღეა, რაც ხუთი წლის მშვენიერი ბავშვი დავასაფლავეთ, მისი სული ახლა ზეცაშია. შენ კი ისეთი ყოფილხარ, შენი სიკვდილის შემდეგ, არა მგონია, შენზე ასეთი რამე თქვან.

ძალა არ შემწევდა მისი აზრი გამექარწყლებინა, ამიტომ ნოხზე გაწვართულ მის დიდ ფეხებს დავხედე და ამოვიოხრე. მხოლოდ ერთს ვნატრობდი: გავცლოდი იქაურობას და, რაც შეიძლება, შორს ვყოფილიყავი მათგან.

_ ვფიქრობ, ეს ოხვრა გულიდან აღმოგხდა. ალბათ ნანობ, რომ შენს კეთილისმყოფელს ამდენი უსიამოვნება მიაყენე.

«კეთილისმყოფელი! კეთილისმყოფელი! _ ვიმეორებდი ჩემთვის გულში. _ ყველა ისინი მისის რიდს კეთილისმყოფელს ეძახიან. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ სიტყვა «კეთილისმყოფელი» საშინელი რამ უნდა იყოს».

_ ლოცულობ დილა-საღამოს? _ კვლავ დამიწყო გამოკითხვა.

_ დიახ, სერ.

_ ბიბლიას კითხულობ?

_ ხანდახან.

_ სიამოვნებით კითხულობ? გიყვარს თუ არა?

_ მე მიყვარს გამოცხადება, ახალი აღთქმა, სამუელისა და დანიელის წიგნები. აღთქმის მეორე წიგნი, სადაც მოთხრობილია ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლის ამბავი. დიდი ინტერესით ვკითხულობ ადგილებს მეფეების ცხოვრებიდან, ამასთანავე, იობისა და იოანეს თავგადასავალსაც.

_ ფსალმუნებსაც კითხულობ, არა? იმედია, მოგწონს ისინი.

_ არა, სერ.

_ არა? ო, რა თავზარდამცემი ამბავია. მე მყავს შენზე უმცროსი პატარა ბიჭი. მან უკვე ექვსი ფსალმუნი იცის ზეპირად. როდესაც მას ეკითხებიან, რა ურჩევნია, თაფლისკვერი თუ ფსალმუნის სწავლა, ის პასუხობს: რასაკვირველია, ფსალმუნიო. ანგელოზები ხომ ფსალმუნებს გალობენ და მეც მსურს პატარა ანგელოზი ვიყო აქ, დედამიწაზეო. და რადგან ის ასეთი ღვთისმოყვარეა, ერთი კვერის ნაცვლად ორს ღებულობს.

_ ფსალმუნები საინტერესო არ არის, _ წარმოვთქვი მე.

_ ეს ამტკიცებს, რომ შენ ბოროტი გული გაქვს. ღმერთს უნდა შეევედრო, ეგ შენი ქვის გული ახალი, წმინდა ადამიანური გულით შეგიცვალოს.

ვაპირებდი მეკითხა, თუ როგორ უნდა ჩაეტარებინა ღმერთს ეს ქირურგიული ოპერაცია, რომ მისის რიდი ჩაერია საუბარში და მიბრძანა, დავმჯდარიყავი, თავად მისტერ ბროკლჰერსტთან საუბარი განაგრძო.

_ მისტერ ბროკლჰერსტ, ამ სამი კვირის წინ ჩემი წერილით, თუ არ ვცდები, გაცნობეთ, რომ ამ პატარა გოგონას არა აქვს ისეთი ქცევები და ხასიათი, როგორიც მინდოდა ჰქონოდა. მიიღებთ თუ არა ლოვუდის სასწავლებელში, მოხარული ვიქნები, თუ მასწავლებლებს და ზედამხედველს გააფრთხილებთ, რაც შეიძლება მკაცრად ადევნონ თვალი. რაც მთავარია, აღმოფხვრან მისი ყველაზე ცუდი თვისება _ მიდრეკილება სიცრუისადმი. მე ამას შენი თანდასწრებით იმიტომ ვამბობ, ჯეინ, რომ ერთხელაც კი არ გაბედო მისტერ ბროკლჰერსტის მოტყუება.

ახლა უკვე საკვირველი არ არის, თუ რატომ მძულდა მისის რიდი და მეშინოდა მისი. მას თითქმის სულსა და გულში ჰქონდა გამჯდარი, რომ ცუდად მომქცეოდა. მის სიახლოვეს არასოდეს მიგრძვნია თავი ბედნიერად. თუმცა ყოველ ღონეს ვხმარობდი, მესიამოვნებინა მისთვის და დამჯერი ვყოფილიყავი, მაგრამ, რაც არ უნდა გამეკეთებინა, ყველა ჩემი ცდა ამაო იყო. აი ახლაც ამ უსამართლო ბრალდებამ ვიღაც უცნობის წინაშე გული გამიგმირა. ძალიან ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ვხვდებოდი, მისის რიდს უნდოდა იმ უმცირესი იმედის გაქრობით მოეწამლა ის ახალი ცხოვრებაც, რომელსაც ახლა მთავაზობდა. სიტყვებით ვერ გადმომეცა, თორემ ძალიან კარგად ვგრძნობდი, რომ ის ჩემი მომავალი ცხოვრების გზაზე სიძულვილისა და ბოროტების მეტს არაფერს თესავდა. შევამჩნიე, რომ უცებ მისტერ ბროკლჰერსტის თვალში ეშმაკ, გაიძვერა ბავშვად გადავიქეცი, მაგრამ რით უნდა გამემართლებინა თავი?

«არაფრით», _ ვფიქრობდი და ვებრძოდი ჩემს თავს, როგორმე ქვითინი ჩამეხშო. თვალზე ჩამონადენი რამდენიმე ცრემლი სწრაფად მოვიწმინდე.

_ თვალთმაქცობა მართლაც საშინელი დანაშაულია ბავშვისთვის, _ წარმოთქვა მისტერ ბროკლჰერსტმა, _ ის არაფრით განსხვავდება სიცრუისაგან. ყველა მატყუარა ბავშვი საკადრის სასჯელს მიიღებს. ასეთი ბავშვები ალმოდებულ, გოგირდით ახრჩოლებულ ტბაში მოხვდებიან. მისის რიდ,

დამშვიდებული ბრძანდებოდეთ. მე მოველაპარაკები მის ტემპლსა და მასწავ-ლებლებს. ისინი მკაცრ მეთვალყურეობას გაუწევენ მას.

_ მე მინდა, ის ისე აღიზარდოს, როგორც ეს მის მომავალს შეეფერება, _ განაგრძო ჩემმა კეთილისმყოფელმა. _ გახდეს დამჯერი, თავმდაბალი და საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანი. ხოლო, რაც შეეხება არდადეგებს, თქვენი ნებართვით, მინდა ის მუდამ ლოვუდში გაატაროს.

_ თქვენი გადაწყვეტილება სრულიად გონივრულია, ქალბატონო, _ უპასუხა ბროკლჰერსტმა. _ თავმდაბლობა ყოველ ქრისტიანს აკეთილშობილებს, განსაკუთრებით ეს ლოვუდის აღსაზრდელებს მოეთხოვებათ და ამიტომაც ვცდილობ მის დანერგვას ბავშვებში დიდი ყურადღება ექცეოდეს. დაწვრილებით შევისწავლე საუკეთესო ხერხები ფუჭი სიამაყის აღმოსაფხვრელად და მხოლოდ ამ დღეებში დავრწმუნდი, ჩემმა ცდამ სასურველი შედეგი გამოიღო. ჩემი უმცროსი ქალიშვილი ავგუსტა თავის დედასთან ერთად მოვიდა სასწავლებლის დასათვალიერებლად და დაბრუნდა თუ არა სახლში, აღტაცებით მითხრა: ოჰ, ჩემო საყვარელო მამა, როგორი მორჩილი და უბრალონი არიან ლოვუდის აღსაზრდელები! უკან გადავარცხნილი, ყურებზე გადაწეული თმებით, გრძელი წინსაფრებით, ტანსაცმელს ზემოთ გადაკიდებული პატარა ტილოს ჩანთებით, ისინი მთლად ღარიბი ხალხის შვილებს დამსგავსებიან. მე და დედაჩემის კაბებს ისე ათვა-ლიერებდნენ, თითქოს მანამდე არასოდეს ენახათ აბრეშუმის ტანსაცმელი.

_ საქმის ამგვარად წარმართვაში სრულიად გეთანხმებით, _ უპასუხა მისის რიდმა. _ მთელი ინგლისი რომ შემომევლო, ვერსად ვნახავდი ისეთ სისტემაზე აგებულ სასწავლებელს, რომელიც ასე შესაფერისი იქნებოდა ჯეინ ეარის მსგავსი ბავშვების აღსაზრდელად. სიმტკიცე, ძვირფასო მისტერ ბროკლჰერსტ! მე ყოველთვის მხარს ვუჭერ სიმტკიცეს.

_ დიახ, ქალბატონო, ქრისტიანის უპირველესი მოვალეობა _ სიმტკიცეა. ეს ყველაფერში იგრძნობა, რაც კი ლოვუდის სასწავლებელთან არის დაკავშირებული: ღარიბული საჭმელი, სადა ტანსაცმელი, ასეთივე უბრალო მოწყობილობა, მუყაითი და შრომისმოყვარე ჩვევების გამომუშავება. აი, ლოვუდის და მის ბინადართა ყოველდღიური ცხოვრების პირობები.

_ სწორია, სერ. მაშ იმედი მექნება, რომ ამ ბავშვს ჩარიცხავთ თქვენს სასწავლებელში და მისი მდგომარეობისა და მომავლის შესაფერისად აღზრდით.

_ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ქალბატონო, ის ჩაირიცხება ერთ-ერთ საუკეთესო სასწავლებელში და მადლიერიც დარჩება თავისი არჩევანით იმ ფასდაუდებელ უპირატესობათა გამო, რომელიც ამ სასწავლებელს გააჩნია.

_ მაშ, რაც შეიძლება მალე გამოგიგზავნით, მისტერ ბროკლჰერსტ. მერწმუნეთ, ძალიან მინდა მალე გავთავისუფლდე იმ პასუხისმგებლობისაგან, რომელმაც ესოდენ დამქანცა.

_ ეჭვი არ მეპარება, ეჭვი არ მეპარება, ქალბატონო. ახლა კი მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ბროკლჰერსტ ჰოლში დაახლოებით ერთ ან ორ კვირაში

დავბრუნდები. მთავარი დიაკონი ჩემი კარგი მეგობარია და ამაზე ადრე არ გამომიშვებს. მის ტემპლს ვაცნობებ ყველაფერს და სასწავლებელში მიღების დროს მას არავითარი დაბრკოლება არ შეხვდება. ნახვამდის.

_ ნახვამდის, მისტერ ბროკლჰერსტ. მოკითხვა გადაეცით მისის ბროკლჰერსტს, თქვენს ქალიშვილებს, ავგუსტასა და თეოდორას, და პატარა ბრაუტონ ბროკლჰერსტს.

_ სიამოვნებით, ქალბატონო. შენ კი, პატარა გოგონა, გაჩუქებ აი, ამ წიგნს, რომლის სათაურია «სახელმძღვანელო ბავშვებისათვის». ლოცვებთან ერთად იკითხე. განსაკუთრებით ყურადღება მიაქციე იმ ადგილებს, სადაც მოთხრობილია გ.-ს უეცარი და შემაძრწუნებელი სიკვდილის ამბავი. ეს ის გაუგონარი გოგონა იყო, რომელსაც ძალიან უყვარდა გამოგონილი ამბებისა და ტყუილების ლაპარაკი.

ამ სიტყვებით მისტერ ბროკლჰერსტმა მომაწოდა ყდაში ჩასმული თხელი წიგნი. მერე დარეკა, რომ ეტლი მოერთმიათ და დაგვტოვა კიდეც.

მისის რიდი და მე მარტო დავრჩით. რამდენიმე წუთს ხმა არ ამოგვიღია. ის კერავდა, მე კი თვალყურს ვადევნებდი. მისის რიდი ასე ოცდაჩვიდმეტი წლის ქალი იქნებოდა: საშუალო ტანის, ძვალმსხვილი, საკმაოდ ჩასუქებული, სწორი მხრებითა და ფართო პირისახით, წინწამოწეული ქვედა ყბითა და ფართო ნიკაპით. შუბლი ვიწრო ჰქონდა, ხოლო ცხვირი _ სწორი და ტუჩები _ პატარა. ქერა წარბების ქვეშ მოციმციმე თვალებში სიკეთის ნატამალიც არ უჩანდა. თმა ჩალისფერი ჰქონდა, სახე კი შავგვრემანი, რომელზედაც მუდამ მოყვითალო ფერი გადაჰკრავდა. ის სრულიად ჯანმრთელი იყო და არასოდეს ავადმყოფობდა. მეტად მოხერხებულსა და ჭკვიან დიასახლისს კარგად ესმოდა საოჯახო საქმე. ის მეთვალყურეობას უწევდა როგორც შინაურ, ისე მოიჯარეთა საქმის წარმოებას. მხოლოდ საკუთარი შვილები არ ემორჩილებოდნენ, დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ. მისის რიდს გემოვნებით ჩაცმა-დახურვა უყვარდა და მოხდენილად ატარებდა ძვირფას სამკაულებს.

მისის რიდის სავარძლიდან კარგა მოშორებით ვიჯექი დაბალ სკამზე და ვაკვირდებოდი მის იერსა და სახის ნაკვთებს. ხელში ის პატარა წიგნი მეჭირა, რომელშიაც აღწერილი იყო მატყუარა ბავშვის უეცარი სიკვდილი. ეს მოთხრობა ჩემთვის იყო განკუთვნილი, როგორც შესაფერი გაფრთხილება. ყველაფერი, რაც მოხდა და მთელი იმ საუბრის შინაარსი, რაც მისის რიდმა გადასცა მისტერ ბროკლჰერსტს, მეტად აღმაშფოთებელი იყო. მან საშინელი ტკივილი მომაყენა. თითოეულ სიტყვას ახლაც ისევე მწვავედ განვიცდიდი, როგორც მაშინ, მათი საუბრის დროს და გულისწყრომამ კვლავ იფეთქა ჩემში.

ხელსაქმით გართულმა მისის რიდმა თავი ასწია. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. თითებმა შეწყვიტეს მარდად მუშაობა და მან მიბრძანა:

_ ახლავე დატოვე აქაურობა, საბავშვო ოთახში მიბრძანდი. _ ჩემმა გამოხედვამ თუ სხვა რაიმემ, როგორც ჩანს, შეურაცხყო იგი. მის სიტყვებში უკიდურესი გაღიზიანება იგრძნობოდა. ავდექი, კარებთან მივედი, მაგრამ

კვლავ უკან გამოვბრუნდი. ფანჯრისაკენ თითქმის მთელი ოთახი გავიარე და მას მივუახლოვდი.

უნდა მელაპარაკა. შეუბრალებლად გამთელეს და სამაგიერო უნდა გადამეხადა. მაგრამ როგორ? რა ძალა შემწევდა? რით უნდა მიმეზღო სამაგიერო ჩემი მტრისათვის? ძალ-ღონე მოვიკრიბე და უხეშად მივახალე:

_ მე მატყუარა არა ვარ. თვალთმაქცი რომ ვიყო, გეტყოდით, რომ მიყვარხართ, მაგრამ გულახდილად გეუბნებით, რომ მძულხართ. ჯონ რიდის შემდეგ ამქვეყნად ყველაზე მეტად თქვენ მეჯავრებით. ეს წიგნი კი მაცდური გოგონას შესახებ შეგიძლიათ თქვენს შვილს, ჯორჯიანას მისცეთ, რადგანაც სწორედ მას ეხერხება ტყუილების ლაპარაკი.

მისის რიდს ხელები ჯერ კიდევ უმოძრაოდ ეწყო საკერავზე. თვალი თვალში გამიყარა და ცივ მზერას არ მაცილებდა.

_ კიდევ რის თქმას აპირებ? _ მკითხა ისეთი ტონით, რომლითაც მხოლოდ მოზრდილ ადამიანებს მიმართავენ და არა ჩემებრ პატარებს.

მისი სახის გამომეტყველებამ და ხმამ მისი სიძულვილი კიდევ უფრო მეტად გამიღვივა. აცახცახებულმა თავშეუკავებელი მღელვარებით განვაგრძე:

_ მიხარია, რომ ჩემი მკვიდრი ნათესავი არა ხართ და ვიდრე ცოცხალი ვარ, ძალუას არასოდეს დაგიძახებთ. არც თქვენ სანახავად მოვალ, როცა გავიზრდები. ხოლო როდესაც შემეკითხებიან, როგორ მეპყრობოდით, ან მიყვარხართ თუ არა, გულახდილად ვიტყვი, რომ უსამართლოდ მექცეოდით და თქვენი ხსენებაც კი ავად მხდის.

_ როგორ ბედავ, ჯეინ ეარ, რით აპირებ ამის დამტკიცებას?

_ როგორ ვბედავ, მისის რიდ? როგორ ვბედავ? ვბედავ იმიტომ, რომ ეს სრული სიმართლეა. თქვენ ფიქრობთ, რომ მე გრძნობა არა მაქვს და უსიყვარულოდ და კეთილი მოპყრობის გარეშე არსებობა შემიძლია? ასეთი ცხოვრება აუტანელია ჩემთვის. თქვენ კი სულაც არ გებრალებით. სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე არ დამავიწყდება, როგორ შემაგდეთ წითელ ოთახში, როგორ უხეშად მკარით ხელი და გამძვინვარებულმა ჩამკეტეთ. თუმცა საშინლად ვიტანჯებოდი, ცრემლები მახრჩობდა და სასოწარკვეთილი გემუ-დარებოდით: მისის რიდ, შემიცოდეთ, შემიბრალეთ-მეთქი. ასე ხომ იმიტომ დამსაჯეთ, რომ თქვენმა ბოროტმა ბიჭმა უდანაშაულოდ მცემა და იატაკზე წამაქცია. სწორედ ამ ამბავს ვუამბობ ყველას, თუ ვინმე შემეკითხება. ხალხს თქვენ კეთილი ქალი ჰგონიხართ, მაგრამ თქვენ გულქვა და ცუდი ადამიანი ხართ. თქვენ თვითონ ხართ მატყუარა.

პასუხი ჯერ კიდევ არ დამემთავრებინა, რომ სულიერი შვება და სიხარული ვიგრძენი. თავისუფლებისა და საზეიმო განწყობილების უცნაური გრძნობა დამეუფლა, რომელიც წინათ არასოდეს მიგრძვნია. ისე მომეჩვენა, თითქოს თვალთუხილავი ბორკილები დაიმსხვრა და ბრძოლით დავიბრუნე სამუდამოდ დაკარგული თავისუფლება. ეს სიხარული არცთუ უმიზეზო გახლდათ. ცხადი იყო, მისის რიდი შეშინდა, ხელსაქმე კალთიდან

ჩამოუცურდა, ხელები რამდენჯერმე მაღლა აღაპყრო, ადგილზე ვეღარ ისვენებდა და სახე ისე ემანჭებოდა, თითქოს ტირილს აპირებდა.

_ ჯეინ, შენ ცდები. რა დაგემართა? რატომ კანკალებ ასე ძალიან? წყალს ხომ არ დალევ?

_ არა, მისის რიდ.

_ იქნებ სხვა რაიმე გინდოდა? მერწმუნე, მინდა შენი მეგობარი ვიყო.

_ თქვენ არა ხართ ჩემი მეგობარი. განა თქვენ არ უთხარით მისტერ ბროკლჰერსტს, რომ მე ცუდი ხასიათი მაქვს და მატყუარა ვარ. ლოვუდში ყველას გავაგებინებ, ვინც ბრძანდებით და რაც ჩაიდინეთ.

_ ჯეინ, ჯერ შენ ამ ამბებში ვერ ერკვევი. ბავშვებმა თავიანთი ნაკლი უნდა გამოასწორონ.

_ მე მატყუარა არა ვარ, _ წამოვიძახე მოთმინებიდან გამოსულმა.

_ მაგრამ უნდა დამეთანხმო, რომ მეტად თავშეუკავებელი ხარ, ჯეინ. ახლა კი საბავშვო ოთახში დაბრუნდი, ჩემო ძვირფასო, და ცოტა ხანს წამოწექი.

_ ნუ მეძახით ძვირფასს. წამოწოლა არ შემიძლია, გამგზავნეთ ახლავე სკოლაში, მისის რიდ. მე მძულს აქაურობა.

_ დიახ, მე მართლაც მალე უნდა გავგზავნო ის სკოლაში, _ ჩაიბუტბუტა მისის რიდმა. მერე ხელი წამოავლო თავის ხელსაქმეს და ოთახიდან სწრაფად გავიდა.

ბრძოლის ველზე გამარჯვებული დავრჩი. ეს იყო ყველაზე ცხარე ბრძოლა, რომელმაც პირველი გამარჯვება მომიტანა. რამდენიმე ხანს ნოხზე იმავე ადგილას ვიდექი, სადაც მისტერ ბროკლჰერსტი იდგა. ეს განმარტოება და იმის შეგრძნება, რომ გავიმარჯვე, სიამოვნებას მგვრიდა. პირველად გავიღიმე კიდეც და კარგ გუნებაზეც დავდექი, მაგრამ ეს დიდი სიამოვნება ისევე სწრაფად გაქრა, როგორც ჩემი აჩქარებული მაჯისცემა. ბავშვებს არ შესწევთ უფროსებთან ისეთი ბრძოლის უნარი, როგორც მე გამოვიჩინე მაშინ. მათ არ შეუძლიათ თავიანთი გრძნობების ადვილად და მთლიანად გამომჟღავნება ისე, როგორც მე შევძელი, რომ საბოლოოდ იგრძნონ სინდისის ქენჯნა და მით გამოწვეული სულიერი ტკივილი. ცამდე ატყორცნილი და ყოვლის შთამნთქმელი ცეცხლით აგიზგიზებული ტრამალი თუ გამოდგებოდა ჩემი სულის ემბლემად, როდესაც მისის რიდს ბრალს ვდებდი და ვემუქრებოდი. ხოლო ხანძრის შემდეგ მთლად გადაბუგული და ჩაშავებული იგივე ტრამალი უკვე აშკარად წარმოგიდგენდათ ჩემს სულიერ განწყობილებას, რომელიც ნახევარი საათის დუმილისა და ფიქრის შემდეგ დამეუფლა. მივხვდი, რამდენად უგნური იყო ჩემი საქციელი და რაოდენ სამწუხარო, რომ ჩვენ ერთმანეთი ასე შევიძულეთ.

პირველად შურისძიებით განვიმსჭვალე. ეს გრძნობა ტკბილ ღვინოსავით მეკიდებოდა, ვიდრე შევექცეოდი შემთბარსა და ნექტარივით ტკბილს, მაგრამ ბოლოს უსიამოვნო ჟანგის მსგავსი გემო დამიტოვა პირში, რამაც მაფიქრებინა, რომ ვიწამლებოდი. ახლა სიამოვნებით წავიდოდი და მისის რიდს პატიებას შევთხოვდი, მაგრამ ვიცოდი და ალღოთიც ვხვდებოდი, ის ხელს მკრავდა და

ორმაგი სიძულვილით მიპასუხებდა. ამით კი ხელმეორედ ააფორიაქებდა ჩემს ისედაც მშფოთვარე გრძნობებს.

სიხარულით უკუვაგდებდი ამ უსიამოვნო ლაპარაკს, რომ უფრო კეთილშობილური და სათუთი გრძნობები გამეღვიძებინა ჩემში. ვგრძნობდი, მეტი ყურადღება უნდა მიმექცია მაცდური აზრების დათრგუნვისათვის და ნაკლებად მეფიქრა პირად სევდასა და სასოწარკვეთილებაზე. რომელიღაც წიგნი ავიღე. იგი არაბული ზღაპრები აღმოჩნდა. ჩამოვჯექი და კითხვა დავაპირე. ფიქრებმა ისე გამიტაცა, რომ წიგნის შინაარსი არ მესმოდა. იმ ადგილებში, რომლებიც წინათ დიდად მხიბლავდა, ახლა საკუთარ აზრებს ვკითხულობდი. სასადილო ოთახის მინის კარი გამოვაღე და გარეთ გავიხედე. ბუჩქნარში ტოტიც არ იძვროდა. მთელ იმ არემარეზე გამეფებულ მკაცრ ყინვას ვერაფერს აკლებდა ვერც მზე და ვერც ქარი.

თავზე კაბის კალთა წამოვიფარე, ხელებიც შიგ ჩავმალე და ბაღში სასეირნოდ გავედი. ჩემს სულს ახლა განმარტოება სურდა და გულმაც მიყრუებული ადგილისაკენ გამიწია. თვალს აღარ ახარებდა უმოძრაო ხეები და დაბლა დაცვენილი ნაძვის გირჩები; არც მოწითალო ყავისფერი ფოთლები, რომლებსაც ქარი ზვინებად დგამდა და ყინვა ერთმანეთზე აწებებდა. ჭიშკარს მივეყრდნე და ველისაკენ გავიხედე, სადაც ცხვარი უკვე აღარ ძოვდა. დაცარიელებულ მინდვრებში დაბალი, ყინვისაგან დაზრული და თრთვილით გადათეთრებული ბალახიღა მოჩანდა. ბნელი ღამე იყო; ცა შავ, სათოვლე ღრუბლებს დაეფარა. ხანგამოშვებით თოვლის თეთრი ფიფქები ცვიოდა და გაყინულ ბილიკსა და თრთვილით შეფიფქულ მინდვრებს თეთრად ეფინებოდა. ვიდექი ასე. ვგრძნობდი, რომ მეტად უბედური ვიყავი და დაუსრულებლად ვიმეორებდი: _ რა უნდა ვიღონო? რა მეშველება?

უცებ ვიღაცის წკრიალა ხმა მომესმა _ მის ჯეინ, სადა ხართ? მოდით აქ, ისაუზმეთ.

კარგად ვიცოდი, რომ ეს ბესი იყო, მაგრამ არ გავნძრეულვარ. მერე ბილიკზე მისი სწრაფი და მსუბუქი ნაბიჯის ხმაც შემომესმა.

_ ო, რა გაუგონარი ბავშვი ხართ! _ მითხრა მან. _ რატომ არ მოდიხართ, როცა გეძახიან?

იმდენად უსიამოვნო ფიქრებით ვიყავი გართული, რომ ბესის სიახლოვე ახლა ჩემთვის მაინც სასიხარულო აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ის ჩვეულებრივად რაღაცაზე გულმოსული იყო. ისიც უნდა ვაღიარო, მას შემდეგ, რაც თავს გადამხდა მისის რიდთან, განწყობილიც არ ვიყავ რაიმე ყურადღება მიმექცია აღმზრდელი ქალის უგუნებობისათვის. მხოლოდ ის მსურდა, დავმტკბარიყავი იმ ბედნიერებით და მეგრძნო ის სითბო, რომლითაც სავსე იყო ამ ახალგაზრდა სიცოცხლით სავსე ქალის გული. ორივე ხელი წელზე შემოვხვიე და ვუთხარი: _ კარგი, ბესი, ნუ მიჯავრდები.

ამდენი სითამამე და გულწრფელობა არასოდეს გამომიმჟღავნებია. როგორც ჩანს, ეს ბესისაც ესიამოვნა.

_ რა უცნაური ბავშვი ხართ, ჯეინ, _ მითხრა მან და გადმომხედა. _ პატარა, მარტოობის მოყვარული მოხეტიალე არსება! მგონი, სკოლაში გაგზავნიან, არა?

თავი დავუქნიე.

_ გული არ გწყდებათ, საბრალო ბესის რომ ტოვებთ?

_ რას დაეძებს ბესი, წავალ თუ დავრჩები, ის ხომ ყოველთვის მიჯავრდება?

_ იმიტომ გიჯავრდებით, რომ ასე თავისებური, მშიშარა და მორცხვი პატარა გოგონა ხართ. უფრო თამამი უნდა იყოთ.

_ იმიტომ, რომ უფრო მეტი მომხვდეს, არა?

_ სისულელეა, კარგად რომ არ გექცევიან, ეს ცხადია. დედაჩემმა, რომელიც გასულ კვირას ჩემს სანახავად იყო აქ, მითხრა, რომ არც ერთ თავის შვილს არ უსურვებდა თქვენს ადგილას ყოფნას. ახლა კი შევიდეთ სახლში, სასიამოვნო ახალი ამბავი უნდა გითხრათ.

_ არა მგონია რაიმე კარგი იყოს, ბესი.

_ რა გინდათ ამით თქვათ, ჩემო ბავშვო! რატომ მიმზერთ ასეთი ნაღვლიანი თვალებით? იცით, მისის რიდი, მისტერ ჯონი და ახალგაზრდა ქალბატონები სტუმრად არიან მიწვეული ჩაიზე. თქვენ კი ჩემთან ერთად დალევთ ჩაის. მზარეულს ვთხოვე, ნამცხვარი გამოგიცხოთ. შემდეგ კი დაგეხმარებით ტანსაცმლის გადათვალიერებაში. სასწრაფოდ უნდა ჩაგილაგოთ ჩემოდანი. მისის რიდს სურს ხვალ ან ზეგ სასწავლებელში გაგგზავნოთ. ამოირჩიეთ, რა სათამაშოები გინდათ თან წასაღებად.

_ ბესი, პირობა მომეცით, რომ წასვლამდე არ გამიჯავრდებით.

_ კარგი, მაგრამ თქვენც კარგად უნდა მოიქცეთ და ჩემი აღარ უნდა გეშინოდეთ. ნურც შეკრთებით, თუ მკაცრად გეტყვით რაიმეს. ეს ძალიან მაჯავრებს.

_ უკვე შეგეჩვიეთ და, არა მგონია, ოდესმე შემეშინდეს თქვენი. მალე მე ალბათ სულ სხვა ადამიანების შემეშინდება.

_ თუ შეგეშინდებათ, შეგიძულებენ.

_ როგორც თქვენ არა, ბესი?

_ არა, მის, მე არ მეჯავრებით. დამიჯერეთ, ამ სახლში ყველა ბავშვზე მეტად მიყვარხართ.

_ მე ეს თქვენთვის არასოდეს შემიმჩნევია.

_ ასეთი პატარა და ასეთი მოხერხებული? უკვე სულ სხვანაირად ლაპარაკობთ. რამ მოგცათ ამდენი გამბედაობა და სიმტკიცე?

_ მალე მივდივარ აქედან და გარდა ამისა... _ ის იყო დავაპირე მეთქვა, რაც მოხდა მისის რიდსა და ჩემს შორის, მაგრამ მალევე გადავიფიქრე, ვამჯობინე ამ საქმეზე სიტყვაც არ დამცდენოდა.

_ გატყობთ, გიხარიათ, რომ მშორდებით.

_ სრულიადაც არა, ბესი. ახლა თითქმის ვწუხვარ კიდეც.

_ ახლა და ისიც თითქმის! რა გულგრილად ამბობს ამას ჩემი პატარა ქალბატონი. ისიც ვიცი, კოცნა რომ გთხოვო, უთუოდ უარს განმიცხადებთ და მეტყვით, _ უმჯობესია, არ გაკოცოო.

_ დიდი სიამოვნებით გაკოცებთ, ბესი. აბა, თავი დახარეთ! _ ბესი დაიხარა. ჩვენ გულწრფელად გადავეხვიეთ ერთმანეთს და, სრულიად დამშვიდებული, სახლში შევყევი. სრულ მყუდროებაში საღამო მშვიდად გავატარეთ. გვიან საღამოს ბესიმ ყველაზე საინტერესო ამბები მომითხრო და რამდენიმე ტკბილი სიმღერაც მიმღერა. ასე რომ, ცხოვრებამ ერთხელ ჩემთვისაც გამოიმეტა თავისი მანათობელი მზის შუქი.

თავი V

ცხრამეტ იანვარს, დილით, როდესაც საათმა ხუთჯერ დარეკა, ბესი სანთლით ხელში საკუჭნაოში შემოვიდა. მე უკვე თითქმის ჩაცმული დავუხვდი. მის მოსვლამდე დაახლოებით ნახევარი საათით ადრე ავდექი. ჩამავალი მთვარის შუქზე, რომლის სხივები ჩემი საწოლის ახლოს ვიწრო სარკმლიდან შიგნით იჭრებოდა, ხელ-პირი დავიბანე და ტანსაცმელი ჩავიცვი. იმ დღეს გეიტსჰედჰოლს ვეთხოვებოდი. უნდა გავყოლოდი ეტლს, რომელსაც ექვს საათზე ჩვენს ჭიშკართან უნდა ჩამოევლო. ჩემ გასაცილებლად მხოლოდ ბესი წამომდგარიყო; საბავშვო ოთახის ბუხარში ცეცხლი გაეჩაღებინა და საუზმეს მიმზადებდა. ისევე, როგორც ყველა სხვა ბავშვს, გამგზავრების წინ მღელვარების გამო ჭამა არ შემეძლო. ბესი ამაოდ მაძალებდა ჩემთვის მომზადებულ რძესა და პურს. ხელი ვერაფერს ვახლე. მან რამდენიმე ცალი ნამცხვარი ქაღალდში გამიხვია და სამგზავრო ჩანთაში ჩამიდო. მერე პალტო ჩამაცვა, ქუდი დამხურა; თვითონ შალში გაეხვია და საბავშვო ოთახიდან გამოვედით. მისის რიდის ოთახს ჩავუარეთ თუ არა, მკითხა:

_ ნუთუ არ შეხვალთ და არ გამოემშვიდობებით მისის რიდს, მის ჯეინ?

_ არა, წუხელ თქვენ რომ დაბლა ვახშმობდით, მისის რიდი ჩემ ოთახში შემოვიდა, საწოლს მოუახლოვდა და გამაფრთხილა, რომ წასვლისას არც ის და არც ჩემი ბიძაშვილები არ შემეწუხებინა. მათთვის დილის ძილი არ დამეფრთხო. თან ისიც დასძინა, უნდა მხსომებოდა, რომ ის ყოველთვის ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო და ამიერიდან ყველგან პატივისცემითა და მადლიერებით უნდა მომეხსენიებია.

_ თქვენ რაღა უპასუხეთ, მის?

_ არაფერი, სახეზე საბანი წავიფარე და კედლისკენ გადავბრუნდი.

_ ცუდად მოქცეულხართ, მის ჯეინ.

_ არა, ბესი, ძალიან კარგად მოვიქეცი. თქვენი ქალბატონი ჩემი მეგობარი არასოდეს ყოფილა, ის ყოველთვის ჩემი მტერი იყო.

_ ოჰ, მის ჯეინ, ნუ ამბობთ ამას!

_ ნახვამდის, გეიტსჰედო! _ წამოვიძახე, როდესაც დერეფანი გავიარეთ და წინა კარიდან გავედით.

მთვარე ჩასულიყო; უკუნეთს მოეცვა იქაურობა. ბესი გზას ფარნით ანათებდა. მისი შუქი სველ საფეხურებსა და მოხრეშილ გზაზე ციმციმებდა.

ზამთრის ცივი დილის სუსხი კბილს კბილზე მაცემინებდა და, რაც შემეძლო, მივიჩქაროდი. კარისკაცის ქოხში სინათლე მოჩანდა. შიგნით შევედით. მეუღლე ახალი ამდგარი ჩანდა, ცეცხლს ის იყო ანთებდა. ჩემი ბარგი ჯერ კიდევ წინა ღამით წამოიღეს და ახლა თასმებგადაჭერილი კარებთან შევნიშნე. ექვსს რამდენიმე წუთიღა აკლდა, სრულ ექვს საათზე კი შორიდან მომავალი დილიჟანსის ბორბლების ხმაურიც შემომესმა. კარებთან მივედი და დილიჟანსის ფარნების შუქს გავცქეროდი, რომელიც სიბნელეში სწრაფად გვიახლოვდებოდა.

_ მარტო გზავნით? _ იკითხა მეკარის ცოლმა.

_ დიახ.

_ შორს არის, სადაც მიდის?

_ აქედან ორმოცდაათი მილი იქნება.

_ ო, რა დიდი მანძილია! მიკვირს, ნუთუ მისის რიდს არ ეშინია, ასე შორს მარტოდმარტოს რომ აგზავნის.

მგზავრებით სავსე ოთხცხენიანი დილიჟანსიც მოვიდა და ჭიშკართან გაჩერდა. გამყოლი და მეეტლე ყვირილით გვაჩქარებდნენ. ჩემი ბარგი მაღლა შეაგდეს და ძლივს მომაშორეს ბესის, რომელსაც ვეხვეოდი და გაუთავებლად ვკოცნიდი.

_ აბა თქვენ იცით, როგორ გაუფრთხილდებით ამ ბავშვს, _ ეუბნებოდა ის გამყოლს, რომელმაც ხელში ამიყვანა და დილიჟანსში ჩამსვა.

_ კარგი, კარგი! _ გაისმა პასუხად. კარი მოაჯახუნეს; ვიღაცამ დაიძახა, წავედითო და დილიჟანსიც დაიძრა. ასე გამოვეთხოვე ბესის და გეიტსჰედს. მივეშურებოდი, როგორც მაშინ ვფიქრობდი, შორეული, იდუმალებით მოცული და სრულიად უცნობი სამყაროსაკენ.

ამ მოგზაურობიდან ცოტა რამ მახსოვს. მხოლოდ ის ვიცი, რომ დღე ძალიან გაგრძელდა და მომეჩვენა, თითქოს რამდენიმე ასეულ მილზე მეტი გავიარეთ. გავცდით რამდენიმე ქალაქს და ბოლოს ჩვენი დილიჟანსი ერთ-ერთ ძალიან დიდ ქალაქში გაჩერდა. ცხენები გამოუშვეს და მგზავრებიც გადმოვიდნენ, რომ ესადილათ. გამყოლმა საუზმის საჭმელად სასტუმროში შემიყვანა, მაგრამ მალევე დამტოვა, რადგან არაფრის ჭამა არ შემეძლო. დავრჩი ამ უზარმაზარ ოთახში და იქაურობის თვალიერება დავიწყე. ორივე მხარეს ბუხარი გიზგიზებდა. ჭერის შუაგულში დიდი ჭაღი ეკიდა; მაღლა ერთ-ერთ კედელზე შევნიშნე წითლადშეღებილი პატარა ქანდარა, რომელზედაც მრავალნაირი მუსიკალური საკრავი ეწყო. სასტუმროში დიდხანს ბოლთას ვცემდი და მთელი იმ ხნის განმავლობაში საშინელ შიშს განვიცდიდი. მეჩვენებოდა, რომ ვინმე შემოვიდოდა და მომიტაცებდა. ჯერ კიდევ მჯეროდა, რომ არსებობდნენ ავი სულები, რომლებიც ბავშვებს იტაცებდნენ. ასეთ ამბებს ბესი ხშირად გვიყვებოდა ხოლმე ცეცხლის პირას. ბოლოს გამყოლიც დაბრუნდა. ერთხელ კიდევ ჩამსვეს დილიჟანსში, ჩემი მფარველი მაღლა ავიდა; კოფოზე წამოჯდა; საყვირს ჩაჰბერა და დილიჟანსიც ქ. ლ-ს ქვაფენილზე ხმაურით გაუდგა გზას.

საღამო ბურუსიანი იყო და ცრიდა. ბინდი ჩამოწვა. ვიგრძენი, რომ მართლაც დიდი მანძილით დავშორდი გეიტსჰედჰოლს. უკვე აღარ გვიხდებოდა ქალაქებზე გავლა და მიდამოც გამოიცვალა. ახლა ჰორიზონტზე მაღალი რუხი გორაკები ჩნდებოდნენ. ბინდი სიბნელემ შეცვალა. მალე ჩვენ გავივაკეთ. გარშემო ტყეს დაებურა იქაურობა. მთელ იმ არემარეზე წყვდიადმა დაისადგურა და ძალიან დიდხანს მესმოდა, როგორ დათარეშობდა ძლიერი ქარი ხეებს შორის.

ქარის ზუზუნი ნანინასავით ჩამესმოდა ყურში და მალე ჩამეძინა. დიდხანს არ მძინებია. დილიჟანსის უეცარმა შეჩერებამ გამომაღვიძა. კარი უკვე გაეღოთ; ჩვენ წინ ვიღაც შევნიშნე. მსახურს მივამგვანე, რადგან ფარნის შუქზე ძლივს გავარჩიე მისი სახე და ტანსაცმელი.

_ არის აქ ვინმე პატარა გოგონა ჯეინ ეარი? _ იკითხა მან. მე ვუპასუხე _ დიახ-მეთქი, და ამ სიტყვებით ეტლიდან გადმომიყვანეს. ჩემი ბარგი ჩამოიღეს და ეტლიც მაშინვე დაიძრა.

დიდხანს ჯდომისაგან დავიხუთე; ბორბლების ხმაურმა და ჯანჯღარმა გამაბრუა. ბოლოს, როგორც იყო, ძალ-ღონე მოვიკრიბე და გარშემო მიმოვიხედე. მიუხედავად იმისა, რომ წვიმდა, ქარი ქროდა და ძალიან ბნელოდა, მაინც შევამჩნიე ჩემ წინ აღმართული რაღაც კედელი, რომელშიაც ღია კარი შევნიშნე. ჩემმა ახალმა გამყოლმა შიგნით შემიყვანა, მერე კარი მიხურა და გადაკეტა. ახლა უკეთ დავინახე, რომ ის ძალიან დიდი შენობა იყო და უამრავი ფანჯარა ჰქონდა, მაგრამ მაინც ვერ გეტყვით, ჩემ წინ ერთი სახლი იყო თუ სახლები. მხოლოდ რამდენიმე მათგანიდან გამოკრთოდა შუქი. გავყევით კენჭებით მოფენილ ფართო ბილიკს და მალე შესასვლელი კარის წინ აღმოვჩნდით. მსახურმა დერეფანში გამატარა; რომელიღაც ოთახში შემიყვანა, სადაც ცეცხლი გიზგიზებდა და მარტო დამტოვა.

ცეცხლს მივეფიცხე. გათოშილ ხელებს ვითბობდი და თან ოთახს ვათვალიერებდი. სანთელი არსად ჩანდა. მხოლოდ ბუხრის ალი აშუქებდა იქაურობას. მოციმციმე მკრთალ შუქზე დავინახე შპალერაკრული კედლები. მისაღები ოთახი ნოხით, ფარდებითა და პრიალა წითელი ხის ავეჯით მოერთოთ. რასაკვირველია, ის არ ჰგავდა გეიტსჰედჰოლის ფართო და დიდებულ სასტუმრო ოთახს, მაგრამ საკმაოდ კეთილმოწყობილი იყო. ვაკვირდებოდი კედელზე ერთ-ერთ სურათს და ვცდილობდი გამეგო მისი შინაარსი. ამ დროს კარი გაიღო და ოთახში სანთლით ხელში ვიღაც შემოვიდა. მას კიდევ სხვა ქალი მოჰყვებოდა უკან.

პირველი იყო მაღალი ლედი. როგორც შევნიშნე, მას შავი თმა, შავი თვალები, მაღალი შუბლი და ფერმკრთალი სახე ჰქონდა. მხრებზე შალი წამოესხა და მეტად სერიოზული გამომეტყველებით, წელში გამართული, ჩემკენ მოდიოდა.

_ ბავშვი პატარაა, როგორ გამოგზავნეს მარტო? _ წარმოთქვა მან და სანთელი მაგიდაზე დადგა. ერთი თუ ორი წუთი ყურადღებით მათვალიერა, მერე დაუმატა:

_ უმჯობესია, ახლავე ლოგინში ჩავაწვინოთ, _ შემდეგ მე მომიბრუნდა, მხარზე ხელი დამადო და მკითხა:

_ დაიღალე?

_ ოდნავ, ქალბატონო.

_ ალბათ გშია კიდეც, არა? მის მილერ, ავახშმეთ, სანამ დაიძინებდეს.

_ პირველად მოგაშორეს მშობლებს და სკოლაში გამოგგზავნეს, ჩემო პატარა გოგონა, არა?

მე ვუპასუხე, რომ მშობლები აღარ მყავდა. შემდეგ მან მკითხა, თუ როდის გარდაიცვალნენ ისინი; გამომკითხა წლოვანება, გვარი, სახელი და დაინტერესდა, შემეძლო თუ არა წერა, კითხვა და კერვა. ბოლოს ხელი ნაზად შეახო ჩემს სახეს და თქვა: იმედი მაქვს, კარგი ბავშვი იქნებაო, და მის მილერს გამაყოლა.

ლედი, რომელიც ოთახში დავტოვე, დაახლოებით ოცდაცხრა წლის იქნებოდა. მეორე კი, რომელმაც წამომიყვანა, რამდენიმე წლით მასზე უმცროსი ჩანდა. პირველის ხმამ, გარეგნობამ და სახის გამომეტყველებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მის მილერი კი სრულიად ჩვეულებრივ ადამიანად წარმომიდგა; მიუხედავად იმისა, რომ სახე ღაჟღაჟა ჰქონდა, გამომეტყველებაზე შეატყობდით, რომ უამრავი საზრუნავი გააჩნდა. სიარული და მოქმედება იმ ადამიანისა ჰქონდა, რომელსაც ყოველთვის აუარე-ბელი საქმე აწუხებს ხოლმე. ჩემს გულში გადავწყვიტე, რომ ის უმცროსი მასწავლებელი უნდა ყოფილიყო და, როგორც მოგვიანებით გავიგე, ჩემი აზრი მართალი გამოდგა. მის მილერი წინ მიდიოდა და ამ დიდსა და უთავბოლოდ ნაგებ შენობაში ერთი ადგილიდან მეორეზე, დერეფნიდან დერეფანში გადავყავდი. გავიარეთ თუ არა შენობის იმ ნაწილში, რომელიც სევდის-მომგვრელ მდუმარებას მოეცვა, უცებ ბავშვების ჟრიამული შემოგვესმა და ჩვენც მაშინვე საკმაოდ ფართო, გრძელ ოთახში შევედით. შესვლისთანავე შევნიშნე, რომ ოთახის თავსა და ბოლოში ნაძვის ხის დიდი მაგიდები იდგა. თითოეულ მაგიდაზე ორ-ორი სანთელი ენთო. მაგიდებს გარშემო საკმაოდ ბევრი, თითქმის ყოველნაირი წლოვანების, ასე ცხრა-ათი წლიდან ოცი წლის ასაკამდე, გოგონები შემოსხდომოდნენ. სახლში ჩამოქნილ ქონის სანთლის მკრთალ შუქზე მომეჩვენა, რომ ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ, თუმცა სინამდვილეში ოთხმოცს არ აღემატებოდნენ. ბავშვებს ერთნაირი, ძველებურ მოდაზე შეკერილი მდარე ხარისხის შალის კაბები ეცვათ ტილოს გრძელი წინსაფრებით. ეტყობა, მეცადინეობისათვის განკუთვნილ დროს შევედით, რადგან ყველა მათგანი მეორე დღისათვის გაკვეთილებს ბუტბუტით ერთად იმეორებდა. ხმაურიც, რომელიც შემომესმა, უეჭველია, ამით იყო გამოწვეული.

მის მილერმა მანიშნა, კარებთან ახლოს, ხის სკამზე დავმჯდარიყავი, თავად კი, შემოვიდა თუ არა, იქვე გაჩერდა და ხმამაღლა განაცხადა:

_ ჯგუფხელებო, წიგნები შეაგროვეთ და თავის ადგილას დააწყვეთ!

სხვადასხვა ადგილებიდან ოთხი მაღალი გოგონა წამოდგა; მაგიდებს შემოუარეს; სახელმძღვანელოები მოაგროვეს და წაიღეს. მის მილერმა კვლავ გასცა განკარგულება.

_ ჯგუფხელებო, ვახშმისათვის ლანგრები შემოიტანეთ!

მაღალი გოგონები გავიდნენ და მალევე დაბრუნდნენ. თითოეულ მათგანს სავსე ლანგარი ეჭირა ხელში, რომელზედაც რაღაც საჭმელი უკვე წინასწარ იყო განაწილებული. ლანგარზე წყლით სავსე სურა და თითო ტოლჩა იდგა. საჭმელი ჩამოარიგეს, ხოლო წყალს ყველა ბავშვი ერთი და იმავე ჭიქიდან სვამდა. ჩემი ჯერიც დადგა. ძალიან მწყუროდა და მხოლოდ წყალი მოვსვი. საჭმლისთვის კი ხელი არ მიხლია, აღელვებისა და დაქანცულობისაგან ჭამა არ შემეძლო; მხოლოდ ის შევნიშნე, რომ თხლად დაჭრილი შვრიის პური შემოიტანეს.

ვახშამი დამთავრდა თუ არა, მის მილერმა ლოცვები ჩაიკითხა და ჯგუფხელები გაათავისუფლა. შემდეგ ორ-ორად დაწყობილნი ზემოთ ავედით. ძალა არ შემწევდა საწოლი ოთახი დამეთვალიერებინა. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ეს ოთახი სამეცადინო ოთახივით გრძელი ჩანდა. იმ ღამეს მის მილერთან მეძინა და ტანსაცმლის გახდაშიაც ის მომეხმარა. ჩავწექი თუ არა, საწოლების გრძელ მწკრივს გადავხედე და შევნიშნე, რომ თითოეულ საწოლში ორ-ორი ბავშვი იწვა. ათ წუთში სინათლის შუქიც გაქრა და ამ სიჩუმესა და უკუნეთ სიბნელეში მალე ჩამეძინა.

ღამემ სწრაფად გაიარა. გზამ ისე დამღალა, სიზმარიც კი არ მინახავს. მხოლოდ ერთხელ გამეღვიძა. გაშმაგებული ქარის ზუზუნი და კოკისპირული წვიმის ხმა შემომესმა. მის მილერი უკვე ჩემ გვერდით იწვა. როცა მეორედ გავახილე თვალი, ზარის ხმამაღალი რეკვა ისმოდა. გოგონები უკვე ამდგარიყვნენ და იცვამდნენ. გარიჟრაჟი ჯერ კიდევ შორს იყო და ოთახს მხოლოდ ერთი თუ ორი სანთელი ანათებდა. მეც უხალისოდ წამოვდექი. სუსხიანი დილა იყო; სიცივისაგან მთლად აცახცახებულმა ძლივს მოვახერხე ჩაცმა. ხელ-პირი კი მხოლოდ მაშინ დავიბანე, როცა პირსაბანი ტაშტი განთავისუფლდა. ეს კი არც ისე იოლი იყო, რადგან ექვსი ბავშვი მხოლოდ ერთი ტაშტით სარგებლობდა. ეს ტაშტები ოთახის შუაგულში მოეთავსებინათ. ზარი კვლავ დარეკეს. ყველა ორ-ორად დაწყობილი ჩავედით კიბეზე და ცივსა და ოდნავ განათებულ ოთახში შევედით. იქ მის მილერმა კვლავ წაიკითხა ლოცვები და შემდეგ ხმამაღლა გასცა ბრძანება:

_ ჯგუფებად მოეწყვეთ!

ხმაური რამდენიმე წუთს კიდევ გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში მის მილერი განუწყვეტლივ იმეორებდა: _ სიჩუმე, დაწყნარდით!

სიჩუმე ჩამოვარდა და დავინახე, რომ გოგონები ოთხ ჯგუფად გაყოფილიყვნენ. თითოეულ ჯგუფს მაგიდების გარშემო სკამების წინ ოთხი ნახევარი წრე შეეკრა. ყველას წიგნი ეჭირა ხელში. მაგიდებზე კი თავისუფალი ადგილების წინ ეწყო სქელტანიანი წიგნები, რომლებიც ბიბლიას ჰგავდა. რამდენიმე წუთს სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ კვლავ მოისმა ხმადაბალი

კითხვით გამოწვეული გაურკვეველი ზუზუნი. მის მილერი ჯგუფებს შორის მიმოდიოდა და ცდილობდა დაეწყნარებინა ისინი. გაისმა შორეული ზარის წკრიალი. ოთახში მაშინვე სამი მასწავლებელი შემოვიდა. ისინი მაგიდებისაკენ გაემართნენ და ყველამ მისთვის განკუთვნილი ადგილი დაიკავა. კარებთან ახლოს, მეოთხე მაგიდასთან, იდგა კიდევ ერთი ცარიელი სკამი და მის მილერი სწორედ იქით გაეშურა. ამ მაგიდის ირგვლივ ყველაზე პატარა გოგონები შეკრებილიყვნენ. მეც ამ დაწყებით ჯგუფში ამომიკითხეს და ყველაზე ბოლოს დამაყენეს.

მეცადინეობა დაიწყო. დილის მოკლე ლოცვა და საღვთო წერილის რამდენიმე თავი გაგვამეორებინეს, ბოლოს დიდხანს გვიკითხავდნენ ნაწყვეტებს ბიბლიიდან, რომელიც ერთ საათს გაგრძელდა. მეცადინეობა დამთავრდა და თითქმის გათენდა კიდეც. ზარის ხმა ამჯერად უკვე მეოთხედ შემოგვესმა. კვლავ დავეწყვეთ და საუზმისათვის მეორე ოთახში შევედით; როგორ მიხაროდა, რომ, ბოლოს, შესაძლებლობა მომეცა საჭმელი მეჭამა! მე ხომ გუშინდელს აქეთ ლუკმა არ ჩამედო პირში და იმდენად დავსუსტდი, რომ შიმშილისაგან გული მიმდიოდა.

სასადილო ოთახი დიდი, მაგრამ დაბალჭერიანი და ბნელი იყო. ორ გრძელ მაგიდაზე ჯამები ჩაემწკრივებინათ. ორთქლის ჭავლმა მიმახვედრა, მათში ცხელი საჭმელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ჩემდა სავალალოდ, საჭმლის სუნმა ჭამის მადა მაშინვე დამიკარგა. საერთო უკმაყოფილება შევნიშნე, როდესაც ეს სუნი სხვა ბავშვებმაც იგრძნეს. პირველი ჯგუფიდან მოწინავე მწკრივებში, სადაც ის მაღალი გოგონები იდგნენ, ჩურჩული გაისმა.

_ საშინელებაა, ფაფა კვლავ მიმწვარია!

_ სიჩუმე! _ წამოიძახა ვიღაცამ. ეს უკვე მის მილერი კი არა, ერთ-ერთი მაღალი კლასის მასწავლებელი იყო, პატარა, შავგვრემანი, კოხტად ჩაცმული, მაგრამ არასასიამოვნო შესახედაობის ქალი. მას ერთ-ერთი სუფრის თავში დაეკავებინა ადგილი. მეორე მაგიდასთან კი უფრო წარმოსადეგი ლედი შევნიშნე. ამაოდ ვაცეცებდი თვალებს და იმ ქალს ვეძებდი, რომელიც წინა ღამით ვნახე. ის არსად ჩანდა. მის მილერმა მაგიდის ბოლოში დაიკავა ადგილი, სადაც მე ვიჯექი. ხოლო ხანში შესული ქალი კი, რომელიც უცხოელს წააგავდა და, როგორც შემდეგ შევიტყვე, ფრანგული ენის მასწავლებელი ყოფილიყო, მეორე მაგიდასთან დაჯდა. კვლავ წაგვიკითხეს გრძელი ლოცვა, ამას მოჰყვა გალობა და მხოლოდ ამის შემდეგ შემოუტანა მსახურმა მასწავლებლებს ჩაი და ჩვენც ჭამას შევუდექით.

შიმშილისაგან დასუსტებულმა რამდენიმე კოვზი ფაფა ისე გადავყლაპე, არც კი მიფიქრია, გემო გამესინჯა. შიმშილი ცოტათი დავიკმაყოფილე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რა უგემურ და გულისამრევ საჭმელს შევექცეოდი. მიმწვარი ფაფა დამპალ კარტოფილზე უარესია. თვით საშინელი შიმშილიც კი უძლურია მის წინაშე. კოვზების მოძრაობაზე შევატყვე, თითოეული ბავშვი რა უხალისოდ შეექცეოდა საჭმელს და ძალით ცდილობდა, თავისი წილი როგორმე გადაეყლაპა. გოგონების უმრავლესობამ საჭმელი ხელუხლებელი

დატოვა. მალე საუზმე დამთავრდა, მაგრამ არავინ დანაყრებულა. ლოცვები მაინც გვათქმევინეს, ღმერთს მადლობა შევწირეთ წყალობისათვის, თუმცა მშივრები დავრჩით. დამთავრდა თუ არა მეორე საგალობელი, სასადილოდან პირდაპირ საკლასო ოთახისაკენ გავეშურეთ. ყველაზე ბოლოს მე გამოვედი სასადილო ოთახიდან. მაგიდებს შორის მიმავალმა თვალი მოვკარი, რომ ერთ-ერთმა მასწავლებელმა თასი ხელში აიღო, ფაფას გემო გაუსინჯა და სხვა მასწავლებლებს გადახედა. ყველა მათგანის სახეზე უკმაყოფილება ამოვიკითხე. ერთმა მათგანმა, ყველაზე უფრო მსუქანმა მასწავლებელმა, ჩურჩულით ჩაილაპარაკა:

_ რა საძაგლობაა, ნუთუ არა რცხვენიათ?

გაკვეთილები დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში საკლასო ოთახში გამაყრუებელი ხმაური იდგა. როგორც ჩანს, ასეთ დროს გოგონებს ნებას აძლევდნენ ხმამაღლა, თავისუფლად ელაპარაკნათ და ისინიც ამ უფლებით სარგებლობდნენ. საუბარი საუზმეს ეხებოდა და თითოეული მათგანი თავის უმაყოფილებას გამოთქვამდა. საბრალო ბავშვები! აი, ერთადერთი ნუგეში, რითაც დარდს იქარვებდნენ. მასწავლებლებიდან ოთახში მხოლოდ მის მილერი დარჩა, რომელსაც უფროსი კლასის მოსწავლე გოგონები გარს შემოხვეოდნენ და სერიოზულად ელაპარაკებოდნენ. აღსაზრდელები მეტისმეტად აღელვებულნი ჩანდნენ. რამდენიმე მათგანმა მისტერ ბროკლჰერსტი ახსენა, რაზედაც მის მილერი უარის ნიშნად თავს აქნევდა და მაინცდამაინც დიდად არ ცდილობდა საერთო გულისწყრომისა და მღელვარებისათვის ხელი შეეშალა: უეჭველია, თვითონაც იზიარებდა მათ აზრს.

საკლასო ოთახში საათმა ცხრაჯერ დარეკა. მის მილერმა გარშემოხვეული გოგონები მიატოვა, ოთახის შუაგულში დადგა და ხმამაღლა განაცხადა:

_ სიწყნარე! ადგილებზე!

წესრიგი დამყარდა. აურზაური შეწყდა და ხუთ წუთში სიჩუმე ჩამოვარდა. უფროსი კლასის მასწავლებლებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს, მაგრამ ყველა მათგანი თითქოს რაღაცას უცდიდა. ოთახში, ორივე მხარეს, ხის გრძელ სკამებზე წელში გამართული ოთხმოცი გოგონა იჯდა გაუნძრევლად. უცნაური სანახავი იყო მთელი ეს კრებული: თმა ყველას სადად ჰქონდა დავარცხნილი, ერთ კულულსაც კი ვერავის შეამჩნევდით. ყელს უფარავდათ მაღალი, მაქმანშემოვლებული მრგვალი საყელოები. ყველას ყავისფერი კაბა ეცვა, თითოეულ მათგანს ხელსაქმისათვის განკუთვნილი ტილოს პატარა ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული (ეს ჩანთები მთიელი შოტლანდიელების ქისებს მიაგავდა). ფეხთ შალის მაღალყელიანი წინდები და სოფელში შეკერილი ფეხსაცმელი ეცვათ, რომელიც ბრჭყვიალა თითბრის აბზინდებით იკვრებოდა. დაახლოებით ოცზე მეტი ზრდასრული გოგონაც ასევე იყო გამოწყობილი. ეს ტანსაცმელი სრულებით არ უხდებოდათ და თვით ყველაზე მშვენიერთაც კი რაღაც უცნაურ იერს აძლევდა.

ვათვალიერებდი მათ და ხანგამოშვებით მასწავლებლებსაც ვაკვირდებოდი. არც ერთი მათგანი არ მომწონდა. მათ შორის ყველაზე მსუქანი უხეში მეჩვენებოდა, შავგვრემანი _ მეტად ანჩხლი, უცხოელი _ სასაცილო და, ამასთანავე, მკაცრი, ლოყებღაჟღაჟა მის მილერი კი მეტად საბრალო ჩანდა: მუშაობით გადაღლილი, მრავალი ჭირის მნახველის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ისევ მათ ვათვალიერებდი, როდესაც ყველა მათგანი უცებ ფეხზე წამოდგა, თითქოს რაღაც ძალამ წამოაყენაო.

რა მოხდა? არავითარი ბრძანება არ გამიგონია და ვიდრე გავერკვეოდი, კვლავ დასხდნენ. ყველა ერთ მხარეს იყურებოდა. მეც თვალი მათ მზერას გავაყოლე და დავინახე ლედი, რომელმაც გასულ ღამეს სასწავლებელში მიმიღო. ოთახში ცეცხლი ორივე მხარეს გაეჩაღებინათ ბუხრებში და ისიც ერთ-ერთ მათგანთან ოთახის ბოლოში გაჩერდა. ახალშემოსულს, რომელიც აუღელვებლად და დინჯად ათვალიერებდა აღსაზრდელთა მწკრივებს, მის მილერი მიუახლოვდა და, როგორც ჩანს, რაღაც ჰკითხა. როცა პასუხი მიიღო, უკან გამობრუნდა და თავის ადგილას დადგა. შემდეგ კი ხმამაღლა განაცხადა:

_ პირველი ჯგუფის ჯგუფხელებო, გლობუსები შემოიტანეთ!

სანამ გაცემული ბრძანება შესრულდებოდა, ახალშემოსული ლედი დინჯად გაემართა ოთახის მოპირდაპირე მხრისაკენ. პატივისცემის გრძნობა საერთოდ დიდად იყო განვითარებული ჩემში და ახლაც ნათლად მახსოვს ის თაყვანისცემა, რომლითაც განვიმსჭვალე მისდამი და ყოველ მის მოძრაობას მოწიწებით ვადევნებდი თვალს. დღის სინათლეზე გარკვევით დავინახე, რომ ის მაღალი, ტანადი და მშვენიერი ქალი იყო. მისი კეთილი მუქი წაბლისფერი თვალები და გრძელი წამწამები უფრო მკვეთრად აჩენდნენ მაღალი შუბლის სითეთრეს. ორივე მხარეს საფეთქლებზე მუქი წაბლისფერი თმა მშვენიერ კულულებად ეფინებოდა (მაშინ მოდაში არ იყო არც ძალიან გრძელი კულულები და არც უკან გვირგვინად ჩახვეული თმა). შავი ხავერდით გაწყობილი მეწამული ფერის კაბაც უკანასკნელი მოდის მიხედვით შეკერილი ეცვა. სარტყელზე ოქროს საათი უბრწყინავდა (საათებს მაშინ ძალიან იშვიათად ხმარობდნენ, ვიდრე ახლა). დაე, მკითხველმა ამას თავად დაუმატოს მისი მშვენიერი სახის ნაკვთები, სპილოსძვლისფერი ნათელი კანი, წარმოსადეგი ტანადობა, ამ აღნაგობის შესატყვისი მიხრა-მოხრა, რომელშიც ზომიერი სიამაყეც ჩანდა და, რამდენადაც ჩემ სიტყვებს შეუძლიათ გადმოგცეთ, თქვენ თვალწინ დაგიდგებათ მის ტემპლის სურათი. _ მარია ტემპლი, ასე ამოვიკითხე ერთხელ მის ლოცვანზე, როდესაც მენდვნენ და ეს წიგნი ეკლესიაში გამატანეს.

ლოვუდის სასწავლებლის ზედამხედველი (ამ საქმეს განაგებდა ეს ლედი) მაგიდასთან დაჯდა, რომელზედაც ორი გლობუსი იდგა, და გამოიძახა პირველი ჯგუფის აღსაზრდელები. განკარგულება გასცა, რომ მის ირგვლივ დამსხდარიყვნენ და გეოგრაფიის გაკვეთილი დაიწყო. დაბალი ჯგუფის აღსაზრდელებიც გამოიძახეს. ისტორიის, გრამატიკისა და სხვა საგნების გაკვეთილები ერთ საათს გაგრძელდა, რასაც მართლწერისა და არითმეტიკის

გაკვეთილები მოჰყვა. ხოლო მუსიკის გაკვეთილი მის ტემპლმა რამდენიმე გოგონას ჩაუტარა. თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა განსაზღვრული იყო და როცა საათმა თორმეტი დარეკა, მის ტემპლიც წამოდგა:

_ მსურს რამდენიმე სიტყვა ვუთხრა აღსაზრდელებს, _ განაცხადა მან. ის იყო შესვენებისთვის ჩვეული ხმაური იწყებოდა, რომ მისი ხმის გაგონებისთანავე სიჩუმე ჩამოვარდა და მანაც განაგრძო:

_ ამ დილით თქვენ ისეთი საუზმე გქონდათ, რომ ჭამა ვერ შესძელით, ალბათ ისევ გშიათ. განკარგულება გავეცი, საუზმედ პური და ყველი მოგიტანონ.

მასწავლებლებმა განცვიფრებით შეხედეს.

_ ეს ჩემი პასუხისმგებლობით მოხდება, _ დაუმატა მან, რათა მათთვის საქმის ვითარება განემარტა და შემდეგ ოთახიდან სწრაფად გავიდა.

პური და ყველი მაშინვე შემოიტანეს და დაგვირიგეს. ყველა დანაყრდა და დიდად ნასიამოვნები დარჩა. ამას მოჰყვა განკარგულება:

_ ბაღში! _ ბავშვებმა თავზე დაიხურეს უბრალო ფერად-ფერადბაფთიანი ჩალის ქუდები და უხეში ქსოვილის რუხი ლაბადები წამოისხეს. მეც ასევე გამოვეწყვე და საერთო დინებას გავყევი ბაღისაკენ სუფთა ჰაერზე.

ბაღს გარშემო იმ სიმაღლე კედელი ჰქონდა შემოვლებული, რომ იმის იქით ყოვლად შეუძლებელი იყო რაიმეს დანახვა. ერთ მხარეს გადახურული ვერანდა მოჩანდა. ბაღის შუა ნაწილი ყვავილნარის პატარ-პატარა კვლებად იყოფოდა და ფართო ხეივნებითა და ბილიკებით იყო შემოსაზღვრული. ამ კვლებს აღსაზრდელები ამუშავებდნენ. თითოეულ კვალს თავისი მომვლელი ჰყავდა მიჩენილი. ალბათ, როცა ბაღი ყვავილებით იფარებოდა, ეს კვლები მეტად ლამაზი სანახავი იქნებოდა. მაგრამ ახლა, იანვრის მიწურულს, ყველაფერი ზამთრის სუსხს მოესპო და დაეჭკნო. გარშემო მიმოვიხედე; კანკალმა ამიტანა; ისეთი ცივი დღე იყო, რომ გარეთ სეირნობა არც კი შეიძლებოდა. მართალია, არ წვიმდა, მაგრამ ოდნავ ჟინჟღლავდა; დედამიწა გუშინდელი ღვართქაფის მერე ჯერ კიდევ სველი იყო; მოყვითალო ბურუსს იქაურობა ჩამოებნელებინა. გოგონებს შორის უფრო ჯანმრთელნი დარბოდნენ და თამაშობდნენ, მაგრამ ფერმკრთალ და სუსტ ბავშვებს თავი ერთად მოეყარათ და სითბოსა და თავშესაფარს აივნის ქვეშ ეძებდნენ. ხოლო, როდესაც ჩამოწოლილი ბურუსის სუსხი აკანკალებულ ბავშვებს ძვალ-რბილში გაუჯდათ, რამდენჯერმე გავიგონე ყრუ ხველების ხმა.

ჯერ კიდევ არავის დავლაპარაკებოდი. როგორც ჩანდა, არც ისინი მაქცევდნენ ყურადღებას. ვიდექი განმარტოებული, მაგრამ განმარტოებას ხომ მიჩვეული ვიყავი და ეს დიდად არ მაწუხებდა. აივნის სვეტს მივეყრდენი, ჩემი ნაცრისფერი წამოსასხამი მაგრად შემოვიხვიე ტანზე და ვცდილობდი, არ მეფიქრა სიცივეზე, რომელიც ძვალ-რბილში მატანდა. მინდოდა, ფიქრით და გარემოს თვალიერებით გავრთობილიყავი, დამევიწყებინა შიმშილი, რომელიც შიგნეულს მიღრღნიდა. ჩემი ფიქრები იმდენად ბუნდოვანი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი იყო, რომ საჭიროდ არ მიმაჩნია გადმოგცეთ. ჯერ კიდევ ვერ

გამერკვია, სად ვიყავი. მეჩვენებოდა, თითქოს გეიტსჰედი და ჩემი წარსული ცხოვრება ერთმანეთს განუზომელი მანძილით დაშორდნენ. აწმყო ბუნდოვანი და შეუცნობელი იყო, ხოლო რაც შეეხება მომავალს, მასზე წარმოდგენაც არ მქონდა. თვალი მოვავლე ირგვლივ ბაღს, რომელიც ქალთა მონასტრის ბაღს მაგონებდა და შემდეგ მზერა სახლზე გადავიტანე, რომლის ერთი ნახევარი მეტად ძველი და ჟამთა ვითარებისაგან გახუნებული მოჩანდა, მეორე კი სრულიად ახალი. ამ ახალ ნაწილში მოთავსებული იყო საკლასო ოთახები და საერთო საცხოვრებელი. მისი ცხაურა ვიწრომინიანი ფანჯრები შენობას ეკლესიის იერს აძლევდა. კარებზე გაკრული ქვის აბრაზე ეწერა:

«ლოვუდის უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი _ შენობის ეს ნაწილი აღდგენილია ამავე საგრაფოს წარმომადგენლის ნაომი ბროკლჰერსტის მიერ». «დაე, ასევე ნათობდეს თქვენი ნათელი კაცთა წინაშე, რათა ისინი ხედავდნენ თქვენს კეთილ საქმეებს და ადიდებდნენ მამას თქვენსას ზეციერს. მათეს სახარება, 5, 16.»

რამდენჯერმე გადავიკითხე ეს სიტყვები. ვიგრძენი, ვინმეს ახსნა-განმარტების გარეშე ძალა არ შემწევდა გამეგო მათი აზრი. ჯერ ისევ ვფიქრობდი წარწერაზე: «თავშესაფარი» და ვცდილობდი მეპოვნა რაიმე კავშირი წარწერის პირველ სიტყვებსა და სახარებიდან ამოღებულ სტროფებს შორის, რომ სწორედ ჩემ უკან ხველის ხმა გავიგონე. იძულებული გავხდი თავი მომებრუნებინა. ჩემთან სულ ახლოს გოგონა დავინახე. ქვის სკამზე იჯდა, წიგნს ჩაჰყურებდა და, ეტყობოდა, ყურადღებით კითხულობდა. სადაც ვიდექი, იქიდანვე გავარჩიე წიგნის სათაური. ეს იყო «რასელასი». სათაური უცნობი იყო ჩემთვის და ამიტომაც დამაინტერესა. როცა მან წიგნი გადაშალა, შემთხვევით ზევით აიხედა და მეც მაშინვე გამოველაპარაკე.

__საინტერესო წიგნია? _ უკვე გადაწყვეტილი მქონდა მეთხოვნა წიგნი რამდენიმე დღით.

_ მე მომწონს, _ მიპასუხა მან რამდენიმე წამის შემდეგ, ამ ხნის განმავლობაში კი ის მათვალიერებდა.

_ რა წერია შიგ? _ კვლავ შევეკითხე მე. არ ვიცი, როგორ მეყო გამბედაობა პირველს დამეწყო საუბარი უცნობ გოგონასთან. ამგვარი რამ სრულიად უჩვეულო იყო ჩემი ბუნებისა და საქციელისათვის. ძალიან მომეწონა, რომ ის ასე გატაცებით კითხულობდა, მეც ხომ მიყვარდა კითხვა. ჯერ მხოლოდ მარტივ საბავშვო წიგნებს ვკითხულობდი, რადგან არ შემეძლო ჩავწვდომოდი და გამეგო უფრო სერიოზული წიგნების შინაარსი.

_ შეგიძლიათ გადაავლოთ თვალი, _ მიპასუხა გოგონამ და წიგნი გამომიწოდა. წიგნი გადავათვალიერე, ერთი თვალის გადავლებითაც დავრწმუნდი, რომ შინაარსი ნაკლებად მიმზიდველი უნდა ყოფილიყო, ხოლო მისი სათაური «რასელასი» უინტერესო და მოსაწყენი იყო ჩემი განუვითარებელი გემოვნებისათვის. შიგ არაფერი იყო ნათქვამი არც ფერიებზე და არც ბოროტ სულებზე; ამ წვრილი შრიფტით ნაბეჭდ წიგნში ვერც ფერად-ფერად სურათებს აღმოაჩენდით. წიგნი უკან დავუბრუნე, მან მშვიდად

გამომართვა და უსიტყვოდ გადაშალა. ის იყო კვლავ გატაცებით უნდა დაეწყო კითხვა, რომ გავბედე და შევეკითხე:

_ ხომ ვერ მეტყვი, რას ნიშნავს ის წარწერა იმ ქვის აბრაზე, კარებზე რომ არის გაკრული? რას ნიშნავს ლოვუდის თავშესაფარი?

_ ეს ის სახლია, სადაც შენ მოხვედი საცხოვრებლად.

_ რატომ უწოდებენ მას თავშესაფარს? განა ის რაიმეთი განსხვავდება სხვა სასწავლებლისაგან?

_ ის სანახევროდ სამოწყალო სასწავლებელია, შენ, მე და ყველა დანარჩენი აქ მყოფი ბავშვი, სამადლოდ აღსაზრდელი ბავშვები ვართ. შენ ობოლი ხარ, ალბათ. დედა გყავს მკვდარი თუ მამა?

_ ისინი ისე ადრე გარდაცვლილან, რომ არც ერთი მათგანი არ მახსოვს.

_ ყველა აქ მყოფ გოგონას ან დედა არა ჰყავს ან მამა, ან სულ არა ჰყავთ მშობლები. აი, ამიტომ უწოდებენ ამ სახლს ობოლთა აღსაზრდელ თავშესაფარს.

_ ჩვენ ფულს არ ვიხდით? უფასოდ გვინახავენ?

_ ან ჩვენ ვიხდით, ან ჩვენი ნათესავ-მეგობრები, თითოეულ ჩვენგანზე თხუთმეტ გირვანქა სტერლინგს.

_ მაშ რისთვის გვიწოდებენ სხვის მოწყალებაზე მყოფ ბავშვებს?

_ იმიტომ, რომ თხუთმეტი გირვანქა სტერლინგი საკმარისი არ არის ჩვენი კვებისა და სწავლისათვის. დანარჩენ თანხას ქველმოქმედნი აგროვებენ ხელისმომწერთა შორის.

_ ვინ არიან ეს ქველმოქმედი ადამიანები?

_ კეთილმოსურნე ქალბატონები და ჯენტლმენები ლონდონისა და მის მეზობლად მდებარე საგრაფოებიდან.

_ ვინ იყო ნაომი ბროკლჰერსტი?

_ როგორც აბრა გვამცნობს, ეს იყო ლედი, რომელმაც შენობის ახალი ნაწილი ააშენა, ვისი ვაჟიშვილიც განაგებს და მეთვალყურეობას უწევს აქ ყველაფერს.

_ რატომ?

_ იმიტომ, რომ ის არის ამ დაწესებულების მფლობელიც და მმართველიც.

_ მაშ ეს სახლი არ ეკუთვნის იმ მაღალ ლედის, რომელიც საათს ატარებს და რომლის ბრძანებით დღეს პური და ყველი დაგვირიგეს?

_ მის ტემპლს? ო, არა! ნეტავი ასე ყოფილიყო. ის ვალდებულია ყველა აქაურ საქმეზე პასუხი აგოს მისტერ ბროკლჰერსტის წინაშე. მისტერ ბროკლჰერსტი თვითონ ყიდულობს ჩვენთვის სურსათ-სანოვაგეს და ტანსაცმელს.

_ ის აქ ცხოვრობს?

_ არა, ის დიდ სახლში ცხოვრობს, რომელიც ორი მილითაა დაშორებული აქედან.

_ კეთილი ადამიანია?

_ სასულიერო პირია და ამბობენ, ბევრ კეთილ საქმესაც აკეთებსო.

_ მაშ შენ ამბობ, რომ იმ მაღალი ქალის გვარი მის ტემპლია?

_ დიახ.

_ დანარჩენი მასწავლებლების გვარებიც იცი?

_ წითელლოყებიანი მის სმიტია. ის ხელსაქმესა და ჭრა-კერვას გვასწავლის. ჩვენ აქ თვითონვე ვიკერავთ ტანსაცმელს, წამოსასხამებს, პალტოებსა და საერთოდ ყველაფერს. შავთმიანი დაბალი მასწავლებელი მის სკეჩერდია, ის ასწავლის გრამატიკას, ისტორიას და ეხმარება მეორე კლასს გაკვეთილების მომზადებაში. ის კი, რომელიც მუდამ შალმოხურულია და ჯიბის ცხვირსახოცი ყვითელი ბაფთით გვერდზე აქვს დამაგრებული, მადამ პიეროა. ის საფრანგეთიდან, ლილიდანაა და ფრანგულს ასწავლის.

_ მოგწონს მასწავლებლები?

_ საკმაოდ.

_ შენ მოგწონს ეს პატარა შავგვრემანი ქალი მადამ... მე შენსავით კარგად ვერ გამოვთქვამ მის გვარს.

_ მის სკეჩერდი ფიცხია. გაფრთხილდი, არ აწყენინო. მადამ პიერო კი ცუდი ადამიანი არ არის.

_ მაგრამ მის ტემპლი ყველაზე უკეთესია, არა?

_ მის ტემპლი ძალიან კარგია და ჭკვიანი, ის სხვებზე მაღლა დგას და გაცილებით სხვებზე მეტი იცის.

_ დიდი ხანია აქა ხარ?

_ ორი წელია.

_ ობოლი ხარ?

_ დედა არა მყავს.

_ ბედნიერი ხარ აქ?

_ ძალიან ბევრს მეკითხები. ამჯერად საკმარისია, ახლა უნდა წავიკითხო.

ამ დროს გაისმა ზარის ხმა, რომელმაც სადილობა გვამცნო. ყველანი შენობაში შევედით. მადის აღმძვრელი სურნელება, რომლითაც სავსე იყო სასადილო ოთახი, ახლა ოდნავ მეტად თუ აღიზიანებდა ჩვენს ყნოსვას დილის საუზმესთან შედარებით. ორი უზარმაზარი თუნუქის ჭურჭლით შემოიტანეს სადილი, რომელსაც ორთქლის მოსქო ჭავლი და მძაღე ქონის სუნი ასდიოდა.

მაშინვე შევნიშნე, რომ ძველი ხორცის ნაჭრები და უგემური კარტოფილი ერთმანეთში აერიათ, მოეხარშათ და წვენი მისგან დაემზადებინათ. თითოეულმა აღსაზრდელმა ამჯერად საკმაოდ უხვად მიიღო თავისი წილი. ძალით ვჭამდი და თან ვფიქრობდი, ნუთუ ყოველდღე ასეთი საჭმლით გაგვიმასპინძლდებოდნენ. სადილის შემდეგ მაშინვე დავბრუნდით საკლასო ოთახებში. გაკვეთილები განახლდა და მეცადინეობა ხუთ საათამდე გაგრძელდა. კიდევ ერთი საყურადღებო ამბავი მოხდა ნაშუადღევს. გოგონა, რომელსაც მე გამოველაპარაკე ვერანდაზე, მის სკეჩერდმა გამოაგდო ისტორიის გაკვეთილიდან და უბრძანა, დიდი სასკოლო ოთახის შუა ადგილას დამდგარიყო. ასეთი სასჯელი მეტად სამარცხვინოდ მეჩვენა, განსაკუთრებით ასეთი დიდი გოგონასათვის. ის მაშინ ცამეტი წლის ან უფრო მეტისაც იქნებოდა. ვფიქრობდი, მის სახეზე უდიდესი მწუხარება და სირცხვილი

აღიბეჭდებოდა, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, ის არც ტიროდა და არც წითლდებოდა, თუმცა დანაღვლიანებული იყო, მაგრამ მაინც მშვიდად იდგა ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას.

«როგორ შეუძლია ყოველივე ამის ატანა ასე მშვიდად და მტკიცედ? _ ვეკითხებოდი ჩემს თავს. მის ადგილას ვისურვებდი მიწა გამსკდომოდა და თან ჩავეტანე. ის კი ისე გამოიყურებოდა, თითქოს სრულიად სხვა რამეზე ფიქრობდა და არა საკუთარ სასჯელზე. დიახ, სრულიად სხვა რამეზე, რაც მას არ ეხებოდა. გამიგონია, რომ სიზმრებს ზეზეურად ხედავენ და ნუთუ მასაც ასე დაემართა? თვალმოუშორებლად დასჩერებოდა იატაკს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მას მაინც ვერ ხედავდა. ის მხოლოდ თავის სულის სიღრმეში იყურებოდა. ეტყობა, მოგონებებმა გაიტაცა და ვერ ამჩნევდა, რაც მის თავს სინამდვილეში ხდებოდა. ნეტავი გამაგებინა, როგორი ბავშვია: კარგი თუ ცუდი?

ხუთ საათზე ისევ შემოგვიტანეს საჭმელი: ერთი ფინჯანი ყავა და პატარა ნაჭერი შავი პური. სიამოვნებით შევექეცი, მაგრამ ძალიან გამიხარდებოდა, უფრო მეტი რომ ყოფილიყო. სანახევროდ მშიერი ვიყავი. ჭამის შემდეგ ნახევარი საათი დაგვასვენეს, შემდეგ ისევ ვიმეცადინეთ. მერე თითო ჭიქა წყალი და შვრიის პური მოგვიტანეს. ბოლოს კი ვილოცეთ და დავიძინეთ. აი, ასე ჩაიარა ჩემმა პირველმა დღემ ლოვუდში.

თავი VI

მეორე დღეც წინა დღესავით დაიწყო. ისევ სანთლის შუქზე ავდექით და ჩავიცვით; მხოლოდ იმ დილით იძულებული გავხდით ხელ-პირის დაბანაზე უარი გვეთქვა, დოქებში წყალი გაყინული დაგვხვდა. ჩრდილო-აღმოსავლეთის სუსხიანი ქარი მთელი ღამის განმავლობაში ძლიერად გასწიოდა ჩვენი საწოლი ოთახის ფანჯრების ჭუჭრუტანებში. სიცივისაგან ლოგინში გვაცახცახებდა. სუსხიან ქარს დოქებში წყალი ყინულად ექცია.

სანამ ლოცვებისა და სახარების კითხვისათვის განკუთვნილი საათ-ნახევარი გავიდოდა, მთლად გავითოშე. დაბოლოს, როგორც იქნა, საუზმის დრო დადგა. ამ დილით ფაფა არ იყო მიმწვარი. მისი ჭამა შეიძლებოდა, მაგრამ ძალიან ცოტა მოგვიტანეს. ოჰ, როგორ ცოტა მეჩვენა ჩემი წილი. ორი იმდენიც რომ ყოფილიყო, ალბათ სიამოვნებით შევჭამდი!

ამავე დღეს მეოთხე ჯგუფის სიაში შემიტანეს. ახლა მეც ყოველდღე უნდა მომემზადებინა გაკვეთილები და გამეკეთებინა ის, რაც ყველა აღსაზრდელს ევალებოდა. აქამდე მხოლოდ მაყურებელი ვიყავი და ვათვალიერებდი ყოველივეს, რაც ლოვუდში ხდებოდა; ამ წუთიდან კი მისი აქტიური მონაწილე გავხდი. ზეპირობას მიუჩვეველს თავდაპირველად მეჩვენებოდა, რომ გაკვეთილები საკმაოდ ვრცელი და ძნელიც იყო. საგნების ხშირმა ცვლამ ხომ მთლად დამაბნია. როგორ გამიხარდა, როცა ნაშუადღევს, დაახლოებით სამ

საათზე, მის სმითმა ხელში მომაჩეჩა ორი იარდის სიგრძის მარმაშის არშია, ნემსი, სათითე, მიბრძანა დავმჯდარიყავი სადმე, საკლასო ოთახის წყნარ კუთხეში და მარმაშისათვის ამომეხვია. სხვა დანარჩენი აღსაზრდელების უმეტესობა ამ დროს კერვით იყო გართული. მხოლოდ ერთი კლასის გოგონები ჯერ კიდევ მის სკეჩერდის სკამის ირგვლივ იდგნენ და კითხულობდნენ. ოთახში სიჩუმე იყო. ისმოდა, რას კითხულობდნენ, როგორ პასუხობდა თითოეული მოსწავლე და მის სკეჩერდის ქებას თუ გაკიცხვას იმსახურებდა. ინგლისის ისტორიის გაკვეთილი ტარდებოდა. მოპასუხეთა შორის თვალი მოვკარი ჩემ ნაცნობ გოგონას, რომელსაც ვერანდაზე გამოველაპარაკე. გაკვეთილის დაწყებისას ის ყველაზე წინ იდგა აღსაზრდელთა შორის, მაგრამ გამოთქმაში რამდენიმე შეცდომისა, თუ სასვენ ნიშნებზე ყურადღების გაუმახვილებლობის გამო, უცებ კლასის ბოლოში დააყენეს. ასეთ დამამცირებელ ადგილზეც კი მის სკეჩერდი მას თვალს არ აცილებდა და შენიშვნას შენიშვნაზე აძლევდა. ხან კი შემდეგი სიტყვებით მიმართავდა:

_ ბერნს (ეტყობა, ეს მისი გვარი იყო. აქ გოგონებს გვარით მიმართავდნენ, ისევე, როგორც მოსწავლე ვაჟებს მიმართავენ ხოლმე საერთოდ), ფეხი გაასწორე, გვერდზე ნუ დგამ. ფეხის წვერები შემოატრიალე, როგორც წესია. ნიკაპი როგორ წინ გამოგიშვერია, გასწორდი, გიბრძანებ, მაღლა ასწიე თავი. ნებას არ მოგცემ, ასე იდგე ჩემ წინ და ა.შ. და ა.შ.

ერთი თავი ორჯერ წაიკითხეს, შემდეგ წიგნები დახურეს და მასწავლებელმა გამოკითხვა დაიწყო. გაკვეთილი ჩარლზ პირველის მეფობას ეხებოდა. კითხვები მრავალნაირი იყო: წყალწყვა, გადასახადები, გემთმშენებლობისათვის გაწეული ხარჯები და სხვა. მოსწავლეთა უმრავლესობას უძნელდებოდა ასეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. მაგრამ როგორც კი კითხვა ბერნსამდე მოაღწევდა, პატარა სიძნელეც კი მაშინვე ქრებოდა და პასუხს სწრაფად იძლეოდა. ჩანდა, ამ გოგონას გონებაში კარგად აღიბეჭდა გაკვეთილის დედაარსი და ამიტომაც მზად იყო ყველა კითხვაზე პასუხი გაეცა. მოველოდი, რომ მის სკეჩერდი შეაქებდა ყურადღებიანობისათვის, მაგრამ ამის ნაცვლად მან უეცრად წამოიძახა:

_ შე ბინძურო და საძაგელო ბავშვო! ამ დილით ფრჩხილებიც კი არ გაგისუფთავებია.

ბერნსმა არაფერი უპასუხა. მისმა დუმილმა გამაოცა.

«რატომ? _ ვფიქრობდი, _ განა არ შეუძლია აუხსნას, რომ ამ დილით მას არ შეეძლო ფრჩხილების გასუფთავება და არც პირის დაბანა. წყალი ხომ გაყინული დაგვხვდა?»

ჩემი ყურადღება მის სმითმა მიიპყრო. მან ნართის შულო დამაჭერინა. ის თან ძაფს ახვევდა და თან დროგამოშვებით მეკითხებოდა, ვყოფილვარ თუ არა სკოლაში წინათ, შემეძლო თუ არა კერვა, ქსოვა, ქარგვა, ამოხვევა და სხვა. სანამ არ გამათავისუფლა, არ შემეძლო კვლავ თვალყური მედევნებინა მის სკეჩერდის საქმიანობისათვის. როდესაც ჩემ ადგილს დავუბრუნდი, ის უკვე რაღაც ბრძანებას იძლეოდა, რომლის აზრი მე ვერ გავიგე. ბერნსმა მაშინვე

დატოვა საკლასო ოთახი, გაემართა პატარა ოთახისაკენ, სადაც წიგნები ინახებოდა და იმწამსვე უკან დაბრუნდა. ხელში ეკავა რამდენიმე ერთად შეკრული წკეპლა. ეს ავისმომასწავებელი იარაღი მოკრძალებული რევერანსით ბერნსმა მის სკეჩერდს გადასცა. შემდეგ წყნარად, უსიტყვოდ მოიხსნა წინსაფარი და მასწავლებელმაც მაშინვე თორმეტჯერ დაუზოგავად დაჰკრა ზურგზე ერთ კონად შეკრული წკეპლები. ბერნსს ერთი ცრემლიც კი არ ჩამოვარდნია თვალზე. კერვა შევწყვიტე. ამის შემყურეს სიბრაზისაგან ხელები მიცახცახებდა. ბერნსის დაფიქრებულ სახეზე ნაკვთიც არ შენძრეულა; არც ჩვეულებრივი გამომეტყველება შეუცვლია.

_ ჯიუტო ბავშვო! _ წამოიძახა მის სკეჩერდმა, _ ვერაფერი გამოასწორებს შენს ბინძურ ჩვევებს. ახლავე უკან წაიღე წკეპლები.

ბერნსი დაემორჩილა. სწორედ მაშინ შევხედე მას დაკვირვებით, როცა ის იმ ოთახიდან გამოდიოდა, სადაც წიგნებს ინახავდნენ. ცხვირსახოცს ჯიბეში იდებდა და ცრემლის კვალი ოდნავღა უბზინავდა გამხდარ ღაწვზე.

ლოვუდში ყველაზე სასიამოვნო დროდ საღამო ხანს თამაშისათვის განკუთვნილ საათებს ვთვლიდი. ერთი ნაჭერი პური და ერთი ყლუპი ყავა, რომელსაც ხუთ საათზე გვაძლევდნენ, შიმშილს თუ არ გვიკმაყოფილებდა, ცოტათი მაინც გამოგვაცოცხლებდა და ძალას შეგვმატებდა ხოლმე. მთელი დღის მეცადინეობით გამოწვეული დაძაბულობა კლებულობდა. საკლასო ოთახებში ახლა უფრო თბილოდა, ვიდრე დილით, რადგან ბუხრებში ცეცხლს უფრო მეტად აჩაღებდნენ. ცეცხლი სანთლის მაგივრობას გვიწევდა. წითლად მოგიზგიზე ნაკვერჩხლები, უზედამხედველობით გამოწვეული უწესრიგობა და მრავალნაირი ერთმანეთში არეული წამოძახილები თავისუფლების სასიამოვნო გრძნობას ქმნიდა.

იმ დღეს, საღამოთი, როცა მის სკეჩერდმა გაწკეპლა თავისი აღსაზრდელი ბერნსი, მე ჩვეულებრივ დავეხეტებოდი მაგიდებს, მერხებსა და მოკისკისე გოგონებს შორის მარტოდმარტო, უმეგობროდ. მარტოობას მაინცდამაინც არ განვიცდიდი. ბოლოს ფანჯარასთან მივედი, ფარდა გადავწიე და გარეთ გავიხედე. ბარდნიდა. ქარისაგან მონაყარ თოვლს უკვე დაეფარა ფანჯრის ქვემო მინები. ყური მივადე ფანჯარას, და, მიუხედავად გამაყრუებელი მხიარული ჟრიამულისა, კარგად გავიგონე, როგორ მწუხარედ ზუზუნებდა ქარი.

შესაძლებელია, რამდენიმე ხნის წინ მყუდრო ბინა და მოსიყვარულე მშობლები რომ დამეტოვებინა, უსაზღვრო სინანული მეგრძნო; ქარი მაშინ უფრო სევდით ამივსებდა გულს. ეს გაურკვეველი ქაოსიც მეტად ააფორიაქებდა ჩემს სულიერ სამყაროს. ახლა კი რაღაც უცნაურმა განცდებმა, ჩემდაუნებურმა ციებცხელებიანის აღტყინებამ შემიპყრო. ვნატრობდი, ქარს უფრო ძალუმად ეზუზუნა, სიბნელე უკუნეთით შეცვლილიყო, ხოლო ხმაური და უწესრიგობა _ ხმამაღალი ყვირილით.

მერხებს გადავახტი, მერე მაგიდებს შორის გავძვერი და ასე მივედი ბუხართან. იქ, ბუხრის საცავ მაღალ ცხაურთან წყნარად, მუხლებზე დაჩოქილი

იდგა ბერნსი. ყველასაგან განცალკევებულს არ ესმოდა, რა ხდებოდა მის გარშემო. ნაკვერჩხლების მკრთალ შუქზე წიგნს გატაცებით კითხულობდა.

_ შენ ისევ «რასელასს» კითხულობ? _ ვკითხე და მის უკან დავდექი.

_ დიახ, _მიპასუხა, _ აი, ეს-ეს არის დავამთავრე.

ხუთიოდე წუთის შემდეგ წიგნი დახურა. გამიხარდა.

«ახლა, შემიძლია ავიყოლიო საუბარში»,_ გავიფიქრე მე და მის ახლოს იატაკზე დავჯექი.

_ შენი გვარი, ვიცი, ბერნსია. მაგრამ რა გქვია?

_ ელენ.

_ შორიდან ხარ?

_ შორეული ჩრდილოეთიდან. ეს შოტლანდიის საზღვრებთან სულ ახლოსაა.

_ დაბრუნდები ოდესმე უკან?

_ იმედი მაქვს. თუმცა არავის შეუძლია წინასწარ განსაზღვროს თავისი მომავალი.

_ ალბათ ძალიან გინდა ლოვუდიდან წასვლა?

_ არა, რატომ უნდა მინდოდეს. მე ხომ აქ ცოდნის მისაღებად გამომგზავნეს. რა აზრი აქვს უკან დაბრუნებას, სანამ დასახულ მიზანს არ მივაღწევ.

_ კი მაგრამ, ის მასწავლებელი, მის სკეჩერდი ასე ბოროტად რომ გექცევა?

_ ბოროტად? სრულიადაც არა! ის მკაცრია. ვერ იტანს ჩემს უწესო საქციელს.

_ მე რომ შენს ადგილას ვიყო, შევიძულებდი მას, წინააღმდეგობას გავუწევდი. თუ წკეპლით მცემდა, ჯოხს ხელიდან გამოვგლეჯდი და ცხვირწინ დავუმტვრევდი.

_ ამას შენ ვერ გაბედავდი. მაგრამ თუ ჩაიდენდი, მისტერ ბროკლჰერსტი გაგრიცხავდა სასწავლებლიდან. ეს კი დიდად შეაწუხებდა შენს ნათესავებს. უმჯობესია, მოთმინებით აიტანო დამცირება, რომელსაც შენს მეტი ვერავინ გრძნობს, ვიდრე აჩქარდე და შენი წინდაუხედაობით ისეთი რამ ჩაიდინო, რაც ყველა შენს ახლობელს გაამწარებს. გარდა ამისა, სახარება გვიქადაგებს, ბოროტებას სიკეთით ვუპასუხოთ.

_ მაგრამ როგორი დამამცირებელია ყველას თანდასწრებით გაგწკეპლონ და დაგაყენონ ოთახის შუაგულში. მერე შენ საკმაოდ მოზრდილი გოგონა ხარ. აი, მე შენზე გაცილებით პატარა ვარ, მაგრამ მეც ვერ ავიტანდი ამისთანა სასჯელს.

_ შენი მოვალეობაა ყველაფერი აიტანო, თუ ეს აუცილებელია. უნებისყოფობა და სისულელეა იმის თქმა, რომ ვერ აიტან იმას, რაც ბედისაგან დაწესებულა.

განცვიფრებული ვუსმენდი, არ შემეძლო ჩავწვდომოდი ამტანიანობის ასეთ ფილოსოფიას. გაუგებარი იყო ჩემთვის და კიდევ უფრო ნაკლებად თანავუგრძნობდი იმ შემწყნარებლობას, რომელსაც ის იჩენდა თავისი დამსჯელის მიმართ. დღემდე მგონია, რომ ელენ ბერნსი ჩემი თვალისათვის მიუწვდომელი სინათლით ჭვრეტდა საგნებს. ეჭვიც კი დამებადა, იქნებ ის მართალი იყო და მე ვცდებოდი. მაგრამ ამ საკითხზე უფრო ღრმად ფიქრის

თავი აღარ მქონდა. ფელიქსივით ეს საკითხი უფრო ხელსაყრელი შემთხვევისათვის გადავდე.

_ ელენ, შენ ამბობ, რომ ნაკლი გაქვს? მაინც რა? მე ძალიან კარგი მგონიხარ.

_ მაშ, ჩემგან ისწავლე. ადამიანი არ უნდა შეაფასო გარეგნობით. როგორც მის სკეჩერდი ამბობს, მე უწესრიგო ბავშვი ვარ. იშვიათად თუ მოვუნახავ ნივთს თავის ადგილს; ყველაფერი დაუდევრად მიყრია. მავიწყდება ყველაფერი; მაშინ ვკითხულობ, როდესაც გაკვეთილებს უნდა ვსწავლობდე; არ ვიცი, როდის რა უნდა ვაკეთო; ზოგჯერ შენსავით ვიტყვი ხოლმე, არ შემიძლია ავიტანო დადგენილი სისტემატური წესრიგი-მეთქი; ყველაფერი ეს კი ძალიან აღიზიანებს მის სკეჩერდს, რომელიც ბუნებით ფაქიზი, წესიერი და მომთხოვნია.

_ ამავე დროს ფიცხი და ბოროტია, არა? _ დავუმატე.

მაგრამ ელენ ბერნსი არ დაეთანხმა ჩემს ნათქვამს. ის დუმდა.

_ მის ტემპლიც ისეთივე მკაცრია შენდამი, როგორც მის სკეჩერდი?

მის ტემპლის ხსენებაზე მის ნაღვლიან სახეს კეთილი ღიმილი მოეფინა.

_ მის ტემპლი სიკეთის სრული განსახიერებაა. მას გული სტკივა, თვით ყველაზე ცუდი აღსაზრდელის მიმართაც რომ იჩენენ სიმკაცრეს. ის ხედავს ჩემს შეცდომებს, მაგრამ მათზე ლმობიერად მითითებს. თუ რაიმე კარგს ჩავიდენ, ქებასაც ვიმსახურებ. მის ტემპლის ასეთ გონივრულ, ლმობიერ საყვედურებსაც კი არ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ჩემზე და აღმოფხვრას ჩემი ნაკლი. აი, კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ბუნებით უნაკლო არა ვარ. წარმოიდგინე, მის ქებასაც კი, რომელსაც მე დიდად ვაფასებ, არ შეუძლია გადამაქციოს წესიერ და წინდახედულ ბავშვად.

_ რა საოცარია, _ ვთქვი მე, _ და მერე რა ადვილია ყურადღებიანი იყო.

_ შენთვის ადვილია, ამაში ეჭვიც არ მეპარება. ამ დილით თვალყურს გადევნებდი და შევნიშნე, როგორი ყურადღებით უსმენდი. დაბნეულობა არ გეტყობოდა, როდესაც მის მილერი გიხსნიდა და გეკითხებოდა. ჩემი ფიქრები კი მუდამ სადღაც შორსაა. იმის მაგივრად, რომ მის სკეჩერდს გულმოდგინედ ვუსმენდე და ყველაფერს ვითვისებდე, რასაც ის მიხსნის, ხშირად მისი ხმაც კი არ მესმის. ბურანში ვეხვევი. მეჩვენება, რომ ვარ ნორთუმბერლენდში, დიიპდენში და ხმები, რომელიც მესმის, ჩვენი სახლის ახლოს ნაკადულის რაკრაკი მგონია. მხოლოდ მაშინღა ვფხიზლდები, როცა მეკითხებიან და უნდა ვუპასუხო. რადგან ოცნებით მოლანდებულ ნაკადულს ვუსმენ, ვერაფერს ვიგებ, რასაც კითხულობენ და პასუხიც მზად არა მაქვს.

_ მაგრამ დღეს როგორ კარგად უპასუხე!

_ ეს უბრალო შემთხვევითობაა. თემამ, რომელსაც ჩვენ ვკითხულობდით, დამაინტერესა. დღეს, იმის ნაცვლად, რომ მეოცნება დიიპდენზე, ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ შეუძლია ადამიანს, რომელსაც სურს სამართლიანი იყოს, მოიქცეს ისე უსამართლოდ და წინდაუხედავად, როგორც ამას ზოგჯერ ჩარლზ პირველი ჩადიოდა. იმაზე ვფიქრობდი, რა სამწუხაროა, როცა ასეთი პატიოსანი და სამართლიანი ადამიანი, თავისი სამეფო უფლებების იქით

ვერაფერს ამჩნევდა. რა კარგი იქნებოდა, უფრო შორსმჭვრეტელი ყოფილიყო და ეგრძნო თავისი დროის მიზნები და მისწრაფებანი. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, მე მაინც მომწონს ჩარლზ პირველი, პატივს ვცემ და მებრალება. საწყალი, როგორ შეუბრალებლად მოკლეს. მისი მტრები მასზე უარესები აღმოჩნდნენ. მათ დაღვარეს სისხლი, რომლის დაღვრის უფლებაც არ ჰქონდათ. როგორ გაბედეს მისი მოკვლა!

ახლა ის თითქმის თავისთავს ესაუბრებოდა. დაავიწყდა, რომ მე არ შემეძლო მის საუბარს ჩავწვდომოდი. მე ხომ არაფერი ვიცოდი იმ საკითხზე, რაზედაც ის მელაპარაკებოდა და შევეცადე ჩემთვის საინტერესო თემას დავბრუნებოდი.

_ შენი ფიქრები მაშინაც გაფანტულია, როდესაც მის ტემპლი გიხსნის გაკვეთილს?

_ არა, რასაკვირველია, ისე ხშირად არა. იმიტომ, რომ მის ტემპლი ყოველთვის ამბობს რაიმე ახალს, ისეთს, რაც ჩემს საკუთარ ფიქრებზე უფრო საინტერესოა. მისი ენაც სასიამოვნოა, და ის ამბებიც, რასაც ის გადმოგვცემს. ხშირად იმ საკითხზე საუბრობს, რომლის გაგებაც მწადია.

_ მაშ, მის ტემპლის გაკვეთილზე კარგად გიჭირავს თავი?

_ დიახ, ეს ჩემდაუნებურად ხდება. თავს ძალას არ ვატან. მაგრამ თუ მხოლოდ იმას ვუსმენ, რაც მაინტერესებს, მაშინ რაღა ფასი აქვს ასეთ თავდაჭერას?

_ ძალიან დიდი. შენ კარგად იქცევი მათთან, ვინც შენც კარგად გეპყრობა. ეს ასეც უნდა ხდებოდეს. ხალხი რომ ყოველთვის კეთილი და მორჩილი იყოს ბოროტი და უსამართლო ადამიანებისადმი, მაშინ ბოროტებას უფრო ფართო გზა მიეცემოდა. მათ არაფრის შიში არ ექნებოდათ და არც არასოდეს გამოსწორდებოდნენ; უფრო და უფრო მეტ უსამართლობას ჩაიდენდნენ. როცა ჩვენ უმიზეზოდ გვცემენ, ჩვენც დარტყმას დარტყმით უნდა ვუპასუხოთ. ნამდვილად მწამს, რომ ასე უნდა ვიქცეოდეთ; თანაც ასეთ ადამიანებს ისეთი ძალით უნდა დავკრათ, რომ მეორედ დარტყმა ვეღარ გაბედონ და სამუდამოდ ვასწავლოთ ჭკუა.

_ იმედი მაქვს, აზრი შეგეცვლება, როცა გაიზრდები. ჯერჯერობით შენ მხოლოდ პატარა, გამოუცდელი გოგონა ხარ.

_ მე ასე მესმის, ელენ. უნდა მძულდეს ადამიანები, რომლებიც, რაც არ უნდა გავაკეთო, საკუთარი სიამოვნებისათვის აბუჩად მიგდებენ. უნდა შევებრძოლო მათ, ვინც ჩემს უსამართლოდ დასჯას მოინდომებს. ეს ისევე ბუნებრივია, როგორც ის, რომ უნდა მიყვარდეს ისინი, რომლებიც ალერსიანად და სიყვარულით მეპყრობიან, და ავიტანო სასჯელი, რომელიც დავიმსახურე.

_ ამ მოძღვრებას მხოლოდ წარმართი და ველური ტომები იცავენ. ქრისტიანები და განათლებული ერები უარყოფენ მას.

_ არ მესმის, რატომ?

_ ძალადობით არ დაიძლევა ბოროტება და არც შურისძიებით _ უსამართლობა.

_ მაშ როგორ, რა საშუალებით?

_ წაიკითხე ახალი აღთქმა. ყურადღება მიაქციე, რას ქადაგებს ქრისტე და როგორ მოქმედებს. მისი სიტყვები შენთვის კანონი იყოს და მისი საქციელი მაგალითის მომცემი.

_ რას ქადაგებს ქრისტე?

_ გიყვარდეთ თქვენი მტრები; დალოცეთ ისინი, თუნდაც რომ გწყევლიდნენ. მიუზღეთ სიკეთე ბოროტებისა და სიძულვილის მაგიერ.

_ მაშ, მე მისის რიდი უნდა მიყვარდეს? ან ვლოცავდე მის ვაჟიშვილს ჯონ რიდს? ეს შეუძლებელია.

ელენ ბერნსმა მთხოვა ამეხსნა, რას ნიშნავდა ჩემი სიტყვები. მეც მაშინვე ვუამბე ყველაფერი ჩემს განვლილ ტანჯვასა და უბედურებაზე. ნაღველით და სევდით სავსე ვყვებოდი, რასაც განვიცდიდი, არც არაფერს ვუმატებდი და არც არაფერს ვაკლებდი.

ელენმა ბოლომდე მოთმინებით მომისმინა. ველოდი, რომ რაიმეს მეტყოდა, მაგრამ ის დუმდა.

_ აბა, რას იტყვი? _ შევეკითხე მოუთმენლად, _ განა მისის რიდი ცუდი, გულქვა ადამიანი არ ყოფილა?

_ უდავოა, ის ცუდად გექცეოდა. მაგრამ იცი, რატომ? მას შენი ხასიათი არ მოსწონდა, როგორც მის სკეჩერდს _ ჩემი. ერთი წუთითაც არ გავიწყდება მისი ნათქვამი, თითოეული სიტყვა და ყველაფერი ის, რაც მან ჩაიდინა შენ მიმართ. როგორც ჩანს, მის უსამართლო საქციელს ღრმა კვალი დაუტოვებია შენს გულში. ჩემს გრძნობებზე კი უსამართლობა ასეთ დაღს ვერ დაასვამს. განა უფრო ბედნიერი არ იქნები, რომ დაივიწყო მთელი მისი სიმკაცრე და გულქვაობა, რომელიც ასე გაფორიაქებს. სიცოცხლე ისედაც ხანმოკლეა და არ უნდა ვმტრობდეთ ერთმანეთს და შემდეგ ვიგონებდეთ ჩადენილ უსამართლობას. თითოეულ ჩვენგანს ამქვეყნიური ცოდვები მძიმე ტვირთად აწევს. მაგრამ მწამს, მალე დადგება ჟამი, როდესაც ეს ცოდვილი სხეული თავიდან მოიშორებს ქვეყნიურ საზრუნავს; ყოველგვარი მძიმე დანაშაული ჩამოგვცილდება ცოდვილ ხორცთან ერთად და იდღესასწაულებს განწმენდილი სული. ესაა ცხოვრების და აზროვნების მარადიული პრინციპი. ეს სული ისეთივე წმინდა იქნება, როგორც მაშინ, როდესაც ქვეყნიერების შემოქმედი შთაბერავს ხოლმე ყოველ ადამიანს დაბადებისას. ის კი ბოლოს, საიდანაც მოვიდა, იქვე ბრუნდება. თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანზე უფრო წმინდა და ზნეობრივად მაღლა მდგომ არსებას დაუკავშირდეს, გაიაროს დიდების ყველა საფეხური ცოდვილი ადამიანის სულიდან შარავანდედით მოსილ უწმინდეს სერაფიმამდე, და პირიქით არ მოხდეს, რომ ადამიანის სულს ეშმაკი დაეუფლოს. არა, მე ეს არ მჯერა. მე სხვა რწმენა მაქვს, რომელიც ჩემთვის არავის უსწავლებია. მასზე იშვიათად ვლაპარაკობ, მაგრამ ის სიამოვნებას მანიჭებს და მას დაუსაბამოდ ვებღაუჭები. ის ყველას იმედია:

ქმნის მარადიულ სასუფეველს, მკვიდრ თავშესაფარს, სადაც აღარც შიშია და არც განსაცდელი. გარდა ამისა, ამ მოძღვრებით კარგად ვანსხვავებ ერთმანეთისაგან დამნაშავესა და მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას. რამდენადაც არ უნდა მძაგდეს ჩადენილი ბოროტმოქმედება, მაინც შემიძლია მივუტევო დამნაშავეს. ამ რწმენის გამოა, რომ შურისძიება არასოდეს მიშფოთებს სულს; არც დამცირება და არც უსამართლობა არ იწვევს ჩემში უკმაყოფილებას და სულით არ ვეცემი. ვცხოვრობ მშვიდად და ველი აღსასრულს.

ელენს ამის მეტი აღარაფერი უთქვამს. ჩვეულებრივზე მეტად ჩაჰკიდა თავი. გამომეტყველებაზე შევამჩნიე ჩემთან საუბრის გაგრძელება აღარ სურდა და უმჯობესი იყო ღრმა ფიქრებში წასული აღარ შემეწუხებინა. მას დიდხანს არ დასცალდა საკუთარ ფიქრებთან განმარტოება. რომელიღაც ჯგუფხელი, მოზრდილი თავხედი გოგონა მიუახლოვდა და მკვეთრი კემბერლენდური კილოთი უთხრა:

_ ელენ ბერნს, თუ არ წახვალ და შენს უჯრას წესრიგში არ მოიყვან, შენს ხელსაქმეს ადგილს არ მიუჩენ, ახლავე წავალ და მის სკეჩერდს მოვახსენებ, მოვიდეს და თავისი თვალით ნახოს ყველაფერი.

ელენმა ამოიოხრა; ოცნებიდან გამოერკვა. წამოდგა და დაუყოვნებლივ, სიტყვის შეუბრუნებლად დაემორჩილა.

თავი VII

პირველი სამი თვე ლოვუდში საუკუნედ მეჩვენა. რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის ოქროს ხანა არ იყო, დამქანცველი ბრძოლა მიხდებოდა ათასგვარ სიძნელესთან; უნდა შევგუებოდი ახალ წესებსა და ჩემთვის არასასურველ გაკვეთილებს. იმის შიში, რომ თავს ვერ გავართმევდი ამ საქმეს, უფრო მეტად მაწუხებდა, ვიდრე ჩემი უბედობით გამოწვეული ცხოვრების სიდუხჭირე. თუმცა ამის ატანაც საძნელო საქმე გახლდათ.

მთელი იანვარი, თებერვალი და მარტის პირველი ნახევარი ისე მიიწურა, რომ სასეირნოდ ბაღის გარეთაც ვერ გამოვდიოდით. იმ ზამთარს დიდი თოვლი დადო. მერე კი თოვლის დნობამ შეგვიშალა ხელი; ატალახებული გზა თითქმის გაუვალი გახდა. მხოლოდ ეკლესიაში ვახერხებდით სიარულს. ასეთ ხელისშემშლელ პირობებშიც კი ყოველდღე ერთი საათი მაინც უნდა გაგვეტარებინა სუფთა ჰაერზე. ღარიბული ტანსაცმელი ვერ გვიფარავდა მკაცრი სიცივისაგან. მაღალყელიანი ფეხსაცმელი არ გვქონდა, ხოლო რაც გვეცვა, თოვლი ადვილად ჩადიოდა და შიგვე დნებოდა. უხელთათმანებოდ ხელები გვაზრებოდა და ხელ-ფეხზე მოყინულობა გვიჩნდებოდა. კარგად მახსოვს, როგორ ვიყავი ამის გამო შეწუხებული ყოველ საღამოს. როგორ ვიტანჯებოდი, როდესაც გასივებულ, მტკივან ფეხებზე დილით ისევ უნდა ჩამეცვა ფეხსაცმელი. საკვების სიმცირეც საგონებელში გვაგდებდა. როგორც

მოზარდ ბავშვებს, მუდამ კარგი მადა გვქონდა; ხოლო ის, რასაც ჩვენ ვღებულობდით, მისუსტებულ ავადმყოფსაც კი ძლივს ეყოფოდა. საკვების ასეთი ნაკლებობა მძიმე ხვედრად ყველაზე პატარა აღსაზრდელებს გვაწვა. როგორც კი შემთხვევა მიეცემოდათ, ეს დამშეული მოზრდილი გოგონები ართმევდნენ პატარებს საჭმელს ხან მოფერებით და ხანაც მუქარით. რამდენჯერ გამინაწილებია ორ მოზრდილ მშიერ გოგონასთვის სანატრელი შავი პურის ნაჭერი, რომელსაც ჩაისთან ერთად ვღებულობდით. მესამესთვის კი დამითმია რამდენიმე ყლუპი ყავა. იმ მცირეოდენს კი, რაც ფინჯანში მრჩებოდა, შიმშილით გამოწვეული მალული ცრემლის ღვრით ვსვამდი.

იმ ზამთარს ყველაზე მოსაწყენი იყო კვირა დღეები. ფეხით უნდა გაგვევლო ორი მილი ბროკლბრიჯის ეკლესიამდე, სადაც ჩვენი პატრონი წირავდა. გარეთ გასვლამდე სიცივე უკვე ძვალ-რბილში გვქონდა გამჯდარი; ეკლესიაში უფრო და უფრო ვიყინებოდით და, ვიდრე დილის წირვა დამთავრდებოდა, სი-ცივისაგან ვცახცახებდით. სადილობამდე დიდი დრო რჩებოდა; უკან აღარ ვბრუნდებოდით, ამიტომ წირვებს შორის ვღებულობდით ცივად მოხარშულ ხორცსა და პურს ისეთივე მცირე ოდენობით, როგორც ყოველი ჭამის დროს.

ნაშუადღევის წირვის შემდეგ სახლში ფართო გზით მოვეშურებოდით. გზად უამრავი პატარ-პატარა ბორცვი გვხვდებოდა. ჩრდილოეთის თოვლიანი მწვერვალებიდან მონაბერი ზამთრის სუსხიანი ქარი სახეს გვიწვავდა.

მაგონდება, როგორ მსუბუქად და სწრაფად მოაბიჯებდა ამ დროს მის ტემპლი ამ თავჩაქინდრული ბავშვების მწკრივებს შორის თავისი შოტლანდიური წამოსასხამით, რომლის კალთებსაც სუსხიანი ქარი ხან განზე უფრიალებდა და ხან მჭიდროდ ახვევდა გარს. ის გვამხნევებდა, მაგალითს გვიჩვენებდა, რომ სულით არ დავცემულიყავით და მუდამ «მამაცი ჯარისკაცებივით» წინ გვევლო, როგორც მას უყვარდა თქმა. დანარჩენი მასწავლებლები კი, საბრალონი, იმდენად ნაწამებნი ჩანდნენ, რომ თავი აღარ ჰქონდათ ჩვენ გავემხნევებინეთ.

ოჰ, როგორ ვნატრობდით მოგიზგიზე ბუხრის სინათლესა და სითბოს უკან დაბრუნებისას. მაგრამ პატარებისათვის ეს მიუღწეველი იყო. სასკოლო ოთახში ბუხარს მაშინვე ორ მწკრივად მოზრდილი გოგონები შემოუსხდებოდნენ ხოლმე; ხოლო მათ უკან პატარები ჩაიცუცქებოდნენ და საცოდავად ეკვროდნენ ერთმანეთს, გათოშილ ხელებს კი წინსაფრის კალთებში მალავდნენ.

ასეთ დროს ჩვენს ნუგეშს ჩაი წარმოადგენდა; ამ დროს პური ორმაგად გვეძლეოდა, ესე იგი მთელი ნაჭერი ნახევრის ნაცვლად, თან სულ ცოტაოდენ კარაქსაც გამოიმეტებდნენ ხოლმე. ეს იყო ყოველკვირეული გამასპინძლება, რომელზედაც ჩვენ ვოცნებობდით კვირიდან კვირამდე. ჩვეულებრივ, მე ვახერხებდი ამ გულუხვად გაცემული ვახშმის ნახევარი ჩემთვის დამეტოვებინა; დანარჩენი კი იძულებული ვიყავი გამენაწილებინა.

კვირა საღამოს ვატარებდით წმინდა მათეს V-VI-VII თავებისა და საეკლესიო კატეხიზმოს ზეპირობასა და გამეორებაში. მერე კი ვისმენდით

გრძელ ქადაგებას, რომელსაც მის მილერი გვიკითხავდა. ის გაუთავებლად ამთქნარებდა და დაღლილობას ვერ მალავდა. ლოცვების კითხვის დროს შესვენება მეტად ხშირად გვიხდებოდა, რადგან პატარებს ძილი ერეოდათ; ისინი მესამე, მეოთხე რიგებში თავიანთი სკამებიდან ძირს ცვივოდნენ და ცოცხალ-მკვდრებს ძლივს წამოაყენებდნენ ხოლმე ფეხზე. გამოსაფხიზლებელი წამალი კი მხოლოდ ის გახლდათ, რომ მათ ხელის კვრით წინ, საკლასო ოთახის შუაგულისკენ უბიძგებდნენ და აიძულებდნენ ფეხზე მდგომთ ბოლომდე მოესმინათ ქადაგება. ხანდახან იქაც ეკეცებოდათ მუხლები და უღონონი ძირს, იატაკზე ზედიზედ ცვივოდნენ. რომ არ წაქცეულიყვნენ, ჯგუფხელები მათ მაღალზურგიან სკამებს მიუდგამდნენ ხოლმე.

აქამდე გადაკრული სიტყვითაც კი არ მიხსენებია გვინახულებდა ხოლმე თუ არა მისტერ ბროკლჰერსტი ლოვუდში. ეს ჯენტლმენი ჩემი ჩამოსვლის პირველ ხანებში თითქმის ერთი თვის მანძილზე წასული გახლდათ. ვფიქრობ, ის ისევ სტუმრად იყო თავის მეგობარ ქორეპისკოპოსთან. მისი იქ არ ყოფნა დიდ შვებას მგვრიდა. საჭირო არაა მოვიხსენიო ის მიზეზები, რისთვისაც ასე ძლიერ მეშინოდა მისი მოსვლისა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ის დღეც დადგა, როდესაც ვიხილე იგი ლოვუდში.

ერთხელ, ნაშუადღევს (ასე უკვე სამი კვირის მისული ვიქნებოდი ლოვუდში), ასპიდის დაფით ხელში ღრმად ჩაფიქრებული ვიჯექი და რაღაც თავსატეხ მაგალითს ვიყვანდი მრავალნიშნა ციფრების გაყოფაზე. თავი მაღლა ავიღე, ფანჯარაში გავიხედე და, ჯერ კიდევ ფიქრებში გართულმა, თვალი მოვკარი, რომ ფანჯრის წინ ვიღაცამ ჩაიარა. მაშინვე ჩემდაუნებურად ვიცანი მისი გამხდარი ლანდი. ორი წუთის შემდეგ, როდესაც მთელი სკოლა მასწავ-ლებლების ჩათვლით ფეხზე ადგომით, როგორც ერთი კაცი, ისე მიესალმა მას, საჭირო აღარ იყო თვალით მეძებნა და გამომერკვია, თუ ვის ესალმებოდნენ ესოდენ დიდი პატივისცემით. მან დიდი ნაბიჯებით გაიარა საკლასო ოთახი და უცებ მის ტემპლის გვერდით, რომელიც აგრეთვე ფეხზე წამომდგარიყო, აისვეტა. დავინახე იგივე შავი ბოძი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ გეიტსჰედში ბუხრის წინ იდგა ხალიჩაზე და შუბლშეკრული, პირქუში გამომეტყველებით მათვალიერებდა. ახლა მე ცალი თვალით ვუმზერდი არქიტექტურის ამ უნაკლო შედევრს. დიახ, არ შევმცდარვარ. ეს მისტერ ბროკლჰერსტი იყო. ღილებით ბოლომდე შეკრული პალტო კიდევ უფრო გამხდარსა და მაღალს აჩენდა და თითქოს მის სახეს სიმკაცრეს მატებდა.

მიზეზიც მქონდა, რომ მისი გამოჩენისთანავე თავზარი დამცემოდა. ძალიან კარგად მახსოვს, როგორი დაუნდობელი გადაკრული სიტყვებით დამახასიათა მისის რიდმა მის წინაშე. ისიც მახსოვდა, როგორ აღუთქვა საზეიმოდ მისტერ ბროკლჰერსტმა, რომ წინასწარ შეატყობინებდა მის ტემპლსა და სხვა მასწავ-ლებლებს ჩემს უზნეობას. მთელი ამ ხნის განმავლობაში შიშით ვძრწოდი, რომ ერთხელაც ის თავის დანაპირებს შეასრულებდა. ყოველ ცისმარე დღე ველოდებოდი ამ ადამიანს, რომლის მონაყოლი ამბავიც გაამხელდა ჩემს წარსულ ცხოვრებას და სამუდამოდ საძაგელი ბავშვის სახელით

მომნათლავდა. და აი, ახლა, ეს ადამიანი აქ იყო. ის მის ტემპლის გვერდით იდგა და ჩუმად ყურში რაღაცას ეჩურჩულებოდა. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ის ახლა ჩემს ცუდ საქციელს ააშკარავებდა მის წინაშე და ამიტომაც აუტანელი მწუხარებითა და მღელვარებით შევყურებდი მის ტემპლს და ყოველ წუთს ველოდი, რომ მისი შავი თვალები სიძულვილითა და ზიზღით შემომხედავდნენ. თან ვუსმენდი კიდეც; რადგანაც მათთან ახლოს ვიჯექი, კარგად მესმოდა რაზედაც ლაპარაკობდნენ. საუბრის შინაარსმა სულიერი სიმშვიდე დამიბრუნა.

_ იმედი მაქვს, მის ტემპლ, ძაფი, რომელიც ლოუტონში შევიძინე, გამოდგება. იმასაც ვფიქრობ, ამავე ძაფით შეიძლება ქალის მიტკლის პერანგებიც შეკერონ. სათანადო ნემსებიც შევარჩიე. გადაეცით მის სმითს, რომ სიაში გამომრჩა სარუფიო ნემსები, მაგრამ მომავალ კვირას რამდენიმე შეკვრას გამოუგზავნიან. თუმცა არავითარ შემთხვევაში თითო აღსაზრდელზე თითო ნემსის მეტი არ უნდა გაიცეს. მეტი რომ ექნებათ, დაუდევრობას გამოიჩენენ და დაკარგავენ. კიდევ ერთიც, მის, მინდა, რომ მაღალყელიან შალის წინდებს ძალიან გაუფრთხილდნენ. როდესაც ბოლო დროს აქ ვიყავი, სამზარეულოს ეზოში შევედი და თოკზე გასაშრობად გაფენილი ტანსაცმელი დავათვალიერე. უამრავი შავი მაღალყელიანი წინდა მეტად სავალალო მდგომარეობაში ვნახე _ ამოუკემსავი და მოუვლელი. ზოგიერთი მათგანი იმდენად გაუფრთხილებლადაა ნახმარი, რომ თითქმის გამოგლეჯილია ადგილ-ადგილ. ეს კი მარწმუნებს, რომ დროზე არ კემსავენ მათ.

ის შეჩერდა.

_ თქვენი მითითებანი შესრულებული იქნება, სერ, _ უპასუხა მის ტემპლმა.

_ კიდევ აი რა მსურს, მის, _ განაგრძო მან, _ მრეცხავმა ქალმა მითხრა, რომ რამდენიმე გოგონას კვირაში ორჯერ გამოუცვლია მარმაშიანი საყელო კაბებზე. ეს მეტისმეტია. მათ ნება აქვთ კვირაში ერთხელ გამოიცვალონ.

_ ამის მიზეზს ახლავე მოგახსენებთ, სერ. აგნესა და კატერინა ჯონსტონები მეგობრებმა გასულ ხუთშაბათს ჩაიზე მიიპატიჟეს ლოუტონში. მეც ამ შემთხვევის გამო ნება დავრთე გამოეცვალათ საყელოები.

მისტერ ბროკლჰერსტმა თავი დაუქნია.

_ კეთილი. ამ ერთხელ არა უშავს რა. მაგრამ, თუ შეიძლება, ასეთი შემთხვევები ხშირად ნუ მოხდება. მე სხვა რამ უფრო მაოცებს. მნე ქალი ანგარიშს მაბარებდა და შევიტყვე, რომ ორი კვირის განმავლობაში ორჯერ გაცემულა მეორე საუზმე; ყველი და პური დაგირიგებიათ ბავშვებისათვის. როგორ მოხდა ეს? ერთხელ კიდევ გადავხედე შინაგანაწესს და არსად არ არის ნახსენები მეორე საუზმე. ვის მოუვიდა აზრად ასეთი სიახლე? ან ვისი პასუხისმგებლობით გაიცა?

_ მე ვაგებ პასუხს ამ შემთხვევის გამო, სერ, _ უპასუხა მის ტემპლმა. _ საუზმე ისე ცუდად იყო მომზადებული, რომ ვერც ერთმა ბავშვმა პირი ვერ დააკარა. სადილობამდე ბავშვები მშიერი ვერ დავტოვე.

_ ქალბატონო, ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ. ვგონებ, კარგად იცით ჩემი მიზანი. მე მსურს აღვზარდო ეს გოგონები ისე, რომ არ შევაჩვიო ფუფუნებასა და მათი ყოველი სურვილის დაკმაყოფილებას. უნდა მიეჩვიონ მოთმინებას; საკუთარ სურვილებზე უარის თქმას. განა ასეთი პატარა შემთხვევებისა და უსიამოვნების ატანა ვერ უნდა შეძლონ ცხოვრებაში, როგორიცაა, მაგალითად, უგემური საუზმე, საჭმელში მეტი ან ნაკლები მარილი? ჩვენ მაშინვე არ უნდა შევუცვალოთ ის უკეთესით. ამით ჩვენ ხელს ვუწყობთ ხორციელ ტკბობას და აღარ ვზრუნავთ სულზე. ამრიგად ამ სასწავლებლის მთავარ მიზანსაც ვამახინჯებთ. სწორედ ასეთი შემთხვევები იძლევა საშუალებას სულიერი სიმტკიცე გამოვიმუშაოთ აღსაზრდელებში, გავაძლიეროთ და გამოვამჟღავნოთ მათი ამტანიანობა, მამაცურად დავაძლევინოთ ამქვეყნიური გასაჭირი. აი, ასეთ დროს საჭიროა ვუთხრათ ბავშვებს რამდენიმე სიტყვა. გონიერი აღმზრდელი ისარგებლებდა ამ შემთხვევით და მოაგონებდა პირველწამებული ქრისტიანების ამბავს. ესაუბრებოდა იმ რჩევა-დარიგებებზე, რომელსაც უფალი უქადაგებდა თავის მიმდევრებს, აეღოთ ჯვარი და გაჰყოლოდნენ მის მცნებას. ქრისტეს მითითებაა, რომ ადამიანი საზრდოობს არა მარტო პურით, არამედ თვით ღმერთის ღვთიური ქადაგებით. ის კი ამბობს: თუ შენ იტანჯები შიმშილითა და წყურვილით ჩემ გამო, ნეტარ ხარო. ოჰ, ქალბატონო! როდესაც თქვენ მიმწვარი ფაფის ნაცვლად აძლევდით მათ პურსა და ყველს, შესაძლებელია მართლაც გამოკვებეთ მათი ცოდვილი სხეული, მაგრამ სრულებით არ ფიქრობდით იმაზე, თუ რა საშინელ შიმშილს უმზადებდით მათ უკვდავ სულებს.

მისტერ ბროკლჰერსტი კვლავ შეჩერდა. შესაძლებელია, მოიხიბლა თავისი სულიერი განცდებითა და მჭევრმეტყველებით. საუბრის დასაწყისში მის ტემპლი თვალდახრილი უსმენდა, მაგრამ შემდეგ თავი ასწია და პირდაპირ შეხედა. მისი ისედაც ფერმკრთალი სახე მარმარილოსავით გაქვავდა და ცივი გამომეტყველება მიიღო. განსაკუთრებით პირი ჰქონდა ისე მოკუმული, რომ მოქანდაკის საჭრეთელი თუ გაუხსნიდა. მისი შეჭმუხნილი შუბლი მრისხანებას გამოხატავდა.

ამ დროს კი უკან შემოწყობილი ხელებით მისტერ ბროკლჰერსტი ბუხრის წინ იდგა და მედიდური გამომეტყველებით აღსაზრდელებს ათვალიერებდა. უცებ თვალები აახამხამა, თითქოს დაინახა ისეთი რამ, რამაც საშინლად გააოცა. შემდეგ მობრუნდა და სწრაფად თქვა, ვიდრე ლაპარაკის დროს სჩვეოდა.

_ მის ტემპლ, მის ტემპლ, რა არის ეს? ვინ არის ეს თმახუჭუჭა გოგო? ქერა თმები და თანაც ხვეული?

მერე თავისი ხელჯოხი ასწია და გაიშვირა ყველაზე საშინელი არსებისაკენ. მაღლა აწეული ხელი მღელვარებისაგან უცახცახებდა.

_ ეს ჯულია სევერნია, _ უპასუხა მის ტემპლმა სრულიად მშვიდად.

_ და მერე რატომ აძლევთ ან მას, ან რომელიმე აღსაზრდელს თმის დახვევის ნებას? როგორ? ჩვენი ყოველი წესის ასე აშკარა უგულებელყოფა?

როგორ ბედავს ასეთ წინააღმდეგობას და ისიც აქ, ამ საქველმოქმედო, ღვთისმოსავთა სასწავლებელში. ხედავთ, როგორი ხუჭუჭა თმა აქვს?

_ ჯულიას თმა ბუნებრივად ეხვევა, _ კიდევ უფრო მშვიდად უპასუხა მის ტემპლმა.

_ ბუნებრივად! მაგრამ ჩვენ არ უნდა დავემორჩილოთ ბუნებას: მე მსურს, რომ ეს ბავშვები კეთილმიდრეკილების მქონე ადამიანებად აღიზარდონ. მაშ, აბა, რა საჭიროა ასეთი კულულები? მე მოვითხოვდი და კვლავ მოვითხოვ, რათა მათ თმა სადად ჰქონდეთ უკან გადავარცხნილი. ამ გოგონას თმა მთლად გადაუღეთ, მის ტემპლ. ხვალვე გამოგიგზავნით დალაქს. ვამჩნევ, აგრეთვე, რომ ზოგიერთ მათგანს თმა ძალიან გაზრდია. აი, მაგალითად იმ მაღალ გოგონას. უბრძანეთ, მიბრუნდეს. გაეცით განკარგულება პირველი ჯგუფის ყველა მოსწავლე პირით კედლისკენ დადგეს.

მის ტემპლმა ცხვირსახოცი ტუჩებზე მოისვა, რათა დაემალა ის უნებური ღიმილი, რომელმაც სახეზე გადაურბინა და ბრძანება ისე გასცა. როგორც კი პირველი ჯგუფის ბავშვებმა გაიგეს, რას მოითხოვდნენ მათგან, მაშინვე დაემორჩილნენ. სკამიდან ოდნავ გადავიხარე და კარგად შევნიშნე, სახის როგორი მანჭვითა და გამომეტყველებით შეასრულეს ეს ბრძანება. სამწუხაროდ, თვით მისტერ ბროკლჰერსტს არ შეეძლო მისი დანახვა. იქნებ მაშინ მაინც ეგრძნო, რომ, როგორც არ უნდა შეეცვალა ამ ბავშვების გარეგნობა, მათი შინაგანი სულიერი სამყარო მისთვის მაინც მიუწვდომელი რჩებოდა.

ხუთი წუთის განმავლობაში ის დაკვირვებით ათვალიერებდა ამ ცოცხალი საგნების გარეგნობას და შემდეგ წარმოთქვა სიტყვები, რომლებიც საბედისწერო ზარის რეკვასავით გაისმა:

_ კიკინები ყველამ უნდა მოიჭრას.

მის ტემპლს უკმაყოფილება გამოეხატა სახეზე.

_ ქალბატონო, მე მყავს ზეციური მეუფე, რომელსაც ვემსახურები და რომლის სამეფოც ამქვეყნად არ გახლავთ. ჩემი მისია კი იმაში მდგომარეობს, რომ ჩავახშო ამ გოგონებში ხორციელი სურვილები, ვასწავლო მოკრძალება, თავდაჭერა და არა დაწნული თმებისა და ძვირფასი სამოსის სიყვარული. თითქმის ყველა მათგანს ნაწნავები აქვს. ეს თავისთავად წარმოშობს მათში პატივმოყვარეობას, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ თმა ყველამ უნდა შეიჭრას. აბა იფიქრეთ, რამდენი დრო იხარჯება მათ...

აქ მისტერ ბროკლჰერსტს საუბარი შეაწყვეტინეს. სამი უცხო სტუმარი ქალი შემოვიდა ოთახში. კარგი იქნებოდა, ცოტა უფრო ადრე მოსულიყვნენ და მისი ქადაგება მოესმინათ ჩაცმულობაზე. სამივე მდიდრულად იყო მორთული ხავერდით, აბრეშუმით და ბეწვეულით. მათგან ორს, უფრო ახალგაზრდას, ასე თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის მშვენიერ გოგონას, თავზე სირაქლემას ფრთებით მორთული მოდური წავის ბეწვის რუხი ქუდი ეხურა. ეს ძვირფასი ქუდები მთლიანად ვერ ფარავდა საგულდაგულოდ დახვეულ კულულებს. უფროსი მანდილოსანი კი ძვირფასი ყარყუმის ბეწვით გაწყობილ ხავერდის

წამოსასხამში გახვეულიყო. შუბლზე უხვად ეყარა ფრანგულ ყაიდაზე დახვეული კულულები.

სამივე სტუმარი, მისის ბროკლჰერსტი და მისი ქალიშვილები, მის ტემპლმა დიდი მოკრძალებით მიიღო და შემდეგ ოთახის თავში საპატიო სტუმრებისათვის განკუთვნილ ადგილებისაკენ გაუძღვა. როგორც ჩანს, ისინი მოვიდნენ დიდად პატივცემულ მისტერ ბროკლჰერსტთან ერთად. ვიდრე ეს უკანასკნელი საქმეებს აგვარებდა მნესთან, დაწვრილებით ეკითხებოდა ყველაფერს და რჩევა-დარიგებებს აძლევდა სასწავლებლის ზედამხედველს, ისინი ამოწმებდნენ ყველა ოთახს ზემო სართულში და ახლა მის სმითი, რომელსაც დავალებული ჰქონდა თვალყური ედევნებინა თეთრეულისა და საწოლი ოთახებისათვის, მრავალნაირ შენიშვნასა და საყვედურს ისმენდა მათგან. მაგრამ უკვე დრო აღარ მქონდა მომესმინა მათი საუბარი. სხვა ამბავმა მიიპყრო ჩემი ყურადღება.

მისტერ ბროკლჰერსტისა და მის ტემპლის საუბრის განმავლობაში ყოველ ღონეს ვხმარობდი ფრთხილად მოვქცეულიყავი და თვალში არ მოვხვედროდი მისტერ ბროკლჰერსტს. უკანა მერხზე ვიჯექი და თავს ისე ვიჭერდი, თითქოს ამოცანის ამოხსნით ვიყავი გართული. დაფა ისე მეჭირა, რომ სახე მთლიანად დაეფარა. ალბათ გადავრჩებოდი კიდეც, რომ დაფას არ ემტყუნა. უცებ ხელიდან გამივარდა და უცნაური ტკაცანი მოიღო იატაკზე. ყველამ ჩემკენ მოიხედა. მივხვდი, რომ ყველაფერი გათავდა. დაფა ორად გატყდა. როცა მის ასაღებად დავიხარე, ძალ-ღონე მოვიკრიბე და უარესისთვის მოვემზადე. არც მან დაიგვიანა.

_ რა დაუდევარი გოგოა! _ თქვა მისტერ ბროკლჰერსტმა და მყისვე დაუმატა. _ ეს ხომ ახალი მოსწავლეა, ვიცანი. _ სანამ მე სულს მოვითქვამდი, მან განაგრძო: _ არ დამავიწყდეს, რამდენიმე სიტყვა უნდა გითხრათ ამ ბავშვზე, _ შემდეგ ხმამაღლა დაუმატა. ოჰ, როგორ ხმამაღლა ლაპარაკობდა! _ წინ წამოდგეს გოგონა, რომელმაც ახლა დაფა გატეხა.

დამბლადაცემულივით ვიჯექი. ძალა არ მეყო, რომ გავნძრეულიყავი. მაგრამ ორმა ჩემ გვერდით მჯდომმა გოგონამ ფეხზე წამომაყენა და წინ მიბიძგა მკაცრი მსაჯულისაკენ. მის ტემპლმა ნაზად მომკიდა ხელი, მიმიყვანა მასთან და თან ჩუმად, გამამხნევებლად ჩამჩურჩულა:

_ ნუ გეშინია, ჯეინ. არ დაგსჯიან. მე ხომ დავინახე, რომ შემთხვევით გაგიტყდა.

ამ ალერსიანმა ხმამ ხანჯალივით გამიარა გულში.

კიდევ ერთი წუთი და, ის შემიძულებს. გაიგებს, რომ მატყუარა ვარ. _ გავიფიქრე თუ არა ეს რიდების, ბროკლჰერსტების და სხვა მათი მსგავსი ადამიანების მიმართ საშინელმა სიბრაზემ შემიპყრო. მსჯავრის დადების მოლოდინში გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. მე ხომ ელენ ბერნსი არ ვიყავი.

_ მოიტანეთ ის სკამი, _ ბრძანა მისტერ ბროკლჰერსტმა და მიუთითა ძალიან მაღალ სკამზე, რომლიდანაც ის იყო ერთი ჯგუფხელი წამოდგა. სკამი მოიტანეს.

_ ბავშვი სკამზე დააყენეთ.

ასეც მოიქცნენ. მაგრამ ვინ ამიყვანა, არ მახსოვს. ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, არაფერი მესმოდა. მხოლოდ ის მახსოვს, ისე მაღლა ვიდექი, რომ მისტერ ბროკლჰერსტის ცხვირის პირდაპირ აღმოვჩნდი. ის ჩემგან ერთი იარდის მანძილით იყო დაშორებული, დაბლა კი ათასფრად ელავდა ნარინჯისა და მეწამული ფერის წამოსასხამები; ვერცხლისფრად ბრწყინავდა ქუდის მოსართავი ფრთებიც.

მისტერ ბროკლჰერსტმა ჩაახველა და განაგრძო:

_ ქალბატონებო, _ მიუბრუნდა თავის ოჯახის წევრებს. _ მის ტემპლ, მასწავლებლებო და ბავშვებო, თქვენ ყველა ხედავთ ამ გოგონას?

რასაკვირველია, მხედავდნენ, რადგანაც მათი თვალები ჩემკენ იყო მოპყრობილი და გავარვარებულ მინის მსგავსად სირცხვილისაგან ისედაც ალეწილ სახის კანს მიწვავდა.

_ თქვენ ხედავთ, რომ ის ჯერ კიდევ პატარაა და, როგორც ამჩნევთ, ჩვეულებრივი ბავშვისაგან არაფრით განსხვავდება. ღმერთმა მოწყალება მოიღო და ისევე, როგორც ყოველ ჩვენგანს, მასაც ადამიანის ფორმა მისცა. მის გარეგნობაში არავითარი სიმახინჯე არ შეიმჩნევა. ვინ იფიქრებს, რომ ეშმაკმა ამ ბავშვში თავისი მსახური და თანამოაზრე ჰპოვა. თუმცა ვწუხვარ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ასეა.

ერთი წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ამ ხნის განმავლობაში კანკალმა გამიარა და სიმტკიცე დამიბრუნდა. მსჯავრს თავს ვერ ავარიდებდი და ყველაფერი მამაცურად უნდა გადამეტანა.

_ ძვირფასო ბავშვებო, _ პათოსით განაგრძო შავი მარმარილოს სვეტივით აღმართულმა მოძღვარმა, _ ეს მეტად სამწუხარო, სავალალო შემთხვევაა. ჩემი მოვალეობაა გაგაფრთხილოთ, რომ ეს გოგონა, რომელიც ღვთისმორჩილი კრავი უნდა ყოფილიყო, თავისი საქციელით აუტანელია; ამ უცოდველი კრავების ფარაში მას წევრად ვერ მივიღებთ. ცხადია, ის უცხოა; შემთხვევით გამოერია თქვენში, უნდა უფრთხილდეთ და არასოდეს მიბაძოთ მას. თუ საჭირო იქნება, მოერიდეთ და არ მიიკაროთ თამაშობის დროს. ერიდეთ მასთან საუბარს. მასწავლებლებო! თქვენ კი თვალყური ადევნეთ, ყურადღება მიაქციეთ მის ყოველ ნაბიჯს, კარგად აწონ-დაწონეთ მისი სიტყვები, დააკვირდით მის საქციელს და დასაჯეთ კიდეც, რათა იხსნათ მისი სული, თუკი მისი ხსნა შეიძლება. რაც შემეხება მე, უნდა გითხრათ (ენაც კი არ მემორჩილება ამის სათქმელად), რომ ეს გოგო, ეს ბავშვი ჩვენი ქრისტიანული სამყაროს მკვიდრი, უარესია ყველა იმ წარმართზე, რომელიც წარმართთა ღმერთს ბრაჰმას ლოცულობს და მუხლს იდრეკს ჯაგანატის კერპის წინაშე, აი, ამ გოგონაზე მოგახსენებთ. ის მატყუარაა.

ათი წუთის განმავლობაში ხმა არავის ამოუღია. ამასობაში მხნეობა მოვიკრიბე. შევნიშნე, რომ ბროკლჰერსტების ოჯახის სამივე წარმომადგენელმა ქალმა როგორ ამოიღო ცხვირსახოცი და თვალებზე მიიფარეს. მისის

ბროკლჰერსტი თავს აქეთ-იქით აქნევდა. მისი ორი ქალიშვილი კი ჩურჩულით იმეორებდა: «რა საშინელებაა!»

მისტერ ბროკლჰერსტი განაგრძობდა:

_ ეს ყველაფერი მე შევიტყვე მისი კეთილისმყოფელისაგან, იმ ღვთისნიერი და გულმოწყალე ქალბატონისაგან, რომელმაც იშვილა ეს ბავშვი, როდესაც დაობლდა და უვლიდა ისე, როგორც საკუთარ შვილს. ასეთ სიკეთესა და დიდსულოვნებაზე ამ უბედურმა ბავშვმა ისეთი საშინელი და წარმოუდგენელი უმადურობით უპასუხა, რომ ბოლოს ეს შესანიშნავი მფარველი იძულებული გახდა ჩამოეშორებინა ის საკუთარი შვილებისათვის იმის შიშით, რომ მის მანკიერ თვისებებს გავლენა არ მოეხდინა მათ სიწმინდეზე. მან ის აქ, ჩვენთან გამოგზავნა გამოსასწორებლად, ისევე, როგორც ძველად ებრაელები თავიანთ ავადმყოფებს გზავნიდნენ ხოლმე ბეთეზდას ტბაზე განსაკურნავად. მასწავლებლებო, და თქვენც, სასწავლებლის ზედამხედველო მის ტემპლ, თითოეულ თქვენგანს ვთხოვ, ნება არ მისცეთ მას წყალი დაამყაყოს და ააშმოროს.

ასეთი დიდებული დასკვნის შემდეგ მისტერ ბროკლჰერსტმა პალტოს ზედა ღილიც შეიკრა და რაღაც გადაულაპარაკა ოჯახის წევრებს. ისინიც წამოდგნენ, თავი დაუკრეს მის ტემპლს და აი ამ კეთილშობილმა ხალხმა დატოვა ოთახი. ჩემი მსჯავრმდებელი კარებთან მობრუნდა და გამოაცხადა:

_ ნახევარი საათი კიდევ იდგეს მაგ სკამზე და დღის ბოლომდე ხმა არავინ გასცეს.

მეც დამტოვეს ასე; მე, რომელმაც განვაცხადე, რომ ვერ გადავიტანდი იმ სირცხვილს, თუ ოთახის შუაგულში დამაყენებდნენ. ახლა ყველას დასანახავად ვიდექი ამ სამარცხვინო კვარცხლბეკზე. ენა ვერ გადმოგცემთ ჩემს მაშინდელ განცდებს. როცა ყველა წამოდგა, სული მეხუთებოდა, თითქოს ყელში ვიღაცამ ხელი წამიჭირა. ერთ-ერთმა გოგონამ ჩემ გვერდით ჩაიარა და შემომხედა. ო, რა უცნაური შუქი გამოკრთოდა მისი თვალებიდან. ოჰ, რა არაჩვეულებრივი გრძნობა გამიღვიძა ამ შუქმა. როგორ გარდამქმნა ახალმა გრძნობამ. თითქოს რომელიმე გმირმა ან წამებულმა წმინდანმა ჩაუარა მონას ან სამსხვერპლოდ განწირულ ადამიანს და თავის ძალის ნაწილი შთაბერა მას. ყელში მოწოლილი ქვითინი ჩავახშე, თავი მაღლა ავწიე და წელშიგამართული ამაყად ვიდექი სკამზე. ელენ ბერნსი მის სმითს მიუახლოვდა და ხელსაქმის შესახებ რამდენიმე უმნიშვნელო შეკითხვა მისცა. ამ უადგილო შეკითხვის გამო მის სმითისაგან შენიშვნა მიიღო; უკან გაბრუნდა, კვლავ ახლოს ჩამიარა და გამიღიმა. ღმერთო, რა ღიმილი იყო ეს! ახლაც თვალწინ მიდგას. მასში ჩანდა გონიერება და შეუდრეკელი ნებისყოფა. ამ ღიმილმა გაანათა მისი გამხდარი სახის ნაკვთები, ჭროღა, ღრმად ჩაცვენილი თვალები, რომლებზედაც თითქოსდა ღვთიური შუქი გადაჰფენოდა. ელენ ბერნსს მკლავზე ჯერ კიდევ სასჯელის ნიშანი ეკეთა, რომელზედაც «უწესრიგო» ეწერა. ერთ საათსაც არ გაევლო, რაც მის სკეჩერდმა ის დასაჯა და დაჰპირდა, რომ სადილად მხოლოდ პურსა და წყალზე გადაატარებდა იმის გამო, რომ

გადაწერის დროს მელნით დასვარა სავარჯიშო. აი ასეთი არასრულყოფილია ადამიანის ბუნება. თვით ყველაზე სუფთა პლანეტასაც კი აჩნია რაღაც ლაქები. მის სკეჩერდის მსგავსი ადამიანების თვალი უმცირეს ნაკლოვანებასაც კი ამჩნევს და ბრმა არის დაინახოს ციურ მნათობთა ბრწყინვალება.

თავი VIII

ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ საათმა ხუთჯერ დარეკა. აღსაზრდელები ჩაის დასალევად გაათავისუფლეს და ყველა სასადილო ოთახისაკენ გაეშურა. ახლა კი გავბედე და სკამიდან ჩამოვედი. უკვე ძალიან ბნელოდა. ერთ-ერთ კუთხეში განვმარტოვდი და იატაკზე დავჯექი. ის ჯადოსნური ძალა, რომელმაც თავდაჭერის უნარით აღმჭურვა, ახლა თანდათან გაქრა და მეტად მძიმე წუთები დადგა. მწუხარებამ იმდენად დამძლია, რომ პირქვე დავემხე და ავქვითინდი. ელენ ბერნსი აღარ იყო ჩემთან. აღარავინ მანუგეშებდა. მარტოდმარტო დავრჩი ყველასაგან თავმინებებული და ჩემი ცრემლი ზღვას ერთვოდა. მერედა, როგორ ვცდილობდი რჩეულთა შორის ვყოფილიყავი და რამდენი რამის გაკეთებას ვაპირებდი ლოვუდში. მინდოდა შემეძინა მეგობრები, დამემსახურებინა პატივისცემა და ყველას სიყვარული. მართლაც მივაღწიე თვალსაჩინო წარმატებას. სწორედ იმ დილით გადამიყვანეს საუკეთესო აღსაზრდელთა რიგებში. მის მილერმა შემაქო; მის ტემპლი გამამხნევებლად მიღიმოდა; დამპირდა, რომ ხატვის გაკვეთილებსაც მომცემდა და ნებას დამრთავდა მესწავლა ფრანგული ენა, თუ ამ ორი თვის მანძილზე ასეთივე წარმატება მექნებოდა. ამხანაგებიც კარგად მეპყრობოდნენ. ჩემი ასაკის გოგონები როგორც თანასწორს ისე მექცეოდნენ და აბუჩად არავინ მიგდებდა. ახლა კი აი, აქ ვეგდე განადგურებული და ფეხქვეშ გათელილი. მეღირსებოდა კი კვლავ ფეხზე დადგომა? «არასოდეს», ვფიქრობდი და გულით ვნატრობდი სიკვდილს. ქვითინით ვლუღლუღებდი ამ სიტყვებს, რომ ვიღაც მომიახლოვდა. ფეხზე წამოვვარდი. კვლავ ელენ ბერნსი იდგა ჩემ ახლოს, ცეცხლის მკრთალ შუქზე ძლივს გავარჩიე ამ გრძელსა და ცარიელ ოთახში. ჩემი წილი პური და ყავა შემომიტანა.

_ შეჭამე რამე, _ მითხრა მან. მაგრამ ორივეზე უარი ვთქვი და იქით გავწიე. ასე მეგონა, ერთი ყლუპი რომ გადამეყლაპა ან ერთი ლუკმა შემეჭამა, მაშინვე დამახრჩობდა. ელენ ბერნსი ალბათ გაოცებული იყო. თუმცა ყოველ ღონეს ვხმარობდი, მაინც ვერ შევძელი დავმშვიდებულიყავი და ისევ ხმამაღლა გულამოსკვნილი ვქვითინებდი. ის ჩემ ახლოს იატაკზე დაჯდა, მკლავები მუხლებზე შემოიჭდო, თავი ზედ დააყრდნო და ინდურ ქანდაკებასავით გაირინდა. პირველმა მე დავარღვიე სიჩუმე.

_ ელენ, რატომ ზიხარ ისეთ გოგონასთან, რომელსაც ყველა მატყუარად თვლის?

_ ყველა, ჯეინ? რატომ გგონია ასე? მხოლოდ ოთხმოცმა ადამიანმა მოისმინა, როცა ასე მოგნათლეს. ამ ქვეყანაზე კი ასობით მილიონი ადამიანი ცხოვრობს.

_ და მერე მე რა საქმე მაქვს იმ მილიონებთან? მე ის ვიცი, რომ ამ ოთხმოც ადამიანს ვძულვარ.

_ ჯეინ, შენ ცდები. შესაძლებელია ერთიც არ მოიძებნებოდეს ისეთი, რომელსაც ეჯავრებოდე და არ უყვარდე. დარწმუნებული ვარ, ბევრს ეცოდები კიდეც.

_ როგორ შეიძლება, ვეცოდებოდე მათ ყოველივე იმის შემდეგ, რაც მისტერ ბროკლჰერსტმა ჩემზე ილაპარაკა.

_ მისტერ ბროკლჰერსტი ღმერთი კი არაა. ნურც დიდი და პატივსაცემი ვინმე გგონია. ის აქ არავის უყვარს. არც თვითონ ცდილობს, რომ ვინმეს უყვარდეს. მას რომ შენ სხვებისაგან გამოერჩიე და განსაკუთრებული სითბოთი მოგქცეოდა, უეჭველია, როგორც აშკარა ისე ფარულ მტრებს შეიძენდი. ახლა კი გაბედულება რომ ყოფნიდეთ, უმრავლესობა გითანაგრძნობდა. მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა, შეიძლება, ერთ-ორ დღეს დაგიწყონ ცივად ყურება, მაგრამ ვიცი, მათ გულში მაინც ღვივის შენდამი მეგობრული გრძნობა. მაგრამ თუ ეცდები და კვლავ კარგად მოიქცევი, ეს ფარული გრძნობა მალე მით უფრო ნათელი გახდება შენთვის. გარდა ამისა, ჯეინ, _ აქ ის გაჩერდა.

_ კიდევ რა, ელენ? _ ვკითხე და ხელი ხელზე მოვკიდე. ის სათუთად ეხებოდა ჩემს თითებს, რომ ოდნავ მაინც გაეთბო და განაგრძობდა.

_ მთელ ქვეყნიერებას რომ სძულდე და დარწმუნებული იყოს შენს ბოროტებაში, თუ შენ საკუთარი თავის წინაშე მართალი და უდანაშაულო ხარ, არასოდეს დარჩები უმეგობროდ.

_ არა. ვიცი, კარგიც უნდა ვიფიქრო ჩემს თავზე. მაგრამ ეს საკმარისი არაა. თუ არავის ვეყვარები, ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია. ელენ, მარტოობას ვერ ავიტან. არც ის შემიძლია, ყველას ვძულდე... მისმინე: შენი, მის ტემპლის ან რომელიმე ჩემთვის ძვირფასი ადამიანის ნდობა და სიყვარული რომ მომეპოვებინა, ერთი წუთითაც არ დავფიქრდებოდი, ხელი მოეტეხათ ჩემთვის, ხარს გავექელე და თვით ცხენის წიხლებსაც დაურიდებლად შევუშვერდი მკერდს.

_ დამშვიდდი, ჯეინ. შენ გადაჭარბებულად აფასებ შენ გარშემო მყოფ ადამიანთა სიყვარულსა და პატივისცემას. მეტისმეტად მგრძნობიარე ხარ; ყველაფერი გულთან ახლოს მიგაქვს. ქვეყნიერების შემქმნელმა ძალამ, რომელმაც შექმნა შენი სხეული და სიცოცხლე შთაბერა მას, მოგანიჭა არსებობის სხვა უფრო ძლიერი საშუალებაც, ვიდრე შენ, ან შენ მსგავს სუსტ ქმნილებათ ძალგიძთ. გარდა ამქვეყნიური სამყაროსი და ადამიანთა მოდგმისა, არსებობს კიდევ უხილავ სულთა სამეფო. აი ეს სამეფოა ყველგან ჩვენ ირგვლივ. ეს სულები გვითვალთვალებენ და მოწოდებულნი არიან დაგვიცვან. როცა სინდისის ქენჯნის ან სხვა რაიმე განსაცდელისაგან წამებით

ვიხოცებით სიძულვილით გარემოცულნი და ფეხქვეშ გათელილნი, ანგელოზები ხედავენ ჩვენს წამებას და ამჩნევენ, რომ მთლად უდანაშაულონი ვართ (თუკი სინამდვილეში ეს მართლაც ასეა, როგორც მე ვხედავ, შენ ბრალი არ მიგიძღვის და მისის რიდის გავლენით, მისტერ ბროკლჰერსტმა თავისი დაუსაბუთებელი მაღალფარდოვანი მჭევრმეტყველებით სრულიად უდანაშაულოდ დაგამცირა. შენს მოკიაფე თვალებში და სუფთა შუბლზე ამოვიკითხე, რომ გულწრფელი ხარ). ღმერთი კი იცდის, სანამ სული ხორცს გაეყრება, რათა ჩვენ მიერ ჩადენილ კეთილ საქმეებს უხვი წყალობა არ მოაკლოს. მაშ, რაღად უნდა შეგვიპყროს მწუხარებამ, როდესაც სიცოცხლე ასე ხანმოკლეა, ხოლო სიკვდილი კი ბედნიერებისა და დიდებისაკენ მიმავალი ჭეშმარიტი გზა.

ვდუმდი. ელენმა დამამშვიდა. თუმცა ამ სიმშვიდეშიც ენით გამოუთქმელი ნაღველი იყო ჩაქსოვილი. მისი სიტყვები საშინელ სევდასა და გულისტკივილს აღვიძებდა ჩემში. მაგრამ რატომ? ვერ გამეგო. საუბარი დაამთავრა თუ არა, სუნთქვა გაუხშირდა, ამას ხანმოკლე ხველა მოჰყვა. იმწამსვე დამავიწყდა საკუთარი დარდი და გაურკვეველმა შიშმა შემიპყრო. მხოლოდ მასზე ვფიქრობდი.

თავი მხარზე დავაყრდენი, ხელები წელზე მოვხვიე. მან თავისკენ მიმიზიდა და ასე ვისხედით უსიტყვოდ. თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ვიღაც შემოვიდა. ამოვარდნილმა ქარმა შავად ჩაწოლილი ღრუბლები გაჰფანტა და მთვარემ გამოანათა. ფანჯრიდან შემოჭრილ შუქზე ნათლად გამოვჩნდით ჩვენ და მესამე ადამიანიც, რომელიც გვიახლოვდებოდა. მაშინვე ვიცანით, მის ტემპლი იყო.

_ სწორედ შენ გეძებდი, ჯეინ ეარ, _ წარმოთქვა მან. _ მინდა, რომ ჩემთან წამოხვიდე. რადგან ელენ ბერნსიც შენთან არის, ისიც წამოვიდეს.

ორივენი გავყევით. გავიარეთ მიხვეულ-მოხვეული დერეფნები, შემდეგ კიბეზე ავედით და მის ოთახს მივაღწიეთ. იქ ცეცხლი მხიარულად გიზგიზებდა. მის ტემპლმა ელენ ბერნსს ბუხრის ერთ მხარეზე მდგარ დაბალ სავარძელზე მიუთითა, მეორეში თვითონ ჩაჯდა, მე კი მიმიხმო და გვერდით დამიყენა.

_ აბა, მითხარი, ყველაფერმა გაიარა? _ მკითხა და სახეში ჩამხედა. _ გული იჯერე ტირილით? დამშვიდდი?

_ ვშიშობ, ვერასოდეს ვერ შევძლებ ამას.

_ რატომ?

_ იმიტომ, რომ უდანაშაულოდ დამსაჯეს. ალბათ თქვენ და ყველა აქ მყოფნი ფიქრობთ ახლა, რომ ბოროტი ვარ.

_ ჩემო ბავშვო, ჩვენ მხოლოდ შენი საქციელით შეგაფასებთ. კვლავ კარგად მოიქეცი და ჩვენც კმაყოფილნი ვიქნებით.

_ ნუთუ ეს შესაძლებელია, მის ტემპლ.

_ რასაკვირველია, _ მითხრა მან და ხელი მომხვია, _ ახლა კი მითხარი, ვინ არის ის ქალბატონი, რომელსაც მისტერ ბროკლჰერსტი შენს კეთილისმყოფელს უწოდებს?

_ მისის რიდი, ჩემი ბიძის ცოლია. ბიძა გარდამეცვალა და სიკვდილის წინ მას ჩააბარა ჩემი თავი.

_ მაშ, მან საკუთარი სურვილით არ გიშვილა?

_ არა, ქალბატონო. ის ნანობდა კიდეც, რომ იძულებული გახდა და შემივრდომა, რადგან ბიძაჩემს, როგორც მოსამსახურეებისაგან ხშირად მსმენია, სიკვდილის წინ მისთვის პირობა ჩამოურთმევია, რომ ყოველთვის ეზრუნა ჩემზე.

_ კეთილი, ჯეინ. შენც იცი, მაგრამ მაინც გეტყვი, რომ როცა ადამიანი დანაშაულს ჩაიდენს, მას ნებას აძლევენ ილაპარაკოს საკუთარი თავის დასაცავად. შენ მატყუარობა დაგწამეს, ახლა თუ შეგიძლია თავი იმართლე ჩემ წინაშე, მიამბე ყველაფერი, რაც გახსოვს და რაც ნამდვილად მოხდა. ნურაფერს ნუ დაუმატებ და ნურც გააზვიადებ.

გულის სიღრმეში გადავწყვიტე მეტად თავდაჭერილი ვყოფილიყავი და მხოლოდ სიმართლე მელაპარაკა. რამდენიმე წუთს ვდუმდი, რათა მომეფიქრებინა და თანამიმდევრობით მომეთხრო, რაც თავს გადამხდა. შემდეგ კი ჩემი ბავშვობის სევდით სავსე ისტორია მთლიანად ვუამბე. მღელვარებამ იმდენად დამასუსტა, რომ ამჯერად ჩემს ამბავს უფრო თავშეკავებულად ვყვებოდი, ვიდრე საერთოდ, როცა ამ სევდიან თემას ვეხებოდი ხოლმე. არ მავიწყდებოდა ელენის გაფრთხილებაც: მომეთმინა და ზედმეტად არ ავღელვებულიყავი. ამიტომაც ახლა ჩვეულებრივზე უფრო მშვიდად და მწარე ნაღველის გარეშე ვუყვებოდი ყველაფერს. ასე უბრალოდ მონათხრობი ამბავი უფრო დამაჯერებლად ჟღერდა. საუბარს განვაგრძობდი და ვამჩნევდი, მის ტემპლს ყოველი ჩემი სიტყვა სჯეროდა.

თხრობის დროს მოვიხსენიე მისტერ ლოიდის სახელიც, რომელმაც მინახულა წითელ ოთახში გულის წასვლის შემდეგ. არ მავიწყდებოდა ის საშინელი ამბავი, რაც წითელ ოთახში გადამხდა. დაწვრილებით ავუწერე ყველაფერი და ახლა კი სიმშვიდე ვეღარ შევინარჩუნე. არაფერს შეეძლო შეემსუბუქებინა ის ტანჯვა-წამება, რაც განიცადა ჩემმა გულმა, როდესაც მისის რიდმა უკუაგდო ჩემი თავგანწირული ვედრება და მეორედ ჩამკეტა იმ ბნელსა და მოჩვენებებით სავსე ოთახში.

დავამთავრე. რამდენიმე ხნის განმავლობაში მის ტემპლი დუმდა და ისე მიყურებდა. შემდეგ მითხრა:

_ მსმენია მისტერ ლოიდზე. მივწერ მას. თუ მისი პასუხი შენს მონაყოლს დაემთხვა, ყველას თანდასწრებით გაგამართლებთ და მოგხსნით ამ ბრალდებას. ხოლო რაც შემეხება მე, ჩემს თვალში შენ უკვე მართალი ხარ, ჯეინ.

მან მაკოცა. ჯერ ისევ მის ახლოს ვიდექი (მასთან ახლოს დგომა კი წრფელად, ბავშვურად მიხაროდა, რადგან დიდ სიამოვნებას განვიცდიდი მისი

სახის, ტანსაცმლის, სამკაულების, თეთრი შუბლის, ხშირი, ხვეული მბრწყინავი თმისა და შავი, მოციმციმე თვალების ყურებით), რომ ის ელენ ბერნსს მიუბრუნდა და უთხრა:

_ ამ საღამოს თავს როგორ გრძნობ, ელენ? დღეს ბევრი გახველა?

_ არც ისე ბევრი, ქალბატონო.

_ ტკივილს ისევ გრძნობ მკერდში?

_ ცოტა უფრო ნაკლებად.

მის ტემპლი წამოდგა და მაჯისცემა გაუსინჯა. მერე ისევ თავის სავარძელში ჩაჯდა. გავიგონე, რომ ჩუმად ამოიოხრა. რამდენიმე წუთს დაფიქრებული იჯდა. შემდეგ, თითქოს გამოფხიზლდაო, მხიარულად გვითხრა:

_ ამ საღამოს ხომ ჩემი სტუმრები ხართ და შესაფერისად უნდა გაგიმასპინძლდეთ.

ზარი დარეკა.

_ ბარბარა, _ მიმართა მან მსახურ ქალს, რომელიც ზარის ხმაზე შემოვიდა. _ ჩაი ჯერ არ დამილევია. შემოიტანე ლანგარი და კიდევ ორი ფინჯანი დაუმატე ამ პატარა ქალბატონებისთვის.

ლანგარი მალე შემოიტანეს და ცეცხლის პირას პატარა მრგვალ მაგიდაზე დადგეს. ო, როგორ ლამაზად ჩანდა მასზე ფაიფურის ფინჯნები და გაკრიალებული ჩაიდანი. რა საამო სურნელებას აფრქვევდა ჩაი და გაფიცხებული პური. ჩემდა სამწუხაროდ (რადგან ძალიან მშიერი ვიყავი), შევნიშნე, რომ პური ძალიან ცოტა იყო. მის ტემპლსაც არ გამოჰპარვია ეს.

_ ბარბარა, _ უთხრა მან, _ არ შეგიძლიათ კიდევ შემოიტანოთ ცოტაოდენი პური და კარაქი? ეს სამ ადამიანს არ ეყოფა.

ბარბარა გავიდა და ისევ მალე შემობრუნდა.

_ ქალბატონო, მისის ჰარდენი ამბობს, რომ მან იმდენივე გამოგზავნა, როგორც ჩვეულებრივ გიგზავნით ხოლმე.

მკითხველს უნდა მოვახსენო, რომ ეს მისის ჰარდენი მნე გახლდათ, რომელსაც მისტერ ბროკლჰერსტი დიდად ენდობოდა. ის ისეთი ხელმოჭერილი იყო, თითქოს ვეშაპის ძვლებისა და რკინისაგან ჩამოესხათ.

_ კარგი, ბარბარა, _ უპასუხა მის ტემპლმა, _ როგორმე იოლად წავალთ. _ როდესაც ბარბარა გავიდა, მან ღიმილით დაუმატა: _ საბედნიეროდ, შემიძლია ცოტა რამ დავუმატო ამ ჩვენ ღარიბულ სუფრას.

ორივე სუფრასთან მიგვიპატიჟა. თითოეულ ჩვენგანს თითო ფინჯანი ჩაი და გემრიელი, მაგრამ მეტად თხლად დაჭრილი პურის ნაჭერი შემოგვთავაზა. შემდეგ მის ტემპლი ადგა, კარადა გამოაღო, იქიდან ქაღალდში გახვეული რაღაც გამოიღო, გახსნა და დავინახეთ ჩამიჩიანი ნამცხვრის კარგა მოზრდილი ნაჭერი.

_ მინდოდა თან გამეტანებინა, მაგრამ, რადგან პური ცოტაა, უმჯობესია, ახლავე შეექცეთ.

ნამცხვარი დაჭრა და გულუხვად გაგვიმასპინძლდა. მეგონა, თითქოს ნექტარსა და ამბროზიას შევექცეოდით. არანაკლებ სიამოვნებას გვგვრიდა

მასპინძელი, რომელიც კმაყოფილი ღიმილით თვალყურს გვადევნებდა, თუ როგორ გემრიელად შევექცეოდით და ვტკბებოდით მისი გულუხვი მასპინძლობით. ჩაი დამთავრდა. ლანგარი გაიტანეს და მან კვლავ ცეცხლთან მიგვიწვია. ჩვენ აქეთ-იქით შემოვუსხედით. ბედნიერად ვთვლიდი ჩემს თავს, რომ მის ტემპლისა და ელენის საუბარს ვუსმენდი.

მის ტემპლი ყოველთვის გამოირჩეოდა შინაგანი სიმშვიდით. სახის ნაკვთები მის კეთილშობილებაზე მეტყველებდა. მისი ღირსების შესაფერ დახვეწილ სწორ მეტყველებაში არასოდეს შეინიშნებოდა სიფიცხე და მღელვარება. მასში იყო რაღაც ძალა, რაც მის მსმენელსა და შემყურეს სიამოვნებას ანიჭებდა, ხიბლავდა და პატივისცემის გრძნობასაც უღვიძებდა. ასევე დამემართა მეც. რაც შეეხება ელენ ბერნსს, მან მთლად გამაოცა.

არ ვიცი, ამ გემრიელმა ვახშამმა, ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლმა, მისთვის საყვარელი აღმზრდელის ახლოს ყოფნამ და ალერსმა, თუ უფრო მეტად მისმა თავისებურმა, ყველასაგან განსხვავებულმა ბუნებამ, მთლიანად გამოაცოცხლა იგი. შევნიშნე, რომ რაღაც ახალმა ძალამ იფეთქა მასში. სისხლნაკლებობისაგან გაფერმკრთალებული ღაწვები აუვარდისფრდა, წყლიანი თვალები აუციმციმდა. ამან მას ენით აუწერელი სილამაზე შემატა და ისიც კი მომეჩვენა, რომ მისი თვალები მის ტემპლის თვალებთან შედარებით უფრო მშვენიერი იყო. ჩემში აღფრთოვანებას იწვევდა არა ამ თვალების მშვენიერი ფერი, გრძელი წამწამები და გადაკალმული წარბები, არამედ სიცოცხლის ძალით ანთებული ამ თვალთა მეტყველება. მან ბაგე გახსნა და გული გადაგვიშალა. თავისუფლად ლაპარაკობდა; მაგრამ საიდან მომდინარეობდა მისი ასეთი ცოდნა, ვერ გეტყვით. როგორ შეიძლებოდა, თოთხმეტი წლის გოგონას ასეთი დიდი გული ჰქონოდა, ყველაფერი დაეტია და იქიდან ნაკადულივით ედინა გულწრფელსა და მგზნებარებით სავსე მჭევრმეტყველებას. აი, ასე მგზნებარედ ესაუბრებოდა ის მის ტემპლს იმ ჩემთვის დაუვიწყარ საღამოს. როგორც ჩანდა, მისი სული ესწრაფოდა სრულიად ხანმოკლე დროის მანძილზე შეეცნო და განეცადა იმდენივე, რასაც სხვა ადამიანები მთელი თავიანთი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე უნდებიან.

ისინი ისეთ საკითხებზე მსჯელობდნენ, რაც მე არასოდეს მსმენოდა: გარდასულ ხანაზე, ხალხებსა და შორეულ ქვეყნებზე, ბუნების ახალ აღმოჩენებზე, ჯერ კიდევ შეუცნობელ საიდუმლოებაზე და სხვადასხვა წიგნზე. მერედა, რამდენი რამ ჰქონდათ წაკითხული! რა განუსაზღვრელი იყო მათი ცოდნა, რა თავისუფლად გამოთქვამდნენ ფრანგულ გვარებს და რა კარგად იცნობდნენ ფრანგ მწერლებს. მაგრამ ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მის ტემპლი შეეკითხა ელენს, პოულობდა თუ არა დროს ლათინური ენის გასამეორებლად, რომელიც მამამ ასწავლა. მერე თაროდან წიგნი გადმოიღო და სთხოვა, წაეკითხა და ეთარგმნა ნაწყვეტი ვერგილიუსიდან. გოგონამ თხოვნა შეუსრულა. ჩემი მოკრძალება მათდამი ყოველი ახალი სტრიქონის მოსმენასთან ერთად იზრდებოდა. ის-ის იყო კითხვა დაამთავრა, რომ ზარის ხმაც გაისმა. უკვე ძილის დრო იყო. დაგვიანება

არ შეიძლებოდა. მის ტემპლი სათითაოდ გადაგვეხვია, გულში ჩაგვიკრა და გვითხრა:

_ ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ჩემო ბავშვებო!

ჩემთან შედარებით ელენი უფრო მეტხანს ჰყავდა გულში ჩაკრული. მასთან განშორება უმძიმდა. შევნიშნე, კარებისკენ რომ გავემართეთ, ელენს გააყოლა თვალი. მეორედაც მისთვის ამოიოხრა ასე მწარედ და ცრემლი მოიწმინდა.

მივუახლოვდით თუ არა საწოლ ოთახს, მის სკეჩერდის ხმა შემოგვესმა. მან ელენს მეტად მკაცრი შენიშვნები მისცა და დაემუქრა, რომ მეორე დღეს მხრებზე ჩამოჰკიდებდა ასე უთავბოლოდ აყრილ-დაყრილ რამდენიმე ნივთს.

_ მართლაც მეტად სამარცხვინოდ იყო არეულ-დარეული ჩემი უჯრა, _ ჩამჩურჩულა ელენმა. _ მინდოდა, დამელაგებინა, მაგრამ დამავიწყდა.

მეორე დილით მის სკეჩერდმა მუყაოს ნაჭერზე დიდი ასოებით დაწერა სიტყვა «უწესრიგო» და ელენის ფართო და ჭკვიან შუბლს თილისმასავით შემოახვია. მან საღამომდე ატარა ეს წარწერა მშვიდად, მოთმინებით, დამსახურებულ სასჯელადაც თვლიდა. როგორც კი ნაშუადღევს მის სკეჩერდმა გაკვეთილები დაამთავრა და წავიდა, ელენთან მივირბინე, შუბლიდან მუყაოს ნაჭერი ჩამოვგლიჯე და ანთებულ ცეცხლში შევაგდე. ამ ამბავს ელენი სრულიად არ აუღელვებია. ეს გრძნობა უცხო იყო მისთვის; მე კი მთელი დღე სულს მიშფოთებდა. მსხვილი, ცხარე ცრემლები ღაპაღუპით ჩამომდიოდა. ასეთი უდრტვინველი მორჩილება ენით გამოუთქმელ ტკივილს იწვევდა ჩემში.

ზემოთ აღწერილი ამბების შემდეგ დაახლოებით ერთი კვირა გავიდა. მის ტემპლმა წერილის პასუხი მიიღო მისტერ ლოიდისაგან. როგორც ჩანს, წერილმა დაადასტურა ჩემი მონაყოლი ამბების სიმართლე. მის ტემპლმა შეკრიბა სასწავლებლის მასწავლებლები, აღსაზრდელები და განუცხადა, რომ მან შეამოწმა, მართალი იყო თუ არა ჯეინ ეარისადმი წაყენებული ბრალდება. შემოწმებამ დაადასტურა ბავშვის სიმართლე და ახლა ის ბედნიერად თვლიდა თავს, შეეტყობინებინა ეს ამბავი მათთვის და ბავშვი გაენთავისუფლებინა ყოველგვარი ცილისწამებისაგან. მასწავლებლებმა ხელი ჩამომართვეს და გადამკოცნეს. აღსაზრდელთა რიგებში გაისმა სიამოვნების ჩურჩული.

ასე ჩამომხსნეს მძიმე ტვირთი და იმ წუთიდან მოკიდებული, განახლებული ენერგიით შევუდექი მეცადინეობას. გადავწყვიტე, ყველა სიძნელე გადამელახა. ბეჯითად ვშრომობდი და შედეგიც კარგი მქონდა. ბუნებით არცთუ ისე კარგი მეხსიერება ბევრი მეცადინეობის წყალობით თანდათან გამომიკეთდა. გამუდმებულმა მეცადინეობამ გონებამახვილი გამხადა. რამდენიმე კვირაში მაღალ კლასში გადამიყვანეს. ორ თვესაც არ გაევლო, ნება დამრთეს დამეწყო ფრანგული ენისა და ხატვის შესწავლა. ერთ დღეში ვისწავლე ზმნა Êტრე-ის უღლება ორ დროში და პირველად დავხატე ქოხი (რომლის კედლები იმდენად დაქანებული იყო, რომ ქ. პიზაში დახრილობით სახელგანთქმულ კოშკის ქონგურს მეტოქეობას ადვილად გაუწევდა). იმ საღამოს ჩემს ჩვეულებას ვუღალატე. დაძინებისას არ

გამხსენებია ოცნებით მაინც წარმომედგინა ბარმსაიდის შესანიშნავი ვახშამი: ცხელი შემწვარი კარტოფილი, პური და ახლადმოწველილი რძე. ამ სანატრელი საჭმლის წარმოდგენით დამევიწყებინა მწვავე შიმშილი. ყოველივე ამის ნაცვლად სიბნელეში წარმომიდგა ჩემი საკუთარი ხელით შექმნილი მშვენიერი სურათები: ფანქრით ნახატი სახლები და ხეები, ულამაზესი კლდეები და ნანგრევები. ოცნებაში მათ ვამსგავსებდი ალბერტ კოიპის მიერ შექმნილ მშვენიერ სურათებს. თვალწინ მედგა მის მიერ დახატული საძოვარზე გაშვებული მსხვილფეხა საქონელი, ვარდის გაუშლელ კოკრებზე მოფარფატე პეპლები; თუნდაც აი ასეთი სურათი: ფრინველები კენკავენ მწიფე ალუბალს. აქვეა ნიბლია ჩიტი მარგალიტისოდენა კვერცხებით სავსე ბუდეში, ბუდეს კი ნორჩი ფათალო გარს შემოხვევია. იმასაც ვფიქრობდი, მალე შევძლებდი თუ არა მეთარგმნა რაიმე ფრანგული მოთხრობების პატარა წიგნიდან, რომელიც იმ დღეს მადამ პიერომ მიჩვენა. ამ ამბებში ჯერ ვერ გავრკვეულიყავი, რომ ტკბილად ჩამეძინა.

მართალი უთქვამს სოლომონს: მირჩევნია ყველი, პური და კეთილი გულიო. არაფრის გულისთვის არ გავცვლიდი ახლა ლოვუდს და იქაურ გაჭირვებულ ცხოვრებას გეიტსჰედ ჰოლსა და მის სიმდიდრეზე.

თავი IX

ლოვუდში თანდათან შეუმჩნეველი გახდა საშინელი ხელმოკლეობა და ცხოვრების მძიმე პირობები. გაზაფხულდა. ზამთრის ყინვებს ბოლო მოეღო. თოვლი დადნა. სუსხიანი ქარები აღარ ქროდა და ამინდი მთლად გამოიცვალა. აპრილის ნაზი სუნთქვა მალამოდ ედებოდა ჯერ კიდევ იანვრის სუსხიან ამინდებში ჩემს მოყინულ, ტყავგადამძვრალ და დასივებულ ფეხებს. იარები, რომლის გამოც კოჭლობით ძლივს დავდიოდი, ახლა თანდათან მირჩებოდა და ტკივილებიც მიყუჩდებოდა. კარგა ხანია გაქრა კანადური ყინვები, რომელიც დილა-საღამოობით ძარღვებში სისხლს გვიყინავდა. თამაშისათვის განკუთვნილ ერთ საათს სიამოვნებით ვატარებდით ბაღში. ხოლო იმ დღეებში, როცა მზე გამოანათებდა, ჩვენს სიხარულს და სიამოვნებას საზღვარი არ ჰქონდა. მუქი კვლები მწვანე სამოსით შეიმოსა და დღითიდღე მშვენიერდებოდა. თითქოს გაზაფხულის მსუბუქფრთიანი სუნთქვა ღამით თავს გადაუქროლებდა ხოლმე ამ ბაღნარს და ყოველ დილით მისი კვალი უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა. ფოთლებს შორის მრავალნაირ ყვავილს ამოეყო თავი: ენძელებს, ხვინტრას, მეწამულ ქუჩმაიებს და ოქროსფერთვალა იასამფერებს. ხუთშაბათობით ნაშუადღევის შემდეგ თავისუფლები ვიყავით და დიდხანს ვსეირნობდით. ვამჩნევდით, თანდათან როგორ იშლებოდა მშვენიერი ყვავილები გზებსა და ღობის ძირებში.

გავცქეროდი ჰორიზონტზე ამ შემოღობილ, დალურსმულ კედლებს იქით მდებარე მიდამოებს და დიდებულ მთის მწვერვალებს. ისინი

გარშემორტყმოდნენ მწვანედ აბიბინებულ დაბლობს, რომლის უმეტესი ნაწილი ჩრდილს დაეფარა. ვიცოდი, რა დიდი სიამოვნება იყო მათი ყურება. მუქი ფერის ქვებს შორის მხიარულად მორაკრაკებდა ანკარა ნაკადული. ოჰ, რა სხვანაირი ჩანდა ზამთრობით რკინისფერი ცის ქვეშ მუქი ღრუბლებით დაფარული, ყინვით გათოშილი და თოვლით გადაფიფქული ეს მიდამოები. ზენაქარს მოჰქონდა ყინულივით ცივი, სულისშემხუთავი ბურუსი, რომელიც გარს ეხვეოდა იისფერ მწვერვალებს, თანდათანობით დაბლა ეშვებოდა, ბარამდე აღწევდა და უერთდებოდა მდინარეზე გაწოლილ ცივ ნისლს. მდინარე კი მოქუხდა ამღვრეული და დაუდეგარი. მისი გამაყრუებელი ხმაური კვეთდა ტყეს და ავსებდა არემარეს. ამას ემატებოდა კოკისპირული, თოვლნარევი წვიმის ხმა. მდინარის ნაპირებზე ჩამწკრივებული ხეები უსულო ჩონჩხებს ჰგავდნენ.

აპრილი მაისმა შეცვალა. მშვიდი და ნათელი მაისი დადგა. თბილი მზის სხივებით გაცისკროვნებული ცა ლურჯად ციმციმებდა. ხან დასავლეთიდან და ხან სამხრეთიდან მთელი თვე ქროდა მსუბუქი ნიავი. მცენარეულობამ გაიღვიძა. ლოვუდმაც შეარხია თავისი მშვენიერი დალალები. ყველაფერი ამწვანდა და აყვავდა. დიდი, მაღალი თელები, კოპიტები და მუხები კვლავ შეიფოთლნენ. ბუჩქნარიც ამწვანდა და გაიშალა. ხავსით დაიფარა პატარ-პატარა ორმოები. ხოლო მიწაზე აქა-იქ გაფანტული ფურისულები მზის სხივებზე ციმციმებდნენ. ჩრდილით დაფარულ ბალახებში მათი მქრქალი, ოქროსფრად მოციაგე სხივები სინათლის შუქივით ანათებდა. უმეთვალყურეოდ დარჩენილი, სრულიად თავისუფალი და განმარტოებული, ძალიან ხშირად დიდხანს ვერთობოდი და ვტკბებოდი ყოველივე ამით. ამ უჩვეულო თავისუფლებას და სიამოვნებას თავისი მიზეზი ჰქონდა და ჩემი ვალია, ყოველივე გიამბოთ.

განა ჩემ მიერ აღწერილი თვალწარმტაცი, გორაკებსა და ტყეების წიაღში ჩაფლული მიდამო თავისი მოჩუხჩუხე ნაკადულით მშვენიერ საცხოვრებელ ადგილად არ გამოდგებოდა? რასაკვირველია, ყველაფერი ეს საუცხოო იყო, მაგრამ გამოდგებოდა თუ არა საცხოვრებლად, ეს კიდევ საკითხავია.

ეს ტყით დაფარული, დაცემული ველი, სადაც ლოვუდი გაეშენებინათ, მუდმივი ნისლისა და ამ ნისლით გამოწვეული სხვადასხვა ავადმყოფობის აკვანი გახლდათ. ეს ავადმყოფობა გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად ძლიერდებოდა. აი ახლაც, ობოლთა თავშესაფარში ტიფის ეპიდემია დაიწყო. ის სწრაფად გავრცელდა; საკლასო ოთახები და საერთო საცხოვრებლები ავადმყოფი ბავშვებით გაავსო და ჯერ კიდევ, ვიდრე მაისი დადგებოდა, მთელი სასწავლებელი საავადმყოფოდ გადაიქცა.

ნახევრად შიმშილობამ და საშინელმა სიცივემ შექმნა წინასწარი პირობები, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას სწრაფად მოსდებოდა ეს გადამდები სნეულება. ავადმყოფობამ ოთხმოცი ბავშვიდან ერთდროულად ორმოცდახუთი ჩააწვინა. მეცადინეობა შეწყდა. სასწავლებელში გამეფებულ წესრიგს აღარავინ იცავდა. ხოლო ის აღსაზრდელები, რომლებიც ჯერ კიდევ

კარგად იყვნენ, დიდი თავისუფლებით სარგებლობდნენ. ექიმი დაჟინებით მოითხოვდა, რომ კარგად მყოფ ბავშვებს ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით მეტი დრო სუფთა ჰაერზე გაეტარებინათ. ასეც რომ არ ყოფილიყო, არავის ჰქონდა დრო ჩვენთვის თვალი ედევნებინა, ან ოთახებში გამოვეკეტეთ. მის ტემპლს მთელი ყურადღება გადატანილი ჰქონდა ავადმყოფ ბავშვებზე. მთელ დღეებს მათთან ატარებდა და ლაზარეთიდან რამდენიმე საათით მოსასვენებლად მხოლოდ ღამით გამოდიოდა. მასწავლებლები საქმეს ვერ ასდიოდნენ. ისინი ბარგს ულაგებდნენ და გასამგზავრებლად ამზადებდნენ ბავშვებს, რომელთაც საბედნიეროდ გამოუჩნდნენ ნათესავ-მეგობრები და იკისრეს მოეცილებინათ ისინი ამ გადამდები სენით მოწამლული ადგილისათვის. მრავალ მათგანს უკვე შეყროდა სენი და სახლში მხოლოდ იმიტომღა მიემგზავრებოდა, რომ იქ დაელია სული. ზოგმა სახლში წასვლაც ვეღარ მოასწრო; ლოვუდშივე გარდაიცვალა. ისინი იქვე დამარხეს სწრაფად და ყველასაგან შეუმჩნევლად. გადამდები სნეულების ბუნება ვერავითარ და-ყოვნებას ვერ ითმენს. ამიტომაც ლოვუდში სენმა ძლიერად მოიკიდა ფეხი და სიკვდილიც მისი ხშირი სტუმარი გახდა.

ლოვუდში მხოლოდ შიშმა და სევდამ დაისადგურა. ოთახები და დერეფნები საავადმყოფოს სუნით გაიჟღინთა. წამლებითა და სამკურნალო სურნელოვანი აბების ახრჩოლებით ამაოდ ცდილობდნენ სიკვდილიანობა დაეძლიათ. ამ დროს ლოვუდის კედლებს იქით, ციცაბო გორაკებსა და ტყით დაფარულ თვალწარმტაც ადგილებში უღრუბლო მაისი ბრწყინავდა. სასწავლებლის ბაღი ათასფრად გადაშლილ ყვავილებში ჩაფლულიყო. ყვაოდა გათამამებული და ხის ტოტებივით რტოებგაშლილი წითელი ბალბა, შროშანი, ვარდი და ტიტა. წითლად და ვარდისფრად აყვავებული ზიზილები არშიასავით გარსშემორტყმოდა პატარ-პატარა კვლებად დაყოფილ ადგილს. დილა-საღამოობით ასკილის ყვავილები ჰაერში აფრქვევდნენ ახლადგაშლილი ვაშლის ყვავილების მსგავს სურნელებას. ლოვუდის აღსაზრდელთა უმრავლესობა უკვე ვეღარ ტკბებოდა ამ საამო სურნელებით. ამ ყვავილებითა და მწვანე ბალახით ახლა მხოლოდ გარდაცვალებულთა კუბოებს ამკობდნენ.

ბუნების ასეთ თვალწარმტაც სიმშვენიერეს სრულყოფილად მხოლოდ მე და ის ბავშვები შევიგრძნობდით, რომელნიც ავადმყოფობას გადავურჩით. ნება დაგვრთეს და ჩვენც ბოშებივით დილიდან საღამომდე ტყეში დავეხეტებოდით. რაც გვსურდა, იმას ვაკეთებდით, სადაც გვინდოდა, იქ მივდიოდით და უკეთესადაც ვცხოვრობდით. მთელი ამ ხნის მანძილზე მისტერ ბროკლჰერსტი და მისი ოჯახის წევრები ლოვუდს ახლოსაც არ გაჰკარებიან. არც მის საშემოსავლო და საყოფაცხოვრებო საკითხებში ერეოდნენ. გადამდები სნეულების შიშმა გულბოროტი მნეც გააქცია; მის ადგილზე ახლადდანიშნულ, ლოუტონის ლაზარეთიდან გადმოსულ მნე ქალს მისთვის არ მიუბაძავს. ის უფრო გულუხვად გვიმასპინძლდებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ბავშვები, რომელთაც ჭამის მადა შეგვრჩა, ძალიან ცოტანიღა დავრჩით. ავადმყოფებს ხომ სულ მცირე ულუფაც ყოფნიდათ. აი, ალბათ, ეს

იყო მიზეზი, რომ საუზმისათვის განკუთვნილ ჯამებს ახლა პირამდე გვივსებდნენ. მახსოვს, ხშირად დრო არ რჩებოდათ ჩვენთვის საუზმე მოემზადებინათ. ასეთ შემთხვევებში მოზრდილ ნაჭრებად დაჭრილ ღვეზელს ან პურსა და ყველს გვირიგებდნენ. ეს თან მიგვქონდა ტყეში. იქ თითოეული ჩვენგანი თავის ამორჩეულ ადგილისაკენ მიეშურებოდა და საუზმეს შეექცეოდა. მეც მქონდა ჩემი საყვარელი ადგილი. ეს გახლდათ მდინარის შუაგულში დიდი თეთრი მშრალი ლოდი. ქვასთან მისასვლელად ფეხზე ვიხდიდი და ფეხშიშველი წყალში შევტოპავდი ხოლმე. ქვის ზედაპირი იმდენად ფართო იყო, რომ მე და ჩემ ახალ მეგობარს, ვინმე მერი ენ უილსონს, თავისუფლად გვყოფნიდა. მიხაროდა საკმაოდ ჭკვიანი და დაკვირვებული გოგონას მერი ენ უილსონის მეგობრობა. მეტად მიზიდავდა მისი გონებამახვილობა და თავისებურება. თანაც თავი ისე თავმდაბლად ეჭირა, რომ მის სიახლოვეს დიდ თავისუფლებას ვგრძნობდი. ის ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი იყო და ცხოვრებასაც, რასაკვირველია, ჩემზე უკეთ იცნობდა. ხშირად ისეთ ამბებს მიყვებოდა, რომლის მოსმენა ძალიან მიყვარდა და მთლიანადაც აკმაყოფილებდა ჩემს ცნობისმოყვარეობას. რაც შეეხება ჩემს ნაკლს, ის არასოდეს მკიცხავდა ამისთვის. როცა რაიმეს ვუყვებოდი, არასოდეს მაწყვეტინებდა. მას კარგი თხრობა ეხერხებოდა, მე კი _ ანალიზი; მას რჩევა-დარიგებების მოცემა უყვარდა, მე კი _ შეკითხვების. ჩვენ ჩინებულად შევეწყვეთ ერთმანეთს. თუ ამ მეგობრულმა ურთიერთობამ ვერავითარი სიკეთე ვერ მოგვიტანა, სიამოვნება მაინც გვაგრძნობინა.

სად იყო ამ დროს ელენ ბერნსი? რატომ მასთან არ ვატარებდი თავისუფლების ამ სანატრელ დღეებს? ნუთუ გადამავიწყდა ის? თუ იმდენად უმადური ვიყავი, რომ მომბეზრდა მისი წმინდა მეგობრობა?

მერი ენ უილსონი ვერაფრით ვერ შეედრებოდა ჩემს პირველ მეგობარს. მას მხოლოდ თავშესაქცევი ამბებისა და ახალ-ახალი ჭორების თხრობა ეხერხებოდა. ელენ ბერნსი კი სხვა თვისებებით იყო დაჯილდოებული. მისი საუბარი ავითარებდა მსმენელში სწრაფვას მაღალი იდეალებისადმი: თუკი ვინმეს ბედნიერება ხვდებოდა წილად მისთვის მოესმინა.

ეს სრული ჭეშმარიტებაა, მკითხველო. ვიცოდი და ვგრძნობდი ამას. მიუხედავად იმისა, რომ სრულქმნილი არსება არ ვიყავი და უამრავი ნაკლიც გამაჩნდა, მაინც არასოდეს მბეზრდებოდა ელენ ბერნსის მეგობრობა. ან კი რა გააქრობდა ჩემში მისდამი გაღვივებულ ასეთ სათუთ სიყვარულსა და თაყვანისცემას? განა ოდესმე დაუფლებია ჩემს გულს მას შემდეგ ასეთი გრძნობა? სხვანაირად არც შეიძლებოდა. ელენ ბერნსი ხომ ყოველთვის და ყველგან ნამდვილსა და გულწრფელ მეგობრობას მიწევდა. ამ მეგობრობას აბა რას დააკლებდა ან ცუდი განწყობილება, ან გულარძნილობა. მაგრამ ელენ ბერნსი ახლა ავად იყო; უკვე რამდენიმე კვირა გავიდა და თვალიც არ მომეკრა. არც ის ვიცოდი, მაღლა სართულში რომელ ოთახში იწვა. როგორც მითხრეს, ის ტიფით დაავადებულ ბავშვებთან აღარ დაეწვინათ ლაზარეთში, რადგან

ჭლექით იყო ავად. ჩემი უცოდინარობის წყალობით ეს ავადმყოფობა სრულიად იოლი მეგონა, რომელსაც დრო და მზრუნველობა განკურნავდა.

ეს აზრი იმ გარემოებამ განმიმტკიცა, რომ მის ტემპლმა ერთხელ თუ ორჯერ თბილ, მზიან ამინდში დაბლა ჩამოიყვანა და ბაღში გაასეირნა, მე მაშინაც არ დამრთეს ნება ახლოს მივსულიყავი და დავლაპარაკებოდი. საკლასო ოთახის ფანჯრიდან შევცქეროდი და გარკვევით ვერც ვხედავდი, რადგანაც შეფუთული იყო და აივნის ქვეშ ჩემგან საკმაოდ მოშორებით იჯდა.

ერთ საღამოს, ივნისის დამდეგს, მე და მერი ენ უილსონი მარტონი გვიანობამდე დავრჩით ტყეში. ჩვეულებისამებრ, სხვებისაგან განცალკევებულნი, ისე შორს წავედით, რომ გზა დაგვებნა და იძულებულნი გავხდით, გზის გასაგნებად განმარტოებით მდგომ პატარა ქოხში შევსულიყავით. ამ ქოხში ვიღაც კაცი და ქალი დაგვხვდა. ისინი გარეული ღორების ჯოგს მწყემსავდნენ და რკოთი და წიწიბოთი ასუქებდნენ. მთვარე კარგა ხნის ამოსული იყო, უკან რომ დავბრუნდით. ბაღის კარებთან ექიმის ცხენი დავინახეთ. მერი მაშინვე მიხვდა, რომ რომელიღაც ბავშვი ძალიან ცუდად უნდა ყოფილიყო, რადგან მისტერ ბეიტსი ასე გვიან მოეყვანათ. ჩემი ამხანაგი შიგნით შევიდა, მე კი რამდენიმე წუთს გარეთ, ბაღში დავრჩი. მინდოდა, რამდენიმე მცენარის ფესვი, რომელიც ტყეში ამოვთხარე და ვშიშობდი დილამდე არ დამჭკნობოდა, ჩემს კვალში ჩამემატებინა. საქმე დავამთავრე და ცოტა ხანს კიდევ შევიცადე. ცის ნამი მოხვდათ თუ არა ყვავილებს, ირგვლივ საამური სურნელება დადგა, საღამო საამო, მშვიდი და თბილი იყო. ჩამავალი მზის სხივებით გაბრწყინებული დასავლეთი კარგ ამინდს გვიწინასწარმეტყველებდა, ბინდით მოცულ აღმოსავლეთიდან მთვარე მედიდურად ამოდიოდა. ამ სანახაობამ მეტად გამიტაცა და ისეთი სიამოვნებით ამავსო, როგორც ეს ბავშვის გულს შეუძლია განიცადოს. უცებ გონებაში გამიელვა აზრმა, რაზედაც წინათ არასოდეს მიფიქრია:

«რა საშინელება უნდა იყოს ლოგინში წოლა და სიკვდილის მოლოდინი, როცა ქვეყანა ასე თვალწარმტაცია! ოჰ, რა ძნელია მისგან განშორება და წასვლა სადღაც... და მერე ვინ იცის, სად?»

და მაშინ ჩემი გონება პირველად შეეცადა ღრმად ჩაწვდომოდა ზეცისა და ჯოჯოხეთის საიდუმლოებას. მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე პირველად მომიცვა შიშმა, მიმოვიხედე და ოთხივ კუთხით მხოლოდ პირდაღებული უფსკრული დავინახე. მხოლოდ ერთ წერტილსღა შევიგრძნობდი ფეხქვეშ ურყევად, სადაც ვიდექი, დანარჩენი კი, რაღაც უფორმო ღრუბლებად და ცარიელ სიღრმედ წარმომიდგა. შიშით ვთრთოდი იმის გაფიქრებაზე, რომ აი, თუ ოდნავ გავინძრეოდი, მოვწყდებოდი დედამიწას და ჩავინთქმებოდი ამ ქაოსში. ამ ფიქრებით გართულს შემომესმა სადარბაზო კარების გაღების ხმა. მისტერ ბეიტსი მომვლელი ქალის თანხლებით გამოვიდა, ცხენზე შეჯდა და გზას გაუდგა. ის იყო მომვლელი ქალი კარების დახურვას აპირებდა, რომ მასთან მივირბინე:

_ როგორ არის ელენ ბერნსი?

_ ძალიან ცუდად, _ მიპასუხა მან.

_ მის სანახავად გამოიძახეს მისტერ ბეიტსი?

_ დიახ.

_ რა თქვა ექიმმა?

_ მან თქვა, რომ გოგონას ჩვენთან დიდხანს ყოფნა არ უწერია.

ეს სიტყვები რომ გუშინ მომესმინა, ალბათ მხოლოდ იმას ვიფიქრებდი, რომ მას თავის საკუთარ სახლში, ნორთუმბერლენდში უპირებდნენ გაგზავნას. აზრადაც არ მომივიდოდა, რომ ამ სიტყვებით მომვლელი ქალი მის სიკვდილს გულისხმობდა, ახლა კი ყველაფერს მაშინვე მივხვდი. ნათელი გახდა, რომ ელენ ბერნსის უკანასკნელი დღეები დათვლილი იყო, ის სულთა სამეფოში მიემგზავრებოდა, თუკი ასეთი სამეფო მართლაც არსებობდა. შიშმა შემიპყრო. ეს შიში მალე ღრმა მწუხარებამ შეცვალა. ბოლოს ერთი ძლიერი სურვილი დამებადა: როგორმე უნდა მენახა იგი. მომვლელ ქალს ვკითხე, თუ რომელ ოთახში იწვა.

_ მის ტემპლის ოთახში, _ მიპასუხა.

_ შეიძლება ავიდე და ვესაუბრო?

_ ოჰ, არა, ჩემო კარგო! ეს შეუძლებელია. ახლა კი დროა, შენ თვითონ შიგნით შემოხვიდე. თუ კიდევ გარეთ დარჩი, შენც გაცივდები და ავად გახდები. ხომ ხედავ, ნამით დაიფარა ირგვლივ ყველაფერი.

მომვლელმა ქალმა სადარბაზო შესასვლელის კარი დახურა; მე კი განის კარიდან შევედი შენობაში და საკლასო ოთახისაკენ გავემართე. სწორედ დროზე მივედი, სრული ცხრა იყო და მის მილერი განკარგულებას იძლეოდა, აღსაზრდელები დასაძინებლად წასულიყვნენ.

ძილი არ მეკარებოდა. ასე, ორი საათის შემდეგ, დაახლოებით თერთმეტ საათზე, ფრთხილად წამოვდექი. ყველა ჩემს მეგობარს უკვე ღრმად ეძინა; ოთახში ჩამიჩუმი არ ისმოდა. საღამურ პერანგზე კაბა გადავიცვი, ფეხშიშველა კარებთან მივიპარე და შენობის იმ ნაწილისაკენ გავეშურე, სადაც მის ტემპლის ოთახი მეგულებოდა. მისი ოთახი შენობის მეორე, სულ ბოლო ნაწილში იყო, მაგრამ გზა კარგად ვიცოდი. ზაფხულის უღრუბლო ცაზე მოქათქათე მთვარის შუქი სარკმელიდან აქა-იქ იჭრებოდა დერეფანში და გზის გაკვლევას მიადვილებდა. ქაფურისა და ხის ქერქისაგან გამოხდილი ძმრის სუნით მივხვდი, რომ ტიფით დაავადებულ ბავშვების ოთახს ვუახლოვდებოდი. ამ კარებს სწრაფად გავცდი იმის შიშით, რომ მომვლელ ქალს, რომელიც მთელ ღამეებს უთევდა ავადმყოფებს, შეიძლება შევემჩნიე და უკანვე დავებრუნებინე. მე კი აუცილებლად უნდა მენახა ელენ ბერნსი. სიკვდილის წინ გულში უნდა ჩამეკრა, უკანასკნელად მეკოცნა, ერთხელ კიდევ მომესმინა მისი სიტყვები და მეც მეთქვა უკანასკნელად რამე.

კიბეზე ჩავედი, მთელი ქვედა სართულის დერეფანი გავიარე კარგა დიდ მანძილზე; ორივე კარი უხმაუროდ გავაღე და დავხურე; დაბოლოს, მივაღწიე მეორე კიბეს; ამ კიბეს ავყევი და მის ტემპლის ოთახის წინ აღმოვჩნდი. კარის ქვემო ჭრილიდან და გასაღების ჭუჭრუტანიდან სინათლის შუქი გამოდიოდა.

იქაურობა ღრმა მდუმარებას მოეცვა. უფრო ახლოს მივედი. დავინახე, რომ კარი ოდნავ ღია იყო. ალბათ იმიტომ, რომ სუფთა ჰაერი უნდოდათ შეეშვათ იქ, სადაც ავადმყოფობას ამდენ ხანს დაედო ბინა. დიდხანს აღარ დამიყოვნებია; მოუთმენლობა თანდათან მატულობდა; მღელვარებისაგან გული მელეოდა; მთლად აცახცახებულმა კარი შევაღე. თვალებით ელენს ვეძებდი. ვშიშობდი, სიკვდილის აჩრდილი არ შემფეთებოდა მის ნაცვლად. მის ტემპლის საწოლთან სულ ახლოს პატარა საწოლი იდგა, რომელსაც თეთრი ფარდა ნახევრად ფარავდა. ფარდა ისე იყო ჩამოფარებული, რომ ზეწრის ქვეშ გარკვევით დავინახე ელენის სხეული, მაგრამ სახე არ უჩანდა. მომვლელ ქალს, რომელსაც რამდენიმე ხნის წინ ბაღში ველაპარაკე, რბილ სავარძელში ჩასძინებოდა. მაგიდაზე მკრთალად ანათებდა ნახევრად ჩამწვარი სანთელი. მის ტემპლი არსად ჩანდა. როგორც შემდეგ შევიტყვე, ის დაბლა სართულში ტიფით დაავადებულთა ოთახში გამოეძახნათ, სადაც ერთ-ერთ ბავშვს თურმე სიცხისაგან აბოდებდა. როგორც იქნა, გავბედე და შიგნით შევედი; საწოლთან შევჩერდი. ხელით უკვე შევეხე ფარდას, მაგრამ ვიდრე გადავწევდი, ვამჯობინე, გამოვლაპარაკებოდი. კვლავ შიშმა ამიტანა; ელენის მაგიერ მის ცხედარს არ შევხებოდი.

_ ელენ, _ წავიჩურჩულე, _ გღვიძავს?

ის შეინძრა. ფარდა გადასწია და დავინახე მისი ფერმკრთალი, განაწამები, მაგრამ სრულიად დამშვიდებული სახე. მასში იმდენად მცირე ცვლილებები შევნიშნე, რომ შიში მაშინვე გაიფანტა. _ ნუთუ ეს შენა ხარ, ჯეინ? _ მკითხა მან თავისი ჩვეულებრივი ნაზი ხმით.

«ოჰ! _ გავიფიქრე მე, _ მას სასიკვდილო არაფერი სჭირს; ისინი ცდებიან. ეს რომ ასე იყოს, არც ასეთი დაწყნარებული სახე ექნებოდა და არც ასე მშვიდი საუბარი შეეძლებოდა.»

საწოლზე ავედი და ვაკოცე. ვიგრძენი, რომ შუბლი ცივი ჰქონდა; სახე _ მეტად გამხდარი და გაყინული; ხელებიც მთლად გასციებოდა, მაგრამ ის მაინც ძველებურად იღიმებოდა.

_ როგორ მოხვედი აქამდე, ჯეინ? უკვე მეთორმეტე საათია. სულ რამდენიმე წუთია, რაც საათის რეკვა გავიგონე.

_ შენ სანახავად მოვედი, ელენ. გავიგე, რომ ძალიან ავად ხარ. ძილი არ მომეკარა; მინდოდა, მენახე და გამოგლაპარაკებოდი.

_ შენ გამოსამშვიდობებლად მოსულხარ, ჩემო კარგო, სწორედ დროზე მომისწარი.

_ საით მიემგზავრები? სახლში ხომ არ აპირებ წასვლას?

_ დიახ, გრძელ გზას დავადექი, ჩემს სამუდამო სამყოფელში მივდივარ.

_ ოჰ, არა, არა, ელენ! _ ვუთხარი და ხმა ჩამიწყდა. საშინლად ვიტანჯებოდი, ვცდილობდი ცრემლები შემეკავებინა. მას კი ამ დროს საშინელი ხველა აუტყდა, მაგრამ მომვლელ ქალს ამ ხმაურზე არ გაღვიძებია. ხველამ გადაუარა თუ არა, რამდენიმე წუთს ქანცმილეული და მეტად განაწამები, ისევ წამოწვა და წაიჩურჩულა:

_ ჯეინ, შენ ფეხშიშველა ხარ და ეგ პაწაწინა ფეხები გაგიცივდება; ჩაწექი ჩემთან ერთად და საბანი გადაიფარე.

ასეც მოვიქეცი. მან ხელი მომხვია. რაც შეეძლო, მეც ახლოს მივიწიე და გულში ჩავეკარი, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მან ისევ ჩურჩულით განაგრძო:

_ უსაზღვროდ ბედნიერი ვარ ახლა, ჯეინ; როდესაც ჩემს სიკვდილს შეიტყობ, ნუ აღელდები და ნურც იჯავრებ, სამწუხარო არაფერია. ჩვენ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ერთ მშვენიერ დღეს ყველანი დავიხოცებით. ავადმყოფობა კი, რომელიც მე შემხვდა, არც ისეთი მტკივნეულია; ის თანდათანობით და მეტად ფრთხილად მიმაცილებს საფლავამდე. დამშვიდებული ვარ, რადგან არავის ვტოვებ ამქვეყნად ისეთს, რომელსაც დიდად დაამწუხრებს ჩემი სიკვდილი. მხოლოდ მამა მყავს, მან კი დიდი ხანი არაა, რაც ცოლი შეირთო და დიდად არ მომისაკლისებს. ახალგაზრდა ვკვდები და ამქვეყნიურ მრავალ ტანჯვა-წამებას ავიცილებ თავიდან. ჩემი ხვედრი ყოველთვის დუხჭირი ცხოვრება იქნებოდა, რადგანაც მე არც ისეთი თვისებები გამაჩნია და არც ისეთი ნიჭი, რომ გზა ჩემით გამეკაფა ამ ცხოვრებაში.

_ იცი ან ხედავ საით მიემგზავრები, ელენ?

_ დარწმუნებული ვარ ყველაფერში, მჯერა, რომ ღმერთთან მივდივარ.

_ მერედა, სად არის ღმერთი? ან რა არის ღმერთი?

_ ის, ვინც მე და შენ ამქვეყნად გაგვაჩინა, და რომელიც არაფერს სპობს, რაც შეუქმნია. მჯერა მისი ძლიერების და მთლიანად ვენდობი მის კეთილ საქმეს. უკვე საათებს ვითვლი იმ დიადი წუთების დადგომამდე, როდესაც კვლავ დავუბრუნდები და ვიხილავ ქვეყნიერების დამაარსებელს.

_ მაშ შენ დარწმუნებული ხარ, რომ მართლა არსებობს ზეციური ცხოვრება და ჩვენი სულებიც იქ მოხვდებიან სიკვდილის შემდეგ?

_ დიახ, დარწმუნებული ვარ, რომ არსებობს ასეთი სამეფო; ისიც მჯერა, რომ ღმერთი მოწყალეა. ყოველგვარი შიშის გარეშე უდრტვინველად ვთავაზობ მას ჩემი სხეულის უკვდავ ნაწილს. ის ხომ ჩვენი მამაა, ჩვენი მეგობარი. მე მიყვარს ის და მწამს, მასაც ვუყვარვარ.

_ სიკვდილის შემდეგ კვლავ გიხილავ, ელენ?

_ დიახ, შენც იმავე ბედნიერ სამეფოში მოხვდები. იგივე ყოვლისშემძლე და ყოვლისმხილველი მამა მიგიღებს. ამაში ეჭვიც არ შეგეპაროს, ჩემო კარგო ჯეინ.

ახლა უსიტყვოდ განვაგრძობდი გამოკითხვას. კვლავ ვეკითხებოდი გონებაში ჩემთვის. «მაინტერესებდა, სად იყო ეს სამეფო. არსებობდა თუ არა ის». უფრო მაგრად შემოვხვიე ხელები ელენს. უფრო ძვირფასი გახდა ის ჩემთვის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, ვიგრძენი, ძალა არ შემწევდა _ განვშორებოდი მას, გამეშვა სადმე. მის გვერდით ვიწექი და სახე ჩამალული მქონდა მის მხართან. უცებ მან უტკბესი ხმით წამჩურჩულა:

_ რა კარგად ვგრძნობ თავს. ამ უკანასკნელმა შეტევამ ცოტათი დამქანცა. ახლა შეიძლება დამეძინოს კიდეც. ნუ მიმატოვებ, ჯეინ. მინდა რომ ჩემ გვერდით იყო.

_ შენთან დავრჩები, ძვირფასო ელენ. ამიერიდან ვერავინ განმაშორებს შენს თავს.

_ ჩათბი, ჩემო კარგო?

_ დიახ.

_ ღამე მშვიდობისა, ჯეინ!

_ ღამე მშვიდობისა, ელენ!

ჩვენ ერთმანეთი გადავკოცნეთ და მალე ჩაგვეძინა.

როდესაც გამეღვიძა, უკვე გათენებულიყო. რაღაც უჩვეულო მოძრაობამ გამომაფხიზლა. თვალი გავახილე, ვიღაცის მკლავებში მეძინა, მომვლელ ქალს ვეჭირე ხელში. ის დერეფანში მიდიოდა და უკან მივყავდი საერთო საწოლი ოთახებისაკენ. საყვედური არ მიმიღია, ჩემი საწოლი რომ მივატოვე და ელენთან გავიპარე, გარშემო მყოფთ სხვა დარდი გასჩენოდათ. აღარავის შეეძლო ჩემს თავმომაბეზრებელ კითხვებზე პასუხი გაეცა. ერთი თუ ორი დღის შემდეგ შევიტყვე, რომ როცა მის ტემპლი გამთენიისას თავის ოთახში დაბრუნებულიყო, ელენის საწოლში ვენახე. სახე, თურმე, მის მხრებში მქონდა ჩამალული, ხელები _ კისერზე შემოხვეული. ასე ჩამძინებოდა; ხოლო ელენს კი ღმერთისთვის მიებარებინა სული.

მისი საფლავი ბროკლბრიჯის ეკლესიის ეზოშია. მისი სიკვდილის შემდეგ, დაახლოებით თხუთმეტი წლის მანძილზე, ეს საფლავი მხოლოდ მწვანე მოლით დაფარულ ბორცვს წარმოადგენდა. ახლა კი იქ რუხი მარმარილოს ქვაზე ამოკვეთილია მისი გვარი, სახელი და ლათინური სიტყვა «Resurgam».

თავი X

აქამდე დაწვრილებით აღვწერე ჩემი ცხოვრების ყველა უმნიშვნელო ამბავი. ჩემი არსებობის პირველ ათ წელს მივუძღვენი წიგნის ამდენივე თავი, მაგრამ სრულებით არ ვცდილვარ ავტობიოგრაფიული ცნობები მიმეწოდებინა მკითხველისათვის, მხოლოდ ისეთ მოგონებებს შევეხე, რომლებიც საერთოდ რაიმე ინტერესს იწვევდა. ახლა დუმილით მსურს ავუარო გვერდი თითქმის რვა წლის მანძილზე განცდილსა და მომხდარ ამბებს. მაგრამ ჩემი სათავგადასავლო ამბების ერთმანეთთან დასაკავშირებლად კიდევ რამდენიმე სტრიქონია საჭირო.

როდესაც სნეულებამ თავისი გაიტანა და ლოვუდი მთლად დააცარიელა, ეპიდემია თანდათანობით გაქრა, მაგრამ ამ ავადმყოფობით გამოწვეულმა უბედურებამ და აურაცხელმა მსხვერპლმა საზოგადოების ყურადღება მიიქცია. ავადმყოფობის წარმოშობის მიზეზები ძირფესვიანად გამოიკვლიეს და დადგენილმა ფაქტებმა მათი საერთო გულისწყრომა გამოიწვია. ჯანმრთელობისათვის სრულიად უვარგისი ადგილმდებარეობა, საკვების მეტისმეტი სიმცირე და უხარისხობა, მლაშე, აშმორებული წყალი, ყოვლად უვარგისი

ტანსაცმელი და ცხოვრების სხვა მძიმე პირობები: აი, თურმე რა იყო ავადმყოფობის მიზეზი. რასაკვირველია, ყოველივე ამან სასიხარულო ამბები ვერ მოუტანა მისტერ ბროკლჰერსტს, მაგრამ სასწავლებლისთვის მეტად სასარგებლო მოვლენად გადაიქცა.

საგრაფოს მდიდარმა და ქველმოქმედმა პირებმა დიდი ფულადი თანხა გაიღეს, რათა ჯანმრთელობისათვის უკეთეს ადგილას აეგოთ უფრო კეთილმოწყობილი შენობა. სხვა მრავალი ცვლილებაც მოხდა. სრულიად ახალი წესები შემოიღეს და ამასთანავე როგორც კვება, ისე ჩაცმულობაც გაგვიუმჯობესეს. სასწავლებლისათვის განკუთვნილი ფულადი თანხა კომიტეტის გამგებლობაში გადავიდა. მისტერ ბროკლჰერსტი სამსახურიდან საბოლოოდ არ გაუნთავისუფლებიათ. თავისი სიმდიდრისა და ამასთანავე მაღალი თანამდებობის პირებთან ოჯახური თუ ნათესაური კავშირის წყალობით იგი ხაზინადრად დატოვეს. ახლა მას მოვალეობის შესრულების დროს უფრო განათლებული და კეთილშობილი ადამიანები ეხმარებოდნენ. როგორც ინსპექტორს, საქმისათვის რომ თავი გაერთმია, საჭირო ხდებოდა კომიტეტის იმ წევრთა დახმარება, რომელთაც უკეთ შეეძლოთ შეეთავსებინათ ზუსტი ანგარიშიანობა გონიერებასთან, ცხოვრების კარგი პირობები ეკონომიურ მომჭირნეობასთან, ხოლო სამართლიანობა სიბრალულის გრძნობასთან. ყველა ამ სიახლის დანერგვის შემდეგ სასწავლებელი ნამდვილად სასარგებლო დაწესებულებად იქცა და დიდი სახელიც მოიხვეჭა. ამ ახალი ცვლილებების შემდეგ, მე როგორც მისი მუდმივი ბინადარი, კიდევ რვა წლის განმავლობაში დავრჩი მის კედლებს შიგნით: ექვსი წელი, როგორც მოსწავლე და ორიც, როგორც აღმზრდელი. ამ ორმხრივი გამოცდილების საფუძველზე თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ეს სასწავლებელი ნამდვილად მნიშვნელოვან, დიდი სარგებლობის მომტან სააღმზრდელო დაწესებულებად გადაიქცა.

ჩემი ცხოვრება ამ რვა წლის განმავლობაში მეტად ერთფეროვანი იყო, თუმცა თავს უბედურად არ ვგრძნობდი. დამთავრდა უმოქმედობის ხანა და საშუალება მომეცა, მიმეღო ნამდვილი აღზრდა-განათლება. ზოგიერთი საგნისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება აღმომაჩნდა. დიდი სურვილი მქონდა, სწავლაშიც თავი გამომეჩინა. უდიდეს სიამოვნებას განვიცდიდი და მეტი ხალისით ვშრომობდი, როდესაც ჩემი პასუხით მასწავლებლები კმაყოფილნი რჩებოდნენ, განსაკუთრებით კი ისინი, რომელთაც დიდ პატივს ვცემდი. სასწავლებელში არსებული ყველა შესაძლებლობა გამოვიყენე. რამდენიმე ხანში ყველაზე კარგ მოსწავლედ ვითვლებოდი. დამთავრებისთანავე მასწავლებლის წოდებაც მომანიჭეს. იქვე დამტოვეს და შემდეგ, დაახლოებით ორი წლის მანძილზე, დიდი გულმოდგინებით ვასრულებდი ჩემ მოვალეობას. ორი წლის შემდეგ კი ჩემი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა.

სასწავლებელში მომხდარი დიდი ცვლილებების შემდეგაც მის ტემპლი კვლავ კარგა ხანს დარჩა ამ დაწესებულების უფროსად. მის რჩევა-დარიგებებს

უნდა ვუმადლოდე, თუ ჩემში ცოდნა ან რაიმე საუკეთესო ჩვევა მოიპოვება. მისი მეგობრობა და სიახლოვე ჩემთვის დიდ ნუგეშს წარმოადგენდა. ის ჯერ დედის, შემდეგ აღმზრდელის და ბოლოს კი მეგობრის მაგივრობას მიწევდა. სწორედ ამ ხანებში მის ტემპლმა ჯვარი დაიწერა სასულიერო პირზე, მისი ღირსების შესაფერის მეტად კეთილშობილ ადამიანზე, და მეუღლესთან ერთად შორეულ საგრაფოში გაემგზავრა. ამდენად ეს ერთადერთი, ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანიც დამშორდა.

იმ დღიდან კი, რაც მან დამტოვა, მთლად გამოვიცვალე. მასთან ერთად გაქრა ყველა გრძნობა და მოგონება, რის გამოც ლოვუდი მშობლიურ კერად მიმაჩნდა. მის ტემპლისაგან შევითვისე მისი საუკეთესო ზნე-ჩვეულებანი: შევეჩვიე მისებრ მშვიდ აზროვნებას, გრძნობებისა და ფიქრების უკეთ დამორჩილებას, დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებასა და თადარიგიანობას. აღუშფოთებელად და კმაყოფილად ვატარებდი ჩემი ცხოვრების დღეებს. როგორც ჩემ საკუთარ, ისე სხვა ადამიანების თვალშიც მეტად წესიერ და უწყინარ ადამიანად ვითვლებოდი.

ალბათ თვით ბედისწერა ჩადგა მისტერ ნესმითის სახით ჩემსა და მის ტემპლს შუა. ვხედავდი, ეს ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი სამგზავრო ტანსაცმელში გამოწყობილი, როგორ ჩაჯდა საქორწინო ცერემონიალის შემდეგ საფოსტო ეტლში. გავყურებდი ამ ეტლს, რომელიც ნელ-ნელა ავიდა გორაკზე და თხემს მიეფარა. მე კი დავბრუნდი ჩემს ოთახში და სრულ სიმარტოვეში გავატარე ის დღე. მის ტემპლის პატივსაცემად გაკვეთილების უმეტესობა იმ დღეს არ ჩატარებულა. დიდხანს მიმოვდიოდი ოთახში: მეჩვენებოდა, რომ ვწუხდი მხოლოდ იმაზე, რაც დავკარგე და ვცდილობდი მომეფიქრებინა, რით შემევსო ის. როცა ფიქრებიდან გამოვერკვიე, დავინახე, რომ უკვე მოსაღამოებულიყო. ჩემთვის ახლა სხვა რამეც ნათელი გახდა, სახელდობრ ის, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩემში ძირფესვიანი გარდატეხა მომხდარიყო. მთელ ჩემს არსებას ნიშანწყალიც კი აღარ ეტყობოდა იმ გავლენისა, რაც მის ტემპლისაგან აქამდე შემეთვისებინა. ჩემს ძვირფას აღმზრდელს თან გაჰყოლოდა ის მყუდრო და მშვიდი გარემო, რითაც აქამდე მასთან ერთად ყოფნის დროს ვსულდგმულობდი ლოვუდში. ახლა, მარტოდმარტო დარჩენილმა, ვიგრძენი, რომ ჩემ პირვანდელ მეს დავუბრუნდი და სწორედ ისეთივე გავხდი, როგორიც ვიყავი წინათ. ძველმა გრძნობებმა კვლავ იჩინეს თავი; ეს სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ საყრდენი გამომეცალა, მაგრამ ამ ცხოვრებას ჩემთვის აზრი დაეკარგა. სულიერი სიმშვიდე კი არ გამქრალა, არამედ სწორედ ის ძალა გამომეცალა, რაც ამ სიმშვიდისათვის იყო საჭირო. რამდენიმე წლის განმავლობაში ჩემთვის მთელ ქვეყნიერებას ლოვუდის კედლები წარმოადგენდა. არაფერი ვიცოდი მისი წესებისა და იქ გამეფებული ჩვეულებების გარდა. ახლა კი კარგად მივხვდი, რამდენად თვალუწვდენელი იყო ეს სამყარო. მათ, რომელთაც ჰყოფნიდათ გამბედაობა ეძებნათ ცხოვრებაში ნამდვილი ცოდნა და გამოცდილება, წინ ელოდებოდათ ათასნაირი იმედი, შიში, განცდები და მღელვარება ამ საშიშროებით მოცულ ფართო ასპარეზზე.

ფანჯარასთან მივედი, გამოვაღე და გადავიხედე. აი, შენობის ორივე მხარე, ბაღი, ლოვუდის საზღვრები, მის იქით მთაგორიანი ჰორიზონტი. თვალი მოვავლე ყველაფერ ამას და მზერა ყველაზე შორეულ იისფერ მწვერვალებზე გადავიტანე. როგორ ვნატრობდი გადამევლო ეს მთები, კლდეთა შორის უსასრულო ტრამალები, რომლებიც ამ გადაულახავ ჩარჩოებში ჩარაზულ საპყრობილედ მეჩვენებოდა. თვალი გავაყოლე თეთრ გზას, რომელიც ერთი მთის პირში მიიკლაკნებოდა და ხეობაში იკარგებოდა. როგორ მინდოდა ამ გზას გავყოლოდი სადღაც შორს. გამახსენდა ის დრო, როცა ამავე გზით ეტლით მოვდიოდი. ისიც მომაგონდა, თუ საღამოს ბინდ-ბუნდში როგორ დავეშვით ამ ფერდობზე. თითქოს საუკუნე გასულიყო იმ დღის შემდეგ, რაც პირველად ლოვუდი ვიხილე. მას მერე აღარსად წავსულვარ. არდადეგებსაც სასწავლებელში ვატარებდი; მისის რიდს არასოდეს მოუსურვებია გეიტსჰედში წავეყვანე სტუმრად. არც ის და არც მისი ოჯახის რომელიმე წევრი არ მოსულა ჩემს სანახავად. გარე სამყაროსთან არაფერი მაკავშირებდა, არც წერილი და არც სხვა რაიმე ამბავი. სასწავლებელში გამეფებული წესები, მისი მოვალეობანი, ზნე-ჩვეულებანი, იქ გაბატონებული აზრები, შეხედულებანი, ერთი და იგივე ხმები, სახეები, სიტყვები, ერთნაირი ჩაცმულობა და მუდამ ერთი და იმავეს სიყვარული და სიძულვილი: აი, ყველაფერი, რაც მე ვიცოდი ცხოვრების შესახებ. ახლა ვხვდები, რომ ეს სრულიად არ იყო საკმარისი. მხოლოდ იმ საღამოს ვიგრძენი, როგორ დავექანცე ცხოვრების ერთფეროვნებას ამ რვა წლის მანძილზე. თავისუფლება მწყუროდა. მის ნატვრაში ამომდიოდა სული, მისთვის ვლოცულობდი დღედაღამ გამუდმებით. ჩემი ვედრება თითქოს ნიავის მსუბუქმა ქროლვამ გაჰფანტა. მაშინ ლოცვა-ვედრებას თავი ვანებე და სულ სხვა რამეს, სულ მცირედს შევთხოვდი განგებას: შეეცვალა ჩემი ცხოვრება, მოეცა ახალი ძალა და ენერგია. მაგრამ ეს ხვეწნა-მუდარაც უსაზღვრო სივრცეში გაიფანტა.

_ მაშინ ჩემი ადგილსამყოფელის გამოცვლა მაინც მაღირსე, ღმერთო! _ წამოვიძახე თითქმის სასოწარკვეთილმა.

ზარმა მამცნო, რომ ვახშმობის დრო იყო და დაბლა სართულში მიხმობდნენ. მეც იქით გავეშურე.

დაძინებამდე იმდენი საქმე მქონდა, საშუალება არ მომეცა შეწყვეტილ ფიქრებს დავბრუნებოდი. ხოლო გვიან, ძილის წინ, ოთახში შესვლისთანავე ჩემთან ერთად მცხოვრებმა მასწავლებელმა ქალმა გაუთავებელი საუბარი გამიბა სრულიად უმნიშვნელო ამბებზე და ამით შემიშალა ხელი. როგორ ვნატრობდი ჩასძინებოდა და გაჩუმებულიყო! მეჩვენებოდა, თუ კვლავ იმ აზრს დავუბრუნდებოდი, რომელიც თავში უკანასკნელად სარკმელთან მომივიდა, რაიმე გამოსავალს ვპოვებდი და შვებასაც ვიგრძნობდი.

როგორც იქნა, მის გრეისმა ხვრინვა ამოუშვა. ეს იყო მსუქანი უელსელი ქალი, რომლის ხვრინვა ყოველთვის მაღიზიანებდა, მაგრამ იმ ღამით გავიგონე თუ არა ეს ხმა, ძალიან გამიხარდა. ახლა უკვე ხელს ვეღარავინ შემიშლიდა. ჯერ კიდევ ბუნდოვანი ფიქრები კვლავ გამოცოცხლდნენ.

_ კვლავ ახალი მონური შრომა! მაგრამ მაინც არის მასში რაღაც მიმზიდველი, _ ვესაუბრებოდი ჩემს თავს (მხოლოდ გონებაში გამიელვა ამ აზრმა და ხმამაღლა არაფერი მითქვამს); დიახ, ეს არის ერთადერთი გამოსავალი. ეს არც ისე მომხიბლავად ჟღერს, როგორც სიტყვები: თავისუფლება, აღტაცება, სიხარული. ესენი ჩემთვის სასიამოვნოდ მოსასმენი სიტყვებია. მაგრამ მხოლოდ სიტყვები. ისინი იმდენად შორეულნი და განუხორციელებელნი არიან, რომ მათი მოსმენაც კი დროის უბრალოდ დაკარგვა იქნებოდა. მაგრამ მუშაობა? ეს ხომ სინამდვილეა? ეს ხომ ყველა ადამიანს შეუძლია. მეც რვა წელი გავატარე აქ. ახლა მხოლოდ და მხოლოდ ერთი აზრი მასულდგმულებს: სხვაგან ვიშოვო ადგილი. ნუთუ ამის მიღწევაც შეუძლებელია? ნუთუ ჩემი სურვილი განუხორციელებელი აღმოჩნდება? დიახ, დიახ, საბოლოო მიზანი არც ისე ძნელი მისაღწევი უნდა იყოს. მხოლოდ გონიერი მოქმედებაა საჭირო.

საწოლზე წამოვჯექი, რომ უფრო კარგად მომეაზრებინა ყველაფერი. სუსხიანი ღამე იყო. მხრებზე შალი წამოვისხი და კვლავ ღრმად წავედი ფიქრებში.

_ რა მსურს? ახალი სამუშაო სრულიად ახალ ადგილას, სხვა ხალხში და ახალ პირობებში. ეს იმიტომ მინდოდა, რომ უკეთესზე ფიქრი უნაყოფო იყო. მაგრამ როგორ შოულობენ ადამიანები ახალ სამუშაო ადგილს? ვფიქრობ, მეგობრების დახმარებით. მე კი მეგობრები არა მყავს. ამქვეყნად ბევრია უმეგობრო ადამიანი, რომელმაც საკუთარ თავს თვით უნდა მიხედოს და იზრუნოს მასზე. მაშ, როგორ იქცევიან ეს ადამიანები ამ შემთხვევაში?

ამის თქმა არ შემეძლო და ვერც ვერავინ გამცემდა პასუხს. თავს ძალა დავატანე, რომ გონება სწრაფად ამუშავებულიყო, უფრო სწრაფად ეფიქრა და გამოსავალი მოეძებნა. ვგრძნობდი, როგორ ფეთქავდა სისხლი საფეთქლებში. დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში გაურკვეველ მდგომარეობაში ვიყავი. ჩემ ცდას არავითარი შედეგი არ გამოუღია. წამოვდექი და, ამ უნაყოფო ფიქრებით შეშფოთებული, ოთახში მიმოვდიოდი. ფანჯარასთან ფარდა გადავწიე. ცაზე რამდენიმე ვარსკვლავი შევნიშნე, სიცივისაგან ამაკანკალა და კვლავ საწოლს დავუბრუნდი.

თითქოს კეთილმა ფერიამ ჩემი იქ ყოფნით ისარგებლა და სასთუმალზე დამახვედრა ესოდენ სასურველი პასუხი. როგორც კი დავწექი, გონება მაშინვე გამეხსნა და თითქოს ვიღაცამ წამჩურჩულა: «ყველა ის, ვინც სამუშაო ადგილს ეძებს, განცხადებას აქვეყნებს.... შაირის საგრაფოს გაზეთ «ჰერალდში».

_ მაგრამ, როგორ? _ არ ვიცოდი, როგორ აცხადებდნენ.

პასუხი მაშინვე ვიღაცამ წყნარად წამჩურჩულა:

_ განცხადება და მის გამოსაცხადებლად საჭირო თანხა კონვერტით უნდა გააგზავნო გაზეთ «ჰერალდის» რედაქტორის სახელზე. იშოვი თუ არა თავისუფალ დროს, წაიღე და გააგზავნე. პასუხის მისაღებად კი შენი მისამართი დააწერე: ლოუტონის საფოსტო განყოფილება. მოთხოვნამდე. ჯ. ე.

წერილის გაგზავნიდან ერთი კვირის შემდეგ შეგიძლია მიაკითხო და პასუხი მოითხოვო. თუ პასუხი დაგხვდა, შეგიძლია იმოქმედო შესაბამისად.

გეგმა გონებაში რამდენიმეჯერ ავწონ-დავწონე, კმაყოფილება ვიგრძენი და ჩამეძინა.

დილით ძალიან ადრე ავდექი. განცხადება დავწერე; ზარის დარეკვამდე კონვერტში ჩადება და მისამართის დაწერაც კი მოვასწარი. განცხადებაში შემდეგი ეწერა:

«ახალგაზრდა ქალს, რომელსაც აქვს შესაფერი ცოდნა და აღმზრდელის გამოცდილებაც გააჩნია (მე ხომ მასწავლებლობის ორი წლის გამოცდილება მქონდა), სურს მოეწყოს აღმზრდელის თანამდებობაზე კერძო ოჯახში თოთხმეტ წლამდე ასაკის ბავშვებთან (ვიფიქრე, რადგან თავად მხოლოდ თვრამეტი წლის ვიყავი, უხერხული იქნებოდა აღსაზრდელად ამეყვანა ჩემი ასაკის ბავშვები და პასუხისმგებლობა მეკისრა). მას შეუძლია ბავშვებს მისცეს კარგი განათლება ინგლისურ ენაზე და, გარდა ამისა, ასწავლოს ფრანგული, ხატვა და მუსიკა (ჩვენი დროისათვის სასწავლო საგანთა ასეთი შეზღუდულობა, მკითხველო, მაშინ სრულიად ჩვეულებრივი იყო). მისამართი: ჯ. ე. საფოსტო განყოფილება, ლოუტონი. შაირის საგრაფო...»

მთელ დღეს განცხადება უჯრაში მქონდა ჩაკეტილი. ჩაის შემდეგ კი სასწავლებლის ახალ მმართველს ვთხოვე ნება მოეცა ლოუტონში წავსულიყავი, რადგან ჩემთვის და ჩემი ამხანაგებისათვის ზოგიერთი წვრილმანის ყიდვას ვაპირებდი. ის სიამოვნებით დამთანხმდა და მეც გზას გავუდექი. ლოუტონამდე ორი მილი მქონდა გასავლელი. ნისლიანი დღე იყო, მაგრამ ჯერ გვიანობამდე არ ღამდებოდა. რამდენიმე მაღაზიაში შევიარე. წერილი საფოსტო ყუთში ჩავუშვი. უკან დაბრუნებისას კი, მართალია, კოკისპირულმა წვიმამ მომისწრო და თავიდან ფეხებამდე დავსველდი, მაგრამ გულმა უკვე შვება იგრძნო.

მომდევნო კვირა მეტად გრძელი მეჩვენა. ამქვეყნად ხომ ყველაფერს აქვს დასასრული და ეს კვირაც, როგორც იქნა, მიიწურა. ერთ მშვენიერ შემოდგომის დღეს, საღამო ხანს, კვლავ ფეხით გავუდექი ლოუტონისაკენ მიმავალ გზას. ეს მეტად თვალწარმტაცი საცალფეხო გზა მდინარის გასწვრივ ხეობაში მიიკლაკნებოდა. მაგრამ იმ დღეს ეს სანახაობა სრულებით არ მხიბლავდა. ჩემს წერილზე უფრო ვფიქრობდი, რომელზედაც დიდად ვიყავი დამოკიდებული და რომელიც ქალაქში შეიძლება ჯერ მოსულიც არ იყო.

ლოუტონში წასასვლელად ფეხსაცმლის ყიდვა მოვიმიზეზე. პირველად ეს საქმე მოვაგვარე და შემდეგ ფეხსაცმელების მკერავიდან პატარა, სუფთა და წყნარი ქუჩით საფოსტო განყოფილებისაკენ გავემართე. ფოსტაში მოხუცებული ქალი დამხვდა, რომელსაც რქის სათვალე გაეკეთებინა და ხელებზე შავი, უთითო ხელთათმანები წამოეცვა.

_ წერილი ხომ არ არის ჯ. ე.-ის სახელზე? _ ვიკითხე მე.

მან სათვალეს ზემოდან გადმომხედა, შემდეგ რომელიღაც უჯრა გამოსწია და ძებნა დაიწყო. ისე დიდხანს ეძებდა, რომ იმედი გადამიწყდა. დასასრულ,

კონვერტი ამოიღო, თვალებთან ახლოს მიიტანა და ხუთი წუთის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღებით ათვალიერებდა. შემდეგ კი დახლიდან გადმომაწოდა და დიდი ცნობისმოყვარეობით და ეჭვის თვალით დამაცქერდა. წერილი მართლაც ჯ. ე.-ს სახელზე იყო გამოგზავნილი.

_ მხოლოდ ერთი წერილია? _ კვლავ ვკითხე მას.

_ მეტი არ არის, _ მითხრა მან. წერილი ჯიბეში ჩავიდე და სახლისაკენ გამოვეშურე. მაშინვე არ შემეძლო მისი გახსნა. სასწავლებლის შინაგანაწესის მიხედვით სრულ რვა საათზე ადგილზე უნდა ვყოფილიყავი, ახლა კი უკვე რვის ნახევარი იყო.

მისვლის უმალ მრავალნაირი მოვალეობა მიცდიდა: ვიდრე გაკვეთილებს დაამზადებდნენ, ერთი საათი გოგონებთან უნდა გამეტარებინა; რიგით იმ საღამოს ლოცვებიც მე უნდა წამეკითხა და თვალყური მედევნებინა მათთვის დაწოლის დროსაც. ეს საქმიანობა მოვათავე და სხვა მასწავლებლებთან ერთად ვივახშმე. მაშინაც კი ვერ დავრჩი მარტო, როდესაც დასაძინებლად გამოვეთ-ხოვეთ ერთმანეთს, რადგანაც მე და მის გრეისი ერთ ოთახში ვცხოვრობდით. სასანთლეში სანთლის პატარა ნამწვიღა დარჩენილიყო. ვშიშობდი, ის მანამ არ გაათავებდა ლაპარაკს, სანამ სანთელი მთლად არ ჩაიწვებოდა. მაგრამ მის გრეისს საბედნიეროდ მაძღრისმა ვახშამმა ძილი მალე მოჰგვარა. ტანსაცმლის გახდა ძლივს მოვასწარი, რომ ხვრინვა ამოუშვა. ცოტაოდენი სანთელიღა დარჩენილიყო და ოდნავ ბჟუტავდა. წერილი სწრაფად ამოვიღე, ბეჭდის ადგილას ეწერა ასომთავრული ფ. მაშინვე გავხსენი. წერილი მეტად მოკლე იყო.

«თუ ჯ. ე-ი, რომელმაც გასულ ხუთშაბათს განცხადება გამოაქვეყნა _ ...შაირის საგრაფოს გაზეთ «ჰერალდში» ნამდვილად ფლობს ყველა ზემოაღნიშნულ მონაცემს და შეუძლია წარმოადგინოს საჭირო ცნობა და დახასიათება თავისი აღზრდისა და ცოდნის შესახებ, ვთავაზობთ აღმზრდელის ადგილს ბავშვისთვის, რომელსაც ჯერ ათი წელი არ შესრულებია. გასამრჯელოდ მიიღებს ოცდაათ გირვანქა სტერლინგს წელიწადში. ჩვენი თხოვნაა: ჯ. ე. გამოგზავნოს დახასიათება, გვაცნობოს თავისი გვარი, სახელი, ადგილსამყოფელი და სხვა საჭირო ცნობები მისამართზე: მისის ფეიერფექსი, თორნფილდი, მილკოტის ახლოს _ ...შაირის საგრაფო».

წერილს დიდხანს ვათვალიერებდი. ხელნაწერი ძველებური და საკმაოდ გაურკვეველი იყო. ხანში შესული ქალის დაწერილი უნდა ყოფილიყო. ამ ამბით კმაყოფილი დავრჩი. თან იდუმალმა შიშმა შემიპყრო. საკუთარი თავის ხელმძღვანელობა თვით ვიკისრე და ვაითუ რაიმე არასასიამოვნო ამბავს გადავყროდი. ყველაზე მეტად ამქვეყნად იმისკენ მივისწრაფოდი, რომ ჩემი ძიების შედეგი ყოფილიყო ღირსეული, შესაფერისი და კანონიერი. ჩემი საქმე კარგად იწყებოდა, რადგანაც ხანში შესული ლედი მწერდა წერილს. მისის ფეიერფექსი წარმომიდგა ქვრივის თავსაბურსა და შავ სამოსში, საკმაოდ ცივ, მაგრამ თავაზიან ადამიანად. ის, ალბათ, ძველი ინგლისელი დარბაისელი

მანდილოსნის განსახიერება იქნებოდა. თორნფილდი! ეჭვს გარეშეა, ასე ეწოდებოდა მის სამფლობელოს, მეტად მომხიბვლელ და გემოვნებით მოწყობილ მამულს. თუმცა მისი წინასწარ წარმოდგენა ძალიან გამიძნელდა. მილკოტი _ ...შაირის საგრაფო. ერთი წუთით გონებაში წარმოვიდგინე ინგლისის რუკა. დიახ, ვიცი, სადაც არის ეს ადგილი. ვიცოდი, სადაც მდებარეობდა საგრაფო და თვით ქალაქიც. _ შაირის საგრაფო სამოცდაათი მილით ლონდონთან უფრო ახლოა, ვიდრე ის მიყრუებული ადგილი, სადაც მე ვიმყოფებოდი ამჟამად. ყოველივე ეს უფრო მიმზიდველს ხდიდა ამ მხარეს. ვნატრობდი წავსულიყავი იქ, სადაც სიცოცხლე და მოძრაობა ჩქეფდა. მილკოტი დიდი სამრეწველო ქალაქია მდინარე «ა»-ს ნაპირზე. ეჭვს გარეშეა, იქ სიცოცხლე დუღს და გადმოდუღს. მით უკეთესი; მთლიანად გამოიცვლება ჩემი ცხოვრება. მაგრამ ჩემს ოცნებას ქალაქის უამრავი ქარხნის საკვამურები და შავი ბოლის ღრუბლებით დაფარული ცა კი არ ხიბლავდა, არამედ ვიმედოვნებდი, რომ თორნფილდი ქალაქიდან საკმაო დიდი მანძილით იქნებოდა დაშორებული.

ბოლოს ნამწვიც ჩაქრა.

მეორე დღეს ახალი ნაბიჯი უნდა გადამედგა. საიდუმლოს გულში ვეღარ შევინახავდი, ვინმესთვის უნდა გამეზიარებინა, რათა ჩემი მიზანი განმეხორციელებინა. ნაშუადღევს, შესვენების დროს, სასწავლებლის მმართველი ვნახე და დაწვრილებით ვუამბე, რაც მქონდა გადაწყვეტილი. არ დამიმალავს, რომ ვაპირებდი ახალი სამუშაო ადგილის შოვნას, სადაც გასამრჯელოს ორჯერ მეტს მივიღებდი ლოვუდთან შედარებით (აქ მხოლოდ თხუთმეტ გირვანქა სტერლინგს ვიღებდი წელიწადში). მასვე ვთხოვე, ეცნობებინა ეს ამბავი მისტერ ბროკლჰერსტისა ან კომიტეტის სხვა რომელიმე წევრისთვის, რათა ნება დაერთოთ და ცნობები მოეცათ. სასწავლებლის მმართველმა ამ საქმეში შუამავლის როლი სიამოვნებით იკისრა. მან მისტერ ბროკლჰერსტს მეორე დღესვე გააცნო საქმის ვითარება. ამ უკანასკნელმა კი, თავის მხრივ, განაცხადა, რომ ეს ამბავი აუცილებლად უნდა ეცნობებინათ მისის რიდისათვის, რომელიც ჩემს ნამდვილ მეურვედ ითვლებოდა. ამიტომაც იყო, რომ მისის რიდს წერილი გაუგზავნეს, პასუხმაც არ დაიგვიანა. ის იტყობინებოდა, რომ შემეძლო მოვქცეულიყავი ისე, როგორც მსურდა, რადგანაც მან უკვე დიდი ხანია უარი თქვა ჩემს პირად საქმეებში ჩარეულიყო. წერილს კომიტეტის ყველა წევრი გაეცნო. დაბოლოს, რამდენიმე ხნის შემდეგ, რომელიც მე საუკუნედ მეჩვენა, გამგზავრების ოფიციალური ნებართვა მივიღე. ამიერიდან ჩემი ცხოვრების პირობები შეძლებისდაგვარად უნდა გამეუმჯობესებინა. ამავე დროს იმასაც დამპირდნენ, რომ, რადგანაც მე ყოველთვის საუკეთესოდ ვიქცეოდი ლოვუდში, ჯერ როგორც მოსწავლე და შემდეგ როგორც მასწავლებელი, დაუყოვნებლივ მომეცემოდა სათანადო დახასიათება და მოწმობა ჩემი ცოდნისა და აღზრდის შესახებ, რასაც ხელს მოაწერდნენ ამ სასწავლებლის ინსპექტორები.

ეს საბუთები დაახლოებით ერთ კვირაში მივიღე. მისი ასლი მისის ფეიერფექსს გადაეგზავნა. მან საპასუხო წერილით შემატყობინა, რომ მიღებული ცნობებით კმაყოფილი იყო და მთავაზობდა დამეკავებინა აღმზრდელის ადგილი მასთან სახლში იმ დღიდან ორი კვირის შემდეგ.

სამზადისს შევუდექი. ორმა კვირამ სწრაფად გაიარა. ჩემი ჩაცმულობა არცთუ ისე მდიდრული იყო, მაგრამ სრულიად აკმაყოფილებდა ჩემს მოთხოვნილებებს. ბოლოს ბარგი ჩემოდანში ჩავალაგე. ეს სწორედ ის ჩემოდანი იყო, რომელიც ამ რვა წლის წინათ გეიტსჰედ ჰოლიდან ჩამოვიტანე. ჩემოდანს თასმები გადაუჭირეს და მუყაოს ნაჭერი მიაკრეს წარწერით. ნახევარ საათში ტვირთის მზიდავი უნდა გამოეძახნათ, რომ ის ლოუტონში წაეღო. მე კი გადავწყვიტე მეორე დილით ფეხით ჩავსულიყავი იქ ეტლის შესახვედრად. გავწმინდე ჩემი შავი შალის სამგზავრო კაბა, მოვიმზადე ქუდი, ხელთათმანები და ხელსათბური; გადავათვალიერე ყველა უჯრა, რომ არაფერი დამრჩენოდა. ბოლოს, როცა საქმიანობას მოვრჩი, ცოტა ხანს დასასვენებლად ჩამოვჯექი. მაგრამ ესეც ვერ შევძელი; მთელი დღის მღელვარებამ და ფეხზე ტრიალმა საშინლად დამქანცა. ჩემი ცხოვრების ერთი ხანა იმ დღეს წარსულს უნდა ჩაბარებოდა. ხოლო მეორე დღიდან კი ახალი იწყებოდა. ამ შუალედში ძილი შეუძლებელი იყო და მღელვარებით თვალს ვადევნებდი იმ ცვლილებებს, რომლებმაც იჩინეს თავი.

_ მის, _ მითხრა მსახურმა, რომელიც შემხვდა დერეფანში, სადაც შეშფოთებული, აჩრდილივით დავბორიალობდი. _ ქვემოთ ვიღაცას თქვენი ნახვა სურს.

“ტვირთმზიდავი იქნება, უთუოდ”, _ გავიფიქრე და შეკითხვაც არ მიმიცია, ისე გავეშურე დაბლა სართულისკენ. სასტუმრო ოთახსა თუ სამასწავლებლოს ჩავუარე, რომლის კარიც ნახევრად ღია დამხვდა და ის იყო სამზარეულოსაკენ გავემართე, რომ ვიღაც ჩემკენ გამოიქცა.

_ ის არის, ის, ნამდვილად ვიცანი! მე მას ყველგან ვიცნობ, _ წამოიძახა უცნობმა ქალმა. ხელი მომკიდა და შემაჩერა. შევხედე, დავინახე ახალგაზრდა ქალი, რომელიც კარგად ჩაცმულ მოსამსახურე ქალს უფრო წააგავდა. მიუხედავად ახალგაზრდობისა, ის უკვე დასრულებულიყო. მის მშვენიერ სახეს ცოცხალი და ნათელი გამომეტყველება, შავი თმა და შავი თვალები ამშვენებდა.

_ აბა, გამოიცანით ვინა ვარ? _ მკითხა მან ისეთი ხმითა და ღიმილით, რომელიც მაშინვე მეცნო. _ დარწმუნებული ვარ, თქვენ მთლად არ დაგავიწყდით, მის ჯეინ.

თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, რომ უკვე ვიცანი. აღტაცებული გადავეხვიე და კოცნა დავუწყე.

_ ბესი! ბესი! ბესი! _ მხოლოდ ამის თქმაღა მოვახერხე. ის თან იცინოდა და თან ტიროდა. შემდეგ ორივენი სასტუმრო ოთახში შევედით. ცეცხლის პირას ასე სამიოდე წლის პატარა ბიჭუნა იდგა შოტლანდიურ კუბოკრულ ქსოვილის შარვალ-ხალათში.

_ ეს ჩემი პატარა ბიჭია, _ მაშინვე მითხრა ბესიმ.

_ მაშ, შენ უკვე შენი საკუთარი ოჯახი გქონია, ბესი?

_ დიახ, დაახლოებით ხუთი წელი იქნება, რაც მეეტლე რობერტ ლივენზე დავიწერე ჯვარი. პატარა ბობის გარდა, გოგონაც მყავს, რომელსაც სახელად ჯეინი დავარქვი.

_ მაშ გეიტსჰედ ჰოლში აღარ ცხოვრობ?

_ მე ახლა მეკარის მიერ მიტოვებულ საყარაულო ქოხში ვცხოვრობ.

_ მიამბე, როგორ არიან ისინი? ყველაფერი დაწვრილებით მიამბე, ბესი. მაგრამ ჯერ დაჯექი. ბობი, მოდი ჩემთან, კალთაში ჩაგისვამ. მოხვალ? _ ბობიმ ირჩია დედას მიკვროდა.

_ ძალიან მაღალი არ გაზრდილხართ, მის ჯეინ. არც სრული ხართ, _ განაგრძობდა მისის ლივენი. _ როგორც ჩანს, არც ისე კარგად გინახავენ სასწავლებელში. მის რიდი თქვენზე გაცილებით მაღალი და სრულია, ხოლო, რაც შეეხება მის ჯორჯიანას, თქვენ ორი გამოიჭრებით მასში.

_ ალბათ, ჯორჯიანა ძალიან ლამაზია, არა, ბესი?

_ ძალიან. გასულ ზამთარს დედასთან ერთად ლონდონს წავიდა. იქ მისმა სილამაზემ ყველა აღტაცებაში მოიყვანა. ერთ ახალგაზრდა ლორდს შეუყვარდა, მისი ცოლად შერთვაც გადაწყვიტა, მაგრამ მშობლები წინ აღუდგნენ მათ ქორწინებას და რას ფიქრობთ, რა მოხდა? მან და ჯორჯიანამ გადაწყვიტეს გაქცეულიყვნენ და მართლაც ასეც მოიქცნენ; მაგრამ მალე იპოვნეს და გზაშივე დააკავეს. საკუთარმა დამ, მის რიდმა გასცა ისინი. დარწმუნებული ვარ, მას შური უფრო ამოქმედებდა. ახლა დები როგორც ძაღლი და კატა ისე არიან ერთმანეთში. მუდამ ჩხუბობენ.

_ ჯონ რიდი როგორღაა?

_ ოჰ, მისი საქმე არც ისე კარგად არის, როგორც მის დედას სურდა. ის ხომ კოლეჯში სწავლობდა, მაგრამ, მე მგონია, გამორიცხეს. შემდეგ მისმა ბიძებმა გადაწყვიტეს ვექილი გამოსულიყო და კანონმდებლობა შეესწავლა. მაგრამ ისეთი თავგზააბნეული ახალგაზრდაა, მისგან დიდი არაფერი გამოვა.

_ გარეგნობით როგორია?

_ ძალიან მაღალია. ზოგიერთები მას მოხდენილი გარეგნობის ყმაწვილკაცად თვლიან, მაგრამ მე ასე არ მგონია. ჯონს ძალიან სქელი ტუჩები აქვს.

_ მისის რიდის შესახებ რაღას მეტყვი?

_ მეტისმეტად გასუქდა. თუმცა სილამაზე შეინარჩუნა, მაგრამ სულიერად არ უნდა იყოს დამშვიდებული. ვაჟიშვილის საქციელი არ მოსწონს. ჯონი ძალიან ბევრ ფულს ფლანგავს.

_ მისის რიდმა გამოგგზავნა, ბესი?

_ ოჰ, არა. დიდი ხანია მინდოდა თქვენი ნახვა და როდესაც თქვენი წერილიდან შევიტყვე, რომ სადღაც შორს მიემგზავრებით, გადავწყვიტე გამგზავრების წინ, ვიდრე ახლოს იმყოფებოდით და მეც შემეძლო თქვენამდე მოღწევა, მენახეთ.

_ ვშიშობ, იმედი გაგიცრუე, როგორც ელოდი, ისეთი არ აღმოვჩნდი, არა, ბესი? _ ვუთხარი სიცილით. შევნიშნე, რომ ბესის გამოხედვა, მიუხედავად იმისა, რომ ღრმა პატივისცემის გრძნობით იყო გამსჭვალული, აღტაცებას სრულებით არ გამოხატავდა.

_ არა, მის ჯეინ, სრულებითაც არა, თქვენ საკმაოდ მშვენიერი ხართ. ნამდვილ ლედის დამსგავსებიხართ. ამაზე მეტს არც მოველოდი, ბავშვობაშიც არ ყოფილხართ ლამაზი.

გამეღიმა ბესის გულახდილ პასუხზე. ვიგრძენი, რომ ის მართალი იყო. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მისი პასუხი მთლად გულგრილად არ მომისმენია. თვრამეტი წლის ასაკში ყველა ადამიანს სურს, რომ ის მოსწონდეთ და თუ ვინმე მას დაარწმუნებს, რომ მისი გარეგნობა არც ისეთი მომხიბვლელია, როგორც სხვების, არ შეიძლება ამან სიამოვნება გამოიწვიოს.

_ ვფიქრობ, თქვენ ძალიან ჭკვიანი იქნებით, _ განაგრძო ბესიმ, რომ დავემშვიდებინე. _ რა ისწავლეთ? დაკვრა თუ შეგიძლიათ?

_ დიახ, ვუკრავ ცოტას.

ოთახში მართლაც იდგა ფორტეპიანო. ბესი მიუახლოვდა მას, ახადა და მთხოვა, რაიმე შემესრულებინა. მეც ერთი თუ ორი ვალსი დავუკარი და ისიც აღტაცებული დარჩა.

_ მის რიდები ვერ უკრავენ ასე კარგად! _ განაცხადა აღფრთოვანებულმა. _ ყოველთვის ვამბობდი, რომ თქვენ აჯობებდით მათ სწავლაში. ხატავთ კიდეც?

_ აი, ბუხართან კედელზე სურათს რომ ხედავ, ჩემი დახატულია.

ეს იყო წყლის საღებავებით შესრულებული პეიზაჟი. ის სასწავლებლის მმართველს ვაჩუქე მადლობის ნიშნად იმ სამსახურისათვის, რომელიც მან გამიწია კომიტეტის წევრების წინაშე. სურათი მან ჩარჩოში ჩასვა და კედელზე ჩამოჰკიდა.

_ ძალიან ლამაზია, მის ჯეინ! ეს სურათი არაფრით ჩამოუვარდება მის რიდების ხატვის მასწავლებლის მიერ შესრულებულ სურათებს, მაგრამ მის რიდები ხომ ამის მსგავსსაც ვერაფერს დახატავდნენ. ფრანგული ენაც შეისწავლეთ?

_ დიახ, ბესი, ვკითხულობ და ვლაპარაკობ ფრანგულად.

_ ქარგვაც და კერვაც იცით?

_ დიახ, ვიცი.

_ ოჰ, მთლად ლედი გამხდარხართ, მის ჯეინ! ყოველთვის მჯეროდა, რომ ეს ასეც იქნებოდა. ასე რომ, ცხოვრებაში თქვენ ადვილად გაიკაფავთ გზას ნათესავების დახმარების გარეშეც. ჰო, მართლა, მინდოდა ერთი შეკითხვა მომეცა: გსმენიათ რაიმე მამათქვენის ნათესავებზე, ეარების გვარის შესახებ?

_ არასოდეს არაფერი მსმენია ჩემ სიცოცხლეში.

_ თქვენც ხომ იცით, მისის რიდი ყოველთვის ამბობდა, ისინი ღარიბები და უბრალო წრიდან გამოსული ადამიანები არიანო. შესაძლებელია, მართლაც ღარიბები არიან, მაგრამ სარწმუნოა, რომ ისევე, როგორც რიდები, კეთილშობილთა გვარს ეკუთვნიან. ერთ დღეს, დაახლოებით შვიდი წლის

წინათ, ვინმე მისტერ ეარი მოვიდა გეიტსჰედჰოლში და თქვენი ნახვა სურდა. ქალბატონმა უთხრა, რომ თქვენ გეიტსჰედჰოლში აღარ ცხოვრობთ და სასწავლებელში ხართ, რომელიც ორმოცდაათი მილით იყო დაშორებული ჩვენგან. როგორც ჩანს, მას ეს ძალიან ეწყინა; დიდხანს დარჩენა არ შეეძლო; რომელიღაც უცხო ქვეყნისაკენ მიემგზავრებოდა; ჩქარობდა, რადგან გემი ლონდონიდან ერთსა თუ ორ დღეში გადიოდა. ის ნამდვილ ჯენტლმენს ჰგავდა და დარწმუნებული ვარ, მამათქვენის ძმა უნდა ყოფილიყო.

_ რომელ ქვეყანაში მიდიოდა, ბესი?

_ რომელიღაც შორეულ კუნძულზე, ათასი მილის დაშორებით, სადაც ღვინოებს აყენებენ, ჩვენმა მოურავმა მითხრა ასე.

_ მადეირაზე? _ ვიკითხე მე.

_ დიახ, სწორედ იქ. სწორედ მაგ სიტყვას ამბობდნენ.

_ მაშ, ის გაემგზავრა?

_ დიახ, რამდენიმე წუთიც არ დაუყოვნებია ჩვენთან. მისის რიდს საუბარში ძალიან ამაყად ეჭირა თავი. ხოლო მისი წასვლის შემდეგ «უსახელო ვაჭრუკანას» უწოდებდა. ჩემი მეუღლე, რობერტი ფიქრობს, რომ ის ღვინით მოვაჭრე უნდა ყოფილიყო.

_ დიახ, ადვილი შესაძლებელია, _ ვუპასუხე მე. _ ან იქნებ რომელიმე ღვინით მოვაჭრის მოხელე.

მე და ბესი ვიგონებდით წარსულს და დაახლოებით ერთი საათი ვსაუბრობდით. შემდეგ კი იძულებული გახდა დავეტოვებინე, რადგან მეტი დრო არ ჰქონდა. მეორე დილით ის კვლავ ლოუტონში ვნახე რამდენიმე წუთით, როდესაც ეტლს ველოდებოდი. ერთმანეთს სასტუმრო «ბროკლჰერსტის» კარებთან დავშორდით.

თითოეული ჩვენგანი თავისი გზით წავიდა. ის გაუდგა გზას ლოვუდის მთებისაკენ, რომ იქ გეიტსჰედჰოლისაკენ მიმავალ დაქირავებულ ეტლს შეხვედროდა. მე კი ჩავჯექი მილკოტისაკენ მიმავალ დილიჟანსში, რომელსაც თორნფილდში უნდა მივეყვანე, სადაც სრულიად ახალი ცხოვრება, ახალი მოვალეობა და უცნობი გარემო მელოდა.

თავი XI

რომანის ყოველი ახალი თავი წარმოდგენის ახალ მოქმედებას წააგავს. და ახლა, მკითხველო, როდესაც თქვენ წინ ფარდა აიხდება, წარმოიდგინეთ ოთახი მილკოტის სასტუმრო «ჯორჯში», რომლის კედლებზე ისეთი ულაზათო, დიდ-დიდი სურათებით მოხატული შპალერია გაკრული, როგორსაც ჩვეულებრივ სასტუმროებში ხმარობენ ხოლმე. ასეთივეა ფეხქვეშ დასაგები ხალიჩა, ავეჯი, სხვადასხვანაირი მორთულობა და გრავიურები ბუხრის თავზე. კედლებზე ჯორჯ მესამისა და უელსის პრინცის პორტრეტებია. მესამე სურათზე ასახულია გენერალ ვოლფის სიკვდილი. ყოველივე ეს მოჩანს ჭერის შუაგულში ჩამოკიდებული ნავთის სანათურის შუქსა

და ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლის ალზე. ჩემი ხელსათბური და ქოლგა მაგიდაზე აწყვია, მე კი ჯერ ისევ წამოსასხამითა და ქუდით ბუხართან ვზივარ და თექვსმეტი საათის მგზავრობისა და ოქტომბრის ცივი ამინდისაგან გათოშილ, დახუთულ ხელ-ფეხს ვითბობ. ლოუტონიდან დილის ოთხ საათზე გამოვედით და ქალაქის ზარმა ეს-ეს არის რვაჯერ დარეკა.

მკითხველო, ალბათ ფიქრობთ, რომ კარგად მოვეწყვე, მაგრამ თავში ათასნაირი ფიქრი ირევა; დამშვიდებული არა ვარ. როცა ჩვენი ეტლი სასტუმროსთან გაჩერდა, მეგონა, ვინმე დამხვდებოდა. სასტუმროს მოსამსახურემ ხის საფეხურებიანი კიბე მოადგა დილიჟანსს, რომ უფრო ადვილად ჩამოვსულიყავი. ველოდი, გავიგონებდი ჩემს გვარს და დავინახავდი ჩემთვის გამზადებულ სრულიად განსხვავებულ ეტლს, რომელსაც თორნფილდს უნდა წავეყვანე. ირგვლივ ასეთი არაფერი ჩანდა. როდესაც მსახურს ვკითხე, იკითხა თუ არა ვინმემ მის ეარი, უარყოფითი პასუხი მივიღე. აღარაფერი დამრჩენოდა, გარდა იმისა, რომ სასტუმროში ცალკე ოთახი მომეთხოვა. აი, ახლა აქ ვიცდი და ათასნაირი ეჭვი და შიში აწამებს ჩემს გონებას.

ახალგაზრდა, გამოუცდელი ადამიანისთვის მეტად მძიმეა იმის შეგრძნება, რომ ამქვეყნად მთლად მარტოა _ ყველაფრისაგან მოწყვეტილი და ბედის ანაბარად მიტოვებული. ის ხომ დარწმუნებულიც არ არის, მიაღწევს თუ არა იმ ნავსაყუდელს, რომელსაც ესწრაფვის, მრავალნაირი დაბრკოლების გამო უკან დაბრუნებაც აღარ შეუძლია, მაგრამ ამ გრძნობას მეტად მიმზიდველს ხდის სათავგადასავლო ამბების მომხიბვლელობა. სიამაყის გრძნობა კი უფრო და უფრო აცხოველებს მას, თუმცა ბოლოს შიში აქრობს ყოველივეს. მეც ასევე შემიპყრო შიშმა, როცა ნახევარი საათი გავიდა და კვლავ მარტოდმარტო ვიყავი. ისღა მოვიფიქრე, ზარი დამერეკა.

_ არის თუ არა ამ მიდამოებში მამული, რომელსაც თორნფილდს უწოდებენ? _ ვკითხე მსახურს, რომელიც გამოძახებისთანავე შემოვიდა.

_ თორნფილდი? არ ვიცი, ქალბატონო. ვიკითხავ სასაუზმე ოთახში. _ ის იმ წამსვე გაქრა, მაგრამ მალევე შემობრუნდა.

_ თქვენი გვარი ეარია, მის?

_ დიახ.

_ ვიღაც გიცდით გარეთ.

წამოვხტი. ჩემ ხელსათბურსა და ქოლგას ხელი წამოვავლე და აჩქარებული ნაბიჯებით სასტუმროს დერეფნისაკენ გავეშურე. ღია კარებთან ვიღაც მამაკაცი იდგა. ქუჩაში ფარნის შუქზე ბუნდოვნად მოჩანდა ერთცხენიანი ეტლი.

_ ეს, ალბათ, თქვენი ბარგია, _ საკმაოდ უკმეხად მითხრა მან, როგორც კი დამინახა, და მიმითითა ჩემ ჩემოდანზე, რომელიც დერეფანში დაედგათ.

_ დიახ, _ ვუპასუხე. მან ჩემოდანი ეტლზე დადო. ეტლში ჩავჯექი, რომელიც დილიჟანსს უფრო წააგავდა და სანამ კარს მომიხურავდა, ვკითხე დაახლოებით რა მანძილი იყო თორნფილდამდე.

_ თითქმის ექვსი მილი.

_ რამდენ ხანში ვიქნებით ადგილზე?

_ დაახლოებით საათ-ნახევარში.

მან კარები მოხურა, კოფოზე ავიდა და გზას გავუდექით. ნელა მივდიოდით და ფიქრისთვის ბევრი დრო მქონდა. მიხაროდა კიდეც, რომ ბოლოს და ბოლოს ჩემი მგზავრობის დასასრული ახლოვდებოდა. მივეყრდენი ამ კეთილმოწყობილ, თუმცა გარეგნულად არც ისე დიდებულ ეტლის საზურგეს და თავისუფლად დავიწყე ფიქრი.

«თუ მსახურისა და ეტლის უბრალოების მიხედვით ვიმსჯელებთ, _ ვფიქრობდი, _ მისის ფეიერფექსი არცთუ ისე მაღალ წრეს უნდა ეკუთვნოდეს. მით უკეთესი. ბავშვობის გარდა მე ხომ არასოდეს მიცხოვრია დიდებულ ადამიანების საზოგადოებაში და მაშინაც ძალიან უბედურად ვგრძნობდი თავს. ნეტავ მარტოდმარტო ცხოვრობს მისის ფეიერფექსი და იმ პატარა გოგონას მეტი არავინ გააჩნია? თუ ეს ასეა და ოდნავ მაინც თავაზიანი ადამიანია, უსათუოდ კარგად შევეგუები მას. ამასთანავე შევეცდები, რაც შეიძლება კარგად მოვიქცე. სამწუხაროა, როდესაც ადამიანი ცდილობს ყველას კარგი გაუკეთოს, მაგრამ მის ასეთ ცდას ყოველთვის არ პასუხობენ. ლოვუდში მივიღე ეს გადაწყვეტილება, ასეც ვიქცეოდი და მართლაც ყველა ნასიამოვნები იყო. კარგად მახსოვს, მისის რიდის ოჯახში ჩემს კარგ საქციელს ზიზღით უკუაგდებდნენ. ღმერთსა ვთხოვ, მისის ფეიერფექსი მეორე მისის რიდი არ გამომდგარიყოს! თუ ის მისის რიდივით მომექცევა, მე ხომ ვალდებული არა ვარ, მასთან დავრჩე. თუ ამაზე მეტი საშინელება მომელის, მაშინ კვლავ გავგზავნი განცხადებას. ნეტავ შორსა ვართ კიდევ?»

სარკმელი ჩამოვუშვი. ირგვლივ მიმოვიხედე. მილკოტი უკან დაგვრჩა. შორს ციცინათელებივით უამრავი სინათლის სხივი კიაფობდა. ამით მივხვდი, მილკოტი ლოუტონზე ბევრად დიდი ქალაქი უნდა ყოფილიყო. ახლა ჩვენი გზა საერთო სამოვრებზე გადადიოდა, მთელ ამ მიდამოებში მხოლოდ აქა-იქ მიმოფანტული საცხოვრებელი სახლები მოჩანდა. ვიგრძენი, ლოვუდისაგან სრულიად განსხვავებულ, უფრო მჭიდროდ დასახლებულ, სიცოცხლითა და ხმაურით სავსე, თუმცა არც ისე თვალწარმტაც, ნაკლებ რომანტიკულ მხარეში მოვხვდი.

ცუდი გზებისა და ბურუსიანი ღამის გამო მეეტლეს ცხენი ტაატით მიჰყავდა. დარწმუნებული ვარ, საათ-ნახევრის სავალს თითქმის ორ საათს მოვუნდით. ბოლოს მეეტლე მომიბრუნდა და მითხრა:

_ ახლა უკვე შორს აღარ ვართ თორნფილდიდან.

კვლავ გავიხედე სარკმელში. ეკლესიას გვერდით ჩავუარეთ, შევნიშნე მისი ფართო, ცადაზიდული გუმბათი. სწორედ ამ დროს სამრეკლოზე ზარის ხმა გაისმა. ეს ხმა საათის მეოთხედს აღნიშნავდა. გორაკის მახლობლად მოჩანდა მკრთალად მბჟუტავი სინათლის შუქი. მივხვდი, იქ სოფელი ან დასახლებული ადგილი უნდა ყოფილიყო. ასე, დაახლოებით, ათი წუთის შემდეგ მეეტლე კოფოდან ჩამოვიდა, ალაყაფის ორივე კარი გააღო და შიგნით შევედით. ჩვენ უკან კარი ჭრიალით დაიხურა. ხეივანს ნელ-ნელა მივყვებოდით და ბოლოს

დიდი შენობის წინ აღმოვჩნდით. არც ერთ ფანჯარაში შუქი არ მოჩანდა. მხოლოდ ერთი ფარდებჩამოფარებული სარკმელიდან გამოკრთოდა სინათლე. ეტლი სადარბაზო შესასვლელთან შეჩერდა. კარი მსახურმა ქალმა გაგვიღო. ეტლიდან ჩამოვედი და შიგნით შევედი.

_ გთხოვთ აქეთ წამობრძანდეთ, ქალბატონო, _ მითხრა მსახურმა გოგონამ და დიდი ოთხკუთხა დარბაზიდან, რომელსაც ირგვლივ მაღალი კარები ჰქონდა, რომელიღაც ოთახში გამიყვანა. ოთახი განათებული იყო მოციმციმე სანთლის შუქითა და ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლის ალით. გზაში ორი საათის განმავლობაში სიბნელეს იმდენად შევეჩვიე, რომ ოთახში შესვლისთანავე შუქმა თვალი მომჭრა. როგორც კი საგნების გარჩევა შევძელი, ჩემ წინ მეტად სასიამოვნო სურათი გადაიშალა.

წარმოიდგინეთ პატარა, ლამაზი ოთახი, მხიარულად მოგიზგიზე ცეცხლის პირას მრგვალი მაგიდა; ძველებურ მაღალზურგიან სავარძელში პატარა, მეტად სუფთად ჩაცმული შავი აბრეშუმის კაბიანი მანდილოსანი თოვლივით თეთრი მარმაშის წინსაფრით და თავზე ქვრივის თავსაბურით. სწორედ ისეთივეა მისის ფეიერფექსი, როგორიც მე წარმოვიდგინე. მხოლოდ ერთი განსხვავებით: უფრო ნაკლებად წარმოსადეგი და უფრო კეთილი გამომეტყველების. ის ქსოვდა. მის ფერხთით კი დიდი კატა განცხრომით მოკალათებულიყო. ერთი სიტყვით, ამ მყუდრო ოჯახის იდილიას არაფერი არღვევდა. ახლადმოსული აღმზრდელი ამაზე კარგ შეხვედრას ვერც ინატრებდა, თქვენ აქ არც მედიდურება შეგაშფოთებდათ. შევედი თუ არა, ხანში შესული მანდილოსანი წამოდგა და კეთილი ღიმილით იმწამსვე ჩემს შესახვედრად გამოემართა.

_ გამარჯობათ, ჩემო კარგო, ალბათ, გზაში დაიქანცეთ; ჯონს ძალიან ნელა დაჰყავს ეტლი. ვინ იცის, შეგცივდათ კიდეც. მოდით ახლოს ბუხართან.

_ თქვენ ალბათ ქალბატონი ფეიერფექსი ბრძანდებით, _ვთქვი მე.

_ დიახ, სწორედ გამოიცანით, დაბრძანდით, გეთაყვა.

მან თავის სავარძელთან მიმიყვანა, შალი მომხადა და შეეცადა ჩემი ქუდის ბაფთები გამოეხსნა. ვთხოვე, არ შეწუხებულიყო.

_ ოჰ, ეს რა შეწუხებაა. ხელები მთლად გაგყინვიათ სიცივისაგან. ლი, სასწრაფოდ მოამზადეთ ცხელი გროგი და ერთი თუ ორი ბუტერბროდი. აი, საკუჭნაოს გასაღებებიც.

მან ჯიბიდან ამოიღო გასაღებების შეკვრა, როგორც ეს დიასახლისებს სჩვევიათ, და მოსამსახურეს გადასცა.

_ ახლა კი ცეცხლთან უფრო ახლოს მოიწიეთ. _ განაგრძო მან. _ ბარგი თან მოიტანეთ, ალბათ, არა, ჩემო ძვირფასო?

_ დიახ, ქალბატონო.

_ ახლავე ვუბრძანებ, ბარგი თქვენს ოთახში შეიტანონ, _ თქვა ეს და აჩქარებით გავიდა ოთახიდან.

«ისე მექცევა, თითქოს სტუმრად ვიყო მოსული, _ გავიფიქრე. _ სრულებით არ მეგონა, თუ ასე მიმიღებდნენ. მე მხოლოდ ცივსა და ქედმაღლურ

შეხვედრას ველოდი. ასე ხომ აღმზრდელებს არ ხვდებიან. მაგრამ სიხარული ჯერ ნაადრევია, ვნახოთ.

მისის ფეიერფექსი მალე დაბრუნდა. საკუთარი ხელით აალაგა მაგიდიდან საქსოვი, რამდენიმე წიგნი და გაათავისუფლა ადგილი ლანგრისათვის, რომელიც ის იყო ლიმ შემოიტანა. მერე სასმელი და ბუტერბროდიც მომაწოდა. თავს უხერხულად ვგრძნობდი, რადგან აქამდე ასეთი ყურადღება ჩემთვის არავის მოუქცევია. ახლა კი ჩემი პატრონი და ჩემზე ბევრად მაღლა მდგომი ადამიანი მექცეოდა დიდი მზრუნველობით. ნათლად ჩანდა, ისეთს არაფერს აკეთებდა, რაც მის ღირსებას დაამცირებდა, მეც გადავწყვიტე, მისი თავაზიანობა მშვიდად მიმეღო.

_ ალბათ ამ საღამოსვე შემეძლება მის ფეიერფექსის გაცნობა? _ ვიკითხე დანაყრების შემდეგ.

_ რა თქვით, ჩემო კარგო? ცოტა ყურს მაკლია, _ მკითხა კეთილმა ქალმა და ყური ჩემ ტუჩებთან სულ ახლოს მოიტანა.

მე უფრო გარკვევით გავიმეორე ჩემი კითხვა.

_ მის ფეიერფექსი? ოჰ! თქვენ ალბათ მის ვარენსს კითხულობთ? თქვენი Ѐმომავალი მოწაფის გვარი ვარენსია.

_ მართლა? მაშ ის თქვენი ქალიშვილი არ არის?

_ არა, მე საკუთარი ოჯახი არა მაქვს.

სიამოვნებით განვაგრძობდი საუბარს ამ თემაზე. მაინტრესებდა, რა ნათესაობა აკავშირებდათ მასა და მის ვარენსს, მაგრამ მაშინვე გამახსენდა, ამდენი შეკითხვის ერთბაშად მიცემა უზრდელობა იქნებოდა. გარდა ამისა, დარწმუნებული ვიყავი, ყველაფერს თავის დროზე შევიტყობდი.

_ ძალიან მიხარია, _ განაგრძო მან, როგორც კი ჩემს მოპირდაპირედ მდგარ სავარძელში ჩაჯდა და კატა მუხლებზე დაისვა. _ ძალიან მიხარია თქვენი მოსვლა. ახლა სახლში თქვენთან ერთად ყოფნა მეტად სასიამოვნო იქნება. გარწმუნებთ, აქ ცხოვრებას თავისი სილამაზე აქვს, რა დროც არ უნდა იყოს. თორნფილდი მშვენიერი, ძველებური სასახლეა, ამ ბოლო ხანს, მართალია, უპატრონოდ მიატოვეს, მაგრამ მაინც დიდებული ადგილია. ზამთრობით მის ყველაზე მდიდრულად მოწყობილ ოთახებშიც კი მარტოდმარტოდ შთენილ ადამიანის გულს საშინელი სევდა ეუფლება. თუმცა ლი მეტად კარგი გოგონაა, ჯონი და მისი მეუღლეც მეტად თავაზიანი ადამიანები არიან, მაგრამ მათ, როგორც თანასწორთ, ვერასოდეს ესაუბრები, ხომ იცით, ისინი მხოლოდ და მხოლოდ მოსამსახურეები არიან. მანძილი ჩვენსა და მათ შორის მუდამ უნდა გვახსოვდეს. თუ ასე არ მოვიქცევით, პატივისცემასა და გავლენას დავკარგავთ. გასულ ზამთარს, ასე ნოემბრიდან თებერვლამდე (არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, მეტად მკაცრი ამინდები დაიჭირა: ხან თოვდა, ხან წვიმდა, ხან ქარი ქროდა). გარდა ყასბისა და ფოსტალიონისა. ამ სახლს ადამიანიშვილი არ გაჰკარებია. ზამთრის ასეთ გრძელ ღამეებში სიმარტოვისაგან ჩემს გულს სევდა იპყრობდა. დროდადრო ლის მოვუხმობდი ხოლმე, რაიმე წაეკითხა, ვფიქრობ, საბრალო გოგონას ეს საქმიანობა მაინცდამაინც არ სიამოვნებდა, მაგრამ თავს ძალას

ატანდა. გაზაფხულსა და ზაფხულში გაცილებით უკეთესად გრძნობს ადამიანი თავს. მზე ანათებს, დღეები დიდდება და სრულიად სხვა ელფერი ეძლევა აქაურობას. ამ შემოდგომის დამდეგს პატარა ადელ ვარენსი და მისი ძიძა გვეწვივნენ, ბავშვი ხომ მაშინვე გამოაცოცხლებს ხოლმე სახლს! ახლა კი თქვენც ჩამოხვედით და უფრო მხიარულად ვიქნებით.

გული გამითბო ამ პატივსაცემი მანდილოსნის სიტყვებმა. სავარძელი უფრო ახლოს მივწიე, სულითა დ გულით მინდოდა მისი იმედები გამემართლებინა და ჩემ ამ ოჯახში შესვლას მართლაც ისეთი სიამოვნება ეგრძნობინებია მისთვის, როგორსაც ელოდა.

_ ამაღამ დიდხანს აღარ დაგაყოვნებთ, _ მითხრა მან. _ უკვე თორმეტი სრულდება, თქვენ კი მთელი დღის ნამგზავრი ხართ, დაღლილი იქნებით. თუ ფეხები უკვე გაგითბათ, თქვენს საწოლ ოთახამდე მიგაცილებთ, მოსამსახურეს ვუბრძანე, თქვენი ოთახი ჩემი საწოლი ოთახის გვერდით მოემზადებინა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ოთახი პატარაა, იმედი მაქვს, შენობის წინა ნაწილში მდებარე ოთახებთან შედარებით უფრო მოგეწონებათ, მართალია, ავეჯი იქ უფრო დიდი გემოვნებითაა შერჩეული, მაგრამ ისეთი განმარტოებული და მდუმარებითაა მოცული, რომ იქ არასოდეს ვიძინებ.

მადლობა მოვახსენე ასეთი დიდი მზრუნველობისათვის. ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ დიდ დაღლილობას ვგრძნობდი და მზად ვიყავი მაშინვე წავსულიყავი დასაძინებლად. სანთელი აიღო და მეც უკან გავყევი. პირველ რიგში სადარბაზო კარები შეამოწმა, ჩაკეტილი იყო თუ არა. საკეტიდან გასაღები გამოიღო და მერე მაღლა სართულისაკენ გავემართეთ. კიბის საფეხურები და მოაჯირი მუხის ხისგან იყო ნაკეთები. კიბის თავზე მაღალი, ჩარჩოებით პატარ-პატარად დაყოფილი სარკმელები დაეტანებინათ. ეს სარკმელები და გრძელი დერეფანი, სადაც საწოლი ოთახების კარები გამოდიოდა, ეკლესიას უფრო ჰგავდა, ვიდრე საცხოვრებელ ბინას. კიბეებსა და დერეფანში ისეთი სიცივე გამეფებულიყო, როგორიც სარდაფებში იცის ხოლმე. ირგვლივ უსიხარულო განწყობილება, სიცარიელე და განმარტოებულობა სუფევდა, ამიტომაც ძალიან გამიხარდა, როდესაც საბოლოოდ ჩემს პატარა, მაგრამ მთლად ახალ ყაიდაზე მოწყობილ ოთახში აღმოვჩნდი.

როდესაც მისის ფეიერფექსი გულთბილად გამომეთხოვა, ძილი ნებისა მისურვა და მეც ჩემი ოთახის კარი გადავრაზე, ოთახს დაკვირვებით დავუწყე თვალიერება. საშინელი შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე დიდმა დარბაზმა, ჩაბნელებულმა ფართო კიბეებმა და ცივმა გრძელმა დერეფანმა მოახდინა, პატარა და მყუდრო ოთახმა გაჰფანტა. ვიგრძენი, რომ მთელი დღის ფიზიკური გადაღლისა და სულიერი მღელვარების შემდეგ საიმედო თავშესაფარში ვიმყოფებოდი. გული მადლიერების გრძნობით ამევსო. საწოლის წინ მუხლი მოვიყარე და მადლობა შევწირე მას, ვისაც ის ამჟამად ჩემგან ეკუთვნოდა. არ დამვიწყებია, სანამ წამოვდგებოდი, მასვე შევვედრებოდი, რომ მომავალშიაც დამხმარებოდა ჩემი ცხოვრების გზაზე; მოეცა ძალა და ენერგია, ღირსეულად

მეპასუხნა იმ გულწრფელად გაღებულ სიკეთისათვის, რომელიც ჯერ არ დამემსახურებინა. მომეჩვენა, რომ იმ ღამეს უკვე ეკლებზე აღარ მეძინა. ჩემს განმარტოებულ ოთახს შიში არ ეკარებოდა. დაღლილსა და კმაყოფილს ღრმად ჩამეძინა. როდესაც გავიღვიძე, უკვე კარგად გათენებულიყო.

ოთახი პატარა და ნათელი იყო. ლურჯი ჩითის ფარდებში მზის სხივები მხიარულად იჭვრიტებოდნენ და მის შუქზე გარკვევით ვხედავდი შპალერით გაკრულ კედლებსა და იატაკზე დაფენილ ნოხს. აღტაცებით შევცქეროდი ირგვლივ ყველაფერს და ვფიქრობდი, როგორ განსხვავდებოდა ყოველივე ეს ლოვუდის შელესილ-შეღებილი კედლებისა და მთლად შიშველი იატაკისაგან. ახალგაზრდა ადამიანზე გარეგნულ სილამაზეს მუდამ დიდი შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლია. ვიგრძენი, ახალი ზღაპრული ხანა იწყებოდა ჩემს ცხოვრებაში; ამიერიდან ის არა მარტო უსიამოვნებასა და მძიმე შრომას მიქადდა, არამედ ბედნიერებასა და სიხარულსაც. ცხოვრების პირობების ცვლილებასთან ერთად ვიგრძენი, ძალა და უნარი მემატებოდა. ახალმა პირობებმა იმედი ჩამისახა და გამომაცოცხლა. არ ვიცი, რას მიქადდნენ ისინი, მაგრამ მაინც რაღაც იდუმალი სიამოვნებით ავსებდნენ ჩემს გულს. შესაძლებელია, ეს არ მომხდარიყო დღეს ან ხვალ, თუნდაც ერთი თვის შემდეგ, მაგრამ ოდესმე მომავალში ხომ ახდებოდა.

ავდექი; საგულდაგულოდ გამოვეწყვე. იძულებული ვიყავი, სადად ჩამეცვა, რადგან ჩემი სამოსი მუდამ განსაკუთრებული უბრალოებით გამოირჩეოდა. ბუნებით კი ძალიან მიყვარდა ლაზათიანად ჩაცმა-დახურვა. არც იმ შთაბეჭდილებებისადმი ვრჩებოდი გულგრილი, რომელსაც მე თვით ვახდენდი საზოგადოებაში. პირიქით, რადგან სილამაზე ხელს არ მიწყობდა, მუდამ მინდოდა მიმზიდველი ვყოფილიყავი და კარგი შთაბეჭდილებაც მომეხდინა მნახველზე. ხანდახან გულისტკივილსაც კი განვიცდიდი, რომ ბუნებამ უფრო მეტი სილამაზით არ დამაჯილდოვა; ვნატრობდი, მქონოდა ვარდისფერი ლოყები, სწორი და თლილი ცხვირი, პაწაწინა ალუბლისფერი ტუჩები, მაღალი წერწეტა ტანი და სხეულის ჩამოსხმული ნაკვთები. ჩემი პატარა ტანადობა, სახის სიფერმკრთალე, არასწორი და შესამჩნევად გამოკვეთილი სახის ნაკვთები ყველაზე დიდ უბედურებად მიმაჩნდა ამქვეყნად. რატომ მქონდა ასეთი მისწრაფებანი ან რისთვის განვიცდიდი სინანულს? ამის თქმა ძნელია. ჩემი თავისთვისაც ვერ ამეხსნა ყოველივე ეს. თუმცა, ვინ იცის, იქნებ მიზეზიც გამაჩნდა სრულიად ბუნებრივი და ლოგიკური. თმა საგულდაგულოდ დავივარცხნე, შავი კაბის ჩაცმა ვარჩიე. კაბა მთლად უბრალოდ იყო შეკერილი, მას მხოლოდ თოვლივით თეთრი გულისპირი ამშვენებდა და ძალიანაც მიხდებოდა. ვიფიქრე, საკმაოდ დარბაისლური შესახედაობა მქონდა, რომ მისის ფეიერფექსის წინაშე წარვმდგარიყავი. ვცდილობდი ჩემს მოსწავლეზე კარგი შთაბეჭდილება მომეხდინა და პირველივე შეხვედრისთანავე მოვწონებოდი. სარკმელი გამოვაღე, თვალი მოვავლე ჩემს მაგიდას, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რიგზე ვტოვებდი თუ არა ყველაფერს და ოთახიდან გამოვედი.

გავიარე გრძელი, მოფარდაგული დერეფანი; დავეშვი მუხის კიბის სრიალა საფეხურებზე და დარბაზში შევედი; იქ ერთი წუთით შევჩერდი და კედლებზე სურათებს დავუწყე თვალიერება (ერთზე, რამდენადაც მახსოვს, გამოსახული იყო ბეგთარში ჩამჯდარი პირქუში მამაკაცი, მეორეზე კი _ ქალბატონი, შეპუდრული თმებითა და მარგალიტის ყელსაბამით). შევყურებდი დიდ ოქროსფერ მბრჭყვინავ ლამპას, რომელიც ჭერის შუაგულში ეკიდა, უზარმაზარ შავ კედლის საათს, რომლის მუხის ხის ჩარჩოზე განსაცვიფრებელი ჩუქურთმები ამოეკვეთათ. ეს ჩარჩო ჟამთა სვლასა და წმენდას აბანოზის ხესავით ჩაემუქებინა. ჩემს თვალში ყველაფერი განსაკუთრებული, დიდებული ელფერით ბრწყინავდა. ასეთ თვალისმომჭრელ სიმდიდრეს მიჩვეული არ ვიყავი. ნახევრამდე მინიანი კარი ღია დამხვდა. კარის ზღურბლს გადავაბიჯე და გარეთ გავედი. შემოდგომის მშვენიერი დილა იყო. დილის მზის სხივები საამურად ბრწყინავდა სხვადასხვაფრად შეფოთლილ ხეივნებსა და ჯერ კიდევ მწვანედ მობიბინე მინდვრებზე. მწვანე მოლს გავყევი და შენობის წინა მხარეს დავუწყე თვალიერება. ეს სამსართულიანი შენობა სიმაღლესთან შედარებით არც ისე ფართო მოგეჩვენებოდათ, მაგრამ, უნდა ითქვას, საკმაოდ დიდ სასახლეს ჰგავდა. ეს ხომ ჯენტლმენის კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ადგილი იყო და არა რომელიმე დიდებულის სახლ-კარი. სახურავის გარშემო ქონგურები შენობას თვალწარმტაც იერს ჰმატებდა. სასახლის ნაცრისფერი წინა ნაწილი მკვეთრად გამოირჩეოდა უკანა ხედისაგან, სადაც უამრავი ჭილყვავი ბუდობდა. ისინი ჩხავილით თავს დაჰფარფატებდნენ მწვანე მოლით აბიბინებულ ეზოს; უფრო შორსაც მიფრინავდნენ თვალუწვდენელ მინდვრისაკენ, რომელიც ეზოდან ძველი მორღვეული ღობით იყო გამოყოფილი. ეზოს გადაღმა უამრავი ფესვმაგარი, ბერმუხასავით ფართოდ გაშლილი კორძებიანი ეკლის ხეები ჩამწკრივებულიყო. ეს გარემოება მაშინვე გატყობინებდათ, თუ რატომ შერქმეოდა ამ კარ-მიდამოს თორნფილდი. უფრო მოშორებით მოჩანდა გორაკები, არც ისეთი მაღალი და ციცაბო, როგორიც ლოვუდში მენახა. ეს მაღალი ბორცვები მოგაგონებდათ იმ გამყოფ ბარიერს, რომელიც აღმართულიყო მასა და სიცოცხლით მჩქეფარე გარე სამყაროს შორის. მაგრამ ეს მდუმარებით მოცული უკაცრიელი გორაკები, რომლებიც გარს ეკვროდნენ თორნფილდს, განმარტოებულ სავანედ ხდიდნენ მას. სრულებით არ მოველოდი, რომ მილკოტის, ამ აურზაურით სავსე ქალაქის ახლოს, ასეთ მყუდრო ადგილებს ვიხილავდი. ერთ-ერთი გორაკის ფერდობზე პატარა სოფელი შეფენილიყო. აქა-იქ მოჩანდა სახლის სახურავები, რომლებსაც მაღალი ხეები ფარავდა. სოფლის ეკლესია თორნფილდთან უფრო ახლოს იყო. ამ ეკლესიის ძველი გუმბათი სახლსა და ჭიშკარს შორის მდებარე ბორცვს გადმოჰყურებდა.

ჯერ ისევ სიამოვნებით შევყურებდი მყუდროებით მოცულ არემარეს, ვტკბებოდი დილის მაცოცხლებელი სუფთა ჰაერით, ყურს ვუგდებდი ჭილყვავთა ჩხავილს, დაკვირვებით ვათვალიერებდი შენობის ფართო

ძველებურ წინახედს და ვფიქრობდი იმაზე, რამდენად დიდი იყო ეს სასახლე ისეთი მარტოხელა ქალისათვის, როგორიც მისის ფეიერფექსი გახლდათ. სწორედ ამ დროს კარებში ეს მანდილოსანიც გამოჩნდა.

_ უკვე ამდგარხართ? _ მკითხა მან, _ როგორც ვხედავ, ადრე ადგომა გყვარებიათ.

მივუახლოვდი. ის ალერსიანად მომესალმა, გულთბილად ჩამომართვა ხელი და მაკოცა.

_ როგორ მოგწონთ თორნფილდი? _ მკითხა მან. ვუპასუხე, რომ ძალიან მომწონს-მეთქი.

_ დიახ, _ თქვა მან, _ ეს მართლაც მშვენიერი ადგილია; მაგრამ ვშიშობ, ყველაფერი აირევ-დაირევა, თუ მისტერ როჩესტერი არ გადაწყვეტს, უფრო ხშირად გვესტუმროს ან მუდმივად აქ დასახლდეს საცხოვრებლად. ასეთი დიდი სასახლე და მამული მფლობელის მუდმივ მეთვალყურეობას მოითხოვს.

_ ვინ არის მისტერ როჩესტერი? _ წამოვიძახე მე.

_ თორნფილდის პატრონი, _ მიპასუხა მან მშვიდად. _ არ იცით განა, რომ მისი გვარი როჩესტერია?

რასაკვირველია, არ ვიცოდი. არაფერი მსმენოდა მასზე. ჩანდა, ეს ხანში შესული მანდილოსანი ფიქრობდა, რომ მისტერ როჩესტერი ამქვეყნად ყველას უნდა ცნობოდა; ან ალღოთი მაინც უნდა მიხვედრილიყო, ვინ იყო იგი.

_ ვფიქრობდი, _ განვაგრძე მე, _ თორნფილდი თქვენ გეკუთვნოდათ.

_ მე? ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ჩემო ბავშვო. ეს რამ გაფიქრებინათ? მე მხოლოდ ეს სახლ-კარი მაბარია. როჩესტერებს დედის მხრიდან ვენათესავები, უფრო სწორად, ჩემი მეუღლე ენათესავებოდა. ის მღვდელი იყო და აი, იმ პატარა სოფელ ჰეის ეკლესიაში წირავდა, გორაკზე რომ მოჩანს. ჩვენს ჭიშკართან ახლოს მდებარე ეკლესიაც მას ეკუთვნოდა. ჩვენი პატრონის, მისტერ როჩესტერის, დედა გვარად ფეიერფექსი იყო და ჩემს მეუღლეს გარეთა ბიძაშვილად ერგებოდა. ამ ნათესაობით მე არასოდეს ვსარგებლობ. სინამდვილეში ეს არც არაფერს ნიშნავს ჩემთვის. მე მხოლოდ ამ სახლის მოვლა-პატრონობა მავალია. ჩემი პატრონი ყოველთვის პატივისცემით მეპყრობა და მეც მეტს არაფერს ვთხოულობ.

_ მაშ, ეს პატარა გოგონა, ჩემი მოწაფე, ვინ არის?

_ მას მისტერ როჩესტერი უწევს მეურვეობას. მანვე დამავალა, ბავშვისათვის აღმზრდელი მეშოვნა. როგორც ჩანს, სურს გოგონა აქ აღიზარდოს. აი, ისიც აქეთ მოდის თავის bonne-სთან ერთად, როგორც ის თავის ძიძას ეძახის.

გამოცანა აიხსნა. ეს გულთბილი და კეთილი პატარა ქვრივი არ იყო ის დიდებული ქალბატონი, როგორც მე წარმოვიდგინე. ისიც ჩემსავით სხვაზე დამოკიდებული ადამიანი აღმოჩნდა. ამის გამო მას ჩემს თვალში ფასი არ დაუკარგავს. პირიქით, ვგრძნობდი, უფრო მეტად ნასიამოვნები დავრჩი, რომ სინამდვილეში ჩვენ უფლებრივად ურთიერთთანასწორნი აღმოვჩნდით და

მისი ჩემდამი დამოკიდებულება თავმდაბლობით არ აიხსნებოდა; მით უკეთესი. ამიერიდან მე უფრო თავისუფლად შემეძლო მეგრძნო თავი.

ჯერ კიდევ ამ ფიქრებით ვიყავი გართული, რომ ეზოში, მწვანე მოლზე გამოჩნდა პატარა გოგონა ძიძის თანხლებით. ის სირბილით მოგვიახლოვდა. დაკვირვებით შევხედე ჩემ მოწაფეს, რომელმაც პირველად, როგორც ჩანს, ვერც შემნიშნა. ის ჯერ კიდევ სულ პატარა იყო, ასე შვიდი-რვა წლისა, გამხდარი, ფერმკრთალი, სახის პაწაწინა ნაკვთებით, მეტისმეტად ხშირი თმით, რომელიც კულულებად ეფინებოდა წელამდე.

_ დილა მშვიდობისა, მის ადელ, _ მიესალმა მისის ფეიერფექსი, _ მოდი ჩვენთან. აი, შენი მასწავლებელი. მისი წყალობით რამდენიმე ხანში ჭკვიანი და განათლებული ახალგაზრდა ლედი გახდები.

გოგონა მოგვიახლოვდა.

C est la ma gouvernante? ჰკითხა მან ფრანგულად თავის გამდელს და ჩემზე მიუთითა.

_ Mais oui, certainment, _ უპასუხა მან.

_ უცხოელები არიან? _ ვიკითხე განცვიფრებულმა, როდესაც მოვისმინე მათი საუბარი ფრანგულ ენაზე.

_ ძიძა ფრანგია. ადელი კონტინენტზე დაიბადა. დარწმუნებული ვარ, მის იქით ფეხი არსად გაუდგამს და მხოლოდ ამ ექვსი თვის წინ ჩამოვიდა აქ. პირველად ინგლისურად ერთი სიტყვის თქმაც არ შეეძლო. ახლა ასე თუ ისე ახერხებს საუბარს, მაგრამ მაინც ვერ ვუგებ, ინგლისურსა და ფრანგულს ერთმანეთში ისე ურევს. იმედია, თქვენ მაინც გაუგებთ კარგად.

საბედნიეროდ, ფრანგული ენა ჯერ კიდევ ლოვუდში ფრანგი ქალის მადამ პიეროსაგან შევისწავლე. ვიშოვიდი თუ არა დროს, შემთხვევას ხელიდან არ ვუშვებდი და მასთან ვსაუბრობდი. გარდა ამისა, უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში ყოველდღე ზეპირად ვსწავლობდი ნაწყვეტებს ფრანგული ლიტერატურიდან. დიდი შრომა და წვალება დამჭირდა იმისათვის, რომ სწორად მელაპარაკა, ვბაძავდი ჩემი მასწავლებლის გამოთქმებს. ამ გზით მივაღწიე ამ ენაზე სწორსა და სწრაფ მეტყველებას. იმედი მქონდა, არ გამიძნელდებოდა საუბარი მადმუაზელ ადელთან. გოგონამ გაიგონა თუ არა, რომ მისი აღმზრდელი ვიყავი, მომიახლოვდა და ხელი ჩამომართვა. როცა ის საუზმისათვის სახლში შევიყვანე, გზაზე მშობლიურ ენაზე გამოველაპარაკე. თავდაპირველად ძალიან მოკლედ და უხალისოდ მპასუხობდა. მაგიდას შემოვუსხედით. ის დიდხანს მაკვირდებოდა თავისი დიდი, მუქი თაფლისფერი თვალებით. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ბავშვმა გუნება გამოიცვალა და თავისუფლად დამიწყო ტიტინი.

_ ოჰ, _ წამოიძახა მან ისევ ფრანგულად, _ თქვენ ჩემ მშობლიურ ენაზე ისევე კარგად ლაპარაკობთ, როგორც მისტერ როჩესტერი. მე ახლა თქვენთან ისევე შემიძლია საუბარი, როგორც მასთან და სოფისთან. განსაკუთრებით ეს სოფისთვის იქნება სასიამოვნო. ის აქ ვერავის ელაპარაკება. მადამ ფეიერფექსი მხოლოდ ინგლისურ ენაზე ლაპარაკობს. იცით, სოფი ჩემი ძიძაა. ის ჩემთან

ერთად ჩამოვიდა აქ დიდი გემით. ამ გემის საკვამლე მილი იცით, როგორ ბოლავდა! ოჰ, როგორ ბოლავდა! მე და სოფის გემზე გული გვერეოდა და დიდ სისუსტეს ვგრძნობდით. მისტერ როჩესტერიც ჩვენ დღეში ჩავარდა. ის დივანზე იწვა ერთ ლამაზ ოთახში, რომელსაც სალონს ეძახდნენ. მე და სოფის კი სხვა ოთახში გვქონდა პატარა საწოლები. კინაღამ გადმოვვარდი საწოლიდან. ის უფრო თაროს წააგავდა და მადმუაზელ _ რა გვარი ხართ?

_ ეარი, ჯეინ ეარი.

_ ეარი? ოჰ, რა ძნელია თქვენი გვარის სწორად გამოთქმა. დიახ, იმას მოგახსენებდით, ჩვენი გემი უთენია გაჩერდა ერთ დიდ ქალაქში. ეს იყო თვალუწვდენელი ქალაქი, ბნელი სახლებითა და მხრჩოლავი საკვამურებით. სრულებით არ ჰგავდა იმ სუფთა და ლამაზ ქალაქს, საიდანაც წამომიყვანეს. მისტერ როჩესტერმა ხელში ამიყვანა, სანამ ნაპირს მივაღწევდით. სოფი ჩვენ უკან მოდიოდა. მერე ყველანი ეტლში ჩავსხედით. ეტლმა კი მშვენიერ დიდ სასახლესთან მიგვიყვანა. ის გაცილებით დიდი და ლამაზია ამ სახლთან შედარებით. მას სასტუმროს უწოდებდნენ. იქ ჩვენ დაახლოებით ერთ კვირას დავრჩით. მე და სოფი ყოველდღე დავსეირნობდით უზარმაზარ მწვანე ბაღში, სადაც უამრავი ხეებია. მას პარკს ეძახდნენ. ჩემ გარდა უამრავი ბავშვი ირეოდა იქ. ხელოვნური ტბა სავსე იყო ლამაზი ფრინველებით, რომელთაც პურის ნამცეცებით ვკვებავდი.

_ ნუთუ გესმით მისი, ასე სწრაფად რომ ტიკტიკებს, _ მკითხა მისის ფეიერფექსმა.

მშვენივრად მესმოდა, რადგან შეჩვეული ვიყავი მადამ პიეროს სწრაფ საუბარს.

_ მინდოდა, _ განაგრძო კეთილმა ქალმა, _ გეკითხათ რაიმე მშობლების შესახებ. ნეტავ თუ ახსოვს ისინი?

_ ადელ, _ ვკითხე მე, _ ვისთან ერთად ცხოვრობდი იმ სუფთა და მშვენიერ ქალაქში, რომლის შესახებ ახლა მელაპარაკებოდი?

_ ვიდრე დედა წმიდა მარიამთან წავიდოდა, მასთან ერთად ვცხოვრობდი. ის მე ცეკვას, სიმღერას და ლექსების კითხვას მასწავლიდა. დედასთან უამრავი სტუმარი დადიოდა. მათ წინაშე ვცეკვავდი, ხან კი მუხლზე დამისვამდნენ და მამღერებდნენ. ოჰ, როგორ მიყვარდა ასეთი საღამოები. გინდათ გიმღეროთ ახლა?

ამასობაში საუზმე დაამთავრა და ნება დავრთე გამოემჟღავნებინა თავისი ცოდნა. ის ჩამოვიდა სკამიდან, მომიახლოვდა და ჩემ მუხლებზე მოიკალათა, შემდეგ სერიოზული გამომეტყველებით ხელები ერთმანეთს გადააჭდო, უკან გადაყრილი კულულები შეარხია, თვალები ჭერს მიაპყრო და სიმღერა დაიწყო. ის მღეროდა არიას რომელიღაც ოპერიდან. ამ არიაში მიტოვებული ქალი დასტირის სატრფოს ვერაგულ საქციელს და ნუგეშად სიამაყეს მოუხმობს. უბრძანებს მოახლეს, გამოაწყოს ის ყველაზე მდიდრული სამოსით, შეამკოს უმშვენიერესი სამკაულებით; სურს ბალზე შეხვდეს მუხანათ სატრფოს და

თავისი მხიარულებით დაუმტკიცოს, რომ სრულებით არ მოქმედებს მასზე მისი ცბიერება.

სიმღერის თემა ძალიან ცუდად შეერჩიათ პატარა მომღერლისათვის. მაგრამ, ვფიქრობ, ამ სიმღერის მიზანი სწორედ ის იყო, რომ ეჭვიანობისა და სიყვარულის გამომხატველი მელოდია ამ მტრედივით მოღუღუნე უმანკო ბავშვისაგან მოესმინათ. ჩემი აზრით, ეს მათი მდაბალი გემოვნების დამადასტურებელი ნიშანი გახლდათ.

ადელმა სიმღერა მელოდიურობის თვალსაზრისით საკმაოდ სწორად შეასრულა და მის ასაკთან შედარებით ბალღური გულწრფელობითაც. დაამთავრა თუ არა, ჩემი მუხლიდან ჩამოხტა და განმიცხადა:

_ ახლა კი, მადმუაზელ, რომელიმე ლექსს წაგიკითხავთ.

კვლავ ახალი პოზა მიიღო და დაიწყო: _ «La Ligue des Rats: fable de la Fontaine».

უჩვეულოდ მეჩვენებოდა, რომ ასეთ პატარა ბავშვს შეეძლო იგავ-არაკის ნაწყვეტის კითხვა ასეთი ჟესტიკულაციით, ხმის მოქნილობით, პუნქტუაციისა და მახვილის ზუსტი დაცვით. ამასთანავე ეს ადასტურებდა, რომ ყოველივე მეტად ფრთხილი და დაკვირვებული წვრთნის შედეგად გამოემუშავებინათ მასში.

_ ასეთი კითხვა დედამ გასწავლა? _ ვკითხე მე.

_ დიახ. მას სწორედ ასე უყვარდა წარმოთქმა: «Qu'avez vous? Lui dit un de ces rats: parlez!» ის მაიძულებდა ამეწია ხელი აი ასე, რომ შეკითხვის დროს ხმის ამაღლება არ დამვიწყებოდა, ახლა კი ნება მომეცით, ვიცეკვო.

_ არა, ჯერჯერობით ესეც საკმარისია. ახლა ის მითხარი, ვისთან ერთად ცხოვრობდი მას შემდეგ, რაც დედა წმიდა მარიამთან გაემგზავრა?

_ მადამ ფრედერიკსა და მის მეუღლესთან. ის მივლიდა, თუმცა ჩემი ნათესავი არ ყოფილა. ჩემი აზრით, ის ძალიან ღარიბი უნდა ყოფილიყო, რადგან მას ისეთი დიდებული ბინა არ ჰქონდა, როგორც დედას. მათთან დიდხანს არ დავრჩენილვარ. მისტერ როჩესტერმა მკითხა, მსურდა თუ არა წამოვყოლოდი და მასთან ერთად მეცხოვრა ინგლისში. რა თქმა უნდა, დავთანხმდი; მას ხომ მადამ ფრედერიკზე უფრო ადრე ვიცნობდი, ძალიან კეთილი იყო ჩემდამი; ყოველთვის ლამაზი კაბებითა და სათამაშოებით მასაჩუქრებდა. მაგრამ, როგორც ხედავთ, მან თავისი დაპირება არ შეასრულა; ჩამომიყვანა ინგლისში და თვითონ უკან გაემგზავრა; ამის შემდეგ თვალიც არ მომიკრავს.

საუზმის შემდეგ მე და ადელი ბიბლიოთეკაში დავბრუნდით. როგორც ჩანდა, ეს ოთახი მისტერ როჩესტერის მითითებით საკლასო ოთახად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. წიგნების უმეტესობა ჩაკეტილი ჰქონდა მინის კარებიან კარადებში. ერთი კარადა ღია დაეტოვებინა. იქ ნახავდით ყველა სახელმძღვანელოს, რაც საჭირო იყო პირველდაწყებითი განათლებისათვის: იოლად საკითხავი წიგნები, პოეზია, ბიოგრაფიული ცნობარი, მოგზაურობანი და სხვა რამდენიმე რომანი. ვფიქრობ, მისტერ როჩესტერი ვარაუდობდა,

ყველაფერი ეს საკმარისი იქნებოდა აღმზრდელისათვის. მართლაც იმჟამად ისინი საკმაოდ დიდ მასალას შეიცავდნენ ჩემთვის ლოვუდის ღარიბულ წიგნის ფონდთან შედარებით, რომლის თვალის გადავლების საშუალება იქ მე დროდადრო მეძლეოდა. გადათვალიერების შემდეგ მივხვდი, რომ ეს წიგნები სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ გავრთობილიყავ და დიდი ცოდნაც შემეძინა. ამ ოთახშივე იდგა საუკეთესო ხარისხის სრულიად ახალი როიალი, მოლბერტი და ორი გლობუსი.

ჩემი მოწაფე მორჩილი ბავშვი აღმოჩნდა, თუმცა უხალისო. ის ნამდვილ, წესიერ მუშაობას მიჩვეული არ იყო. ხოლო ჩემი მხრიდან უგუნურებად მიმაჩნდა, პირველივე დღიდან დიდად შემეზღუდა. როდესაც საკმაოდ დიდხანს ვესაუბრე და ცოტა რამეც შევასწავლე, უკვე მოშუადღევდა. მერე კი ნება დავრთე, თავის ძიძასთან წასულიყო. მე კი გადავწყვიტე, სადილობამდე რამდენიმე სურათის ესკიზი შემესრულებინა, რომელიც ჩემს პატარა მოწაფესთან შემდეგი მეცადინეობის დროს გამომადგებოდა.

ის იყო მაღლა სართულისაკენ გავეშურე სახატავი ფანქრებისა და სურათების შესანახი ყდის ჩამოსატანად, რომ მისის ფეიერფექსის ხმა შემომესმა:

_ თქვენ, როგორც ჩანს, დილის მეცადინეობა დაგიმთავრებიათ, _ მითხრა მან. იგი ორკარიანი ოთახის შესასვლელში იდგა. მისკენ გავეშურე. შიგნით შევედი და დიდსა და მდიდრულად მორთულ ოთახში აღმოვჩნდი. მოწითალო ფერის სავარძლებმა, ასეთივე ფერის ფარდებმა, იატაკზე დაფენილმა თურქულმა ნოხმა და კაკლის ხით ნახევრად დაფარულმა კედლებმა თვალი მომტაცა. ოთახს სილამაზეს მატებდა უზარმაზარი ფერადმინიანი სარკმელი და მაღალი, ლამაზად ნაძერწი ჭერი. მისის ფეიერფექსი სერვანტზე დაწყობილ მეწამული ფერის მინდვრის შპატის ლარნაკებს მტვერს წმენდდა.

_ რა მშვენიერი ოთახია, _ წამოვიძახე, როდესაც ირგვლივ მიმოვიხედე. ასე მდიდრულად მოწყობილი ოთახი ჩემ სიცოცხლეში არ მენახა.

_ დიახ, ეს სასადილო ოთახია. ეს-ეს არის სარკმელი გავაღე, რომ ჰაერი გაიწმინდოს და მზის სხივები შემოვიდეს. როცა ბინაში დიდხანს არ ცხოვრობენ, ყველაფერი ძალიან ადვილად ნესტიანდება. აი, გვერდით, სასტუმრო ოთახიც თითქმის სარდაფს დაემსგავსა.

მან მიმითითა ფართო თაღზე, რომელიც ფანჯრის სტილზე იყო გამოჭრილი და აღმოსავლური მუქი იისფერი ფარდებით შეემკოთ. ორი ფართო საფეხური ავიარე და შიგნით შევიხედე. მომეჩვენა, თითქოს ზღაპრული სილამაზის სამეფოში მოვხვდი. ეს ბრწყინვალება ჩემი მიუჩვეველი თვალისათვის სრულიად ახალი იყო. სინამდვილეში კი ის წარმოადგენდა ლამაზად მოწყობილ სასტუმრო ოთახს თავისი ბუდუარით. ორივე ოთახში თეთრი ნოხები დაეფინათ. თვალს იტაცებდა მათზე ამოქსოვილი უმშვენიერესი ყვავილწნულები. ორივე ოთახის თოვლივით მოქათქათე ჭერზე კი ვაზის ფოთლები და მტევნები ამოეძერწათ. ამ მოელვარე

თეთრ ფონზე მკვეთრად გამოირჩეოდა მუქწითელი თურქული ტახტები და დივნები. მკრთალი ფერის ბერძნული მარმარილოთი მოპირკეთებულ ბუხარზე ბრწყინავდა ბოჰემური მუქლალისფერი მინის ლარნაკები. ფანჯრებს შუა უზარმაზარ სარკეებში ირეკლებოდა თეთრი და ალისფერი ფერების თვალისმომჭრელი ბრწყინვალება.

_ როგორ კარგად გაქვთ ოთახები მოვლილი, მისის ფეიერფექს, _ ვუთხარი მე: _ არც მტვერია სადმე, არც ტილოს შალითები. ჰაერში რომ ოდნავ ნესტის სუნი არ იდგეს, შეიძლება ეფიქრათ, რომ ამ ოთახებში მუდმივად ცხოვრობენ.

_ იცით, მის ეარ, მართალია, მისტერ როჩესტერი იშვიათად გვინახულებს- ხოლმე, მაგრამ მისი ჩამოსვლა ყოველთვის უცაბედი და მოულოდნელია. დაკვირვებული ვარ, არ უყვარს, როცა ავეჯი შალითებში ხვდება და მისი ჩამოსვლის შემდეგ იწყება ფუსფუსი და ოთახების დალაგება. ამიტომაც ვამჯობინებ ყოველთვის ყველა ოთახი მზად მქონდეს მის დასახვედრად.

_ განა მისტერ როჩესტერი ასეთი მომთხოვნი და მკაცრია?

_ არა, არცთუ ისე ძალიან. მაგრამ ბატონკაცური ჩვევებისა და არისტოკრატული გემოვნების გამო მოელის ყველაფერი მათ შესაბამისად კეთდებოდეს.

_ თქვენ თვითონ თუ მოგწონთ? ან, საერთოდ, ხალხს თუ უყვარს ბატონი როჩესტერი?

_ ოჰ, რასაკვირველია. მათ ოჯახს აქ მუდამ დიდი პატივისცემით ეპყრობიან. თითქმის მთელი ეს მიდამოები, რაზედაც თვალი მიგიწვდებათ, ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან როჩესტერთა გვარს ეკუთვნოდა.

_ კეთილი. მის ადგილ-მამულსა და სიმდიდრეს რომ თავი დავანებოთ, მოგწონთ თუ არა ის, როგორც ადამიანი? ან ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას თუ იმსახურებს?

_ მე პირადად არავითარი საბაბი არა მაქვს, არ მიყვარდეს. ვფიქრობ, მოიჯარეებიც მას გულმოწყალე და სამართლიან მემამულედ თვლიან, თუმცა მათ შორის დიდხანს არასოდეს უცხოვრია.

_ განა რაიმე თავისებურებით არ გამოირჩევა? როგორი ხასიათი აქვს?

_ ჩემი აზრით, ის უნაკლოა, თუმცა, შესაძლებელია, ხანდახან საკმაოდ თავისებურიც. მან ძალიან ბევრი იმოგზაურა და ბევრი რამეც ნახა ამქვეყნად. ეტყობა, მეტად ჭკვიანიცაა, თუმცა მე თვითონ დიდხანს არასოდეს მისაუბრია მასთან.

_ მაინც რაში გამოიხატება მისი ხასიათის თავისებურებანი?

_ ვერაფერს გეტყვით, ადვილი არ არის ამის თქმა. ისეთი გასაოცარი არაფერია, მაგრამ ეს თავისებურება მასთან საუბარში მჟღავნდება. ვერასოდეს გაუგებს ადამიანი, როდის ხუმრობს ან როდის გესაუბრებათ სერიოზულად. რა სწყინს, რა ესიამოვნება... ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვუგებ. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? ის ძალიან კარგი პატრონია.

აი ყველაფერი, რაც მე მისტერ როჩესტერის შესახებ შევიტყვე მისის ფეიერფექსისაგან. არიან ადამიანები, რომელთაც არ ძალუძთ დაახასიათონ

პიროვნება ან დააკვირდნენ საგანს და აღწერონ ის ნიშან-თვისებები, რომლითაც ისინი სხვა ადამიანებისაგან გამოირჩევიან. ეს კეთილი მანდილოსანი უთუოდ ასეთ ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნოდა. ჩემმა შეკითხვებმა ის დიდად გააოცა, თუმცა საგონებელში არ ჩაუგდია. მისტერ როჩესტერი მის თვალში მხოლოდ მისტერ როჩესტერი იყო; ჯენტლმენი და მიწისმფლობელი მემამულე. ის მეტს არც კითხულობდა და არც ეძებდა. როგორც ჩანდა, ანცვიფრებდა კიდეც ჩემი სურვილი ყველაფერი დაწვრილებით მცოდნოდა მასზე.

სასადილო ოთახიდან გამოვედით თუ არა, მისის ფეიერფექსმა შემომთავაზა, მთელი შენობა დამეთვალიერებინა. მასთან ერთად დავდიოდი ხან მაღლა, ხან დაბლა სართულში და აღტაცებული დავრჩი. ყველაფერი ლამაზი იყო და კარგად მოწყობილი. შენობის წინა ნაწილში განლაგებული დიდი ოთახები მეტისმეტად გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენდა. ზოგიერთი ოთახი მესამე სართულზე, თუმცა დაბალჭერიანი და ბნელი, მაინც მეტისმეტად საინტერესო იყო თავისი კლასიკური სიძველის ამსახველი მოწყობილობით. ეს ავეჯი, რომელიც ერთ დროს დაბლა სადარბაზო ოთახებში იდგა, დროისა და გემოვნების ცვლილებასთან ერთად, ეტყობოდა, თანდათანობით ზემო სართულში გადაჰქონდათ. ვიწრო სარკმელებიდან შემოსულ მკრთალი სინათლის შუქზე კარგად გავარჩიე ხის საწოლები, რომლებიც დაახლოებით ერთი საუკუნის წინათ იხმარებოდა. მუხისა და კაკლის ხის სკივრებზე პალმის რტოები და ქერუბიმთა თავები ამოეჩუქურთმებინათ. თითოეული ეს სკივრი სიდიდით ძველ ებრაულ მცნებათა შესანახ კიდობანს ჰგავდა. აქვე ნახავდით სამეფო სკამებივით მაღალზურგიან, ოდნავ ვიწრო სავარძლების გრძელ მწკრივს, ჟამგადასულ რბილ სკამებს, რომლის ბალიშებზე ზემოდან ჯერ კიდევ ნათლად ჩანდა ნახევრად გაცვეთილი ნაქარგის ნაკვალევი, იმ ადამიანთა ხელით შესრულებული, რომლებიც ორი თაობის წინ ფერფლად ექცია ბუნებას. ყველა ამ ძველისძველი ნაშთის წყალობით თორნფილდის სასახლის მესამე სართულს გარდასული საუკუნის დაღი აჩნდა და უკვე მოგონებათა სავანედ ქცეულიყო. დღისით მომწონდა კიდეც ეს მყუდრო და სიბნელით მოცული სიძველის უცნაური თავშესაფარი, მაგრამ ღამით არავითარ შემთხვევაში არ შემეძლო დამეძინა ამ ვეება საწოლებზე, რომლებიც ოთახიდან გამოყოფილი იყო ზოგი მუხის კარებით და ზოგიც ძველებური ინგლისური გობელენებით. ამ გობელენებზე მოხატული იყო ჩემი თვალისათვის უცხო, მეტისმეტად უცნაური ყვავილები, ფრინველები და ადამიანთა გამოსახულებანი. მთვარის მკრთალ შუქზე ყველაფერი ეს კიდევ უფრო მეტ ფანტასტიკურ და საშიშ იერს იღებდა.

_ ამ ოთახებში მოსამსახურეებს თუ სძინავთ? _ ვიკითხე მე.

_ არა, მათ უკავიათ უფრო პატარა ოთახების ერთი მწკრივი შენობის უკანა ნაწილში. აქ არავის სძინავს. თორნფილდში რომ რაიმე მოჩვენება ყოფილიყო, ის უთუოდ ამ ოთახებში დაიდებდა ბინას.

_ მეც ასე ვფიქრობ. მაშ, აქ მოჩვენებები არ არის?

_ არა, და არც მსმენია რაიმე მათ შესახებ, _ ღიმილით მიპასუხა მისის ფეიერფექსმა.

_ ნუთუ არასოდეს არაფერი გსმენიათ: ან ლეგენდები, ან თქმულებები, ან რაიმე ამბავი მოჩვენებების შესახებ?

_ სრულიად არაფერი. თუმცა როჩესტერებზე ამბობენ, რომ ისინი ბუნებით უფრო ფიცხი ადამიანები ყოფილან, ვიდრე მშვიდი; ალბათ, ამიტომაც ასე მშვიდად განისვენებენ ახლა საფლავებში.

_ დიახ. «ასეთი ბობოქარი ცხოვრების შემდეგ უშფოთველი ძილი დაუფლებიათ», _ ჩავიბუტბუტე ჩემთვის. _ ახლა საით მიბრძანდებით, მისის ფეიერფექს? _ ვიკითხე, რადგან შევნიშნე ისევ აპირებდა წასვლას.

_ ამ გზით ზევით ავალთ. არ გინდათ, მაღლა ამოხვიდეთ? იქიდან მთელ მიდამოს გადახედავთ. _ კვლავ გავყევი; სხვენისაკენ მიმავალ ვიწრო კიბეებზე ავედით; მერე კიდევ რომელიღაც კიბე ავიარეთ; ჭერში დატანებული კარი გავაღეთ და სხვენში ავედით. ახლა ყვავების ადგილსამყოფელის პირდაპირ აღმოვჩნდით და შემეძლო მათ ბუდეებში ჩახედვა. წინ გადავიხარე, ქონგურებს დავეყრდნე და გავცქეროდი შორს, დაბლა ხელისგულივით გადაშლილ პარკს. შენობის რუხ კედლებს გარს ხავერდივით ხასხასა გაზონი ერტყა. მინდორზე, რომელიც თვალუწვდენი პარკივით გადაჭიმულიყო, მოჩანდა უამრავი ძველთაძველი ხე. ტყეში ფოთლებს ჭკნობა შეჰპარვოდათ, ყავისფერი დასდებოდათ და გაცრეცილიყვნენ. ბილიკს, რომელსაც ხავსი მოსდებოდა, ფოთლებზე მეტად შეენარჩუნებინა მწვანე ფერი და ტყეს ორად ჰყოფდა.

ჭიშკართან ეკლესია იდგა, მის იქით მოჩანდა გზა, შემდეგ კი მდუმარე გორაკები. თითქოს ყველაფერი თვლემდა შემოდგომის მზის სხივებზე. ჰორიზონტის დასასრულს მარგალიტივით თეთრი ღრუბლის ქულებით დაფარულ ლაჟვარდოვან ცას ვხედავდი. ბუნების ამ სილამაზეში განსაცვიფრებელი არაფერი იყო, მაგრამ ეს გულს სიამოვნებით ავსებდა. უკან გამოვბრუნდი; ჩასასვლელ კართან მივედი; ძლივს ვიკვლევდი გზას დაბლა კიბეზე. სხვენში ისე ბნელოდა, მეგონა, თითქოს სარდაფში მოვხვდი, რადგან რამდენიმე წამის წინ გავყურებდი ლაჟვარდოვანი ცის თაღს, მზის შუქით გაბრწყინებულ ხეივანს, სამოვრებს, მწვანე გორაკებს, რომელთა შუაგულში აღმართულიყო თორნფილდის სასახლე. ოჰ, რა დიდი სიამოვნებით გადავცქეროდი ყოველივე ამას!

მისის ფეიერფექსი კარების დასაკეტად ცოტა ხანს შეჩერდა. ხელების ფათურით ვიპოვე გამოსასვლელი სხვენიდან და ვიწრო კიბეებით ჩავედი. გრძელ დერეფანში შევჩერდი, რომელიც წინა და უკანა ნაწილში მოთავსებულ ოთახებს ერთმანეთისაგან ყოფდა. დერეფანი იყო ვიწრო, დაბალი და ბნელი. ბოლოში, სადღაც შორს პაწაწინა სარკმელი მოჩანდა. ორივე მხარეს გამომავალი კარები დაკეტილი იყო. ეს დერეფანი ლურჯწვერას ციხე-კოშკის დერეფანს წააგავდა.

წყნარად მივდიოდი. უცებ შემომესმა ხმა, რომლის გაგონებასაც ნაკლებ მოველოდი ამ მდუმარებით მოცულ ადგილას. გარკვევით გავიგონე სიცილი: უცნაური, უსიხარულო. შევჩერდი. სიცილი შეწყდა. მაგრამ მხოლოდ ერთი წამით და კვლავ უფრო ხმამაღლა გაისმა. თუმცა პირველად ხმადაბლა იცინოდა. შემდეგ ის შეწყდა და ახლა უკვე ხმამაღალი სიცილის ექოს გამოსცემდა ყველა განმარტოებული ოთახი. ერთ-ერთ ოთახში ვიღაც იცინოდა. გარკვევით შემეძლო მეთქვა, თუ სახელდობრ რომელ ოთახში გაისმა ეს სიცილი პირველად.

_ მისის ფეიერფექს, _ დავუძახე მე, რადგანაც ამ წუთს მომესმა მისი ფეხის ხმა; ის კიბეებზე ჩადიოდა. _ გაიგონეთ ეს ხმამაღალი სიცილი? ვინ არის?

_ ვინმე მსახური იქნება უთუოდ, _ მიპასუხა, _ ან შეიძლება გრეის პული.

_ გაიგონეთ ეს ხმა? _ კვლავ ვკითხე.

_ დიახ, სრულიად გარკვევით. ხშირად მესმის მისი ხმა. ის ერთ-ერთ ამ ოთახშია და კერავს. ზოგჯერ ლი არის მასთან. ისინი ხშირად იცინიან ასე.

სიცილი განმეორდა დაბალი ხმით და ბოლოს უცნაური ჩურჩული გაისმა.

_ გრეის, _ წამოიძახა მისის ფეიერფექსმა.

არ ველოდი, თუ ვიღაც გრეისი უპასუხებდა, რადგან სიცილი ისეთი არაბუნებრივი იყო, რომელიც არასოდეს მსმენოდა. ეს ამბავი რომ დღისით არ მომხდარიყო და ისტერიული სიცილიც რაიმე მოჩვენებასთან დამეკავშირებინა, აუცილებლად შიში შემიპყრობდა; მაგრამ ისეთი დრო იყო, საბაბი არ მქონდა შემშინებოდა და ცრუმორწმუნეობას ავყოლოდი. მალე გარემოებამ დამარწმუნა, რომ ჩემი მხრიდან ისიც კი სისულელე იყო, ასე რომ გავვოცდი.

ჩემ ახლოს კარი გაიღო და დაახლოებით ოცდაათი თუ ორმოცი წლის მსახური ქალი გამოვიდა. ეს იყო მკვრივი აგებულების ქალი. წითელი თმა და უხეში, უბრალო სახის ნაკვთები ჰქონდა. ძალიან ძნელია წარმოიდგინოთ ამაზე ნაკლებ რომანტიკული ან მოჩვენებისაგან განსხვავებული ადამიანი.

_ ძალიან დიდი ხმაურია, გრეის, _ თქვა მისის ფეიერფექსმა. _ ბრძანება გახსოვდეთ. _ გრეისმა მდაბლად დაუკრა თავი, ხმა არ ამოუღია და ისევ ოთახში შევიდა.

_ ეს ჩვენი მკერავი ქალია და ლისაც ეხმარება საოჯახო საქმეებში, _ განაგრძო ქვრივმა: _ თუმცა ზოგჯერ ეურჩება, მაგრამ თავის საქმეს თავს კარგად ართმევს. სხვათა შორის, როგორ მიდის ადელის მეცადინეობის საქმე?

ამგვარად, საუბარი ადელზე გადავიტანეთ და ლაპარაკით ჩავედით შენობის განათებულ და მხიარულ ნაწილში. დარბაზში ადელი სირბილით შემოგვეგება:

_Mesdames, vous êtes servies! _ და დაუმატა, _J’ai bien faim, moi!».

მისის ფეიერფექსის ოთახში სუფრა გაეშალათ, სადილი უკვე შემოეტანათ და ჩვენ გვიცდიდნენ.

თავი XII

იმედი, რომელიც თორნფილდჰოლში მისვლის პირველი დღიდანვე ჩამესახა, რომ ამიერიდან ბედნიერად წარიმართებოდა ჩემი მომავალი ცხოვრება, თანდათან უფრო განმიმტკიცდა ამ ადგილისა და მის ბინადართა უკეთ გაცნობის მერე. მისის ფეიერფექსი სწორედ ისეთი ადამიანი აღმოჩნდა, როგორც ველოდი: მშვიდი ხასიათის, კეთილი ბუნების, საკმაოდ განათლებული და ჭკვიანი. ჩემი მოწაფე ადელი კი ცოცხალი ბუნების გოგონა იყო, საკმაოდ თავისებური, გათამამებული და ხანდახან თავნებაც. ამ ბავშვის აღზრდა მთლიანად ჩემზე იყო მონდობილი. არავინ მიწევდა წინააღმდეგობას აღმეზარდა და გამომესწორებინა ისე, როგორც მე მიმაჩნდა მიზანშეწონილად. ბავშვი მალე გადაეჩვია წვრილმან ჭირვეულობას, გახდა მორჩილი და ადვილადაც ითვისებდა ყველაფერს, რასაც ვასწავლიდი, მას რაიმე განსაკუთრებული და შესამჩნევად გამოკვეთილი ხასიათი არც გააჩნდა. არც გემოვნება და გრძნობები ჰქონდა იმდენად განვითარებული, რომ მისი ასაკის ბავშვთა ჩვეულებრივ განვითარების დონესთან შედარებით ოდნავ მაღლა მდგარიყო. თუმც არც ისეთი ნაკლოვანებანი და მანკიერი თვისებები ჰქონდა, რომლებიც მათთან შედარებით დაამდაბლებდა. მისმა გულმოდგინე მეცადინეობამ კარგი შედეგი გამოიღო, გოგონა არც მაინცდამაინც ღრმა, მაგრამ თავისებურ სიყვარულს იჩენდა ჩემდამი. მისი ბავშვური უბრალოება, მხიარული ტიტინი და კიდევ უფრო ის, რომ ცდილობდა ყოველთვის ესიამოვნებინა, ძალიან მხიბლავდა და შთამაგონებდა გარკვეული გრძნობიერება გამომემჟღავნებინა მის მიმართ. ჩემი მხრივ მეც, რაც შემეძლო, ვცდილობდი, რომ ჩვენი ერთად ყოფნა ორივესათვის მუდამ სასიამოვნო ყოფილიყო.

სხვათა შორის, ბავშვებისადმი ასეთი დამოკიდებულება შეიძლება გულგრილ მსჯელობად მიიჩნიოს ზოგიერთმა, ვინც მხარს უჭერს გამეფებულ მოძღვრებას, რომ ბავშვებს მხოლოდ ანგელოზური ბუნება აქვთ და აღმზრდელთა ვალია, აღსაზრდელთა მიმართ განსაკუთრებული თაყვანისცემა და თავგანწირვა გამოიჩინონ. ამას იმიტომ კი არ ვწერ, რომ საკუთარი განდიდებით შეპყრობილ მშობელთა წინაშე ვიფარისევლო, ვიმლიქვნელო და სიცრუეს დავუჭირო მხარი, არამედ, უბრალოდ, სიმართლეს ვაღიარებ. მე კეთილსინდისიერად ვზრუნავდი ადელის აღზრდა-განვითარებისა და წარმატებისათვის, კარგადაც შევეწყვე ამ პაწაწინა გოგონას. ასეთივე დიდი მადლიერების გრძნობით ვიყავი გამსჭვალული მისის ფეიერფექსისადმი, რადგან ის მუდამ კეთილად მეპყრობოდა. ძალიან მსიამოვნებდა მასთან ახლოს ყოფნა, მისი მშვიდი დამოკიდებულება ჩემდამი და განსაკუთრებით კი მისი სიდარბაისლე და თავდაჭერილობა.

დაე, ვისაც სურს გამკიცხოს, თუ მე შემდგომში იმასაც დავუმატებ, რომ ხანდახან სულ მარტოდმარტო დავსეირნობდი ბაღში. მიყვარდა ჭიშკართან მისვლა და იქიდან ძალიან დიდხანს გავყურებდი ხოლმე გზას. ხანდახან კი,

როდესაც ადელი ძიძას ეთამაშებოდა, ხოლო მისის ფეიერფექსი მურაბებს აკეთებდა საკუჭნაოში, დროს ვპოულობდი, ავივლიდი ხოლმე სამი სართულის კიბეებს, ვაღებდი ასასვლელ კარს, იქიდან კი ავდიოდი სხვენზე და გადავცქეროდი განმარტოებულ მინდორს, გორაკსა და ცის დაბინდულ ჰორიზონტს. ვნატრობდი, დამენახა ამ ჩარჩოებს იქით მდებარე საქმიანი სამყარო, ის ქალაქები და ადგილები, სადაც დუღდა და გადმოდიოდა ცხოვრება, რომელზედაც ბევრი რამ გამეგონა, მაგრამ მე თვით არასოდეს მენახა. ძალიან მინდოდა მქონოდა მეტი გამოცდილება ცხოვრებაში, უფრო მეტი ურთიერთობა და ნაცნობობა სხვადასხვა ხასიათის ადამიანებთან, ვიდრე გარს მეხვია. ვაფასებდი კიდეც, რაც კარგი რამ თვისებები ჰქონდათ მისის ფეიერფექსსა და ადელს, მაგრამ მჯეროდა, რომ არსებობდა რაღაც სხვა, უფრო მეტი სიკეთე, და, რაშიაც დარწმუნებული ვიყავი, მინდოდა ის თვალითაც მენახა.

ვინ მადანაშაულებდა? უეჭველია, ბევრი. ალბათ, უმადურსაც კი მიწოდებდნენ, მაგრამ, რა უნდა მექნა? მე ხომ ბუნებით დაუდგრომელი ვიყავ და ხანდახან ტკივილსაც კი ვგრძნობდი მეტისმეტი მღელვარებისაგან. მაშინ ერთადერთ ნუგეშს მხოლოდ იმაშიღა ვპოულობდი, რომ ბოლთას ვცემდი მესამე სართულის დერეფანში და ხსნას იქ გამეფებულ მდუმარებასა და განმარტოებაში ვეძებდი. გონების თვალით ამ დროს ოცნებით წარმოვიდგენდი ხოლმე უამრავ ნათელ სურათს, რომლებიც ბრწყინავდნენ ჩემ გარშემო. მინდოდა ჩემი გული აჰყოლოდა ამ ბობოქარ მოძრაობას და ტანჯვა-წამებასთან ერთად ნამდვილი ცხოვრებაც განმეცადა. ყველაზე უკეთესი კი ის იყო, მესმინა იმ დაუმთავრებელი ამბისათვის, ჩემი ოცნება რომ ქმნიდა და ვიღაც დაუსრულებლად ყვებოდა ჩემ სულში. მას ცხოველმყოფელობას მატებდა ის შემთხვევები, თვით ცხოვრება, ცეცხლი და გრძნობები, რომ-ლისკენაც მე ასე მივისწრაფოდი და სინამდვილეში არ გამაჩნდა.

ტყუილია იმის მტკიცება, რომ ადამიანი მშვიდი ცხოვრებით უნდა დაკმაყოფილდეს. ადამიანისათვის აუცილებელია მოქმედება, და თუ ეს ასე არ არის, სულ ერთია, ის მაინც შეიქმნის საქმიანობით აღსავსე ცხოვრებას. მილიონობით ადამიანს მისჯილი აქვთ მეტისმეტად ერთფეროვანი არსებობა, ვიდრე, თუნდაც, მე მომაკუთვნა ბედისწერამ. მილიონობითვე ადამიანი უსიტყვოდ უჯანყდება ასეთ ვითარებას. არავინ უწყის ამქვეყნად პოლიტიკურ მეამბოხე ადამიანთა გვერდით კიდევ რამდენი მეამბოხე სულია. იგულისხმება, რომ ქალები, საერთოდ, მეტად მშვიდად უნდა ატარებდნენ ცხოვრებას, მაგრამ ისინიც ხომ მუდამ იმასვე გრძნობენ და განიცდიან, რასაც მამაკაცები. მათაც ხომ სწორედ ისევე სჭირდებათ გამოავლინონ თავისი ნიჭი, უნარი და შეიქმნან სამოღვაწეო ასპარეზი, როგორც მათ ძმებს. ისინიც ხომ სწორედ ისევე იტანჯებიან სასტიკი ტრადიციული თავდაჭერილობით და ცხოვრების შეზღუდული პირობებით, როგორც მათ ადგილზე დაიტან-ჯებოდნენ მამაკაცები. მრავალ უპირატესობათა მფლობელი სქესის გონებაშეზღუდულობას უნდა მიეწეროს, როდესაც გვარწმუნებენ, რომ ქალები

ისე უნდა შევზღუდოთ, მხოლოდ პუდინგი აცხონ, წინდები ქსოვონ, ისწავლონ ფორტეპიანოზე დაკვრა და ჩანთები ქარგონო. უფრო მეტი სიმდაბლეა მათი გაკიცხვა და დაცინვა, როდესაც ისინი ეძიებენ მეტ საქმიანობას და მეტ ცოდნას ცხოვრებაში, ვიდრე ჩვეულებრივად არის დაკანონებული მათი სქესისათვის.

ხშირად დერეფანში მარტოდ დარჩენილს მესმოდა გრეის პულის სიცილი. ეს კვლავ ისეთივე ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ხმადაბალი ჰა, ჰა, ჰა იყო, რომელმაც ჟრუანტელივით დამიარა მთელ სხეულში, როდესაც პირველად მოვისმინე. ხანდახან ამ სიცილზე უფრო უცნაური ბუტბუტიც მესმოდა. იყო დღეები, როდესაც ის სრულიად დუმდა. მე კი ვცდილობდი და ვერ გამერკვია, მაინც რა ხმები იყო ეს. ზოგჯერ ამ ქალს თეფშითა და ლანგრით სამზარეულოსაკენ მიმავალს ვხვდებოდი, საიდანაც, ჩვეულებრივ, მალევე ბრუნდებოდა. ხშირად მის ხელში შავი ლუდით სავსე ტოლჩასაც ვამჩნევდი (ოჰ, მაპატიე, რომანტიკულო მკითხველო, რომ ასე გადმოგცემთ ამ ტლანქ სინამდვილეს!). გრეის პულის დანახვისთანავე მისივე უცნაური სიცილით გამოწვეული ჩემი ცნობისმოყვარეობა სწრაფად ქრებოდა, რადგან მის მშვიდ საქციელში და სახის უხეშ ნაკვთებზე ვერ შენიშნავდით ვერაფერს ისეთს, რასაც შეიძლებოდა ინტერესი გამოეწვია. რამდენჯერმე ვცადე გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ ჩანდა, ლაპარაკი არ უყვარდა. მოკლე პასუხს მაძლევდა და ყოველი ცდა უშედეგო იყო.

ამ სახლის სხვა ბინადარნი: ჯონი და მისი ცოლი, ხელზე მოსამსახურე ლი და ფრანგი აღმზრდელი სოფი ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ. მათ არაფერი გააჩნდათ ისეთი, რომ სხვებისაგან გამოსარჩევნი და განსხვავებულნი ყოფილიყვნენ. სოფისთან ხშირად ვსაუბრობდი ფრანგულად, ვეკითხებოდი მის მშობლიურ მხარეზე, მაგრამ მას არც აღწერის და არც მოყოლის ნიჭი არ გააჩნდა. მუდამ ისეთ უშინაარსო და გაურკვეველ პასუხს მაძლევდა, სურვილი მეკარგებოდა, არათუ გამომეწვია სასაუბროდ, არამედ კიდევ მეკითხა რაიმე.

ასე გავიდა სამი თვე: ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი. იანვრის ერთ საღამოს, რადგან ადელი გაციებული იყო, მისის ფეიერფექსმა მთხოვა მეცადინეობა გადაგვედო, ადელსაც აღფრთოვანება შევამჩნიე _ ის კვერს უკრავდა მისის ფეიერფექსის თხოვნას. ამ ამბავმა ჩემი ბავშვობა გამახსენა. მეც რარიგ მიხაროდა მეცადინეობის გადადება და შემთხვევითი თავისუფლება. დავეთანხმე, რადგან ვიფიქრე, რომ დათმობა ამ შემთხვევაში საჭირო იყო. მოწმენდილი და წყნარი დღე ჩანდა, თუმცა სუსხიანი. დილით კარგა ხანს ბიბლიოთეკაში ვიჯექი მარტოდმარტო და დავიღალე. ამ ხნის განმავლობაში მისის ფეიერფექსმა წერილის წერა დაამთავრა და გასაგზავნად გაამზადა. ქუდი დავიხურე, პალტო ჩავიცვი და შევთავაზე, წერილი ჩემთვის გაეტანებინა ჰეიში. ჰეი ჩვენგან ორი მილით იქნებოდა დაშორებული. ამ მანძილის გავლა კი ზამთრის ასეთ წყნარ ამინდში სასიამოვნოდ მეჩვენებოდა. ადელი თავის პატარა სავარძელში მისის ფეიერფექსის სასტუმრო ოთახში მის გვერდითვე დავტოვე ცეცხლის პირად. სათამაშოდ ყველაზე ლამაზი სანთლის დედოფალა მივეცი (ამ დედოფალას, ჩვეულებრივ, ვერცხლისფერ ტყვიის

ქაღალდში გახვეულს უჯრაში ვინახავდი). მოთხრობების წიგნიც დავუტოვე, რომ ერთი და იგივე ნივთებით გართობა არ მოსწყენოდა და ადელის ამ სიტყვებს: _Revenez bientôt, vf bone amie, ma chère Mdlle Jeannette! _ კოცნით ვუპასუხე და გავეშურე.

დედამიწა გაყინული იყო, ამინდი წყნარი და გზა უკაცური. სწრაფი ნაბიჯით მივდიოდი, რომ გავმთბარიყავი. რამდენიმე ხნის შემდეგ კი ნაბიჯი შევანელე, მინდოდა დავმტკბარიყავი იმ განუსაზღვრელი სიამოვნებით, რომელიც ჩემ სულში დროისა და ადგილის მომხიბვლელობით იღვრებოდა. სამრეკლოს რომ ჩავუარე, ეკლესიის ზარმა დარეკა. უკვე სამი საათი იყო. ბინდბუნდში ჩამავალი მზის გაცრეცილი სხივები მომხიბვლელობას მატებდნენ ამ წუთებს. თორნფილდს ერთი მილით დავშორდი. ვიწრო სასოფლო გზით მივდიოდი, რომელიც ზაფხულობით ველური ვარდებით იყო განთქმული, ხოლო შემოდგომით მაყვლისა და კაკლის უხვი მოსავლით; აქა-იქ ახლაც შენიშნავდით რტოებს შორის მარჯნისფერი ასკილისა და კუნელის შემორჩენილ ნაყოფს. ზამთრობით ამ გზის მთელ სილამაზეს მისი სრული უდაბურობა და უკაცრიელობა წარმოადგენდა. მთელ ამ არემარეში არსად ჩანდა მარადმწვანე ხეები და დეკა, რომ სიოს აეშრიალებინა და ოდნავი ხმაური მაინც გამოეწვია. იყო მხოლოდ შიშველი კუნელისა და თხილნარის ბუჩქები, ისეთივე მდუმარებით მოცულნი, როგორც თეთრი გაცვეთილი ქვები, რომლითაც მოფენილი იყო შუა შარაგზა. გზის ორივე მხარეს მოჩანდა ფართოდ გადაჭიმული დიდი მინდვრები, სადაც ვერც ერთი შინაური პირუტყვი საჭმელად ვეღარაფერს იპოვიდა. პაწაწინა ყავისფერბუმბულიანი ჩიტები დროგამოშვებით შეიფრთხიალებდნენ ხოლმე ღობეში და იმ დამჭკნარ ფოთლებს წააგავდნენ, რომლებიც ჯერ კიდევ ბუჩქებს შერჩენოდნენ და დაცვენა დავიწყებოდათ.

ჰეისკენ მიმავალი გზა გორაკზე მიიკლაკნებოდა. შუა გზას მივაღწიე თუ არა, ღობის გადასაბიჯზე ჩამოვჯექი, რომლის იქით მინდვრები იწყებოდა. წამოსასხამი მაგრად შემოვიხვიე, ხელები ხელსათბურში შევმალე და სიცივეს ვეღარ ვგრძნობდი. ძალიან ყინავდა. ამას იმითაც ვამჩნევდი, რომ შარაგზას ყინულის სქელი ფენა გადაკვროდა და ამ რამდენიმე დღის წინ უეცარი სითბოს გავლენით გაჩენილი პატარა ნაკადული, რომელსაც ნაპირი გად-მოელახა და გზაზე მოჩხრიალებდა, ახლა გაყინულიყო. ვიჯექი და გადავცქეროდი დაბლა გაშლილ ველზე აღმართულ თორნფილდის რუხ ქონგურებიან შენობას. მის დასავლეთით ვხედავდი ტყესა და დაბურულ ხეივანს, სადაც უამრავი ჭილყვავი ბინადრობდა. ასე ვიჯექი, სანამ ბრდღვიალა წითელი მზე ხეებს შორის ჩავიდოდა და მის იქით თვალს მოეფარებოდა. მერე კი მოვტრიალდი და აღმოსავლეთისაკენ დავიწყე ყურება.

გორაკის წვერზე ჩემ მაღლა ამომავალი მთვარე შევნიშნე. ის ჯერ კიდევ ღრუბელივით ფერმკრთალი იყო, მაგრამ, რაც უფრო ამოდიოდა, მით უფრო ემატებოდა სინათლე. ის გადაჰყურებდა ნახევრად ხეებით დაფარულ სოფელ ჰეის, რომლის რამდენიმე საკვამურიდან ცისფერი ბოლი ამოდიოდა. სულ

ერთი მილითღა ვიყავი დაშორებული ჰეის, მაგრამ ამ ღრმა დუმილშიც მისი სუსტი სასიცოცხლო მაჯისცემაც კი გარკვევით მესმოდა. ჩემ ყურთასმენას ატკბობდა ნაკადულების რაკრაკი, მაგრამ ის კი ვერ გამერკვია, თუ სად, რომელ ხევხუვში მოჩუხჩუხებდნენ ისინი. ჰეის იქით უამრავი გორაკი მოჩანდა და, უეჭველია, ეს ნაკადულებიც იქიდან გადმოსჩქეფდნენ. ისეთი წყნარი საღამო იყო, რომ გარკვევით მესმოდა არა მხოლოდ ახლოს მოჩუხჩუხე ნაკადულების ხმა, არამედ ყველაზე შორეული რაკრაკიც.

რაღაც მეტისმეტად უხეშმა ხმამ დაარღვია ნაკადულების ჩურჩული და მხიარული ჩანჩქარი. ის ძალიან შორიდან, მაგრამ გარკვევით მოისმოდა. ეს იყო ცხენის ფეხის ხმა, ნალებით დაჭედილი ფლოქვების თქარათქური, რომელიც ისევე ფარავდა ნაკადულების საამო დუდუნს, როგორც სურათის წინახედზე კლდე ან ფართოდ ტოტებგაშლილი მუხა ფარავს ხოლმე ლაჟვარდოვან ცას, იისფერ მწვერვალებს, მზით განათებულ ჰორიზონტს და ღრუბლებს, სადაც თვალწარმტაცი ფერები გადადიან ერთიდან მეორეში.

ხმაური შარაგზიდან მოისმოდა. ეტყობოდა, ვიღაც ცხენით მოდიოდა. გზა იმდენად კლაკნილი იყო, რომ მგზავრი ჯერ კიდევ არ ჩანდა, მაგრამ მესმოდა, როგორ მიახლოვდებოდა. ადგომა დავაპირე, მაგრამ გზის სივიწროვის გამო მალევე გადავიფიქრე. გადავწყვიტე გაუნძრევლად ვმჯდარიყავი, რომ ცხენს გაევლო. მაშინ მე ხომ ახალგაზრდა ვიყავ და ყოველნაირი ოცნება, ხან ნათელი და ხან მეტად ბუნდოვანი, სხვა სისულელეებთან ერთად სწრაფად ჩნდებოდა ჩემს გონებაში. ჯერ კიდევ ცოცხლობდა შორეული მოგონებანი და ბავშვობაში გაგონილი ამბები. როდესაც ეს მოგონებანი კვლავ განმიახლდებოდა ხოლმე, ახალგაზრდული ასაკი მატებდა მას ისეთ ძალასა და სიცხადეს, რომელიც ბავშვობამ არ იცის. ცხენის გამოჩენამ და ბინდბუნდში მისმა თვალთვალმა გამახსენა ბესის მიერ მონაყოლი ერთ-ერთი ზღაპარი, რომელშიაც ადამიანებს, ჩრდილოეთ ინგლისის მკვიდრთ, რაღაც სული, სახელად ჯიტრეში მოევლინებოდათ ხოლმე. ის ცხენის, ჯორის ან დიდი ძაღლის სახით დაეხეტებოდა უკაცრიელ გზებზე და ხანდახან დაგვიანებულ მგზავრებს წინ უხვდებოდა.

ცხენი სულ ახლოს იყო, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩანდა. ფლოქვების თქარუნს ისიც დაემატა, რომ ღობის ქვეშ რაღაც ხმაური ატყდა. სულ ახლოს თხილნარის ბუჩქებიდან დიდი ძაღლი გამოძვრა. ცხადად დავინახე, ბეწვი შავ-თეთრად უბზინავდა. ეს ბესის მონაყოლი ნამდვილი სახეშეცვლილი ჯიტრეში იყო: ლომის მსგავსი რაღაც უცნაური ცხოველი, გრძელბეწვიანი და დიდთავა. მან სრულიად მშვიდად ჩამიარა, არც კი შეჩერებულა, რომ თავისი უცნაური ძაღლური მეტყველი თვალებით შემოეხედა, თუმცა, დარწმუნებული ვიყავი, რომ შეუმჩნეველი არ დავრჩებოდი. მას უკან მეტად მაღალი, ჯიშიანი ცხენი მოსდევდა. ცხენზე მხედარი იჯდა. ადამიანის, ცოცხალი არსების გამოჩენამ სწრაფად გააქრო ჯადოსნური ქსელი. ჯერ ხომ არავის უმგზავრია ჯიტრეშით. ის მარტოდმარტო დადიოდა მუდამ. ბოროტი სულები, ჩემი აზრით, თუმცა პირუტყვის სახეს კიდეც ღებულობდნენ, მაგრამ იშვიათად თუ

მოევლინებოდნენ ვინმეს ადამიანის სახით. არა, ეს არ იყო ჯიტრეში. ეს იყო მგზავრი, რომელიც მოკლე გზით მილკოტისკენ მიიჩქაროდა. მან ჩამიარა და მეც გზა განვაგრძე. გადავდგი თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, უკან მოვიხედე. რაღაც დაცურდა ყინულზე და შემომესმა წამოძახილიც.

_ რა ვქნა ახლა? _ ამას მოჰყვა ცხენის დაცემის ხმა. კაცი და ცხენი ორივე წაქცეულიყო. ეტყობოდა, ისინი ყინულზე დაცურდნენ, რომელიც შარაგზაზე ლაპლაპებდა. ძაღლი გადახტა და თვალის დახამხამებაში მათთან გაჩნდა. შეამჩნია თუ არა, რომ პატრონი გასაჭირში ჩავარდა და ცხენის გმინვაც გაიგონა, ყეფა ატეხა. ისეთი ძალით და ისე ხმამაღლა ყეფდა, ვიდრე ბინდბუნდში მთვლემარე გორაკებმა ექო არ გამოსცეს. მან წაქცეულები დაყნოსა და მხოლოდ ისღა მოახერხა, რომ ჩემთან მოირბინა. ჩემს მეტი იქ არავინ ჩანდა, რომ დახმარებოდა. პირუტყვს დავემორჩილე და გავემართე მგზავრისაკენ, რომელიც უზანგიდან ფეხის განთავისუფლებას ცდილობდა. ის არცთუ ისე მძიმედ უნდა ყოფილიყო დაშავებული, ისეთი ძალით ცდილობდა გაეთავისუფლებინა თავი. მიუხედავად ამისა, მაინც ვკითხე:

_ იტკინეთ რამე, სერ?

მგონი, ამ დროს ის ილანძღებოდა, თუმცა ამაში ახლაც არა ვარ დარწმუნებული. ასე იყო თუ ისე, ის რაღაცას ბუტბუტებდა და სწორედ ამან შეუშალა ხელი, მაშინვე გაეცა პასუხი.

_ შემიძლია რამეში დაგეხმაროთ? _ კვლავ ვკითხე მე.

_ განზე დადექით, _ მიპასუხა მან და პირველად მუხლებზე წამოიწია, შემდეგ კი ფეხზე წამოდგა. ჩამოვეცალე, რადგან დავინახე, რომ ცხენი ფეხზე წამოსადგომად მძიმედ ურტყამდა ფლოქვებს ყინულზე. ძაღლიც განუწყვეტლივ ყეფდა. ყოველივე ამან მაიძულა რამდენიმე იარდით დამეხია უკან, მაგრამ წასვლა არ მინდოდა, სანამ არ ვნახავდი, რით დამთავრდებოდა ეს ამბავი. ბოლოს მათ ბედმა გაუღიმა. ცხენი წამოდგა და ძაღლიც პატრონის შეძახილზე _ დაწექი, პაილოტ! _ გაჩუმდა. მგზავრი დაიხარა და ფეხს ისინჯავდა, ალბათ იმის გაგება სურდა, ხომ არაფერი დამიშავდაო. ნათლად ჩანდა, ტკივილები აწუხებდა. ის კოჭლობით მივიდა გადასაბიჯთან, საიდანაც ის იყო ავდექი და მასზე ჩამოჯდა.

მინდოდა მეგობრულად შემეთავაზებინა ხელი, დავხმარებოდი და ამიტომ ვკითხე:

_ თუ თქვენ მძიმედ დაშავდით, სერ, და დახმარება გჭირდებათ, შემიძლია თორნფილდიდან ან ჰეიდან მოგიყვანოთ ვინმე.

_ გმადლობთ, მე თვითონ მოვუვლი ჩემს თავს. ძვლები არა მაქვს დამტვრეული, მხოლოდ ფეხი ვიღრძე. _ ის კვლავ წამოდგა, შეეცადა ფეხზე დამდგარიყო, მაგრამ ტკივილის გამო იძულებული გახდა უნებურად წამოეძახა: _ უჰო!

ჯერ კიდევ დღის ნათელი არ გამქრალიყო. პირბადრი მთვარე ანათებდა და ახლა სრულიად გარკვევით ვხედავდი მხედარს ბეწვის საყელოიან საცხენოსნო ლაბადაში, რომელიც ფოლადის შესაკრავებით იკვრებოდა. მის აღნაგობაზე

კარგად დაკვირვება არ შეიძლებოდა, მაგრამ შევნიშნე, რომ საშუალო სიმაღლის იყო, ფართომკერდიანი, შავგვრემანი, ფართო შუბლითა და სახის მკაცრი ნაკვთებით. ახლა შეერთებული წარბები მრისხანედ შეეკრა და თვალებშიც სიჯიუტე უკრთოდა. ახალგაზრდულ ასაკს გადაცილებული ჩანდა, მაგრამ არც შუა ხნის იყო. ასე, დაახლოებით, ოცდათხუთმეტი წლის თუ იქნებოდა. მის დანახვაზე არ შემშინებია, მაგრამ ოდნავ შემრცხვა. ის რომ უფრო ლამაზი, წარმოსადეგი და ოცნებით წარმოდგენილი გმირი ყოფილიყო, მაშინ ვერ გავბედავდი მივახლოვებოდი და ამდენი შეკითხვა მიმეცა, ვერც სამსახურს შევთავაზებდი, რადგან ვატყობდი, არ სიამოვნებდა. არასოდეს მენახა ახალგაზრდა ლამაზი მამაკაცი. ჩემ სიცოცხლეში ჯერ კიდევ არც ერთ მათგანს არ დავლაპარაკებოდი. წარმოდგენით ვეთაყვანებოდი და მოწიწებას ვგრძნობდი სილამაზის, მოხდენილობის, სიმამაცის და მომხიბვლელობის მიმართ. ყველა ამ თვისებით დაჯილდოებული ახალგაზრდა ყმაწვილკაცები კიდეც რომ შემხვედროდნენ, ალღოთიც ვიგრძნობდი, რომ მათ არაფერი მოეწონებოდათ ჩემი. მეც თავს ისე ავარიდებდი, როგორც ანთებულ ცეცხლს, ელვას ან ისეთ რაიმე ნივთს, რასაც ბრწყინვალება არ აკლია, მაგრამ მაინც საძულველია.

ამ უცნობ მგზავრსაც რომ გაეღიმა, კარგად მომქცეოდა, მადლობა გადაეხადა ან თავაზიანად უარი ეთქვა და არ მიეღო ჩემი დახმარება, რომელიც შევთავაზე, ჩემი გზით წავიდოდი და საჭიროდ არ ჩავთვლიდი გამემეორებინა მისთვის შეკითხვები, მაგრამ მისმა მოღუშულმა სახემ და უხეშობამ გამბედაობა შემმატა და არც კი გავნძრეულვარ, როდესაც მანიშნა, წავსულიყავი და განვუცხადე:

_ არ შემიძლია დაგტოვოთ, სერ, ასე გვიან აქ, ამ უკაცრიელ შარაგზაზე მანამდე მაინც, სანამ ცხენზე შეჯდომას არ შეძლებთ.

ვთქვი თუ არა ეს, მან შემომხედა, აქამდე კი, მგონი, ერთხელაც არ შემოეხედნა ჩემთვის.

_ ვფიქრობ, ასეთ დროს თქვენ თვითონ შინ უნდა იჯდეთ, თუ სახლი აქ სადმე ახლომახლოსა გაქვთ. საიდან მოდიხართ?

_ ქვემოდან. სრულიადაც არ მეშინია ასე გვიან გარეთ ყოფნა, თუ მთვარიანი ღამეა. თუ გნებავთ, სიამოვნებით გაგეგზავნებით ჰეიში, მაინც იქით მივდივარ წერილის გასაგზავნად.

_ თქვენ აი იქ, დაბლა ცხოვრობთ? იმ ქონგურებიან სახლში? _ და მან თორნფილდჰოლზე მიმითითა, რომელსაც მთვარე უხვად აფრქვევდა ვერცხლისფერ სხივებს და უფრო გარკვევით მოჩანდა ტყის ფონზე, რომელიც განათებულ ცის დასავლეთთან შედარებით უზარმაზარი ჩრდილივით გაწოლილიყო.

_ დიახ, სერ.

_ ვისია ეს სახლი?

_ მისტერ როჩესტერის.

_ იცნობთ თქვენ მისტერ როჩესტერს?

_ არა, მე ის არასოდეს მინახავს.

_ მაშ ის იქ არ ცხოვრობს?

_ არა.

_ იცით თუ არა, სად არის ახლა?

_ არა, არ ვიცი.

_ თქვენ, რასაკვირველია, მოსამსახურე არ იქნებით, ალბათ იქ... _ ის შეჩერდა, თვალი გადაავლო ჩემ ჩაცმულობას, რომელიც, ჩვეულებრივ, მეტად უბრალო იყო: შავი მერინოსის მოსასხამი, ასეთივე ფერის წავის ბეწვის ქუდი, არც ერთსა და არც მეორეს მდიდარი ქალბატონის პირისფარეშიც კი არ იკადრებდა. როგორც ჩანდა, ძალიან უჭირდა გაეგო, რა საქმიანობა მევალებოდა იქ. მე დავეხმარე და ვუთხარი:

_ აღმზრდელი გახლავართ, სერ.

_ ოჰ, აღმზრდელი? _ გაიმეორა მან, _ ეშმაკმა დალახვროს, სულ დამავიწყდა აღმზრდელი! _ და მან კვლავ დაკვირვებით აათვალიერ-ჩაათვალიერა ჩემი ჩაცმულობა. ასე ორი წუთის შემდეგ გადასაბიჯიდან ის კვლავ წამოდგა, მაგრამ შეეცადა თუ არა ფეხი გადაედგა, სახეზე საშინელი ტკივილის კვალი აღებეჭდა.

_ რა თქმა უნდა, ვერ დაგავალებთ ვინმეს მოსაყვანად გაგგზავნოთ, _ მითხრა მან, _ მაგრამ შეგიძლიათ თქვენ თვით დამეხმაროთ, თუ ასეთი გულკეთილი ხართ.

_ სიამოვნებით, სერ.

_ ქოლგა რომ გქონოდათ, საბჯენი ჯოხის მაგიერ გამოვიყენებდი.

_ ქოლგაც არა მაქვს, სერ.

_ მაშინ სცადეთ, ჩემს ცხენს აღვირში მოჰკიდოთ ხელი და აქ მომიყვანოთ. ხომ არ გეშინიათ?

რასაკვირველია, მარტო რომ ვყოფილიყავი, ცხენის შემეშინდებოდა, მაგრამ როდესაც მთხოვეს, მეც დავემორჩილე. ხელსათბური გადასაბიჯზე დავდე და მაღალფეხებიან, ჯიშიან ცხენს მივუახლოვდი. შევეცადე აღვირში წამევლო ხელი, მაგრამ ცხენი მეტად ფიცხი აღმოჩნდა და ახლოს არ მიმიშვა. ბევრი ვეცადე, მაგრამ ამაოდ. თანაც სიკვდილზე მეტად მაფრთხობდა მიწაზე მისი ტორების დაუსრულებელი ცემა. მხედარი რამდენიმე ხნის განმავლობაში იცდიდა, მითვალთვალებდა, ბოლოს გაიცინა და წარმოთქვა: _ ვხედავ, მთას ვერ მიიტან მუჰამედთან, მაშინ ერთი გამოსავალიღა დაგრჩათ: დაეხმაროთ მუჰამედს თვით მივიდეს მთასთან. გთხოვთ მომიახლოვდეთ.

მივუახლოვდი.

_ მაპატიეთ, _ განაგრძო მან, _ აუცილებლობა მაიძულებს თქვენი დახმარებით ვისარგებლო.

თავისი ვაჟკაცური მძიმე ხელი მხარზე დამადო, ზედ დაეყრდნო და ასე კოჭლობით მივიდა ცხენთან. მოკიდა თუ არა ხელი ცხენის აღვირს, მაშინვე დაიმორჩილა ის და უნაგირს მოახტა. სახე ემანჭებოდა, რადგან თავს ძალას ატანდა და ნაღრძობი ფეხიც ალბათ უფრო და უფრო აწუხებდა.

_ ახლა, _ მითხრა მან, მას შემდეგ, რაც გამეტებით იკბინა ქვედა ტუჩზე, _ ჩემი მათრახი მომაწოდეთ. აი იქ, ღობის ძირას გდია.

მოვძებნე და მალე ვიპოვე.

_ გმადლობთ, ახლა კი იჩქარეთ, წაიღეთ წერილი ჰეიში და, რაც შეიძლება, მალე დაბრუნდით.

პირველივე დეზის შემოკვრისთანავე ცხენი ყალყზე შედგა და ჭენებით გასწია. ძაღლიც მათ ნაკვალევს გაჰყვა და მალე სამივე თვალს მოეფარა,

როგორც ტრამალზე და უდაბნოში,
სწრაფად დაჰქრიან მძაფრი ქარები...

ხელსათბური ავიღე და გზა განვაგრძე. ეს ამბავი ჩემთვის ასე დამთავრდა და წარსულს ჩაჰბარდა. ეს უმნიშვნელო შემთხვევა ყოველგვარ რომანტიზმსა და ინტერესს მოკლებული იყო, მაგრამ მან ერთი საათით მაინც შეცვალა ჩემი ერთფეროვანი ცხოვრება. ჩემი დახმარება დასჭირდათ, მთხოვეს და თავი არ დამიზოგავს. ნასიამოვნებიც დავრჩი, რომ ცოტაოდენი დახმარება მაინც შევ-ძელი. თუმცა, რაც გავაკეთე მეტად უმნიშვნელო და შემთხვევით ამბად მიმაჩნდა, მაგრამ მან საშუალება მომცა მემოქმედნა. მე ხომ ძალიან დამქანცა უმოქმედო, ერთფეროვანმა ცხოვრებამ. ამ უცნობი ადამიანის სახით კიდევ ერთი სურათი შეემატა იმ სურათთა გალერეას, რომელსაც ჩემი მეხსიერება ინახავდა. ის სრულიად განსხვავდებოდა გონებაში ყველა სხვა იქ გადანახული სახეებისაგან. ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ეს იყო მამაკაცის სახე, მეორე მხრივ კი, იმიტომ, რომ ის გახლდათ შავგვრემანი, ძლიერი და მბრძანებლური ხასიათის ადამიანი. და აი, ეს სახე გონებიდან არ მშორდებოდა, სანამ ჰეის მივაღწევდი და ფოსტის ყუთში ჩავუშვებდი წერილს. მაშინაც კი, როდესაც გორაკიდან სწრაფად ვეშვებოდი და სახლისაკენ მივეშურებოდი, ერთი წუთით შევჩერდი, გარშემო მიმოვიხედე და სმენად ვიქეცი. იმ იმედით, რომ იქნებ კიდევ გამეგონა ცხენის ფეხის ხმა შარაგზაზე, იქნებ თვალი მომეკრა ლაბადაში გახვეული მხედრისა და ჯიტრეშის მსგავსი ნიუფაუნდლენდური ძაღლისათვის, მაგრამ ჩემ წინ მხოლოდ ღობე და მაღალი, კელაპტარივით სწორი, ტოტებშეკვეცილი ტირიფის ხე შევამჩნიე, რომელიც თითქოს მთვარის სხივების შესახვედრად მიისწრაფოდა. ჩემამდე ოდნავღა აღწევდა მძაფრი ქარის ქროლის ხმა, რომელიც აქედან ერთი მილის დაშორებით თორნფილდის გარშემო ხეთა შორის დათარეშობდა. როდესაც დაბლა გადავიხედე, საიდანაც ეს ხმა მოდიოდა, შევნიშნე, შენობის წინა ხედის მხოლოდ ერთი სარკმლიდან გამოკრთოდა სინათლე. ამ სინათლემ გამახსენა, რომ უკვე გვიან იყო და ნაბიჯს ავუჩქარე.

თორნფილდში მისვლა აღარ მინდოდა. ჩემთვის მის ზღურბლზე ფეხის გადაბიჯება ნიშნავდა დავბრუნებოდი უმოქმედო ცხოვრებას, კვლავ გამევლო მდუმარებით მოცული დერეფანი, ავყოლოდი ჩაბნელებულ კიბეებს, მომენახა ჩემი პატარა განმარტოებული ოთახი, მეხილა წყნარი, მუდამ აუღელვებელი

მისის ფეიერფექსი და მხოლოდ მასთან ერთად გამეტარებინა ზამთრის გრძელი საღამოები. ამ ფიქრმა ჩამიხშო ოდნავი განცდებიც კი, რომელიც ამ გასეირნებით მივიღე. აი, იმავე ერთფეროვანი და მეტისმეტად უმოქმედო ცხოვრების უხილავი ბორკილებით უნდა შემეზღუდა ჩემი შესაძლებლობანი. მე უკვე აღარ შემეძლო მშვიდი და უშფოთველი ცხოვრების დაფასება. რა კარგი იქნებოდა, სწორედ ამ დროს მოვხვედრილიყავ ბობოქარი ცხოვრების ქარცეცხლში. მწარე და მკაცრი ცხოვრების გამოცდილებას ესწავლებინა და სანატრელად გაეხადა ის მშვიდი და წყნარი ცხოვრება, რომელზედაც ახლა ასე ვბუზღუნებდი. დიახ, ეს ისევე სასარგებლო იქნებოდა ჩემთვის, როგორც სავარძელში ჯდომით გადაღლილი ადამიანისათვის ფეხის გამართვა და გასეირნება.

ალაყაფის კარებთან შევჩერდი, მერე დიდხანს ვიდექი მოლზე ერთ ადგილას. შემდეგ ქვაფენილზე ნელ-ნელა მიმოვდიოდი. მინის კარების დარაბები დახურული იყო და იმის იქით ვეღარაფერს ვხედავდი. ჩემი ფიქრი და სული განშორებოდა ამ მოღუშულ პატარ-პატარა უსინათლო საკანის მსგავს ოთახებით სავსე რუხ შენობას, როგორც ის მაშინ წარმომედგინა, და მიისწრაფოდა ჩემ წინ უსაზღვროდ გადაშლილი ლაჟვარდოვანი, ზღვასავით მოლივლივე უღრუბლო ცისკენ. მთვარე კი ამაყად მიიწევდა სულ უფრო მაღლა და მაღლა. ახლა ის ზემოდან გადმოჰყურებდა მთის მწვერვალებს, საიდანაც სულ რამდენიმე ხნის წინ ამოვიდა, თანდათანობით შორს დაბლა ტოვებდა მათ, თვით კი უკუნეთი შუაღამის განუზომელ და უძირო სივრცეში ზენიტისაკენ მიილტვოდა. უამრავი მოციმციმე ვარსკვლავი მის გზას დასდევნებოდა. მათ დანახვაზე გული სიამით ამითრთოლდა, სისხლი ამიჩქეფდა, მაგრამ სულ პატარა რაიმეც კი საკმარისია, რომ მიწიერ ცხოვრებას დავუბრუნდეთ. დარბაზში საათმა დარეკა და ეს სრულიად საკმაო აღმოჩნდა. მაშინვე თავი ვანებე მთვარესა და ვარსკვლავებს, გვერდითა კარები გავაღე და შიგნით შევედი.

დერეფანში არ ბნელოდა, მაგრამ არც მაინცდამაინც კარგად იყო განათებული. იქაურობას მხოლოდ ჭერში დაკიდებული ბრინჯაოს ლამპა ანათებდა. ეს სასიამოვნო შუქი დაჰფენოდა მუხის კიბის ქვემო საფეხურებსაც. მოწითალო ფერის შუქი გამოდიოდა დიდი სასადილო ოთახიდან, რომლის ორივე კარი ღია იყო. ბუხარში მხიარულად გიზგიზებდა ცეცხლი, რომლის შუქი ანათებდა მარმარილოთი მოპირკეთებულ ბუხრის თითბრის კარებს და მეტისმეტად სასიამოვნო ფერს აძლევდა მეწამულ ფარდებსა და კრიალა ავეჯს. იგივე შუქი ეფინებოდა ბუხრის წინ მსხდომთაც. ის იყო თვალი მოვკარი მათ და მხიარული, ერთმანეთში არეული ხმები შემომესმა. ადელის ხმა ვიცანი. კარები მოხურეს.

მისის ფეიერფექსის ოთახისაკენ გავეშურე. ცეცხლი იქაც გიზგიზებდა ბუხარში, მაგრამ არც სანთლები აენთოთ და არც მისის ფეიერფექსი დამხვდა იქ. მხოლოდ დიდი, შავი და თეთრი ბეწვით დაფარული ძაღლი

წამომჯდარიყო მარტოდმარტო ბუხრის წინ ნოხზე. მივუახლოვდი და წამოვიძახე:

_ პაილოტ, _ ისიც ადგა, ჩემთან მოვიდა და დამყნოსა. მე მოვეფერე. ის გრძელ კუდს აქნევდა, მაგრამ ისევ იმ შემაძრწუნებელ არსებას ჰგავდა და მასთან ახლოს ყოფნა ძალიან მიჭირდა. არც ის ვიცოდი, საიდან მოვიდა ის აქ. ზარი დავრეკე. მინდოდა სანთლები აენთოთ. ისიც მინდოდა გამეგო, საიდან გაჩნდა ის. შემოვიდა ლი.

_ ეს ძაღლი აქ საიდან გაჩნდა?

_ თავის პატრონს მოჰყვა.

_ ვის?

_ თავის პატრონს, მისტერ როჩესტერს. ის ეს-ეს არის ჩამოვიდა.

_ მართლა?!. მისის ფეიერფექსი მასთან არის?

_ დიახ, მის ადელიც; ისინი სასადილო ოთახში არიან ახლა. ჯონი კი მკურნალის მოსაყვანად გაგზავნეს, რადგან მისტერ როჩესტერს გზად რაღაც უბედურება შემთხვევია. დაცემულა და ფეხი უღრძვია.

_ სად წაქცეულა ცხენი? ჰეის შარაზე?

_ დიახ, გორაკიდან რომ დაბლა ჩამოდიოდა, ცხენს ფეხი ყინულზე დასცურებია.

_ ჰმ, თუ შეიძლება, სანთელი შემოიტანეთ, ლი!

ლიმ სანთელი შემოიტანა. მას მისის ფეიერფექსი შემოჰყვა, რომელმაც ახალი ამბავი კვლავ გაიმეორა. ისიც დაუმატა, ქირურგი მისტერ კარტერი მოსულიყო და მისტერ როჩესტერთან იყო. შემდეგ ის სასწრაფოდ გავიდა, რათა განკარგულება გაეცა ჩაი გაემზადებინათ, მე კი მაღლა სართულში ავედი გასახდელად.

თავი XIII

მკურნალის მოთხოვნით მისტერ როჩესტერი იმ ღამეს ადრე დაწვა. დილით გვიან ადგა, ქვედა სართულში ჩამოვიდა და მაშინვე თავისი საქმეების მოგვარებას შეუდგა. მოურავი და რამდენიმე მოიჯარე კი უკვე კარგა ხანია მოსალაპარაკებლად უცდიდნენ.

მე და ადელს ბიბლიოთეკა უნდა გაგვეთავისუფლებინა, ამ ოთახს ახლა უცხო პირთა მისაღებ ოთახად იყენებდნენ. ზემო სართულის ერთ-ერთ ოთახში ბუხარში ცეცხლი დაანთეს. ჩვენი წიგნები იქ გადავიტანე და სამეცადინო ოთახად მოვაწყვე. იმავე დილით შევამჩნიე, რომ თორნფილდი მთლად გამოიცვალა. სახლში უკვე აღარ იყო გამეფებული ეკლესიისებური მყუდროება. ყოველ ერთ ან ორ საათში კარებზე აკაკუნებდნენ. დერეფნიდან მოისმოდა ზარის წკრიალი, გახშირებული ფეხის ხმა და უცხო ადამიანთა ხმები. გარე სამყაროდან თორნფილდში თითქოს მჩქეფარე ნაკადული შემოიჭრა; სახლს პატრონი ჰყავდა და მეც ახლა უფრო მომწონდა ის.

იმ დღეს ადელთან მეცადინეობა არც ისე ადვილი იყო. მისი ყურადღება ვერაფრით მივიქციე. ხშირად მიირბენდა ხოლმე კარებთან და კიბის მოაჯირიდან დაბლა იყურებოდა. უნდოდა მისტერ როჩესტერისათვის მოეკრა თვალი. ათას რამეს იგონებდა დაბლა სართულში ჩასასვლელად. ვიცოდი, ამას იმიტომ აკეთებდა, რომ როგორმე ბიბლიოთეკაში შესულიყო, სადაც, დარწმუნებული ვიყავი, ასეთ დროს მისი გამოჩენა სრულიად ზედმეტი იქნებოდა. ბოლოს, როდესაც გული მომივიდა და ვაიძულე წყნარად მჯდარიყო, ის მაინც განაგრძობდა ტიკტიკს დაუსრულებლად თავის «ami, Monsieur Edouard Fairfax de Rochester”-ზე. ახლა ის ასე ახსენებდა მას (მე კი ჯერ კიდევ არავისგან მსმენოდა მისი ნათლობის სახელი). გოგონა წინასწარ ცდილობდა გამოეცნო, თუ რა საჩუქრები ჩამოუტანა მას მისტერ როჩესტერმა. როგორც ჩანს, მან წინა საღამოს უთხრა გოგონას, რომ, როდესაც მილკოტიდან მის ბარგს მიიღებდნენ, მათ შორის ის აღმოაჩენდა მისთვის საინტერესო ნივთებით სავსე პატარა ყუთს.

_Et cela doit signifier, - მითხრა მან, - qu’il y aura lá-dedans un cadeau pour moi, et peut-être pour vous aussi, Mademoiselle. Monsieur a parlé de vous: il m’a demandé le nom de ma gouvernante, et si elle n’etait pas une petite personne, assez mince et un peu pâle. J’ ai dit que oui: car c’est vrai, n’estce pas, Mademoiselle?

მე და ჩემმა მოწაფემ იმ დღეს, ჩვეულებრივ, მისის ფეიერფექსის ოთახში ვისადილეთ. ნაშუადღევს ძალიან აცივდა და თოვლი წამოვიდა. ეს დრო საკლასო ოთახში გავატარეთ. როცა დაბინდდა, ადელს ნება დავრთე წიგნები თავის ადგილას დაეწყო, სამუშაო შეენახა და ქვემო სართულში ჩასულიყო. დაბლა შედარებით ყველაფერი მიწყნარდა. შეწყდა მომსვლელთა ხმა და ზარის წკრიალი. მივხვდი, მისტერ როჩესტერიც ახლა თავისუფალი იქნებოდა. მარტო დავრჩი. სარკმელთან მივედი, მაგრამ გარეთ უკვე ვეღარაფერს ვარჩევდი. თოვლის ფანტელებსა და ბინდს დაებურა გარემო. მოლზე ბუჩქებიც კი აღარ მოჩანდა; ფარდა ჩამოვუშვი და ისევ ბუხრისაკენ გამოვბრუნდი. ჩაფერფლილ, მაგრამ ჯერ კიდევ მოკიაფე ნაკვერჩხლების შუქზე მინდოდა წარმომედგინა პეიზაჟი, რომელიც, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ჰაიდელბერგის კოშკის სურათს ჰგავდა რაინზე, რომ ამ დროს ოთახში მისის ფეიერფექსი შემოვიდა. მისი შემოსვლით გაქრა კიდეც ალისფერი ნაკვერჩხლებისგან ჩემ გონებაში წარმოდგენით შექმნილი მოზა-იკური სურათი. მან სწრაფად გაფანტა ის მძიმე და არასასიამოვნო ფიქრები, რომლებიც ის იყო მოზღვავებას აპირებდნენ ჩემ სულში.

_ მისტერ როჩესტერი მოხარული იქნება, თუ თქვენ და თქვენი მოწაფე ჩაის მასთან ერთად დალევთ ამ საღამოს, _ მითხრა მან. _ მთელ დღეს იმდენად მოუცლელად იყო, არ შეეძლო უფრო ადრე ენახეთ.

_ რომელ საათზე სვამს ჩაის? _ ვკითხე მე.

_ ექვს საათზე. სოფელში ის სამუშაოს ადრე ამთავრებს და ადრე წვება. ახლა კი, უმჯობესია, ტანსაცმელი გამოიცვალოთ, მეც თქვენთან ერთად წამოვალ და მოგეშველებით. აი, სანთელიც.

_ კაბის გამოცვლა აუცილებელია?

_ დიახ, უმჯობესია ასე მოიქცეთ. საღამო ხანს მე ყოველთვის ვიცვლი ტანსაცმელს, როცა მისტერ როჩესტერი აქ არის.

ასეთი დამატებითი წეს-ჩვეულებები ამ სახლის დიდებულებას ადასტურებდა. ოთახში შევბრუნდი. მისის ფეიერფექსის დახმარებით შავი შალის კაბა გავიხადე და შავი აბრეშუმის კაბა ჩავიცვი. ეს იყო ჩემი ძვირფასი საგარეო კაბა, გარდა იმ ღია ნაცრისფერი კაბისა, რომელიც ჯერ კიდევ ლოვუდში მიღებული გემოვნების მიხედვით იმდენად ლამაზ კაბად მიმაჩნდა, რომ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, დღესასწაულების დროს ვიცვამდი ხოლმე.

_ გულისაბნევიც გაიკეთეთ, _ მითხრა მისის ფეიერფექსმა.

ერთი პატარა მარგალიტის გულსაბნევი მქონდა, რომელიც განშორების ჟამს მის ტემპლმა მაჩუქა. ის გავიკეთე და დაბლა სართულში ჩავედით. მიჩვეული არ ვიყავ უცხო ადამიანებთან შეხვედრას და მეტად მიძნელდებოდა მისტერ როჩესტერის წინაშე წარდგომა, განსაკუთრებით ასეთი ოფიციალური გამოძახების შემდეგ. ეს ჩემთვის გამოცდას წარმოადგენდა. შევეცადე მისის ფეიერფექსი პირველი შესულიყო სასადილო ოთახში, მე კი უკან მივყვებოდი და მას ვეფარებოდი. ამგვარად გავიარეთ ეს ოთახი. გავცდით თუ არა ფარდაჩამოფარებულ თაღს, ერთ მეტად ლამაზ ოთახში შევედით.

მაგიდაზე ორი ცვილის სანთელი ენთო, ორიც _ ბუხრის თავზე; ცეცხლი მხიარულად გიზგიზებდა, ბუხრის წინ პაილოტი იწვა და, ეტყობა, მისი შუქითა და სითბოთი ტკბებოდა. ადელი ძაღლის ახლოს ჩაცუცქულიყო, მისტერ როჩესტერი კი ნახევრად იყო მიწოლილი ტახტზე, ფეხი ბალიშზე დაეყრდნო და ძაღლსა და ადელს შეჰყურებდა. ცეცხლის ალი მის სახეს ახლა მთლიანად ანათებდა. მასში ჩემი ნაცნობი მოგზაური ვიცანი კუპრივით შავი სქელი წარბებითა და ფართო შუბლით, რომელსაც გვერდზე გადავარცხნილი შავი თმა ოთხკუთხედის ფორმას აძლევდა. ვიცანი, აგრეთვე, მკვეთრად გამოკვეთილი ცხვირითაც, რომელიც ხასიათის სიმტკიცეზე უფრო მეტყველებდა, ვიდრე სილამაზეზე. ცხვირის დაბერილი ნესტოები პატრონის გულფიცხობაზე მიუთითებდა. ხოლო სახის სამი ნაკვთი: კუშტი ბაგენი, ნიკაპი და ქვედა ყბა ეჭვმიუტანლად ადასტურებდა მის პირქუშობას. რაც შეეხება მის ტანადობას, მას ახლა გარკვევით ვხედავდი. ლაბადა გახდილი ჰქონდა და ნათლად ვამჩნევდი, რომ მისი სხეულის ნაკვთები მის სახეს ჰარმონიულად ერწყმოდა. ეს იყო საუკეთესო აღნაგობის მამაკაცი. ფართო მკერდთან შედარებით წელი ვიწრო უჩანდა. თუმცა ისიც უნდა ვაღიარო, რომ არც ძალიან მაღალი და არც მეტისმეტად მოხდენილი.

მისტერ როჩესტერმა ალბათ შენიშნა ჩვენი შესვლა ოთახში, მაგრამ, როგორც ჩანდა, სრულიადაც არ იყო გუნებაზე ჩვენთვის ყურადღება მოექცია. თავიც კი არ აუწევია, როდესაც ჩვენ მივუახლოვდით.

_ მის ეარი გეახლათ, სერ, _ ჩვეული სიმშვიდით წარმოთქვა მისის ფეიერფექსმა. მან თავი დაგვიკრა, მაგრამ ისე, რომ თვალი არ მოუშორებია ბავშვისა და ძაღლისათვის.

_ მის ეარს შეუძლია დაჯდეს, _ თქვა მან. ამ ნაძალადევ თავის დაკვრაში, მოუთმენელ, თუმცა თავაზიან კილოში იყო რაღაც უცნაური, რომელიც თითქოს შემდეგს გულისხმობდა: _ რა მეკითხება, მის ეარი აქ იქნება თუ არა, ამჟამად მასთან სალაპარაკოდ სრულიადაც არა ვარ განწყობილიო.

დავჯექი. მღელვარებამ გამიარა. მეტისმეტი თავაზიანი მიღება, შესაძლებელია, დამაბნევდა კიდეც. მე თვითონ ასეთ მისალმებაზე ასეთივე თავაზიანობით და მოხდენილად ვერ ვუპასუხებდი. როჩესტერის ასეთმა უხეშობამ მის მიმართ ყოველგვარი მოვალეობისაგან გამათავისუფლა. პირიქით, ჩემი სიმშვიდე და თავდაჭერილობა გარკვეულ უპირატესობასაც კი მანიჭებდა მის ასეთ უჩვეულო საქციელთან შედარებით. გარდა ამისა, მისი ასეთი უცნაური საქციელი ამაღელვებელიც იყო. მაინტერესებდა, როგორღა მოიქცეოდა შემდეგ.

ქანდაკებასავით გაშეშდა. არც ლაპარაკობდა და არც ინძრეოდა. მისის ფეიერფექსმა საჭიროდ ჩათვალა, რომ რომელიმე ჩვენგანს მეტი თავაზიანობა გამოეჩინა და საუბარი დაეწყო. მან, ჩვეულებრივ, ტკბილად დაიწყო ლაპარაკი და ახლაც, როგორც ყოველთვის, მისი საუბრის თემა ყოველდღიურ ამბებს შეეხებოდა. წუხდა, რომ მისტერ როჩესტერს ნაღრძობი ფეხი აწუხებდა, ამასთანავე, იმდენი საქმე გამოუჩნდა, რომ მთელი დღე არ ეცალა. ისიც დასძინა, რომ მეტი სიმტკიცე და მოთმინება უნდა გამოეჩინა, რათა მალე გამომჯობინებულიყო.

_ მადამ, კარგი იქნებოდა, თუ ერთ ფინჯან ჩაის შემოიტანდით, _ აი, ერთადერთი პასუხი, რომელიც მან მიიღო. მისის ფეიერფექსმა მაშინვე დარეკა და როდესაც ლანგარი შემოიტანეს, სწრაფად და გულმოდგინედ შეუდგა მაგიდაზე კოვზებისა და ფინჯნების დაწყობას. მე და ადელი მაგიდას შემოვუსხედით. ჩვენი პატრონი კი ტახტიდან არ ამდგარა.

_ თუ შეიძლება, მისტერ როჩესტერს მიაწოდეთ ეს ფინჯანი, _ მითხრა მადამ ფეიერფექსმა, _ ადელმა შეიძლება დაღვაროს.

მეც ისე მოვიქეცი, როგორც მითხრეს. მან ხელიდან ფინჯანი გამომართვა. ადელმაც სწორედ ეს წუთები მიიჩნია შესაფერისად რაიმე ეთქვა ჩემ შესახებ და წამოიძახა:N’ est-ce pas, Monsieur, qu’il y a un cadeau pour Mademoiselle Eyre, dans votre petit cjffre?

_ ვინ ლაპარაკობს საჩუქრებზე? _ თქვა მან მკაცრად, _ განა თქვენ საჩუქარს ელოდით, მის ეარ? გიყვართ საჩუქრების მიღება? _ და მან დაკვირვებით მომაპყრო შავი თვალები, რომლებიდანაც მრისხანება და გამჭოლი მზერა გამოკრთოდა.

_ მართალი მოგახსენოთ, არ ვიცი, სერ. ამ საქმეში მეტად მცირე გამოცდილება მაქვს. როგორც ამბობენ, საჩუქრების მიღება ძალიან სასიამოვნო უნდა იყოს.

_ საერთოდ ასე ფიქრობენ, არა? თქვენ როგორ გგონიათ?

_ მომეცით დრო, სანამ თქვენ საკადრის პასუხს მოგახსენებდეთ, სერ. საჩუქრები მრავალნაირია, ადამიანმა წინასწარ უნდა გაითვალისწინოს, სანამ თავის საკუთარ აზრს იტყოდეს მის რაობაზე.

_ მის ეარ, თქვენ ისეთივე გულუბრყვილო არ ყოფილხართ, როგორც ადელი. ის ჩემი დანახვისთანავე დაჟინებით მოითხოვს საჩუქარს, თქვენ კი ფრთხილად მოქმედებთ.

_ იმიტომ, რომ მე ნაკლებადა ვარ დარწმუნებული, ვიდრე ადელი, სერ, რადგან საჩუქარი არაფრით დამიმსახურებია. მას კი თქვენი ძველი ნაცნობობა მეტის მოთხოვნის უფლებას ანიჭებს, ამასთანავე, ჩვეულებაც. როგორც ის მარწმუნებს, თქვენ ყოველთვის ასაჩუქრებდით მას სათამაშოებით. თქვენ რომ ჩემთვის რაიმე საჩუქარი შემოგეთავაზებინათ, ეს ამბავი გამაოცებდა კიდეც. მე ხომ ჯერ სრულიად უცხო ვარ და არც არაფერი გამიკეთებია, რომ მადლობა დამემსახურებინა.

_ ოჰ, ნუ იჩენთ გადაჭარბებულ მოკრძალებულობას. ადელი შევამოწმე და დავრწმუნდი, რამდენი შრომა გაგიწევიათ. ის ხომ სწრაფად ვერ ითვისებს, არც მაინცდამაინც ნიჭით გამოირჩევა. ამ ცოტა ხანში კი ბევრი რამ შეუსწავლია.

_ სერ, აი, სწორედ ეს გახლავთ ჩემი საჩუქარი. ეს სწორედ ისაა, რასაც ყოველი მასწავლებელი ესწრაფვის. განუსაზღვრელ სიამოვნებას მათ მხოლოდ ის ანიჭებს, თუ მათ მოსწავლეებს აქებენ.

_ ჰმ! _ ჩაილაპარაკა მისტერ როჩესტერმა და ჩუმად განაგრძო ჩაის სმა.

_ ცეცხლთან მოდით, _ მითხრა მან, როდესაც ლანგარი გაიტანეს. მისის ფეიერფექსი ერთ-ერთ კუთხეში დაჯდა თავისი ხელსაქმით, ხოლო ადელს ხელმოკიდებული დავყავდი ოთახში და მიჩვენებდა შესანიშნავ წიგნებსა და სხვადასხვანაირ მორთულობებს კონსოლებსა და კარადებზე. ჩვენც დავემორჩილეთ. ვალდებულნიც ვიყავით ასე მოვქცეულიყავით. ადელს უნდოდა ჩემ მუხლებზე მოეკალათებინა, მაგრამ უბრძანეს, ძაღლთან თამაშით გაერთო თავი.

_ სამი თვეა, არა, რაც ჩემ სახლში ცხოვრობთ?

_ დიახ, სერ.

_ თქვენ ჩამოხვედით...?

_ ლოვუდის სასწავლებლიდან, შაირის საგრაფოდან.

_ აჰ! საქველმოქმედო სასწავლებლიდან. რამდენ ხანს იყავით იქ?

_ რვა წელი.

_ რვა წელი! მაშ დიდი სიცოცხლისუნარიანი ყოფილხართ. იმ დროის ნახევარიც კი, რაც თქვენ გაგიტარებიათ ლოვუდში, სხვას რომ გაეტარებინა, ჯანმრთელობას მთლიანად დაკარგავდა. იმიტომაც აღარ არის საკვირველი, რომ იმქვეყნიდან მოსულს ჰგავხართ. ძალიან მაოცებდა, რატომ გქონდათ ასეთი სახე. გასულ ღამეს, როდესაც ჰეილეინში შემხვდით, ჩემდა უნებურად გამახსენდა ზღაპარი ფერიებზე და გონებაში იმ აზრმაც კი გამიელვა, რომ

თქვენ მოაჯადოვეთ ჩემი ცხენი. ამაში ჯერ კიდევ კარგად არა ვარ დარწმუნებული. ვინ არიან თქვენი მშობლები?

_ მშობლები არა მყავს.

_ ვფიქრობ, არც არასოდეს გყოლიათ, არა? გახსოვთ თუ არა ისინი?

_ არა.

_ მეც ასე ვფიქრობდი. ასე რომ, გადასაბიჯზე მჯდარი მაშინ თქვენ ნათესავებს უცდიდით, არა?..

_ ვის, სერ?

_ მწვანე სამოსით მორთულ ადამიანებს, სწორედ შესაფერისი მთვარიანი საღამო იყო მათთვის. ხომ არ შევიჭერი ერთ-ერთ თქვენს თილისმურ წრეში, რომ შარაგზაზე ის დაწყევლილი ყინული ასე იყო მოჯადოებული.

თავი გავიქნიე. _ ერთ საუკუნეზე მეტია, რაც მწვანესამოსიანმა ადამიანებმა ინგლისი დატოვეს. _ ვუთხარი და ისეთივე სერიოზული ტონით განვაგრძე საუბარი, როგორც თვით მელაპარაკებოდა. _ ახლა კი ვეღარც ჰეილენსა და ვერც მის ახლომახლო მდებარე მიდამოებში ვერ აღმოაჩენთ მათ კვალსაც კი. ვფიქრობ, ვერც ზაფხულის, ვერც შემოდგომისა და ვერც ზამთრის მთვარის მანათობელი სხივები ამიერიდან ვერ მოჰფენენ ნათელს მათ ნადიმებს.

მისის ფეიერფექსმა ქსოვას თავი მიანება და წარბები აზიდა. ჩანდა, ძალიან გაუკვირდა საუბრის შინაარსი.

_ კეთილი, _ დაასკვნა მისტერ როჩესტერმა. _ თუ მშობლები არა გყავთ, ნათესავები მაინც გეყოლებათ: ბიძები ან დეიდები.

_ არა, არც ერთი მათგანი არ მინახავს არასოდეს.

_ სახლი გაქვთ?

_ არა.

_ მაშ, სად ცხოვრობენ თქვენი დები ან ძმები?

_ არც დები მყავს და არც ძმები.

_ ვინ გირჩიათ, რომ აქ მოსულიყავით?

_ გაზეთში გამოვაცხადე და მისის ფეიერფექსი გამოეხმაურა ჩემს განცხადებას.

_ დიახ, _ ჩაურთო კეთილმა ქალმა, რომელიც მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რაზე ვსაუბრობდით. _ ყოველდღე მადლობას ვწირავ განგებას, რომ ასეთი არჩევანი მარგუნა წილად. მის ეარი დაუფასებელი მეგობარია ჩემთვის. ამასთანავე, მეტად კეთილი და დაკვირვებული აღმზრდელი ადელისათვის.

_ მისი დახასიათებისათვის ნუ შეწუხდებით, _ მიუბრუნდა მისტერ როჩესტერი. _ ეს ქება-დიდება ჩემზე არ მოქმედებს. ხოტბით ვერ მომხიბლავთ, მე თვითონ შევამოწმებ. მის ეარმა ჩემი ცხენის წაქცევით დაიწყო.

_ სერ? _ წამოიძახა მისის ფეიერფექსმა განცვიფრებით.

_ ფეხი რომ ვიღრძე, მას უნდა ვუმადლოდე.

ქვრივი განცვიფრებული ჩანდა.

_ მის ეარ, გიცხოვრიათ ოდესმე ქალაქში?

_ არა, სერ.

_ გიხდებოდათ საზოგადოებაში ყოფნა?

_ არა, მხოლოდ ლოვუდის მასწავლებელთა და მოსწავლეთა წრეში. ახლა კი აქა ვარ თორნფილდის მცხოვრებთა შორის.

_ ბევრი წაგიკითხავთ?

_ მხოლოდ ის წიგნები, რომელიც კი ხელში მომხვედრია, არცთუ ისე ბევრი და მეცნიერული.

_ მონაზონივით გიცხოვრიათ. უეჭველია, კარგად იქნებით გაწვრთნილი რელიგიურ წეს-ჩვეულებაში. რამდენადაც ვიცი, ბროკლჰერსტი, ლოვუდის მმართველი, მღვდელია, არა?

_ დიახ, სერ.

_ თქვენც, ალბათ, გოგონები, აღმერთებდით მას, როგორც ქალთა მონასტრის მხევლები აღმერთებენ თავიანთ წინამძღვარს.

_ ოჰ, არა.

_ ძალიან ცუდად მსჯელობთ! აბა იფიქრეთ, რას ნიშნავს ეს! ადამიანი იზრდებოდეს როგორც მორწმუნე და არ აღმერთებდეს თავის მოძღვარს, ეს ხომ ღვთის გმობაა!

_ მე მძულდა მისტერ ბროკლჰერსტი, მაგრამ ეს გრძნობა მარტო მე არ მეუფლებოდა, ის ძალიან ყოყლოჩინა და გულქვა ადამიანია, ყველას საქმეში დაუკითხავად ერევა. თმა ყველას შეგვაჭრა, მომჭირნეობის თვალსაზრისით კი ისეთ ცუდ ძაფსა და ნემსებს ყიდულობდა, რომლითაც ძლივს ვახერხებდით კერვას.

_ ეს ძალიან ცუდი მომჭირნეობაა, _ შენიშნა მისის ფეიერფექსმა, რომელმაც კვლავ აუღო ალღო ჩვენს საუბარს.

_ ეს არის მისი შეცოდების თავი და ბოლო? _ იკითხა მისტერ როჩესტერმა.

_ სანამ მარტო მის ხელთ იყო სურსათ-სანოვაგის განაწილების საქმე და კომიტეტში ახალ წევრებს აირჩევდნენ, შიმშილით სულს გვართმევდა. კვირაში ერთხელ თავს გვაბეზრებდა დაუსრულებელი ლექციებით, საღამოობით კი თავისივე წიგნების კითხვით, სადაც მოთხრობილი იყო მოულოდნელ სიკვდილსა და ღმერთის მიერ დადგენილ სასჯელთა შესახებ, რაც ისე გვაშინებდა, რომ დაძინებასაც ვეღარ ვახერხებდით.

_ რამდენი წლისა მიხვედით ლოვუდში?

_ დაახლოებით ათის.

_ იქ დარჩით რვა წელი. მაშ თვრამეტი წლისა ყოფილხართ.

მე დავეთანხმე.

_ როგორც ხედავთ, არითმეტიკა ძალიან საჭირო ყოფილა; მისი დახმარების გარეშე ვერ მივხვდებოდი, რამდენი წლისა ხართ. ამის დადგენა ძალიან ძნელია, რადგან თქვენი სახე და გამომეტყველება ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. ახლა კი მითხარით, რა ისწავლეთ ლოვუდში? უკრავთ?

_ არც მაინცდამაინც კარგად.

_ რასაკვირველია, ყოველთვის ასე პასუხობენ. შედით ბიბლიოთეკაში, რა თქმა უნდა, მე ვგულისხმობ _ თუ შეიძლება შედით ბიბლიოთეკაში. მაპატიეთ

ჩემი საუბრის მბრძანებლური ტონი, მიჩვეული ვარ, ასე ვილაპარაკო. ვბრძანებ, გააკეთეთ ეს! და ყველაფერი კეთდება. ჩემ ჩვეულებებს ვერ გამოვიცვლი ერთი ახალი მობინადრის გამო. სანთელი თან წაიღეთ, კარი ღია დატოვეთ, დაჯექით როიალთან და დაუკარით რამე.

მის ბრძანებას დავემორჩილე და წავედი.

_ საკმარისია! _ დაიძახა მან რამდენიმე წუთის შემდეგ. _ როგორც ვხედავ, თქვენ მართლაც ვერ უკრავთ ძალიან კარგად, როგორც ყველა სხვა ინგლისელი მოსწავლე გოგონა. შესაძლებელია, ცოტა უფრო უკეთესად, მაგრამ მთლად კარგად არა.

როიალი დავხურე და გამოვბრუნდი. მისტერ როჩესტერმა კი განაგრძო:

_ ადელმა მიჩვენა რამდენიმე ჩანახატი ამ დილით, რომელიც თქვენი ხელით ყოფილა შესრულებული. ნუთუ მართლა მარტო თქვენ გეკუთვნით ისინი? ალბათ მასწავლებელმა წაგახმარათ ხელი.

_ არა, ნამდვილად არა, _ წამოვიძახე მე.

_ აჰ, ეს თავმოყვარეობაზე მოქმედებს? კეთილი, მომიტანეთ თქვენი სურათების ჩასაწყობი. შეგიძლიათ ითავდებოთ, რომ ისინი მხოლოდ თქვენი საკუთარი ხელითაა შესრულებული? ნურაფერს იტყვით, თუ დარწმუნებული არა ხართ. მე მაშინვე შევამჩნევ, თუ სხვებისაგან გადმოგიღიათ.

_ მაშინ მე არაფერს ვიტყვი. თავად განსაჯეთ, სერ.

ბიბლიოთეკიდან სურათები გამოვიტანე.

_ მაგიდა ჩემკენ მოსწიეთ! _ მითხრა მან. მაგიდა მის ტახტთან ახლოს მივიტანე სურათების დასათვალიერებლად. მისის ფეიერფექსი და ადელიც ახლოს მოვიდნენ.

_ აქ ნუ შეჯგუფდებით, _ თქვა მისტერ როჩესტერმა. _ სურათები გამომართვით, როდესაც მე დავათვალიერებ. ასე ახლოს ნუ მოხვალთ.

აუჩქარებლად აკვირდებოდა თითოეულ ესკიზსა და ჩანახატს. სამი სურათი გვერდზე გადადო, ხოლო დანარჩენები დათვალიერების შემდეგ მათ გადასცა. _ მისის ფეიერფექს, მეორე მაგიდაზე გადააწყეთ ისინი და ადელთან ერთად იქ დაათვალიერეთ. თქვენ კი (მე შემომხედა), თქვენ ადგილას დაჯექით და შეკითხვებზე მიპასუხეთ. ახლა კი ვხედავ, რომ ეს სურათები ერთ ხელს შეუქმნია. ეს თქვენი ხელია?

_ დიახ.

_ როდის პოულობდით დროს მათ შესაქმნელად? მათ დიდი დრო და ფიქრი დასჭირდებოდათ.

_ ისინი ორი უკანასკნელი არდადეგების დროს დავხატე ლოვუდში, როდესაც სხვა აღარაფერი საქმე მქონდა გასაკეთებელი.

_ საიდან აიღეთ ამ სურათების სიუჟეტები?

_ მე თვითონ მოვიფიქრე.

_ ეს ყველაფერი იმ თავმა მოიფიქრა, რომელსაც მე თქვენ მხრებზე ვხედავ?

_ დიახ, სერ.

_ კიდევ არის მასში სხვა ასეთივე ჩანაფიქრი?

_ შესაძლებელია, იყოს. იმედი მაქვს, უკეთესიც.

მან სურათები გაშალა და რიგრიგობით ათვალიერებდა.

მკითხველო, სანამ მისტერ როჩესტერი ამ საქმეებითაა გართული, მინდა მოგითხროთ, რას წარმოადგენდა თითოეული სურათის სიუჟეტი. პირველ რიგში წინასწარ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ მათში არაფერია განსაცვიფრებელი. ეს სიუჟეტები ჩემ ოცნებაში ცოცხლად ინახებოდა, ვიდრე მათ გონების თვალით ვუმზერდი და ჯერ კიდევ არ გადამეტანა ქაღალდზე. ხელი კი ყოველთვის ვერ გადმოსცემდა ფანტაზიით შექმნილ სურათებს და ოდნავღა ვამსგავსებდი ოცნებით წარმოდგენილს.

სურათები აკვარელით იყო შესრულებული. პირველი სურათი წარმოადგენდა აბობოქრებულ ზღვას, რომლის ზემოთ დაბლა ჩამოწოლილი რუხი იისფერი ღრუბლები მიცურავდნენ. მთელი სივრცე სიბნელეს შთაენთქა. დედამიწა არსად ჩანდა. ოდნავ თუ შენიშნავდით სიბნელით მოცულ წინა ხედს და უფრო კი ყველაზე ახლოს აზვირთებულ ტალღებს. სინათლის სხივი გემის ნახევრად ჩაძირულ ანძას ეცემოდა, რომელზედაც შემომჯდარიყო უზარმაზარი შავი ჩვამა. მისი ფრთები ზღვის ქაფს დაეწინწკლა. ფრინველს ნისკარტით ეჭირა ძვირფასი ქვებით მოჭედილი ოქროს სამაჯური. შევეცადე ეს შესანიშნავი ფერები და მათი მკვეთრი ბრწყინვა გადმომეცა, რამდენადაც ჩემ კალამსა და საღებავებს შეეძლო. ანძასა და მასზე ჩამომჯდარ ფრინველის ქვემოთ, მომწვანო ფერის ტალღებში, შეამჩნევდით დამხრჩვალი ადამიანის გვამს, რომელიც თანდათან იძირებოდა. ტალღებში გარკვევით მხოლოდ მისი მშვენიერი მკლავიღა მოჩანდა, რომლისთვისაც არ ვიცი ტალღას სამაჯური წაერეცხა თუ წაეგლიჯა.

მეორე სურათის წინა ხედზე მოჩანდა ბურუსში გახვეული მთის მწვერვალი, ფერდობზე ბალახი და ფოთლები მსუბუქ ნიავს თითქოს ერთ მხარეს გადაეზნიქა. შორს, მაღლა, უსაზღვრო მუქი ფერის ლაჟვარდოვანი ცა გადაშლილიყო, ისეთი, როგორც დაისმა იცის. ცის უსაზღვრო სივრცეში წელამდე მოჩანდა ქალის სხეული. მის დასახატად შევეცადე, რამდენადაც შემეძლო, ყველაზე ნაზი და მკრთალი ბინდისფერი ფერები შემერჩია. მქრქალ შუბლს გვირგვინად ვარსკვლავი ედგა. ხოლო სახის ნაკვთებზე ღია მეწამული ნისლი გადაჰფენოდა. თვალები შავად, უჩვეულო ძალით უბრწყინავდნენ. მისი გაშლილი შავი თმა ელვითა და ქარიშხლით მოგლეჯილ მუქ ღრუბელს ჰგავდა. კისერზე მთვარის ნათელივით მკრთალი სხივი დასციმციმებდა. ასეთივე შუქი ანათებდა გამჭვირვალე ღრუბლებს, საიდანაც მწუხრის ვარსკვლავის ჩვენება წამომდგარიყო და თავს გვიკრავდა.

მესამე სურათზე დახატული პოლარული ზამთრის ცის კიდემდე აღმართული აისბერგი ცადაჭრილ წვეტებიან კოშკს მოგაგონებდათ. ჩრდილოეთის ნათების უხვი, მიჯრით მიწყობილი, შუბებივით ცადატყორცნილი სხივები ჰორიზონტზე კიაფობდნენ. მაგრამ ეს ყველაფერი სურათის უკანა ხედზე მოჩანდა, წინა ხედზე კი გარკვევით იყო გამოკვეთილი უზარმაზარი თავი, რომელიც აისბერგისაკენ გადახრილიყო და მასზე

მიყრდნობილი ისვენებდა. ორი ჩონჩხად ქცეული ხელი შუბლთან ერთმანეთზე გადაეჯვარედინებინა და ზედ დაყრდნობოდა. ისინი ქვედა ნაკვთებს ისე მალავდნენ, თითქოს სახეზე პირბადე ჩამოეფარებინათ. სისხლი-საგან მთლად დაწრეტილ, ძვალივით თეთრ შუბლზე და ერთ წერტილს მიშტერებულ ღრმად ჩაცვენილ უაზრო თვალებში მხოლოდ განწირულება ეხატებოდა. საფეთქლებს მაღლა ღრუბელივით მქრქალ შავ გამჭირვალე ქსოვილის ჩალმის ნაკეცებს შუა ძვირფასი თვლებივით სხვადასხვაფრად მოკიაფე ნათელი ედგა. ეს ფერმიხდილი ნახევარმთვარისებური რკალი მეფეთა გვირგვინს მოგაგონებდათ, რომელიც ამ უსახელო და უფორმო ლანდს ამშვენებდა.

_ ბედნიერი იყავით, როდესაც ამ სურათებს ხატავდით? _ მკითხა მისტერ როჩესტერმა უეცრად.

_ მხოლოდ მათზე მუშაობით ვიყავი გატაცებული, სერ. დიახ, რასაკვირველია, ბედნიერიც ვიყავი. ერთი სიტყვით, როდესაც მათ ვხატავდი, განვიცდიდი ისეთ უდიდეს სიამოვნებას, რაც კი ოდესმე მიგრძვნია ცხოვრებაში.

_ ეს მაინცდამაინც ბევრის მთქმელი არ არის. როგორც თქვენ მითხარით, ძალიან ცოტა რამ გქონიათ ცხოვრებაში სასიამოვნო. ვფიქრობ, თქვენ ხელოვნის მიერ ოცნებით წარმოდგენილ სამყაროში ცხოვრობდით ალბათ, როდესაც ამ უცნაურ ფერებს ერთმანეთს უხამებდით. ყოველდღე მუშაობდით მათზე და დიდ დროს ანდომებდით?

_ სხვა არაფერი საქმე მქონდა არდადეგების დროს და მთელ დროს დილიდან საღამომდე მათ ვანდომებდი. ზაფხულის გრძელი დღეებიც ხელს მიწყობდა.

_ გაკმაყოფილებდათ თქვენი თავდადებული შრომის შედეგი?

_ სრულიადაც არა. მაწამებდა სხვაობა ჩანაფიქრსა და დახატულ სურათს შორის. ვატყობდი, უძლური ვიყავ, გადმომეცა ის, რაც ოცნებით მქონდა წარმოდგენილი.

_ არც ასეა საქმე: მართალია, სრულყოფილად ვერა, მაგრამ მაინც შეძელით გადმოგეცათ თქვენი შთანაფიქრი, თუმცა, შესაძლებელია, მეტი არაფერი. ამ მიზნის მისაღწევად, რა თქმა უნდა, ხელოვანის ოსტატობა და ცოდნა გჭირდებოდათ, მაგრამ მოსწავლე გოგონასათვის ასეთი სურათები მაინც უჩვეულოა. ხოლო, რაც შეეხება შთანაფიქრს, ის მეტისმეტად ფანტასტიკურია. ალბათ სიზმრად თუ ნახეთ «მწუხრის ვარსკვლავის» თვალები. როგორ შეძელით დაგეხატათ ასეთი ნათელი თვალები, როცა ისინი სრულებით არ ბრწყინავენ. ხოლო ვარსკვლავის შუქი კი იმ თვალთაგან გამომკრთალ სხივებს ელვარებას უკარგავს? რა აზრი იმალება ამ მშვიდად გამომზირალ თვალთა სიღრმეში? ან ვინ გასწავლათ ქარის ხატვა? ეს ხომ ქარიშხალია ცაზე და ამ მთის მწვერვალზე. სად ნახეთ ლატმოსის მთა? ეს ხომ ლატმოსია? ახლა კი აიღეთ თქვენი ნახატები.

ძლივს მოვასწარი შემეკრა სურათების ჩასაწყობი ყდის ზონრები, როცა მან საათს დახედა და უეცრად მითხრა:

_ უკვე ცხრა საათია. რას ფიქრობთ, მის ეარ, ადელს ნებას აძლევთ ამდენ ხანს აქ იჯდეს? წაიყვანეთ დასაძინებლად.

ადელი გაემართა, რომ გამოთხოვებოდა და ეკოცნა მისთვის, სანამ ოთახიდან გავიდოდით. მისტერ როჩესტერმა მოთმინებით აიტანა ეს ალერსი, ჩანდა, ამ საქციელს მასში დიდი სიამოვნება არ გამოუწვევია. შესაძლებელია, პაილოტს უფრო სიამოვნებდა ბავშვის ასეთი ალერსი.

_ ახლა კი ყველას ტკბილ ძილს გისურვებთ, _ გვითხრა მან, თითქოს ამით გვანიშნა, რომ ჩვენთან ყოფნით გადაიღალა და სურდა მალე გავესტუმრებინეთ. მისის ფეიერფექსმა დაკეცა, რასაც ქსოვდა, მე ჩემი სურათების შესანახი ყდა ავიღე და რევერანსით გამოვეთხოვეთ. პასუხად მან თავი ცივად დაგვიკრა და ასე დავტოვეთ ოთახი.

_ თქვენ მითხარით, რომ მისტერ როჩესტერს არა აქვს ისეთი უცნაური რამ ხასიათში, რაც თვალში გეცემათ, არა, მისის ფეიერფექს? _ ვკითხე მე, როდესაც ოთახში შევედით და ადელი ლოგინში ჩავაწვინეთ.

_ კეთილი, მაგრამ რა არის ასეთი?

_ მე ასე ვფიქრობ, ის ძალიან ცვალებადი ხასიათისაა და, ამასთანავე, ფიცხიც.

_ მართალია, ეჭვიც არ მეპარება, რომ ის ასე ეჩვენება უცხოს, მაგრამ მის ასეთ საქციელს ისე მივეჩვიე, აღარც კი ვფიქრობ ამაზე. თუ რაიმე უცნაურობა ახასიათებს, უნდა ვაპატიოთ ყოველივე.

_ რატომ?

_ ნაწილობრივ იმიტომ, რომ მას ასეთი ხასიათი აქვს. თითოეული ჩვენგანი კი საკუთარ თავთან ვერაფერს გააწყობს. ნაწილობრივ კი მას მოსვენებას უკარგავენ მძიმე ფიქრები. ისინი უფორიაქებენ გულს და გუნებას უცვლიან.

_ რა აწუხებს?

_ ერთი მხრივ, ოჯახური უსიამოვნება.

_ მას ხომ არა აქვს ოჯახი?

_ ახლა არა, მაგრამ ხომ ჰქონდა. ხომ ჰყავდა ახლობლები? სულ რამდენიმე წელია, რაც უფროსი ძმა დაკარგა.

_ უფროსი ძმა?

_ დიახ, ახლანდელი ჩვენი პატრონი, მისტერ როჩესტერი დიდი ხანი არ არის, რაც აქაურობის მფლობელი შეიქმნა. ასე, დაახლოებით ცხრა წელი იქნება.

_ ცხრა წელი კარგა დიდი დროა. ისე ძალიან უყვარდა ძმა, რომ ჯერ კიდევ ასე მწვავედ განიცდის მის დაკარგვას?

_ არა, არც ასეა. ვიცი, რაღაც უსიამოვნება იყო მათ შორის. მისტერ როულენდ როჩესტერი ხშირად არ იყო მართალი მისტერ ედვარდ როჩესტერის წინაშე და ალბათ ის ამხედრებდა მამასაც საკუთარი შვილის წინააღმდეგ. მოხუცი ჯენტლმენი ფულის დიდი მოყვარული იყო და

ზრუნავდა თავის სამფლობელოს მთლიანობა შეენარჩუნებინა. მას არ უნდოდა გაეყო და დაექუცმაცებინა თავისი სამფლობელო, მაგრამ, ამასთანავე, იმაზეც ზრუნავდა, რომ მისტერ ედვარდსაც ჰქონოდა სიმდიდრე და მათი წოდებრივი ღირსება შეენარჩუნებინა. როგორც კი სრულწლოვანი გახდა, მოხუცმა საკმაოდ შეუფერებელი ნაბიჯი გადადგა, რასაც თან დიდი უბედურება მოჰყვა. მოხუცმა მისტერ როჩესტერმა და როულენდმა მისი გამდიდრების მიზნით საქმე ისე მოაწყვეს, რომ მისტერ ედვარდი მეტისმეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. კარგად არ ვიცი, რაში იყო საქმე, მაგრამ მისმა სულმა ვერ გადაიტანა ის, რა ტანჯვა-წამების ატანასაც ავალდებულებდნენ. მისტერ როჩესტერი არცთუ იოლად აპატიებს ვინმეს რაიმეს, ამიტომაც ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა ოჯახთან და რამდენიმე წელია მოხეტიალე ცხოვრებას ეწევა. არ მახსოვს, ზედიზედ თორნფილდში ორი კვირაც კი გაეტარებინოს მას შემდეგ, რაც ძმა გარდაეცვალა და მისი ანდერძის გარეშე ამ ადგილ-მამულის მფლობელი გახდა. და, მართლაც, რა გასაკვირია, რომ თავს არიდებდეს ძველ სახლ-კარს.

_ რატომ უნდა არიდებდეს თავს?

_ შესაძლებელია იმიტომ, რომ აქაურობა მოსაწყენად მიაჩნია.

ეს ორჭოფული პასუხი არ მაკმაყოფილებდა. მინდოდა უფრო გარკვეული პასუხი მიმეღო, მაგრამ მისის ფეიერფექსს ან არ შეეძლო, ან არ სურდა ეამბნა ჩემთვის ის უსიამოვნო ამბები, რაც მისტერ როჩესტერს თავს გადახდომოდა. ის მიმტკიცებდა, რომ თვით მისთვისაც ეს ამბავი საიდუმლოებით იყო მოცული და რაც იცოდა, იმასაც გუმანით ხვდებოდა. ცხადად ჩანდა, ამ საკითხზე საუბარი სურდა შემეწყვიტა. მეც, რასაკვირველია, ასე მოვიქეცი და საუბარი შევწყვიტეთ.

თავი XIV

მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში იშვიათადღა ვხედავდი მისტერ როჩესტერს. დილაობით ის თავისი საქმით იყო გართული. ნაშუადღევს ხან მილკოტიდან და ხან მეზობელი საგრაფოებიდან ნაცნობი ჯენტლმენები აკითხავდნენ და ზოგჯერ მასთან სადილადაც რჩებოდნენ. როდესაც ნაღრძობი ფეხი იმდენად მოურჩა, რომ ცხენზე ჯდომა შეეძლო, თვითონაც ბევრს დადიოდა და შინ, ჩვეულებრივ, შუაღამისას ბრუნდებოდა. როგორც ჩანს, ისიც უნდა წასულიყო იმ ადამიანების სანახავად, რომლებიც მასთან სტუმრად მოდიოდნენ.

ამ დღეებში ის ადელსაც იშვიათად იხმობდა ხოლმე თავისთან, ხოლო ჩვენი ნაცნობობა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ სრულიად შემთხვევით თუ ვხვდებოდით ერთმანეთს დარბაზში, კიბეებსა თუ დერეფანში. ამ შეხვედრების დროს ხან ცივად და ქედმაღლურად ჩამივლიდა ხოლმე გვერდით, ხან თავს ოდნავ დამიკრავდა და გულგრილად გადმომხედავდა, ხან

კი გამიღიმებდა და გულთბილად მომესალმებოდა, როგორც ეს მაღალი წრის ჯენტლმენებს სჩვევიათ. ამითღა ვატყობდი, რომ შეუმჩნეველი არ ვრჩებოდი. მისი ხასიათის ეს ცვლილებანი არავითარ შეურაცხყოფას არ მაყენებდა, რადგან ვგრძნობდი, ასეთ ცვალებადობას ჩემთან არავითარი საერთო არ ჰქონდა. მისი ცუდი და კარგი გუნება დაკავშირებული იყო სრულიად სხვა მიზეზებზე, რომელიც მე არ მეხებოდა.

ერთ დღეს მას სადილად სტუმრები ჰყავდა. ეტყობა, უნდოდა ჩემი სურათები მათთვის ეჩვენებინა და ვიღაც გამოგზავნა მათ წასაღებად. როგორც შემდეგ მისის ფეიერფექსისაგან შევიტყვე, ჯენტლმენები ადრე წასულიყვნენ მილკოტში საჯარო კრებაზე დასასწრებად, ხოლო, რადგან საღამო ცივი და წვიმიანი იყო, მისტერ როჩესტერი არ გაჰყოლოდა მათ. სტუმრების წასვლის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, მან ზარი დარეკა და შეგვატყობინეს, რომ მე და ადელი დაბლა უნდა ჩავსულიყავით. ადელს თმა ჯაგრისით დავვარცხნე და სუფთად გამოვაწყვე. მე, ჩვეულებრივ, როგორც ყოველთვის, კვაკერივით ვიყავი ჩაცმული და როდესაც დავრწმუნდი, რომ არაფრის შესწორება აღარ მჭირდებოდა, ყველაფერი იმდენად უბრალოდ, მაგრამ წესიერად მეცვა, თმაც ასევე მქონდა დაწნული და წესრიგში მოსაყვანიც აღარაფერი დამრჩენოდა, დაბლა ჩავედით. ადელს აინტერესებდა ბოლოს და ბოლოს მიიღეს თუ არა მისიPetit coffre, რომლის გადმოგზავნა რაღაც მიზეზის გამო აქამდე იგვიანებდა. ამჯერად იმედი გაუმართლდა. სასადილო ოთახში შევედით თუ არა, მაგიდაზე შევნიშნეთ პატარა მუყაოს ყუთი. ადელმა ინსტინქტურად იგრძნო, რომ ეს ის ყუთი იყო.

_Ma boîte! Ma boîte, _ წამოიძახა და მისკენ გაექანა.

_ დიახ, აი, ესეც შენი ბოîტე, ბოლოს და ბოლოს, წაიღე, დაჯექი სადმე კუთხეში, შე მართლაც ნამდვილო პარიზელო, და გაერთე მისი თვალიერებით, _ გაისმა მისტერ როჩესტერის დაბალი, საკმაოდ დამცინავი ხმა. ის ამ დროს ცეცხლის პირად მდგარ უზარმაზარ სავარძელში იჯდა.

_ და იცოდე, _ განაგრძო მან, _ არ შემაწუხო და დაწვრილებით არ გამომკითხო, რა არის შიგ და როგორ გააკეთეს. ყველაფერი ეს ჩუმად უნდა გააკეთო _ Tiens-toi tranquille, enfant; comprendstu?

როგორც ჩანს, ადელს ეს გაფრთხილება არ სჭირდებოდა. ის თავისი განძით დივანზე განმარტოვდა და თასმების გამოხსნას შეუდგა, რომლითაც ყუთის სახურავი იყო დამაგრებული. მოაცილა თუ არა თასმები და სახურავი, პაპიროსის ქაღალდივით სიფრიფანა საფარი გადასწია და ესღა წამოიძახა: «Oh, ciel! Que c’est beau!» _ და კარგა ხანს აღტაცებით უმზერდა მას.

_ მის ეარი აქ არის? _ იკითხა მბრძანებლურად მისტერ როჩესტერმა, სავარძლიდან ოდნავ წამოიწია და კარისკენ მოიხედა, რომლის ახლოსაც ვიდექი.

_ აი, თურმე აქ ყოფილხართ! მოდით, აქ დაჯექით, _ და სკამი თავის სავარძლისაკენ მისწია. _ არ მიყვარს ბავშვების ტიტინი, _ განაგრძობდა ის, _ რადგან ამდენი ხნის უცოლშვილო კაცი ვარ, არავითარი სასიამოვნო

მოგონებანი არა მაქვს ბავშვურ ტიკტიკთან დაკავშირებით. ჩემთვის აუტანელი იქნებოდა მთელი საღამო tête-à-t ête ბავშვებთან გამეტარებინა. ნუ სწევთ სკამს იქით, მის ეარ, დაჯექით სწორედ იქ, სადაც მე დაგიდგით! ესე იგი, თუ შეიძლება, ღმერთმა დალახვროს, ზრდილობის ეს წესები, მე ის ყოველთვის მავიწყდება. ასევე ვერ ვგრძნობ თავს კარგად გულუბრყვილო მოხუც მანდილოსნებთან, მაგრამ ჩემიანი ხომ უნდა ავიტანო; სულ უყურადღებოდ ხომ ვერ დავტოვებ; ის ქალი ფეიერფექსის გვარს ატარებს. ყოველ შემთხვევაში, ფეიერფექსის მეუღლე იყო და, როგორც იტყვიან, სისხლით ნათესაობა სულ სხვა რამ არის.

მან ზარი დარეკა და მისის ფეიერფექსის დასაძახებლად მსახური გაგზავნა. ისიც ხელსაქმის კალათით ხელში უმალვე გამოჩნდა.

_ მე დაგიძახეთ ერთი მეტად მადლიანი საქმის გასაკეთებლად. ადელს ავუკრძალე საჩუქრებზე ჩემთან ლაპარაკი. მას კი დიდი სურვილი აქვს ვინმეს გადაუშალოს სავსე გული. გამოიჩინეთ გულმოწყალება, მოუსმინეთ და ესაუბრეთ კიდეც. ეს იქნება ერთადერთი ნამდვილი კეთილი საქმე, რომელიც კი ოდესმე გაგიკეთებიათ.

მართლაც, ადელმა, დაინახა თუ არა მისის ფეიერფექსი, მაშინვე დივანთან მიიყვანა და სწრაფად აუვსო კალთა თავისი “boîte”-დან ამოლაგებული ფაიფურის, სპილოს ძვლისა და სანთლისაგან ნაკეთები სათამაშოებით. თან დამტვრეული ინგლისურით უხსნიდა და გამოთქვამდა აღტაცებას.

_ ახლა მე ყურადღებიანი მასპინძლის ვალი მოვიხადე, _ განაგრძო მისტერ როჩესტერმა, _ ჩემს სტუმრებს შეუძლიათ ერთმანეთი გაართონ. მინდა, თავისუფალი ვიყო, რომ ჩემ საკუთარ სიამოვნებაზე ვიფიქრო. მის ეარ, თქვენი სკამი უფრო წინ წამოსწიეთ. მე კი სავარძელში ისე მოხერხებულად ვზივარ, რომ განძრევაც არა მაქვს განზრახული.

ისე მოვიქეცი, როგორც მიბრძანეს, თუმცა მოფარებულ ადგილას ჯდომა მერჩივნა. მისტერ როჩესტერმა ისეთი პირდაპირი ბრძანება იცოდა, რომ ყველა თავისდა უნებურად მაშინვე უნდა დამორჩილებოდა.

ჩვენ, როგორც უკვე მოგახსენეთ, სასადილო ოთახში ვისხედით. ჭაღი სადილობისათვის აენთოთ და იქაურობას სადღესასწაულო იერს აძლევდა. ბუხარში დიდ ცეცხლს გიზგიზი გაჰქონდა. მაღალი სარკმლისა და მასზე კიდევ უფრო მაღალი თაღიდან მდიდრული მეწამული განიერი ფარდები ეშვებოდა. ირგვლივ სიჩუმე იყო. ადელიც კი ხმადაბლა ტიტინებდა (ვერ ბედავდა ხმამაღლა ლაპარაკს). მხოლოდ ხანგამოშვებით გვესმოდა, თუ როგორ შხაპუნობდა წვიმა ფანჯრის მინებზე.

ახლა მისტერ როჩესტერი აბრეშუმგადაკრულ სავარძელში იჯდა და სულ სხვანაირად გამოიყურებოდა, ვიდრე წინათ. ის აღარ იყო პირქუში და მკაცრი, ბაგეზე ღიმილი დასთამაშებდა და თვალები უბრწყინავდა. თუმცა არ შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, ღვინისაგან იყო ეს თუ არა. ვფიქრობ, უფრო ღვინისაგან. ერთი სიტყვით, ნასადილევს ის, ჩვეულებრივ, ასეთ გუნებაზე გახლდათ ხოლმე: უფრო გულღია, ალერსიანი და კეთილი. დილაობით კი

უფრო ცივი და სასტიკი მეჩვენებოდა. ახლაც სახეზე ჯერ კიდევ მთლად არ გაჰქრობოდა პირქუში გამომეტყველება. დიდი თავი სავარძლის რბილ ბალიშზე მიეყრდნო, ცეცხლის ალი თითქოს გრანიტისაგან გამოკვეთილ მისი სახის ნაკვთებს დასთამაშებდა და დიდ შავ თვალებში კიაფობდა. მას ხომ მართლაც ძალიან დიდრონი, შავი და მეტად მშვენიერი თვალები ჰქონდა. მის თვალთა სიღრმეში დროდადრო ცვლილებებსაც შეამჩნევდით. თუ მის თვალებში ხანდახან ლმობიერება არ იხატებოდა, ყოველ შემთხვევაში, ამ გრძნობის მსგავსი რაღაც მაინც ჩანდა.

ორიოდე წუთს ის ცეცხლს შეჰყურებდა. ამ ხნის განმავლობაში მის სახეს ვაკვირდებოდი. უცებ შემოტრიალდა და ჩემი მზერა დაიჭირა.

_ თქვენ მე მათვალიერებთ, მის ეარ, _ მითხრა მან. _ როგორ ფიქრობთ, ლამაზი ვარ?

დრო რომ მქონოდა და წინასწარ მომეფიქრებინა, ამ კითხვას შესაფერ მორიდებულ და ზრდილობიან პასუხს გავცემდი, ახლა კი ჩემდაუნებურად წამომცდა, _ არა, სერ.

_ ოჰ, მართალი გითხრათ, თქვენში არის რაღაც თავისებური, _ მითხრა მან. _ ახლა პატარა მონაზონ ქალს გამსგავსებთ, ისე უცნაურად, მშვიდად, სერიოზულად და მოკრძალებულად ზიხართ, ხელი მუხლებზე დაგიწყვიათ და თვალდახრილი ნოხს დასჩერებიხართ (მხოლოდ იმ წუთების გარდა, როდესაც თქვენი მზერა დაჟინებით ჩემკენაა მომართული, მაგალითად, როგორც აი, ახლა), როცა რაიმეს გეკითხებიან ან შენიშვნას გაძლევენ და თქვენ იძულებული ხართ უპასუხოთ, ისე ენამწარედ წამოიძახებთ რაიმეს, რომ, თუ ის პასუხი უკმეხი არ არის, ყოველ შემთხვევაში, მეტისმეტად მოურიდებელია. რა გსურთ ამით?

_ მეტისმეტი წინდაუხედაობა გამოვიჩინე, სერ, მომიტევეთ. უნდა მეთქვა, რომ ადვილი არ არის ასეთ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე გარეგნობას ეხება; ადამიანთა გემოვნება ხომ სხვადასხვანაირია; სილამაზეს ძალიან ცოტა მნიშვნელობა აქვს ან სხვა რაიმე ამის მსგავსი უნდა მეთქვა.

_ თქვენ ასეთი პასუხი არ უნდა მოგეცათ. სილამაზეს მართლაც ძალიან ცოტა მნიშვნელობა აქვს! იმ მიზნით, რომ შეარბილოთ თქვენი პირვანდელი შეურაცხყოფა, დამაწყნაროთ და დამამშვიდოთ, კიდევ უფრო მოხერხებულად მირტყამთ გულში დანას. განაგრძეთ, გთხოვთ მითხრათ, კიდევ რა ნაკლი მაქვს. ვფიქრობ, სახის ნაკვთები და სხეულის ყველა სხვა ნაწილი ისეთივე მაქვს, როგორც დანარჩენ ადამიანებს!

_ მისტერ როჩესტერ, ნება მომეცით უკან წავიღო ჩემი სიტყვები, სრულებითაც არ მსურდა ასეთი პასუხი გამეცა. უნებურად წამომცდა.

_ სწორედ ასეა. მეც ასე ვფიქრობ, პასუხი უნდა აგოთ. მაშ, შემაფასეთ კრიტიკული თვალით. შემაფასეთ. არ მოგწონთ ჩემი შუბლი? _ მან გადაიწია წარბებზე ჩამოშლილი შავი თმა და გამოიჩინა ფართო, ჭკვიანი შუბლი, თუმცა მასზე თავაზიანობისა და ლმობიერების ვერავითარ ნიშანს ვერ შენიშნავდით.

_ ახლა, ქალბატონო, სულელიც ხომ არ გგონივართ?

_ სრულებითაც არა, სერ. თქვენ ალბათ უხეშობად ჩამომართმევთ, ამის პასუხად რომ გკითხოთ: თვლით თუ არა თქვენ თავს კაცთმოყვარე ადამიანად?

_ აი ისევ, იმის მაგიერ, რომ რაიმე სასიამოვნო გეთქვათ, კვლავ მწარე სიტყვებს მეუბნებით. ალბათ ეს იმიტომ, რადგან გითხარით, ბავშვებთან და მოხუცებთან ყოფნა არ მიყვარს-მეთქი (თუმცა ეს ჩუმად უნდა მეთქვა). არა, ახალგაზრდა ლედი, საერთოდ, კაცთმოყვარე არა ვარ, მაგრამ ადამიანური სინდისი კი გამაჩნია. _ აქ მან თავისი შუბლის წინ წამოწეულ ნაწილზე მიმითითა, რომელიც, როგორც ამბობენ, აშკარად მეტყველებს ადამიანებში ასეთი გრძნობის არსებობას. საბედნიეროდ, ეს ნიშანი საკმაოდ შესამჩნევი გახლდათ და მის შუბლს უფრო გონიერ გამომეტყველებას მატებდა. _ ერთ დროს მეც გამაჩნდა ნაზი გრძნობები, მაგრამ ყოველივე ამას უხეშად ვავლენდი. თქვენ ასაკში საკმაოდ მგრძნობიარე ახალგაზრდა ვიყავი და მებრალებოდა უსუსური, უპატრონო და უბედური ადამიანები. ბედმა მიმუხთლა, ცხოვრებამ თავისი დაღი დამასვა; დამწიხლა და ახლა სიამოვნებას ისღა მანიჭებს, რომ ისეთი მტკიცე და გამძლე ვარ, როგორც კაუჩუკის ბურთი. თუმცა ერთსა თუ ორ ადგილას ამ გარსის შიგნით შეიძლებოდა შეღწევა და მის შუაგულში მგრძნობიარე წერტილის მიგნება. ასე რომ, შეიძლება _ იმედი მქონდეს?

_ რის იმედი, სერ?

_ რომ საბოლოოდ კაუჩუკიდან ხორცსხმულ ადამიანად გარდავიქმნები.

«ნამდვილად ზომაზე მეტი ღვინო დაულევია», _ გავიფიქრე და არ ვიცოდი, მის უცნაურ შეკითხვაზე რა პასუხი გამეცა. საიდან უნდა მცოდნოდა, შეძლებდა თუ არა ის ასეთ გარდაქმნას?

_ თქვენ ძალიან შეფიქრიანდით, მის ეარ. ისევე როგორც მე, არც თქვენა ხართ ლამაზი, მაგრამ საგონებელში ჩავარდნა ძალიან გშვენით. გარდა ამისა, ეს ჩვენთვის ხელსაყრელია, რადგან მე აღარა ვარ თქვენი დაკვირვების საგანი და გართული ხართ ნოხზე ამოქარგული ყვავილების თვალიერებით. განაგრძეთ ფიქრი, ახალგაზრდა ლედი, ამ საღამოს განწყობილი ვარ სასაუბროდ და მინდა გულახდილი ვიყო.

ამ სიტყვებით ის სავარძლიდან წამოდგა და ხელით მარმარილოს ბუხრის თავს დაეყრდნო. ამ მდგომარეობაში მისი სხეული ისევე ნათლად ჩანდა, როგორც მისი სახე. სხეულის სიმაღლესთან შედარებით მკერდი საკმაოდ განიერი ჰქონდა. დარწმუნებული ვარ, ბევრი ულამაზო მამაკაცადაც ჩათვლიდა, მაგრამ მის საქციელში იმდენი ქვეცნობიერი სიამაყე ჩანდა, თავი ისე თავისუფლად ეჭირა, გამომეტყველებაში კი იმდენ გულგრილობას ამოიკითხავდით საკუთარი გარეგნობისადმი, ხოლო სხვა სულიერ თუ შენაძენ საუკეთესო თვისებათა სიძლიერეში კი ისე დარწმუნებული იყო და ისეთ ქედმაღლობას ამჟღავნებდა, რომ ყოველივე ამას ადვილად შეეძლო აენაზღაურებინა ის ნაკლი, თუკი მის გარეგნულ სილამაზეს ვინმე რამეს მოუნახავდა. მისი შემხედვარე ადამიანი უეჭველად გაიზიარებდა მის ასეთ

გულგრილობას და ბრმად და უნებურად იწამებდა იმ აზრსაც, რაშიც თვით იყო დარწმუნებული.

_ ამ საღამოს სასაუბროდ ვარ განწყობილი და მინდა გულახდილი ვიყო, _ გაიმეორა მან, _ ამიტომ გისმენთ. მარტო ბუხრის ცეცხლი, სანთლების შუქი და პაილოტი, რასაკვირველია, საკმარისი არ იქნებოდა ჩემთვის. მათ ხომ საუბარი არ შეუძლიათ. ადელი მათზე უკეთესია, მაგრამ ამ საქმისათვის არც ის გამოდგება. ასეთივეა მისის ფეიერფექსი. თქვენ კი, დარწმუნებული ვარ, თუ მოინდომებთ, კარგ მოსაუბრედ გამოდგებით. თქვენ მე იმ საღამოსავე ჩამაფიქრეთ, როდესაც პირველად გიხმეთ. მას შემდეგ თითქმის გადამავიწყდით, სხვა ფიქრებით ვიყავი გართული. მაგრამ ახლა გადაწყვეტილი მაქვს ეს საღამო მშვიდად გავატარო. თავიდან ავირიდო მომაბეზრებელი აზრები და მხოლოდ სასიამოვნოზე ვიფიქრო. ძალიან ნასიამოვნები დავრჩები, თუ საუბარში ჩაგაბამთ და მეტი მეცოდინება თქვენ შესახებ. ამიტომაც ილაპარაკეთ.

იმის ნაცვლად, რომ ლაპარაკი დამეწყო, გავიღიმე. ეს არ იყო არც მოწყალე და არც მორჩილების გამომხატველი ღიმილი.

_ ილაპარაკეთ! _ დაჟინებით მოითხოვდა ის.

_ რის შესახებ, სერ?

_ რის შესახებაც გსურთ. ორივეს თქვენ მოგანდობთ: საუბრის თემასაც და მის წარმართვასაც.

პასუხად ვიჯექი და ვდუმდი: «თუ ის მოელის, რომ ვესაუბრები მხოლოდ საუბრისათვის და თავის გამოსაჩენად, მალე დარწმუნდება, რომ ტყუილად მომმართა-მეთქი», _ ვფიქრობდი ჩემთვის.

_ როგორც ვატყობ, დამუნჯდით, მის ეარ.

კვლავ ვდუმდი. თავი ოდნავ ჩემკენ გადმოხარა და თვალის ერთი გადავლებაც კი საკმარისი აღმოჩნდა, ღრმად ჩამეხედა მის თვალებში.

_ ჯიუტობთ? _ მითხრა მან, _ ნაწყენი ხართ? ეს გასაგებია. თითქმის შეურაცხყოფა მოგაყენეთ, რადგანაც ასე მოგმართეთ. ბოდიშს ვიხდი, მის ეარ. საქმე ის არის, რომ მე ერთხელ და სამუდამოდ გთხოვთ, იცოდეთ, არ მსურს გეპყრობოდეთ, როგორც ჩემზე დაბლა მდგომ ადამიანს. ეს იმას ნიშნავს (შეასწორა მან) მხოლოდ იმ უპირატესობას ვუსვამ ხაზს, რომელსაც ჩვენი ოცი წლის ასაკობრივი სხვაობა და ცხოვრების მთელი საუკუნის გამოცდილება მანიჭებს. ეს სწორია, et j’y tiens, როგორც ადელი იტყოდა. ახლა მხოლოდ ამ უპირატესობის გამო გთხოვთ, მოწყალება მოიღოთ და მესაუბროთ. გაჰფანტეთ ფიქრი, რომელსაც ჩემში დაუსადგურებია და ჭიასავით მღრღნის.

მან კეთილინება ახსნა-განმარტება მოეცა და თითქმის ბოდიშიც კი მოიხადა. მეც ამ სიტყვებისადმი გულგრილობა აღარ გამომიჩენია და არც მინდოდა დამეფარა.

_ ძალიან მინდა გაგართოთ, თუ შევძელი, სერ, მაგრამ არ შემიძლია შემოგთავაზოთ საუბრის თემა, ან საიდან უნდა ვიცოდე, რა გაინტერესებთ? შემეკითხეთ და მე კი ყოველნაირად ვეცდები, გიპასუხოთ.

_ მაშინ, ჯერ მითხარით, თანახმა ხართ თუ არა, რომ მომთხოვნი და ხანდახან მკაცრიც ვიყო, ზოგჯერ მეტისმეტადაც, ყველა იმ მიზეზის გამო, რასაც დაგისახელებთ: სახელდობრ ის, რომ თქვენზე ამდენად უფროსი ვარ, მამად შეგეფერებით, მრავალი ეროვნების ადამიანს შევხვედრივარ და ამ ცხოვრებამ ყოველნაირად გამომაწრთო. თითქმის მსოფლიოს ნახევარი შემოვიარე, მაშინ, როდესაც თქვენ მშვიდად ცხოვრობდით ერთსა და იმავე სახლში ერთსა და იმავე ადამიანებთან.

_ ისე მოიქეცით, როგორც გესიამოვნებათ, სერ.

_ ეს პასუხი არ არის. ასეთი ორაზროვანი პასუხი მეტად გამაღიზიანებელია. მიპასუხეთ უფრო გარკვევით.

_ ვფიქრობ, უფლება არა გაქვთ, მიბრძანოთ მხოლოდ იმიტომ, რომ უფროსი ხართ, ან იმიტომ, რომ ამქვეყნად მეტი რამ გინახავთ. თქვენი უპირატესობა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენეთ ეს ცხოვრება და გამოცდილება.

_ ჰმ! მოსწრებულად არის ნათქვამი, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით. ამ შემთხვევაში ეს არ გამოდგება. ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია. არც ასაკსა და არც გამოცდილებას ჩემთვის კარგი არაფერი მოუტანია. მოდი, თავი დავანებოთ ამ უპირატესობაზე ლაპარაკს, მაგრამ ერთ რამეში უნდა დამეთანხმოთ. ხანდახან უნდა დაემორჩილოთ ჩემ ბრძანებებს. ბრძანების ტონმა არც უნდა გაგაჯავროთ და არც უნდა გეწყინოთ. თანახმა ხართ?

გავიღიმე და გავიფიქრე, რომ მისტერ როჩესტერი თავისებური ადამიანია-მეთქი. როგორც ჩანს, ავიწყდება, რომ წელიწადში ოცდაათ გირვანქა სტერლინგს მიხდის.

_ ასეთი ღიმილი მომწონს, _ მითხრა მან, როცა შეამჩნია ჩემი სახის გამომეტყველება, _ მაგრამ ილაპარაკეთ კიდეც.

_ ახლა მე იმაზე ვფიქრობ, სერ, რომ ამქვეყნად ძალიან ცოტანი იწუხებენ თავს იმაზე ფიქრით, რომ მათ მიერ დაქირავებულ ხელქვეითთ ხომ არაფერს ვნებს ან რაიმე ზიანს აყენებს მათი ბრძანება.

_ დაქირავებული ხელქვეითნი?.. თქვენა ხართ ჩემი დაქირავებული ხელქვეითი? ოჰ, მართლა, სულ გადამავიწყდა, მე ხომ ჯამაგირს გიხდით! მაშ ასეთი ურთიერთობის გამო ნებას მომცემთ ხანდახან გაგაჯავროთ ხოლმე?

_ არა, სერ, ამიტომ არა. მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ მართლაც დაგავიწყდათ, რომ ფულს მიხდით. თქვენი საზრუნავი და საფიქრელი მხოლოდ ის არის, იცოდეთ, თქვენი ხელქვეითნი კარგად გრძნობენ თავს თუ ცუდად. ამიტომაც გულით გეთანხმებით.

_ თანახმა ხართ, გვერდი ავუარო საზოგადოების მიერ დაკანონებულ მრავალნაირ წესსა და მაღალფარდოვან ფრაზებს მხოლოდ იმ პირობით, თუ ასეთ საქციელს კადნიერებად არ ჩამითვლით?

_ დარწმუნებული ვარ ჩემს თავში, სერ, რომ საზოგადოების მიერ დაკანონებულ მრავალნაირ წესსა და მაღალფარდოვანი ფრაზების გარეშე საუბარს კადნიერებად არ მივიჩნევ. პირველი მომწონს, მაგრამ მეორეს,

თუნდაც ჯამაგირის გულისათვის, ვერ აიტანს დაბადებიდანვე თავისუფლებას ჩვეული ადამიანი.

_ სისულელეა! დაბადებიდანვე თავისუფლებას ჩვეულთა უმრავლესობა ფულის გულისათვის, რასაც გინდათ, აიტანს. ამიტომ მხოლოდ თქვენს თავზე ილაპარაკეთ და სხვებზე ნურაფერს იტყვით ისეთს, რაშიაც სრულიად გაურკვეველი ხართ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემ კითხვას პირდაპირ არ უპასუხეთ, გონებით მაინც მივესალმები მას. მომწონს არა მხოლოდ ამ პასუხის არსი, არამედ ისიც, თუ როგორ მიპასუხეთ, რადგან თქვენი პასუხი გულახდილი და წრფელი იყო. ადამიანები ყოველთვის ასე არ იქცევიან, პირიქით, ჩვეულებრივ, ფარისევლობით, გულცივობით, სისულელითა და ბრიყვული გაუგებრობით პასუხობენ ადამიანის გულწრფელობას. სამი ათასი ახალგაზრდა გამოუცდელი აღმზრდელი ქალიდან სამიც კი არ აღმოჩნდებოდა ისეთი, რომელიც ისე მიპასუხებდა, როგორც თქვენ მიპასუხეთ. არ იფიქროთ, ვმლიქვნელობდე, მაგრამ თუ თქვენ უმრავლესობისაგან განსხვავებული ხართ, ეს თქვენი დამსახურება არ არის, ბუნებამ დაგბადათ ასეთად. და მერე ძალიან ვჩქარობ, როდესაც ასეთი დასკვნები გამომაქვს. ჯერჯერობით, რაც მე თქვენს შესახებ ვიცი, ნებას არ მაძლევს, სხვებზე უკეთესად წარმოგიდგინოთ. შესაძლებელია, საუკეთესო თვისებებთან ერთად აუტანელი რაიმე ნაკლიც გაგაჩნდეთ.

«შესაძლებელია, თქვენც ასეთივე იყოთ», _ გავიფიქრე ჩემთვის. როგორც კი ამ აზრმა გამიელვა თავში, ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ჩანდა, მან წაიკითხა ჩემი ფიქრები და ისე მიპასუხა, თითქოს ჩემი აზრი ხმამაღლა გამომეთქვას.

_ დიახ, დიახ, თქვენ მართალი ხართ, _ თქვა მან. _ თვით მეც უამრავი ნაკლი გამაჩნია. ეს მე ვიცი და გარწმუნებთ, არც ვცდილობ მათ დაფარვას. ღმერთმა იცის, არ მჭირდება მეტისმეტი სიმკაცრე გამოვიჩინო სხვების მიმართ. წარსულში მეც ბევრი რამ ჩამიდენია. როდესაც გონების თვალით გადავხედავ, ვგრძნობ, მთელი ჩემი ცხოვრება ისეთია, რომ დაცინვაცა და გაკიცხვაც, რომელთაც მე ჩემ გარშემო მყოფ ადამიანთათვის არ დავიშურებდი, შესაძლებელია, ჩემ მიმართ უფრო სამართლიანი ყოფილიყო. ოცდაერთი წლის ასაკში მცდარ გზას დავადექი. უფრო სწორად, დამაყენეს ამ გზაზე (როგორც ყველა სხვა გზასაცდენილ ადამიანს, მეც მსურს ჩემი დანაშაულის ნახევარი მუხთალ ბედსა და ცხოვრების არახელსაყრელ პირობებს გადავაბრალო). ამის შემდეგ ცხოვრების სწორ გზას ჯერ კიდევ არ დავბრუნებივარ. შესაძლებელია, სრულიად სხვა ადამიანი ვყოფილიყავი. შესაძლებელია, ისეთივე კარგი, როგორც თქვენა ხართ ახლა: უფრო ჭკვიანი და თითქმის თქვენსავით უმწიკვლო. მშურს თქვენი სიმშვიდე. ეს სუფთა და შეუბღალავი მოგონებანი რა ძვირფასი განძი უნდა იყოს? ის ადამიანის სასიცოცხლო ძალის უშრეტი წყაროა. ასე არ არის?

_ როგორია თქვენი მოგონებანი, როდესაც თვრამეტი წლისა იყავით, სერ?

_ მაშინ ყველაფერი რიგზე იყო. მაშინდელი მოგონებანი წმინდა და შეუბღალავია. ვერავითარი ნიაღვარი ანკარა წყაროს ამყაყებულ გუბედ ვერ გადააქცევს. თვრამეტი წლისა მეც თქვენნაირი ვიყავი. ბუნებამ კარგ ადამიანად დამბადა, ერთ იმათთაგანად, ვინც ღირსეულთა შორის პირველნი არიან. როგორც ხედავთ, ახლა ასეთი არა ვარ. ალბათ მეტყვით, ვერ ვხედავო, მაგრამ თავს ვიიმედებ, რადგან ამას თქვენს თვალებში ვკითხულობ. სხვათა შორის გაფრთხილდით, თქვენს თვალებში ნათლად ჩანს, რასაც ფიქრობთ და მე ძალიან სწრაფად ვხვდები მათ. ერწმუნეთ ჩემს სიტყვას, არამზადა არა ვარ. თქვენ არც უნდა იფიქროთ ეს და არც ასეთი რამ მომაწეროთ. ღრმად მწამს, რომ მხოლოდ გარემო პირობებისა და არა საკუთარი ბუნებრივი თვისებების გამო ვარ სრულიად ჩვეულებრივი ცოდვილი, ჩაბმული ყველა ამ ფუქსავატურ გართობებში, რომლითაც მდიდარნი და არაფრის მაქნისი ადამიანები ცდილობენ შეალამაზონ თავიანთი ცხოვრება. ალბათ გაოცებთ ჩემი აღსარება. მაგრამ იცოდეთ, მომავალში თქვენდა უნებურად ხშირად გაიგებთ ნაცნობ ადამიანთა საიდუმლოებას. ისევე, როგორც მე, ადამიანები ალღოთი იგრძნობენ, რომ თქვენ არ გჩვევიათ საკუთარ თავზე ლაპარაკი, არამედ შეგიძლიათ უსმინოთ სხვების საუბარს. ისინი იმასაც იგრძნობენ, რომ მათ ქედმაღლურ საუბარს მტრულად და დამცინავად კი არ უსმენთ, არამედ თითქმის თანაუგრძნობთ კიდეც. ამით თქვენ ამხნევებთ და ამშვიდებთ მათ, რაც მეტად აუცილებელია აღსარების დროს.

_ საიდან იცით, როგორ გაიგეთ ყოველივე ეს, სერ?

_ ეს მე კარგად ვიცი; ამიტომაც ყოველთვის ისე თავისუფლად ვამბობ, თითქოს დღიურში ვწერდე საკუთარ ფიქრებს. თქვენ ალბათ მეტყოდით, რომ მე უნდა ავმაღლებულიყავ გარემო პირობებთან შედარებით. დიახ, ასე უნდა მოვქცეულიყავ, სწორედ ასე. მაგრამ როგორც ხედავთ, ეს ასე არ მოხდა. და როდესაც ბედმა მიმუხთლა, იმდენი სიბრძნეც კი ვერ გამოვიჩინე, რომ გულცივი დავრჩენილიყავ. სასოწარკვეთილებამ შემიპყრო. აი, სწორედ აქედან იწყება ჩემი გადაგვარება და ახლა, როდესაც რომელიმე ზნეობას მოკლებული დოყლაპია თავისი უბადრუკი საქციელით ზიზღს იწვევს ჩემში, არ შემიძლია თავი იმით ვინუგეშო, რომ მასზე უკეთესი ვარ. იძულებული ვარ ჩემს თავს გამოვუტყდე, რომ ორივენი ერთნაირნი ვართ და მისგან არაფრით განვსხვავდები. ოჰ, როგორ მსურდა, რომ ძლიერი ვყოფილიყავ! ღმერთმა იცის, როგორ ვნანობ. გეშინოდეთ სინდისის ქენჯნისა. თუ ცდუნება დაგძლევთ და შეცდომას ჩაიდენთ, მის ეარ, სინდისის ქენჯნა ცხოვრებას მოგიწამლავთ.

_ ამბობენ, მონანიება არისო მკურნალი, სერ.

_ არა, ეს არ არის მისი მკურნალი. ადამიანი მთლიანად უნდა გარდაიქმნეს. მე ეს შემიძლია, ძალაც შემწევს, თუკი... მაგრამ რა აზრი აქვს ამაზე ფიქრს ისეთი გზასაცდენილი, ცოდვებით დამძიმებული და დაწყევლილი ადამიანისათვის, როგორიც მე ვარ. მას შემდეგ, რაც ბედნიერებამ ზურგი მაქცია, უფლება მაქვს ვეძიო სიამოვნება ამ ცხოვრებაში. მსურს ის და მივიღებ კიდეც, რადაც უნდა დამიჯდეს.

_ ეს თქვენ კიდევ უფრო მეტად გადაგაგვარებთ, სერ.

_ შესაძლებელია, მაგრამ რისი გულისათვის უნდა უარვყო, თუკი შემეძლება ცხოვრებისაგან მივიღო ტკბილი და ახალ-ახალი განცდები? და მივიღებ კიდეც. ეს ისეთივე საამო და ხელშეუხებელი იქნება, როგორც გარეული თაფლი, რომელსაც ფუტკრები აგროვებენ ხოლმე მანანებიდან.

_ ფუტკარი ნესტარს ჩაგასობთ, სერ, გარეულ თაფლს კი მწარე გემო აქვს.

_ საიდან იცით? თქვენ ხომ არასოდეს გიგემნიათ: როგორი სერიოზული და დაფიქრებული ჩანხართ. თქვენ ისევე ვერ ერკვევით ამ საქმეში, როგორც აი, ეს ქამეო, და ამ სიტყვებით მან ის ბუხრიდან აიღო. უფლება არა გაქვთ ჭკუა მასწავლოთ, თქვენ ხომ ახლად იწყებთ ცხოვრებას, ჯერ ნაბიჯიც კი არ გადაგიდგამთ ამ გზაზე და სრულიად არ იცნობთ მის საიდუმლოებას.

_ მე მხოლოდ თქვენს საკუთარ სიტყვებს მოგაგონებთ, სერ. თქვენ თქვით, რომ შეცდომას სინდისის ქენჯნა მოჰყვებაო და, ამასთანავე, დასძინეთ, ის ადამიანს ცხოვრებას უწამლავსო.

_ ვინ ლაპარაკობს შეცდომებზე ახლა? სრულებითაც არ ვფიქრობ, რომ აზრი, რომელმაც თავში გამიელვა, შეცდომა იყო. დარწმუნებული ვარ, ეს უფრო ზეშთაგონება იყო, ვიდრე ცდუნება. ამასთანავე ძალიან საამო და სიმშვიდის მომგვრელი. ეს კარგად ვიცი. აი, ისიც! გარწმუნებთ, ეს ეშმაკი არ არის. ის რომ ეშმაკი ყოფილიყო, მაშინ სინათლის ანგელოზის სამოსელში გაეხვეოდა. ვფიქრობ, ამ მშვენიერ სტუმარს ადგილი უნდა დავუთმო ჩემს გულში, თუკი იქ დავანებას მომთხოვს.

_ ნუ ენდობით მას, სერ. ის ნამდვილი ანგელოზი არ არის.

_ ერთხელ კიდევ გეკითხებით, საიდან იცით ეს ყოველივე? რით ასხვავებთ უფსკრულში მყოფ სერაფიმს სამარადისო სასუფევლის მაცნესაგან, ნამდვილ მეგზურს _ მაცდუნებლისაგან?

_ ეს თქვენი სახის გამომეტყველებით შევიტყვე, სერ. ძალიან წუხდით, როდესაც ეს აზრი კვლავ დაგებადათ. დარწმუნებული ვარ, თუ თქვენ მას მოუსმენთ, ის მეტ უბედურებას მოგიტანთ.

_ სრულებითაც არა. ამქვეყნად ის ყველაზე კარგი ამბების მაუწყებელია. ხოლო, რაც შეეხება დანარჩენს, თქვენ ჩემი სინდისის დამცველი არა ხართ. ამიტომ თავს ნუ შეიწუხებთ. ახლა კი მომიახლოვდი, მშვენიერო მოგზაურო!

მან ისე წარმოთქვა ეს სიტყვები, თითქოს ყველა თავისთვის უჩინარ, მხოლოდ მისი თვალისთვის ხილულ მოჩვენებას ესაუბრებოდა. შემდეგ წინ გამოწვდილი ხელები გულთან მიიტანა, თითქოს ამ უხილავ არსებას გულში იკრავდა.

_ ახლა, _ განაგრძო მან და კვლავ მე მომმართა, _ მივიღე ჩემი მოგზაური. ის შენიღბული ღვთაებაა. ნამდვილად მჯერა, მან სიკეთე უკვე მომიტანა. ჩემი გული აქამდე საფლავად იყო ქცეული, ახლა კი წმინდა ადგილად იქცა.

_ მართალი გითხრათ, სერ, აღარ შემიძლია განვაგრძო თქვენთან საუბარი, რადგან ძნელია თქვენი გაგება. მხოლოდ ერთი რამ ვიცი. თქვენ თვითონ თქვით, რომ არა ხართ ისეთი კარგი ადამიანი, როგორიც გსურდათ

ყოფილიყავით და ამ ნაკლის გამო დიდ სინანულსაც განიცდით. გარდა ამისა, ისიც აღნიშნეთ, რომ შებღალული სინდისი და მისი მოგონება ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე უწამლავს ცხოვრებასო. ვფიქრობ, თუ გულ-მოდგინედ შეეცდებით, დროთა განმავლობაში შესაძლებელი გახდება გარდაიქმნეთ ისეთ ადამიანად, როგორიც გსურდათ ყოფილიყავით. თუ დღეიდანვე დაიწყებთ სრულიად ახლებურად აზროვნებას და საქმიანობასაც შეიცვლით, რამდენიმე წლის შემდეგ თქვენც გექნებათ უამრავი ახალი და უბიწო მოგონებანი, რომელთა გახსენება სიამოვნებას მოგანიჭებთ.

_ სწორი აზრია. კარგად არის ნათქვამი, მის ეარ. ამიერიდან კეთილი სურვილებით ვთრგუნავ ჯოჯოხეთს.

_ სერ?

_ ჩემში კეთილმა სურვილებმა უფრო მეტად იჩინა თავი. მწამს, ისინი კაჟივით გამძლეა და მყარი. ამიერიდან ადამიანთა მიმართ ჩემი დამოკიდებულებაცა და საქმიანობაც სრულიად სხვა იქნება, ვიდრე აქამდე იყო.

_ და უკეთესიც?

_ და უკეთესიც, იმდენად უკეთესი, რამდენადაც წმინდა ლითონი ბინძურ ხენჯთან შედარებით. როგორც ჩანს, ჩემში ეჭვი გეპარებათ. მე კი თვით არას ვეჭვობ. ვიცი, რა მიზანიცა მაქვს და რაც მამოძრავებს. კანონი, რომლითაც ამიერიდან ვიხელმძღვანელებ, მიდიელთა და ირანელთა კანონივით მტკიცე და უცვლელია, და ორივე ეს კი სწორია.

_ ეს შეუძლებელია, სერ, თუ მათ განსახორციელებლად კიდევ ახალი კანონია საჭირო.

_ ეს ასეა, მის ეარ. თუმც ისინი სრულიად ახალ კანონს მოითხოვენ. ჩვენთვის უჩვეულო ცხოვრების პირობები ასეთივე უჩვეულო კანონებს მოითხოვს.

_ ეს აფორიზმი მეტისმეტად საშიშრად ჟღერს, სერ. ყველას მაშინვე შეუძლია დაინახოს, თუ რა ადვილად შეიძლება მისი ბოროტად გამოყენება.

_ ჭკუის სასწავლებელი სიბრძნეა! სწორედ ასეა. მაგრამ ვფიცავ ჩემი ოჯახის მფარველ ყოვლად წმინდა ანგელოზს, ბოროტად არ გამოვიყენებ მას.

_ თქვენ ადამიანი ხართ და ამის გამო ცოდვილიც.

_ დიახ, ვარ. ასევე თქვენც _ მაგრამ, რა?

_ ადამიანები და ცოდვილნი არ უნდა მიისწრაფოდნენ ისეთი ძალისაკენ, რომელიც მხოლოდ ღვთიურთა და უცოდველთ აქვთ მინიჭებული.

_ რა ძალა?

_ როგორც ამბობენ, ეს არის ადამიანებისათვის რაღაც უცნობი, ჯერ კიდევ დაუკანონებელი სამოქმედო გზა. დაე, ის სწორი იყოს.

_ დაე, ასე იყოს! თქვენ სწორედ ესა თქვით!

_ შესაძლებელია, ეს მართალიც იყოს, _ ვთქვი და წამოვდექი.

ჩემი აზრით, ასეთი გაურკვეველი საუბრის გაგრძელება უსარგებლო იყო. ამასთანავე, ვიგრძენი, რომ ჩემი მოსაუბრის ფიქრებს ვერ ჩავწვდებოდი _

განსაკუთრებით ამჟამად. ვგრძნობდი რა ამ გაურკვევლობას, ბუნდოვან შიშსაც განვიცდიდი, რაც თან სდევს ხოლმე უცოდინარობას.

_ სად მიდიხართ?

_ ადელის დასაძინებლად. უკვე დიდი ხანია მისი ძილის დროა.

_ თქვენ ჩემი გეშინიათ ალბათ იმიტომ, რომ სფინქსივით ვლაპარაკობ.

_ თქვენი საუბარი ძალიან ძნელი გასაგებია ჩემთვის. თუმცა გაოცებული ვარ, მაგრამ შიშით მაინც არ მეშინია.

_ თქვენ გეშინიათ თავმოყვარეობის გამო, ფრთხილობთ, სულელური შეცდომა არ დაუშვათ.

_ ამ აზრით მართლაც მეშინია, არავითარი სურვილი არა მაქვს, სისულელე გელაპარაკოთ.

_ ასეც რომ ყოფილიყო, თქვენ ყოველივეს ისე მშვიდად და სერიოზულად იტყოდით, რომ მე მაინც ჭკვიანურ აზრებად მივიჩნევდი. ნუთუ არასოდეს იცინით, მის ეარ. თავს ნუ შეიწუხებთ პასუხის გასაცემად. ვხედავ, იშვიათად იცინით. მაგრამ ვამჩნევ, ძალიან მხიარული სიცილიც შეგიძლიათ. მერწმუნეთ, ბუნებით თქვენ ისევე არა ხართ მკაცრი, როგორც მე ბიწიერი. ლოვუდი გაიძულებთ, ჯერ კიდევ მისი გავლენის ქვეშ იყოთ. ამ გავლენის წყალობითაა სწორედ, რომ თვალყურს ადევნებთ საკუთარი სახის გამომეტყველებას, მეტად ხმადაბლა ლაპარაკობთ და თავს თავისუფლად ვერ გრძნობთ. მამაკაცის თანდასწრებით კი, სულ ერთია ის ძმა არის, მამა თუ პატრონი, ან რაც გსურთ, ის უწოდეთ მას, გეშინიათ გაიღიმოთ, ილაპარაკოთ მხიარულად, თავისუფლად, იმოძრაოთ სწრაფად. ვფიქრობ, დროთა განმავლობაში თქვენ მიეჩვევით სრულიად ბუნებრივად მოიქცეთ ჩემთან, რადგან სხვანაირად შეუძლებელი იქნება. მეც მინდა ასევე ბუნებრივი ვიყო თქვენ მიმართ. მაშინ თქვენი გამოხედვაც, მოძრაობაც სულ სხვანაირი იქნება: მეტი სიხალისე მოგემატებათ, ვიდრე ახლა ამჟღავნებთ. ხანგამოშვებით თქვენ თვალებში მე ვხედავ საგულდაგულოდ დაკეტილ გალიაში მოთავსებულ ცნობისმოყვარე ფრინველის გამომეტყველებას: ის სიცოცხლით სავსე, მოუსვენარი და გაბედული ტყვეა. თავისუფალი რომ იყოს, ღრუბლებს ზემოთ ინავარდებდა. თქვენ კვლავ ფიქრობთ წასვლას?

_ საათმა უკვე ცხრაჯერ დარეკა, სერ.

_ არაფერია, კიდევ ერთი წუთი მოითმინეთ. ადელი დასაძინებლად ჯერ კიდევ მზად არ არის. ცეცხლისაკენ ზურგშექცეული, სახით თქვენკენ სწორედ კარგად ვდგავარ, რომ თვალყური ვადევნო. თქვენთან საუბრისას, დროდადრო ადელსაც ვუყურებდი (რასაკვირველია, მიზეზიც მაქვს, ასეთი ფიქრისა და დაკვირვების საგნად ვაქციო ეს ბავშვი). ეს ამბავი, შესაძლებელია, ოდესმე თქვენც გაგიზიაროთ. დაახლოებით ათი წუთის წინ მან თავისი ყუთიდან ვარდისფერი აბრეშუმის კაბა ამოიღო. როდესაც კაბა გაშალა, სახე გაუბრწყინდა. კოპწიაობა შთამომავლობით გადმოეცა, ის გონებას ურევს და ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. ll faut que je l’essaie! _ წამოიძახა მან. _ და et à l’instant même ოთახიდან გაიქცა. ახლა ის სოფისთან არის და იცვამს,

რამდენიმე წუთში კვლავ შემოვა და ვიცი, ვისაც ვიხილავთ: პატარა სელინ ვარენსს, როგორც ის გამოჩნდებოდა ხოლმე სცენაზე, ფარდის ახდის შემდეგ. მაგრამ ეს არაფერია. ყოველ შემთხვევაში, ჩემი უნაზესი გრძნობები ამ ელდასაც გაუძლებს. ასეთია ჩემი წინათგრძნობა. დარჩით და ნახეთ, ასრულდება თუ არა, რაც გითხარით.

მალე ადელის პაწაწინა ჩქარი ნაბიჯების ხმაც გაისმა დერეფანში. ის შემოვიდა ახალი ტანსაცმლისაგან მთლად გამოცვლილი, როგორიც მისმა მეურვემ იწინასწარმეტყველა. ყავისფერი კაბის მაგიერ ატლასის ძალიან მოკლე, წელს ქვემოთ ნაოჭებიანი, ვარდისფერი კაბა ეცვა. შუბლს კოკორი ვარდების გვირგვინი უმშვენებდა. ფეხთ აბრეშუმის მაღალყელიანი წინდები და პაწაწინა თეთრი ატლასის ფეხსაცმელი ეცვა.

_Est-ce que ma robe va bine? _ წამოიძახა მან და ჩვენკენ წამოვიდა. _ et mes souliers? Et mes bas? Tenez, je crois que je vais danser!

კაბა გაშალა და ცეკვა დაიწყო ოთახში. ასე ცეკვით მოუახლოვდა მისტერ როჩესტერს, თითისწვერებზე მსუბუქად შემოტრიალდა, შემდეგ ცალ მუხლზე დაიჩოქა და წამოიძახა:

_ Monsieur, je vous remercie mille fois de votre boné _ შემდეგ წამოდგა და დაუმატა: _C'est comme cela que maman Faisait, n'est-ce pas, monsieur?

_ სწორედ! _ გაისმა პასუხად. და «comme cela" ადვილად ახერხებდა ინგლისური ოქროს ამოცლას ჩემი ბრიტანული შარვლის ჯიბიდან. მეც სრულიად გამოუცდელი ყმაწვილი ვიყავი, მის ეარ. დიახ, ბალღივით გამოუცდელი. სწორედ ისეთივე, როგორიც ახლა თქვენა ხართ აი, ამ წუთში. ასეა თუ ისე, ჩემი გაზაფხული დამთავრდა, მაგრამ მან ხელში შემატოვა აი ეს ფრანგული ყვავილი. ზოგჯერ ისეთ გუნებაზე ვარ, რომ სიამოვნებით მოვიშორებდი მას თავიდან. აღარაფრად მიმაჩნია ის ფესვი, რომელზედაც ის აღმოცენდა. კარგად ვიცი, რომ ისიც იმ მოდგმას ეკუთვნის, რომელთაც ოქროს გარდა ვერაფერი აკმაყოფილებთ. ეს კი ამ ყვავილის სიყვარულს მინახევრებს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ისეთი ხელოვნურია, როგორც აი, ახლა. მე ვინახავ და ვზრდი მას, რადგან რომაული კათოლიკური პრინციპი აღიარებს, რომ ერთ კეთილ საქმეს შეუძლია გამოისყიდოს მრავალი ცოდვა, როგორც დიდი, ისე პატარა. ოდესმე ყველაფერს აგიხსნით, ახლა კი ღამე მშვიდობისა.

თავი XV

მალე მისტერ როჩესტერმა მართლაც მიამბო ყველაფერი. ერთხელ ნაშუადღევს შემთხვევით შეგვხვდა მე და ადელს ბაღში; ვიდრე ადელი პაილოტს ეთამაშებოდა და ვოლანით ერთობოდა, მან მთხოვა, წიფლის გრძელ ხეივანში გაგვესეირნა და თან ადელისთვისაც თვალყური გვედევნებინა.

სწორედ იმ დღეს მიამბო, რომ ადელი იყო ქალიშვილი ფრანგი მოცეკვავე ქალის სელინ ვარენსისა, რომელიც მას ოდესღაც იმ გრძნობით უყვარდა, «grande passion»-ს რომ უწოდებდა თვითონ. ამ სიყვარულს სელინა თითქოს

უფრო დიდი სიყვარულით პასუხობდა. მისტერ როჩესტერის ფიქრით, სელინა მას აღმერთებდა კიდეც, თუმცა ლამაზი არ იყო და მას მისი «taille d'athlète» უფრო ხიბლავდა, ვიდრე აპოლონ ბელვედერელის მოხდენილობა.

_ და იცით, მის ეარ, იმდენად მოვიხიბლე იმით, რომ გალიელი სილფიდა ამ ინგლისელ გნომს ყველა მამაკაცის წინაშე უპირატესობას მანიჭებდა, რომ მაშინვე სასტუმროში დავაბინავე, ვანებივრე მოსამსახურეებით, ეკიპაჟით, ქიშმირის ქსოვილებით, ბრილიანტებით, dentilles-ითა და ა. შ. ერთი სიტყვით, როგორც ყოველმა ბრმად შეყვარებულმა ადამიანმა, დავიწყე ჩემი ქონების განიავება. როგორც ჩანს, ვერ შევძელი სირცხვილისა და განადგურებისკენ სხვა, ახალი გზა ამომერჩია; სულელური ერთგულებით მივყვებოდი ძველ ბილიკს და ერთი გოჯითაც არ გადამიხვევია ამ გატკეპნილი გზიდან. ამიტომ სრულიად დამსახურებულად მეც სხვა ბრმად შეყვარებულ დოყლაპიათა ბედი მეწია. ერთ საღამოს, როდესაც სელინა არ მელოდა, მასთან მივედი. სახლში არ დამხვდა. თბილი საღამო იყო. პარიზის ქუჩებში ხეტიალით დაღლილი შევედი მის ბუდუარში და გადავწყვიტე, იქ დავლოდებოდი. ვიგრძენი, ახლახან წასულიყო სახლიდან. მისი ყოფით განწმენდილ ჰაერს ვისუნთქავდი და თავს ბედნიერად ვგრძნობდი. არ ვაზვიადებ; არც მიფიქრია, რომ სელინას ოდესმე ჰქონოდა განწმენდის ღვთიური ნიჭი. ოთახში უფრო თამბაქოს, მუშკისა და ამბრის სუნი იდგა, ვიდრე წმინდა საკმევლისა. ამას თან სათბურის ყვავილების სურნელი ერთვოდა და სული მეხუთებოდა. გადავწყვიტე, მინის კარი გამეღო და აივანზე გავსულიყავი. მთვარე ანათებდა და ქუჩის ფარნების შუქი იდგა. ირგვლივ სიმშვიდე და სიმყუდროვე სუფევდა. აივანზე რამდენიმე სავარძელი იდგა. ერთ-ერთში ჩავჯექი და სიგარა ამოვიღე...

_ ახლაც მოვწევ, თუ ნებას მომცემთ.

სიჩუმე ჩამოვარდა. მან სიგარა ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა. სუსხიან უმზეო ჰაერში ჰავანური სიგარის ნაფაზი რგოლებად ამოუშვა და განაგრძო:

_ მაშინ, მის ეარ, კანფეტებიც მიყვარდა. ხრამუნით შევექცეოდი (მაპატიეთ ბარბარიზმი), დიახ, ხრამუნით შევექცეოდი კანფეტებს, თან ვაბოლებდი და დროგამოშვებით ეკიპაჟებს ვათვალიერებდი, რომლებიც მდიდრულ ქუჩებში მისრიალებდნენ იქვე, ახლოს, ოპერისაკენ. ამ დროს გამოჩნდა კოხტა კარეტა ორი მშვენიერი ინგლისური ცხენით. გაჩირაღდნებულ ქუჩაზე გარკვევით დავინახე და ვიცანი ვოიტურე (კარეტა), რომელიც სელინას ვაჩუქე. სელინა სახლში ბრუნდებოდა. რასაკვირველია, ჩემს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა რკინის მოაჯირზე, რომელსაც ვეყრდნობოდი. როგორც ვვარაუდობდი, კარეტა მართლაც სასტუმროს კარებთან გაჩერდა; ჩემი ცეცხლისწამკიდებელი (რადგან მხოლოდ ეს სახელი თუ შეეფერება ოპერის მოცეკვავე მიჯნურს) მსუბუქად გადმოხტა კარეტიდან. ივნისის თბილი საღამო იყო, მაგრამ მას მაინც მოსასხამი ეხურა. მყის ვიცანი მისი პატარა ფეხი, რომელიც ეტლიდან ჩამოსვლისას კაბის ბოლოდან გამოუჩნდა. აივნიდან გადავიხარე და შეყვარებულის იდუმალი ხმით ის იყო უნდა დამცდენოდა «Mon ange », რომ კარეტიდან სელინას ვიღაც გადმოჰყვა: ისიც მოსასხამში, მაგრამ ამჯერად

დეზების წკარუნი გაისმა ქვაფენილზე და სასტუმროს porte - cochère-ს თაღებქვეშ მამაკაცის ცილინდრმა გაიელვა.

_ თქვენ ალბათ არასოდეს გამოგიცდიათ ეჭვიანობის გრძნობა, არა, მის ეარ? რასაკვირველია, არა. არც უნდა მეკითხა, რადგან არავინ გყვარებიათ. მოგიხდებათ ამ ორივე გრძნობის გამოცდა. თქვენი სული ჯერ მიძინებულია. საჭიროა ბიძგი და გამოიღვიძებს. გგონიათ, რომ თქვენი ცხოვრების დინება ისეთივე წყნარი და აუმღვრეველი იქნება, როგორც ბავშვობაში. გაყვებით ამ დინებას თვალდახუჭული, სმენადახშული; ვერც დინების დასაწყისში აღმართულ მრისხანე კლდეებს შენიშნავთ და ვერ მოგწვდებათ ამ კლდეების გარშემო აბობოქრებული და აქაფებული ტალღების ხმაური. მაგრამ დაიხსომეთ ჩემი სიტყვები: ოდესმე მიადგებით კლდოვან გასასვლელს, სადაც თქვენი ცხოვრების ნაკადული აბობოქრებულ, აღელვებულ, ქაფმორეულ და მგრგვინავ მორევად გადაიქცევა. მაშინ ან მთლად დაიმსხვრევით ამ კლდის წვეტიან ლოდებზე, ან რომელიმე მხსნელი ტალღა აგიტაცებთ და ჩემსავით წაგიყვანთ უფრო წყნარი დინებისაკენ. მე მიყვარს ეს დღე; მიყვარს ეს ტყვიისფერი ცა; ყინვისაგან დადუმებული და გათოშილი არემარე; მიყვარს თორნფილდი; მისი წელთა სიმრავლე; სიმარტოვე; ყვავის ბუდეებით სავსე მისი ხეები და ეკლიანი ბუჩქნარი; მისი ნაცრისფერი ხედი; უამრავ წყვდიადით მოცულ ფანჯრებში არეკლილი ტყვიისფერი ცა, და, მიუხედავად ამისა, რამდენი ხანია მისი გახსენებაც კი მზარავს. გავურბი, როგორც კეთროვან სახლს, გავურბი დღემდე.

მან კბილები დაახრჭიალა და გაჩუმდა. გაჩერდა და ფეხი ყინვისაგან გაქვავებულ დედამიწას დაჰკრა. როგორც ჩანს, მისთვის რაღაც საძულველმა ფიქრმა გამსჭვალა და ისე შეიპყრო, რომ ნაბიჯის გადადგმაც კი ვეღარ შეძლო.

ეს მოხდა ხეივანში, აღმართზე. ჩვენ წინ იყო სასახლე. მან შეხედა მის ქონგურებს. მზერა იყო ისეთი, როგორიც არც მანამდე და არც შემდგომ არ მინახავს. თითქოს შავი წარბების ქვემოთ მის ბავშვურად ფართოდ გახელილ თვალებში ერთ წუთს გამძაფრებით შეებნენ ერთმანეთს ტკივილი, სირცხვილი, მრისხანება, მოუთმენლობა, სიძულვილი და საშინელი ზიზღი. ბრძოლა იყო ცხარე და დაუნდობელი. მაგრამ აი, მალე თავი იჩინა მეორე გრძნობამ და გაიმარჯვა კიდეც: სიძლიერის, დაცინვის, ნებისყოფის, სიმტკიცისა და გამბედაობის გრძნობამ. მან მღელვარება დაიოკა, კვლავ მშვიდი გამომეტყველება მიიღო და განაგრძო.

_ რამდენიმე წუთს ვდუმდი, მის ეარ, რადგანაც ჩემს ბედთან ვკამათობდი. ის იდგა აი იქ, იმ წიფლის ხის კუნძთან და ერთ-ერთ იმ კუდიან დედაბერს ჰგავდა, მაკბეტს რომ მოევლინა ფორესის ტრიალ მინდორში. «მოგწონს თორნფილდი?» _ თქვა კუდიანმა, თითი ასწია და ჰაერში შემზარავი იეროგლიფები შემოხაზა, რომლებიც ზედა და ქვედა ფანჯრებს შორის მთელ კედელს აეკრნენ. «მოგწონდეს, თუ შეგიძლია, გიყვარდეს, თუ გაბედავ!»..

_ დიახაც, მეყვარება, _ წარმოვთქვი მე. _ გავბედავ კიდეც მის სიყვარულს და... (სევდიანად დაუმატა) და შევასრულებ ჩემს სიტყვას; გადავლახავ ყველა

დაბრკოლებას ბედნიერებისაკენ, კეთილი საქმისაკენ, დიახ, კეთილი საქმისაკენ მიმავალ გზაზე; მსურს უფრო კარგი ადამიანი გავხდე, ვიდრე ვიყავი; ვიდრე ვარ. ისევე, როგორც იობის ლევიათანის შუბი და ჯავშანი ჩემთვის ჩალაა, დამპალი ხე.

ამ დროს მასთან ადელმა მიირბინა ვოლანით. «შორს!» _ დაუყვირა მან მკაცრად; _ შორს ჩემგან, ბავშვო, ან სოფისთან შედი!..» უხმოდ მივყვებოდი მას და, ბოლოს, როგორც იქნა, გავბედე შემეხსენებინა ის ადგილი, სადაც მან ასე უეცრად შეწყვიტა თხრობა.

_ აივანზე დარჩით, სერ, როდესაც მადმუაზელ ვარენსი შემოვიდა ოთახში? _ ვკითხე მე.

ჩემს არადროულ კითხვაზე მისგან უკმეხ პასუხს ველოდი, მაგრამ, პირიქით, ის შავი ფიქრებისგან გამოერკვა, შემდეგ მომიბრუნდა, მოღუშული შუბლი გაეხსნა და სახე გაუნათდა.

_ ო, სელინა სულ დამავიწყდა! მაშ ვაგრძელებ. როდესაც დავინახე, თუ როგორ შემოვიდა ჩემი მომჯადოებელი კავალრის თანხლებით, თითქოს სისინიც შემომესმა და ეჭვიანობის მწვანეთვალა დაგორგლილი გველი კლაკვნით წამოიმართა მთვარით განათებულ აივანზე, ჩემი ჟილეტის ქვეშ შესრიალდა და ორ წუთში გესვლით გზა გაიკვლია ჩემ გულის სიღრმეში. რა საოცარია! _ წამოიძახა მან, და უცებ კვლავ გადაუხვია საუბრის თემას. _ უცნაურია, რომ სწორედ თქვენ უნდა ამერჩიეთ ჩემს მესაიდუმლედ. მით უფრო უცნაურია, რომ თქვენ ისე მშვიდად მისმენთ თითქოს სრულიად ჩვეულებრივი რამ იყოს ჩემთვის, გიყვებოდეთ ჩემს სიყვარულს ოპერის მოცეკვავე ქალის მიმართ თქვენისთანა უცნაურსა და გამოუცდელ გოგონას. მაგრამ თქვენი გამოუცდელობა ამართლებს ჩემს გულახდილობას. როგორც ეს ერთხელ უკვე გითხარით, თქვენ, თქვენი სერიოზულობით, წინდახედულებით და თავდაჭერილობით სხვათა მესაიდუმლედ ხართ დაბადებული. გარდა ამისა, ისიც ვიცი, როგორ ადამიანთან ვსაუბრობ. ვიცი, არ შეიძლება მქონდეს მასზე ცუდი გავლენა, ვიცი, რომ ის სრულიად თავისებური ადამიანია. ერთადერთია. საბედნიეროდ, არც მინდა ცუდად ვიმოქმედო მასზე. რომ მეცადა კიდეც, ვერაფერს დავაკლებდი. რაც მეტს ვისაუბრებთ, მით უკეთესია ჩვენთვის, რადგან ჩემი გავლენისაგან დაზღვეული ხართ და თქვენ კი შეგიძლიათ სრულიად სხვა ადამიანად მაქციოთ, _ საუბრის თემიდან ასეთი გადახვევის შემდეგ მან განაგრძო:

_ დავრჩი აივანზე. უდავოა, ისინი ბუდუარში შევლენ! _ ვფიქრობდი: «მოდი, მახეს დავუგებ...» გაღებულ ფანჯარაში ხელი გადავყავი, მივწვდი ფარდას, გამოვწიე და მხოლოდ პატარა ადგილი დავტოვე, რომ თვალი მედევნებინა მათთვის. შემდეგ დარაბაც ისე მივხურე, რომ შეყვარებულთა ჩურჩულით წარმოთქმული ფიცი მომესმინა და უკან გავიპარე ჩემი სავარძლისკენ. ის იყო ჩემს ადგილს დავუბრუნდი, რომ ოთახში წყვილიც შემოვიდა. მაშინვე ჭუჭრუტანასთან გავჩნდი. სელინას პირისფარეში შემოვიდა, ლამპა აანთო, მაგიდაზე დადგა და გავიდა. ახლა ორივეს გარკვევით

ვხედავდი: ორივემ მოიხადა მოსასხამი და აი, დავინახე ოპერის პრიმადონა ვარენსი ძვირფასი ფარჩის კაბასა და სამკაულებში. ყოველივე ეს, რასაკვირველია, ჩემი ნაჩუქარი გახლდათ. იქვე იდგა მისი საყვარელი, ოფიცრის ტანისამოსში გამოწყობილი. ვიცანი. ეს გახლდათ ახალგაზრდა თავაშვებული ვიკონტი, უჭკუო და ზნედაცემული ყმაწვილი, რომელსაც მე ზოგჯერ ვხვდებოდი ხოლმე მაღალ საზოგადოებაში. აზრადაც არ მომსვლია მისი სიძულვილი, რადგანაც სიძულვილის ღირსადაც არ ვთვლიდი. როგორც კი ვიცანი, ეჭვიანობის გველს მაშინვე გადაუტყდა ხერხემალი, რადგანაც იმავ წუთს სელინასადმი ჩემი სიყვარული ჩაქრა და ჩაიფერფლა. ქალი, რომელსაც შეეძლო გავეცვალე ასეთ ადამიანზე, არ შეიძლებოდა ჩემი ყურადღების ღირსი ყოფილიყო. ის მხოლოდ ზიზღს იმსახურებდა, თუმცა ჩემთან შედარებით _ ნაკლებს. მე უფრო მეტ ზიზღს ვიმსახურებდი, რადგან ასეთი ადამიანისაგან ვიყავი მოტყუებული.

საუბარი დაიწყეს. იმდენად უაზრო იყო მათი საუბარი, უგულო, თავაშვებული და ქარაფშუტული, რომ მაშინვე დავმშვიდდი; დაღლა უფრო შეიძლებოდა ამისგან, ვიდრე გაბრაზება. ჩემი სადარბაზო ბარათი მაგიდაზე იდო. ბარათმა ჩემი თავი გაახსენა და საკამათო ობიექტად ვიქეცი. არც ერთ მათგანს არ აღმოაჩნდა იმდენი გამბედაობა და ჭკუა, რომ გონივრულად გაველანძღე. უხეშად შეურაცხმყვეს, რამდენადაც ამის უნარი შესწევდათ. განსაკუთრებით სელინამ, რომელიც ჩემს გარეგნულ ნაკლოვანებებს მოხერხებულად აზვიადებდა და დასცინოდა, «სიმახინჯეს» უწოდებდა. წინათ კი, ჩვეულებრივ, აღტაცებით ლაპარაკობდა ხოლმე ჩემს «beauté màle» (მამაკაცურ სილამაზეზე). თქვენ სრულიად განსხვავდებით მისგან. ჩვენი მეორე შეხვედრისას თქვენ პირდაპირ მითხარით, რომ არა მთვლით მე ლამაზ მამაკაცად. ამ განსხვავებამ მაშინვე გამაოცა და...

ამ დროს ადელმა კვლავ მოირბინა.

_ მუსიე, ეს-ეს არის ჯონი იყო აქ და თქვა, რომ თქვენი საქმეების მწარმოებელი მოსულა და თქვენი ნახვა სურს.

_ ოჰ, ამ შემთხვევაში ჩემი ამბავი უნდა შევამოკლო. მაშ ასე: კარები გავაღე, ოთახში შევედი და თავზე დავადექი. ვუთხარი, რომ სელინა ამიერიდან ჩემგან თავისუფალია და გავაფრთხილე, დაეტოვებინა სასტუმრო. საჭირო ხარჯებისთვის მივეცი ფულით სავსე ქისა. ყურადღება არ მივაქციე მის ტირილს, ისტერიკას, თხოვნას, გულის წასვლას. ვიკონტი დუელში გამოვიწვიე; უნდა შევხვედროდით ბულონის პარკში. მეორე დღეს ბედნიერება მქონდა მენახა ის დანიშნულ ადგილზე. იმ საცოდავ, გამხდარ წიწილას ფრთასავით უძლურ მკლავში ტყვია მოვარტყი და ვიფიქრე, ამიერიდან მათ არსად შევხვდები და არც არაფერს გავიგებ მათზე-მეთქი. მაგრამ, საუბედუროდ, ვარენსმა ექვსი თვის წინ მიბოძა ეს პატარა გოგონა ადელი, რომელიც მისი მტკიცებით ჩემი შვილი იყო. შესაძლებელია, ეს ასეა, თუმცა ამ გოგონაში ვერავითარ მსგავსებას ვერ ვხედავ. ვირწმუნე ეს სამწუხარო ამბავი, რომ მე მისი მშობელი ვარ, თუმცა პაილოტი უფრო მეტად მგავს, ვიდრე

ადელი. ჩვენი დაშორებიდან რამდენიმე წელსაც არ გაევლო, რომ მან მიატოვა ბავშვი და ვიღაც მუსიკოსსა თუ მომღერალს გაჰყვა იტალიაში. როგორც მაშინ, არც ახლა ვთვლი თავს ვალდებულად, აღვზარდო ეს ბავშვი. მე ხომ მისი მშობელი არა ვარ. მაგრამ, როგორც კი გავიგე, ბავშვი საშინელ გაჭირვებას განიცდისო, მოვაცილე ის პარიზის სიბინძურესა და ჭუჭყს და მოვიყვანე აქ, რათა აღვზარდო ინგლისური სოფლის ბაღის სუფთა, ჯანსაღ მიწაზე. მისის ფეიერფექსმა მოგიწვიათ თქვენ მის აღსაზრდელად. ახლა თქვენ იცით, რომ ბავშვი ფრანგი მოცეკვავე ქალის უკანონო შვილია. ალბათ სულ სხვა თვალით შეხედავთ თქვენს აქ ყოფნას და თქვენს აღსაზრდელს. ერთ დღეს, ალბათ, მოხვალთ ჩემთან, მეტყვით, რომ უკვე მოძებნეთ ახალი ადგილი, მთხოვთ სხვა აღმზრდელი მოვძებნო მისთვის და ან რამეს ამის მსგავსს; ხომ ასეა?

_ არა, ადელი არც თავის დედის და არც თქვენს დანაშაულზე პასუხს არ აგებს. ბავშვს მივეჩვიე და ახლა მით უფრო მეტად დავუახლოვდები, რადგან ვიცი, თუ რას წარმოადგენს ის; ესე იგი, რომ არც დედა ჰყავს და არც მამა; ის ხომ დედამ მიატოვა, ხოლო თქვენ უარს ამბობთ მასზე. როგორ შემიძლია უპირატესობა მივცე მდიდარი ოჯახის გათამამებულ ნებიერს, რომელსაც თავისი აღმზრდელი სძულს და არაფრად აგდებს მას, უპატრონო, პატარა ობოლთან შედარებით; ის ხომ თავის აღმზრდელში მეგობარს ეძებს და მისკენ ისწრაფვის.

_ ოჰ, აი, თურმე როგორ უყურებთ ამ საკითხს! აბა, ახლა კი უნდა შევიდე შინ და თქვენც ასევე გირჩევთ. უკვე ბნელდება.

მაგრამ მე რამდენიმე ხანს კიდევ დავრჩი ეზოში ადელსა და პაილოტთან. მე და ადელმა ერთად ვირბინეთ და ვოლანით ვითამაშეთ. ბოლოს სახლში შევედით. გოგონას გავხადე პალტო, ქუდი, მუხლზე დავისვი და ასე მთელი საათი კალთაში მეჯდა; ნება დავრთე ეტიკეტიკა, რაზედაც სურდა; არც იმ თავისუფალი და თამამი საქციელისათვის დამიტუქსავს, ზედმეტი ყურადღების დროს რომ ამჟღავნებდა ხოლმე. ეს თვისება მისი ხასიათის ფუქსავატობას ავლენდა და, ალბათ, დედისგან ჰქონდა მემკვიდრეობით გამოყოლილი, რადგან ინგლისელს ასეთი რამ იშვიათად თუ ახასიათებს. მაგრამ ადელს კარგი თვისებებიც ჰქონდა. რაც კარგი იყო ამ გოგონაში, მინდოდა დამენახა და დამეფასებინა. ვცდილობდი მის გამომეტყველებასა და სახის ნაკვთებში აღმომეჩინა რაიმე მსგავსება მისტერ როჩესტერთან, მაგრამ ამაოდ, არც ერთი ნაკვთი, სახის არც ერთი გამომეტყველება არ ადასტურებდა მათ ნათესაობას. როგორ მწყინდა! ადელს რომ შესძლებოდა და ოდნავ მაინც დამსგავსებოდა მისტერ როჩესტერს, იგი მას უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევდა.

როდესაც ჩემს ოთახში დასაძინებლად წავედი, ხელმეორედ დავუბრუნდი მისტერ როჩესტერის ნაამბობს და კვლავ დაწვრილებით გავიხსენე ყველაფერი. როგორც თვით მისტერ როჩესტერმა თქვა, არაფერი იყო უჩვეულო ამ ამბავში, მდიდარი ინგლისელის გატაცება ფრანგი მოცეკვავე ქალით და ქალის ღალატი. ეჭვს გარეშეა, საზოგადოებაში ეს სრულიად

ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა. მაგრამ ერთი რამ იყო უჩვეულო. მან მღელვარებით განაცხადა, რომ კმაყოფილია თავისი გადაწყვეტილების, რომ კვლავ უხარია თავის მხარეში და თავის ძველ სასახლეში დაბრუნება. გაოცებული ვფიქრობდი ამაზე, მაგრამ თანდათანობით თავი ვანებე მასზე ფიქრს. ჩემთვის ყველაფერი გაუგებარი იყო. მაშინ მხოლოდ პატრონის ჩემდამი დამოკიდებულება მაინტერესებდა. მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში მისი დამოკიდებულება ჩემდამი შეიცვალა, უფრო თბილი გახდა, ვიდრე დასაწყისში იყო. არაფრით არ ვუშლიდი ხელს. თუ მოულოდნელად შევხვდებოდი, უკვე ისე ცივად და ქედმაღლურად აღარ მესალმებოდა. ასეთი უეცარი შეხვედრა თითქოს სიამოვნებდა. ყოველთვის მზად ჰქონდა ჩემთვის რაიმე სათქმელი და ზოგჯერ გამიღიმებდა კიდეც. ხან კი თავისთან მიხმობდა, როგორც ჩანს, ფიქრობდა, რომ გულღიად შეხვედრის ღირსი ვიყავი. მისტერ როჩესტერი ესწრაფოდა ასეთ შეხვედრებს, რადგან ეს საუბარი საღამოობით მასაც ისე სიამოვნებდა, როგორც მე.

მე, რასაკვირველია, შედარებით ცოტას ვლაპარაკობდი. სამაგიეროდ გატაცებით ვუგდებდი ყურს მის საუბარს. მისტერ როჩესტერი ბუნებით ტკბილმოუბარი გახლდათ. უყვარდა გამოუცდელი ადამიანისთვის ეჩვენებინა ამ ცხოვრების ყველა კუნჭული და გზები (მხედველობაში მაქვს ამ ცხოვრების არა გარყვნილი მხარეები და სიბოროტით აღსავსე ჩვევები, არამედ ის, რომელიც სრულიად სხვა, დიდ სამყაროს ასახავს და რომელსაც სრულიად სხვა მისწრაფებანი და უჩვეულო სიახლე ახასიათებს). ყურად ვიღებდი ჩემი პატრონის ახალ აზრებს; გონების თვალით ვუყურებდი მის მიერ დახატულ სურათებს; ფიქრით კი მივყვებოდი მას იმ ახალ სამყაროში, რომელსაც თანდათან ფარდას ხდიდა. დიდად მსიამოვნებდა ყოველივე ეს. არასოდეს, ერთი უადგილოდ ნათქვამი სიტყვითაც კი არ შეუშფოთებია ან შეუშინებია ჩემი სული. მისტერ როჩესტერის ბუნებრიობა მძიმე ბორკილებს მხსნიდა და თავს თავისუფლად ვგრძნობდი. ამ მეგობრულმა გულახდილობამ, გულწრფელობამ და გულთბილმა დამოკიდებულებამ მეტად დამაახლოვა მასთან. ზოგჯერ მეგონა, თითქოს ის ჩემი სისხლი და ხორცი იყო და არა ჩემი პატრონი. თუმცა ხანდახან მაინც თავს იჩენდა ხოლმე მისი მბრძანებლური ხასიათი, მაგრამ ამას ყურადღებას აღარ ვაქცევდი. ვგრძნობდი, ეს მას ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი, ჩემს არსებაში შემოჭრილმა ცხოვრების ამ ახალმა ინტერესმა იმდენად გამაბედნიერა, ბედს აღარ ვუჩიოდი და აღარც თვით უთვისტომობას ვნაღვლობდი. ბედისწერისა და ჩემი ცხოვრების მილეული მთვარე თითქოს გაივსო და გაიბადრა. სულიერი სიცარიელე გაქრა, ახალი ინტერესები გამიჩნდა, ფიზიკურად მოვმჯობინდი, მოვიკეთე და ძალაც მომემატა.

როგორ გგონიათ, კიდევ ულამაზო იყო ჩემთვის მისტერ როჩესტერი? სრულებითაც არა, მკითხველო. მადლიერებამ, მეგობრულმა სითბომ და სხვა უამრავმა საამო გრძნობებმა ის ყველაზე სასურველ ადამიანად აქციეს ამქვეყნად. ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლზე მეტად მათბობდა და სიმხნევეს

მმატებდა მისი ყოფნა ოთახში და მაინც არ მავიწყდებოდა მისი უარყოფითი მხარეებიც, არც შეიძლებოდა დამვიწყებოდა, რადგან ხშირად ავლენდა მათ. მისტერ როჩესტერი გახლდათ ამაყი, დამცინავი, მკაცრი ყოველი მასზე დაბლამდგომი ადამიანის მიმართ. გულის სიღრმეში ვგრძნობდი, რომ ჩემდამი ასეთი თბილი დამოკიდებულება სრულიად არ უშლიდა ხელს ზოგჯერ უსამართლოდ და მკაცრად მოპყრობოდა სხვებს. ძალიან ხშირად უმიზეზოდ ეცვლებოდა განწყობილება. ხშირად მომიხმობდა ხოლმე, რომ რაიმე წამეკითხა მისთვის და როცა მივსულვარ, მინახავს ბიბლიოთეკაში მარტოკა მჯდარა, თავჩაქინდრული და გულხელდაკრეფილი; თავს რომ ასწევდა, ვხედავდი, როგორ ჩაშავებოდა სახე მრისხანე, პირქუში გამომეტ-ყველებისაგან. ახლა მწამს, რომ მისი ხასიათის ცვალებადობა, სიმკაცრე და ძველი ცოდვები (ვამბობ ძველი-მეთქი, რადგანაც ახლა ის თითქოს გამოსწორდა), მისი ბედის უკუღმართობით იყო გამოწვეული. ისიც მწამდა, რომ ბუნებით მისტერ როჩესტერი უფრო კარგი მისწრაფებების, მაღალი იდეების, ფაქიზი გემოვნების ადამიანი უნდა ყოფილიყო, თუ არა გარემო პირობები, განათლება და მისი ბედის უკუღმართობა. ჩემი აზრით, მისტერ როჩესტერს შესანიშნავი ბუნებრივი საწყისები ჰქონდა, მაგრამ ამჟამად ერთმა-ნეთში არეული და გადაგვარების გზაზე დამდგარი. არ უარვყოფ, რომ მისი ვარამი, როგორიც უნდა ყოფილიყო ის, ჩემი ვარამი იყო; არც იმას უარვყოფ, რომ ყველაფერს გავიღებდი, მისთვის დარდი რომ გამექარვებინა.

სანთელი ჩავაქრე; საწოლში ჩავწექი, მაგრამ ძილი არ მეკარებოდა. არ მავიწყდებოდა მისტერ როჩესტერის გამომეტყველება. ხეივანში რომ შეჩერდა, მომიბრუნდა და მითხრა, თუ როგორ გამოეცხადა თავისი ბედი და აუკრძალა მას ბედნიერი ყოფილიყო თორნფილდში.

_ კი მაგრამ, რატომ? _ ვეკითხებოდი ჩემს თავს. _ რა აიძულებს მისტერ როჩესტერს თავის სახლს განერიდოს? ნეტავ კვლავ მალე დატოვებს აქაურობას? როგორც მისის ფეიერფექსმა მითხრა, ის ორ კვირაზე მეტხანს არასოდეს რჩება აქ, და ახლა კი, უკვე რვა კვირაა, რაც აქ არის. მართლა რომ წავიდეს, აუტანლად შეიცვლება ყველაფერი. ვთქვათ, მთელი გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა არ ჩამოვიდა, როგორ უხალისოდ ჩაივლიან მშვენიერი მზიანი დღეები.

ვერ გეტყვით, ასეთი ფიქრების შემდეგ ჩამეძინა თუ არა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უეცრად გამომაღვიძა რაღაც გაურკვეველმა, უცნაურმა და ავისმომასწავებელმა ლუღლუღმა, რომელიც, ჩემი აზრით, სწორედ ჩემი ოთახის ზევით გაისმა. ვნატრობდი, ნეტავ სანთელი არ გამექრო-მეთქი. უკუნი ღამე გამეფებულიყო ირგვლივ და ჩემს სულსაც მოსვენება დაეკარგა. წამოვიწიე და ლოგინში წამოვჯექი. სმენა დავძაბე, ხმა მიწყდა.

კვლავ ვცადე დამეძინა. მღელვარებისაგან გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. სულიერი სიმშვიდე გაქრა. შორს, ქვევით, დარბაზში საათმა ორჯერ დარეკა. სწორედ ამ დროს მომეჩვენა, თითქოს ვიღაც ხელის ცეცებით გზას იკვლევდა

ბნელ დერეფანში და ხელებით ჩემს კარებამდე მოვიდა. «ვინ არის?» _ ვიკითხე, პასუხი არ იყო. შიშის ჟრუანტელმა დამიარა.

უცებ გამახსენდა, რომ შესაძლებელია ეს პაილოტი ყოფილიყო. ძაღლი, როდესაც სამზარეულოს კარები შემთხვევით ღია დარჩებოდათ, ხშირად მიიპარებოდა ხოლმე მისტერ როჩესტერის ოთახისაკენ. მე თვითონ მინახავს ის კარებთან გაწოლილი დილით. ამ აზრმა ოდნავ დამამშვიდა. დავწექი. სიწყნარე ადამიანს მალამოდ ეფინება და, როდესაც სახლში კვლავ სიჩუმე გამეფდა, ვიგრძენი, თვალები ისევ მეხუჭებოდა. მაგრამ იმ ღამით, როგორც ჩანს, განგებამ ასე არ ისურვა. ის იყო ძილის ანგელოზი მოუახლოვდა ჩემს სასთუმალს, რომ შემზარავმა ხმამ დააფრთხო და შეშინებული შორს გაფრინდა.

დემონური სიცილი _ ხმადაბალი, შეგუბებული და ყრუ, თითქოს კარების გასაღების ჭუჭრუტანაში გაისმა. ჩემი საწოლი ისე იდგა, რომ თავი ახლოს მედო კარებთან. პირველად ისიც ვიფიქრე, ეს დემონურად მოხარხარე ბოროტი სული იქვე, ჩემს სასთუმალთან დგას და სწორედ ჩემს ბალიშებს ებღაუჭება-მეთქი. წამოვიწიე; მიმოვიხედე; მაგრამ ვერაფერი დავინახე. ვიდრე მე იქაურობას ვათვალიერებდი, ეს ზებუნებრივი ხმა განმეორდა. ახლა აშკარა იყო, ის ჩემი ოთახის კარების იქიდან მოდიოდა. პირველად დავაპირე წამოვმდგარიყავი და კარები კარგად ჩამეკეტა, მაგრამ ეს განზრახვა მეორე აზრმა შეცვალა: «ვინ არის?» _ დავიძახე.

რაღაც დუდუნისა და კვნესის ხმა შემომესმა, მალე ამას მოჰყვა ნაბიჯების ხმაც. ვიღაც მოდიოდა დერეფანში კიბეებისკენ. ამ კიბეებს, რომელსაც მესამე სართულზე ავყავდით, დიდი ხანი არ იყო, რაც კარები გაუკეთეს და კეტავდნენ. გავიგონე ამ კარების გაღებისა და დახურვის ხმა. შემდეგ ყველაფერი მიჩუმდა.

_ ნეტავ, გრეის პული იყო? ეშმაკი ხომ არ დაუფლებია? _ ვფიქრობდი ჩემთვის. აღარ შეიძლებოდა მარტო ოთახში დარჩენა. მისის ფეიერფექსთან უნდა წავსულიყავი, სასწრაფოდ გადავიცვი კაბა და შალი მოვისხი; აცახცახებული ხელით ურდული გამოვწიე და კარი გავაღე. გარეთ, დერეფანში, იატაკზე გაფენილ ფარდაგზე ანთებული სანთელი დაეტოვებინათ. ამ ამბავმა გამაოცა. მაგრამ ის უფრო გამიკვირდა, როდესაც ვიგრძენი, რომ იქაურობა ბურუსს მოეცვა და თითქოს ბოლით იყო სავსე. ვიდრე აქეთ-იქით ვიყურებოდი, რათა გამეგო, თუ საიდან გამოდიოდა ეს ლურჯი რგოლები, ძლიერი დამწვრის სუნიც ვიგრძენი.

რაღაცამ დაიჭრიალა, კარები გაიღო, ეს მისტერ როჩესტერის ოთახის კარები იყო. იქიდან გამოვარდნილმა კვამლის ღრუბელმა დაფარა იქაურობა, მისის ფეიერფექსი სულ გადამავიწყდა. აღარც გრეის პული და მისი სიცილი გამხსენებია. თვალის დახამხამების უმალ ოთახში გავჩნდი. ცეცხლის ალი გარს ევლებოდა საწოლს. ფარდებს ცეცხლი მოსდებოდა. ცეცხლის ალსა და ბოლში გახვეული მისტერ როჩესტერი გაუნძრევლად იწვა საწოლზე; მკვდარივით ეძინა.

_ გაიღვიძეთ! გაიღვიძეთ! _ ვიყვირე და ნჯღრევა დავუწყე. მაგრამ მან რაღაც ჩაილუღლუღა და გვერდი იბრუნა. ბოლმა გონება წაართვა, არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლებოდა. ცეცხლი უკვე ზეწარს მოსდებოდა, იქვე მდგომ ტაშტსა და დოქს მივვარდი, საბედნიეროდ, ერთი საკმაოდ დიდი აღმოჩნდა დ მეორე _ ღრმა, და ორივე _ წყლით სავსე. ხელი დავავლე და წყალი საწოლსა და მასზე მძინარეს დავასხი. შემდეგ ჩემს ოთახში შევირბინე, საკუთარი წყლის დოქი მოვარბენინე, ისიც საწოლს დავასხი და ღვთის შეწევნით, როგორც იქნა, ჩავაქრე ხანძარი, რომელიც იქაურობას განადგურებას უქადდა.

ცეცხლის ჩაქრობით გამოწვეულმა შხივილმა, დოქის მტვრევის ხმამ, რომელიც დაცლის უმალ გვერდზე ვისროლე და ყველაზე მეტად გულუხვმა წყლის აბაზანამ მისტერ როჩესტერი, როგორც იქნა, გამოაფხიზლა. თუმცა ბნელოდა, მისი უცნაური ბურტყუნით მივხვდი, რომ ეღვიძა. ბუზღუნებდა, ასეთ გუბეში რომ აღმოჩნდა.

_ წყალდიდობაა? _ დაიყვირა მან.

_ არა, სერ, _ ვუპასუხე. _ მაგრამ აქ ხანძარი იყო, გემუდარებით, ადექით, ალბათ გაიყინეთ. სანთელს მოგიტანთ.

_ ამ საქრისტიანოს ყველა ფერიას გაფიცებთ, მითხარით, მართლა ჯეინ ეარი ხართ? _ მიბრძანა მან. _ ეს რა გამიკეთე, ჯადოსანო, გრძნეულო ადამიანო? ვინ არის კიდევ ოთახში თქვენ გარდა? ჩემი დახრჩობა გქონდათ განზრახული?

_ სანთელს მოგიტანთ, სერ, ღვთის გულისათვის ადექით, როგორც ჩანს, რაღაც განუზრახავთ. იქნებ თქვენც მალე ვერ გაიგოთ, ვინ იყო ან რა ჰქონდა განზრახული.

_ კარგი, აი უკვე ავდექი. ოღონდ ერთხელ კიდევ გამოიჩინეთ სიმამაცე და სანთელი მოიტანეთ. მაგრამ მოიცადეთ ერთი წუთი, ვიდრე მშრალ ჩასაცმელს მოვნახავდე, თუკი სადმეა. ჰო, აი აგერაა ჩემი ხალათი. ახლა გაიქეცით.

მართლაც გავიქეცი. დერეფანში რომ იდგა, ის სანთელი მოვიტანე. მისტერ როჩესტერმა გამომართვა, მაღლა ასწია და დაათვალიერა ცეცხლისაგან მთლად გამურული და შეტრუსული საწოლი, გაწუწული ზეწრები და შენიშნა, რომ ხალიჩა წყლის გუბეში ცურავდა.

_ რა არის ეს? ვინ ჩაიდინა? _ იკითხა მან.

მოკლედ ვუამბე, რაც მოხდა. ვუამბე იმ უცნაურ სიცილზე, რომელიც დერეფანში მომესმა. ვუთხარი, როგორ გავიგონე მესამე სართულისაკენ მიმავალი ვიღაცის ნაბიჯების ხმა; როგორ ვიგრძენი ბოლი და დამწვრის სუნი, რომელმაც მის ოთახში ამომაყოფინა თავი; როგორ მდგომარეობაში დამხვდა ის და როგორ გადავასხი ყველა ჭურჭლიდან წყალი, რაზედაც კი ხელი მიმიწვდებოდა.

შუბლშეკრული მისმენდა. როცა ვუყვებოდი, მისი სახე მწუხარებას უფრო გამოხატავდა, ვიდრე გაოცებას. ამბავი დავამთავრე. ის კარგა ხანს დუმდა.

_ დავუძახო მისის ფეიერფექსს? _ ვკითხე მე.

_ მისის ფეიერფექსს? არა. რა ეშმაკად უნდა დაუძახოთ? დეე, ეძინოს მშვიდად.

_ მაშ, ლის დავუძახებ. ან ჯონს გავაღვიძებ, ან მის მეუღლეს.

_ არა, არც ერთი არაა საჭირო. მხოლოდ წყნარად იყავით. შალი ხომ გახვევიათ? თუ გცივათ, აი, იქ ჩემი წამოსასხამია და შეგიძლიათ აიღოთ. გაეხვიეთ შიგ და დაჯექით სავარძელში. მე თავად მოგახურავთ. ახლა კი, ფეხები რომ არ დაგისველდეთ, ამ პატარა სკამზე დააწყვეთ. რამდენიმე წუთით უნდა დაგტოვოთ. სანთელს თან წავიღებ. აქ იყავით, ვიდრე დავბრუნდები. თაგვივით გაიტრუნეთ. მეორე სართული უნდა დავათვალიერო. გახსოვდეთ, ადგილიდან ფეხი არ მოიცვალოთ და არც არავის დაუძახოთ.

წავიდა, ვხედავდი, როგორ თანდათან მიიწევდა წინ სინათლე. მისტერ როჩესტერმა ჩუმად გაიარა დერეფანი, რაც შეიძლება უხმაუროდ გააღო კიბეზე კარები, თავის უკან მიიხურა და სინათლის უკანასკნელი სხივიც გაქრა. დავრჩი უკუნეთ წყვდიადში. ამაოდ ვიქეცი სმენად. არავითარი ხმაური არ ისმოდა. დიდმა დრომ გაიარა. დავიღალე. მართალია, წამოსასხამში ვიყავი გახვეული, მაგრამ სიცივემ ამიტანა. გარდა ამისა, არ მესმოდა, რა საჭირო იყო ჩემი იქ ყოფნა, თუკი არავინ უნდა გამეღვიძებინა. ის იყო ვაპირებდი დამერღვია მისტერ როჩესტერის ბრძანება და ამით ვიცოდი გავაბრაზებდი, რომ სინათლის სხივი აციმციმდა დერეფნის კედელზე და მომესმა მისი ნაბიჯების ხმა. მისტერ როჩესტერი ჩუმად მოდიოდა დერეფანში გაფენილ ხალიჩაზე.

«იმედია, ისაა, _ გავიფიქრე, _ და არა ვინმე სხვა».

მისტერ როჩესტერი დაბრუნდა, გაფითრებული და ნაღვლიანი.

_ ყველაფერი გავარკვიე, _ თქვა მან. სანთელი პირსაბანზე დადგა. _ ყველაფერი ისეა, როგორც ვფიქრობდი.

_ როგორ, სერ?

არაფერი მიპასუხა. გულზე ხელდაკრეფილი იდგა და იატაკს დასცქეროდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მომიბრუნდა და საკმაოდ უცნაური ხმით მკითხა:

_ დამავიწყდა. თქვენ მითხარით, რომ ვიღაც ნახეთ, როდესაც ოთახის კარები გააღეთ?

_ არა, სერ. მხოლოდ ეს სასანთლე ვნახე იატაკზე.

_ მაგრამ გაიგონეთ უცნაური სიცილი? ვგონებ, ეს სიცილი ან რაიმე ამის მსგავსი თქვენ წინათაც გსმენიათ?

_ დიახ, სერ. აქ ცხოვრობს მკერავი ქალი _ გრეის პული. ასე ის იცინის ხოლმე. უცნაური ადამიანია.

_ სწორედ ასეა. ეს გრეის პულია. თქვენ გამოიცანით. ის ქალი, როგორც თქვენ თქვით, უცნაური ადამიანია, მეტად უცნაური, ვიფიქრებ ამ ამბავზე. ახლა კი ძალიან მიხარია, რომ თქვენ ერთადერთი ადამიანი ხართ, ჩემ გარდა, რომელმაც დაწვრილებით იცის ამ ღამეს მომხდარი ამბავი. თქვენ ხომ ყბედი არა ხართ: ნურაფერს იტყვით. თავად ავუხსნი მათ, რაშიც იყო საქმე

(მიმითითა საწოლზე). ახლა, შეგიძლიათ დაბრუნდეთ თქვენს ოთახში. ვიდრე გათენდება, ბიბლიოთეკაშიც კარგად დავიძინებ დივანზე. უკვე თითქმის ოთხი სრულდება. ორ საათში მოსამსახურეებიც გაიღვიძებენ და ადგებიან.

_ მაშ, ღამე მშვიდობისა, სერ, _ ვთქვი და წასასვლელად ავდექი.

გაოცება შევამჩნიე და უჩვეულოდ მეჩვენა. მან ხომ თვითონ მითხრა წავსულიყავი.

_ როგორ? _ წამოიძახა მან. _ უკვე მიდიხართ. და თანაც ასე?

_ თქვენ ხომ მითხარით, სერ, რომ შემიძლია წავიდე.

_ ოღონდ არა გამოუმშვიდობებლად. არა ასე უმოწყალოდ, ასე უსიტყვოდ. ერთი სიტყვით, არა ასე უცებ და ცივად. თქვენ ხომ გადამარჩინეთ. საშინელი, წამებით სიკვდილისაგან მიხსენით. ახლა კი ისე მიდიხართ, თითქოს სრულიად უცნობები ვიყოთ. ხელი მაინც ჩამომართვით.

ხელი გამომიწოდა. მეც გავუწოდე. მან ჯერ ერთი ხელით ჩამომართვა ხელი, მერე ორივეთი.

_ თქვენ გადამარჩინეთ. მსიამოვნებს, რომ თქვენგან ვარ ასე დიდად დავალებული. მეტს ვერაფერს გეტყვით. ვერ ავიტანდი, რომ რომელიმე სხვა ადამიანისგან ვყოფილიყავი ასე დავალებული. მაგრამ თქვენ! თქვენ სულ სხვა ხართ. თქვენი სიკეთე ტვირთად არ მაწევს, ჯეინ.

შეჩერდა. დამაკვირდა. ტუჩებზე აშკარად თრთოდნენ რაღაც სიტყვები, მაგრამ ხმა ჩაუწყდა.

_ კვლავ ღამე მშვიდობისა, სერ, არავითარ ვალზე, სიკეთეზე ან ტვირთზე არ შეიძლება ასეთ შემთხვევაში ლაპარაკი.

_ ვიცოდი, _ განაგრძო მან, _ ოდესმე რაღაც კარგს რომ გამიკეთებდით. ამაზე მეტყველებდნენ თქვენი თვალები, როდესაც პირველად გნახეთ. ამ თვალების გამოხედვამ და ღიმილმა ტყუილად კი არ (აქ ის კვლავ შეჩერდა)... ტყუილად კი არ (განაგრძო მან სწრაფად) მომგვარა შვება და განმინათა გულის ყველაზე მიყრუებული კუნჭული. ამბობენ, არსებობსო თანდაყოლილი სიკეთე; მფარველ ანგელოზზეც მსმენია: თურმე უბრალო არაკშიც არის სიმართლის მარცვალი. ღამე მშვიდობისა, ჩემო სანუკვარო მხსნელო.

უცნაური ძალა ჰქონდა მის ხმას და გამოხედვას _ საოცარი ცეცხლი.

_ როგორ მიხარია, რომ არ მეძინა, _ ვთქვი და წასვლა დავაპირე.

_ როგორ? წასვლა გინდათ?

_ მცივა, სერ.

_ გცივათ? ჰო, თქვენ ხომ გუბეში დგახართ. კარგი, წადით, ჯეინ, წადით! _ მაგრამ ჩემი ხელი კვლავ ხელში ეჭირა და არ მიშვებდა. მაშინ ეშმაკობას მივმართე.

_ ვგონებ, მისის ფეიერფექსის ხმა მესმის, სერ, _ ვთქვი მე.

_ კარგი, დამტოვეთ. _ ხელი გამიშვა და წავედი.

კვლავ დავწექი ჩემს საწოლში, მაგრამ ძილზე არც მიფიქრია. რიჟრაჟამდე მონანავე მღელვარე ზღვაში ვცურავდი. მშფოთვარე ტალღებს ბედნიერების ტალღები ენაცვლებოდნენ. ზოგჯერ მეჩვენებოდა, თითქოს ამ აბობოქრებულ

ტალღებს იქით მოჩანდა ნაპირი მშვიდი, მშვენიერი, სამოთხისებური. ხოლო დროდადრო მაცოცხლებელი ნიავი იმედით ფრთებშესხმული გამარჯვებული მიაფრენდა ჩემს სულს იმ ნაპირისაკენ; მაგრამ ოცნებაშიც კი ვერ ვაღწევდი იმ ნაპირს. იქიდან საპირისპირო სიო ქროდა და კვლავ უკან მაბრუნებდა. ჭკუა წინააღმდეგობას უწევდა ოცნებას, გონება ფრთხილობდა და იმორჩილებდა ვნებათაღელვას. იმდენად აფორიაქებული ვიყავი, რომ ვერ მოვისვენე და, როგორც კი ირიჟრაჟა, ავდექი.

თავი XVI

მეორე დღეს, მთელი ღამის უძილობის შემდეგ, ვნატრობდი შევხვედროდი მისტერ როჩესტერს და თან მეშინოდა კიდეც. მინდოდა მისი ხმა კვლავ გამეგო, მაგრამ მაკრთობდა მასთან პირისპირ შეხვედრა. დილით ადრე ყოველ წუთს ველოდი მის გამოჩენას. მართალია, არცთუ ისე ხშირი სტუმარი იყო, მაგრამ ხანდახან რამდენიმე წუთით მაინც დაგვათვალიერებდა ხოლმე სამეცადინო ოთახში. იმ დღეს რატომღაც ვფიქრობდი, აუცილებლად შემოვა-მეთქი.

დილამ ჩვეულებრივ ჩაიარა. არაფერი მომხდარა ისეთი, რასაც შეეძლო დაერღვია სიმშვიდე ადელის მეცადინეობის დროს. მხოლოდ საუზმის შემდეგ შემომესმა რაღაც ხმაური მისტერ როჩესტერის საწოლი ოთახის განის ოთახიდან. როგორც გავარჩიე, ეს იყო მისის ფეიერფექსის, ლის _ ჯონის მეუღლის, და თვით მზარეული ჯონის უხეში ხმა. გარკვევით გავიგონე წამოძახილები: «მადლობა ღმერთს, რომ ბატონი არ დაიწვა თავის საწოლში!», «ყოველთვის საშიშია ანთებული სანთლის დატოვება ოთახში ღამით!», «რა საბედნიეროდ გაახსენდა წყლით სავსე დოქი!», «მიკვირს, არავინ გააღვიძა!», «ნეტავ ხომ არ გაცივდა ბიბლიოთეკაში, სადაც მას დივანზე ეძინა ხანძრის შემდეგ».

საუბრის დროს ხმაური ისმოდა. ოთახს ალაგებდნენ და წმენდდნენ. როდესაც პირველი სართულისაკენ მივდიოდი სასადილოდ და მისტერ როჩესტერის ოთახს ჩავუარე, გაღებული კარებიდან დავინახე, რომ ყველაფერი უკვე დაელაგებინათ და სრული წესრიგი დაემყარებინათ. მხოლოდ საწოლისთვის ჩამოეხსნათ ფარდები. ლი ფანჯრის შუშებს წმენდდა. დავაპირე გამოვლაპარაკებოდი, რადგან მინდოდა გამეგო, როგორ აუხსნა მათ მისტერ როჩესტერმა წინა ღამით მომხდარი ამბავი. რამდენიმე ნაბიჯიც გადავდგი, მაგრამ ამ დროს ოთახში მეორე ადამიანიც შევნიშნე. ცეცხლის პირას სავარძელში იჯდა ვიღაც ქალი და ახალ ფარდებს რგოლებს აკერებდა. ეს ქალი სხვა არავინ იყო, თუ არა გრეის პული.

როგორც ყოველთვის, ის ახლაც მშვიდად იჯდა და ხმას არ იღებდა. ეცვა ყავისფერი შალის კაბა, კუბოკრული წინსაფარი ეკეთა, თეთრი მოსახვევი წამოესხა და თავზეც ჩაჩი ეხურა. იმდენად გართული იყო მუშაობით, რომ გეგონებოდათ, თავისი სამუშაოს მეტს ვერაფერს ხედავდა. მის ჯიუტ შუბლსა

და ჩვეულებრივ ნაკვთებს არც სიფერმკრთალე ეტყობოდა და არც ის სასო-წარკვეთა, რაც ხშირად გასცემს ხოლმე კაცისმკვლელს. არც ის იგრძნობოდა, რომ მის მიერ დასაწვავად განწირულმა კაცმა ბუნაგამდე მისდია და ფარდა ახადა მის ბოროტმოქმედებას. გავკვირდი. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა და იმ დროს, როდესაც ასე გაშტერებული შევცქეროდი, მან თავი ასწია და შემომხედა; არც შემკრთალა, არც სახის ფერი შესცვლია. მღელვარება არაფრით გაუმჟღავნებია; არც ის, რომ გრძნობდა თავის დანაშაულს და ეშინოდა, არ გამოაშკარავებულიყო ყველაფერი. ჩვეულებრივად უხალისოდ და მოკლედ მომესალმა: «დილა მშვიდობისა, მის!» აიღო რგოლი, ხვეულა და განაგრძო კერვა.

«მოდი, აბა, გამოვცდი, _ გავიფიქრე. _ არ მესმის, როგორ შეიძლება ასე შენიღბვა».

_ დილა მშვიდობისა, გრეის, _ მივესალმე, _ რა მოხდა აქ? ვგონებ, რაღაც ლაპარაკი მომესმა მსახურებისგან აქ სულ ცოტა ხნის წინ.

_ არაფერი. მხოლოდ ჩვენი პატრონი ღამით დაძინებამდე წიგნს ლოგინში კითხულობდა თურმე. ჩასძინებია და სანთელი ანთებული დარჩენია. ცეცხლი ფარდებს მოსდებია. საბედნიეროდ, ვიდრე საწოლი და ზეწრები ცეცხლში გაეხვეოდა, პატრონს გაღვიძებია და დოქში მდგარი წყლით მოუხერხებია ხანძრის ჩაქრობა.

_ რა უცნაური ამბავია, _ ჩავილაპარაკე ხმადაბლა. შემდეგ სახეში ჩავაცქერდი და ვუთხარი. _ მისტერ როჩესტერმა გააღვიძა ვინმე? არც არავის გაუგია მისი ამბავი?

მან კვლავ ასწია თავი და შემომხედა. ამჯერად მისი თვალები რაღაცის გარკვევას ცდილობდნენ თითქოს. როგორც ჩანს, ფრთხილად მათვალიერებდა. შემდეგ მიპასუხა:

_ თქვენც ხომ იცით, მოსამსახურეებს მისგან ისე შორს სძინავთ, ალბათ ვერაფერი გაიგეს, მისის ფეიერფექსისა და თქვენი ოთახებია მისტერ როჩესტერის საწოლ ოთახთან ყველაზე ახლოს; თუმცა მისის ფეიერფექსმა თქვა, არაფერი მსმენიაო. როდესაც ადამიანი ხანში შედის, მას ღრმად სძინავს ხოლმე. _ აქ შეჩერდა, და შემდეგ ვითომ გულგრილად, მაგრამ მრავლისმეტყველი ხმით ხაზგასმით დაუმატა, _ მაგრამ თქვენ ახალგაზრდა ხართ, მის, და ფხიზელი ძილიც გეცოდინებათ. თქვენ ალბათ გაიგონებდით ხმაურს?

_ დიახ, გავიგონე, _ ვთქვი და ხმას დავუწიე ისე, რომ ლის, რომელიც ჯერ კიდევ ფანჯრის შუშებს წმენდდა, არ გაეგო, _ და პირველად ვიფიქრე, პაილოტია-მეთქი, მაგრამ პაილოტს სიცილი არ შეუძლია, მე კი ნამდვილად შემომესმა სიცილი და საკმაოდ უცნაურიც.

მან აიღო საჭირო რაოდენობის ძაფი, გულმოდგინედ გასანთლა, ნემსში გაუყარა და შემდეგ სრულიად აუღელვებლად განაგრძო:

_ ვფიქრობ, მის, ძნელი დასაჯერებელია პატრონს გასცინებოდა, როდესაც ის ასეთ განსაცდელში იყო ჩავარდნილი. თქვენ ალბათ მოგეჩვენათ.

_ არ მომჩვენებია, _ ვუთხარი აღელვებულმა, რადგანაც მისმა უსირცხვილო გულგრილობამ ამანთო. გრეისმა კვლავ შემომხედა დაკვირვებით და სულში ჩამწვდომი მზერა მომაპყრო.

_ პატრონს უთხარით, რომ სიცილი შემოგესმათ? _ იკითხა მან.

_ ამ დილით შემთხვევა არ მომცემია დავლაპარაკებოდი მას.

_ არც კარის გაღება გიფიქრიათ ან ტალანში გახედვა? _ იკითხა შემდეგ.

გამოვიდა ისე, რომ აქეთ მაძლევდა შეკითხვებს და ცდილობდა დაეცდინა ის, რაც თვითონ არ იცოდა. უცებ თავში ერთმა აზრმა გამიელვა: თუ გაიგებს, რომ მე ვიცი, ან ეჭვი მაქვს მასზე, უდავოდ თავის საშინელ ოინს არც ჩემთვის დაინანებს-მეთქი. ვარჩიე, გავფრთხილებულიყავი.

_ პირიქით, _ წარმოვთქვი, _ კარი ჩავრაზე.

_ მაშ თქვენ კარს ურდულით არ კეტავთ, როცა იძინებთ?

«ეშმაკის კერძი! სურს ჩემი ჩვევები გაიგოს და თავისი გეგმებიც ამის შესაფერისად დააწყოს». აღშფოთებამ კვლავ სძლია სიფრთხილეს და უკმეხად ვუპასუხე:

_ აქამდე კარს ურდულით არ ვკეტავდი ხოლმე. ვფიქრობდი, არ იყო ეს საჭირო. არ ვიცოდი, რომ თორნფილდში ადამიანს რაიმე საფრთხე ან უსიამოვნება ემუქრებოდა, მაგრამ მომავალში (და მე განსაკუთრებით ხაზი გავუსვი ამ სიტყვებს) დაძინებამდე გულდაგულ შევამოწმებ, ყველაფერი კარგად მაქვს თუ არა დაკეტილი, რათა არაფრის მეშინოდეს.

_ ჭკვიანური აზრია, _ გავიგონე პასუხად. _ ისე კი ვიცი, რომ ამ არემარეში ისეთივე სიწყნარეა, როგორც ყველგან. რაც ეს სახლი აშენდა, არავის უცდია მისი გაქურდვა. თუმცა ყველამ იცის, რომ მის საჭურჭლეებში ასობით გირვანქა სტერლინგად ღირებული უამრავი ძვირფასი ვერცხლის ჭურჭელია. გარდა ამისა, თქვენც ხედავთ, რომ ამისთანა დიდ სახლს ძალიან ცოტა მოსამსახურე ჰყავს. მოგეხსენებათ, ჩვენი პატრონი დიდხანს არ რჩება ხოლმე აქ და როდესაც ჩამოვა, როგორც უცოლოს, ძალიან ცოტა რამ სჭირდება. ჩემი აზრით, გადაჭარბებული სიფრთხილე სჯობია მეტისმეტ გაუფრთხილებლობას. უმჯობესია, კარი მაშინვე ჩაკეტოთ, რადგანაც, ვინ იცის, რა უბედურება შეიძლება გეწვიოთ, მის. ხალხის უმრავლესობას ბედისწერა სწამს, ჩემი აზრით კი ბედისწერა მხოლოდ მაშინ გვწყალობს, როდესაც სწორად წარვმართავთ ჩვენს საქმეებს.

საუბარი ამით დაამთავრა. ისედაც ამდენი ლაპარაკი მისთვის უჩვეულო იყო. ლაპარაკობდა კვაკერისთვის დამახასიათებელი თავშეკავებულობითა და სერიოზულობით.

მე კვლავ ფეხზე ვიდექი უზომოდ გაოცებული და გაოგნებული მისი სასწაულებრივი თავდაჭერითა და უკიდურესი ფარისევლობით. სწორედ ამ დროს მზარეულიც შემოვიდა ოთახში.

_ მისის პულ, _ მიმართ მან: _ სადილი მსახურებისათვის მალე მზად იქნება. ხომ არ ჩამოხვალთ დაბლა?

_ არა, ჩემი კუთვნილი ლუდი და პუდინგის ნაჭერი დადეთ სინზე და მე თვითონ ამოვიტან მაღლა.

_ ხორცი არ გნებავთ?

_ მხოლოდ პატარა ნაჭერი და ცოტა ყველიც. მეტი არაფერი.

_ საგო?

_ ჯერ არა. მე თვით ჩამოვალ საუზმემდე და მოვიმზადებ.

მზარეული ახლა მე მომიბრუნდა, მითხრა, მისის ფეიერფექსი გიცდითო და მეც იქით გავეშურე.

სადილობისას მისის ფეიერფექსმა მიამბო იმ ღამეს მომხდარი ხანძრის ამბავი. მაგრამ ჩემამდე არ აღწევდნენ მისი სიტყვები. მე გრეის პულზე ვფიქრობდი და მაოცებდა მისი გამოცანად ქცეული საქციელი. ვერც ის გამერკვია, თუ რა ადგილი ეკავა ამ ქალს თორნფილდში. ჩემს თავს ვეკითხებოდი, იმავე დილით რატომ არ გააგზავნეს საპყრობილეში; ყოველ შემთხვევაში, ან რატომ არ დაითხოვეს სახლიდან-მეთქი. განა მისტერ როჩესტერმა თვით არ თქვა, რომ ეს ქალი იყო დამნაშავე? რა იდუმალი მიზეზი აბრკოლებდა მას, რომ არ ამხელდა მის დანაშაულს. რატომ მიბრძანა, მეც საიდუმლოდ შემენახა ყოველივე? უცნაური იყო. ეს მამაცი, ქედმაღალი ადამიანი, რომელიც ჯავრს არავის შეარჩენდა, როგორც ჩანს, მისი ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელო ხელქვეითის გავლენის ქვეშ იყო. თანაც იმდენად განიცდიდა მის გავლენას, რომ არამცთუ არ ცდილა საჯაროდ ემხილებინა მისი დანაშაული, არამედ არც კი დასაჯა, თუმცა ამ ქალმა ხელი აღმართა მის გასანადგურებლად.

გრეისი რომ ახალგაზრდა და ლამაზი ყოფილიყო, ალბათ ცდუნება დამძლევდა და ვიფიქრებდი, მისტერ როჩესტერს ამ ქალის მიმართ ნაზი გრძნობები უფრო ამოძრავებს, ვიდრე სიფრთხილე ან შიში-მეთქი. მაგრამ შეუხედავი მსახური დედაკაცის მიმართ ეს აზრი ძალას კარგავდა.

«თუმცა, _ განვაგრძობდი ფიქრს: _ სწორედ იმ დროს ჩვენი პატრონიც ხომ ჭაბუკი იყო. მისის ფეიერფექსმა აკი მითხრა ერთხელ, გრეისი აქ უკვე მრავალი წელია ცხოვრობსო. ჩემი აზრით, შეუძლებელია ის ოდესმე ლამაზი ყოფილიყო. რამდენადაც ვიცი, შეიძლება მას თავისებური, მტკიცე ხასიათი ჰქონოდა და ამით ფარავდა გარეგნულ ნაკლს. მისტერ როჩესტერს ხომ იზიდავს მტკიცე და უცნაური ბუნების ადამიანები. გრეისი კი, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ თავისებური და უცნაურია. წინათ ჩადენილი ერთ-ერთი ახირებული საქციელის გამო ხომ არ მოექცა, ნეტავ, მისტერ როჩესტერი ამ ქალის გავლენის ქვეშ (ეს ახირებულება კი სრულიად ბუნებრივია ასეთი სწრაფი და თავნება ადამიანისათვის). ნეტავ, ეს წინდაუხედავი ამბავი ხომ არ ზღუდავს მას და უქვემდებარებს თავის საქციელს. ახლა ეს ქალი ვეღარ მოუცილებია თავიდან და არც შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს?» აი ამ დროს ისე ნათლად წარმომიდგა მისის პულის კვადრატული, ბრტყელი სხეული, უსიამოვნო, გამოფიტული და უხეში სახე, რომ გავიფიქრე: «არა, ეს შეუძლებელია! შეუძლებელია ჩემი ვარაუდი მართალი იყოს. თუმცა, _ თავი

წამოყო იდუმალმა ხმამ, რომელსაც ყველას გულში აქვს დადებული ბინა, _ შენც არა ხარ ლამაზი და თითქოს მისტერ როჩესტერს მოსწონხარ. ყოველ შემთხვევაში, უკვე რამდენიმეჯერ იგრძენი, რომ ეს ასეა. წინა ღამით კი, გაიხსენე მისი სიტყვები, მისი მზერა, მისი ხმა!..»

შესანიშნავად მახსოვდა სიტყვებიც, მისი შემოხედვაც და ხმაც. ყოველივე კვლავ გაცოცხლდა ჩემში. ახლა მე სამეცადინო ოთახში ვიყავი. ადელი ხატავდა, დავიხარე, რომ დავხმარებოდი, ფანქარი სწორად სჭეროდა. მან შეშფოთებით ამომხედა.

_ «Qu'avez-vous, Mademoiselle»? _ თქვა მან, _ Vos doigts tremblent comme la feuille, et vos joues sont rouges; mais, rouges commedes ceries!"

როდესაც დავიხარე, სისხლი მომაწვა სახეში და დამცხა!

ადელმა ხატვა განაგრძო, მე კი _ ფიქრი.

ვცადე, გრეის პულთან დაკავშირებული ფიქრები სასწრაფოდ მომეცილებინა თავიდან. ეს ფიქრები მზარავდა. გონებაში შედარება მოვახდინე ჩემსა და იმ ქალს შორის, დავრწმუნდი, რომ სრულიად განვსხვავდებოდით ერთმანეთისაგან. განა ბესი ლივენმა არ მითხრა, მთლად ლედის დამსგავსებიხარო და ის მართალი იყო. მე მართლაც ლედი ვიყავი. თუმცა ახლა გაცილებით უკეთესად გამოვიყურებოდი, ვიდრე მაშინ, ბესიმ რომ მნახა. ფერი მომემატა და მოვიკეთე. ნათელმა იმედებმა, სასიამოვნო ცვლილებებმა ცხოვრების ხალისი შემმატა.

«საღამოვდება, _ ვთქვი და ფანჯრისკენ გავიხედე. _ დღეს მისტერ როჩესტერის ხმა არ გამიგონია, არც მისი ფეხის ხმისთვის მომიკრავს ყური. მაგრამ დაძინებამდე უდავოდ ვნახავ. დილით ეს შეხვედრა მაკრთობდა; ახლა _ მენატრება». დიდი ხნის ლოდინმა და თავშეკავებამ მოთმინების ფიალა ამივსო.

როდესაც მთლად დაბნელდა და ადელიც თავის ოთახში წავიდა სოფისთან სათამაშოდ, მისტერ როჩესტერთან შეხვედრის სურვილი გამიმწვავდა. სმენად ვიქეცი. ნეტავ, არ დაიწკრიალებს ზარი ქვევით, ან ლი არ გამოჩნდება, რომ დამიძახონ? ხანდახან მეჩვენებოდა, თითქოს თვით მისტერ როჩესტერი მოდიოდა. მაშინ კარებს არ ვაცილებდი თვალებს და ველოდი, სადაცაა კარი გაიღება და შემოვა-მეთქი. მაგრამ კარი კვლავ დახშული რჩებოდა. მხოლოდ სიბნელე შემოდიოდა ფანჯრიდან. ჯერ კიდევ გვიან არ იყო: მისტერ როჩესტერი ხშირად მიხმობდა შვიდ ან რვა საათზე, ახლა კი მხოლოდ ექვსი იყო. შეუძლებელია მოლოდინი გამიცრუვდეს ამ საღამოს, როდესაც ამდენი რამ მაქვს მისთვის სათქმელი! მინდოდა, კვლავ გრეის პულზე ჩამომეგდო ლაპარაკი, მაინტერესებდა, რას მიპასუხებდა. გადავწყიტე, პირდაპირ მეკითხა, დარწმუნებული იყო თუ არა, რომ სწორედ ამ ქალმა სცადა იმ საშინელი საქმის ჩადენა. თუ ეს ასე იყო, მაშ რატომ აფარებდა ხელს მის ბოროტებას. არ დავეძებდი, თუ ჩემი ცნობისმოყვარეობა გააღიზიანებდა. ჩემთვის უკვე ნაცნობი იყო მისი გაბრაზებაც და დამშვიდებაც. სწორედ ეს იყო, რაც უზომო სიამოვნებას მგვრიდა. მაგრამ ჩემს უტყუარ წინათგრძნობას არასოდეს არ

შევყავდი ძალიან შორს; არასოდეს ვაძლევდი თავს მეტისმეტის უფლებას. გარკვეულ ზღვრამდე კი ძალიან მომწონდა საკუთარი ზეგავლენის შეგრძნება ამ კაცზე. არ ვივიწყებდი ჩემს მდგომარეობას. ყოველთვის ვიცავდი საპატიო მანძილს, მაგრამ შემეძლო მასთან უშიშრად და თავისუფლად მეკამათა. ეს ჩვენ ორივეს გვსურდა.

როგორც იქნა, აჭრიალდა კიბე ვიღაცის ნაბიჯების ქვეშ, გამოჩნდა ლი. მაგრამ მან მხოლოდ ის მაცნობა, რომ ჩაი მზად არისო მისის ფეიერფექსის ოთახში. მეც იქით გავეშურე, მახარებდა, რომ დაბლა ჩასვლის საბაბი მომეცა. ვფიქრობდი, მისტერ როჩესტერთან ახლოს ვიქნებოდი.

_ ჩაი უთუოდ მოგინდებოდათ, _ მითხრა კეთილმა ქალმა, როდესაც შევედი. _ სადილზე ხომ თითქმის არაფრისთვის გიხლიათ ხელი. ვგონებ, _ განაგრძობდა ის: _ კარგად არა ხართ დღეს. ლოყები აგწითლებიათ, თითქოს გაციებთ.

_ ოჰ, სრულიად კარგად ვგრძნობ თავს. ასე კარგად არასოდეს არ ვყოფილვარ.

_ მაშ, ეს კარგი მადით უნდა დაამტკიცოთ. ხომ არ გააწყობთ ჩაის, ვიდრე ამ ერთ თვალს ჩავათავებდი?

როგორც კი საქმეს მორჩა, ფარდა ჩამოუშვა, რომელიც გადაწეული იყო. ალბათ უნდოდა სამუშაო დღის სინათლეზე დაემთავრებინა. ახლა ბინდბუნდი სიბნელეში გადადიოდა.

_ მშვენიერი ღამეა, _ თქვა შემდეგ და ფანჯარაში გაიხედა: _ თუმცა ვარსკვლავები არ ჩანს. საერთოდ კი მისტერ როჩესტერს კარგი დარი დაესწრო სამგზავროდ.

_ სამგზავროდ! განა მისტერ როჩესტერი სადმე წავიდა? არ მეგონა, რომ ის სახლში არ იყო.

_ ოჰ, ისაუზმა თუ არა, მაშინვე გაემგზავრა. ლიში წავიდა მისტერ ეშტონთან. ეს მილკოტიდან ათი მილითაა დაშორებული, მხოლოდ იქითა მხრიდან. დარწმუნებული ვარ, ახლა იქ მთელი მაღალი საზოგადოება მოიყრიდა თავს: ლორდ ინგრემი, სერ ჯორჯ ლინი, პოლკოვნიკი დენტი და სხვები.

_ ხომ არ ელოდებით მას ამ ღამით?

_ არა, არც ხვალ. ვფიქრობ, ერთ-ორ კვირას დარჩება იქ. ან შეიძლება მეტ ხანსაც. როდესაც ეს რჩეული მაღალი საზოგადოების ხალხი ერთად შეიყრება, მათ არ აკლიათ ფუფუნება, სიმხიარულე. ყველაფრით უზრუნველყოფილი არიან, რაც თვალს აამებს და ასიამოვნებს, ასე რომ, არც ჩქარობენ უკან დაბრუნებას. განსაკუთრებით ჯენტლმენებს უყვართ ასეთი დროსტარება. მისტერ როჩესტერი ისეთი მხიარულია, ისეთი სიხალისის შემტანი ამ საზოგადოებაში, რომ ყველასთვის საყვარელი ადამიანია. ქალებს ხომ ძალიან მოსწონთ. არ იფიქროთ, თითქოს ისინი არ ხედავდნენ მის გარეგნობას. მაგრამ, ჩემი აზრით, მისი ცოდნა, უნარი და, ალბათ, სიმდიდრე და გვარიშვილობა ფარავს მის გარეგნულ ნაკლს.

_ ლიში ქალებიც იქნებიან?

_ დიახ, მისის ეშტონი და მისი სამი ასული, მართლაც, მეტად მომხიბვლელი ქალიშვილები; ბრწყინვალე ბლანში და მერი ინგრემი _ ეს ულამაზესი ასულებიც იქ იქნებიან. ამ ექვსი თუ შვიდი წლის წინ ვნახე ბლანში, როდესაც ის თვრამეტი წლისა იყო. აქ ჩამოვიდა მისტერ როჩესტერის მიერ საშობაოდ გამართულ ბალზე. უნდა გენახათ იმ დღეს სასადილო ოთახი! რა მდიდრულად იყო მორთული, თვალისმომჭრელად გაჩირაღდნებული! ვგონებ, ორმოცდაათამდე ლედი და ჯენტლმენი ჰყავდა სტუმრად. ყველანი საუკეთესო საგრაფოებიდან. მის ინგრემი ამ ბალის დედოფალი იყო.

_ თქვენ ბრძანეთ, რომ ის ნახეთ, არა, მისის ფეიერფექს? როგორია?

_ დიახ, ვნახე. სასადილო ოთახის ყველა კარი ფართოდ იყო გაღებული. შობა იყო და მოსამსახურეებს უფლება მისცეს შესულიყვნენ ჰოლში და მოესმინათ, როგორ მღეროდნენ და უკრავდნენ ეს ქალბატონები. მისტერ როჩესტერმა ნება დამრთო ოთახში შევსულიყავი, მეც წყნარი კუთხე ამოვირჩიე, დავჯექი და ვათვალიერებდი მათ. ასეთი საუცხოო კრებული არასოდეს მენახა წინათ. ქალებს მდიდრულად ეცვათ. მათი უმრავლესობა, ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდების უმრავლესობა, მეტად მომხიბვლელი იყო. მის ინგრემი კი ამ წვეულების მართლაც რომ დედოფალი იყო.

_ როგორი იყო?

_ მაღალი, ლამაზი მკერდი, დაქანებული მხრები; აღერილი ყელი; მშვენიერი სახის ფერი, შავგვრემანი სუფთა სახე; კეთილშობილური ნაკვთები; თვალები მსგავსი მისტერ როჩესტერისა; დიდრონი, შავი თვალები, მისი ბრილიანტებივით მოელვარე თმაც მშვენიერი: ყორანივით შავი და მოხდენილად დავარცხნილი. კეფაზე მსხვილი ნაწნავების გვირგვინი; წინ კი _ მბზინვარე გრძელი კულულები, რომლის მსგავსი არაფერი მენახა მანამდე. თოვლივით ქათქათა სამოსი ეცვა. ქარვისფერი შარფი მხრებიდან მკერდზე გადმოდიოდა, წელზე ეკვროდა და მუხლებს ქვემოთ ფოჩებით მთავრდებოდა. კულულებში დაბნეული ასეთივე ფერის ყვავილი ლამაზად გამოირჩეოდა კუპრივით შავ თმებში.

_ რასაკვირველია, ყველა მოხიბლა, არა?

_ დიახ. მართლაც რომ ყველა აღტაცებული იყო არა მარტო მისი სილამაზით, არამედ მისი მოხდენილი ქცევითაც. სიმღერითაც არ ჩამორჩებოდა სხვა ქალებს, ვიღაც ჯენტლმენის აკომპანემენტით მან და მისტერ როჩესტერმა რაღაც დუეტიც შეასრულეს.

_ მისტერ როჩესტერმა? არ ვიცოდი, რომ მღერის.

_ როგორ არა. მშვენიერი ბანი აქვს და კარგადაც ერკვევა მუსიკაში.

_ მის ინგრემი? როგორი ხმა აქვს?

_ ძალიან ძლიერი და ლამაზი. მეტად საამოდ მღეროდა. მისი მოსმენა მხოლოდ სიამეს აგრძნობინებდა ადამიანს. შემდეგ თვით დაუკრა. მე მუსიკის ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ მისტერ როჩესტერს კარგად ესმის და გავიგონე, მან რომ თქვა, ბლანში საკმაოდ კარგად უკრავსო.

_ და ეს მშვენიერი და უნაკლო ლედი ჯერ არაა გათხოვილი?

_ როგორც ჩანს, არა. ვგონებ, არც მას და არც მის დას დიდი ქონება არ უნდა ჰქონდეთ. მოხუცი ლორდი ინგრემის თითქმის მთელი ქონება მაიორატის წესით მის უფროს ვაჟს გადაეცა.

_ მიკვირს, ნუთუ არც ერთ შეძლებულ კეთილშობილს ან ჯენტლმენს არ შეუყვარდა ის? თუნდაც მისტერ როჩესტერს? მისტერ როჩესტერი ხომ მდიდარია?

_ ოჰ, დიახ, ის მდიდარია. მაგრამ იცით, მათ შორის ასაკობრივად დიდი სხვაობაა. მისტერ როჩესტერი თითქმის ორმოცის ხდება. ის კი მხოლოდ ოცდახუთისაა.

_ მერე რა? განა ყოველდღიურად არ ხდება ამაზე უთანაბრო ქორწინებანი?

_ მართალია. მაგრამ არა მგონია, მისტერ როჩესტერი მომხრე იყოს ასეთი ქორწინებისა. მაგრამ თქვენ რატომ არაფერს ჭამთ? რაც მაგიდას შემოვუსხედით, ჩაის გარდა არაფრისთვის არ გიხლიათ ხელი.

_ გმადლობთ. ძალიან მწყურია და ჭამა არ შემიძლია. ხომ არ დამისხამთ კიდევ ერთ ფინჯან ჩაის?

კვლავ ვაპირებდი გამეგრძელებინა საუბარი მისტერ როჩესტერსა და მშვენიერ ბლანშს შორის შესაძლებელი ქორწინების შესახებ, რომ ამ დროს ადელი შემოვიდა და დიალოგმაც სულ სხვა მიმართულება მიიღო.

როდესაც კვლავ მარტო დავრჩი, ხელმეორედ დავიწყე ფიქრი მოსმენილზე. ჩემს გულში ჩავიხედე. ჩემი ფიქრები და გრძნობები შევამოწმე, შეუბრალებელი ხელით ვცადე ამელაგმა ეს გაბედული, ფუჭი ოცნება და კვლავ ჭეშმარიტების ჩვეულებრივ გზას დავბრუნებოდი.

საკუთარი სამსჯავროს წინ წარვდექი. მეხსიერება მხარს უჭერდა ყველა ჩემს იმედს, სურვილს, გრძნობას, რომელსაც მე გულით ვატარებდი წინა ღამის შემდეგ. გამახსენდა ჩემი სულიერი მდგომარეობა ამ ორი კვირის მანძილზე. მაგრამ აქ გონების თვალი წამოდგა და ჩვეული მშვიდი ხმით ნათლად და პირდაპირ, შეულამაზებლად გამოთქვა თავისი აზრი. გამახსენა, თუ როგორ უარვყავი სინამდვილე და გატაცებით მივენდე აუხდენელ ოცნებებს. ყოველივე ამის შედეგად მსჯავრი გამოვიტანე:

«ამქვეყნად არ დაბადებულა მეორე ისეთი სულელი ადამიანი, როგორც ჯეინ ეარია. არც ერთი იდიოტი ამაზე მეტად არ მოიტყუებდა თავს ასეთი ტკბილი სიცრუით. არ დაეწაფებოდა საწამლავს, თითქოს ის მაცოცხლებელი ნექტარით სავსე ფიალა იყოს».

_ ჰეი შენ, _ განვაგრძობდი მე, _ შენ გგონია, რომ მოეწონე მისტერ როჩესტერს? შენ შეგწევს ძალა, რომ მისტერ როჩესტერს ასიამოვნო? რაიმეს წარმოადგენ მისთვის? თავი დამანებე. შენი უგუნურება გულს მირევს. გახარებდა ის შემთხვევითი ორაზროვანი სიტყვები, თითქოს უპირატესობას განიჭებდა ეს ბრწყინვალე ოჯახისშვილი ჯენტლმენი, მაღალი საზოგადოების ადამიანი შენ, მის ხელქვეითსა და გამოუცდელ პიროვნებას? როგორ ბედავ? შე საბრალო ჩურჩუტო! ნუთუ საკუთარმა ინტერესებმა მაინც არ დაგაჭკვიანა?

მთელი დღე შენს გონებაში ნათლად ცოცხლობდა, არა, წინა ღამით მომხდარი პატარა ამბავი? დამალე სახე და უნდა გრცხვენოდეს! რაღაც ქების მსგავსი გითხრა პირში, არა? უჭკუო თოჯინავ! კარგად გაახილე ეგ ბინდგადაკრული თვალები, იფიქრე ამ შენს უბადრუკ უგუნურებაზე! არც ერთ ქალს არ მოუტანს სიკეთეს მასზე მაღლა მდგომი ადამიანის ქათინაურები, თუ ის მართლაც არ აპირებს მის ცოლად შერთვას. სიგიჟეა, თუ რომელიმე ქალი თავის გულში ამაო სიყვარულით დანთებულ ხანძარს ააგიზგიზებს. სიყვარული, რომელიც ცალმხრივია და გაუმხელელი, თვითონ სპობს თავის მასაზრდოებელს _ სიცოცხლეს. გამჟღავნების შემთხვევაში კი, თუნდაც მას სიყვარულითვე უპასუხონ, ის ემსგავსება შორს მოკიაფე სინათლეს, ტრამალებში რომ შეიტყუებს ადამიანს და უკანდასახევ გზას მოუჭრის.

_ მაშ, ჯეინ ეარ, მოისმინე შენი განაჩენი: ხვალ დილით აიღებ სარკეს, წინ დაიდგამ და დახატავ შენს სურათს _ ოღონდ ზუსტად: არც ერთ შენს ნაკლს არ შეალამაზებ; არ გამოტოვებ სახის არც ერთ უხეშ ხაზსაც კი; არ შეარბილებ შენი სახის უსწორო ნაკვთებს; ქვეშ მიაწერ: უთვისტომო, ღარიბი და უბრალო აღმზრდელის სურათი. შემდეგ აიღე სპილოს ძვლის ფირფიტა _ შენ გაქვს ის შენ სახატავ ყუთში, _ შენი პალიტრა, აურიე ყველაზე ახალი, კარგი და სუფთა საღებავები, აირჩიე ყველაზე კარგი აქლემის ბეწვის ფუნჯი, შექმენი ყველაზე მშვენიერი სახე, როგორიც კი შეგიძლია წარმოიდგინო; ყველაზე ნაზი ფერებითა და ლამაზი მურებით შეაფერადე. ეს სურათი უნდა ეთანხმებოდეს მისის ფეიერფექსის მიერ აღწერილ ბლანშ ინგრემს. გახსოვდეს, ყორანივით შავი ფერის კულულები, მოელვარე თვალები. როგორ? შენ გინდა ნიმუშად მისტერ როჩესტერის თვალები გამოიყენო? გიბრძანებ! არავითარი წუწუნი! არავითარი გრძნობა! არავითარი სინანული! მხოლოდ გონიერება და ნებისყოფის სიმტკიცე. არ დაივიწყო დიდებული და ამავე დროს სახის ჰარმონიული ნაკვთები, მშვენიერი ყელი და მოხდენილი გულ-მკერდი, გამოუჩინე მრგვალი, გასაოცრად ლამაზი მკლავები და ჩამოსხმული თითები; არ გამოგრჩეს არც ბრილიანტის ბეჭედი და არც სამაჯური; ზუსტად გადმოეცი ჩაცმულობა, უნაზესი ბაფთები და მბრწყინავი ატლასი, ლამაზი შარფი და მოყვითალო ვარდი. ამ სურათს უწოდე: ბლანში. მაღალი საზოგადოების დიდებული ასული.

მომავალში, თუკი შემთხვევით გულში გაივლებ აზრს, რომ მისტერ როჩესტერს მოსწონხარ, ამოიღე ეს ორივე სურათი და შეადარე ერთმანეთს; თქვი: _ მისტერ როჩესტერი უთუოდ დაიმსახურებს ამ კეთილშობილი ლედის სიყვარულს, თუკი ეცდება. ნუთუ შეიძლება მან რაიმე იფიქროს სერიოზულად ამ ღარიბ, შეუმჩნეველ მდაბიოზე. ასეც მოვიქცევი, გადავწყვიტე მე. ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დავმშვიდდი და ჩამეძინა.

სიტყვა შევასრულე. ერთი თუ ორი საათი საკმარისი აღმოჩნდა, ფერადი ფანქრებით დამეხატა საკუთარი პორტრეტი. თითქმის ორ კვირაში დავამთავრე მის ბლანშის სპილოს ძვლის მინიატურა. საკმაოდ მშვენიერი გამოვიდა. როდესაც ის შევადარე ჩემ მიერ შექმნილ საკუთარ პორტრეტს,

სხვაობა სწორედ ისეთი დიდი იყო, როგორიც ჩემს გონის თვალს უნდოდა. მუშაობამ ნაყოფი გამოიღო. გონება და ხელები გართულნი იყვნენ საქმით. ამან ძალა შემმატა და განმიმტკიცა ის გადაწყვეტილება, რომელიც მინდოდა წარუშლელად აღბეჭდილიყო ჩემს გულში.

სულ მალე ჩემს თავს მივულოცე. შევძელი ჩემი ფიქრები იმ წესისთვის დამემორჩილებინა, მალამოდ რომ მედებოდა. ამის წყალობით შევძელი სათანადო სიმშვიდით შევხვედროდი შემდგომ ამბებსაც. ეს ამბები რომ ადრე მომხდარიყო და ასე აღელვებული დავხვედროდი, უდავოდ არ მეყოფოდა ძალა, თუნდაც ზერელედ გადმომეცა ყოველივე.

თავი XVII

ერთმა კვირამ ისე გაიარა, მისტერ როჩესტერისა არაფერი ისმოდა. ათი დღეც გავიდა. ის ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო. მისის ფეიერფექსის თქმით, გასაკვირი არ იყო, თუ ის ლიიდან პირდაპირ ლონდონში წავიდოდა, იქიდან _ ევროპაში და, შეიძლებოდა, თორნფილდისკენ მთელი წლის განმავლობაში პირიც არ ექნა. მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო ასე უეცრად და მოულოდნელად გამგზავრება. ამის გაგონებაზე შემაჟრჟოლა და გულში რაღაც ჩამწყდა. იმედგაცრუების დამაუძლურებელი გრძნობა კვლავ მეუფლებოდა. გონება მოვიკრიბე, გავიხსენე ჩემი გადაწყვეტილება და გრძნობები დავიოკე. გამიკვირდა კიდეც, როგორ დავძლიე ეს დროებითი ცდუნება; როგორ მოვიშორე მცდარი ფიქრი, თითქოს მისტერ როჩესტერის საქციელს რაიმე სასიცოცხლო ინტერესი ჰქონოდა ჩემთვის. არ გეგონოთ, თავს იმით ვიმცირებდი, რომ მისი ხელქვეითი ვიყავი. პირიქით, ჩემს თავს ვუთხარი:

_ აბა, რა საქმე გაქვს თორნფილდის პატრონთან. შენ მხოლოდ ხელფასს ღებულობ მისტერ როჩესტერის შვილობილის აღსაზრდელად. გარდა ამისა, მადლობელიც უნდა იყო, ასე პატივისცემით და გულკეთილად რომ გეპყრობიან. უფლება გაქვს ასეთ მოპყრობას ელოდე, თუკი შენ მოვალეობას კეთილსინდისიერად შეასრულებ. დარწმუნებული იყავი, რომ მისტერ როჩესტერის აზრით მხოლოდ ასეთი კავშირი შეიძლება იყოს თქვენ შორის. ასე რომ, ნუ შესწირავ მას შენს ფაქიზ სიყვარულს, აღტაცებას, ნუ გაიწამებ თავს. ის შენი წრის არ არის. ზურგს ნუ უჩვენებ შენს გვარს. თავს პატივი ეცი და საკურთხეველზე ნუ მიიტან მთელ შენს სიყვარულს, სულს, გულს და ენერგიას მაშინ, როდესაც ეს არაა საჭირო, როდესაც ამას ვერ დააფასებენ და, შესაძლებელია, სიძულვილითაც კი უარყონ.

მშვიდად განვაგრძობდი ჩემს ყოველდღიურ საქმიანობას. ხანდახან, მართალია, ბუნდოვნად, მაგრამ თავში უკვე რაღაც აზრები მიტრიალებდა. ვცდილობდი დამესაბუთებინა ჩემ მიერ თორნფილდის დატოვების შესაძლებლობა. ჩემდა უნებურად ვიგონებდი განცხადებებს და ვფიქრობდი, სად ამომერჩია ახალი ადგილი. საჭიროდ არ ვთვლიდი განმედევნა ეს

ფიქრები. ისინი მაინც გაჩნდებოდნენ და ალბათ თავიანთ შედეგსაც გამოიღებდნენ.

უკვე ორ კვირაზე მეტი გავიდა, რაც მისტერ როჩესტერი არ ჩანდა. ერთ დღეს მისის ფეიერფექსმა ფოსტით წერილი მიიღო.

_ ეს პატრონისგან არის, _ თქვა მან, როდესაც მისამართს დახედა. _ ახლა გავიგებთ, უნდა ველოდოთ მას თუ არა.

დაბეჭდილი კონვერტი გახსნა და წერილის კითხვას შეუდგა. კითხულობდა გულდასმით. მე კი ყავის სმა განვაგრძე (ჩვენ ამ დროს ვსაუზმობდით); ყავა ცხელი იყო და ამიტომაც მომედო სახეზე ალმური. მაგრამ ხელი რაღად ამიცახცახდა? რატომ დამეღვარა ყავა ლამბაქზე? ამაზე ფიქრი არ მინდოდა.

_ იცით, ზოგჯერ ვფიქრობ, რა მეტისმეტად მიყრუებულად ვცხოვრობთ-მეთქი. მაგრამ ახლა დიდი საქმე გველის გარკვეული შემთხვევის გამო, რამდენიმე ხანს მაინც, _ თქვა მისის ფეიერფექსმა. წერილი კვლავ სათვალესთან ახლოს ეჭირა.

ვიდრე თავს ნებას მივცემდი შევკითხოდი, ადელს წინსაფარზე გახსნილი ბაფთები შევუბნიე, კიდევ ერთი ფუნთუშა მივაწოდე, ჭიქა ხელმეორედ შევუვსე რძით და მხოლოდ ამის შემდეგ ვკითხე გულგრილად.

_ ალბათ მისტერ როჩესტერი ჯერ კიდევ მალე არ დაბრუნდება?

_ პირიქით, დაბრუნდება და ძალიან მალე. სამ დღეში აქ იქნება, როგორც ის იწერება. ესე იგი, მომავალ ხუთშაბათს. თანაც მარტო არ მოდის. ნეტავ ლიიში თავმოყრილი მაღალი საზოგადოებიდან რამდენი აპირებს მასთან ერთად ჩამოსვლას. ბრძანებს, მზად დახვდეს ყველა საუკეთესო საწოლი ოთახი; გაკრიალდეს ბიბლიოთეკა და მისაღები ოთახები. მითვლის, მილკოტის სასტუმრო «ჯორჯიდან» ვიქირავო მზარეულები და, თუ შევძლებ, სხვა ადგილიდანაც. ქალბატონებს თავიანთი პირისფარეშნი მოჰყვებიან და მამაკაცებს _ მსახურნი. ასე რომ, სახლი მთლად გაივსება.

მისის ფეიერფექსის წინასწარმეტყველება გამართლდა. მომდევნო სამი დღის განმავლობაში ფუსფუსი წამით არ მიმწყდარა. აქამდე ვფიქრობდი, თორნფილდში ყველა ოთახში იდეალური სისუფთავე სუფევს და მშვენივრად არის ოთახები მოწყობილი-მეთქი. მაგრამ, როგორც ჩანს, ვცდებოდი. სამი ქალი დაიხმარეს. ისე ხეხავდნენ იქაურობას, ჯაგრისით რეცხდნენ, წმენდდნენ, ნოხებს ბერტყავდნენ, სარკეებსა და ჭაღებს აპრიალებდნენ, სურათებს ხან ხსნიდნენ და ხან ჰკიდებდნენ, ოთახებში აგიზგიზებულ ბუხრების წინ ისე ამზეურებდნენ ბუმბულის საბნებს, გადასაფარებლებს, რომ ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში არც წინათ და არც შემდეგ არ მინახავს. ადელი გიჟივით დარბოდა. სტუმრების დასახვედრად მზადებამ და ლოდინმა, როგორც ჩანს, ისიც ააღელვა. მან აიძულა სოფი, გადაეთვალიერებინა მთელი მისი «ტუალეტი», როგორც ის თავის კაბებს უწოდებდა. მოდიდან გამოსული კაბები განეახლებინა, გაემზეურებინა და ახლები დაემთავრებინა. თვითონ შენობის წინა მხარეს განლაგებულ ოთახებში დარბოდა, საწოლებზე ხტებოდა, წვებოდა

ლეიბებზე და ცეცხლის პირას დაგროვებულ მუთაქებსა და ბალიშებზე. მეცადინეობისაგან გავათავისუფლე. მისის ფეიერფექსმა მთხოვა, დავხმარებოდი; ამიტომაც მთელ დღეებს საკუჭნაოში ვატარებდი, ვეხმარებოდი ან ხელს ვუშლიდი მას და მზარეულს; ვსწავლობდი კრემის, ხაჭაპურისა და ფრანგული ნამცხვრის გაკეთებას, ფრინველის შეწვას, სადესერტო ლანგრების მორთვას.

სტუმრებს ხუთშაბათს, ექვსი საათისთვის ელოდნენ სადილად. მთელი ამ ხნის განმავლობაში ოცნების დრო აღარ მრჩებოდა. მახსენდება, ადელზე თუ აღარაფერს ვიტყვი, მეც სხვებივით საქმეში ვიყავი ჩაბმული და ვმხიარულობდი. თუმცა დროდადრო გულში რაღაც ჩამწყდებოდა თითქოს, ჩემდა უნებურად ეჭვების, ავისმომასწავებელი გრძნობების და შავბნელი ფიქრების სამყაროში ამოვყოფდი ხოლმე თავს. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მესამე სართულის კიბის კარი (რომელსაც ბოლო ხანს ყოველთვის კეტავდნენ) წყნარად გაიღებოდა და შემთხვევით თვალს მოვკრავდი, როგორ შემოვიდოდა გრეის პული გახამებული ჩაჩით, თეთრი წინსაფრითა და ხილაბანდით. ვხედავდი, როგორ მიდიოდა ტალანში. მისი რბილი ფაჩუჩები სულ მცირედ ხმაურსაც კი არ იწვევდა. ვამჩნევდი, როგორ ათვალიერებდა საწოლ ოთახებს, სადაც ყველაფერს ალაგებდნენ და ფუსფუსებდნენ. მივიდოდა ალბათ იმისთვის, რომ ორიოდე სიტყვით ესწავლებინა დაქირავებული ქალისთვის, როგორ გაეპრიალებინა მარმარილოს ბუხრის თავი, კედელზე გაკრული შპალერიდან ამოეწმინდა ლაქები და შემდეგ გზას განაგრძობდა. დღეში ერთხელ ჩავიდოდა სამზარეულოში, ისადილებდა, ბუხრის წინ პატარა ჩიბუხს გააბოლებდა და უკან ბრუნდებოდა: თან სურით თავის ჩაბნელებულ ბუნაგში სანებივროდ ლუდი აჰქონდა. დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ ერთ საათს თუ დაჰყოფდა ხოლმე თავისივე მსგავს ხელქვეითებთან. დანარჩენ დროს მესამე სართულზე თავის დაბალჭერიან, მუხის ხის პანელებიან ოთახში ატარებდა. აქ იჯდა ის უმეგობრო, როგორც საპყრობილეში გამოკეტილი პატიმარი და ქსოვდა, თან ალბათ თავისთვის საზარლად იცინოდა კიდეც.

ყველაზე მეტად ის მაკვირვებდა, რომ ჩემ გარდა არც ერთი ადამიანი ამ სახლში ყურადღებას არ აქცევდა მის ამ თვისებებს და, როგორც ჩანს, არც უკვირდათ. არავის არ მოსდიოდა აზრად ეფიქრა მის მდგომარეობასა და ადგილზე, არავინ იბრალებდა მას, ასეთი განდეგილი და მიტოვებული რომ იყო. ერთხელ ყური მოვკარი ლისა და დაქირავებული ქალის საუბარს. ისინი გრეის პულზე ლაპარაკობდნენ. ლიმ რაღაც თქვა, რაც ვერ გავიგე. დაქირავებულმა ქალმა ჰკითხა:

_ მე მგონი, კარგად უხდიან, არა?

_ დიახ, _ უპასუხა ლიიმ. _ ნეტავ მეც ამდენს მიხდიდნენ. არ იფიქროთ, ჩემს ხელფასზე ვწუწუნებდე. არა. თორნფილდში სიძუნწე არ სჩვევიათ. მაგრამ ჩვენ არ ვღებულობთ იმის მეხუთედსაც კი, რასაც გრეის პული. ის ფულს აგროვებს, ყოველ სამ თვეში ერთხელ მილკოტის ბანკში მიდის. მას ახლა საკმაოდ დიდი თანხა აქვს დაგროვილი, არ უნდა მიკვირდეს, მაგრამ წასვლა რომ უნდოდეს,

შეძლებდა დამოუკიდებლად ცხოვრებას. ალბათ მიეჩვია აქაურობას. გარდა ამისა, ჯერ ორმოცისაც არაა, ღონიერია, ჯანმრთელი და ყველაფერი შეუძლია. ჯერ მისთვის მეტისმეტად ნაადრევია საქმიანობას თავი ანებოს.

_ უნდა ითქვას, რომ საქმე კარგად იცის, _ თქვა დაქირავებულმა ქალმა.

_ კი, მან შესანიშნავად იცის თავის საქმე, _ უპასუხა ლიმ მრავალმნიშვნელოვნად. _ ბევრი ვერ შეძლებს მის ადგილას ყოფნას, თუნდაც იმ ფულისათვის, ის რომ იღებს.

_ რასაკვირველია, _ გავიგონე პასუხი. _ ნეტავ, პატრონი თუ...

მომუშავე ქალი აპირებდა გაგრძელებას, მაგრამ ამ დროს ლი მობრუნდა, თვალი მომკრა და მაშინვე მუჯლუგუნი ჰკრა თავის მოსაუბრეს.

_ არაფერი იცის? _ შემომესმა ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვები.

ლიმ თავი გააქნია და, რასაკვირველია, საუბარიც შეწყდა. მოსმენილმა ერთ რამეში დამარწმუნა: თორნფილდი რაღაც საიდუმლოებას ფარავდა. ამ საიდუმლოებას შეგნებულად მალავდნენ. დადგა ხუთშაბათი. ოთხშაბათს საღამოსთვის მთელი სამუშაო დამთავრდა. ხალიჩები გაფინეს, საწოლის ფარდები ლამაზად ჩამოაფარეს, ლოგინის გადასაფარებლები თეთრად ქათქათებდა. ტუალეტის მაგიდებზე ყველა საჭირო ნივთი ლამაზად დაალაგეს. ავეჯი გააკრიალეს, ყვავილებით სავსე ვაზები შემოიტანეს; საწოლი და მისაღები ოთახები სისუფთავით ბრწყინავდა. ამაზე მეტის გაკეთება ადამიანის ძალას აღემატებოდა. ჰოლიც ასევე ბრწყინავდა; მოჩუქურთმებული კედლის საათი, თვით კიბის საფეხურები და მოაჯირიც კი სარკესავით პრიალებდა. სასადილო ოთახში ჭურჭლის კარადა და შიგ მოთავსებული ვერცხლის ჭურჭელი თვალს ჭრიდა ადამიანს. სასტუმრო ოთახისა და ბუდუარის ყოველი მხრიდან უცხო მცენარეები იჭყიტებოდნენ.

საღამოვდებოდა. მისის ფეიერფექსმა საუკეთესო შავი ატლასის კაბა და ხელთათმანები ჩაიცვა, ოქროს საათიც კი გაიკეთა, რადგან სწორედ მას უნდა მიეღო სტუმრები და ქალბატონები მათთვის განკუთვნილ ოთახებამდე მიეცილებინა. ადელსაც სურდა გამოპრანჭვა. ვფიქრობდი, მას არ მიეცემოდა სტუმრებთან წარდგომის შესაძლებლობა, ყოველ შემთხვევაში, პირველსავე დღეს მაინც. მაგრამ გოგონას რომ გული არ დასწყვეტოდა, სოფის ნება დავრთე, ადელისათვის მოკლე ნაოჭებასხმული აბრეშუმის კაბა ჩაეცმია; თვითონ კი არ მიფიქრია, კაბა გამომეცვალა. ვიცოდი, იმ დღეს ჩემი სენაკიდან არ გამოვიდოდი (ასე ვუწოდებდი სამეცადინო ოთახს), რადგან იგი ახლა მართლაც სენაკად იქცა, «მწუხარების ჟამს საამო თავშესაფრად».

გაზაფხულის მშვიდი, თბილი დღე იყო. ერთი იმ დღეთაგანი, მარტის დამლევსა და აპრილის დასაწყისში რომ დგება და მზიანი დარი დედამიწაზე ზაფხულის მოახლოებას რომ გვამცნობს ხოლმე. დღე ილეოდა. თუმცა მოსაღამოვდა, მაგრამ მაინც თბილოდა. სამეცადინო ოთახში გაღებულ ფანჯარასთან ვიჯექი და ვსაქმიანობდი.

_ უკვე საღამოვდება, _ თქვა კაბის შარიშურით ჩემს ოთახში შემოსულმა მისის ფეიერფექსმა. _ რა კარგად მოვიქეცი, სადილი მისტერ როჩესტერისგან

ნაბრძანები ექვსი საათის ნაცვლად შვიდისთვის რომ მოვამზადებინე. ახლა უკვე შვიდის ნახევარია. ჯონი გავგზავნე ჭიშკართან, ნახოს, ხომ არ მოდიან. ჭიშკრიდან მილკოტისაკენ მიმავალი გზა კარგად მოჩანს. _ მისის ფეიერფექსი ფანჯარასთან მივიდა. _ აი, ისიც, _ წამოიძახა.

_ აბა, ჯონ, _ და ფანჯრიდან გადაიხედა, _ გამოჩნდნენ?

_ მოდიან, ქალბატონო, _ მოისმა პასუხი. _ ათ წუთში აქ იქნებიან.

ადელი ფანჯარას მივარდა. მეც მივყევი. ვცადე, ფარდას ისე მოვფარებოდი, რომ ყველაფერი დამენახა და თვითონ არ გამოვჩენილიყავი.

ჯონის ათი წუთი გაუთავებელი მეჩვენა. როგორც იქნა, გავიგონე ეტლების ბორბლების ხმაური. ოთხმა ცხენოსანმა შემოაჯირითა ცხენები საეტლე გზაზე. მათ ორი ღია კარეტა მოჰყვა. გაფრიალებულ პირბადეებსა და მოსართავ ბუმბულებისგან ეტლი არც კი ჩანდა. ორი ახალგაზრდა ცხენოსანი მხიარულად მოაგელვებდა ცხენებს, მესამე თვით მისტერ როჩესტერი იყო; თავის შავ ცხენზე, მესრურზე, იჯდა. წინ პაილოტი მორბოდა. მისტერ როჩესტერის გვერდით ვიღაც ლედი მოაჯირითებდა ცხენს. ეს ორნი მოუძღოდნენ დანარჩენთ. ქალის მეწამული ფერის საჯირითო სამოსი თითქმის მიწას სწვდებოდა. ნიავი გრძელ პირბადეს უფრიალებდა. მის გამჭვირვალე ნაკეცებს შორის ყორანივით შავი, მშვენიერი თმა ბზინავდა.

_ მის ინგრემი! _ წამოიძახა მისის ფეიერფექსმა და დაბლა, თავისი ადგილისკენ გაეშურა.

ცხენოსნები გადასახვევისკენ გაემართნენ. სწრაფადაც შეუხვიეს იქვე, სახლის კუთხეში და თვალს მიეფარნენ. ადელი მემუდარებოდა, დაბლა გამეშვა. მაგრამ მუხლზე დავისვი და ვცადე ამეხსნა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა იმ ქალბატონებთან მისვლა; არც ახლა და არც შემდგომ, ვიდრე არ დაუძახებდნენ, თორემ მისტერ როჩესტერი ძალიან განაწ-ყენდებოდა. კიდევ უამრავი რამ ვუთხარი. ატირდა პატარა, «ცრემლებად დაიღვარა», მაგრამ, როგორც კი მკაცრი გამომეტყველება მივიღე, დაწყნარდა და ცრემლები მოიწმინდა.

დარბაზიდან მხიარული ხმები და ხმაური ისმოდა. მამაკაცთა ბოხი და ქალების წკრიალა ხმები ერთმანეთში ჰარმონიულად ირეოდა. თორნფილდის მეპატრონის არცთუ ისე მაღალი, მაგრამ მჟღერი ხმა აშკარად გამოირჩეოდა. ის თავის ჭერქვეშ ღებულობდა კეთილშობილ და მშვენიერ სტუმრებს. კიბეებზე გაისმა მსუბუქი ფეხის ხმები. ასევე მსუბუქად მიმოდიოდნენ ტალანში. მესმოდა ნაზი და მხიარული სიცილი, კარის გაღებისა და დახურვის ხმა და დროდადრო სიჩუმე.

_Elles changent de toilettes, _ თქვა ადელმა, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს სტუმრების ყოველ მოძრაობას. შემდეგ ამოიოხრა:

_”Chez maman, თქვა მან, – quand il y avait du monde, je le suivais partout, au salon et à leurs chambres; souvent je regardais les femmes de chambre coffi et habiller les dames, c’etait si amusant: comme cela on apprend.

_ არ გშია, ადელ?

_Mais oui, Medemoiselle; voilà cinq ou six heures que nous n'avons pas mangè.

_ აბა, მაშ, ვიდრე ქალბატონები თავიანთ ოთახებში არიან, დაბლა ჩავალ და რამეს ამოვიტან.

ჩემი თავშესაფრიდან ფრთხილად გამოვედი, უკანა კიბეებს მივაშურე, საიდანაც პირდაპირ სამზარეულოში ჩავდიოდი. იქ ყველაფერს ალმური ასდიოდა. გამალებული ფუსფუსებდნენ. წვენი და თევზი თითქმის უკვე მზად იყო. მზარეული ისე დახრილიყო ცეცხლთან, გეგონებოდათ, სადაც არის თვითონაც ალი მოედებაო. მოსამსახურეთა ოთახში ორი მეეტლე და სამი მსახური დამხვდა. ამათგან ზოგი იდგა და ზოგნი ცეცხლს შემოსხდომოდნენ. პირისფარეშნი ალბათ ქალბატონებს ახლდნენ ზევით. მილკოტიდან დაქირავებული ახალი მოსამსახურეები ყველგან ფუსფუსებდნენ. ძლივს გავიკვლიე გზა ამ არეულ-დარეულობაში და ბოლოს საკუჭნაოს მივაღწიე. ავიღე წიწილა, პურის ნაჭერი, ნამცხვარი, ორი თეფში, დანა-ჩანგალი და ამ ნადავლით დატვირთული სასწრაფოდ უკან დავბრუნდი. უკვე ტალანში ვიყავი. ის იყო უკანა კიბის კარებს ვხურავდი, რომ ხმაური შემომესმა. ქალბატონები თავიანთ საწოლ ოთახებიდან გამოდიოდნენ. სამეცადინო ოთახამდე მათი ოთახების წინ უნდა გამევლო და სანოვაგით ასე დატვირ-თულს თუ დამინახავდნენ, უდავოდ გაოცდებოდნენ. ამიტომაც შევჩერდი. უფანჯრო ტალანში ჯერ ისედაც ბნელოდა, ახლა კი მზე ჩასული იყო. ბინდდებოდა და უკვე აღარაფერი ჩანდა იქ, სადაც მე ვიდექი.

ოთახებიდან ერთიმეორის მიყოლებით გამოდიოდნენ მშვენიერი სტუმრები. თითოეული მათგანი მხიარულად და მედიდურად გამოდიოდა. მათი კაბები ბრწყინავდნენ წყვდიადში. ერთხანს ტალანის მეორე ბოლოს შეჯგუფდნენ და თავშეკავებულად გაცხოველებით ბჭობდნენ რაღაცაზე. შემდეგ კი თითქოს გამჭვირვალე ნისლი ჩამოეშვა მთებიდანო, მსუბუქად ჩავიდნენ კიბეებზე. ამ კრებულმა მანამდე ჩემთვის განუცდელი მაღალი წარმოშობის სინატიფე მაგრძნობინა.

ადელს სამეცადინო ოთახის კარი გაეღო და იჭყიტებოდა.

_ რა ლამაზები არიან! _ წამოიძახა მან ინგლისურად. _ ნეტავ შეიძლებოდეს მათთან მისვლა! როგორ ფიქრობთ, მისტერ როჩესტერი მიგვიწვევს სადილის შემდეგ?

_ რასაკვირველია, არა. მისტერ როჩესტერს უამრავი საზრუნავი აქვს. ამ საღამოს ნუ ფიქრობ მათზე. ხვალ, შესაძლებელია, მიხვიდე მათთან. ახლა კი აი, შენთვის სადილი.

მართლაც, მოშიებოდა, წიწილამ და ნამცხვარმა ცოტა ხნით მისი ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანა. სოფისაც გავუზიარე ჩვენი სადილი. რა კარგად მოვიქეცი, რომ სადილზე ვიზრუნე, თორემ ადელი, მეც და სოფიც უსადილოდ დავრჩებოდით. დაბლა ყველას თავბრუ ჰქონდა დახვეული და ჩვენთვის არ ეცალათ. დესერტი მხოლოდ ცხრა საათის შემდეგ მიიტანეს. ათ საათზეც კი მოსამსახურენი ჯერ კიდევ წინ და უკან დარბოდნენ ლანგრებით და ყავის ფინჯნებით. ადელს ნება დავრთე, ჩვეულებრივზე გვიან დაეძინა.

მისი თქმით, აბა როგორ დაიძინებდა, ვიდრე ისმოდა კარების გაღებისა და დახურვის ხმა და ხალხის ფუსფუსით გამოწვეული ხმაური, გარდა ამისა, _ ამბობდა ის: _ მისტერ როჩესტერმა რომ ვინმე გამოგზავნოს და მე გახდილი დავხვდეო, «et alors, quel dommage!»

ვუამბობდი სხვადასხვა ამბებს, ვიდრე მოსმენის თავი ჰქონდა, შემდეგ კი გახალისების მიზნით ტალანში გამოვიყვანე. ჰოლი გაეჩირაღდნებინათ. ადელი გაერთო, მოაჯირიდან გადაჰყურებდა მოსამსახურეებს, წინ და უკან რომ დარბოდნენ. უკვე საკმაოდ გვიან იყო, როდესაც მისაღებ ოთახიდან, სადაც როიალი გადაეტანათ, მოისმა მუსიკის ხმები. ადელი და მე კიბის დასაწყისში საფეხურებზე ჩამოვსხედით და ვუსმენდით. გაისმა მშვენიერი მუსიკა და სიმღერა. რომელიღაც ლედი მღეროდა. მეტად სასიამოვნო ხმა ჰქონდა, სოლოს დუეტი მოჰყვა, მას _ მხიარული სიმღერა. შუალედებში მხიარული საუბრით გამოწვეული ჟრიამული ისმოდა. დიდხანს ვუგდებდი ყურს. უცებ მივხვდი: სმენას ვძაბავდი, რათა ეს ერთმანეთში არეული ხმები გამერკვია, სხვადასხვა კილოთი წარმოთქმულ სიტყვებში მისტერ როჩესტერის ხმა გამომეცნო. ჩემმა სმენამ ეს მართლაც შესძლო. ახლა უკვე სხვა საზრუნავი გამიჩნდა: გამეგო წინადადებები თუ არა, ცალკეული სიტყვები მაინც.

საათმა თერთმეტი დარეკა. ადელს გადავხედე. მას თავი ჩემს მხარზე ედო. თვალებს ძლივს ახელდა. ხელში ავიყვანე და თავის საწოლში ჩავაწვინე, ღამის პირველი საათი იქნებოდა, სტუმრები რომ დაიშალნენ და თავიანთი ოთახებისკენ გაეშურნენ.

მეორე დღემაც ასევე მხიარულად გაიარა. სტუმრებმა თორნფილდის მეზობლად მდებარე ადგილები დაათვალიერეს. დილით ადრე გაუდგნენ გზას, ზოგნი ცხენებით და დანარჩენნი _ კარეტებით. არც მათი წასვლა გამომპარვია და არც დაბრუნება. როგორც პირველ დღეს, ახლაც მის ინგრემი იყო ცხენოსანი ქალთაგან, კვლავ მისტერ როჩესტერი მიაგელვებდა მის გვერდით ცხენს. ეს წყვილი დანარჩენებისგან ოდნავ მოშორებით მიქროდა. ამ გარემოებაზე მივუთითე მისის ფეიერფექსს, რომელიც ჩემთან ერთად იდგა ფანჯარასთან.

_ თქვენ ბრძანეთ, რომ საეჭვოა ისინი დაქორწინდნენო, _ ვუთხარი მას. _ მაგრამ ხედავთ, რომ მისტერ როჩესტერი სხვებთან შედარებით მას აძლევს აშკარა უპირატესობას

_ დიახ, უნდა გითხრათ, რომ მართალი ხართ. უეჭველია, აღტაცებულია მის ინგრემით.

_ და მის ინგრემიც მოხიბლულია, _ დავუმატე, _ შეხედეთ, როგორ იხრება მისკენ, თითქოს საიდუმლოდ რაღაცაზე საუბრობენო: ნეტავ შემეძლოს დავინახო მისი სახე. ჯერ თვალიც არ მომიკრავს მისთვის.

_ ამ საღამოს ნახავთ, _ მიპასუხა მისის ფეიერფექსმა. _ შემთხვევით ვუთხარი მისტერ როჩესტერს, თუ როგორ ნატრობს ადელი სტუმრების ნახვას და მან მითხრა: მაშინ გამოუშვით მისაღებ ოთახში, ნასადილევს. სთხოვეთ მის ეარს, თვით ჩამოიყვანოს ადელი!

_ ეს, რასაკვირველია, თავაზიანობამ ათქმევინა. დარწმუნებული ვარ, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, რომ ჩავიდე, _ ვუპასუხე.

_ იცით, მისტერ როჩესტერს მოვახსენე, რომ თქვენ არა ხართ ჩვეული ასეთ საზოგადოებას და, ჩემი აზრით, არ მოისურვებს ასეთი მხიარული სტუმრების წინაშე წარდგენას-მეთქი; თანაც სულ უცნობების წინაშე. მან კი თავისებურად სწრაფად მომიგო _ სისულელეა! თუ უარს იტყვის, გადაეცით, რომ ეს ჩემი პირადი სურვილია. და თუ კვლავ იუარებს, უთხარით, რომ თვით მივალ და ძალით ჩამოვიყვან!

_ ასე არ შევაწუხებ, _ ვუპასუხე. _ თუ სხვანაირად არ ხერხდება, რა გაეწყობა,, მაგრამ ძალიან არ მინდა ჩასვლა. თქვენ იქ იქნებით, მისის ფეიერფექს?

_ არა. მისტერ როჩესტერს ვთხოვე, გავეთავისუფლებინე და უარი არ მითხრა. ახლა გეტყვით, როგორ აიცილოთ თავიდან მათ წინაშე გამოჩენით გამოწვეული დაბნეულობა; ეს ხომ ყველაზე უსიამოვნოა. ვიდრე სტუმრები მაგიდიდან აიშლებიან და მისაღებ ოთახში არავინ იქნება, შედით შიგ და ამოირჩიეთ წყნარი კუთხე. თუ თქვენთვის სასიამოვნო არ იქნება იქ ყოფნა, როდესაც მამაკაცებიც შემოვლენ, შეგიძლიათ, გამოხვიდეთ. მხოლოდ მისტერ როჩესტერმა გნახოთ, რომ იქ ხართ და შემდეგ როგორმე გამოდით. თქვენ წამოსვლას არავინ შენიშნავს.

_ როგორ ფიქრობთ, დიდხანს აპირებენ დარჩენას?

_ ალბათ, ორ ან სამ კვირას. მეტს კი აღარ დარჩებიან. სააღდგომო დასვენების შემდეგ სერ ჯორჯ ლინი, რომელიც ამ ბოლო დროს პარლამენტის წევრად აირჩიეს მილკოტიდან, უნდა გაემგზავროს და თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგეს. მისტერ როჩესტერიც ალბათ თან გაჰყვება. მიკვირს, ამდენ ხანსაც რომ დარჩა თორნფილდში.

გულის კანკალით ველოდი იმ წუთს, როდესაც ჩემ აღსაზრდელთან ერთად მისაღებ ოთახში უნდა ჩავსულიყავი. ადელმა, როგორც კი გაიგო, იმ საღამოს სტუმრებთან ჩასვლის ნება მეძლევაო, მთელ დღეს ვერ მოისვენა, ღელავდა. მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა სოფიმ სასტუმროდ გამოპრანჭვა დაუწყო. მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, როგორ ჩააცმევდნენ და ამ ამბავმა მთლად შეიპყრო, თმა ლამაზად დავარცხნეს; კულულები მხრებზე ეფინებოდა: ჩააცვეს ვარდისფერი ატლასის კაბა; სარტყელი გამოუბაფთეს; მაქმანის ხელთათმანებიც მოარგეს. გოგონამ მსაჯულივით სერიოზული გამომეტყველება მიიღო. საჭიროც არ იყო, გვეთქვა, კაბას გაფრთხილებოდა, კოხტად ყოფილიყო. ჩააცვეს თუ არა, თავის პატარა სკამზე ფრთხილად ჩამოჯდა, ატლასის კაბა აიწია, რომ არ დაჭმუჭნოდა და მარწმუნებდა: არ გავინძრევი, ვიდრე თქვენც მზად არ იქნებითო. ჩემ ჩაცმას დიდი დრო არ დასჭირვებია. ჩავიცვი ჩემი საუკეთესო კაბა (ვერცხლისფერი, მის ტემპლის ქორწილისთვის რომ ვიყიდე და შემდეგ აღარც ჩამიცვამს), თმა სადად დავივარცხნე; ჩემი ერთადერთი სამკაული _ მარგალიტის გულსაბნევი _ გავიკეთე და ჩავედით.

ჩემდა საბედნიეროდ, მისაღებ ოთახში მეორე კარებითაც შეიძლებოდა შესვლა, ისე რომ, იმ ოთახში არ გაგვევლო, სადაც სტუმრები სადილობდნენ. ოთახში მართლაც არავინ დაგვხვდა, მარმარილოთი მოპირკეთებულ ბუხარში ცეცხლი უხმაუროდ ენთო. ოთახს მხოლოდ თაფლის სანთლები ანათებდნენ. სანთლები ყვავილებს შორის ციმციმებდნენ, მაგიდა მშვენიერი ყვავილებით მოერთოთ. თაღიდან ალისფერი ფარდა ეშვებოდა, სასადილო ოთახში ისე ხმადაბლა საუბრობდნენ, რომ მიუხედავად იმ თხელი ფარდისა, რომელიც ჩვენ გვყოფდა, შეუძლებელი იყო რაიმე გამეგო. ისმოდა მხოლოდ მშვიდი, თავშეკავებული ჟრიამული. ამ საზეიმო განწყობილების გავლენით ადელი წყნარად, უსიტყვოდ ჩამოჯდა ჩემ მიერ მითითებულ პატარა სკამზე. მე ფანჯრის ახლოს სკამზე მოვთავსდი, ერთ-ერთი მაგიდიდან რაღაც წიგნი ავიღე და ვცადე, თავი კითხვით გამერთო. ადელმა თავისი სკამი ჩემს ფერხთით დადგა. უცებ მუხლზე შემახო ხელი.

_ რა იყო, ადელ?

_Est-ce que je ne puis pas prendre une seule de ces fleurs magnifiques Mademoiselle? Seulement pour compléter ma toilette?

_ ადელ, ძალიან ბევრს ფიქრობ შენს მორთულობაზე, მაგრამ ყვავილი შეიძლება აიღო.

ვაზიდან ერთი ვარდი ამოვიღე და გოგონას კაბის ბაფთაზე დავუბნიე. ენით გამოუთქმელი კმაყოფილებით ამოიოხრა; თითქოს მისი ბედნიერების ფიალა ახლა პირამდე სავსე ყოფილიყო. ღიმილი ვერ შევიკავე და მას რომ არ შეემჩნია, სახე ვიბრუნე. იყო რაღაც სასაცილო და თანაც სავალალო ჩაცმისადმი ამ პატარა პარიზელის მისწრაფებასა და თანდაყოლილ სიყვარულში.

წყნარმა ხმაურმა გვაუწყა სტუმრების მაგიდიდან აშლა. თაღიდან ფარდა გადასწიეს. გამოჩნდა სასადილო ოთახი. დიდი ჭაღი უხვად ჰფენდა სინათლეს ვერცხლისა და ბროლის შესანიშნავ ჭურჭელს, რომლითაც დესერტი შემოეტანათ გრძელ მაგიდაზე. გამოჩნდა ქალთა ჯგუფი. ისინი მისაღებ ოთახში შემოვიდნენ და ფარდაც ჩამოეშვა.

რვანი იყვნენ, მაგრამ ისე გუნდურად შემოფრთხიალდნენ ოთახში, გაცილებით მეტი გეგონებოდათ. ზოგიერთი მათგანი ტანწერწეტა იყო. უმრავლესობა თეთრებში იყო გამოწყობილი. ამ კაბების სითეთრეში ისე მკვეთრი იყო მათი დიდებულება, როგორც მთვარისა ნისლში. წამოვდექი და მივესალმე. ერთმა თუ ორმა მიპასუხა სალამზე. დანარჩენებმა მხოლოდ შემომხედეს.

ქალები ოთახში მიმოიფანტნენ. მსუბუქი და ნარნარი მოძრაობებით თეთრფრთიან ჩიტებს ჰგავდნენ. ზოგი დივანსა და რბილ სავარძლებში ნახევრად გადაწვა. ზოგი მაგიდასთან მივიდა. წიგნებსა და ყვავილებს დაუწყეს სინჯვა; დანარჩენნი ცეცხლის პირას შეგროვდნენ. ყველა ხმადაბლა, მაგრამ მკაფიოდ ლაპარაკობდა. როგორც ჩანს, ასე სჩვეოდათ. მათი სახელები შემდგომ გავიგე, მაგრამ ახლავე სახელებით გაგაცნობთ.

პირველად მისის ეშტონსა და მის ორ ქალიშვილს წარმოგიდგენთ. ეტყობოდა, თავის დროზე ლამაზ ქალად ითვლებოდა მისის ეშტონი, არც ახლა აკლდა სილამაზე. უფროსი ასული, ემი, შედარებით დაბალი იყო. გულუბრყვილო ბავშვივით სახე ჰქონდა, ქცევები და აღნაგობაც ბავშვს მიუგავდა. მეტად შვენოდა ცისფერბაფთიანი თეთრი აბრეშუმის კაბა. მის დას, ლუიზას, უფრო მაღალსა და მოხდენილ ქალიშვილს, მშვენიერი სახე ჰქონდა. ფრანგები რომ minois chiffonné-ს უწოდებენ ხოლმე. დები მინდვრის შროშანებს ჰგავდნენ.

ლედი ლინი _ ორმოცი წლის მსუქანი, სრული, ქედმაღალი ქალი წელში გამართული დადიოდა. ეცვა მდიდრული, საუცხოო ფერებად მოლივლივე კაბა. მის შავ თმებს ლაჟვარდისფერი ფრთები და ძვირფასი ქვების მანიაკი ბრწყინვალებას კიდევ უფრო მატებდა.

მისის დენტი, პოლკოვნიკის მეუღლე, არ იყო მაინცდამაინც ლამაზი. უფრო კეთილშობილი მეჩვენა. სუსტი აგებულების, ფერმკრთალი, ნაზი სახითა და ოქროსფერი თმებით. ამ ქალის შავი ატლასის კაბა, ძვირფასი, უცხოური მაქმანით შემოვლებული შარფი, მარგალიტის სამკაულები უფრო მომწონდა, ვიდრე ამ დიდგვაროვანი სტუმრების ელვარე ფერადი ჩაცმულობა.

სტუმრებიდან ყველაზე მეტად სამნი გამოირჩეოდნენ. შესაძლებელია იმიტომ, რომ ყველაზე მაღლები იყვნენ. ესენი გახლდათ ლორდ ინგრემის ქვრივი ლედი ინგრემი თავისი ორი ასულით: ბლანშითა და მერით. ეს სამეული ტანკენარობით ყველა დანარჩენ იქ მყოფთ ჩრდილავდა. ქვრივი ორმოც წელს გადაცილებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მის წერწეტ ტანისთვის წლებს ვერაფერი დაეკლო. თმაში ჯერ კიდევ არ გარეოდა ჭაღარა (ყოველ შემთხვევაში, სანთლის შუქზე ასე ჩანდა); კბილებიც მშვენიერი ჰქონდა. ხალხი ალბათ მას დიდებულ ქალად თვლიდა ასაკის შესაფერად. მართლაცდა, გარეგნულად ასე იყო. მაგრამ სახის გამომეტყველებასა და საქციელში აუტანელი ამპარტავნობა იგრძნობოდა. რომაული ნაკვთები ჰქონდა; ორმაგი ნიკაპი, რომელიც მის ღაბაბს თითქოს საყრდენივით ებჯინებოდა. ეს ნაკვთები სიამაყისაგან გაბღენძილად, ჩამუქებულად და დაღარულად მეჩვენა. ნიკაპსაც კი ეტყობოდა ეს მედიდურობა. თითქოს არაბუნებრივად სწორი იყო. თვალებშიც ასეთივე სიმკაცრე და სიცივე ელავდა. საოცრად მაგონებდა ის მისის რიდის გამომეტყველებას. დიდი პრანჭვით ლაპარაკობდა. ხმა დაბალი, ტონი კი მბრძანებლური ჰქონდა. ლაპარაკობდა მაღალფარდოვნად. ერთი სიტყვით, აუტანელი პიროვნება იყო. ალისფერი ხავერდის კაბა ეცვა, თავზე ოქრომკედით ნაკერი ინდური ჩალმა ეხურა. ეს კი (ვფიქრობ, თვითონ ასე ეგონა) ნამდვილ მეფურ იერს აძლევდა.

ბლანში და მერი ერთნაირად მაღლები იყვნენ. ალვის ხესავით ტანკენარნი. მერი თავის სიმაღლესთან შედარებით გამხდარი იყო. ბლანში კი ღმერთქალ დიანას ჰგავდა. რასაკვირველია, მას ვათვალიერებდი დიდი ინტერესით. ჯერ ერთი, მინდოდა გამეგო, სწორად აღწერა თუ არა ის მისის ფეიერფექსმა; მეორეც _ ჰგავდა თუ არა ის ჩემი წარმოდგენით შექმნილ სურათს; მესამეც _ არ

შემიძლია დავმალო _ იქნებოდა თუ არა ისეთი, მისტერ როჩესტერის გემოვნებას რომ შეეფერებოდა.

გარეგნობით ბლანში ზუსტად შეეხამებოდა მისის ფეიერფექსის აღწერასა და ჩემ მიერ დახატულ სურათს; შესანიშნავი გულმკერდი, დაქანებული მხრები, გედისებური ყელი, შავი თვალები და ყორნისფერი კულულები. მაგრამ სახე? სახით პირწავარდნილი დედა იყო, მხოლოდ ახალგაზრდა: იგივე დაბალი შუბლი, დახვეწილი სახის ნაკვთები, ისეთივე ქედმაღლობა, თუმცა ისეთი ზვიადი სიამაყე არ იგრძნობოდა. ხშირად იცინოდა, ოღონდ დამცინავად. ჩანს, ეს გამომეტყველება მის ზვიადსა და მშვენივრად მოხაზულ ბაგეებს მუდამ თან სდევდა.

ამბობენ, გენიოსი თავის თავში დარწმუნებულიაო. ვერაფერს გეტყვით მის ინგრემის გენიოსობაზე, მაგრამ თავის თავში კი დიდად დარწმუნებული იყო. ის ნაზ მისის დენტს ბოტანიკის საკითხებზე ეკამათებოდა. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელს თავის დროზე არ ჰქონდა ეს საგანი შესწავლილი; თუმცა, მისი თქმით, ყვავილები ძალიან უყვარდა _ განსაკუთრებით მინდვრის. მის ინგრემი, რომელსაც ბოტანიკა ნასწავლი ჰქონდა, ლაპარაკობდა ქედმაღლურად და თან უამრავ სპეციალურ ტერმინსაც იშველიებდა. შევამჩნიე, რომ მის ინგრემი (უბრალოდ რომ ვთქვათ) ერთობოდა მისის დენტის უცოდინარობით. შესაძლებელია, მართალიც იყო, მაგრამ ყველაფერი მის უზნეობას ავლენდა. შემდეგ მის ინგრემმა დაუკრა. ბრწყინვალედ შეასრულა. იმღერა კიდეც. ხმაც შესანიშნავი ჰქონდა. ფრანგულად დაელაპარაკა დედას. ენას თავისუფლად ფლობდა. ლაპარაკობდა ამ ენის სათანადო კილოზე.

მერის ბლანშთან შედარებით უფრო გულღია და კეთილი გამომეტყველება ჰქონდა. სახის ნაკვთები უფრო ნაზი, ფერიც უფრო ღია (მის ინგრემი ესპანელივით შავგვრემანი იყო). მაგრამ მერის ნაკლიც გააჩნდა: სახეს მეტყველება აკლდა, თვალებს _ ელვარება. ჩაჯდა თუ არა სავარძელში, ნიშში ჩასმულ ქანდაკებას დაემსგავსა, გაირინდა. დებს თეთრად მოქათქათე კაბები ეცვათ.

მეგონა ამ წუთს, რომ მის ინგრემი შეიძლებოდა მისტერ როჩესტერის გულის რჩეული გამხდარიყო? ვერაფერს გეტყვით. არ ვიცნობდი მის გემოვნებას. არ ვიცოდი, როგორი ქალები მოსწონდა. თუ მას დიდებულება იზიდავდა, ბლანში ზედგამოჭრილი იყო. ამას გარდა, ნასწავლიც და მხიარულიც. მამაკაცების უმრავლესობა ალბათ აღტაცებაში მოჰყავს-მეთქი, ასე ვფიქრობდი. მისტერ როჩესტერიც რომ მოხიბლული იყო, ვგონებ, უკვე მოგახ-სენეთ ამის დამამტკიცებელი საბუთი. უკანასკნელი ეჭვის გასაფანტავად საჭირო იყო კვლავ ერთად მენახა ისინი.

გულშიც არ გაივლოთ, მკითხველო, თითქოს მთელი ამ დროის განმავლობაში ადელი პატარა სკამზე, ჩემს ფერხთით უძრავად მჯდარიყო. არა. როგორც კი ქალები შემოვიდნენ, ის წამოდგა, მათ შესახვედრად გაეშურა, მოხდენილი რევერანსი გააკეთა და სერიოზულად წარმოთქვა:

_Bon jour, Mesdames.

მის ინგრემმა ადელს გადმოხედა და დაცინვით წამოიძახა: _ ოჰ, რა პატარა თოჯინაა!

ლედი ლინმა განმარტა: _ ამას მისტერ როჩესტერი მფარველობს. მისი მეურვეა. ვგონებ, ეს ის პატარა ფრანგი გოგონაა, რომელზედაც გვიამბობდა.

მისის დენტმა გულკეთილად ჩამოართვა ხელი ადელს და აკოცა. ემი და ლუიზა ეშტონებმა ერთხმად წამოიძახეს:

_ რა საყვარელი ბავშვია!

მათ ადელი დივანთან მიიხმეს, ისიც მივიდა, მათ შორის მოკალათდა და მოჰყვა ტიკტიკს ხან ფრანგულ და ხან დამტვრეულ ინგლისურ ენაზე. ადელმა მიიპყრო არა მარტო ახალგაზრდათა, არამედ მისის ეშტონისა და ლედი ლინის ყურადღება. სიამოვნებისაგან გაბადრულმა გული იჯერა.

აი, ყავაც შემოაქვთ. მამაკაცებს უხმობენ. ისე ვზივარ, რომ ჩრდილი მფარავს, ამ გაჩირაღდნებულ ოთახში თუკი შეიძლება რაიმე ჩრდილი იყოს. სარკმელზე ჩამოფარებული ფარდა ნახევრად მიცავს. ფარდას კვლავ სწევენ. შემოდიან მამაკაცებიც. მათი ერთად გამოჩენა, ისევე როგორც ქალების, საზეიმო იერს ატარებს. ყველა შავ კოსტიუმებშია გამოწყობილი. უმრავლესობა მაღალია. ახალგაზრდებიც ურევია. ჰენრი და ფრედერიკი მართლაც მოხ-დენილი, მხიარული ახალგაზრდები არიან. პოლკოვნიკი დენტი მშვენიერი კაცი ჩანს, სამხედრო იერით. მისტერ ეშტონი, ამ რაიონის მოსამართლე, ნამდვილი ჯენტლმენია. თმა მთლად ჭაღარა აქვს, თუმცა წარბებსა და წვერს შავი ფერი ჯერ შერჩენია. ეს მას ამსგავსებს «pére noble de théâtre». ლორდ ინგრემი სიმაღლით დებს ჰგავს. ისიც ლამაზია. მაგრამ გულგრილი, არაფრის მეტყველი სახით მერის დამსგავსებია. თითქოს ამ ადამიანში სიმაღლეს უმარჯვია სიცოცხლისადმი ლტოლვასა და გონებამახვილობაზე.

მისტერ როჩესტერი სადღაა?

აი, ისიც. არ ვიყურები თაღისკენ, მაგრამ ვგრძნობ, ოთახში შემოდის. ვცდილობ, ყურადღება საქსოვ ჩხირებსა და ქისის ქსოვაზე გადავიტანო. მინდა მხოლოდ ჩემს სამუშაოზე ვიფიქრო; მხოლოდ ჩემს კალთაში დაწყობილ ვერცხლის მძივებსა და აბრეშუმის ძაფებს ვხედავდე. ამის ნაცვლად გარკვევით ვხედავ მას, თავიდან ვერ ვიშორებ ჩვენს უკანასკნელ შეხვედრას და კვლავ მოგონება ცოცხლდება ჩემში. არ მავიწყდება, ხანძრის შემდეგ რომ მითხრა, თუ რა დიდი სამსახური გავუწიე. ისიც მაგონდება, როგორ ეჭირა ჩემი ხელი, სახეში მიყურებდა. მის მზერაში ჩანდა, გული ვეღარ იტევდა სურვილებს და გადმოხეთქვას ლამობდა. ამ მღელვარებაში მეც მედო წილი. ოჰ, როგორ დავვახლოვდით მაშინ! მაგრამ შემდეგ რა მოხდა ისეთი, რამაც შეზღუდა ჩვენი ასეთი დამოკიდებულება? როგორ შორეულნი და უცხონი გავმხდარვართ ერთმანეთისთვის! იმდენად შორეულნი, რომ არც მოველი მომიახლოვდეს და დამელაპარაკოს. არც ის მიკვირს, ოთახის მეორე მხარეს რომ გაეშურა, ზედაც არ შემომხედა, იქ დაჯდა და ქალებთან საუბარი გააბა.

როგორც კი შევნიშნე, რომ მთელი მისი ყურადღება ქალებმა მიიპყრეს და შემეძლო შეუმჩნევლად მემზირა მისთვის, მაშინვე თვალები ჩემდა უნებურად მის სახეს მიაშტერდნენ. წინააღმდეგობის ძალა არ შემწევდა. მზერა აღარ მემორჩილებოდა, თვალები მისკენ ბრუნდებოდნენ, მას უმზერდნენ. მეც დავმორჩილდი. მისი ჭვრეტა მტკივნეულ ნეტარებას მაგრძნობინებდა, _ ტკბილსა და ამავე დროს შხამნარევს; ოქროსავით ფასდაუდებელს, რომელშიც წამებაც შეპარულიყო. ალბათ ეს გრძნობა გამოუცდია მწყურვალ ადამიანს, წყაროს წყალს რომ დასწაფებია. მან იცის, წყარო მოწამლულია, მაგრამ მაინც სვამს ამ ღვთაებრივ სასმელს და უზომოდ ბედნიერია.

მართალია ანდაზა: ვისაც ვინ მოსწონს, მისი ლამაზიც ის არისო. ჩემი პატრონის უფერული, მოყვითალო სახე, ოთხკუთხა დიდი შუბლი, განიერი შავი წარბები, ღრმად ჩამჯდარი თვალები, სახის მკაცრი ნაკვთები, მტკიცე, პირქუში ბაგეები _ ძალისა და ენერგიის, სიმტკიცისა და ნებისყოფის გამომხატველი _ არ მეტყველებდა მისი მფლობელის სილამაზეზე, მაგრამ ჩემთვის ყველაზე ლამაზი კი იყო; უზომოდ მიმზიდველი, რომელმაც მთლიანად შემიპყრო, გავლენის ქვეშ მომაქცია; მოიტაცა ყველა ჩემი გრძნობა და თავის ნებას დაუმორჩილა. არ ვაპირებდი მის სიყვარულს. მკითხველმა კარგად უწყის, როგორ გულმოდგინედ ვცდილობდი, ჩემი სულიდან ძირფესვიანად ამომეგდო სიყვარულის პირველი ჩანასახი. ახლა კი პირველ დანახვისთანავე ჩემდა უნებურად კვლავ გამოცოცხლდა, კვირტები გამოიღო, მწვანით შეიმოსა. ეს ადამიანი ანთებდა ჩემში სიყვარულს, თანაც ისე, რომ ზედაც არ მიყურებდა.

მისტერ როჩესტერს სტუმრებს ვადარებდი. რას წარმოადგენდა ლინის სიკოხტავე, ლორდ ინგრემის სიცოცხლეს მოკლებული მოხდენილობა, თუნდაც პოლკოვნიკ დენტის მხედრული მიხრა-მოხრა მისტერ როჩესტერის უშრეტ ენერგიასა და ნამდვილ შინაგან ძალასთან შედარებით? არც მათი გარეგნობა მხიბლავდა და არც მათი გამომეტყველება; თუმცა, ჩემი აზრით, ქალების უმრავლესობა მათ ლამაზ, წარმოსადეგ და დიდებულ მამაკაცებად თვლიდა, ხოლო მისტერ როჩესტერს ულამაზოს, უხეში სახის მქონესა და მელანქოლიურს უწოდებდნენ. ვხედავდი, როგორ იცინოდნენ, იღიმებოდნენ ისინი, მაგრამ ჩემთვის ამას ჩალის ფასი ჰქონდა. მათი ღიმილი ისევე უღიმღამო იყო, როგორც სანთლების ლიცლიცი. მათი სიცილი ზარის ხმას ჰგავდა. მაგრამ დავინახე, როგორ გაიღიმა მისტერ როჩესტერმა. მკაცრმა ნაკვთებმა თბილი გამომეტყველება მიიღო, თვალები სინაზესა და ელვარებას აფრქვევდა. მისი სხივები ადამიანს სულში სწვდებოდა და ელამუნებოდა. ამ წუთს ის ლუიზა და ემი ეშტონებს ესაუბრებოდა. გავოცდი, როგორ გულგრილად უყურებდნენ ისინი; მაშინ, როდესაც მისი მზერა გულში მწვდებოდა. ველოდი, ქალიშვილები თვალებს დახრიან და გაწითლდებიან- მეთქი, მაგრამ ოდნავადაც არ აღელვებულან. «ის მათთვის ის არაა, რაც ჩემთვის», _ გავიფიქრე. _ მათი გემოვნების არაა. ის ჩემი გემოვნებისაა. ამაში დარწმუნებულიც ვარ. ჩვენ შორის რაღაც შინაგან კავშირს ვგრძნობ; მესმის

მისი ყოველი გამოხედვა, თითოეული მიხრა-მოხრაც კი. მართალია, სიმდიდრე და გვარიშვილობა გადაულახავ უფსკრულად აღმართულა ჩვენ შორის, მაგრამ ჩემს გონებასა და გულში, ჩემს სისხლსა და ნერვებში არის ის, რაც გონებრივად მამსგავსებს მას. ეს მე ვთქვი ამ რამდენიმე დღის წინ, რომ მასთან მხოლოდ ხელფასის მიღება მაკავშირებს-მეთქი? ეს მე ავუკრძალე ჩემს თავს მისტერ როჩესტერში მხოლოდ ჩემი აღსაზრდელის მეურვე დამენახა? და მეტი არავინ? ეს ხომ ბუნების გმობაა. ჩემში არსებული ყველა სათნო, ჭეშმარიტი და ძლიერი გრძნობა უნებურად მას ევლება თავს. ვიცი, უნდა დავფარო ყოველივე ეს. უნდა ჩავიქრო ყოველგვარი იმედი; უნდა მახსოვდეს, რომ არ შეიძლება ვუყვარდე მას. მას ვგავარ-მეთქი, რომ ვამბობ, ეს არ ნიშნავს, თითქოს მეც გამაჩნია ისეთი ძალა და ენერგია, შემეძლოს მისი მოხიბვლა და მისებრ გავლენის მოხდენა. ამით მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ ერთნაირი გემოვნება და გრძნობები გვაქვს. აი, რატომ უნდა მახსოვდეს: ჩვენ ერთმანეთისთვის არ ვართ დაბადებული. თუმცა ვიდრე პირში სული მიდგას და ვაზროვნებ, ის მუდამ მეყვარება».

ყავას აწოდებენ სტუმრებს. მამაკაცები შემოდიან თუ არა, ქალები მერცხლებივით იწყებენ ჭიკჭიკს, მხიარულად და გაცხოველებით საუბრობენ. პოლკოვნიკი დენტი და მისტერ ეშტონი პოლიტიკაზე მსჯელობენ. ცოლები უსმენენ. ორი ამაყი ქვრივი _ ლედი ლინი და ლედი ინგრემი _ ერთად საუბრობს. სერ ჯორჯი, რომლის აღწერა, სხვათა შორის, დამავიწყდა _ მაღალი, ჯანსაღი შეხედულების სოფლად მცხოვრები ჯენტლმენი, მათ დივანთან დგას ყავის ფინჯნით ხელში და დროდადრო სიტყვას ურთავს. მისტერ ფრედერიკ ლინი მერი ინგრემის გვერდით დამჯდარა და შესანიშნავ ილუსტრაციებიან წიგნს ათვალიერებინებს. ქალი დროდადრო იღიმება, თუმცა, ჩვეულებრივ, ცოტას ლაპარაკობს. მაღალი და ფლეგმატური ლორდი ინგრემი გულხელდაკრეფილი დახრილა პატარა და მხიარული ემი ეშტონის სავარძელთან. ემი შეჰყურებს მას და ნიბლიასავით ეჟღურტულება. მას ლორდ ინგრემი უფრო მოსწონს, ვიდრე მისტერ როჩესტერი. ჰენრი ლინი თურქულ დაბალ ტახტზე მოკალათებულა ლუიზას ფერხთით. ადელიც იქვეა. ჰენრი ლინი ცდილობს ფრანგულად ილაპარაკოს. ლუიზა დასცინის მის შეცდომებს. ვინ იქნება ბლანშ ინგრემის თანამოსაუბრე? ის მაგიდასთან განმარტოებულა, მოხდენილად დახრილა და ალბომს ათვალიერებს. როგორც ჩანს, უცდის, მასთან მივიდნენ. დიდხანს ლოდინი არ სურს. თვით ირჩევს მოსაუბრეს.

მისტერ როჩესტერი მოსცილდა ეშტონებს და ისიც ახლა განმარტოებით დგას ბუხართან. ბლანში მისკენ მიდის და ბუხრის მეორე მხარეს ჩერდება.

_ მისტერ როჩესტერ, მეგონა, ბავშვები არ გიყვარდათ?

_ ასეც არის.

_ მაშ, რამ გაიძულათ აღსაზრდელად აგეყვანათ ასეთი პატარა თოჯინა? (და ადელზე მიუთითა): სად მოძებნეთ?

_ არ მომიძებნია. აღსაზრდელად დამიტოვეს.

_ სკოლაში უნდა გაგეგზავნათ.

_ არ შემიძლია. სწავლა ძალიან ძვირი ჯდება.

_ კი მაგრამ, ჩემი აზრით, თქვენ აღმზრდელი გყავთ მისთვის. ახლახან დავინახე ვიღაც ქალი. წავიდა? ოჰ, არა! აი, ჯერ კიდევ აქ არის ფანჯრის ფარდას მოფარებული. თქვენ, რა თქმა უნდა, უხდით მას. ვფიქრობ, იმდენივე თანხა გეხარჯებათ და, ალბათ, მეტიც. ხელფასის გარდა ორივეს შენახვა გიხდებათ.

მეშინოდა, თუ იქნებ იმედი მქონდა, ჩემი ხსენება მისტერ როჩესტერს ჩემკენ მოახედებს-მეთქი. უფრო ღრმად შევიმალე საფარში. მაგრამ შევცდი. ერთხელაც არ გამოუხედავს ჩემკენ.

_ ამაზე არც მიფიქრია, _ გულგრილად წარმოთქვა მისტერ როჩესტერმა და კვლავ პირდაპირ ყურება განაგრძო.

_ რასაკვირველია, თქვენ, მამაკაცები, მართლაც არასოდეს არ უწევთ ანგარიშს მომჭირნეობას და გონიერ აზრს. უნდა გაიგოთ, რას ამბობს დედა ამ აღმზრდელებზე, მერისა და მე, თუ არ ვცდები, თავის დროზე ერთი თორმეტამდე აღმზრდელი მაინც გვყავდა. ზოგნი აუტანელნი და ზოგნიც მეტად სასაცილონი იყვნენ. ყველა ერთად კი რაღაც სასწაულები. განა ასე არაა, დედა?

_ მე მითხარი რამე, ჩემო ასულო?

ქვრივის ახალგაზრდა ასულმა გაიმეორა თავისი კითხვა სათანადო განმარტებით.

_ ჩემო ძვირფასო, აღმზრდელებს ნუ გამახსენებ. ეს სიტყვაც კი ნერვებს მიშლის. როგორ გამაწამა მათმა უნიჭობამ და ჟინიანობამ. მადლობა უფალს, მოვრჩი ამ ამბებს.

მისის დენტი გადაიხარა ამ ღვთისმოსავი ადამიანისკენ და რაღაც ჩასჩურჩულა ყურში. გაცემული პასუხით მივხვდი, იმ უჯიშოთა ერთ-ერთი წარმომადგენელი აქ არისო, შეახსენა.

_ მით უკეთესი, _ განაცხადა ამ ქალბატონმა, _ ვიმედოვნებ, ეს საუბარი მასაც გამოადგება. _ შემდეგ კი ხმადაბლა, მაგრამ ჩემ გასაგონად დაუმატა.

_ ერთი შეხედვით ვცნობ ადამიანებს და დავინახე თუ არა, მის სახეზე ამოვიკითხე ყველა ის ნაკლი, რაც მის კლასს გააჩნია.

_ რა არის ეს ნაკლი, მადამ? _ იკითხა მისტერ როჩესტერმა.

_ სიამოვნებით გეტყვით, მხოლოდ საიდუმლოდ, _ უპასუხა ქალმა და სამჯერ მრავალმნიშვნელოვნად და მედიდურად შეარხია თავისი ჩალმა.

_ მერე რაღა გემო აქვს. ახლავე დამიოკეთ ცნობის სურვილი.

_ ბლანშს ჰკითხეთ. ის უფრო ახლოს დგას თქვენთან.

_ მე ნუ მიგზავნი, დედა! ერთი სიტყვაც საკმარისია მთელი ამ ბრბოს დასახასიათებლად: თავმომაბეზრებელნი არიან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიჯაბნებდნენ, პირიქით, თვით ვჯაბნიდი, რა ოინებს არ ვუწყობდი თეოდორესთან ერთად იმ ჩვენ მის უილსონს, მისის გრეისა და მადამ ჟუბერს! მერი მეტისმეტად ზარმაცი იყო და ცხოველ მონაწილეობას არ ღებულობდა ჩვენს შეთქმულებაში. ყველაზე სასაცილო ამბებს მადამ ჟუბერს ვუწყობდით.

მის უილსონი საცოდავი, ავადმყოფი არსება იყო, მტირალა და ყოველთვის ნაღვლიანი. არც ღირდა მის გასაბრაზებლად თავის შეწუხება. მისის გრეი უხეში და გულქვა ადამიანი იყო. მასზე არაფერი არ მოქმედებდა; მაგრამ საბრალო მადამ ჟუბერი! ახლაც თვალწინ მიდგას მისი გაშმაგებული სახე, მოთმინებიდან რომ გამოვიყვანდი ხოლმე. ჩაის დავღვრიდი, კარაქისა და პურის ნამცეცებს მიმოვაბნევდი, ჭერში ვისროდით წიგნებს, მერხების ბრახუნით, სახაზავის დარტყმითა და ცეცხლის მაშით ბუხარზე ისეთ ბრახაბრუხს ავტეხდით, რომ ყურთასმენა აღარ იყო. გახსოვს, თეოდორ, ის მხიარული დღეები?

_ დიახ, რასაკვირველია, მახსოვს, _ ზანტად წარმოთქვა ლორდ ინგრემმა. _ საბრალო მოხუცი გამხმარი ქალი ყვიროდა: «ოჰ, ბოროტო ბავშვებო!» შემდეგ ვუკითხავდით ქადაგებებს, თუ როგორ ბედავდა ესწავლებინა ჩვენისთანა ჭკვიანი ბავშვებისთვის, როდესაც თვით მან არაფერი იცოდა.

_ დიახ, ესეც მახსოვს. და შემდეგ, თედ, გახსოვს, გეხმარებოდი გაგეგრძელებინა მეცადინეობა (თუ უფრო სწორად, შენი აღმზრდელის, გადაყვითლებული მისტერ ვინინგის წამება, ამ მოდუდღუნე დიაკვნისა, როგორც ჩვენ ვუწოდებდით მას). იცით, მან და მის უილსონმა გაბედეს და ერთმანეთი შეიყვარეს. ყოველ შემთხვევაში, თედი და მე ასე ვფიქრობდით. ხან ნაზ მზერას ვამჩნევდით და ხან გვესმოდა მათი ჩუმი ოხვრა, ეს «la belle passion» ნიშნად ჩავთვალეთ. მერწმუნეთ, ჩვენი აღმოჩენა მაშინვე ყველას გავაგებინეთ. ამ ამბით ვისარგებლეთ, რომ ეს მძიმე და არასასიამოვნო ტვირთი თავიდან მოგვეშორებინა. და აი, ჩემმა ძვირფასმა დედიკომ, როგორც კი ამ ამბავს ყური მოჰკრა, უზნეობად ჩათვალა ასეთი საქციელი. განა ასე არაა, ჩემო კეთილშობილო დედა?

_ რასაკვირველია, ჩემო მშვენიერო, და მართალიც გახლდათ. მერწმუნეთ: ათასი მიზეზია, რატომ არ შეიძლება წესიერ ოჯახში ერთი წუთითაც მოითმინონ აღმზრდელი ქალისა და მასწავლებლის ურთიერთსიყვარული. უპირველეს ყოვლისა...

_ მოიღე მოწყალება, დედა! გვიხსენი ამ ჩამოთვლისაგან! Aუ- რესტე, ისედაც ვიცით ყველაფერი: უმანკო ბავშვებისთვის ცუდი მაგალითის ჩვენების საშიშროება, მათი დაბნეულობა და, აქედან გამომდინარე, უყურადღებობა თავიანთი მოვალეობისადმი, ურთიერთისკენ სწრაფვა და ურთიერთმხარდაჭერა. ამის შემდეგ რწმენა თავიანთ თავში, რასაც თან სდევს კადნიერება, დაუმორჩილებლობა და არევ-დარევა ოჯახში. ასე არაა, ბარონესა ინგრემ, ინგრემის მამულთა მფლობელო?

_ ჩემო შროშანო, როგორც ყოველთვის, ახლაც მართალს ამბობ.

_ მაშ, მეტის თქმა აღარაა საჭირო. გადავიდეთ სხვა თემაზე.

ემი ეშტონმა, რომელმაც ვერ გაიგონა ან ყურადღება არ მიაქცია ნათქვამს, თავისი ნაზი, ბავშვური ხმით დაიწყო:

_ ლუიზა და მეც დავცინოდით ხოლმე ჩვენს აღმზრდელს. მაგრამ ის იმდენად კეთილი და კარგი ადამიანი გახლდათ, ყველაფერს იტანდა.

არასდროს არ კარგავდა მოთმინებას. არასოდეს გვიბრაზდებოდა, განა ასე არაა, ლუიზა?

_ დიახ, მართალია, რასაც გვინდოდა, იმას ვაკეთებდით. გადავაქოთებდით ხოლმე მის მაგიდას და სამუშაო კოლოფს. უჯრებში ავურ-დავურევდით ყველაფერს; ის კი იმდენად კეთილი იყო, რაც არ უნდა გვეთხოვა, ყველაფერს გვაძლევდა.

_ ჩემი აზრით, _ ტუჩების ირონიული პრანჭვით დაუმატა მის ინგრემმა. _ გვეყოფა აღმზრდელების შესახებ ამდენი ლაპარაკი. ამ მოგონებათა თავიდან ასაცილებლად კვლავ შემომაქვს წინადადება, შევცვალოთ საუბრის თემა. მისტერ როჩესტერ, მხარს უჭერთ ჩემს წინადადებას?

_ დიახ, ქალბატონო. როგორც ყველა თქვენს აზრს, ამასაც მხარს ვუჭერ.

_ მაშინ ჩემს მოვალეობად ჩავთვლი, მოვიფიქრო, რა გავაკეთოთ. სენიორ ედვარდ, ხმაზე როგორა ხართ?

_ დონნა ბიანკა, თუ მიბრძანებთ, მზად ვიქნები.

_ მაშ, სენიორ, ისმინეთ ჩემი უმაღლესობის ბრძანება: მოამზადეთ თქვენი ფილტვები და სხვა სასიმღერო ორგანოები, რადგანაც ისინი დასჭირდება ჩემი მეფური სურვილის აღსრულებას.

_ ვინ არ ისურვებს ღვთაებრივ მერი რიჩოდ ყოფნას.

_ თავი დავანებოთ რიჩოს! _ წამოიძახა მან და მშვენიერი კულულების რხევით როიალისკენ გაემართა. _ ჩემი აზრით, ვიოლინოზე დამკვრელი დავითი ფრიად უსიამოვნო ვინმე უნდა ყოფილიყო. ბოროტი ბოთველი გაცილებით უფრო მომწონს. აბა, მამაკაცი რა მამაკაცია, თუ მასში არაფერია სატანისებური. ისტორიამ რაც უნდა, ის თქვას ჯეიმს ჰეპბერნზე, მაგრამ მე მგონია, სწორედ ის წარმოადგენს ველური და შეუბრალებელი ყაჩაღის სულის მატარებელ გმირს, რომელსაც სიამოვნებით შევთავაზებდი ჩემს ხელს.

_ გაიგონეთ, ჯენტლმენებო? რომელი თქვენგანი წააგავს ყველაზე მეტად ბოთველს? _ წამოიძახა მისტერ როჩესტერმა.

_ მე ვიტყოდი, რომ უპირატესობა თქვენ მხარეზეა, _ გაისმა პოლკოვნიკ დენტის ხმა.

_ პატიოსნებას ვფიცავ, დიდად დამავალეთ, _ მოისმა პასუხად. მის ინგრემი ამაყად დაჯდა როიალთან, დედოფლურად გაშალა ქათქათა კაბის ნაოჭები და საამო პრელუდია დაუკრა. თან საუბარს განაგრძობდა. ამ საღამოს გადამეტებულ სიამაყეს იჩენდა. თავისი სიტყვებითა და საქციელით თითქოს განზრახული ჰქონდა გამოეწვია მსმენელთა არა მარტო აღტაცება, არამედ განცვიფრებაც. აშკარა იყო, სურდა მათთვის თავბრუ დაეხვია. ცდილობდა, მეტად მარჯვე და გაბედული სჩვენებოდა მათ.

_ ოჰ, როგორ მომაბეზრეს ახლანდელმა ახალგაზრდა ყმაწვილებმა თავი! _ წამოიძახა მან და თან როიალზე განაგრძო ბრახუნი. _ საბრალო, უძლური არსებანი მამის მამულს იქით ნაბიჯიც რომ არ გადაუდგამთ. ვერსად წასულან დედისა და მათი აღმზრდელის ნებართვის გარეშე! საბრალონი, რომელთაც თავიანთი ლამაზი სახის, თეთრი ხელებისა და პატარა ფეხების გარდა

არაფერი ახსოვთ; თითქოს მამაკაცთან რაიმე კავშირი ჰქონდეს სილამაზეს. თითქოს სილამაზე მხოლოდ ქალების საკუთრება არ იყოს, ქალის კანონიერი თვისება და მემკვიდრეობა. ვამტკიცებ: ულამაზო ქალი მხოლოდ ლაქაა ამ დიდებულ ქვეყანაზე. მაგრამ, რაც შეეხება მამაკაცებს, მათ მხოლოდ მამაცობა და სიძლიერე უნდა გააჩნდეთ. დეე, მათ დევიზს წარმოადგენდეს: ნადირობა, სროლა და ბრძოლა. დანარჩენს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მათთვის. ასეთი იქნებოდა ჩემი დევიზიც, მამაკაცი რომ ვყოფილიყავი.

_ როდესაც გათხოვებას დავაპირებ, _ განაგრძო მან სიჩუმის შემდეგ, რომელიც არავის დაურღვევია, _ გადაწყვეტილი მაქვს ისეთი მეუღლე შევარჩიო, რომ სილამაზით ჩემს მშვენიერებას კი არ ჩრდილავდეს, არამედ პირიქით, ელვარებას მატებდეს. ვერ ავიტან ჩემს ტახტზე მეტოქეს. მოვითხოვ განუყოფელ თაყვანისცემას. მისი ერთგულება არ უნდა განაწილდეს ჩემსა და იმ სახეს შორის, რომელსაც ის სარკეში ხედავს. ახლა კი, მისტერ როჩესტერ, იმღერეთ. სიამოვნებით დავუკრავ თქვენთვის.

_ თქვენი მონა-მორჩილი ვარ, _ გაისმა პასუხად.

_ აი, მეკობრის სიმღერა. თქვენ იცით, გაგიჟებით მომწონს მეკობრეები. ამიტომაც იმღერეთ «con spirito».

_ მის ინგრემის ბრძანება მე კი არა, ცარიელ დოქსაც კი აამღერებს.

_ მაშ, გაფრთხილდით, თუ არ მასიამოვნეთ თქვენი სიმღერით, შეგარცხვენთ და გიჩვენებთ, როგორ უნდა მღერა.

_ თქვენ გსურთ ჩემი უვარგისობისთვის დამაჯილდოოთ. ახლა შევეცდები კიდეც, რომ დავმარცხდე.

_Gardez-vous en bien, თუ განგებ შეცდით, მოვიფიქრებ რამეს და შესაფერისადაც დაგსჯით.

_ მის ინგრემმა მოწყალება უნდა გამოიჩინოს, რადგან მას ძალუძს ისეთი სასჯელი მოიფიქროს, რასაც ვერც ერთი ადამიანი ვერ აიტანს.

_ მაინც? _ ბრძანა ახალგაზრდა ქალმა.

_ მომიტევეთ, მადამ. მაგრამ რა საჭიროა ახსნა-განმარტება. საკუთარი გონება ალბათ გეტყოდათ, რომ თქვენი შუბლის ერთხელ შეკვრაც კი საკმარისია ადამიანის სათანადოდ დასასჯელად.

_ იმღერეთ, _ ბრძანა კვლავ მან და შთაგონებულად დაიწყო დაკვრა.

«ახლა კი დროა გავიპარო», _ გავიფიქრე. მაგრამ ჰაერში დარხეულმა ბგერებმა შემაჩერა. მისის ფეიერფექსმა მითხრა, მისტერ როჩესტერს მშვენიერი ხმა აქვსო, მართლაც ასე იყო: ძლიერი, სასიამოვნო ბანი; სიმღერაში მთელ თავის გრძნობებს და ენერგიას აქსოვდა. მსმენელს გულში წვდებოდა მისი ხმა და უცნაურად აღელვებდა. შევიცადე, ვიდრე უკანასკნელი ძლიერი და მჟღერი ბგერები მიწყდებოდა, ვიდრე შეწყვეტილი საუბარი განახლდებოდა. მაშინ კი დავტოვე ჩემი თავშესაფარი. განის კარით გამოვედი, რომელიც, ჩემდა საბედნიეროდ, ახლოს იყო. ვიწრო ტალანს გავყევი. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი თუ არა, შევნიშნე, ფეხსაცმლის თასმები შემხსნოდა. შევჩერდი. უნდა შემეკრა. დავიჩოქე იატაკზე კიბის საფეხურებთან გაფენილ ნოხზე. ამ

დროს სასადილო ოთახის კარის გაღების ხმა შემომესმა. ვიღაც ჯენტლმენი გამოვიდა. სასწრაფოდ წამოვდექი და პირისპირ შევეჩეხე მისტერ როჩესტერს.

_ როგორ ხართ? _ მკითხა.

_ ძალიან კარგად, სერ.

_ რატომ არ მოხვედით და არ დამელაპარაკეთ ოთახში?

ვიფიქრე, ეს კითხვა ალბათ მე უნდა მიმეცა-მეთქი, მაგრამ ვერ გავბედე თქმა. ნაცვლად ამისა, ვუპასუხე:

_ არ მინდოდა შემეწუხებინეთ, რადგანაც ისედაც მოუცლელი იყავით, სერ.

_ რას აკეთებდით, ვიდრე აქ არ ვიყავი?

_ ისეთს არაფერს. ჩვეულებრივ, ადელს ვამეცადინებდი.

_ და თანდათან ფერს კარგავდით. ეს მე ერთი შეხედვითაც შევნიშნე. რა მოხდა?

_ არაფერი, სერ.

_ ხომ არ გაცივდით იმ საღამოს, კინაღამ რომ დამახრჩვეთ?

_ ოდნავადაც არა, სერ.

_ დაბრუნდით სასტუმრო ოთახში. ძალიან ადრე მირბიხართ.

_ დაღლილი ვარ, სერ.

ერთ წუთს მიყურებდა.

_ და სევდიანიც, _ თქვა მან. _ მიზეზი? მითხარით.

_ რა უნდა იყოს... არაფერი, სერ. სრულებით არ ვარ სევდიანი.

_ ხართ-მეთქი. ისე შემოგწოლიათ დარდი, რომ რამდენიმე სიტყვაც და ატირდებით. ცრემლები ისედაც კიაფობენ თქვენს თვალებში. მრავლდებიან. ერთი წვეთი უკვე მოწყდა ქუთუთოს და ჩამოგორდა. დრო რომ მქონდეს და რომელიმე ჭორიკანა მოსამსახურის გამოჩენის არ მეშინოდეს, გავიგებდი, რა მოხდა. კარგი. ამ საღამოს გიშვებთ. მაგრამ გახსოვდეთ: სანამ ჩემი სტუმრები ჩემს სახლში არიან, უნდა ყოველ საღამოს ჩამოხვიდეთ სასტუმრო ოთახში. ასეთია ჩემი სურვილი. ნუ უკუაგდებთ. ახლა კი წადით და სოფი გამოგზავნეთ ადელის წასაყვანად. ღამე მშვიდობისა, ჩემო...

აქ ის შეჩერდა, ტუჩი მოიკვნიტა და სასწრაფოდ გამშორდა.

თავი XVIII

მხიარული დღეები დაუდგა თორნფილდჰოლს, სიცოცხლით სავსე და მოუსვენარი. ოჰ, როგორ განსხვავდებოდა ეს დრო პირველი სამი თვის განმავლობაში, ამავე ჭერქვეშ მყუდროებაში, სრულ მარტოობასა და მოსაბეზრებელ ერთი და იმავე საქმიანობაში გატარებული დღეებისაგან. მეჩვენებოდა, რომ სევდა სადღაც გაქრა და მოწყენილობაც სამუდამოდ მიეცა დავიწყებას. მთელი დღე ყოველ კუთხეში სიცოცხლე და ფუსფუსი შეიმჩნეოდა. რამდენიმე ხნის წინათ მდუმარებით მოცულ დერეფანში, ან

აქამდე მიყრუებულ რომელიმე მისაღებ ოთახში ისე ვერ შეიხედავდით და ვერ გაივლიდით, რომ მშვენიერ მოახლეს ან ლაქიას არ გადაჰყროდით.

სამზარეულო, მოურავის საკუჭნაო, მსახურთა დარბაზი და შესასვლელი დერეფნები ყველა ერთნაირად იყო გამოცოცხლებული და ხალხით სავსე. მხოლოდ სასტუმრო დარბაზი რჩებოდა ცარიელი და მდუმარებით მოცული, როდესაც დიდებული გაზაფხულის ლაჟვარდოვანი ცა და წყნარი მზის სხივები გარეთ ბაღჩებში იხმობდა მის ბინადართ. მაშინაც კი, როდესაც ამინდი შეიცვლებოდა და რამდენიმე დღე გაბმით, კოკისპირულად წვიმდა, მიწის სისველე სიმხიარულეს ხელს ვერ უშლიდა. სტუმრები მაშინ შიგნით იკალათებდნენ და იქ ეძებდნენ ათასნაირ გასართობს.

ვერ გავიგე, რას აპირებდნენ, როდესაც ერთ საღამოს წინადადება შემოიტანეს, გართობის ერთი სახე მეორეთი შეეცვალათ. ისინი შარადებს ახსენებდნენ. ჩემი უცოდინარობა უნდა ვაღიარო, ვერ მივხვდი, მათი საუბარი რას გულისხმობდა. მსახურებს დაუძახეს, სასადილო მაგიდები სხვა მხარეს გადაატანინეს, სასანთლეებს სხვა ადგილები მიუჩინეს და სავარძლებიც თაღის მოპირდაპირედ ნახევარწრიულად დადგეს. როდესაც მისტერ როჩესტერი და სხვა ჯენტლმენები ასეთ განკარგულებებს იძლეოდნენ, მანდილოსნები ქვემო და ზემო სართულის კიბეებზე არბოდ-ჩამორბოდნენ, თავიანთ მოახლეებს ურეკავდნენ და იხმობდნენ. მისის ფეიერფექსიც მოიწვიეს და გამოჰკითხეს ტანსაცმლის როგორი მარაგი იყო გადანახული. უფრო გარდასული ხანის სამოსი, შალები და სხვადასხვანაირი დეკორატიული ქსოვილები აინტერესებდათ. მესამე სართულზე გარდერობები გადასინჯეს და ფარჩის სამოსი, განიერი ქვედა კაბები, ატლასის გულისპირები, შავი გამჭირვალე შარფები, გრძელი ბაფთები, მარმაშის ჟაბოები და სხვა მრავალი ასეთი ნივთი, მოახლეებმა, ვისაც კი რამდენი შეეძლო, დაბლა ჩამოზიდეს. შემდეგ დაიწყო შერჩევა. მათ შორის, რაც უფრო მოეწონათ, ამოარჩიეს და სასტუმრო ოთახიდან ბუდუარში გადაიტანეს.

ამასობაში მისტერ როჩესტერმა კვლავ მოუხმო მანდილოსნებს, ირგვლივ შემოიკრიბა და რამდენიმე მათგანი განსაკუთრებით შეარჩია თავის მხარეზე სათამაშოდ. _ მის ინგრემი, რა თქმა უნდა, ჩემია, _ თქვა მან, მას შემდეგ, რაც დაასახელა ემი და ლუიზა ეშტონები და მისის დენტი. შემდეგ მე შემომხედა, შემთხვევით მის ახლოს ვიდექი, მისის დენტისათვის გახსნილი სამაჯური უნდა შემეკრა ხელზე.

_ ითამაშებ? _ მკითხა მან. უარის ნიშნად თავი გავიქნიე. მას ძალა არ დაუტანებია. თუმცა უცებ კი შევკრთი, როცა გავიფიქრე, შეიძლება მომთხოვოს და იძულებით მათამაშოს-მეთქი. მაგრამ მან ნება დამრთო, სრულიად მშვიდად ჩემ ჩვეულ ადგილს დავბრუნებოდი.

მისტერ როჩესტერი და მის მხარეზე მოთამაშენი ფარდის უკან გაუჩინარდნენ. მეორე ჯგუფის წარმომადგენლები კი პოლკოვნიკ დენტის მეთაურობით ნახევარწრიულად განლაგებულ სავარძლებში ჩასხდნენ. ერთ-ერთი ჯენტლმენი, მისტერ ეშტონი, მე მიყურებდა, ჩანდა, წინადადება მისცა,

რომ მეც მოთამაშეებს შევერთებოდი, მაგრამ ლედი ინგრემმა იმწამსვე უარყო ეს აზრი.

_ არა, _ გავიგონე მისი ნათქვამი სიტყვები: _ ის ისეთი ქარაფშუტა ჩანს, ასეთი სახის თამაშს ვერ შეძლებსო.

მალე ზარის ხმა გაისმა და ფარდაც აიხადა. მის შიგნით გამოჩნდა წარმოსადეგი სერ ჯორჯ ლინი, რომელიც მისტერ როჩესტერს თავისი ჯგუფისათვის შეერჩია. ის თეთრ ზეწარში გახვეულიყო. მის წინ მაგიდაზე გადაშლილი დიდი წიგნი იდო. ერთ მხარეს მისტერ როჩესტერის ლაბადაში გამოწყობილი მის ემი ეშტონი ედგა წიგნით ხელში. ვიღაც უჩინარი ზარს მხიარულად აწკარუნებდა. შემდეგ ადელი გამოჩნდა (მან დაჟინებით მოითხოვა, თავისი მეურვის მხარეზე ეთამაშებინათ).

ბავშვი წინ გამოიჭრა და ხელზე ჩამოკიდებული ლამაზი კალათიდან თავის გარშემო ყვავილებს აბნევდა. მერე გამოჩნდა უმშვენიერესი მის ინგრემი თავისი უნაკლო ტანის ნარნარი რხევით, მთლად თეთრ სამოსში, გრძელი სიფრიფანა თავსაბურით და შუბლზე ვარდების გვირგვინით. მის გვერდით მისტერ როჩესტერი მოაბიჯებდა. ორივენი ერთად მაგიდას მიუახლოვდნენ და დაიჩოქეს. თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილმა ლუიზა ეშტონმა და მისის დენტმა მათ უკან დაიკავეს ადგილები. ყოველივე ეს მუნჯურ სცენას წარმოადგენდა, მაგრამ მასში ადვილად გამოიცნობდით საქორწინო ცერემონიალის ამსახველ პანტომიმას. პოლკოვნიკი დენტი და მისი მომხრეები დაახლოებით ორი წუთის განმავლობაში ჩურჩულით უთანხმდებოდნენ ერთმანეთს და ბოლოს პოლკოვნიკმა ხმადაბლა განაცხადა:

_ ბრაიდ.

მისტერ როჩესტერმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა, შარადა აიხსნა და ფარდაც დაეშვა.

კარგა ხანი გავიდა, სანამ ფარდა კვლავ აიხდებოდა. პირველთან შედარებით მეორედ უფრო საგულდაგულოდ მომზადებული სცენა წარმოუდგათ მაყურებლებს. სასტუმრო ოთახი, როგორც წინათ მოგახსენეთ, სასადილო ოთახთან კიბის ორი საფეხურით მაღლა იყო. უკანასკნელი საფეხურის ზემოთ, ერთი თუ ორი იარდის დაშორებით, ოთახის შუაგულში დიდი მარმარილოს აუზი მოჩანდა. მაშინვე ვიცანი, ის ხომ ჩვენი ორანჟერეის მშვენებას წარმოადგენდა. მის გარშემო ცხელი ქვეყნების მცენარეულობა ხარობდა და შიგ ოქროს თევზები დაცურავდნენ. წარმოვიდგინე, მისი ზომისა და სიმძიმის გამო, რა დიდ ჯაფასა და ტანჯვას მოითხოვდა მისი ოთახში შემოტანა და მოწყობა.

აუზის გვერდით, მდიდრულ ხალიჩაზე, მისტერ როჩესტერი მოჩანდა სხვადასხვანაირი შალით მორთული. თავზე ჩალმა ეხურა. მისი მუქი თვალები, შავგვრემანი სახის კანი და არაქრისტიანული სახის ნაკვთები სწორედ ზედგამოჭრილი იყო მის ჩაცმულობასთან. ის აღმოსავლეთის ემირის ნამდვილი განსახიერება გახლდათ. მშვილდოსნური ბრძოლის ფანტასტიკური გმირი ან მსხვერპლი. მალე მის ინგრემიც გამოჩნდა. ისიც აღმოსავლური

გემოვნებით იყო მორთული. მეწამული გამჭვირვალე შარფი ქამარივით ჰქონდა წელზე შემოკრული. ამოქარგული თავსაბური ორივე საფეთქელთან ოდნავ შეეტრიალებინა, თითქოს კვანძი გამოესკვნაო. მისი ნატიფი მოყვანილობის მკლავები მთლად შიშველი მოჩანდა. თავზე წყლის სურა ედგა, ცალი ხელი მაღლა აეწია და ჭურჭელი მეტად მოხდენილად ეჭირა. მთელი მისი გარეგნობა, სახე და გამომეტყველებაც კი პატრიარქალური საუკუნეების ისრაელთა მეფის ასულებს მოგაგონებდათ. უეჭველია, სინამდვილეშიც ასეთი სახის გმირის წარმოსახვა ჰქონდა განზრახული.

ის აუზს მიუახლოვდა და ისე დაიხარა, თითქოს სურის ავსება სურდა. მერე ჭურჭელი კვლავ თავზე შეიდგა. წყაროს პირად მჯდომი ახლაღა გამოერკვა და შეესიტყვა ქალს. ჩანდა, რაღაც სთხოვა. ქალმა სასწრაფოდ ჩამოდგა სურა და წყალი მიართვა. ვაჟმა საკინძე შეიხსნა, კოლოფი ამოიღო, გახსნა და აჩვენა მას თვალისმომჭრელი სილამაზის სამაჯურები და საყურეები. ისრაელთა მეფის ასული ამ ნივთთა სილამაზემ განაცვიფრა და აღტაცებული დარჩა. ვაჟმა კი დაიჩოქა და განძეული ფერხთით დაუწყო. უნდობლობა და სიხარული ერთად მოჩანდა მის გამოხედვასა და მიმოხრაში. უცნობმა სწრაფად გაუკეთა ხელზე სამაჯურები, საყურეებით კი ლამაზი ყურები დაუმშვენა. აქლემები არსად ჩანდა, თორემ ყველამ შეიცნო ელიაზარი და რებეკა.

შარადის გამომცნობთა ჯგუფის მონაწილეებმა თავები კვლავ ერთმანეთს მიუახლოვეს, ჩანდა, ვერ შეთანხმდნენ, რომელ სიტყვასა თუ მარცვალს გამოხატავდა სცენა. პოლკოვნიკმა დენტმა და მისი ჯგუფის წარმომადგენლებმა მოითხოვეს სურათის მთლიანად ნახვა, რის შემდეგაც ფარდა კვლავ დაეშვა.

ფარდა მესამედ გაიხსნა და ახლა მხოლოდ სასტუმრო ოთახის ერთი მხარე მოჩანდა. დანარჩენი თალხი და უხეში ქსოვილის თეჯირით იყო დაფარული. მარმარილოს აუზი გაეტანათ. მის ადგილას ნაძვის ხის მაგიდა და სამზარეულოს სკამი მოჩანდა. მკრთალ შუქზე ამ საგნებს ძლივს გაარჩევდით. სანთლები ჩაექროთ და მხოლოდ ფარნიდან ბჟუტავდა ოდნავი სინათლე.

ამ ღარიბულად მოწყობილ სცენაზე იჯდა ვიღაც მამაკაცი, რომელსაც ერთმანეთზე გადაჭდობილი ხელები მუხლებზე ეწყო და თვალდახრილი მიწას ჩაჰყურებდა. თუმცა სახე გრიმით ჰქონდა დაფარული და ტანსაცმელიც შემოხეული ეცვა, მაინც ვიცანი მისტერ როჩესტერი. ზურგიდან ჩამოხეული პალტო ერთ მხარეს სანახევროდ ეკიდა მკლავზე, თითქოს ჩხუბში, მუშტი-კრივის დროს ჩამოეხიათ. წარბშეკრული, ასეთ პირქუშ გამომეტყველებას და ჯაგარივით ყალყზე მდგარ თმას სრულიად გამოეცვალა. მოძრაობისას ჯაჭვის ჟღარუნი ისმოდა. ხელებზე ბორკილი ედო.

_ ბრაიდუელი, _ წამოიძახა პოლკოვნიკმა დენტმა და შარადაც აიხსნა.

დიდი დრო გავიდა, სანამ შემსრულებლები თავიანთ საკუთარ ტანსაცმელში გამოეწყობოდნენ. მერე ისინი სასადილო ოთახში შემოვიდნენ. მის ინგრემი მისტერ როჩესტერმა შემოიყვანა. ქალი, როგორც როლის საუკეთესო შემსრულებელს, ქათინაურებით უმასპინძლდებოდა.

_ იცით თუ არა, _ თქვა ახალგაზრდა ლედიმ, _ რომ სამივე გმირის გამოსახვის დროს ყველაზე ძალიან ბოლოს მომეწონეთ? ოჰ, ცოტა უფრო ადრეულ საუკუნეებში გეცხოვრათ, თქვენგან დიდებული შარაგზის ყაჩაღი დადგებოდა.

_ სახეზე საღებავი კიდევ მეტყობა? _ ჰკითხა მისტერ როჩესტერმა და მისკენ შეტრიალდა.

_ ვაი, რომ აღარ გემჩნევათ, რა სამწუხაროა! არაფერი ისე არ უხდება თქვენს სახეს, როგორც თავზეხელაღებული ავაზაკის გამომეტყველება.

_ მაშ თქვენ გულად შარაგზის ყაჩაღს შეიყვარებდით?

_ ინგლისელი შარაგზის ყაჩაღზე უფრო საინტერესო იტალიელი ბანდიტი იქნებოდა. მას კი მხოლოდ ლევანტიელი მეკობრე თუ გაუწევდა მეტოქეობას.

_ კეთილი, რადაც არ უნდა ჩამთვალოთ, გახსოვდეთ, რომ თქვენ ჩემი მეუღლე ხართ, თქვენ ჯვარი ამდენი ხალხის თანდასწრებით მხოლოდ ერთი საათის წინ დაიწერეთ.

ბლანშის კისკისი გავიგონე და დავინახე, როგორ ვარდისფრად აეტკიცა ღაწვები.

_ ახლა კი, დენტ, _ განაგრძო მისტერ როჩესტერმა. _ თქვენი ჯერია.

როცა ახალი ჯგუფი გაუჩინარდა, მისტერ როჩესტერმა და მის მხარეზე მოთამაშეებმა ადგილები დაიკავეს.

მისტერ როჩესტერის მარჯვნივ მის ინგრემი დაჯდა, დანარჩენი მონაწილეები კი მათ აქეთ-იქით ჩასხდნენ სავარძლებში. მე ახლა მსახიობთა თამაშს უკვე აღარ ვუყურებდი. აღარ მაინტერესებდა, როდის აიხდებოდა ფარდა, მთელი ჩემი ყურადღება მაყურებლებმა მიიქციეს. რამდენიმე ხნის წინ თუ თაღის ფარდას თვალს ვერ ვაცილებდი, ახლა დაჟინებით მხოლოდ ნახევარწრიულად დადგმულ სავარძლებს შევყურებდი. რა გაითამაშეს პოლოკოვნიკმა დენტმა და მისმა მომხრეებმა, რომელი სიტყვა აირჩიეს და ან როგორ გაიმართლეს თავი, სულაც არ მახსოვდა, მაგრამ მაყურებელთა ურთიერთშორის შეთანხმება ყოველი წარმოდგენის შემდეგ ახლაც ჯერ კიდევ კარგად მახსოვს. ვხედავდი, როგორ შეტრიალდებოდა ხოლმე მისტერ როჩესტერი მის ინგრემისაკენ, ხოლო _ ბლანში კი მისკენ. ვხედავდი, როგორ ხრიდა ის თავს მის წინ და შავი ბრწყინვალე კულულები თითქმის ეხებოდა მის მხრებსა და ელამუნებოდა მის სახეს. მესმოდა მათი ინტიმური ჩურჩული, მახსოვს, როდესაც ყოველივე იმას ვიგონებ, იგივე გრძნობა მეუფლება, რასაც მაშინ განვიცდიდი.

მე უკვე მოგახსენეთ, მკითხველო, როგორ მომხიბლა მისტერ როჩესტერმა. გრძნობას ვერ შევიცვლიდი მის მიმართ მხოლოდ იმიტომ, რომ არავითარ ყურადღებას არ მაქცევდა და მთელი იმ დროის მანძილზე ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის. ან თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი მისი ყურადღება მხოლოდ იმ ახალგაზრდა დიდებულმა ლედიმ დაისაკუთრა, რომელსაც მე იმდენად ვძულდი, რომ თუ ჩემ ახლოს ჩაივლიდა, ცდილობდა კაბის ქობითაც არ შემხებოდა. ხოლო თუ შემთხვევით მის შავ მბრძანებლურ

თვალთა მხედველობის არეში მოვხვდებოდი, ის მაშინვე სხვა მხარეს გაიხედავდა, თითქოს ისეთ საგნად მივაჩნდი, რომელსაც საერთოდ შეხედვის ღირსად არც კი თვლიან ხოლმე. ყოველდღიური დაკვირვებით ვრწმუნდებოდი, რომ მისტერ როჩესტერი სწორედ ამ ახალგაზრდა ლედის შეირთავდა, მაგრამ მხოლოდ ამიტომ ვერ შევიცვლიდი გრძნობას მის მიმართ. მის ინგრემსაც ამ რწმენის გამო თავი ამაყად ეჭირა. მისტერ როჩესტერი დიდი პატივისცემით და მოკრძალებით ექცეოდა. ყოველ წუთს მოწმე ვხდებოდი, თუ როგორ ეთაყვანებოდა მას, თუმცა ტრფობის მეტად თავისებური ხერხი გააჩნდა, _ დაუდევრობა. თითქოს იწვევდა ქალს და ერჩივნა მასვე ეძებნა ვაჟის ყურადღება და არა პირიქით. მაგრამ სწორედ ამ დაუდევარ ტრფიალებაში იყო დამატყვევებელი მიმზიდველობა და ამ სიამაყეში კი დაუძლეველი სწრაფვა.

არა, ყოველივე ამაში არაფერი იყო ისეთი, რომ გული გამცივებოდა, ან სიყვარულზე უარი მეთქვა. მაგრამ ყველაფერი ზემოთ ნათქვამი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ სასოწარკვეთილებას მივცემოდი. მკითხველი ალბათ იფიქრებს, რომ ჩემს სულს ეჭვიანობის გესლი სწამლავდა. მაგრამ განა ჩემ მდგომარეობაში მყოფ ქალს შეეძლო ეეჭვიანა მის ინგრემის მსგავს მეტოქეზე? რასაკვირველია, არა, და არც ვეჭვიანობდი, ან ძალიან იშვიათად. ის ტკივილი, რომელიც მე მაწამებდა, ძნელია ამ სიტყვით ახსნას ვინმემ. მის ინგრემი არ მიმაჩნდა ეჭვიანობის ღირსად, მას იმდენად არარაობად ვთვლიდი, ის ასეთ გრძნობას ვერ გამოიწვევდა ჩემში. მომიტევეთ, რომ ამ პარადოქსს ვიყენებ, მაგრამ მხედველობაში სწორედ ისა მაქვს, რასაც ვამბობ. თუმცა ის თვალწარმტაცი იყო, მაგრამ ბუნებრიობა აკლდა. მის ასეთ მშვენიერებასა და ბრწყინვალებას გონებრივი გამოფიტულობა და ბუნებრივი გულცივობა აჩნდა ლაქად. ასეთ ნიადაგზე ვერაფერი გაიხარებდა და აყვავდებოდა, ვერავითარ ბუნებრივ გემრიელ ნაყოფს ვერ იგემებდით და ვერ დატკბებოდით. ის არც კეთილი იყო და არც თავისი საკუთარი გააჩნდა რამე. წიგნებიდან მხოლოდ მყვირალა ფრაზებს იმეორებდა. საკუთარი აზრით ვერასოდეს მოგხიბლავდათ, მსჯელობდა მაღალ და წმინდა გრძნობებზე, მაგრამ თანაგრძნობა და შებრალება უცხო იყო მისი სულისათვის ისევე, როგორც სითბო და სიმართლე. აქ კი ხშირად თავს ვერ იკავებდა და თავის-დაუნებურად გასცემდა ხოლმე საკუთარ თავს, ალბათ ეს გადაჭარბებული გულახდილობით მოსდიოდა. როგორ ღვარძლსა და სიძულვილს გამოხატავდა პაწაწინა ადელის მიმართ, თუკი ბავშვი შემთხვევით მიუახლოვდებოდა. უტიფარი და შეურაცხმყოფელი სიტყვებით თავიდან იშორებდა; ხანდახან სასტუმრო ოთახიდან გარეთაც კი აგდებდა; ყოველთვის ცივად და ღვარძლით სავსე დაცინვით მიმართავდა. მაგრამ ჩემ გარდა სხვისი თვალებიც დაჟინებით, შორსმჭვრეტელური ალღოთი და თითქმის მაცდუ-ნებელი ღიმილითაც აკვირდებოდნენ მის ინგრემის ასეთ თვალნათლივ გამოკვეთილ ხასიათს. დიახ, მომავალი საქმრო, მისტერ როჩესტერი აკვირდებოდა თავის სასურველს. გამუდმებით ადევნებდა თვალყურს და ვერაგული სიფხიზლით და შორსმხედველი თვალით ცხადად ამჩნევდა

თავისი გულის რჩეულის ხასიათის ყველა ნაკლოვან მხარეს. სწორედ ამის გამო მისტერ როჩესტერს, აშკარა იყო, არ შეეძლო მის ინგრემის მიმართ დიდი გრძნობა ჰქონოდა. მისტერ როჩესტერის გრძნობების გაშიფვრამ და იქ თავისი მომავალი საცოლის მიმართ სიცივის ამოკითხვამ ჩემს გულს აუტანელი ტკივილი მიაყენა.

ვხედავდი, რომ ის მხოლოდ ოჯახური თუ რაღაც პოლიტიკური მოსაზრების გამო ირთავდა მას. მის ინგრემის შთამომავლობა და მაღალ საზოგადოებრივ წრეებთან კავშირი მის ინტერესებს, ცხადია, ეთანხმებოდა. ვამჩნევდი, მისტერ როჩესტერს არ მიეძღვნა მისთვის თავისი გრძნობა. მის ინგრემმა კი, მთელი თავისი ფიზიკური სრულქმნილების მიუხედავად, არ იცოდა, როგორ უნდა მიეღწია გამარჯვებისათვის და ხელთ ეგდო მის გულში ფარულად შენახული განძი. აი, სწორედ ამ მიზეზების გამო ვღელავდი, ვშიშობდი და შემომკვნესოდა გული. აი, ამიტომ შემოგზნებოდა ჩემ გულს ჩაუქრობელი ცეცხლი. მის ინგრემს არ შეეძლო მისი მოხიბვლა.

მას რომ გამარჯვებისათვის მაშინვე მიეღწია, მისტერ როჩესტერიც მორჩილად და გულწრფელად თავის გრძნობას ფეხქვეშ გაუგებდა. მეც სახეს დავიფარავდი, კედლისკენ მივბრუნდებოდი და (ფიგურალურად რომ ვთქვა) თავს მოვიკლავდი მათი გულისათვის. მის ინგრემი რომ სიკეთით სავსე, კეთილშობილი ადამიანი ყოფილიყო, ძლიერი გრძნობებით, მგზნებარებით, სათნოებითა და კეთილგონიერებით დაჯილდოებული, მაშინ მე მომიხდებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული ორი ვეფხვის: ეჭვიანობისა და სასოწარკვეთილების ჭიდილი გადამეტანა, დაე, მათ დაეფლითათ და თვალის დახამხამებაში მოესპოთ ჩემი გული, მე მაინც თაყვანს ვცემდი იმ ახალგაზრდა არსებას, თუ მეცოდინებოდა, რომ ის ყველას სჯობდა თავისი ადამიანური თვისებებით და სულიერი ღირსებით. მაშინ დარჩენილ სიცოცხლის დღეებსაც სრულ სიმშვიდეში გავატარებდი, რაც უფრო ღრმად დავრწმუნდებოდი მის უპირატესობაში, მით უფრო დიდი მოკრ-ძალებით განვიმსჭვალებოდი მისდამი და მით უფრო აუღელვებლად და მშვიდად განვშორდებოდი სიცოცხლეს. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა ხდებოდა: თვალყურს ვადევნებდი, როგორ ცდილობდა დაეტყვევებინა ვაჟის გული, მაგრამ მისი ყოველდღიური წარუმატებლობის მოწმეც ვხდებოდი, რაც ქალისათვის სრულიად ჩაუწვდომელი რჩებოდა. ის ვერ გრძნობდა საკუთარ გრძნობათა მარცხს. ამაოდ ოცნებობდა, რომ თითოეული მისგან ნატყორცნი ისარი ნიშანში მოხვედრილიყო. იმ დროს, როდესაც, მოზეიმე განწყობილებით თავბრუდახვეული, წარმატებას ამაყად მოელოდა, სწორედ ეს სიამაყე და თვითკმაყოფილება აშორებდა უფრო და უფრო დასახულ მიზანს. მოწმე ვხდებოდი რა ყოველივე ამის, ვგრძნობდი, ამიერიდან განუწყვეტელ მღელვარებასა და საშინელ ტანჯვა-წამებაში უნდა გამეტარებინა დღეები.

ვხედავდი მის მარცხს და ვიცოდი, როგორ უნდა მიეღწია წარმატებისათვის. მისტერ როჩესტერის მკერდში ნასროლი ისრები უვნებლად მისსავე ფეხქვეშ ცვიოდა. კარგად ვატყობდი, ეს ისრები უფრო წრფელი

გრძნობით სავსე ადამიანის ხელს რომ ეტყორცნა, როჩესტერის ამაყ გულს მახვილივით გაჰკვეთდა და სიყვარულით აღავსებდა. მის მკაცრ გამომეტყველებას სიყვარულის ცეცხლით აღაგზნებდა და დამცინავ სახეზე სითბოს ნაპერწკლებს აუციმციმებდა. მაგრამ უფრო კარგი და საინტერესო იქნებოდა ამ ბრძოლაში სრულიად მშვიდად და ყოველგვარი იარაღის გარეშე გამარჯვება.

_ რატომ მეტი გავლენის მოხდენა არ შეუძლია მისტერ როჩესტერზე, რადგან წილად ხვდა ბედნიერება ასე ახლოს ყოფილიყო მასთან? _ ვეკითხებოდი ჩემს თავს. _ ალბათ, თვითონ არ შეუძლია ნამდვილი სიყვარული, არ გააჩნია მისდამი ნამდვილი გრძნობა და მისწრაფება. მას რომ ნამდვილი გრძნობა უღვიოდეს გულში, ასე ხელგაშლილი არ უნდა ფანტავდეს ძვირად ღირებულ ღიმილს. არც ასე მოციმციმე თვალებით უნდა შესცქეროდეს დაუსრულებლად, არც ასე გრძნობით აღვსილი უნდა აღაპყრობდეს თვალებს ზეცად, ან ესოდენ სიკეკლუცე და წელის მოხდენილი მიმოტანა რა საჭიროა? ვფიქრობდი, წყნარად რომ მჯდარიყო, დაუსრულებლად არ ეტიტინა და დაჟინებით არ ეცქირა მისთვის სახეში, მის გულს უფრო ადვილად დაატყვევებდა. რა ხშირად შემიმჩნევია მისტერ როჩესტერის სახეზე სულ სხვა გამომეტყველება იმ გულცივ თავდაჭერილობასთან შედარებით, რომლითაც ის ახლა მის ინგრემის დაჟინებულ თამაშს პასუხობდა. ეს სხვა გამომეტყველება თავისთავად უნდა წარმოქმნილიყო. მას ვერავითარი ყალბი, ხელოვნური გზით და წინასწარ ნავარაუდევი ხრიკებით ვერავინ გამოიწვევდა. ის მხოლოდ უნდა გაეზიარებინათ და ეპასუხნათ, რასაც მოითხოვდნენ ყოველგვარი მანჭვა-გრეხის გარეშე. მაშინ ეს გამომეტყველება მეტ ძალას მოიკრებდა, სითბოთი და ალერსით აღივსებოდა და გულს მადლიანი მზის სხივივით გაათბობდა. _ «როგორ მოახერხებს მის ინგრემი ასიამოვნოს და ბედნიერება მოუტანოს მას, როდესაც ჯვარს დაიწერენ?» _ ვფიქრობდი, ის ამას ვერ მოახერხებდა. გულწრფელად მწამდა, რომ მის მეუღლეს შეეძლო ყოფილიყო ყველაზე ბედნიერი ქალი ამ მზისქვეშეთში.

აქამდე ჯერ კიდევ არაფერი მითქვამს ისეთი, რითაც შესაძლებელი იქნებოდა მსჯავრი დამედო მისტერ როჩესტერის მომავალი გეგმებისათვის, რომლებიც მის სავარაუდო ქორწინებას და ამ გზით მიღწეულ მაღალ წრეებთან ურთიერთობას ითვალისწინებდა. პირველად, როდესაც მისი განზრახვა შევიტყვე, განცვიფრებული დავრჩი. მე ის ისეთ ადამიანად არ მიმაჩნდა, რომელზედაც რაიმე ბანალური აზრი ასე იოლად მოახდენდა გავლენას და ისიც მეუღლის არჩევის დროს, მაგრამ, რაც უფრო მეტად ვმსჯელობდი ამ საკითხზე და ამ წყვილის მდგომარეობასა და აღზრდას ვუკვირდებოდი, მით უფრო ნაკლებ უფლებას ვაძლევდი ჩემს თავს, მსჯავრი დამედო მისთვის ან მის ინგრემისათვის, იმის გამო, რომ ისინი იმ იდეების და პრინციპების მიხედვით იქცეოდნენ, რასაც, უეჭველია, ადრეული სიყმაწ-ვილიდანვე უნერგავდნენ. ამ კლასის თითოეული წარმომადგენელი ასეთივე პრინციპებით ხელმძღანელობდა. ვფიქრობდი, ალბათ, მიზეზიც ჰქონდათ,

რომ ასე მტკიცედ იცავდნენ მას, რომლის აზრს მე ჯერ ვერ ჩავწვდომოდი, ისე მეგონა, მე მის ადგილზე მხოლოდ საკუთარ გულის ძახილს დავუგდებდი ყურს და მხოლოდ ისეთ ქალს შევირთავდი, ვინც მეყვარებოდა. ის უპირატესობანი კი, რაც ასეთ შემთხვევაში მთელი სიცხადით ქმრის საკუთარ ბედნიერებას ითვალისწინებდა და რასაც ამ გეგმით გვთავაზობდნენ, მარწმუნებდა, რომ არსებობდა მისი საწინააღმდეგო მოსაზრებები, რის გამოც ყველას მიერ ის ჯერ კიდევ არ იყო საყოველთაოდ აღიარებული, თორემ სხვაგვარად, დარწმუნებული ვიყავი, მთელი ქვეყანა ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც მე მსურდა და სწორი მეგონა.

მხოლოდ იმას ვამჩნევდი, რომ არა მარტო ამ საკითხში, არამედ მრავალ სხვა საკითხშიც მისტერ როჩესტერისადმი დიდ ლმობიერებასა და შემწყნარებლობას ვიჩენდი. მავიწყდებოდა მისი ის ნაკლოვანი მხარეები, რაზედაც წინათ ასე ფრთხილად მეჭირა თვალი. პირველად ვცდილობდი მისი ხასიათის ყველა მხარე, ავიცა და კარგიც, შემესწავლა, ამეწონ-დამეწონა და სამართლიანი მსჯავრიც გამომეტანა. მის სარკაზმსა და უკმეხობაში, რომელიც წინათ თავზარს მცემდა, ახლა ცუდს ვერაფერს ვხედავდი, მე ის ახლა რჩეული საჭმლის მწვავე სანელებლად მეჩვენებოდა. მისი სიცხარე პირს მწვავდა, მაგრამ უიმისოდ საჭმელი ხომ მეტისმეტად უგემური იქნებოდა. რაც შეეხება მის იდუმალ გამომეტყველებას, პირქუში იყო ის თუ ნაღვლიანი, მზაკვრული თუ უნუგეშო, _ ფრთხილი დამკვირვებლის თვალი ამ გრძნობას მის თვალებში დროდადრო მაინც ამჩნევდა, მაგრამ, სანამ მოასწრებდით მის უცნაურ სიღრმეში ჩახედვას, სანამ ნაწილობრივ მაინც აღმოაჩენდით იქ რაიმეს, ის მსწრაფლ ქრებოდა. ეს სწორედ ის იყო, რაც მე ასე მაძრწუნებდა. თითქოს ვულკანურ მწვერვალებს შორის დავეხეტებოდი; უცებ მიწისძვრა ვიგრძენი; დავინახე, დედამიწამ როგორ გააღო პირი და უფსკრული გამოჩნდა. მის სახეზე დროდადრო ახლაც ვამჩნევდი ასეთ გამომეტყველებას, გული მითრთოდა, მაგრამ არ ვღელავდი. იმის მაგიერ, რომ თავი ამერიდებინა და გავქცეოდი, ვნატრობდი, გამებედა, მივახლოებოდი და მისი საიდუმლო ამომეცნო. ამიტომ მეჩვენებოდა მის ინგრემი ყველაზე ბედნიერ ადამიანად. ერთ მშვენიერ დღეს მას შეეძლო ამ უფსკრულში ჩაეხედა და მისი სულის საიდუმლოება სრულიად თავისუფლად გამოეცნო, ამასთანავე, ამ საიდუმლოებათა ბუნებაც კარგად შეესწავლა.

იმ დროის განმავლობაში, როდესაც მთელი ჩემი არსებით მისტერ როჩესტერსა და მის მომავალ მეუღლეზე ვფიქრობდი, მხოლოდ მათ ვამჩნევდი, მათი საუბარი მესმოდა და მათსავე მოძრაობას ვუთვალთვალებდი, რომელიც დიდი საიდუმლოებით იყო მოცული და ყველაზე მნიშვნელოვან გამოცანად იქცა ჩემი პირადი ცხოვრებისათვის, დანარჩენი ყველა სტუმარი თავისი საკუთარი საქმით იყო გართული. ისინი თავისებურად ერთობოდნენ და განცხრომას ეძლეოდნენ. ლედი ლინი და ლედი ინგრემი ურთიერთ შორის საუბარს მედიდური გამომეტყველებით განაგრძობდნენ. ჩალმით მორთულ თავებს ხანგამოშვებით თანხმობის ნიშნად ერთიმეორეს უკრავდნენ და

ხელებს მორთული ტიკინებივით ამოძრავებდნენ; თითქოს სურდათ, უფრო ცხადად გამოეხატათ გაოცება, რაიმე აზრის იდუმალება, ან საშინელების გამომხატველი ძრწოლა, იმისდა მიხედვით, თუ საჭორაო თემა რა საკითხს შეეხებოდა. ლმობიერი მისის დენტი კეთილშობილი თვისებებით სავსე მის ეშტონს ესაუბრებოდა. ორივე მანდილოსანი ხანგამოშვებით თავისი თავაზიანი ტონით და კეთილი ღიმილით მეც არ მივიწყებდა. სერ ჟორჟ ლინი, პოლკოვნიკი დენტი და მისტერ ეშტონი პოლიტიკის საკითხებზე კამათობდნენ, საგრაფოს საქმეებს იხილავდნენ და სასამართლო პროცესების მიმდინარეობის შესახებ მსჯელობდნენ. ახალგაზრდა ლორდ ინგრემს ემი ეშტონთან სატრფიალო საუბარი გაება. ლუიზა ეშტონი ლინების გვარის ერთ-ერთ ახალგაზრდა წარმომადგენელთან ერთად როიალზე უკრავდა და მღეროდა. მერი ინგრემი მოდუნებული ისმენდა ამავე ოჯახის მეორე ვაჟიშვილის ალერსიან საუბარს. ხანდახან ყველა, თითქოს შეთანხმებულაო, შეწყვეტდა თავისი როლის შესრულებას და მთავარ მსახიობთა თამაშს აკვირდებოდა, რადგანაც, ბოლოს და ბოლოს, მისტერ როჩესტერი და მასთან საკმაოდ ახლოს მდგომი მის ინგრემი წარმოადგენდნენ ამ საზოგადოების სიცოცხლისა და სულიერი ცხოვრების თავსა და ბოლოს. მისტერ როჩესტერს ერთი საათითაც რომ დაეტოვებინა ოთახი, სტუმართა შორის მაშინვე მოდუნებულობა და მოწყენილობა შეიმჩნეოდა. მისი გამოჩენა კი რაღაც ახალ სასიცოცხლო ბიძგს აძლევდა მათ და სტუმართა საუბარში აღფრთოვანებას იწვევდა.

მისი ასეთი მაცოცხლებელი გავლენა ამ საზოგადოებაზე საგრძნობი გახდა ერთ დღეს, როდესაც ის რაღაც საქმეებზე მილკოტში გამოიძახეს. როგორც ჩანდა, გვიან საღამომდე არც უნდა დაბრუნებულიყო. ნაშუადღევს ცოტა წამოწვიმა. სტუმრებს სასეირნოდ გასვლა ჰქონდათ გადაწყვეტილი ბოშათა ბანაკის სანახავად, რომლებსაც ჰეის გარეთ გაეშალათ კარვები, მაგრამ წვიმის გამო მგზავრობა გადაიდო. რამდენიმე ჯენტლმენმა საჯინიბოს მიაშურა. ახალგაზრდა ყმაწვილი კაცები ქალებთან ერთად საბილიარდოში ბილიარდს თამაშობდნენ. ლორდის ქვრივები: მისის ინგრემი და მისის ლინი სევდის გასაქარვებლად კარტით ერთობოდნენ. ბლანშ ინგრემმა ქედმაღლური დუმილით უკუაგდო მისის ეშტონისა და მისის დენტის ცდა, როგორმე ჩაებათ საუბარში. პირველად გრძნობით სავსე მელოდიას ღიღინებდა და როიალზეც დაუკრა, მაგრამ მალე ბიბლიოთეკიდან რომელიღაც რომანი გამოიტანა, უგუნებოდ და მოწყვეტით დაჯდა დივანზე და ამ საინტერესო წიგნით შეეცადა მოლოდინის წუთებში თავი როგორმე გაერთო. როგორც მთელ სახლში, ისე სასტუმრო ოთახშიც სრული მყუდროება გამეფებულიყო, საბილიარდოდან მხოლოდ დროგამოშვებით თუ აღწევდა ბილიარდის მოთამაშეთა მხიარული ხმები.

ბნელდებოდა. საათის ზარმა ამცნო სტუმრებს, რომ სადილობის დრო მოახლოვდა და საჭირო იყო ტანსაცმელი გამოეცვალათ. სწორედ ამ დროს

პატარა ადელმა, რომელიც ჩემ გვერდით სასტუმრო ოთახის სარკმლის წალოში დაჩოქილი გარეთ იყურებოდა, წამოიძახა:

_Voilà Monsieur Rochester, qui revient!

მივტრიალდი, მის ინგრემი თითქმის ადგილიდან წამოფრინდა. სხვებმაც თავი ანებეს გართობას და იქით დაიწყეს ყურება. სველ ქვიშაზე ერთდროულად გაისმა ეტლის ბორბლების ჭრიჭინი და ცხენების ფლოქვების ხმა. საფოსტო ეტლი თანდათან გვიახლოვდებოდა.

_ რატომ მოუვიდა აზრად ასეთი ეტლით უკან დაბრუნება? _ იკითხა მის ინგრემმა, _ ის ხომ თავისი შავი ცხენით მესრურით გაემგზავრა და პაილოტიც თან ჰყავდა; სად არის ცხენი ან ძაღლი?

დაამთავრა რა ეს სიტყვები, მაღალი, განიერ ტანსაცმელში გამოწყობილი მის ინგრემი ისე ახლოს მოვიდა სარკმელთან, რომ იძულებული გავხდი, უკან დამეხია, თანაც ისეთი სისწრაფით, რომ კინაღამ ხერხემალი გადავიტეხე. იგი იმდენად აღგზნებული იყო, პირველად ვერც კი შემნიშნა, მაგრამ თვალი მომკრა თუ არა, ზიზღით ტუჩი აიბზუა და მეორე სარკმელთან გადაინაცვლა. ეტლი გაჩერდა. მეეტლემ შემოსასვლელ კარებზე ზარი დარეკა და სამგზავრო ტანსაცმლიანი ჯენტლმენი ეტლიდან გადმოვიდა. ის მისტერ როჩესტერი არ აღმოჩნდა. ეს იყო მაღალი, მოხდენილი, ვიღაც მაღალი წრის მამაკაცი.

_ რა საწყენია! _ წამოიძახა მის ინგრემმა. _ შე საძაგელო მაიმუნო (მიმართა პატარა ადელს), ვინ აგიყვანა ფანჯრის რაფაზე, რომ ტყუილი ამბები მოგვიტანო? _ მერე გაჯავრებულმა მე გადმომხედა, თითქოს დამნაშავე ვყოფილიყავი რამეში.

დერეფანში ლაპარაკის ხმა გაისმა და ახალმოსულიც მალე შემოვიდა. მან ლედი ინგრემს თავი დაუკრა, ალბათ, მანდილოსანთა შორის ყველაზე უფროსად ის მიიჩნია.

_ ჩანს, უდროო დროს გეახელით, ქალბატონო. ჩემი მეგობარი მისტერ როჩესტერი შინ არ დამიხვდა, მაგრამ მეტად შორეული მოგზაურობიდან დავბრუნდი, ვფიქრობ, მასთან ძველი და პირადი მეგობრული ურთიერთობა ნებას მაძლევს იმდენად გავკადნიერდე, რომ მის დაბრუნებამდე ამ სახლში დავბინავდე.

მას მეტად თავაზიანი საქციელი ჰქონდა. მისმა აქცენტმა გამაოცა. ის უცხოური არ იყო, მაგრამ არც მთლად ინგლისურს ჰგავდა. წლოვანებით, შესაძლებელია, მისტერ როჩესტერის ხნისა ყოფილიყო. ასე, დაახლოებით, ოცდაათიდან ორმოცამდე. სახე ავადმყოფურად ფერმკრთალი ჰქონდა, თორემ სხვა მხრივ, განსაკუთრებით პირველი შეხედვით, მშვენიერი შესახედაობის მამაკაცად ჩაითვლებოდა; ახლო დაკვირვებით კი მის სახეზე რაღაც უსიამოვნო გამომეტყველებას აღმოაჩენდით; ან უფრო უკეთ რომ ვთქვა, ის სიამოვნებას ვერაფრით გაგრძნობინებდათ; სახის ნაკვთები თუმცა წყობილი ჰქონდა, მაგრამ მოდუნებული, თვალები დიდი და ლამაზი, მაგრამ უსიცოცხლო და უაზრო; ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენებოდა.

ზარის ხმამ ამცნო სტუმრებს, რომ სადილობისთვის ტანსაცმელი უნდა გამოეცვალათ. კრებული დაიშალა. სადილობის შემდეგ მე კვლავ ვნახე ახლადმოსული ჯენტლმენი. იგი, როგორც საკუთარ სახლში, ისე იქცეოდა. მისი სახის გამომეტყველება ახლა უფრო არ მომეწონა. მან თითქოს შემაკრთო კიდეც. წონასწორობამოკლებული და მეტისმეტად უსიცოცხლო ჩანდა. თვალებს უაზროდ აქეთ-იქით აცეცებდა და მის სახეს ძალიან უცნაურ გამომეტყველებას აძლევდა. ასეთი გამომეტყველება ჩემ სიცოცხლეში არ მენახა. ეს მოხდენილი და საკმაოდ სასიამოვნო გარეგნობის ადამიანი სრულიად არ მომწონდა. კანგადატკეცილ სწორ, ოვალურ სახეზე არავითარი ადამიანური ძალა არ შეიმჩნეოდა. არც კეხიან ცხვირსა და ალუბლისფერ პატარა ტუჩებს შეეძლო გამოეხატა ვაჟური სიმტკიცე. დაბალი და ვიწრო შუბლიც არ მეტყველებდა მის გონებამახვილობაზე. ცივ, მუქ თაფლისფერ თვალებში კი გრძნობის ნატამალიც არ მოჩანდა.

ჩვეულებრივ, ისევ წყნარ კუთხეს მივაშურე, სადაც ჯდომა მიყვარდა და სტუმარს ბუხრის თავზე მდგარ კანდელაბრების შუქზე ვათვალიერებდი, რომლებიც მის სახეს საკმაო შუქს ჰფენდნენ. ის ბუხრის პირად სავარძელში იჯდა და კიდევ უფრო წინ მიიწევდა, ეტყობა, სციოდა. მე მას (თუ სხვაობაზე ვილაპარაკებთ) მისტერ როჩესტერს ვადარებდი. ეს ორი ადამიანი ერთმანეთის სრულიად საპირისპირონი იყვნენ. წარმოიდგინეთ, მძინარა ბატი და ამაყი შევარდენი. უწყინარი ცხვარი და მისივე მცველი, ავი, თვალებბრიალა, ბანჯგვლიანი ქოფაკი.

მან განაცხადა, მისტერ როჩესტერი ჩემი ძველი მეგობარი იყოო.

ძალიან უცნაური მეგობრობა კი უნდა ჰქონოდათ.

ეს ძველი ანდაზის მართლაც თვალსაჩინოება იქნებოდა: «ორი უკიდურესობა ერთმანეთს ვერ ასცდება».

ორი თუ სამი ჯენტლმენი მის ახლოს სავარძლებში ჩასხდნენ და საუბარი გააბეს. ჩემამდე მათი საუბარი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ძლივს აღწევდა, პირველად ძალიან მიჭირდა რაიმე გამეგონა, რადგან ჩემ ახლოს ლუიზა ეშტონი და მერი ინგრემი ისხდნენ. მათი ლაპარაკი საშუალებას არ მაძლევდა ხანდახან ყურმოკრული, ნაწყვეტ-ნაწყვეტი წინადადებებიდან გამეგო რაიმე. ისინი ახალმოსულზე მსჯელობდნენ. ორივე მას ლამაზი გარეგნობის მამაკაცად თვლიდა. ლუიზამ მას სასიყვარულო სახელიც კი შეარქვა და თქვა: _ ვაღმერთებო. მერი კი დაჟინებით სთხოვდა ყურადღება მიექცია მისი «ულამაზესი პირის მოყვანილობისა და ასეთივე ლამაზი ცხვირისათვის», რადგან ეს ორი რამ წარმოადგენდა მის სილამაზის იდეალს.

_ ოჰ, რა მშვენიერი შუბლი აქვს! _ წამოიძახა ლუიზამ.

_ როგორი სწორი და უხაზო. შუბლშეჭმუხვნილობის კვალიც კი არსად ეტყობა, რაც ასე ძალიან მძულს. რა უშფოთველია მის თვალთა მეტყველება და ღიმილი!

ბოლოს, ჩემდა სასიხარულოდ, მისტერ ჰენრი ლინმა მიიხმო ისინი ოთახის მეორე ბოლოში. ალბათ სურდა, სოფელ ჰეიში გამგზავრებაზე საბოლოოდ შეთანხმებულიყვნენ, რამდენიმე ხნის წინ რომ გადაიდო.

ახლა შემეძლო მთელი ყურადღება ცეცხლის პირად მჯდომი რამდენიმე ადამიანის საუბრისათვის დამეთმო. მაშინვე შემომესმა, რომ ახალმოსულს მისტერ მეზონს ეძახდნენ. ისიც გავიგე, რომ ეს-ეს არის ჩამოსულიყო ინგლისში რომელიღაც ცხელი ქვეყნიდან. უეჭველია, ეს იყო მიზეზიც, რომ სახე ასე გაშავებოდა, ცეცხლისაკენ ასე მიიწევდა და ოთახშიაც კი ლაბადით იჯდა. უცებ სიტყვებმა: იამაიკა, კინგსტონი და სპენიშტაუნი, მიმახვედრეს, რომ ის ვესტინდოეთის მკვიდრი იყო. ძალიან გამაოცა იმ ამბავმა, რომ მას მისტერ როჩესტერი პირველად იქ ენახა და გასცნობოდა. მისტერ მეზონი უამბობდა მათ, თუ მისმა მეგობარმა როგორ შეიძულა ცხელი ჰავა, ქარიშხლები და გადაუღებელი წვიმები. მისის ფეიერფექსის ნაამბობის მიხედვით ვიცოდი, რომ მისტერ როჩესტერი ბევრს მოგზაურობდა, მაგრამ მეგონა, მხოლოდ ევროპა შემოიარა-მეთქი. აქამდე ჯერ კიდევ არაფერი გამეგო იმის შესახებ, რომ ის ასეთ შორეულ მოგზაურობაშიც იყო ნამყოფი.

ჯერ ისევ ამ მოგზაურობის შესახებ ვფიქრობდი, რომ სრულიად მოულოდნელმა შემთხვევამ ფიქრი შემაწყვეტინა, სიცივით აკანკალებული მისტერ მეზონი კარის გაღებაზე მოითხოვდა ცეცხლისთვის ნახშირი დაემატებინათ. თუმცა მას გუგუნი გაჰქონდა და ნაცარში ნაკვერცხალი ჯერ კიდევ წითლად ღვიოდა, ფარეშმა ცეცხლზე დასამატებლად ნახშირი შემოიტანა, გასვლისას მისტერ ეშტონის სკამის ახლოს შეჩერდა და დაბალი ხმით რაღაც უთხრა. ამ სიტყვებიდან მხოლოდ ეს მოვისმინე: _ მოხუცი ქალია, თავი მოგვაბეზრაო.

_ უთხარი, თუ ახლავე აქედან არ წავა, სარდაფში ჩავამწყვდევ. _ უპასუხა მოსამართლემ.

_ არა, მოითმინეთ! _ ჩაერია პოლკოვნიკი დენტი. _ ნუ გააგდებთ, ეშტონ, შესაძლებელია, ამას რაიმე საინტერესო მოჰყვეს. უმჯობესია, მანდილოსნებს შევუთანხმდეთ, _ და მან ხმამაღლა განაგრძო:

_ ქალბატონებო, თქვენ, მგონი, გინდოდათ სოფელ ჰეიში გამგზარება ბოშათა ბანაკის სანახავად. აი, სემი ამბობს, რომ სწორედ ამ წუთში მოსამსახურეთა სასადილოში იმყოფება ერთი მოხუცი მისანი ბოშა ქალი, რომელიც თქვენი უდიდებულესობის წინაშე წარდგენას მოითხოვს და აცხადებს, ბედს გიწინასწარმეტყველებთო. გინდათ მისი ნახვა?

_ თქვენ, რასაკვირველია, პოლკოვნიკო, _ წამოიძახა ლედი ინგრემმა, _ ასეთი მდაბიო თვალთმაქცის აქ შემოყვანას არ იკადრებთ. ახლავე გააგდეთ აქედან, რადაც უნდა დაგიჯდეთ!

_ ვერაფრით ვერ დავითანხმეთ, რომ თავიდან მოგვეშორებინა, ქალბატონო, _ უპასუხა ფარეშმა, _ ვერც ერთმა მსახურმა ვერ შეძლო მისი აქედან გაგდება. მისის ფეიერფექსიც ამ წუთში იქ გახლავთ და ემუდარება, წავიდეს, მაგრამ

მოხუცმა ქალმა სკამი აიღო, ბუხრის ახლოს დაჯდა და აცხადებს, ადგილიდანაც არ დავიძვრები, სანამ იქ შესვლის ნებას არ დამრთავენო.

_ მაინც რა უნდა? _ იკითხა მისის ეშტონმა.

_ სურს ბატონებს უმკითხაოს და მომავალი უწინასწარმეტყველოს. ფიცულობს, რომ უამისოდ აქედან ფეხსაც არ მოიცვლის.

_ როგორია შესახედავად? _ დაინტერესდნენ ლუიზა და ემი ეშტონები.

_ შეგაშინებთ, ისეთი მახინჯი მოხუცია, ჭვარტლივით შავი.

_ ოჰ, ნამდვილი ჯადოსანი ყოფილა! _ წამოიძახა ფრედერიკ ლინმა. _ შემოვუშვათ, რასაკვირველია, შემოვუშვათ!

_ თავისთავად ცხადია, უნდა შემოვუშვათ, _ კვერი დაუკრა ძმამ. _ მერე ბევრს ვინანებთ, მაგრამ გვიანღა იქნება, ასეთი გასართობი რომ ხელიდან გავუშვით.

_ ძვირფასო ბიჭებო, აბა ეს რა საფიქრებელია? _ იკითხა ლედი ლინმა.

_ მე არ შემიძლია შევხედო ასეთ უღირს გასართობს, _ გაიჟღრიალა მისის ინგრემის ხმამ.

_ მართალია, დედა, მაგრამ შეგიძლიათ თუ არა, უნდა აიტანოთ! _ მოისმა ბლანშის ამაყად ნათქვამი სიტყვები და იგი როიალის წინ მრგვალ სკამზე შემოტრიალდა, სადაც აქამდე ჩუმად იჯდა და მოსაჩვენებლად სხვადასხვა ნოტს სინჯავდა.

_ ცნობისმოყვარეობა არ მასვენებს, მსურს, მიწინასწარმეტყველოს, რა ბედი მომელის. სემ, უბრძანე ერთი მაგ კუდიან ბებრუცუნას, შემოვიდეს!

_ ძვირფასო ბლანშ, გონს მოდი.

_ მე ვიცი, რასაც ვაკეთებ. ყველაფერი ვიცი წინასწარვე, რაც უნდა მირჩიოთ, მაგრამ, როგორც მსურს, ისე იქნება. ჩქარა, სემ!

_ დიახ, დიახ, დიახ! _ ერთხმად წამოიძახეს ახალგაზრდა ქალებმა და ყმაწვილმა კაცებმა, _ შემოვიდეს, რა არაჩვეულებრივი გასართობია!

ფარეში გასვლას არ ჩქარობდა.

_ ის ძალიან უკმეხია, _ წარმოთქვა მან ბოლოს.

_ წადი, _ წამოიძახა მის ინგრემმა და ფარეში გავიდა.

სტუმრებს მაშინვე მღელვარება დაეუფლათ. ხუმრობისა და დაცინვის ჯვარედინი ცეცხლი ღვიოდა და ერთი მხრიდან მეორეზე გადადიოდა. ფარეში ისევ მარტო შემობრუნდა.

_ მას ახლა არ სურს თქვენთან შემოსვლა, _ განაცხადა მან.

_ ამბობს, რომ არ მინდა ამ ურწმუნო ბრბოს წინაშე წარვ-დგეო (ეს მისი სიტყვებია) და მოითხოვს საკუთრად ცალკე ოთახი მივუჩინო. მერე კი, ვისაც სურს უმკითხაოს, სათითაოდ უნდა შევიდნენ მასთან.

_ აი, ხედავ, მშვენიერო! _ დაიწყო ლედი ინგრემმა, _ მოხუცი ჯადოქარი როგორ შემოიჭრა ჩვენს უფლებებში. დამიჯერე, ჩემო ანგელოზო, და...

_ ბიბლიოთეკაში შეიყვანეთ! _ სიტყვა მოუჭრა მისის ინგრემს თავისმა ანგელოზმა. _ მეც არა მაქვს სურვილი სხვების თანდასწრებით ვუსმინო, მინდა პირისპირ შევხვდე. ცეცხლი ხომ ანთია ბიბლიოთეკაში.?

_ დიახ, ქალბატონო, მაგრამ ეს ბოშა ქალი ისეთი გაიძვერაა.

_ შეწყვიტე ყბედობა, შე გამოთაყვანებულო, და ისე მოიქეცი, როგორც გიბრძანებ.

სემი კვლავ გაქრა. იდუმალების მოლოდინში ყველას აღფრთოვანება დაეუფლა.

_ ის უკვე მზად გახლავთ, _ თქვა მსახურმა გამოჩენისთანავე, _ და სურს იცოდეს, ვინ იქნება მისი პირველი სტუმარი.

_ უმჯობესია, ერთი ავხედ-დავხედო, სანამ რომელიმე მანდილოსანი შევიდოდეს, _ განაცხადა პოლკოვნიკმა დენტმა.

_ უთხარი, სემ, რომ ერთ-ერთი ჯენტლმენი იქნება პირველი.

სემი გავიდა და ისევ შემობრუნდა.

_ სერ, მან განაცხადა, ჯენტლმენებს არ ვღებულობ სამკითხაოდო. ასე რომ, თავს ნუ შეიწუხებთ მასთან მისვლით. ასევე მანდილოსნებს, _ აქ ფარეშმა დიდი გაჭირვებით როგორღაც შეიკავა ხითხითი და თქვა: _ არავის, გარდა ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალებისა.

_ ეშმაკმა წაიღოს! გემოვნება კი ჰქონია! _ წამოიძახა ჰენრი ლინმა.

მის ინგრემი სადღესასწაულო იერით წამოდგა.

_ მე მივდივარ პირველი, _ განაცხადა მან ისეთი მედიდური ხმით, თითქოს მტრის წინააღმდეგ თავისი ჯარისკაცებით ცეცხლის ხაზზე გადიოდა, თუმცა კარგად იცოდა, რომ განწირული იყო.

_ ოჰ, ძვირფასო, ჩემო საუნჯევ! შეჩერდი, მოიფიქრე! _ გაისმა დედის ხმა. მაგრამ მის ინგრემმა მედიდური დუმილით ჩაუარა მას გვერდით და კარებს გასცდა, რომელიც პოლკოვნიკმა დენტმა გაუღო. ყველამ გავიგონეთ, როცა ბიბლიოთეკაში შევიდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ლედი ინგრემმა იფიქრა: _ le cas და მღელვარების გამო ვითომდა ხელების მტვრევას მოჰყვა. მის მერი კი ყველას არწმუნებდა, მე იქ შესვლას ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავბედავო. ემი და ლუიზა ეშტონები სულმოუთქმელად კისკისებდნენ და ცოტა შეშინებული გამოიყურებოდნენ.

წუთები ნელა გადიოდა. თხუთმეტი წუთი დათვალეს, სანამ ბიბლიოთეკის კარი კვლავ გაიღებოდა. ბოლოს მის ინგრემი თაღის ქვეშ გამოჩნდა.

გაიცინებს? როგორც ხუმრობას, ისე მიიღებს? ყველას თვალებში მოუთმენელი ცნობისმოყვარეობა იხატებოდა. მაგრამ მის გამოხედვაში ცივი უარი და მიუკარებლობა ჩანდა მხოლოდ. ის არც აღელვებული იყო, არც გახარებული. გადაჭარბებული სიამაყით, ზომაზე მეტად წელში გამართული თავის ადგილისაკენ გაემართა და უხმოდ დაჯდა.

_ რა მოხდა, ბლანშ? _ მიმართა მას ლორდ ინგრემმა.

_ რა გითხრა, გენაცვალე? _ შეეკითხა მერი.

_ რას ფიქრობ, რა შთაბეჭდილება დატოვა? მართლა მისანია? _ ეკითხებოდნენ დები ლუიზა და ემი ეშტონები.

_ ახლა, ბატონებო, _ უპასუხა მის ინგრემმა, _ ნუ გადამეკიდებით. ვხედავ, ამ ამბით ყველანი ძალიან დაინტერესებული ხართ და გულუბრყვილოდ

აღელვებული. თქვენ ყველამ, დედაჩემის ჩათვლით, ისეთი ხმაური ატეხეთ, ალბათ, გულწრფელად გჯერათ, რომ ჩვენს სახლში ნამდვილი მისანი ქალი იმყოფება, რომელსაც სული ეშმაკისათვის მიუყიდნია. მე კი ბოშა მაწანწალა მკითხავი ვნახე. ის ძველებურად ხელისგულზე მკითხაობს და ის მითხრა, რასაც საერთოდ ასეთი მოხეტიალე მაწანწალები ამბობენ ხოლმე. ჩემი ახირებული ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილებულია. ახლა კი, ვფიქრობ, მისტერ ეშტონი კარგს იზამდა, რომ ეგ კუდიანი ჯადოქარი სარდაფში ჩაემწყვდია ხვალ დილამდე, როგორც დაემუქრა.

მის ინგრემმა წიგნი აიღო და სავარძელში ღრმად ჩაეშვა, ამით უარი თქვა საუბარზე. დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში თვალყურს ვადევნებდი და ამ დროის მანძილზე ერთი ფურცელიც არ გადაუშლია. სახეზე წამიერად რაღაც ნაღველი გადაურბენდა ხოლმე და უკმაყოფილება და უიმედობა ეხატებოდა. ჩანდა, საკუთარ თავზე ვერაფერი სასიამოვნო მოისმინა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცდილობდა გულგრილობა გამოეჩინა, მისმა ხანგრძლივმა დანაღვლიანებამ და დუმილმა დამარწმუნა, რომ მისანი ქალის სიტყვებმა მასზე დიდი გავლენა მოახდინა.

ამ დროს მერი ინგრემი, ლუიზა და ემი ეშტონები კი აცხადებდნენ, მასთან მარტო შესვლას ვერ გავბედავთო, თუმცა ისიც ეტყობოდათ, რომ ძალიან უნდოდათ მისი ნახვა. მოლაპარაკება დაიწყო: შუამავლის როლს ისევ სემი ასრულებდა. როდესაც სემი საკმაოდ დაიქანცა აქეთ-იქით სიარულში, თუმცა ეს ყოველივე საკმაოდ მოსწონდა კიდეც, ავგულმა სიბილამ ძლივს განაცხადა თანხმობა, სამივე ქალიშვილი ერთად შესულიყო მასთან.

მათმა საუბარმა მის ინგრემის საუბართან შედარებით დიდ ხმაურში ჩაიარა. ბიბლიოთეკიდან ახლა ისტერიული კისკისი და უცაბედი წამოკივლების ხმა შემოდიოდა. ოცი წუთი გავიდა და თითქოს შიშისაგან გონდაკარგულები არიანო, ქალიშვილები ისე შემოცვივდნენ ოთახში.

_ ის შეშლილია! _ კივილით ამბობდნენ ისინი და ერთმანეთს არ აცდიდნენ. _ ისეთი რამეები გვითხრა! ყველაფერი იცის ჩვენზე! _ და სიცილისაგან დაოსებულნი, სულმოუთქმელად გადაცვივდნენ სავარძლებში, რომლებიც ჯენტლმენებმა ძლივსღა მოასწრეს შეეთავაზებინათ.

როდესაც ყველაფერი კიდევ უფრო დაწვრილებით გამოიკითხეს, ქალიშვილებმა განაცხადეს, რომ ბოშა ქალმა ისიც კი იცოდა, რას ამბობდა და აკეთებდა თითოეული მათგანი ჯერ კიდევ ბავშვობაში. წიგნები და ბუდუარის მორთულობაც კი ჩამოეთვალა, რაც თითოეულ მათგანს გააჩნდა შინ. ის საჩუქრებიც კი იცოდა, რომლებიც რომელიმე ნათესავს ოდესმე ეჩუქებინა. მათი აზრით, მან თითოეულის ოცნება და ფიქრიც კი ამოიკითხა. ყურში ჩუმად ჩასჩურჩულა იმ ადამიანის სახელები, რომლებიც მათ ყველაზე მეტად მოსწონდათ ამქვეყნად და ისიც კი უთხრათ, ვის რა იდუმალი სურვილი ჰქონდა გულში ფარულად შენახული.

აქ კი ჯენტლმენები საქმეში ჩაერივნენ და დაჟინებით მოითხოვეს, ქალიშვილებს უფრო ნათლად ეღიარებინათ ყველაფერი, რაც მათგან საუბარში

სულ ბოლო წარმოთქმულ ორ წინადადებას შეეხებოდა. მაგრამ ასულნი ასეთი დაჟინებული თხოვნის საპასუხოდ მხოლოდ წითლდებოდნენ, ხანდახან თუ წამოიძახებდნენ რამეს და მერე ისევ უცებ ჩუმდებოდნენ. ისინი მღელვარებისაგან თრთოდნენ და თავისმომაბეზრებელ შეკითხვებზე გულიანად კისკისებდნენ. ხანში შესული მანდილოსნები კი მარაოების ქნევით თავს დასტრიალებდნენ და ძმარში შეზავებულ ნელსურნელებას აყნოსებდნენ, ამასთანავე, განუწყვეტლივ აგონებდნენ, თუ თავიდან რისთვის აფრთხილებდნენ და არ აძლევდნენ ნებას, რომ ასეთი მოუფიქრებელი საქციელი ჩაედინათ.

უფროსი ჯენტლმენები იცინოდნენ და ახალგაზრდები კი ძალით თავს ახვევდნენ თავიანთ სამსახურს მღელვარებისაგან ათრთოლებულ მშვენიერ ასულებს.

ამ ჩოჩქოლში და იმ დროის განმავლობაში, როდესაც ჩემი თვალი და ყური მთლად იმ სანახაობით იყო გართული, რაც ჩემ წინ ხდებოდა, ვიგრძენი, რომ ვიღაც იდაყვზე შემეხო. მოვტრიალდი და სემი დავინახე.

_ თუ შეიძლება მის, ბოშა ქალი აცხადებს, რომ აქ კიდევ ყოფილა ერთი ახალგაზრდა გაუთხოვარი ლედი, რომელიც მასთან არ შესულა და იფიცავს, რომ აქედან ფეხსაც არ მოიცვლის, სანამ ყველას არ ინახულებს, ვფიქრობ, ეს თქვენ უნდა იყოთ. სხვა ასეთი აქ არავინ აღარ არის. რა პასუხი გავცე?

_ ოჰ, აუცილებლად წამოვალ, _ ვუპასუხე მე. გამიხარდა კიდეც, რადგან ეს მოულოდნელი შესაძლებლობა ჩემ აგზნებულ ცნობისმოყვარეობას დააკმაყოფილებდა. ყველასათვის შეუმჩნევლად ოთახიდან გავედი და კარი წყნარად მივხურე. ყველანი მღელვარებისაგან ათრთოლებული სამი ქალიშვილის გარშემო შეკრებილიყვნენ, რომლებიც ის იყო ბიბლიოთეკიდან გამოვიდნენ.

_ თუ გნებავთ, მის, _ მითხრა სემმა, _ მე დაგიცდით დერეფანში, თუ შეგეშინდეთ, დამიძახეთ და მაშინვე შემოვალ.

_ არა, სემ, სამზარეულოში დაბრუნდით, სრულებითაც არ მეშინია.

ნამდვილად არც მეშინოდა. მაგრამ ძალიან დაინტერესებული და აღელვებული კი ვიყავი.

თავი XIX

ბიბლიოთეკაში სრული სიმშვიდე დამხვდა. მისანი მოხუცი ქალი, თუ ის მართლა მისანი იყო, ბუხრის კუთხეში დადგმულ სავარძელში მშვიდად იჯდა. მას წითელი ლაბადა ჰქონდა წამოსხმული და თავზე რაღაც შავი ეხურა, უფრო სწორად, ფართოფარფლებიანი ბოშური ქუდი, რომელიც ნიკაპთან ზოლიანი ცხვირსახოცით შეეკრა. მაგიდაზე ჩამქრალი სანთელი იდგა. ის ცეცხლისკენ გადახრილიყო და, ჩანდა, პატარა შავ წიგნში რაღაცას კითხულობდა, რომელიც ცეცხლის შუქზე უფრო ლოცვების წიგნს ჰგავდა. სიტყვებს ბუტბუტით

გამოთქვამდა თავისთვის, როგორც კითხვის დროს, ჩვეულებრივ, მოხუცმა ქალებმა იციან ხოლმე. ჩემ შესვლაზე კითხვა მაშინვე არ შეუწყვეტია. ეტყობა, უნდოდა სტრიქონი ბოლომდე ჩაეთავებინა.

შევედი თუ არა, ბუხრისაკენ გავეშურე, ცეცხლის პირად ხალიჩაზე შევჩერდი და ხელებს ვითბობდი. სასტუმრო ოთახში ბუხრიდან საკმაოდ შორს ვიჯექი და გავყინულიყავი. ბოშა ქალის დანახვაზე სრულიად დავმშვიდდი, რადგან მის გარეგნობაში ისეთი ვერაფერი შევამჩნიე, რასაც შეეძლო ჩემი სულიერი სიმშვიდე დაერღვია. მან წიგნი დახურა და აუჩქარებლად მაღლა აიხედა. ქუდის ფართო კიდე სანახევროდ ჩრდილს ჰფენდა მის სახეს, მაგრამ მაინც შემეძლო დამენახა, რადგან მან ქუდი ოდნავ ზემოთ ასწია. ძალიან უცნაური მეჩვენა. სახის კანი თითქოს ყავისფერი თუ მეტისმეტად შავი ჰქონდა. თეთრი თავსაფრის ქვეშ, რომელიც ნიკაპთან ჰქონდა შეკრული და ყბებსაც სანახევროდ უფარავდა, წყლის კაცივით გაჩეჩილი, ყალყზე მდგარი თმა აქა-იქ მოუჩანდა. უცებ ზემოთ აიხედა და თვალი თვალში გამიყარა. მისი გამოხედვა მეტისმეტად გაბედული და პირდაპირი იყო.

_ კეთილი, თქვენ გინდათ, რომ ბედი გიწინასწარმეტყველოთ? _ მკითხა მან ისეთი გადამწყვეტი ხმით, როგორიც გამოხედვა ჰქონდა და ისევე უხეშად, როგორც მისი სახის ნაკვთები მეჩვენა.

_ მე ამას დიდ მნიშვნელობას არ მივცემ, დედი. თუ თქვენ ამით სიამოვნებას ღებულობთ, მიმკითხავეთ, მაგრამ ვალდებული ვარ, გაგაფრთხილოთ, რომ მე მკითხაობისა არაფერი მწამს.

_ თქვენგან ასეთი უკმეხობა გასაკვირველი არ არის; მე ამას ველოდი; ის თქვენი ფეხის ნაბიჯითაც გამოვარკვიე, როდესაც ზღურბლს გადმოსცდით.

_ მართლა? ძალიან მახვილი სმენა გქონიათ.

_ დიახ, მაქვს. თვალი და გონებაც ასევე მიჭრის.

_ ეს ყველაფერი თქვენს ხელოვნებას სჭირდება.

_ რა თქმა უნდა, როდესაც ისეთი ადამიანიც შეგხვდება, როგორიც თქვენა ხართ: რატომ არ კანკალებთ?

_ არ მცივა.

_ რატომ არ ფითრდებით?

_ მე ავად არა ვარ.

_ რატომ არ გჯერათ ჩემი ხელოვნების?

_ მე სულელი არა ვარ.

მოხუცმა ჯადოქარმა ქუდის შესაკრავქვეშ მალულად ჩაიხითხითა, თითქოს ხვიხვინებსო. შემდეგ მოკლე შავი ჩიბუხი ამოიღო, გააჩაღა და წევა დაუწყო. კარგა ხანს ასე თავს ირთობდა, თითქოს მშვიდდებოდა. შემდეგ მოხრილი სხეული წამოსწია, ჩიბუხი პირიდან გამოიღო და ცეცხლისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე დამარცვლით მითხრა:

_ ვატყობ, გცივათ კიდეც, ავადაცა ხართ და სულელიც იქნებით.

_ დაამტკიცეთ, _ შევესიტყვე მეც.

_ დიახ, სულ რამდენიმე სიტყვით დაგიმტკიცებთ: გცივათ იმიტომ, რომ სულ მარტოდმარტო ხართ ამქვეყნად; არავითარი ურთიერთობა არა გაქვთ ისეთ ადამიანთან, რომელმაც ის ცეცხლი უნდა გააღვივოს, რაც თქვენს სულში იმალება; ავადა ხართ იმიტომ, რომ უძვირფასესი და უტკბესი გრძნობები ისეთ ადამიანს შესწირეთ, რომელიც თქვენგან ძალიან შორს არის; სულელი კი იმიტომ გიწოდეთ, რომ, თუმცა ძალიან იტანჯებით, მაინც თავს არ იწუხებთ, რომ ბედნიერება როგორმე დაგიახლოვდეთ; ერთი ნაბიჯიც კი არ გადაგიდგამთ იმ მხარეს, საითაც ის გელოდებათ.

მან კვლავ მიიტანა მოკლე შავი ჩიბუხი პირთან და თამბაქოს წევა დიდი მონდომებით განაახლა.

_ თქვენ შეგიძლიათ ყველაფერი ეს უთხრათ თითქმის ყველას, ვინც შეგხვდებათ განმარტოებულად მცხოვრები და სხვაზე დამოკიდებული ასეთ დიდებულ ოჯახში.

_ შემიძლია, რასაკვირველია, ყველას ვუთხრა, მაგრამ მართალი იქნება თუ არა ყველასათვის?

_ თუ ჩემ მდგომარეობაში იქნება, რა თქმა უნდა.

_ დიახ, სწორედ ასეა, თუ თქვენ მდგომარეობაში იქნება, მაგრამ მიპოვეთ მეორე სავსებით ისეთივე მდგომარეობაში მყოფი, როგორშიც თქვენა ხართ.

_ ძალიან ადვილად შეიძლება მოინახოს ასეთები.

_ ერთსაც ვერ მიპოვით; თქვენი მდგომარეობა მთლად განსხვავებულია; თქვენ ბედნიერებასთან სულ ახლოს ხართ; თითქმის ყველაფერი მიღწეული გაქვთ; ყველა პირობა მომზადებულია; მხოლოდ ერთი ხელის განძრევაა საჭირო და ყველაფერი ერთმანეთს დაუკავშირდება; ისინი ერთმანეთს შემთხვევამ განაშორა; ნება მიეცით, რომ შეერთდნენ და ნეტარებაც თქვენ ხელთ იქნება.

_ მე ქარაგმები არ მესმის. ერთი გამოცანაც არ გამომიცვნია ჩემ სიცოცხლეში.

_ თუ გინდათ უფრო გარკვევით გელაპარაკოთ, ხელისგული მომეცით, რომ ბედი გიწინასწარმეტყველოთ.

_ ვფიქრობ, ზედ ვერცხლის ფული უნდა იყოს, არა?

_ რა თქმა უნდა.

მე მას ერთი შილინგი მივეცი. მან ის ძველი წინდის ყელში შეინახა, რომელიც ჯიბიდან ამოიღო. ყულფი გამოსკვნა, უკანვე ჩაიდო ჯიბეში და მერე მითხრა, ხელისგული მეჩვენებინა. მეც ასე მოვიქეცი. მან სახე ჩემ ხელთან სულ ახლოს მოიტანა, დაჟინებით დააცქერდა, მაგრამ არ შეხებია.

_ რა მშვენიერი ხელია, _ მითხრა მან. _ არ შემიძლია ასეთ ხელზე მკითხაობა, ზედ ერთი ხაზიც კი არ ემჩნევა. მაგრამ იცით, რას ვამჩნევ მასზე? ბედი არ გიწერიათ.

_ მჯერა თქვენი, _ დავუდასტურე მეც.

_ არა, _ განაგრძო მან: _ ის თქვენს სახეზე წერებულა, შუბლზე, თვალის უპეებში, შიგ თვალებში და ტუჩის კუთხეებში. დაიჩოქეთ და თავი ასწიეთ.

_ აჰ! ახლა უფრო ვუახლოვდებით სინამდვილეს. _ ვუთხარი მე, დავემორჩილე რა მის ბრძანებას, _ მალე, ალბათ, თქვენდამი რწმენაც გამიჩნდება.

მისგან ასე ერთი იარდის დაშორებით დავიჩოქე. მან ცეცხლი გააღვივა, ისე რომ ნაკვერჩხლები აციმციმდნენ და სინათლის შუქი პირდაპირ სახეზე მეცემოდა. თვითონ ისე იჯდა, მის სახეს უფრო მეტი ჩრდილი ფარავდა.

_ ძალიან მაინტერესებს ვიცოდე, რა გრძნობით მოხვედით ჩემთან დღეს? _ მითხრა მან, როდესაც საკმაოდ დიდხანს მაკვირდებოდა სახეზე, _ ან რა ფიქრები გიტრიალებთ გულში იმ დროს, როდესაც სასტუმრო ოთახში ზიხართ რამდენიმე საათის განმავლობაში და თქვენ წინ ეს მშვენიერი ადამიანები მიმოქრიან, როგორც სასწაულმოქმედი ფარნის ჩრდილები? ვიცი, თქვენსა და მათ შორის ისე ცოტა რამ არის საერთო, თითქოს ისინი მართლაც ადამიანთა აჩრდილები იყვნენ და არა ნამდვილი ცოცხალი არსებანი.

_ ხშირად ვიღლები, ხშირად მეძინება, მაგრამ არასოდეს სევდას არა ვგრძნობ.

_ მაშინ ალბათ გულში რაიმე ფარულად შენახული იმედი გიღვივით, რომელიც გშველით და მომავლის ტკბილ იმედსაც ჩაგჩურჩულებთ?

_ არა, ყველაზე დიდი ოცნება ის არის, როგორმე ჯამაგირიდან საკმაო ფული გადავინახო და რამდენიმე ხანში ერთ პატარა შენობაში სასწავლებელი გავხსნა, სადაც მე სრულუფლებიანი მმართველი ვიქნები.

_ ეს ძალიან მცირე საზრდოა სულიერი სიმშვიდისათვის, ფანჯრის წალოში ჯდომაც (აი, ხედავთ, მე თქვენი ჩვეულებებიც კი ვიცი) არაფერი დიდი სიამოვნებაა.

_ თქვენ ეს, ალბათ, მოსამსახურეებისაგან შეიტყვეთ?

_ ოჰ, როგორი გამჭრიახი თვალი გაქვთ! დიახ, შესაძლებელია, მათგანაც გამიგია. მართალი რომ გითხრათ, მე მყავს მათ შორის ნაცნობი მისის პული.

ფეხზე წამოვიჭერი, როდესაც მისი სახელი შემომესმა.

_ თქვენ გყავთ, არა? მაშ ის არის თქვენი ნაცნობი? _ გავიფიქრე ჩემთვის. _ მაშ ამ საქმეში ბოლოს და ბოლოს ეშმაკის ხელი რეულა.

_ ნუ შეშფოთდებით, _ განაგრძო უცნაურმა ქმნილებამ. _ ის სანდო ადამიანია, ჩუმი და მშვიდი ქალი, ყველას შეუძლია მშვიდად დაენდოს მას. მაგრამ, როგორც წეღან ვამბობდი, როდესაც იმ სარკმლის წალოში ზიხართ, არაფერზე არ ფიქრობთ, გარდა სასწავლებლის გახსნისა მომავალში? ნუთუ არავინ გაინტერესებთ, რომლებიც სავარძლებში და დივნებზე სხედან თქვენ წინ? ნუთუ მათ შორის არავის სახის გამომეტყველება არ გიტაცებთ და არ სწავლობთ რომელიმეს? ნუთუ არავინ არის მათ შორის ისეთი, რომლის მოძრაობებსაც აკვირდებოდეთ და უთვალთვალებდეთ, თუნდაც უბრალო ცნობისმოყვარეობისათვის?

_ მე ყველა სახისა და ყველა ადამიანის დაკვირვება მიყვარს.

_ მაგრამ განა ერთს არასოდეს არ გამოჰყოფთ დანარჩენებისაგან ან შეიძლება ორსაც?

_ დიახ, ხშირად, როდესაც სახის გამომეტყველება და მიმოხრა რომელიმე წყვილისა მთელი მათი სულიერი ცხოვრების ისტორიას მიყვება. ეს დიდად მართობს და ვუკვირდები კიდეც.

_ რა ამბის მოსმენა უფრო გიყვართ ყველაზე ძალიან?

_ ოჰ, დიდ არჩევანში არ შევდივარ, ყოველთვის ერთი და იმავე თემის გარშემო ვტრიალებ: ტრფობა. მომავალში კი ჩვეულებრივი კატასტროფული დასასრული _ქორწინება.

_ მერე თქვენ გიტაცებთ ეს მუდმივი უცვლელი თემა?

_ რა თქმა უნდა, ჩემთვის სულ ერთია, ის ხომ მე არ მეხება.

_ არ გეხებათ? როდესაც ახალგაზრდა, ბრწყინვალე შთამომავლობის მდიდარი ლედი, ჯანმრთელი, სიცოცხლით აღსავსე, მშვენიერი და მომხიბლავი ზის, უღიმის და თვალებში შეჰყურებს იმ ჯენტლმენს, რომელიც თქვენ...

_ მე... რა?

_ რომელსაც თქვენ კარგად იცნობთ და, შესაძლებელია, ბევრსაც ფიქრობთ მასზე...

_ მე აქ არც ერთ ჯენტლმენს არ ვიცნობ, ორი სიტყვაც ძლივს თუ გამიბედავს მეთქვა რომელიმე მათგანისათვის, რაც შეეხება ჩემ აზრს მათზე, პირველნი, _ არცთუ ისე ახალგაზრდები, მეტად დიდებულნი და პატივსაცემნი არიან. მეორენი კი _ ახალგაზრდები დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ თავიანთი გამბედაობით, სილამაზით, მხიარული და ხალისიანი ბუნებით. რა თქმა უნდა, მათ სრული უფლება აქვთ მხოლოდ იმათი ღიმილით დატკბნენ, ვისგანაც თვითონ მოისურვებენ. ერთი წუთითაც არ ვფიქრობ, რომ ამ ამბავს რამე საერთო აქვს ჩემს გრძნობებთან და ან მე მეხება.

_ მაშ თქვენ არ იცნობთ ამ ჯენტლმენებს, არც გამოლაპარაკებიხართ თუნდ ორიოდ სიტყვით რომელიმე მათგანს? ნუთუ ამ სახლის პატრონზედაც იგივე შეგიძლიათ თქვათ?

_ ის სახლში არ არის.

_ ეს მოსაზრებული შენიშვნაა, მეტად ენამოსწრებული კალამბურია. ის ხომ მხოლოდ დილით გაემგზავრა მილკოტს და ამ საღამოს ან ხვალ დილით აქ იქნება, ნუთუ ეს შემთხვევა გამორიცხავს მას თქვენი ნაცნობების სიიდან და ისე წაშლის, თითქოს სრულიადაც არ არსებობდეს?

_ არა, მაგრამ ვერ ვხედავ, რა კავშირი აქვს მისტერ როჩესტერს იმ საუბართან, რაც თქვენ დაიწყეთ.

_ მე ვლაპარაკობდი მანდილოსნებზე, რომლებიც ჯენტლმენებს თვალებში შეჰყურებენ და უღიმიან. ამ ბოლო ხანს რამდენი ღიმილი ჩაიღვარა მისტერ როჩესტერის თვალებში; როგორ აივსო ისინი პირთამდე, როგორც ორი საწყაული; ნუთუ თქვენ ეს ერთხელაც არ შეგინიშნავთ?

_ მისტერ როჩესტერს სრული უფლება აქვს გაირთოს თავი თავისი სტუმრების საზოგადოებაში.

_ უფლებებზე არავინ ლაპარაკობს, მაგრამ თქვენ არ შეგინიშნავთ, რომ ყველა აქაური მითქმა-მოთქმა, რომელიც კი ქორწინებას შეეხება, სიცოცხლის მომტანი და დაუმთავრებელი საუბარი მხოლოდ მისტერ როჩესტერზეა?

_ მსმენელის მოუთმენლობა მთხრობელის ენას აჩქარებს, _ ჩავილაპარაკე ეს უფრო ჩემთვის, ვიდრე ბოშა ქალის გასაგონად, რომლის უცნაურმა საუბარმა, ხმამ და ლაპარაკის მანერამ რაღაც საოცარ სიზმარეულ ბურანში გამხვია. მისი პირიდან ერთიმეორეზე მიყოლებით სრულიად მოულოდნელ ამბებს ვისმენდი, ვიდრე ობობას ქსელივით დახლართულ თვალთმაქცობის ბადეში გავეხვეოდი. გაოცებული ვფიქრობდი, რა უხილავი სული იჯდა ჩემს გულში ამ კვირების განმავლობაში, თვალყურს ადევნებდა ჩემი გულის მუშაობას და ახლა თითოეული მაჯისცემის მიზეზიც კი იცოდა.

_ მსმენელის მოუთმენლობა, _ გაიმეორა მან, _ დიახ, მისტერ როჩესტერი ხშირად იჯდა და ყურადღებით უსმენდა მომაჯადოებელ ბაგეს, რომელიც ესოდენ დიდ სიამოვნებას ანიჭებდა თავისი თხრობით. და როგორ სურს მას კვლავ ისმინოს და უმზერდეს მადლიერების გრძნობით აღვსილი იმ წარსულ სასიამოვნო დროს. ნუთუ თქვენ არ შეგინიშნავთ ეს მასში?

_ მადლიერება! არ მახსოვს შემენიშნოს რაიმე განსაკუთრებული მადლიერება.

_ არ შეგინიშნავთ? მაშინ, ალბათ, თქვენ აკვირდებოდით მის სახეს. რა აღმოაჩინეთ აბა, თუ მადლიერება არ შეგინიშნავთ?

არაფერი მითქვამს.

_ თქვენ სიყვარული შენიშნეთ, ალბათ, არა? იყურებოდით რა შორს, მომავლისაკენ, თქვენ ხედავდით მას უკვე დაქორწინებულს და მის მეუღლეს კი ბედნიერს?

_ ჰმ! მთლად ასეც არ არის, თუმცა თქვენ ხელოვნებას ჯადოქრული ძალა აქვს, ხანდახან ძალიან ცუდად გამოიცნობთ ხოლმე სინამდვილეს.

_ მაშ რა ეშმაკებს ხედავდით?

_ ეს არ არის საყურადღებო. მე აქ მოვედი, რომ მიმკითხაოთ და არა აღსარება მათქმევინოთ. იმას კი მიხვდით, რომ მისტერ როჩესტერმა ჯვარი უნდა დაიწეროს?

_ დიახ, უმშვენიერეს მის ინგრემზე.

_ მალე?

_ როგორც სარწმუნო საბუთებიდან ჩანს, დიახ. ეჭვიც არავის ეპარება (თუმცა თქვენ თქვენი უხეშობისთვის საჭიროა დაისაჯოთ, ვატყობ, არ გჯერათ), რომ ისინი მეტისმეტად შესაფერი წყვილი იქნებიან. მისტერ როჩესტერს, რა თქმა უნდა, ეყვარება ასეთი მშვენიერი, კეთილშობილი, ჭკვიანი და ყოველმხრივ სრულყოფილი ახალგაზრდა ლედი. შესაძლებელია, მის ინგრემსაც უყვარს ის. ყოველ შემთხვევაში, თუ მისტერ როჩესტერი არ უყვარს, მისი ქისა მაინც ეყვარება. ვიცი, ამ უკანასკნელი მიზეზის გამო ის მისტერ როჩესტერის მამულს მეტად სახარბიელოდ თვლის, თუმცა (ღმერთო, მაპატიე!) ამის შესახებ მას უკვე ვუთხარი დაახლოებით ერთი საათის წინ;

ჩემმა ლაპარაკმა გუნება მთლად შეუცვალა; საოცარი მოწყენა დაეტყო და ცხვირი ჩამოუშვა, მე მისი შავგვრემანი სატრფო უნდა გავაფრთხილო: მინდა გამოერკვეს, თუ ვინმე, მეორე, უფრო დიდი შემოსავლის მქონე და უფრო დიდი მამულის პატრონი გამოჩნდა, ის, რა თქმა უნდა, პირში ჩალაგამოვლებული დარჩება.

_ მაგრამ, დედი, მე ხომ იმიტომ არ მოვედი, რომ მისტერ როჩესტერის მომავალი ბედი მიწინასწარმეტყველოთ. მე ჩემი საკუთარი მინდა მოვისმინო. თქვენ კი ამის შესახებ არაფერი გითქვამთ.

_ თქვენი ბედი ჯერ კიდევ საეჭვოა, როდესაც თქვენ სახეს ვაკვირდებოდი, შევნიშნე, რომ ერთი ხაზი მეორის საწინააღმდეგოდ მიემართება; ეს ჯერ კიდევ ამ საღამოს აქ მოსვლამდე ვიცოდი. ბედმა თავისი ხელით ფრთხილად ცხვირწინ მოგიტანათ ბედნიერება; დავინახე, როგორ მოხდა ყოველივე და ახლა თქვენზეა დამოკიდებული, როგორ მოიქცევით. საჭიროა ხელი გაიწოდოთ და აიღოთ ის, მაგრამ აიღებთ თუ არა, ეს ჯერ კიდევ საეჭვოა. ეს ის საკითხია, რომელიც ახლა უნდა გამოვარკვიო. აბა, კიდევ ერთხელ დაიჩოქეთ ხალიჩაზე!

_ დიდხანს ნუ გამაჩერებთ, ცეცხლი მწვავს.

დავიჩოქე. ის ჩემკენ არ გადმოხრილა, მხოლოდ თვალმოუშორებლად მაკვირდებოდა სავარძლის ზურგზე მიყრდნობილი და მერე ბუტბუტი დაიწყო:

_ ამ თვალებში ცეცხლი ციმციმებს; ისინი დილის ცვარივით ბრწყინავენ; მათი გამოხედვა თბილია და გრძნობით სავსე; ჩემი გაუმართავი ენით საუბრისას ისინი იღიმებიან; ეს თვალები მეტისმეტად მგრძნობიარე და მეტყველია; მათ ნათელ სიღრმეში შთაბეჭდილება შთაბეჭდილებას მოსდევს; თუ არ იღიმიან, მათში სევდა ისადგურებს; შეუცნობელი დაღლილობა ამძიმებს ქუთუთოებს _ ეს მელანქოლიის ნიშანია, მარტოობიდან მომდინარე; ეს თვალები მე გამირბიან; ისინი ჩემს გამჭვალავ მზერას უფრთხიან; მათ დამცინავ ციმციმში ჩანს, თითქოს უარყოფენ სინამდვილეს, რომელიც ეს-ეს არის მათ წინ გადავშალე; ვხედავ, მეტად მგრძნობიარე და ნაღველით სავსენი არიან, მაგრამ არ სურთ დამეთანხმონ; მათი სიამაყე და იდუმალი თავშეკავებულობა ჩემს რწმენას უფრო ამტკიცებს; ეს თვალები სიკეთის მაუწყებელია. რაც შეეხება ბაგეს, მას სიცილი და მხიარულება უყვარს. ის თანახმაა ყველაფერი გამიზიაროს, რასაც გონება სწვდება, მაგრამ გავბედავ და ვიტყვი, ის დადუმდება და არ გამოამჟღავნებს იმ საიდუმლოს, რასაც მისი გული განიცდის. განა ასეთი მოძრავი და მეტყველი იმისთვისაა ამქვეყნად გაჩენილი, რომ სამუდამო მარტოობითა და დუმილით იტანჯებოდეს? ის დაუსრულებლად უნდა ტიტინებდეს და იღიმებოდეს, ადამიანური თბილი გრძნობებით ატკბობდეს მსმენელს. ვფიქრობ, ეს მშვენიერი ბაგეც სიკეთისა და ბედნიერების მომტანია. ამ ბედნიერების მხოლოდ ერთი მტერი შეიმჩნევა სახეზე. _ ეს შუბლია. ის ჩემ წინაშე აშკარად აცხადებს: «მე შემიძლია ვიცხოვრო მარტო, თუ ჩემი სიამაყე და მდგომარეობა მოითხოვს. არ მჭირდება ნეტარების

შესაძენად სული გავყიდო. შინაგანი სულიერი განძი გამაჩნია, რომელიც დაბადებით თან დამყვა. მას შეუძლია ჩემს სიცოცხლეზე იზრუნოს და შეინარჩუნოს ის, თუნდაც ამქვეყნიური ყოველნაირი გარეშე სიამოვნება ამიკრძალონ და მის მისაღებად ისეთი მსხვერპლის გაღებაც კი დამჭირდეს, რაც ჩემთვის ყველაზე ძვირფასია.» თვითვე დასძენს: «გონება ძლიერია, მას სადავე ხელთა აქვს; არც ერთ გრძნობას ნებას არ მისცემს წინ აღუდგეს მას და სადმე უფსკრულში გადაჩეხოს. დაე, მთელი თავისი პირველყოფილი ძალით აღინთნენ სულში გრძნობები, როგორც ახლა, დაე, სურვილმაც ამაოდ იოცნებოს აქ, ქვეყნიურ დაულეველ სიტკბოებაზე, მაგრამ უკანასკნელი სიტყვა ყველა საკითხში და ყოველი გადაწყვეტილების მიღების დროს მაინც გონების განსჯას ეკუთვნის. თუნდაც ძლიერი ქარიშხალი, მიწისძვრა და ცეცხლით გადაბუგვა იყოს მოსალოდნელი, მე მაინც მის შინაგან ხმას გავყვები, რომელიც სინდისის კარნახს ემორჩილება». კარგად არის ნათქვამი: შუბლო, ასეთ განცხადებას შეიძლება დიდი პატივისცემით მოექცეს ყველა ადამიანი. შენ საკუთარი გეგმები შეგიდგენია, _ ეს გეგმები სწორია, ისინი გონებისა და სინდისის ხმასთანაა შეთანხმებული, ვიცი, ახალგაზრდობა როგორ ჩქარა გაფრინდება, დაჭკნება და შეეცვლება ფერი, თუ მისთვის შეთავაზებულ ბედნიერების სასმისში პატიოსნების თუნდ ერთი წვეთი მაინც ჩარჩენილა ან სინდისის ქენჯნის ოდნავი ნიშანწყალი თუ შერჩენია. მე კი არც მსხვერპლი მინდა, არც მწუხარება და არც სასოწარკვეთილება, _ ეს გრძნობები არ მიტაცებს, მინდა ხელი შევუწყო, ყოველივე განვკურნო და არა რაიმე ზიანი მივაყენო; მადლობა დავიმსახურო და არა სისხლის ცრემლები ვაღვრევინო.

_ არა, მე არ მინდა არც ერთი მათგანი! დაე, მხოლოდ ღიმილს, ალერსსა და სიტკბოებას ვიმკიდე, აი, რა მინდა.

_ საკმარისია. ვფიქრობ, რაღაც უცნაურ ბოდვებს მივეცი თავი, ოჰ, როგორ მინდა ეს წუთი საუკუნედ ვაქციო, მაგრამ ვერ ვბედავ. თუმცა ჯერ კიდევ მთელი ძალით მიჭირავს ჩემი თავი ხელში. მე ისე მოვიქცევი, როგორც გულში დავიფიცე. მაგრამ შესაძლებელია მან ჩემს ძალას გადააჭარბოს, ადექით, მის ეარ, დამტოვეთ, წარმოდგენა დამთავრებულია.

სადა ვარ? სიზმარია თუ ცხადი? თუ აქამდე მეძინა და ზმანებიდან ვერ გამოვრკვეულვარ? მოხუცი ქალის ხმა უცებ შეიცვალა. მისი კილო, ქცევები _ და ყველაფერი მასში ისეთი ნაცნობი მომეჩვენა, როგორც საკუთარი თავი სარკეში, _ როგორც საკუთარი ენით წარმოთქმული სიტყვები. წამოვდექი, მაგრამ ადგილიდან არ დავძრულვარ, კვლავ სახეში ჩავხედე. ბუხარში ცეცხლი გავაღვივე და კვლავ დავაცქერდი. მან ქუდი ჩამოიწია და თავსაფარიც უფრო შემოიხვია, რომ პირისახე დაემალა. მერე მანიშნა, რომ განვშორებოდი, მისი წინწამოწეული ხელი უცებ ცეცხლის ალმა გაანათა, გამოვფხიზლდი და ყოველივე იმით აღელვებული, რაც მოხდა, უცებ მის ხელს დავაკვირდი. ის არ იყო მოხუცი ადამიანის დამჭკნარი ხელი, ის ისეთივე ახალგაზრდა ადამიანის ხელი იყო, როგორც თვით ჩემი საკუთარი... ძლიერი, მოქნილი, სწორთითებიანი და სათუთკანიანი. ნეკზე ფართო ბეჭედი უბრწყინავდა. წინ

გადავიხარე და დავაკვირდი, მასში ძვირფასი თვალი შევნიშნე, რომელიც წინათ ათასჯერ მენახა. მერე კვლავ შევხედე სახეზე. ის უკვე თვალს არ მარიდებდა; პირიქით, ქუდი და თავშალი მოიძრო და თავი დახარა.

_ კეთილი, ჯეინ, მიცანით? _ მკითხა ნაცნობმა ხმამ.

_ მხოლოდ ეს წითელი ლაბადაც მოიხსენით, სერ, და მაშინ...

_ შესაკრავი ზონრები გაკვანძულია, მომეხმარეთ.

_ გაწყვიტეთ, სერ.

_ აი, ეს უცნაური ტანსაცმელიც გადავყაროთ!

მისტერ როჩესტერი ახლა უკვე უნიღბოდ წარდგა ჩემ წინაშე.

_ ახლა კი გამოტყდით სერ, ეს რა უცნაური აზრი მოგივიდათ თავში!

_ კარგად კი გავითამაშე, არა? ნუთუ არ მეთანხმებით?

_ ახალგაზრდა ქალბატონებთან ალბათ უკეთ გამოგივიდათ?

_ და თქვენთან კი არა?

_ თქვენ ჩემთან ისე არ იქცეოდით, როგორც ბოშა ქალი.

_ მაშ, როგორ ვიქცეოდი? როგორც მე თვითონ?

_ არა, როგორც ვიღაც თავქარიანი პიროვნება, ერთი სიტყვით, თქვენ გინდოდათ და ცდილობდით თავისუფლად მელაპარაკა ყოველივე ან დაგებულ მახეში გაგებით. თქვენ იმიტომ ლაპარაკობდით სისულელეს, რომ ჩემთვისაც სისულელე წამოგეცდევინებინათ, ეს არც თუ ისე ლამაზია, სერ.

_ მაპატიებთ, ჯეინ?

_ არ შემიძლია ახლავე თანხმობა მოგახსენოთ, სანამ კარგად არ დავუფიქრდები. თუ დავრწმუნდები, რომ ძალიან დიდი სისულელე არ მილაპარაკნია, შევეცდები, გაპატიოთ, სერ. მაგრამ თქვენ ასე არ უნდა მოქცეულიყავით.

_ ოჰ, რა სწორი გზით მიდიოდით, ჯეინ, რა ფრთხილად, რა გააზრებულად!

_ რაზედაც გელაპარაკებოდით, ყველაფერზე ვფიქრობდი; ყოველივე წინასწარ გავზომე და ავწონ-დავწონე; ეს სიამოვნება იყო; მაგრამ საუბრის დასაწყისიდანვე ჩემს თავს მცველად ვედექი; ვეჭვობდი, რომ ეს მხოლოდ რაღაც თვალთმაქცობა უნდა ყოფილიყო. მე ვიცნობ ბოშებს და მისნებს, მაგრამ ისინი ასე არ იქცევიან, როგორც ეს ბოშა ქალი იქცეოდა. გარდა ამისა, ყურადღება მივაქციე მის შეცვლილ ხმას და მღელვარებას, რომ როგორმე სახე დაემალა. აზრად მხოლოდ ის მქონდა, რომ ეს გრეის პულია-მეთქი. ეს ცოცხალი გამოცანა-ადამიანი, ეს იდუმალებათა ხელმწიფე, როგორც, რასაკვირველია, მე მიმაჩნია იგი. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ეს თვით მისტერ როჩესტერი იქნებოდა.

_ კეთილი, _ მითხრა მან, _ რაზე ფიქრობთ ახლა? რას ნიშნავს ეს გაბრწყინებული გამოხედვა?

_ განცვიფრებას და ამავე დროს ჩემს თავს ვულოცავ, სერ. იმედი მაქვს ნებას მომცემთ, ახლა მაინც დაგტოვოთ.

_ არა. მოიცადეთ რამდენიმე წუთი, მითხარით, რას აკეთებენ სტუმრები სასტუმრო ოთახში?

_ ალბათ ბოშა ქალზე საუბრობენ ისევ.

_ დაჯექით და მომიყევით, რა ილაპარაკეს ჩემზე.

_ არა, უკეთესია, წავიდე. სერ, უკვე თერთმეტი ხდება. ოჰ, იცით, მართლა, მისტერ როჩესტერ, რომ დილით, მას შემდეგ, რაც თქვენ გაემგზავრეთ, ვიღაც უცნობი ჩამოვიდა?

_ უცნობი? ვინ უნდა იყოს? არავის ველოდი, წავიდა უკვე?

_ არა, თქვა, დიდი ხანია ვიცნობო და თავს ნებას აძლევს თავისუფლად დაბინავდეს ამ სახლში პატრონის დაბრუნებამდე.

_ ვინ ეშმაკი იქნება? გვარი ახსენა?

_ მისი გვარი მეზონია, სერ, ვესტინდოეთიდან ჩამოვიდა, სპენიშტაუნიდან, იამაიკიდან.

მისტერ როჩესტერი ჩემ ახლოს იდგა, მან მკლავზე ხელი მომკიდა, თითქოს სავარძელთან უნდა მივეყვანე. ხოლო მას შემდეგ, რაც ეს ვუთხარი, ხელი მაჯაზე მწვავედ მომიჭირა; სახეზე ღიმილი შეეყინა და უცებ თითქოს კრუნჩხვამ სუნთქვა შეუკრა.

_ მეზონი! ვესტინდოეთი! _ წარმოთქვა მან ისეთი ხმით, ადამიანი იფიქრებდა, ეს სიტყვები მან კი არა, რაღაც ავტომატურმა მანქანამ წარმოთქვაო. _ მეზონი, ვესტინდოეთი, _ იმეორებდა ის, ასე სამჯერ მაინც წამოიძახა და ამ ხნის მანძილზე სახეზე მთლად ნაცრისფერი დაედო. იმასაც კი ვეღარ უწევდა ანგარიშს, თუ რას აკეთებდა.

_ ცუდად გრძნობთ თავს, სერ? _ შევეკითხე მე.

_ ჯეინ, თავზარი დამეცა, თავზარი, ჯეინ! _ და შეტორტმანდა.

_ ოჰ, სერ, დამეყრდენით.

_ ჯეინ, თქვენ ერთხელაც შემომთავაზეთ თქვენი მხარი. ნება მომეცით, ახლაც დაგეყრდნოთ.

_ დიახ, სერ, დიახ! აი, ჩემი ხელიც.

ის დაჯდა და მაიძულა, მის გვერდით დავმჯდარიყავი. ჩემი ხელი ორივე ხელით ეჭირა და ხელებს მიჭერდა. ამასთანავე საშინლად მწუხარე და ნაღვლიანი გამომეტყველებით მაკვირდებოდა.

_ ჩემო პატარა მეგობარო! _ მითხრა მან ბოლოს, _ მინდა სადმე განმარტოებულ კუნძულზე ვიყო მხოლოდ თქვენთან ერთად, რომ ტანჯვა, შიში და ეს ამაზრზენი მოგონებანი უკვალოდ ჩამოვიშორო.

_ შევძლებ რამე დახმარება გაგიწიოთ, სერ? მე სიცოცხლესაც კი არ დავიშურებ თქვენთვის.

_ ჯეინ, თუ დახმარება დამჭირდა, პირობას გაძლევთ, მხოლოდ თქვენ მოგძებნით.

_ გმადლობთ, სერ, მითხარით, რის გაკეთებაა საჭირო და, ყოველ შემთხვევაში, შევეცდები.

_ ახლა ერთი ჭიქა ღვინო მომიტანეთ სასადილო ოთახიდან, ჯეინ. ისინი ალბათ ვახშმობენ. შემატყობინეთ, მეზონიც იქ არის თუ არა და რას აკეთებს?

ოთახიდან გამოვედი. ყველანი, მართლაც, სასადილო ოთახში დამხვდნენ და ვახშმობდნენ, როგორც მისტერ როჩესტერი ვარაუდობდა. ისინი მაგიდასთან არ ისხდნენ; ვახშამი სერვანტზე იყო გაწყობილი; თითოეული იმას იღებდა, რაც უნდოდა; აქა-იქ ჯგუფებად იდგნენ; ხელში თეფშები და ჭიქები ეჭირათ; ყველა მეტად მხიარულ გუნებაზე იყო და ყოველ კუთხეში სიცილი და საუბარი ისმოდა; მისტერ მეზონი ცეცხლის პირას იდგა და პოლკოვნიკსა და მისის დენტს ესაუბრებოდა. ის ისევე მხიარული ჩანდა, როგორც დანარჩენები. ჭიქა შევავსე (დავინახე, მის ინგრემი წარბშეკრული მითვალთვალებდა, ალბათ, ფიქრობდა, რამდენ თავისუფლებას ვაძლევდი ჩემს თავს) და ბიბლიოთეკაში დავბრუნდი.

მისტერ როჩესტერის საშინელი ფერმიხდილობა გამქრალიყო, მისი გამომეტყველება ახლა მკაცრი და პირქუში იყო. მან ჭიქა გამომართვა.

_ ეს თქვენი სადღეგრძელო იყოს, ნათელო სულო, _ თქვა მან და სასმელი გადაჰკრა. მერე ჭიქა დამიბრუნა და მკითხა: _ რას აკეთებენ, ჯეინ?

_ იცინიან და საუბრობენ, სერ.

_ ხომ არ შეგიმჩნევიათ სერიოზული ან საიდუმლოებით მოცული გამომეტყველება, ისეთი, თითქოს რაიმე უცნაური ამბავი მოესმინოთ?

_ არა, სრულებითაც არა, სერ. ისინი ხუმრობენ და მხიარულობენ.

_ მეზონი რას აკეთებს?

_ ისიც მათთან ერთად იცინის და მხიარულობს.

_ ყველანი რომ მოვიდნენ და სახეში შემაფურთხონ, რას იზამდით, ჯეინ?

_ თუკი შევძლებდი, ოთახიდან გავყრიდი, სერ.

მან ოდნავ გაიღიმა.

_ ვთქვათ, როდესაც მე გავალ მათთან, ცივად დამიწყონ ყურება. დამცინავი ჩურჩულით დაუწყონ ერთმანეთს ლაპარაკი ჩემზე, შემდეგ წამოდგნენ და სათითაოდ დამტოვონ, მაშინ რაღას იზამდით, ჯეინ? წახვიდოდით მათთან ერთად?

_ მე მგონი, არა, სერ. ჩემთვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა თქვენთან დარჩენა.

_ რომ დაგემშვიდებინეთ?

_ დიახ, სერ, რომ დამემშვიდებინეთ, როგორც შევძლებდი.

_ და თუ ჩემი ერთგულებისათვის სამუდამოდ ანათემას გადამცემდნენ?

_ მე ხომ ვერ გავიგებდი მას და თუნდაც გამეგო, არავითარ ყურადღებას არ მივაქცევდი.

_ მაშ თქვენ შეგიძლიათ აიტანოთ საზოგადოების გაკიცხვა ჩემი გულისათვის?

_ ამას ყველა ჩემი მეგობრის გულისათვის ჩავიდენდი, ვინც ჩემს ერთგულებას მოიპოვებდა. აი, როგორც ჩემი რწმენით თქვენ დაიმსახურეთ.

_ წადით ახლა ისევ სასადილო ოთახში, მიდით ფრთხილად მისტერ მეზონთან და ჩუმად ჩასჩურჩულეთ ყურში, რომ მისტერ როჩესტერი ჩამოვიდა და მისი ნახვა სურს. ამ ოთახზე მოუთითეთ და მერე დამტოვეთ.

_ კეთილი, სერ.

თხოვნა შევუსრულე, ყველამ განცვიფრებით დამიწყო ყურება, როდესაც მათ შორის ასე გაბედულად ჩავიარე; მისტერ მეზონი მოვძებნე; დანაბარები გადავეცი; ბიბლიოთეკამდე მივაცილე და მერე ზემო სართულისაკენ გავწიე.

გვიან ღამით, უკვე კარგა ხნის ჩაწოლილი ვიყავი, შემომესმა, სტუმრებმა როგორ მიაშურეს თავიანთ საწოლ ოთახებს და მათ შორის მისტერ როჩესტერის ხმაც გარკვევით გავარჩიე. ის ამბობდა:

_ აქეთ წამოდით, მეზონ, ეს არის თქვენი ოთახი.

ის მხიარულად ლაპარაკობდა უკვე. მისმა მხიარულმა ხმამ შვება მომგვარა და მალეც ჩამეძინა.

თავი XX

სარკმელზე ფარდების ჩამოშვება დამვიწყებოდა. არც მზის საფარი ფარდები გამხსენებია. ამას კი აი, რა მოჰყვა: როდესაც ბადრი მთვარე ამოვიდა და მიდამოს ბრწყინვალება მოჰფინა, ცის სივრცეში მოგზაურობის დროს ის სწორედ ჩემი სარკმლის გასწვრივ შეჩერდა და უფარდო მინებიდან ჩემს ოთახში შემოიჭვრიტა. მისმა ბრწყინვალე შუქმა გამომაფხიზლა. როცა გავიღვიძე (ჯერ კიდევ შუაღამე იქნებოდა), თვალი გავახილე თუ არა, მისი მოთეთრო ვერცხლისფერი კაშკაშა დისკო შევნიშნე. მთვარის მშვენება უნაკლო და სადღესასწაულო იყო. ნახევრად წამოვიწიე და ფარდის დასაშვებად ხელი გავწიე.

ღმერთო ჩემო! რა ხმა შემომესმა!

ღამე მთელი თავისი მდუმარებით და სიმშვიდით თითქოს ორად გააპო ველურმა, ამაზრზენმა და გულისგამგმირავმა კივილმა, რომელიც თორნფილდის ერთი ბოლოდან მეორეში გაისმოდა.

მაჯისცემა შემიწყდა, გული გამიჩერდა და გაშვერილი ხელი გამიშეშდა. კივილი შეწყდა და აღარ განმეორებულა. რა სულიერ არსებასაც არ უნდა გამოეღო ეს საზარელი ხმა, ასე მალე ვეღარ შეძლებდა მის გამეორებას. ანდების მწვერვალებზე, ღრუბლებს ზემოთ დაბუდებულ უზარმაზარ ფრთოსან კონდორსაც არ შეუძლია ასეთი გულისგამგმირავი ხმის გამოღება ორჯერ ზედიზედ. მას კი, რამაც ასეთი ხმა ამოუშვა პირიდან, ცოტა მაინც უნდა შეესვენა, რომ მთელი ძალით ისევ ისე დაეგრგვინა.

ხმა მესამე სართულიდან მოდიოდა; სწორედ ჩემი ოთახის ზემოთ. დიახ, ბოლოს დავრწმუნდი კიდეც, რომ ეს ყველაფერი მართლაც ჩემი საწოლი ოთახის ჭერს ზევით ხდებოდა. ზემოდან ისეთი ხმაური ჩამოდიოდა, ვატყობდი, იქ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობდა. მერე ნახევრად მოგუდულმა ხმამ ყვირილით შეძრა ყველაფერი.

_ მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ! _ განმეორდა სამჯერ.

_ ნუთუ არავინ შემოვა? _ წამოიძახა მან უკანასკნელად. და შემდეგ კი ამ გაშმაგებულ ტორტმანსა, ძიძგილსა და ფეხების ბრახუნში გავარჩიე ხმები, რომელსაც შელესილი ფიცრები ვერ იჭერდა:

_ როჩესტერ! როჩესტერ! ღვთის გულისათვის აქეთ, აქეთ!

საწოლი ოთახის კარი გაიღო, ვიღაც აჩქარებით გამოვიდა. გამოვიდა კი არა, უფრო გამოვარდა და მთელი დერეფანი ისე გაირბინა. ჭერს ზემოთ კიდევ ვიღაცის ფეხის ხმა გაისმა. რაღაც მძიმედ დაეცა იატაკზე და კვლავ დადუმდა ყველაფერი.

თუმცა შიშით მთელი სხეული მითრთოდა, ტანსაცმელი გადავიცვი და ოთახიდან სასწრაფოდ გამოვედი. სტუმრებმაც გაიღვიძეს. წამოძახილები და შიშით თავზარდაცემულ ადამიანთა ჩურჩული გაისმოდა ყველა ოთახში. კარი კარზე იღებოდა და ხან ერთი გამოიხედავდა, ხან მეორე. დერეფანი გაივსო. ჯენტლმენებსა და მანდილოსნებს თავიანთი საწოლები მიეტოვებინათ და ყოველი მხრიდან ერთმანეთში არეული შემკრთალი ხმები გაისმოდა: რა მოხდა? რა არის ეს? ვინ მოკლეს? მოიტანეთ სინათლე! ხანძარი გაჩნდა, თუ ყაჩაღები დაგვესხნენ თავს? საით გავიქცეთ? მთვარის შუქი რომ არ ყოფილიყო იმ ღამეს, წყვდიადი უფრო მეტად შეაძრწუნებდა სტუმრებს. ისინი ხან წინ გარბოდნენ და ხან უკან. ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდნენ. ზოგი ქვითინებდა, ზოგი ბარბაცებდა და ძლივსღა იდგა ფეხზე. ყველგან ენით გამოუთქმელი არეულობა სუფევდა.

_ სად ეშმაკებში დაიკარგა როჩესტერი? _ დაიყვირა პოლკოვნიკმა დენტმა, _ თავის საწოლ ოთახშიაც კი არ არის.

_ აქა ვარ! აქ! _ წამოიყვირა ვიღაცამ პასუხად.

_ ყველანი დამშვიდდით, მოვდივარ.

დერეფნის ბოლოში კარები გაიღო და სანთლით ხელში მისტერ როჩესტერი შემოვიდა. ის-ის იყო ზემო სართულიდან ჩამოვიდა. ერთმა ახალგაზრდა ლედიმ პირდაპირ მასთან მიირბინა და მკლავზე ხელი მოჰკიდა, ეს მის ინგრემი იყო.

_ რამე საშინელი შემთხვევა მოხდა? _ იკითხა მან, _ გვითხარით ჩქარა, ჯობია, ახლავე ვიცოდეთ!

_ ნუ წამაქცევთ და ნუ დამახრჩობთ, _ უპასუხა მან; რადგან ორივე დები ეშტონები შიშისაგან ზედ ეკვროდნენ. ქვრივებიც, ორივენი, ფართო, თეთრი საღამური ტანსაცმლით ისე მისდევდნენ უკან, თითქოს გემებს აფრა გაუშლიათო.

_ არაფერია, არაფერი, _ წარმოთქვა მისტერ როჩესტერმა.

_ «აურზაური არაფრის გამო».

_ ქალბატონებო, ასე ნუ შემომესიეთ, თორემ სიბრაზით შეიძლება ცეცხლი წამეკიდოს.

ის მართლაც საშინლად გამძვინვარებული გამოიყურებოდა. მისი შავი თვალები ნაპერწკლებს ყრიდნენ. თავს ძალა დაატანა და მშვიდად დაუმატა:

_ მსახურ ქალს რაღაც საშინელი სიზმარი უნახავს. აი, მხოლოდ ეს იყო. ის მეტად ნერვიულია და ჩქარა ღიზიანდება. სიზმარი მოჩვენებად თუ რაღაც მის მსგავსად წარმოიდგინა და შიშით გული გაუსკდა. ახლა კი საჭიროა თქვენს საწოლ ოთახებს დაუბრუნდეთ. სანამ სახლში სრული მყუდროება არ იქნება, ის გონს ვერ მოვა. ჯენტლმენებო, გთხოვთ კეთილი ინებოთ და მაგალითი უჩვენოთ მანდილოსნებს. მის ინგრემ, დარწმუნებული ვარ, უაზრო შიშს არ აჰყვებით. ემი და ლუიზა, აბა, წყვილი მტრედივით დაუბრუნდით თქვენს ბუდეებს. თქვენ კი, ქალბატონებო (მიუბრუნდა ის ქვრივებს), სიცივისაგან გაითოშებით, თუ ამ გაყინულ დერეფანში კიდევ გაჩერდებით.

და ასე, მოფერებით თუ ბრძანებით, მან როგორც იყო შეიყვანა ისინი თავიანთ საწოლ ოთახებში. მე მისი განკარგულებისათვის აღარ დამიცდია და ჩემს ოთახში ისევე შეუმჩნევლად შევბრუნდი, როგორც იქიდან გამოვედი.

საწოლში ვერ ჩავწექი. პირიქით, ფრთხილად ჩაცმა დავიწყე, ხმები, რომელიც შემომესმა იმ საშინელი ყვირილის მერე და სიტყვებიც, რომელსაც მაშინ ამბობდნენ, შესაძლებელია, მხოლოდ მე გავიგონე. ისინი ჩემი ოთახის ზემოდან ჩამოდიოდა. ამ სიტყვებმა დამარწმუნა, რომ ეს მსახურის სიზმარი არ იყო, რადგან მან მთელი სახლი შიშით ასე შეარყია... მისტერ როჩესტერის ახსნა-განმარტებაც, უბრალოდ, სტუმრების დასამშვიდებლად იყო გამონაგონი. ჩავიცვი, რომ უკიდურეს შემთხვევაში, მზად ვყოფილიყავი. ასე ჩაცმული დიდხანს ვიჯექი სარკმელთან, გადავყურებდი მდუმარებით მოცულ ბაღს, მთვარის სხივებით მოვერცხლილ მინდვრებს და მეც, არ ვიცი, რას ვუცდიდი. მეჩვენებოდა, რომ ამ უცნაურ ყვირილს, ბრძოლასა და ძახილს რაღაც შემთხვევა უნდა მოჰყოლოდა.

მაგრამ არა. ირგვლივ მდუმარება გამეფდა. ჩურჩული და მოძრაობა თანდათანობით მიწყდა და დაახლოებით ერთ საათში თორნფილდში ისეთმა დუმილმა დაისადგურა, რომ ის უდაბნოს დაემსგავსა. ჩანდა, მთვარე ჩავიდოდა. მთვარემ ჩასვლა დააპირა. მეც ვეღარ შევძლებდი სიცივესა და სიბნელეში ჯდომას და გადავწყვიტე, როგორც ვიყავი ჩაცმული, ისევე მივწოლილიყავი ლოგინზე. ფანჯარას მოვშორდი და ოდნავ გასაგონი ფეხის ხმით ხალიჩაზე გავიარე. როცა ფეხსაცმელების გასახდელად დაბლა დავიხარე, კარებზე ძალიან ფრთხილად ვიღაცამ დააკაკუნა.

_ მე მეძახით? _ ვიკითხე მე.

_ ფეხზე ხართ? _ გამომეხმაურა ხმა, რომელსაც ველოდი. ვიცანი მისტერ როჩესტერის ხმა.

_ დიახ, სერ.

_ ჩაცმული ხართ?

_ დიახ.

_ მაშინ გამოდით ოთახიდან, მაგრამ ფრთხილად.

დავემორჩილე. მისტერ როჩესტერი დერეფანში იდგა და ხელში სანთელი ეჭირა.

_ მე თქვენ მჭირდებით, _ მითხრა მან. _ აი, ამ გზით წამოდით, ნუ იჩქარებთ და ნურც იხმაურებთ.

ჩემი რბილძირიანი ქოშებით მოფარდაგულ იატაკზე კატასავით ფრთხილად და უხმაუროდ შემეძლო სიარული. მისტერ როჩესტერმა დერეფანი გაიარა, კიბეზე ავიდა და იმ საბედისწერო მესამე სართულის ბნელ დერეფანში გაჩერდა. მე უკან მივყვებოდი და მის გვერდით შევჩერდი.

_ ღრუბელი ხომ არ გაქვთ ოთახში? _ მკითხა მან ჩურჩულით.

_ დიახ, მაქვს, სერ.

_ საყნოსველი ნელსურნელებაც?

_ დიახ.

_ წადით და ორივე მოიტანეთ.

უკან დავბრუნდი, პირსაბანზე ღრუბელი მოვძებნე, უჯრაში საყნოსველი მარილები და კვლავ მისკენ გავეშურე. ის ისევ მიცდიდა. ხელში გასაღები ეჭირა. ერთ პატარა შავ კარებს მიუახლოვდა. გასაღები საკეტში გაუკეთა, შეჩერდა და მკითხა:

_ სისხლის დანახვაზე გული ხომ არ წაგივათ?

_ ვფიქრობ, რომ არა, სერ, თუმც ეს არასოდეს გამომიცდია.

სანამ ვუპასუხებდი, გამაჟრჟოლა, მაგრამ ეს არც სიცივე იყო და არც სისუსტე.

_ მიჩვენეთ თქვენი ხელი, _ მითხრა მან, _ არ მინდა რისკი გავწიო და გული წაგივიდეთ.

ჩემი თითები მის ხელს შეეხო.

_ ხელი თბილია და მშვიდი, სრულიადაც არ თრთის, _ თქვა მან, მერე გასაღები გადაატრიალა და კარი გააღო.

ოთახში შევედით. ეს ოთახი მისის ფეიერფექსმა მე წინათვე მაჩვენა, როდესაც მთელი სახლი დამათვალიერებინა. კედლები აქ გობელენით იყო დაფარული; ერთ ადგილას ის ახლა მაღლა აეწიათ და კედელში საიდუმლო კარი მოჩანდა; კარი ღია იყო; მის იქით მეზობელ ოთახში სინათლე ენთო; შიგნიდან კი თითქოს გაავებული ძაღლი ყმუისო, რაღაცის ბრდღვნისა და გლეჯის ხმა მოისმოდა. მისტერ როჩესტერმა სანთელი დადგა და მითხრა: ცოტა ხანს მომიცადეთო და განათებულ ოთახში შევიდა. იქ მის შესვლას ვიღაც კივილნარევი სიცილით შეეგება. სიცილი პირველად ძალიან ხმამაღალი იყო და გრეის პულისათვის ჩვეული ბოროტი დანაწევრებული ბგერებით ჰა, ჰა-თი თავდებოდა. რაღა თქმა უნდა, ახლა ქალი ოთახში იყო და, ჩანდა, მისტერ როჩესტერი ჩუმად რაღაც განკარგულებებს აძლევდა. მერე ისიც შემომესმა, ვიღაც ჩურჩულით მიმართავდა მას. ბოლოს მისტერ როჩესტერი გამოვიდა და კარი გადაკეტა.

_ აქეთ, ჯეინ! _ მითხრა მან.

მე გარსშემოვუარე ერთ უზარმაზარ ფარდებჩამოფარებულ საწოლს, რომელსაც ოთახის საკმაოდ დიდი ფართობი ეჭირა. საწოლის თავთან სავარძელი იდგა, მასში სანახევროდ გახდილი მამაკაცი იჯდა. თავი

სავარძლის ზურგისათვის მიეყრდნო და თვალები მიელულა. მის გაფითრებულ სახეს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. მე მაშინვე ვიცანი, ის ხომ მისტერ როჩესტერის უცხო სტუმარი მეზონი იყო. ისიც შევნიშნე, რომ მისი პერანგი და სახელო მკლავზე სისხლით იყო გაჟღენთილი.

_ სანთელი დამიჭირეთ. _ მითხრა მისტერ როჩესტერმა და მეც დავემორჩილე, მერე პირსაბანიდან წყალი მოიტანა, _ ესეც დამიჭირეთო, მითხრა და მეც გამოვართვი. მან ღრუბელი აიღო, წყალში ჩაასველა და მეზონს თითქმის მიცვალებული ადამიანის სახესავით გაფითრებულ სახეზე მოუსვა. მერე საყნოსველი წამლების შუშა მომთხოვა, ცხვირთან მიუტანა. მისტერ მეზონმაც თვალი ოდნავ გაახილა და ამოიკვნესა. მისტერ როჩესტერმა დაჭრილს პერანგი გაუხსნა. მას ხელიცა და მხარიც ორივე შეხვეული ჰქონდა, და ღრუბლით სისხლის შემშრალება დაუწყო, რომელიც დაბლა წურწურით ჩამოსდიოდა.

_ ალბათ საშიშია, არა? _ ჩაიჩურჩულა მისტერ მეზონმა.

_ ოჰ, არა, უბრალო გაკაწრულია. სულით ნუ დაეცემი, გამაგრდი, ვაჟკაცობა გამოიჩინე! მე ახლავე ექიმს მოვიყვან, გათენებისას კი, იმედი მაქვს, უკვე შესაძლებელი იქნება წაგიყვანოთ აქედან.

_ ჯეინ! _ განაგრძო მან და მე მომიბრუნდა.

_ დიახ, სერ.

_ მე ამ ოთახში უნდა დაგტოვოთ ამ ჯენტლმენთან ერთად, ერთი ან, შესაძლებელია, ორი საათიც. თქვენ უნდა შეუმშრალოთ სისხლი ღრუბლით, როგორც მე ვუმშრალებ ახლა. თუ შეატყობთ, გული მისდიოდეს, ეს მარილი აყნოსეთ და პირი წყლით გაუვსეთ. არავითარ შემთხვევაში, რაც უნდა მოხდეს, არ დაელაპარაკოთ. რიჩარდ, თქვენც გახსოვდეთ, ლაპარაკი საშიშროებას უქადის თქვენს სიცოცხლეს. საკმარისია პირი გააღოთ და იმოძრაოთ და მერე, რაც მოგივათ, პასუხისმგებელი აღარ ვიქნები.

საცოდავმა მომაკვდავმა კვლავ ამოიკვნესა. მან ისე გადმოგვხედა, რომ განძრევას ვერ ბედავდა. არ ვიცი, სიკვდილის უფრო ეშინოდა თუ კიდევ უფრო სხვა რამის, რომელიც თითქმის აქვავებდა მას. მისტერ როჩესტერმა სისხლიანი ღრუბელი მომაწოდა და მეც ისევე მარჯვედ განვაგრძე მისი ხმარება, როგორც ამას მისტერ როჩესტერი აკეთებდა. თითქმის ერთ წამს თვალს მადევნებდა და შემდეგ მითხრა: _ ნუ დაგავიწყდებათ, არავითარი საუბარი.

ის ოთახიდან გავიდა. როგორც კი გავიდა და გასაღები ბუდეში გადაატრიალა, საშინელი შიში დამეუფლა. თანდათანობით მისი ფეხის ხმაც სრულიად მიწყდა.

მესამე სართულზე დავრჩი, იდუმალებით მოცულ ჭერქვეშ გამოკეტილი. ირგვლივ ღამის წყვდიადი. ჩემ წინ გაფითრებული და სისხლში მოსვრილი ადამიანი იჯდა. მისთვის უნდა მომევლო, ხოლო მკვლელი კი სადღაც კარს უკან მეგულებოდა.

დიახ, ეს საშინელება იყო. ყველაფრის ატანა შემეძლო, მაგრამ შიშით ვცახცახებდი, გრეის პული უცებ თავს არ დამსხმოდა.

«ჩემზე დაკისრებული საქმე უნდა შევასრულო», _ ვფიქრობდი ჩემთვის.

_ ჩემ მოვალეობას ვერ ვუღალატებ: თვალყური უნდა ვადევნო ავადმყოფის მომაკვდავივით გაფითრებულ სახეს, მის გალურჯებულ ტუჩებს, რომელთაც ოდნავი მოძრაობაც კი აკრძალული აქვთ და ამ თვალებს, რომელნიც ახლა მილულულია. დაჭრილი ხანდახან ოდნავ თუ გაახელდა თვალს და ოთახში უსასოოდ აცეცებდა. ხან კი მისი თვალები შეძრწუნებული შიშით აღინთებოდნენ და დაჟინებით შემომცქეროდნენ. ვიცოდი, ხელი განუწყვეტლივ უნდა მესველებინა თასში, სადაც სისხლი და წყალი ერთმანეთში შერეულიყო და გამონაჟონი შედედებული სისხლი მომეწმინდა. ვამჩნევდი, ჩემი ასეთი საქმიანობის დროს სანთელი იწვოდა და პატარავდებოდა, ჩრდილები ჩემს ირგვლივ,. ძველებურ გობელენზე უფრო და უფრო მუქდებოდა. თანდათანობით შავ ფერს ღებულობდა, ის ძველებური და ფართო საწოლის ფარდებსა და მის მოპირდაპირე კარადის ორივე კარებზე უცნაურად ცახცახებდა. კარადის წინა მხარე თორმეტ სურათად იყო გაყოფილი. თითოეული მათგანიდან მეტად დაღვრემილი და ნაწამები მოციქულის სახე გამოიყურებოდა. სახეები იმდენად ოსტატურად გამოეკვეთათ, რომ ყოველი მათგანის სახე ჩარჩოში ჩასმული სურათი გეგონებოდათ. მათ შორის სულ მაღლა, შავ ხეზე მომაკვდავი ქრისტეს ჯვარცმა მოჩანდა.

უკუნეთივით სიბნელესა და მკრთალი სინათლის ლიცლიცში, რომელიც ხან სულ მუქ ზოლებად ლივლივებს და ხან მკრთალ სხივებად გაიელვებს, ვარჩევ გრძელწვერა ლუკა მოციქულის სახეს, რომელსაც თავი დაბლა დაუხრია. მის შემდეგ წმინდა იოანე დგას, თავისი გრძელი და ტალღისებურად გაშლილი თმით. იქვე მოჩანს ბოროტი იუდას ეშმაკისეული სახე, რომელიც თითქოს გაცოცხლებულა და სურათიდან გადმოსვლას ლამობს. მასშივე მოჩანს სახეც მთავარი მოღალატის _ სატანისა, რომელიც გამოცხადებით იმუქრება და მსახურის სახით შენიღბულა.

ამ ბნელ ოთახში მე კიდეც უნდა მესმინა და კიდეც მეყარაულა. ყური უნდა მეგდო რომელიღაც გარეული მხეცის თუ ეშმაკის საქმიანობისათვის მეორე ოთახში, კარს იქით, მაგრამ მისტერ როჩესტერის იქ ყოფნის შემდეგ ის თითქოს მოეჯადოებინათ, ისე ჩუმად იყო. იმ ხნის მანძილზე, რაც იქ დავყავი, მხოლოდ სამჯერ შემომესმა ხმაური. და როგორც პირველი, ისე მეორე ხმაურის შემდეგ დიდხანს ისევ დუმილი გამეფდებოდა ხოლმე. პირველად ისმოდა ფეხის დადგმით გამოწვეული იატაკის ფიცრების ჭრიალი, მერე ნაწყვეტ-ნაწყვეტი ძაღლისებური ყმუილი და ბოლოს მძიმე ადამიანური ოხვრა.

საკუთარი ფიქრებიც გულს მიშფოთებდა: რა მძიმე დანაშაული იმალება ამ განმარტოებულ სასახლეში, რომლის მფლობელს არც მისი თავიდან მოცილება შეუძლია და არც ძალით დამორჩილება. რა საიდუმლოებითაა მოცული ხან

ცეცხლის გაჩენა და ხან ასეთი მძიმე სისხლიანი დანაშაული შუაღამისას, ასე უდროო დროს? რა ქმნილება უნდა იყოს ეს, ასე ჩვეულებრივი ქალის სახითა და სხეულით შენიღბული, რომელმაც მაშინ ასეთი ხმა გამოიღო, ან ახლა დემონივით დამცინავად ხითხითებს და მძორის მაძიებელი ფრინველივით ჩხავის?

ან ეს მშვიდი, უსიცოცხლო და უცხო ადამიანი, ვისაც ასე გულმოდგინედ ვუვლი, რამ გააბა ამ საშიშ ქსელში? ამ გაცოფებულმა ქმნილებამ რაღა ეგ ჩაიგდო ხელში? ან თვით მას რამ მოაძებნინა ეს ადგილი შუაღამისას, ასე გვიან, როდესაც საწოლში უნდა სძინებოდა? მე ხომ კარგად გავიგონე, მისტერ როჩესტერმა დაბლა სართულში მას თავისი ოთახი რომ უჩვენა? მაინც რამ მოიყვანა აქ? ან რისთვის ემორჩილება ასე აუღელვებლად ძალადობასა და ღალატს? რატომ ნებდება ასე თავმოდრეკილი მისტერ როჩესტერის სურვილს, დარჩეს ამ ფარულ თავშესაფარში? ან თვით მისტერ როჩესტერი რისთვის აიძულებს მას, რომ აქ დარჩეს, ყველას თვალისაგან დაფარული? მის სტუმარს ხომ თავს დაესხნენ და სულ რამდენიმე ხნის წინ მის სიცოცხლეს ავი განზრახვით საშინელი საფრთხე ემუქრებოდა. ან ორივე ეს ცდა მისტერ როჩესტერმა რატომ დაფარა, ან რისთვის მისცა დავიწყებას? ბოლოს მე ხომ მოწმე ვარ იმისა, თუ მისტერ მეზონმა როგორი უსიტყვო მორჩილება გამოამჟღავნა მისტერ როჩესტერის მიმართ. თუ ერთის რკინისებურმა ნებისყოფამ რანაირად დაიმორჩილა მეორის ინერტული ხასიათი. სწორედ იმ რამდენიმე სიტყვამ, რომელიც მათ შორის ითქვა, დამარწმუნა ამ ამბავში. ჩანს, რომ მათ პირვანდელ ურთიერთობაში ამ უსიცოცხლო ადამიანზე მუდმივად დიდ გავლენას ახდენდა ძალ-ღონითა და ნებისყოფით სავსე მეორე ადამიანი. მაშ, რაღამ გამოიწვია მისტერ როჩესტერის ელდა, როდესაც მისტერ მეზონის ჩამოსვლა გაიგო? ამ ყოვლად უმნიშვნელო არსების მხოლოდ უბრალო სახელის ხსენებამ რატომ დასცა შიშის ზარი და შეაკრთო ის ამ რამდენიმე საათი წინ, თითქოს ფესვმაგარ მუხას მეხი დასცემოდეს?

ოჰ, არ შემეძლო დამევიწყებინა არც მისი გამოხედვა და არც მისი გაფითრებული სახე, როდესაც ჩამჩურჩულა: «ოჰ, ჯეინ, რა თავზარი დამეცა, რა თავზარი დამეცა, ჯეინ». არც ის შემეძლო დამევიწყებინა, როგორ უცახცახებდა ხელი, რომელიც მხარზე დამაყრდნო. არც ისე ადვილი იყო ამ მტკიცე ხასიათის მოდრეკა და ფეიერფექს როჩესტერის ძლიერი სხეულის ათრთოლება.

«როდის მოვა მისტერ როჩესტერი, როდის მოვა?» _ ვიმეორებდი ჩემთვის გულში. ღამე კი დაუსრულებლად გრძელდებოდა და გრძელდებოდა. ჩემმა ავადმყოფმა ღონემიხდილობისაგან თავი ჩაღუნა, კვნესოდა და თანდათან უფრო სუსტდებოდა. არც თენდებოდა და აღარც დახმარება ჩანდა. მე უფრო ხშირ-ხშირად უნდა მიმეტანა წყალი მეზონის გაფითრებულ ტუჩებთან, უფრო მალ-მალე მეყნოსებინა ღონის მომყვანი მარილებიც, მაგრამ ჩემი ცდა უკვე უშედეგო იყო. არ ვიცი, მის სხეულს ასე სწრაფად რამ გამოაცალა ძალა? ამდენმა სისხლის დაკარგვამ თუ სულიერმა და ფიზიკურმა წამებამ? თუ

სამივემ ერთად. ის ისე კვნესოდა, ისე სუსტად გამოიყურებოდა, ისე დაბნეული და საწყალობელი ჩანდა, რომ მეშინოდა: ვაითუ მოკვდეს-მეთქი. დალაპარაკებაც კი არ შემეძლო მასთან!

სანთელიც ჩაიწვა. როდესაც სინათლე ჩაქრა, ფარდის კიდეებზე ნაცრისფერი სინათლის ზოლები შევნიშნე. განთიადი ახლოვდებოდა. უცებ გავიგონე შორს, სადღაც დაბლა ეზოში თავის ბუნაგში პაილოტმა დაიყეფა. იმედი მომეცა და არც ტყუილად. ხუთი წუთის შემდეგ გასაღების ხმამ კარის ბუდეში მამცნო, რომ ჩემი მორიგეობა დამთავრებული იყო. ის ორ საათზე მეტს არ გაგრძელებულა, მაგრამ მომეჩვენა, რომ თითქმის ერთი კვირა გავიდა.

მისტერ როჩესტერი ექიმის თანხლებით შემოვიდა, რომლის მოსაყვანადაც წასულიყო.

_ ახლა კი, კარტერ, სწრაფად იმოქმედეთ, _ მიმართა მან ექიმს. _ ნახევარ საათს გაძლევთ ჭრილობის გასაწმენდად, შესახვევად, დაჭრილის დაბლა ჩასაყვანად და სხვა ყველაფრისათვის.

_ მაგრამ შეიძლება მისი ადგილიდან დაძვრა, სერ?

_ რა თქმა უნდა, შეიძლება, საშიში არაფერია. ის ძალიან შეშინდა და მისი სულიერი გამხნევებაა საჭირო. წამოდით, საქმეს მოვკიდოთ ხელი.

მისტერ როჩესტერმა სქელი ფარდები გადასწია, მერე აბრეშუმის ფარდებიც გადახსნა, რომ გარედან ოთახში რაც შეიძლება მეტი დღის სინათლე შემოსულიყო. განვცვიფრდი და სიხარულით გული ამითრთოლდა, როდესაც შევნიშნე, განთიადი კარგა ხანია დამდგარიყო. რა ბრწყინვალე ვარდისფერი ზოლები აშუქებდნენ აღმოსავლეთს! მერე მისტერ როჩესტერი მიუახლოვდა მეზონს, რომელსაც ექიმი სინჯავდა.

_ ახლა, ჩემო კარგო მეგობარო, თავს როგორა გრძნობთ? _ ჰკითხა მან.

_ ვშიშობ, სასიკვდილო ჭრილობა მომაყენა, _ სისუსტისაგან ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა დაჭრილმა.

_ სრულებითაც არა! გამაგრდით, ვაჟკაცობა გამოიჩინეთ, დღეიდან ორი კვირის შემდეგ ისევ ძველებურად იქნებით! ცოტა სისხლი დაკარგეთ და სულ ეს არის. კარტერ, გთხოვთ დაარწმუნოთ, რომ საშიში არაფერია.

_ პატიოსან სიტყვას გაძლევთ, სერ, _ თქვა კარტერმა, რომელმაც სახვევი მოხსნა ავადმყოფს. _ მაგრამ მერჩია უფრო ადრე ვყოფილიყავი აქ, ამდენ სისხლს აღარ დაკარგავდა. როგორ მოხდა, რომ მხარი არა მარტო გაჭრილია, გაგლეჯილიც. ეს დანით არ უნდა იყოს გაჭრილი, უფრო კბილებითაა დაგლეჯილი.

_ ის მკბენდა, _ ჩაიჩურჩულა ავადმყოფმა. _ როდესაც როჩესტერმა დანა გამოსტაცა, ძუ ვეფხვივით გააფთრებული მეცა.

_ თქვენ არ უნდა დაგეთმოთ და იმწამსვე შებმოდით, _ უთხრა მისტერ როჩესტერმა.

_ მაგრამ, რა უნდა ქნას ადამიანმა ასეთ შემთხვევაში? _ უპასუხა მეზონმა. _ ოჰ, რა საშიში იყო! _ დაუმატა მან კანკალით. _ ამას არ მოველოდი, ის ისე დამშვიდებული იყო პირველად.

_ მე ხომ წინასწარ გაგაფრთხილეთ, _ უთხრა მისტერ როჩესტერმა. _ არ გითხარით განა, რომ თავდასაცავად მზად ყოფილიყავით ყოველთვის, როდესაც მის ახლოს მოხვდებოდით? გარდა ამისა, დილამდე უნდა დაგეცადათ და ჩემთან ერთად გენახათ. თქვენი მხრივ პირდაპირ უგუნურება იყო წუხელვე გენახათ ღამით და სრულიად მარტოდმარტოს.

_ ვიფიქრე, ასე უფრო კარგი იქნებოდა მისთვის.

_ ფიქრობდით! ფიქრობდით! ამ სიტყვებს მოთმინებიდან გამოვყავარ. მაგრამ როგორც უნდა ყოფილიყო, ხედავთ, როგორ ეწამეთ და იტანჯეთ. ყველაფერი კი იმიტომ მოხდა, რომ ჩემ რჩევას ყური არ ათხოვეთ. მეტს აღარაფერს გეტყვით. კარტერ, იჩქარეთ! იჩქარეთ! მალე მზე ამოვა და აქედან უნდა გავიყვანოთ!

_ ახლავე, სერ, მხარი უკვე შევუხვიე. ახლა კი ეს მეორე ჭრილობა უნდა გავუსინჯო ხელზე, როგორც ვფიქრობ, მას აქაც კბილებით ამოუგლეჯია ხორცი.

_ ის სისხლს მწოვდა და მითხრა, გული უნდა ამოგიშროო, _ თქვა მეზონმა.

დავინახე, როგორ გააჟრჟოლა მისტერ როჩესტერს; სიძულვილის, ზიზღისა და საშინელების გამომხატველმა გამომეტყველებამ სახე ისე შეუცვალა, ვეღარც კი იცნობდით. მხოლოდ ესღა თქვა:

_ ჯობია, სულ გაჩუმდეთ, რიჩარდ, და ყურადღებას ნუ მიაქცევთ მის აბდაუბდა ლაპარაკს. ნუღარ გაიმეორებთ მას.

_ ძალიან მინდა, დავივიწყო, _ უპასუხა მეზონმა.

_ თქვენ მას მაშინ დაივიწყებთ, როდესაც ინგლისიდან წახვალთ და სპენიშტაუნში დაბრუნდებით. უნდა იფიქროთ, რომ ის გარდაიცვალა და დამარხეს. ან კიდევ ყველას ის ჯობია, სრულებითაც არ იფიქროთ მასზე.

_ ამ ღამის დავიწყება შეუძლებელია!

_ შეუძლებელი არ არის. ძალა მოიკრიბეთ! ორი საათის წინ ხომ გეგონათ, ცოცხალი არ გადარჩებოდით. აი, ახლა კი ცოცხალი ხართ და ისე საუბრობთ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ოჰ, კარტერ, მორჩით თუ არა თქვენს საქმეს, თუ ცოტაღა დაგრჩათ? ახლავე ყოველივე რიგზე იქნება, რიჩარდ!.. ჯეინ (ის პირველად დამელაპარაკა მას შემდეგ, რაც დაბრუნდა), აი, გასაღები, ჩადით დაბლა სართულში, ჩემს საწოლ ოთახში, გარდერობის ზემო უჯრა გამოაღეთ, სუფთა პერანგი და ყელსახვევი ამოიღეთ და მომიტანეთ. აბა, მარჯვედ!

წავედი, ის უჯრა მოვძებნე, რომელიც მან მანიშნა, ვიპოვე, რაც დამაბარა და მათთანვე დავბრუნდი.

_ ახლა კი, _ მითხრა მან: _ საწოლის მეორე მხარეს დადექით, სანამ ჩავაცმევ, მაგრამ ოთახიდან არ გახვიდეთ, შესაძლებელია, კიდევ დამჭირდეთ.

მის ბრძანებას დავემორჩილე.

_ ხომ არავის გაუღვიძია, დაბლა რომ ჩახვედით, ჯეინ? _ მკითხა უცებ მისტერ როჩესტერმა.

_ არა, სერ, ბაიბურიც არ ისმის.

_ აქედან უხმაუროდ გაგიყვანთ, დიკ, ასე აჯობებს ორივესათვის, როგორც თქვენთვის, ისე იმ საცოდავი არსებისათვის, კარს უკან რომ არის. ძალიან დიდხანს თავს ვარიდებდი ამ ამბის გახმაურებას, არ მინდოდა საბოლოოდ გამომჟღავნებულიყო. კარტერ, უშველე ერთი ჟილეტის ჩაცმაში. სად დატოვეთ თქვენი ბეწვგამოკერებული ლაბადა? როგორც ვატყობ, უმისოდ ერთ მილსაც ვერ გაივლით ამ საშინელ ცივ ამინდებში. თქვენ ოთახშია?

_ ჯეინ, გაიქეცით ქვემო სართულში, მისტერ მეზონის ოთახში, ის ოთახი ჩემი საწოლი ოთახის გვერდითაა და იქ რომ ლაბადას ნახავთ, აქ მოგვიტანეთ.

კვლავ გავიქეცი დაბლა და ისევ უკან დავბრუნდი უზარმაზარი ლაბადით ხელში, რომელსაც სარჩულადაც ბეწვი ჰქონდა გამოკერებული და ბეწვითვე იყო გაწყობილი.

_ ახლა ერთი დავალებაც უნდა მოგცეთ, _ მითხრა ჩემმა მოუსვენარმა პატრონმა: _ კვლავ ჩემს ოთახში უნდა ჩახვიდეთ, რა კარგია, რომ ხავერდის ქოშები გაცვიათ, ჯეინ! მოუხერხებელი შიკრიკი ამ საქმეს ვერ მოაგვარებდა. ჩემი პატარა მაგიდის შუა უჯრა გამოაღეთ, წამლის შუშა და პატარა ჭიქა ამოიღეთ და მომიტანეთ. აბა, იჩქარეთ!

თითქმის გავფრინდი, ისე მივდიოდი იქით და, რაც დამაბარა, მაშინვე მოვუტანე.

_ ძალიან კარგი! ახლა კი, ექიმო, ჩემი პასუხისმგებლობით ნებას ვაძლევ ჩემს თავს იმდენი წვეთი დავალევინო, რამდენიც მისთვის საჭიროა. ეს წამალი ერთი თავზეხელაღებული იტალიელისაგან შევიძინე რომში. თუ არ გჭირდება, ამ წამლის ხმარება მიზანშეწონილი არ არის, მაგრამ, თუ რაიმე მოუვიდა ადამიანს, აი, როგორც ახლა მეზონს, ის საკმაოდ მოაღონიერებს. ჯეინ, ცოტა წყალი მომაწოდე.

მან პაწაწინა ჭიქა გამომიწოდა, მეც პირსაბანიდან წყლის სურა ავიღე და ნახევრამდე შევუვსე.

_ საკმარისია. ახლა ფიალას ნაპირი დაუსველე.

მეც ისე მოვიქეცი, როგორც მან მთხოვა. თორმეტი წვეთი ალისფერი გამჭვირვალე სითხე ჩაასხა შიგ და მეზონს გაუწოდა:

_ დალიეთ, რიჩარდ, გულს გიპოვით. ასე, ერთი საათით მაინც შეგმატებთ ძალას.

_ ხომ არ მაწყენს, აგზნებას ხომ არ გამოიწვევს?

_ დალიეთ, დალიეთ!

მისტერ მეზონი დაეთანხმა, ალბათ იმიტომ, რომ იცოდა, წინააღმდეგობა სრულიად უსარგებლო იყო. მას უკვე ჩააცვეს. ჯერ კიდევ ფერმკრთალს, იმდენი სისხლი რომ დაკარგა, ახლა არც ისეთი სისუსტე ეტყობოდა. მისტერ როჩესტერმა ნება მისცა სამი წუთი მჯდარიყო სავარძელში, შემდეგ რაღაც გამჭვირვალე სითხე დაალევინა. მერე მკლავში ხელი გამოსდო და უთხრა:

_ ახლა დარწმუნებული ვარ, იმდენს შესძლებთ უკვე, რომ ფეხზე წამოდგეთ, აბა, სცადეთ!

ავადმყოფი წამოდგა.

_ კარტერ, თქვენ მეორე მხარეს მიაშველეთ ხელი. რიჩარდ, ძალა მოიკრიბეთ. აბა, ნაბიჯი გადაადგით. აი, ასე.

_ თავს ნამდვილად უკეთ ვგრძნობ, _ თქვა მეზონმა.

_ დარწმუნებული ვარ, ასე იქნება. ახლა კი, ჯეინ, ჩვენ წინ წადით და ბნელი კიბისაკენ გასწიეთ, განის კარი გააღეთ და მეეტლეს, რომელსაც ეზოში ან მის გარეთ შენიშნავთ, უთხარით, თუმცა მე უკვე ნათქვამი მაქვს, ქვაფენილზე არ აარახრახოს ეტლის ბორბლები, _ სასწრაფოდ მოემზადოს, მოვდივართ. გახსოვდეთ, ჯეინ, თუ ვინმე უკვე ამდგარა, კიბის ბოლო საფეხურიდანვე მოგვეცით ნიშანი.

ამასობაში უკვე ექვსის ნახევარი გახდა. მზე ამოიწვერა, თუმცა სამზარეულოში ჯერ ისევ ბნელოდა და ჩამიჩუმი არ ისმოდა. განის შემოსასვლელი კარი ჩაკეტილი დამხვდა; შევეცადე, რაც შეიძლება უხმაუროდ გამეღო; ეზო ცარიელი იყო, მაგრამ ალაყაფის ორივე კარი ფართოდ იყო ღია. იქვე იდგა საფოსტო ეტლი, უკვე ცხენებშებმული, და მეეტლეც კოფოზე იჯდა. მას ეტლი ეზოს გარეთ გაეჩერებინა. მეეტლეს მივუახლოვდი და შევატყობინე, რომ ჯენტლმენები მოდიოდნენ. მან თავი დამიქნია. მერე გარშემო ფრთხილად მიმოვიხედე და სმენად ვიქეცი. ადრეული დილის მყუდროებას ჯერ კიდევ არაფერი არღვევდა. მსახურებს თავიანთ საძინებელ ოთახებში ფარდები სარკმლებზე ჯერ ისევ ჩამოშვებული ჰქონდათ. პაწაწინა ჩიტუნები ის იყო იწყებდნენ ჟღურტულს, რომლებიც თეთრად გადაპენტილ ხეხილის ხეებზე შემომსხდარიყვნენ. მათი ტოტები ქვის კედელზე თეთრი ყვავილწნულებივით ეკიდა და კედლის გარეთაც გადადიოდა. დროგამოშვებით საჯინიბოში ცხენები ფეხებს აბაკუნებდნენ. არსაიდან სხვა ხმა არ ისმოდა.

ჯენტლმენები გამოჩნდნენ. მეზონი მისტერ როჩესტერსა და ექიმზე დაყრდნობილი მოდიოდა. ეტყობოდა, საკმაო შვება იგრძნო და შედარებით ძალდაუტანებლად მოაბიჯებდა. ეტლში ჩასვეს, მერე მისტერ კარტერიც შეჰყვა.

_ მზრუნველობას ნუ მოაკლებთ, _ უთხრა მისტერ როჩესტერმა ამ უკანასკნელს, _ და თქვენთან იყოლიეთ, სანამ მთლიანად გამოჯანმრთელდება. ორი დღის შემდეგ ვინახულებ. აბა, რიჩარდ, როგორა გრძნობთ თავს ახლა?

_ სუფთა ჰაერმა გამომაცოცხლა, ფეიერფექს.

_ ეტლის სარკმელი ამ მხარეს ღია იყოს, კარტერ, ნიავი მაინც არ უბერავს.

_ ნახვამდის, დიკ!

_ ფეიერფექს...

_ აბა, რა გნებავთ?

_ გთხოვთ, კარგად მოუარონ, კარგად მოექცნენ, რაც შეიძლება თბილად და სათუთად. გთხოვთ მას... _ ის გაჩუმდა და ცრემლით აევსო თვალები.

_ რაც შემიძლია, ვეცდები, ყველაფერს გავუკეთებ. მე ხომ ასეც ვიქცეოდი, _ უპასუხა მისტერ როჩესტერმა. მერე კარი მიხურა და ეტლიც წავიდა.

_ ოჰ, რა მადლობას შევწირავდი ღმერთს, ყველაფერ ამას რომ ბოლო მოღებოდა! _ დაუმატა მან. მერე მძიმე ალაყაფის კარი მიხურა და ურდულით ჩაკეტა. _ ეს საქმეც მოგვარდა, _ თქვა და ნელი ნაბიჯით, ფიქრებში გართული, თითქმის გარინდებული იმ კარისაკენ გაემართა, რომელიც ხეხილის ბაღზე გარშემორტყმულ კედელში მოჩანდა. მე გადავწყვიტე, რომ აღარაფერში დავჭირდებოდი. სახლში წასასვლელად მოვემზადე, რომ კვლავ მისი ძახილი შემომესმა: _ ჯეინ! _ მას შესასვლელი კარი გამოეღო, იდგა და მიცდიდა.

_ მოდით აქ, რამდენიმე წუთს სუფთა ჰაერით ისუნთქეთ. ეს სახლი მიწისქვეშა საპყრობილეს ჰგავს. ასე არ გეჩვენებათ, ჯეინ? _ მკითხა მან.

_ მე მას საუცხოო სასახლედ ვთვლი, სერ.

_ გამოუცდელობის მომხიბვლელი სხივი ციმციმებს თქვენს თვალებში, _ მიპასუხა მან. _ თქვენ ყველაფერს ვარდისფერი სათვალეებით შეჰყურებთ. ვერ ამჩნევთ, რომ ეს მოვარაყებული კედლები უბრალო შლამია და ეს აბრეშუმის ფარდები თვალისმაცდუნებელი ობობას ქსელი. ეს მარმარილო ტალახიანი ფიქალია, ეს გაკრიალებული ხე კი უბრალო ნაფოტის ნარჩენები _ ლექითა და ხენჯით დაფარული. აქ კი (მან ხელით მანიშნა შეფოთლილ-შემოღობილზე, რომელშიაც ის იყო შევედით), ყველაფერი ნამდვილია, ტკბილი და სუფთა.

ის გზააბნეულივით დაუყვა ბილიკს, რომელიც შემოღობილს გარს უვლიდა და მის ერთ მხარეს ვაშლის, მსხლისა და ალუბლის ხეები ყვაოდა, მეორე მხარეს კი არშიასავით შემოვლებოდა ყოველნაირი ძველებური ჯიშის ყვავილი: _ მათიოლა, მიხაკი, ფურისულა და იასამფერა. მათში არეულიყო არტემიზია და ასკილი, უფრო დაბლა კი მრავალნაირი სურნელოვანი ბალახი ბიბინებდა, თბილ აპრილის მზესა და წვიმებს გაეფურჩქნა ისინი. ირგვლივ ისეთი სიცოცხლე და სურნელება იგრძნობოდა, რომელიც მხოლოდ მომაჯადოებელ გაზაფხულის ნათელი დღეების ძალას შემოაქვს. ვარდისფერი ზოლებით დასერილი აღმოსავლეთიდან მზე ამოდიოდა. მან თავის ბრწყინვალე სხივებში გახვია თეთრად გაშლილი ცვარშეუშრობელი ხეები და უკაცური ბილიკები.

_ ჯეინ, არ გინდათ რომელიმე ყვავილი მოგიწყვიტოთ?

მან ბუჩქებზე პირველი ნახევრად გაშლილი ვარდის კოკორი მოწყვიტა და შემომთავაზა.

_ დიდ მადლობას მოგახსენებთ, სერ.

_ გიყვართ მზის ამოსვლა, ჯეინ? ეს ცა, მაღლა სივრცეში გაბნეული ნათელი ღრუბლებით, რომლებიც, რა თქმა უნდა, მაშინვე ქრებიან, როგორც კი დღეს მცხუნვარება მოემატება, ან ეს მშვიდი და სურნელოვანი ჰაერი

_ დიახ, ძალიან მიყვარს, სერ.

_ ოჰ, რა უცნაურად გაატარეთ ეს ღამე, ჯეინ!

_ დიახ, სერ.

_ ალბათ ამიტომა ხართ ასეთი ფერმკრთალი. ხომ არ შეგეშინდათ, როდესაც მისტერ მეზონთან მარტოდმარტო დაგტოვეთ?

_ მე იმისი მეშინოდა, ვინმე მეორე ოთახიდან არ გამოსულიყო.

_ მე ხომ კარები ჩავკეტე. გასაღებიც ჯიბეში მქონდა, ძალიან უგუნური მწყემსი კი ვიქნებოდი, ჩემი კრავი რომ საფრთხეში ჩამეგდო. ჩემი საყვარელი კრავი მგლის ბუნაგთან დამეტოვებინა ასე ახლოს სრულიად უმეთვალყურეოდ და უპატრონოდ. თქვენ არავითარი საშიშროება არ გელოდათ.

_ გრეის პული კიდევ აქ იცხოვრებს, სერ?

_ ოჰ, რა თქმა უნდა! თავს ნუ იტანჯავთ ამაზე ფიქრით, მოიშორეთ ეს აზრი, ჯეინ!

_ ისე მეჩვენება, რომ თქვენი სიცოცხლე სულ მუდამ საფრთხეში უნდა იყოს, სერ, სანამ ის აქ იქნება.

_ ჩემზე ნუ იდარდებთ, ფრთხილად ვიქნები.

_ ის საფრთხე, რომელზედაც გუშინ მელაპარაკეთ, უკვე გავლილია, სერ?

_ ამის სრული პასუხისმგებლობით განცხადება ჯერ კიდევ არ შემიძლია, ჯეინ, სანამ მეზონი ინგლისშია. თუმცა არც მის შემდეგ. ჩემი სიცოცხლე, ჯეინ, ვულკანის ყელთან დგომას ჰგავს. შეიძლება, მიწა ჩაიზნიქოს, გასკდეს, ან ცეცხლი ამოაფრქვიოს და ერთ მშვენიერ დღეს შიგ გამხვიოს.

_ მაგრამ მისტერ მეზონი ისეთი კაცი ჩანს, რომელიც ადვილად გემორჩილებათ, და თქვენც, სერ, ცხადად ვამჩნევ, საკმაოდ დიდი გავლენა გაქვთ მასზე. ვფიქრობ, როცა გინდათ, მაშინ დაიმორჩილებთ. ის თავისი ნებით არავითარ ვნებას არ მოგიტანთ და არც წინასწარგანზრახვით გიღალატებთ.

_ ოჰ, მეზონი არასოდეს არ მიღალატებს, არავითარი ზიანის მოტანას არ შეეცდება, მაგრამ თავისდა უნებურად, ერთი გაუფრთხილებელი სიტყვით შეუძლია ყოველ წამს წამართვას თუ სიცოცხლე არა, ბედნიერება მაინც მთლიანად.

_ უთხარით, რომ ფრთხილად მოიქცეს, სერ. დაე, იცოდეს, რისიც გეშინიათ და გზაც უჩვენეთ, როგორ უნდა აგაცდინოთ საფრთხე.

მან გესლიანად გაიცინა. სწრაფად მტაცა ხელი ხელზე და ასევე სწრაფად გამიშვა.

_ ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, მიამიტო ბავშვო, სადღა იქნებოდა საფრთხე? ის ხომ იმწამსვე გაქრებოდა. მას შემდეგ, რაც მეზონს ვიცნობ, საჭირო იყო მხოლოდ მეთქვა მისთვის: «გააკეთეთ ეს», და საქმე მაშინვე გაკეთდებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ბრძანება არ შემიძლია. ვერ ვეტყვი: «ფრთხილად იყავით, არაფერი დამიშავოთ, რიჩარდ!» აუცილებელიც კი არის, ვერც კი ხვდებოდეს, რა უფრო ზიანს მომიტანს. თქვენ საგონებელში ჩავარდით და უფრო სახტად დარჩებით შემდგომში. მაგრამ თქვენ ხომ ჩემი პატარა მეგობარი ხართ, არა, ჯეინ?

_ მე მზად ვარ გემსახუროთ და ყველაფერში დაგემორჩილოთ, რაც კი სწორად მიმაჩნია ამქვეყნად, სერ.

_ აი, სწორედ მეც ამას ვხედავ თქვენში. გულწრფელ კმაყოფილებას გატყობთ მიმოხრასა და გარეგნობაში, თვალებში და სახეზე, როდესაც

მეხმარებით და ჩემს სასიამოვნოდ რაიმეს აკეთებთ. მოქმედებთ ჩემთვის და ჩემთან ერთად მხოლოდ იმისთვის, როგორც თქვენ გიყვართ თქმა, _ რაც სწორად მიგაჩნიათ ამქვეყნად. თორემ, მე რომ ისეთი რამ მებრძანებინა, რაც თქვენ არასწორი გგონიათ, თქვენ ასე ფეხმარდად არ გაიქცეოდით მის გასაკეთებლად. არც ასე ხელმარჯვე იქნებოდით, არც ასეთი ცქვიტი და მხიარული. თქვენ არც ასეთი ცოცხალი გამომეტყველება გექნებოდათ და არც ასეთი აღფრთოვანების გამომხატველი სახის ფერი. მაშინ ჩემი მეგობარი მომიბრუნდებოდა და მეტყოდა, მშვიდი და გაფითრებული სახით: «არა, სერ, ეს შეუძლებელია, მე ამას ვერ გავაკეთებ, იმიტომ, რომ ის სწორი არ არის». და ისეთი შეურყეველი დარჩებოდა, როგორც უძრავი ვარსკვლავი. დიახ, თქვენც ასევე დიდი გავლენა გაქვთ ჩემზე და შეგიძლიათ ჩემს გულს ზიანი მიაყენოთ. მე ვერ გავბედავ გიჩვენოთ, თქვენ რა ადგილას შეგიძლიათ გამიყაროთ ისარი გულში. თორემ მიუხედავად თქვენი ერთგულებისა და მეგობრობისა, თქვენც კი გულს გამიგმირავდით მაშინვე.

_ თუ თქვენ ისეთივე საშიშროება მოგელით მისტერ მეზონისაგან, როგორიც ჩემგან, მაშინ არაფრის შიში არ უნდა გქონდეთ, სერ.

_ ღმერთმა ინებოს, რომ ასე იყოს. აი, ჯეინ, ფანჩატურიც და ჩამოვსხდეთ.

ფანჩატური თაღივით იყო კედელში გამოყვანილი და სუროს ფოთლებით დაფარული. უფრო წალოს ჰგავდა. იქ უბრალო გრძელი სკამი იდგა. მისტერ როჩესტერი ჩამოჯდა და ჩემთვისაც დატოვა ადგილი, მაგრამ მის წინ ფეხზე დგომა ვარჩიე.

_ დაჯექით, _ მითხრა მან. _ სკამი საკმაოდ გრძელია და ორივეს გვეყოფა. იმედია, არ გეშინიათ, რომ ჩემ ახლოს ჩამოჯდეთ სკამზე, არა, ჯეინ? არის რამე ცუდი ან არასწორი ამაში, ჯეინ?

მე იმით ვუპასუხე, რომ სკამზე ჩამოვჯექი. უარის თქმა, ვგრძნობდი, უხერხული იქნებოდა.

_ ახლა, ჩემო პატარა მეგობარო, სანამ მზე ნამის წვეთებით მხურვალე გულს გაიძღებს, სანამ ყველა ყვავილი ამ ჩვენ ძველ ბაღში გაიღვიძებს და გულს გადაიხსნის, სანამ თორნფილდის გარეთ მდებარე მიდამოებიდან ფრინველები თავიანთ ბარტყებს საზრდოს მოუტანენ, სანამ ფუტკრები ადრეულად, დილიდანვე შეუდგებიან თავიანთ მომაჯადოებელ საქმიანობას, მე ერთ საოცნებო ამბავს მოგიყვებით. უნდა ეცადოთ, რომ ის თქვენს საკუთარ თავგადასავლად წარმოიდგინოთ, მაგრამ ჯერ შემომხედეთ და მითხარით, რომ თავს თავისუფლად გრძნობთ და არ ფიქრობთ, რომ მე რაიმე შეცდომას ვუშვებ, რადგან აქ გაკავებთ, თან თქვენ თვითონ ჩადიხართ შეცდომას, რომ ჩემთან რჩებით.

_ არა, სერ, მე კმაყოფილიც ვარ და დამშვიდებულიც.

_ მაშინ, ჯეინ, მთელ თქვენ ოცნებას დასახმარებლად მოუხმეთ და წარმოიდგინეთ, რომ კარგად აღზრდილი და თავდაჭერილი ქალიშვილი კი არა ხართ, არამედ მოუსვენარი, ბობოქარი ცხოვრების მოყვარული, ყრმობიდანვე განებივრებული ყმაწვილი კაცი. წარმოიდგინეთ, რომ მოხვდით

რომელიღაც შორეულ, უცხო ქვეყანაში. იფიქრეთ, რომ თქვენ იქ დაუშვით რაღაც საბედისწერო შეცდომა, მნიშვნელობა არა აქვს, როგორი და რის გულისათვის, მაგრამ მისი საშინელი კვალი ლაქად დააჩნდა და თან სდევს მთელ თქვენს ცხოვრებას. მხედველობაში იქონიეთ, რომ მე არ მითქვამს «დანაშაული», მე არც სისხლის ღვრაზე ვლაპარაკობ და არც რაიმე კანონით აკრძალულ ბოროტმოქმედებაზე, არამედ მე ვამბობ «შეცდომა». და აი, ამ შეცდომის მიერ გამოწვეული ღრმა ჭრილობა გულში, რაც დრო გადის, მით უფრო აუტანელი ხდება. თქვენ ყოველ ღონეს ხმარობთ, რომ როგორმე გაინთავისუფლოთ თავი მისგან. უჩვეულო ხერხებსაც მიმართეთ. მათში კი არც დანაშაულებრივია რამე და არც კანონის საწინააღმდეგო, თუმცა თქვენ მაინც უბედური ხართ. იმედი სამარადისოდ გაქრა თქვენ გულში და სიცოცხლის მიჯნასთან მიგატოვათ. მანათობელი შუადღის მზის სხივიც კი ბნელდება თქვენთვის და გრძნობთ, რომ ეს არ დამთავრდება სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. თქვენს გონებას ერთადერთ საზრდოდ მწარე და დამამცირებელი მოგონებებიღა შერჩენია. ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიხართ, მოგზაურობთ და სიმშვიდეს განმარტოებაში ეძებთ, ბედნიერებას კი განცხრომასა და დროსტარებაში. მე ვგულისხმობ უგულო, გრძნობის გარეშე ავხორცულ სიამოვნებას, რომელიც გონებას აბნელებს და გრძნობას სამუდამოდ დაღუპვით ემუქრება. და აი, სევდით სავსე გულით და დაცარიელებული სულით თქვენ ბრუნდებით გადასახლებიდან, სადაც ნებაყოფლობით იყავით წასული და ხვდებით სრულიად უცხო პიროვნებას. სად და როგორ, საჭირო არ არის ამაზე საუბარი, და თქვენ სწორედ უცნობ ადამიანში პოულობთ იმ უამრავ ნათელსა და კეთილ თვისებებს, რომელთაც ასე გულდასმით ეძებდით დაახლოებით ოცი წლის მანძილზე და აქამდე ჯერ კიდევ არსად შეხვედრიხართ. ეს თვისებები სულ ახალია, ჯანსაღი, უზადო და უმწიკვლო. მასთან სიახლოვე გაცოცხლებთ და მკვდრეთით აღგადგენთ. გრძნობთ, რომ თქვენი ცხოვრების უკეთესი ხანა დაიწყო. რომ თქვენში უკეთილშობილესი სურვილები იღვიძებს და წმიდაზე წმიდა გრძნობებით ივსება სული. გწყურიათ, თავიდან დაიწყოთ ცხოვრება და სიცოცხლის დანარჩენი ხანა უფრო ღირსეულად გაატაროთ, როგორც უკვდავ ქმნილებას შეეფერება. განა ასეთი დასასრულის მისაღწევად თქვენ უფლება არა გაქვთ საზოგადოების მიერ წმინდა პირობითად დადგენილ ჩვეულებებს წინააღმდეგობა გაუწიოთ და მის მიერვე შექმნილი დაბრკოლებანი გადალახოთ? როდესაც ის არც მისი სინდისით არის ნაკურთხი და არც მისი გონებითაა ნაკარნახევი.

ის შეჩერდა და პასუხს დაელოდა. რა უნდა მეთქვა? ოჰ, რომელიმე კეთილ სულს გონივრული და სწორი პასუხი რომ მოეცა მაშინ ჩემთვის! ფუჭი ოცნება! _ ჩაიჩურჩულა დასავლეთის ქარმა ფათალოს ფოთლებში, რომელიც გარს მეხვია, მაგრამ უნაზესმა არიელმაც ვერ გამოიყენა მისი სუნთქვა საუბრის გასაბმელად. ხის კენწეროებზე ფრინველები გალობდნენ, მაგრამ მათი ტკბილი სიმღერაც, სამწუხაროდ, უსიტყვო იყო.

მისტერ როჩესტერი კი ისევ იმ თემაზე განაგრძობდა საუბარს:

_ ნუთუ ამ მოხეტიალე ცოდვილს, რომელიც ახლა მიელტვის სულიერ მყუდროებას და ყველაფერი მონანიებული აქვს, უფლება არა აქვს დაგმოს საზოგადოების აზრი, რომ თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშიროს უნაზეს, წმინდა, ლმობიერ არსებას, რათა მისი მეოხებით მოიპოვოს სულის სიმშვიდე, გონიერება და მკვდრეთით აღიდგინოს დაღუპული ცხოვრება და თვითაც აღს-დგეს?

_ სერ, _ ვუპასუხე მე, _ მოხეტიალე ადამიანის ნავსაყუდელის მიგნება ან ცოდვილის გარდაქმნა სულიერ ქმნილებას არ ძალუძს. ადამიანები მოკვდავნი არიან. ფილოსოფოსნი თავისივე სიბრძნეს ღალატობენ ხანდახან, ქრისტიანები კი _ სიკეთეს. სერ, თუ თქვენი ახლობელი ნაცნობი ცხოვრებაში დაშვებული რაიმე შეცდომის გამო იტანჯება, დაე, მან უფრო მაღლა ეძიოს და არა თავისივე თანასწორთ შორის ის ძალა, რომელიც საშუალებას მისცემს ცოდვები მოინანიოს და გამოსწორდეს. მისგანვე უნდა ელოდეს ნუგეშს და მთლიანად განიკურნება.

_ მაგრამ იარაღი, იარაღი! ღმერთი, რომელიც ამ საქმეს განაგებს, იარაღსაც წინასწარ თვით ირჩევს თავისი მიზნისათვის. ეს ადამიანი ხომ მე თვითონა ვარ. ვფიქრობ, ქარაგმული საუბარი საჭირო არ არის, მის გარეშე მოგიყვებით ყველაფერს: ამქვეყნიური ტკბობით გატაცებული ადამიანი ვიყავი. უწესო, ქარაფშუტულ და მოუსვენარ ცხოვრებას ვეწეოდი. მხოლოდ ახლა დავრწმუნდი, რომ იმ ნათელ სხივს მივაგენი, რომელსაც ჩემი მკვდრეთით აღდგენა და განკურნება შეუძლია.

ის შეჩერდა. ჩიტები მხიარულ ჭიკჭიკს განაგრძობდნენ. ფოთლები ოდნავ შესამჩნევად შრიალებდნენ. განვცვიფრდი, რომ ჩიტუნებმა ჟღურტული არ შეწყვიტეს, ფოთლებმა კი ურთიერთშორის საიდუმლო ჩურჩული, რომ ეს უცებ შეწყვეტილი იდუმალი აღსარება მოესმინათ. მაგრამ მათ არცთუ ისე ცოტა ხანს დასჭირდებოდათ ლოდინი, რადგან ჩვენ დიდხანს დავრჩით მდუმარედ. ბოლოს შევხედე ჩემ აუჩქარებელ თანამოსაუბრეს. ის თითქოს შეშფოთებული, დაჟინებით შემომყურებდა.

_ ჩემო პატარა მეგობარო, _ მომმართა მან წყნარად და სრულიად შეცვლილი ხმით. შევნიშნე სახის გამომეტყველებაც მთლიანად შეცვლოდა. თითქოს სითბო და სერიოზულობა სადღაც გამქრალიყო და უკვე სიმკაცრე და დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე: _ ალბათ შენიშნავდით ჩემ განსაკუთრებულ გრძნობიერებას მის ინგრემისადმი. როგორ ფიქრობთ, განა მისი შერთვა მკვდრეთით არ აღმადგენს და ახალ ცხოვრებას არ დამიბრუნებს?

თქვა თუ არა ეს, სწრაფად წამოდგა, ბილიკის ბოლოში ჩავიდა და როდესაც დაბრუნდა, რომელიღაც სიმღერას ღიღინებდა.

_ ჯეინ, ჯეინ, _ მითხრა მან და ჩემ წინ შეჩერდა: _ ამდენი უძილობისაგან მთლად გაფითრებულხართ. არ მწყევლით, რომ ასე შეგაწუხეთ და მოსვენება დაგიკარგეთ?

_ გწყევლით თქვენ? არა, სერ, რას ბრძანებთ?

_ აბა, ამ სიტყვების დასამტკიცებლად ხელი მომეცით! ოჰ, როგორ გაგციებიათ თითები! გაცილებით თბილი გქონდათ წუხელ ღამით, როდესაც მათ შევეხე იმ იდუმალებით მოცულ ოთახის კარებთან. ჯეინ, როდის გატეხთ ღამეებს და იფხიზლებთ კვლავ ჩემთან ერთად?

_ ყოველთვის, როდესაც თქვენთვის საჭირო იქნება, სერ.

_ მაგალითად, ჩემი ჯვრისწერის წინა ღამეს? დარწმუნებული ვარ, მე ვერ დავიძინებ. პირობას მაძლევთ, რომ ჩემთან ერთად იჯდებით და არ დამტოვებთ? თქვენთან მე შემიძლია ჩემს სატრფოზე ვისაუბრო, მით უფრო, რომ თქვენ გინახავთ და ახლა კარგად იცნობთ მას.

_ დიახ, სერ.

_ ის არაჩვეულებრივია, არა, ჯეინ?

_ დიახ, სერ.

_ ღმერთქალია, ნამდვილი ღმერთქალი, ჯეინ. მაღალი, შავგვრემანი და ძლიერი. ასეთი თმა ალბათ მხოლოდ კართაგენელ ქალებს თუ ექნებოდათ. ოჰ, _ წამოიძახა მან უცებ, _ დენტი და ლინი საჯინიბოში არიან უკვე. ამ ბუჩქნარს გაყევით და პატარა ჭიშკარში გადით.

მე ერთი გზით წავედი, ის კი მეორით. ეზოდან მისი მხიარული ხმა შემომესმა:

_ მეზონმა ყველას დაგასწროთ ადგომა ამ დილით, ის ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდე გაემგზავრა. მის გასაცილებლად ოთხზე ავდექი.

თავი XXI

წინათგრძნობა მართლაც რომ უცნაური რამ არის! ასეთივეა სწორედ ადამიანთა შორის ურთიერთთანაგრძნობა, გულშემატკივრობა და ავისა თუ კარგის მომასწავებელი წინასწარი ნიშნები. ეს სამი გრძნობა, ერთ მთლიანობაში, ისეთ საიდუმლოებას წარმოადგენს, რომლის გასაღები კაცობრიობას ჯერ კიდევ არ მიუგნია. წინათგრძნობისათვის ჩემ სიცოცხლეში არასოდეს დამიცინია, რადგან პირად ცხოვრებაში მეტად უცნაური შემთხვევები მქონია. რაც შეეხება მოყვასისადმი გულშემატკივრობასა და თანაგრძნობას, მჯერა, რომ ესეც არსებობს. მაგალითად, მეტად დიდი მანძილითა და დროით ერთმანეთს დაშორებული ნათესავები, მიუხედავად მათი უცხოობისა, როცა აღმოაჩენენ, რომ ერთი შტოდან არიან წარმოშობილნი, მაშინვე თავს იჩენს ურთიერთთანაგრძნობა. აი, სწორედ ეს ურთიერთკავშირი აღემატება ადამიანურ მიხვედრილობას. იგი, რამდენადაც ვიცით, შესაძლოა, ადამიანსა და ბუნებას შორის იდუმალი ურთიერთობის შედეგი იყოს.

ექვსი წლის გოგონა ვიქნებოდი, როცა ბესი ლივენის ამბავი მოვისმინე, მართა ებოტს რომ მოუთხრო: სიზმარში ჩვილი ბავშვი ვნახეო, უამბობდა. სიზმრად პატარა ბავშვის ნახვა ბესის ავისმომასწავებელ ნიშნად ჰქონოდა მიჩნეული და სჯეროდა, რომ რაღაც განსაცდელი მოელოდა ან თვით მას ან

მის ახლობელ ადამიანს. შესაძლებელია, ეს ამბავი ჩემს გონებაში სრულიად გამქრალიყო, რომ შემთხვევას მაშინვე არ დაედასტურებინა მისი ნათქვამი. ბესი მეორე დღესვე დაიბარეს თავისი პატარა დის სიკვდილის სარეცელთან.

მოგვიანებით ხშირად მაგონდებოდა მისი ნათქვამიც და ეს შემთხვევაც. ახლა კი, გასული კვირის განმავლობაში ერთი ღამეც არ გამიტარებია საწოლზე, რომ ჩვილი ბავშვი არ დამსიზმრებოდა. მე ის ხან ხელში მეჭირა, ხან მუხლებზე მეწვინა და ვარწევდი, ხან ვუთვალთვალებდი, როგორ ეთამაშებოდა ზიზილებს მოლზე ან როგორ ჭყუმპალაობდა პატარა ხელებით მდინარეში. ერთ ღამეს თუ მტირალი მესიზმრებოდა, მეორე ღამეს _ უკვე მოცინარი და მხიარული იყო. ხან სულ ახლოს მეკვროდა, ხან კი გამირბოდა. რა გუნებაზე, ან რა სახითაც უნდა მჩვენებოდა, მივლულავდი თუ არა თვალს და სიზმრის ქვეყანას გადავიდოდი, ასე მესიზმრებოდა დაახლოებით შვიდი ღამის განმავლობაში.

არ მინდოდა მეფიქრა, მაგრამ ერთი და იმავე ჩვენების ხილვა ყოველ ღამით მეორდებოდა. დაძინების დრო მოახლოვდებოდა თუ არა, ვიცოდი, რა სიზმარიც უნდა მენახა და უკვე მღელვარება მემატებოდა. სწორედ ჩვილ ბავშვს ვხედავდი სიზმარში იმ მთვარიან ღამესაც, როდესაც ყვირილი შემომესმა. მეორე დღეს, ნაშუადღევს კი, ქვემო სართულში მიხმეს და მაცნობეს, რომ მისის ფეიერფექსის ოთახში ვიღაც მიცდიდა. მართლაც, შესვლისთანავე შევნიშნე უცხო მამაკაცი. გარეგნობით ის ჯენტლმენის მსახურს მოგაგონებდათ; სამგლოვიარო ტანსაცმელი ეცვა და ქუდზედაც, რომელიც ხელში ეჭირა, შავი ბაფთა ჰქონდა შემოვლებული.

_ ვფიქრობ, აღარც კი გეხსომებით, მის ეარ, _ მითხრა მან და ჩემი შესვლისთანავე წამოდგა: _ ჩემი გვარი ლივენი გახლავთ. მეეტლედ ვემსახურებოდი მისის რიდს ასე, რვა-ცხრა წლის წინათ, როდესაც თქვენ იქ ცხოვრობდით და ახლაც იქვე ვცხოვრობ.

_ ოჰ, რობერტ! გამარჯობათ. როგორ არ მახსოვხართ!?. განა თქვენ არ მაძლევდით უფლებას ხანდახან მაინც გამესეირნა ხოლმე ჯორჯიანას წაბლისფერი პონით? როგორ არის ბესი? თქვენ ხომ ბესი შეირთეთ?

_ დიახ, მის. ჩემი მეუღლე სრულიად ჯანმრთელად გახლავთ, გმადლობთ. ორი თვის წინათ მან კიდევ ერთი პაწაწა შესძინა ჩემს ოჯახს. ახლა სამი ბავშვი გვყავს. ბესი და პატარაც ყვავილებივით იფურჩქნებიან.

_ ბიძაჩემის ოჯახის წევრები როგორ არიან, რობერტ?

_ ვწუხვარ, რომ კარგს ვერაფერს მოგახსენებთ მათ შესახებ, მის. ისინი დიდ გასაჭირში არიან ამჟამად, ძალიან დიდ ტანჯვაში.

_ ხომ არავინ მომკვდარა? _ ვკითხე და კვლავ მის შავ ტანსაცმელს ავხედ-დავხედე. თვითონაც დახედა ქუდის გარშემო შავ ბაფთას და მიპასუხა:

_ ამ ერთი კვირის წინათ მისტერ ჯონი გარდაიცვალა თავის ოთახში, ლონდონში.

_ მისტერ ჯონი?

_ დიახ.

_ მერე დედამისმა როგორ გადაიტანა ეს ამბავი?

_ როგორც მოგეხსენებათ, მის ეარ, ეს ჩვეულებრივი უბედურების მიზეზით არ მომხდარა. მისტერ ჯონი ხომ ძალიან ცუდ ცხოვრებას ეწეოდა; ამ უკანასკნელი სამი თვის მანძილზე ღმერთმა იცის, რა უცნაური საქციელი აღარ ჩაიდინა და სამარცხვინოდ გარდაიცვალა.

_ ბესისაგან გავიგე, რომ ცუდ გზაზე იდგა.

_ ცუდ გზაზე! უფრო ცუდი არც კი გამიგონია. მისტერ ჯონმა გაინადგურა საკუთარი ჯანმრთელობა და მთელი თავისი საცხოვრებელი უზნეო ქალთა და მამაკაცთა წრეში გაანიავა; ვალი დაედო და ციხეში მოხვდა. დედამ ორჯერ გაუწია დახმარება, მაგრამ განთავისუფლდებოდა თუ არა, ისევ თავის ძველ მეგობრებსა და ჩვეულებებს უბრუნდებოდა; ეტყობა, თავში ყველაფერი რიგზე არ ჰქონდა; არამზადებმა კი, რომელთა შორისაც ცხოვრობდა, ისე გამოათაყვანეს, რომ ყველაფერი აკისრებინეს. სამი კვირის წინ გეიტსჰედჰოლში ჩამოვიდა და მოითხოვა, რომ დედამისს ყველაფერი მისთვის გადაეცა, მაგრამ მისის რიდმა უარი განუცხადა. დედის შემოსავალი კარგა ხანია შეარყია შვილის უაზრო ხელგაშლილობამ. ამგვარად, მისტერ ჯონი უკან გაბრუნდა და მალე ამბავიც მივიღეთ, გარდაიცვალაო. როგორ გარდაიცვალა, ღმერთმა უწყის! ამბობენ, თავი მოიკლაო.

ვდუმდი. ახლადმოსმენილი ამბავი მართლაც რომ საშინელი იყო. რობერტ ლივენი კი განაგრძობდა:

_ მისის რიდი კარგა ხანია ისედაც ავადმყოფობდა. ძალიან გასუქდა და საქმესაც თავს ვეღარ ართმევდა. ფულის დაკარგვამ და სიღარიბის შიშმა კი მთლად მოუღო ბოლო. მისტერ ჯონის სიკვდილის ამბავი ისე მოულოდნელად მივიღეთ, რომ ელდა ეცა და სამი დღე ენაჩავარდნილი იყო. გასულ სამშაბათს თავი უკეთ იგრძნო, ჩანდა, რაღაცის თქმა უნდოდა. ჩემს მეუღლეს რაღაცას ანიშნებდა და ბუტბუტებდა. მხოლოდ გუშინ დილით, როგორღაც ბესიმ გაიგო, რომ თქვენს სახელს წარმოთქვამდა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, თქვა: «ჯეინი მომიყვანეთ, ჯეინ ეარი, მას უნდა ველაპარაკოო». ბესი დარწმუნებული არ იყო, გონებაზე იყო თუ არა მოხუცი, ან იცოდა თუ არა იმ სიტყვების აზრი, რასაც ამბობდა, რომ თქვენ მოსაყვანად გამოეგზავნათ ვინმე. პირველად ახალგაზრდა ქალიშვილებმა უარი განაცხადეს, მაგრამ დედა ისე შფოთავდა და განუწყვეტლივ იმეორებდა: «ჯეინი, ჯეინიო», რომ ისინიც დათანხმდნენ. გეიტსჰედიდან გუშინ გამოვემგზავრე, თუ შეგიძლიათ მოემზადოთ, მის, მინდა ხვალ დილით ადრე წაგიყვანოთ.

_ დიახ, რობერტ, დილისთვის მზად ვიქნები. ვფიქრობ, ჩემი წამოსვლა აუცილებელია.

_ მეც ასევე ვფიქრობ, მის. ბესიმ იქვე მითხრა და დარწმუნებულიც იყო, უარს არ მეტყოდით, მაგრამ, ჩემი აზრით, საჭიროა გამგზავრებამდე ნებართვა ითხოვოთ.

_ დიახ, ამას ახლავე მოვაგვარებ.

რობერტი გავგზავნე თუ არა მოსამსახურეთათვის განკუთვნილი სასტუმრო ოთახისაკენ, ჯონსა და მის მეუღლეს ვთხოვე მისთვის მზრუნველობა არ მოეკლოთ და მისტერ როჩესტერის საძებრად გავეშურე.

ის პირველ სართულზე არც ერთ ოთახში არ აღმოჩნდა. ეზოში, საჯინიბოში და ბაღშიც ვათვალიერე, მაგრამ ვერც იქ ვიპოვე. მისის ფეიერფექსსაც ვკითხე, ხომ არსად გინახავთ-მეთქი. დიახო, მიპასუხა მან, ბილიარდს თამაშობდა მის ინგრემთანო. მეც მაშინვე საბილიარდო ოთახისაკენ გავწიე. იქიდან ბურთების ტკაცუნი და ადამიანთა გაბმული ზუზუნი ისმოდა. მისტერ როჩესტერი, მის ინგრემი, ორივე და ეშტონები და მათი მოტრფიალენი, ყველანი თამაშით იყვნენ გართულნი. დიდი გამბედაობა იყო საჭირო, რომ ასეთი აზარტული თამაში შემეჩერებინა. ჩემი საქმის გადადება შეუძლებელი იყო და ამიტომ პირდაპირ გავემართე მისტერ როჩესტერისაკენ, რომელიც მის ინგრემის გვერდით იდგა. მივუახლოვდი თუ არა, მის ინგრემი შემოტრიალდა და ქედმაღლურად გადმომხედა. მისი თვალები თითქოს პასუხს თხოულობდნენ: «ამ დედამიწაზე მცოცავ არარაობას რაღა უნდა აქო?» და როდესაც მე დაბალი ხმით ჩავილაპარაკე: «მისტერ როჩესტერ!» _ ის ისე შეირხა, თითქოს აპირებდა, ებრძანებინა მაშინვე დამეტოვებინა ოთახი. მახსოვს, იმ წუთებში მისი მეტისმეტად მოხდენილი და განსაცვიფრებელი გარეგნობა: ცისფერი კრეპის სადილაო კაბა ეცვა, და თმა ლაჟვარდისფერი სიფრიფანა თავსაბურით ჰქონდა შეკრული. მთელი გატაცებით თამაშობდა, მაგრამ ცეცხლი, რომელიც მის სიამაყეს ჩემი გამოჩენით წაეკიდა, მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც იქ დავყავი, მის ინგრემის ამპარტავან სახის ნაკვთებზე ოდნავადაც აღარ შენელებულა.

_ განა ის თქვენ გკითხულობთ? _ შეეკითხა ის მისტერ როჩესტერს. მისტერ როჩესტერიც მოტრიალდა, რომ გაეგო ვისზე იყო ლაპარაკი. ჩემ დანახვაზე მისმა სახემ რაღაც უცნაური გამომეტყველება მიიღო. ეს იყო ერთ-ერთი მისთვის დამახასიათებელი ორაზროვანი გამოხედვა. ბილიარდის ჯოხი მაშინვე დადო და ოთახიდან გარეთ გამომყვა.

_ კეთილი, ჯეინ, _ მითხრა მან და ზურგით საკლასო ოთახის კარს მიეყრდნო, რომელიც შემოსვლისთანავე მიხურა.

_ სერ, თუ შეიძლება ერთი ან ორი კვირით გამათავისუფლეთ.

_ რისთვის, სად მიდიხართ?

_ ერთი ავადმყოფი მოხუცი ქალის სანახავად, რომელმაც ჩემ წასაყვანად მსახური გამოგზავნა.

_ ვინ, რომელი ავადმყოფი ქალი? სად ცხოვრობს?

_ შაირის საგრაფოში, სერ, გეიტსჰედჰოლში.

_ შაირის? ის ხომ აქედან ასი მილითაა დაშორებული? განა ვინ უნდა იყოს ასეთი, რომელიც ასე შორი მანძილიდან მოითხოვს ინახულოთ?

_ მისი გვარი რიდი გახლავთ, მისის რიდი.

_ რიდი, გეიტსჰედჰოლიდან? გეიტსჰედში ერთი მოსამართლე ცხოვრობდა გვარად რიდი.

_ დიახ, ეს მისი ქვრივია, სერ.

_ მერე თქვენ რა უნდა გაუკეთოთ მას? საიდან იცნობთ?

_ მისტერ რიდი ბიძა იყო ჩემი, დედაჩემის მკვიდრი ძმა.

_ ეშმაკმა დალახვროს! თქვენ ეს ჩემთვის არასოდეს გიხსენებიათ წინათ. ყოველთვის მარწმუნებდით, რომ ნათესავები არ გყავდათ.

_ არც მყავს, სერ, ვისაც თავისიანად უნდა მივაჩნდე. მისტერ რიდი გარდაიცვალა და მისმა მეუღლემ გარეთ გამომაგდო...

_ რატომ?

_ იმიტომ, რომ ღარიბი ვიყავი. ზედმეტ ტვირთად ვიქეცი მისთვის და ძალიანაც ვძულდი.

_ რიდს შვილები ხომ დარჩა? ბიძაშვილები ხომ გყავთ?

_ დიახ, სერ. ჯორჯ ლინმა გუშინ ახსენა ერთ-ერთი რიდი გეიტსჰედ ჰოლიდან და თქვა, რომ ის გამოუსწორებელი არამზადა ყოფილა, ლონდონში. ინგრემმა კი ჯორჯიანა რიდზე ილაპარაკა, რომელიც იმავე სამფლობელოდან არის და ვის სილამაზეზეც იქ ერთი თუ ორი წლის წინათ განსაცვიფრებელი მითქმა-მოთქმა ამტყდარა. ჯონ რიდი გარდაიცვალა, სერ. მან საკუთარი თავიც დაღუპა და ოჯახიც ნახევრად დაღუპვის კარად მიიყვანა. ფიქრობენ, რომ თავი მოუკლავს. ამ ამბავს დედაზე ისე უმოქმედნია, რომ დამბლა დასცემია.

_ მერე, თქვენ რა უნდა გაუკეთოთ მას? სისულელეა, ჯეინ, თქვენ ადგილას არც ვიფიქრებდი ასი მილის დაშორებით წასვლას მომაკვდავი მოხუცი ქალის სანახავად, რომელიც შეიძლება თქვენ ჩასვლამდე კიდეც გარდაიცვალოს. გარდა ამისა, იმასაც ამბობთ, რომ სახლიდან დაგითხოვათ.

_ დიახ, სერ, მაგრამ ეს დიდი ხნის წინათ მოხდა. მაშინ ის სხვა პირობებში ცხოვრობდა. ჩემთვის ადვილი გადასატანი არ იქნება, რომ მის სურვილს ყური არ ვათხოვო.

_ რამდენ ხანს დარჩებით? პირობა მომეცით, რომ მხოლოდ ერთ კვირას დარჩებით.

_ პირობას ვერ მოგცემთ, სერ, იქნებ, სიტყვის გატეხა მომიხდეს.

_ რაც უნდა მოხდეს, თქვენ უკან დაბრუნდებით: განა რამე მიზეზს შეუძლია გაიძულოთ და მასთან დარჩეთ სამუდამოდ?

_ ოჰ, არა! აუცილებლად დავბრუნდები, თუ ყოველივე კარგად იქნება.

_ ვინ მოდის თქვენთან ერთად? მარტო ხომ ვერ იმოგზაურებთ ასი მილის მანძილზე.

_ არა, სერ. მან თავისი მეეტლე გამომიგზავნა.

_ მაგ ადამიანის ნდობა შეიძლება?

_ დიახ, სერ, ის ათი წელია მათ ოჯახში ცხოვრობს.

მისტერ როჩესტერი შეფიქრიანდა.

_ როდის აპირებთ წასვლას?

_ ხვალ დილით ადრე, სერ.

_ კეთილი, ალბათ ფული გჭირდებათ. უფულოდ ხომ ვერ იმოგზაურებთ. ამასთანავე, ვფიქრობ, არცთუ ისე დიდი თანხის პატრონი უნდა იყოთ. მე ხომ

ჯერ თქვენთვის ჯამაგირი არ მომიცია. მაინც სულ რამდენი გაქვთ, ჯეინ? _ მკითხა მან ღიმილით.

მე ქისა გადმოვატრიალე. ის თითქმის ცარიელი იყო.

_ ხუთი შილინგი, სერ.

მან საფულე გამომართვა, რაც იყო შიგ, ხელისგულზე გადმოყარა და ჩუმად ჩაიცინა, თითქოს ამ თანხის სიცოტავე სიამოვნებდა. შემდეგ ჯიბიდან თავისი საფულე ამოიღო, აიღეთო, მითხრა, და ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგის ღირებულების ბანკნოტი გამომიწოდა. ჩემი მას მხოლოდ თხუთმეტი გირვანქა სტერლინგი ემართა. მაშინვე ვუთხარი, რომ ხურდა არა მქონდა.

_ არ მინდა ხურდა. ეს თქვენი ჯამაგირია.

უარი განვაცხადე ამეღო იმაზე მეტი, რაც სამართლიანად მეკუთვნოდა. პირველად კოპები შეიკრა, შემდეგ თითქოს რაღაც მოაგონდა და მითხრა:

_ სწორია, სწორი! უმჯობესია ახლა სულ ერთად არ მოგცეთ, თორემ, შესაძლებელია, ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგი წაიღოთ და სამი თვე იქ დარჩეთ. აი, აიღეთ ათი, საკმარისია?

_ დიახ, სერ, მაგრამ ახლა თქვენ ჩემი ხუთი გირვანქა სტერლინგი გმართებთ.

_ ჰოდა, დანარჩენისათვის უკან დაბრუნდით. მე ვიქნები თქვენი ბანკირი და ორმოც გირვანქა სტერლინგს შეგინახავთ.

_ მისტერ როჩესტერ, რადგან შემთხვევა მომეცა, მინდა ერთ სხვა საქმეზეც მოგელაპარაკოთ.

_ საქმეზე? ძალიან მინდა გავიგო, მაინც რა საქმეზე?

_ თქვენ მე ნათლად მაგრძნობინეთ, რომ მალე ჯვარს იწერთ, სერ.

_ დიახ, მერე რა, ჯეინ?

_ ამ შემთხვევაში უმჯობესია, ადელი სკოლაში გაგზავნოთ: დარწმუნებული ვარ, თქვენ კარგად ხვდებით ამ აუცილებლობას, სერ.

_ თავიდან ავაშორო ჩემს მომავალ მეუღლეს, შესაძლებელია, მისთვის ძნელი ასატანი გახდეს, არა? თქვენი წინადადება მართლაც რომ გონივრულია. უეჭველია, ასე იქნება. ადელი, როგორც თქვენ ამბობთ, სასწავლებელში უნდა წავიდეს. თქვენ კი, რასაკვირველია, პირდაპირ ჯანდაბისაკენ, არა?

_ ვფიქრობ, არა, სერ, მაგრამ სხვა სამუშაო კი უნდა მოვძებნო სადმე.

_ ეს სწორედ მოსალოდნელი იყო თქვენგან, _ წამოიძახა მან და მის ხმაში უცნაური ჟღერა გაისმა; მერე სახე დაემანჭა და რამდენიმე წუთს რაღაც გამოუცნობი სასაცილო გამომეტყველებით მიყურებდა.

_ ვფიქრობ, მოხუცი მადამ რიდი და მისი ქალიშვილები შუამდგომლობას გაგიწევენ, რომ ახალი სამუშაო მოძებნოთ.

_ არა, სერ. მე ისეთი დამოკიდებულება არა მაქვს ჩემს ნათესავებთან, რომ დახმარების იმედი ვიქონიო _ მე კვლავ გაზეთში გამოვაცხადებ.

_ ასეთს ვეღარაფერს ჩაიდენთ! _ ჩაიბუტბუტა მან თავისთვის, _ აბა, გაბედეთ და შეიტანეთ განცხადება! უმჯობესი იყო, ათი გირვანქა სტერლინგის

მაგიერ ერთი მომეცა თქვენთვის. ცხრა გირვანქა სტერლინგი დამიბრუნეთ, ჯეინ, ფული მჭირდება.

_ მეც მჭირდება, სერ. _ ვუპასუხე და შევეცადე ხელები და ქისა ზურგს უკან გადამემალა. _ არავითარ შემთხვევაში ამ ფულის გარეშე იოლად წასვლა არ შემიძლია.

_ პატარა ძუნწი! _ თქვა მან. _ უარსაც მიცხადებს ფულის უკან დაბრუნებაზე! მომეცით ხუთი გირვანქა სტერლინგი, ჯეინ!

_ ხუთ გირვანქა სტერლინგს კი არა, სერ, ხუთ პენსსაც ვერ მოგცემთ.

_ ერთი მაინც დამახედეთ ფულზე, ჯეინ!

_ არა, სერ, მე თქვენ ვეღარ გენდობით.

_ ჯეინ!

_ სერ?

_ ერთი პირობა მაინც მომეცით.

_ ყველაფრის პირობას მოგცემთ, სერ, რის შესრულებაც კი შემიძლია.

_ განცხადება არ გაგზავნოთ გაზეთში. ადგილის გამოძებნის საქმე მე მომანდეთ. მე გიშოვნით ადგილს თავის დროზე.

_ ძალიან მოხარული ვიქნები, სერ, თუ პირობას მომცემთ, რომ მე და ადელს ორივეს მანამდე გაგვამგზავრებთ ამ სახლიდან, სანამ აქ თქვენი საცოლე შემოვა.

_ ძალიან კარგი! კეთილი! პატიოსან სიტყვას გაძლევთ. მაშ, თქვენ ხვალ წახვალთ, არა?

_ დიახ, სერ, ადრე დილით.

_ სადილობის შემდეგ ჩამოხვალთ სასტუმრო ოთახში?

_ არა, სერ, მე სამგზავროდ უნდა მოვემზადო.

_ მაშ მე და თქვენ ერთმანეთს ცოტა ხნით უნდა გამოვემშვიდობოთ, არა?

_ დიახ, ასე ვფიქრობ, სერ.

_ როგორ ემშვიდობებიან ადამიანები ერთმანეთს განშორების დროს, ჯეინ? მასწავლე, მე კარგად არ ვიცი.

_ ისინი ეუბნებიან ერთმანეთს _ ნახვამდისო; ან სხვა მის მაგვარ სიტყვას, რომელიც ურჩევნიათ.

_ მაშ, მითხარით ასე, ჯეინ.

_ მომავალ შეხვედრამდე, ნახვამდის, მისტერ როჩესტერ.

_ მე რაღა უნდა გითხრათ?

_ თუ გნებავთ იგივე, სერ.

_ ნახვამდის, მის ეარ, მომავალ შეხვედრამდე, სულ ეს არის?

_ დიახ.

_ ასეთი გამომშვიდობება, ვფიქრობ, სრულიადაც არ არის დამაკმაყოფილებელი; ის ძალიან მშრალია და არამეგობრული. მე რაღაც უფრო სხვას ველოდი, ჩვეულებრივ წესთან ცოტაოდნად განსხვავებულს. ალბათ ხელის ჩამორთმევა თუ გაქვთ მხედველობაში? ოჰ, არა, ესეც ვერ

დამაკმაყოფილებდა. ამგვარად _ ნახვამდის _ მეტი არაფერია საჭირო და სხვას აღარაფერს მეტყვით, არა, ჯეინ?

_ ეს სრულიად საკმარისია, სერ. შესაძლოა, ერთი გულთბილი სიტყვით იმდენივე კეთილი სურვილი გამოვხატოთ, რამდენსაც უამრავი სიტყვათა კორიანტელით გადმოვცემთ ხოლმე.

_ ადვილი შესაძლებელია, მაგრამ ასეთი დამშვიდობებაც მეტად მშრალი და ცივია.

_ ნახვამდის!

«ნეტავ რამდენ ხანს აპირებს ასე კარებზე ზურგმიყრდნობილი დგომას?» _ ვეკითხებოდი ჩემს თავს გუნებაში. მინდოდა უკვე ჩალაგება დამეწყო. სწორედ მაშინ დარეკეს სადილობის ზარი. იგი მოულოდნელად და უსიტყვოდ მოსწყდა ადგილიდან. მთელი იმ დღის განმავლობაში აღარსად მინახავს, ხოლო მეორე დილით ადრე, სანამ ადგებოდა, მანამ მომიხდა გამგზავრება.

პირველ მაისს, ასე, დაახლოებით ნაშუადღევის ხუთ საათზე, გეიტსჰედჰოლის საყარაულო ქოხს მივაღწიეთ. სანამ სახლში ავიდოდი, იქ ვარჩიე შესვლა; ქოხი მეტად სუფთად და ფაქიზად იყო მოვლილი. მოჩუქურთმებულ სარკმლებზე პატარა ზომის თეთრი ფარდები ეკიდა. იატაკი წკრიალებდა; ცეცხლის შუქზე, რომელიც მხიარულად გიზგიზებდა, ბუხრის ცხაურსა და რკინის საჩხრეკებს ლაპლაპი გაჰქონდათ. ბესი ბუხრის წინ იჯდა და თავის ნაბოლარას უვლიდა, რობერტი და მისი და კი კუთხეში წყნარად თამაშობდნენ.

_ ღმერთო ჩემო! ვიცოდი, მოხვიდოდით! _ წამოიძახა მისის ლივენმა, შევედით თუ არა.

_ დიახ, ბესი, _ ვუპასუხე მე მას შემდეგ, რაც გადავეხვიე და გადავკოცნე. _ იმედი მაქვს, დაგვიანებული არ არის. როგორაა მისის რიდი? ჯერ ხომ ცოცხალია?

_ დიახ, ცოცხალია და თითქმის უფრო მშვიდად და კარგად გრძნობს თავს, ვიდრე აქამდე იყო. ექიმს იმედი აქვს, ასე ერთ ან ორ კვირას კიდევ იცოცხლებსო, მაგრამ მთლიანად მისი გამოკეთება კი საეჭვოაო.

_ ამ ბოლო ხანს კიდევ მახსენა?

_ თქვენზე ის მხოლოდ დილით ლაპარაკობდა და ნატრობდა მოსულიყავით, მაგრამ ახლა სძინავს. ყოველ შემთხვევაში, ათი წუთის წინათ ეძინა. ნაშუადღევს, ჩვეულებრივ, თითქოს საღათას ძილი ეუფლება ხოლმე და დაახლოებით ექვს ან შვიდ საათზე იღვიძებს. ხომ შეისვენებთ ერთ საათს ჩვენთან? მერე კი მეც თქვენთან ერთად წამოვალ.

ამ დროს რობერტი შემოვიდა. ბესიმ მძინარე ბავშვი აკვანში ჩააწვინა და მის შესახვედრად გაემართა. მერე მთხოვა ქუდი მომეხადა და ჩაი დამელია, რადგან, როგორც ამბობდა, ძალიან ფერმკრთალი და დაღლილი მოვჩანდი თურმე. მისმა სტუმართმოყვარეობამ გამახარა და, როდესაც სამგზავრო სამოსს მხდიდა, უთქმელად ვემორჩილებოდი, სწორედ ისევე, როგორც ბავშვობაში ვიცოდი დაძინების წინ.

მისი ფუსფუსის დანახვაზე წარსული მომაგონდა. ჩაის ლანგარი გადმოიღო და ზედ ყველაზე საუკეთესო ფაიფურის ფინჯნები დააწყო. პურს და კარაქს ჭრიდა და ჩაის ღვეზელს ცეცხლზე ხუხავდა. პატარა ჯეინსა და რობერტს კი ხან ხელს ოდნავ წაჰკრავდა, რომ ფეხებში არ მოსდებოდნენ, ხან კი ალერსით წამოარტყამდა, სწორედ ისევე, როგორც მე მექცეოდა ოდესღაც პატარაობისას. ბესის ისეთივე ხასიათი შემორჩენოდა, ისევ ფიცხი და ელვასავით სწრაფი იყო, მაგრამ კეთილი ღიმილი არ შორდებოდა მის მშვენიერ სახეს.

ჩაი გაამზადეს. ვაპირებდი მაგიდასთან ახლოს მისვლას, მაგრამ ბესიმ ძველებური მბრძანებლური კილოთი განმიცხადა: მშვიდად იჯექით, მანდვე, ბუხრის პირად მოვიტან ყველაფერსო. მართლაც, სწორედ ისევე, როგორც ჩემ ბავშვობაში იცოდა, პატარა მრგვალი მაგიდა წინ დამიდგა და ერთი ფინჯანი ჩაი და გახუხული პური მომიტანა. კარგად მახსოვდა, როდესაც პატარა სკამზე ვიჯექი მაგიდასთან და ჩემთვის გადანახული რაიმე ტკბილეულით მიმას-პინძლდებოდა. ახლა ეს ყოველივე ღიმილს მგვრიდა და მაინც ვემორჩილებოდი მას ისევე, როგორც დიდი ხნის წინათ.

ძალიან აინტერესებდა გაეგო, ბედნიერი ვიყავი თუ არა თორნფილდში, ან როგორი დიასახლისი მყავდა. მაგრამ როდესაც ჩემგან შეიტყო, რომ სახლის მფლობელი მამაკაცი იყო, მაშინვე გამოკითხვა დამიწყო: მომწონდა თუ არა ის? ან, საერთოდ, როგორი გარეგნობის იყო. მე ვუპასუხე, რომ მისტერ როჩესტერი საკმაოდ შეუხედავი მამაკაცი არის-მეთქი, მაგრამ, ამასთანავე, ნამდვილი ჯენტლმენი. ის კეთილად მეპყრობა და მეც კმაყოფილი ვარ-მეთქი. მერე კი ვუამბე იმ ოჯახური წვეულებისა და მხიარული სტუმრების შესახებ, რომლებიც შინ დავტოვე. ყოველ წვრილმანს ბესი დიდი სიამოვნებით ისმენდა. ეს სწორედ ისეთი ამბავი გახლდათ, რაც მას სიამოვნებას ჰგვრიდა.

ამ საუბარში მალე გავიდა ერთი საათი. ბესიმ ქუდი და მოსასხამი მომიტანა. მე მისი თანხლებით საყარაულო ქოხი დავტოვე და გეიტსჰედჰოლისაკენ გავეშურე. სწორედ აი, იმ ბილიკით, რომლითაც ამ ცხრა წლის წინათ მან გამომაცილა. მაშინ გეიტსჰედჰოლიდან გზას თავქვე დავუყევი, ახლა კი მისკენ მივიჩქაროდი აღმართზე. მაგონდებოდა იანვრის ერთ ბნელ, ცივსა და ნისლიან დილას ნაღვლიანმა და სვეგამწარებულმა როგორ დავტოვე ეს საძულველი ჭერი, იმ ფიქრით, რომ გამაძევეს და თითქმის სამუდამოდ დამგმეს. იმ დღიდან ჯერ კიდევ უსუსურს, სრულიად უცხო მხარეში, ლოვუდის ცივსა და არასტუმართმოყვარე კედლებს შორის, მარტოდმარტოს უნდა მეძებნა თავშესაფარი... და აი, ახლაც იგივე მტრული ჭერი აღმართულიყო ჩემ წინ. ჩემი მომავალი ჯერ კიდევ საეჭვო იყო. გული ჯერ ისევ ტკივილს გრძნობდა. თავი ამქვეყნად ისევ მოხეტიალე მოგზაურად მიმაჩნდა, მაგრამ საკუთარი თავისადმი მეტი რწმენა გამჩენოდა და მის ძლიერებაშიც უფრო მეტად ვიყავი დარწმუნებული. ახლა უფრო ნაკლებად მაძრწუნებდა იმის შიში, რომ ვინმე დაჩაგვრას გამიბედავდა. ასე მეგონა, თითქოს მძიმე ჭრილობები სრულიად მოშუშდა და გულისწყრომის ცეცხლიც გაქრა.

_ პირველად სასაუზმე ოთახში შეხვალთ, _ მითხრა ბესიმ, როდესაც დერეფანში წინ მიმიძღოდა: _ ახალგაზრდა ქალბატონები იქ იქნებიან.

რამდენიმე წუთის შემდეგ მე უკვე სასაუზმე ოთახში ვიყავი. თითოეული ნივთი ისევე გამოიყურებოდა, როგორც იმ დილით, როდესაც მისტერ ბროკლჰერსტის წინაშე წარმადგინეს. ბუხრის წინ სწორედ იგივე ხალიჩა იყო დაფენილი, რომელზედაც მაშინ ის იდგა. წიგნების კარადას გადავხედე თუ არა, გავიფიქრე, მესამე თაროზე შემეძლო თამამად გამომერჩია ბივიკის «ბრიტანეთის ფრინველების» ორი ტომი, რომელთაც თავიანთი ძველი ადგილი ეკავათ, ხოლო «გულივერის მოგზაურობა» და «ათას ერთი ღამე» ისევ მათ მაღლა ეწყო. უსულო საგნებს ცვლილება არ ემჩნეოდათ. სამაგიეროდ, ოჯახის მკვიდრნი ისე შეცვლილიყვნენ, რომ ცნობაც კი შეუძლებელი იყო.

ჩემ წინ იდგა ორი ახალგაზრდა ქალიშვილი: ერთი მათგანი მეტად მაღალი იყო. თითქმის ისეთივე მაღალი, როგორც მის ინგრემი; ამასთანავე, ძალიან გამხდარი, ყბებჩაცვენილი და მკაცრი გარეგნობის. მის გამოხედვაში მაშინვე შეამჩნევდით რაღაც ასკეტურს. ამას ემატებოდა მისი მთლად უბრალოდ შეკერილი სწორი, შავი შალის კაბა, თეთრი ტილოს გახამებული საყელოთი. თმა სწორად ჰქონდა უკან გადავარცხნილი. ყელზე კი, მონაზონი ქალების მსგავსად, მძივისებრი აბანოზის სამკაული და ჯვარცმა ეკიდა. მაშინვე დავრწმუნდი, რომ ეს ელიზა უნდა ყოფილიყო, თუმცა ძალიან ცოტა მსგავსება შეიძლებოდა აღმომეჩინა მის პირვანდელსა და იმჟამინდელ გრძელსა და ფერმკრთალ პირისახეს შორის.

მეორე, რასაკვირველია, ჯორჯიანა გახლდათ. მაგრამ არა ის ჯორჯიანა, რომელიც მე მახსოვდა: სუსტი, ფერიასავით მშვენიერი თერთმეტი წლის გოგონა. არამედ ის იყო ახლადგაშლილი ხორცსხმული ლამაზი ქალი, როგორც სანთლისაგან ჩამოქნილი ქანდაკება. მისი ლამაზი სხეულის, სწორი ნაკვთების, ცისფერი სედიანი თვალებისა და ქერა კულულების მხილველი აღტაცებას ვერ დაფარავდა. მასაც შავი კაბა ეცვა, მაგრამ ისე ლამაზად გამოჭრილი და შეკერილი, რომ მისი დის კაბა მასთან შედარებით მართლაც რომ მეტისმეტად სადა მოგეჩვენებოდათ.

დები სხვადასხვანაირად წააგავდნენ დედას. გამხდარსა და ფერმკრთალ უფროს ქალიშვილს მისის რიდივით მოყვითალო თვალები ჰქონდა, ხოლო უმცროსს, ყვავილივით ახლადგაშლილ ხორცსავსე ჯორჯიანას კი დედის ყბისა და ნიკაპის მოყვანილობა გამოჰყოლოდა; რასაკვირველია, ცოტა უფრო უკეთესი, მაგრამ ამ ჯანმრთელსა და მგრძნობიარე სახის ნაკვთებზე ენით აღუწერელი უგულობის ნიშნებს მაინც შენიშნავდით.

შევედი თუ არა, ჩემ შესახვედრად ორივე ქალიშვილი ფეხზე წამოდგა. საუბარში ორივე «მის ეარს» მიწოდებდა. ელიზას შეხვედრა მოკლე, უცაბედად წარმოთქმული სიტყვებით ამოიწურა; სახეზე ღიმილის ნატამალიც არ შემინიშნავს; მერე კვლავ დაჯდა; თვალები ცეცხლს მიაპყრო და თითქმის გადავავიწყდი კიდეც. ჯორჯიანამ კი პირველ მოკითხვას საზოგადო საუბარში მიღებული რამდენიმე სიტყვაც დაუმატა: მეკითხებოდა მგზავრობის და

ამინდის შესახებ, თუმცა გაბმითა და უგულოდ. ამასთანავე, თავიდან ფეხებამდე მზომავდა მრავალმეტყველი გვერდული მზერით. ხან ჩემ ყავისფერ მერინოსის მოსასხამის ნაკეცებს შეავლებდა ხოლმე თვალს, ხან კი სამგზავრო, სრულიად უბრალოდ მორთულ ქუდს. ახალგაზრდა ქალებს აქვთ უნარი სიტყვების დაუხმარებლად მიგახვედრონ, რომ თავიანთი დაცინვის საგნად მიაჩნიხართ. ამას ისინი რაღაც განსაკუთრებული ქედმაღლური გამომეტყველებითა და ცივი დამოკიდებულებით ახერხებენ. დაუდევარი ტონით კი უფრო ნათლად გამოხატავენ თავიანთ გრძნობას ამა თუ იმ შემთხვევაში და, ამასთანავე, თავს არიდებენ ტლანქ, ულამაზო სიტყვებსა და საქციელს.

დაცინვას, ეს ფარული იყო თუ პირდაპირი, აღარ ჰქონდა ჩემზე ის გავლენა, რომელიც ოდესღაც მეუფლებოდა ხოლმე. ახლა, როდესაც ჩემს ბიძაშვილებს შორის ვიჯექი, მაოცებდა კიდეც ის გარემოება, რომ ასე თავისუფლად ვგრძნობდი თავს. არაფრად მიმაჩნდა ერთი მათგანის სრული უყურადღებობა და მეორისაგან კი ნახევრად ცინიკური მქირდავი ტონი. ელიზას საქციელის გამო გული არ მტკიოდა და ვერც ჯორჯიანას დამცინავი კილო მირღვევდა სიმშვიდეს. საქმე იმაში გახლდათ, რომ მე ამ დროს სულ სხვა ამბით ვიყავი გატაცებული. ამ უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში გრძნობები ისეთი ძლიერი ძალით აღიგზნენ ჩემს გულში, რომ სხვა რაიმე გულისგამგმირავსა თუ მტანჯველ გრძნობას, სიხარულსა თუ ნაღველს აღარ შეეძლო რაიმე კვალი დაემჩნია ჩემს გულზე. ამიტომ ელიზა და ჯორჯიანა რიდების საქციელს აღარ შეეძლო გამოეწვია ჩემში არც კეთილი და არც ბოროტი ზრახვანი.

_ როგორ არის მისის რიდი? _ ვიკითხე მე, თან მშვიდად ვაკვირდებოდი ჯორჯიანას, რომელმაც სავალდებულოდ ცნო ამპარტავნულად აებზიკა ცხვირი ამ პირდაპირი შეკითხვის გამო, თითქოსდა ჩემი თავისათვის რაღაც მოულოდნელი თავისუფლება მიმენიჭებინოს.

_ მისის რიდი? აჰ! დედაზე მეკითხებით? ის ძალიან სუსტად გრძნობს თავს.

_ თუ ახლავე ახვალთ მაღლა და ეტყვით, რომ მე უკვე ჩამოვედი, ძალიან დიდად დამავალებთ, _ ვუთხარი მე.

ჯორჯიანა თითქმის წამოხტა ადგილიდან და ცისფერი თვალები განცვიფრებისაგან ფართოდ გააღო.

_ ვიცი, მისის რიდს ძალიან სურს ჩემი ნახვა, _ დავუმატე მე. _ არ მინდა დავაყოვნო მისი სურვილის შესრულება, მით უფრო, რომ ეს აუცილებელიც ყოფილა.

_ დედას ეჯავრება, როცა საღამოობით აწუხებენ, _ შენიშნა ელიზამ. მაშინვე წამოვდექი. მშვიდად გავიხადე ხელთათმანები, მოვიხადე ქუდი და, თუმცა არავის დავუპატიჟებივარ, განვაცხადე:

_ მაშინ ბესის ვნახავ, ის ალბათ სამზარეულოშია და ვთხოვ შეიტყოს, აქვს თუ არა მისის რიდს განწყობა ამ საღამოსვე ვინახულო.

გავედი. ბესი ვიპოვე და დავალების შესასრულებლად გავგზავნე. წინათ ჩვეულებად მქონდა უკან დამეხია ისეთი ქედმაღლობის წინაშე, როგორიც დღეს შემხვდა. რასაკვირველია, ასე მოვიქცეოდი თუნდაც ერთი წლის წინათ. გეიტსჰედჰოლს მეორე დღეს, დილითვე დავტოვებდი, მაგრამ ეს გზა მოჭრილი მქონდა. ეს მხოლოდ სისულელედ მიმაჩნდა ახლა. ასი მილი გამოვიარე მისის რიდის სანახავად და კიდეც უნდა დავრჩენილიყავი მასთან, სანამ ან ცოტა უკეთესობას იგრძნობდა, ან, უარეს შემთხვევაში, სულს არ განუტევებდა; რაც შეეხება მისი ქალიშვილების სიამაყესა თუ უგუნურებას, ამისათვის ყურადღება არ უნდა მიმექცია, უმჯობესი იყო სრული დამოუკიდებლობა გამომეჩინა და არაფრად ჩამეთვალა მათი საქციელი; ასე რომ, მაშინვე მნეს მივმართე და ვთხოვე ოთახი ეჩვენებინა, სადაც შემეძლო ღამით მომესვენა; ამასთანავე, განვუცხადე, რომ შესაძლებელი იყო ერთ ან ორ კვირას დავრჩენილიყავ მათთან სტუმრად, რათა თადარიგი დაეჭირა; მერე კი ვთხოვე ჩემოდანი ჩემთვის განკუთვნილ ოთახში აეტანათ და მეც იქით გავეშურე; კიბის თავში ბესი შემოგვხვდა.

_ მისის რიდს ღვიძავს, _ მითხრა მან, _ მე უკვე ვუთხარი, რომ ჩამოხვედით. მოდი, შევიდეთ, იქნებ, გიცნოთ.

არ მჭირდებოდა ვინმეს გაყოლა ჩემთვის იმ კარგად ნაცნობი ოთახის მისაგნებად, სადაც ბავშვობაში ასე ხშირად გამომიძახებდნენ ხოლმე დასასჯელად ან საყვედურის გამოსაცხადებლად. ავჩქარდი, ბესის წინ გავუსწარი და ფრთხილად გავაღე კარები. ბნელდებოდა. მაგიდაზე შუქფარიანი ლამპა შევნიშნე. დავინახე ისევ ის უზარმაზარი ოქროსფერი ფარდებით მორთული საწოლი, რომელიც ბავშვობიდანვე მახსოვდა. თავის ადგილზევე იდგა ტუალეტის მაგიდა, სავარძელი და ფეხის მოსასვენებელი დაბალი სკამი. ამ სკამზე ხომ ერთი ასჯერ მაინც დავუჩოქებივარ, რომ ბოდიში მომეხადა იმ დანაშაულობათა გამო, რომელიც არასოდეს ჩამიდენია. იმ კუთხისაკენ გავიხედე და ველოდი კიდეც იმ წვრილი წკეპლის ჩრდილი შემენიშნა, რომელიც ერთ დროს შიშით მზარავდა. ის თითქოს ჩასაფრებული იცდიდა და ეშმაკისეული სიმარდით გადმოხტებოდა ხოლმე, რომ ჩემი აცახცახებული ხელისგული, ან შიშით მთლად მოკრუნჩხული კისერი აეჭრელებინა. საწოლს მივუახლოვდი; ფარდები გადავწიე და ხორად დადგმული ბალიშებისაკენ დავიხარე.

ძალიან კარგად მახსოვდა მისის რიდის გარეგნობა და მოუთმენლად ვეძებდი ნაცნობი სახის ხილვას. დიდი ბედნიერებაა, რომ დრო ახშობს შურისძიების სურვილს და აყუჩებს წყრომით სავსე გულის კარნახს. ეს ქალი სიძულვილით აღსავსემ და მძიმე განსაცდელით გამწარებულმა დავტოვე, ახლა კი მასთან დავბრუნდი მისადმი მხოლოდ სიბრალულის გრძნობით გამსჭვალული. მისი განუზომელი ტანჯვა-წამების მნახველს წრფელი სურვილი მამოქმედებდა დამევიწყებინა და მეპატიებინა ყველა შეურაცხყოფა და წყენა. მსურდა, კვლავ შევრიგებოდი და მეგობრულად შემეთავაზებინა ჩემი ხელი.

აი, ეს ჩემთვის კარგად ნაცნობი სახეც, ისეთივე მკაცრი და ულმობელი, როგორიც ოდესმე მინახავს. აი, ის უცნაური თვალებიც, რომლებშიაც სითბოს ნატამალი არ შეინიშნება. მისი ოდნავ მაღლა აზიდული, მბრძანებლური, მტარვალური იერით გამომზირალი წარბები... ვინ იცის, რამდენჯერ შეჭმუხნილან ისინი ჩემ მიმართ მუქარითა და სიძულვილით აღსავსენი. როდესაც მათ უსიამოვნო მოყვანილობას ვაკვირდებოდი, ჩემს სულში სწრაფად იღვიძებდა ბავშვობის დროინდელი მოგონებები, შიში და ნაღველი. მაინც დავიხარე და ვემთხვიე ამ ქალს. მან შემომხედა.

_ ეს ჯეინ ეარია? _ იკითხა მან.

_ დიახ, მისის რიდ. როგორ ბრძანდებით, ძვირფასო ძალუავ?

ოდესღაც დავიფიცე, რომ მას არასოდეს არ დავუძახებდი ძალუას, მაგრამ ცოდვად არ ჩამეთვლება, დავივიწყო და დავარღვიო ეს ფიცი ახლა. ჩემი თითები სწრაფად ეხება მის ხელს, რომელიც ზეწარზე უდევს. მის ხელს ოდნავი ალერსიც რომ ეგრძნობინებინა, ნამდვილ სიხარულს განვიცდიდი, ალბათ, მაგრამ ასეთ უგრძნობელ არსებებს ასე ადვილად ვერაფერი აუჩუყებთ გულს. არც ძვალ-რბილში გამჯდარი ბუნებრივი სიძულვილის აღმოფხვრა ძალუძს რაიმეს. მისის რიდმა ხელი უკან წაიღო და სახეც ამარიდა. მერე კი ჩაილაპარაკა: რა თბილი ამინდიაო. კვლავ ისე ცივად დამაცქერდა, მაშინვე მივხვდი, არც აზრი და არც გრძნობა ჩემ მიმართ არ შეცვლოდა და არც შეეცვლებოდა. მისმა ქვასავით ცივმა თვალებმა, რომლებმაც არც ცრემლი იცოდნენ და არც სიბრალული, მიმახვედრეს, ღრმად სწამდა, რომ ჩემგან მხოლოდ ცუდი ადამიანი გამოვიდოდა: თუნდაც ჩემ სიკარგეში დარწმუნებულიყო, ვიცოდი, ეს მას არამცთუ წრფელ სიხარულს მოუტანდა, ძალიან დიდ წყენასაც აგრძნობინებდა.

გულში უჩვეულო ტკივილი ვიგრძენი. შემდეგ კი საშინელი აღშფოთება დამეუფლა, მაგრამ მალევე გადავწყვიტე, მისის რიდს არ დავმორჩილებოდი. მე უნდა გავმხდარიყავი როგორც მისი შინაგანი ბუნების, ისე მისი სურვილების მბრძანებელი. ცრემლი მომაწვა, როგორც ბავშვობაში მჩვეოდა, მაგრამ თავი შევიკავე. სკამი მივიტანე; საწოლის თავთან დავდგი; დავჯექი და მისკენ გადავიხარე, ბალიშთან სულ ახლოს.

_ თქვენ გამოგზავნეთ კაცი ჩემ ჩამოსაყვანად, არა? _ ვკითხე მე. _ აი, მეც აქა ვარ უკვე. მინდა მანამდე დავრჩე, სანამ კარგად გახდებით.

_ ოჰ, რა თქმა უნდა! ჩემი ქალიშვილები უკვე ნახეთ, ალბათ?

_ დიახ.

_ კეთილი, შეგიძლიათ გადასცეთ მათ, რომ მინდა მანამ დარჩეთ, სანამ შევძლებ და გეტყვით ყველაფერს, რაც ჩემს სულს აფორიაქებს. ამაღამ უკვე გვიან არის, ძალიან მიმძიმს ყველაფრის გახსენება, მაგრამ რაღაც მაინც მინდა გითხრათ, დამენახვეთ!

მისმა დაბნეულმა და შეცვლილმა გამომეტყველებამ მამცნო, რა დიდი ქარტეხილი გადაევლო მის ერთ დროს ძლიერ ორგანიზმს. მოუსვენრად ტრიალებდა; ბოლოს ჩემკენ შემობრუნდა და გარშემო ლოგინის თეთრეული

შეისწორა. იდაყვით მისი საბნის ერთ ნაწილს ვეყრდნობოდი, ალბათ დაბლა ვწევდი, რადგან მაშინვე გაჯავრდა:

_ გასწორდით! _ მითხრა მან. _ ნუ მაღიზიანებთ თქვენი უხერხული ჯდომით. ვერ გრძნობთ, რომ საბანს იჭერთ? თქვენ ჯეინ ეარი ხართ?

_ დიახ, ჯეინ ეარი გახლავართ.

_ განა ვინმე დამიჯერებს, რაოდენი ტანჯვა გადამხდომია ამ ბავშვის გულისათვის. ეს რა ტვირთი შემატოვეს ხელში, რაოდენ აღშფოთებას ვიტანდი ყოველდღე და ყოველ საათს მისგან, მისი უმსგავსი საქციელით, უცაბედი სიანჩხლით და დაუსრულებელი არაადამიანური თვალთვალით ყოველ ნაბიჯზე. სრულიად თავისუფლად შემიძლია განვაცხადო, რომ ერთხელ ისე მელაპარაკა, როგორც ნამდვილი გიჟი; თითქოს ეშმა ჩასახლებოდა სხეულში. ამქვეყნად, ალბათ, არც ერთ ბავშვს ასე არც ულაპარაკნია და არც ისეთი გამომეტყველება ჰქონია სახეზე, როგორიც მას ჰქონდა მაშინ. ძალიან გამიხარდა, რომ თავიდან მოვიშორე. რა დაემართა მას ლოვუდში? როგორც შევიტყვე, იქ ტიფი მძვინვარებდა ერთხანს და მრავალი მოწაფე იმსხვერპლა. ჯეინი როგორღაც გადაურჩა ავადმყოფობას, არ მომკვდარა, მაგრამ მე განვაცხადე, რომ ის გარდაიცვალა-მეთქი. მინდოდა ასე მომხდარიყო და იმიტომ!

_ უცნაური სურვილია, მისის რიდ, რატომ გეჯავრებათ თქვენ ის ასე ძალიან?

_ მისი დედაც მძულდა ყოველთვის, ის ხომ ჩემი მეუღლის ერთადერთი და იყო და მასაც თავდავიწყებით უყვარდა. მახსოვს, როგორი თავგამოდებით იცავდა და რაოდენ წინააღმდეგობას უწევდა ოჯახს, როდესაც მათ დაგმეს ამ ქალის საქციელი, თუმცა კანონიერი ქორწინების გამო. მისი სიკვდილის ამბავმა კი იმდენად იმოქმედა მასზე, რომ მიამიტი ბალღივით ქვითინებდა. შემდეგ ბავშვის მოსაყვანად გაგზავნა კაცი, თუმცა დაჟინებით ვთხოვდი, ბავშვი ძიძისთვის დაგვეტოვებინა და შესანახი თანხა გადაგვეხადა. დავინახე თუ არა ბავშვი, მაშინვე შემძულდა. ავადმყოფურად მტირალა არსება მთელი ღამე გაუთავებლად ჩხაოდა აკვანში. არასოდეს სხვა ჯანმრთელი ბავშვივით არ ტიროდა. აუცილებლად ღნაოდა და კვნესოდა. რიდს ებრალებოდა ის. ისე უვლიდა და იმდენ მზრუნველობას იჩენდა, თითქოს საკუთარი ყოფილიყო, მგონი, უფრო მეტადაც, საკუთარ შვილებს ოდნავ თუ აქცევდა ყურადღებას ამ ასაკში: გამუდმებით ცდილობდა, მის საკუთარ შვილებს გულით შეეყვარებინათ ეს პაწაწინა მათხოვარი, მაგრამ ჩემი პატარები თვალით დასანახავადაც ვერ იტანდნენ. ის კი ბავშვებს უწყრებოდა, რადგან ისინი სიძულვილს ვერ ფარავდნენ. როდესაც საბოლოოდ ლოგინში ჩავარდა, გამუდმებით მოითხოვდა, ბავშვი მასთან მიეყვანათ. ხოლო სიკვდილამდე ერთი საათით ადრე ფიცი დამადებინა, რომ ბავშვი შემენახა. განა ჩემთვის სულ ერთი არ იყო ამ ბავშვისა, თუ სამოწყალო სახლიდან გამოყვანილი მაწანწალას აღზრდას დამავალებდნენ? მაგრამ მისტერ რიდი ბუნებით სუსტი ნებისყოფის ადამიანი იყო. მოხარული ვარ, რომ ჯონი არა ჰგავს თავის მამას.

ის მე და ჩემს ძმებს გვგავს ხასიათით, ნამდვილი გიბსონია! ძალიან მინდა შეწყვიტოს ჩემი წამება და წერილებით ფულის თხოვნა. მეტი ფული აღარა მაქვს, რომ ვაძლიო, თანდათან ვღარიბდებით. ნახევარზე მეტი მსახურები უნდა დავითხოვო და სახლის ერთი ნახევარი გამოვკეტო ან გავაქირაო. მაგრამ ამას ხომ ვერასოდეს ჩავიდენ, მაშ, როგორ უნდა ვიცხოვროთ? ჩემი შემოსავლის ორი მესამედი კრედიტორების სასარგებლოდ იხარჯება. ჯონი მეტად აზარტულად თამაშობს და ყოველთვის აგებს. საცოდავი ბიჭი! ის გაიძვერებითაა გარშემორტყმული. ჯონი ჩავარდა. ოჰ, როგორ დააბეჩავეს და მიწასთან გაასწორეს! გამომეტყველება საშიშარი გაუხდა. მე მრცხვენია მის მაგიერ, როდესაც ვნახულობ.

_ ის თანდათან უფრო ღელავს, უმჯობესია, დავტოვოთ ახლა, _ მივმართე ბესის, რომელიც საწოლის მეორე მხარეს იდგა.

_ შესაძლებელია, უმჯობესი იყოს, მის. ის საღამოობით ყოველთვის ასე ბევრს ლაპარაკობს, დილით კი უფრო დამშვიდებულია.

წამოვდექი.

_ შეჩერდი! _ წამოიძახა მისის რიდმა. _ კიდევ მინდოდა სხვა რამის თქმაც. ის მემუქრება, დაუსრულებლად მემუქრება, ან თავს მოიკლავს, ან მე მომკლავს. ხანდახან სიზმარში ვხედავ, ყელში დიდი ჭრილობა აქვს და დაბლა გდია. ხან კი მისი შეშუპებული და გაშავებული სახე მელანდება. რაღაც განსაცდელი მელის, მძიმე მოვალეობა მაკისრია. რა ვქნა? როგორ ვიშოვო ფული?

ბესი ბევრს ეცადა, როგორმე დაერწმუნებინა მისის რიდი, რომ ნერვების დასამშვიდებელი წვეთები მიეღო. წამალი დალია თუ არა, ოდნავ დამშვიდდა; თვლემა დაიწყო და მეც იქაურობა დავტოვე.

ათ დღეზე მეტმა გასტანა, სანამ კვლავ გაიმართებოდა საუბარი ჩვენ შორის. ამ ხნის მანძილზე მისის რიდი ხან ბოდავდა და ხან ლეთარგიულ ძილს ეძლეოდა. ექიმმაც მკაცრად აკრძალა ყოველივე, რასაც შეეძლო მისი ნერვიული აფორიაქება გამოეწვია. ამასობაში მე როგორღაც შევეთვისე ჯორჯიანასა და ელიზას, თუმცა პირველად ისინი ძალიან ცივად შემხვდნენ. ელიზა შუადღემდე ან კერვით იყო გართული, ან კითხულობდა. ხანდახან რაღაცას წერდა კიდეც. ძლივს თუ გამოიმეტებდა ერთ ან ორ სიტყვას ჩემსა და ჯორჯიანას მისამართით. ჯორჯიანა კი საათობით მხოლოდ თავის იადონზე ყვებოდა სულელურ ამბებს და ყურადღებას სრულებით არ მაქცევდა. გადავწყვიტე, არ დავბნეულიყავი, სამუშაოც გამეჩინა და გასართობიც. თან ჩამოვიტანე სახატავი ალბომი, ყველა საჭირო ხელსაწყო და ორივე ძალიან გამომადგა.

ფანქრებითა და რამდენიმე ცალი სახატავი ფურცლით ხელში ვიჯექი მათგან მოშორებით, სარკმელთან და წამიერად ოცნებაში წარმოდგენილ სურათებს ვხატავდი. ისინი ჩემი გონების კალეიდოსკოპში[79] სწრაფად იქმნებოდნენ და ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. უცებ წარმომესახებოდა ორ კლდეს შუა მომწყვდეული ზღვის ყურე, ამომავალი მთვარე, რომლის ნათელ

დისკოს გემი შუაზე ჭრის, შამბნარად ქცეული ლერწმისა და წყლის შროშანები, რომელთა შორის ლოტოსის ყვავილებით შემკულ ნაიადს[80] თავი წამოუყვია. ან კიდევ წყლის ფერია, რომელიც ბეღურას ბუდის ნაპირზე ჩამომჯდარა აყვავებული კუნელის ტოტებქვეშ.

ერთ დილას გადავწყვიტე ადამიანის სახე დამეხატა, მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო ის, ჯერ კიდევ არ ვიცოდი და არც ვზრუნავდი ამაზე. ავიღე შავი, რბილი ფანქარი, ფართოდ წავუთალე წვერი და მუშაობა დავიწყე. მალე ქაღალდზე მოვხაზე ფართო, წინწამოწეული შუბლი, სახის ქვემო ნაკვთთა კუთხოვანი მოყვანილობა. სახის გარეგნულმა იერმა სიამოვნება მაგრძნობინა. თითები ენერგიულად ამოძრავდნენ, რომ ყოველი ნაკვთი სრულყოფილი გამოეყვანათ, შუბლის ქვეშ უნდა დამეხატა: შავი და გრძელი წარბები, ფართო ნესტოების გამყოფი, კარგად გამოკვეთილი სწორი ცხვირის ძვალი, მეტყველი და ხორცსხმული ბაგე, ძლიერებისა და შეუდრეკელობის გამომხატველი ნიკაპი, რომელსაც, სწორედ შუა ადგილას მკვეთრად ემჩნეოდა გამყოფი ღარი, შავი ულვაშები და ყორნის ფრთისფერი თმა, ოდნავ ხვეული საფეთქლებთან და ტალღისებურად წყობილ შუბლს ზემოთ. რაც შეეხება თვალებს, გადავწყვიტე, ისინი ბოლოს დამეხატა. თვალები ჩემგან ყველაზე ფრთხილ მუშაობას მოითხოვდნენ. დავხატე დიდი თვალები ლამაზი ჭრილით. წამწამები გრძელი და მუქი. თვალის გუგები კი ფართო და მოციმციმე, «კარგი! მაგრამ ეს ის არ არის, რაც განზრახული მქონდა!», გავიფიქრე ჩემთვის, როდესაც დამკვირვებლის თვალით შევამოწმე, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენდა სურათი. ამ თვალებს მეტი ძალა და მეტყველება სჭირდებოდათ, ჩრდილები ჩავამუქე, რათა ბრწყინვალება მომატებოდათ. ორი-სამი მოსაზ-რებული შტრიხიც და ჭეშმარიტი გამარჯვება მხვდა წილად. ახლა ჩემ თვალთა წინ ნაცნობი მეგობრის სახე გამოჩნდა. ამიერიდან რას უნდა ნიშნავდეს, თუნდაც ამ ახალგაზრდა ქალბატონებმა პირი იბრუნონ ჩემგან? სურათს დავყურებდი და, აღუწერელი მსგავსების გამო, ვიღიმებოდი. მისმა მზერამ მთლად შთანმთქა და დიდი კმაყოფილებაც მომანიჭა.

_ ეს ვინმე თქვენი ნაცნობი ადამიანის სურათია? _ შემეკითხა ელიზა, რომელიც სრულიად შეუმჩნევლად მოსულიყო ჩემთან ახლოს. მე კი ვუპასუხე, რომ მხოლოდ ჩემი ოცნებით წარმოდგენილი სახეა-მეთქი და ავჩქარდი, როგორმე სხვა ფურცლებს ქვემოთ შემემალა. რასაკვირველია, ვიცრუე. სინამდვილეში, ის ხომ მისტერ როჩესტერის სურათი იყო, მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას ან მისთვის, ან ვინმე სხვისთვის, გარდა ჩემი საკუთარი თავისა? ჯორჯიანაც მოგვიახლოვდა და დააცქერდა. სხვა სურათებს ის აღტაცებაში მოჰყავდა, მაგრამ ამ სურათს «გონჯი მამაკაცი» უწოდა. ორივე განცვიფრებულნი იყვნენ ჩემი უნარით. მე ჩემი მხრივ შევთავაზე, თუ ნებას დამრთავდნენ, მათ სურათებსაც დავხატავდი. მართლაც, ისინი რიგრიგობით ისხდნენ, რომ ფანქრით კონტურები მომეხაზა. ჯორჯიანამ თავისი ალბომი შემომთავაზა, მეც დავპირდი, რომ წყლის საღებავებით შევუსრულებდი რაიმეს. ამან ის კარგ გუნებაზე დააყენა და მთხოვა ბაღში გაგვესეირნა. ორ

საათსაც არ გაუვლია, რომ ჩვენ შორის უკვე მეტისმეტად გულწრფელი საუბარი გაიმართა: ჯორჯიანა მიყვებოდა იმ შესანიშნავ ზამთარზე, რომელიც ორი წლის წინათ ლონდონში გაეტარებინა, იმ საერთო აღტაცებაზე, რაც მის იქ ყოფნას გამოეწვია და იმ დიდ ყურადღებაზე, რომელიც იქ მიეღო. სიტყვაგადაკვრით მელაპარაკა, აგრეთვე, ვიღაც მაღალი წოდების პირთან დამოკიდებულების შესახებ. ხოლო ნაშუადღევს და საღამოხანს ეს გადაკრული სიტყვები უფრო ნათელი გახდა. ნაზად, ნაირფერი ფორმის საუბრითა და სანტიმენტალური სცენებით გადმოსცემდა ამბებს. ერთი სიტყვით, იმ დღეს მოვისმინე ვრცელი რომანი მაღალი საზოგადოების ცხოვრებიდან. მისი აღსარება ყოველდღიურად იცვლებოდა და ახლდებოდა, მაგრამ საუბარი მუდამ ერთ თემას შეეხებოდა: საკუთრად მას, მის სიყვარულს და მისსავე მწუხარებას. რასაკვირველია, არასოდეს არ იხსენებდა დედის ავადმყოფობას ან ძმის სიკვდილს, არც ოჯახის მძიმე მდგომარეობას ითვალისწინებდა, რაც მომავალში მოელოდათ. ჩანდა, მისი სული მთლიანად შთაენთქა მოგონებებს, წარსულ ბედნიერებასა და სიხარულს; ახლა კი ბედნიერი მომავლის მოახლოებაზე ოცნებობდა. ის ყოველდღე მხოლოდ ხუთი წუთით შედიოდა ავადმყოფი დედის ოთახში, ეს იყო და ეს.

ელიზა ძველებურად სიტყვაძვირობდა. ცხადად ჩანდა, დრო არ რჩებოდა სალაპარაკოდ. ჩემ სიცოცხლეში არ მინახავს მასზე უფრო მოუცლელი ადამიანი, თუმცა ძნელია გითხრათ, სახელდობრ მაინც რას აკეთებდა. ნეტავი ერთხელ მაინც მენახა ამ გულმოდგინე შრომის შედეგი! დილით ადრე მაღვიძარას ხმაზე დგებოდა, არ ვიცი, საუზმემდე რას საქმიანობდა, მაგრამ მის შემდეგ ყოველი წუთი უკვე ზუსტად ჰქონდა განაწილებული. თითოეული საათი თავის გარკვეულ ამოცანას შეიცავდა. დღეში სამჯერ ის სწავლობდა რაღაცას ერთი პატარა წიგნიდან; როგორც დათვალიერების შემდეგ აღმოვაჩინე, ეს იყო ჩვეულებრივი ლოცვების წიგნი. მახსოვს, ერთხელ ვკითხე კიდეც: რა უფრო იტაცებდა ამ წიგნში და პასუხად მივიღე: სათაურები და მითითებანი ღვთისმსახურების ზოგიერთი წესების შესახებო. დღეში სამ საათს ოქროსფერი ძაფის ფოჩების შემოვლებას უნდებოდა მეწამული ქსოვილის კიდეებზე, რომელიც იმდენად დიდი იყო, რომ ხალიჩად გამოდგებოდა. ჩემ შეკითხვაზე, თუ რაში უნდა გამოეყენებინა, მიპასუხა, რომ ის გეიტსჰედის ახლოს ახლად აშენებულ ეკლესიაში საკურთხევლის გადასაფარებელ სუფრად უნდოდა. ორი საათის განმავლობაში დღიურს წერდა; შემდეგ ორ საათს ბოსტანში მუშაობდა; ერთი საათი კი საშემოსავლო ანგარიშს აწესრიგებდა. დარწმუნებული ვიყავი, თავს ბედნიერად გრძნობდა. დროის ასეთი განაწილება მას აკმაყოფილებდა და არც არაფერს შეეძლო გაეღიზიანებინა ისე, როგორც ისეთ შემთხვევას, რაც აიძულებდა და ასე განაწილებულ დროს შეაცვლევინებდა.

ერთ საღამოს ელიზა ჩვეულებრივზე მეტად კეთილგანწყობილი იყო ჩემ მიმართ და მითხრა, რომ ჯონის საქციელსა და ოჯახის დაღუპვის მომავალ საშიშროებას ძალიან დიდი გავლენა მოეხდინა მასზე.

_ ახლა, _ დასძინა მან, _ ყველაფერს ანალიზი გავუკეთე და გადაწყვეტილებაც მიღებულია.

მას უკვე დიდი ხანია ეზრუნა საკუთარი ქონების შენახვაზე.

_ და როდესაც დედა გარდაიცვლება, წარმოუდგენელია, მან კიდევ იცოცხლოს ან გამოკეთდეს... _ სრულიად მშვიდად წარმოთქვა მან ეს სიტყვები. ის განახორციელებს თავისი დიდი ხნის გულის წადილს; მოძებნის მშვიდსა და განმარტოებულ თავშესაფარს, სადაც საღვთო წესების მუდმივი და ზუსტი დაცვით შეძლებს ყველა ამქვეყნიური შფოთვა თავიდან აირიდოს და გარდაუვალი ზღვარი დადოს მასა და ამ ფუქსავატ სამყაროს შორის.

ვკითხე, ჯორჯიანაც თუ აპირებდა მასთან ერთად წასვლას.

_ რასაკვირველია, არა.

ჯორჯიანას და მას არაფერი ჰქონდათ საერთო და არც არასოდეს ჰქონოდათ; არავითარ ძალას არ შეეძლო დაერწმუნებინა, რომ თავისი დის სახით ასე მძიმე ტვირთის ზურგზე წამოკიდება ეკისრა. ჯორჯიანას თავისი გზა ჰქონდა, მას _ ელიზას, თავისი.

ჯორჯიანა დროის უმეტეს ნაწილს დივანზე წამოწოლილი ატარებდა, თუ თავის გულის ზრახვებს არ მიზიარებდა. მას აწუხებდა ამ სახლის მუდმივი მდუმარება და მოწყენილობა. მხოლოდ იმაზეღა ოცნებობდა, რომ ძალუა გიბსონს ხშირ-ხშირად გამოეგზავნა მიწვევის ბარათები ქალაქიდან.

_ რამდენად კარგი იქნება ჩემთვის, _ ამბობდა ის ხშირად: _ ერთი ან ორი თვით გამგზავრება, სანამ ყველაფერი დამთავრდებოდეს.

არ მიკითხავს, რას გულისხმობდა ამ სიტყვებით, _ ყველაფრის დამთავრება, _ მაგრამ, ვფიქრობ, ის უთუოდ მისი დედის მოსალოდნელ სიკვდილსა და დასაფლავების მოსაწყენ ცერემონიალს გულისხმობდა. ელიზა, ჩვეულებრივ, ყურადღებას აღარ აქცევდა დის უსაქმურობასა და გულის გამაწვრილებელ ჩივილს, თითქოს ეს მობუზღუნე, უქმად დროის მატარებელი არსება მის თვალწინ არ ყოფილიყო. ერთ დღეს გადადო თუ არა საშემოსავლო წიგნი და გაშალა თავისი საქარგავი, ასეთი სიტყვებით მიმართა ჯორჯიანას:

_ ჯორჯიანა! ჯერ დედამიწის ზურგი არ დაუმძიმებია შენზე უფრო დიდების მოყვარულსა და მაცდურ პირუტყვს. შენ უფლება არა გქონდა გაჩენილიყავი. ამ ქვეყნისათვის შენ მხოლოდ ზედმეტი ბარგი ხარ. იმის მაგიერ, რომ იცხოვრო ამქვეყნად, შენ ქერქში დაეტიო და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეს, როგორც ეს, ჩვეულებრივ, გონიერ არსთა წესია, ეძიებ შენი სისუსტე და უღონობა სხვა ვინმე ძლიერს მოახვიო თავზე. და თუ ვერავის იპოვი გიკისროს ტვირთად, ასეთი მძიმე, დონდლო, უხერხემლო და სრულიად გამოუყენებელი ნივთი, მაშინ მოჰყვები ტირილს, რომ ცუდად გეპყრობიან, მიგატოვეს და გაგაუბედურეს. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ასე გგონია, არსებობა განცდების განუწყვეტელი ცვლა უნდა იყოს შენთვის. თუ არადა, ეს ქვეყანა მიწისქვეშ საპყრობილედ მიგაჩნია. შენ უნდა გეთაყვანებოდნენ, გეალერსებოდნენ, სიყვარულს გიხსნიდნენ და მლიქვნელობდნენ შენ წინაშე. შენ ირგვლივ თავს უნდა იყრიდეს

საზოგადოება. შენთვის აუცილებელია მუსიკა, ცეკვა, ხოლო თუ ეს ყველაფერი არა გაქვს, გულის გამაწვრილებელ წუწუნს იწყებ, სასოწარკვეთილებას ეძლევი და აქეთ-იქით აწყდები. ნუთუ მეტი მოსაზრების უნარი არ გაგაჩნია ისე მოაწყო შენი ცხოვრება, რომ დამოუკიდებელი იყო. სხვის სურვილებსა და მიზნებს არ დაექვემდებარო და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეს. თუნდაც ერთი დღე აიღე და ისე გაანაწილე, რომ დღის თითოეული მონაკვეთი რაიმე გარკვეულ ამოცანას შეიცავდეს. უსაქმოდ ნუ გაატარებ თუნდაც ერთ წუთს. გამოიყენე ყოველი წამი. ყველა საქმიანობას თავისი დრო მიუჩინე; დადგენილ წესს არ გადაუხვიო, თუ ყველაფერ ამას მკაცრი სიზუსტით დაიცავ, დღე ისე დამთავრდება, ვერც კი შეიტყობ, როდის დაიწყო. მაშინ არავის წინაშე მოვალე არ იქნები. არც დაუცდი დახმარება გაგიწიონ, რომ როგორმე თავიდან უსაქმო წუთები აიცილო, არც საზოგადოება დაგჭირდება, არც საუბარი, არც თანაგრძნობა და არც მხარდაჭერა. ერთი სიტყვით, იცხოვრებ ისე, როგორც უნდა ეცხოვრა რომელიმე დამოუკიდებელ არსებას ამქვეყნად. მიიღე ეს რჩევა: პირველად და უკანასკნელად გირჩევ, რაც არ უნდა მოხდეს, არც მე დაგჭირდები და არც სხვა. თავი ანებე ყოველივე ძველს, მაგრამ თუ ისევ განაგრძობ სხვადასხვანაირი სურვილების გამომ-ჟღავნებას, წუწუნსა და უქნარობას, შენივე საკუთარი თავქარიანობით გამოწვეული მძიმე განცდებით დაიტანჯე, რაც არ უნდა მძიმე და გაუსაძლისი იყოს იგი, სრულიად აშკარად გიცხადებ და ყური მიგდე: არასოდეს არ გავიმეორებ იმას, რის თქმასაც ახლა ვაპირებ, მაგრამ ამისდა მიხედვით მტკიცედ ვიმოქმედებ. დედაჩემის სიკვდილის შემდეგ მე ხელს ვიღებ შენზე. სწორედ იმ დღიდან, როდესაც გეიტსჰედის ეკლესიის აკლდამაში შევასვენებთ მის კუბოს, ჩვენ ისე განვშორდებით ერთიმეორეს, თითქოს არასოდეს გვცნობოდეს ერთმანეთი. ამასთანავე, გაფრთხილებ: ნუ იფიქრებ, რადგან ერთი დედმამიშვილები ვართ, ოდნავ მაინც შეგიბრალო და მივიღო შენი რაიმე მცირედი თხოვნაც კი. ესეც იცოდე: კაცობრიობაც რომ აღიგავოს დედამიწის პირისაგან და მთელ ქვეყნიერებაზე მხოლოდ მე და შენ, ორნი, გადავრჩეთ, მე შენ იმ ძველ სამყაროში მიგატოვებ და ახლისაკენ გავეშურები.

ის დადუმდა.

_ თავისუფლად შეგეძლო თავიდან აგეცილებინა ის ტანჯვა, რომელიც ამ ტირადის გადმოცემის დროს მოგიხდა. _ უპასუხა ჯორჯიანამ. _ თითქმის ყველასათვის ცნობილია, რომ ამქვეყნად ყველაზე დიდი მეთავისე და უგულო არსება ბრძანდები. კარგად ვიცი, რა საშინელი სიძულვილი გამოქმედებს ჩემ მიმართ. მე უკვე ვიგემე კიდეც შენი ყოვლად უმსგავსი საქციელი, რაც ლორდ ედვინ ვერთან დაკავშირებით გაითამაშე. შენ ვერ აიტან, რომ მე საზო-გადოებაში შენზე მეტად ავმაღლდე, ლორდის ტიტულს მივაღწიო და ისეთი საზოგადოების წევრი გავხდე, სადაც შენ თავი არ გამოგეყოფა. აი, სწორედ ამიტომ ითამაშე ჯაშუშისა და მაბეზღარას როლი და სამუდამოდ დამიხშე მომავლის იმედი. ჯორჯიანამ ცხვირსახოცი ამოიღო და ერთი საათი ცხვირს

იწმენდდა. ელიზა კი იჯდა ყინულივით ცივი, მიუკარებელი და თავისი საქმით გართული.

მართალია, კეთილშობილური გრძნობა ზოგიერთისთვის ძალიან ცოტას ნიშნავს, მაგრამ აქ ორი სხვადასხვა ბუნების ადამიანი იყო: ერთი, განუსაზღვრელი გესლით სავსე, მეორე კი _ აუტანელი ქარაფშუტა. გრძნობა გონების გარეშე მხოლოდ სუსტი, ორჭოლი ქარია, მაგრამ თუ გონება გრძნობით არ არის ნაკარნახევი, მწვავე და მძიმე ხვედრია ადამიანისათვის გადასატანად.

მოსაღამოვდა. ქარი ქროდა და ჰაერში სინესტე იგრძნობოდა. ჯორჯიანას რომანის ჩუმ კითხვაში ჩაეძინა დივანზე. ელიზა კი რომელიღაც წმინდანის პატივსაცემად გამართულ წირვის მოსასმენად წავიდა ახალ ეკლესიაში. რელიგიურ წესებს ის მეტად მტკიცედ იცავდა და, როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, ხელს ვერაფერი შეუშლიდა. ზუსტად ასრულებდა ყოველივეს, რასაც ღვთისმოშიში ადამიანის ვალდებულებად თვლიდა.

ყოველნაირ ამინდში, კვირა დღეს, ის სამჯერ მიდიოდა საყდარში, დანარჩენ დღეებში კი _ მხოლოდ მაშინ, როცა წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა.

გავიფიქრე, ზემო სართულში ავსულიყავი და მენახა მომაკვდავი ქალი, რომელიც თითქმის უპატრონოდ იწვა თავისი თავის ანაბარად მიტოვებული. მსახურებიც ნაკლებ მზრუნველობას იჩენდნენ მის მიმართ. დაქირავებულ მომვლელ ქალს კი, რადგან ზედამხედველობას არავინ უწევდა, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, ცდილობდა, ოთახიდან გამოსულიყო. ბესი თუმცა კვლავ თავდადებული იყო მათთვის, მაგრამ ახლა საკუთარი ოჯახი გააჩნდა და იშვიათადღა მოდიოდა გეიტსჰედჰოლში. როგორც ველოდი, ავადმყოფის ოთახი კვლავ უმეთვალყურეოდ მიეტოვებინათ; მომვლელი ქალი არსად ჩანდა; ავადმყოფი წყნარად იწვა და თითქოს ლეთარგიულ ძილს მისცემოდა; განაწამები სახე ბალიშებში ჰქონდა ჩამალული; ბუხარში ცეცხლი ჩაფერფლილიყო; ნაკვერცხალი გავაღვივე; საწოლზე საბანი შევუსწორე და რამდენიმე ხანს ავადმყოფს დავყურებდი, რომელსაც ჩემი დანახვა არ შეეძლო. შემდეგ კი სარკმლისაკენ გავემართე.

წვიმა ძლიერად შხაპუნობდა სარკმლის მინებზე. ქარი გამძაფრებული ქროდა. _ აი, წევს ადამიანი, _ გავიფიქრე მე, _ რომლისთვისაც მალე უცხო იქნება ამქვეყნიური ჭირ-ვარამი. სად წავა მისი სული, რომელიც ამჟამად იბრძვის განშორდეს ხორცსხმულ სხეულს? ნეტავი საით გაფრინდება საბოლოოდ განთავისუფლებული?

ამ დიდ საიდუმლოებაზე ფიქრში გართულს ელენ ბერნსი გამახსენდა. მომაგონდა მისი უკანასკნელი სიტყვები, მისი რწმენა და საკუთარი მოძღვრება სხეულს განშორებული სულების თანასწორობაზე. ფიქრებში კვლავ ვუსმენდი მის დაუვიწყარ ხმას. ჯერ კიდევ თვალწინ მედგა მისი გაფითრებული შთაგონებით აღსავსე სახე, მისი ნაწამები, მაგრამ დიდებული გამომეტყველება, როდესაც მშვიდად იწვა სასიკვდილო სარეცელზე და

ჩურჩულით ნატრობდა დაბრუნებოდა ღვთაებრივ მამას. ამ ფიქრებში გართულს, ჩემ უკან, საწოლიდან სუსტი ხმა შემომესმა: _ ვინ არის მანდ?

ვიცოდი, მისის რიდს რამდენიმე დღე ხმა არ ამოეღო, ნუთუ გამობრუნდა? მივუახლოვდი.

_ ეს მე ვარ, ძალუა რიდ.

_ ვინ _ მე? _ შემომესმა მისი პასუხი, _ ვინა ხარ? _ გაკვირვებული და შეშფოთებული მაკვირდებოდა ის, თუმცა გამოხედვაში დაბნეულობა აღარ ეტყობოდა. _ თქვენ სრულიად უცხო ხართ ჩემთვის, _ სად არის ბესი?

_ ის თავის ქოხშია, ძალუა.

_ ძალუა! _ გაიმეორა მან. _ ვინ მეძახის ძალუას? თქვენ გიბსონთა ოჯახიდან არ უნდა იყოთ, მაგრამ მაინც გიცნობთ: ეს სახე, ეს თვალები და შუბლი ნამდვილად ნაცნობია ჩემთვის. ჰო, დიახ, თქვენ ჯეინ ეარს ჰგავხართ!

არაფერი აღარ ვუპასუხე. მეშინოდა, ჩემი ვინაობის განცხადებას ნერვული კრუნჩხვა არ გამოეწვია.

_ თუმცა, _ თქვა მან, _ ვშიშობ, რომ ვცდები, წინათგრძნობა მატყუებს. მინდოდა მენახა ჯეინ ეარი და ალბათ ამიტომ მეჩვენება. მაგრამ რვა წელიწადში ხომ შესაძლებელია ასე გამოცვლილიყო.

ალერსიანად დავუწყე დამშვიდება, რომ სწორედ ის ადამიანი ვიყავი, ვისი ნახვაც სურდა. მერე კი, როდესაც დავინახე ჩემი ლაპარაკი გაიგო და გონებაზე მოვიდა, ავუხსენი, თუ როგორ გამოგზავნა ბესიმ თავისი მეუღლე, რომ თორნფილდიდან მოვეყვანე.

_ ვიცი, ახლა ძალიან ავადა ვარ, _ მითხრა მისის რიდმა სწრაფად, _ ვცდილობდი, გვერდი მეცვალა საწოლში რამდენიმე წუთის წინ, მაგრამ სხეულის ვერც ერთი ნაწილი ვერ დავიმორჩილე. აი ამიტომ გადავწყვიტე სული მაინც გავანთავისუფლო სიკვდილის წინ. რაც კარგად ყოფნის დროს ადამიანს არაფრად ეჩვენება, მძიმე ტვირთად აწევს ასეთ დროს გულზე, ისევე როგორც მე ამჟამად. მომვლელი ქალი აქ არის? თუ თქვენ მეტი სხვა არავინ არის ოთახში?

მე ის დავარწმუნე, რომ მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით.

_ კეთილი. მე ორჯერ ჩავიდინე დანაშაული შენ მიმართ და ახლა ძალიან ვნანობ. პირველი ის იყო, რომ არ შევასრულე მეუღლისადმი მიცემული სიტყვა, აღმეზარდე, როგორც ნამდვილი შვილი, მეორე, _ აქ ის შეჩერდა: _ ბოლოს და ბოლოს, იქნება არცა აქვს ამას დიდი მნიშვნელობა, _ ჩურჩულით თქვა თავისთვის: _ შესაძლებელია, უამისოდაც გამოვკეთდე, თავის დამდაბლება კი მის წინ ძალიან მიმძიმს.

სცადა სხეული დაემორჩილებინა და სხვანაირად დაწოლილიყო, მაგრამ ვერ შესძლო. სახე შეეცვალა. ვატყობდი, რაღაც შინაგან სულიერ ბრძოლას განიცდიდა, ჩანდა, ამჩნევდა, რომ ყოველივე ეს დიდი სულიერი ტანჯვა-წამების წინასწარმაუწყებელი ნიშნები იყო.

_ დიახ, უნდა დასრულდეს ყოველივე. წინ მარადისობა მელის. უმჯობესია, ვუთხრა ყველაფერი. მიდი ჩემი ნივთების ყუთთან, გააღე და ამოიღე წერილი, რომელსაც იქ ნახავ.

მე დავემორჩილე მის ბრძანებას. _ წაიკითხე ახლა! _ მითხრა მან.

წერილი მოკლე იყო და ასეთი შინაარსის:

_ ქალბატონო, მოწყალება მოიღეთ და გამომიგზავნეთ ჩემი ძმისშვილის, ჯეინ ეარის, მისამართი. ამასთანავე, შემატყობინეთ, როგორ ცხოვრობს ის. მსურს წერილით ვაცნობო, რომ ჩემთან ჩამოვიდეს მადეირაზე. განგებამ კეთილი თვალით გადმოხედა ჩემ გარჯას და სიმდიდრე შევიძინე. ცოლ-შვილი არა მყავს და მინდა ჩემ სიცოცხლეშივე ის ვიშვილო და, რაც სიკვდილის შემდეგ დამრჩება, ყველაფერი მას ვუანდერძო. პატივისცემით, ქალბატონო, და ა. შ. და ა. შ.

ჯონ ეარი. მადეირა.

წერილი სამი წლის წინათ იყო დაწერილი.

_ რატომ აქამდე არაფერი მსმენია ამ წერილის შესახებ? _ ვკითხე მე.

_ ისე ძლიერად მძულდი, არ შემეძლო ხელი შემეწყო შენი განდიდებისა და კეთილდღეობისათვის. მე არ შემეძლო დამევიწყებინა შენი დამოკიდებულება ჩემდამი, არც ის გააფთრება, ჯეინ, რომლითაც ერთხელ შენ მომიბრუნდი, არც ის ხმა, როდესაც განმიცხადე, რომ ამქვეყნად ყველაზე მეტად გეზიზღებოდი. შენმა არაბავშვურმა გამოხედვამ და ხმამ დამარწმუნა, რომ ჩემი ერთი გახსენებაც კი ავად გხდიდა და, ამასთანავე, ამტკიცებდი, რომ აუტანელი სიმკაცრით გავიწროებდი. არ შემიძლია დავივიწყო ის, რაც მაშინ განვიცადე, როდესაც დავინახე, რა საწამლავი გადმოანთხიე ჩემ წინააღმდეგ. შევძრწუნდი, თითქოს ჩემ მიერ დევნილი და ნაცემი პირუტყვი მიმზერდა ადამიანის თვალებით და მწყევლიდა ადამიანისავე ხმით. მომიტანე ცოტა წყალი! ოჰ, იჩქარე!

_ ძვირფასო მისის რიდ. _ მივმართე მე, _ როგორც კი წყალი მივაწოდე, _ ნუ იფიქრებთ ამ ამბავზე მეტად. დაივიწყეთ ყველაფერი, მაპატიეთ, თუ რაიმე უსიამოვნო სიტყვები გკადრეთ. მე ხომ მთლად პატარა ბავშვი ვიყავი მაშინ. მას შემდეგ რვა თუ ცხრა წელია გასული.

ჩანს, ჩემ ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია, როგორც კი წყალი გადაყლაპა და სული მოითქვა, განაგრძო:

_ მომისმინე, რასაც ვამბობ: მე არ შემეძლო ყოველივე ამის დავიწყება და სამაგიეროც მოგიზღე. ბიძას რომ ეშვილებინე, სიმდიდრე და განცხრომა გელოდა, ამის გადატანა კი მე არ შემეძლო და მივწერე: ძალიან ვწუხვარ რომ დიდ უსიამოვნებას გაყენებთ, მაგრამ ჯეინ ეარი გარდაიცვალა. ის ლოვუდში ტიფის ეპიდემიამ იმსხვერპლა-მეთქი. ახლა ისე მოიქეცი, როგორც გინდოდეს. მისწერე და უარყავი, რასაც მე ვუმტკიცებდი. გამოამჟღავნე ჩემი მაცდურება, რაც შეგიძლია მალე. როგორც ვატყობ, შენ ჩემ საწამებლად დაბადებულხარ. ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი წუთებიც წამებად აქცია იმ მოგონებებმა,

რომელიც მხოლოდ შენ გამო ჩავიდინე, რადგან ასეთი ბოროტმოქმედების ჩადენას ვერავითარი ცდუნება ვერ მაკისრებინებდა.

_ ოჰ, რომ შემეძლოს დაგარწმუნოთ როგორმე, რომ მეტი აღარ გეფიქრათ ამ ამბავზე, ძალუა. მაპატიეთ ყველაფერი და ამიერიდან კეთილად მომექეცით!

_ შენ ძალიან ცუდი ხასიათი გაქვს, _ მითხრა მან, _ და დღემდე ძალიან ძნელია ჩემთვის მისი გამოცნობა. როგორ შესძელი ცხრა წლის მანძილზე მშვიდად და მოთმინებით აგეტანა ყოველივე ჩემ ხელში და მხოლოდ მეათე წელს გადმომაფრქვიე ასეთი ცეცხლი. აი, სწორედ ამის გაგება არ შემიძლია.

_ მე არც ისე ცუდი ხასიათი მაქვს, როგორც თქვენ ფიქრობთ. შესაძლებელია, ფიცხი ვიყო, მაგრამ შურისმაძიებელი არასოდეს ვყოფილვარ. ძალიან ბევრჯერ, ჯერ კიდევ სრულიად უსუსურმა ბავშვმა, ვცადე, შემეყვარებინეთ, მაგრამ თქვენ ხელს ჰკრავდით ამ გრძნობას. ახლა დიდი ხანია გულწრფელად ვნატრობ შეგირიგდეთ. მაკოცეთ, ძალუა.

დავიხარე და სახე მის ტუჩებთან ახლოს მივიტანე. ის არ შეხებია მას და თანაც განმიცხადა, რომ ძალიან შევაწუხე იმით, რომ მის საწოლზე გადავიხარე. მან კვლავ წყალი მოითხოვა. როცა დავაწვინე (რადგან წამოვაყენე და ხელზე მყავდა მიყრდნობილი, სანამ სვამდა), ხელი დავადე მის ყინულივით ცივსა და ნამიან ხელს. გამხდარი თითები თითქოს შეკრთა ჩემი შეხებისაგან, ხოლო დაბინდული თვალები უმალვე აარიდა ჩემ გამოხედვას.

_ გინდ გიყვარდეთ და გინდ გეჯავრებოდეთ, როგორც გენებოთ, _ ვუთხარი ბოლოს. _ მე გაპატიეთ ყველა დანაშაული ჩემ წინაშე. ღმერთს პატიება სთხოვეთ ახლა და სულის სიმშვიდეს დაგიბრუნებთ.

საწყალი, ცოდვილი ქალი! ახლა უკვე გვიან იყო ძალა დაეტანებინა თავისათვის და როგორმე ცვლილება შეეტანა თავის მოსაზრებებში. სიცოცხლეში ვძულდი და სიკვდილის დროსაც ვერ მოიშორა ეს გრძნობა.

მომვლელი ქალი შემოვიდა და ბესიც შემოჰყვა. დაახლოებით ნახევარი საათი კიდევ შევიცადე. იმედს არ ვკარგავდი, იქნებ ოდნავი სითბო მაინც გამოემჟღავნებინა ჩემ მიმართ, მაგრამ ამაოდ. მას კვლავ პირვანდელი მდგომარეობა დაუბრუნდა, გაშეშდა და გონებაზე აღარ მოსულა. იმ ღამეს თორმეტ საათზე გარდაიცვალა. არც მე და არც ერთი მისი ქალიშვილი იმ დროს იქ არ ვყოფილვართ, რომ მისთვის თვალები დაგვეხუჭა. დილით შეგვატყობინეს, რომ ყველაფერი დამთავრებულიყო.

ის უკვე გასწორებული ესვენა, როდესაც მე და ელიზა შევედით მის სანახავად. ჯორჯიანას კი ხმამაღალი ტირილი აუტყდა და განაცხადა, რომ წამოსვლას ვერ შეძლებდა. ერთ დროს ძლიერი და მუდამ მოძრავი სარა რიდის სხეული გაშეშებული და უმოძრაო დაგვხვდა. მის მკაცრ თვალებს ახლა გაციებული ქუთუთოები ფარავდა, მაგრამ შუბლსა და სახის ნაკვთებზე გულქვაობისა და შეუბრალებლობის დაღი კვლავ აჩნდა. მეტად უცნაურსა და შავბნელ გრძნობას იწვევდა მისი უმოძრაო სხეული ჩემში. სევდიანად და გულისტკივილით დავყურებდი მას. ამაოდ ვეძებდი ჩემს გულში რაიმე თბილსა და სათუთ მოგონებას. ის აღარც სიბრალულს, არც იმედსა და არც

პატივისცემას აღარ იწვევდა ჩემში. მისი სიკვდილით გამოწვეული მწუხარება კი არ მაშფოთებდა, არამედ ამ ადამიანის აღუწერელი ტანჯვა და გულის-ტკივილი. დაღვრემილი უცრემლოდ, შიშის ზარით შევცქეროდი შემაძრწუნებელ სიკვდილს.

ელიზა მშვიდად დაჰყურებდა თავის მშობელს. რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ კი განაცხადა:

_ მისი აგებულების ადამიანს ღრმა მოხუცებულობამდე შეეძლო ეცხოვრა, მაგრამ ტანჯვამ შეუმოკლა სიცოცხლეო.

შევამჩნიე, თითქოს ბაგე უთრთოდა სატირლად, მაგრამ ეს მხოლოდ წამიერად. მალე ამანაც გაუარა. მიბრუნდა და ოთახიდან გავიდა. მეც თან გავყევი. არც ერთ ჩვენგანს ცრემლი არ გადმოვარდნია.

თავი XXII

მისტერ როჩესტერმა მხოლოდ ერთი კვირით გამანთავისუფლა. თითქმის ერთი თვე გავიდა და მე ჯერ კიდევ ვერ ვახერხებდი გეიტსჰედჰოლიდან წასვლას. დასაფლავების შემდეგ დაუყოვნებლივ ვაპირებდი გამგზავრებას, მაგრამ ჯორჯიანამ მთხოვა დავრჩენილიყავ, იმ დრომდე, სანამ თვით შეძლებდა და ლონდონს წავიდოდა. ბოლოს, როგორც იყო, მიიღო მიწვევა თავისი ბიძის, მისტერ გიბსონისაგან, რომელიც ოჯახური საქმეების მოსაგ-ვარებლად დის დასაფლავებაზე ჩამოვიდა გეიტსჰედჰოლში. ჯორჯიანა მეუბნებოდა, რომ მას ელიზასთან მარტო დარჩენისა ეშინოდა, რადგან ელიზა ასეთ მწუხარებაში არც თანაგრძნობას უწევდა, არც იმაზე ზრუნავდა, შეშინებული როგორმე გაემხნევებინა; არც სამგზავრო სამზადისში ეხმარებოდა. მის მრავალნაირ სულმოკლე სურვილს მხოლოდ მეღა ვიტანდი და ვასრულებდი, მევე ვუწევდი თანაგრძნობას გლოვა-ტირილშიც, რომელიც მხოლოდ ეგოისტური გრძნობით იყო გამოწვეული. თავს არ ვიზოგავდი, ყველაფერი გამეკეთებინა. ვკრავდი და ვულაგებდი ტანსაცმელს, მაგრამ ისიც უნდა დავძინო, რომ ჩემი ასეთი გამალებული საქმიანობის დროს ის მხოლოდ განცხრომას უნდებოდა. მე კი ხშირად ვეუბნებოდი ჩემს თავს: ბედს რომ სამუდამოდ ჩვენთვის ერთად ცხოვრება ერგუნებინა, ბიძაშვილო, ჩვენი საქმე სულ სხვა გზით წარიმართებოდა. მაშინ მე ასე ადვილად არ ვიკისრებდი მომთმენი და თავმოდრეკილი ადამიანის როლს. საქმეს თანაბრად გავინაწილებდი და გაიძულებდი ყველაფერი რიგზე გქონოდა, თუ არადა, გაუკეთებელს დავტოვებდი. ამასთანავე, მოგთხოვდი, გულში ფარულად შეგენახა ეგ დაუმთავრებელი, ნახევრად არაგულწრფელი ჩივილი და წუწუნი. ახლა კი თუ გითმენ, მხოლოდ იმისათვის, რომ ჩვენი შეხვედრა ხანმოკლეა და სამგლოვიარო წუთებში ხდება. ალბათ, სწორედ ამიტომ გითმობ და გეთანხმები ასე მშვიდად.

ბოლოს ჯორჯიანა გავაცილე, მაგრამ ახლა ელიზამ დამიწყო ხვეწნა-მუდარა, ერთი კვირა კიდევ დავრჩენილიყავი. მარწმუნებდა, რომ მისი გადაწყვეტილებანი დიდ დროსა და ყურადღებას მოითხოვდნენ მისგან. ის აპირებდა სადღაც უცნობ მხარეში გამგზავრებას. მთელ დღეებს თავის ოთახში ატარებდა, კარი შიგნიდან ურდულით ჰქონდა ჩაკეტილი. ალაგებდა ჩემოდნებს, აცარიელებდა უჯრებს, წვავდა ქაღალდებს და არავის არ ეჩვენებოდა. სურდა სახლისათვის მე მიმეხედა, მიმეღო და მეპასუხა წერილებზე, რომლითაც მათ თანაგრძნობას უცხადებდნენ.

ერთ დილას კი განმიცხადა, რომ უკვე თავისუფალი ვიყავი. _

_ დიახ, _ დაუმატა მან: _ დიდად დავალებული ვარ იმ ფასდაუდებელი და თავმდაბალი სამსახურისათვის, რაც ამ მოკლე დროში გამიწიეთ. ძალიან დიდი განსხვავებაა თქვენსა და ჯორჯიანას შორის. ცხოვრება ისეთ ადამიანთან, როგორიც თქვენა ხართ, რასაკვირველია, ადვილი იქნება. თქვენი საქმე კარგად გესმით და არც არავის ეკიდებით ტვირთად.

_ ხვალ, _ განაგრძო მან, _ ევროპაში მივემგზავრები. ამიერიდან განზრახული მაქვს წმინდა სავანეში ვიცხოვრო ლილის ახლოს, თქვენ, ალბათ, მას მონასტერს უწოდებთ. იქ Dშემიძლია გავატარო ჩემი სიცოცხლე სრულიად მშვიდად და შეუშფოთებლად. მთელი დრო მინდა მოვახმარო რომაული კათოლიკური საეკლესიო დოგმებისა და ამ სისტემის საფუძველზე დადგენილი წესების დაწვრილებით გაცნობასა და შესწავლას. თუ ამ რელიგიური მოძღვრების მაღალზნეობრივ და სანიმუშო წესრიგიანობაში დავრწმუნდები, მაშინ მივიღებ რომაულ კათოლიკურ სარწმუნოებას და მონაზვნადაც აღვიკვეცები.

მის გადაწყვეტილებას არც განუცვიფრებივარ და არც ვცდილვარ ეს აზრი როგორმე გადამეთქმევინებინა. _ რწმენა ძვალ-რბილში გაქვს გამჯდარი, _ გავიფიქრე, _ და, ალბათ, ეს გზა უფრო მეტ სიკეთეს მოგიტანს.

განშორებისას მითხრა:

_ ნახვამდის, ჩემო ბიძაშვილო, ჯეინ ეარ, კარგად ყოფნას გისურვებთ. თქვენ კარგად მოაზროვნე ადამიანი ხართ.

ჩემი მხრით მეც ასევე ვუპასუხე:

_ არც თქვენა ხართ საღ აზროვნებას მოკლებული, ბიძაშვილო ელიზა. მაგრამ, ხომ ხედავთ, მომავალი წლიდან ცოცხლად აპირებთ ჩაიმარხოთ თავი რომელიმე ფრანგულ მონასტერში. რასაკვირველია, ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ თუ თქვენთვის ასე უფრო კარგი იქნება, მე აღარაფერს გირჩევთ.

_ თქვენ მართალი ხართ, _ მითხრა მან და ამ სიტყვებით განვშორდით კიდეც ერთმანეთს, რომ თითოეული ჩვენგანი თავის მიერ არჩეული გზით წასულიყო. რადგან მე შემთხვევა აღარ მექნება ამიერიდან სადმე ის ან მისი და ჯორჯიანა მოვიხსენიო, მინდა აქვე დავძინო: ჯორჯიანამ ±Ÿúõ‹ÆÔ¸°Ò· კარიერა შეიქმნა. მან ჯვარი დაიწერა ვიღაც მდიდარ, გაქნილ ჯენტლმენზე. ელიზამ კი, სადაც თავისი პირველმოქცევის ხანა დაჰყო, დღემდე იმავე მონასტრის იღუმენიად ითვლება და მთელი თავისი ქონებაც მას შესწირა. არ

ვიცი, რას განიცდიან ის ადამიანები, რომლებიც დიდი ხნით ან სრულიად ხანმოკლე დროით განშორდებიან ხოლმე მშობლიურ კერას და ისევ უკან ბრუნდებიან. მე არასოდეს არ განმიცდია ეს გრძნობა. მახსოვდა მხოლოდ ჩემი ბავშვობისას დიდი ხნის სეირნობის შემდეგ როგორ ვბრუნდებოდი უკან გეიტსჰედჰოლში, და როგორი დაუსრულებელი საყვედურებით მიმას-პინძლდებოდნენ, თუ სახეზე რაიმე ნაღველის კვალი ან სიცივისაგან გამოწვეული ჭმუნვა მემჩნეოდა. გამახსენდა მისი მომდევნო ხანაც: როდესაც ეკლესიიდან ლოვუდში ვბრუნდებოდით, აგიზგიზებული ცეცხლისა და უხვი ულუფის ნატვრით დაქანცული, და როცა არც ერთი მეღირსებოდა ხოლმე და არც მეორე. არც ერთი ასეთი დაბრუნება, რა თქმა უნდა, არ ყოფილა ჩემთვის სასიამოვნო და სასურველი. არავითარი მაგნიტური ძალა არ მიზიდავდა რომელიმე ასეთი ადგილისაკენ, მისი მიმზიდველობის ძალა მით უფრო კლე-ბულობდა, რაც უფრო ვუახლოვდებოდი. ნეტავ თორნფილდში დაბრუნება რას მიქადდა ახლა?

მოგზაურობა მეტად მოსაწყენი მეჩვენა, ძალიან მოსაწყენი. ერთ დღეში ორმოცდაათი მილი გავიარე და ღამე სასტუმროში გავათენე. მეორე დღესაც სწორედ ამდენივე მანძილის გავლა მომიხდა. პირველ დღეს, დაახლოებით თორმეტი საათის განმავლობაში, მხოლოდ მისის რიდსა და მისი სიცოცხლის უკანასკნელ წამებზე ვფიქრობდი. მისი გატანჯული და გაფითრებული სახე მეჩვენებოდა და თითქოს საოცრად შეცვლილი ხმაც მესმოდა. კვლავ დასაფლავების დღე წარმოვიდგინე: მისი კუბო, კატაფალკი, შავად ჩაცმულ დაქირავებულთა და მსახურთა გრძელი მწკრივი. სულ რამდენიმე ნათესავი, პირდაღებული აკლდამა და მდუმარებით მოცული ეკლესია, სადაც იმ დღეს განსაკუთრებულ საზეიმო ვითარებაში ტარდებოდა მღვდელმსახურება. ფიქრით ისევ ელიზასა და ჯორჯიანას დავუბრუნდი. ერთი წარმოვიდგინე საბალო დარბაზის შუაგულში ცამდე ამაღლებული, მეორე კი მონასტრის მღვიმეების მობინადრე და კარგამოკეტილი. გონებაში ერთმანეთს ვადარებდი მათ ადამიანურ თავისებურებებსა და ხასიათს. საღამოს დიდ ქალაქს მივადექით და ეს ფიქრი სადღაც შორს გაიფანტა. ღამემ მას სრულიად სხვა მიმართულება მისცა. ჩავწექი თუ არა საწოლში, მოგონებებს თავი მივანებე და ჩემს საკუთარ მომავალზე ფიქრმა გამიტაცა.

უკან მივდიოდი თორნფილდს. მაგრამ რამდენ ხანს დავრჩებოდი იქ? დიდხანს არა, რასაკვირველია, ამაში ღრმად ვიყავი დარწმუნებული. მისის ფეიერფექსისაგან შევიტყვე, რომ სტუმრები ჩემი იქ არყოფნის დროს უკვე წასულ-წამოსულიყვნენ. მისტერ როჩესტერმაც ლონდონს მიაშურა სამი კვირის წინათ (ორ კვირაში მოელოდნენ მის დაბრუნებას). მისის ფეიერფექსი ვარაუდობდა, რომ ის საქორწინო სამზადისისათვის იყო წასული, ახალი ეტლის შეძენა ჰქონდა განზრახული თურმე. იმასაც იწერებოდა, რომ თვით მას ჯერ კიდევ დღემდე ძალიან უცნაურ ამბად ეჩვენებოდა მის ინგრემისა და მისტერ როჩესტერის ქორწინება. მაგრამ ხალხის მითქმა-მოთქმა და საკუთარი დაკვირვებები აფიქრებინებდა, რომ ეს ამბავი სულ მოკლე ხანში უნდა

დამთავრებულიყო. _ შენ უცნაურ უნდობლობას ამჟღავნებ, თუ საეჭვოდ მიგაჩნია ეს საქმე, _ ვასკვნიდი გონებაში. _ არა. მე სრულებითაც არ ვვეჭვობ.

ბოლოს ასეთი კითხვა დამებადა. _ სად უნდა წავიდე? მთელი ღამე მის ინგრემი მესიზმრებოდა. გათენებისას კი უფრო ნათლად წარმომიდგა. ვხედავდი, როგორ მიკეტავდა თორნფილდის კარებს და ხელით სრულიად სხვა გზას მანიშნებდა. მისტერ როჩესტერი გულხელდაკრეფილი იქვე იდგა და ხან ერთს და ხან მეორეს დამცინავი ღიმილით გვაკვირდებოდა.

მისის ფეიერფექსისათვის არ მიცნობებია სწორედ რა დღით მომიხდებოდა ჩასვლა. არ მინდოდა ეტლი ან სხვა რაიმე დამხვედროდა მილკოტში; ვარჩიე ეს მანძილი მშვიდად ფეხით მარტოს გამევლო; ჩემოდანი შესანახად მეჯინიბეს ჩავაბარე და ივნისის წყნარ საღამო ხანს, ასე დაახლოებით ექვს საათზე, სასტუმროდან გამოვედი და თორნფილდისაკენ მიმავალ გზას დავადექი. ეს გზა უმთავრესად მინდვრებზე გადიოდა და მასზე ახლა იშვიათად მიმოდიოდნენ.

ის საღამო არც განსაკუთრებული მშვენიერებით და არც ბრწყინვალებით გამოირჩეოდა, მაგრამ მეტად საამო და მშვიდი იყო. მთელი გზის მანძილზე შრომობდნენ მთიბავები. მიუხედავად იმისა, რომ ცა ღრუბლებით იყო დაფარული, ვიცოდი, მაინც კარგი ამინდი დადგებოდა. ცის სილურჯე, მაღლა, შორსგაფანტულ ღრუბლების საფარქვეშ, სადამდეც კი ჩემს თვალს ამ სილურჯის დანახვა შეეძლო, მეტად მშვიდი და ნათელი მოჩანდა. დასავ-ლეთიდანაც სითბო მოდიოდა. შავი საწვიმარი ღრუბლების ნასახიც კი აღარსად შეინიშნებოდა. ცის დასავლეთით, მარმარილოსფერ ღრუბლებს მიღმა, თითქოს საკურთხეველზე ცეცხლი აენთოთ და ღრუბლის ქულების თეთრ საფარზე აქა-იქ დარჩენილ ჭუჭრუტანებიდან მოწითალო ოქროსფერ სხივთა ელვარება გამოკრთოდა.

რაც უფრო მოკლდებოდა გზა, მით უფრო დიდ სიამოვნებას ვგრძნობდი. იმდენად მიხაროდა რაღაც, რომ ერთხელ შევჩერდი და ჩემს თავს შევეკითხე: _ რას უნდა ნიშნავდეს ასეთი სიხარული? _ კარგად მახსოვდა, ჩემს საკუთარ სახლში არ ვბრუნდებოდი, არც იქ, სადაც ამიერიდან მუდმივად და მშვიდად უნდა მეცხოვრა, სადაც მოსიყვარულე მეგობრები მიგონებდნენ და მოუთმენლად ელოდნენ ჩემს დაბრუნებას. _ დარწმუნებული ხარ, _ ვეუბნებოდი ჩემს თავს, _ მისის ფეიერფექსი გაგიღიმებს, გაუხარდება შენი მისვლა. პატარა ადელიც ტაშის ცემითა და ხტუნვით შეგეგებება, მაგრამ კარგად იცი, სხვაზე ფიქრობ ახლა და არა მათზე. ის სხვა კი შენზე სრულიადაც არ ფიქრობს.

რა არის სიყმაწვილეზე უფრო უჯიათი ან ისეთი ბრმა, როგორც გამოუცდელობა? სწორედ ამ უჯიათობამ და გამოუცდელობამ განმიმტკიცა აზრი, რომ მისტერ როჩესტერის ნახვა იქნებოდა ერთადერთი დიდი სიამოვნება ჩემთვის. მიუხედავად იმისა, იმასაც ესიამოვნებოდა თუ არა ჩემი ნახვა. ორივე ეს გრძნობა კი ერთად მაქეზებდა და ჩამძახოდა: იჩქარე! ნუ განშორდები მას, სანამ ეს შესაძლებელიაო. სულ ბევრი, რამდენიმე დღე თუ

კვირა დაგრჩენია და მერე სამუდამოდ უნდა დაშორდეთ ერთმანეთს. ისიც შევნიშნე, თვით ჩემს საკუთარ სულში როგორ ვამხობდი ახლად ნაგრძნობ სულიერ ტკივილებსა და მთლად უცხო, სახეშეცვლილ გრძნობას. არ შემეძლო დავრწმუნებულიყავ, რომ ისინი მაშინ ჩემს გულში აღმოცენებულიყო. მინდოდა გავცლოდი მათ. ამიტომ ნაბიჯს ავუჩქარე და თითქმის გავრბოდი.

ალბათ თორნფილდის მინდვრებშიც თივის ზვინების დადგმაა გაჩაღებული; ან იქნებ მთიბავებმა თავიანთი საქმე მოათავეს, ფოცხები მხარზე გაიდეს და შინისაკენ მიეშურებიან სწორედ აი ახლა, როდესაც მე ვბრუნდები უკან. ერთი თუ ორი მინდორიც უნდა გადავიარო. გზას გადავჭრი და ალაყაფის კარს მივადგები. ვარდებს ღობეები აუვსიათ, მაგრამ მათ დასაკრეფად დრო არა მაქვს. მინდა რაც შეიძლება ჩქარა მივიდე სახლში. მაღალ ბუჩქს ჩავუარე გვერდით. ეს ასკილია, რომლის ხშირფოთლიანი აყვავებული გრძელი ტოტები ბილიკის გასწვრივ დახრილან. აი, უკვე ვხედავ ქვის საფეხურებიან ვიწრო გადასაბიჯს. უცებ ვამჩნევ, რომ იქ მისტერ როჩესტერი ზის წიგნითა და ფანქრით ხელში და, მგონი, რაღაცას წერს.

არა, ეს მოჩვენება არ არის, და მაინც თითოეული ნერვიც კი მითრთის. მყისვე ვკარგავ უნარს, რომ საკუთარი თავი დავიმორჩილო. რას ნიშნავს ეს? არ მეგონა, რომ მის დანახვაზე ასე ავკანკალდებოდი, ხმა ჩამიწყდებოდა და მოძრაობის უნარი წამერთმეოდა. როგორც კი შევძლებ, მაშინვე უკან გავბრუნდები. ჩემს თავს ნებას არ მივცემ, ასეთი სისულელე გამოვამჟღავნო. მე ხომ სხვა გზაც ვიცი სახლისაკენ. მაგრამ ოცი სხვა გზაც რომ მცოდნოდა, ვეღარაფერს მიშველიდა უკვე. მან დამინახა.

_ ჰალო! _ დაიძახა მან და წიგნი და ფანქარი იქით გადადო. _ თქვენ უკვე მოსულხართ! მომიახლოვდით, თუ შეიძლება.

მგონი, მივუახლოვდი, მაგრამ როგორ, ეს კი აღარ მახსოვს. ჩემს ცნობიერებამდე ძლივს აღწევს, რომ ვმოძრაობ და მხოლოდ იმასღა ვფიქრობ, მშვიდად მოვაჩვენო თავი. ყველაზე მთავარი კი ის მგონია, როგორმე სახის გამომეტყველება დავიმორჩილო. ის სასტიკად ეწინააღმდეგება ჩემს საკუთარ ნებას და მთელი ძალით ისწრაფვის გამოამჟღავნოს, რის დაფარვაც ასე მტკიცედ გადავწყვიტე. მაგრამ მე ხომ პირბადე მაქვს. გამახსენდა ეს და მაშინვე დაბლა ჩამოვიწიე. იქნებ ამან მაინც მიშველოს, მღელვარება დავფარო და მოჩვენებითი სიმშვიდე შევინარჩუნო.

_ ეს ჯეინ ეარია? და მერე მილკოტიდან ფეხით მოდიხართ?

_ დიახ.

_ ეს კიდევ თქვენი ეშმაკობის ერთ-ერთი ახალი ხერხია, ალბათ! ეტლი არ დაიბარეთ, ჩვეულებრივი მოკვდავივით არ ისურვეთ გზებზე მისი ბორბლების რახრახში მგზავრობა. არამედ თქვენი სახლის ახლოს მდებარე მიდამოებში საღამოს ბინდთან ერთად ფარულად შემოიპარეთ, როგორც ზმანება თუ აჩრდილი. _ ეშმაკმა დალახვროს, მაინც რას აკეთებდით მთელი თვე იქ?

_ ძალუასთან ვიყავი, სერ. ის ხომ გარდაიცვალა.

_ ნამდვილად ჯეინის პასუხი! კეთილნო ანგელოზნო, თქვენ დამიფარეთ! ის, მგონი, საიქიოდან გამომეცხადა იმ ადგილებიდან, სადაც მხოლოდ მიცვალებულნი განისვენებენ და მესაუბრება მათზე აი, აქ, მარტოდმარტოს, მწუხრისას. რომ გამებედა და ხელი შემეხო, იქნებ გამეგო ცოცხალი არსება ხართ თუ აჩრდილი. ოჰ, შე წყლის ფერიავ! მაგრამ ცდომილი ვარსკვლავის ცისფერ შუქს უფრო ადვილად შევიპყრობდი ჭაობში, ვიდრე შენ. მაცდურო! მაცდურო! _ დაუმატა მან რამდენიმე წამის სიჩუმის შემდეგ. _ მთელი თვე ჩემ ახლოს არ ყოფილა და დავიფიცავ, რომ სრულიად დავავიწყდებოდი!

ღრმად ვიყავი დარწმუნებული, სიხარულით ამავსებდა მისტერ როჩესტერთან ახალი შეხვედრა. თუმცა შიშით მაძრწუნებდა იმის გაფიქრება, რომ ძალიან მალე ის უკვე აღარ იქნებოდა ჩემი მფარველი და მისთვის არაფერს წარმოვადგენდი. მაგრამ მისტერ როჩესტერს (ალბათ მარტო მე ვფიქრობდი ასე) განსაკუთრებული უნარი გააჩნდა ბედნიერება ადვილად მიმოეფანტა თავის გარშემო და სხვებისათვის ადვილად გადაეცა. ხოლო იმ ნამცეცების გემოს გასინჯვაც კი, რომელსაც ის ასე ფანტავდა თავის ირგვლივ, ისეთი გზააბნეული და უცხო ფრინველისათვის, როგორიც მე ვიყავი, სადღესასწაულო ნადიმს წარმოადგენდა. მისი უკანასკნელი სიტყვები მალამოდ დამედო გულზე. ამ სიტყვებიდან ჩანდა, რომ ჩემი პატრონისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, მახსოვდა თუ არა მე ის. ამასთანავე მან თორნფილდს ჩემი სახლი უწოდა. ოჰ, როგორ მინდოდა, რომ მართლაც ჩემი სახლი ყოფილიყო!

ის ადგილიდან არ ამდგარა. მეც არ მინდოდა მეთხოვნა, რომ გზა დაეთმო და სწრაფად შევეკითხე, იყო თუ არა ლონდონს.

_ დიახ, ვფიქრობ, ზებუნებრივი შორსმჭვრეტელი თვალი გაქვთ.

_ მისის ფეიერფექსმა შემატყობინა წერილით.

_ და ისიც გაცნობათ, თუ რისთვის წავედი?

_ ოჰ, რასაკვირველია, სერ, ყველამ იცის ამ ამბის შესახებ.

_ თქვენ უნდა ნახოთ ეტლი, ჯეინ, და მითხრათ, ნამდვილად შეეფერება თუ არა ის მისის როჩესტერს: დაემსგავსება თუ არა ის ნამდვილ დედოფალ ბოადისს, ეტლის მეწამულ ბალიშებზე მიყრდნობილი. ძალიან მინდა, ჯეინ, ცოტა უფრო კარგი ვიყო, რომ ჩემი გარეგნობა შეეფერებოდეს მის გარეგნობას. მითხარით ახლა, ფერიავ! არ შეგიძლიათ მომცეთ თილისმა, სასწაულმოქმედი ჯადო ან სხვა რაიმე მისი მსგავსი, რომ გადამაქციოს ლამაზ მამაკაცად?

_ ვერავითარი ჯადოსნობა ვერ გიშველით, სერ.

გულში კი გავიფიქრე, მხოლოდ შეყვარებულ თვალს ძალუძს ასეთად გაქციოთ. ასეთი თვალისთვის კი თქვენ საკმაოდ ლამაზი ხართ. ან, უფრო სწორად, თქვენს მკაცრ სახეს სილამაზეზე მეტი ზემოქმედების ძალა შესწევს.

მისტერ როჩესტერი ხანდახან ჩემთვის სრულიად მიუწვდომელი შორსმჭვრეტელობით კითხულობდა ჩემს გამოუთქმელ აზრებს. იმ წუთებში კი ყურადღებაც არ მიუქცევია ჩემგან უცაბედად წამოსროლილი პასუხისათვის. მაგრამ გამიღიმა რაღაც უჩვეულო, მხოლოდ მისთვის

დამახასიათებელი ღიმილით, რომელსაც ძალიან იშვიათად თუ შენიშნავდით მის სახეზე. ჩანს, ასეთ ღიმილს გადაჭარბებულად თვლიდა ყოველდღიური საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. ეს იყო გრძნობა, მზის სხივივით მანათობელი, რომელიც მხოლოდ მე გადმომაფრქვია ახლა.

_ გამოიარეთ, ჯეინ, _ მითხრა მან და ადგილი დამითმო, რომ გადასაბიჯზე გადავსულიყავი. _ ადით მაღლა, სახლში და შეასვენეთ ხეტიალისაგან დაქანცული პაწაწინა ფეხები ახლობელი ადამიანის კარის ზღურბლზე.

ისღა დამრჩენოდა, სიტყვის შეუბრუნებლივ დავმორჩილებოდი. საჭიროდ აღარ ვცანი საუბრის გაგრძელება. გადასაბიჯზე უსიტყვოდ გადავედი. ვფიქრობდი, ასევე ჩუმად გავცლოდი მას, მაგრამ რაღაც ძალამ შემიპყრო უეცრად, მაიძულა შემოვტრიალებულიყავი და მეთქვა, თუ არ ვიცი ჩემ მაგიერ ვიღაცამ ჩემი სურვილისდა მიუხედავად წარმოთქვა:

_ მადლობას მოგახსენებთ, მისტერ როჩესტერ, იმ დიდი სიკეთისათვის, რომელსაც თქვენ მიწევთ. უსაზღვროდ მიხარია თქვენთან უკან დაბრუნება და სადაც თქვენ გხედავთ, ის ჩემი სახლი მგონია, ჩემი ერთადერთი სახლი.

მერე ისეთი ჩქარი ნაბიჯით გავეშურე, ვერ შეძლებდა დამწეოდა, კიდეც რომ ცდილიყო. ჩემ დანახვაზე პატარა ადელმა უსაზღვროდ გაიხარა. მისის ფეიერფექსმა მისთვის დამახასიათებელი გულთბილობითა და მეგობრული გრძნობით მიმიღო. ლი იღიმებოდა; სოფიმაც კი დიდი სიხარულით მისურვა: _bon soir. _ ეს ყველაფერი მეტად სასიამოვნო იყო ჩემთვის. იმაზე დიდ ბედნიერებას არასოდეს არ განიცდის ადამიანი, როცა გრძნობს, რომ გარშემო მყოფ ადამიანებს უყვართ და მათთან ყოფნით სიამოვნებას ანიჭებს მათაც.

იმ საღამოს ისე დავხუჭე თვალები, მომავალზე აღარ მიფიქრია. არ მინდოდა გამეგონა ხმა, რომელიც განშორების სიახლოვეს და მოსალოდნელ მწუხარებას მამცნობდა. ჩაი დამთავრდა. მისის ფეიერფექსმა ხელსაქმე აიღო. მეც მის ახლოს პატარა სკამზე დავჯექი. ადელმა ხალიჩაზე დაიჩოქა და სულ ახლოს მომეკრა. ურთიერთ შორის სიყვარულმა სიმშვიდისა და მყუდროების ოქროს რკალი გარს შემოგვარტყა. უსიტყვოდ ვლოცულობდი, რომ სულ მოკლე ხანში დიდი მანძილით არ დავეშორებინეთ ურთიერთისათვის. აი, სწორედ ასეთ ყოფაში, სრულიად მოულოდნელად შემოვიდა მისტერ როჩესტერი, შემოგვხედა, ჩვენი მეგობრული განწყობილების ხილვამ სიამოვნება მოჰგვარა და გვითხრა: ვფიქრობ, მოხუცი ლედი ძალიან ნასიამოვნებია, რომ თავისი შვილობილი უკან დაუბრუნდაო. და ისიც დაუმატა, ალბათ ადელის სიხარულს კი _ prête a croquer sa petite maman Anlaise. ნახევრად იმედიც კი ჩამესახა, რომ ქორწინების შემდეგაც არ განგვაშორებდა ერთმანეთს, თავისივე მფარველობის ქვეშ მოგვცემდა თავშესაფარს და არ მოგვაკლებდა მზის სხივივით აუცილებელ ბედნიერებას, რომ თვალი ხანდახან მაინც მოგვეკრა მისთვის.

ორმა კვირამ თორნფილდში ჩემი დაბრუნების შემდეგ საეჭვო სიმშვიდეში გაიარა. არაფერს ამბობდნენ ჩვენი პატრონის ქორწინების შესახებ. არც არავითარი სამზადისი შემიტყვია, რაც ასეთ ამბავს გარდაუვალად თან ახლავს

ხოლმე. თითქმის ყოველდღე ვეკითხებოდი მისის ფეიერფექსს, გაეგონა თუ არა რაიმე ნამდვილი გადაწყვეტილების შესახებ. ის ყოველთვის უარს ამბობდა. ერთხელ პირდაპირ მიეცა კითხვა ჩვენი მფარველისათვის, თუ როდის აპირებდა საცოლის სახლში მოყვანას, მაგრამ მისტერ როჩესტერს მხოლოდ ხუმრობით ეთქვა რაღაც და უცნაურად გადაეხედა მოხუცისათვის. ალბათ ამიტომაც მისის ფეიერფექსს არ შეეძლო თქმა, რა აზრის გამოტანა შეიძლებოდა ჩვენი პატრონის სიტყვებიდან.

ერთი რამ ძალიან მაოცებდა, ყოველგვარი მისვლა-მოსვლა და სტუმრად წვევა გაქრა თორნფილდსა და ინგრემ-პარკს შორის. ისიც მართალია, თორნფილდი ოცი მილით იყო დაშორებული მათი საგვარეულო სახლიდან და მეორე საგრაფოს საზღვარზე მდებარეობდა, მაგრამ რას წარმოადგენდა ეს მანძილი მგზნებარე, მოსიყვარულე გულისათვის. განსაკუთრებით ისეთი გამოცდილი და მოუღალავი ცხენოსნისათვის, როგორიც მისტერ როჩესტერი გახლდათ. ეს მანძილი მას ერთ დილას შუადღემდე შეეძლო გაევლო. იმედი ჩამესახა გულში და ველოლიავებოდი მას, თუმცა უფლება არ მქონდა, რაიმეში დავრწმუნებულიყავ. შესაძლებელია, ქორწინება ჩაიშალა, ან მითქმა-მოთქმა არ იყო მართალი. იქნებ, ან ერთმა, ან მეორე მხარემ გამოიცვალა აზრი, ან ორივემ ერთად. ხშირად შევცქეროდი ჩემი მფარველის სახეს, რომ აღმომეჩინა ან სევდა, ან განრისხება, მაგრამ ეს სახე არასოდეს მახსოვდა უფრო მეტად ნათელი, კეთილი და ყოველგვარ ჭმუნვას მოკლებული. როცა მე და ადელს მოგვიხდებოდა მასთან გაგვეტარებინა რამდენიმე ხანი, გუნება მეცვლებოდა და სასოწარკვეთილება მიპყრობდა, რადგან ის ზომაზე მეტად მხიარულობდა. არასოდეს მეძახდა წინათ ასე ხშირად თავისთან, არც არასოდეს ყოფილა ისეთი კეთილი ჩემ მიმართ, როგორც მაშინ _ და ღმერთო ჩემო! არც მე არასოდეს არ მყვარებია ის ასე ძლიერად.

თავი XXIII

საუცხოო შუა ზაფხული ბრწყინავდა ინგლისში. ასეთი მოწმენდილი ცა და მოკაშკაშე მზე ძალიან იშვიათად იცის ზღვით გარემოცულმა ჩვენმა მიწა-წყალმა. თითქოს იტალიური თბილი დღეები, უმშვენიერეს მოგზაურ ფრინველთა მსგავსად, მოფრინდნენ სამხრეთიდან და დასასვენებლად ალბიონის კლდეებს მოაშურეს. თივა ყველგან აიღეს. თორნფილდის გარშემო გათიბული მინდვრები ისევ მწვანედ შეფერილიყო. მიწა გახმა და გზები თეთრად მოჩანდა. მუქმწვანედ გაფოთლილი ხეები, ღობეები და ტყე მოშავო არშიად გარშემორტყმოდა მათ შუა მოქცეულ მზის სხივებით შეფერადებულ მდელოებს.

საღამო ხანს ჰეილეინში ადელი მარწყვის კრეფით დაიღალა და ჯერ კიდევ მზის ჩასვლამდე ჩაწვა ლოგინში. მე მის ჩაძინებას ველოდი; ოთახიდან გამოვედი და ბაღისაკენ გავეშურე.

ამ დროს დგება დღე-ღამის ყველაზე უტკბესი წუთები. დღის მცხუნვარება დაცხრა და ცვარი მარგალიტებად მოეფინა ცის ნამს მოწყურებულ მინდვრებსა და მზით გადამწვარ მთის მწვერვალებს. უღრუბლო ცაზე მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა, ცის ტატნობი სადღესასწაულო ვარდისფერმა შეღება და მოწითალო პატიოსანი თვალის ბრწყინვალებით აციაგდა, მერე გორაკის მწვერვალზე ერთ წერტილს ქურაში გაღვივებულ ცეცხლისფრად წაეკიდა, სულ მაღლა აიჭრა, ზეციურ სამყაროში განიბნა, თანდათანობით გაფერმკრთალდა და თითქმის ნახევარი ცა დაფარა. აღმოსავლეთის მომხიბვლელობა სრულიად თავისებური იყო ამ დროს. მის მუქ ცისფერ ცაზე ერთადერთი ვარსკვლავი თვალწარმტაც სამკაულივით ეკიდა. მალე, მთვარის ნათელში გახვეული, ის უფრო ზვიადად გადმოხედავდა მიდამოს, მაგრამ ღამის მნათობი ჯერ კიდევ ჰორიზონტს იქით იმალებოდა.

ცოტა ხანს ქვაფენილზე მიმოვდიოდი. მალე ვიგრძენი, რომელიღაც სარკმლიდან ჰაერში ჩემთვის კარგად ნაცნობი სიგარის ოდნავ შესამჩნევი სურნელება იფანტებოდა. ბიბლიოთეკის ერთ-ერთი სარკმელი ოდნავ ღიაც შევნიშნე და ვიფიქრე, შესაძლებელია, იქიდან თვალსაც მადევნებდა ვინმე. ამიტომ გვერდზე გადავუხვიე და ხეხილის ბაღში შევედი. ეს ადგილი იმ არემარეში ყველაზე მყუდრო განმარტოებულ ედემს ჰგავდა. უამრავი ხეხილი და ათასფრად გადაშლილი ყვავილები ამკობდა მას. ერთ მხარეს ბაღსა და სასახლეს შორის მეტად მაღალი კედელი იყო აღმართული. მეორე მხარეს მწვანედ აბიბინებულ ეზოსა და მას შორის წიფლის ხეების ხეივანი მოჩანდა. ბოლოში კი აქა-იქ წაქცეული ღობე ჩაუდიოდა, რომლის იქით მინდვრები იწყებოდა. ბაღში მიხვეულ-მოხვეული ბილიკი დაფნის ბუჩქების ხეივანში მიიკლაკნებოდა; დასასრულ, უზარმაზარი წაბლის ხე იდგა. რომელსაც სკამი რკალად ერტყა. ბილიკი წაბლის დაბლა, ღობესთან თავდებოდა. აქ ადამიანს ყველასაგან შეუმჩნევლად შეეძლო ოცნება. ოდის დამათრობელი ტკბილი სურნელება, იქ გამეფებული მდუმარება, და მეტად მშვიდი საღამო ჟამი იმდენად მხიბლავდა, ასე მეგონა, ამ ჩრდილში სამუდამოდ შემეძლო თავის შეფარება. შემოღობილის ზემო ნაწილში, ერთ-ერთ გაშლილ მხარეს, რომელსაც ახლად ამომავალი მთვარე ყველაზე მეტად აწვდენდა სხივებს, ხეხილსა და ყვავილებს შორის მიმოვდიოდი. უცებ ნაბიჯი შევანელე. არა იმიტომ, რომ რაიმე ხმა შემომესმა ან ვინმე დავინახე, არამედ კვლავ ვიგრძენი სურნელება, რომელიც წინასწარ მატყობინებდა რაღაც იდუმალს.

ასკილი, არტემიზია, ჟასმინი, მიხაკი და ვარდი საღამო ჟამს უკვე დიდი ხანია გამოსცემდნენ მკვეთრ სურნელებას. ისეთი სუნი იდგა, თითქოს ჰაერში გუნდრუკს აკმევდნენ, მაგრამ ამ უცხო სურნელებას არც ბუჩქნარი აფრქვევდა და არც გაშლილი ყვავილები. ძალიან კარგად ვიცოდი, ის იყო მისტერ როჩესტერის სიგარის სურნელოვანი სუნი. გარშემო მიმოვიხედე და სმენად ვიქეცი. ვხედავდი, ხის ტოტები მწიფე ნაყოფს დაემძიმებინა. მესმოდა ბულბულის გალობაც ტყიდან, რომელიც ჩემგან ნახევარი მილით მაინც იქნებოდა დაშორებული. ადამიანის ჭაჭანება კი არსად ჩანდა. არც ფეხის ხმა

ისმოდა. სიგარის სურნელოვანი სუნი კი თანდათან უფრო მკვეთრი ხდებოდა. გადავწყვიტე, გავქცეულიყავი. ჭიშკრისაკენ გავეშურე, რომლის იქით ბუჩქნარი იწყებოდა და შევნიშნე, მისტერ როჩესტერი ბაღში შემოდიოდა. გვერდზე გადავუხვიე. ვცადე, თავი სუროს ფოთლებით დაფარულ მიყრუებული ადგილისათვის შემეფარებინა და გავიფიქრე: ის დიდხანს არ დარჩება, მალევე გაბრუნდება საიდანაც მოვიდა და თუ წყნარად, ვიჯდები, ვერც კი შემამჩნევს-მეთქი.

მაგრამ არა, საღამო ჟამი მისთვის ისეთივე სასიამოვნო აღმოჩნდა, როგორც ჩემთვის, ხოლო ეს ძველებური ბაღიც მას ისევე იზიდავდა, როგორც მე. ის გზას განაგრძობს, ხან კინკრიჟას ტოტს ასწევს მაღლა და ქლიავის ტოლ ნაყოფს დასცქერის, რომელთა სიმძიმეს ტოტები მთლად დაბლა დაუხრია, ხან ბაღის კედელთან სულ ახლოს მდგარ ხეზე მწიფე ალუბალს კრეფს, ხან კი ერთმანეთში გადახლართულ ყვავილებისაკენ იხრება, არ ვიცი, მათი სუნით დათრობა სწადია, თუ მათ სიფრიფანა ფურცლებზე მარგალიტებად დაფრქვეულ ცვარს აკვირდება. ღამის დიდმა ფარვანამ ჩემ წინ ფრთების ფარფატით ჩაიარა და მისტერ როჩესტერის ფეხთან სულ ახლოს, რომელიღაც მცენარეზე დაჯდა. მან მაშინვე შენიშნა ის და დაიხარა, რომ კარგად დაეთვა-ლიერებინა.

ახლა ის ზურგით დგას ჩემგან და პეპელას თვალიერებითაა გართული; თუ ფეხაკრეფით ჩავივლი, შესაძლებელია, ისე გავიპარო, რომ ვერც შემნიშნოს, გავიფიქრე.

ფეხს ფრთხილად ვადგამდი ქვიშით მოფენილ გზის ნაპირებს, სადაც მოლი ჭარბობდა, რომ ხვინჭის ხმაურს არ გამოემჟღავნებინა ჩემი იქ ყოფნა. ის კვლებს შორის იდგა, ერთი თუ ორი იარდის დაშორებით იმ ადგილიდან, სადაც მე უნდა ჩამევლო და მთელი ყურადღებით ისევ ფარვანას აკვირდებოდა. «სრულიად შეუმჩნევლად ჩავივლი», გავიფიქრე ჩემთვის. ხოლო, როცა მე მის ჩრდილზე გადავიარე, რომელიც ჯერ კიდევ კარგად ამოუსვლელი მთვარის შუქზე საკმაოდ დიდ მანძილზე დაჰფენოდა გზას, ის არც კი მობრუნებულა, ისე წყნარად მითხრა:

_ ჯეინ, მოდით აქ და შეხედეთ ამ ქმნილებას.

სრულიად უხმაუროდ ვმოძრაობდი. ის ზურგით იდგა და განა მის თვალებს შესწევდათ ძალა შეემჩნიათ რაიმე? ნუთუ შეიძლებოდა, რომ მის ჩრდილს ეგრძნო ჩემი სიახლოვე? პირველად შევკრთი, მაგრამ შემდეგ მივუახლოვდი.

_ შეხედეთ მის ფრთებს, _ მითხრა მან, _ ის ძალიან მაგონებს ვესტინდოეთის რომელიღაც მწერს; ადამიანი ხშირად ვერ შეხვდება ასეთ დიდსა და ნათელი ფერის ღამის ფარვანას ინგლისში. აი, ხედავთ? უკვე გაფრინდა.

პეპელა გაფრინდა. მეც გაუბედავად უკან-უკან ვიწევდი, მაგრამ მისტერ როჩესტერიც თან გამომყვა. როდესაც ჭიშკარს მივაღწიეთ, მან მითხრა:

_ დაბრუნდით უკან, ასეთ საუცხოო ღამეში სირცხვილიც არის სახლში ჯდომა. დარწმუნებული ვარ, არავინ იძინებს იმ დროს, როცა მზის ჩასვლა ასე მომხიბვლელად ეგებება მთვარის ამოსვლას.

ჩემი ერთ-ერთი ნაკლი ის არის, რომ ხანდახან თუ მეტად მოსაზრებულად ვლაპარაკობ, ხან არის წუთები, როდესაც მთლიანად ვიბნევი. ეს კი ყოველთვის გადამწყვეტ წუთებში ხდება, როდესაც შესაფერი სიტყვა, მოხერხებული საბაბი განსაკუთრებით საჭიროა სავალალო და დაბნეული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. მე თვითონ არ მომწონდა ასეთ დროს მისტერ როჩესტერთან სეირნობა ჩაბნელებულ ბაღში, მაგრამ ვერ შევძელი რაიმე მიზეზი მომენახა და დამემტკიცებინა, რომ ჩემი წასვლა აუცილებელი იყო. გაუბედავად მივყვებოდი; მხოლოდ იმის ფიქრით ვიყავი გართული, როგორმე რაიმე მიზეზი გამომენახა და თავი დამეღწია; ის კი იმდენად მშვიდი და თავდაჭერილი მოჩანდა, მრცხვენოდა კიდეც, ოდნავი ძრწოლაც კი მეგრძნო მის გვერდით. თუ ყოველივე ამაში რაიმე ცუდი იყო, ამას მხოლოდ მე თვით ვფიქრობდი. მან ამის შესახებ არაფერი იცოდა და დამშვიდებულიც იყო.

_ ჯეინ, _ წამოიწყო მან, როგორც კი დაფნის ხეივანში შევედით და ნელა გავემართეთ წაქცეული ღობისა და წაბლის ხისაკენ, _ ზაფხულობით თორნფილდი სასიამოვნო ადგილია, არა?

_ დიახ, სერ. ძალიან სასიამოვნო.

_ თქვენ, ალბათ, ასე თუ ისე მიეჩვიეთ ამ სახლს, არა? განსაკუთრებით თქვენ, რომელსაც ასე გხიბლავთ ბუნების სრულყოფილი სილამაზე და ასეთი დიდი სიყვარულის უნარი გაგაჩნიათ.

_ დიახ, მე მართლაც ძალიან შევეჩვიე მას.

_ თუმცა ვერ გამიგია, როგორ მოხდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თქვენ ძალიან კარგად შეეთვისეთ ამ პაწაწინა ბავშვს, ადელს, და ამ გულუბრყვილო ქალბატონ ფეიერფექსს.

_ დიახ, სერ. თუმცა სხვადასხვანაირად, მაგრამ მე მაინც ორივე შემიყვარდა.

_ მათთან განშორება, ალბათ, ძალიან შეგაწუხებთ, არა?

_ დიახ.

_ სამწუხაროა! _ თქვა მან, ამოიოხრა და ცოტა ხანს შეჩერდა. _ შემთხვევითობას სწორედ ეს გზა აურჩევია ამ ცხოვრებაში. _ განაგრძო შემდეგ: _ ვერ მოასწრებ მოეწყო რომელიმე სასიამოვნო, მყუდრო ადგილას, რომ რაღაც ხმა გიბრძანებს ადგე და წახვიდე, რადგან დასვენების საათები უკვე დამთავრებულა.

_ უნდა გავემგზავრო უკვე, სერ? _ შევეკითხე მე. _ თორნფილდი უნდა დავტოვო?

_ მგონია, ასე უნდა მოიქცეთ, ჯეინ, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ, ჩანს, უნდა წახვიდეთ.

ეს ამბავი თავზარდამცემი გამოდგა ჩემთვის, მაგრამ ვცადე, სულით არ დავცემულიყავი.

_ კეთილი, სერ, მე მზად ვიქნები, როგორც კი წასვლის ბრძანებას მივიღებ თქვენგან.

_ ბრძანება გაცემულია. მე ის თქვენ ამაღამ უნდა გამოგიცხადოთ.

_ თქვენ ალბათ საქორწინოდ ემზადებით, სერ?

_ რასაკვირველია, სწორედ ასეა. აი, თქვენთვის დამახასიათებელი შორსმჭვრეტელობით ადვილად ჩასწვდით სინამდვილის დედაარსს.

_ ყოველივე ეს მალე მოხდება, სერ?

_ ძალიან მალე, ჩემო... ოჰ, თუმცა, მის ეარ, თქვენ გეხსომებათ, ჯეინ... პირველად არ მახსოვს, მე გითხარით თუ მითქმა-მოთქმით შეიტყვეთ, რომ უკვე ჭარმაგობაში შესული მარტოხელა მამაკაცის ცხოვრება მომწყინდა და ქორწინების წმინდა მარყუჟში მინდოდა გამეყო თავი, ე. ი. უნდა შევდგომოდი ნეტარ საოჯახო ცხოვრებას. გულზე მიმეკრა მის ინგრემი. მოკლედ რომ ვთქვა, ის ისე დიდია, ძნელადხელშემოსაწვდომი; მაგრამ ამას თავი დავანებოთ; ყველას არ შეუძლია იტვირთოს ისეთი ჩინებული ნივთის სიმძიმე, როგორიც ჩემი მშვენიერი ბლანშია! დიახ, იმას გეუბნებოდით: მისმინეთ, ჯეინ! _ თავი იმიტომ ხომ არ მიიბრუნეთ გვერდზე, რომ ბალახებში სხვა ფარვანები მოძებნოთ, განა ასე არ არის? ეს მხოლოდ ჭია-მაია იყო, ბავშვო, და სახლისაკენ გაფრინდა. მინდა მოგაგონოთ, განა თქვენ არ იყავით პირველი, რომელმაც მთელი თქვენი გულწრფელობით, რასაც ასე დიდად ვაფასებ თქვენში, შორსმჭვრეტელობით, კეთილგონიერებითა და თავმდაბლობით, რომელიც თქვენ საპასუხისმგებლო, მაგრამ დამოკიდებულ მდგომარეობას ასე კარგად შეეფერება, გამაფრთხილეთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მე მის ინგრემს შევირთავდი, ორივე, თქვენცა და პატარა ადელიც დაუყოვნებლივ უნდა განრიდებოდით აქაურობას.

ყურადღებას არ ვაქცევ იმ უმნიშვნელო შეურაცხყოფას, რაც თქვენ თქვენი წინადადებით მიაყენეთ ჩემი სატრფოს პირად თვისებებს, მაგრამ, როდესაც შორს იქნებით, ჯენიტ, შევეცდები დავივიწყო ყოველივე. მე მხოლოდ თქვენი წინადადების სიბრძნე არ დამავიწყდება, ის ისეთია, რომ ჩემი მოქმედების კანონად ვაქციე. ადელი სკოლაში უნდა წავიდეს, თქვენ კი, მის ეარ, უნდა მონახოთ სადმე ახალი სამუშაო ადგილი.

_ დიახ, სერ. ახლავე შევიტან განცხადებას. მანამდე კი ვიფიქრებ... _ ის იყო ვაპირებდი მეთქვა, _ ვფიქრობ, ნებას მომცემთ აქვე დავრჩე, ვიდრე ვიშოვი თავშესაფარს-მეთქი, მაგრამ შევჩერდი. ვგრძნობდი, ძალიან გამიძნელდებოდა ამ სიგრძე წინადადების წარმოთქმა, რადგან ხმა აღარ მემორჩილებოდა.

_ დაახლოებით ერთ თვეში დავიწერ ჯვარს, _ განაგრძო მისტერ როჩესტერმა. _ ამ დროის მანძილზე მე თვითონ გამოგინახავთ როგორც სამუშაოს, ისე თავშესაფარს.

_ დიდად გმადლობთ, სერ, ვწუხვარ რომ ესოდენ ტანჯვას გაყენებთ...

_ ოჰ, ბოდიშის მოხდა არ არის საჭირო. ვფიქრობ, როდესაც დაქირავებული პირი თავის მოვალეობას ისე ასრულებს, როგორც თქვენ, მას უფლება აქვს თავის პატრონისაგან მოითხოვოს ცოტაოდენი დახმარება, მით უფრო თუ

პატრონს თავისუფლად შეუძლია სამაგიერო მიუზღოს. ჩემი სასიდედროსაგან შევიტყვე ერთი ადგილის შესახებ, რომელიც თქვენ შეგეფერებათ. აღსაზრ-დელად უნდა აიყვანოთ მისის დიონისიუს ო,გოლის ხუთი ქალიშვილი, ბიტერნატ ლოჯში, ირლანდიაში, კონოტში. თქვენ მოგეწონებათ ირლანდია. როგორც გადმომცეს, იქ ძალიან გულთბილი ხალხი ყოფილა.

_ იქამდე ძალიან დიდი მანძილია, სერ.

_ რა უშავს. თქვენნაირი გონიერი გოგონა არც ზღვით მოგზაურობისა და არც მანძილის წინააღმდეგი იქნება.

_ არა, ზღვით მოგზაურობის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ მანძილის? და მერე... ზღვა ხომ ზღუდედ აღიმართება.

_ მერედა, ის რას განგაშორებს, ჯეინ?

_ ინგლისს და თორნფილდს და კიდევ...

_ და კიდევ რას?

_ თქვენს თავს, სერ.

ეს სიტყვები ჩემდაუნებურად წამოვიძახე, თითქმის ანგარიშმიუცემლად. ცრემლებმა ღაპაღუპით იწყეს თვალთაგან დენა. ჩუმად ვტიროდი და ქვითინს ვერიდებოდი. ფიქრი მისის ო, გოლსა და ბიტერნატ ლოჯზე გულს მიყინავდა. უფრო მწარე კი ის იყო, როდესაც ვიგონებდი აქაფებულ ზღვის ტალღებს, რომლებიც, როგორც ჩანს, ბედისწერის სურვილით, აბობოქრებული, ჩემსა და იმ ადამიანს შუა უნდა ჩამდგარიყო, ვის გვერდითაც მივდიოდი ახლა. ისედაც თითქმის გადაულახავ ბარიერად მიმაჩნდა ოკეანესავით ფართოდ გაშლილი მისი სიმდიდრე, მთელი მისი კლასის უპირატესობა და მათი ზნე-ჩვეულებები, რომელიც ზღუდესავით აღმართულიყო ჩემსა და ყოველივე იმას შორის, რაც ასე ბუნებრივად და დაუძლეველი ძალით მიყვარდა.'

_ ძალიან შორს არის, _ კვლავ ვუთხარი მე.

_ დიახ, შორს არის. მართლაც, როდესაც თქვენ ბიტერნატ ლოჯში, ირლანდიაში გაემგზავრებით, ვეღარასოდეს ვეღარ გნახავთ, ჯეინ. სრულიად დარწმუნებული ვარ, არასოდეს არ მომიხდება ირლანდიაში წასვლა, რადგან ეს ქვეყანა არცთუ ისე ძალიან ხიბლავდა ჩემს ოცნებას. ჩვენ ხომ კარგი მეგობრები ვიყავით აქ, ჯეინ, არა?

_ დიახ, სერ.

_ ხოლო, თუ მეგობრები განშორების წინადღით ერთმანეთს ხვდებიან, მგონია, მათ ყოველთვის სურთ ერთმანეთის ახლოს გაატარონ მცირეოდენი ხანი, რაც ერთად სამყოფლად დარჩენიათ. მოდი და სანამ ცაზე ვარსკვლავები აკიაფდებიან, თუნდაც ნახევარი საათის განმავლობაში ერთად, მშვიდად მოვილაპარაკოთ შენი შორეული ზღვით მოგზაურობისა და ჩვენი განშორების შესახებ. აი, წაბლის ხე, სკამიც აქვეა მის ძველ ფესვებზე და აქ სრულ სიმშვიდეში გავატარებთ საღამოს. ვიცი, ამიერიდან ჩვენ არასოდეს აღარ გვიწერია აქ ერთად ჯდომა.

მერე დამსვა და თვითონაც ჩამოჯდა.

_ ირლანდიამდე ძალიან შორი მანძილია, ჯენეტ. ვწუხვარ, რომ ჩემს პატარა მეგობარს სამოგზაუროდ ასე დიდსა და მომქანცველ გზაზე ვგზავნი. მაგრამ თუ სხვა უკეთესი ვერაფერი ვიღონე, რა უნდა ვქნა? თქვენ რაიმე ნათესაურს გრძნობთ ჩემდამი, ჯეინ, თუ არა?

გული ისე მქონდა ყელში მობჯენილი, რომ პასუხის გაცემა არ შემეძლო.

_ იმიტომ რომ, _ თქვა მან, _ ხანდახან უცნაური გრძნობა მეუფლება თქვენდამი. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აი ასე ახლოს ხართ ჩემთან, როგორც ახლა. თითქოს რაიმე სიმი მქონოდეს სადღაც მკერდქვეშ გამოუხსნელად გადაკვანძული და ჩახლართული იმ სიმთან, რომელიც თქვენი პაწაწინა სხეულის სწორედ იმავე ადგილას თრთის მკერდქვეშ. და თუ ეს აბობოქრებული სრუტე, ორასი თუ მეტი მილი, ასე ფართო ზღუდედ აღიმართა ჩვენ შორის, ვშიშობ, ის შემაერთებელი სიმიც გაწყდება. ახლავე მაფორიაქებს ის აზრი, რომ ჩემი გული სისხლად დაიცლება, ხოლო რაც შეგეხებათ თქვენ, ვიცი, დამივიწყებთ.

_ თქვენ მე არასოდეს არ დაგივიწყებთ, სერ. თქვენ ეს იცით._ არა, მე აღარ შემეძლო საუბრის გაგრძელება.

_ ჯეინ, გესმის, როგორ გალობს ბულბული ტყეში? აბა, ყური დაუგდეთ!

ვუსმენდი, ვქვითინებდი და კრუნჩხვა მემართებოდა. მინდოდა, როგორმე ჩამეხშო მოზღავებული გრძნობა, ჩემს თავს გავმკლავებოდი, მაგრამ იძულებული გავხდი, მათ დავმორჩილებოდი. აუტანელი მწუხარებით მთელი სხეული მიკანკალებდა. როდესაც ლაპარაკი დავიწყე, მხოლოდ ის მსურდა მეთქვა გულწრფელად, რომ ნეტავ არასოდეს დავბადებულიყავი და არც თორნფილდი მეხილა-მეთქი.

_ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მასთან განშორება ასე გიძნელდებათ?

მწუხარებითა და სიყვარულით გამოწვეულმა დიდმა მღელვარებამ მთლიანად შებოჭა ჩემი არსება, მთელი ძალით გაიბრძოლა და სცადა სხვა გრძნობებზე გაბატონებულიყო; ეცოცხლა, გაემარჯვნა, განახლებულიყო და დიახ, განეცხადებინა კიდეც:

_ დიახ, ძალიან ვწუხვარ და მიმძიმს თორნფილდიდან წასვლა. მე მიყვარს თორნფილდი. მიყვარს ის იმიტომ, რომ აქ ბოლოს და ბოლოს ხანდახან მაინც ვცხოვრობდი ბედნიერი და მხიარული ცხოვრებით. აქ მე ფეხქვეშ არავის გავუთელივარ, არც უგრძნობლად მომქცევია ვინმე. მე არავის დავუმდაბლებივარ უბედურ ადამიანთა დონემდე. არავის გამოურიცხივარ ადამიანთა იმ ბრწყინვალე ფერხულიდან, სადაც სინათლე, მჩქეფარე ცხოვრება და მაღალი იდეალებია. პირისპირ ვესაუბრებოდი ადამიანს, ვისაც ვთვლიდი მოწიწების ღირსად. ვისი არაჩვეულებრივი, ძლიერი და დიდი გონებით აღტაცებული ვიყავი. მე თქვენ უკვე კარგად გიცნობთ, მისტერ როჩესტერ, და შიშითა და მწუხარებით მავსებს ის ფიქრი, რომ სამუდამოდ და მთლიანად უნდა დაგშორდეთ. განშორების აუცილებლობას ვხედავ და ეს კი ჩემთვის სიკვდილზე უფრო მძიმეა.

_ სად ხედავთ მერე ასეთ აუცილებლობას? _ მკითხა მან უცებ.

_ სად? ეს საკითხი ხომ თქვენ წამოჭერით ჩემ წინ, სერ.

_ რა მიზეზით, ვის გამო?

_ თქვენი მშვენიერი საცოლის, მის ინგრემის გამო.

_ ჩემი საცოლე! რომელი საცოლე! მე არა მყავს საცოლე!

_ მაგრამ გეყოლებათ.

_ დიახ, მეყოლება, მეყოლება!

მან კბილი კბილს დააჭირა.

_ მაშინ მე უნდა წავიდე აქედან. თქვენ ეს თვითონვე მითხარით.

_ არა, თქვენ უნდა დარჩეთ! ვფიცავ და ეს ფიცი აღსრულდება კიდეც.

_ მე კი თქვენ გეუბნებით, რომ უნდა წავიდე, _ ვუპასუხე მე რაღაც საოცარი მღელვარებით. _ ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ მე შემიძლია დარჩენა? მე ხომ არარაობად ვიქცევი მაშინ თქვენს თვალში? თუ იმას ფიქრობთ, რომ ჩემდა შეუგნებლად ვმოქმედებ, რაღაც უგრძნობელი მანქანა ვარ და შემიძლია ავიტანო ისიც, თუ როგორ წამგლეჯენ პირიდან ერთ ლუკმა პურსა და ერთ ყლუპ მაცოცხლებელ წყალს. რადგან ღარიბი, დაბალი შთამომავლობის, სრულიად უბრალო და შესახედავად პატარა ვარ, ალბათ გგონიათ, გრძნობა და გული არ გამაჩნია. თქვენ ცდებით! მეც ისეთივე სული მაქვს და ისეთივე გრძნობებით სავსე გული, როგორც თქვენ. ღმერთს რომ ცოტაოდენი სილამაზით და დიდი სიმდიდრით დავეჯილდოვებინე, თქვენც ისევე გაგიძნელდებოდათ ახლა ჩემთან განშორება, როგორც მე მიმძიმს თქვენი.... თქვენ მე არ გესაუბრებით ახლა პირობითად დადგენილ ზნე-ჩვეულებებისა და ადათ-წესების მიხედვით, არც როგორც მიწიერ ქმნილებას. არამედ ჩემი სული ესაუბრება თქვენს სულს, თითქოს მათ ორივემ ჩაიარეს სამარის კართან და ახლა ღვთის ფეხთით დგანან თანასწორნი, როგორც სინამდვილეში არიან ადამიანები.

_ როგორც სინამდვილეში ვართ! _ გაიმეორა მისტერ როჩესტერმა, _ სწორია, _ დაუმატა მან, და ორივე ხელი მომხვია; გულზე მიმიკრა და ჩემს ბაგეს დაეწაფა. _ სწორია, ჯეინ!

_ დიახ, სწორია, სერ, _ ვუპასუხე მე, _ თუმცა სულ ასეც არ არის. იმიტომ, რომ თქვენ ცოლიანი ხართ ან სულ ერთია მალე იქნებით. მაგრამ თქვენ ხომ ბედი სრულიად შეუფერებელ არსებას დაუკავშირეთ, რომლის მიმართ არავითარი გრძნობა არ გაგაჩნიათ და ვერც იმას ვირწმუნებ, რომ ნამდვილად გიყვარდეთ. მე ხომ ჩემი თვალით დავინახე და გავიგონე კიდეც, როგორ დასცინოდით მას. მე ზიზღს მომგვრიდა ასეთი ურთიერთობა. ამის გამო მე თქვენზე ბევრით უკეთესი ვარ! გამიშვით!

_ სად, ჯეინ, ირლანდიაში?

_ დიახ, ირლანდიაში. მე ჩემი აზრი გითხარით და ყველგან შემიძლია ახლა წასვლა.

_ ჯეინ, იყუჩეთ; ნუ იბრძვით, როგორც გარეული გაგულისებული ფრინველი, რომელიც მხოლოდ საკუთარ ბუმბულს კარგავს ასეთი გააფთრების დროს.

_ მე ფრინველი არა ვარ და ვერავითარი გალია ვერ დამიჭერს. მე თავისუფალი ქმნილება ვარ, სრულიად დამოუკიდებელი სურვილისა და უფლებების მქონე, და ეს მაიძულებს, რომ დაგტოვოთ.

ერთხელ კიდევ გავიბრძოლე, გავთავისუფლდი და წელში გამართული მის წინ დავდექი.

_ დიახ, სწორედ თქვენი თავისუფლებისმოყვარე სული გადაწყვეტს თქვენს ბედს, _ მითხრა მან. _ მე გთავაზობთ ჩემს ხელს, ჩემს გულს და, რაც გამაჩნია, მთელი იმ ქონების ნაწილს.

_ თქვენ ხუმრობთ, მე კი უბრალოდ დავცინი ასეთ საქციელს.

_ გთხოვთ მთელი ცხოვრების მანძილზე ჩემ გვერდით იყოთ, გახდეთ ჩემი მეუღლე და ამქვეყნიური უახლოესი მეგობარი.

_ თქვენ ასეთი ბედი უკვე აირჩიეთ და მას უერთგულეთ.

_ ჯეინ, ნურაფერს მეტყვით რამდენიმე წუთს, თქვენ ძალიან ღელავთ და მეც გავჩუმდები.

ნიავმა დაფნის ბუჩქების ხეივანს ჩამოუქროლა და წაბლის ხის რტოებს შორის ფოთლები ააშრიალა: მერე სადღაც შორს, ძალიან შორს გადაიკარგა და იქ გაქრა. ღამის მყუდროებაში მხოლოდ ბულბულის გალობაღა ისმოდა. ვუსმენდი მას და ისევ უხმოდ ვტიროდი. როჩესტერი კი ჩუმად იჯდა, დაფიქრებული, ალერსიანად შემომყურებდა. გავიდა რამდენიმე წუთი, სანამ დამელაპარაკებოდა და ბოლოს მითხრა:

_ მომიახლოვდი, ჩემ გვერდით დაჯექი, ჯეინ, და მოდი ერთმანეთს ავუხსნათ და გავაგებინოთ ერთმანეთის სურვილი.

_ მე აღარასოდეს აღარ მოვალ თქვენთან ახლოს. საკმაოდ ვეწამე და დაბრუნება აღარ შემიძლია.

_ მაგრამ, ჯეინ, მე გეძახით ახლა, როგორც ჩემს მეუღლეს. ეს მხოლოდ თქვენა ხართ, ვისზედაც ვაპირებდი დაქორწინებას.

ვდუმდი და ვფიქრობდი, რომ ის მე ამით მაღიზიანებდა.

_ მოდი, ჯეინ! მოდი აქ!

_ თქვენი საცოლე დგას ჩვენ შორის.

ის წამოდგა, ერთი ნაბიჯი გადმოდგა და ჩემთან გაჩნდა. _ აი, ჩემი საცოლე, _ მითხრა მან და კვლავ გულზე მიმიკრა. _ ის არის ჩემი თანასწორიც და ჩემი რჩეულიც. ჯეინ, გამომყვებით ცოლად?

მე ისევ ვდუმდი და ვცდილობდი მისი ძლიერი ხელებიდან თავი გამეთავისეფლებინა, რადგან ჯერ კიდევ არ ვენდობოდი.

_ არ მენდობით, ჯეინ?

_ რა თქმა უნდა.

_ ალბათ, არავითარი რწმენა არ გაგაჩნიათ ჩემდამი?

_ სრულებითაც არა.

_ ნუთუ ასეთი მაცდური ვჩანვარ თქვენს თვალში? _ იკითხა აღელვებულმა. _ პატარა სკეპტიკოსო, თქვენ მე უნდა მერწმუნოთ. რა სიყვარული მაკავშირებს მის ინგრემთან? არავითარი. ეს თქვენ კარგად იცით. ან მას თუ ვუყვარვარ?

რასაკვირველია, არა. ამის დასამტკიცებლად დიდი წვალებაც არ დამჭირვებია. რამდენიმე ხნის წინათ ხმა გავავრცელე, თითქოს ჩემი შემოსავალი სამჯერ უფრო ნაკლები იყოს, რაც სინამდვილეში გამაჩნია. მინდოდა ამ ხმას მის ყურამდე მიეღწია; ამის შემდეგ მათი ოჯახი ვინახულე, მინდოდა გამეგო, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ამბავი მასზე. როგორც შვილი, ისე დედა ძალინ ცივად შემხვდნენ. მე ვერ შევირთავ და არც შემეძლო შემერთო მის ინგრემი. თქვენ კი, არაჩვეულებრივო, თითქმის არაამქვეყნიურო არსებავ, ჩემს თავზე მეტად მიყვარხართ. თქვენ კი, თქვენ, ღატაკო, თვალტანადობას მოკლებულო და სრულიად უბრალო ქმნილებავ, გევედრებით, ჩემი მეუღლე გახდეთ.

_ როგორ, მე! _ ამოვიძახე და თითქოს უკვე მჯეროდა მისი გულწრფელობის. განსაკუთრებით მისი სითამამე მარწმუნებდა მის სიწრფელეში. _ მე, რომელსაც ერთი მეგობარიც კი არ გამაჩნია ამქვეყნად, თქვენ გარდა _ თუ თქვენ ჩემი მეგობარი ხართ ნამდვილად და არ მაბადია არც ერთი გროში გარდა იმ თანხისა, რასაც თქვენ მიხდით?

_ დიახ, თქვენ, ჯეინ, თქვენ უნდა გახდეთ ჩემი, მხოლოდ ჩემი. მითხარით, გახდებით ჩემი მეუღლე? თქვით: დიახ, რაც შეიძლება ჩქარა.

_ მისტერ როჩესტერ, ნება მომეცით თვალებში ჩაგხედოთ, სახეზე დაგაკვირდეთ, მოტრიალდით, თუ შეიძლება, მთვარის სინათლისაკენ.

_ რატომ?

_ იმიტომ რომ თქვენმა სახის გამომეტყველებამ მამცნოს სიმართლე. მოტრიალდით!

_ აი, ინებეთ, ჯეინ, მასზე ახლა გაცილებით ძნელად ამოიკითხავთ რაიმეს, ვიდრე დაჭმუჭნილ, დაფხაჭნილ ფურცლებზე. წაიკითხეთ, მხოლოდ ძალიან ჩქარა, რადგან ეს დიდი წამებაა ჩემთვის.

სახეზე დიდი მღელვარება აღბეჭდოდა; სიწითლის ალმური გადასდიოდა; სახის თითოეული ნაკვთი უთრთოდა და თვალებშიც რაღაც უჩვეულო შუქი უბრწყინავდა.

_ ოჰ, ჯეინ, თქვენ მე მაწამებთ! _ წამოიძახა მან, _ თქვენი გამომცდელი, მაგრამ ესოდენი ერთგულებისა და სულგრძელობის გამომხატველი მზერა მაწამებს.

_ როგორ შევძლებ ამას, თუ თქვენ მართალი ხართ და თქვენი წინადადებაც წრფელი გულითაა ნაკარნახევი. მე მხოლოდ მადლიერებითა და ერთგულებით უნდა გიპასაუხოთ _ მათ თქვენი წამება არ ძალუძთ.

_ მადლობა! _ წამოიძახა მან და მღელვარებისაგან მთლად აფორიაქებულმა დაუმატა: _ ჯეინ, მიიღეთ მალე ჩემი წინადადება და თქვით: ედვარდ, _ დამიძახეთ მხოლოდ სახელი _ ედვარდ, _ და მითხარით ასე: _ მე ჯვარს დავიწერ თქვენზე.

_ ნუთუ გულწრფელად ლაპარაკობთ? ნუთუ მართლა გიყვარვართ? და მართლა გსურთ ცოლად შემირთოთ?

_ დიახ, მართლა, და თუ ფიცი აუცილებელია, თქვენ დასარწმუნებლად, ვფიცავ კიდეც.

_ მაშინ, სერ, თანახმა ვარ ჯვარი დავიწერო თქვენზე.

_ გაიმეორე, ედვარდ! ჩემო პაწაწინა მეუღლევ!

_ ძვირფასო ედვარდ!

_ მომიახლოვდი, მომიახლოვდი უსიტყვოდ, ახლავე, _ წარმოთქვა მან.

სახით ჩემს სახეს ეკვროდა და ძალიან დაბალი ხმით დაუმატა, თითქმის ყურში ჩამჩურჩულა: გამაბედნიერე და მეც მხოლოდ შენს ბედნიერებას შევწირავ სიცოცხლესო.

_ ღმერთი მაპატიებს! _ დაუმატა ცოტა ხნის შემდეგ. _ არავინ არ მინდა ჩაერიოს ამ საქმეში. ის ჩემია და მე თვითონ ვეცდები აღარსად გავუშვა.

_ ვერავინ ვერ ჩაერევა თქვენს საქმეში, სერ, მე ხომ ახლო ნათესავები არა მყავს, რომ ამ საქმეში ჩარევა მოისურვონ.

_ არადა, ეს უკეთესია! _ თქვა მან.

მე რომ ის ცოტა უფრო ნაკლებად მყვარებოდა, მაშინვე შევნიშნავდი, რომ მისი ხმაცა და მხიარული გამომეტყველებაც იმ წუთებში ულმობლობას გამოხატავდა. მაგრამ მის გვერდით მჯდომი, განშორების შიშით შეპყრობილი, ღამის კოშმარებიდან გამოფხიზლებული, მომავალი საოჯახო ურთიერთობის სამოთხისებური სიამოვნებით აღვსილი, მხოლოდ იმ ნეტარებაზეღა ვფიქრობდი, რომელიც ასე უხვად მიწყალობა მან და რომელიც ძირამდე უნდა შემესვა. ის კი ისევ და ისევ მეკითხებოდა: _ ბედნიერი ხარ, ჯეინ? _ და მეც ისევ და ისევ ვპასუხობდი: _ დიახ.

_ ეს ყველაფერს გამოისყიდის, ეს ყველაფერს გამოისყიდის, _ ჩურჩულით ამბობდა ის თავისთვის. _ განა მე არ ვიპოვე ის უმეგობრო, სულიერად მარტო და უნუგეშო? განა მე არ ვიქნები მისი მფარველი, ყველა მისი სურვილის აღმსრულებელი და ნუგეშის მიმცემი? განა ჩემი გული სიყვარულით არ არის სავსე და ჩემი გადაწყვეტილება მტკიცე და ურყევი? ეს კი ღმერთის სამსჯავროს წინაშე ყოველივეს გამოისყიდის. ვიცი, ზეციური მამა ეთანხმება ჩემს საქმიანობას; ამქვეყნიური განაჩენი კი არარაა ჩემთვის. ხოლო ადამიანთა შეხედულებებს კი ვერ დავემორჩილები და უკუვაგდებ.

მაგრამ რა დაემართა ღამეს? მთვარე ჯერ კიდევ არ ჩასულიყო და ჩვენ უკუნეთ სიბნელეში გავეხვიეთ. თუმცა ძალიან ახლოს ვიდექი მასთან, მაგრამ ძლივსღა ვხედავდი ჩემი პატრონის სახეს. რამ შეაშფოთა წაბლის ხე? ის ირხეოდა და კვნესოდა. ქარი დაფნის ბუჩქების ხეივანში დაზუზუნებდა და ჩვენც რამდენიმეჯერ ჩამოგვიქროლა.

_ უნდა წავიდეთ, _ მითხრა მისტერ როჩესტერმა: _ ამინდი იცვლება. შემეძლო შენთან ერთად გათენებამდე ვმჯდარიყავი, ჯეინ.

_ მეც ასევე, _ გავიფიქრე ჩემთვის, _ შემეძლო თქვენთან ერთად ყოფნა.

მინდოდა მეთქვა, რომ ცეცხლივით ბრწყინვალე მოლურჯო ნაპერწკალი გამოჩნდა და ღრუბლებში დაიკლაკნა. ამას მოჰყვა ჭექა და ქუხილი, სულ ახლოს ისმოდა საშინელი გრგვინვა და გრუხუნი. მხოლოდ იმასღა

ვფიქრობდი, როგორმე დამაბრმავებელი შუქისათვის თვალი ამერიდებინა და მისტერ როჩესტერის მხარს ვეფარებოდი.

წვიმა შხაპუნით წამოვიდა. ის მაჩქარებდა, რაც შეიძლება სწრაფად გადაგვერბინა ბილიკზე და სახლში შევსულიყავით. სანამ კარის ზღურბლს მივაღწევდით, მთლიანად დავსველდით. როდესაც დერეფანში მან მხრებიდან შალი მომხსნა და ჩამოშლილ დასველებულ თმას მიწურავდა, საწოლი ოთახის კარებში მისის ფეიერფექსი გამოჩნდა. პირველად არც მე და არც მისტერ როჩესტერს ის არც კი შეგვინიშნავს. ლამპა ჯერ ისევ ენთო და საათიც ის იყო თორმეტის დარეკვას აპირებდა.

_ ადი და სწრაფად გაიხადე სველი ტანსაცმელი, _ მითხრა მან, _ სანამ წახვიდოდე, მინდა გამოგეთხოვო: ღამე მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა, ჩემო ძვირფასო!

მან რამდენჯერმე მაკოცა და როდესაც ბოლოს ხელიდან დავუსხლტი, დავინახე ქვრივი გაფითრებული, შეწუხებული და განცვიფრებული შემოგვცქეროდა. მე მხოლოდ გავუღიმე მას და კიბეზე ავირბინე.

«ყველაფერს შემდეგ აგიხსნით», _ გავიფიქრე, მაგრამ ჩემს საძინებელ ოთახს მივაღწიე თუ არა, საშინელი გულისტკივილი ვიგრძენი. მოხუც ქალს იმ წუთებში შეიძლება ძალიან ცუდად გაეგო ყოველივე, რის მოწმეც შეიქნა. სიხარულმა კი ყველა სხვა გრძნობა მალე დაფარა და თითქმის ორი საათის განმავლობაში, როდესაც ქარი ხმამაღლა ზუზუნებდა, ჭექა-ქუხილის ხმა სულ ახლოს გაისმოდა, შემაძრწუნებელი და გამუდმებული ელვის შუქი ანათებდა ცას და ამ ქარიშხალში წვიმაც კოკისპირულად ასხამდა, მე აღარ განვიცდიდი არც შიშსა და არც ძრწოლას. მისტერ როჩესტერი მთელი ამ დროის განმავლობაში სამჯერ მოვიდა კარებთან, რომ ეკითხა, თავს როგორ ვგრძნობდი და დავმშვიდდი თუ არა. აი, ეს იყო სწორედ ჩემი ნუგეში და ძალის მომცემი ყველაფერში.

დილით, ჯერ კიდევ სანამ ლოგინიდან წამოვდგებოდი, პატარა ადელი სირბილით შემოიჭრა და მამცნო, რომ ბაღის ბოლოში, ღამით, დიდ წაბლის ხეს მეხი დასცემოდა და შუაზე გაეპო.

თავი XXIV

ვდგებოდი, ვიცვამდი და იმაზე ვფიქრობდი, რაც წინაღამეს მოხდა. _ ნუთუ სიზმარია ყოველივე? _ ვეკითხებოდი ჩემს თავს. განა შემეძლო დამეჯერებინა სინამდვილე, სანამ მისტერ როჩესტერს არ ვნახავდი და განმეორებით არ მოვისმენდი მისგან იმავე დაპირებასა და სიყვარულის დამადასტურებელ სიტყვებს!

თმას ვივარცხნიდი და თან სარკეში ჩემს თავს ვათვალიერებდი. შევნიშნე: სახის ჩვეულებრივი გამომეტყველება სადღაც გამქრალიყო, ახლა მასში იმედის შუქი ბრწყინავდა, ხოლო ფერი კი სიცოცხლისადმი დაუსრულებელ

სწრაფვაზე მეტყველებდა. თვალებს იმედის დაუშრეტელი წყაროსათვის მიეგნოთ და ისე კიაფობდნენ, თითქოს ამ მოციმციმე სხივებს მის მოკამკამე წვეთებს დასესხებიანო. ხშირად ჩემს პატრონს თავს ვარიდებდი, არ მინდოდა პირდაპირ შემეხედნა მისთვის. ვშიშობდი, ჩემი გარეგნობა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა მასზე. ახლა კი დავრწმუნდი, თამამად შემეძლო ამეწია თავი მის წინაშე, რადგან ასეთი გამომეტყველება ვეღარ გააცივებდა მის სიყვარულს. უჯრიდან ყველაზე სადა, ღია ფერის, სუფთა საზაფხულო კაბა ამოვიღე და ჩავიცვი. ასე მეგონა, თითქოს არც ერთი კაბა ასე არასოდეს მომხდენოდა, ალბათ იმიტომ, რომ არც ერთი მცმია ესოდენ ბედნიერს.

არ განვცვიფრებულვარ, როდესაც დაბლა, დერეფანში, ჩავირბინე და დავინახე, რომ მშვენიერ ივნისის დილას წინაღამინდელი ქარიშხალი დაეძლია. მინის ღია კარიდან შემოჭრილი საამური, დილის მაცოცხლებელი ნიავის სუნთქვა ვიგრძენი. ბუნებასაც უნდა ემხიარულა, რადგან ასეთი ბედნიერი ვიყავი. ბილიკზე სახლისაკენ მომავალი მათხოვარი ქალი და ბიჭუნა შევნიშნე: ორივე მათგანს დაფლეთილი ძონძები ეცვა. დაბლა ჩავირბინე და, რაც კი ქისაში ფული გამაჩნდა, სამი თუ ოთხი შილინგი, ყველა მათ ვუწყალობე. ავსა თუ კარგს, ყველას მსურდა მონაწილეობა მიეღო ჩემს სიხარულში. ირგვლივ ჭილყვავთა ჩხავილი და ფრინველთა საამო გალობა გაისმოდა, მაგრამ არაფერი არ მეჩვენებოდა ისე მელოდიური და მხიარული, როგორც საკუთარი გულის ტკბილხმოვანი ძგერა.

მისის ფეიერფექსის საქციელმა ცოტა არ იყოს განმაცვიფრა. მოწყენილმა სარკმლიდან გადმოიხედა და დინჯად მკითხა: _ მის ეარ, ამოხვალთ საუზმეზე? მთელი იმ დროის მანძილზე, სანამ საუზმე დამთავრდებოდა, მშვიდად იჯდა, მაგრამ ცივი გამომეტყველება არ მოშორებია სახეზე. არ შემეძლო ის, რაც მან შეცდომით სრულიად სხვაგვარად გაიგო, განმემარტა მისთვის. საჭირო იყო დამეცადა მისტერ როჩესტერისათვის, რომ თავად მიეცა მოხუცი ქალისათვის ახსნა-განმარტება, მანამდე კი მასაც უნდა მოეთმინა. რამდენიმე ლუკმა ძალით შევჭამე და სწრაფი ნაბიჯით ზემო სართულისაკენ გავეშურე. საკლასო ოთახიდან პატარა ადელი გამოვიდა და წინ შემომეფეთა.

_ სად მიდიხართ? უკვე მეცადინეობის დროა.

_ მისტერ როჩესტერმა საბავშვო ოთახში გამგზავნა.

_ თვითონ სად არის?

_ იქ, შიგნით, _ და იმ ოთახზე მანიშნა, საიდანაც გამოვიდა. ოთახში შევედი და დავინახე, რომ ის მართლაც იქ იდგა.

_ მომიახლოვდი და დილა მშვიდობისა მითხარი, _ თქვა მან.

მეც სიხარულით გავემართე მისკენ, ეს, უბრალოდ, ცივად წარმოთქმული სიტყვა კი აღარ იყო ახლა, ან მარტო ხელის ჩამორთმევა, რითაც ის შემომეგება, არამედ მომეხვია და მაკოცა. სრულიად ბუნებრივად მივიჩნიე, რომ ასე ძალიან ვყვარებოდი და ალერსიანად მომქცეოდა. ეს კი მისი მხრივ მეტისმეტი ლმობიერება იყო.

_ ჯეინ, შენ ძალიან მხიარული, მოღიმარე და ლამაზი ხარ დღეს, _ მითხრა მან. _ ნამდვილად ძალიან ლამაზი მეჩვენები ამ დილით. ნუთუ ეს ჩემი ფერმკრთალი პატარა ჯადოქარია? განა ეს ის ჩემი მდოგვის თესლია? ეს პაწაწინა, პირმომცინარი, ღაწვშეფაკლული, ვარდის ფურცელივით რომ შეჰფერვია ბაგენი. აბრეშუმივით ლბილ წაბლისფერთმიანი, მოკიაფე თაფლის-ფერთვალა? (მე მწვანე თვალები მქონდა, მკითხველო, მაგრამ უნდა აპატიო ასეთი შეცდომა. მისთვის, როგორც ვფიქრობ, მათ ახალი ფერი მიიღეს).

_ დიახ, ეს ჯეინ ეარი გახლავთ, სერ.

_ მალე ჯეინ როჩესტერი, _ დაუმატა მან. _ ერთ თვეში, ჯენიტ. ერთი დღის გადაცილებაც კი არ შეიძლება, გესმის, ჯეინ?

მესმოდა და არ შემეძლო ყველაფერი ნათლად გამეგო. ამ ამბავმა თავბრუ დამახვია. ამ გრძნობამ და მისმა ასეთმა სიტყვებმა ჟრუანტელივით დამიარა და სიხარულზე ბევრად ძლიერი რაღაც სხვა გრძნობა გამოიწვია, თითქოს გული გამიგმირა და თავზარი დამცა. ვფიქრობ, ნამდვილად ეს შიში იყო.

_ რატომ გაფითრდი, ჯეინ, როგორ ავარდისფერებული გქონდა სახე. რა დაგემართა?

_ ალბათ იმიტომ, რომ ახლა გვარით მომიხსენიეთ, სერ, _ ჯეინ როჩესტერი, ეს ძალიან უცნაურად ჟღერს.

_ დიახ, მისის როჩესტერი, _ წარმოთქვა მან,_ ახალგაზრდა მისის როჩესტერი, ფეიერფექს როჩესტერის პატარა საცოლე.

_ ეს შეუძლებელია, სერ. დამაჯერებლად არა ჟღერს. ადამიანთა მოდგმას ამქვეყნად სრულყოფილი ბედნიერება ჯერ კიდევ არასოდეს ხვდომია წილად. არც მე დავბადებულვარ ისეთ ვარსკვლავზე, რომ ამ ქმნილებათაგან განსხვავებული ბედი დამყოლოდეს. როდესაც ვიფიქრებ, თუ რა ბედი მხვდა წილად, ის ზღაპარი ან ახდენილი სიზმარი მგონია.

_ რომელიც მე შემიძლია სინამდვილედ ვაქციო. დღესვე დავიწყებ. ამ დილით ლონდონში უკვე მივწერე ჩემს ბანკირს გამოეგზავნა ზოგიერთი ძვირფასი ნივთი, რომლებიც მასთან ინახება. ეს ნივთები თორნფილდის ქალთა საგვარეულო საგანძურს წარმოადგენს. ერთ-ორ დღეში იმედი მაქვს მათ კალთაში ჩაგილაგებ. მინდა ყველა იმ უპირატესობითა და ყურადღებით სარგებლობდე, რასაც ლორდის ქალიშვილს გავუწევდი, თუ მის ცოლად შერთვას გადავწყვეტდი.

_ ოჰ, სერ! სრულებით არ არის საჭირო ძვირფასი ნივთები: გაგონებაც კი არა მსურს მათ შესახებ. ძვირფასი ნივთები და ჯეინ ეარი ერთად? ძალიან უცნაური და არაბუნებრივია. უმჯობესია, თუ არ მექნება.

_ ჩემი ხელითY შეგაბამ ყელზე ალმასებით მოოჭვილ ყელსაბამს. შუბლს დიადემით დაგიმშვენებ, ვიცი, ძალიან მოგიხდება. ბუნებას კეთილშობილთა ბეჭედი დაუმჩნევია შენს შუბლზე, ჯეინ. ამ მშვენიერ მაჯებზე სამაჯურებს გაგიკეთებ, ხოლო მაგ ფერიისმსგავს თითებზე სხვადასხვანაირ ბეჭდებს.

_ არა, სერ, არა. სხვა რამეზე იფიქრეთ და ჯობია სალაპარაკო თემაც გამოვცვალოთ. ნუ მეპყრობით ისე, როგორც ლამაზ ქალს. მე ჩვეულებრივი აღმზრდელი ვარ მხოლოდ, კვაკერი ქალების მსგავსი.

_ ჩემთვის შენ ძალიან ლამაზი ხარ, ჯეინ, ისეთი ლამაზი, როგორსაც ჩემი გული ნატრობდა _ სათუთი და ჰაეროვანი.

_ სუსტი და არარაობა, ალბათ, ამას გულისხმობთ. თქვენ ოცნებობთ, სერ, ან დამცინით. ღვთის გულისათვის, თავი დაანებეთ ირონიას!

_ მე ვაიძულებ მთელ ქვეყანას სცნოს შენი სილამაზე, _ განაგრძობდა ის, როდესაც მე თვით უდიდეს უხერხულობას განვიცდიდი მისი დაძაბული მეტყველებისაგან, რადგან ვგრძნობდი, ან თავს იტყუებდა, ან ცდილობდა მე შევეყვანე შეცდომაში.

_ მე მოვრთავ ჩემს ჯეინს სტავრითა და მაქმანით, ვარდებს ჩავაწნავ თმებში, თავზე კი, რომელიც ასე ძალიან მიყვარს, უძვირფასეს თავსაბურავს დავხურავ.

_ მაშინ ვეღარც მიცნობთ, სერ. მე უკვე თქვენი ჯეინ ეარი კი აღარ ვიქნები, არამედ გადავიქცევი მაიმუნად, ხუმარას სამოსელში, ჩხიკვად, ფარშევანგის ბუმბულში. ჩემთვის ისევე ძნელია წარმოვიდგინო საკუთარი თავი სასახლის სეფექალის ტანსაცმელში, როგორც თქვენ, მისტერ როჩესტერ, ბრწყინვალე თეატრალურ სამოსელში. მე, მაგალითად, თქვენ არა გთვლით ლამაზ მამაკაცად, სერ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარხართ. იმდენად ძლიერად მიყვარხართ, რომ თვალთმაქცობა არ ძალმიძს თქვენ წინაშე და გთხოვთ, ნურც თქვენ შეეცდებით ამას.

ის მის მიერ არჩეულ თემაზე საუბარს განაგრძობდა და ყურადღებაც არ მიუქცევია ჩემი სიტყვებისათვის: _ ეტლით დღესვე წაგიყვან მილკოტში, იქ რამდენიმე კაბას ამოირჩევ შენთვის და, როგორც უკვე გითხარი, ერთ თვეში ვიქორწინებთ. ჯვარს, აი, იქ, კარის ეკლესიაში დავიწერთ, ყველასგან მოშორებით, მშვიდად, და მაშინვე ლონდონს მივაშურებთ. იქ ძალიან ცოტა ხანს დავრჩებით და მერე ჩემს უძვირფასეს მეუღლეს წავიყვან სამხრეთის ქვეყნებში სამოგზაუროდ, სადაც ასე ბრწყინვალედ ანათებს მზე. მინდა ნახოს ფრანგული ვაზი და იტალიის დაბლობები, ყოველივე ის, რაც ესოდენ თვალწარმტაცად აღწერილია ძველ წიგნებში და საქვეყნოდ ცნობილია დღესაც. ის უნდა ეზიაროს დიდი ქალაქების ცხოვრებას და ისწავლოს საკუთარი თავის ფასი სხვებთან შედარებით.

_ ვიმოგზაურებ? და ისიც თქვენთან ერთად, სერ?

_ რამდენიმე ხანს ყველგან დავრჩებით: პარიზში, რომში, ნეაპოლში. მინდა იცნობდე ფლორენციას, ვენეციას და ვენას. ყველა ის ადგილები, სადაც ოდესღაც დავეხეტებოდი, მინდა შენც შემოგატარო. მინდა შენი სილფიდის ფეხი დაადგა იმ მიწას, სადაც ოდესმე გამივლია. თითქმის ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მე, თითქოს ნახევრად გონებაშეშლილმა, თავბრუდამხვევი სისწრაფით შემოვიარე ევროპის ქვეყნები. მაშინ თან მდევდა ზიზღი, სიძულვილი და გულარძნილობა. ახლა კი, სულიერად მთლად განწმენდილი

და განკურნებული, განმეორებით შემოვივლი იმავე ქვეყნებს ჩემი სულიერი სიმშვიდის შთამაგონებელ ანგელოზთან ერთად.

გავიცინე, როდესაც მან წინადადება დაამთავრა. _ ანგელოზი არა ვარ, _ ვუმტკიცებდი, _ და არც არასოდეს ვიქნები სიკვდილამდე. მე მხოლოდ ის ვიქნები, რაცა ვარ, მისტერ როჩესტერ, თქვენ არ უნდა მოელოდეთ და არც უნდა მომთხოვოთ ზეციურ ქმნილებას ვგავდე. მე ეს ისევე არ მომიხდება, როგორც თქვენ. რა თქმა უნდა, მე ამას თქვენგან სრულებითაც არ მოველი.

_ აბა, რას მოელი ჩემგან?

_ რამდენიმე ხნის შემდეგაც შეიძლება ისეთივე იყოთ, როგორც ახლა, მაგრამ ეს დიდხანს არ გასტანს. შემდეგ გული გაგიცივდებათ და ჟინიანობას დაიწყებთ. მერე კი გამკაცრდებით კიდეც და ძალიან დიდი ზრუნვა დამჭირდება, რომ როგორმე გასიამოვნოთ. მაგრამ, როდესაც კარგად შემეჩვევით, ალბათ, ისევ მოგეწონებით. დიახ, მოგეწონებით... ამას იმიტომ ვამბობ, რომ არ გეყვარებით უკვე. ასეთი მგზნებარე სიყვარული მხოლოდ ექვს თვეს ან უფრო ცოტა ხანს გაგყვებათ. მამაკაცთა მიერ დაწერილ წიგნებში წამიკითხავს, რომ ესეც საკმაოდ დიდი დროა ქმრების თავგამოდებული და აგზნებული სიყვარულისათვის. მაგრამ ბოლოს და ბოლოს იმასაც ვიმედოვნებ, როგორც თანამგზავრი და მეგობარი, არასოდეს თავმოსაბეზრებელი და საძულველი არ გავხდები ჩემი ძვირფასი პატრონისათვის.

_ საძულველი? და მერე ისევ მომეწონები? რა თქმა უნდა, რაც დრო გავა, მე უფრო და უფრო მომეწონები და გაიძულებ კიდეც გამოტეხით მითხრა, რომ არა მარტო მომწონხარ, არამედ მიყვარხარ ნამდვილი წრფელი სიყვარულით და გატაცებით.

_ ნუთუ ჭირვეული არა ხართ, სერ?

_ იმ ქალთა მიმართ, რომლებიც მხოლოდ სახით მომწონს, თითქმის სატანად გადავიქცევი ხოლმე, თუ შევამჩნევ, რომ მათ არც სული გააჩნიათ და არც გული, მაშინ მათში მხოლოდ მოსაწყენ საგნებს, ერთფეროვნებას, ქარაფშუტობას, უზრდელობას და ყველა ცუდ თვისებას ვამჩნევ. მაგრამ სიკეთით აღსავსე ნათელი თვალისა და მჭევრმეტყველი ენისათვის, მგზნებარე სულისა და დამყოლი ხასიათისათვის, რომელიც ამავე დროს მტკიცეა და ძლიერი, თუმცა ერთი შეხედვით მორჩილი და თვინიერი, მე მუდამ მგზნებარე და ერთგული ვიქნები.

_ შეგხვედრიათ ან ოდესმე გყვარებიათ ასეთი ადამიანი, სერ?

_ მე ახლა მიყვარს ის.

_ მაგრამ ჩემამდე? ნუთუ მართლა რაიმეთი ვგავარ იმ რჩეულ ქმნილებას?

_ არასოდეს არ შევხვედრივარ შენ მსგავს ადამიანს, ჯეინ. შენ მე უდიდეს სიამოვნებას მანიჭებ და თითქმის ბატონობ ჩემზე. ისე მეჩვენება, თითქოს ჩემს ძლიერ სულს იმორჩილებ, ამ დამყოლი ხასიათით განუსაზღვრელად მხიბლავ და როდესაც ამ ნაზ აბრეშუმის ძაფს ხელზე ვიხვევ, რაღაც გრძნობა ათრთოლებს ჩემს თითებს და ხელიდან გულს გადაეცემა. მე შენი გავლენის ქვეშ მოვექეცი და დაგმორჩილდი, მაგრამ გავლენა იმდენად ტკბილია, რომ

სიტყვებით არ ძალმიძს გადმოგცე ჩემი განცდები, ხოლო იმ ძალაში, რომლითაც დაიმორჩილე ჩემი სული, რაღაც მომაჯადოებელი სიხარულია, რომელიც ყველა ჩემ გამარჯვებაზე ძლიერია. რატომ იღიმები, ჯეინ? რას ნიშნავს შენი სახის ეს გაურკვეველი და იდუმალი გამომეტყველება?

_ მე ვფიქრობდი, სერ (მაპატიეთ რომ ასეთი აზრი დამებადა, ეს ჩემდა უნებურად მოხდა), დიახ, მე ვფიქრობდი ჰერკულესზე, სამსონზე და მათ მომჯადოებელ არსებათა შესახებ.

_ რასაკვირველია, ასეთ რამეზე იფიქრებდი, პატარა ჯადოქარო.

_ იყუჩეთ, სერ! თქვენ არც ისე ბრძნულად მსჯელობთ ამ წუთში და არც იმაზე უკეთესად იქცევით, ვიდრე ეს ჯენტლმენები მოიქცნენ. მაგრამ დაქორწინებისთანავე, ეჭვგარეშეა, როგორც მეუღლე მამაკაცთა წესია, ისინიც მთელი სიმკაცრით აინაზღაურებდნენ იმ ლმობიერებასა და სითბოს, რაც ქორწინებამდე გააჩნდათ. ვშიშობ, სწორედ ასეთი იქნებით თქვენც. ნეტავ როგორ მიპასუხებდით ერთი წლის მერე, რაიმე წყალობა რომ მეთხოვნა, თუ ის თქვენთვის სასარგებლო ან სასიამოვნო არ იქნებოდა.

_ ახლა მთხოვე რაიმე, ჯენიტ. თუნდაც სულ მცირე რამ. მე მსურს, მართლა მთხოვო.

_ მართლაც მინდოდა მეთხოვნა, სერ.

_ აბა, მითხარი! მაგრამ თუ შენ ასე დამიწყებ ყურებას და სახის ამგვარი გამომეტყველებით გამიღიმებ, ვფიცავ, ყველაფერზე, ალბათ, წინასწარვე დაგეთანხმები და ამით კი გამომასულელებ.

_ სრულებითაც არა, სერ, მხოლოდ ის უნდა გთხოვოთ, ნურავის გაგზავნით ძვირფასი ნივთების ჩამოსატანად. ნურც ვარდებით შემიმკობთ თავს. ეს იმას ჰგავს, ოქრომკედის მაქმანი შემოავლოთ ჯიბის მაგ უბრალო ცხვირსახოცს, რომელიც ხელში გიჭირავთ.

_ მე ხომ შემეძლო «ხალასი ოქროს მოვარაყება». ეს მე ვიცი. ამჯერად შეგისრულებ თხოვნას. წინასწარ გავუგზავნი ბრძანებას ბანკირს, მაგრამ შენ ხომ ჩემთვის ჯერ კიდევ არაფერი გითხოვნია. მხოლოდ ის გსურდა, საჩუქარზე უარი შემეთვალა. აბა, სცადე ახლა და მთხოვე რამე.

_ კეთილი, სერ, მაშინ მოწყალება მოიღეთ და დააკმაყოფილეთ ჩემი ცნობისმოყვარეობა. ერთი რამ ძალიან მაინტერესებს.

მის გამოხედვაში შეშფოთება შევნიშნე. _ რა, რა? _ მკითხა მან სწრაფად. _ ცნობისმოყვარეობა საშიში თვისებაა.

_ მაგრამ ამ თხოვნაში არაფერია საშიში, სერ.

_ თქვი, ჯეინ, მაგრამ მირჩევნია, რაღაც საიდუმლო ამბის გამოკითხვას ჩემი სამფლობელოს ნახევარი მთხოვო.

_ მაგრამ, მეფეო აჰასუერუს, რას ვაქნევ თქვენი სამფლობელოს ნახევარს? ხომ არ ფიქრობთ ებრაელი მევახშე ვიყო და რაც შეიძლება ხელსაყრელ პირობებს ვეძებდე ამქვეყნად ჩემი კაპიტალის დასაბანდებლად? ვირჩევდი რწმენა გქონოდათ ჩემდამი! თუ თქვენს გულში ადგილს დამითმობთ, მაშინ არც თქვენი ნდობა მომაკლდება.

_ მთელი ჩემი გულითა და სულით გენდობი, ჯეინ, მაგრამ ღვთის გულისათვის, ნუ ისურვებ უსარგებლო ტვირთის ზიდვას. ნუ ესწრაფვი საწამლავს.

_ რატომ არა, სერ? განა თქვენ არ აღიარეთ სულ ახლახან, რა ძალიან მოგწონთ ჩემდამი მორჩილება და რაოდენ სიამოვნებას განიჭებთ ის? ნუთუ არ ფიქრობთ, ჩემთვის ბევრად უმჯობესია ვისარგებლო თქვენი ასეთი აღსარებით და დავიწყო ალერსი, მუდარა, ტირილი. ხოლო თუ საჭირო გახდა, შემოგწყრეთ კიდეც, რათა გამოვცადო ჩემი ძალა?

_ ნებას გაძლევ, როგორი ცდაც გსურს, ისეთი ჩაატარო. აბა, შემომკადრე, გაბედე და თამაშიც დამთავრდება.

_ ასე ჩქარა დამთავრდება, სერ? თქვენ მალევე იშორებთ თავიდან თქვენს აზრს. რა მოღუშული გამოიყურებით ახლა? რატომ შეჰყარეთ წარბები და კოპები შეჰკარით შუბლზე? ახლა თქვენი შუბლი მაგონებს ერთ მეტად საოცარ ლექსში აღწერილ განრისხებულ ცას ჭექა-ქუხილის წინ, ალბათ ასეთი იქნება თქვენი გამოხედვა ჯვრისწერის შემდეგ, არა, სერ?

_ მაგრამ თუ თქვენც ასეთივე იქნებით ქორწინების შემდეგ, მე, როგორც ქრისტიანი, ვალდებული ვიქნები შევწყვიტო ყოველგვარი ურთიერთობა ასეთ წყლის ჯადოქარსა და სალამანდრასთან, მაგრამ რა უნდა გეკითხა, ქალო? თქვი, ჩქარა.

_ აი, ახლა კი ზრდილობიანიც აღარა ხართ და მეც მლიქვნელობას ბევრით ეს უხეშობა მირჩევნია. მე უფრო უტიფარი ქმნილება გახლავართ, ვიდრე ანგელოზი. ახლა კი მისმინეთ, რის თქმაც მსურდა: რისთვის ცდილობდით დაგერწმუნებინეთ, რომ თითქოს მის ინგრემის შერთვა გქონდათ გადაწყვეტილი?

_ მხოლოდ ეს უნდა გეკითხათ? ღმერთო ჩემო, ეს ხომ არც ისე ცუდია.

მან შეჭმუხნილი წარბები გახსნა, დაბლა დაიხედა, გაიღიმა, და ჩემს თმებს ხელი გადაუსვა. ჩანდა, დიდად ნასიამოვნები იყო იმის შეგნებით, რომ რაღაც განსაცდელს ასცდა.

_ ვფიქრობ, ახლა დასაშვებია გამოგიტყდეთ, _ განაგრძო მან. _ თუმცა, შესაძლებელია, ცოტაოდენი აღშფოთება გამოვიწვიო შენში, ჯეინ, ისიც ვიცი, როგორ ცეცხლივით აენთები ხოლმე, თუ გაჯავრებული ხარ რაიმეზე. წუხელ მთვარის შუქზე შევნიშნე, თითქმის იწვოდი ასეთ გრილ ღამეში, როცა ბედის წინააღმდეგ გაიბრძოლე და მარწმუნებდი, რომ თანასწორუფლებიანნი ვართ. სხვათა შორის, ჯენიტ, ეს წინადადება შენ მომეცი.

_ რასაკვირველია, მე მოგეცით. მაგრამ მოდით, თუ შეიძლება, პირდაპირ საქმეს დავუბრუნდეთ. სერ, რას იტყვით მის ინგრემზე?

_ კეთილი, თავს ისე გიჩვენებდით, თითქოს მის ინგრემს ვეტრფოდი. იმიტომ, რომ მსურდა ისევე თავდავიწყებით გყვარებოდი, როგორც მე შემიყვარდი. ეჭვიანობა კი ასეთ შემთხვევაში ყველაზე საიმედო მოკავშირედ მიმაჩნდა და მისთვის ვუხმობდი დასახმარებლად.

_ შესანიშნავია. ახლა სულ დაპატარავდით ჩემს თვალში. ერთი ნამცეცითაც არ აღემატებით ჩემი ნეკა თითის ფრჩხილს. რა განუზომელი სირცხვილია! რა დამამცირებელია ადამიანის ასეთი საქციელი! განა მის ინგრემის გრძნობებზე არ ფიქრობდით, სერ?

_ მთელი მისი გრძნობიერება მხოლოდ სიამაყეა. ამ სიამაყეს კი დამორჩილება სჭირდება. ეჭვიანობდი, ჯეინ?

_ მოდით, ამას თავი დავანებოთ, მისტერ როჩესტერ. ამის ცოდნა თქვენთვის საინტერესო არ არის. ერთხელ მაინც მიპასუხეთ მთელი გულწრფელობით, გჯერათ, რომ მის ინგრემი არ დაიტანჯება ამ უსულგულო საქციელით? აიტანს განა, რომ მიატოვეთ და გააუბედურეთ?

_ ეს შეუძლებელია! მე ხომ უკვე გიამბე, რომ მას ჩემს ხელმოკლეობაზე ფიქრმა გული გაუცივა და სიყვარულის ცეცხლიც სწრაფად ჩაუქრო.

_ თქვენ მეტისმეტად უცნაური და მაცდური გონების პატრონი უნდა იყოთ, სერ. ვშიშობ, თქვენი ზრახვებიც ზოგიერთ საკითხში მეტად ექსცენტრულია.

_ ჩემი გონების გაწაფვით არავინ დაინტერესებულა, ჯეინ, შესაძლებელია ასეთი ყურადღების სურვილსა და ლოდინში ჩემმა აზრებმაც ცოტაოდნად სხვა მიმართულება მიიღეს.

_ერთხელ კიდევ მითხარით სერიოზულად, შემიძლია თუ არა დავტკბე იმ უდიდესი ბედნიერებით, რომელიც წილად მხვდა? ამასთანავე, არ მინდა მუდამ შიში მაკრთობდეს, რომ ვინმე ჩემ გამო უზომოდ იტანჯება.

_ შეგიძლია, ჩემო კარგო პაწაწინა გოგონი. ამქვეყნად არავინ მოიძებნება ისეთი, რომელსაც ისე წმინდა გრძნობით ვუყვარდე, როგორც შენ. «ეს სანუგეშო საცხებელი ამ ჩემს იარას» მალამოსავით ედება და შენს სიყვარულში რწმენას მიმტკიცებს.

თავი მოვაბრუნე და მის ხელს დავეკონე, რომელიც ჩემს მხარზე ედო. მე ის ძალიან მიყვარდა, _ უფრო მეტად, ვიდრე გამოთქმა შემეძლო და უფრო ძლიერადაც, ვიდრე საერთოდ სიტყვებს შესწევთ ძალა გადმოსცენ ეს გრძნობა.

_ მთხოვე კიდევ რაიმე, _ მითხრა მან უცებ; _ ძალიან მსიამოვნებს, როდესაც რაიმეს მთხოვ და მეც გეთანხმები.

სათხოვარი კვლავ მზად მქონდა. _ სერ, აცნობეთ თქვენი განზრახვა მისის ფეიერფექსს. მან წუხელ დერეფანში თქვენთან ერთად დამინახა და შეშფოთდა. გთხოვთ, შეატყობინოთ ყველაფერი, სანამ კვლავ შევხვდები მას. ძალიან მიმძიმს, რომ ეს კეთილი ქალი სულ სხვანაირად გამიგებს ყოველივეს.

_ წადი შენს ოთახში და ქუდი დაიხურე, _ მითხრა მან. _ ამ დილით მილკოტში ჩემთან ერთად წამოხვალ, ხოლო სანამ სამგზავროდ მოემზადებოდე, მე ყველაფერს შევატყობინებ მოხუც ლედის. ნუთუ ფიქრობს, ჯენიტ, რომ შენ ყველაფერი გასწირე სიყვარულისათვის და სინანულსაც კი არ განიცდი?

_ დარწმუნებული ვარ ის ფიქრობს, რომ მე დამავიწყდა როგორც ჩემი, ისე თქვენი მდგომარეობა, სერ.

_ მდგომარეობა, საზოგადოებრივი მდგომარეობა, შენი ადგილი, არა? შენი ადგილი ახლა ჩემს გულშია და ძვირად დავუსვამ მათ, ვინც შეურაცხყოფის მოყენებას განიზრახავს ამიერიდან. წადი, ახლა.

მალე ჩავიცვი და როდესაც გავიგონე, მისტერ როჩესტერი მისის ფეიერფექსის ოთახიდან გამოვიდა, სწრაფად იქით გავეშურე. ეტყობოდა, მოხუცი ქალი დილისთვის განკუთვნილ ლოცვებს კითხულობდა, რადგან ეს მის ყოველდღიურ საქმიანობაში შედიოდა. ბიბლიაც ჯერ ისევ გადაშლილი ედო წინ და სათვალეც გადაშლილი წიგნის ფურცლებზე შევნიშნე. ჩანდა, მისტერ როჩესტერის მიერ ნათქვამ ახალ ამბავს შეეჩერებინა და საყვარელი საქმიანობაც კი დაევიწყებინა მისთვის. თვალები მოპირდაპირე ცარიელი კედლისათვის მიეპყრო და შიგ განცვიფრება ეხატებოდა. მისი მშვიდი გონება ამ უჩვეულო ახალ ამბავს შეეშფოთებინა. დამინახა თუ არა, წამოდგა და თავს ძალა დაატანა, ღიმილით შემგებებოდა. როგორღაც შეარჩია მოსალოცად რამდენიმე სიტყვა, მაგრამ ღიმილი ბაგეზე დააკვდა და სიტყვებიც ვერ დაამთავრა. სათვალე აიღო, ბიბლია დახურა და თავისი სავარძელი მაგიდიდან უკან დასწია.

_ ძალიან განცვიფრებული ვარ, _ დაიწყო მან, _ არც კი ვიცი, რა უნდა გითხრათ, მის ეარ. თითქოს ძილ-ბურანში არ უნდა ვიყო, არა? არის ხოლმე წუთები, თუ მარტო ვზივარ, ჩამთვლემს და მაშინ მეჩვენება ის, რაც არასოდეს ყოფილა. როდესაც რამდენიმეჯერ ასე ვთვლემდი, მომეჩვენა, თითქოს ჩემი ძვირფასი მეუღლე შემოვიდა, რომელიც დაახლოებით თხუთმეტი წლის წინათ გარდაიცვალა და ჩემ გვერდით დაჯდა. მაშინ მე გავიგონე, რომ მან სახელიც კი დამიძახა: _ ალის, _ როგორც ჩვეულებრივ უყვარდა დაძახება. ნუთუ მართალია ისიც, რომ მისტერ როჩესტერს თქვენი შერთვა უნდა და წინადადებაც მოგცათ? ნუ დამცინებთ, მაგრამ ხუთი წუთი აკლდა, რომ ერთ თვეში თქვენ მისი მეუღლე იქნებით.

_ მან იგივე განმიცხადა მეც, _ ვუპასუხე მე.

_ გითხრათ და თქვენც დაუჯერეთ? დაეთანხმეთ კიდეც?

_ დიახ.

მან დაბნეულად შემომხედა.

_ ამას არასოდეს ვიფიქრებდი, ის ძალიან ამაყი კაცია. მათი გვარის ყველა წარმომადგენელი ასეთი ამაყი იყო. მის მამას ფული ძალიან უყვარდა და ამასაც მეტად ფრთხილ ადამიანს ეძახიან ამ საქმეში. ნუთუ ის მართლა აპირებს თქვენზე ჯვარის დაწერას?

_ ასე განმიცხადა და.

მოხუცმა თავით ფეხებამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერა. მის თვალებში ამოვიკითხე, რომ მან ჩემში ის მომხიბვლელობა ვერ შენიშნა, რომელიც ამ ამოცანას აუხსნიდა.

_ საოცარია, ვერ გამიგია, _ განაგრძობდა ის, _ მაგრამ ალბათ ეს ასეა, რადგან თქვენ ამბობთ. მაგრამ, რა მოჰყვება ყოველივე ამას, არ შემიძლია გითხრათ. მართლაც, არ ვიცი, რა უნდა ვთქვა. როდესაც ქონებრივი და წოდებრივი

მდგომარეობა ერთნაირია, ასეთ შემთხვევაში, ქორწინება უფრო მიზანშეწონილია. გარდა ამისა, თქვენს წლოვანებაში სხვაობა თითქმის ოცი წელია, ის უფრო მამად შეგეფერებათ.

_ არა, რას ბრძანებთ, მისის ფეიერფექს! _ წამოვიძახე გაგულისებულმა. _ სრულებითაც არ შემეფერება მამად. ვინც არ უნდა გვნახოს ერთად, ერთი წუთითაც ვერ წარმოიდგენს ასეთ რამეს. მისტერ როჩესტერი ისე ახალგაზრდად გამოიყურება, რომ მხოლოდ ოცდახუთი წლისას ჰგავს.

_ მითხარით გულწრფელად, რადგან უყვარხართ, მხოლოდ იმიტომ გირთავთ? _ მკითხა მან შემდეგ.

მისმა გულცივობამ და უნდობლობამ ისე ამაღელვა, რომ თვალები ცრემლებით ამევსო.

_ მაპატიეთ, რომ ასე დაგამწუხრეთ, _ განაგრძო ქვრივმა, _ მაგრამ თქვენ ისე ახალგაზრდა ხართ და ისე ნაკლებად იცნობთ მამაკაცთა ბუნებას... მინდოდა შთამეგონებინა, რომ საკუთარი თავის დაცვა შეძლოთ. ძველი ანდაზაა: _ ყველაფერი ოქრო არ არის, რაც ბრწყინავს, _ და აი, ამ შემთხვევაშიც, ვშიშობ, რომ ყველაფერი შესაძლებელია სულ სხვაგვარად დამთავრდეს, ვიდრე ჩვენ ველით.

_ რატომ? განა ისეთი გონჯი ვარ? _ ვკითხე მე, _ განა შესაძლებელი არ არის, მისტერ როჩესტერს წრფელი სიყვარულით ვუყვარდე?

_ არა, თქვენ მშვენიერი ხართ და ამ ბოლო დროს თანდათან ლამაზდებით. იმასაც გეტყვით, მისტერ როჩესტერსაც ძალიან უყვარხართ, ყოველთვის ვამჩნევდი, როგორ გეალერსებოდათ. იყო წუთებიც, როდესაც ის განსაკუთრებულ უპირატესობას განიჭებდათ. მინდოდა ასეთ დროს გამეფრთხილებინეთ, რომ თავდავიწყებამდე არ მისულიყავით, მაგრამ ამ ამბის შესახებ გადაკრული საუბარიც კი შეუძლებლად მიმაჩნდა; ვგრძნობდი, ის აღგაშფოთებდათ და შეურაცხყოფას მოგაყენებდათ. ამასთანავე, იმასაც ვამჩნევდი, თქვენ ისეთი თავდაჭერილი, გონიერი და მოხერხებული საქციელი გქონდათ, სრულიად დარწმუნებული ვიყავი, ძალიან კარგად შეძლებდით საკუთარი თავის დაცვას. არ შემიძლია აგიწეროთ ის ტანჯვა, რაც თავს გასულ ღამეს გადამხდა, როდესაც მთელ სახლში გეძებდით და ვერსად გიპოვეთ, ვერც თქვენ და ვერც მისტერ როჩესტერი. მერე კი ღამის თორმეტ საათზე მასთან ერთად მოხვედით.

_ მაგრამ ამ ამბავს მნიშვნელობა აღარა აქვს ახლა, _ შევაწყვეტინე მე მოუთმენლად, _ ისიც საკმარისია, რომ ყველაფერი რიგზეა.

_ იმედი მაქვს, ყველაფერი საბოლოოდ რიგზე იქნება, _ მითხრა მან, _ მაგრამ, მერწმუნეთ, დიდი სიფრთხილეა საჭირო. ეცადეთ და დიდ სიახლოვეს ნუ იქონიებთ მისტერ როჩესტერთან. ნუ ენდობით ნურც თქვენს თავს, ნურც მას. მისი მდგომარეობის ადამიანები ჩვეულნი არ არიან აღმზრდელ ქალებზე დაიწერონ ჯვარი.

მე უკვე ნამდვილად ვღელავდი, მაგრამ, საბედნიეროდ, ადელმა შემოირბინა.

_ წამიყვანეთ, მეც წამიყვანეთ მილკოტში! _ გაიძახოდა ის, _ მისტერ როჩესტერს არ უნდა ჩემი წამოყვანა. იცით, რამოდენა თავისუფალი ადგილია ახალ ეტლში? სთხოვეთ, მადმუაზელ, ნება დამრთოს, მეც თქვენთან ერთად წამოვიდე.

_ რასაკვირველია, ვთხოვ, ადელ, _ ვუპასუხე და მასთან ერთად სწრაფად გავეშურე მისტერ როჩესტერისაკენ, გახარებული იმით, რომ საშუალება მომეცა ახლა მაინც გავცლოდი ჩემს პირქუშ მრჩეველს. ეტლი მზად იყო. მეეტლე მას უკვე სადარბაზო შესასვლელი კარების წინ აყენებდა. ჩემი პატრონიც ამ დროს ქვაფენილზე მიმოდიოდა და პაილოტიც უკან დასდევდა.

_ ადელი ხომ შეიძლება ჩვენთან ერთად წამოვიდეს, სერ, არა?

_ მე მას უკვე გამოვუცხადე, რომ არა. მე ბავშვები არ მიმყავს თან, მხოლოდ შენ მიმყავხარ.

_ ძალიან გთხოვთ, ნება დართოთ წამოვიდეს, სერ, მგონია, ასე აჯობებს.

_ სრულებითაც არა, ის გაგვაწვალებს თავისი საქციელით, _ ახლა მის გამოხედვასა და ხმაში მხოლოდ ბრძანება გაისმოდა. მისის ფეიერფექსის გულგამგმირავმა გაფრთხილებებმა და მისმა საშინელმა ეჭვებმა გამაბრუეს და უკვე ურწმუნო გრძნობებსა და გაურკვევლობას თავის რკალში მოექციათ ჩემი იმედებიც. მისტერ როჩესტერზე გავლენის მოხდენის ფიქრი გაქრა და თითქოს მექანიკურად ვემორჩილებოდი მას ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. ხოლო, როდესაც ეტლში ჩაჯდომას მშველოდა, სახეზე დამაკვირდა და მკითხა:

_ რა მოხდა, ჯეინ? სიხარული მთლად ჩამქრალა შენს თვალებში. მართლა ასე ძალიან გინდა, რომ ბავშვი წამოვიდეს? ნუთუ ასე გაწუხებს მისი სახლში დატოვება?

_ მირჩევნია, წამოვიდეს, სერ.

_ მაშ გაიქეცი, ქუდი დაიხურე და თვალის დახამხამებაში აქ გაჩნდი, _ გადასძახა მან ადელს.

ბავშვი მის ბრძანებას დაემორჩილა და თითქმის გაფრინდა.

_ ბოლოს და ბოლოს ერთი გაცდენილი დილა არაფერს ნიშნავს, _ თქვა მან, _ რადგან უახლოეს მომავალში ვაპირებ შენი ფიქრებისა და თვით შენი ბატონ-პატრონი გავხდე და მთელი სიცოცხლის მანძილზე გითანამგზავრო.

ადელი ჩაჯდა თუ არა ეტლში, კოცნა დამიწყო. ამ გზით ცდილობდა გამოეხატა მადლობა იმ შუამდგომლობისათვის, რომელიც მე გავუწიე. მისტერ როჩესტერმა კი ის მეორე მხარეს მოისვა და კუთხეში მიმალა, თანაც ისე გაუნძრევლად იჯდა და ზღუდესავით აღმართულიყო მის წინ, რომ ბავშვი ძლივსღა იჭვრიტებოდა იქით, რომელ მხარესაც მე ვიჯექი. როდესაც მისტერ როჩესტერი ასე მიუკარებლად იქცეოდა, ბავშვი ვერ ბედავდა ჩურჩულით მაინც წარმოეთქვა თავისი დაკვირვების შედეგად გამოტანილი აზრები ან ეკითხა მისთვის რაიმე.

_ ნება მიეცით ადელს ჩემ გვერდით დაჯდეს, სერ, _ შევევედრე მისტერ როჩესტერს. _ ის იქნებ გაწუხებთ კიდეც, აქეთ საკმაოდ დიდი ადგილია.

მან ბავშვი ისე აიყვანა ხელში და მომაწოდა, თითქოს ოთახის ფინია ძაღლი ყოფილიყო.

_ აუცილებლად გავგზავნი მას სკოლაში, _ თქვა მან, მაგრამ ახლა უკვე ღიმილით.

ადელმა გაიგონა თუ არა ეს სიტყვები, ჰკითხა: _ სკოლაში განა უმადმუაზელოდ მგზავნითო?

_ დიახ, _ უპასუხა მან, _ სწორედაც უმადმუაზელოდ. ვაპირებ მადმუაზელი მთვარეზე წავიყვანო, იქ თეთრ ველებსა და ვულკანებს შორის გამოქვაბულს ვიპოვი და მხოლოდ ჩემთან იქნება მარტოდმარტო.

_ საჭმელი რომ არაფერი ექნება? თქვენ, ალბათ, აშიმშილებთ მას, სერ. _ შენიშნა ადელმა.

_ დილით და საღამოთი ციურ მანანას შევაგროვებ. მთვარეზე მინდვრები და მთის ფერდობები ციურ მანანებითაა გადათეთრებული, ადელ.

_ გათბობა რომ მოუნდეს, სად გათბება, რა უნდა დაანთოს?

_ მთვარეზე მთები ცეცხლს აფრქვევენ, როცა შესცივდება, მწვერვალზე ავიყვან და ვულკანის ყელთან დავაწვენ.

_ ო, როგორ ცუდად იგრძნობს თავს იქ! ტანსაცმელი? რაც აქვს, ხომ დაუცვდება, როგორ იშოვის ახლებს?

მისტერ როჩესტერს ნათლად დაეტყო განცვიფრება. _ ჰმ! _ თქვა მან. _ რას იზამს, ადელ? აბა, ერთი გონებას ძალა დაატანე და მოიფიქრე: როგორი იქნება თეთრი ან ვარდისფერი ღრუბლების კაბა და ცისარტყელასფერი სიფრიფანა შარფი.

_ ის ასე უფრო ლამაზია, _ დაასკვნა ადელმა რამდენიმე ხნის ფიქრის შემდეგ. _ გარდა ამისა, ხომ მოსწყინდება მთვარეზე მარტოდმარტო თქვენთან ერთად ყოფნა. მე რომ მის ადგილას ვიყო, არ დაგეთანხმებოდით იქ გამგზავრებაზე.

_ ის კი დამეთანხმა და სიტყვაც მომცა.

_ მაინც ვერ წაიყვანთ იქ. გზა ხომ არ არის მთვარეზე ასასვლელი, იქამდე მხოლოდ ჰაერია. თქვენ კი არც ერთს ფრენა არ შეგიძლიათ.

_ ადელ, გახედე აი, იმ მინდორს. _ ჩვენ ახლა უკვე თორნფილდის ალაყაფის კარის გარეთ ვიყავით და მილკოტისაკენ მიმავალ სწორ გზაზე მივიჩქაროდით. წინაღამინდელ ქარიშხალსა და წვიმას გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებული დაბალი ღობისა და კელაპტრებივით მაღლა აზიდულ ხის ფოთლებზე მტვერი მთლად გადაერეცხა და ახლა მწვანედ ხასხასებდნენ.

_ სწორედ, აი, ამ მინდორში, ადელ, ასე დაახლოებით ორი კვირის წინათ დაგვიანებული ვბრუნდებოდი ერთ საღამოს. აი, იმ საღამოს, როცა შენ ხეხილის ბაღთან, მდელოზე, ბალახის გათიბვას მშველოდი. ბოლოს, როცა გამონათიბის ფოცხვით დავიღალე, დასასვენებლად გადასაბიჯზე ჩამოვჯექი. პატარა წიგნაკი და ფანქარი ამოვიღე და წერა დავიწყე: ვწერდი რვეულში მოგონებებს იმ უბედურების შესახებ, რომელიც ძალიან დიდი ხნის წინათ დამატყდა თავს. მაგრამ იქვე ვწერდი იმ ბედნიერ დღეებზეც, რომელთა

მოსვლასაც ასე გულით ვნატრობდი. ვჩქარობდი, რადგან დღის სინათლე თანდათან ილეოდა და ოდნავღა დანათოდა ფურცლებს. სწორედ ამ დროს სრულიად უცხო არსება გამოჩნდა ბილიკზე და ორი იარდის მოშორებით ჩემს იქით შეჩერდა. დავაკვირდი მას და ბინდბუნდში გავარჩიე: ის იყო პატარა ქმნილება, რომელსაც თავზე ობობას ქსელივით გამჭვირვალე შარფი ეხვია. თავი დავუქნიე, რომ ჩემთან უფრო ახლოს მოსულიყო. ის მომიახლოვდა და სულ ახლოს ჩემს მუხლებთან შეჩერდა. არც მას და არც მე ერთი სიტყვაც არ წარმოგვითქვამს, მაგრამ ერთმანეთის თვალებში გარკვევით ვკითხულობდით ყველაფერს და აი, რა გამოირკვა ამ უხმო საუბრიდან:

ეს იყო ეგრეთ წოდებული ჯადოსნური სამყაროდან მოვლენილი ფერია, ამქვეყნად ჩემთვის ბედნიერების მოსატანად წარმოგზავნილი. მე უნდა გავყვე მას ამ სამყაროდან სადღაც შორს, განმარტოებულ ადგილას, აი, როგორც მთვარეა, მაგალითად. ფერიაც მაშინ თავს მიქნევდა და მთვარეზე მანიშნებდა, რომელიც ჰეის გორაკებს იქით ამოიწვერა. ის მიყვებოდა ვერცხლისფერ მდელოსა და ალებასტრის გამოქვაბულზე, სადაც შეგვეძლებოდა ცხოვრება. სურვილი გამოვთქვი, რომ ძალიან მინდოდა წასვლა, მაგრამ მოვაგონე: როგორც შენ მე წეღან, რომ ფრთები არ გამაჩნდა.

_ ოჰ, _ მიპასუხა ფერიამ, _ ეს არაფერს ნიშნავს. აი, თილისმა, რომელიც ყველა სიძნელეს გადაგალახვინებთ. _ ამ სიტყვებით მან ოქროს ლამაზი ბეჭედი ამოიღო და მითხრა: _ გაიკეთეთ ის მეოთხე თითზე, _ და მარცხენა ხელზე მიმითითა. _ ამიერიდან მე თქვენი ვიქნები. თქვენ კი _ ჩემი. ჩვენ დავტოვებთ დედამიწას და შევქმნით ჩვენს ზეციურ სავანეს. ახლა ეს ბეჭედი, ადელ, შარვლის ჯიბეში მაქვს შენახული, როგორც საჩუქარი, მაგრამ იმედი მაქვს, ის მალე ისევ ოქროს ბეჭდად გადაიქცევა.

_ მაგრამ მადმუაზელს რა დამოკიდებულება აქვს ყოველივე ამასთან. მე სულაც არ ვფიქრობ ფერიებზე. თქვენ თქვით, რომ მადმუაზელის წაყვანას აპირებდით მთვარეზე, არა?

_ ეს ფერია მადმუაზელია, _ თქვა მან რაღაც საიდუმლო ჩურჩულით. ამის შემდეგ ბავშვს ვუთხარი, ყური აღარ ეთხოვებინა მისი მასხრობისათვის. ადელმა მისტერ როჩესტერს ნამდვილი ფრანგული უნდობლობა გამოუცხადა და მატყუარაც უწოდა. ამასთანავე არწმუნებდა, ერთი წუთითაც არ იჯერებდა მის მონათხრობ ამბებს ფერიებზე, რადგან იცოდა, რომ ისინი არ არსებობდნენ ამქვეყნად.

_ თუნდაც რომ არსებობდენო, _ ამბობდა ბავშვი, _ არც ერთი მათგანი არ გამოცხადდებოდა თქვენ წინაშე, არ მოგცემდათ ბეჭედს, არც იმას შეგთავაზებდათ, მარტოდმარტო გეცხოვრათ მთვარეზე მასთან ერთადო.

ის დრო, რაც მილკოტში გავატარეთ, ჩემთვის მეტად შემაშფოთებელი აღმოჩნდა. მისტერ როჩესტერმა მაიძულა შევსულიყავით აბრეშუმის ქსოვილების ერთ-ერთ საუკეთესო მაღაზიაში და თითქმის მიბრძანა ამომერჩია ჩემთვის ექვსი აბრეშუმის საკაბე. მე საერთოდ ჩაცმა-დახურვის დიდი მოყვარული არ ვიყავი და ვთხოვდი, სხვა დროისათვის გადაედო.

_ არა, ყველაფერი ახლავე უნდა შემისრულო, _ მეუბნებოდა ის.

ბოლოს დაჟინებული ჩურჩულით იმდენს ვემუდარებოდი, ექვსი ორამდე ჩამოვაყვანინე, მაგრამ ეს ორი კი დაიფიცა, თავად უნდა ამოერჩია. დიდი მღელვარებით ვადევნებდი თვალს მის მზერას, როდესაც მაღაზიის თაროებს ათვალიერებდა. არჩევანი ამეთვისტოსფერ ყველაზე ძვირფას აბრეშუმის და ვარდისფერ სტავრაზე შეაჩერა. მე კი კვლავ ვეჩურჩულებოდი, რომ უმჯობესი იქნებოდა, ბარემ ოქროს კაბა და ვერცხლის ქუდი ეყიდა, თორემ მის არჩეულ ტანსაცმელს აღარასოდეს არ ჩავიცვამდი. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, რადგან ძალიან გაჯიუტდა და ქვასავით უტეხი გახდა, დავარწმუნე, შეეცვალა ეს ქსოვილები შავ, მაგრამ დაწინწკლულ სტავრასა და მოლივლივე ვერცხლისფერ აბრეშუმზე.

_ დღეისათვის ასე იყოს, _ მითხრა მან; _ მაგრამ, როგორც ჩანდა, მომავალში კი მაიძულებდა ყვავილნარივით ფერად-ფერადი სამოსი ჩამეცვა.

გამიხარდა, როდესაც ქსოვილების და ოქრომჭედლების მაღაზიიდან გამოვიყვანე. რაც უფრო მეტს ყიდულობდა, მით უფრო მიწვავდა სახეს მღელვარება და დამამცირებელი გრძნობა. როდესაც კვლავ ეტლში ჩავსხედით და დაქანცული და ილაჯგაცლილი საზურგეს მივეყრდნე, მხოლოდ მაშინღა გამახსენდა ჩემი ბიძის ეარის წერილი მისის რიდისადმი; როგორც ჩანდა, ბიძას გადაწყვეტილი ჰქონდა თავის მემკვიდრედ გამოვეცხადებინე. _ «ეს ხომ უდიდეს შვებას მაგრძნობინებს, _ ვფიქრობდი ჩემთვის, _ ცოტაოდენი დამოუკიდებლობის ნებას მაინც მომცემს. არ შემიძლია იმის ატანა, რომ მისტერ როჩესტერმა ასე დედოფალივით მომრთოს. მე კი მეორე დანაიასავით გულხელდაკრეფილი ვიჯდე და თავზე ოქროს წვიმა მაწვიმდეს. როგორც კი შინ დავბრუნდები, მაშინვე მივწერ ჩემს ბიძას მადეირაზე. შევატყობინებ, რომ ჯვარს ვიწერ და იმასაც მივწერ, ვისზეც. თუკი იმის იმედი მექნება, რომ ერთ მშვენიერ დღეს შემეძლება სულ მცირე საკუთარი თანხა მაინც მივუმატო მისტერ როჩესტერის შემოსავალს, უფრო ადვილად ავიტან, რომ ის მინახავს ახლა. ამ აზრმა ცოტაოდნად დამამშვიდა (გადავწყვიტე, განზრახვა იმ დღესვე მომეყვანა სისრულეში). ახლა უფრო ადვილად შევხედე და თვალი გავუსწორე ჩემს პატრონსა და სატრფოს, რომელიც დაჟინებით ეძებდა ჩემს გამოხედვას. უნდა ვთქვა, მე ჩემდათავად თვალს ვარიდებდი როგორც მის სახეს, ისე მის გამოხედვას. მან კი გამიღიმა და მე ვიფიქრე, რომ მისი ღიმილი თვითკმაყოფილი სულთანის ღიმილს ჰგავდა, რომელმაც თავისი მონა დაასაჩუქრა და ოქროთი და ძვირფასი ნივთებით გაამდიდრა. ხელი ვკარი მის ხელს, რომელიც ჩემსას დაეძებდა, თანაც ისე ძლიერად, რომ ხელი მთლად გაუწითლდა, იმდენად გაგულისებული და შეშფოთებული ვიყავი.

_ ნუ მიყურებთ ასე, _ ვითხარი მე, _ ხოლო, თუ მაინც არ მოიშლით, მაშინ მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე არ ჩავიცვამ არც ერთ კაბას, გარდა ჩემი ძველი ლოვუდში შეკერილი კაბისა. იმ იასამნისფერ უბრალო ხელოვნურ აბრეშუმის კაბაში დავიწერ ჯვარს. თქვენ შეგიძლიათ ამ მოლივლივე

ვერცხლისფერი აბრეშუმის ქსოვილისაგან ხალათი შეიკეროთ და მაგ შავ სტავრაშიაც რამდენიმე ჟილეტი გამოგივათ.

მან ჩუმად ჩაიცინა: ხელების მტვრევას მოჰყვა და მერე წამოიძახა:

_ განა სასწაული არ არის მისი ყურება და სმენა! განა ის მეტად თავისებური არ არის? და თავისი პიკანტურობით უზომოდ არ ხიბლავს ადამიანს? ვერ გავცვლიდი ამ ერთ პატარა ინგლისელ ასულს ნიამორის თვალთა, ჰურიის სწორნაკვთა ქალთა და სხვა მათ მსგავსთა თურქეთის სულთნის სერალის ლამაზმანებში.

აღმოსავლური სილამაზის გადაკვრით ხსენებამ მწარედ გამკენწლა.

_ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სრულებით არ ვაპირებ სასახლის ლამაზმანთა მაგივრობა გაგიწიოთ, სერ, _ ვუპასუხე მე, _ თუ ასეთი განზრახვა გაქვთ, დაუყოვნებლივ გაეშურეთ სტამბოლს. შეგიძლიათ იქ მონებით სავაჭრო ფართო ბაზარზე დახარჯოთ დანაზოგი თანხა, რომელიც არ იცით, როგორ უნდა გამოიყენოთ აქ.

_ თქვენ რას იზამდით, ჯენიტ, როცა მე ამ ურიცხვ ხორცსავსე სხვადასხვა ჯიშის შავთვალა ასულთა შევაჭრებას გავაჩაღებდი?

_ მისიონერად მოვემზადებოდი. რათა პირველ რიგში თავისუფლების სიყვარული მექადაგა თქვენი ჰარამხანის მკვიდრი მონა ქალებისათვის. შევიჭრებოდი იქ და ამბოხებას მოვაწყობდი. თქვენ კი, სამკუდიანო ფაშავ, სამმაგად შებორკილი აღმოჩნდებოდით ჩვენს ხელში. მანამდე არ დავეთანხმებოდი მოეხსნათ ბორკილები თქვენთვის, სანამ ხელს არ მოაწერდით ყველაზე ლიბერალურ მანიფესტს, როგორიც კი ოდესმე რომელიმე მტარვალს დაუშვია.

_ დაველოდებოდი თქვენს წყალობას, ჯეინ.

_ შეწყალების იმედი არ უნდა გქონოდათ. სერ, თუ თქვენ თავს ნებას მისცემდით ისეთი თვალებით შემოგეხედნათ ჩემთვის, როგორც აი, ახლა. დარწმუნებული ვარ ასეთი ძალადობის შემდეგ რა მანიფესტიც არ უნდა გამოსცეთ, პირველი, რასაც თქვენ ჩაიდენთ თავისუფლების მონიჭების შემდეგ, ის იქნება, რომ შელახავთ და არ შეასრულებთ იქ ჩამოთვლილ პირობებს.

_ რატომ ამბობ ამას, ჯეინ, რას გულისხმობ ამით? ვშიშობ, შენ გინდა მაიძულო ჯვარი არა მარტო ეკლესიაში საკურთხევლის წინ დავიწერო, არამედ ჩვენი ქორწინება ნოტარიუსის კანტორაში დავადასტურო. ალბათ დაჟინებით მომთხოვ, რაღაც განსაკუთრებულ სახელშეკრულებო პირობებს. როგორია ისინი მაინც?

_ მინდა სრულიად თავისუფალი ვიყო, სერ, და არა რაღაც ურიცხვი მოვალეობებით შეზღუდული. გახსოვთ თუ არა, რა თქვით სელინ ვარენსზე? _ ან იმ ბრილიანტებსა და ქიშმირის საკაბეებზე, რომელიც მასთან მიგქონდათ საჩუქრად. მე არ ვიქნები თქვენი ინგლისელი სელინ ვარენსი. მსურს ისევ შრომა განვაგრძო, როგორც ადელის აღმზრდელმა ქალმა. ამით მე გამოვიმუშავებ თავის შესანახსა და ბინის გადასახადს, გარდა ამისა, ოცდაათ

გირვანქა სტერლინგს წელიწადში. ამ შემოსავლით მე ჩავიცვამ, და თქვენ მოგთხოვთ მხოლოდ...

_ მხოლოდ რას, ჯეინ?

_ პატივისცემას, და თუ თქვენც ჩემგან სამაგიეროს მიიღებთ, ურთიერთის ვალში აღარ აღმოვჩნდებით.

_ კეთილი, ასეთ ცივ თანდაყოლილ კადნიერებასა და ბუნებრივად შესისხლხორცებულ სიამაყეში ტოლი არ მოგეძებნებათ, _ მითხრა მან, და ამ დროს ჩვენ თორნფილდსაც მივუახლოვდით.

_ ხომ არ ინებებთ ჩემთან ერთად ისადილოთ დღეს? _ მკითხა მან, როდესაც ჩვენი ეტლი ალაყაფის კარებში შევიდა.

_ არა, გმადლობთ, სერ.

_ და რის გამო ამბობთ, არა, გმადლობთ, ნებას მომცემთ გკითხოთ, ქალბატონო?

_ მე თქვენთან არასოდეს მისადილნია, სერ, და არ ვიცი, ახლა რისთვის უნდა დაგემორჩილოთ, სანამ...

_ სანამ რა? თქვენ ძალიან დიდ სიამოვნებას განიჭებთ დაუმთავრებელი ფრაზები.

_ სანამ სხვანაირად მოქცევა ჩემთვის უკვე შეუძლებელი გახდება.

_ ალბათ ფიქრობთ, რომ კაციჭამიასავით ან სისხლისმსმელ ველურივით ვილუკმები და ჩემთან ერთად ჭამას ერიდებით!

_ ასეთი რამ არასოდეს მქონია მხედველობაში, სერ, მაგრამ მინდა ამ ერთ თვესაც ისევე ვცხოვრობდე, როგორც წინათ.

_ თქვენ ახლავე დაანებებთ თავს აღმზრდელი ქალის ამ მონურ შრომას.

_ არა, სერ, გთხოვთ, მაპატიოთ, მაგრამ მე ამას ვერ გავაკეთებ. მე ჩემ ჩვეულებრივ საქმიანობას განვაგრძობ, როგორც აქამდე ვიყავი მიჩვეული. მთელი დღის განმავლობაში ჩვენ ერთმანეთს ვერ შევხვდებით, საღამოთი კი მიხმეთ, როდესაც განწყობა გექნებათ, რომ მნახოთ, მაშინ გეახლებით, მაგრამ სხვა დროს კი _ არასოდეს.

_ მინდა მოვწიო ან ერთი მწიკვი ბურნუთი შევიყნოსო, ჯეინ, რომ ყოველივე იმისაგან, რასაც მეუბნები, ოდნავ მაინც დავმშვიდდე. _ pour me donner une contenance, როგორც ადელი იტყოდა. საუბედუროდ, თან არა მაქვს არც სათუთუნე და არც ბურნუთის კოლოფი, მაგრამ მისმინე, _ ჩურჩულით მითხრა მან, _ ახლა შენი დროა, პატარა ტირანო, თუმცა იმედი მაქვს, ჩემიც მალე დადგება: შეგიპყრობ, სამუდამოდ ჩემი გახდები, მთლიანად დაგეპატრონები, და ქარაგმულად რომ გითხრა აი, ასე დაგაბამ ამ ჯაჭვით (მან თავის საათის ძეწკვს ხელი შეახო) და განაგრძო: _ «დიახ, ტკბილი იყავ, პატარავ, წყნარი იყავ, პატარავ, ჩემმა გულმა სათუთად, სიყვარულით გატარა და შენ გარდა საუნჯე არც უნდოდა არარა».

მითხრა ეს და ეტლიდან გადმოსვლა მიშველა. სანამ ადელსაც გადმოიყვანდა, სახლში შევედი. ისე მოვახერხე, თვალთაგან მივფარებოდი, ამიტომ მაშინვე ზემო სართულისაკენ გავეშურე.

საღამოს თავის დროზე მიხმო. გასართობი მისთვის უკვე წინასწარ მოფიქრებული მქონდა, რადგან ადრევე გადავწყვიტე მთელი საღამო მასთან პირისპირ საუბარში არ გამეტარებინა. მომაგონდა მისი საუცხოო ხმა. ისიც ვიცოდი, უყვარდა საკუთარი სიმღერის მოსმენა, საერთოდ კარგ მომღერლებს ასე სჩვევიათ. თავად მე ხმა არ მქონდა და მისტერ როჩესტერის მკაცრი შეფასების შემდეგ ისიც ვიცოდი, მუსიკოსად არ ჩავითვლებოდი, მაგრამ კარგ შემსრულებელს კი დიდი სიამოვნებით ვუსმენდი. სარკმლიდან ვხედავდი, როგორ შემოიპარა რომანტიკული საღამო და თავისი მოლურჯო, ვარსკვლავებით დაწინწკლული პირბადე გადააფარა მიდამოს. სწორედ მაშინ ავდექი, როიალს თავი ავხადე და ზეციური მამა შევაფიცე, რაიმე ემღერა ჩემთვის. მან სასწაულმოქმედი ჯადოსანი მიწოდა და უმჯობესად ჩათვალა ეს საქმე სხვა დროისათვის გადაედო, მაგრამ ვუმტკიცებდი, რომ იმ წუთებს ვერაფერი შეედრებოდა.

_ მოგწონთ ჩემი ხმა? _ მკითხა მან.

_ ძალიან.

არ მიყვარდა მისთვის ხოტბის შესხმა, რადგანაც მის მედიდურ ბუნებას კარგად ვიცნობდი. მაგრამ ერთხელ და ისიც გარკვეულ მიზეზთა გამო მიზანშეწონილად ვცანი პირფერობით შემეგულიანებინა.

_ მაშინ, ჯეინ, აკომპანიატორობა შენ უნდა იკისრო.

_ კეთილი, სერ, შევეცდები.

მე მართლაც ვცადე, მაგრამ მან მაშინვე წამომაყენა სკამიდან და «პატარა ფინაჩი» მიწოდა. მერე სრულიად ბოდიშის მოუხდელად ოდნავ ხელი მიბიძგა და გვერდით დამაყენა. მეც, რასაკვირველია, სწორედ ეს მინდოდა. მან ჩემი ადგილი დაიკავა როიალთან და დაკვრა დაიწყო. მას დაკვრა ისევე კარგად შეეძლო, როგორც სიმღერა. მე კი ფანჯრის წალოზე ჩამოვჯექი და შიგნით შევიმალე. იქიდან გავცქეროდი გარინდულ ხეებსა და ბურუსში გახვეულ მოლს. ის კი ტკბილი ხავერდოვანი ხმით მღეროდა:

ჯერ არნახული და ჭეშმარიტი
როს გულმა იგრძნო ეს სიყვარული,
აფეთქდა ძარღვში სისხლი ნარინდი,
ყოფნის ხალისით ვერდაფარული.

მფენდა იმედებს, _ როს მოდიოდა;
როს მშორდებოდა _ მუდამ მტკიოდა
და ლოდინისგან იმის მოსვლამდე
ჩემს სულში ყინვა შემოდიოდა.

ნეტარ ოცნებად მქონდა ქცეული:
ვით მე მიყვარდა, მას ვყვარებოდი.
მისი მშვენებით დაბრმავებული,

მისი წყურვილით, ნდომით ვკვდებოდი.

მაგრამ ჩვენ შორის გაჩნდა უფსკრული;
გაჰყარა ჩვენი ცხოვრების გზები,
გადმოსკდა ღვარი ქაფმოდებული
და ოკეანის მწვანე ზვირთები.

და გაჩნდა, როგორც მძარცველთ ბილიკი
უღრან ტყეში თუ უდაბურ ველად,
ძალა, უფლება, რისხვა და მტრობა
ჩვენი სულების გასათიშველად.

ვძლიე ხიფათი და დაბრკოლება,
შიშს და სიმხდალეს არ ვეზიარე,
ბევრი მუქარა და შებრძოლება
შეუდრეკელად გამოვიარე.

ჩემს ცისარტყელას მივაქროლებდი,
ოცნებას მე ვერ გადამაჩვიეს,
მარად დიდებულს, თაყვანსა ვცემდი
მზისა და წვიმის ლამაზ ნაშიერს.

ტანჯვათა შორის ახლაც მინათებს,
ვით სიხარული ვერდაფარული,
და ამიტომაც აღარ მადარდებს
ათასი ჭირი შემოჯარული.

ამ ნეტარ წამში მე არას ვდარდობ!
თუმც იქნებ ყველა არც ვძლიე იმ დროს.
რკინის ფრთასხმული სრულიად მარტოს
შურისძიებით გამომეცხადოს.

იქნება ზიზღმა გამანადგუროს;
წინ გადამიდგეს უფლება, ნება;
ძალამ დამლახვროს და არ დამინდოს,
ყველა მათგანი გადმექცეს მტრებად.

მე ჩემმა სატრფომ პაწაწა ხელი
ხელში ჩამიდო და დამაფიცა,
რომ სიყვარულში შეუღლებულნი
შევირწყმებოდით მეც და ისიცა.

სიკვდილში გვერდით რომ მეყოლება,
ბეჭდად ამბორი დაურთო სიტყვას
და მე მეღირსა ეს ნეტარება:
ვუყვარვარ ისე, როგორც მე მიყვარს.

სიმღერა დაამთავრა თუ არა, მისტერ როჩესტერი წამოდგა და ჩემკენ გამოემართა. შევნიშნე, მღელვარებისაგან აწითლებულიყო; შევარდნისებურ თვალებში მოციმციმე სხივი უკრთოდა და სახის ყოველი ნაკვთიც უჩვეულო სითბოსა და მგზნებარე სიყვარულზე მეტყველებდა. წამიერად შევკრთი, მაგრამ მალევე გონს მოვედი. არც უნაზესი სცენების ხილვა მსურდა და არც ასეთი თავაწყვეტილი გრძნობებით თამაში, მაგრამ ვიგრძენი, რომ ორივე მხრივ განსაცდელის წინაშე აღმოვჩნდი. თავდასაცავი იარაღი უნდა შემერჩია... მეც ბასრი მახვილივით, ენა მოვიმარჯვე და როგორც კი მისტერ როჩესტერი მომიახლოვდა, კადნიერად ვკითხე: მაინც ვისზე აპირებდა ჯვრისწერას.

_ რა უცნაურ კითხვას მაძლევს ჩემი ძვირფასი ჯეინი.

მართლაცდა, სწორედ მეტად ბუნებრივი და აუცილებელი იყო ჩემი შეკითხვა. ის სულ რამდენიმე წუთის წინ მღეროდა, რომ მისი მომავალი მეუღლეც მასთან ერთად უნდა განშორებოდა ამ წუთისოფელს. მერედა, რას გულისხმობდა ამ წარმართულ აზრებში?

შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ სრულიადაც არ ვაპირებ სიკვდილს მასთან ერთად. ის კი მხოლოდ იმას ნატრობდა და იმაზე ლოცულობდა, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე არ განვშორებოდი. სიკვდილი ისეთებისთვის არ არის მოგონილი, როგორიც მე ვარ.

მართლაც ასეა, როცა დრო მომივა, მეც ისეთივე უფლება მაქვს მოვკვდე, როგორც მას, მაგრამ მინდა, იმ დრომდე ვიცოცხლო და ჟამგადასული წესისამებრ, მეუღლის ცხედართან ერთად არ დავიმარხო.

ნუთუ შევძლებ ვაპატიო მას ეს ეგოისტური აზრი და ამ პატიებისა და შერიგების ნიშნად კოცნას მივუძღვნი? _ არა, უმჯობესია, თავისუფალი ვიყო.

აქ შემომესმა, როგორ მიწოდა მან «პატარა ბოროტი ქმნილება» და თანაც დაუმატა: _ სხვა ქალი, ალბათ, სულით ხორცამდე დადნებოდა, ასეთი სახოტბო ლექსი რომ ემღერათ მისთვისო.

მე კი ვარწმუნებდი, რომ ბუნებით მკაცრი და ჯიუტი ვიყავ და ყოველივე ეს ხშირად შეეძლო თავისი თვალითვე ენახა მომავალში. გადავწყვიტე, მთელი ამ ერთი თვის მანძილზე, თუკი რაიმე ნაკლი გამაჩნდა ხასიათში, მხოლოდ ის გამომემჟღავნებინა მის წინაშე. ჯობდა, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ იყო, სცოდნოდა, რა ტვირთის ზიდვაც იკისრა.

ნუთუ დავმშვიდდები და ოდესმე გონივრულად ვესაუბრები? თუკი მოისურვებდა, დამშვიდება შემეძლო, მაგრამ მოფიქრებულ და გონივრულ საუბარზე კი რა მოგახსენოთ, მხოლოდ თავს ვიტყუებდი. ის კი აღშფოთებული იყო; თავისთვის რაღაცას დუდუნებდა და მოუთმენლობა

ეტყობოდა. _ ძალიან კარგი, _ ვფიქრობდი ჩემთვის. _ შეგიძლიათ აღშფოთდეთ და მოუსვენრად გაატაროთ დრო, რამდენიც გენებოთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თქვენ წინაშე სწორად მოქცევის ხერხი მხოლოდ ეს არის. იმაზე მეტად მიყვარხართ და მომწონხართ, ვიდრე სიტყვებს ძალუძთ გადმოსცენ ჩემი გრძნობა, მაგრამ მის სიღრმეში ვერ ჩავიძირები. ამ ბასრი, გონებამახვილური სიტყვებით უნდა შევძლო, როგორმე შეგაჩეროთ უფსკრულის პირად, გარდა ამისა, რაც უფრო მეტად განმტკიცდება ამ მწარე-მწარე ფრაზების გავლენა, მით უფრო შევძლებ შევინარჩუნო მანძილი ჩვენ შორის, რომელიც უფრო ხელსაყრელი იქნება ჩვენს მომავალ ურთიერთობაში.

თანდათანობით საშინლად გავაღიზიანე, და როდესაც ასე აღშფოთებული ოთახის მეორე ბოლოში განცალკევდა, წამოვდექი და ჩავილაპარაკე: _ ღამე მშვიდობისა, სერ. _ სრულიად ჩვეულებრივ, როგორც ყოველთვის, ჩემთვის დამახასიათებელი მოკრძალებით, ჩუმად გამოვედი განის კარიდან და ჩემი ოთახისაკენ გავეშურე.

ასე გრძელდებოდა თითქმის მთელი თვის მანძილზე. ვცდიდი ჩემს თავს. საბედნიეროდ, წარმატებასაც მივაღწიე. თუმცა ის მეტად შეშფოთებული და გაავებული იყო, მაგრამ ჩანდა, რომ ასეთი საქციელი მას უფრო ართობდა. კრავისებური მორჩილება და გვრიტისებური ღუღუნი მის დესპოტიზმს კიდევ უფრო გააღვივებდა, მის აზროვნებაზე, საღ გრძნობებსა და გემოვნებაზე კი უფრო მეტად უფერულ შთაბეჭდილებას მოახდენდა.

უცხო ადამიანთა თანდასწრებით მე ძველებურად პატივისმცემელი და მოკრძალებული ვიყავი, სხვაგვარი ქცევა სრულიად უადგილოც იქნებოდა. მხოლოდ საღამოობით, შეხვედრების დროსღა თუ გავუწევდი რაიმე წინააღმდეგობას და ვაწყენინებდი რამეს. ყოველდღე, შვიდ საათზე, ის თავის ოთახში მიხმობდა ხოლმე. მაგრამ, როცა ახლა მის წინაშე წარვსდგებოდი, ის საალერსო და თაფლივით ტკბილი სიტყვებით როგორიც იყო: «საყვარელო» და «ძვირფასო» უკვე აღარ მიმასპინძლდებოდა, არამედ «უტიფარ თოჯინას», «ავგულ ჭინკას», «ალქაჯს» «მაქციას» და სხვა ამგვარ სახელებს მეძახდა. ალერსის ნაცვლად მემანჭებოდა, ხელის ჩამორთმევის მაგიერ მკლავზე მჩქმეტდა და კოცნის მაგიერ ყურს მწიწკნიდა. მაგრამ ამაში ცუდს ვერაფერს ვამჩნევდი. ალერსს ბევრად მერჩია ასეთი უხეში მოპყრობა. როგორც ვხედავდი, მისის ფეიერფექსიც ამართლებდა ჩემს საქციელს და მისი შიშიც თანდათანობით გაქრა. დარწმუნებული ვიყავი, რომ კარგად ვიქცეოდი. მისტერ როჩესტერი კი მთელი ამ დროის განმავლობაში მარწმუნებდა, რომ მის ჯანმრთელობას ბოლოს ვუღებდი. ამიტომ იყო, რომ მემუქრებოდა გამუდმებით. მოკლე ხანში ჩემი ასეთი საქციელის გამო საშინელი შურისძიებით გასწორებას მპირდებოდა. მის ასეთ მუქარას მე მხოლოდ დავცინოდი. _ ახლა უკვე შემიძლია გონივრული საქციელით ხელში დაგიჭიროთ, _ ვფიქრობდი ჩემთვის, _ და მომავალშიც კარგად შევძლებ. თუ ერთი ხერხი დაკარგავს მძლეთამძლე ძალას, მეორეს გამოვიყენებ.

თუმცა ბოლოს და ბოლოს ჩემი ამოცანა არცთუ ისე ადვილი იყო. ძალიან ხშირად მე თვითონ მსურდა ალერსიანი ვყოფილიყავ და გული არ მეტკინა მისთვის. ჩემთვის მთელ ქვეყნიერებად მხოლოდ ჩემი მომავალი მეუღლე იქცა. ხშირად მასზე ძვირფასადაც მიმაჩნდა. ის იყო ზეციური იმედი, და ისე იდგა ჩემსა და სარწმუნოებრივ რწმენას შორის, თითქოს ადამიანსა და მანათობელ მზეს შორის ბნელი ჩრდილი ჩამდგარიყოს. იმ დღეებში მე ღმერთის არსებობაც აღარ მახსოვდა, რადგან მისივე ძალით შექმნილმა ქმნილებამ დამატყვევა, რომლისაგანაც თაყვანსაცემი კერპი შევქმენი.

თავი XXV

ქორწინების წინა პერიოდიც გაქრა. დარჩენილი უკანასკნელი საათების დათვლაც კი შეიძლებოდა. შორს აღარ იყო დღე, რომელიც წინასწარ დათქმული იყო ჯვრისწერისათვის. ამ დღის მოახლოებასთან დაკავშირებული ყველა სამზადისიც დამთავრდა. ყოველ შემთხვევაში მე აღარაფერი მქონდა გასაკეთებელი. ყველა ჩემი ჩემოდანი ჩალაგებული, ჩაკეტილი და თასმებგადაჭერილი ჩემი პატარა ოთახის კედელთან იდგა. ხვალ, ამ დროისათვის, ბარგი უკვე შორს იქნება აქედან ლონდონისაკენ მიმავალ გზაზე. და ასევე მეც (თუ ღმერთმა ინება), თუმცა მე კი არა, ვინმე ჯეინ როჩესტერი, ადამიანი, რომელსაც ჯერ კიდევ არ ვიცნობ, მხოლოდ სამისამართო იარლიყების დაკვრაღაა საჭირო. ეს ოთხი ოთხკუთხა ქაღალდის პატარა ნაჭერი კი კამოდზეა, თითოეულ მათგანს მისტერ როჩესტერმა საკუთარი ხელით დააწერა: _ მისის როჩესტერი _ სასტუმრო, ლონდონი. ვერ გავბედე ჩემოდნებზე ან თვით მე დამეწებებინა ისინი ან სხვისთვის მიმენდო ეს საქმე. მისის როჩესტერი! _ მაგრამ ის ხომ ნამდვილად არ არსებობს. ის ხომ ჯერ კიდევ არ დაბადებულა და მხოლოდ ხვალ, ინგლისის დროით შუადღემდე, დაახლოებით დილის ცხრის რამდენიმე წუთზე მოევლინება ქვეყნიერებას. მე უნდა დაველოდო მას, რათა დავრწმუნდე, რომ ის მართლაც ცოცხალი წარსდგება ამ ქვეყნის წინაშე და ამ საკუთრებასაც მაშინ გადავცემ. ისიც საკმარისია, რომ კარადაში ჩემი პატარა სარკიანი მაგიდის მოპირდაპირედ, მისმა სამოსმა ადგილი შეუნაცვლა ჩემ შავ შალის კაბასა და ჩალის ქუდს. მე ხომ ჩემად არ შემიძლია ჩავთვალო ეს საქორწინო სამოსი, მარგალიტისფრად მოლივლივე კაბა და ნისლისფერი სიფრიფანა პირბადე. ამიტომაც ასე მგონია, თითქოს ახლა ისინი სრულიად უკანონოდ კიდია მის შიგნით. კარადის კარი მივხურე, რათა ეს უცნაური ტანსაცმელი აღარ მეხილა. მეჩვენებოდა, თითქოს ბინდბუნდში საღამოს ცხრა საათზე ეშმაკისეულ სხივთა ციმციმით ავსებდა ის ჩემს ჩაბნელებულ სამყოფელს.

_ მე შენ მთლად მარტო დაგტოვებ, თეთრო ოცნებავ! _ ჩავილაპარაკე ჩემთვის, _ ახლა კი მაციებს, მესმის, როგორ ზუზუნებს ქარი გარეთ, ჩავალ ეზოში და მის საამურ ქროლვას გულში ჩავეკვრი.

ჩემი ციებ-ცხელება ამ სწრაფი სამზადისით არ ყოფილა გამოწვეული, არც იმის წინასწარშეგრძნებით, რომ ასეთ დიდ ცვლილებებს ველოდი და სრულიად ახალი ცხოვრება იწყებოდა ჩემთვის ხვალინდელი დღიდან. უეჭველია, ორივე ეს მიზეზი მაღელვებდა, მოუსვენარ განწყობილებას მიქმნიდა და მაიძულებდა ასე გვიან, შებინდებულში ჩავსულიყავი ბაღში, მაგრამ იყო მესამეც, რაც გაცილებით მათზე მეტად მიშფოთებდა სულს.

გულს უცნაური და მეტად მძიმე ფიქრი მიღრღნიდა. ისეთი რამ მოხდა, რის გაგებაც არ შემეძლო. ეს ამბავი არავინ იცოდა და ვერც ვერავინ დაინახა. ის წინაღამით, სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც მისტერ როჩესტერი წასული იყო სახლიდან, თუმცა ახლაც ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო. თორნფილდიდან ასე ოცდაათი მილის დაშორებით მას ორი თუ სამი ფერმა ჰქონდა თავის მამულში და იქ მოუხდა გამგზავრება. საქმე პირადად მის დასწრებას მოითხოვდა, რადგან ნაჩქარევად ვარაუდობდა ინგლისიდან გამგზავრებას. ახლა მეც მის მოსვლას ველოდი. მინდოდა მომეხსნა ტვირთი, რომელიც მძიმე ლოდივით აწვა ჩემს სულსა და გონებას; როგორმე გამეხსნა გამოცანის კვანძი, რომელიც ასე მაწამებდა. მკითხველო, თქვენც მოითმინეთ მანამდე, სანამ მისტერ როჩესტერი მოვიდოდეს და როდესაც ჩემს საიდუმლოს მას გავუმჟღავნებ, თქვენც ყოველივეს გაიგებთ.

ხეხილის ბაღს მივაშურე. მინდოდა, იქ შემეფარებინა თავი. მთელი დღე სამხრეთიდან ძლიერი ქარი ქროდა, თუმცა ერთი წვეთი წვიმაც კი ვერ ჩამოაგდო. იმის მაგიერ, რომ ჩამდგარიყო, ჩანდა, უფრო და უფრო გამძვინვარებას აპირებდა და საზარელი ზუზუნი გაჰქონდა: ტანმაგარ ხეებს გამუდმებით ერთ მხარეს ხრიდა; ისინი საათში ერთხელ ძლივსღა სწორდებოდნენ წელში და გაჭირვებით შლიდნენ სულ ერთ, ჩრდილოეთის მიმართულებით გადაზნექილ ტოტებსა და კენწეროებს. ღრუბლის ქულები ქულებს მისდევდნენ და დიდი სისწრაფით ერთი პოლუსიდან მეორისაკენ მიეშურებოდნენ. წარმოიდგინეთ, ივლისის დღე იყო და ცის სილურჯისათვის ერთხელაც არ მომიკრავს თვალი. თითქოს ქარს წინ ვუსწრებდი სირბილით და ეს რაღაც განუცდელ უჩვეულო სიამოვნებას მგვრიდა. თითქოს ჩემს სულიერ ტანჯვა-წამებას ამ განუზომელ საჰაერო ნიაღვარს ვუზიარებდი, რომელიც ჭექა-ქუხილის მსგავსად იღვრებოდა სივრცეში. დაფნის ხეივანში, ბილიკზე, თავქვე დავეშვი და მეხდაცემული წაბლის ხის პირდაპირ აღმოვჩნდი. ის ტოტებდალეწილი და ჩაშავებული იდგა. ხის ტანი მეხს შუამდე გაეპო და ასე პირგახსნილი საზარელი შესახედავი იყო. ორადგახლეჩილი, თითოეული ნახევარი ერთმანეთს მთლად არ მოსცილებოდა. თუმცა სასიცოცხლო ძალა უკვე წართმეული ჰქონდათ, მაგრამ ძლიერ ტანსა და ფესვებს დაბლა, ხის ძირისათვის ჯერ კიდევ შეენარჩუნებინათ მთლიანობა. აღარც მიწიდან წვენის მოწოდებაზე შეიძლებოდა ფიქრი, რადგან მისი ძლიერი როკები ორივე მხარეს უკვე მკვდარი იყო. ეჭვგარეშეა, რომ მომავალი ზამთრის ქარიშხალი ერთს ან ორივე მხარეს ძირს დასცემდა. მნახველი ჯერ კიდევ იფიქრებდა, რომ ეს

ორივე ნახლეჩი დალეწილსა და განადგურებულ ერთ ხეს ქმნიდა, მაგრამ ერთნაირად განადგურებულს.

«რა სწორად იქცევით, რომ ერთმანეთს ასე მტკიცედ უდგახართ მხარში, _ ისე ჩავილაპარაკე ჩემთვის, თითქოს ეს ორი უზარმაზარი ნახლეჩი სულიერი არსება ყოფილიყო და ჩემი სიტყვების გაგება შეძლებოდათ, _ ვფიქრობ, მიუხედავად იმისა, რომ ასე დაზიანებულხართ, გარუჯულხართ და დანახშირებულხართ, სულ მცირე სასიცოცხლო ნიშანწყალი ჯერ კიდევ უნდა იყოს თქვენში. და (ალბათ) ამ მიწიერ საზრდოს თქვენი ერთმანეთზე მჭიდროდ გადახლართული, კეთილსინდისიერი და ერთგული ფესვები გაწვდიან. თქვენ, ალბათ, ვერასოდეს ვეღარ შეიმოსებით მწვანე სამოსელით, ვერც იმას მოესწრებით, რომ ფრინველები ბუდეებს იკეთებდნენ და იდილიურად გალობდნენ თქვენს რტოებში. სიამოვნებისა და სიყვარულის ხანა დასრულებულა თქვენთვის, მაგრამ უნუგეშოდ მაინც არ შთენილხართ, თითოეულ თქვენგანს მეგობარი ჰყავს, რომ ამ დავსების ჟამს უთანაგრძნოს. მაღლა ავიხედე და მთვარე ცის სწორედ იმ ნაწილში გამოჩნდა უცებ, რომელიც ამ ორად გაპობილ ხის ბზარს ავსებდა. მისი ნახევრად ბინდით დაფარული დისკო სისხლივით წითელი იყო. ისე მომეჩვენა, თითქოს რაღაც დაბნეული და სევდიანი მზერა მესროლა და მერე უცებ ისევ მსწრაფლმსრბოლი ღრუბლების სქელ საფარს შეაფარა თავი. ქარი თორნფილდის გარშემო წამიერად ჩადგა, მაგრამ შორს ტყეში და მდინარეზე გააფთრებული, სევდიანად ქვითინებდა. ამ ქვითინში იმდენი ნაღველი იყო ჩაქსოვილი, რომ მისი მოსმენა ვეღარ ავიტანე და გავიქეცი.

ხეხილის ბაღში გზააბნეული დავეხეტებოდი, ხან აქეთ, ხან იქით და ხის ფესვების გარშემო, ბალახებში უხვად მიმოფანტულ ვაშლებს ვკრებდი. მერე მწიფე სულ ცალკე გადავარჩიე, სახლში წავიღე და საკუჭნაოში შევინახე. ბოლოს ბიბლიოთეკაში შევიხედე, მინდოდა, გამეგო, ცეცხლი ენთო თუ არა. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხული იყო, ვიცოდი, ასეთ ცუდ ამინდში მისტერ როჩესტერს ესიამოვნებოდა მოსვლისას აგიზგიზებული ბუხრის დანახვა. ბუხარში ცეცხლი მართლაც კარგად გაეჩაღებინათ; მისი სავარძელი ბუხრის ერთ კუთხეში დავდგი; მაგიდაც ახლოს მოვაგორე; ფარდები ჩამოვუშვი და შანდლები შემოვატანინე, რომ მოვიდოდა თუ არა, ასანთებად მზად ყოფილიყო. ეს სამზადისი დავამთავრე, მაგრამ მოსვენებით ჯდომა ვერ შევძელი; უფრო მეტად ვღელავდი; აღარც სახლში მედგომებოდა; ბიბლიოთეკის პატარა საათი და სასტუმრო დარბაზის დიდი საათი ამ დროს ერთად აწკრიალდნენ და ათჯერ დარეკეს.

_ რა დიდი დრო გასულა! _ ჩავილაპარაკე ჩემთვის. ჩავირბენ, ალაყაფის კარამდე მივალ, ხანდახან მთვარე გამოანათებს და გზას შორამდე გავაწვდენ თვალს. იქნებ მისტერ როჩესტერი მოდის კიდეც და, თუ იქვე შევხვდები, ლოდინს რამდენიმე წუთს მაინც გადავურჩები.

კვლავ ზუზუნებდა ქარი მაღალი ხის კენწეროებში, რომლებიც ალაყაფის კარს გარს Dშემორტყმოდნენ, გზაზე კი, სადამდისაც თვალი მიმიწვდებოდა,

მარცხნივ თუ მარჯვნივ, სრული მყუდროება გამეფებულიყო და მთლად უკაცრიელი ჩანდა. დროგამოშვებით მთვარე რომ არ დასხლტომოდა ღრუბლებს და არ გადმოეხედა მისთვის, ღრუბლების ჩრდილით დაფარული ჰგავდა ერთ უგრძეს თეთრ ხაზს, რომელზედაც ოდნავი მოძრაობის ნიშანწყალიც კი არ შეიმჩნეოდა.

როცა გზას გავხედე, ბავშვივით ცრემლები ჩამომცვივდა. ეს იყო უიმედობისა და მოუთმენლობის ცრემლი. თვითონვე შემრცხვა და მაშინვე მოვიწმინდე. ლოდინს მაინც განვაგრძობდი. მთვარე მთლად შეიმალა ღრუბლებში. მუქი პირბადე ჩამოიფარა; უკუნეთივით ჩამობნელდა და ასეთ ქარში ბოლოს კოკისპირული წვიმაც დაუშვა.

_ ნეტავი ჩქარა მოვიდეს! ნეტავი ჩქარა მოვიდეს! _ წამოვიძახე მე, საშინელი ავისმომასწავებელი ფიქრებით შეპყრობილმა. მე მას უფრო ადრე ველოდი, ვიდრე ჩაის დალევის დრო მოვიდოდა, ახლა კი უკვე ბნელოდა. რას შეეძლო დაეყოვნებინა? ნუთუ რაიმე შეემთხვა? წინაღამინდელი შემთხვევა კვლავ გამახსენდა, და ყოველივე ეს უბედურების წინასწარ მაცნედ მივიჩნიე. უკვე ვშიშობდი: ჩემი იმედები იმდენად მიუწვდომელ ოცნებად წარმოვიდგინე, რომ მათი განხორციელება საეჭვოდ მეჩვენა. იმ იმედით იმდენი ნეტარება და სიამოვნება მივიღე ამ უკანასკნელ ხანს, ვიფიქრე: ჩემი ბედის ვარსკვლავი თავის უმაღლეს მწვერვალსაც კი გადასცდა და ახლა ჩადის-მეთქი.

«კეთილი, მაგრამ სახლში ვერ დავბრუნდები, _გავიფიქრე მე, _ განა შემიძლია ცეცხლის პირად ვიჯდე, როცა ის სადღაც შორს არის ამ საშინელ ამინდში? უმჯობესია, დავიღალო და ფეხზე ჩამოვწყდე, ვიდრე ასე გამისკდეს გული. წავალ და შევხვდები სადმე".

გზას დავადექი. ჩქარა მივდიოდი, მაგრამ დიდი მანძილი არ გამივლია. მილის მეოთხედის გავლაც ვერ მოვასწარი, რომ ცხენის ფეხის ხმა შემომესმა. ვიღაც მხედარი ცხენს მთელი სისწრაფით მოაჭენებდა. მათ გვერდით ძაღლი მოსდევდათ. _ განმშორდი, ავო წინათგრძნობავ! აი, მისტერ როჩესტერი მოდის მესრურზე ამხედრებული, უკან პაილოტი მოჰყვებათ. მისტერ როჩესტერმაც დამინახა, რადგან მთვარემ ამ დროს ცის მოლურჯო სივრცეში გზა გაიკაფა და ირგვლივ ფერმკრთალი სხივები მიმოაფრქვია. მან ქუდი მოიხადა და დიდხანს მიქნევდა, მე კი მის შესახვედრად გავრბოდი.

_ აი, ხედავ? _ ამოიძახა მან, როდესაც უნაგირიდან დაბლა გადმოიხედა და ხელი გამომიწოდა, _ ცხადია, შენ უკვე უჩემოდ ერთი წუთიც არ შეგიძლია ყოფნა. ჩემი ფეხსაცმლის ცხვირს ფეხი დაადგი, ორივე ხელი მომეცი და ამოხტი.

მეც დავემორჩილე, სიხარულმა სიმკვირცხლე შემმატა. ავხტი და მის წინ უნაგირზე ჩამოვჯექი. ამ შეხვედრისათვის მან გულში ჩამიკრა და ჩემს ბაგეს მხურვალედ დაეწაფა. აღფრთოვანებულს ოდნავი სიყოყოჩეც კი შევნიშნე, მაგრამ შევეცადე, მისთვის არ მეგრძნობინებინა. მიუხედავად იმისა, რომ ასე გახარებული იყო, წამით შედგა და შეშფოთებულმა მკითხა:

_ ჯენიტ, ხომ არაფერი მომხდარა ისეთი, რომ ასეთ დროს ჩემ შესახვედრად გამოხვედი? მოხდა რამე?

_ არა, მაგრამ ისე მეჩვენებოდა, თითქოს არასოდეს აღარ დაბრუნდებოდით. სახლში ჯდომა და ლოდინი ვერ შევძელი, რადგან გარეთ ასეთი წვიმა და ქარი იყო.

_ წვიმა და ქარი, _ მართალია! დიახ, შენ ალივით მთლად ამოწკუმპლულხარ. ჩემი ლაბადა შემოიხვიე. მგონია, გაჟრჟოლებს კიდეც, ჯეინ, სახე და ხელები კი ცხელი გაქვს. კიდევ გეკითხები, მოხდა რაიმე ცუდი?

_ არაფერი არ მომხდარა. ახლა მე უკვე არც შეშინებული ვარ და არც უბედური.

_ მაშინ კი ორივე იყავი?

_ დიახ, თითქმის, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ თანდათანობით მოგიყვებით, სერ. თუმცა ასე მგონია, თქვენ მხოლოდ სიცილს დამაყრით ამ შეშფოთების გამო.

_ შენზე გულიანად მაშინ ვიცინებ, როცა ხვალინდელი დღეც გაივლის. მანამდე კი ამას ვერ გავბედავ. ამ მოულოდნელ ბედნიერებაში ჯერ კიდევ კარგად არა ვარ დარწმუნებული. ეს კი შენა ხარ, რომელიც მთელი ამ ერთი თვის მანძილზე თევზივით მისხლტებოდი ხელიდან და ასკილის ვარდივით მჩხვლეტდი; თითიც კი ვერ შეგახე, რომ ეკალი არ ჩაგესო, ახლა კი ისე მეჩვენება, თითქოს გზააბნეული კრავი მყავდეს ხელში აყვანილი. ფარეხიდან გარეთ იმიტომ გამოხვედი, რომ შენი მწყემსი გეპოვა, არა, ჯეინ?

_ ძალიან მომინდა თქვენთან ყოფნა, მაგრამ ამის გამო მედიდურობას ნუ დაიწყებთ. აი, უკვე თორნფილდში მოვედით. ახლა, ნება მომეცით, ჩამოვიდე.

მან ცხენიდან ქვაფენილზე ჩამომსვა. როგორც კი ჯონი მიეგება და ცხენი ჩამოართვა, უკან გამომყვა დერეფანში, მთხოვა, სველი ტანსაცმელი რაც შეიძლება სწრაფად გამომეცვალა და ისევ მასთან ჩავსულიყავი ბიბლიოთეკაში. ხოლო, როდესაც კიბისაკენ გავეშურე, მან კიდევ შემაჩერა და მიბრძანა, არ დამეგვიანებინა. მეც დიდხანს არ დამიყოვნებია. ხუთი წუთის შემდეგ ისევ მასთან გავჩნდი. ის უკვე ვახშმობდა, _ დაჯექი და ჩემთან ერთად ივახშმე, ჯეინ. ღმერთმა ინებოს, ეს იყოს ჩვენი უკანასკნელი ვახშამი თორნფილდჰოლში დიდი ხნის მანძილზე.

მასთან სულ ახლოს დავჯექი, მაგრამ ვუთხარი, რომ ჭამა არ შემეძლო.

_ იმიტომ ხომ არა, რომ წინ მოგზაურობა გელის, ჯეინ? ან იქნებ ლონდონს გამგზავრების ფიქრმა დაგიკარგა მადა?

_ ამ საღამოს ჩემი ფიქრების ნათლად განჭვრეტა არ შემიძლია, სერ; და იმაშიც ძლივს ვერკვევი, რა აზრები მიტრიალებს თავში. ახლა ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი განუხორციელებელი ოცნება მგონია.

_ ჩემ გარდა. მე საკმაოდ რეალური არსება ვარ. აბა, შემხედე.

_ აი, სწორედ ყველაზე მეტად თქვენ მგონიხართ მოჩვენება, სერ. თქვენ მხოლოდ სიზმარი ხართ ჩემთვის.

მან სიცილით ხელი გამომიწოდა. ეს სიზმარია? მკითხა და ხელი ჩემს თვალებთან ახლოს მიიტანა. ეს იყო მამაკაცის უხეში, ძარღვიანი და ენერგიული ხელი: მკლავიც საკმაოდ გრძელი და ძლიერი.

_ დიახ, სერ. თუმცა მე მათ ვეხები, ეს ყველაფერი მაინც სიზმარი მგონია. _ ვუპასუხე მე, როგორც კი ხელი სახიდან ავირიდე. _ დაამთავრეთ ვახშამი, სერ?

_ დიახ, ჯეინ.

ზარი დავრეკე და განკარგულება გავეცი, ლანგარი გაეტანათ. როდესაც კვლავ მარტოდ დავრჩით, ცეცხლი გავაღვივე და დაბალ სკამზე მის მუხლებთან მოვიკალათე.

_ ახლა უკვე შუაღამე მოახლოებული იქნება, _ ჩავილაპარაკე მე.

_ დიახ, მაგრამ გახსოვს, ჯეინ, შენ დამპირდი ჩემი ქორწინების წინა ღამეს ერთად გავატარებდით უძილოდ ასე.

_ დიახ, დაგპირდით და შევასრულებ კიდეც მოცემულ პირობას, ერთ ორ სააათს მაინც გავატარებ თქვენთან. ძილი სრულებით არ მეკარება.

_ ყოველგვარი სამზადისი მოათავე, ჯეინ?

_ ყველაფერი, სერ.

_ მეც ყველაფერი მზადა მაქვს, _ მიპასუხა მან.

_ დიახ, ყველაფერი მოვამზადე და ეკლესიიდან დავბრუნდებით თუ არა, ასე ნახევარი საათის შემდეგ გავემგზავრებით თორნფილდიდან.

_ ძალიან კარგი, სერ.

_ რა უცნაური ღიმილით წარმოთქვი ეს სიტყვები, ძალიან კარგიო, ჯეინ? ეს რა წითელი ლაქები გამჩნევია ორივე ღაწვზე! ან რა უცნაურად გიკიაფებენ თვალები? თავს ხომ კარგად გრძნობ?

_ დიახ, სერ. მე ასე ვფიქრობ.

_ როგორ თუ ფიქრობ! რა მოხდა? მითხარი, რა დაგემართა?

_ არ შემიძლია, სერ. განა სიტყვებს ძალუძთ გადმოსცენ ის, რასაც მე განვიცდი ახლა? მინდა, აი ეს წუთები არასოდეს დამთავრდეს. ვინ იცის, რას გვიმზადებს ყოველი ახალი წუთი და ბედისწერა?

_ ეს იპოქონდრიაა, ჯეინ. შენ ან ძალიან ღელავ, ან ძალიან გადაიქანცე.

_ თქვენ დამშვიდებული ხართ და ამავე დროს ბედნიერიც, სერ?

_ დამშვიდებული? არა, მაგრამ ბედნიერი კი მთელი ჩემი არსებით.

ავიხედე, რომ ამ სანეტარო გრძნობის დამადასტურებელი ნიშნები მისი სახიდან ამომეკითხა. მას სახე აგზნებოდა და გაწითლებოდა.

_ მომენდე, ჯეინ. განტვირთე შენი გონება, თუ რაიმე მძიმე განსაცდელი გაწუხებს, გამიზიარე ყოველივე. რა გაშინებს? განა კარგ მეუღლეობას ვერ გაგიწევ?

_ ჩემს გონებას ეგ აზრი სრულებითაც არ გაჰკარებია, სერ.

_ შესაძლებელია, მდგომარეობის გამოცვლა გაშინებს, რადგან ის უკვე ძალიან ახლოა? ან ახალი ცხოვრების მიჯნაზე ყოფნა, რომელშიაც ხვალ უნდა შედგა ფეხი?

_ არა.

_ შენ მე საგონებელში მაგდებ, ჯეინ. შენი გამომეტყველება და ეგ ნაღვლიანი საუბრის კილო მაძრწუნებს. გთხოვ, ამიხსნა ყველაფერი.

_ მაშინ, მომისმინეთ, სერ. თქვენ ხომ გასულ ღამეს შინ არ იყავით?

_ დიახ, მართალია, არ ვიყავი. რამდენიმე ხნის წინ შენ გადაკვრით მანიშნე კიდეც, რომ რაღაც მოხდა ჩემი აქ არყოფნის დროს. ალბათ ისეთი მნიშვნელოვანი არაფერი, მაგრამ, ვატყობ, ამან შენ შეგაწუხა. მიამბე, რაში იყო საქმე? ალბათ, მისის ფეიერფექსმა გითხრა რამე? ან მსახურთა ყბედობას მოჰკარი ყური და შენმა თავმოყვარე და მგრძნობიარე ბუნებამ ეს შეურაცხყოფა ვერ აიტანა.

_ არა, სერ! _ ამ დროს საათმა თორმეტჯერ დარეკა. შევჩერდი, სანამ ამ პატარა მაგიდის საათის ვერცხლის ეჟვნებივით წკრიალა და დიდი საათის ხრინწიანი ხმა შეწყდებოდა და შემდეგ განვაგრძე: _ გუშინ მთელი დღე არ მეცალა, მაგრამ ამ განუწყვეტელ ფუსფუსშიაც თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი. როგორც თქვენ ფიქრობთ, მე შიშით არ მაძრწუნებდა არც ახალი ცხოვრების მიჯნასთან ყოფნა და არც სხვა რამ მისი მსგავსი მიზეზი. იმაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს, რომ ამიერიდან მხოლოდ თქვენთან ერთად ვიქნები. მე თქვენ მიყვარხართ. არა, სერ, მოითმინეთ. გთხოვთ ნუ მომიალერსებთ ახლა. ნება მომეცით საუბრის შეუწყვეტლად გიამბოთ ყოველივე.

გუშინ მწამდა განგების ძალა და მჯეროდა, რომ ეს ამბავი თქვენსა და ჩემ სასიკეთოდ იყო წარმართული. თუ გახსოვთ, მშვენიერი დღე იყო. მშვიდი ამინდი და უღრუბლო ცა ერთი წუთითაც არ მაძლევდა ნებას, ოდნავი შიშიც კი გამევლო გულში, რომ თქვენ წასული იყავით და მგზავრობა გაგიძნელდებოდათ. თქვენზე ფიქრებში გართული, ჩაის შემდეგ რამდენიმე ხანს ქვაფენილზე მიმოვდიოდი. წარმოიდგინეთ, იმდენად ახლოს გიხილეთ, აღარც კი მჯეროდა, რომ ჩემგან იმ წუთებში სადღაც შორს იყავით წასული. ვფიქრობდი იმ ახალ ცხოვრებაზე, რომელიც მელოდა. ვფიქრობდი თქვენზე, სერ, და იმაზეც, თუ თქვენი ცხოვრება რამდენად ფართო და მრავალფეროვანი იყო ჩემ ცხოვრებასთან შედარებით. ის ხომ სწორედ ისევე განსხვავდებოდა მისგან, როგორც უსაზღვრო ზღვის სიღრმე მასშივე ჩამავალი პატარა, ვიწრო არხში მოჩხრიალე ნაკადულის სიღრმისაგან. მანცვიფრებდა მორალისტთა აზრი, რისთვის უწოდებენ ამ ქვეყანას მოსაწყენ უდაბნოს, ჩემთვის ის ხომ ვარდის გაშლას ჰგავდა. უცებ, მზის ჩასვლისას, აცივდა და ცა ღრუბლებმა დაფარა. სახლში შემოვედი. სოფიმ დამიძახა და მთხოვა, მაღლა ავსულიყავი ჩემი საქორწინო კაბის სანახავად, რომელიც ის იყო მოეტანათ. მის ქვეშ ყუთში კი თქვენი საჩუქარი ვნახე. ეს ის პირსაბურავი იყო, რომელიც თქვენ თავადური ხელგაშლილობის გამო შეიძინეთ და ლონდონიდან გამოიწერეთ. ვფიქრობ, გულში გადაწყვეტილი გქონდათ რაიმე მეტად ძვირფასი შემოგეპარებინათ ჩემთვის, რადგან სამკაულები არ ვისურვე. როდესაც გავშალე, გავიღიმე და ვიფიქრე, როგორ უნდა დამეცინა თქვენთვის ყველა იმ ცდისა და არისტოკრატული გემოვნების გამო, რომლის წყალობით გსურდათ

თქვენი პლებეური წარმოშობის სასძლო ლორდის ქალიშვილის სამკაულებითა და სამოსელით შეგემოსათ... წარმოვიდგინე, როგორ მოგიტანდით და გაჩვენებდით ჩემ მიერვე დამზადებულ აბრეშუმის მაქმანიან ოთხკუთხა თავსაბურს, რომელიც მხოლოდ ჩემისთანა დაბალი წრიდან გამოსული ქალის თავსამკაულად თუ გამოდგებოდა და გკითხავდით: ნუთუ ეს საკმარისი არ არის ისეთი ქალისათვის, რომელიც თავის მეუღლეს ვერც სიმდიდრეს მოუტანს, ვერც სილამაზეს და ვერც რაიმე გავლენას მოუპოვებს საზოგადოების თვალში. მაშინ ნათლად დავინახე თქვენი სახის გამომეტყველება და გავიგონე მგზნებარე რესპუბლიკელის პასუხი. მესმოდა აგრეთვე, როგორ ქედმაღლურად უარყოფდით, რომ არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა კიდევ რაიმე მიმატებოდა თქვენს სიმდიდრეს ან უფრო მეტი გავლენა მოგეპოვებინათ საზოგადოების თვალში. ერთი სიტყვით, ამ ქორწინებით არ ოცნებობდით, ან ოქროთი გაგევსოთ ქისა, ან ლორდის ტიტული გეშოვათ.

_ რა კარგად შეისწავლეთ ჩემი ხასიათი, გრძნეულო! _ შემაწყვეტინა მისტერ როჩესტერმა. _ მაგრამ მაინც რა ნახე იმ თავსაბურში, გარდა მშვენიერი ქარგულობისა? საწამლავი ან ხანჯალი ხომ არ გიპოვნია, რომ ასეთი ნაღვლიანი თვალებით მიყურებ?

_ არა, არა, სერ; გარდა იმისა, რომ მეტისმეტად ნაზი ქსოვილია და საუკეთესო ნახელავი, სხვა არაფერი მინახავს, რაც კიდევ უფრო ადასტურებს ფეიერფექს როჩესტერის სიამაყეს. მე ის არც მაშინებდა, რადგან მიჩვეული ვიყავი, პირისპირ მეყურებინა დემონისათვის თვალებში. რაც უფრო ბნელდებოდა, ქარიც სულ უფრო და უფრო მეტად ქროდა. გუშინ ისეთი დღე კი არ იყო, როგორც ახლა. ოჰ, არა, ქარი უკიდურესად გაავებული და გამძვინვარებული კვნესოდა და სევდას მიმატებდა. მინდოდა შინ ყოფილიყავით; ამ ოთახში შემოვედი; ცარიელი სავარძლისა და ჩამქრალი ბუხრის დანახვამ სიცივე მაგრძნობინა; ცოტა ხნის შემდეგ ლოგინში ჩავწექი; ძილი ვერ შევძელი; რაღაც სულის შემაშფოთებელი წუხილი მაწამებდა. ქარიშხალი ჯერ კიდევ ძლიერდებოდა და ისევ მეჩვენებოდა, რომ მის ხმასთან ერთად ყურში რაღაც საიდუმლოებით მოცული მწუხარე კვნესა ჩამესმოდა. პირველად ვერ გავარჩიე შიგნით, სახლშივე ისმოდა ეს ხმა, თუ გარედან შემოდიოდა, მაგრამ ქარი წამიერად შეწყვეტდა თუ არა ზუზუნს, ეს საეჭვო და მწუხარებით აღსავსე ხმა კვლავ მეორდებოდა. ბოლოს გადავწყვიტე, ალბათ, სადღაც, შორს, ძაღლი ყმუის-მეთქი. გამიხარდა, როცა ეს ხმა შეწყდა, მაგრამ ძილშიც ბნელი და ქარიშხლიანი ღამე მესიზმრებოდა. ისევ იმაზე ვფიქრობდი, რომ თქვენთან ყოფნა მინდოდა და საშინელი ტანჯვა-წამებას განვიცდიდი იმის გამო, რომ ერთურთისაგან გარდაუვალი ზღვარი გვყოფდა. ჩაძინებისთანავე მესიზმრა, რომ მიხვეულ-მოხვეული უცნობი გზით მივდიოდი. გარს უკუნეთი სიბნელე მეხვია და წვიმაც კოკისპირულად ასხამდა. ხელში ჩვილი ბავშვი მეჭირა, სულ პაწაწინა, ახალშობილი და სუსტი. ის თრთოდა ჩემს გაცივებულ მკლავებში და საცოდავად ჩამჩხაოდა ყურში.

ვიცოდი, თქვენც იმავე გზით მიდიოდით ჩემ წინ და კარგა დიდი მანძილით იყავით დაშორებული. ძალ-ღონეს არ ვზოგავდი, როგორმე დაგწეოდით. თავს რამდენიმეჯერ ძალა დავატანე, მინდოდა, დამეძახნა და შემეჩერებინეთ, მაგრამ მოძრაობის უნარი წართმეული მქონდა, თითქოს ბორკილი მდებოდეს. მერე ხმა ჩამიწყდა, კრინტიც ვერ დავძარი. ამ დროს კი თქვენ უფრო და უფრო შორს წახვედით.

_ განა ეს სიზმრები შენს სულს კვლავ ტანჯავს, ჯეინ, როდესაც ახლა შენთან ვარ? პატარა ნერვული ქმნილება! _ წარმოთქვა მან და განაგრძო, _ დაივიწყე მწუხარება, რომელიც მოგელანდა და იფიქრე ნამდვილ ბედნიერებაზე! შენ ხომ მითხარი, რომ გიყვარვარ, ჯენიტ. დიახ, ამას ვერ დავივიწყებ. შენც არ შეგიძლია უარყო ეს. შენმა ბაგემ წარმოთქვა ეს სიტყვები; მათი ლბილი და უზადო ჟღერა გარკვევით გავიგონე, თუმცა მოზეიმე განწყობით ნათქვამი, მაგრამ მუსიკასავით ტკბილი.

_ იმედი, რომ ამიერიდან სულ თქვენთან ერთად ვიქნები, არ იცით, რა ნეტარებაა, ედვარდ. ალბათ იმიტომ, რომ მე თქვენ მიყვარხართ.

_ გიყვარვარ, ჯეინ? კიდევ გაიმეორე!

_ მიყვარხართ, სერ. ისე მიყვარხართ, რომ ჩემს გულს მეტის ატანა აღარც შეუძლია.

_ კეთილი, _ მითხრა მან, რამდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ. _ საოცარია, მაგრამ ამ სიტყვებმა ჩემს გულს მძიმე ტკივილი აგრძნობინეს. რატომ? ვფიქრობ იმიტომ, რომ შენ ისინი განსაკუთრებული მორწმუნე ადამიანის გრძნობით შთაგონებულმა წარმოსთქვი. ამჟამად ჩემკენ მოპყრობილი შენი მზერა ამ დაუსრულებელი რწმენით, სიმართლითა და ერთგულებითაა სავსე. მგონია, რომ ახლა ჩემ წინ სულია და არა ადამიანი. მინდა მზაკვარი ადამიანის თვალით შემომხედო, ჯეინ; შენ ხომ ძალიან კარგად გეხერხება ასე მზერა. მოიშველიე შენი გამაღიზიანებელი, თუნდაც უტიფარი, მორცხვი ღიმილი და თქვი, რომ გძულვარ. გამახელე, მაწყენინე, ჩაიდინე, რაც გსურს, რომ მოთმინებიდან გამომიყვანო. ასეთ ნაღველს განრისხება მირჩევნია.

_ აღგაშფოთებთ და გაგაჯავრებთ, რამდენადაც გნებავთ, როდესაც ამ ამბავს დავასრულებ, მაგრამ ბოლომდე მომისმინეთ.

_ ჯეინ, ვფიქრობ, შენ უკვე დაამთავრე, რაც უნდა გეთქვა. მგონია, მაგ სიზმარში შენი მწუხარების მიზეზსაც მივაგენი.

თავი გავიქნიე.

_ როგორ? კიდევ არის რაიმე? მაგრამ თუ რაიმე მნიშვნელოვანია, ვერ დავიჯერებ. გაფრთხილებ და წინასწარვე გიცხადებ უნდობლობას. განაგრძე!

მისმა შეშფოთებულმა გამომეტყველებამ, თითქოს შიშნარევმა საქციელმა და მოუთმენლობამ გამაოცა, მაგრამ მაინც განვაგრძე:

_ მე მეორე სიზმარიც ვნახე, სერ. თითქოს თორნფილდის სასახლე საზარელ ნანგრევებად ქცეულიყო, ბუებისა და ღამურების თავშესაფარ ადგილსამყოფელად. დიდებული წინა ხედიდან აღარაფერი დარჩენილიყო, გარდა ჩამორღვეული, ძალიან მაღალი კედლისა, რომელიც წაქცევაზე იყო.

შამბნარით დაფარულ ეზო-მიდამოში დავეხეტებოდი ამ მთვარიან ღამეს და ხან ბუხრიდან ჩამოვარდნილ მარმარილოს ნამსხვრევს, ხან კი ლავგარდანის ნატეხს წამოვკრავდი ხოლმე ფეხს. შალში გახვეული პატარა, უცნობი ბავშვი ისევ ხელში მეჭირა; მკლავები ჩამოწყვეტაზე მქონდა; მაგრამ მაინც არ შემეძლო სადმე დაბლა დამედო ჩემი ტვირთი. ის იმდენად მძიმე იყო, სიარული მიჭირდა, მაგრამ მაინც ხელში უნდა მჭეროდა. უცებ შორს, გზიდან ცხენის ფეხის ხმა შემომესმა; დარწმუნებული ვიყავი, ეს თქვენ იყავით. თქვენ სადღაც შორეულ ქვეყანაში მიემგზავრებოდით ძალიან დიდი ხნით. თავგანწირული, გიჟური სისწრაფით ავცოცდი ამ ჩამონგრეულ სუსტ კედელზე, მინდოდა თქვენთვის მაღლიდან ერთხელ მაინც მომეკრა თვალი, მაგრამ ფეხქვეშ ქვები გამომეცალა და ხრიალით ჩაეშვა დაბლა; სუროს ტოტები კი, რომლებსაც ვეხვეოდი, ხელიდან მისხლტებოდა; ბავშვი შიშისაგან კისერზე მთელი ძალით ჩამომეკიდა და თითქმის მახრჩობდა; ბოლოს სულ მაღლა ავედი, იქიდან თეთრ ბილიკზე წერტილივითღა მოჩანდით და თანდათან თვალთაგან მშორდებოდით. ქარი ისე ძლიერად უბერავდა, იქ დგომა გამიჭირდა და ვიწრო წინწამოწეულ ნანგრევებზე ჩამოვჯექი; ვაწყნარებდი ჩემს კალთაში მწოლიარე პაწაწინა, შეშინებულ ქმნილებას. თქვენ გზაზე შეუხვიეთ. წინ გადმოვიხარე. მინდოდა, უკანასკნელად კიდევ მომეკრა თვალი თქვენთვის, მაგრამ კედელმა რღვევა დაიწყო; თავს ვეღარ ვიმაგრებდი; კალთიდან ბავშვიც გადმომივარდა; წონასწორობა დავკარგე; წავიქეცი და გამომეღვიძა.

_ ახლა, ჯეინ, სულ ეს არის, არა?

_ არა, ეს მხოლოდ დასაწყისია,სერ; ამას უნდა მოჰყვეს ამბავი. გავიღვიძე თუ არა, სინათლის დამაბრმავებელმა შუქმა მომჭრა თვალი. პირველად ვიფიქრე, რომ გათენებულიყო, მაგრამ შევცდი: ეს მხოლოდ სანთლის შუქი იყო. ვიფიქრე, ალბათ სოფი შემოვიდა-მეთქი. პატარა მაგიდაზე ანთებული სანთელი იდგა, შევამჩნიე, გარდერობის კარიც ღია იყო, სადაც დაწოლის წინ ჩემი საქორწინო კაბა და პირსაბური ჩამოვკიდე. იქიდან რაღაც შარიშური მოისმოდა. ვკითხე: _ სოფი, რას აკეთებ-მეთქი, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე. გარდერობიდან რაღაც გამოსახულება გამოვიდა, სანთელი ხელში აიღო, მაღლა ასწია და იქ საკიდარზე დაკიდულ ტანსაცმელს თვალიერება დაუწყო. _ სოფი! სოფი! _ კვლავ დავუძახე, მაგრამ ის ისევ ჩუმად იყო. ლოგინზე წამოვჯექი; წინ გადავიხარე; პირველად განვცვიფრდი; მერე კი სულმთლად დავიბენი და ძარღვებში სისხლი გამეყინა. მისტერ როჩესტერ, ის არც სოფი იყო, არც ლი და არც მისის ფეიერფექსი. ეს, არც ის, დიახ, დღემდე დარწმუნებული ვარ, რომ არც ის უცნაური ქალი ,გრეის პული ყოფილა.

_ ალბათ მაინც რომელიმე მათგანი იყო, _ შემაწყვეტინა მისტერ როჩესტერმა.

_ არა, სერ, არა. სერიოზულად გარწმუნებთ, რომ არც ერთი მათგანი არ ყოფილა.

გამოსახულება, რომელიც მაშინ ჩემ წინ იდგა, თორნფილდის მიდამოებში მანამდე არასოდეს მინახავს, მისი სიმაღლე და მოყვანილობა სრულიად უცნობი იყო ჩემთვის.

_ აღწერე, ჯეინ.

_ მე ის დავინახე, მაღალი და სრული უნდა ყოფილიყო, სერ. ხშირი შავი თმა ზურგზე ეფინებოდა. ვერ გავიგე, რანაირი კაბა ეცვა, მხოლოდ ის შევამჩნიე, რომ ის თეთრი და მთლად სწორი იყო. თუმცა სუდარა იყო, კაბა თუ ზეწარი ახლაც ვერ გეტყვით.

_ სახე თუ დაუნახე?

_ პირველად ვერა, მაგრამ უცებ საკიდრიდან ჩემი საქორწინო თავსაბური ჩამოხსნა, გასინჯა; დიდხანს აკვირდებოდა, მერე თავზე ჩამოიფარა, სარკისკენ შებრუნდა და მოგრძო ბნელ ზედაპირზე სრულიად გარკვევით გავარჩიე მისი სახის ნაკვთთა ანარეკლი.

_ როგორი ნაკვთები ჰქონდა მაინც, ჯეინ?

_ როგორც მაშინ დავინახე, შემაძრწუნებელი და ბოროტებით სავსე. ოჰ, სერ, ასეთი გამომეტყველება არასოდეს მინახავს.

სახეზე ადგილ-ადგილ ლაქები აჩნდა და ველური გამოხედვა ჰქონდა. მინდა დამავიწყდეს იმ ჩასისხლიანებულ თვალთა ტრიალი და საზარლად დასივებულ-ჩაშავებული სახის ნაკვთები.

_ მოჩვენებები, ჩვეულებრივ, გაფითრებულები არიან, ჯეინ.

_ მისი სახე კი მთლად ავარვარებული იყო, სერ. ტუჩები დასივებოდა და ჩალურჯებოდა; შუბლი შეკრული ჰქონდა და შავი წარბები ჩასისხლიანებულ თვალებს ზევით, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მაღლა ჰქონდა აწეული. გითხრათ, რას მაგონებდა ის?

_ მითხარი, ჯეინ.

_ საძაგელ მოჩვენებას გერმანული ზღაპრებიდან _ ვამპირს.

_ აჰ! მერე რა ჩაიდინა მან?

_ სერ, მან აბურძგვნილი თავიდან ჩემი თავსაბური მოიხადა, ორად გაგლიჯა, იატაკზე დააგდო და ფეხით დაუწყო თელვა.

_ მერე რა გააკეთა?

_ მერე სარკმელზე ფარდა გადასწია და გაიხედა. შესაძლებელია, შენიშნა, რომ განთიადი ახლოვდებოდა, სანთელი აიღო და კარებისაკენ გაეშურა. სწორედ ჩემს საწოლთან მოჩვენება შეჩერდა; ცეცხლივით მბრწყინავი თვალები შემომანათა; სანთელი ზედ სახესთან მომიტანა და ჩემ თვალწინ ჩააქრო. დავინახე, ცეცხლივით როგორ აღიგზნო მისი შემაძრწუნებელი სახე, როდესაც მე მომიახლოვდა და გონება დავკარგე. მხოლოდ მეორედ ჩემ სიცოცხლეში, დიახ, მხოლოდ მეორედ მაშინ დავკარგე შიშისაგან გრძნობა.

_ ვინ იყო შენთან, როდესაც გონს მოხვედი?

_ არავინ, სერ, მაგრამ უკვე კარგად გათენებულიყო. წამოვდექი, თავზე და სახეზე წყალი შევისხი; ერთი ყლუპი მოვსვი კიდეც და, მიუხედავად საშინელი სისუსტისა, მივხვდი, ავად არ ვიყავი. მერე გადავწყვიტე, თქვენ გარდა

არავისთვის გამეზიარებინა, რაც მომეჩვენა. ახლა კი, სერ, მითხარით, ვინ იყო ან რა იყო ის ქალი?

_ ცხადია, ის შენი აღგზნებული გონების წარმოსახვა იყო. ძალიან ფრთხილად უნდა მოგექცე, ჩემო საუნჯევ, თორემ შენი ნერვები უხეში განცდების ასატანად არ არის შექმნილი.

_ დამერწმუნეთ, სერ, ჩემი ნერვები აქ არაფერ შუაშია. ის არსება ნამდვილი იყო და ეს ამბავიც ნამდვილად მოხდა.

_ შენი წინასწარ ნანახი სიზმრები, ისიც ნამდვილი იყო? განა თორნფილდჰოლი ნანგრევებადაა ქცეული და მე შენგან მართლაც რაიმე გადაულახავი დაბრკოლება მაშორებს? განა მე მართლაც გტოვებ უსიტყვოდ, ცრემლისა და კოცნის გარეშე?

_ არა, ჯერ არა.

_ განა ვაპირებ ასე მოგექცე? აი უკვე თენდება ის დღეც, რომელმაც ურღვევი კავშირით უნდა შეგვაერთოს და როცა ერთად ვიქნებით, ასეთი სულიერი ძრწოლა აღარასოდეს განმეორდება, ამის თავდები მე ვიქნები.

_ გონებით შექმნილი შიში, სერ? ძალიან მინდა მჯეროდეს, რომ ეს ასეა. ახლა კიდევ უფრო მეტად მინდა ასე იყოს, რადგან თქვენც კი არ შეგიძლიათ ამიხსნათ ამ საშინელი სტუმრის საიდუმლოება.

_ და რადგან მეც არ შემიძლია, ჯეინ, მაშინ ის არც მომხდარა.

_ მაგრამ, სერ, როდესაც მეც ასევე ვარწმუნებდი ჩემს თავს ამ დილით და ადგომის დროს ოთახს თვალი მოვავლე, რათა მხნეობა მომეკრიბა და დღის სინათლეზე ნაცნობი საგნების ხილვით დავმშვიდებულიყავ, იქვე ხალიჩაზე ისეთი რამ შევნიშნე, რამაც დამარწმუნა, რომ ვცდებოდი, ეს იყო თავიდან ბოლომდე ორად გაგლეჯილი თავსაბური.

ვიგრძენი, როგორ შეკრთა, გააჟრჟოლა მისტერ როჩესტერს და სწრაფად მომხვია ორივე ხელი, _ მადლობა ღმერთს! _ წამოიძახა მან, _ რომ წუხელ შენ ახლოს ასეთი ბოროტი არსება იყო და მხოლოდ პირსაბური დააზიანა. იმის გაფიქრებაც კი, თუ რა შეიძლება მომხდარიყო, ჟრუანტელს მგვრის...

მას სული შეუგუბდა და ისე მაგრად მიმიკრა გულზე, რომ სული ძლივსღა მოვითქვი. ხოლო რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ მხიარულად განაგრძო.

_ ახლა, ჯენიტ, ყველაფერს აგიხსნი ამ ამბის შესახებ. ეს ნახევრად სინამდვილე, ნახევრად სიზმარი იყო, რა თქმა უნდა. სრულიადაც არ ვვეჭვობ, რომ ვიღაც ქალი მართლაც შემოვიდა შენს ოთახში. ეს ქალი მხოლოდ გრეის პული შეიძლებოდა ყოფილიყო. განა შენ თვითონ არ ეძახი მას უცნაურ არსებას? ყოველივე იმის შემდეგ, რაც შენ იცი მის შესახებ, მიზეზიც გაქვს, რასაკვირველია, ასე უწოდებდე მას. რა ჩაიდინა მან ან ჩემს, ან მეზონის მიმართ, ხომ გახსოვს? ძილბურანში, ეტყობა, შენიშნე მისი შემოსვლა ოთახში და რაც იქ მოიმოქმედა, მაგრამ, რადგან შენ თვითონ ციებ-ცხელებიანივით გათრთოლებდა და კოშმარული სიზმრების გამო ბორგავდი, ის შენ ბოროტი სულის გამოცხადებად მიიჩნიე და არა გრეის პულად. გრძელი გაშლილი თმა, დასივებულ-ჩაშავებული სახე და მაღალი ტანი მხოლოდ შენი წარმოსახვის

შედეგია _ კოშმარული სიზმრების შედეგი იმ ღამით. პირსაბურის ავი განზრახვით დახევა კი, რასაკვირველია, სინამდვილეა. ეს სწორედ მას შეეძლო ჩაედინა. ვიცი, შემეკითხებით, რად ვინახავ ასეთ ქალს ჩემს სახლში, მაგრამ ამას ჩვენი ქორწინებიდან სწორედ ერთი წლის მერე გეტყვი. ახლა კი არაფრის თქმა არ შემიძლია. კმაყოფილი ხარ, ჯეინ? ღებულობ საიდუმლოების ამგვარ ახსნას?

ჩავუფიქრდი და მივხვდი, რომ მხოლოდ ასეთი ახსნა-განმარტების მოცემა შეეძლო მას. კმაყოფილი, რა თქმა უნდა, არ ვიყავი, მაგრამ მისტერ როჩესტერისათვის რომ მესიამოვნებინა, ისეთი გამომეტყველება მივიღე, თითქოს სრულიად შემეცვალა აზრი. შვება მართლაც ვიგრძენი, კმაყოფილი ღიმილითაც ვუპასუხე და, რადგან პირველი საათის მერე ძალიან დიდი დრო გასულიყო, წასასვლელად მოვემზადე.

_ სოფის ადელთან ერთად სძინავს, არა, საბავშვო ოთახში? _ მკითხა მან, როდესაც სანთელი ავანთე.

_ დიახ, სერ.

_ ადელის პატარა ოთახში შენთვისაც იქნება საკმარისი ადგილი დასაძინებლად. ამაღამ იქ უნდა დაიძინო, ჯეინ. სრულებითაც არ არის საკვირველი, რომ იმ შემთხვევამ, რაც შენ მიამბე, ასე გაგანერვიულა. ჩემი აზრით, უმჯობესია, მარტო აღარ დარჩე. აღმითქვი, რომ საბავშვო ოთახში დაიძინებ.

_ ძალიან მოხარულიც ვიქნები, თუკი იქ დავიძინებ, სერ.

_ შიგნიდან კარი კარგად ჩაკეტე, მაღლა ახვალ თუ არა, სოფი გააღვიძე იმ საბაბით, რომ თითქოს გინდა სთხოვო, ხვალ დილით დროზე გაგაღვიძოს, რვა საათამდე უნდა ჩაიცვა და ისაუზმო. ახლა კი საშინელი ფიქრები თავიდან მოიშორე და მათზე სამძიმილიც შორს განდევნე, ჯენიტ. განა არ გესმის, ქარი იმდენად ჩადგა, რომ მხოლოდ საიდუმლოდღა ჩურჩულებს ფოთლებში; აღარც წვიმა შხაპუნობს სარკმლის მინებზე, გაიხედე (მან ფარდა ასწია), რა მშვენიერი ღამეა!

მართლაც მშვენიერი ღამე იყო. ცის ნახევარი მთლად მოწმენდილი მოჩანდა და ღრუბლის ერთი ნამცეციც არსად ემჩნეოდა. ქარი ჯგუფ-ჯგუფად მიერეკებოდა ღრუბლებს, რომლებიც აღმოსავლეთით დიდ მანძილზე ვერცხლისფერ სვეტებად გაწოლილიყვნენ. მთვარე მშვიდად დანათოდა არემარეს.

_ კეთილი, _ წარმოთქვა მისტერ როჩესტერმა და გამომცდელი მზერით ჩამხედა თვალებში. _ ახლა როგორ არის ჩემი ჯენიტი?

_ ღამე მშვიდია, სერ, და მეც დამშვიდებული ვარ.

_ ამაღამ არც განშორება და არც რაიმე სამწუხარო დაგესიზმრება, მხოლოდ ბედნიერი სიყვარული და სანეტარო კავშირი.

მისი წინასწარმეტყველება თითქმის ნახევრად შესრულდა. სამწუხარო მართლაც არაფერი დამსიზმრებია, მაგრამ არც სასიხარულო არაფერი მინახავს, რადგან სრულებით არ მძინებია. ჩავწექი თუ არა, ადელს ხელები

მოვხვიე და მის ბალღურ ძილს მშვიდს, აუმღვრეველსა და უცოდველს ვაკვირდებოდი; ასე ვუცდიდი გათენებას; მთელი ჩემი არსებით დიდ სულიერ მღელვარებას განვიცდიდი და, როგორც კი მზე ამოვიდა, ავდექი; მახსოვს, როგორ ვაკოცე და ძლივს მოვიხსენი მისი პაწაწინა ხელები კისრიდან; ჯერ კიდევ უცნობი მღელვარება დამეუფლა და მაშინვე განვშორდი მას; ვშიშობდი, ჩემ ქვითინს არ დაერღვია მისთვის უზრუნველი სიმშვიდე; მას ჩემი წარსული ცხოვრების სიმბოლოდ ვსახავდი; ის კი, ვის შესახვედრადაც ვირთვებოდი ახლა, საშიშ, მაგრამ თაყვანსაცემ ადამიანად მყავდა წარმოდგენილი, ჩემთვის ჯერ კიდევ სრულიად უცნობ მომავალი ცხოვრების გზაზე.

თავი XXVI

ჩემ ჩასაცმელად სოფი შვიდ საათზე შემოვიდა. ის ზოზინებდა და მისთვის დავალებულ საქმის გაკეთებას იმდენ ხანს მოუნდა, რომ მეც დავიგვიანე. მისტერ როჩესტერმა, ჩანდა, მოთმინება დაკარგა და შემომითვალა, თუ ამდენ ხანს რატომ არ ჩავდიოდი დაბლა. ამ დროს სოფი თავსაბურს მიმაგრებდა თავზე გულის ქინძისთავით. ეს სწორედ ის ჩემი ნახელავი უბრალო, ოთხკუთხედი ღია ფერის თავსაბური იყო. ვაჩქარებდი, მინდოდა, რაც შეიძლება მალე გავთავისუფლებულიყავი მისი ხელიდან და, როგორც კი შესაძლებლობა მომეცა, მაშინვე კარს მივაშურე.

_ შეჩერდით! _ მომაძახა მან ფრანგულად, _ ერთხელ მაინც შეხედეთ თქვენს თავს სარკეში. თვალიც ხომ არ მოგიკრავთ მისთვის.

მართლაც მოვბრუნდი. დავინახე გრძელ კაბასა და თავსაბურში მორთული გამოსახულება, რომელიც არაფრით არ მგავდა მე. თითქოს სრულიად უცხო ადამიანის სახეს ვუმზერდი სარკეში.

_ ჯეინ! _ შემომესმა ამ დროს ძახილი და მეც კიბეზე დავეშვი.

კიბის ბოლოში მისტერ როჩესტერი დამხვდა.

_ რა აუჩქარებელი ხარ, _ მითხრა მან, _მოთმინება აღარ მყოფნის, გულზე ცეცხლი მიკიდია და შენ კი ასე აყოვნებ.

სასადილო ოთახში შემიყვანა. თავით ფეხამდე დაკვირვებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა. მერე განაცხადა, რომ შროშანასავით მშვენიერი ვიყავი და არა მარტო მისი ცხოვრების სიამაყეს, არამედ მის თვალთა სასურველსაც წარმოვადგენდი. შემდეგ კი მითხრა, რომ მხოლოდ ათ წუთს მაძლევდა საუზმის საჭმელად და ზარი დარეკა. შემოვიდა იმ ბოლო ხანს დაქირავებული ერთ-ერთი ფარეში.

_ ჯონი ცხენებს აბამს ეტლში?

_ დიახ, სერ.

_ ბარგი უკვე ჩამოიტანეს დაბლა?

_ ახლა ჩამოაქვთ, სერ.

_ მაშ ეკლესიაში წადი და ნახე, მღვდელი მისტერ ვუდი და დიაკონი იქ არიან თუ არა. მალევე დაბრუნდი და შემატყობინე.

ეკლესია, როგორც მკითხველმა უკვე იცის, იქვე იყო, შემოსასვლელ ალაყაფის კარებს გარეთ; ლაქია მალე დაბრუნდა.

_ მისტერ ვუდი სამლოცველოშია, სერ, და სტიქარს იცვამს.

_ ეტლი?

_ ცხენებს აბამენ, სერ.

_ ეტლი ეკლესიაში წასასვლელად არ დაგვჭირდება. მაგრამ, დავბრუნდებით თუ არა, მზად უნდა იყოს ყველა. ჩემოდანი და ბარგი ჩააწყვეთ, თასმები გადაუჭირეთ და მეეტლეც კოფოზე დაგვხვდეს.

_ დიახ, სერ.

_ ჯეინ, მზადა ხარ?

წამოვდექი. არც მაყრები, არც საპატარძლოს მეგობრები, არც ნათესავები არსად ჩანდნენ, არავინ გველოდებოდა და არც მეჯვარე გვყავდა. მხოლოდ მე და მისტერ როჩესტერი ვიყავით ორნი. დარბაზში მისის ფეირფექსი იდგა, გვერდით ჩავუარეთ; სიამოვნებით გამოველაპარაკებოდი, მაგრამ ჩემ ხელს თითქოს რკინის სალტე შემოუჭირეს, ისე მომკიდა ხელი მისტერ როჩესტერმა. ის მაჩქარებდა და ისე დიდ ნაბიჯებს ადგამდა, ძლივს მივდიოდი. შეხედავდით თუ არა მის სახეს, მაშინვე იგრძნობდით, რომ ის ვერავითარი მიზეზის გამო, ერთი წამით დაგვიანებასაც ვერ აიტანდა. ვფიქრობდი, ნუთუ სხვა საქმროებსაც ისეთივე გამომეტყველება ჰქონდათ, როგორც მას? ნუთუ ასე გატაცებულნი იყვნენ თავიანთი მიზნით და ასე მტკიცე გადაწყვეტილება ეხატებოდათ სახეზე? ანდა მოღუშული წარბების ქვემოთ ასევე ცეცხლივით უელავდათ თვალები?

ვერც კი შევნიშნე, როგორი დღე იყო, მოწმენდილი თუ ნისლიანი, როდესაც ხეივანში ჩავედით. მე არც ცას ვუყურებდი და არც მიწას, მხოლოდ საკუთარ გულში ვიყურებოდი და ორივე, როგორც გული, ისე თვალები, მეჩვენებოდა, რომ მისტერ როჩესტერზე იყვნენ მიჯაჭვულნი. მინდოდა, დამენახა ის უხილავი საგანი, რომელსაც, რაც წინ მივდიოდით, ასეთი ულმობელი და მკაცრი თვალით უჭვრეტდა. ასევე მინდოდა, გამეგო მისი ფიქრები, რომელთა ძალას ასე ეწინააღმდეგებოდა და ეურჩებოდა.

ეკლესიის ეზოს ჭიშკართან ის შეჩერდა, შეამჩნია, რომ სულს ძლივსღა ვითქვამდი.

_ მკაცრი ვარ არა სიყვარულში? _ მკითხა მან. _ შეისვენე რამდენიმე წამი და დამეყრდენი, ჯეინ.

ახლაც შემიძლია გავიხსენო ის სურათი: ჩემ წინ მშვიდად აღმართულიყო ძველი ნაცრისფერკედლებიანი საყდარი, სამრეკლოს გარშემო ჭილყვავნი დაფარფატებდნენ, მაღლა _ დილის მზის სხივებით წითლად პირატკეცილი ცა, მახსოვს, აგრეთვე, საფლავის მწვანე ბორცვები და არც ორი უცხო ადამიანის ლანდი დამავიწყდება, რომელნიც ამ პატარა ბორცვებს შორის დააბოტებდნენ და მხოლოდ სულ რამდენიმე ხავსით დაფარულ საფლავის

ქვაზე სამახსოვროდ ამოკვეთილ წარწერებს კითხულობდნენ. მე ისინი იმიტომ შევამჩნიე, რომ, როგორც კი ჩვენ შეგვნიშნეს, ეკლესიის უკან მიიმალნენ. ეჭვიც კი აღარ მეპარებოდა, რომ ისინი ტაძარში განის კარიდან შემოვიდოდნენ და ჯვრისწერის ცერემონიალს დაესწრებოდნენ. მისტერ როჩესტერმა ისინი ვერ შენიშნა, რადგან თვალმოუშორებლად მე ჩამყურებდა სახეში. ძარღვებში სისხლის მოძრაობა შემიწყდა; შუბლზე ცვარივით გამოჟონა ოფლმა და სახე და ტუჩები გამიცივდა. როდესაც გონს მოვედი, მან ფრთხილად ჩამატარა ბილიკზე საყდრის კარამდე.

შევედით მდუმარებით მოცულ პატარა საყდარში; თეთრ სტიქარში გამოწყობილი მღვდელი დაბლა საკურთხეველთან გვიცდიდა; დიაკონიც მის გვერდით იდგა; ირგვლივ სრული მყუდროება გამეფებულიყო. მხოლოდ ორი ჩრდილი მოძრაობდა ჩვენგან შორს, კუთხეში. ჩემი წინასწარი ვარაუდი გამართლდა; უცნობები ჩვენზე ადრე შეპარულიყვნენ იქ და ახლა როჩესტერების აკლდამის გვერდით ჩემგან ზურგშექცეულნი იდგნენ. ისინი მოაჯირს იქით ძველ, დროთასვლისგან დალაქავებულ მარმარილოს ძეგლს ათვალიერებდნენ, რომელზედაც გამოსახული მუხლმოდრეკილი ანგელოზი სამოქალაქო ომის დროს მარსტონ მურის ბრძოლაში დაღუპულ დეიმერ დე როჩესტერისა და მისი მეუღლის ელისაბედის ნეშტს დარაჯობდა.

ჩვენ საკურთხეველთან სწორედ იმ ადგილას დავდექით, რომელიც მხოლოდ ჯვრისწერისათვის იყო გამოყოფილი. უკანა მხრიდან ფრთხილი ნაბიჯის ხმა შემომესმა. თავი გვერდზე მივაბრუნე და ცხადად შევამჩნიე ერთ-ერთი უცნობი ჯენტლმენთაგანი საკურთხეველს უახლოვდებოდა. მღვდელმსახურება დაიწყო. ახსნა-განმარტება ქორწინების როლზე უკვე წაკითხული გვქონდა, როცა მღვდელმა ერთი ნაბიჯი წინ გადმოდგა, ოდნავ გადმოიხარა მისტერ როჩესტერისაკენ და განაგრძო:

_ გთხოვთ და ამასთანავე გიბრძანებთ ორივეს (რადგან განკითხვის დღეს მართლმსაჯულების წინაშე გულში ჩამარხული ყველა საიდუმლო უნდა გამოაშკარავდეს), თუ რომელიმე თქვენგანს აქვს რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზი, რის გამოც არ შეუძლია კანონიერი ქორწინებით შეუუღლდეს მეორეს, საჭიროა, ახლავე აღიაროს, თორემ დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, მრავალი მათგანის, რომელნიც სრულიად სხვა გზით, ე. ი. ღვთის მიერ დადგენილი კანონის გარეშე შეუღლებულან და ზეციური მამა მათ კავშირს არ ამტკიცებს, ქორწინება კანონიერად არ ითვლება.

ის შეჩერდა, როგორც ამას წესი მოითხოვდა. განა ოდესმე დარღვეულა დუმილი ამ წინადადების შემდეგ რაიმე პასუხით? შესაძლებელია, საუკუნის მანძილზე ერთხელ. მღვდელმაც წიგნიდან თვალმოუშორებლად ერთ წამს სული მოითქვა და უნდოდა განეგრძო. მან ხელიც კი გაიწოდა მისტერ როჩესტერისაკენ და პირიც გააღო, რომ ეკითხა: «გსურთ ჯვარი დაიწეროთY ამ ქალზეო?» რომ სულ ახლოს გარკვევით გაისმა ვიღაცის ხმა:

_ ჯვრისწერა არ მოხდება. გიცხადებთ, მას დიდი დამაბრკოლებელი მიზეზი ეღობება წინ.

მღვდელმა მოსაუბრეს ახედა და დადუმდა. დიაკონიც თითქმის ასევე მოიქცა. მისტერ როჩესტერი ოდნავ შეირხა, თითქოს მიწისძვრისაგან დედამიწა შერყეულიყოს მის ფეხქვეშ. მერე შეეცადა, უფრო მტკიცედ მოემაგრებინა ფეხი მიწაზე და თავმოუბრუნებლად ისე, რომ არავისთვის არ შეუხედავს, თქვა: _ განაგრძეთ.

ირგვლივ სამარისებური დუმილი გამეფდა, როდესაც დაბალი და ყრუ ხმით მან ეს სიტყვები წარმოთქვა. მერე კი მისტერ ვუდმა უცებ განაცხადა:

_ ასეთი განცხადების შემდეგ არ შემიძლია განვაგრძო, ყველაფერი უნდა გამოირკვეს, საჭიროა ვიცოდე, ყოველივე ეს სიცრუეა თუ სიმართლე.

_ ჯვრისწერა ჩაშლილია, _ დაუმატა ბოლოს ვიღაცის ხმამ ჩემ უკან. _ შემიძლია ჩემი მტკიცება დავასაბუთო: ამ ქორწინებას წინ ძალიან დიდი დაბრკოლება ეღობება.

მისტერ როჩესტერმა გაიგონა ყველაფერი, მაგრამ, ჩანდა, ყურადღებას აღარ აქცევდა. იდგა სასტიკი და შეუდრეკელი. ოდნავადაც არ იძვროდა, მხოლოდ ხელს არ მიშვებდა. ოჰ, როგორ ღელავდა და როგორ ძლიერად მიჭერდა ხელს ხელზე! როგორ ჰგავდა ამ წუთში მისი გაფითრებული, ძლიერი და მტკიცე ნებისყოფის გამომხატველი შუბლი ძნელად სატეხ მარმარილოს. როგორ ანთებოდა თვალები, ან რა დაძაბული მზერა ჰქონდა და რა ველური ცეცხლი უღვივოდა მათში.

ჩანდა, მისტერ ვუდი დაიბნა: _მაინც რა დაბრკოლებაა ასეთი? _ იკითხა მან.

_ იქნებ, მისი თავიდან აცილება შეიძლება, და გავმართლდეთ?

_ საეჭვოა. _ წარმოთქვა იმავე ხმამ. _ მე მას შეუძლებელი ვუწოდე და არც უსაბუთოდ ვლაპარაკობ.

მოსაუბრე წინ წამოდგა, მოაჯირზე გადმოიხარა და განაგრძო. თითოეულ სიტყვას წარმოთქვამდა მტკიცედ, გარკვევით, მშვიდად და, ამასთანავე, ხმადაბლა.

_ საქმე, უბრალოდ, პირველ ქორწინებას ეხება. მისტერ როჩესტერს მეუღლე ჰყავს, რომელიც ჯერ ისევ ცოცხალია.

მეხის დაცემაც ვერ ამითრთოლებდა ისე ნერვებს, როგორც ამ ხმადაბლა წარმოთქმულმა სიტყვებმა იმოქმედეს ჩემზე. მათმა მომწამვლელმა ძალამ სისხლი ისე ამიჩქროლა, რასაც ვერც ყინვა და ვერც ცეცხლი ვერ მაგრძნობინებდა. ძალ-ღონე მოვიკრიბე: ვგრძნობდი, გული არ წამივიდოდა; მისტერ როჩესტერს შევხედე და ვაიძულე, მასაც შემოეხედნა ჩემთვის, მას მთელ სახეზე მიწისფერი დასდებოდა; ჯიუტად მომზირალ თვალებში ცეცხლი უკრთოდა. ის არაფერს არ უარყოფდა; და ყოველივეს ამქვეყნად გამომწვევად შეჰყურებდა; არც იღიმებოდა, არც მელაპარაკებოდა და თითქოს ვეღარც იმას გრძნობდა, რომ მის გვერდით სულიერი არსება იდგა. ის მხოლოდ წელზე ხელს მხვევდა და, რაც შეეძლო, თავისკენ მიზიდავდა.

_ ვინა ხართ თქვენ? _ ჰკითხა მან აბეზარს.

_ ჩემი გვარი ბრიგსია. სასამართლოს რწმუნებული ვარ ლონდონიდან.

_ მინდა გაგახსენოთ თქვენი მეუღლის არსებობა, სერ, რომელსაც კანონი სცნობს, თუ თქვენ არა.

_ მოწყალება მოიღეთ, აღმიწერეთ და მითხარით მისი გვარი, სახელი, წარმოშობის ადგილი ან სად ცხოვრობს ის?

_ სიამოვნებით. _ მისტერ ბრიგსმა მშვიდად ამოიღო ჯიბიდან ქაღალდი და მისი საქმიანობისთვის დამახასიათებელი ცხვირში მოდუდღუნე ხმით წაიკითხა:

_ ვამტკიცებ და შემიძლია დავასაბუთო, რომ ოც ოქტომბერს, ამა წლის ამა და ამ რიცხვში (თხუთმეტი წლის წინათ) ედვარდ ფეიერფექს როჩესტერმა თორნფილდის ამა და ამ საგრაფოში მცხოვრებმა და ფერდინის მამულისა და სასახლის პატრონმა, რომელიც შაირის საგრაფოშია, ინგლისში, ჯვარი დაიწერა ჩემს დაზე, ბერთა ანტუანეტა მეზონზე _ ვაჭარ ჯონს მეზონისა და მისი მეუღლის კრეოლი ქალის ანტუანეტას ქალიშვილზე. ქორწინება მოხდა სპენიშტაუნის ამა და ამ ეკლესიაში, იამაიკაზე. ქორწინების ჩანაწერი შეიძლება მონახოთ საეკლესიო დავთარში, ხოლო ახალი პირი ხელთა მაქვს. ხელის მოწერა: რიჩარდ მეზონი.

_ ეგ თუ ნამდვილი საბუთია, მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ მე ჯვარდაწერილი ვიყავი და არა იმას, რომ იქ მოხსენებული ქალი, როგორც ჩემი მეუღლე, ჯერ კიდევ ცოცხალი იყოს.

_ სამი თვის წინ ის ცოცხალი იყო, _ განაცხადა მოსამართლემ.

_ საიდან იცით?

_ ამ ფაქტის დასადასტურებლად მე მყავს მოწმე, ვისი ჩვენების უარყოფა თქვენ ძალიან გაგიძნელდებათ.

_ წარმოადგინეთ ის აქ, თუ არადა, ჯანდაბამდე გზა გქონიათ!

_ მე მას ახლავე წარმოგიდგენთ, რადგან ის სწორედ აქ გახლავთ. მისტერ მეზონ, კეთილი ინებეთ და წინ წამოდექით.

ამ გვარის გაგონებაზე მისტერ როჩესტერმა კბილები გაღრჭიალა, და თითქოს სხეულში ძლიერმა კრუნჩხვამ გაუარაო, ისე აცახცახდა. ისე ახლოს ვიდექი, რომ სიბრაზისა და სასოწარკვეთილებისაგან გამოწვეულ თრთოლვას მთელ მის სხეულში ცხადად ვგრძნობდი. მეორე უცნობი ადამიანი, რომელიც აქამდე სადღაც უკანა მხარეს იდგა, წინ წამოდგა. სასამართლოს რწმუნებულის მხარს ზემოთ გამოჩნდა ფერმკრთალი სახე. დიახ, ეს მართლაც მისტერ მეზონი იყო. მისტერ როჩესტერი მიტრიალდა და ცეცხლისმფრქვეველი თვალები შეანათა მას. მისტერ როჩესტერს თვალები, როგორც წინათ ხშირად მოგახსენებდით, შავი ჰქონდა, მაგრამ ახლა არა მარტო დასწითლებოდა, არამედ თითქოს სიღრმეში სისხლისფრად ანთებოდა. სახე ისე წითლად უვარ-ვარებდა, გეგონებოდათ, გულის სიღრმიდან მომდინარე ცეცხლი მომწვანო ლოყებსა და გაფითრებულ შუბლზეც წაჰკიდებიაო. ის შეინძრა, ძლიერი მკლავი მაღლა ასწია; მზად იყო, გაეკრა მეზონისათვის, დაენარცხებინა ეკლესიის ფილაქანზე და ასეთი შეუბრალებელი გარტყმით სული ამოერთმია

კიდეც მისთვის, მაგრამ მეზონმა უკან დაიხია და საცოდავად წამოიკნავლა: _ ღვთის გულისათვის, მისტერ როჩესტერ!

ზიზღმა მისტერ როჩესტერს აღშფოთება გაუნელა. მისი გულისწყრომა გაქრა, თითქოს სასოწარკვეთილებამ შთანთქა ყოველივე და მხოლოდ იკითხა:

_ რა გაქვს სათქმელი?

მეზონმა გაფითრებული ტუჩები აამოძრავა და რაღაც ჩაილუღლუღა.

_ ჯანდაბამდე გზა გქონია, თუ გარკვევით ერთი სიტყვის წარმოთქმაც არ შეგიძლია. კვლავ გაიმეორე, რა გაქვს სათქმელი?

_ სერ, სერ, _ შეაწყვეტინა მღვდელმა, _ ნუ გავიწყდებათ, რომ ღვთის სახლში იმყოფებით. _ შემდეგ მან ისევ მეზონს მიმართა და წყნარად ჰკითხა: _ თქვენ იცით, სერ, რომ ამ ჯენტლმენის მეუღლე ცოცხალია ჯერ კიდევ, თუ არა?

_ მხნეობა მოიკრიბეთ, _ სთხოვა ვექილმა, _ ილაპარაკეთ!

_ ის ახლაც თორნფილდის სასახლეში ცხოვრობს, _ თქვა მეზონმა უფრო გარკვევით. _ მე ის იქ გასულ აპრილს ვნახე. მე ძმა ვარ მისი.

_ თორნფილდჰოლში? _ წამოიძახა მღვდელმა, _ შეუძლებელია! დიდი ხანია მეზობელ მიდამოების მკვიდრი ვარ და არასოდეს გამიგონია, რომ მაგ სახლში მისის როჩესტერი ცხოვრობდეს.

დავინახე, გესლიანმა ღიმილმა ბაგე როგორ მოუგრიხა მისტერ როჩესტერს და ჩაიბუტბუტა:

_ არა, ღვთის შეწევნით მე ვიზრუნე, რომ არავის სცოდნოდა მისი არსებობა ამ გვარით და არც ვინმეს სცნობოდა ის.

ასე ათი წუთის განმავლობაში ის რაღაცას ფიქრობდა და თავისთავს ესაუბრებოდა. ეტყობა, გადაწყვეტილება მიიღო და განაცხადა:

_ კმარა! ყველაფერი ახლავე, ლულიდან გასროლილ ტყვიასავით სწრაფად გამოაშკარავდება. ვუდ, დახურეთ თქვენი წიგნი, სტიქარი გაიხადეთ! ჯონ გრინ, _ მიმართა დიაკონს, _ დატოვეთ ეკლესია, ჯვრისწერა დღეს აღარ მოხდება. _ ისიც დაემორჩილა. თვით მისტერ როჩესტერმა კი ბოლოს გაბედულად და გამომწვევად განაგრძო: _ ორცოლიანობა საშინელი სიტყვაა... მე კი თურმე მაინც ასე ვაპირებდი მოქცევას, მაგრამ ბედმა გზიდან გადამაგდო, განგებამ თვით შემიშალა ხელი, შესაძლებელია, უკანასკნელად. ამ წუთში კი მე სატანაზე ცოტა უკეთესი ვარ და, როგორც ჩემი სულიერი მოძღვარი იტყოდა, ეჭვს გარეშეა, ღვთის უმკაცრეს სასჯელს ვიმსახურებ _ გაუნელებელ ცეცხლსა და სამუდამო ტანჯვა-წამებას. ჯენტლმენებო, ჩემი გეგმა ჩაშლილია. რასაც ვექილი და კლიენტი მოგახსებენ, მართალია. მე ჯვარდაწერილი ვიყავი, და ის ქალიც, რომელიც მაშინ შევირთე, ცოცხალია. ვუდ, თქვენ ამბობთ, რომ არასოდეს არაფერი გსმენიათ მისის როჩესტერზე, ამ სახლის დიასახლისზე, მაგრამ ის კი ვიცი, თქვენს ყურს ძალიან ხშირად სმენია ჭორი იდუმალებით მოცულ, ცხრაკლიტულში გამოკეტილ შეშლილ არსებაზე, რომელსაც ამ სახლში ინახავენ. ზოგიერთი ალბათ ჩაგჩურჩულებდათ, რომ ის ჩემი უკანონოდ შობილი ნახევარი და იყო, ზოგნი კი ალბათ გაძევებულ სატრფოს

ეძახოდა. მე კი გიცხადებთ ახლა, რომ ის ჩემი მეუღლეა, რომელიც თხუთმეტი წლის წინათ შევირთე. მისი გვარი და სახელი ბერთა მეზონია. აი, ამ მამაცი პიროვნების და, ვინც ახლა თავისი აცახცახებული სხეულით და გაფითრებული სახით გიჩვენებთ, რამდენის ატანა უნდა შეეძლოს გულად მამაკაცს. გული გაიმაგრე, დიკ, ნუ გეშინია, მე შენ ისევე ვერ გაგარტყამ, როგორც ქალს! ბერთა მეზონი შეშლილია. შთამომავლობით ის ასეთ ოჯახში დაიბადა. სამ თაობაში მხოლოდ სულელები და მანიით შეპყრობილნი დაბადებულან. ბერთას დედა, კრეოლი ქალი, როგორც მის ქალიშვილზე დაქორწინების შემდეგ შევიტყვე, ლოთიც იყო და შეშლილიც. მანამდე ამ ოჯახურ საიდუმლოებაზე კრინტსაც არ ძრავდნენ. ბერთა კი, როგორც მორჩილი შვილი, ორივე მხრივ, მშობლის განსახიერება გახლდათ. აი როგორი მომხიბვლელი მეუღლე მყავდა: წმინდაზე წმინდა, ჭკვიანი და თავდაჭერილი. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა ბედნიერი კაცი ვიყავი ამქვეყნად და რა დიდებული სანახაობის მოწმე გავხდი! თქვენ რომ ყველაფერი იცოდეთ, ჩემი მაშინდელი ცხოვრება ზეციური განცხრომა გეგონებოდათ. ახლა კი ყოველგვარი ახსნა-განმარტება ზედმეტად მიმაჩნია! ბრიგ, ვუდ, მეზონ, მე ყველას ჩემს სახლში გეპატიჟებით, თქვენი თვალით ნახეთ მისის პულის ავადმყოფი, ეგრეთწოდებული ჩემი მეუღლე! თქვენ იქ ნახავთ მოტყუებით როგორ ქალზე დამაწერინეს ჯვარი. განსაჯეთ, მქონდა თუ არა ნება დამერღვია ეს საქორწინო ხელშეკრულება და მეძებნა ურთიერთობა ბოლოს და ბოლოს ნამდვილ ადამიანთან. ამ გოგონამ, _ განაგრძო მან და მე შემომხედა, _ თქვენზე მეტი არ იცის, ვუდ, ამ საზიზღარი საიდუმლოების შესახებ. მას ყველაფერი სამართლიანად და კანონიერად მიაჩნდა. არასოდეს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ამ კავშირით არამზადა მახეს უგებდა და უკვე ჯვარდაწერილი იყო ამ უშნო, სულელ და პირუტყვად ქცეულ ქალზე! ყველა წამოდით, მომყევით ჩქარა!

ხელს ჯერ ისევ მაგრად მიჭერდა ხელზე და ასე გამოვიდა საყდრიდან. სამი ჯენტლმენი უკან გამოგვყვა. დარბაზის წინ ეტლი გველოდა.

_ უკანვე წაიყვანე საჯინიბოში, ჯონ, _ უთხრა მისტერ როჩესტერმა მას ცივად, _ დღეისათვის საჭირო აღარ არის.

შესვლისთანავე მისის ფეიერფექსი, ადელი, სოფი და ლი ჩვენ შესახვედრად და მოსალოცად გამოცვივდნენ.

_ თვალით არავინ დამენახოს! _ დაუყვირა მათ პატრონმა, _ მომშორდით, არ მინდა მოლოცვა. ვის სჭირდება ახლა ის? ყოველ შემთხვევაში მე აღარ გამომადგება, მან უკვე თხუთმეტი წლით დაიგვიანა.

მან გზა განაგრძო და კიბის საფეხურებს შეუდგა; ხელს ჯერ კიდევ არ მიშვებდა; ჯენტლმენებს კი თავის ქნევით ანიშნებდა, უკან გაჰყოლოდნენ. ისინიც მოგვყვებოდნენ, ავიარეთ პირველი სართულის კიბე, გავიარეთ დერეფანი და მესამე სართულისაკენ გავეშურეთ. აქ მან იმ გასაღებით, რომელიც თითქმის ყველა კლიტეს ხსნიდა, შავი კარები გააღო და

გობელენებით მორთულ ოთახში შეგვიყვანა. ოთახში უზარმაზარი საწოლი და მოჩუქურთმებული კარადა იდგა.

_ ალბათ გეცნობა ეს ადგილი, მეზონ? _ ჰკითხა მას ჩვენმა წინამძღოლმა. _ მან, მგონი, აქ დაგკბინა და დაგჭრა დანით?

მისტერ როჩესტერმა კედელზე ჩამოშვებული ფარდები გადასწია და მეორე კარები გამოჩნდა; ისიც გაიღო და დავინახეთ უფანჯრო ოთახი. ბუხარში ცეცხლი ენთო, რომელსაც მაღალი და მაგარი რკინის საფარი კარი იცავდა. ჭერიდან ჯაჭვი ეშვებოდა, რომელზედაც მაღლა ჰაერში გამოკიდებულივით მოჩანდა ლამპა. გრეის პული ცეცხლთან იყო დახრილი და, ჩანდა, კარდალაში რაღაცას ხარშავდა. ოთახის ბნელ სიღრმეში, თითქმის მის მეორე ბოლოში რაღაც უჩვეულო გამოსახულება მიმოდიოდა წინ და უკან. ერთი შეხედვით არავის შეეძლო ეთქვა, რა იყო ის, ცხოველი თუ ადამიანი. როგორც ჩანდა, ოთხ ფეხზე დაფოფხავდა და ისე ღმუოდა და ფრუტუნებდა, როგორც რომელიმე გარეული ცხოველი, თუმცა სხეულს ტანსაცმელი უფარავდა. ხშირი, შავი შეჭაღარავებული თმა გარეული ცხოველის ფაფარივით გაშლილი და ერთმანეთში არეულ-დარეული სახესა და თავს მთლიანად უმალავდა.

_ დილა მშვიდობისა, მისის პულ! _ უთხრა მისტერ როჩესტერმა. _ როგორა ხართ? როგორ არის დღეს თქვენი ავადმყოფი?

_ როგორც არის ვუძლებ, სერ, გმადლობთ, _ უპასუხა გრეისმა და საკიდარზე კავით ფრთხილად ასწია მაღლა მოთუხთუხე საჭმლის ქვაბი.

_ შფოთავს, მაგრამ ჯერჯერობით არ გაშმაგებულა.

საზარელმა ყვირილმა უცებ გააბათილა მისი პასუხი. ტანსაცმელში გამოწყობილი აფთარი უკანა ფეხებზე წამოდგა და წელში გასწორდა.

_ ოჰ, სერ, ის თქვენ გხედავთ უკვე, _ წამოიძახა გრეისმა. _ უმჯობესია, გაეცალოთ აქაურობას.

_ მხოლოდ რამდენიმე წუთი, გრეის, მხოლოდ რამდენიმე წუთი დამაცადეთ.

_ ფრთხილად, სერ! ღვთის გულისათვის, ფრთხილად!

შეშლილი აღმუვლდა. სახეზე ჩამოშლილი, გრძელი, აბურძგნილი თმა მოიშორა და ველურივით დაუწყო ყურება მნახველებს. მაშინვე ვიცანი ეს ნაკვერცხალივით აელვარებული სახე და შეშუპებული ნაკვთები. მისის პული წინ წამოვიდა.

_ ჩამომეცალეთ გზიდან, _ მიმართა მას მისტერ როჩესტერმა და გვერდით გასწია. _ ახლა დანა არა აქვს, ალბათ, და თავს როგორმე დავიცავ.

_ ვერავინ გაიგებს, რა აქვს მაგას, სერ, ძალიან დიდი ეშმაკია. მოკვდავთა ჩვეულებრივი წინდახედულება მაგის სიცბიერეს ვერ ჩასწვდება.

_ უმჯობესია, აქაურობას გავცილდეთ, _ დაიჩურჩულა მეზონმა.

_ ჯანდაბამდე გზა გქონია! _ მიაძახა სიძემ.

_ ფრთხილად! _ წამოიყვირა გრეისმა.

სამივე მამაკაცმა ერთდროულად უკან დაიხია. მისტერ როჩესტერმა თვალისუსწრაფესად ზურგს უკან მომიქცია. შეშლილი გადმოხტა, ყელში

სწვდა ბოროტი განზრახვით და ლოყაში კბილები ჩაასო. დაიწყო ბრძოლა. ქალი მოყვანილობით დიდი იყო, სიმაღლით თითქმის თავისი მეუღლის ტოლი და, ამასთანავე, სრული. ბრძოლის დროს ვაჟკაცურ ძალას ავლენდა. მიუხედავად მისტერ როჩესტერის ათლეტური სისხარტისა, ქალმა რამდენჯერმე ისე წაუჭირა ყელში ხელი, კინაღამ დაახრჩო. მისტერ როჩესტერს, რასაკვირველია, შეეძლო ერთი სილის გაწვნით დაენარცხებინა დაბლა, მაგრამ ხომ არ გაარტყამდა; მხოლოდ თავს იცავდა მისგან. ბოლოს შეშლილს ორივე მკლავი დაუჭირა, გრეის პულმა თოკი მიაწოდა და ხელები უკან მაგრად შეუკრეს. დანარჩენი თოკით კი სკამზე მიაბა. ყველაფერი ეს შეშლილის ყურთასმენის წამღებ გააფთრებულ ყვირილში მოხდა, ამასთანავე ის სიშმაგისაგან იკრუნჩხებოდა და ხელიდან დასხლტომას ცდილობდა. ბოლოს მისტერ როჩესტერი მაყურებელს მიუბრუნდა. შეხედა მათ და ბაგეზე მწარე და უბედური ადამიანის ღიმილმა გადაურბინა.

_ აი, ეს გახლავთ ჩემი მეუღლე, _ წარმოთქვა მან. _ რაც მახსოვს, მხოლოდ ასეთი მოხვევა იცის, როგორც ცოლმა.მხოლოდ ასეთი ალერსი, რაც ნუგეშს მცემს მოცლილობის დროს. ეს კი ის არის, ვისზედაც ვოცნებობდი, რომ ჩემი ყოფილიყო (ხელი მხარეზე დამადო). ეს ახალგაზრდა გოგონა დამწუხრებული, მაგრამ მშვიდი დგას ჯოჯოხეთის პირისპირ და უშფოთველად შესცქერის ამ ჯადოქრის ხტუნვასა და ხრიკებს. მე ისე მსურდა მისი სიახლოვე, როგორც ჯოჯოხეთურად ცხარე ბუღლამის შემდეგ რაიმე გემრიელი საჭმელი მოუნდეს ადამიანს. ვუდ, ბრიგს, შეხედეთ მათ შორის ამ დიდ სხვაობას! შეადარეთ ეს ნათელი მოციმციმე თვალები ამ ჩასისხლიანებულ თვალებს, ეს სახე, ამ ნიღაბივით სახეს; ეს სხეული _ მის ხორცის ბელტებად ქცეულ სხეულს... და მაშინ განსაჯეთ ჩემი საქციელი, სახარების მქადაგებელო მღვდელო, და თქვენც, კანონის დამცველო მოხელევ, გახსოვდეთ, რა სამსჯავროს წინაშეც მე წარვსდგები თქვენი წყალობით, იგივე სამსჯავრო გაგასამართლებთ თქვენც! ახლა კი გამეცალეთ აქედან, ჩემი საუნჯე უნდა ჩავკეტო.

ყველანი გარეთ გამოვედით, მისტერ როჩესტერი კიდევ დარჩა შიგნით რამდენიმე წუთს, ალბათ უნდოდა გრეის პულისათვის რაიმე განკარგულება მიეცა. კიბეზე ჩასვლისას სასამართლოს რწმუნებული მომიბრუნდა და ასე მომმართა:

_ თქვენ, ქალბატონო, სრულიად თავისუფალი ხართ ყოველგვარი დანაშაულისაგან, თქვენს ბიძას ეს ამბავი უთუოდ ძალიან გაახარებს, თუ, რასაკვირველია, ცოცხალი დახვდება მისტერ მეზონს, როდესაც ის მადეირაზე დაბრუნდება.

_ ჩემი ბიძა? რა იცით იმის შესახებ? თქვენ იცნობთ მას?

_ მისტერ მეზონი იცნობს. თქვენი ბიძა, მისტერ ეარი, რამდენიმე წლის განმავლობაში ქ. ფანჩელში მათი სავაჭრო ფირმის კორესპონდენტი ყოფილა. და როდესაც თქვენს ბიძას თქვენგან წერილი მიუღია, რომელიც თქვენსა და მისტერ როჩესტერის მოსალოდნელ ქორწინებას ატყობინებდა, მისტერ მეზონი ამ დროს მადეირაზე ისვენებდა თურმე ჯანმრთელობის აღსადგენად.

იქიდან იამაიკაზე უკან დაბრუნებისას სრულიად შემთხვევით გზად მისტერ ეარს შეხვედრია. თქვენს ბიძას საუბარში ეს ამბავიც უხსენებია, რადგან იცოდა, რომ ეს ჩემი კლიენტი იცნობდა ვიღაც ჯენტლმენს ინგლისში, გვარად როჩესტერს. განცვიფრებულსა და როგორც წარმოგიდგენიათ მეტად განაწ-ყენებულ მისტერ მეზონს საქმის ვითარება მთლიანად გაუმჟღავნებია. ძალიან ვწუხვარ, რომ გეუბნებით, მაგრამ ბიძათქვენი ამჟამად სიკვდილის პირასაა. თუ მხედველობაში მივიღებთ მისი სნეულების ხასიათს, მოსალოდნელ გაუარესებას და იმასაც, თუ მისი ავადმყოფობა რა სტადიაშია ახლა, დაუჯერებელია, რომ ის კვლავ წამოდგეს. როგორც ხედავთ, მას მაშინვე ინგლისს გამომგზავრება თვით არ შესძლებია, რათა იმ მახიდან გამოეხსენით, რომელშიაც თქვენ კინაღამ გაგაბეს. სწორედ ამის გამო მას უთხოვია მისტერ მეზონისათვის, იქ დრო აღარ დაეკარგა, რაც შეიძლება ჩქარა წამოსულიყო აქეთ და ყოველი ღონე ეხმარა ამ მაცდურებით მოწყობილი ქორწინების ჩასაშლელად. მან ის ჩემთან გამოგზავნა, რომ დავხმარებოდი, მეც ყოველი ღონე ვიხმარე ამ საქმის მოსაგვარებლად და ჩემი თავის მადლობელიცა ვარ, რომ არ დავიგვიანე. უეჭველია, თქვენც ასევე იქნებით გახარებული. დარწმუნებული რომ არ ვიყო, თქვენი ბიძა მადეირაში ჩასვლამდე გარდაიცვლება, მაშინ გირჩევდით, როდესაც მისტერ მეზონი უკან დაბრუნდება, თან გაყოლოდით, მაგრამ ამ გამოუვალი მდგომარეობის გამო უმჯობესია ინგლისში დარჩეთ, სანამ რაიმე ამბავს შეიტყობდეთ მისტერ ეარისაგან ან რაიმე ცნობას მიიღებდეთ მასზე.

_ კიდევ არის რაიმე საქმე ან ჩვენი დარჩენა აქ საჭიროა? _ მიუბრუნდა ის მისტერ მეზონს.

_ არა, არა, წავიდეთ, _ მღელვარებით უპასუხა მან. აღარც კი დაუცდიათ, რომ მისტერ როჩესტერს გამოთხოვებოდნენ, ისე გაემართნენ სადარბაზო კარებისაკენ. მღვდელი ცოტა ხანს კიდევ დარჩა რამდენიმე სიტყვის სათქმელად. არ ვიცი, საყვედური უნდოდა ეთქვა, თუ გაეკიცხა თავისი სამრევლოს ასეთი ქედმაღალი წარმომადგენელი. როდესაც ეს მოვალეობაც მოიხსნა, ისიც წავიდა.

ჩემს ოთახში დავბრუნდი. ნახევრად ღია კარებთან ვიდექი და მესმოდა, როგორ გაეცალა ისიც იქაურობას. სახლი დაცარიელდა. ჩავიკეტე. კარებში სასწრაფოდ ურდული გავუყარე, რომ არავინ შემოსულიყო. ჯერ კიდევ იმდენად დამშვიდებულივით ვიყავი, რომ არც ვტიროდი და არც ვწუხდი. ჩემდა უნებურად საქორწინო კაბა გავიხადე და ჩემი შალის კაბა ჩავიცვი, რომელზედაც წინა დღეს გავიფიქრე, რომ უკანასკნელად მეცვა. მერე დავჯექი; სისუსტე და დაღლილობა ვიგრძენი; ხელები მაგიდაზე ჩამოვდევი, ზედ თავი დავაყრდნე და ახლა უკვე შემეძლო მეფიქრა. აქამდე მე მხოლოდ მესმოდა, ვხედავდი, ვმოძრაობდი, აქეთ-იქით დავყვებოდი, საითაც წამიყვანდნენ ან წამათრევდნენ; თვალყურს ვადევნებდი, ერთი შემთხვევა როგორ მოსდევდა მეორეს ან ერთი საიდუმლო როგორ ააშკარავებდა მეორეს; მაგრამ ახლა მხოლოდ ვფიქრობდი.

დილა საკმაოდ მშვიდი იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე ხანს შეშლილთან შეხვედრის წუთებს. ეკლესიაში მთელმა ამ ამბავმა უხმაუროდ ჩაიარა. არც დიდი გრძნობათა ღელვა გამოუმჟღავნებია ვინმეს, არც ხმამაღალი ჩხუბი და ყვირილი ყოფილა; არც კამათი, აყალმაყალი, ქვითინი და ცრემლი. მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ითქვა სრულიად მშვიდად ჯვრისწერის საწინააღმდეგოდ და მისი შეუძლებლობის შესახებ. მისტერ როჩესტერმაც რამდენიმე შეკითხვა წარმოთქვა მოკლედ და უკმეხად, რასაც მოჰყვა ახსნა-განმარტებითი პასუხი და მოწმეთა ჩვენების დასაბუთება. ჩემმა პატრონმა გულწრფელად აღიარა სინამდვილე და შემდეგ დამამტკიცებელი საბუთები გვიჩვენა თავისი სიტყვების დასადასტურებლად. ბოლოს უცხო ადამიანები წავიდნენ და ყველაფერი დამთავრდა.

ჩვეულებრივ ახლა ჩემს ოთახში ვიყავი სრულიად ისეთივე, როგორც წინათ, თვალით დასანახი არავითარი ცვლილება არ მომხდარა, არც სახელი გაუტეხია ჩემთვის ვინმეს; არც რაიმე ზიანი მოუყენებია, არც არაფერი დაუშავებია და მაინც სად იყო გუშინდელი ჯეინ ეარი? სად იყო მისი ცხოვრება და იმედები?

ჯეინ ეარი, იმედების მქონე ახალგაზრდა ქალი, რომელიც ასე გატაცებით ელოდა მომავალს, თითქმის მეუღლე, ახლა გულგაციებულ და მარტოხელა არსებად ქცეულიყო. მისი ცხოვრება გაუფერულდა, იმედები კი დაიმსხვრა. საშობაო ყინვა დაუდგა შუა ზაფხულში. დეკემბრის თეთრმა ქარიშხალმა წამოუქროლა ივნისს; ყინვამ მწიფე ვაშლები დააზრო; ნამქერმა იმსხვერპლა გაშლილი ვარდები; მინდვრებსა და ყანებს თეთრი სუდარა გადაეფარა; ორღობეები და გზის პირები, რომლებიც ჯერ კიდევ გასულ ღამეს ყვავილებით იყო დაფარული, დღეს თოვლს დაუფარავს და ბილიკიც კი აღარსად მოჩანს ამ გაუკვალავ ადგილებში. ტყე კი, რომელიც ამ თორმეტი საათის წინათ აშრიალებდა ფოთლებს და ისეთ სურნელებას აფრქვევდა, როგორც ატეხილი ჭალები ტროპიკულ ქვეყნებში, ახლა დიდ მანძილზე გადაჭიმული, გაძარცული, გაველურებული და დათოვლილი ისე გამოიყურება, როგორც ფიჭვის ტყეები ზამთრობით ნორვეგიაში. ყველა ჩემი იმედი ჩაკვდა. ის მტარვალმა ბედისწერამ ისევე განგმირა, როგორც განრისხებულმა უფალმა ყველა პირველშობილი ეგვიპტეში. გადავხედე ჩემს სათაყვანო სურვილებს, ნაირფერად გაშლილი ჯერ კიდევ გუშინ ბრწყინვალე ფერებში მეხატებოდა ისინი. ახლა გაყინულნი და უმოძრაოდ ქცეულნი, სისხლდაცლილი გვამებივით ეყარნენ ჩემ თვალწინ, რომელთაც სასიცოცხლო ნიშანწყალი აღარასოდეს დაუბრუნდებოდათ. ჩავუკვირდი ჩემს სიყვარულს, გრძნობას, რომელიც ჩემს პატრონს ეკუთვნოდა და რომელიც მან გააღვივა; ის ისე თრთოდა და ცახცახებდა ჩემს გულში, როგორც ტანჯული ყრმა უპატრონო აკვანში. დაუძლურებული, მძიმე ნაღველს შეებოჭა; მისტერ როჩესტერის მკლავთა ხვევნას აღარ ესწრაფვოდა და აღარც მისი მკერდის სითბოს გაზიარება შეეძლო. ოჰ, აღარასოდეს არ დაუბრუნდებოდა ეს გრძნობა მას! რადგან რწმენა დაიმსხვრა და ნდობა გაცამტვერდა. მისტერ როჩესტერი ის აღარ იყო ჩემთვის, რაც წინათ, რადგან ის არ აღმოჩნდა ისეთი, რასაც მე

ვფიქრობდი მასზე. მე არ ვაწერდი მას რაიმე მანკიერებას, არც იმის თქმა შემეძლო, რომ მან მიღალატა, მაგრამ გაქრა თვისება, რომელიც უმწიკვლო სიმართლეს ღაღადებდა მუდამ. ამიტომ უნდა გავცლოდი მას, ამაში ღრმად ვიყავი დარწმუნებული ახლა, მაგრამ როდის, როგორ, ან საით, ეს ჯერ კიდევ ვერ გამერკვია. ეჭვი არ მეპარებოდა, თვითონაც აჩქარდებოდა განვეშორებინე თორნფილდს. ჩანდა, ნამდვილი გრძნობით მას არც შეეძლო ვყვარებოდი. ეს ალბათ მგზნებარე წამიერი გატაცება იყო, რომელიც მოულოდნელად რაღაც დაბრკოლებათა გამო შეწყდა და ახლა ალბათ აღარც ვუნდოდი მას. მასთან შეხვედრაც კი შიშით მზარავდა. ალბათ თვალით დასანახავადაც კი ვძულდი. ოჰ, როგორ ბრმად შევცქეროდი ყოველივეს თურმე და რა უმწეო ვიყავი.

თვალები დახუჭული მქონდა, სიბნელე გარშემომერტყა და მოშავო კვამლის ბოლქვებად დაცურავდა ჩემ ირგვლივ. შავი ფიქრები გულს შემომაწვა და ნიაღვარივით აირია. თავდავიწყებამდე მისულს, დაუძლურებულს და სულმთლად ღონემიხდილს ისე მეჩვენებოდა, თითქოს დამშრალი დიდი მდინარის ფსკერზე ვიწექი. მესმოდა, შორეული მთებიდან როგორ მოისწრაფვოდა თავაწყვეტილი ნიაღვარი, ვგრძნობდი, როგორ მიახლოვდებოდა ის და ადგომის სურვილიც კი არ გამაჩნდა. გაქცევის ძალა არ შემწევდა. ვიწექი გულწასული და სიკვდილს ვნატრობდი. მხოლოდ ერთი ფიქრიღა თრთოდა ჩემს სხეულში. მასღა შერჩენოდა ოდნავი სასიცოცხლო ძალა. _ ეს იყო ღვთის ხსოვნა, ის წარმოუთქმელ ლოცვებში გაცოცხლდა. ლოცვის სიტყვები დაბნელებულ გონებაში მიტრიალებდა, მინდოდა, ჩურჩულით მაინც წარმომეთქვა ისინი, მაგრამ ძალა არ მყოფნიდა.

_ ნუ წახვალ ჩემგან შორს, თორემ ტანჯვა მიახლოვდება და არავინ არის, რომ მომეშველოს.

ის სულ ახლოს იყო, და რადგან მე ვერ შევევედრე ზეცას, რომ აეშორებინა ის ჩემთვის. ვერც ხელები დავიკრიბე გულზე, ვერც მუხლი მოვიყარე მის წინაშე და ვერც ბაგე გავხსენი, ის თავს დამატყდა. ადიდებულმა, ძლიერმა ნიაღვარმა გადამიარა. მთელი ჩემი განწირული ცხოვრების მწარე შეგნება, ჩემი დაკარგული სიყვარული, სამუდამოდ ჩამქრალი იმედები და დასამარებული რწმენა, თავისი საშინელი ძალით, პირქუშობითა და ვარამით თავს დამატყდა. ამ უმძიმესი წუთების აღწერაც კი შეუძლებელია. სინამდვილეში _ ამ ღვართქაფმა სულში ჩაიარა; მე გაუვალ ლაფში ჩავეფალი; ვგრძნობდი, რომ ვეღარც ავდგებოდი; უფრო და უფრო ვიძირებოდი და ბოლოს წარღვნამ წამლეკა კიდეც.

თავი XXVII

ვინ იცის როდის, როცა საღამო მოახლოვდა, თავი ავწიე და გარშემო მიმოვიხედე, დავინახე მზე დასავლეთით გადაწვერილიყო და მისი სხივები კედელს ოქროს ვარაყად შემოვლებოდა. ჩემს თავს შევეკითხე:

_ რა უნდა ვქნა ახლა?

გონებამ კი ასეთი პასუხი გასცა: _ დაუყოვნებლივ დატოვე თორნფილდი! _ ეს სიტყვები ისეთი ბრძანებით მიკარნახა და იმდენად შემაძრწუნებლად, მეტი აღარაფრის გაგონება აღარ მინდოდა. _ არ შემიძლია ამ სიტყვების ატანა ახლა, _ ვუპასუხე მე. _ ედვარდ როჩესტერის მეუღლე რომ აღარ ვარ, ეს ჩემთვის არც ისეთი მძიმე ნაღველია. _ ვუმტკიცებდი მას.

დაე, უმშვენიერესი სიზმრიდან გამღვიძებოდა და დავრწუნებულიყავ, რომ ყოველივე მხოლოდ არარაობა და ცთუნება იყო. რასაკვირველია, ეს საშინელება იქნებოდა, მაგრამ შემეძლო ყველაფერი გადამეტანა და ჩემი თავი ხელში ამეყვანა. ხოლო ის კი, რომ უკვე გადაწყვეტილი იყო დაუყოვნებლივ და სამუდამოდ დამეტოვებინა მისტერ როჩესტერი, ყოვლად აუტანლად მიმაჩნდა. მე არ ძალმიძდა ეს.

მაგრამ შინაგანი ხმა მიმტკიცებდა, რომ მე შემეძლო ეს და მიწინასწარმეტყველებდა კიდეც, რომ ასეც მოვიქცეოდი. საკუთარ გადაწყვეტილებას შევებრძოლე, მინდოდა უძლური აღმოვჩენილიყავ და ამერიდებინა საშინელი განსაცდელი, რომელიც ჩემ წინ აღმართულიყო. ბედი მომავალში კიდევ უფრო აუტანელ ტანჯვა-წამებას მიქადდა, მაგრამ გულქვა გონება ამ ფიქრს მაშინვე ყელში სწვდა, მოახრჩო და თანაც გამქირდავად ჩასძახა: _ მას მხოლოდ ახლა ჩაუცდა ფეხი გაუვალ ჭაობში და ვფიცავ, ჩემი რკინისებური მკლავით მოვახერხებ და ტანჯვა-წამების უძირო უფსკრულში გადავჩეხავო.

_ დაე, სხვებმა გამომგლიჯონ მისი ხელიდან მაშინ! _ წამოვიყვირე მე.

_ დაე, სხვა მომეხმაროს!

_ არა, ამ სულიერ წამებას შენ თვითონ გადაიტან, არავინ არ დაგეხმარება. შენ თვითონ ამოითხრი შენს მარჯვენა თვალს და შენ თვითონვე მოიჭრი შენს მარჯვენა ხელსაც. შენს გულს სამსხვერპლოზე მიიტან, შენვე იქნები მოძღვარი და დამსჯელი მისი.

უცებ ადგილიდან წამოვიჭერი, რომ იმ საშინელ სიმარტოვეს გავცლოდი, რომელშიაც ეს უგულო მოსამართლე თან მსდევდა; ვეღარც იქ გამეფებულ მდუმარებას ვუძლებდი, სადაც მისი საზარელი ხმა გაისმა და ახლა იქაურობას ავსებდა. როგორც კი წელში გავსწორდი, თავბრუ დამესხა. მივხვდი, რომ მთელი დღის მღელვარებისა და უჭმელობისაგან მთლად დაუძლურებული ვიყავი. არც საჭმელი და არც სასმელი იმ დღეს ჩემს პირს არ გაჰკარებია. დილითაც ხომ საუზმე არ მინდოდა და ხელი ვერაფერს ვახლე. ახლა მძიმე სევდა მარწუხივით მიჭერდა გულზე და ვფიქრობდი: აი, რა დიდხანს ვიყავი ჩაკეტილი ოთახში და ჩემი ამბის გაგებაც კი არავის მოსურვებია. აღარც დაბლა მეძახოდნენ. პატარა ადელსაც კი არ მოუკაკუნებია კარებზე, არც მისის ფეიერფექსს მოვუძებნივარ სადმე.

_ მეგობრებს ყოველთვის ავიწყდებათ ისინი, ვისაც ბედი გასწირავს, _ ჩავიჩურჩულე ჩემთვის; ურდული გამოვწიე, კარი გამოვაღე და გარეთ გამოვედი. რაღაცას გადავაწყდი; თავბრუ ისევ მესხმოდა; თვალთ მიბნელდებოდა; მთელი სხეული მოდუნებული მქონდა; ძალა ვეღარ

მოვიკრიბე და წავიქეცი, მაგრამ მიწაზე კი არა, ვიღაცის გამოწვდილმა ხელმა დამიჭირა. ავიხედე მაღლა და შევამჩნიე, რომ მისტერ როჩესტერის მკლავებზე ვესვენე, რომელიც ჩემი ოთახის ზღურბლთან სკამზე იჯდა.

_ როგორც იყო გამოხვედი, _ მითხრა მან, _ ძალიან დიდი ხანია გიცდი და მოყურადებული გისმენ. მაგრამ არც ქვითინისა და არც ოდნავი მოძრაობის ხმაც კი არ გამიგონია. ხუთ წუთს კიდევ თუ ავიტანდი ამ სამარისებურ სიჩუმეს და მერე კი ყაჩაღივით უნდა შემომემტვრია კარები. ასე რომ, თავს მარიდებ, გამოიკეტე ოთახში და მარტოდმარტო ეძლევი მწუხარებას! უმჯობესი იყო, მოსულიყავი და ჩემ წინ გამოგეთქვა საყვედური და გულისწყრომა. ვიცი, რომ ფიცხი ხარ, ველოდი, სცენას გამიმართავდი. მეგონა, ცხარე და შეუწყვეტელი ცრემლთა დენის მოწმე შევიქნებოდი და ვემზადებოდი. მინდოდა, ის ცრემლი ჩემს მკერდზე დაღვრილიყო. ის კი ამ უსულო იატაკსა და მაგ ცხვირსახოცზე დაიღვარა. მაგრამ მოიცა, მე მგონი ვცდები, შენ სულაც არ გიტირნია. ვხედავ შენს გაფითრებულ სახეს და სხივჩამქრალ თვალებს, მაგრამ მათ ცრემლის კვალი არ ემჩნევათ. ნუთუ შენმა გულმა დაანთხია სისხლის ცრემლები?

_ კეთილი, ჯეინ, ნუთუ ერთ სიტყვასაც არ მეუბნები საყვედურით, არაფერს მწარესა და გესლიანს? არაფრით არ გსურს დამიფლითო გრძნობა, შხამიანი ისარი მიჩხვლიტო და გამახელო? შენ ზიხარ იქ, სადაც მე დაგსვი და მიყურებ დაღლილი, უსიცოცხლო გამომეტყველებით.

_ ჯეინ, არასოდეს გამივლია ფიქრად ასეთი ჭრილობა მომეყენებინა შენთვის, თუ რომელიმე ადამიანს ჰყოლია ერთადერთი პაწაწინა კრავი, რომელიც ისეთივე უძვირფასესი ყოფილა მისთვის, როგორც საკუთარი ქალიშვილი, რომელსაც ის საკუთარი ჯამიდან აჭმევდა, ასმევდა და საკუთარ მკერდზე აძინებდა, ხოლო მერე კი რაღაც შეცდომის გამო სასაკლაოზე თვითვე დაღვარა მისი სისხლი, ის ალბათ ვერ შეძლებდა თავისი გამოუსწორებელი შეცდომა ისე მძიმედ მოენანიებია, როგორც მე ვინანიებ ახლა. შეგიძლია ოდესმე მაპატიო, ჯეინ?

მკითხველო, მე იმ წუთშივე, იქვე ვაპატიე მას ყოველივე. მის თვალებში ისეთი სინდისის ქენჯნა ვიხილე, მის ხმაში ისეთი მწუხარება გაისმოდა, ყოველ მის საქციელში იმდენი ვაჟკაცური ძალა, მის გამოხედვასა და მთელ მის გარეგნობაში კი იმდენად უცვლელი სიყვარული, რომ ყველაფერი მაშინვე ვაპატიე. მაგრამ ეს უსიტყვოდ, მდუმარედ მოხდა მხოლოდ ჩემი გულის სიღრმეში.

_ შენ ახლა იცი, რომ მე არამზადა ვარ, ჯეინ, არა? _ მკითხა მან სწრაფად, დაინტერესებულმა და ჩაფიქრებულმა, ჩემი დაუსრულებელი დუმილითა და მორჩილებით შეშფოთებულმა, რომელიც სისუსტით უფრო აიხსნებოდა, ვიდრე სურვილით, ხმა არ ამომეღო.

_ დიახ, სერ.

_ მაშინ გულახდილად და მოურიდებლად მითხარი ყველაფერი, ნუ შემიბრალებ.

_ არ შემიძლია, დაღლილი ვარ და ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს. თუ შეიძლება, წყალი მომაწოდეთ.

მან თრთოლვით ამოიკვნესა, ხელში ამიყვანა და ქვემო სართულისაკენ გაეშურა. ჩემ ბინდგადაკრულ თვალებში ყველაფერი ისე იყო ბურუსით მოცული, რომ პირველად ვერც ვიცანი, რომელ ოთახში შემიყვანა. უცებ ცეცხლის მაცოცხლებელი სითბო ვიგრძენი. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხული იყო, ჩემს საწოლ ოთახში მთლად გავყინულიყავი. მან ჭიქით ტუჩებთან ღვინო მომიტანა. სულ რამდენიმე წვეთი გავსინჯე და უკეთესობა ვიგრძენი. მერე რა საჭმელიც შემომთავაზა, უარი არ მითქვამს და მალე სულ გამოვკეთდი. ახლა შევამჩნიე, რომ ბიბლიოთეკაში მის სავარძელში ვიჯექი, ისიც ჩემთან ახლოს იყო. _ ოჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ სწორედ აი, ახლა, ამ წუთებში, უწამებლად და უმტკივნეულოდ განვშორებოდი ამ ქვეყანას, _ გავიფიქრე ჩემთვის, _ მაშინ მე აღარ მომიხდებოდა ასეთი ძალით დამეწყვიტა ჩემი გულის სიმები მისტერ როჩესტერთან განშორებისას. მაინც, როგორც ჩანს, მე უნდა განვშორდე მას, მაგრამ არ მინდა მისი დატოვება და არც მისი განშორება შემიძლია.

_ ახლა როგორა ხარ, ჯეინ?

_ ბევრად უკეთესად, სერ, მალე სულ კარგად ვიქნები.

_ ღვინო კიდევ მოსვი, ჯეინ.

დავემორჩილე. შემდეგ მან ჭიქა მაგიდაზე დადგა, ჩემ წინ გაჩერდა და ყურადღებით დამაკვირდა. უცებ შეტრიალდა, რაღაც გაურკვევლად წამოიძახა, რომელიც, მე მგონი, ფარული ვნებათაღელვით უფრო იყო სავსე, ოთახში სწრაფად ჩაიარა და უკანვე მობრუნდა. ისე გადმოიხარა ჩემკენ, თითქოს კოცნა უნდოდა, მაგრამ გამახსენდა, რომ მისი ალერსი ჩემთვის უკვე აკრძალული იყო და მისი სახე ხელით ავირიდე.'

_ როგორ! რატომ მექცევი ასე? _ წამოიძახა მან სწრაფად. _ ოჰ, მივხვდი, შენ არ აკოცებ ბერთა მეზონის ქმარს. შენ ფიქრობ, რომ ჩემი ხვევნა და ალერსიც სხვისთვის არის განკუთვნილი.

_ ყოველ შემთხვევაში, ისინი მე არ მეკუთვნის, სერ, და არც რაიმე უფლება მაქვს მათზე.

_ რატომ, ჯეინ? ახლა შეგიბრალებ და თავიდან აგაცდენ გასაჭირს, რომ ბევრი არ ილაპარაკო, შენ მაგივრად მე ვუპასუხებ: იმიტომ, რომ მე უკვე მყავს ცოლი. ასე მიპასუხებდი, არა? ხომ სწორედ მივხვდი?

_ დიახ.

_ თუ ასე ფიქრობ, ძალიან უცნაური წარმოდგენა გქონია ჩემზე. მაშინ შენ მე მთვლი ცბიერ ოინბაზად, გარყვნილ ადამიანად, საზიზღარ და ყოვლად დამცირებულ კაცად, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს უანგარო სიყვარულში დაგარწმუნოს, რათა ადვილად გაგაბას ცდუნებით დაგებულ მახეში. წაგგლიჯოს ქალური უმანკოება, სინდისი და გაგძარცვოს მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისა და განცხრომისათვის. რას იტყვი ამაზე? როგორც ვხედავ, აღარაფერი შეგიძლია მიპასუხო. პირველ რიგში, ჯერ კიდევ ძალიან სუსტადა

ხარ და ძლივს სუნთქავ, მეორე მხრივ კი, ჯერ არა ხარ მიჩვეული, რომ ბრალი დამდო და გამკიცხო, გარდა ამისა, უკვე სატირლადაც ემზადები. ვიცი, თუ ბევრს ილაპარაკებ, ღაპაღუპით წაგსკდება ცრემლი, მაგრამ გატყობ, სურვილი მაინც არა გაქვს, საყვედურით ამავსო, შეურაცხყოფა მომაყენო და სცენა მომიწყო. შენ ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობ, როგორ მოიქცე; საუბარს უმიზნოდ თვლი; მე შენ გიცნობ და ფხიზლადაც ვარ.

_ სერ, მე არა მსურს თქვენს საწინააღმდეგოდ მოვიქცე, _ ვუთხარი მე და ჩემმა მთრთოლვარე ხმამ მაგრძნობინა, რომ წინადადება უნდა შემემოკლებინა.

_ შენს გონებაში არა, მაგრამ ჩემსაში კი შენი გეგმები მოსპობას მიქადის. როგორც ვიცი, იმის თქმა გინდა, რომ მე ცოლიანი კაცი ვარ და, როგორც ცოლიან მამაკაცს, შენ ყოველნაირად შეეცდები რომ მომერიდო, გზიდან ჩამომეცლები. აი, სწორედ ამიტომ თქვი უარი, რომ გეკოცნა ჩემთვის. შენ გინდა სრულიად უცხო ადამიანად ვიქცე: იცხოვრო ამ ჭერქვეშ, როგორც მხოლოდ ადელის აღმზრდელმა და, თუ ოდესმე საალერსო სიტყვა დამცდა, ან შენ თვითონ მოგიზიდა წინანდელმა სითბომ ჩემკენ, მაშინვე იმას იტყვი: ამ კაცმა კინაღამ თავის საყვარლად მაქცია და კლდედ და ყინულად უნდა აღვიმართო მის წინაშეო და შენ მართლაც კლდედ და ყინულად გადაიქცევი.

ხმა გავიმაგრე, რომ მეც მეპასუხნა:

_ ჩემ გარშემო ყველაფერი შეიცვალა, სერ, და მეც უნდა გამოვიცვალო, ამაში ეჭვის შეტანაც არ შეიძლება. გრძნობათა ასეთი მერყეობა რომ თავიდან ავიშორო და ამასთანავე ეს დაუსრულებელი ჭიდილი მოგონებებსა და საკუთარ გულის ძახილს შორის, მხოლოდ ერთი გზა არის: ადელს სხვა აღმზრდელი უნდა ჰყავდეს, სერ.

_ ოჰ, ადელი სკოლაში უნდა გავგზავნო, ყველაფერი უკვე მოვაწესრიგე. მე თვითონ სრულიადაც არ მინდა გაწამო იმ საშინელი მოგონებებით, რომელიც თორნფილდჰოლთან გაკავშირებდა. ეს დაწყევლილი ადგილია, _ აჩენის თავშესაფარი, საზიზღარი აკლდამა, სადაც ხორცსხმული სიკვდილის შავბნელი აჩრდილი გახსნილ ცის ნათელს შეჰღაღადებს. ეს ქვის ჯოჯოხეთია, რომელსაც ერთი ბოროტი სული დაჰპატრონებია. ის ბევრით უარესია ადამიანის წარმოდგენით შექმნილ აურაცხელ ასეთ ბოროტ სულებთან შედარებით.

ჯეინ, მე შენ, აქ არ დაგტოვებ და არც მე გავჩერდები. შევცდი, რომ თორნფილდჰოლში მოვაყვანინე შენი თავი. მე ხომ კარგად ვიცოდი, რომ ის ნაძრახ ადგილად იყო მიჩნეული. ჯერ კიდევ სანამ გაგიცნობდი, ყველა მის ბინადარს მოვთხოვე დაემალათ ყველაფერი შენთვის, რაც ამ დაწყევლილი ადგილის შესახებ იცოდნენ. უბრალოდ ვშიშობდი, რომ ადელთან არც ერთი აღმზრდელი არ გაჩერდებოდა, თუ გაიგებდა, ვინ ბინადრობდა ამ სახლში. არც ის შემეძლო, თვითონ სულით ავადმყოფი ქალი გადამეყვანა სადმე, მიუხედავად იმისა, რომ ძველი სახლიც მაქვს ფერნდინ მენორში, უფრო განმარტოებულ და მივარდნილ ადგილას, სადაც სხვებისაგან თვალმოშორებულად და უფრო გულდამშვიდებით შევინახავდი მას. მაგრამ

სინდისი მქენჯნიდა, ჯანმრთელობისათვის სახლს ძალიან ცუდი ადგილმდებარეობა აქვს, სწორედ ტყის შუაგულშია, ამიტომაც ვთქვი უარი ჩემ ასეთ განზრახვაზე. თუმცა, შესაძლებელია, მისი ნესტიანი კედლები უფრო ადრეც გამათავისუფლებდნენ მასზე მზრუნველობისაგან, მაგრამ ყველა ბოროტმოქმედებას ხომ თავისი შედეგი მოსდევს. მე კი არასოდეს არ მქონია მიდრეკილება ფარული მკვლელობისაკენ, თუნდაც იმათ მიმართ, ვინც უზომოდ მძულს.

დამალვა იმისა, რომ აქვე, შენს მეზობლად, ეს შეშლილი ქალი ცხოვრობდა, სწორედ იმას ჰგავდა, ანჩარის შხამიანი ხის ქვეშ ლაბადა გადაფარებული ბავშვი დაგვეწვინა. მარტო ამ ბოროტი სულის მეზობლობაც წამლავდა ყველას; ეს იყო ყოველთვის. მაგრამ თორნფილდჰოლს მე გამოვკეტავ. სადარბაზო კარებს დავლურსმავ, პირველი სართულის ფანჯრებს ფიცრებს ავაკრავ, მისის პულს ორას გირვანქა სტერლინგს გადავუხდი წელიწადში, რომ აქ ჩემს მეუღლესთან იცხოვროს, როგორც შენ უწოდებ ამ შემაძრწუნებელ ჯადოქარს. გრეისს ფულის გულისათვის ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, აქვე ეყოლება თავისი ვაჟიშვილი, რომელიც ერთ-ერთი დუქნის პატრონია. ჯერ ერთი, გრეისი სულ მარტოდმარტო აღარ იქნება და ამასთანავე შვილი დაეხმარება, როდესაც ჩემს მეუღლეს სიშმაგე მოუვლის და მისთვის კარგად ნაცნობ საქმიანობას განიზრახავს: ან საწოლში გამოწვას ვინმე ღამით, ან მივარდეს და ხანჯლით დაჭრას, ან ხორცი ამოაგლიჯოს კბილებით.

_ სერ, _ შევაწყვეტინე მე, _ თქვენ მეტად ულმობელი ხართ ამ უბედური ქალისადმი. თქვენ მის შესახებ მხოლოდ სიძულვილით ლაპარაკობთ. მხოლოდ და მხოლოდ შურისმაძიებლური სიძულვილით. ეს სისასტიკეა. ის ხომ თვითონ არაა დამნაშავე იმაში, რომ ავადაა.

_ ჯეინ, ჩემო საყვარელო პაწაწავ (ასე დაგიძახებ ამიერიდან, რადგან ასეთი ხარ ჩემთვის), შენ არც კი იცი, რის შესახებ ლაპარაკობ და ტყუილად გაქვს კვლავ ასეთი მცდარი აზრი ჩემზე. მე ის მხოლოდ იმიტომ არ მეჯავრება, რომ შეშლილია. შენც რომ შეშლილი იყო, ფიქრობ, შეგიძულებდი?

_ დიახ, მართლაც ასე ვფიქრობ, სერ.

_ მაშინ ცდები. სრულიად არ მიცნობ და არც ის იცი, როგორი სიყვარული შემიძლია. შენი სხეულის თითოეული უმცირესი ნაწილიც კი ჩემთვის ისევე ძვირფასია, როგორც საკუთარი. ავადმყოფობისა და მძიმე ტკივილების დროსაც ის ასეთი ძვირფასი იქნებოდა ჩემთვის. შენი გონება ჩემთვის საუნჯეა, და თუნდაც მისი ჯანმრთელობა საფრთხეში ჩავარდნილიყო, ის ისევ უძვირ-ფასეს განძად დარჩებოდა. შენც რომ გაშმაგებულიყავი, მე შენ ხელებს მოგხვევდი, გულში ჩაგიკრავდი და გიჟის პერანგს კი ვერ გადაგაცმევდი. შენი ხვევნა ასეთი გაშმაგების დროსაც მომხიბლავდა. შენც რომ ასე გააფთრებული მომვარდნოდი, როგორც ის ქალი მომვარდა ამ დილით, მე არა მარტო სიყვა-რულით მოგხვევდი ხელს, არამედ შევეცდებოდი დამეწყნარებინე. ზიზღით უკან არ დავიწევდი, როგორც ეს ამ დილით ჩავიდინე, ხოლო სიმშვიდის წუთებში სხვა მეთვალყურესა და მომვლელს ჩემ გარდა ახლოს არ

მოგაკარებდი. ერთი ღიმილიც რომ არ გეღირსებინა, სულ შენთან გავატარებდი დროს და დაუსრულებელი მზრუნველობითა და სიფრთხილით მოგივლიდი. არასოდეს დავიღლებოდი მაგ თვალებში ცქერით, თუნდაც მათში ჩამქრალიყო სხივი, რომელიც მე შემიცნობდა. მაგრამ რატომ გავყევი ასეთ ფიქრებს? მე ხომ იმაზე ვლაპარაკობდი, რომ თორნფილდიდან უნდა წაგიყვანო. დაუყოვნებლივ გასამგზავრებლად, როგორც იცი, ყველაფერი მზად არის. ხვალ შენ გზას გაუდგები. გთხოვ, როგორმე აიტანო და ერთი ღამეც გაათიო ამ ჭერქვეშ, ჯეინ. შემდეგ კი სამუდამოდ დაემშვიდობები იმ თავზარდამცემ შიშსა და საშინელებებს, რაც მის შიგნით გადაიტანე. მე მაქვს ადგილი, საითაც უნდა გავემგზავროთ. ის საიმედო თავშესაფარი იქნება საძულველი მოგონებების, ავყია სტუმრების, მაცდურებისა და ავენობისაგან თავდასაცავად.

_ ადელიც თან წაიყვანეთ, სერ, _ შევაწყვეტინე მე. _ ის სიმარტოვეს აღარ გაგრძნობინებთ.

_ რის თქმას აპირებ ამით, ჯეინ? ხომ გითხარი, რომ ადელს სასწავლებელში ვგზავნი. რად მინდა ბავშვი თან და ისიც არა საკუთარი, _ ვიღაც ფრანგი მოცეკვავე ქალის უკანონო შვილი? რატომ მელაპარაკები იმის შესახებ ასე დაჟინებით. კიდევ გეკითხები, რატომ გინდა, რომ ადელი მაინცდამაინც ჩემთან ერთად იყოს?

_ თქვენ განმარტოებულ ცხოვრებაზე ლაპარაკობდით, სერ, მარტოხელობა და განცალკევება ძნელი იქნება თქვენთვის. ძალიან ძნელი, სერ.

_ მარტოობა, მარტოობა, _ გაიმეორა მან გაჯავრებით. _ ვხედავ, უნდა მოგელაპარაკო. ვერ გამიგია, რას ნიშნავს ეს სფინქსისებური გამომეტყველება შენს სახეზე. შენ იქნები ჩემთან იმ მარტოხელობის დროს, გაიგე?

თავი გავიქნიე. განსაკუთრებული გამბედაობა იყო საჭირო თუნდაც ასე მუნჯურადაც კი გამებედა და გამომეთქვა მისი საწინააღმდეგო აზრი, რადგან ვხედავდი, როგორ ღელავდა. ოთახში სწრაფად მიმოდიოდა, მერე უცებ შეჩერდა, თითქოს ერთ წერტილს მიეჯაჭვაო, შემომხედა და ხანგრძლივად და მკაცრად დამაკვირდა. მე თვალი ავარიდე, ცეცხლს ჩავცქეროდი და ვცდილობდი, მიმეღო და შემენარჩუნებინა რაც შეიძლება მშვიდი და გულგრილი გამომეტყველება.

_ აი ახლა კი ვამჩნევ, როგორი შარიანი ყოფილა ჯეინი, _ თქვა მან უფრო მშვიდად, ვიდრე მოსალოდნელი იყო მისი გამომეტყველების მიხედვით. აბრეშუმის ძაფის გორგალი ამდენი ხნის განმავლობაში სწორად ეხვეოდა, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ სადმე კვანძი აღმოჩნდებოდა და თავსატეხი ამბავიც მოჰყვებოდა. აი, ისიც. ამიერიდან მხოლოდ მღელვარებისა და უსიამოვნების გამომწვევი მიზეზების ახსნა და დაუსრულებელი წამება. ღმერთს გეფიცები, სამსონის ძალის სულ მცირე ნაწილს ვნატრობ, რომ ეს დახლართული და აძენძილი ძაფი გავწყვიტო.

იგი კვლავ ბოლთის ცემას მოჰყვა, მაგრამ ისევ შეჩერდა და ახლა სწორედ ჩემ წინ.

_ ჯეინ, გინდა გაიგო ჩემი მოსაზრება? (ის დაიხარა და ტუჩები ჩემს ყურს მიუახლოვა). თუ შენ არ მოისურვებ, მაშინ მე აღარაფერს დავერიდები.

ხმა ჩახლეჩილი ჰქონდა და გამომეტყველება კი ისეთი ადამიანისა, რომელიც მზად არის გაგლიჯოს ეს გაუსაძლისი ბორკილი და განუსჯელად გადაეშვას თავდაუჭერლობის მორევში. მივხვდი, ერთი წამიც და, თუ კიდევ დაეუფლებოდა ასეთი თავშეუკავებლობა, მასთან ვეღარაფერს გავხდებოდი. მხოლოდ აი, ახლა, ამ წარმავალ წამებშიღა თუ შევძლებდი დამემორჩილებინა მისი ნებისყოფა და შემენარჩუნებინა ის. მხოლოდ ერთი გამოხედვა მის მიმართ ზიზღით, გაქცევის სურვილით, ან შიში, და სამუდამოდ დასრულდებოდა როგორც ჩემი, ისე მისი ბედისწერა. მაგრამ მე სრულებითაც არ შემშინებია, რაღაც შინაგანი ძალა ვიგრძენი, ზემოქმედების განსაკუთრებული უნარი, რომელიც იმ დროს დამეხმარა. ეს გადამწყვეტი წუთი მეტისმეტად სახიფათო აღმოჩნდა, მაგრამ მას არ აკლდა თავისებური მომხიბვლელობის ძალა, ისეთი, როგორსაც ინდიელი განიცდის ხოლმე, როდესაც პატარა ბაიადერით სწრაფად მიექანება მდინარის ჭორომებზე. მის მომუჭულ ხელს ხელი მოვკიდე, დაკრუნჩხული თითები გავუხსენი და მშვიდად ვუთხარი:

_ დაბრძანდით. მე იმდენ ხანს გესაუბრებით, როდემდისაც თქვენ გინდათ და ყველაფერს მოვისმენ, რის თქმაც გნებავთ, ჭკვიანური იქნება ის თუ არა.

ის დაჯდა, მაგრამ საუბარი მაშინვე არ დაუწყია. თუმცა დიდ წამებად დამიჯდა, მაგრამ, რამდენიმე ხნის განმავლობაში ვებრძოდი ჩემს თავს და ცრემლს ვიკავებდი, ვიცოდი, არ ესიამოვნებოდა მას მტირალი ვენახე. ახლა კი უმჯობესად ჩავთვალე, თავისუფლად დამდენოდა ცრემლი და იმდენ ხანს მეტირნა, სანამ გულს არ მოვიოხებდი. თუ ცრემლის დანახვა მას ააღელვებდა, უმჯობესიც იყო. ასე რომ, თავი აღარ შემიკავებია და გულამოსკვნილი ვტიროდი. მალე გავიგონე, როგორ გულწრფელად მემუდარებოდა, დავწყნარებულიყავ. მე კი ვუპასუხე, რომ არ შემეძლო, სანამ მას ასე აგზნებულს ვხედავდი.

_ მე გაჯავრებული არა ვარ, ჯეინ. მე მხოლოდ ძალიან მიყვარხარ, შენ კი ისე გაიქვავე ეგ პატარა ფერმკრთალი სახე და ზედ ისეთი მტკიცე, ყინულივით ცივი გადაწყვეტილება აღგებეჭდა, რომ მე მისი ატანა ვერ შევძელი. გაჩუმდი ახლა და ცრემლი მოიწმინდე.

მისმა თბილმა ხმამ მამცნო, რომ დამემორჩილა, მეც ჩემი მხრივ დავმშვიდდი. მან სცადა თავი ჩემ მხარზე დაეყრდნო, მაგრამ მე ამის ნება არ მივეცი. შემდეგ გულშიც ჩამიკრავს... არა!

_ ჯეინ! ჯეინ! _ მითხრა მან ისეთი მწარე ნაღველით, რომ მთელ სხეულში უცნაურმა თრთოლვამ დამიარა, _ როგორც ჩანს, შენ არ გიყვარვარ. შენ ალბათ მხოლოდ ჩემს მდგომარეობას აფასებდი და ის უპირატესობანი გხიბლავდა, რაც ჩემს მეუღლეს უნდა ჰქონოდა. ახლა კი, რადგან ფიქრობ, რომ უფლება ჩამომართვეს შენი ჯვარდაწერილი მეუღლე გავხდე, ჩემი შეხებაც კი ისე გაფრთხობს, თითქოს მაიმუნი ან გომბეშო ვიყო.

ამ სიტყვებმა გული გამიგმირა, მაგრამ რა უნდა მექნა, ან რა პასუხი უნდა გამეცა? ალბათ, უმჯობესი იყო, არც საქმითა და არც სიტყვით არ გამოვხმაურებოდი. სინდისის ქენჯნა ისე მაწამებდა და მისი შეურაცხყოფილი გრძნობა ისე მიკლავდა გულს, თავი ვეღარ შევიკავე, ბალზამი არ მეპკურებინა იმ ჭრილობისათვის, რომელიც მე თვითონ მივაყენე.

_ მე თქვენ მიყვარხართ, _ ვუთხარი მე, _ და უფრო მეტადაც, ვიდრე ოდესმე, მაგრამ არ შემიძლია გამოვამჟღავნო ის თქვენ წინაშე ან მეტად გატაცების ნება დავრთო მას საკუთარ გულში. ახლა საბოლოოდ გესაუბრებით ჩემი განცდების შესახებ.

_ საბოლოოდ, ჯეინ? რას ნიშნავს ეს სიტყვები? ნუთუ ფიქრობ, შეგიძლია იცხოვრო ჩემ გვერდით, მხედავდე ყოველდღე და თუ ისევ გიყვარვარ, ყოველთვის ასე ცივად და შორეული ნაცნობივით მექცეოდე?

_ არა, სერ. ცხადია, ამას ვერ შევძლებ. ამიტომაც მხოლოდ ერთადერთ გზას ვხედავ, მაგრამ თქვენი გაჯავრების მეშინია.

_ ოჰ, მითხარი! თუ გავჯავრდები, შეგიძლია ცრემლი მოიშველიო.

_ მისტერ როჩესტერ, მე თქვენ უნდა დაგტოვოთ.

_ მაინც რამდენ ხანს? სულ რამდენიმე წუთით, ალბათ, არა? სანამ ჩამოშლილ თმას შეისწორებ და პირზე წყალს შეისხამ, რადგან ცრემლებისაგან სახე გეწვის?

_ თორნფილდი და ადელიც უნდა დავტოვო და თქვენც სამუდამოდ უნდა გაგშორდეთ, სერ. სრულიად ახალი ცხოვრება უნდა დავიწყო უცნობ ადამიანებსა და მთლად უცხო ადგილას.

_ რა თქმა უნდა. მეც ხომ ეს გითხარი წეღან, ასეც მოიქცევი, მაგრამ მე ხომ ვერ გადავიტან, შენ რომ დამშორდე? შენ ხომ მხოლოდ იმას ფიქრობ, რომ ჩემი მეუღლე უნდა გახდე. რაც შეეხება ჩვენს ახალ ცხოვრებას, ასეც იქნება. შენ გახდები ჩემი მეუღლე. მე ცოლიანი არა ვარ. მიიღებ როჩესტერის გვარს, როგორც სინამდვილეში, ისე ფორმალურად და სანამ ცოცხალი ვიქნებით, მე შენი ერთგული დავრჩები. წაგიყვან საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში, სადაც ხმელთაშუა ზღვის ნაპირას თეთრად შეღებილი ვილა მაქვს. შენ იქ ბედნიერი, მყუდრო და წმინდა ცხოვრება გექნება. ნუ შიშობ, არასოდეს ფიქრადაც არ გავივლებ რაიმე ცდუნებით ჩემს სატრფოდ გაქციო. თავს რატომ აქნევ, ჯეინ? შენ მეტი გონიერება მოგეთხოვება, თორემ გარწმუნებ, ჩემი თავის კვლავ ხელში აყვანა ძალიან გამიძნელდება.

მას ხმა აუკანკალდა და შევნიშნე, ხელიც უთრთოდა. განიერი ნესტოები დაებერა, თვალები ცეცხლივით ანთებოდა და მაინც გავბედე დალაპარაკება.

_ სერ, თქვენი მეუღლე ცოცხალია. ეს ხომ სინამდვილეა და ამ დილით თქვენ აღიარეთ, თუ ამიერიდან თქვენ გვერდით ვიქნები ისე, როგორც თქვენ გსურთ, რაღა თქმა უნდა, რომ მხოლოდ თქვენ სატრფოდ ჩავითვლები. სხვაგვარად ამის თქმა მხოლოდ თავის მოტყუება და სიცრუე იქნებოდა.

_ ჯეინ, შენ გავიწყდება, რომ მე მშვიდი ხასიათის კაცი არა ვარ, დიდხანსაც არ შემიძლია ვითმინო რაიმე. ამასთანავე, არც გულცივი ვარ და არც

უგრძნობელი. შემიბრალე, შეიბრალე შენი თავიც და აი შეეხე ჩემს მაჯას, იგრძნობ, როგორ მიცემს გული. მიფრთხილდი!

მაჯა გაიშიშვლა და ხელი გამომიწოდა. სახესა და ტუჩებზე მკვდრის ფერი გადასდებოდა, თითქოს სისხლიდან დაეცალათ. მძიმე ნაღველმა შემიპყრო. მისი კიდევ უფრო მეტად აღელვება ასეთი წინააღმდეგობით, რაც მას, ვიცოდი, ეზიზღებოდა, ბოროტება იყო. მაგრამ დათმობაც დაუშვებლად მიმაჩნდა და მეც ისე მოვიქეცი, როგორც ადამიანები იქცევიან ხოლმე თავისდაუნებურად, როდესაც რაიმე უკიდურესობის წინ აღმოჩნდებიან. დახმარებისათვის ადამიანთა მოდგმაზე მაღლა მდგომს _ ზეციურ მამას მივმართე და უნებურად ეს სიტყვები აღმოხდა ჩემს ბაგეს: _ ღმერთო, მიშველე!

_ ნამდვილად სულელი ვარ, _ წამოიძახა მისტერ როჩესტერმა უცებ. _ ვარწმუნებ, რომ ჯვარდაწერილი არა ვარ და იმას კი აღარ ვუხსნი, თუ რატომ? დამავიწყდა, რომ მან არაფერი იცის არც იმ ქალის შესახებ და არც იმ პირობების შესახებ, რომელმაც მაიძულა ამ ჯოჯოხეთურ ქორწინებაზე დავთანხმებულიყავ. ოჰ, მე დარწმუნებული ვარ, ჯეინი დამეთანხმება და მითანაგრძნობს ყველაფერში, როცა გაიგებს ყოველივე იმას, რაც მე ვიცი. მომეცი შენი ხელი, ჯეინ, რომ არა მარტო გხედავდე, არამედ შეხებითაც ვგრძნობდე შენს სიახლოვეს, და სულ რამდენიმე სიტყვით გიამბობ გულწრფელად მთელ ამ ამბავს, შეგიძლია მომისმინო?

_ დიახ, სერ, რამდენი ხანიც გნებავთ.

_ მე მხოლოდ წუთებს გთხოვ. ჯეინ, გაგიგონია ოდესმე ან იცი თუ არა, რომ მე არა ვარ ამ ოჯახის უფროსი ვაჟიშვილი, რომ მე ჩემზე უფროსი ძმა მყავდა?

_ დიახ, მახსოვს, ერთხელ მისის ფეიერფექსმა მიამბო ეს ამბავი.

_ და ისიც გსმენია, რომ მამაჩემი ძუნწი და მეტისმეტად ფულის მოყვარული ადამიანი იყო?

_ დიახ, გამიგონია, რომ ის ასეთი ყოფილა.

_ ამიტომაც, ჯეინ, მას გადაწყვეტილი ჰქონდა, მთელი თავისი საკუთრება ხელუხლებლად შეენარჩუნებინა. ის ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ თავისი სამფლობელო დაეყო და ჩემთვის კუთვნილი წილი მოეცა. ყველაფერი, რაც მას გააჩნდა, მემკვიდრეობით ჩემი ძმის, როულენდის, ხელში უნდა გადასულიყო. თუმცა ვერც იმას იტანდა, რომ მის მეორე ვაჟს ასეთი სიღარიბე ელოდა ცხოვრებაში. ალბათ ამიტომაც მე მდიდარი ქალი უნდა შემერთო. თავის დროზე მან საცოლეც მომიძებნა. ვესტინდოელი პლანტატორი და ვაჭარი მისტერ მეზონი მისი დიდი ხნის ნაცნობი იყო. მამაჩემმა კარგად იცოდა, რომ ამ კაცს, სინამდვილეში, აურაცხელი სიმდიდრე გააჩნდა. მაინც გაიკითხ-გამოიკითხა. აღმოჩნდა, რომ მისტერ მეზონს ჰყავდა ორი შვილი: ერთი ვაჟი და ერთი ქალიშვილი, მისგან შეეტყო ისიც, რომ ქალიშვილისათვის მზითვად ოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინგის მიცემა ჰქონდა განზრახული. ეს ამბავი საკმარისი აღმოჩნდა და როდესაც კოლეჯში სწავლა დავასრულე, იამაიკაზე გამგზავნეს, რომ ცოლად შემერთო ქალი, რომელიც უკვე დანიშნული ჰყავდათ ჩემთვის. მამას ამ ქალის ფულად შემოსავალზე ჩემთვის არაფერი უთქვამს,

მაგრამ ის კი მითხრა, რომ სპენიშტაუნი მისი სილამაზით ამაყობდა. ეს არც ტყუილი იყო. ის მართლაც მშვენიერი იყო, ბლანშ ინგრემის მსგავსი: მაღალი, შავგვრემანი და მომხიბვლელი, მის ოჯახს და თვით მას ჩემი ხელში ჩაგდება უნდოდათ იმიტომ, რომ მე კარგი წარმოშობის ვიყავი. ისინი ჩემს საცოლეს მხოლოდ წვეულების დროს მიჩვენებდნენ ხოლმე, შესანიშნავად და ძვირფასად ჩაცმულს. მარტო მე მას იშვიათად ვხვდებოდი და ასევე იშვიათად მიხდებოდა მასთან კერძო საუბარი. ყველასაგან გამორჩეულად მექცეოდა და იმისათვის, რომ ჩემთვის ესიამოვნებინა და დავეტყვევებინე, მთელ თავის მომხიბვლელობას და გამოცდილებას გულუხვად ფანტავდა ჩემ გარშემო. მისი წრის ყველა მამაკაცი მისით იყო აღტაცებული და შურის თვალით მიმზერდა. მე დაბრმავებული და აგზნებული ვიყავი და ჩემი უცოდინარობის, მოუმწიფებლობის და გამოუცდელობის გამო: ვფიქრობდი, რომ ის მიყვარდა. იმაზე უგუნურება და გონდაკარგულობა ხომ არაფერია, ვიდრე ურთი-ერთისადმი მეტოქეობა და პირველობისათვის ბრძოლა საზოგადოებაში, ან ახალგაზრდული დაუძლეველი ვნებიანობა, სიბრმავე და წინდაუხედაობა, რომლებიც აჩქარებენ ადამიანს ასეთი განუსჯელი საქციელის ჩასადენად. მისი ნათესავები მაგულიანებდნენ, მეტოქეები კი მაღიზიანებდნენ. თვითონ მის მეზონიც მაცდურობდა ჩემ წინაშე და ქორწინების დღემ ისე მოაღწია, ვერც კი გავიგე. ოჰ, საკუთარი თავისადმი არავითარი პატივისცემის გრძნობა აღარა მაქვს, როდესაც ეს ამბავი მაგონდება და საშინლად მეზიზღება ჩემი თავი. მე ის არასოდეს არ მყვარებია, არც პატივს ვცემდი და არც კარგად ვიცნობდი. იმაშიც კი არ ვიყავი დარწმუნებული, ჰქონდა თუ არა რაიმე ღირსეული ბუნებით თანდაყოლილი თვისება. ჯერ არც კი შემენიშნა მოკრძალება, ლმო-ბიერება, გულწრფელობა და ადამიანური სიფაქიზე მის სულსა და საქციელში, როდესაც შევირთე. ოჰ, რა დიდი დამცირება ავიტანე. თხუნელასავით მქონდა თვალები დაბრმავებული. რა სულელი ვიყავი! განა უფრო ნაკლებ ცოდვას არ ჩავიდენდი თუ... მაგრამ მე უნდა მახსოვდეს, ვის ველაპარაკები.

ჩემი საცოლის დედა არასოდეს არ მენახა და მეგონა, რომ ის მკვდარი იყო. თაფლობის თვე გათავდა და მეც ჩემ შეცდომას მივხვდი. ის თურმე შეშლილი იყო და ფსიქიურად დაავადებულთა თავშესაფარში ჰყოლოდათ გამოკეტილი. ოჯახში უმცროსი ვაჟიშვილიც ჰყავდათ, ნამდვილი ენაბლუ იდიოტი. უფროსი კი, რომელიც უკვე ნახე, არ შეიძლება მძულდეს, თუმცა მთელი მათი ნათესაობა მეზიზღება, რადგან მის სუსტ გონებაშიც არის რაღაც წესიერების ნიშანი. აი თუნდაც ის, რომ ეგ საცოდავი დაუსრულებლად ზრუნავს თავისი გაუბედურებული დისთვის და იმ ძაღლური ერთგულებისათვის, რომელიც ერთხელ მე გამიწია. თუმცა, შესაძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს მაგასაც ეწიოს მათი ბედი. მამაჩემმა და როულენდმა იცოდნენ ეს ამბავი, მაგრამ ისინი მხოლოდ ოცდაათი ათას გირვანქა სტერლინგზე ფიქრობდნენ და ჩემს წინააღმდეგ პირი ჰქონდათ შეკრული.

ეს ყოველივე საშინელი აღმოჩენა იყო ჩემთვის, მაგრამ, გარდა ამ ფარული თავლთმაქცობისა, არაფერი შემეძლო მესაყვედურებინა ჩემი მეუღლისათვის,

მაშინაც კი, როდესაც მივხვდი, რომ მისი ბუნება სრულიად უცხო და გამოუცნობი იყო ჩემთვის. მისი გემოვნება მხოლოდ უსიამოვნო გრძნობას მგვრიდა. იმდენად გონებაშეზღუდული იყო და განვითარების ისეთ დაბალ საფეხურზე იდგა, რომ უნარიც კი არ გააჩნდა, რაიმე დიადი და წმინდა იდეალებისაკენ ჰქონოდა სწრაფვა. მალე იმასაც მივხვდი, შეუძლებელი იყო თუნდაც ერთი საღამო, ან ერთი საათიც კი დღეში სიამოვნებით გამეტარებინა მასთან. ასე განსაჯე, ჩვენ შორის მეგობრული საუბარიც კი არ ხერხდებოდა. რა თემასაც არ უნდა შევხებოდი, მისგან ყოველთვის უზრდელ, ბანალურ და გონებასუსტ, ვნებააშლილი ქალის პასუხს ვიღებდი. იმაშიც დავრწმუნდი, რომ მე არასოდეს მექნებოდა მყუდრო, დაწყობილი ოჯახური ცხოვრება. არც ერთ მსახურს არ შეეძლო შეგუებოდა მის დაუსრულებელ სიანჩხლეს, მოულოდნელ, უაზრო გაგულისებას, სულ მუდამ შეურაცხყოფას, შეუსაბამო და უზომო მომთხოვნელობით ურთიერთსაწინააღმდეგოდ გაცემულ ბრძანებებს. ასეთი ამბების მაყურებელიც კი ზომიერებას ვიჩენდი; საყვედურებს თავს ვარიდებდი; მსურდა, საუბრის გარეშე მომეხდინა გავლენა მასზე; ვცდილობდი, ფარულად მომენანიებია ყოველივე, თუმცა გულის სიღრმეში მის მიმართ მხოლოდ ზიზღს ვგრძნობდი.

_ ჯეინ, არ დაგტანჯავ ამ საშინელი წვრილმანი ამბების მოყოლით. რამდენიმე გონივრულად ნათქვამი სიტყვითაც მიმიხვდები, თუ რისი თქმა მინდა. ოთხი წელი გავატარე ამ ქალთან ზემო სართულში და მთელი ამ ხნის მანძილზე მან საშინლად მაწამა და დამქანცა. მისი აუტანელი ხასიათი დღითი დღე მწიფდებოდა, საშინელი სისწრაფით ვითარდებოდა და უზნეო თვისებებიც ასევე სწრაფად ემატებოდა. ვამჩნევდი, ბოლო ხანს მხოლოდ სიმკაცრითღა თუ შეიძლებოდა მისი დაოკება. მე კი სიმკაცრე ვერ გამოვიჩინე. ოჰ, რა ქონდრისკაცური გონება ჰქონდა და რა დაუცხრომელი ვნებიანობა! რა შემაძრწუნებელ უბედურებას წამკიდა ყოველივე ამან! ბერთა მეზონმა, უსახელო და შეშლილი დედის ნამდვილმა ორეულმა და პირდაპირმა შთამომავალმა, თავს დამატეხა ყველა ის საზიზღარი, დამამცირებელი ამბავი და მერე კი მით გამოწვეული ის აუწერელი სულიერი ტანჯვა, რომელიც თან სდევს ყველა მამაკაცს, ვინც კი ოდესმე თავშეუკავებელსა და ზნეობრივად უწმინდურ ქალს შეუღლებია.

იმ ხანებში ჩემი ძმა გარდაიცვალა. მეოთხე წლის ბოლოს კი მამაც მომიკვდა. საკმაოდ გავმდიდრდი, თუმცა სათაკილო სიღარიბეში მქონდა თავი ჩარგული. მე ხომ სამუდამოდ დაკავშირებული ვიყავი ამ გადარეულ და ბილწ არსებასთან. ის როგორც საზოგადოების თვალში, ისე კანონით ჩემს მეუღლედ იწოდებოდა და ვეღარც კანონიერი განქორწინებით ავარიდებდი თავს, მიუხედავად იმისა, რომ ექიმებმა შეშლილად ცნეს. მისმა გადაჭარბებულმა თავშეუკავებლობამ განავითარა მასში არანორმალურობის ნიშნები. ჯეინ, შენ ალბათ არ გსიამოვნებს ასეთი ამბების მოყოლა, ისეთი გამომეტყველება გაქვს, ასე მგონია, ავად უნდა იყო. გინდა, დანარჩენს ხვალისთვის გადავდებ?

_ არა, სერ, ახლა დაამთავრეთ. მე თქვენ მებრალებით, ძალიან მებრალებით.

_ სიბრალული, ჯეინ, ზოგიერთი ადამიანის მხრით მომწამვლელი და შეურაცხმყოფელი მოწყალებაა. სრულიად სამართლიანი იქნება, თუ ასეთ სიბრალულს უკანვე მივახლით თავში იმ ადამიანებს, ვინც მას გვთავაზობს. ასეთი სიბრალული გულქვა და ეგოისტ ადამიანთა თანდაყოლილი თვისებაა. მასში შერწყმულია ეგოისტური ჩივილი სხვისი ურვა-წუხილის გაგონებისას და უგუნური სიძულვილი იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც განსაცდელში იმყოფებიან. მაგრამ შენი სიბრალული ასეთი არ არის, ჯეინ. ამ წუთებში სრულიად სხვა გრძნობა იხატება შენს სახეზე, რომლის გამო, სადაც არის, ცრემლის ნიაღვარი დაედინება შენს თვალებს. გულიც ასე იმიტომ გიღელავს და შენი ხელიც ასე იმისთვის თრთის ჩემს ხელში. შენი სიყვარული, ჩემო ღვთაებავ, სიყვარულის წამებული დედაა, მისი წუხილი ნამდვილი მწვავე გულისტკივილია ღვთიური იდეალებით გატაცებული ადამიანისა. მე ვღებულობ მას, ჯეინ, დაე, ეს ქალიშვილი თავისუფლად მოვიდეს ჩემთან, ჩემი გაშლილი მკლავები მას უცდის მისაღებად.

_ ახლა კი, სერ, განაგრძეთ, მერე როგორ მოიქეცით, როდესაც შეიტყვეთ რომ ის შეშლილი იყო?

_ ჯეინ, მე სასოწარკვეთილების საზღვარს მივუახლოვდი. მხოლოდ საკუთარი თავისადმი შერჩენილი ოდნავი პატივისცემის გრძნობა მაკავებდა უფსკრულის პირად. უეჭველია, ქვეყნის თვალში სამარცხვინოდ პატივაყრილი ვიყავი, მაგრამ გადავწყვიტე, საკუთარი სინდისის წინაშე ვყოფილიყავი მართალი და ბოლომდე შორს ვმდგარიყავი მისი სამარცხვინო დანაშაულებრივი საქციელიდან, _ როგორმე დამეღწია თავი ამ გონებასუსტი არსების ბიწიერებისათვის. საზოგადოება კი მის სახელს ჩემს სახელს უკავშირებდა. მე მას ყოველდღეEვხედავდი და მესმოდა მისი ხმა. მისი ამონასუნთქი ჰაერი (თფუ!) შერეული იყო იმ ჰაერში, რომელსაც მე ვსუნთქავდი. არ მავიწყდებოდა, რომ ოდესღაც მისი ქმარი ვიყავი. ეს მოგონება მაშინაც და ახლაც ენით გამოუთქმელ სიბილწედ მიმაჩნდა. გარდა ამისა, ვიცოდი, რომ სანამ ის ცოცხალი იქნებოდა, მე ვერ შევირთავდი სხვას, უკეთესს ცოლად. ხუთი წლით ჩემზე უფროსი (მისმა ოჯახმა და ჩემმა მამამ მომატყუეს მის წლოვანებაშიც) იმდენ ხანს იცოცხლებდა, რამდენსაც მე, რადგან აგებულებით იმდენად ძლიერი იყო, რამდენადაც გონებრივად სუსტი. ასე რომ, ოცდაექვსი წლის ასაკში სრულიად უიმედო მდგომარეობაში აღმოვჩნდი.

_ ერთ ღამეს ყურთასმენის წამღებმა კივილმა გამომაღვიძა (მას შემდეგ, რაც ექიმებმა დაადასტურეს, რომ ის შეშლილი იყო, ცალკე გვყავდა გამოკეტილი). სულის შემხუთველი სიცხე იყო იმ ღამეს, როგორც ვესტინდოეთში იცის ხოლმე. იქ, სადაც ასეთი ჰავაა, ამგვარ ღამეებს ძალიან ხშირად თან სდევს გრიგალი. საწოლში ძილი შეუძლებელი გახდა, წამოვდექი და სარკმელი გამოვაღე. ისე მომეჩვენა, ჰაერი ფოსფორნარევი ნისლით გაჟღენთილიყო. სუფთა ჰაერს ვეღარსად მივაგენი. ოთახში კოღოები შემოფრინდნენ და გულის შემაძრწუნებელი ერთფეროვანი წუილით ავსებდნენ სივრცეს. ზღვა, რომლის

ხმაური ჩემამდე კარგად აღწევდა, ისე ბობოქრობდა, როგორც მიწისძვრის დროს იცის ხოლმე. მის ზემოთ შავი ღრუბლები მიქროდნენ; მოწითალო ფერის სავსე მთვარე ტალღებში ისე ჩაინთქა, როგორც გავარვარებული ზარბაზნის ყუმბარა და უკანასკნელად სისხლიანი მზერა სტყორცნა ქვეყანას, რომელიც ბობოქარი ქარიშხლის მოლოდინში თრთოდა. ბუნების ასეთი პეიზაჟი და ატმოსფერული ცვლილებები ფიზიკურად მანადგურებდა; ამასთანავე ყურში გამუდმებით ჩამესმოდა შეშლილის კივილი და წყევლა-კრულვა; დროდადრო ის ჩემს სახელს ახსენებდა ისეთი გაბოროტებული სიძულვილით და ისეთი ენით, რომ არც ერთ გაქნილ მეძავ ქალს არასოდეს ექნებოდა იმაზე ბინძური ლექსიკონი. ჩვენ ერთმანეთისაგან ორი ოთახი გვყოფდა, მაგრამ ყველა სიტყვა გავიგონე, რადგან ვესტინდოეთში ისეთი თხელი კედლებია, ხმა თავისუფლად გადის და ოდნავადაც ვერ ახშობდა მის მგლურ ყმუილს.

_ ეს ცხოვრება ჯოჯოხეთია! _ ვთქვი ბოლოს ჩემთვის. _ ეს უძირო ქვესკნელიდან მომდინარე ხმებია! მე უფლება მაქვს განვშორდე მას, თუ შევძლებ. ამ მოკვდავი სხეულის ტანჯვა-წამება თან გაჰყვება ხორცს, რომელიც ასე მძიმედ ბორკავს ჩემს სულს. საიქიოს სამუდამოდ ცეცხლის ალში წვა, რაც ფანატიკოსებს სწამთ, მე უკვე აღარ მაშინებს. მომავალი აწმყოზე ცუდი არ იქნება. მე უნდა განვშორდე აქაურობას და ჩემს ზეციურ მამასთან გავემგზავრო (სამუდამო სამკვიდროში).

_ სანამ ამას ვამბობდი, მუხლებზე დავეშვი და ყუთი გავხსენი, რომელშიაც ორი გატენილი დამბაჩა იდო. გადავწყვიტე, თავი მომეკლა. მაგრამ ეს ფიქრი წამიერი გამოდგა, რადგან შეშლილი არ ვიყავი. ხოლო ის მწვავე და გაუსაძლისი სასოწარკვეთილება კი, რომელმაც ასეთი რამ მაფიქრებინა და თვითმკვლელობა გადამაწყვეტინა, ერთ წამში გაქრა. ევროპიდან დაძრულმა სუფთა ნიავმა ოკეანეს გადმოუქროლა და ღია სარკმელში შემოიჭრა. ქარიშხალი გაძლიერდა; წვიმა კოკისპირულად ასხამდა; ქუხდა; ელავდა; ჰაერი გაიწმინდა. საკუთარ ბაღში სველი ფორთოხლის ხეებ ქვეშ დავეხეტებოდი, ქარიშხლისა და წვიმისაგან წალეკილ ბროწეულისა და ანანასის ხეებს შორის მიმოვდიოდი და, ვიდრე ტროპიკული ზონის მოციმციმე ცისკარი ჩემ ირგვლივ ცეცხლისფერ სხივებად აენთებოდა, მე ასე განვიზრახე: აბა, მომისმინე, ჯეინ! ვფიქრობ, ეს ნამდვილი ბრძნული გადაწყვეტილება იყო, რომელმაც დამაწყნარა იმ წუთებში და მიჩვენა გზა, რომელსაც მომავალში უნდა გავყოლოდი.

ევროპიდან შემოჭრილი მოსალბუნე ნიავი ჯერ კიდევ ახლადგანბანილ ფოთლებს ეჩურჩულებოდა და ატლანტის ოკეანე კი გრგვინვით დიდებულ თავისუფლებას უმღეროდა, როდესაც დიდი ხნის მანძილზე მთლად მკვდარი, სისხლგამშრალი და გაცივებული ჩემი გული ამ ხმამ გამოაცოცხლა და საარსებო სისხლით შეავსო. ჩემი დიდი ხნის ნატვრა და წყურვილი, რომ ხელმეორედ დავბადებულიყავი და ამქვეყნიური ცოდვებისაგან მთლიანად განვწმენდილიყავი, ახლა ჩემ წინ იმედის სახით გამოჩნდა და მეც ჩემი

არსების მთლიანი გარდაქმნა და ხელმეორე აღდგომა შესაძლებლად ვცანი. ბაღის ბოლოში ვიდექი და ყვავილების თაღქვეშიდან გავყურებდი ზღვას, რომელიც ცაზე უფრო ლურჯი მოჩანდა. მის იქით ძველი სამყარო _ ევროპა მეგულებოდა და ჩემი ნათელი იმედებიც იქ იშლებოდა.

_ წადი! _ ჩამძახოდა ის, _ და კვლავ ევროპაში იცხოვრე. იქ არავინ იცის, რა შერცხვენილ სახელს ატარებ და ან რა ბინძური ტვირთი გკიდია. შეგიძლია შეშლილი ინგლისში თან წაიყვანო. ჩაკეტე თორნფილდში, კარგი მომვლელი მიუჩინე და ფრთხილად შეინახე. მერე კი, რომელ ქვეყანაშიც გინდა, იქით გაემგზავრე და იმას დაუმეგობრდი, ვინც უფრო მოგეწონება. ეს ქალი, რომელმაც ასე ბოროტად გამოიყენა შენი ამდენი ხნის ტანჯვა-წამება, ასე შეარცხვინა შენი სახელი, ასე დიდად შეურაცხყო შენი პატიოსნება და ამდენი ზიანი მოუტანა შენს სიყმაწვილეს, შენი მეუღლე არ არის. არც შენა ხარ მისი ქმარი. ყურადღება მიაქციე, რომ მასზე იზრუნონ, როგორც ამას მისი ჯანმრთელობა მოითხოვს. მაშინ ვალი მოხდილი გექნება ყველას მიმართ, როგორც ღმერთი და ადამიანთა საზოგადოება მოითხოვს შენგან. დაე, მისი სახელი და ახლობლობა შენთან დაიმარხოს და დავიწყებას მიეცეს. შენ ვალდებული არა ხარ ამ ამბის შესახებ რომელიმე ცოცხალ სულდგმულს რამე გაუზიარო. მოათავსე ის უშიშარ ადგილას, კარგ პირობებში, საიდუმლოდ შეინახე მისი ავადმყოფობა და განშორდი მას...

მეც სწორედ ამ რჩევას გავყევი. ჩემს ძმასა და მამას თავის ნაცნობებისათვის არ გაუგებინებიათ ჩემი ქორწინების ამბავი, რადგან პირველივე წერილში ვატყობინებდი, რა განუზომელ ზიზღსაც განვიცდიდი ამ ქორწინების მიმართ. რადგან ვიცოდი ჩემი მეუღლის ხასიათი და მისი გონებრივი სისუსტე, წინასწარვე ვხედავდი, რა საშინელი მომავალი მელოდა, იქვე ვუმატებდი და დაჟინებით ვთხოვდი მათ, ყოველივე საიდუმლოდ შეენახათ. ბოლოს კი ჩემი მეუღლის უსირცხვილო საქციელმა ისეთი სახე მიიღო, რომ მამას, რომელმაც ის თვით ამომირჩია, ასეთი რძლის ყოლა ახლა სათაკილოდ მიაჩნდა და აწითლებდა. ამ ქორწინებას ის არათუ ახსენებდა სადმე, არამედ ჩემზე მეტად ცდილობდა დაემალა.’

შემდეგ მე ის ინგლისში ჩამოვიყვანე. საშინელი მოგზაურობა მქონდა. წარმოიდგინე, ასეთი ურჩხულით გემზე მგზავრობა. გამიხარდა, როდესაც ბოლოს თორნფილდს მოვაღწიეთ და მესამე სართულის ერთ-ერთ ოთახში მშვიდობიანად მოვათავსე. ეს სწორედ შენობის შიგნით ის ღრმად მიმალული სამუშაო ოთახი იყო, რომელიც მან ამ ათი წლის განმავლობაში გარეული ცხოველის ბუნაგად და ბოროტი სულის საკნად აქცია. პირველად ძალიან გამიძნელდა მისთვის მომვლელი ქალის შოვნა. საჭირო იყო ისეთი მეშოვნა, რომლის ერთგულებაზე დაყრდნობა შემეძლებოდა, რადგან შეშლილის გააფთრებას შეიძლებოდა გაეცა ჩემი საიდუმლოება. იყო ისეთი დღეებიც და კვირებიც, როდესაც ის დამშვიდებული იყო და მაშინ შეურაცხმყოფელი სიტყვებით მავსებდა. ბოლოს გრიმსბი რიტრიტიდან გრეის პული დავიქირავე. მხოლოდ მან და ექიმმა კარტერმა (რომელმაც მეზონს ჭრილობები

შეუხვია იმ ღამეს, როდესაც ის დამ დაჭრა და დაკბინა), აი, ამ ორმა ადამიანმა იცოდა ჩემი საიდუმლო. შესაძლებელია, მისის ფეიერფექსი რაიმეს ეჭვობდეს, მაგრამ დანამდვილებით მან ამ საქმის შესახებ არაფერი იცის. გრეისი მართლაც რომ კარგი მომვლელი აღმოჩნდა. თუმცა ნაწილობრივ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს, რაც შეემთხვა და რაშიაც ვერავინ დაეხმარება. რა თქმა უნდა, ეს ნაწილობრივ მისი თავმომაბეზრებელი პროფესიის ბრალიცაა. მიუხედავად მისი გამუდმებული სიფრთხილისა, ავადმყოფმა ის არაერთხელ შეაცდინა და გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო. შეშლილი ადამიანი მეტისმეტად ეშმაკი და ბოროტია. მას შეუძლია ყოველთვის ისარგებლოს თავისი მომვლელის დროებითი გაუფრთხილებლობით. აი, ერთხელ დანა ააცალა, რომლითაც საკუთარი ძმა დაჭრა. ორჯერ კი თავისი საკნის გასაღები იგდო ხელთ და იქიდან გამოიპარა ღამით. პირველად ისეთი ბოროტმოქმედება მოუვიდა თავში აზრად, რომ უნდოდა საწოლში გამოვეწვი. მეორედ კი შენ გესტუმრა ფარულად. ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ დაგიცვა და თავისი სიშმაგე მხოლოდ შენს ჯვარსაწერ მორთულობაზე გადმოანთხია, რომელმაც, ალბათ, ბუნდოვნად თავისი საკუთარი ჯვრისწერის დღეები თუ გაახსენა. გაფიქრებაც კი მზარავს, რა უბედურება შეიძლებოდა დატრიალებულიყო, თუ ის, ვინც ამ დილით ყელში ასე გააფთრებული მეცა, თავისი დაწითლებული და ჩაშავებული სახით ჩემი პაწაწინა მტრედის ბუდეში ჩაიხედავდა! ეს ფიქრი ძარღვებში სისხლს მიყინავს...

_ მერე, სერ, _ ვკითხე მე, როდესაც ის შეჩერდა, _ როგორ მოიქეცით მას შემდეგ, როდესაც ის აქ დააბინავეთ? საით გაემგზავრეთ?

_ როგორ მოვიქეცი, ჯეინ? გავუჩინარდი. მუდმივ მოგზაურად გადავიქეცი. სად წავედი? მარტის ქარივით დავქროდი აქეთ-იქით. ევროპას მივაღწიე და ყველა მის ქვეყანას გზადაბნეულივით შემოვუარე. მხოლოდ ერთი ფიქრით ვიყავი შეპყრობილი: მომეძებნა კარგი და ჭკვიანი ქალი, რომლის შეყვარება შემეძლებოდა. მინდოდა სრულიად საპირისპირო ყოფილიყო იმ ავი და ცოფიანი ქალისა, რომელიც თორნფილდში დავტოვე.

_ მაგრამ თქვენ ხომ მას ვერ შეირთავდით, სერ?

_ მე გადავწყვიტე და არა მარტო დარწმუნებული ვიყავი, რომ ასე უნდა მოვქცეულიყავი, არამედ ვალდებულადაც ვთვლიდი ჩემს თავს. პირველად სრულებითაც არ განმიზრახავს ვინმე მომეტყუებინა, ისე, როგორც შენთან ვიცრუე და დაგიმალე ყოველივე. ვფიქრობდი, მთელი ჩემი თავგადასავალი გულახდილად მეამბნა და წინადადებაც პირდაპირ მიმეცა. ეს იმდენად სწორ და გონივრულ მოსაზრებად მიმაჩნდა, რომ ვვარაუდობდი, ისეთ თავისუფალ პიროვნებად ჩამთვლიდნენ, რომელსაც შეეძლო შეეყვარებინა და ჰყვარებოდათ. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ შემხვდებოდა ისეთი ადამიანი, რომელიც გამიგებდა, მითანაგრძნობდა და მიმიღებდა, მიუხედავად თავზე დამტყდარი მძიმე უბედურებისა და წყევლა-კრულვისა.

_ კეთილი, სერ, მერე?

_ როდესაც შენ ცნობისმოყვარეობა გძლევს, ჯეინ, არ შემიძლია ღიმილი შევიკავო. თვალებს მოუსვენარი ჩიტივით აღებ და განუწყვეტლივ მოძრაობ, თითქოს პასუხი იგვიანებეს, დაცდა არ შეგეძლოს და გსურდეს ის მოსაუბრის გულისფიცარზე ამოიკითხო, მაგრამ ახლა, სანამ ჩემს ამბავს განვაგრძობდე, მითხარი, რას გულისხმობ, როდესაც მეკითხები: _ შემდეგ, სერ? _ ამ მოკლე ფრაზას ძალიან ხშირად წამოიძახებ ხოლმე. მე ის დიდად მეხმარება და საუბარს დაუსრულებლად განვაგრძობ, მაგრამ ვერ გამიგია, რატომ მოქმედებს ის ჩემზე ასე?

_ მაინტერესებს, რა მოხდა შემდეგ? თქვენ როგორ მოიქეცით, ან ამა თუ იმ შემთხვევას რა დასასრული მოჰყვებოდა ხოლმე.

_ აი, სწორედ მაგას ვამბობ. ახლა რის გაგება გინდა?

_ იპოვეთ თუ არა ის, ვინც მოგწონდათ, მიეცით თუ არა წინადადება, ცოლად გამოგყოლოდათ და ან მან რა გიპასუხათ?

_ მხოლოდ ის შემიძლია გითხრა, ვნახე თუ არა ვინც მომეწონა, ან შევთავაზე თუ არა ჩემი ხელი, მაგრამ ის, რაც მიპასუხა, ჯერ კიდევ საიდუმლოებით არის მოცული ბედისწერის წიგნში. ათი წლის მანძილზე დავეხეტებოდი ერთი დედაქალაქიდან მეორეში. ხან პეტერბურგში, უფრო ხშირად პარიზში, ხანდახან რომში, ნეაპოლში და ფლორენციაში. ფულით უზრუნველყოფილი ვიყავი, შთამომავლობით უძველეს გვარს ვეკუთვნოდი და ამის გამო შემეძლო მე თვითონ ამომერჩია საზოგადოებიდან ის პირნი, ვისთანაც დაახლოება მინდოდა. საზოგადოების არც ერთი წრე არ იყო ჩემთვის ხელმიუწვდომელი, ამიტომ ჩემს საოცნებო არსებას დავეძებდი ინგლისელი ლედების, ფრანგი ბარონესების, იტალიელი სინიორინების და გერმანელ გრაფინიებს შორის. მისი პოვნა ვერ შევძელი. ხანდახან მხოლოდ წამიერად ვფიქრობდი, რომ აი უკვე თვალი მოვკარი, ხმა გავიგონე, ჩემი ოცნების ხორცსხმული ხატება უკვე დავინახე-მეთქი, მაგრამ მაშინვე ამეხილებოდა ხოლმე თვალი. ნუ წარმოიდგენ, რომ სულით ან გარეგნობით უნაკლო არსებას დავეძებდი, მხოლოდ ჩემს შესაფერს ვნატრობდი, კრეოლი ქალის საპირისპირო არსებას, მაგრამ თურმე ამაოდ ვეძებდი. ყველა მათ შორის ისეთი არც ერთი არ შემხვედრია, თავისუფალიც რომ ვყოფილიყავი, ცოლობა მეთხოვნა, მას შემდეგ მაინც, რაც მაგონდებოდა თუ პირველად რა საშინელ, საზიზღარ და ყოვლად შეუფერებელ ქორწინებაზე დავთანხმდი. იმედის გაცრუებამ უგუნურებამდე მიმიყვანა. ვცადე გართობა, მაგრამ გარყვნილებამდე არასოდეს დავცემულვარ. ის მე ყოველთვის მძულდა და მძულს, რადგან ასეთი ავხორცობა ჩემი ვესტინდოელი მესალინას სტიქია იყო. ძვალ-რბილში გამჯდარი ზიზღი თვითონ მის მიმართ და მისი ასეთი საქციელისადმი მბორკავდა რაიმე სიამოვნება თავისუფლად მეგემნა, ყოველგვარი ასეთი გრძნობა ზღვარს გადასცდებოდა თუ არა, მეჩვენებოდა, რომ მასთან და მის მანკიერ საქციელთან მაახლოებდა და მაშინვე თავს ვარიდებდი.

_ მაინც მარტო ცხოვრება არ შემეძლო და ვცდილობდი სატრფოები შემეძინა. პირველი, რომელიც მაშინ ამოვირჩიე, სელინ ვარენსი იყო. ეს ჩემი ცხოვრების მეორე საფეხურია, რომლის გახსენებაზე საკუთარი თავი მძულს და მეზიზღება. შენ უკვე იცი, რა პიროვნებაც იყო ეს ქალი და როგორ დამთავრდა მასთან ჩემი სამიჯნურო კავშირი. მას ორი შემცვლელი ჰყავდა: იტალიელი გიაცინტა და გერმანელი კლარა. ორივე განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩეოდა, მაგრამ რა ფასი ჰქონდა მათ სილამაზეს რამდენიმე კვირის მერე. გიაცინტა იყო უპრინციპო და ანჩხლი. სამი თვის მანძილზე მასთან სიახლოვემ დამქანცა. კლარა პატიოსანი და მშვიდი იყო, მაგრამ გონებაშეზღუდული და გაუგებარი. რა საერთო უნდა ჰქონოდა მას ჩემს გემოვნებასთან. გამიხარდა, როდესაც საკმაო თანხა გამოვუყავი, რაღაც შესაფერი სამუშაო იშოვა და ასე მშვიდობიანად თავიდან მოვიშორე. მაგრამ, ჯეინ, შენი გამომეტყველება მარწმუნებს, რომ შენ კარგი წარმოდგენა აღარა გაქვს ჩემზე. მე ახლა უგრძნობელ, უპრინციპო და თავქარიან მამაკაცად მთვლი, არა?

_ მართლაც, მე თქვენ ისე აღარ მომწონხართ, როგორც წინათ, სერ. ნუთუ არასოდეს გიფიქრიათ, რომ ასეთი ცხოვრება ასე თუ ისე საძაგლობაა? ჯერ ერთი სატრფო, ახლა _ მეორე. თქვენ ამ ამბებზე ისე ლაპარაკობთ, თითქოს ეს ყოველივე სრულიად ბუნებრივი იყოს.

_ თუმცა მე შემემთხვა, მაგრამ მე ის არ მომწონს. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დამამცირებელი ყოფა და არც არასოდეს მენდომება მას დავუბრუნდე. სიყვარულის ფულით შოვნა ისეთივე სულმდაბლობაა, როგორც მონის ყიდვა. ორივე ისინი როგორც ბუნებით, ისე მდგომარეობით მეტისმეტად დამდაბლებულნი არიან და ასეთ დაბალ საფეხურზე მდგომ ადამიანთან ახლო მეგობრულ ურთიერთობაში ყოფნა დიდად დამამცირებელია. ახლა იმ წუთების მოგონებაც კი მეზიზღება, რომლებიც ოდესმე გიაცინტასა, სელინასა თუ კლარასთან გამიტარებია.

ამ სიტყვების სიმართლე ვიგრძენი და გარკვეული დასკვნაც გამოვიტანე: თუ მე იმდენად დავკარგავ გონს, რომ საკუთარი თავი დამავიწყდება და ყოველივე ის, რითაც შთაგონებული ვიყავი, ან რაიმე საბაბით თავის გასასამართლებელ მიზეზებს დავუწყებ ძებნას და ცდუნებას წინ ვერ აღვუდგები, ერთ მშვენიერ დღეს მეც იმ საცოდავი ქალების მემკვიდრედ გადავიქცევი და მისტერ როჩესტერი მეც ისეთივე შეურაცხმყოფელი გრძნობით მომიხსენიებს, როგორც ახლა მათ იგონებდა. ჩემი აზრი ხმამაღლა არ წარმომითქვამს, მაგრამ ესეც საკმარისი იყო, რომ ყველაფერი ნათლად მეგრძნო. მე ის გულში ჩავიმარხე, რომ სამუდამოდ იქ ჩამრჩენოდა და დამხმარებოდა, თუ გამოცდის წინ წარვსდგებოდი.

_ ჯეინ, ახლა რატომ აღარ მეუბნები: შემდეგ, სერ? რისთვის გაჩუმდი? რატომ გაქვს ასეთი მკაცრი გამომეტყველება? ვხედავ, ჩემს საქციელს გმობ, მაგრამ დამაცადე, ბოლომდე მივიდე. გასულ იანვარს, როდესაც ყველა ჩემი სატრფო თავიდან მოვიშორე, დარდიანი და სვეგამწარებული, საშინელი

სულიერი განწყობილებით სავსე, რაც უმიზნო ხეტიალსა და მარტოხელა ცხოვრებას მოჰყვა თან, უიმედობით გულგანგმირული, თითქმის ყველა ადამიანისა და განსაკუთრებით ქალთა სქესისადმი მეტად გაგულისებული (რადგან გონიერი, პატიოსანი და მოსიყვარულე ქალის არსებობას უკვე განუხორციელებელ ოცნებად ვთვლიდი), საქმეების გამო ინგლისს დავბრუნდი.

მახსოვს, სუსხიანი საღამო იყო; ცხენით ვუახლოვდებოდი თორნფილდის სასახლეს _ ამ საძულველ ადგილს! სადაც არც სულიერი სიმშვიდე და არც სიამოვნება არ მელოდა. შევამჩნიე, ჰეი ლეინში გადასაბიჯზე, სრულიად მარტოდმარტო და მშვიდად ერთი პატარა არსება იჯდა. მე მას ისევე უყურადღებოდ ჩავუარე, როგორც მოპირდაპირე მხარეს მდგომ გადაკაფულ ტირიფის ხეს. წინათგრძნობამ ვერ მიმახვედრა, თუ ამიერიდან რა ადგილს დაიჭერდა ის ჩემს გულში; არც შინაგანი ხმა მატყობინებდა, რომ ჩემი მომავალი ცხოვრების მსაჯული და უბედურებისა თუ სიკეთის მაუწყებელი სული მიცდიდა იქ ასეთი მწყაზარი სახით. წარმოიდგინე, ვერც მაშინ ვიცანი, როდესაც ჩემს ცხენს, მესრურს, სრულიად მოულოდნელად უბედურება შეემთხვია. ის მოგვიახლოვდა და სერიოზულად შემომთავაზა დახმარება. გამხდარი გოგონა იყო, ჯერ კიდევ მთლად ბავშვი; მის დანახვაზე ასე მეგონა, ჩემს ფეხებთან ჭვინტა დახტოდა და მთავაზობდა პაწაწინა ფრთებზე შევესვი და გადავერჩინე. თუმცა უკმეხად შევხვდი, წასვლა არ უფიქრია. იდგა ჩემ ახლოს, უცნაურად გაჯიუტებული მიყურებდა და თითქმის მბრძანებლურად მელაპარაკებოდა. აი, სწორედ მისი ხელიდან უნდა მიმეღო დახმარება და მივიღე კიდეც.

როდესაც მის სათუთ მხარს დავეყრდნე, ახალმა სასიცოცხლო ძალამ და გრძნობამ ნეტარებით დამიარა სხეულში. ისიც ძალიან მესიამოვნა, როდესაც მისგანვე შევიტყვე, რომ ეს წყლის ფერია თურმე ჩემს სახლში ცხოვრობდა და იქ უნდა დაბრუნებულიყო. თორემ თუ მაშინ ხელიდან დამისხლტებოდა და ამ სიბნელეში ღობის უკან სადმე გაქრებოდა, ენით გამოუთქმელი სინანული შემიპყრობდა. გავიგონე, იმ საღამოს როგორ დაბრუნდი სახლში, ჯეინ. შენ ალბათ არც კი იცოდი, რომ მე შენზე ვფიქრობდი და გითვალთვალებდი. მეორე დღესაც ნახევარი საათის განმავლობაში ფარულად გაკვირდებოდი, ადელს ეთამაშებოდი დერეფანში. მახსოვს, თოვდა იმ დღეს, თქვენ გარეთ გასვლა არ შეგეძლოთ. ჩემს ოთახში ვიჯექი, კარები ოდნავ ღია მქონდა და შემეძლო გამეგონა და დამენახა ყველაფერი. რამდენიმე ხანს მთელი შენი ყურადღება თითქოს ადელმა მიიპყრო, მაგრამ ვგრძნობდი, რომ შენი ფიქრები ამ დროს სადღაც შორს დაჰქროდა. შენ მას ძალიან მშვიდად ექცეოდი და ბევრს უთმენდი, ჩემო პატარა ჯეინ. დიდხანს ელაპარაკებოდი და ართობდი. ბოლოს, როგორც კი დაგტოვა, მაშინვე ღრმა ოცნებას მიეცი თავი და დერეფანში ნელი ნაბიჯით დაიწყე სიარული. დროდადრო სარკმელს ახლოს ჩაუვლიდი და თოვლის ბარდნას აკვირდებოდი; ყურს უგდებდი ქარის ქვითინს; მერე ისევ იწყებდი დერეფანში მშვიდად სიარულს და კვლავ ოცნებას განაგრძობდი.

იმდღევანდელ შენს ოცნებას სიმძიმილი არ ემჩნეოდა, შენს თვალებში დროდადრო სიამოვნების ნაპერწკალთა ელვას ვამჩნევდი, სახეზე მსუბუქი მღელვარება აღგბეჭდვოდა, რომელიც მწარე, გულისგამგმირავ და სევდიან ფიქრებზე არ მეტყველებდა. შენი გამოხედვა უფრო მეტად ახალგაზრდულ, ტკბილ ოცნებას გამოხატავდა, როდესაც ჯერ კიდევ ნორჩი სული ზეცისაკენ მფრინავ იმედებს ხალისით კვალდაკვალ მისდევს. მისის ფეიერფექსის ხმამ, რომელიც დერეფანში მსახურს დაელაპარაკა, გამოგაფხიზლა. რა უცნაურად გაიღიმე მაშინ შენთვის, ჯენიტ! ეს იყო შორსმჭვრეტელური ღიმილი, რომლითაც საკუთარ ოცნებას დასცინოდი თითქოს, და ამბობდი: _ ჩემი ოცნება წარმტაცია, მაგრამ არ უნდა დავივიწყო, რომ ის სრულიად განუხორციელებელია. ოცნებაში მე ვხატავ ვარდისფერ ცას, მწვანით შემოსილ, ყვავილებში ჩაფლულ სამოთხეს, მაგრამ ძალიან კარგად ვიცი, წინ ძნელად სავალი გზა მიძევს და ჩემ ირგვლივ ძლიერი ქარიშხალი ბობოქრობს, რომელთანაც შებმა არ ამცდება. ბოლოს დაბლა ჩახვედი და ფეიერფექსს რაღაც სამუშაო სთხოვე, მგონი, კვირეული გასავლის აღრიცხვა თუ სხვა რაღაც ამგვარი. მე კი გული მომივიდა შენზე, რადგან ჩემი თვალთახედვიდან გადაიკარგე.

მოუთმენლად ველოდი დაღამებას, რადგან მხოლოდ მაშინ მომეცემოდა საშუალება ჩემთან გამომეძახებინე. ვფიქრობდი, სრულიად უჩვეულო, ახალი და გამოუცნობი თვისებების მქონე ადამიანს შევხვდი და მინდოდა ღრმად ჩავწვდომოდი მის ბუნებას, რომ რაც შეიძლება კარგად გამეცნო ის. და აი, ამ დროს შენც ჩემს ოთახში მორცხვად შემოხვედი, თუმცა თავი ძალიან ამაყად გეჭირა. შენ ძალიან თავისებურად გეცვა, სწორედ ისევე, როგორც ახლა. საუბარში გამოგიწვიე და მალე დავრწმუნდი, რომ შენი აზრები სავსე იყო ურთიერთსაპირისპირო ცნებებით. როგორც ჩაცმულობაში, ისე ქცევაში ჩანდა, ადათ-წესებით იყავი შეზღუდული და ხშირად დიდ გაუბედაობას იჩენდი. ბუნებით მეტად ნატიფი ჩანდი, თუმცა, ვატყობდი, საზოგადოებაში ყოფნას სრულიად მიუჩვეველი იყავი და ძალიან ფრთხილობდი მოუხერხებელი ქცევებით, რაიმე უხეში შეცდომებით ან საზოგადოების მიერ დაკანონებული წესების უნებური დარღვევით ყურადღება არ მიგეპყრო. როდესაც მოგმართავდნენ, თანამოსაუბრის სახეს აზრიან, გაბედულ და მოციმციმე თვალებს მიაპყრობდი და მათ ყოველ გამოხედვაში შორსმჭვრეტელობასა და ძალას ვამჩნევდი. თუ კითხვებს დაჟინებით და ახირებულად გაყრიდი, შენ მზა და მოსწრებულ პასუხს მაძლევდი. ძალიან მალე შემეჩვიე და ახლა უკვე მწამდა, კარგად გრძნობდი, რომ შენსა და შენს მკაცრ, პირქუშ პატრონს შორის თანაგრძნობა დამყარდა, ჯეინ. თუმცა გამჩნევდი და მაოცებდა, რა სწრაფად მშვიდდებოდი და რა წყნარი და კეთილი ხდებოდი ჩემ მიმართ. თუ რაიმეზე ვბუზღუნებდი და გაჯავრებული ვიყავი, შენ არც განცვიფრება გეტყობოდა, არც შიში, არც აღელვება და არც უსიამოვნო განწყობილება. არ ამჟღავნებდი, რომ ჩემი პირქუშობა შენზე მოქმედებდა. შენ მაკვირდებოდი და დროდადრო გულუბრყვილოდ მიღიმოდი. ამ ღიმილში ისეთი თვალწარმტაცი სინატიფე

და აზრი ჩანდა, აღწერაც არ შემიძლია. მომწონდა, მაკმაყოფილებდა და მაღელვებდა ყველაფერი ის, რაც ვნახე შენში და უფრო მეტად მწყუროდა მისი ნახვა, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში თავი შორს მეჭირა და ვცდილობდი იშვიათად შეგხვედროდი. გონებით ეპიკურელს მსურდა გაგრძელებულიყო ის სიამოვნება, რომელსაც ეს შორეული რომანი და ჩვენი ამაღელვებელი ნაცნობობა ქმნიდა. გარდა ამისა, დიდხანს ვიტანჯებოდი შიშით, რომ თუ ამ ყვავილს თავისუფლად შევახებდი ხელს, მისი გაშლილი ფურცლები დაჭკ-ნებოდა და მისი ნორჩი, მომაჯადოებელი მომხიბვლელობაც მსწრაფლ გაქრებოდა. მე მაშინ ვერ გავიგე, რომ მისი ყვავილობა წარმავალი არ იყო და, რომ ის ჟამთა ცვლისაგან ფერუცვლელი ბრწყინვალებით სავსე ძვირფას თვალს მიაგავდა. გარდა ამისა, მინდოდა გამეგო, მომძებნიდი თუ არა, როდესაც თავს აგარიდებდი. შენ ამას არ ცდილობდი. ისევე იყავი გამოკეტილი საკლასო ოთახში, როგორც საწერი მაგიდა და მოლბერტი. თუ შემთხვევით სადმე შეგხვდებოდი, სწრაფად ჩამივლიდი გვერდით და მხოლოდ იმდენ ყურადღებას იჩენდი ჩემ მიმართ, რასაც ზრდილობა მოითხოვდა. შენი ჩვეულებრივი გამომეტყველება იმხანად, ჯეინ, ღრმა ფიქრებით შეპყრობილი ადამიანის გამომეტყველება იყო. ის არც მძიმე სევდით იყო სავსე, რადგან ავად არ იყავი, და არც ხალისიანი ყოფილა, რადგან ოდნავი იმედი შეგრჩენოდა და სინამდვილეში არავითარი სიამოვნება არ გაგაჩნდა. მაინტერესებდა რას ფიქრობდი ჩემზე და ან თუ ფიქრობდი ოდესმე: აი, სწორედ ეს მინდოდა გამეგო და ამიტომ გადავწყვიტე კვლავ შეგხვედროდი ხოლმე. შენს გამოხედვაში, როდესაც ვინმეს ესაუბრებოდი და თვით საუბრის ტონში მუდამ სითბო და სიხარული იგრძნობოდა. ვამჩნევდი, გულთბილი იყავი. ალბათ ამ მდუმარე საკლასო Uოთახმა და ერთფეროვანმა ცხოვრებამ გაქცია ნაღვლიან არსებად. ჩემს თავს უფლება მივეცი კეთილად მოგქცეოდი და ამით დიდ სიამოვნებას ვიღებდი. სიკეთემ სწრაფად აღგაგზნო, სახეზე სინაზე დაგეტყო, ხმაში კი სითბო. მომწონდა, როდესაც შენი ბაგენი ჩემს სახელს მხიარულად და საამური ხმით წარმოთქვამდნენ. შენთან შემთხვევითი შეხვედრით დიდ სიამოვნებას განვიცდიდი იმხანად, ჯეინ. შენს საქციელს უცნაური გაუბედაობა ეტყობოდა. ოდნავი შიშითა და ფარული ეჭვით შემომხედავდი ხოლმე და არ იცოდი, რა გუნებაზე დავდგებოდი: მკაცრი პატრონის თუ კეთილი მეგობრის როლი უნდა გამეთამაშნა. მაგრამ უკვე იმდენად მიყვარდი, ჩემი გამონაგონი როლით ასე იოლად ვერ განვიცდიდი სიამოვნებას, და როდესაც ხელს გულთბილად გიწვდიდი, მაშინ შენ ნორჩ ნაღვლიან სახეს ისეთი ნათელი, მოწითალო-მოვარდისფრო და ნეტარი ღიმილი ეფინებოდა, მინდოდა, გულში ჩამეკარი. ხშირად ამ სურვილისგან თავის დაღწევა ძალიან მიძნელდებოდა.

_ ნუ მოიგონებთ იმ დღეებს მეტად, სერ, _ შევაწყვეტინე მე და ფარულად მოვიწმინდე ცრემლი თვალებზე. მისი საუბარი წამება იყო ჩემთვის, რადგანაც გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა და ვიცოდი ისიც, რომ ის სწრაფად

უნდა მომეყვანა სისრულეში. მისი გრძნობების ასე სააშკარაოზე გამოტანა კი ხელს შემიშლიდა მის შესრულებაში.

_ არა, ჯეინ, _ მომიბრუნდა ის. _ რა საჭიროა წარსულზე ფიქრი, როდესაც აწმყო ბევრად უკეთესია და მომავალი კი ასეთი ნათელი?

გამაჟრჟოლა, როდესაც ეს თავბრუდამხვევი წინადადება მოვისმინე.

_ შენ ახლა ხედავ, როგორ არის საქმე, არა, ჯეინ? _ განაგრძო მან. _ ახალგაზრდობისა და მოწიფულობის შემდეგ, რომელმაც ნახევრად ენით გამოუთქმელ უბედურებასა და ნახევრად სევდით სავსე მარტოობაში გაიარა, პირველად ვნახე ის, ვისი სიყვარულიც ნამდვილად შემიძლია. გნახე და მხოლოდ შენ მომწონხარ, შენა ხარ ჩემი რჩეული და ჩემი ანგელოზი. შენთან ძლიერი და ურღვევი გრძნობა მაკავშირებს, შენ გთვლი კეთილ, ნიჭიერ და თვალწარმტაც არსებად. მგზნებარე, თავდავიწყებამდე მისული გრძნობით სავსეა ჩემი გული. ეს გრძნობა შენკენ, როგორც სიცოცხლის წყაროსკენ ისე მოილტვის და ჩემს გულთან უფრო და უფრო გაახლოებს. ჩემი არსებობის მიზანი შენშია, ის წმინდა მოგიზგიზე ალით იწვის, რომ ორივე ერთ არსებად გადაგვაქციოს.

_ სწორედ იმიტომ, რომ ჩემი გრძნობები ასეთი იყო, გადავწყვიტე ჯვარი დამეწერა შენზე. იმის თქმა, რომ მე მეუღლე უკვე მყავს, უბრალოდ ჩემი დაცინვა იქნებოდა. ახლა შენ უკვე იცი, რომ ის მხოლოდ საშინელი დემონია. შეცდომა დავუშვი, რომ შენს თვალის ახვევას შევეცადე, მაგრამ მეშინოდა სიჯიუტისა, რომელსაც შენს ხასიათში ვამჩნევდი. მეშინოდა ადრიდანვე გონებაში გამჯდარი ცრუ რწმენისაც. მინდოდა, არაფერი გცოდნოდა, სანამ ჩემს საიდუმლოს პირდაპირ განგიცხადებდი, მაგრამ ეს ხომ სულმდაბლობა იყო. შენს კეთილშობილურ გრძნობებსა და დიდსულოვნებას უნდა დავყრდნობოდი პირველ რიგში, რასაც ახლა ჩავდივარ; შენთვის უნდა გადამეშალა ჩემი მშფოთვარე ცხოვრების სურათი; ამეხსნა შენთვის, როგორ ვესწრაფვოდი ან როგორ მწყუროდა უფრო ღირსეული, ადამიანური ყოფა; არ დამეფარა არა მარტო ჩემი გადაწყვეტილება (ეს სიტყვა ძალიან სუსტია), ჩემი შეუნელებელი სწრაფვაც ნამდვილი და წრფელი სიყვარულისადმი. სამაგიეროდ შენც წრფელად და ნამდვილად შემიყვარდები. მხოლოდ ამის შემდეგ შემეძლო მეთხოვნა შენთვის ასეთი ერთგულების საწინდარი მიგეღო ჩემგან და შენგანაც მომეთხოვა სამაგიერო: ჯეინ, აი, ახლა გთხოვ ამ საწინდარს.

სიჩუმე ჩამოვარდა.

_ რისთვის გაჩუმდი, ჯეინ?

მე ნამდვილი წამება გადავიტანე. თითქოს გავარვარებული რკინის ხელი მომიჭირა ვინმემ გულზე. საშინელი წუთები იყო: ნამდვილი ბრძოლა, წყვდიადი და ცეცხლი. ვერც ერთი ადამიანი, რომელსაც კი ოდესმე ამქვეყნად უცხოვრია, ვერ ინატრებდა იმაზე ძლიერ სიყვარულს, როგორითაც მას მე ვუყვარდი. მას კი, ვისაც ასე ვუყვარდი, მე თვითონაც ვაღმერთებდი. მე კი უარი უნდა მეთქვა ასეთ სიყვარულსა და ჩემს სათაყვანო კერპზე. მხოლოდ

ერთი საშინელი სიტყვა შეიცავდა და მაგონებდა ჩემს მოვალეობას. «განშორება!»

_ ჯეინ, გაიგე ალბათ, რასაც მოვითხოვ შენგან, მხოლოდ აი, ასეთ დაპირებას: «მე თქვენი ვიქნები, მისტერ როჩესტერ».

_ მისტერ როჩესტერ, მე თქვენი ვერ გავხდები.

უფრო დიდხანს გაგრძელდა დუმილი.

_ ჯეინ, _ დაიწყო მან ისეთი თბილი და ალერსიანი ხმით, რომ მისმა მწუხარებამ წელში გამტეხა და საშინელმა საფრთხემ ძარღვებში სისხლი გამიყინა. მის ასეთ მშვიდ ხმაში ახლად გაღვიძებული ლომის ბრდღინვა იგრძნობოდა.

_ ჯეინ, განა იმის თქმას აპირებ, რომ ამქვეყნად შენ ერთი გზით ივლი და მე კი მეორეთი?

_ დიახ.

_ ჯეინ, _ (ჩემკენ გადმოიხარა და მომეხვია), _ კიდევ ამბობ ამას, ახლაც?

_ დიახ, სერ.

_ ახლაც? _ და მან ნაზად დამიწყო კოცნა შუბლსა და ლოყაზე.

_ დიახ, ახლაც, _ ვუთხარი და თავი სწრაფად და მთლიანად გავითავისუფლე მისი ხვევნისაგან.

_ ოჰ, ჯეინ, ეს მეტისმეტად მძიმე ასატანია. ეს... ეს ხომ ბოროტებაა. განა ცუდი იქნებოდა, რომ გყვარებოდი.

_ ასე გამოვა, თუ თქვენ დაგემორჩილეთ.

უცნაურმა გამომეტყველებამ სახის ყოველი ნაკვთი აუთრთოლა, წარბები მაღლა აზიდა, წამოდგა, მაგრამ თავს იჭერდა. თავის შესამაგრებლად ხელი სავარძლის ზურგს მოვკიდე. შიშისაგან ვთრთოდი, ვცახცახებდი, მაგრამ მაინც გადავწყვიტე.

_ ერთი წამი, ჯეინ! გადახედე ჩემს საშინელ ცხოვრებას და მითხარი, რა მოხდება, როდესაც შენ წახვალ. მთელი ჩემი ბედნიერება შენთან ერთად გაქრება. რა დამშთება? მეუღლის მაგიერ ის შეშლილი ქალი ზემო სართულში. ასევე ადვილად შეგეძლო გაგეგზავნე რომელიმე საფლავის ბინადართან, აი, იქ, საყდრის ეზოში. რა უნდა ვქნა, ჯეინ? სად უნდა ვიპოვო მეგობარი, ან რის იმედი უნდა მქონდეს?

_ ისე მოიქეცით, როგორც მე ვიქცევი, სერ... მიენდეთ ღმერთს და საკუთარ თავს. ერწმუნეთ ზეციურ მამას, იმედი იქონიეთ, რომ კვლავ იქ შევხვდებით ერთმანეთს.

_ არ დამითმობ?

_ არა.

_ მაშ შენ მისჯი ასეთ ჯოჯოხეთურ ცხოვრებას და დაწყევლილ სიკვდილს?

მან ხმას აუწია.

_ გირჩევთ, ისე იცხოვროთ, რომ არავითარი ცოდვა არ ჩაიდინოთ... და მინდა მშვიდადაც გარდაიცვალოთ.

_ ასე რომ, მტაცებ სიყვარულს, სიწმინდეს და მიბიძგებ კვლავ უკან ავხორცი გრძნობებისა და მანკიერებისაკენ?

_ მისტერ როჩესტერ, მე ისევე ვერ გიბიძგებთ ხელს ასეთი საქციელისაკენ, როგორც ჩემს საკუთარ თავს. ჩვენ ბრძოლისა და წამებისათვის დავბადებულვართ და როგორც თქვენ, ისე მეც უნდა ვითმინოთ მშვიდად. იცოდეთ, ვიდრე მე დაგივიწყებდეთ, თქვენ უფრო ადრე დამივიწყებთ.

_ შენი ასეთი საუბრიდან ისე გამოდის, რომ მე მატყუარა ვარ, შენ შეურაცხყოფ ჩემს პატიოსნებას, მე განვაცხადე, რომ ვერავისში ვერ გაგცვლი და შენ კი ჩემ წინ ამტკიცებ, რომ სულ მოკლე ხანში გიღალატებ. ოჰ, როგორ დამახინჯებულია შენი გონება, რამდენად გაუკუღმართებულია შენი აზრები და რას მეტყველებს შენი საქციელი! ნუთუ უმჯობესად მიგაჩნია შენი მახლობელი ადამიანი ასეთ სასოწარკვეთილებაში დატოვო, ვიდრე დაარღვიო ადამიანთა გამონაგონი უბრალო კანონი, მით უფრო, თუ მისი დარღვევა არავის ზიანს არ მოუტანს. შენ ხომ არც ნათესავები გყავს და არც ახლობელი ნაცნობები, რომელთაც ჩემთან სამუდამო დარჩენით შეურაცხყოფას მიაყენებდი?

ეს სრული სიმართლე იყო. სანამ ის საუბარს დაამთავრებდა, გონება და სინდისი გადამიდგნენ; ჩემს წინააღმდეგ ამხედრდნენ და იმაში მადანაშაულებდნენ, რომ მისტერ როჩესტერს წინააღმდეგობას ვუწევდი და ამით მის მიმართ დიდ ცოდვასაც ჩავდიოდი. ისინიც ისევე ხმამაღლა ალაპარაკდნენ, როგორც გული და გრძნობები, განსაკუთრებით გული არ ცხრებოდა: - ოჰ, დაუთმე! _ ჩამძახოდა ის, _ იფიქრე იმ უბედურებასა და საფრთხეზე, რაც მას მოელის, როდესაც სულ მარტოდმარტო დარჩება. გაიხსენე მისი თავშეუკავებელი ბუნება და წარმოიდგინე, რა უგუნური საქციელი შეიძლება მოჰყვეს მის ასეთ სასოწარკვეთილებას. დაამშვიდე, გადაარჩინე და შეიყვარე! უთხარი, რომ გიყვარს და მომავალში მისი იქნები. ვის აინტერესებს, არსებობ თუ არა ამქვეყნად, ან ვის შეურაცხყოფს შენი საქციელი?

პასუხი ისევ შეუპოვრად გაისმოდა: «მე თვითონ ვიზრუნებ ჩემს თავზე და რამდენადაც მარტოხელა ვარ, მთლად უმეგობრო და არავისაგან შველას არ მოველი, იმდენად მეტად უნდა დავიცვა საკუთარი ღირსება. ვერც ღმერთის მიერ ბოძებულ და ადამიანის მიერ დადასტურებულ კანონს დავარღვევ. იმ ცნებებს არ ვუღალატებ, რომლებიც ჯერ კიდევ საღად მოაზროვნეს მწამდა და არა ისეთ სულელურ მდგომარეობაში მყოფს, როგორშიაც ახლა ვარ. კანონები და წესები იმ წუთებისათვის კი არ არსებობს, როდესაც ცდუნების შიში არა გაქვს, არამედ სწორედ იმ დროისათვის არის განკუთვნილი, როდესაც სხეული და სული მათ აუტანელ სიმკაცრეს უჯანყდება, და რაც უფრო სასტიკია მათი ძალა, მით უფრო ურღვევად შევინახავ. თუ საკუთარი კეთილდღეობისათვის დავარღვიე ისინი, რაღა ფასი ექნებათ მაშინ? მათ გარკვეული ფასი და მნიშვნელობა გააჩნიათ, მე ეს ყოველთვის მჯეროდა და თუ ახლა არ მჯერა, იმიტომ რომ ჩემს გონებაზე არა ვარ, ნამდვილად არა ვარ. ძარღვებში სისხლი

ბობოქრობს. დათვლაც შეუძლებელია, ისე სწრაფად ფეთქავს ჩემი გული და ლამის საგულედან ამომივარდეს. წინასწარ განსჯილ შეხედულებებსა და ძველად მიღებულ გადაწყვეტილებებს უნდა დავეყრდნო ამ წუთებში, და აქედან ფეხსაც ვერავინ მომაცვლევინებს.

ასეც მოვიქეცი. მისტერ როჩესტერმა ჩემს სახეზე ყველაფერი ამოიკითხა; დაინახა, რომ ჩემი გავიტანე. მისმა აღშფოთებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია და, რაღა თქმა უნდა, ცოტა ხნით მაინც უნდა დანებებოდა მას. პირდაპირ ჩემკენ გამოეშურა. მკლავზე ხელი მომკიდა და წელზე მომეხვია. ისე მეჩვენებოდა, თითქოს თავისი აგზნებული მზერით ჩემს შთანთქმას აპირებდა. იმ წუთებში ჩემი თავი ფიზიკურად ისე უღონოდ მომეჩვენა, როგორც ქარისა და ცეცხლის ალში გახვეული ბალახის ღერი, მაგრამ ჩემს სულს ისევ გონება განაგებდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ არავითარი საფრთხე არ მოელოდა. საბედნიეროდ, სულს თავისი ჭეშმარიტების მქადაგებელი გააჩნია, ხშირად შეუგნებლად მოქმედი, მაგრამ მაინც გულწრფელი მქადაგებელი... ის თვალებშია მიმალული. მეც სწორედ მის თვალებში ჩავიხედე და სანამ მის ვნების ცეცხლით ალეწილ სახეს შევყურებდი, უნებური ოხვრა აღმომხდა. ისე მეხვეოდა, ტკივილებს ვგრძნობდი. უკანასკნელი ღონე კი, რომელიც ძლივს შევინარჩუნე და ჩემს ძალას აღემატებოდა, თითქმის ამოიწურა.

_ არასოდეს, _ თქვა მან კბილების ღრჭიალით, _ არასოდეს შემხვედრია ასეთი სუსტი ქმნილება და ასეთი გაუტეხელი, ის ხომ ლერწმის ღეროსავითაა ჩემს ხელში (და მთელი ძალით აქეთ-იქით მაქნევდა). მისი მოხრა მხოლოდ ორი თითითაც შემიძლია, მაგრამ რა გამოვა მერე აქედან? თუნდაც მოვხარო, დავფლითო და გავსრისო... ჩაიხედეთ ამ თვალებში და დაინახავთ, რა მტკიცე, ველურივით შეუდრეკელი და თავისუფალი არსება გიყურებთ იქიდან! უჩვეულო სიმამაცით უარმყოფს და წარბგაუხსნელად ზეიმობს გამარჯვებას! როგორც არ უნდა მივუდგე მის გალიას, ამ გარეულ, მშვენიერ ქმნილებას ხელში ვერ ჩავიგდებ! თუ ამ საპატიმროს სუსტ კედლებს დავანგრევ და გავანადგურებ, ჩემი ძალმომრეობა მხოლოდ ტყვეს გაათავისუფლებს. ამ სახლის მპყრობელი კი გავხდები, მაგრამ შიგ მაცხოვრებელი მანამდე გამექცევა და ზეცას მიაშურებს, სანამ ჩემს თავს ამ მიწით შელესილი ხუხულის მფლობელად გამოვაცხადებდე. მე კი სწორედ შენ მინდიხარ, ზეციურო სულო, მთელი შენი სურვილებითა და ენერგიით, სიძლიერითა და სიწმინდით და არა მხოლოდ შენი სუსტი სხეული. შენ რომ გინდოდეს, მოფრინდებოდი და ჩემს გულში ჩასახლდებოდი. მაგრამ საკუთარი სურვილებისადმი საწინააღმდეგოდ განწყობილი შენ ისე აარიდებ თავს ჩემს ხვევნას და ნელსაცხებელივით ისე სწრაფად გაქრები, რომ მისი სურნელების შესუნთქვასაც კი ვერ მოვასწრებ, ოჰ! მოდი, ჯეინ, მოდი ჩემთან!

თქვა თუ არა ეს, ხელი გამიშვა და მხოლოდ მიყურებდა. ამ გამოხედვის წინაშე ბრძოლა უფრო გამიჭირდა, ვიდრე მისი აგზნებული ხვევნა-ალერსისას. მხოლოდ სულელს შეეძლო დათმობაზე წასულიყო ახლა. იმდენი გამბედაობა

გამოვიჩინე, რომ მის სიშმაგეს წინააღმდეგობა გავუწიე. ახლა კი მისი ნაღველისათვის უნდა ამერიდებინა თავი. კარისაკენ გავემართე.

_ მიდიხარ, ჯეინ?

_ მივდივარ, სერ.

_ მტოვებ, მერე?

_ დიახ.

_ აღარ მოხვალ? აღარც ჩემი ნუგეშისმცემელი იქნები და არც ჩემი მხსნელი? ჩემი ასეთი დიდი სიყვარული, ეს აუტანელი მწუხარება და გულმხურვალე ლოცვა არაფერს ნიშნავს შენთვის?

რა გამოუთქმელი მწუხარება ისმოდა მის ხმაში! რა ძნელი იყო მტკიცედ მეპასუხა, მივდივარ-მეთქი.

_ ჯეინ!

_ მისტერ როჩესტერ!

_ განმშორდი მაშინ! თანახმა ვარ, მაგრამ გახსოვდეს, რა მწუხარებასა და განსაცდელში მტოვებ. ადი შენს ოთახში, იფიქრე ყოველივე იმაზე, რაც გითხარი და, ჯეინ, ერთხელ მაინც გადმოხედე ჩემს ტანჯვა-ვაებას, იფიქრე ჩემზეც.

ის მიბრუნდა და დივანზე პირქვე დაემხო.

_ ოჰ, ჯეინ, ჩემო იმედო, ჩემო სიყვარულო, ჩემო სიცოცხლევ. _ ტანჯვით აღმოხდა მის ბაგეს. შემდეგ კი გულის სიღრმიდან ამოსული საშინელი ქვითინი გავიგონე.

უკვე კარებთან ვიყავი მისული, მაგრამ, მკითხველო, უკან მოვტრიალდი. მოვბრუნდი იმავე გადაწყვეტილებით, რომლითაც გავედი ოთახიდან. მის წინ დავიჩოქე; სახე ჩემკენ მოვუტრიალე; ვკოცნიდი და თმებს ვუსწორებდი ხელით.

_ ღმერთი გფარავდეთ. ჩემო ძვირფასო პატრონო! _ ვეუბნებოდი მე. _ ღმერთმა გიხსნათ ავი საქმის და შეცდომებისაგან, ის იყოს თქვენი გზის წარმმართველი, ნუგეშისმცემელი და გულუხვი მწყალობელი ყველა იმ სიკეთისათვის, რაც წარსულში გამიწიეთ.

_ პატარა ჯეინის სიყვარული იქნებოდა ჩემთვის მისი უდიდესი მოწყალება, _ მიპასუხა მან. _ უიმისოდ ჩემი გული დაიმსხვრევა, მაგრამ ჯეინი არ დაიშურებს თავის სიყვარულს ჩემთვის, დიახ, კეთილშობილურად და დიდსულოვნად მოიქცევა...

სახეზე სისხლი მოაწვა, ცეცხლის ნაპერწკლებმა იელვა მის თვალებში, წამოდგა; ხელები გაშალა და გულში ჩასაკრავად მოემზადა. მე კი მის ხვევნას თავი ავარიდე და ოთახიდან მაშინვე გავედი.

_ მშვიდობით! _ გაჰკიოდა ჩემი გული, როდესაც ოთახი დავტოვე. სასოწარკვეთილება კი უმატებდა: _»მშვიდობით საუკუნოდ!»

იმ ღამეს ძილზე სრულიადაც არ მიფიქრია, მაგრამ, როგორც კი ჩავწექი, წამთვლიმა. ძილბურანში ფიქრმა ბავშვობის ხანა მომაგონა. მომეჩვენა, თითქოს გეისტჰედჰოლში წითელ ოთახში ვიწექი. ღამე ბნელი იყო დ გული

შიშით მითრთოდა. სინათლე, რომელმაც დიდი ხნის წინათ გრძნობა დამაკარგვინა, ახლა სიზმრად კვლავ გამოჩნდა, ის სრიალით მიცოცავდა მაღლა კედელზე, კრთოდა და ბოლოს ბნელი ჭერის შუაგულში შეჩერდა. თავი წამოვწიე, გადავიხედე, სახურავი გამქრალიყო და მის მაგიერ სივრცეში დიდ მანძილზე მაღლა შავ ღრუბლებსღა ვხედავდი. ეს შუქი ისეთი იყო, როგორც მთვარის ჩასვლისას იცის ხოლმე ბურუსიან ღამეს. ახლა მთვარის ამოსვლას საოცარი წინასწარი მღელვარებით ველოდი. ვუცდიდი ისე, თითქოს ბედისწერა მის დისკოზე უნდა წერებულიყო. აი, ისიც ამოვიდა, მაგრამ მთვარე ასე არასოდეს არ გამოდის ღრუბლებიდან. პირველად ხელი დავინახე, მან ჩამუქებული ღრუბლის ნაკეცები გადასწია და ტალღებივით ააბობოქრა. შემდეგ ცისფერ შორეთში მთვარე კი არა, თეთრად გამოწყობილი ადამიანის ბრწყინვალე გამოსახულება დავინახე, მას დედამიწისკენ გადმოეხარა სხივოსანი შუბლი, თვალს არ მაშორებდა, დიდხანს ასე მაკვირდებოდა და ბოლოს ჩემს სულს მიმართა: მისი ხმა თვალმიუწვდომელი სიშორიდან მოდიოდა და ამასთანავე ისე ახლოს იყო, თითქოს შიგ გულში ჩამჩურჩულებდა:

_ შვილო ჩემო, გაექეცი ცდუნებას!

_ დედაო ღვთისავ, შეგისრულებთ აღთქმულს!

ასე ვუპასუხე მას შემდეგ, რაც ძილბურანიდან გამოვფხიზლდი. ჯერ კიდევ არ გათენებულიყო. ივლისში ღამეები მოკლე იცის და შუაღამის შემდეგ უკვე აისი იწყება. _ ადრე აღარ არის შევუდგე იმ საქმეს, რაც გულში გადავწყვიტე და რაც ამაღამ უნდა შევასრულო, _ ვფიქრობდი ჩემთვის. წამოვდექი; ჩაცმული ვიყავი, რადგან დაწოლისას მხოლოდ ფეხსაცმელები გავიხადე. სიბნელეშიც კარგად შემეძლო მიმეგნო ჩემი უჯრებისათვის, სადაც თეთრეული, მედალიონი და ბეჭედი მქონდა შენახული. ამ ნივთების ძებნაში ხელი მძივებს შევახე. ეს ის მარგალიტის ყელსაბამი იყო, რომელიც მისტერ როჩესტერმა ძალით მიმაღებინა ამ რამდენიმე დღის წინათ. ის უჯრაშივე დავტოვე, რადგან მე არ მეკუთვნოდა; ის ოცნებით წარმოდგენილი საცოლის საკუთრებას შეადგენდა, რომელიც ჰაერში გაქრა. დანარჩენი ნივთები ფუთაში გამოვკარი. ჩემი საფულე, რომელიც ოც შილინგს შეიცავდა (სულ ეს იყო, რა თანხაც გამაჩნდა), ჯიბეში ჩავიდე, ჩალის ქუდი დავიხურე, ბაფთები შევიკარი, შალი წამოვისხი, ფუთა და ფეხსაცმელები ავიღე, რადგან ჯერ ჩაცმა არ შეიძლებოდა, და ოთახიდან ფარულად გამოვედი.

_ ნახვამდის, კეთილო მისის ფეიერფექს! _დავიჩურჩულე, როდესაც მის ოთახს უხმაუროდ ჩავუარე. _ მშვიდობით, ჩემო უძვირფასესო ადელ! _ ვთქვი, როდესაც საბავშვო ოთახს მოვკარი თვალი, მაგრამ შიგ შესვლა და მისი კოცნა ფიქრადაც ვერ გავივლე, რადგან ეს შეუძლებელი იყო. მახვილ სმენას უნდა ავრიდებოდი, შესაძლებელია, ის მოყურადებულიც კი იყო.

მისტერ როჩესტერის საძინებელი ოთახის გვერდით შეუჩერებლად უნდა ჩამევლო, მაგრამ მის ზღურბლთან ჩემი გულისცემა უცებ თითქმის შეწყდა. ოთახში არ ეძინათ. შევატყვე, მისი ბინადარი მოუსვენრად აქეთ-იქით ბოლთას

სცემდა და თანაც დაუსრულებლად ოხრავდა. თუ საქმე არჩევანზე მიდგებოდა და ამოვირჩევდი, აი, აქ იყო ზეციური სამოთხე, დროებითი სამოთხე ჩემთვის.... მხოლოდ უნდა შევსულიყავი და მეთქვა:

_ მისტერ როჩესტერ, მე თქვენ შეგიყვარებთ და მთელი სიცოცხლის მანძილზე სიკვდილამდე თქვენი ვიქნები, _ და ჩემს ბაგესთან ნეტარების დაულეველ წყაროს გააჩენდნენ მაშინვე. მე ამაზე ვფიქრობდი...

ვფიქრობდი იმაზეც, რომ ჩემი კეთილი პატრონი, რომელსაც ახლა ძილი არ შეეძლო, გათენებას მოუთმენლად მოელოდა, დილით ის მიხმობდა, მაგრამ მე უკვე წასული დავუხვდებოდი. ძებნასაც დამიწყებდა, მაგრამ ამაოდ. როდესაც იგრძნობს, რომ მიატოვეს და მისი სიყვარული უკუაგდეს, ტანჯვა მოეძალება და, შესაძლებელია, სასოწარკვეთილებამაც შეიპყროს. კარის სახელურისაკენ წავიღე ხელი, მაგრამ ისევ უკან გამოვწიე და ფრთხილად გავემართე ჩემი გზით.

დაღონებული ჩავდიოდი ქვემო სართულში. ვიცოდი, რაც უნდა გამეკეთებინა და მექანიკურად ვასრულებდი ყველაფერს. სამზარეულოში განის კარის გასაღები მოვძებნე; ზეთის ბოთლი და ფრთაც ვიპოვე; კლიტესა და გასაღებს წავუსვი; წყალი დავლიე და ცოტაოდენი პური ავიღე. შესაძლებელია, დიდხანს მევლო და ძალა არ მინდოდა გამომლეოდა, რადგან ბოლო ხანს ძალიან დავსუსტდი. ყველაფერი უხმაუროდ გავაკეთე. კარიც ასევე ჩუმად გამოვაღე, გამოვედი და ფრთხილად მივხურე. როდესაც ეზოში ჩავედი, განთიადის ფერმკრთალი სხივები ოდნავ ციმციმებდნენ. ალაყაფის ორივე კარი ჩაკეტილი იყო, მაგრამ პატარა კარი ერთ-ერთ მათგანში მხოლოდ მიხურული დარჩენოდათ. გამოვედი, ისიც მივხურე და აი, უკვე თორნფილდის გარეთ აღმოვჩნდი.

ერთი მილის დაშორებით, მინდვრებს იქით, გზა მილკოტის საწინააღმდეგო მიმართულებით გადიოდა. ამ გზაზე არასოდეს გამევლო, მაგრამ ხშირად, როგორც კი დავინახავდი, ჩემს თავს ვეკითხებოდი, თუ საით მიემართებოდა ის, და ახლა სწორედ იქით გავემართე. არავითარი ფიქრის ნება არ მქონდა: აღარც უკან შეიძლებოდა მიხედვა და აღარც წინ ყურება. ერთი წამითაც კი არ უნდა გამევლო გულში არც წარსულსა და არც მომავალზე ფიქრი. წარსული, ეს ღვთიურ ნეტარებასა და იმავე დროს სიკვდილის კარამდე მიმყვანი სევდა-ნაღველის ფურცლები იყო; მისი ერთი პწკარის წაკითხვაც კი ახლა მხნეობას დამიკარგავდა და უკანასკნელ ძალას გამომაცლიდა. მომავალი კი საშინელ სიცარიელედ მეჩვენებოდა, ის სამყაროს მაგონებდა წარღვნის შემდეგ.

მივდიოდი მინდვრებში, ორღობეებში და სოფლის გზებზე, სანამ მზე არ ამოიწვერა. ვიცი, რომ მშვენიერი ზაფხულის დღე იყო. იმასაც ვატყობდი, რომ ფეხსაცმელები, რომლებიც სახლიდან გამოსვლის მერე ჩავიცვი, ნამმა დამისველა, მაგრამ მე არაფერს არ ვაკვირდებოდი ახლა: არც ამომავალ მზეს, არც მოკამკამე ცას და არც ახლად გამოღვიძებულ ბუნებას. ის, ვინც თვალწარმტაცი გზით ეშაფოტისაკენ მიდის, ყვავილებზე კი აღარ ფიქრობს, რომლებიც გზაზე უღიმიან, არამედ გალესილ ცულსა და ჯალათის კუნძზე,

რომლებიც ძვალსა და ძარღვს განაშორებს ერთმანეთს და დასასრულ, რა თქმა უნდა, პირგახსნილ სამარეზე. მე კი ამ სამწუხარო გაქცევასა და უსახლკარო ხეტიალზე ვფიქრობდი. ოჰ, რა მწუხარებით მავსებდა ის, რაც მივატოვე! მაგრამ მე სხვანაირი მოქცევა არ შემეძლო. ახლაც ისევ მისტერ როჩესტერი წარმოვიდგინე. ალბათ თავის ოთახში მზის ამოსვლას უცდის და იმედი აქვს, რომ სულ მალე ჩავალ და შევატყობინებ, რომ მასთან ვრჩები და სამუდამოდ მისი ვიქნები. მე ხომ ვნატრობდი, რომ მისი ვყოფილიყავი, როგორ მწყუროდა უკან დაბრუნება! ჯერ კიდევ არ იყო გვიან. შემეძლო ის მძიმე განსაცდელი შემემსუბუქებინა, რომელიც ამ დანაკლისმა მიაყენა. რაც შეეხება ჩემს გაქცევას, დარწმუნებული ვიყავი, ის ჯერ კიდევ არავის ეცოდინებოდა. შემეძლო უკან დავბრუნებულიყავი და ნუგეში მეცა მისთვის, გავფრთხილებოდი მის სიამაყეს; მეხსნა უბედურებისა და, შესაძლებელია, საბოლოო განადგურებისაგან. ოჰ, იმის შიში, რომ ის თავდავიწყებამდე მივიდოდა, გაცილებით მძიმე იყო, ვიდრე ჩემი სიმარტოვე. ოჰ, როგორ მაწამებდა და თან მსდევდა ეს ფიქრი! თითქოს წვერგამახული ისარი მქონოდეს გულში ჩასობილი! მან ჭრილობა გამიღრმავა, რადგან ამოღებას შევეცადე: ხოლო სასი-ცოცხლო ძალას მთლად ვკარგავდი, როდესაც მოგონებებს ის უფრო და უფრო ღრმად შეჰყავდათ გულის სიღრმეში. ბუჩქებსა და ხეებზე ფრინველები გალობდნენ, მათ ხომ ურთიერთშორის მეტისმეტად თავდადებული ჯუფთობა იციან. ფრინველები ხომ სიყვარულის ემბლემას წარმოადგენენ... მე კი რა ვიყავი, მწარე ფიქრებით გულგანგმირული, რომელიც შლეგური სიჯიუტით ცდილობდა, ერთგული დარჩენილიყო თავისი რწმენისა და რაღაც პრინციპებისადმი: ამიტომაც მეზიზღებოდა ჩემი თავი. იმის ცოდნა, რომ მართალი ვიყავი, რა ნუგეშს მცემდა! ან რად მინდოდა პირადი ღირსების პატივისცემა და მისი თაყვანისცემა? მე შეურაცხყოფა მივაყენე, გული გავუგმირე და მივატოვე ჩემი პატრონი. ჩემი თავი მძულდა, მაგრამ უკან დაბრუნება არ შემეძლო. ერთ ნაბიჯსაც კი ვერ გადავდგამდი უკან. შესაძლებელია, თვით ღმერთს მივყავდი ამ გზით. რაც შეეხება ჩემს საკუთარ სურვილებსა და ცნობიერებას, აღგზნებულმა მწუხარებამ მოსპო ერთი და მთლად დამიბნელა მეორე. ახლა ამ უკაცრიელ გზაზე თავშეუკავებლად ვქვითინებდი და უფრო და უფრო სწრაფად მივეშურებოდი სადღაც წინ, შეშლილივით. სისუსტემ იძალა, შიგნით, გულის სიღრმეში დამეწყო და მთელ სხეულს მოედო, შემბოჭა, ბოლოს წამაქცია კიდეც. რამდენიმე წამს ასე ვეგდე მიწაზე და თავი სველ ბალახებში მქონდა ჩარგული. სახეზე ნამიანი ბალახი მელამუნებოდა. არ ვიცი მეშინოდა, თუ იმედი მასულდგმულებდა, რომ აქ მოვკვდებოდი, მაგრამ მაინც შევძელი და მალე წამოვდექი. პირველად ოთხით ძლივს მივცოცავდი, ბოლოს ფეხზე წამოდგომაც მოვახერხე და ახლა მხოლოდ ერთადერთი სურვილი და გადაწყვეტილება მამოქმედებდა, როგორმე გზამდე მიმეღწია.

როდესაც ბოლოს გზაზე გავედი, იძულებული გავხდი, იქვე, ღობის ახლოს, სადმე დამესვენა. ჯერ ისევ ვიჯექი, რომ ბორბლების ხმა შემომესმა ეტლი

დავინახე, წამოვდექი და ხელი ავწიე. ეტლი გაჩერდა. ვიკითხე, სად მიდიოდა და მეეტლემაც რომელიღაც შორეული ადგილი დამისახელა. იქ, დარწმუნებული ვიყავი, მისტერ როჩესტერს არავითარი ნაცნობობა არ ექნებოდა. როდესაც ვკითხე, თუ იქამდე მგზავრობა რა ღირდა, მეეტლემ ოცდაათი შილინგი დამიფასა. მე მხოლოდ ოცი მაქვს-მეთქი ვუთხარი და ის მაინც დამთანხმდა. მითხრა, რომ ოცითაც მოახერხებდა ჩემ წაყვანას. შემდეგ შიგნით მომცა ადგილი, რადგან ეტლი ცარიელი იყო. შევედი თუ არა, მეეტლემ კარები დახურა და გზას გავუდექით.

ჩემო ძვირფასო მკითხველო, დაე, თქვენ არასოდეს გეგრძნოთ ის, რაც მე მაშინ განვიცადე! დაე, თქვენს თვალთ არასოდეს დასდენოდეთ მწუხარებისაგან ისეთი ცხარე და მდუღარე ცრემლები, როგორც ჩემ თვალთაგან ღაპაღუპით ცვიოდა მაშინ! დაე, თქვენ არასოდეს მიგემართოთ ღვთისათვის ისეთი უიმედო და სულთმობრძავი ადამიანის სიტყვებით, როგორსაც ჩემი ბაგენი წარმოთქვამდნენ მაშინ! გისურვებთ, არასოდეს განგეცადოთ შიში, რომ თქვენ იქნებით იმისი უბედურების მიზეზი, ვინც ყველაზე ძალიან გიყვართ.

თავი XXVIII

ორი დღე გავიდა. ზაფხულის მშვენიერი საღამო იყო. მეეტლემ იმ ადგილას გადმომსვა ეტლიდან, რომელსაც უიტკროსს ეძახდნენ. იმ თანხით, რაც მე მას მივეცი, არ შეეძლო უფრო შორს წავეყვანე, მე კი ამქვეყნად ერთი შილინგიც აღარ გამაჩნდა. მთლად მარტო დავრჩი. ეტლი უკვე ერთი მილის მანძილით მაინც იქნებოდა დაშორებული, და მხოლოდ მაშინ, იმ წუთშიღა მომაგონდა, რომ ეტლის საბარგულიდან ჩემი ფუთა, რომელიც მეტი სიფრთხილისათვის იქ შევინახე, არ ამომიღია, იქ დამრჩა... იქვე იდება და მე კი აღარაფერი გამაჩნია.

უიტკროსი ქალაქი არ არის. სოფლადაც კი არ ჩაითვლება: ეს არის გზაჯვარედინზე აღმართული ქვის სვეტი, სადაც ოთხი გზა ხვდება ერთმანეთს. ვფიქრობ, თეთრად ალბათ იმიტომ შეუღებიათ, რომ უფრო ადვილად გამოჩნდეს შორიდან, სიბნელეში. მის წვეროზე ოთხი გზის მაჩვენებელი ისარია დამაგრებული. წარწერის მიხედვით უახლოესი ქალაქი ამ ადგილიდან ათი მილის მანძილზეა დაშორებული, ხოლო ყველაზე შორეული ოც მილზე უფრო მეტით. ამ ქალაქების საკმაოდ ცნობილი სახელწოდებიდან შევიტყვე, რომელ საგრაფოშიაც მოვხვდი: _ ჩრდილოეთის ერთ-ერთი ცენტრალური საგრაფო, შამბნარით გადაშავებული და ბორცვებით დასერილი ადგილი. როგორც უკან, ისე ჩემგან მარცხნივ თუ მარჯვნივ თვალუწვდენელი უდაბური ველებია. იმ ჩაღრმავებული დაბლობიდან, რომელიც ჩემ ფეხქვეშ დაფენილა, შორს ტალღისებურად ერთმანეთზე გადაჯაჭვული მთები მოჩანს. მოსახლეობა აქ ძალიან ცოტა უნდა იყოს, მგზავრებსაც კი ვერ ვამჩნევ გზებზე.

თეთრი, ფართო და უკაცრიელი გზები ოთხივკუთხივ მიემართება. ისინი უდაბური ადგილებითაა დასერილი, სადაც ხშირი და ველური მანანა იზრდება და შორეულ საზღვრებამდე აღწევს. შესაძლებელია, ვინმე მგზავრმა შემთხვევით ჩამოიაროს. მე კი არ მინდა, ვინმემ თვალი მომკრას. უცნობებს გაუკვირდებათ და იფიქრებენ, რას აკეთებსო სანიშნო სვეტთან უსაქმურად მდგარი, დაბნეული გამომეტყველებით; შესაძლებელია, რამე მკითხონ, მე კი ისეთ პასუხს ვერ გავცემ, რომ ჩემმა არაბუნებრივმა ხმამ ეჭვი არ გამოიწვიოს. ახლა ადამიანთა საზოგადოებასთან უკვე აღარაფერი მაკავშირებს. ვერავითარი მომაჯადოებელი ცდუნება და იმედი ვერ მიმიხმობს იქ, სადაც ჩემი მსგავსი არსებანი ცხოვრობენ. ჩემი დანახვა არავისში არ გამოიწვევს კეთილ ზრახვებსა და თანაგრძნობას. მე არა მყავს ნათესავები, გარდა ყველასათვის საერთო მშობლისა, და ეს კი ბუნებაა. მის მკერდს მივეკვრი და ვთხოვ, სიმშვიდე მომანიჭოს.

პირდაპირ დაბლობისკენ გავემართე. ერთ ღარტაფს მივადექი და დავინახე, რომ ეს მუქი მწვანე მცენარეულობით დაფარული მხარე სიღრმეში ბილიკებით იყო დასერილი. გაჭირვებით გავაღწიე მუხლამდე ბალახში და იქით ვუხვევდი, საითაც ბილიკი მიიკლაკნებოდა. ერთ მივარდნილ კუთხეში ხავსით გადაშავებული გრანიტის კლდე შევნიშნე, მის ქვეშ დავჯექი. გარს მერტყმოდა მაღალი, მანანებით დაფარული ფერდობები. თავზე კლდე მადგა მცველად, მის მაღლა კი ლაჟვარდი ცა იშლებოდა.

კარგა ხანი გავიდა, სანამ დავწყნარდებოდი: აუტანელმა შიშმა შემიპყრო, ვშიშობდი, სადმე ახლოს ნახირს ჩამორჩენილ შინაურ პირუტყვს, ვინმე მოგზაურს ან ქურდულად მონადირეს არ მოეგნო. თუ ამ განმარტოებულ უკაცრიელ ადგილას ქარის ხმა შემომესმებოდა, შიშით აქეთ-იქით ვიყურებოდი, მეგონა, ხარი უნდა შემოვარდნილიყო. ხოლო თუ ღალღა უსტვენდა, მაშინ ვფიქრობდი, ადამიანია-მეთქი. ბოლოს დავინახე, რომ ჩემი შიში მთლად უსაფუძვლო გახლდათ. დასაღამოვდა თუ რა, ბინდი ჩამოწვა, ირგვლივ ყველაფერი დაწყნარდა და მეც მეტი იმედი მომეცა. აქამდე არაფერზე ფიქრი არ შემეძლო, მხოლოდ დაძაბული ვუსმენდი, ყველაფერს ვათვალიერებდი და შიშით ვთრთოდი, ახლა კი ფიქრის უნარი დამიბრუნდა.

რა უნდა ვქნა? საით უნდა წავიდე? ოჰ, როგორ მაწამებდა ეს კითხვები, როდესაც უკვე აღარაფერი მქონდა გასაკეთებელი და არსაით ვიყავი წასასვლელი. ჩემს დაქანცულ და მთრთოლვარე სხეულს ჯერ კიდევ დიდი გზა უნდა გაევლო, სანამ შეძლებდა და მოსახლეობამდე მიაღწევდა. ხვეწნა-მუდარით უნდა მიმემართა გულგრილ გულმოწყალეთათვის, სანამ თავშესაფარს ვიშოვიდი და საძულველ თანაგრძნობას გამოვიწვევდი ვინმეში, შესაძლებელია, უარით გამოვესტუმრებინე, ვიდრე ვინმე ჩემს ამბავს მოისმენდა ან ერთ-ერთ ჩემს სურვილს დააკმაყოფილებდა.

მანანას ხელი შევახე. ის მშრალი იყო და ზაფხულის ცხელ დღეში მიღებული სითბო ჯერ კიდევ შემოენახა. ცას ავხედე, მოწმენდილი იყო. სწორედ კლდის ასწვრივ მაღლა ერთი ვარსკვლავი ალერსიანად ციმციმებდა.

ცვარმა საამურად და შეუმჩნევლად დანამა იქაურობა. ნიავის ჩურჩულიც შეწყდა. ბუნება მწყალობელი და კეთილი მეჩვენა. მივხვდი, ასე ყველასაგან განდევნილი, როგორც მე ვიყავი მაშინ, მხოლოდ მას ვუყვარდი. მე კი, რომელიც ადამიანებისაგან მხოლოდ უნდობლობას, ხელის კვრასა და შეურაცხყოფას მოველოდი, მის მკერდს სიყვარულით მივეკარი. ამაღამ ყოველ შემთხვევაში მისი სტუმარი ვიყავი და მის შვილად მიმაჩნდა თავი. ის კი, როგორც საკუთარი დედა, შემიფარებდა ყოველგვარი ფულისა და გადასახადის გარეშე. ერთი ლუკმა პური კიდევ მქონდა და ფუნთუშის პატარა ნაჭერი, რომელიც უკანასკნელი გროშებით ქალაქში ვიყიდე, სადაც შუადღისას გამოვიარეთ. აქა-იქ მანანებს შორის ბუჩქებში მწიფე მოცვი დავინახე, რომელიც გიშრის მძივებივით ბრწყინავდა. ერთი მუჭა მოვკრიფე და პურს შევატანე. განდეგილი ადამიანისათვის ამ საკმაოდ მცირეოდენმა საჭმელმა ძლიერი შიმშილი ვერ მომიკლა, მაგრამ ოდნავ მაინც დამანაყრა. საღამოს ლოცვა წარმოვთქვი და საწოლი ადგილი ამოვირჩიე. კლდის მახლობლად მანანა მეტისმეტად ხშირი იყო, დავწექი თუ არა, ფეხები შიგ ჩამეფლო, რადგან ორივე მხრიდან მაღალი კედელივით აღმართულიყო; მხოლოდ ვიწრო ადგილიღა რჩებოდა, რომ ღამით ჰაერს ემოძრავა. შალი ორად მოვკეცე და საბანივით გადავიფარე. ხავსით დაფარული დაბალი კოლბოხი იყო ჩემი ბალიში. ასე მოვეწყვე და, ყოველ შემთხვევაში, პირველ ღამეს სიცივე არ მიგრძვნია.

ეს დასვენება ნამდვილი ნეტარება იქნებოდა, რომ სევდით სავსე გულს არ მოეწამლა. გახსნილი ჭრილობების გამო ის ისე მტკიოდა, თითქოს სისხლი შიგნით წვეთ-წვეთად დამდიოდა და სიმები დამწყვეტოდა. ის თრთოდა მისტერ როჩესტერისა და მისი ბედისწერის გამო, დასტიროდა მწვავე სიბრალულით და განუწყვეტლივ ნატრობდა მის ნახვას. ფრთებმოტეხილ, უღონო ფრინველივით დამტვრეულ ფრთებს კვლავ ამოძრავებდა და ამაოდ ცდილობდა, ის მოეძებნა.

ამ ფიქრებით გულგანგმირულმა მუხლებზე წამოვიწიე. უკვე დიდი ხნის დაღამებული იყო. ციური მნათობნი ამოსულიყვნენ. წყნარი და მშვიდი ღამე ჩანდა, იმდენად მშვიდი, რომ შიშს არ შეეძლო დაესადგურებინა ჩემს გულში. ჩვენ ვიცით, რომ ღმერთი ყველგანაა, მაგრამ მის არსებობას მაშინ უფრო ვგრძნობთ, როდესაც ის თავის ნამოღვაწარს ასეთი დიდებით გამოჰფენს ხოლმე ჩვენ წინაშე. და აი, სწორედ მოწმენდილ ცაზე, სადაც ციურნი მნათობნი უხმოდ მოძრაობენ, კარგად ვგრძნობ, რომ ის ყველგან არის თავისი განუზომელი ძლიერებითა და ყოვლისშემძლეობით. მეც იმიტომ დავიჩოქე, რომ მისტერ როჩესტერისათვის მელოცნა. როდესაც ცრემლით დაბნელებული თვალებით მაღლა ავიხედე, ირმის ნახტომი დავინახე. გამახსენდა, თუ რას წარმოადგენდა ის, რამდენნაირი დაუთვლელი მზის სისტემა ბრუნავდა იქ, სივრცეში, და სინათლის ოდნავ შესამჩნევ კვალს ტოვებდა მხოლოდ. ვიგრძენი ღმერთის ძალა და ძლიერება. დარწმუნებული ვიყავი, მას შეეძლო თავისივე შექმნილი არსება თვითვე ეხსნა. რწმენაც განმიმტკიცდა, რომ არც დედამიწა

და არც მასზე მაცხოვრებელი არც ერთი სული არ დაიღუპება არასოდეს. მე მადლობა შევწირე ქვეყნიერების შემქმნელს, რადგან სიცოცხლის მომნიჭებელი სულთა მხსნელიც არის. მისტერ როჩესტერი გადარჩება. ის ღმერთის კუთვნილებას შეადგენდა და შემოქმედი დაიცავდა მას. კვლავ ფრიალო კლდეს მივეკარი მკერდზე და ძილში მწუხარებაც მალე გადამავიწყდა.

მეორე დღეს ყველა ადამიანური სურვილი მთელი სიგრძე-სიგანით წარმოდგა ჩემ წინ. დიდი ხანია პაწაწინა ჩიტებს თავიანთი ბუდეები მიეტოვებინათ. სანამ ცვარი შეაშრებოდათ, ფუტკრებიც აყვავებულ ტკბილ მანანებს თაფლის შესაგროვებლად თავზე დახვეოდნენ. დილის გრძელი ჩრდილები თანდათან მოკლდებოდნენ. მზის სხივებით ივსებოდა ცა და მიწა; მეც წამოვდექი და ირგვლივ მიმოვიხედე.

რა წყნარი, ცხელი და მშვენიერი დღე იყო! რა მოოქროსფრო უდაბნოს დამსგავსებოდა ეს უდაბური გაშლილი ტრამალი! ყველგან მზის სხივები ჩაღვრილიყო და ბრწყინავდა. ოჰ, ნეტავ შესაძლებელი ყოფილიყო ამ ბრწყინვალებაში მეცხოვრა და მისითვე მესაზრდოვა! დავინახე, ხვლიკმა გაირბინა კლდეზე, ისიც შევამჩნიე, ფუტკარი როგორ საქმიანობდა და ფუსფუსებდა მოცვის ბუჩქებს შორის. დიდი სიამოვნებით ვიქცეოდი იმ წუთებში ფუტკრად ან ხვლიკად, რომ ნოყიერი საზრდოს შოვნა შემძლებოდა და აქ, ამ მიდამოებში მეპოვნა სამუდამო თავშესაფარი. მაგრამ მე ხომ ადამიანი ვიყავი და ადამიანური სურვილები მქონდა. ჩემი იქ დიდხანს გაჩერება არ შეიძლებოდა, სადაც მათ ვერაფრით ვასაზრდოებდი. წამოვდექი და საწოლს გადავხედე, რომელიც ის-ის იყო მივატოვე. უიმედობით შეპყრობილმა გავიფიქრე, რომ ღმერთი დიდ სიკეთეს გამიწევდა, თუ ძილში ღამით სულს ამომართმევდა. ახლა კი ამ დაქანცულ სხეულს, სიკვდილის ბრჭყალებიდან რომ გაათავისუფლა, ისღა დარჩენოდა, მტარვალ ბედისწერას უფრო კარგად შებმოდა, მშვიდად, თანდათანობით გახრწნილიყო და შენივთებოდა ამ უდაბურ მიწას. მაგრამ სიცოცხლე მთელი თავისი მოთხოვნილებებით, ტკივილებითა და მოვალეობებით არ მტოვებდა. ეს მძიმე ტვირთი უნდა მეტარებინა, მისი სურვილები დამეკმაყოფილებინა; გადამეტანა ტანჯვა-წამება და ჩემი ადამიანური მოვალეობა შემესრულებინა: ამიტომაც გზას გავუდექი.

უიტკროსს მივაღწიე და დასავლეთისაკენ ავიღე გეზი. მზე კარგა მაღლა ამოწვერილიყო და მცხუნვარე სხივებით ავსებდა არემარეს. სხვა აბა, რა შემეძლო, მიმართულების ასარჩევად რომ გამომეყენებინა. დიდხანს მივდიოდი და ბოლოს გავიფიქრე, რომ ყველაფერი უკვე გავაკეთე და სინდისის წინაშე სრულიად მართალი ვიქნები, თუ ჩემ ასეთ დაქანცულობას ოდნავ ყურადღებას მაინც მივაქცევ-მეთქი. დაღლილობა ჩემს არსებას მთლიანად დაუფლებოდა და საჭირო იყო ოდნავ მაინც შემემსუბუქებინა ის იძულებითი მოძრაობა, რომლითაც წინ მივისწრაფოდი. იქვე, მახლობლად, ქვაზე ჩამოვჯექი. საშინელმა უხალისობამ შემიპყრო და გულსა და მთელ სხეულზე ლოდივით დამაწვა. აი, სწორედ ამ დროს ზარების რეკვა შემომესმა: ეს ეკლესიის ზარი იყო.

ზარის ხმას გავყევი და იქ რომანტიკულად აღმართულ ბორცვებს შორის, რომელთა გარეგნულ სილამაზეს ვეღარც კი ვამჩნევდი და ერთი საათის წინ მასზე უკვე დაკვირვებაც შევწყვიტე, სოფელი და ეკლესიის სამრეკლო დავინახე. ხელმარჯვნივ მთელი მინდორი მხოლოდ საძოვრებად იყო ქცეული. იქვე, მახლობლად, ვამჩნევდი ყანებს და მოშორებით კი ტყეს. მწვანე ბალახის მრავალნაირ ჩრდილებს, შემოსულ მარცვლეულის ყანებს, ხშირ, ჩაბნელებული ტყით დაფარულ ადგილებსა და ოქროსფრად გაცისკროვნებულ მდელოებს შორის მზის სხივებზე მოკამკამე ნაკადული მოწანწკარებდა. ბორბლების რახრახმა გამომარკვია, რომელიც ჩემ წინ გზაზე ისმოდა. ავიხედე და მძიმედ დატვირთული ფურგონი დავინახე, რომელიც გორაკზე გაჭირვებით ადიოდა. ქვემოთ კი, არცთუ ისე მოშორებით, ორი ძროხა და მწყემსი შევნიშნე...

ისევ ადამიანური ცხოვრების და ადამიანთა შრომის მოწმე გავხდი: მე ისევ მათ შორის აღმოვჩნდი. სიცოცხლისათვის ბრძოლა უნდა გამეგრძელებინა, დამეცვა ის და ყველა დანარჩენთა მსგავსად შრომას შევდგომოდი.

დაახლოებით ორ საათზე სოფელში შევედი. ერთადერთი ქუჩის ბოლოს პატარა საფუნთუშე შევნიშნე, რომლის ფანჯარაში სხვადასხვანაირი ფუნთუშები გამოეწყოთ. როგორ მინდოდა ერთი ასეთი ფუნთუშა! დანაყრება კვლავ ცოტაოდენ ძალას მომცემდა და ასე თუ ისე ენერგიას აღმიდგენდა. უჭმელი კი, ვატყობდი, გზის გაგრძელებას ვეღარ შევძლებდი. ჩემ მსგავს არსებათა შორის აღმოვჩნდი თუ არა, კვლავ მომინდა ძალა და მხნეობა დამბრუნებოდა. ვგრძნობდი, რა დამცირება იქნებოდა სოფლის შარაგზაზე შიმშილით გულის წასვლა. _ ნუთუ არაფერი გამაჩნია, რომ ერთ ფუნთუშაში გასაცვლელად შევთავაზო? _ გავიფიქრე. ყელზე აბრეშუმის პატარა ყელსახვევი მეხვია და ხელთათმანებიც მქონდა, მაგრამ ის კი ვერ წარმომედგინა, როგორ იქცეოდნენ ადამიანები უკიდურესი გაჭირვების დროს. არც ის ვიცოდი, აიღებდნენ თუ არა ჩემ მიერ გასაცვლელად შეთავაზებულ რომელიმე საგანს. შესაძლებელია, არც აეღოთ, მაგრამ მე უნდა მეცადა.

დუქანში შევედი. შიგ ერთი ქალი დამხვდა. კარგად ჩაცმული ადამიანის დანახვაზე მან, ალბათ, წარმოიდგინა, რომ ვიღაც ლედი ესტუმრა. მაშინვე ზრდილობიანად შემომეგება და მკითხა, რით შემიძლია გემსახუროთო. შემრცხვა. ენაც კი ვერ მოვატრიალე იმის სათქმელად, რაც წინასწარ განვიზრახე. ვეღარ გავბედე მისთვის უკვე კარგად ნახმარი ხელთათმანები და დაჭმუჭნილი შარფი შემეთავაზებინა. გარდა ამისა, იმასაც ვფიქრობდი, რომ ეს ყველაფერი უაზრო იქნებოდა. მხოლოდ ნებართვა ვთხოვე, რამდენიმე წუთს დავმჯდარიყავი და დაღლილობა მოვიმიზეზე. იმედგაცრუებული ქალი ცივად დამთანხმდა თხოვნაზე, რადგან მყიდველმა იმედი არ გაუმართლა და სკამზე მიმითითა. ჩამოვჯექი და ყოველივე იმდენად მტკივნეულად განვიცადე, ცრემლები მახრჩობდა, მაგრამ ვიცოდი, რა უადგილო იქნებოდა ახლა ტირილი და თავი შევიკავე. მერე გამოკითხვა დავუწყე, ჰყავდათ თუ არა სოფელში მკერავი ქალი ან ისეთი ვინმე, ვინც ყოველნაირ უბრალო საკერავს კერავდა.

_ დიახ, არის ორი თუ სამი, მაგრამ სამუშაო ძალიან ცოტა აქვთ.

ფიქრს განვაგრძობდი; უკიდურესობამდე მივედი, მეტის მოთმენა აღარ შემეძლო; შიმშილის პირისპირ აღმოვჩნდი; არც რაიმე სახსარი გამაჩნდა, _ არც მეგობარი და არც ერთი გროში. რაიმე უნდა მეღონა. მაგრამ, რა? სადმე რამე სამუშაო უნდა მეშოვნა, მაგრამ, სად?

_ მეზობლობაში აქ ახლომახლო ვინმეს მსახური ხომ არ სჭირდება? _ შევეკითხე მე.

_ არა, არაფერი გამიგონიაო, _ მიპასუხა.

_ უმთავრესად რა ხელობას მისდევენ აქაურები? რით ცხოვრობს მოსახლეობა?

_ ზოგი ფერმაში მუშაობს, ძალიან ბევრი _ მისტერ ოლივერის ნემსის ქარხანაში და ზოგი კი _ სამსხმელო ქარხანაში.

_ მისტერ ოლივერი ქალებსაც ღებულობს სამუშაოდ?

_ არა, იქ მხოლოდ მამაკაცები მუშაობენ.

_ აბა ქალები სად მუშაობენ?

_ არ ვიცი, _ მიპასუხა ქალმა. _ ზოგი რას აკეთებს და ზოგი რას. ღარიბმა ხალხმა თავი ისე უნდა გაიტანოს, როგორც შეუძლია.

ეტყობოდა, ჩემი შეკითხვებით დაიღალა და მართლაც, ან რა უფლება მქონდა, ასე მომებეზრებინა მისთვის თავი? ორი თუ სამი მეზობელი შემოვიდა. ცხადია, ჩემი სკამი დასჭირდებოდათ და მეც გამოვეთხოვე.

ქუჩას აღმა ავყევი; მივდიოდი და მარცხნივ თუ მარჯვნივ ყველა სახლს ვათვალიერებდი, მაგრამ ვერავითარი მიზეზი და საბაბი ვერ მომენახა, რომელიმე მათგანში შევსულიყავი. ერთ საათს ან ცოტა უფრო მეტს ასე დავეხეტებოდი სოფლის გარშემო. ხან ცოტა მოშორებით წავიდოდი, ხან კი ისევ უკან ვბრუნდებოდი. აუტანელი შიმშილისაგან გაწამებული და ძალღონეგამოცლილი მოსახვევში შევბრუნდი და ღობის ძირას დავჯექი. რამდენიმე წუთიც არ გასულა, ისევ ძლივს წამოვდექი და გზა განვაგრძე. რაიმე საშუალება უნდა გამომენახა, ან, ბოლოს და ბოლოს, იქნებ ვინმე ისეთი მაინც შემხვედროდა, რომ რაიმე რჩევა მოეცა. მოსახვევში, სულ ზემოთ, პატარა ლამაზი სახლი იდგა. წინ ბაღი ჰქონდა, მეტისმეტად სუფთად, საუცხოოდ მოვლილი და ათასფერი მშვენიერი ყვავილებით სავსე. მის წინ შევჩერდი. რა უფლება მქონდა, მივახლოვებოდი თეთრ კარებს ან მის ბრჭყვიალა რგოლს შევხებოდი? ან კი რატომ უნდა აღმოეჩინათ დახმარება ჩემთვის იმ სახლის ბინადართ? მაინც მივუახლოვდი და დავაკაკუნე. მშვენიერი სახის, სუფთად ჩაცმულმა ახალგაზრდა ქალმა კარი გამიღო. მე კი იმედდაკარგული და მთლად ძალაგამოცლილი ადამიანის დაბალი, შესაბრალისი და მთრთოლვარე ხმით შევეკითხე: _ მსახური ხომ არ გჭირდებათ-მეთქი.

_ არა, _ მიპასუხა მან, _ ჩვენ მსახურებს არ ვქირაობთ.

_ იქნებ ის მაინც მითხრათ, სად შეიძლება ვიშოვო რაიმე სამუშაო? _ განვაგრძობდი შეკითხვებს. _ მე აქ უცხო ვარ, ამ მიდამოებში ნაცნობები არა მყავს და მინდა, რაიმე სამუშაო ვიშოვო, არ დავეძებ, როგორიც იქნება.

მაგრამ ის ხომ ვალდებული არ იყო ჩემზე ეზრუნა და სამუშაო ეძებნა. ამავე დროს ჩემს გარეგნობას, მდგომარეობას და მონათხრობ ამბავს, შესაძლოა, მის თვალში ეჭვიც გამოეწვია. უარის ნიშნად მან თავი გაიქნია. ძალიან წყნარად და ზრდილობიანად მომიხურა თეთრი კარები და მეც გარეთ დავრჩი. დარწმუნებული ვარ, კარი რომ ცოტა ხანს კიდევ ყოფილიყო ღია, ალბათ, ერთ ნაჭერ პურს ვთხოვდი. თავმოყვარეობის ნატამალიც კი აღარ გამაჩნდა.

ძალა არ შემწევდა იქ, იმ არასტუმართმოყვარე სოფელში დავბრუნებულიყავი, სადაც დახმარების არავითარი იმედი არ მქონდა. მერჩია, ტყისთვის შემეფარებინა თავი, რომელიც არცთუ ისე დაშორებით მოჩანდა. მუქი ჩრდილებით ის თავისკენ მიხმობდა და თავშესაფარს მთავაზობდა. მე კი აუტანელი შიმშილით ისე ვიყავი ნატანჯი, დასუსტებული და ძალაგამოცლილი, ინსტინქტი მაიძულებდა მხოლოდ საცხოვრებელი სახლების გარშემო მეხეტიალა, იქნებ საჭმელი მეშოვნა. ვიცოდი, განმარტოება განმარტოებად არ ჩაითვლებოდა და არც დასვენება დასვენებად, სანამ შიმშილი გაუმაძღარი ფასკუნჯის ნისკარტითა და ბრჭყალებით ასე ძალუმად ჩამფრენოდა და გულ-ღვიძლს მიკორტნიდა.

საცხოვრებელ ბინებთან სულ ახლოს მივდიოდი... განვშორდებოდი, კვლავ უკან ვბრუნდებოდი და მერე ისევ მათგან შორს დავეხეტებოდი. კარგად ვიცოდი, არავის წინაშე არავითარი მოთხოვნილების წაყენება არ შემეძლო. არც იმის უფლება მქონდა, მეფიქრა, რომ განწირული ადამიანის ბედით ვინმე ოდნავ მაინც დაინტერესდებოდა. სანამ უპატრონო და დამშეული ძაღლივით დავეხეტებოდი, შუადღე გადავიდა. მინდორი გადავიარე და ჩემ წინ ეკლესიის სამრეკლო დავინახე. მთელი სისწრაფით მისკენ გავეშურე. ეკლესიის ეზოს ახლოს, ბაღჩის შუაგულში, თუმცა პატარა, მაგრამ კარგად ნაშენი სახლი იდგა. ეჭვიც კი არ შემპარვია, რომ ის მღვდლის სახლი უნდა ყოფილიყო. ისიც მახსოვდა, როცა უცხო ადამიანები ისეთ ადგილას ჩადიან, სადაც ნაცნობ-მეგობრები არა ჰყავთ და სამუშაოს დაეძებენ, ზოგჯერ ცნობისა და დახ-მარებისათვის მღვდელს მიმართავენ ხოლმე. ბოლოს და ბოლოს მღვდლის მოვალეობა ხომ ისაა, იმას დაეხმაროს რჩევა-დარიგებით, ვისაც რაიმე უჭირს. ვფიქრობდი, მეც მქონდა უფლება ასეთი რჩევა-დარიგება იქ მეძებნა. როგორც იყო მხნეობა და უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიბე და ჩქარი ნაბიჯით წინ გავწიე. სახლს მივაღწიე თუ არა, სამზარეულოს კარებზე დავაკაკუნე. კარი მოხუცმა ქალმა გამიღო და მას ვკითხე: _ ეს მღვდლის ბინაა?

_ დიახ.

_ მღვდელი შინ ბრძანდება?

_ არა.

_ მალე მოვა?

_ არა, ის სოფლიდან წასულია.

_ შორს არის წასული?

_ არც ისე შორს, ასე დაახლოებით სამი მილის დაშორებით. მამის უეცარი გარდაცვალების გამო გამოიძახეს. ახლა მარშენდშია და, ვფიქრობ, ორი კვირა მაინც დარჩება.

_ ამ სახლის დიასახლისიც არ არის აქ?

_ არა, ჩემ გარდა არავინ არის. მე კი ამ სახლის მნე ვარ.

მკითხველო, ვერ შევძელი მოწყალება მეთხოვა მისთვის. ვიღუპებოდი, მაგრამ ჯერ კიდევ არ შემეძლო მემათხოვრა და უკან გამოვბრუნდი.

ერთხელ კიდევ მოვიხსენი ყელზე შარფი და ერთხელ კიდევ ვიფიქრე, ნამცხვარზე გადამეცვალა, რომელიც პატარა საფუნთუშეში ვნახე. ოჰ, ქერქი მაინც მომცა ან ერთი ყლუპი სუპი, რომ როგორმე დამიწყნაროს შიმშილით გამოწვეული ტკივილები! ჩემდა უნებურად პირი ისევ სოფლისაკენ ვიბრუნე. კვლავ ვიპოვე პატარა საფუნთუშე და შიგ შევედი. მიუხედავად იმისა, რომ იქ გამყიდველის გარდა სხვებიც იყვნენ, მაინც მივმართე თხოვნით:

_ არ შეგიძლიათ ერთი ფუნთუშა ჩემს შარფში გამიცვალოთ?

ცხადად შევატყვე, მან უკვე ეჭვის თვალით შემომხედა.

_ არა, მე ასე არ ვყიდი ჩემს საქონელს, _ მიპასუხა მან.

მთლად სასოწარკვეთილმა ნახევარი ფუნთუშა ვთხოვე, მან კი ნახევარი ფუნთუშის მოცემაზეც ცივი უარი განმიცხადა.

_ აბა, როგორ გავიგო სად აიღეთ ეს შარფი? _ მიპასუხა მან.

_ იქნებ ხელთათმანებში მაინც გამიცვალოთ ერთი ფუნთუშა?

_ არა, რაში გამომადგება ეს ხელთათმანები? _ მიპასუხა მან.

მკითხველო, სრულებითაც არ არის სასიამოვნო ამ წვრილმანებზე დიდხანს შევჩერდე. ზოგიერთნი ირწმუნებიან, რომ გარდასულ ტანჯვათა მოგონება სასიამოვნოაო, მაგრამ ჩემთვის მეტად სამძიმოა ჩემი ცხოვრებიდან იმ ხანის გახსენება. სულიერ გამოფიტვას თან ერთვის სხეულის ფიზიკური წამებაც. ამან სასოწარკვეთილებამდე მიმიყვანა და იმდენად მწარედ მაგონდება ყოველივე, რომ აღარ მინდა მათზე კვლავ შევჩერდე. არ ვადანაშაულებ არც ერთ მათგანს, რომლებმაც ხელი მკრეს და უარით გამისტუმრეს მაშინ. ვიცოდი, მხოლოდ ასეთი რამ იყო მოსალოდნელი. რა გაეწყობა? ხშირად ჩვეულებრივი მათხოვარიც კი ეჭვს იწვევს და კარგად ჩაცმულმა მათხოვარმა, რასაკვირველია, რომ ის დაიმსახუროს. ვთქვათ, მე მხოლოდ სამუშაოს ვეძებდი. ვინ იყო ვალდებული, ეშოვნა ის ჩემთვის? რასაკვირველია, არა ის ადამიანები, რომელთაც მე პირველად მნახეს მაშინ და, რომელთაც სრულიად არაფერი იცოდნენ ჩემ შესახებ. ხოლო, რაც შეეხება იმ ქალს, რომელმაც ჩემი ყელზე მოსახვევი შარფი პურის ერთ ლუკმაში არ გამიცვალა, თავის მხრივ მართალი იყო, თუ, რასაკვირველია, ჩემი წინადადება არახელსაყრელად ან რაიმე ავი საქმის მომასწავებლად მიაჩნდა. ნება მომეცით, ჩემი აზრი შევამოკლო, საერთოდ ამ თემაზე საუბარი მიმძიმს.

სანამ მთლად დაბნელდებოდა, ფერმის ახლოს ჩავიარე. ფერმერი ვახშმად იჯდა და ყველსა და პურს შეექცეოდა. შევჩერდი და ვუთხარი: _ თუ შეიძლება, ძალიან მშიერი ვარ და პურის პატარა ნაჭერი მომეცით-მეთქი.

მან განცვიფრებით შემომხედა, არც კი მიპასუხა, ერთი კარგა მოზრდილი სქელი ნაჭერი მომიჭრა მრგვალი პურიდან და მომაწოდა. მგონია, მათხოვრად არც კი ჩამთვალა, ალბათ ვინმე ექსცენტრული ლედი ვეგონე, რომელსაც მისი შავი მრგვალი პურის ჭამის სურვილმა წასძლია. როგორც კი მის სახლს განვშორდი, დავჯექი და იმ პურის ნაჭერს მადიანად შევექეცი.

იმედი არ მქონდა, რომ ვინმეს ჭერქვეშ ღამის გასათევს ვიშოვიდი. ამიტომ გადავწყვიტე, თავი ისევ ტყისათვის შემეფარებინა, რომელიც წინათ საუბარში სიტყვაგადაკვრით უკვე მოვიხსენიე. ღამე საშინელი გამოდგა. ვერ დავისვენე, მიწა სველი იყო და ჰაერი ცივი. გარდა ამისა, ადამიანებმაც ბევრჯერ დამირღვიეს სიმშვიდე. რამდენიმეჯერ გამოვიცვალე ადგილსამყოფელი. იმედი მთლად დავკარგე, ვატყობდი, უხიფათოდ და მშვიდად ვერ გავატარებდი იმ ღამეს. გათენებისას წვიმა წამოვიდა. მეორე დღეს მთელი დღე ჟინჟღლავდა. მკითხველო, დაწვრილებით ნუ მომთხოვთ მთელი იმ დღის თავგადასავალს. როგორც წინა დღეს, მთელი დღე სამუშაოს დავეძებდი. ისევ თავიდან მიშორებდნენ და წინანდელივით ვშიმშილობდი. ჩემს ყელში იმ დღეს მხოლოდ ერთხელ გადავიდა საჭმელი. ერთი სახლის კარებთან პატარა გოგონა დავინახე, ბავშვს ღორებისთვის გაცივებული ფაფა უნდა ჩაესხა როფში.

_ არ შეიძლება ეგ ფაფა მე მომცე? _ ვკითხე მას.

ბავშვი განცვიფრებული დამაშტერდა. _ დედა! _ დაიძახა მან, _ აქ ერთი ქალია და ამ ფაფას მთხოვს.

_ კარგი, მიეცი, _ მოისმა ხმა შიგნიდან. _ მიეცი, თუ მათხოვარია, მაგას ღორი არც კი შეჭამს.

გოგონამ გაცივებული, შედედებული და გამაგრებული მასა ხელზე დამიდო და მეც დამშეულმა ხარბად გადავსანსლე.

მწუხრი ჩამოწვა; თანდათან ჩამობნელდა; ისევ ჟინჟღლავდა; საცალფეხო, ცხენის სავალ ბილიკზე შევჩერდი და იქ თითქმის ერთ საათზე მეტ ხანს ვზოზინებდი.

ძალა მთლიანად გამომეცალა და მონოლოგივით წარმოვთქვი:

_ ვგრძნობ, უფრო შორს წასვლა აღარ შემიძლია, ნუთუ ამაღამდელ ღამესაც ასე გარეთ გაძევებულივით გავატარებ? ნუთუ ასეთ წვიმაში ამაღამაც ცივ და გაჟიებულ მიწაზე უნდა დავდო თავი? ვშიშობდი, ეს ამბავი არ ამცდებოდა. ვინ გამიღებდა კარებს, ვინ შემიფარებდა? რა საშინელება იქნება ასეთი მშიერი, დასუსტებული, სიცივისაგან გათოშილი და მარტოობის გრძნობით შეშფოთებული ისევ აქ დავრჩე? ყოველივე ამას სრულ უიმედობამდე მივყავარ. ჩანს, დილამდე ვერ გავატან და მაინც რატომ არ შეიძლება სიკვდილის მოახლოებას შევურიგდე? რისთვის ვიბრძვი, ასეთი უშინაარსო ყოფის შესანარჩუნებლად? იმიტომ, რომ მჯერა და ვიცი, მისტერ როჩესტერი ცოცხალია. გარდა ამისა, შიმშილით ან სიცივით სიკვდილი ადამიანისათვის ისეთი ბედისწერაა, რომელსაც ბუნება ასე უბრძოლველად არ ემორჩილება. ოჰ, განგების ძალავ, დამეხმარე ცოტა კიდევ! მიშველე და გზა წარმიმართე!

დაბინდული თვალით ვაკვირდებოდი სიბნელეს და ნისლში გახვეულ ლანდშაფტს. შევამჩნიე, სოფელს იმდენად დიდი მანძილით განვშორებოდი, რომ აღარც კი მოჩანდა. დამუშავებული მიწებიც აღარსად იყო მის გარშემო. სასოფლო გზებსა და ბილიკებზე ხეტიალში კვლავ უდაბურ ადგილას მოვხვდი. ახლა მხოლოდ რამდენიმე ადგილას მოჩანდა მინდორი, სრულიად გაველურებული და მოუსავლიანი, როგორც ტრამალი, რომლისგანაც მას ძლივს გამოარჩევდით. აი, ეს მინდვრები გადაჭიმულიყო ახლა ჩემსა და ნისლში გახვეულ გორაკებს შორის.

«უმჯობესია, აქ მოვკვდე, ვიდრე ქუჩაში ან ხალხით სავსე გზებზე, _ ვფიქრობდი ჩემთვის. _ თუკი ყვავ-ყორანი ბუდობს ამ მიდამოებში, ჯობია, მათ განაშორონ ჩემი ხორცი ძვლებს, ვიდრე უპატრონოთა თავშესაფარში სამადლოდ გაკეთებულ კუბოში ჩამლურსმონ და ღარიბ-ღატაკთა სამარეში მტვრად იქცეს ჩემი სხეული».

შემდეგ ერთ-ერთი გორაკისაკენ ვიბრუნე პირი. მივაღწიე იქამდე. ახლა მხოლოდ ისღა დამრჩენოდა, ჩაღრმავებული ადგილი მომეძებნა, სადაც შემეძლებოდა თავისუფლად დაწოლა. ყოველ შემთხვევაში, თუ საფრთხეს ვერ ავიცილებდი, თვალში მაინც აღარავის მოვხვდებოდი. მაგრამ ამ ფართო ადგილის მთელი ზედაპირი ხელისგულივით ვაკე ჩანდა. მხოლოდ ფერით თუ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. არავითარი ამაღლებული და დადაბლებული ადგილები. მიდამო მწვანე მოჩანდა მხოლოდ იქ, სადაც ჭაობის პირებს ლერწამი და ხავსი მოსდებოდა, შავი კი, სადაც გადამხმარ მიწაზე მხოლოდ მანანა გვარობდა. ბნელდებოდა, მაგრამ ასეთი სხვაობის გარჩევა ჯერ კიდევ შეიძლებოდა. ეს ხომ სინათლისა და ჩრდილის ლაქების უბრალო ცვალებადობა იყო, რადგან ფერიც დღის სინათლესთან ერთად ქრებოდა.

ჯერ კიდევ პირქუშ მაღლობებსა და შამბნარით დაფარულ, დამუშავებულ მიწის ნაპირებს ვაკვირდებოდი, რომლებიც უსიერ ტევრში იკარგებოდა, რომ სადღაც შორს, ჭაობებსა და გორაკის თხემებს შორის, სინათლე გამოკრთა. ეს «ვარსკვლავმორბედია», გავიფიქრე პირველად და ველოდი მალე გაქრებოდა. ის კი კვლავ განაგრძობდა ნათებას და სულ ერთნაირად ციმციმებდა: არც მიახლოვდებოდა და არც მშორდებოდა. «ალბათ ეს კოცონია და ახლა დაანთეს?» ვეკითხებოდი ჩემს თავს და თვალყურს ვადევნებდი, შუქი უფრო თუ გაძლიერდებოდა, მაგრამ არა, ის არც კლებულობდა და არც მატულობდა. «შესაძლებელია, ეს რომელიმე სახლიდან გამომკრთალი სინათლის შუქი იყოს, გადავწყვიტე ბოლოს: მაგრამ თუ ასეა, მე ხომ ვერ მივაღწევ იქამდე. ის ძალიან შორს არის. თუნდაც ერთი იარდის დაშორებით იყოს, მაინც რას მარგებს, კარებზე დავაკაკუნებ თუ არა, მას უმალვე ცხვირწინ მომიხურავენ».

სადაც ვიდექი, იქვე ჩავიკეცე. პირისახით მიწას ვეკვროდი და ასე რამდენიმე ხანს გაუნძრევლად ვიწექი. გორაკებიდან ქარმა დაქროლა, თავს გადამიარა და სადღაც შორს კვნესით გაიჭრა. წვიმა კოკისპირულად ასხამდა და ძვალ-რბილში მატანდა. ოჰ, რა კარგი იქნებოდა, გავთოშილიყავი და აი აქვე

გავშეშებულიყავი. რა უმოქმედოდ დავნებდებოდი ახლა სიკვდილს. _ დაე, უწყალოდ მასხამდეს წვიმა, მე ხომ ვერაფერს გავიგებ! მაგრამ ჯერ ისევ ცოცხალი სხეული იმ ცივმა ნიაღვარმა ააკანკალა და მალევე წამოვდექი.

სინათლე იმ ადგილიდან კვლავ გამოკრთოდა, თუმცა წვიმის გამო მკრთალად, მაგრამ ციმციმს განუწყვეტლივ განაგრძობდა. კვლავ ვცადე სიარული, ძლივს მივათრევდი ძალაგამოცლილ სხეულს. სინათლის შუქს კი ფართო, ჭაობის გზით გორაკისაკენ მივყავდი. ეს გზა, ალბათ, ზამთრობით მთლად გაუვალი იქნებოდა. ახლაც კი ამ შუა ზაფხულში იმდენად სველი იყო, ფეხქვეშ ჭყაპუნი გაჰქონდა და თავს ვერ ვიმაგრებდი. ორჯერ წავიქეცი, მაგრამ უკანასკნელ ძალ-ღონეს ვიკრებდი და ისევ წამოვდგებოდი ხოლმე. ის შუქი ჩემს შორეულ იმედად გადაიქცა და გადავწყვიტე, იქამდე მიმეღწია.

ჭაობი გადავიარე და მანანებით დაბურულ ადგილში თეთრი ნაკვალევი გამოჩნდა. მივუახლოვდი. ის ან გზა, ან ბილიკი უნდა ყოფილიყო და სწორედ სინათლის მიმართულებით მიდიოდა. სინათლე კი ხეების მწკრივებს შორის ბორცვის მაგვარი მაღლობიდან გამოკრთოდა. ვამჩნევდი, ნაძვის ხეები უნდა ყოფილიყო, რადგან ჯერ კიდევ შეიძლებოდა მათი მოყვანილობისა და წიწვიანი ტოტების გარკვევით გარჩევა ბინდში. როგორც კი დავუახლოვდი, გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი ჩაქრა და ზღუდესავით რაღაც აღიმართა ჩემსა და მას შორის. ხელის ფათურით ადგილი მოვსინჯე და ჩემ წინ რაღაც შავ მასას შევეხე. მივხვდი, დაუმუშავებელი ქვით ნაშენი დაბალი კედელი იყო. მის თავზე მესერიც შევამჩნიე, შიგნით კი _ ეკლიანი ღობე. ხელის ცეცებას ისევ განვაგრძობდი. კვლავ შევნიშნე, რაღაც მოთეთრო საგანი ბრწყინავდა ჩემ წინ. დავაკვირდი, ეს ჭიშკარი აღმოჩნდა, _ პატარა ჭიშკარი. როგორც კი შევეხე, რკინის ანჯამა გაიღო და ეზოში ორივე მხარეს შავი ბუჩქნარი გამოჩნდა. არ ვიცი, ეკლიანი ჭყორი იყო თუ დაბალი ურთხელი.

ჭიშკარში შევედი; ბუჩქნარი გავიარე და ჩემ წინ აღიმართა სახლის სილუეტი: ბნელი, დაბალი და საკმაოდ მოგრძო შენობა. გზის მაჩვენებელი სინათლე აღარსად ჩანდა, ყველაფერი უკუნეთს მოეცვა. ნუთუ მის ბინადართ უკვე ეძინათ? ვშიშობდი, რომ ასე იქნებოდა. კარის ძებნაში გვერდით შევტრიალდი. მაშინ მიწიდან დაახლოებით ერთი ფუტის სიმაღლეზე ის სასიამოვნო შუქი კვლავ გამოკრთა ერთ-ერთი ცხავისებური სარკმლის რომბისმსგავსი მინიდან. ახლა ის კიდევ უფრო მკრთალად მოჩანდა სუროს ხშირი ფოთლების თუ რომელიღაც კედელზე ასული მცენარის გამო, რადგან მისი ფოთლები მთლიანად ფარავდა კედლის იმ ერთ ნაწილს, რომელ მხარესაც იდგა. სარკმლის თითოეული მინა იმდენად ვიწრო და მცენარის ფოთლებით ისე იყო დაფარული, რომ ფარდები და დარაბები სრულიად აღარ ესაჭიროებოდა. დაბლა დავიხარე, სარკმელზე ასული მცენარის ფოთლიანი ყლორტები ხელით განზე გადავწიე. ახლა უკვე შემეძლო შიგნით ყველაფერი დამენახა. ოთახში ფილაქნით მოპირკეთებულ სუფთად გარეცხილ იატაკს პრიალი გაჰქონდა. კაკლის ხის ჭურჭლის კარადაში მწკრივებად ელაგა მოკალული ჭურჭელი, რომელიც ტორფის ცეცხლის მოციმციმე შუქზე

მოწითალო ფერად ბზინავდა. დავინახე კედლის საათი, თეთრი ნაძვის ხის მაგიდა, რამდენიმე სკამი, სანთელი, რომელიც მაგიდაზე ენთო და რომლის სხივები იმ ღამეს ჩემს შუქურვარსკვლავად აციმციმდა. მის სინათლეზე იჯდა და წინდას ქსოვდა მეტისმეტად სუფთად ჩაცმული არცთუ ისე სანდომიანი შეხედულების მოხუცი ქალი, რომლის გარშემო ყველაფერი კრიალებდა.

ერთი თვალის გადავლებით სხვა საგნებიც შევნიშნე, მაგრამ მათში განსაცვიფრებელი არაფერი ყოფილა. მთელი ჩემი ყურადღება ბუხრის წინ მსხდომმა ადამიანებმა მიიქციეს. ამ მყუდრო, თბილ და ცეცხლის მოვარდისფრო შუქით განათებულ ოთახში იჯდა ორი ახალგაზრდა, მომხიბვლელი და ყოველმხრივ უნაკლო ლედი: ერთი _ დაბალ საქანელა სკამზე და მეორე კი _ მასზე უფრო დაბალ ტაბურეტზე. ორივე მძიმე ძაძებით იყო შემოსილი; კრეპისა და ბამბაზიის ძაძები ეცვათ. ამ ტანსაცმლის მუქი ფერი განსაკუთრებულ სილამაზეს მატებდა მათ მშვენიერ ყელსა და სახეს. დიდ, უკვე დაბერებულ პოინტერს ნებივრად დაედო უზარმაზარი თავი ერთ-ერთი მათგანის კალთაზე. მეორე მათგანის კალთაში კი შავი კატა ნებივრობდა.

ასეთ კეთილშობილ და მომხიბვლელ ბინადართა ხილვა ამ უბრალო და ღარიბულ სამზარეულოში საკვირველი სანახავი იყო. ვინ იყვნენ ისინი? მაგიდასთან მჯდომი მოხუცი ქალის შვილები, რა თქმა უნდა, არ იქნებოდნენ. მოხუცს სოფლელი გლეხი ქალის შეხედულება ჰქონდა, მათ ნატიფ და მომხიბვლელ სახეებს კი კეთილშობილთა იერი დასთამაშებდა. მე ისინი წინათ არსად მენახა, თუმცა ახლა, როდესაც დაკვირვებით ვუმზერდი, თითო-ეული მათი სახის ნაკვთი მეტად ნაცნობი მეჩვენებოდა. არ შეიძლება, რომელიმე მათგანისათვის ლამაზი მეწოდებინა, იმდენად ფერმკრთალი და ნაღვლიანი სახეები ჰქონდათ. ორივენი თავდახრილი წიგნებს ჩაჰყურებდნენ და იმდენად ჩაფიქრებულები იყვნენ, რომ მათ გამომეტყველებას სიმკაცრის ელფერიც კი დასდებოდა. მათ შუა, პატარა მაგიდაზე, სასანთლე იდგა და შიგ მეორე სანთელი ენთო. იქვე ორი დიდი ტომი იდო. ამ წიგნებს ისინი ხშირად იღებდნენ ხელში და ადარებდნენ მათთან შედარებით იმ მომცრო წიგნებს, რომლებიც ხელში ეჭირათ, იმ ადამიანთა მსგავსად, რომლებიც ლექსიკონებით ხელმძღვანელობენ და მათი დახმარებით რაიმეს თარგმნიან. ყველაფერი ისე ჩუმად და მშვიდად ხდებოდა, თითქოს ყოველი ხილული საგანი ჩრდილი ყოფილიყო და ცეცხლის შუქით განათებული ბინა კი _ სურათი. იქაურობა ისეთ დუმილს მოეცვა, რომ ბუხრიდან ჩამოცვენილი ფერფლის, ერთ-ერთ ბნელ კუთხეში საათის წიკწიკისა და ხანში შესული ქალის საქსოვი ჩხირების ტკაცუნის ხმაც კი შეიძლებოდა გამეგონა. ამიტომაც, როდესაც ბოლოს ვიღაცის ხმამ დაარღვია ეს საოცარი მდუმარება, ყოველი სიტყვა გარკვევით გავიგონე:

_ მისმინე, დიანა, _ წარმოთქვა წიგნის კითხვით გატაცებულმა ერთ-ერთმა ახალგაზრდა ქალმა: _ ფრანცი და დანიელი ღამეს ერთად ათენებენ. ფრანცი უყვება შემაძრწუნებელ სიზმარს, რომლის გამოც შეშინებულმა გამოიღვიძა. მისმინე! _ და მან დაბალ ხმაზე რომელიღაც ნაწყვეტი წაიკითხა ჩემთვის

სრულიად უცნობ ენაზე. ვერც ერთი სიტყვა ვერ გავიგე. ის არც ფრანგული იყო და არც ლათინური. ვერც იმას ვიტყვი, ბერძნული იყო თუ გერმანული.

_ ეს კი ძალიან ძლიერი ადგილია, _ თქვა მან, როდესაც კითხვა დაამთავრა, _ აღტაცებული ვარ.

მეორე გოგონამ თავი ასწია, დის წაკითხული ნაწყვეტი მოისმინა და ცეცხლისათვის თვალი არ მოუშორებია, ისე გაიმეორა ის სტრიქონები. მოგვიანებით მე ეს ენაც ვისწავლე და ამ წიგნსაც ვიცნობდი, ამიტომაც აქ მომყავს ეს ციტატა, თუმცა როდესაც ის პირველად მოვისმინე, სიტყვები ყოველგვარ აზრს მოკლებულ, ლითონის ყურისმომჭრელ ჟღარუნად ჩამესმა:

_Da trat hervor Einer, anzusehen wie die Sternen-Nacht.

_ მშვენიერია! მშვენიერი! _ წამოიძახა მან და შავი ღრმა თვალები აუციმციმდა. _ ხედავ, როგორ დიდებულად არის ასახული ეს პირქუში და ყოვლისშემძლე მთავარანგელოზი! მხოლოდ ეს სტრიქონი ღირს მაღალფარდოვანი სტილის ასობით ლიტერატურულ ფურცელზე მეტი. Ich wä ge die Gedanken in der Schale meines Zornes und die Werke mit dem Gewichte meines Grimms. ძალიან მომწონს.

ორივე გაჩუმდა.

_ არის განა სადმე ისეთი ქვეყანა, სადაც ასე ლაპარაკობენ? _ იკითხა მოხუცმა ქალმა და საქსოვიდან თავი აიღო.

_ დიახ, ჰანა, არის, და ის ქვეყანა გაცილებით დიდია ინგლისთან შედარებით. იქ სწორედ ამ ენაზე ლაპარაკობენ.

_ ოჰ, პირდაპირ არ ვიცი, როგორ აგებინებენ ისინი ერთმანეთს თავიანთ ნათქვამს. რომელიმე თქვენგანი რომ წავიდეს მათ ქვეყანაში, გაიგებს, რასაც ეტყვიან, არა?

_ შესაძლებელია, ჩვენც რაიმე გვეთქვა და გაგვეგო, რასაც გვეტყოდნენ, მაგრამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, ვერ გავიგებდით, რადგანაც ისეთი მცოდნენი არა ვართ, როგორც თქვენ გვთვლით, ჰანა. გერმანულად ვერ ვლაპარაკობთ და არც კითხვა შეგვიძლია ლექსიკონის დაუხმარებლად.

_ მაშ რაღა სიკეთე მოაქვს მას თქვენთვის?

_ ვფიქრობთ, რამდენიმე ხანში ეს ენა ვასწავლოთ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, როგორც ახლა უწოდებენ, მისი შესავალი კურსის სწავლება მაინც შევძლოთ. მაშინ მეტ ხელფასს მივიღებთ, ვიდრე ახლა.

_ შესაძლებელია, მაგრამ ახლა თავი მიანებეთ მეცადინეობას, ამ საღამოს საკმაოდ ბევრი იმუშავეთ.

_ ვფიქრობ, მართლაც, ძალიან ბევრი. უკვე დავიღალე. შენც დაიღალე, მერი?

_ საშინლად დავიქანცე. მართლაც, ძალიან ძნელი და წელში გამწყვეტი სამუშაოა უმასწავლებლოდ, მხოლოდ ლექსიკონით ენის შესწავლა.

_ სწორედ ასეა, განსაკუთრებით ისე ძნელად გასაგები და შესასწავლი ენისა, როგორც ეს საუცხოო გერმანული ენაა. ნეტავი როდის მოვა ჯონი?

_ იმედი მაქვს, ახლა აღარ დაიგვიანებს, სწორედ ათია (დახედა თავის პატარა ოქროს საათს, რომელიც სარტყლიდან ამოიღო), _ ძალიან წვიმს. ჰანა,

იმდენ სიკეთეს ვერ გამოიჩენთ, შეხვიდეთ და ნახოთ ცეცხლი სასტუმრო ოთახში?

ქალი წამოდგა. კარი გააღო და შიგნით ბუნდოვნად გამოჩნდა დერეფანი. ისიც გავიგონე, როგორ შეასწორა ცეცხლი და ისევ სწრაფად დაბრუნდა უკან.

_ ოჰ, ბავშვებო, _ თქვა მან, _ ახლა ნამდვილად ძალიან მიმძიმს და მტანჯავს იმ ოთახში შესვლა. ის ისეა დაცარიელებული... განმარტოებით კუთხეში მიდგმული ცარიელი სავარძლის დანახვა კი...

თვალებზე ცრემლი წინსაფრით მოიწმინდა. ახალგაზრდა ქალების ისედაც დაღვრემილი სახეები უფრო მეტად დანაღვლიანდა.

_ მაგრამ ის უკეთეს ქვეყანასაა, _ განაგრძო ჰანამ. _ უკან ნუღა მოიხედავს. ნეტავი ყველას ეღირსოს ისეთი მშვიდი სიკვდილი, როგორც მას ჰქონდა.

_ როგორც თქვენ ამბობთ, მას ჩვენ არ ვუხსენებივართ? _ შეეკითხა ერთ-ერთი ახალგაზრდა ქალი.

_ ვერ მოასწრო, ბავშვო. ერთ წუთში გათავდა მამათქვენი. წინა დღეს თავი ცოტა ცუდად იგრძნო, მაგრამ საყურადღებო არაფერი ყოფილა. სენტ ჯონმა ჰკითხა, უნდოდა თუ არა რომელიმე თქვენგანის ჩამოსაყვანად ვინმე გამოეგზავნა. მან კი მხოლოდ გაიცინა. მეორე დღესაც რაღაც სიმძიმე იგრძნო თავში. ეს სწორედ ორი კვირის წინათ მოხდა. დაწვა დასაძინებლად და ვეღარ გაიღვიძა. თქვენი ძმა სანახავად შევიდა და ის უკვე გაცივებული დაუხვდა. ოჰ, ბავშვებო, ის სულ სხვა თაობის ადამიანი იყო. თქვენ და მისტერ ჯონი სრულიად სხვა ჯიშისანი ხართ მათთან შედარებით, ვინც უკვე წავიდნენ იმქვეყნად. თუმცა დედათქვენიც ძალიან ბევრ რამეში გგავდათ. ისიც თქვენსავით განათლებული იყო და სახით მთლად თქვენი სურათი, მერი. დიანა უფრო მამას ჰგავს.

მე ისე ვამსგავსებდი მათ ერთმანეთს, ვერ გეტყვით, რაში პოულობდა მოხუცი მსახური განსხვავებას (საბოლოოდ დავასკვენი, რომ ის მსახური უნდა ყოფილიყო). ორივეს მშვენიერი სახის კანი და ნაკვთები ჰქონდა. გამხდარნი, მაგრამ შესანიშნავი ტანადობისანი იყვნენ. გამომეტყველებაზე ეტყობოდათ, რომ უკეთილშობილესი ზებუნებრივი თვისებების მქონენი და ამასთანავე გონიერნიც ბრძანდებოდნენ. ერთ-ერთ მათგანს თმა უფრო მუქი ჰქონდა და თმის ვარცხნილობითაც განსხვავდებოდა მეორისაგან. მერის ღია წაბლისფერი თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი და სადად დაწნული. დიანას კი უფრო მუქი ფერის თმა კულულებად ეფინებოდა მხრებზე.

საათმა ათი დარეკა.

_ დარწმუნებული ვარ, ვახშამი გინდათ, _ განაცხადა ჰანამ. _ ალბათ, მისტერ სენტ-ჯონიც მოშიებული იქნება, როდესაც დაბრუნდება.

ის ვახშმის სამზადისს შეუდგა. ახალგაზრდა ქალები წამოდგნენ, ჩანდა, სასტუმრო ოთახში გასვლას აპირებდნენ. აქამდე მათი ყურებით ისე ვიყავი გართული, მათმა გარეგნობამ და საუბარმა იმდენად ცხოველი ინტერესი გამოიწვია, რომ ჩემი საკუთარი გაჭირვებული მდგომარეობა თითქმის ნახევრად დამავიწყდა კიდეც. ახლა კი კვლავ განმიახლდა ყველაფერი. მთელი

სიძლიერით ვიგრძენი, რა უნუგეშო და სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ვიყავი; რა შეუძლებლად და უაზროდ მიმაჩნდა შემეწუხებინა ამ სახლის ბინადარნი. მეიძულებინა ისინი, დარწმუნებულიყვნენ, თუ რამდენად უბედური ვიყავი, რა გაჭირვება მაწამებდა და მეთხოვნა მათთვის, თავშესაფარი მიეცათ უსახლკარო მოხეტიალისათვის. კარებზე ხელს ვაცეცებდი. და გაუბედავად დავაკაკუნე. ვიგრძენი, ჩემი უკანასკნელი იმედი მხოლოდ ქიმერა იყო. კარი ჰანამ გამიღო.

_ რა გნებავთ? _ მკითხა მან განცვიფრებით და დამათვალიერა სანთლის შუქზე, რომელიც ხელში ეჭირა.

_ შეიძლება თქვენი სახლის პატრონ ახალგაზრდა ქალებს ვუთხრა რაიმე? _ შევეკითხე მე.

_ უკეთესია, მე მითხრათ, რაც გაქვთ სათქმელი. საიდან მოხვედით?

_ მე უცხო ვარ.

_ მერე აქ ასეთ დროს რას აკეთებთ?

_ ღამის გასათევი მინდა, თუ ეზოში რაიმე შენობა გაქვთ ან სადმე სხვაგან და ერთი ნაჭერი პური.

ყველაზე ძალიან უნდობლობის მეშინოდა და ახლა სწორედ ის ამოვიკითხე ჰანას სახეზე.

_ პურის ნატეხს მოგცემთ, _ მითხრა მან ცოტა ხნის შემდეგ, _ მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მაწანწალას ღამის გასათევი ადგილი მივცეთ. ეს ვის გაუგონია?

_ ნება მომეცით თქვენს პატრონებს ველაპარაკო.

_ არა, ამის ნებას არ მოგცემთ. მათ რა უნდა გაგიკეთონ? ასეთ დროს რას დაეხეტებით, ნუთუ არ იცით ეს რამდენად სამარცხვინოა?

_ სად უნდა წავიდე, თქვენ რომ აქედან გამაგდოთ? რა უნდა ვქნა?

_ ოჰ, მე რა ვიცი, სად უნდა წახვიდეთ და რა უნდა ქნათ. რაც მთავარია, ნეტავი ცუდს არაფერს ჩაიდენდეთ. აი, აიღეთ ფული და წადით!

_ ეგ ფული საჭმლის საყიდლად არ მეყოფა და არც ძალა შემწევს გზა განვაგრძო. ნუ მომიხურავთ კარებს, ჰო, ღვთის გულისათვის!

_ უნდა დავხურო, წვიმა შემოდის.

_ უთხარით თქვენს ახალგაზრდა ქალბატონებს, შემიშვით მათთან.

_ იცოდეთ, არ შეგიშვებთ. თქვენ კარგ სულს არ ჰგავხართ, თორემ ასეთ ხმაურს არ ატეხდით, წადით აქედან!

_ მოვკვდები, თქვენ რომ აქედან გამაგდოთ.

_ არა მგონია. ძალიან ვშიშობ, რაღაც ცუდი განზრახვა უნდა გქონდეთ გულში და იმიტომ დაეხეტებით ალბათ პატიოსანი ადამიანების სახლების ახლომახლო. თუ ვინმე თანამზრახველიც გყავთ სადმე ახლოს, სახლის მძარცველი ქურდბაცაცები ან სხვა მათი მსგავსნი, შეგიძლიათY უთხრათ, ჩვენ მარტონი არა ვართ. მამაკაციც გვყავს სახლში, ძაღლებიც და იარაღიც გვაქვს.

აქ კი პატიოსანმა და გაუტეხელმა მსახურმა კარი მოიხურა და შიგნიდან ურდულით ჩაკეტა.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. ასეთმა ენით აუწერელმა წამებამ მძიმე ტკივილი გამოიწვია, სასოწარკვეთილება მომეძალა, გულს მიპობდა და ის ახლა საგულედან ამოვარდნას ლამობდა. მართლაც, იმდენად დასუსტებული ვიყავი, ერთი ნაბიჯის გადადგმა და განძრევაც კი აღარ შემეძლო. სველ კიბეზე კარის ზღურბლთანვე წავიქეცი. ვკვნესოდი და ხელებს ვიმტვრევდი აუწერელი დარდითა და ნაღველით სავსე.

_ ოჰ, ეს სიკვდილის აჩრდილი! ოჰ, ეს უკანასკნელი წუთი რა საშინელებით მიახლოვდება! ოჰ, ეს სიმარტოვე და ჩემივე მსგავს არსებათაგან განდევნა!

მარტოოდენ თავშესაფრის იმედი როდი დავკარგე, მხნეობამაც მიმტყუნა, მაგრამ ეს მხოლოდ წამიერად მოხდა. ბოლოს ისევ შევეცადე, გონს მოვსულიყავი.

_ სიკვდილიღა დამრჩენია, _ ჩავილაპარაკე ჩემთვის, _ მაგრამ მე ხომ მწამს ღმერთი, ვეცდები მის სურვილს უდრტვინველად დაველოდო.

ეს სიტყვები არა მარტო გავიფიქრე, არამედ ხმამაღლა წარმოვთქვი. მთელი ჩემი უბედურება გულშივე ჩავიბრუნე. ახლა ჩემს თავს ძალას ვატანდი, რომ აღუშფოთებლად და უხმოდ დავრჩენილიყავი.

_ ყველა ადამიანი უნდა მოკვდეს, _ ჩაილაპარაკა ვიღაცამ ჩემთან სულ ახლოს, _ მაგრამ ყველას არა აქვს მისჯილი ნელ-ნელა, წამებით ამოხდეს სული და უდროო ბედისწერით დაიღუპოს, როგორც თქვენ გხვდომიათ წილად, თუ აქ ასეთ უმწეო მდგომარეობასა და გასაჭირში დაიღუპებით.

_ ვინ, ან რა ლაპარაკობს? _ ვკითხე შეშინებულმა მოულოდნელი ხმის გაგონებაზე. რადგან იმედის ნასახიც აღარ გამაჩნდა, რომ ვინმე დახმარებას აღმომიჩენდა. რაღაც გამოსახულება იდგა ჩემთან ახლოს, მაგრამ რა გამოსახულება? უკუნეთივით შავი ღამე და ჩემი დასუსტებული მხედველობა საშუალებას არ მაძლევდა რამე გამერჩია. ახალმოსული დიდხანს ძლიერად არახუნებდა კარებზე.

_ ეს თქვენა ხართ, მისტერ სენტ-ჯონ? _ იკითხა ჰანამ.

_ დიახ, დიახ, ჩქარა გააღე კარები.

_ ოჰ, როგორ დასველებული და შეციებული იქნებით ამ საშინელ ამინდში. შემოდით. თქვენმა დებმა აღარ იციან, რა ქნან თქვენზე ფიქრით. დარწმუნებული ვარ, ბოროტი ადამიანები ბლომად დაეხეტებიან ახლა ირგვლივ. ვიღაც მათხოვარი ქალი იყო უკვე. ხედავთ? თურმე არც კი წასულა. აქვე წევს. ადექი ახლავე! ნუთუ არა გრცხვენია! წადი აქედან, გეუბნები!

_ ჰანა, ჰანა! რაღაც მაქვს მაგ ქალთან სათქმელი. თქვენ შეასრულეთ თქვენი მოვალეობა და ის სახლში არ შეუშვით. ახლა, ნება მომეცით, მე შევასრულო ჩემი მოვალეობა და შიგნით შემოვუშვა. ახლოს ვიდექი და ორივეს მოგისმინეთ. ვფიქრობ, ეს რაღაც განსაკუთრებული შემთხვევა უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს, მე უნდა გავერკვე ამ საქმეში. აბა, ახალგაზრდა ქალო, ადექით და შემიძეხით სახლში.

დიდი გაჭირვებით წამოვდექი და დავემორჩილე. იმწუთშივე ბუხართან სულ ახლოს სუფთა და ნათელ სამზარეულოში აღმოვჩნდი. ვკანკალებდი და

ძალა მელეოდა. ვიცოდი, ქარიშხლისაგან ასე განაწამები უცნაურ და საშინელ შთაბეჭდილებას მოვახდენდი მათზე. ორივე ახალგაზრდა ქალი, მათი ძმა სენტ-ჯონი და მოხუცი მსახური, ყველა დაჟინებით მომჩერებოდა.

_ სენტ-ჯონ, ვინ არის ის? _ გავიგონე ერთ-ერთი მათგანის შეკითხვა.

_ ვერ გეტყვით; მე ის კარებთან ვნახე, _ იყო პასუხი.

_ რა ფერმკრთალია, _ თქვა ჰანამ.

_ ისე გაფითრებულია, სიკვდილის ფერი აძევს, _ გამოეპასუხნენ მას, _ სადაცაა წაიქცევა, დავსვათ.

მართლაც, თავბრუ დამეხვა. ვიქცეოდი, მაგრამ სკამი მომაშველეს. გონება ჯერ კიდევ არ დამკარგვოდა, მაგრამ ლაპარაკი არ შემეძლო.

_ იქნებ წყალმა მოასულიეროს. ჰანა, მოიტანე ცოტა წყალი. საცოდავი მთლად ძალაგამოცლილია, რა გამხდარია და სისხლნაკლული!

_ ნამდვილად აჩრდილია!

_ ნეტავ ავადაა თუ მხოლოდ შიმშილისაგან მოუვიდა?

_ საფიქრელია, შიმშილით. ჰანა, ეს რძეა? მომაწოდე და ერთი ნაჭერი პურიც მოიტანე. დიანამ (მე ის გრძელი კულულებით ვიცანი, როდესაც ჩემ წინ დაიხარა, თმებით ისე ჩამოეფარა ცეცხლს, რომ ვეღარ ვხედავდი) მოტეხა პური, რძეში ჩაასველა და ტუჩებთან მომიტანა. მისი სახე სულ ახლოს იყო ჩემთან და შევნიშნე, რომ ზედ სიბრალული ეხატებოდა, თანაც ისე აჩქარებით სუნთქავდა, ვიგრძენი, თანამიგრძნობდა კიდეც. ასეთივე იყო მისი სულ უბრალოდ წარმოთქმული სიტყვებიც, თითქოს ტკივილების დამაყუჩებელი სითბოთი ნათქვამი: _ სცადეთ, აბა, იქნებ შეჭამოთ.

_ დიახ, უნდა სცადოთ, _ გაიმეორა მერიმ ალერსიანად. მანვე მომხადა სველი ქუდი და თავი ამიწია. რაც შემომთავაზეს, უარი არ მითქვამს, გემო გავუსინჯე, თუმცა პირველად უსიცოცხლოდ, მაგრამ შემდეგ კი მოუთმენლად.

_ ამდენი ერთად საჭირო არ არის, შეაჩერეთ, _ თქვა ძმამ, _ ამჯერად უკვე საკმარისია, _ და მან რძიანი ფინჯანი და პურის თეფში იქით გასწია.

_ ცოტა კიდევ მივცეთ, სენტ-ჯონ, შეხედეთ, რა დამშეული თვალით გვიყურებს.

_ მეტი არ შეიძლება უცებ, ჩემო კარგო. აბა, სცადე, რაიმე ათქმევინო, სახელი ჰკითხე.

ვგრძნობდი, ლაპარაკი შემეძლო და ვუპასუხე: _ ჩემი გვარი და სახელი ჯეინ ელიოტია.

ვშიშობდი, ჩემი ვინაობა არ გამომჟღავნებულიყო და გადავწყვიტე, რაიმე გამოგონილი სახელი და გვარი მეთქვა.

_ სად ცხოვრობ? სადა გყავს მეგობრები?

ვდუმდი.

_ შეიძლება ვინმე შენს ახლობელთან გავგზავნოთ მოსაყვანად?

თავი გავიქნიე.

_ რა შეგიძლია გვითხრა შენს შესახებ?

რაკი, როგორც იყო, ამ სახლის ზღურბლზე ფეხი დავადგი და მის პატრონებს პირისპირ შევხვდი, ჩემს თავს დევნილ მაწანწალად და ამ ვრცელი ქვეყნიერებისაგან უარყოფილად აღარ ვგრძნობდი. მათ მათხოვრად აღარ ვეჩვენებოდი და გავიფიქრე, კვლავ აღმედგინა ჩემი ჩვეულებრივი ქცევები და თვისებები. როდესაც კარგად გონს მოვედი, მისტერ სენტ-ჯონმა მთხოვა ჩემს თავზე რაიმე მეამბნა. იმდენად სუსტად ვიყავი, რომ იმ წუთში ამას ვერ შევძლებდი და მცირეოდენი დაყოვნების შემდეგ ვუპასუხე:

_ სერ, ამ საღამოს დაწვრილებით ვერაფერს გიამბობთ.

_ მაშ, _ მითხრა მან, _ რით შემიძლია კიდევ გემსახუროთ?

_ გმადლობთ. არაფერი არ არის საჭირო. _ ვუპასუხე მე. მხოლოდ ასეთი მეტად მოკლე პასუხებისთვისღა მყოფნიდა ძალა.

დიანა საუბარში ჩაერია.

_ ნუთუ ის გინდათ თქვათ, _ მკითხა მან, _ რომ ჩვენ აღმოგიჩინეთ ისეთი დახმარება, რასაც მოითხოვდით ჩვენგან და ახლა ამ წვიმასა და ბნელ შამბნარით დაფარულ გაუვალ გზაზე შეიძლება გაგიშვათ მარტოდმარტო?

დიანას გადავხედე და გავიფიქრე, რომ მას სახის შესანიშნავი გამომეტყველება ჰქონდა. მასზე როგორც ნებისყოფას, ისე სიკეთეს ამოიკითხავდით. უეცრად ძალა მოვიკრიბე, მის გულშემატკივარ მზერას ღიმილი შევაგებე და ვუთხარი: _ მე თქვენ გენდობით, უპატრონო, მაწანწალა ძაღლიც რომ ვიყო, ვიცი, სახლიდან ასეთ ღამეში გარეთ აღარ გამაგდებთ. არაფრის შიში აღარა მაქვს, ისე მომექეცით, როგორც გენებოთ და როგორც ფიქრობთ. ბოდიშს ვიხდი, რომ დიდხანს ვერ გესაუბრებით და ბევრი ლაპარაკის ძალაც არ შემწევს. სუნთქვა მიმძიმს და ყელის ძარღვები მეჭიმება, როდესაც ვლაპარაკობ.

სამივემ გადმომხედა და დადუმდნენ.

_ ჰანა,_ უთხრა მისტერ სენტ-ჯონმა ბოლოს, _ აქ იჯდეს და ცოტა ხანს შეკითხვებს ნუ მისცემ. ათი წუთის შემდეგ დარჩენილი რძე და პური მიეცი. მერი, დიანა, წავიდეთ სასტუმრო ოთახში და ამ ამბავზე იქ მოვილაპარაკოთ!

გავიდნენ. ერთი ახალგაზრდა ქალთაგანი მალევე უკან შემობრუნდა, არ ვიცი, რომელი მათგანი, რადგან მხიარულად მოგიზგიზე ცეცხლის გვერდით გარინდებული ვიჯექი. მან რაღაც უბრძანა ჰანას. მალე მსახურის დახმარებით იმდენი მოვახერხე, კიბეზე ავედი. ამოწკუმპლული, სველი ტანსაცმელი გამხადეს და თბილსა და მშრალ საწოლში ჩამაწვინეს. ღმერთს მადლობა შევწირე. ენით გამოუთქმელ სისუსტეს ვგრძნობდი, მაგრამ მათდამი მადლიერების გრძნობამ სიხარულით ამანთო და მალეც ჩამეძინა.

თავი XXIX

რა მოხდა შემდეგი სამი დღე-ღამის განმავლობაში, ბუნდოვნად მახსოვს. მახსენდება მხოლოდ რამდენიმე შეგრძნება. არც ფიქრი და არც მოძრაობა არ

შემეძლო. მაგონდება, პატარა ოთახში ვიწრო საწოლში ვიწექი. ასე მეგონა, ამ საწოლს შევეზარდე-მეთქი. გაქვავებულივით ვიყავი. ლოგინიდან მოშორება თითქმის ჩემს სიკვდილს ნიშნავდა. დროის შეგრძნება დავკარგე: ვერ ვამჩნევდი, როგორ იცვლებოდა დილა შუადღით, შუადღე _ საღამოთი. მხოლოდ იმას ვგრძნობდი, ვინმე თუ შემოვიდოდა ოთახში, ან გავიდოდა. იმასაც გეტყოდით, ვინ იყვნენ ისინი; თუ მოსაუბრე იქვე ჩემთან ახლოს იყო, მესმოდა, რასაც მეუბნებოდნენ, მაგრამ პასუხის გაცემის თავი არა მქონდა. ძალა არ შემწევდა გამეხსნა ბაგენი ან თუნდაც გავნძრეულიყავი. ჰანა, მოსამსახურე ქალი, ჩემი ყველაზე ხშირი სტუმარი იყო. მისი შემოსვლა მაწუხებდა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ჩემი თავიდან მოშორება სურდა; ვგრძნობდი, ჩემი არ ესმოდა და არც ჩემს მდგომარეობას უწევდა ანგარიშს; არ მოვწონდი, რადგან ცუდს ფიქრობდა ჩემზე. დიანა და მერი ერთხელ, ხან ორჯერ შემოვიდოდნენ ჩემს ოთახში, საწოლთან მოვიდოდნენ და ჩურჩულით გააბამდნენ ასეთ საუბარს:

_ კიდევ კარგი, რომ შევიფარეთ.

_ დიახ, უთუოდ მეორე დილით მკვდარს ვნახავდით კარებთან, მთელი ღამე გარეთ რომ დარჩენილიყო. ნეტავ, რა გადახდა?

_ ჩემი აზრით, რაღაც დიდი გაჭირვება გადაუტანია, საბრალო, ღონემიხდილი და ფერდაკარგული მოხეტიალე.

_ მისი საუბრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, განათლებული ადამიანი ჩანს. დახვეწილად ლაპარაკობს. გახდილი ტანისამოსიც, მართალია, ტალახშია ამოსვრილი და შეწუწული, მაგრამ ახალია და ძვირფასი.

_ ძალიან თავისებური სახე აქვს. გამხდარი და დაქანცული, მაგრამ მომწონს კიდეც. წარმომიდგენია, რა სასიამოვნო იქნებოდა, როდესაც არაფერი აწუხებდა და სიცოცხლე ჩქეფდა მასში.

მათ საუბარში ერთხელაც, ერთი სიტყვითაც კი არ იგრძნობოდა სინანული, რომ სტუმართმოყვარე ხელი გამომიწოდეს. არ შემიმჩნევია რაიმე ეჭვი ან სიძულვილი ჩემდამი. ეს მამშვიდებდა.

მისტერ სენტ-ჯონი მხოლოდ ერთხელ შემოვიდა. დამხედა და შემდეგ განაცხადა, რომ ჩემი ავადმყოფური მდგომარეობა ხანგრძლივი და მეტად დიდი გადაქანცვის შედეგი იყო. მისი აზრით, არც ექიმის მოყვანა წარმოადგენდა აუცილებლობას. დარწმუნებული იყო, ბუნება ყველაზე კარგი მკურნალი იქნებოდა ჩემთვის. ისიც დასძინა: «მისი თითოეული ნერვი მეტისმეტად დაძაბულია და მთელი ორგანიზმი რამდენიმე ხანს სრულიად დამშვიდებულ მდგომარეობაში უნდა იყოს». არავითარი ავადმყოფობა. მისი აზრით, როგორც კი გამოჯანმრთელებისკენ ერთხელ პირს ვიზამდი, ძალიან მალე კარგად გავხდებოდი. ეს თავისი მოსაზრებანი რამდენიმე სიტყვით მშვიდად და დაბალი ხმით წარმოთქვა. ცოტა ხნის შემდეგ სიტყვაძვირი ადამიანის კილოთი დაუმატა, _ საკმაოდ უჩვეულო სახეა. არავითარი ზნედაცემულობა და გარყვნილება არ იგრძნობაო.

_ პირიქით, _ გამოეხმაურა დიანა. _ მართალი გითხრა, სენტ-ჯონ, ამ პატარა, საცოდავი არსებისადმი რაღაც თბილი გრძნობაც გამიჩნდა, ნეტავ შემეძლოს, სულ მუდამ ჩვენი მფარველობის ქვეშ გვყავდეს.

_ ეს საეჭვოა, _ გაისმა პასუხად. _ მალე გავიგებთ, რომ ამ ახალგაზრდა ლედის ლაპარაკი მოუვიდა თავის მეგობრებთან და ალბათ დაუფიქრებლად მიატოვა ისინი. იქნებ დავუბრუნოთ კიდეც თავის მეგობრებს, თუ, რასაკვირველია, არ გაჯიუტდა. მის სახეზე ისეთი ნებისყოფის გამომხატველ ხაზებს ვამჩნევ, ეჭვი მეპარება, დავიყოლიოთ.

ის იდგა და რამდენიმე წუთს მაკვირდებოდა. შემდეგ კვლავ დაუმატა:

_ გონიერი სახე აქვს, მაგრამ ულამაზო.

_ ახლა ხომ ძალიან ავად არის, სენტ-ჯონ.

_ ავად იქნება თუ კარგად, მის სახეს არასოდეს არ ექნება ის ჰარმონიულობა და სინარნარე, რაც სილამაზეს ქმნის.

მესამე დღეს ცოტა მოვიხედე. მეოთხე დღეს შევძელი ლაპარაკი, მოძრაობა, საწოლში წამოჯდომა და გადაბრუნება. ჰანამ ფაფა და გაფიცხებული პური შემომიტანა, ვგონებ, დაახლოებით სადილობისას. სიამოვნებით შევექეცი. საჭმელი გემრიელი მეჩვენა. მას უკვე აღარ ჰქონდა სიცხისგან გამოწვეული ცუდი გემო, რომელიც ადრე ყოველ ლუკმას მიმწარებდა. ჰანა წავიდა. ვიგრძენი, ღონე და ენერგია მომმატებოდა. მომბეზრდა ლოგინში ასე დიდხანს წოლა. მსურდა გავნძრეულიყავი, საქმე გამეკეთებინა; მინდოდა წამოდგომა. მაგრამ რას ჩავიცვამდი? მხოლოდ ჩემს ნოტიოსა და მთლად ტალახში ამოსვრილ კაბას. იმ კაბით მეძინა დედამიწაზე და ჭაობში იმით ჩავვარდი. მრცხვენოდა, ჩემს კეთილისმყოფელებს ასეთ სამოსში ვჩვენებოდი, მაგრამ ამ დამცირებისგან მიხსნეს.

ჩემს საწოლთან იქვე, სკამზე, ყველა ჩემი ჩასაცმელი დაეწყოთ მშრალი და გაწმენდილი, შავი აბრეშუმის კაბა კედელზე ეკიდა. არც ემჩნეოდა, ჭაობში იმით რომ ჩავვარდი. ერთი ადგილიც არ ჰქონდა ოდნავ დაჭმუჭნილი, ისე კარგად გაეუთოებინათ. სველი ფეხსაცმელები და მაღალყელიანი წინდებიც გაესუფთავებინათ და ჩაცმის მეტი არაფერი უნდოდა. პირის დასაბანი თასიც დაედგათ ოთახში; თმის ჯაგრისიც და სავარცხელიც არ დავიწყებოდათ. როგორც იქნა, ჩავიცვი, თუმცა მალე ვიღლებოდი, ყოველ ხუთ წუთში ვისვენებდი. ტანსაცმელი ზედ მეკიდა, იმდენად გავმხდარიყავი. ამ ნაკლის დასაფარავად შარფი მოვიხურე. კვლავ ჩვეულებრივად სუფთად და სათანადოდ ჩაცმული, _ ისე, რომ არ მქონდა ჭუჭყის არც ერთი ლაქა და უწესრიგობის ნიშანწყალი არ მეტყობოდა, _ ქვის კიბეებით დაბლა ჩავედი. მოაჯირს ვეყრდნობოდი. გავიარე ვიწრო, დაბალჭერიანი ტალანი და სამზა-რეულოს მივადექი.

ახლად გამომცხვარი პურისა და ცეცხლის სასიამოვნო სუნი ვიგრძენი. ჰანა აცხობდა. ყველასათვის ცნობილია, რაოდენ ძნელია ცრურწმენის აღმოფხვრა იმ ადამიანთა გულიდან, რომელთაც განათლების ნათელი არ მოჰფენიათ. ისინი სარეველა ბალახებს ჰგვანან, შეუპოვრად რომ იზრდებიან ქვებს შორის.

თავდაპირველად ჰანა ცივად და უხეშად შემხვდა. შემდეგ ცოტათი მოლბა, ხოლო როდესაც წესიერად და სუფთად ჩაცმული დამინახა, გამიღიმა კიდეც.

_ როგორ, უკვე ადექით? _ მკითხა. _ მაშ, უკეთ ხართ. თუ გნებავთ, ჩემს სკამზე დაჯექით, ბუხართან.

მან მიმითითა სკამზე. დავჯექი. ის ფუსფუსებდა და თან დროდადრო ცალი თვალით მათვალიერებდა. ღუმელიდან პური გამოიღო, მომიბრუნდა და პირდაპირ მომახალა:

_ სანამ აქ მოხვიდოდით, მოწყალებას თხოულობდით?

ერთ წუთს აღშფოთებამ შემიპყრო. მაგრამ მივხვდი, გაბრაზება არ შეიძლებოდა. მართლაც, მათხოვარივით მივადექი მათ კარებს. თავი შევიკავე და მშვიდად ვუპასუხე. ჩემს ხმაში გარკვეული სიმტკიცე მაინც ჩანდა.

_ თქვენ ცდებით, მათხოვარი რომ გგონივართ. მე ისევე არა ვარ მათხოვარი, როგორც თქვენ ან თქვენი ქალბატონები.

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ჰანამ დაუმატა:

_ არაფერი მესმის. ვგონებ, არც სახლი უნდა გქონდეთ და არც ბრჭყვიალა ლითონი.

_ თუ ადამიანს სახლი და ლითონი არა აქვს (ვგონებ, ლითონში ფულს გულისხმობთ), ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის მათხოვარია. თუმცა თქვენ ასე გესმით.

_ ნასწავლი ხართ? _ მკითხა ამის შემდეგ.

_ დიახ.

_ მაგრამ სკოლაში ალბათ არასოდეს გისწავლიათ?

_ რვა წელს ვსწავლობდი სასწავლებელში.

ამის გაგონებაზე თვალები ჭყიტა.

_ მაშ, რატომ არ შეგიძლიათ თავის რჩენა?

_ თავს ვირჩენდი და იმედი მაქვს, მომავალშიც ასე იქნება. რის გაკეთებას აპირებთ ამ ხურტკმელით? _ ვკითხე, როდესაც ჰანამ ხილით სავსე კალათი გადმომიღო.

_ ნამცხვრის.

_ მომეცით და გაგირჩევთ.

_ არა. არ მინდა საქმე გაგაკეთებინოთ.

_ რაღაც ხომ უნდა ვაკეთო. მომეცით.

დამეთანხმა. სუფთა პირსახოციც კი მომიტანა კაბაზე გადასაფარებლად, რომ, როგორც მან თქვა კაბა არ გამჭუჭყიანებოდა.

_ ხელებზე გემჩნევათ, მოსამსახურეთა შრომა უცნობია თქვენთვის. მკერავი ხართ?

_ არა, ცდებით, ჰანა. ნუ ცდილობთ გაიგოთ ვინ ვიყავი. თავს ნუ შეიწუხებთ ამაზე ფიქრით. ახლა მითხარით, რა ჰქვია ამ ადგილს, სადაც ჩვენა ვართ?

_ ზოგი მას მარშენდს უწოდებს და ზოგი კიდევ მურჰაუსს.

_ იმ ჯენტლმენს, აქ რომ ცხოვრობს, სენტ-ჯონი ჰქვია?

_ არა, ის აქ არ ცხოვრობს. ცოტა ხნით არის ჩამოსული. ის მორტონში ცხოვრობს თავის სამრევლოში.

_ ეს სოფელი რამდენიმე მილითაა დაშორებული, არა?

_ დიახ.

_ ვინ არის სენტ-ჯონი?

_ მღვდელია.

გამახსენდა მღვდლის სახლის მოხუცი მნეს პასუხი, როდესაც ვთხოვე, მენახა სულიერი მამა.

_ მაშ, ეს მამამისის სამფლობელოა?

_ დიახ, აქ მოხუცი მისტერ რივერსი ცხოვრობდა. მისი მამა, მამის მამა და მის წინ კი დიდი პაპა.

_ მაშ, იმ ჯენტლმენის გვარი და სახელი მისტერ სენტ-ჯონ რივერსია?

_ დიახ, სენტ-ჯონი მისი ნათლობის სახელია.

_ მისი დები კი დიანა და მერი რივერსები არიან?

_ დიახ.

_ მამა მკვდარი ჰყავთ?

_ სამი კვირაა, რაც დამბლისაგან გარდაიცვალა.

_ დედა არა ჰყავთ?

_ ამ სახლის დიასახლისი უკვე მრავალი წელია, რაც მოკვდა.

_ დიდი ხანია ამ ოჯახში ცხოვრობთ?

_ უკვე ოცდაათი წელია. სამივე ჩემი გაზრდილია.

_ ეს ამტკიცებს, რომ პატიოსანი და ერთგული მსახური ყოფილხართ, თამამად შემიძლია ვთქვა, თუმცა თქვენ უზრდელობა გამოიჩინეთ და მათხოვარი მიწოდეთ.

კვლავ განცვიფრებით მომაშტერდა.

_ მე მეგონა, _ თქვა მან, _ მცდარი აზრის ვიყავი თქვენს შესახებ. მაგრამ იმდენი უპატიოსნო ადამიანი დაეხეტება ამქვეყნად, რომ უნდა მაპატიოთ.

_ და თუმცა, _ განვაგრძობდი საკმაოდ მკაცრად, _ ჩემი განდევნაც კი გინდოდათ იმ ღამეს, როდესაც ადამიანი ძაღლსაც არ გაიმეტებდა გარეთ გასაგდებად.

_ მართალია, ძალიან ცუდად მომივიდა. მაგრამ რას იზამთ? ჩემი თავი არ მადარდებდა, ბავშვებზე ვფიქრობდი. საწყლები! მათ ამქეყნად ჩემ გარდა არავინ ჰყავთ მიმხედავი. ძალაუნებურად მკაცრი უნდა ვიყო.

რამდენიმე ხანს უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

_ ცუდად ნუ გამიგებთ, _ კვლავ მომმართა მან.

_ მაგრამ მაინც ცუდი აზრის ვარ თქვენზე, _ ვუპასუხე. _ და გეტყვით, რატომ: იმიტომ კი არა, რომ არ გინდოდათ შეგევრდომებინეთ და მატყუარად ჩამთვალეთ, არამედ იმიტომ, რომ ახლახან მისაყვედურეთ, «ლითონი» და სახლი არ გაგაჩნიაო. ამქვეყნად ძალიან ბევრი კარგი ადამიანია ჩემსავით გაჭირვებული და თქვენ თუ ქრისტიანი ხართ, სიღარიბე დანაშაულად არ უნდა მიიჩნიოთ.

_ აღარც მივიჩნევ, _ მითხრა მან. _ ამასვე მეუბნება ხოლმე სენტ-ჯონი. ახლა ვხედავ, ის მართალია და მე ვცდებოდი. თქვენზე სულ სხვა აზრისა ვარ ახლა. მართლაცდა, პატარა კეთილი არსება ხართ.

_ მაშ, კარგი. გაპატიებთ. მოდით ხელი ჩამოვართვათ ერთმანეთს.

მან თავისი ფქვილიანი და დაკოჟრილი ხელი ჩამომართვა. უხეში სახე თბილმა, კეთილმა ღიმილმა გაუნათა. იმ წუთიდან ჩვენ დავმეგობრდით.

ჰანას, როგორც ჩანს, ლაპარაკი უყვარდა. ვიდრე მე ხილს ვარჩევდი და ის ნამცხვრის ცომს ზელდა, დაწვრილებით მიამბო თავის განსაკუთრებულ ბატონსა და ქალბატონზე; «ბავშვებზე», როგონც ის სენტ-ჯონს, დიანასა და მერის უწოდებდა.

მოხუცებული მისტერ რივერსი, როგორც მან მიამბო, ძალიან უბრალო ადამიანი ყოფილა. მაგრამ ნამდვილი ჯენტლმენი; თანაც უძველესი ოჯახიშვილი. მარშენდი ორასი წელია რაც აუშენებიათ და დღიდან არსებობისა რივერსებს ეკუთვნოდა. მართალია, _ მიამბობდა ჰანა, _ გარეგნულად ეს პატარა, წყნარი სახლია და არაფრით არ ჰგავს მისტერ ოლივერის სასახლეს მორტონ ვეილში, მაგრამ ისიც კარგად მახსოვს, _ განაგრძობდა ის, _ ბილ ოლივერის მამა როგორ მუშაობდა დღიურ მუშად ნემსების დამამზადებელ ქარხანაში მაშინ, როდესაც რივერსები ჯერ კიდევ მეფე ჰენრიხ VIII დროს აზნაურთა გვარს ეკუთვნოდნენ თურმე. ამაში ყველა დარწმუნდება, თუ სარეგისტრაციო დავთარს დაათვალიერებს, რომელიც მორტონის ეკლესიაში ინახება. _ აქ ის შეჩერდა და შემდეგ კვლავ მოჰყვა: _ მოხუცი რივერსი თავის წინაპრებს ჰგავს. ისევე, როგორც მის წინაპრებს, მასაც გატაცებით უყვარდა ნადირობა, მამულის მოვლა და სხვა ამგვარი საქმიანობა. ქალბატონი სრულიად განსხვავდებოდა მისგან. ის კითხვის დიდი მოყვარული იყო და ყოველთვის სწავლობდა. ბავშვებიც მას დაემსგავსნენ, ამ მხარეში მათ არავინ ჰგავს, _ მიამბობდა ჰანა. _ როგორც კი ლაპარაკი შეძლეს, მეცადინეობა შეიყვარეს. სულ რაღაცას სწავლობდნენ და ყოველთვის გამოირჩეოდნენ. მისტერ სენტ-ჯონი წამოიზარდა თუ არა, კოლეჯში მიაბარეს და მღვდლად აკურთხეს; ხოლო გოგონებმა სასწავლებლის დამთავრებისთანავე, აღმზრდელებად დაიწყეს მუშაობა, რადგან, როგორც მათ უთხრეს ჰანას, მოხუცებულ მისტერ რივერსს რამდენიმე წლის წინ უამრავი ფული დაუკარგავს ერთი ადამიანის გამო, რომელსაც ენდობოდა. იმ ადამიანს თავი გაკოტრებულად გამოუცხადებია. მოხუცებულ რივერსს უკვე აღარ შეეძლო გოგონებისთვის მათი წილი ქონება დაეტოვებინა და ამიტომ მათ თვით უნდა ეზრუნათ თავიანთ თავზე. დები აქ თითქმის არ ცხოვრობდნენ, _ თქვა ერთგულმა მსახურმა: _ ახლაც მამის გარდაცვალების გამო არიან რამდენიმე კვირით ჩამოსულნი. ისე კი მათ ძალიან უყვართ მარშ-ენდი, მორტონი, ირგვლივ მდებარე მანანით მოფენილი ადგილები და გორაკები. ყოფილან ლონდონსა და ბევრ სხვა დიდ ქალაქში, მაგრამ ყოველთვის იმას ამბობდნენ, რომ მათ მშობლიურ სახლს ვერაფერი შეედრება. ერთმანეთშიც ისე კარგად არიან შეხმატკბილებულნი, არასოდეს გამოდიან მოთმინებიდან

და არც არასოდეს კინკლაობენ. არსად მეგულება კიდევ ასეთი წყნარი ოჯახი, _ დაამთავრა ჰანამ თხრობა.

ამ დროისათვის მეც მოვრჩი ხილის გარჩევას და ვკითხე, სად არიან დები ან მათი ძმა-მეთქი.

_ სასეირნოდ წავიდნენ მორტონისკენ. მაგრამ ალბათ საუზმისთვის ნახევარ საათში უკვე დაბრუნდებიან.

მართლაც, ისინი ჰანას მიერ დათქმული დროისთვის დაბრუნდნენ. სამზარეულოს კარებით შემოვიდნენ. მისტერ სენტ-ჯონმა დამინახა თუ არა, თავი ოდნავ დამიკრა და ჩამიარა. ქალიშვილები შეჩერდნენ. მერიმ რამდენიმე სიტყვით წყნარად და გულთბილად გამოხატა სიამოვნება, რომ უკვე ასე კარგად ვარ და შევძელი დაბლა ჩამოსვლა. დიანამ ხელი ჩამომართვა და თავი გააქნია.

_ უნდა დაგეცადათ, ვიდრე ნებას დაგრთავდით, რომ ჩამოსულიყავით, _ მითხრა მან. _ ჯერ კიდევ ფერწასული და გამხდარი ხართ! საბრალო გოგონა! საწყალი ბავშვი!

დიანას ხმა მტრედის ღუღუნივით მესმოდა. მისი მზერა უზომო სიამოვნებას მგვრიდა. სახე მომხიბვლელი მეჩვენებოდა. მერის ჭკვიანური გამომეტყველება ჰქონდა, სახის ნაკვთებიც ლამაზი, მაგრამ გულჩათხრობილი იყო. საკმაოდ ნაზად, მაგრამ თავდაჭერილად იქცეოდა. დიანას გამოხედვასა და ლაპარაკში იგრძნობოდა რაღაც ძალა. ეტყობოდა, დიდი ნებისყოფის პატრონი უნდა ყოფილიყო. ნამდვილად მსიამოვნებდა, რომ ეს გოგონა თავისი სიძლიერით მიმორჩილებდა. ასეთი იყო ჩემი ბუნება: ძლიერი ნებისყოფის წინაშე თავს ვხრიდი, მხოლოდ თუ ეს ჩემს სინდისს და თავმოყვარეობას არ შეურაცხყოფდა.

_ აქ რას აკეთებთ? _ განაგრძობდა ის. _ აქ არ არის თქვენი ადგილი. მერი და მე ზოგჯერ ჩამოვდივართ აქ, რადგანაც ჩვენს სახლში თავისუფლებით ვსარგებლობთ და თავს ამის ნებას ვაძლევთ. მაგრამ თქვენ სტუმარი ხართ და სასტუმრო ოთახში უნდა შეხვიდეთ.

_ აქ კარგად ვგრძნობ თავს.

_ სრულებითაც არა. ჰანა აქ საქმიანობს და ფქვილი გეყრებათ.

_ გარდა ამისა, აქ თქვენთვის ცხელა კიდეც, _ ჩაურთო მერიმ.

_ რასაკვირველია, _ დაუმატა მისმა დამ. _ წამოდით. უნდა დამემორჩილოთ. _ ხელი არ გაუშვია, ისე ამაყენა და შიგნით ოთახში შემიყვანა.

_ აქ დაჯექით, _ მითხრა და დივანზე დამსვა. _ ვიდრე კაბებს გამოვიცვლით და ჩაის მოვამზადებთ. ამ უპირატესობითაც ვსარგებლობთ ამ ჩვენს პატარა, ჭალებით გარშემორტყმულ სახლში. თვით ვამზადებთ საჭმელს, როდესაც ეს გვსურს, ან, როდესაც ჰანას არ სცალია: აცხობს, ლუდს ხდის, რეცხავს ან აუთოებს.

მან კარი გაიხურა და სენტ-ჯონთან მარტო დამტოვა. სენტ-ჯონი ჩემ პირდაპირ იჯდა. ხელში წიგნი თუ გაზეთი ჰქონდა. მე ჯერ სასტუმრო ოთახი შევათვალიერე და შემდეგ მისი პატრონი.

სასტუმრო ოთახი პატარა იყო, უბრალო ავეჯით მოწყობილი. მაგრამ საკმაოდ მყუდრო, რადგან აქ სისუფთავე და წესრიგი სუფევდა. ძველებური სავარძლები ბრწყინავდნენ, ხოლო კაკლის ხისგან დამზადებული მაგიდა სარკესავით პრიალებდა. შეღებილ კედლებს გარდასულ დროთა რამდენიმე უცნაური მამაკაცისა და ქალის სურათი ამშვენებდა. შუშის კარებიან კარადაში წიგნები და ძველებური ფაიფურის ჭურჭელი მოჩანდა. ოთახში ზედმეტი არაფერი იდგა. არავითარი ახალი ავეჯი, გარდა ორი დაწნული სამუშაო კალათისა და ვარდის ხისგან დამზადებული საწერი მაგიდისა გოგონებისათვის, რომელიც მოშორებით იდგა. ყველაფერი, თვით ხალიჩებიც და ფარდებიც, დიდი ხნის ჩანდა, მაგრამ კარგად მოვლილი იყო.

მისტერ სენტ-ჯონი კედელზე ჩამოკიდებულ ფერგადასულ სურათს მიაგავდა. ხმას არ იღებდა და წიგნს წუთით თვალს არ აცილებდა. მთელი გულისყურით კითხულობდა. ბაგეები მოეკუმა. ადამიანის ნაცვლად ქანდაკება რომ ყოფილიყო ჩემ წინ, ალბათ, ამაზე ადვილად ვერ დავათვალიერებდი. ახალგაზრდა იყო, ასე დაახლოებით ოცდარვა თუ ოცდაათი წლის: მაღალი, ტანადი, თვალს იტაცებდა მისი ბერძნული სახე, დახვეწილი ნაკვთები, სწორი, კლასიკური ცხვირი, ათენური ბაგეები და ნიკაპი. ძალიან იშვიათად, რომ ინგლისელ ადამიანს ესოდენ ანტიკური გარეგნობა ჰქონოდა. ცხადია, გაოცდებოდა, ჩემი სახის ნაკვთებს შორის არავითარი ჰარმონიულობა რომ არ იყო. მაშინ, როდესაც თვით სრულიად უნაკლო გახლდათ. დიდი და ცისფერი თვალები ჰქონდა და წაბლისფერი წამწამები. მაღალ, სპილოსძვლისფერ შუბლს ოდნავ უფარავდა უდიერად დავარცხნილი ქერა კულულები.

მართლაც, ნაზი სახე აღვწერე, მკითხველო, არა? მაგრამ თვით ამ სახის პატრონი სრულიად არ ტოვებდა ნაზი, დამთმობი, შთაგონებული ან თუნდაც მშვიდი ბუნების ადამიანის შთაბეჭდილებას. უძრავად იჯდა, მაგრამ ცხვირის, პირისა და წარბების მოხაზულობაში ვხედავდი რაღაცას, რაც, ჩემი აზრით, მის დაუდგრომელ, მკაცრ, თუ თავშეუკავებელ ხასიათზე მეტყველებდა. ერთი სიტყვაც არ უთქვამს ჩემთვის, ერთხელაც არ შემოუხედავს, ვიდრე მისი დები დაბრუნდებოდნენ. დიანა ჩაის მზადებით იყო გართული. ის ხან შემოვიდოდა და ხან გავიდოდა ოთახიდან. მალე ღუმელზე მომზადებული ნამცხვრის ნაჭერი შემომიტანა.

_ შეჭამეთ ეს ახლა, ალბათ მოგშივდებოდათ. ჰანა ამბობს, რომ საუზმის შემდეგ ფაფის მეტი არაფერი მოუცია თქვენთვის.

უარი არ მითქვამს, რადგანაც მადა გამღვიძებოდა და მშიოდა. მისტერ რივერსმა ახლა კი დახურა წიგნი, მაგიდას მიუახლოვდა, დაჯდა და თავისი ცისფერი, კალმით ნახატი ლამაზი თვალები მომაპყრო. მათში მოურიდებელი პირდაპირობა გამოსჭვიოდა. მზერა ჰქონდა მტკიცე, სულში ჩამწვდომი. მივხვდი, ის ამდენ ხანს თვალს მარიდებდა არა იმიტომ რომ ვერ ბედავდა, არამედ ასე სურდა.

_ ძალიან მოგშიებიათ, _ მითხრა მან.

_ დიახ, სერ.

ჩემი ჩვეულებაა, მოკლე კითხვას ასევე მოკლედ ვუპასუხო. პირდაპირობას პირდაპირობითვე შევხვდე.

_ ძალიან კარგია თქვენთვის, რომ მაღალი სიცხის გამო ამ უკანასკნელი სამი დღის მანძილზე არ ჭამდით. საშიში იქნებოდა, თავიდანვე კარგი მადა გქონოდათ. ამჟამად კი შეგიძლიათ მიირთვათ. თუმცა ჯერ კიდევ ზომიერად.

_ იმედი მაქვს, დიდხანს არ მომიხდება თქვენს ხარჯზე ცხოვრება, სერ, _ ვუპასუხე თავშეუკავებლად, მეტად უხეშად და უზრდელადაც.

_ არა, _ მითხრა მან ცივად. _ როგორც კი მეტყვით თქვენი მეგობრების მისამართს, მივწერ მათ და შეგეძლებათ შინ დაბრუნება.

_ გულახდილად უნდა გითხრათ, ეს ჩემს ძალას აღემატება: არც სახლი გამაჩნია და არც მეგობრები.

სამივემ შემომხედა, თუმცა არა უნდობლად. მათ მზერაში არ იგრძნობოდა ეჭვი, ის უფრო ცნობისმოყვარეობას ამჟღავნებდა. მაგრამ, მკითხველო, მე მხედველობაში მხოლოდ ქალები მყავს. სენტ-ჯონის თვალებში ვერაფერს წაიკითხავდით, თუმცა ისინი ნათელი იყო. ჩანდა, მათი პატრონი სხვისი ფიქრების მისახვედრად უფრო იყენებდა მათ, ვიდრე საკუთარის გამოსამჟღავნებლად. სხვის სულში ჩაწვდომა და საკუთარი გრძნობების დამალვა კარგად ეთანხმებოდა ერთმანეთს ადამიანის ასაღელვებლად და არა დასამშვიდებლად.

_ გინდათ თქვათ, _ მკითხა მან, _ რომ მთელს ქვეყანაზე არავისთან არაფერი გაკავშირებთ?

_ დიახ. არავისთან არაფერი მაკავშირებს. არც არავითარი უფლება არა მაქვს აქ, ინგლისში, მოვთხოვო ვინმეს თავის ჭერქვეშ მიმიღოს.

_ ეს თქვენს ასაკში მეტად უცნაური ამბავია!

ამის თქმაზე შევნიშნე, მისი მზერა ჩემს ხელებს მისწვდა. ხელები ამ დროს ჩემ წინ, მაგიდაზე მეწყო. გამიკვირდა, რა უნდა-მეთქი, მაგრამ მისმა სიტყვებმა მაშინვე მიმახვედრა.

_ გათხოვილი არ ყოფილხართ? შინაბერა ხართ?

დიანამ გაიცინა.

_ ის ხომ ჯერ ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისაზე მეტის არ იქნება, სენტ-ჯონ, _ თქვა მან.

_ ცხრამეტის ვხდები. მაგრამ გათხოვილი არა ვარ. დიახ, არა.

ვიგრძენი, სახეზე ალმური მომედო. გათხოვების ხსენებამ მწარე და ამაღელვებელი მოგონებები ამიშალა.

სამივემ შემატყო შეშფოთება და აღელვება. დიანამ და მერიმ ჩემს ავარდისფერებულ სახეს თვალი მოარიდეს. ამ მხრივ შვება ვიგრძენი, მაგრამ მათი გულქვა და მკაცრი ძმა თვალს არ მაცილებდა, ვიდრე ამ აღელვებამ სიწითლესთან ერთად არ ამატირა კიდეც.

_ უკანასკნელ დროს სად ცხოვრობდით? _ მკითხა შემდეგ.

_ მეტისმეტად ბევრს ეკითხები, სენტ-ჯონ, _ ჩაილაპარაკა მერიმ დაბალი ხმით. მაგრამ სენტ-ჯონი მაგიდას დაეყრდნო და პასუხს ითხოვდა. მზერა კვლავ მტკიცე და გულში ჩამწვდომი ჰქონდა.

_ სახლი, სადაც ვცხოვრობდი და სახელი იმ ადამიანისა, ვისთანაც ერთად ვცხოვრობდი, ჩემი საიდუმლოა, _ მივუგე მოკლედ.

_ და ეს საიდუმლო, ჩემი აზრით, სრული უფლება გაქვთ არც სენტ-ჯონს უთხრათ და არც რომელიმე სხვას, თუ არ გსურთ, _ შენიშნა დიანამ.

_ მაგრამ თუ არაფერი მეცოდინება თქვენს შესახებ, ვერ დაგეხმარებით, _ წარმოთქვა სენტ-ჯონმა, _ დახმარება კი გჭირდებათ. განა ასე არაა?

_ დიახ, მჭირდება და ვეძებ მას, სერ, ვიდრე რომელიმე კაცთმოყვარე ადამიანი არ აღმომიჩენს ისეთ სამუშაოს, რომელსაც შევძლებ და აღებული გასამრჯელოთი ვიცხოვრებ. ყოველ შემთხვევაში ეს გასამრჯელო ცხოვრების საჭირო მინიმუმისთვის საკმარისი იქნება.

_ არ ვიცი, კაცთმოყვარე ვარ თუ არა, მაგრამ ძალიან მინდა დაგეხმაროთ ამ კეთილ საქმეში, როგორც კი შემეძლება. ამიტომ, უპირველესად ყოვლისა, მითხარით, რას აკეთებდით და რა შეგიძლიათ?

როგორც იქნა, ჩაი გადავყლაპე. სასმელმა მხნეობა დამიბრუნა. იმ ღვინოსავით მომამაგრა, გოლიათს რომ მატებს ხოლმე ძალას. აღელვებული ნერვები დამიმშვიდა. შემაძლებინა ამ სულშიჩამწვდომ ახალგაზრდა მოსამართლის სიტყვებს მტკიცედ დავხვედროდი.

_ მისტერ რივერს, _ მივუბრუნდი მას და ისევე პირდაპირ და მოურიდებლდ ვუმზერდი, როგორც თვითონ მიყურებდა. _ თქვენ და თქვენმა დებმა დიდი სამსახური გამიწიეთ, უდიდესი სამსახური, რომელიც ადამიანს შეუძლია მეორე ადამიანს აღმოუჩინოს. თქვენი კეთილშობილური სტუმართმოყვარეობით სიკვდილისგან მიხსენით. თქვენ მიერ აღმოჩენილი დახმარება მავალდებულებს ვიყო მადლიერი და შეძლებისდაგვარად გულახდილი. ამიტომაც მინდა გიამბოთ იმ მოხეტიალის ამბავი, რომელიც თქვენ შეიფარეთ. გიამბობთ ისე, რომ არ დავირღვიო სულის სიმშვიდე, არ დავიქანცო არც გონებრივად, არც ფიზიკურად და არც სხვები დავქანცო.

_ მე ობოლი ვარ. მღვდლის ქალიშვილი. მშობლები არ მახსოვს. ადრე გარდაცვლილან. ვიზრდებოდი სხვის კარზე. სწავლა-განათლება საქველმოქმედო სასწავლებელში მივიღე. დაგისახელებთ სასწავლებლის სახელს, სადაც რვა წელი დავყავი; ექვსი, როგორც მოსწავლემ და ორიც _ მასწავლებელმა. ეს გახლავთ ობოლ ბავშვთა ლოვუდის თავშესაფარი _ შაირის საგრაფოში. ალბათ გსმენიათ მასზე, მისტერ რივერს? ამ სასწავლებლის მნეა დიდად პატივცემული რობერტ ბროკლჰერსტი.

_ მისტერ ბროკლჰერსტზე გამიგია და თვით სასწავლებელიც მინახავს.

_ დაახლოებით ერთი წლის წინ დავტოვე ლოვუდი და გადავწყვიტე აღმზრდელად დამეწყო მუშაობა. კარგი ადგილი ვიშოვე და ბედნიერიც ვიყავი. აი, ამ ოჯახის დატოვება მომიხდა ამ ოთხი დღის წინ, ვიდრე აქ მოვიდოდი. წამოსვლის მიზეზს ვერ გეტყვით და არც უნდა გითხრათ. ამის

თქმა უსარგებლოა და სახიფათოც. ალბათ დაუჯერებლადაც მოგეჩვენებათ. ამ საქმეში ბრალი არა მაქვს. ისევე უდანაშაულო ვარ, როგორც თქვენ სამიდან რომელიმე თქვენგანი. ერთი ცხადია _ უბედური ვარ და რამდენიმე ხანს კიდევ ასე ვიქნები, რადგანაც საშინელმა, უცნაურმა უბედურებამ გამომაგდო მე იმ სახლიდან, სადაც ოდესღაც სამოთხე ვიპოვე. მხოლოდ ორი რამ მამოძრავებდა: რაც შეიძლება, სწრაფად დამეტოვებინა იქაურობა და ფარულად. ამისთვის იძულებული ვიყავი ყველაფერი, რაც გამაჩნდა, დამეტოვებინა და თან მხოლოდ პატარა ბოხჩა წამომეღო. ისიც გონებაარეულს სიჩქარით იმ ეტლში დამრჩა, უიტკროსში რომ მომიყვანა. ასე რომ, ამ არემარეში სრულიად უფულოდ აღმოვჩნდი. ორი ღამე ღია ცის ქვეშ მეძინა. ორი დღე ისე დავეხეტებოდი, რომ არც ერთი ბინის ზღურბლზე ფეხი არ გადამიდგამს. ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ ვჭამე საჭმელი; და სწორედ იმ დროს, როდესაც შიმშილმა, სისუსტემ და სასოწარკვეთილებამ სიკვდილის პირას მიმიყვანა, თქვენ, მისტერ რივერს, არ დაუშვით, რომ გაჭირვებით სული ამომსვლოდა და თქვენ ჭერქვეშ მომეცით ბინა. კარგად ვიცი, რაც თქვენმა დებმა გააკეთეს ჩემთვის; ჩემს, თითქოსდა გულწასულ მდგომარეობაში გონი წუთითაც არ დამიკარგავს. უზომოდ მადლიერი ვარ თქვენი დების უშუალო, ჭეშმარიტი, კეთილი თანაგრძნობისა და თქვენი ღვთიური ქველმოქმედებისა.

_ მეტს ნუღარ ალაპარაკებთ, სენტ-ჯონ. _ უთხრა დიანამ, როდესაც შევჩერდი. _ რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ შეიძლება მისთვის აღელვება. ახლა მოდით და დივანზე დაჯექით, მის ელიოტ.

ჩემდა უნებურად შევცბუნდი ამ გამოგონილი სახელის გაგონებაზე. უკვე დამავიწყდა ჩემი ახალი გვარი. მისტერ რივერსს, რომელსაც, როგორც ჩანს, არაფერი გამოეპარებოდა, არც ეს დარჩენია შეუმჩნეველი.

_ თქვენ თქვით, რომ თქვენ ჯეინ ელიოტი ხართ, _ შენიშნა მან.

_ დიახ, ასეა, ეს ის სახელია, რომელიც უნდა მერქვას ამჟამად. ეს არ არის ჩემი ნამდვილი გვარი. ამიტომაც მეხამუშა მისი გაგონება.

_ თქვენს ნამდვილ სახელსა და გვარს, რასაკვირველია, არ გვეტყვით?

_ არა. ყველაზე მეტად გამჟღავნების მეშინია ამქვეყნად. ამიტომ მისკენ ყოველ საშუალებას ვსპობ.

_ თქვენ სრულიად მართალი ხართ, დარწმუნებული ვარ. _ თქვა დიანამ. _ ახლა კი, გთხოვ, ძმაო, ცოტა ხანს დაანებეთ თავი, რომ დამშვიდდეს.

მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მან კვლავ უშფოთველად, ისეთივე სულში ჩამწვდომი მზერით განაგრძო:

_ თქვენ ალბათ არ მოინდომებთ დიდხანს ისარგებლოთ ჩვენი სტუმართმოყვარეობით. როგორც ვხედავ, ალბათ მოისურვებთ, რაც შეიძლება მალე გაითავისუფლოთ თავი ჩემი დების ზრუნვისაგან და ყველაზე მეტად ჩემი ქველმოქმედებისაგან (კარგად მესმის ეს სხვაობა და არც შეურაცხყოფილი ვარ. ეს ასეც უნდა იყოს). თქვენ გინდათ თავისუფალი იყოთ ჩვენგან?

_ დიახ, ასეა, აკი გითხარით კიდეც. მიჩვენეთ, როგორ ვიშრომო ან როგორ ვეძებო სამუშაო. სულ ეს არის ჩემი თხოვნა ახლა. როცა ვიშოვი, ნება მომეცით,

თუნდაც უღარიბესი ქოხი იყოს, მაინც წავიდე. მანამდე კი ნება დამრთეთ დავრჩე აქ. შიშის ზარს მცემს, რომ კვლავ უსახლკაროდ და უგროშოდ ხეტიალი მომიხდეს.

_ რასაკვირველია, უნდა დარჩეთ, _ მითხრა დიანამ და თავისი თეთრი ხელი თავზე გადამისვა.

_ უნდა დარჩეთ, _ გაიმეორა მერიმ იმ ფარული გულწრფელობით, რომელიც მას სჩვეოდა.

_ თქვენ ხედავთ, ჩემს დებს დიდ სიამოვნებას ანიჭებს თქვენზე ზრუნვა, _ წარმოთქვა სენტ-ჯონმა, _ ასევე სასიამოვნო იქნებოდა მათთვის ზამთრის ყინვიან ქარისგან ბუდიდან დამფრთხალი, გათოშილი ბეღურის მოვლა-პატრონობა. თავი რომ ირჩინოთ, ძალ-ღონეს არ დავზოგავ ამისთვის, მაგრამ იცოდეთ: ჩემი შესაძლებლობანი ძალიან შეზღუდულია. მე ხომ მხოლოდ მღვდელი ვარ ერთი ღარიბი სოფლის მრევლისა. ჩემი დახმარება ყველაზე უბრალო იქნება და თუ თქვენ გრძნობთ ასეთ უბრალო, სადა ცხოვრებისადმი სიძულვილს, ეძიეთ უფრო კარგი სამუშაო, ვიდრე მე შემიძლია შემოგთავაზოთ.

_ მან უკვე თქვა, რომ ყოველგვარ პატიოსან შრომას მოჰკიდებს ხელს, თუკი ეს მის ძალას არ აღემატება, _ ჩემ მაგივრად უპასუხა დიანამ.

_ და შენ იცი, სენტ-ჯონ, მას ჩვენს მეტი არავინ ჰყავს დამხმარე. ის იძულებულია ისეთ მკაცრ ადამიანს დაეყრდნოს, როგორიც შენ ხარ.

_ მკერავადაც ვიმუშავებ; არ დავიწუნებ არც უბრალო სამუშაოს; მოსამსახურედაც წავალ, მომვლელადაც, თუ უკეთეს სამუშაოზე ვერ გამოვდგები, _ ვუპასუხე.

_ კარგით, _ თქვა სენტ-ჯონმა ცივად. _ თუ ასეთი განზრახვა გაქვთ, გპირდებით დახმარებას, როგორც შევძლებ და როდესაც შემეძლება.

ამის შემდეგ ისევ წიგნს დაუბრუნდა, რომელსაც ჩაის შემოტანამდე კითხულობდა. სანამ ჩემი დღევანდელი სისუსტე ნებას მაძლევდა, ვიჯექი და ვლაპარაკობდი. დავიღალე, ავდექი და ოთახიდან გავედი.

თავი XXX

რაც უფრო ვეცნობოდი მურჰაუსის მცხოვრებთ, მით უფრო მეტად მომწონდნენ ისინი. რამდენიმე დღეში იმდენად მოვიკეთე, მთელ დღეს შემეძლო ფეხზე ყოფნა. სეირნობაც შევძელი. ახლა უკვე ვღებულობდი მონაწილეობას დიანას და მერის ყოველდღიურ საქმიანობაში. ვსაუბრობდი მათთან, რამდენ ხანსაც სურდათ. მზად ვიყავი, დავხმარებოდი ყველაფერში, თუ ისინი ამის ნებას მომცემდნენ. ეს ურთიერთობა ჩემთვის აქამდე უცნობ მაცოცხლებელ სიამოვნების წყაროდ მექცა. ამ სიამოვნებას გემოვნებათა, გრძნობათა და აზრთა ერთნაირობა ქმნიდა.

მომწონდა ის წიგნები, რომლებიც მათ მოსწონდათ; რაც მათ სიამოვნებდათ, მეც გულს სიამით მივსებდა; რასაც ისინი მხარს უჭერდნენ, მეც პატივისცემით ვეპყრობოდი. დიანას და მერის უყვარდათ თავიანთი განმარტოებით მდგარი სახლი და მეც მიზიდავდა ეს რუხი, პატარა, ძველებური სწორსახურავიანი შენობა გისოსებიანი ფანჯრებით; უკვე სიძველისაგან ბზარშეპარული კედლები, ბებერი ნაძვის ხეების ხეივანი, სადაც ხეები მთიდან მოვარდნილ ხშირ ქარებს დაეჯაბნათ და გვერდზე გადაეხარათ; მომწონდა ურთხელითა და დეკათი დაბურული ბაღი, სადაც მხოლოდ ამტანი ყვავილები იზრდებოდნენ. აი, აქ ვპოვე მაცოცხლებელი და მუდმივი ნეტარების წყარო. ისინი შეჩვეოდნენ საცხოვრებლის ირგვლივ მანანით დაფარულ ადგილებს, დაცემულ ველს. ამ სახლის ალაყაფის კარებთან იწყებოდა კენჭებით დაფარული საცხენოსნო გზა და ველზე გადიოდა. გზა ჯერ გვიმრებს შორის მიიკლაკნებოდა და შემდეგ ტრამალებში ჩაკარგულ პატარა, უკაცრიელ საძოვარ მინდვრებზე გადიოდა. ამ მინდვრებში ცხვრის რუხი ფარა გაფანტულიყო ხაოიანი დრუნჩის ჯიშის ბატკნებით. აი, ამ ადგილს შეჩვეოდნენ-მეთქი ისინი და დიდად ახარებდათ მისი დანახვა. ეს გრძნობა კარგად მესმოდა. ვხედავდი, რამდენად ძლიერი და ნამდვილი იყო იგი, რაოდენ მიმზიდველი. ვგრძნობდი მის სიწმინდეს, სიმყუდროვეს. მსიამოვნებდა, როდესაც გავცქეროდი პატარა ბორცვებსა და კლაკნილ ბილიკებს. თვალს მტაცებდა ხავსი, მანანები, ყვავილებით დაწინწკლული კორდები, მბზინავი გვიმრები, შესანიშნავი გრანიტოვანი კლდეები. ყოველივეს მეც მათსავით აღვიქვამდი, როგორც ნამდვილსა და ნეტარი სიამოვნების წყაროს. ძლიერი ქარი თუ მსუბუქი ნიავი, ცუდი ამინდი თუ უშფოთველი დღეები, მზის ამოსვლა თუ ჩასვლა, მთვარით გაკაშკაშებული თუ შავბნელი ღრუბლებით ჩამუქებული ღამე ისეთივე მიმზიდველი იყო ჩემთვის, როგორც მათთვის; ისევე მიხარებდა სულს და და გულს, როგორც მათ.

სახლშიც ასევე შეხმატკბილებულად ვცხოვრობდით. დები ჩემზე უკეთ ნასწავლი და ნაკითხნი იყვნენ. ბეჯითად დავადექი ცოდნისაკენ მიმავალ გზას, რომელიც მათ უკვე გაევლოთ. ხარბად დავეწაფე მათ მიერ მოცემულ წიგნებს. საღამოობით ერთად ვმსჯელობდით წაკითხულის ირგვლივ და კმაყოფილი ვიყავი. აზრი აზრს ხვდებოდა, ფიქრი ფიქრს. ერთი სიტყვით, სრული სიმშვიდე და ურთიერთგაგება დამყარდა ჩვენ შორის.

სამთაგან თუ რომელიმეს უპირატესობა და წამყვანი როლი ჰქონდა, ეს იყო დიანა. გარეგნულად ის მჯობდა. ლამაზი იყო, ამავე დროს ენერგიულიც. მის მხიარულებაში იმდენი სასიცოცხლო ენერგია ჩქეფდა, იმდენი ხალისი იგრძნობოდა, რომ მიკვირდა და ახსნა ვერ მომეძებნა. მაგრამ ჩემი მხიარულება მალე უკვალოდ ქრებოდა. მეტყველების უნარი სადღაც გაუჩინარდებოდა. აი მაშინ სიამოვნებით ჩამოვჯდებოდი ხოლმე იქვე, დიანას ფერხთით დაბალ სკამზე, თავს მის მუხლებზე დავდებდი და ჩემ მიერ წამოჭრილ რაიმე საკითხზე ხან მას და ხან მერის ვუსმენდი. ისინი ღრმად და ჭკვიანურად მსჯელობდნენ. დიანამ შემომთავაზა, გერმანულ ენას გასწავლიო. როგორ

მიყვარდა მისგან რაიმეს რომ ვსწავლობდი. ვგრძნობდი, მასაც დიდად სიამოვნებდა ეს საქმიანობა და უხდებოდა კიდეც მასწავლებლობა. მეც ასევე მსიამოვნებდა და მიხდებოდა მოსწავლის როლში ყოფნა. ჩვენი ხასიათი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდა. შედეგი ამისა კი იყო ურთიერთისადმი სიყვარული და პატივისცემა. დებმა შეიტყვეს, რომ ხატვა შემეძლო: მაშინვე გადმომცეს თავიანთი სახატავი ფანქრები და ფერადსაღებავიანი ყუთები. ხატვაში უპირატესობა ჩემ მხარეზე იყო. ჩემმა უნარმა განაცვიფრა და მოხიბლა ისინი. მერი საათობით იჯდა ხოლმე, როცა ვხატავდი და თვალყურს მადევნებდა. დავუწყე ხატვის სწავლება. მერი გამგონე, ბეჯითი, გონიერი მოწაფე აღმოჩნდა. ასე ვსაქმიანობდით და ურთიერთით გართულებს დრო არ გვახსოვდა. დღეები საათებად იქცნენ, კვირები _ დღეებად.

ეს მეგობრობა მეტად ბუნებრივად წარმოიშვა და სწრაფად განმტკიცდა დებსა და ჩემ შორის. მაგრამ ამას ვერ ვიტყოდი სენტ-ჯონის შესახებ. ამის მიზეზი შეიძლება ის იყო, რომ შედარებით იშვიათად უხდებოდა სახლში ყოფნა. თითქმის მთელ დროს უთმობდა ავადმყოფთა და ღარიბთა სანახავად სიარულს თავის სამრევლოში, სადაც სახლები ერთმანეთისაგან შორიშორს იყო.

როგორც ჩანდა, ვერავითარი ამინდი ვერ შეაფერხებდა მის ამ საქველმოქმედო საქმეს. სულერთი იყო მისთვის, წვიმდა თუ კარგი დარი იყო. დაამთავრებდა თუ არა დილის წირვას, ქუდს აიღებდა, მამამისის უკვე დაბერებულ პოინტერს, კარლოს, წაიმძღვარებდა და გაუდგებოდა გზას, რათა აღესრულებინა თავისი საყვარელი საქმე თუ მოვალეობა. ვერ გეტყვით, როგორ უყურებდა ის ამ საქმეს. ზოგჯერ, როცა ამინდი ძალიან ცუდი იყო, დები უკმაყოფილებას არ მალავდნენ და სთხოვდნენ, წასვლა გადაედო. მაშინ სენტ-ჯონი თავისებური, უფრო საზეიმო, ვიდრე მხიარული ღიმილით პასუხობდა:

_ თუ ქარის უბრალო ქროლვასა და წვიმის შხეფების გამო უარი ვთქვი ამ ადვილ საქმეზე, მაშინ რა უნდა მელოდეს ასეთ ზარმაც ადამიანს მომავალში, როდესაც ჩემი მიზნის განხორციელებას შევუდგები.

ასეთ პასუხზე დიანა და მერი მხოლოდ ამოიოხრებდნენ და რამდენიმე წუთს ნაღვლიან ფიქრებში გაეხვეოდნენ.

ჩვენს დამეგობრებას სხვა ამბავიც ეღობებოდა წინ. სენტ-ჯონი, მართალია, ხშირად არ იყო ხოლმე შინ, მაგრამ, გარდა ამისა, ის მეტად გულჩათხრობილი, ძნელად გასაგები ადამიანი ჩანდა. მუყაითი თავის სამსახურეობრივი მოვალეობისადმი და უმწიკვლო პირად ცხოვრებასა და ჩვევებში, ჩანს, არ ტკბებოდა იმ სულიერი სიმშვიდით, შინაგანი სიმყუდროვით, რომელიც უნდა მიეზღოს ყოველ ჭეშმარიტ ქრისტიანსა და ცხოვრების უნარიან კაცთმოყვარე ადამიანს. ხშირად საღამოობით იჯდა თავის მაგიდასთან წიგნით ხელში, უეცრად კითხვასა თუ წერას შეწყვეტდა, ნიკაპს ხელისგულზე დააყრდნობდა და არ ვიცი, რა ფიქრებს გაჰყვებოდა ხოლმე. მაგრამ ეს ფიქრები ამაღელვებელნი და მშფოთვარე უნდა ყოფილიყო, რადგანაც მის თვალებში ხშირად გაიელვებდა რაღაც და დროდადრო გუგებიც უფართოვდებოდა.

კიდევ მეტიც: ჩემი აზრით, ბუნება მისთვის არ იყო ის სიამოვნების წყარო, რაც მისი დებისთვის. მახსოვს, მხოლოდ ერთხელ თქვა ჩემი თანდასწრებით, რომ ძლიერ იზიდავს ამ მთების მკაცრი სილამაზე; ბავშვობიდანვე უყვარს თავისი სახლის ჟამთა სვლისაგან ჩამუქებული სახურავი და კედლები, მაგრამ მის სიტყვებსა და კილოში უფრო სევდა იგრძნობოდა, ვიდრე სიამოვნება. როგორც ჩანს, არასოდეს არ დაეხეტებოდა ამ მანანით დაბურულ ადგილებში, არ იზიდავდა იქაური სიმყუდროვე, არასოდეს არ მიაშურებდა ხოლმე ამ ადგილებს, რათა იქ გამეფებული საამო სიწყნარით დამტკბარიყო.

სენტ-ჯონი ისეთი უკარება იყო, რომ საკმაო დრო დამჭირდა, ვიდრე შემთხვევა მომეცემოდა და გავიგებდი მის სულიერ სამყაროს. ეს მოხდა პირველად მორტონში, როდესაც მისი ქადაგება მოვისმინე. სოფლის სამრევლო ეკლესიაში. ნეტავ შემეძლოს გადმოგცეთ! მაგრამ ვერა. ეს აღემატება ჩემს ძალას. არ შემიძლია გადმოგცეთ ისიც, თუ რა ვიგრძენი, მას რომ ვუსმენდი.

დაიწყო მშვიდად და მისი გადმოცემისა და ხმის ტონის მიხედვით ბოლომდე მშვიდი იყო. მაგრამ მკაფიო კილოში მაინც იგრძნობოდა გულმოდგინედ დაფარული დიდი გატაცება და მეტყველების დაძაბულობა. სიძლიერე შეემატა მის ხმას, რომელსაც თვითონ მალავდა, აჩუმებდა და გონებას უმორჩილებდა. ეს სიძლიერე გულს ათრთოლებდა, გონებას აოცებდა, მაგრამ სიმშვიდეს არ ჰფენდა მას. პირიქით, მის სიტყვებში საოცარი სიმწარე იგრძნობოდა. მის ქადაგებას აკლდა სინაზე, ადამიანს რომ სიმშვიდეს შთააგონებს. ზუსტად გადმოსცემდა და ხშირად იმეორებდა კალვინისტური მოძღვრების პრინციპებს _ წინასწარმეტყველებას, ბედითობას და გმობას. ყოველი მისი სიტყვა ბედისწერისაგან გამოტანილი მსჯავრივით ხვდებოდა მსმენელს გულში. დაამთავრა თუ არა, იმის მაგივრად, რომ უკეთ მეგრძნო თავი, დავმშვიდებულიყავი და ნათელი მოჰფენოდა სულს, გამოურკვეველი სევდა ვიგრძენი. ასე მეგონა (არ ვიცი სხვებიც თუ იმასვე გრძნობდნენ), ქადაგება, რომელსაც ასე გულდასმით ვუსმენდი, იმედგაცრუებით მოწამ-ლული ამოდიოდა გაურკვეველი სიღრმიდან, სადაც ბუდობდნენ დაუკმაყოფილებელი სურვილები, მშფოთვარე ფიქრები და სულის შემაწუხებელი სწრაფვები. დარწმუნებული ვიყავი, მთელი თავისი უმწიკლო ცხოვრების, პატიოსნებისა და საქმისადმი თავდადებული შრომის მიუხედავად, მან ვერ იპოვა ღვთისაგან ბოძებული ის სულიერი სიმშვიდე, რომელიც ყველაფერს აღემატებოდა. ვერ უპოვია-მეთქი, ვფიქრობდი, ისევე, როგორც მე ვერ ვიპოვე; მე, რომელიც ფარულად ვატარებდი მტანჯველ სევდას, დარდს დამსხვრეულ კერასა და დაკარგულ სამოთხეზე. ამ მტკივნეულ საკითხზე ლაპარაკს გავურბოდი, მაგრამ დღე მუდამ ჩემთან იყო ის და შეუბრალებლად მაწამებდა.

ამასობაში თვეც გავიდა. დიანას და მერის მალე უნდა დაეტოვებინათ მურჰაუსი და დაბრუნებოდნენ სრულიად სხვა ცხოვრებასა და საქმიანობას. ისინი სამხრეთ ინგლისის ქალაქში დიდ, მდიდრულ სახლებში აღმზრდელებად მუშაობდნენ. ამ ოჯახის მდიდარი და ამპარტავანი წევრები

მათ მხოლოდ მორჩილ ქვეშევრდომებად თვლიდნენ. არ იცოდნენ და არც აინტერესებდათ მათი შინაგანი ღირსებები. მათ ცოდნას ისევე აფასებდნენ, როგორც მზარეულის ოსტატობას ან პირისფარეშის გემოვნებას.

აქამდე სენტ-ჯონს ერთი სიტყვითაც არ უხსენებია სამუშაო, რომლის შოვნასაც შემპირდა. ახლა აუცილებელი ხდებოდა რაიმე გზას დავდგომოდი. ერთ დილით, როდესაც სრულიად მარტონი დავრჩით სასტუმრო ოთახში, გავბედე და მივუახლოვდი ფანჯრის ნიშს. ეს კუთხე მისი საწერი მაგიდის, სკამისა და წიგნის კარადის წყალობით კაბინეტს ჰგავდა. ვაპირებდი ლაპარაკის დაწყებას. კარგადაც არ ვიცოდი, როგორ დამეწყო. როგორ ძნელია იმ ყინულის გარღვევა, გულჩათხრობილ ადამიანებს გარს რომ აკრავს ხოლმე. აქ თვით სენტ-ჯონმა მიხსნა გაჭირვებიდან და პირველმა დაიწყო ლაპარაკი.

ახლოს მივედი თუ არა, ამომხედა, _ რაღაც გინდათ მკითხოთ, _ მითხრა მან.

_ დიახ. მინდოდა გამეგო, ხომ არაფერი გსმენიათ იმ სამუშაოზე, რომელიც შეიძლება მე შევასრულო?

_ სამუშაო ვიშოვე, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მოვიფიქრე რაღაც ჯერ კიდევ ამ სამი კვირის წინ. მაგრამ აქ თქვენ საჭირო იყავით და ბედნიერიც. ჩემი დები ძალიან შეგეჩვივნენ და თქვენთან ყოფნა დიდად სასიამოვნო იყო მათთვის, ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალე, არ დამერღვია თქვენი მყუდროება, ვიდრე მარშენდიდან მათი წასვლის დრო არ მოახლოვდებოდა. მათ წასვლას კი თქვენიც აუცილებლად მოჰყვებოდა.

_ ისინი სამ დღეში უკვე მიემგზავრებიან, არა? _ ვკითხე.

_ დიახ. მათი წასვლის შემდეგ მე მორტონში დავბრუნდები, ჩემს სახლში. ჰანას თან წავიყვან. ეს ძველი შენობა კი დაიკეტება.

ცოტა ხანს შევიცადე. ვიცოდი, კიდევ იტყოდა რაღაცას დაწყებულ საკითხზე, მაგრამ, როგორც ჩანს, სხვა ფიქრმა გაიტაცა. თვალებში ეტყობოდა, სულ დავავიწყდით მეცა და ჩემი საქმეც. იძულებული ვიყავი, შემეხსენებინა საქმე, რომელიც ჩემთვის აუცილებელი, ყველაზე სასწრაფო და გადაუდებელი იყო.

_ რა სამუშაო გაქვთ მხედველობაში, მისტერ რივერს? ამდენ ხანს რომ არ მივედი, იმედი მაქვს, ეს არ შეაფერხებს ჩემს სამუშაოზე მიღებას?

_ ოჰ, არა. ეს მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. მე უნდა მოგცეთ და თქვენ უნდა მიიღოთ.

კვლავ გაჩუმდა. თითქოს სურვილიც აღარ ჰქონდა გაეგრძელებინა ლაპარაკი. მოუთმენლობამ შემიპყრო. ავწრიალდი. ჩემს მზერაში ჩანდა სურვილი: ზუსტად გამეგო ყველაფერი. თვალს არ ვაცილებდი სენტ-ჯონს. ამან სიტყვებზე ნაკლებად არ გაჭრა. თანაც ასე უფრო ადვილი იყო. მიხვდა, რაც მინდოდა.

_ ნუ ჩქარობთ გაგებას, _ მითხრა მან. _ ნება მიბოძეთ, გულახდილად გითხრათ. არავითარი თქვენთვის შესაფერისი ან კარგი ადგილი არა მაქვს. ვიდრე ყველაფერს გეტყვით, თუ შეიძლება, გაიხსენეთ ჩემი გაფრთხილება, რომელიც, ვგონებ, გასაგები იყო: დაგეხმარებით, მაგრამ ეს დახმარება იქნება

ისეთი, როგორსაც ბრმა გაუწევდა კოჭლს. ღარიბი ვარ. მამაჩემის ვალების გასტუმრების შემდეგ სამემკვიდრეოდ დამრჩა მხოლოდ ეს პატარა ფერმა, ბებერი ნაძვების ხეივანი, წინ კი მიწის პატარა ნაკვეთი, ურთხელითა და დეკათი დაფარული ჭალა. მე არ მიცნობენ აქ. რივერსი ძველთაძველი გვარია, მაგრამ ამ გვარის სამი შთამომავალია დარჩენილი მხოლოდ. მათგან ორნი სხვების სამსახურით ირჩენენ თავს, ხოლო მესამე მშობლიური ქვეყნისათვის თავს უცხოდ თვლის, როგორც სიცოცხლეში, ასევე სიკვდილის მერეც. დიახ, იგი თვლის და ასეც არის, რომ მას ბედნიერება ხვდა წილად. მისი სწრაფვაა მალე დადგეს დღე, როდესაც განშორების ჯვარი მის მხრებზე დაესვენება და განაშორებს სულს ხორცისაგან. ელის იმ დღეს, როდესაც განმგებელი პროტესტანტული ეკლესიისა, რომლის ერთი უბრალო წევრი ისიც არის, მოუხმობს მას: «აღსდექ და მომყევი მე».

სენტ-ჯონმა ეს სიტყვები მისი ქადაგებისთვის ჩვეული წყნარი, გულიდან ამომავალი ხმით წარმოთქვა. სახე ფერმკრთალი ჰქონდა, თვალები უელავდა და ისევ განაგრძო:

_ ღარიბი და უცნაური ვარ და ასეთსავე ღარიბულსა და უბრალო სამუშაოს თუ შემოგთავაზებთ. თქვენ შეიძლება დამამცირებლადაც მიიჩნიოთ. ვხედავ, ფაქიზ საქმიანობას ხართ ჩვეული, როგორც ხალხი უწოდებს, არა? თქვენი გემოვნება ამაღლებულს ესწრაფვის. გეტყობათ, განათლებულ ხალხთან გიხდებოდათ ყოფნა. მაგრამ მე არავითარი სამუშაო არ მიმაჩნია დამამცირებლად, რომელიც ადამიანების სასარგებლოდ კეთდება. მე იმ აზრს ვიცავ, რომ, რაც უფრო ძნელი და დაუმუშავებელია ნიადაგი, რომლის დამუშავებაც ქრისტიან მუშაკს ხვდა წილად, და რაც უფრო მცირეა ამ შრომის ნაყოფი, მით უფრო მაღალია ასეთი შრომა. ამ პირობებში მისი ხვედრია პიონერისა. და სახარების მიხედვით, ქრისტიანობის პირველი პიონერები მოციქულები იყვნენ. მათი მოთავე იყო თვით იესო მაცხოვარი.

_ შემდეგ, _ წარმოვთქვი, როდესაც კვლავ შეჩერდა, _ განაგრძეთ.

ვიდრე ლაპარაკს განაახლებდა, შემომხედა. ისე მიყურებდა, თითქოს ყოველი ჩემი ნაკვთი იეროგლიფი იყო, თუმც არ ეჩქარებოდა მათი წაკითხვა. თვალთვალით მიღებული დასკვნები შემდეგნაირად გამოთქვა:

_ დარწმუნებული ვარ, რასაც გთავაზობთ, უარს არ იტყვით, _ განაგრძო მან, _ და რამდენიმე ხანს იმუშავებთ კიდეც. მაგრამ ვიცი, მუდამ აქ არ დარჩებით. ვერც მე ჩავიკეტები აქ, ვერ ვიქნები მიყრუებული, მშვიდი ინგლისური სოფლის მღვდელი. თქვენს ბუნებაშიც არ არის ისეთი რამ, რაც მშვიდ ცხოვრებას ეგუება. თუმცა ეს თვისება თქვენში სხვანაირად მჟღავნდება.

_ თუ შეიძლება ამიხსენით, _ ვთხოვე, როდესაც სენტ-ჯონი კვლავ გაჩუმდა.

_ სიამოვნებით. ახლავე გეტყვით, რა ღარიბულ სამსახურს გთავაზობთ, როგორი უმნიშვნელოა ეს სამუშაო და დამქანცველი. მამის სიკვდილის შემდეგ მე ვარ ჩემი თავის ბატონ-პატრონი და მორტონში აღარ დავრჩები. ამ ადგილს ალბათ ერთ წელიწადში გავეცლები, მაგრამ ვიდრე აქ ვარ, ყოველმხრივ ვეცდები გავაუმჯობესო ჩემი მრევლის ცხოვრება. ამ ორი წლის წინ, მე რომ

მორტონში ჩამოვედი, აქ სკოლაც კი არ იყო. ღარიბთა ბავშვებს იმედიც არ ჰქონდათ, რომ ოდესმე სკოლაში ივლიდნენ. როგორც იქნა, მოვახერხე და ვაჟებისთვის გავხსენი სკოლა. ახლა მინდა გოგონებმაც შეძლონ სწავლა. ამ მიზნისთვის შენობაც ვიშოვე ქირით. ამ შენობასთან ახლოს პატარა ოროთახიანი კოტეჯიც დავიქირავე მასწავლებლისთვის. ეს მასწავლებელი წელიწადში ო ოცდაათ გირვანქა სტერლინგს მიიღებს. ბინა უკვე მოწყობილია, თუმცა ღარიბულად, მაგრამ ექნება ყველაფერი, რაც კი ადამიანს სჭირდება. ამას ჩვენ მის ოლივერს უნდა ვუმადლოდეთ. მის ოლივერი დედისერთა ქალიშვილია ჩემს სამრევლოში შემავალი ერთადერთი მდიდარი ადამიანისა. მას ეკუთვნის ამ დაბლობში ნემსების დამამზადებელი და თუჯსასხმელი ქარხანა. გარდა ამისა, მის ოლივერს განზრახული აქვს ასწავლოს და ჩააცვას ობოლთა თავშესაფრიდან გამოყვანილ ერთ უპატრონო ბავშვს იმ პირობით, რომ გოგონა დაეხმარება მასწავლებელს სახლსა და სკოლაში ყოველდღიურ საქმიანობაში, რადგან მასწავლებელს არ ექნება დრო თვითონ აკეთოს ყველა-ფერი. გსურთ თქვენ იყოთ ეს მასწავლებელი?

ნაჩქარევად შემეკითხა. როგორც ჩანს, ეგონა, რომ ამ სამსა-ხურზე ზიზღით თუ არა, ცივად მაინც უარს ვიტყოდი. მისთვის უცნობი იყო ჩემი ფიქრები და გრძნობები, თუმცა ზოგიერთ მათგანს გუმანით ხვდებოდა. ძნელი იყო წინასწარ გაეგო, თუ როგორ შევხვდებოდი ჩემს ხვედრს. სამუშაო მართლაც მეტად უბრალო იყო, მაგრამ ის თავშესაფარს მპირდებოდა და მეც სწორედ მყუდრო თავშესაფარი მჭირდებოდა. ვიცოდი, მძიმე სამუშაო მელოდა, მაგრამ, როდესაც შევადარე მდიდარ ოჯახში აღმზრდელის საქმიანობას, პირველი ვარჩიე, რადგან არავისზე ვიქნებოდი დამოკიდებული. უცნობებთან სამსახურის შიშმა დანასავით დამისერა გული. შემოთავაზებული სამუშაო არც სამარცხვინო იყო, არც უღირსი და არც გონების დამაჩლუნგებელი, ამიტომ გადავწყვიტე.

_ დიდად გმადლობთ, რომ მიშოვეთ სამუშაო, მისტერ რივერს. სიამოვნებით ვღებულობ მას.

_ კი მაგრამ, გაიგეთ, რას გთავაზობთ? _ მკითხა მან. _ ესაა სოფლის სკოლა; თქვენი მოსწავლეები მხოლოდ ღარიბი გლეხების შვილები იქნებიან ან, უკეთეს შემთხვევაში, ფერმერთა ბავშვები. ქსოვა, ჭრა-კერვა, კითხვა, წერა, ანგარიში, აი, რა უნდა ასწავლოთ მათ. რას უზამთ თქვენს განათლებას? თქვენს ჭკუა-გონებას? გრძნობებს ან გემოვნებას?

_ შევინახავ, ვიდრე კვლავ არ დამჭირდება. არ დავივიწყებ.

_ იცით, რაზეც თანხმდებით?

_ რასაკვირველია.

ახლა უკვე გაიღიმა. ღიმილი არც სიმწარესა და არც სევდას არ გამოხატავდა, არამედ მხოლოდ სიამოვნებასა და ღრმა კმაყოფილებას.

_ როდის შეუდგებით თქვენს საქმეს?

_ მინდა, ხვალვე წავიდე ჩემს სახლში. მომავალ კვირას კი, თუ გნებავთ, მეცადინეობასაც შევუდგები.

_ კეთილი, მაშ, ასე იყოს.

წამოდგა და ოთახში გაიარა. რამდენიმე ხანს უსიტყვოდ იდგა და შემდეგ კვლავ შემომხედა. თავი გააქნია.

_ რისი არ გჯერათ, მისტერ რივერს? _ ვკითხე.

_ მორტონში დიდხანს არ დარჩებით. რასაკვირველია, არა!

_ რატომ? რა საფუძველი გაქვთ, ასე რომ ამბობთ?

_ თქვენს თვალებში ვკითხულობ ამას. ეს ის თვალები არაა, მშვიდ ცხოვრებაში დახმარებას გვპირდებოდეს.

_ პატივმოყვარე არ გახლავართ.

ამ სიტყვების გაგონებაზე შეკრთა. არაო, _ გაიმეორა.

_ რამ გაფიქრებინათ პატივმოყვარეობაზე. ვინ არის პატივმოყვარე? ვიცი, მე ვარ. მაგრამ, თქვენ როგორ გაიგეთ?

_ მე მხოლოდ ჩემს თავზე მოგახსენებთ.

_ კარგით. თუ თქვენ პატივმოყვარე არა ხართ, მაშ, თქვენ ხართ... _ აქ ის შეჩერდა.

_ რა?

_ ვაპირებდი მეთქვა, მოუთმენელი, მაგრამ შემეშინდა, რომ ვერ გამიგებდით და გამინაწყენდებოდით. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ადამიანური გრძნობები და სიყვარული ჭარბად არის თქვენში. დარწმუნებული ვარ, დიდხანს ვერ გაძლებთ მარტოობაში. ამ ერთფეროვან შრომას, რომელსაც თქვენთვის არ ექნება მიმზიდველობა, ვერ შესწირავთ მთელ თქვენს დროს. მეც ვერ ვეგუები, _ დაუმატა მან ხაზგასმით, _ ამ მთებს შორის გამოკეტილ ჭალებში ცხოვრებას. ღვთით ბოძებული ჩემი ბუნება ვერ ეგუება ამას. ნიჭი და უნარი, ზეცით მონამადლი, დამიდუნდა, გამომეფიტა. ხომ გესმით ახლა, როგორ ვეწინააღმდეგები ჩემს თავს. მე, რომელიც ვქადაგებ უბრალო ხვედრით დაკმაყოფილებას და ვამტკიცებ შეშის მჭრელს და წყლის მზიდავსაც კი შეუძლია თავიანთი შრომით ღმერთს ემსახურონ-მეთქი, მე, მისი ეკლესიის მსახური, მოუსვენრობისგან ვბობოქრობ. ჰოდა, ჩვენი მისწრაფებანი და პრინციპები ერთმანეთს როგორმე უნდა ეთანხმებოდეს.

ოთახიდან გავიდა. ამ ერთ საათში უფრო ბევრი რამ გავიგე მასზე, ვიდრე მთელი ერთი თვის მანძილზე. კვლავ გაოცებული დავრჩი.

რაც უფრო ახლოვდებოდა დიანასა და მერის გამგზავრების დღე, მათი ძმასთან და საკუთარ სახლთან განშორების დრო, მით უფრო სევდიანი და მდუმარე გახდნენ ისინი. ორივენი ცდილობდნენ, არ შეემჩნიათ ეს და კვლავ ბუნებრივნი ყოფილიყვნენ, მაგრამ ნაღველი, რომელსაც ისინი ებრძოდნენ, იმდენად დიდი იყო, რომ ვერ იმორჩილებდნენ და ვერც ფარავდნენ. დიანამ გამიმხილა, რომ ეს განშორება სრულიად განსხვავდებოდა წინანდელისაგან, სენტ-ჯონს ალბათ რამდენიმე წელს ვეღარ შევხვდებით და, შესაძლებელია, სულაც ვეღარ ვნახოთო.

_ ის თავს შესწირავს იმ თავისი დიდი ხნის მოფიქრებულ საქმეს, _ თქვა მან. _ შინაგანი გრძნობები და სიყვარული ჯერ კიდევ ძლიერია მასში. სენტ-ჯონი

მშვიდი ჩანს, ჯეინ, მაგრამ მასში ნერვული დაძაბულობა იმალება. შეიძლება, ერთი შეხედვით ფაქიზი ჩანს, მაგრამ არის რამდენიმე საკითხი, რომელშიც სიკვდილივით დაუნდობელია. ყველაზე მეტად ის მიმძიმს, რომ ვერ გადავათ-ქმევინე მას ულმობელი გადაწყვეტილება. რასაკვირველია, ერთი წუთითაც არ ვადანაშაულებ ამაში. ეს მიზანი სწორია, კეთილშობილური და ქრისტიანული, მაგრამ გული მტკივა.

მისი მშვენიერი თვალები ცრემლებით აევსო. მერიმ თავი დაბლა დახარა სამუშაოზე.

_ მამა აღარ გვყავს. მალე აღარც ძმა გვეყოლება და აღარც სახლ-კარი გვექნება, _ ჩაილაპარაკა მან.

ამას მაშინვე მეორე ამბავი დაემთხვა, თითქოს ბედისწერისაგან დადგენილი, რომ ერთხელ კიდევ დაემტკიცებინა ჭეშმარიტება თქმულებისა: «უბედურებას ყოველთვის უბედურება მოსდევს თან», და რომ მათი გასაჭირისათვის კიდევ ერთი მწუხარება დაემატებინა, გაეხსენებინა რომ «ბევრმა წყალმა შეიძლება ჩაიაროს ჩანაფიქრის ასრულებამდე». ფანჯარასთან სენტ-ჯონმა გაიარა. წერილს კითხულობდა. ოთახში შემოვიდა.

_ ჩვენი ძია ჯონი გარდაიცვალა. _ თქვა მან.

დები გაოცდნენ, მაგრამ არც აღელვება გამოუმჟღავნებიათ და არც წუხილი. მათთვის ეს ამბავი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სამწუხარო.

_ გარდაიცვალა? _ გაიმეორა დიანამ.

_ დიახ.

მან ცნობისმოყვარეობით სავსე მზერა მიაპყრო თავის ძმას.

_ და მერე? _ მოუთმენლად იკითხა მან ხმადაბლა.

_ რა უნდა იყოს, დი? _ უპასუხა ძმამ და ერთი ნაკვთიც არ შეცვლია მარმარილოსავით უძრავ სახეზე. _ რა შეიძლება იყოს? არაფერი. წაიკითხე.

წერილი კალთაში ჩაუგდო. დიანამ თვალი გადაავლო და მერის გადასცა. მერიმ უსიტყვოდ წაიკითხა და ძმას დაუბრუნა. ერთმანეთს გადახედეს და სამივემ გაიღიმა: საკმაოდ უხალისოდ, ნაღვლიანად.

_ ღმერთმა აცხონოს. ჩვენ უიმისოდაც ვიცხოვრებთ, _ თქვა დიანამ ბოლოს.

_ ყოველ შემთხვევაში, იმაზე უარესად არ ვიცხოვრებთ, როგორც აქამდე ვცხოვრობდით.

_ ისე კი წარმომიდგენია, როგორ შეიძლება მოწყობილიყო ჩვენი ცხოვრება, _ თქვა მისტერ რივერსმა, _ და როგორ განსხვავდება იგი დღევანდელისაგან.

მან დაკეცა წერილი, საწერი მაგიდის უჯრაში ჩაკეტა და ოთახიდან გავიდა.

რამდენიმე ხანს ვდუმდით. შემდეგ დიანა მომიბრუნდა და მითხრა:

_ ჯეინ, ალბათ გიკვირს ჩვენი და ჩვენი საიდუმლოებისა. გულქვა ადამიანებადაც გვთვლი, ასეთი ახლობელი ნათესავის, ბიძის სიკვდილი ასე რომ მივიღეთ, მაგრამ ჩვენ არასოდეს გვინახავს ბიძაჩვენი და არც ვიცნობდით. დედის ძმა იყო. მამაჩემი და ის ამ რამდენიმე წლის წინ წაეჩხუბნენ ერთმანეთს. სწორედ მან ურჩია მამას ხიფათში ჩაეგდო თავისი ქონება და მონაწილეობა მიეღო იმ სავაჭრო საქმეში, რომელმაც გაკოტრებამდე მიიყვანა.

შემდეგ ერთმანეთს ადანაშაულებდნენ. ბრაზით სავსენი დასცილდნენ ერთმანეთს და აღარც შეხვედრიან. ჩემმა ბიძამ შემდეგ ხელი მოჰკიდა საქმეს, რომელმაც გაამდიდრა. ვგონებ, ოცი ათასი გირვანქა სტერლინგის ქონება აქვს. ცოლი არ ჰყოლია და ჩვენს მეტი ახლო ნათესავები არა ჰყავს, ერთი ჩვენსავით დისშვილის გარდა. მამას ყოველთვის იმედი ჰქონდა, რომ ბიძაჩემი თავის შეცდომას იმით გამოისყიდდა, რომ ქონებას ჩვენ დაგვიტოვებდა. ეს წერილი კი გვატყობინებს, რომ ანდერძით მთელი თავისი ქონება მეორე ნათესავს დაუტოვა. ჩვენ დაგვიტოვა მხოლოდ ოცდაათი გინეა, რათა შევიძინოთ სამი სამგლოვიარო ბეჭედი. რასაკვირველია, მას უფლება ჰქონდა, როგორც უნდოდა ისე მოქცეულიყო, მაგრამ წუთიერმა სევდამ შეგვიპყრო ამ ამბის გაგებაზე. მერი და მე მდიდრებად ჩავთვლიდით თავს, თითოეულისათვის ათასი გირვანქა სტერლინგიც რომ დაეტოვებინა. ხოლო სენტ-ჯონისათვის ეს თანხა ხომ ფასდაუდებელი იქნებოდა. უამრავი კეთილი საქმის გაკეთებას შეძლებდა.

ასეთი განმარტების შემდეგ საუბრის თემა შეიცვალა და ერთი სიტყვითაც აღარ უხსენებიათ ის არც მისტერ რივერსსა და არც მის დებს. მეორე დღეს დავტოვე მარშენდი და მორტონში წავედი. ერთი დღის შემდეგ დიანა და მერიც გაეშურნენ შორეულ ქალაქ ბ-ში. ერთ კვირაში მისტერ რივერსი და ჰანაც დაბრუნდნენ მღვდლისთვის განკუთვნილ სახლში. ასე დაცარიელდა ეს ძველებური საცხოვრებელი.

თავი XXXI

ამგვარად, სახლი, რომელიც ძლივს ვიპოვე, კოტეჯია: პატარა ოთახი შეთეთრებული კედლებითა და მოპირკეთებული იატაკით. დგას ოთხი შეღებილი სკამი. აქვეა მაგიდა, საათი, ჭურჭლის კარადა სამიოდე თეფშით, ლანგრებით და ფაიფურის ჩაის ჭურჭლით. მაღლა იმავე მოცულობის საძილე ოთახია, როგორც სამზარეულო, ფიჭვის ხის საწოლითა და უჯრებიანი კომოდით. კომოდი პატარაა, მაგრამ მეტიც არის ჩემი ღარიბული ტანისამოსისთვის, თუმცა, ჩემი ფაქიზი და კეთილი მეგობრების წყალობით, ბევრი აუცილებელი რამ შევიძინე.

საღამოა. ფორთოხლის საყიდლისოდენა გასამრჯელო მივეცი პატარა ობოლ გოგონას, რომელიც მემსახურება და დავითხოვე. მარტო ვზივარ ბუხართან. ამ დილით გაიხსნა სოფლის სკოლა. ოცი მოწაფე მყავდა, მაგრამ აქედან მხოლოდ სამმა იცის ქსოვა და თითზე დასათვლელმა კი ცოტაოდენი კერვა. ამ კუთხისათვის დამახასიათებელი კილოთი ლაპარაკობენ. ჯერჯერობით გვიჭირს ერთმანეთისთვის გაგებინება. ზოგმა მოქცევაც კი არ იცის; უხეშია და იმდენადვე გაუზრდელი, რამდენადაც უვიცი; მაგრამ დანარჩენები გამგონენი არიან, სწავლაც უნდათ და ცდილობენ მასიამოვნონ. მუდამ უნდა მახსოვდეს, რომ ეს უბადრუკი პატარა გლეხუჭები სულითა და ხორცით ისეთივე კარგები

არიან, როგორც უკეთილშობილესი წარმოშობის ჩამომავალნი; და რომ სიკეთის, კეთილშობილების, სიბრძნისა და კარგი გრძნობების საწყისი მათშიც ისევეა მოცემული, როგორც საუკეთესო წარმოშობის ადამიანებში. ჩემი ვალია განვავითარო მათში მოცემული ეს საწყისები; უდავოდ მეც გარკვეულ სიხარულს მივიღებ ჩემი საქმიანობისაგან. დიდ სიხარულს უკვე აღარ ველი მომავალი ცხოვრებისაგან, მაგრამ ეს მაინც უდავოა; თუ სიმტკიცე გამოვიჩინე და ძალა ჭკუით მოვიხმარე, მაინც შევძლებ სიცოცხლეს.

ამ დილით და შუადღეს, იქ, იმ ზუზუნა საკლასო ოთახში ვგრძნობდი თუ არა სიმშვიდეს, სიხარულსა და რწმენას? რომ არ ვიცრუო ჩემი თავის წინაშე, უნდა ვაღიარო, რომ _ არა. გარკვეულ სიცარიელეს ვგრძნობდი; დიახ, ვიცოდი, რომ იდიოტი ვარ; დამცირებულად ვგრძნობდი თავს. ვეჭვობდი, რომ ასეთი ნაბიჯით კი ვერ ამოვიდოდი, არამედ უარესად ჩავეფლობოდი ყოველდღიურ ცხოვრებაში. შემაკრთო უვიცობამ, სიღატაკემ და სიტლუემ, რასაც ვგრძნობდი ყველა ნათქვამსა და მოძრაობაში. მაგრამ, მოდი, ამ გრძნობისათვის ნუ შევიზიზღებ და შევიძულებ საკუთარ თავს, ხომ ვიცი, რომ ეს გრძნობები მართალი არ არის. ეს კი დიდი რამეა. შევებრძოლები და დავძლევ მათ. დარწმუნებული ვარ, ზოგიერთ მათგანს ხვალვე გამოვაკეთებ ნაწილობრივ მაინც. რამდენიმე კვირაში კი, ალბათ, სულ მთლად მოვათვინიერებ. იქნებ, ამ რამდენიმე თვეში ჩემმა მიღწევებმა და მოსწავლეთა წინსვლამ მადლიერებით შემიცვალოს ზიზღის გრძნობა.

ამასთან ერთი რამ უნდა ვკითხო საკუთარ თავს: რომელი სჯობია? _ დანებდე ცდუნებას; ვნებას აჰყვე; ტკივილით თავი არ შეიწუხო; არ ებრძოლო საკუთარ თავს; პირიქით, აბრეშუმის სირბილეში ჩაიძირო; მასზე ამოქარგულ ყვავილებში ჩაიძინო; გამოგეღვიძოს და იყოს სამხრეთის სითბო და დიდებული, სასიამოვნო ვილლა; ან იყო საფრანგეთში მისტერ როჩესტერის მეუღლე, თითქმის მთელი დღე მისი სიყვარულით გაბრუებული, რადგან მართლაც ვეყვარებოდი; უთუოდ ერთ ხანს მაინც ძალიან ვეყვარებოდი. აკი ვუყვარდი კიდეც; არც არავის ვეყვარები ალბათ ისე; ვერასოდეს ვერავინ ვერ მაგრძნობინებს სილამაზეს, სინორჩეს, მოქნილობას, რადგან სხვა ვერავინ დაინახავს ამას ჩემში. მას მოვწონდი და ამაყობდა ჩემით.

ჩემდამი ეს გრძნობა კი მის გარდა არავის არ შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ სად დავბორიალობ, რას ვლაპარაკობ და სხვა არა იყოს რა, რასა ვგრძნობ? იმას ვამბობდი, რომელი სჯობია-მეთქი, იყო მხევალი სულელთა სამოთხისა მარსელში, ერთი საათით აღგზნებული მოჩვენებითი ნეტარებით და დანარჩენ დროს დაიტანჯო მწარე ცრემლებით, სინანულითა და სირცხვილით, თუ იყო სოფლის მასწავლებელი, თავისუფალი და პატიოსანი, ინგლისის ამ მთიან, ნიავიან, მყუდრო და ჯანსაღ კუთხეში?

დიახ, ახლა ვგრძნობ, რომ მართალი ვიყავი, როდესაც სიმტკიცე გამოვიჩინე, მოვიქეცი ისე, როგორც წესია და საჭიროა. ზიზღით უკუვაგდე აღგზნებული წუთით ნაკარნახევი ცდუნება. ღმერთმა მიჩვენა მე სწორი არჩევანი. მფარველობისთვის ვმადლობ მას.

ასე გავატარე მთელი საღამო. მერე ავდექი, კარებთან მივედი და ერთხანს ვუცქერდი შემოდგომის ჩამავალ მზეს. ჩემი კოტეჯის წინ მყუდრო ველებზე მოსავლის აღების ჟამი იყო. აქედან, და ესე იგი სკოლიდან, ნახევარი მილის სიშორეზე იყო სოფელი. ახლა ჩიტები უკანასკნელ საგალობელს ჟღურტულებდნენ:

«ნიავი თბილი იყო, ცვარი _ მათრობელი».

უცებ ბედნიერად ჩავთვალე თავი და გამიკვირდა, რისთვის ვიგლოვე ამდენი და რაზე? ნუთუ იმ ბედზე, რომელმაც გამომტაცა პატრონს ისე, რომ ვეღარასოდეს ვნახავ; თუ იმ ამაო მწუხარებასა და საბედისწერო აღშფოთებაზე, რაც მოჰყვა ჩვენს განშორებას და რაც, შესაძლოა, დღეს სწორი გზიდან მიათრევს და უიმედოდ სწირავს მას. ამის გაფიქრებაზე თვალი ავარიდე მშვენიერ ცასა და მორტონის მყუდრო ველს. მყუდრო-მეთქი ვამბობ, რადგან მის გადაღმა არც ერთი შენობა არ მოჩანდა გარდა ეკლესიისა და ხეებს შორის მდგარი მღვდლის სახლისა. ხოლო ველის ბოლოს მოჩანდა სახურავი ვეილჰოლისა, სადაც ცხოვრობდნენ მდიდარი მისტერ ოლივერი და მისი ასული. თვალები დავხარე და შუბლით მივეყრდენი კარების ქვის ჩარჩოს. მაგრამ უეცარმა ხმაურმა ჭიშკართან, რომელიც ჩემს პატარა ბაღს გამოჰყოფდა მინდვრისაგან, ზევით ამახედა. დავინახე კარლო _ მისტერ რივერსის ბებერი პოინტერი, რომელიც ცხვირით აწვებოდა კარს გასაღებად. სენტ-ჯონი გულხელდაკრეფილი დახრილიყო და დასცქეროდა მას. ვიგრძენი მისი პირქუში, მრისხანე, თითქმის უსიამოვნოდ მოჩერებული მზერა. ვთხოვე, მობრძანდით-მეთქი.

_ არა, ვერ დავრჩები. მხოლოდ ამის გადმოსაცემად მოვედი, ჩემმა დებმა დაგიტოვეს ეს ხვეულა. ვგონებ, შიგ საღებავებია, ფანქრები და ქაღალდი.

მივუახლოვდი და გამოვართვი ეს ჩინებული საჩუქარი. როგორ მათვალიერებს-მეთქი გავიფიქრე, როცა მივუახლოვდი; ნამდვილად მემჩნეოდა ნამტირალევი.

_ მოსალოდნელზე ძნელად ხომ არ გეჩვენათ მუშაობის პირველი დღე? _ მკითხა მან.

_ ოჰ, არა! პირიქით. მგონია, რომ თანდათან ძალიან შევეჩვევი ჩემს მოსწავლეებს.

_ მაგრამ ალბათ აქაური მოწყობილობა, ეს კოტეჯი და ავეჯი არ არის ისეთი, როგორსაც მოელოდით, არა? მართლაც, ღარიბულია, მაგრამ... _ აქ მე გავაწყვეტინე:

_ ჩემი კოტეჯი სუფთაა და უამინდობისგან დაცული. ავეჯი _ მოხერხებული და საკმარისი. აქ ყველაფერი ჩემში მადლიერების გრძნობას იწვევს და არა სინანულს. ისეთი სულელი და ნებიერი სულაც არა ვარ, რომ ხალიჩის, ტახტისა და ვერცხლის თეფშების უქონლობამ შემაწუხოს. გარდა ამისა, ხუთი კვირის წინ სულ არაფერი მქონდა, გაგდებული ვიყავი, მათხოვარი და მოხეტიალე. ახლა კი ნაცნობები მყავს, სახლიც მაქვს და საქმეც.

მაოცებს ღვთის მოწყალება, მეგობრების ერთგულება და ჩემი ბედის ვითარება. ასე რომ, არ ვწუწუნებ.

_ მაგრამ ალბათ მარტოობის გრძნობა მაინც გაწუხებთ. ის სახლი, აი ეგერ თქვენ უკან, ბნელია და უკაცრიელი.

_ იცით, არც კი მაქვს იმის დრო, რომ შევიგრძნო ეს სიმშვიდე და, მით უმეტეს, მარტოობამ შემაწუხოს.

_ ძალიან კარგი. იმედი მაქვს, ამას გულწრფელად ამბობთ. ყოველ შემთხვევაში, კეთილი აზრებით ალბათ გრძნობთ, რომ ჯერ ძალიან ადრეა ლოტის მეუღლესავით ყოყმანი და შიში. მე არ ვიცი, რა მიატოვეთ თქვენ, ვიდრე მე შემხვდით. მაგრამ გირჩევთ, მტკიცედ გაუმკლავდეთ ყველა ცდუნებას, რომელიც ეცდება უკან მოგახედოთ: უყოყმანოდ შეინარჩუნეთ თქვენი დღევანდელი მდგომარეობა რამდენიმე თვეს მაინც.

_ სწორედ ასე ვაპირებ მოვიქცე, _ მივუგე მე. სენტ-ჯონმა განაგრძო:

_ გამოცდილებით ვიცი, რომ მიდრეკილების მოთოკვა და ბუნების გარდაქმნა ძალიან ძნელი საქმეა, მაგრამ მაინც შესაძლებელია. ღმერთმა გარკვეული ძალა მოგვცა ჩვენივე ბედის შესაქმნელად. და როდესაც ჩვენი ენერგია იმ საზრდოს ითხოვს, რომლის მიღება მას არ შეუძლია, როდესაც ჩვენი სურვილი იმ გზით წაგვმართავს, რომლის გვერდის აქცევა შეუძლებელია, არ უნდა დავიცალოთ ძალისაგან და არც გული გავიტეხოთ. სხვა საზრუნავი უნდა მოვუნახოთ გონებას იმ აკრძალულ საზრდოსავით ძლიერი, რომელსაც ის ვერ ეღირსა, სხვა საზრუნავი და, შესაძლებელია, უფრო წმინდაც. საჭიროა გზა გავიკაფოთ ისევე სწორი და ვრცელი, როგორიც ადრე გვქონდა, სანამ ბედი ჩაგვიკეტავდა, რა ვუყოთ, თუ ის ცოტათი უხეშიც იქნება.

_ ერთი წლის წინ მე თვითონ საოცრად უბედურად ვგრძნობდი თავს, რადგან მეგონა შეცდომა დავუშვი, რომ ღვთისმსახურება დავიწყე. საოცრად მქანცავდა ეს საყოველთაო მოვალეობები, მწყუროდა ნამდვილი სიცოცხლე, მწერალთა ამაღელვებელი საქმეები; მინდოდა ვყოფილიყავი მსახიობი, ავტორი, ორატორი და თითქმის ყველაფერი უფრო მინდოდა, ვიდრე მღვდლობა. დიახ, ჩემს დიაკვნურ ქადაგებაში სცემდა გული პოლიტიკოსისა, მხედრისა, დიდების მსურველისა, სახელმოხვეჭის ნდომისა, ძალაუფლებისთვის მებრძოლისა. ვფიქრობდი, ჩემი სიცოცხლე უბადრუკია და უნდა შეიცვალოს, თორემ მოვკვდები-მეთქი. წყვდიადისა და ბრძოლის დრო სინათლემ და იმედმა შეცვალა. ჩემი უმწეო არსებობა უეცრად უკიდეგანო სივრცედ იქცა, ზეცის ძახილზე აღსდგა ძალა ჩემში, მოზღვავდა, ფრთა გაშალა, უხილავ სამყაროში აიმართა. ღმერთმა დამავალა, კარგად მეტარებინა და დამეცვა ძალა და ხელოვნება, სიმამაცე და მჭევრმეტყველება, მხედრის, მოქალაქისა თუ ორატორის საუკეთესო თვისებები: ყოველივე ეს აუცილებელია და თავმოყრილი უნდა იყოს კარგ მისიონერში.

ასე გადავწყვიტე, მისიონერი გავმხდარიყავი და იმ დროიდან ჩემი გონება სრულიად შეიცვალა; ბორკილები ჩამომეხსნა; მათგან არა დამრჩა რა მტკივნეული წყლულების გარდა, რომელსაც დრო თუ განკურნავს. მამაჩემი,

მართალი რომ ვთქვა, წინააღმდეგი იყო ჩემი არჩევანისა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ აღარავინ მყავს კანონიერი მოწინააღმდეგე. საქმეები მოგვარდა. როგორც მემკვიდრე მორტონისა, უზრუნველყოფილი ვიყავი. დამრჩა კიდევ რამდენიმე ცალკეული სიძნელე გამოწვეული გრძნობების დამსხვრევით. ამ უკანასკნელის შეხლა ადამიანურ სისუსტესთან, რომელსაც ვიცი, დავძლევ. დავიფიცე და უთუოდ დავძლევ. ახლა ვტოვებ ევროპას და აღმოსავლეთისკენ მივემგზავრები.

ყველაფერი ეს მან წარმოთქვა თავისებური უცნაური, დაბალი, შეკავებული და ამაღელვებელი ტონით. ლაპარაკს რომ ამთავრებდა, შევნიშნე, მე არ მიყურებდა, იგი ჩამავალ მზეს გასცქეროდა. მეც მზეს ვუცქერდი. ორივენი ზურგით ვიყავით ბილიკისკენ, რომელიც მინდვრიდან ჭიშკრამდე მოდიოდა. არც ფეხის ხმა გაგვიგია ბალახით დაფარულ ბილიკზე. მხოლოდ ველზე მიმავალი წყლის ნანასავით დუდუნი ისმოდა. ის იყო წასვლას ვაპირებდით, რომ ვერცხლის ზარივით მხიარულმა ხმამ შემოგვძახა.

_ საღამო მშვიდობისა, მისტერ რივერს, საღამო მშვიდობისა, ჩემო კარლო. თქვენი ძაღლი უფრო ადრე ცნობს მეგობრებს, ვიდრე თქვენ, სერ. ჯერ კიდევ ველის ბოლოს ვიყავი, რომ ყურები ცქვიტა და კუდი ააქიცინა, თქვენ კი ზურგი შემოგიქცევიათ ჩემთვის.

მართლაც ასე იყო. მისტერ რივერსი თუმცა შეკრთა ამ წკრიალა ხმისაგან, რომელმაც მეხივით იფეთქა და ღრუბელი გააპო მის თავზე, მაგრამ ის მაინც ისევე უძრავად დარჩა მოსაუბრით გაოცებული. მკლავით ჭიშკარს ეყრდნობოდა და დასავლეთს გასცქეროდა. ბოლოს და ბოლოს დინჯად მობრუნდა; გეგონებოდათ, ზმანება გაჩნდაო მის გვერდით, მისგან სამ ნაბიჯზე იდგა თეთრად შემოსილი ნორჩი, მოქნილი არსება; სავსე, მაგრამ ლამაზად გამოკვეთილი. როდესაც კარლოსთან ალერსი მოათავა, თავი აიღერა და პირსაბური უკან გადასწია, სენტ-ჯონის თვალწინ აღიმართა სრულყოფილი მშვენება. ძლიერი რამ არის სრულყოფილი სილამაზე. მაგრამ მე არ ვაპირებ მის განხილვას და განსაზღვრას. მისი ნაკვთები ისე ლამაზი იყო, როგორის გამოკვეთა მხოლოდ ალბიონის თბილ კლიმატს შეუძლია. წმინდა ფერები ვარდისა და შროშანის, რაც იქაურ ნიავსა და ნისლიან ცას სჩვევია. ეს შედარებები უკეთ განსაზღვრავენ მას. ეშხი არც სჭირდებოდა უნაკლოს. მწყობრი და ნაზი ნაკვთები ჰქონდა ამ გოგონას. ლამაზ ნახატზე რომ გინახავთ, ისეთი მოხაზულობის დიდრონი, მუქი და სავსე თვალები. მომხიბვლელად ზედ შემორკალული გრძელი ჩრდილიანი წამწამები, ფანქრით ნახატი წარბები, რაც ქმნიდა სიწმინდის შეგრძნებას. თეთრი შუბლი ამ დიდებულ სილამაზეს სხივსა და სინათლეს მატებდა. სავსე ლოყები ჰქონდა, ნორჩი და გლუვი; ტუჩები _ ცინცხალი, ჯანსაღი, წითელი და ლამაზად დაბურცული. ციმციმა, მჭიდროდ მიჯრილი ნათელი კბილები; პატარა ფოსო ნიკაპზე. მდიდრულად ეცვა, მოკლედ, ყველა შესაძლებლობა ერთად აღებული მასში იყრიდა თავს იდეალური სილამაზის წარმოსადგენად. გაოცებული შევცქეროდი ამ ზღაპრულ ქმნილებას და მთელი გულით თაყვანს ვცემდი მას. ბუნებას დიდი

სიყვარულით შეექმნა იგი, დავიწყებოდა მისთვის ჩვეული დედინაცვლური სიძუნწე და საყვარელი არსების მიმართ ბებიის სიუხვე გამოეჩინა.

ნეტავ რას ფიქრობდა სენტ-ჯონ რივერსი ამ მიწიერი ანგელოზის შესახებ? ბუნებრივია, ასეთი კითხვა დამებადა, როდესაც ის გოგონასკენ შებრუნდა და შეხედა მას. ბუნებრივია, ამის პასუხს მის გამომეტყველებაში ვეძებდი. მან თვალი აარიდა პერის და გვირილების წყებას ჩააჩერდა, რომლებიც ჭიშკართან იზრდებოდნენ.

_ მშვენიერი საღამოა, მაგრამ შენთვის გვიანია მარტო სასიარულოდ, _ უთხრა მან გოგონას და ფეხით გასრისა იქვე მდებარე თეთრთოვლა გვირილები.

_ მხოლოდ ნაშუადღევს დავბრუნდი ქალაქ ს-დან (მან ერთ-ერთი დიდი ქალაქი დაასახელა, დაახლოებით ოცი მილის მანძილზე აქედან). _ მამამ მითხრა, სკოლა გაგიხსნიათ და ახალი მასწავლებელი ჩამოვიდა. ასე რომ, ჩაი დავლიე თუ არა, ქუდი დავიხურე და მის სანახავად გამოვეშურე ველისკენ. ეს არის, არა? _ ჩემზე მოუთითა.

_ დიახ, _ უთხრა სენტ-ჯონმა.

_ როგორ ფიქრობთ, მოგეწონებათ მორტონი? _ მომმართა მან ბავშვურად სასიამოვნო გულუბრყვილობითა და უშუალოდ.

_ იმედი მაქვს, რომ მომეწონება. ამისთვის ბევრი პირობაც მაქვს.

_ მოსწავლეები აღმოჩნდნენ ისე გულისხმიერნი, როგორც მოელოდით?

_ სავსებით.

_ სახლი მოგეწონათ?

_ ძალიან.

_ კარგად მოგირთეთ?

_ ნამდვილად ძალიან კარგად.

_ მსახურიც რომ კარგი აგირჩიეთ ალისას ტყეში?

_ ნამდვილად კარგია. მორჩილი და გონიერი, _ ეს ალბათ მის ოლივერია-მეთქი, _ გავიფიქრე. _ ოლივერის ერთადერთი მემკვიდრე, ნამდვილად უხვი წყალობით რჩეული, როგორც ბედისგან, ასევე ბუნებისგან. ნეტავ, რომელ ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული?

_ ხანდახან მოვალ ხოლმე და მოგეხმარებით სწავლებაში, _ დასძინა მან. _ გადახალისება იქნება ჩემთვის თქვენთან სტუმრობა. მე მიყვარს სიახლე. მისტერ რივერს, მეტად ვისიამოვნე იქ დარჩენით. წუხელ, ან უკეთ ამ დილით ორ საათამდე ვცეკვავდი. კატასტროფის შემდეგ სამხედრო ნაწილი დგას იქ ოფიცრები მთელ ქვეყანაზე ყველაზე კარგი ადამიანები არიან. ჩვენი მლესავები და მაკრატლით მოვაჭრენი მათ ვერ შეედრებიან.

უეცრად მომეჩვენა, თითქოს მისტერ სენტ-ჯონს წუთით ქვედა ტუჩი დაუგრძელდა, ხოლო ზედა აეპრიხა და აშკარა უკმაყოფილება დაეტყო. საოცრად მტკიცე ოთხკუთხედი ქვედა ყბა მოექცა, როდესაც გოგონა სიცილით ჰყვებოდა ამ ამბავს. გვირილებს თავი ანება და მზერა ისევ გოგონაზე გადაიტანა. ეს იყო სერიოზული, ამწონ-დამწონი მზერა. გოგონამ ისევ

სიცილით უპასუხა. სიცილი ძალიან მოუხდა მის სინორჩეს, ლოყებზე ვარდისფერ ფოსოებსა და ნათელ თვალებს.

უძრავად მდგარი სენტ-ჯონი მუნჯივით გაყუჩდა. გოგონა კი კარლოს ფერებას შეუდგა. _ საწყალ კარლოს ვუყვარვარ, _ თქვა მან. _ არ იცის მეგობრებისგან განზე გადგომა. ლაპარაკი რომ შეეძლოს, ასე არ გაჩუმდებოდა.

როდესაც ის ძაღლს ეფერებოდა, ახალგაზრდა, მკაცრი პატრონის წინაშე დახრილი, შევამჩნიე, როგორმა ალმურმა იფეთქა მისი პატრონის სახეზე; შევამჩნიე, როგორი ცეცხლით აინთო მისი მშვიდი თვალები. აღგზნებული და ალმოდებული ის ახლა კაცის კვალობაზე ისევე ლამაზი იყო, როგორც ქალთა შორის მის წინ დახრილი გოგონა. მისი მკერდი მაღლა აიზიდა, თითქოს დესპოტიზმით შეკუმშული მისი დიდი გული აივსო, სურვილთა ჯიბრზე აიწყვიტა და თავისუფლების მოსაპოვებლად გაიბრძოლა. მაგრამ მან ისევ მოთოკა ეს გრძნობა, როგორც, ჩემი აზრით, კარგი მხედარი მოთოკავს ყალყზე შემდგარ ულაყს. არც სიტყვით, არც მოძრაობით მან არ უპასუხა მისკენ მომართულ სინაზეს.

_ მამა ამბობს, რომ თქვენ ახლა სულ აღარ მოდიხართ ჩვენს სანახავად, _ განაგრძო მის ოლივერმა და თავი ასწია, _ რომ სულ უცხო გახდით ვეილჰოლში. ახლაც მარტოა და ცუდად გრძნობს თავს. არ წამომყვებით მის სანახავად?

_ ახლა უდროოა მისტერ რივერსის შეწუხება, _ მიუგო სენტ-ჯონმა.

_ უდროოაო! მე კი გეუბნებით, სწორედ დროულია-მეთქი. ეს სწორედ ის დროა, როდესაც მამას განსაკუთრებით სჭირდება ხმის გამცემი, როდესაც სამუშაო დამთავრებულია და თავის შესაქცევი არაფერი აქვს. წამოდით რა, მისტერ რივერს. რატომ ხართ ასეთი მორცხვი და გულჩათხრობილი? _ პასუხად, უხერხულად ჩამოწოლილი სიჩუმე ისევ მან დაარღვია.

_ როგორ დამავიწყდა, _ წამოიძახა მან და, თითქოს თავის თავზე განრისხებულმა, ლამაზი, კულულებიანი თავი გააქნია. _ როგორი გულმავიწყი და დაბნეული ვარ. გემუდარებით, მაპატიეთ. მე სულ გამომრჩა მხედველობიდან, რომ შესანიშნავი მიზეზი გაქვთ, უარი არ მითხრათ. დიანა და მერი წავიდნენ თქვენგან და მურ- ჰაუსის კარი გამოკეტილია. თქვენ სულ ობლად ხართ. გულწრფელად მებრალებით. წამოდით რა, ინახულეთ მამაჩემი.

_ ამაღამ არა, მის როზამონდ, ამაღამ არა. _ მისტერ სენტ-ჯონი მექანიკურად ამბობდა ამას და თვითონ გრძნობდა, როგორ უმძიმდა უარის თქმა.

_ მაშ, რადგან ასე გაჯიუტდით, მე წავალ. ნამიც ეცემა და მეტს ვერ დავრჩები. ღამე მშვიდობისა.

ახალგაზრდა ქალმა ხელი გამოუწოდა. სენტ-ჯონი ოდნავ შეეხო მის ხელს.

_ ღამე მშვიდობისაო, _ წარმოთქვა სენტ-ჯონმა დაბალი, გამოძახილივით ყრუ ხმით. გოგონა წასასვლელად გაბრუნდა, მაგრამ მაშინვე უკანვე შემოტრიალდა.

_ კარგადა ხართ? - ჰკითხა მან. როგორც კი ეს თქვა, სენტ-ჯონს გოგონას კაბის ფერმა დაჰკრა სახეზე.

_ ძალიან კარგად. _ განაცხადა მან, თავი დაუკრა და ჭიშკარს გასცილდა. სხვადასხვა გზით წავიდნენ. ველზე ფერიასავით მიმავალმა გოგონამ ორჯერ მოიხედა და თვალი სენტ-ჯონს გააყოლა. ის კი მტკიცედ მიაბიჯებდა და არც მოუხედია.

სხვათა ტანჯვისა და მსხვერპლშეწირვის ნახვამ საკუთარი მიყუჩებული ფიქრები ამიშალა. დიანა რივერსმა მის ძმას «სიკვდილივით ულმობელი» უწოდა და ამაში არც შემცდარა.

თავი XXXII

რაც შემეძლო, ერთგულად და გულმოდგინედ განვაგრძობდი შრომას სკოლაში. დასაწყისში ეს მართლაც ძნელი სამუშაო იყო. კარგა ხანი დამჭირდა და თანაც დიდი ენერგია, ვიდრე მოვათვინიერებდი ჩემს მოსწავლეებს და მათ ბუნებას. მთელ რიგ საკითხებში სრულიადაც გაუთვითცნობიერებელნი და გაუთლელნი, ერთი შეხედვით ერთნაირად უიმედონი მეჩვენებოდნენ. მაგრამ მალე მივხვდი, რომ ვცდებოდი. მათ შორისაც, როგორც განათლებულ ხალხს შორის, დიდი სხვაობა იყო. როცა ისინი ახლოს გავიცანი, ეს სხვაობა განსაკუთრებით ნათლად გავარჩიე. ისინი გაოცებულნი იყვნენ ჩემით, ჩემი ენით, ჩემი წესებითა და ჩვევებით. მერე თანდათან ვამჩნევდი, რომ ამ თვალებდაჭყეტილი, გაუთლელი პიროვნებებიდან საკმაოდ გონებამახვილი გოგონები ყალიბდებოდნენ. ბევრი მათგანი თვინიერი და კეთილი ჩანდა. მათში თანდათან აღმოვაჩინე ბუნებრივი ზრდილობის, ქვეცნობიერი ღირსებისა და შესანიშნავი ნიჭის არაერთი მაგალითი, რამაც მათდამი კეთილი სურვილი და სიყვარული ჩამინერგა, ამან კი უდიდესი სიამოვნება მაგრძნობინა. მათთან მუშაობა, მათი კარგად მოვლა, დავალებათა მიცემა, და მათში მშვიდი, წესიერი ჩვევების გამომუშავება დიდ კმაყოფილებას მანიჭებდა. ერთი მხრივ, გასაოცარიც კი იყო, ისე სწრაფად მიდიოდნენ წინ და ამის გამო პატიოსანი შრომით მოპოვებული ბედნიერი სიამაყე ვიგრძენი. გარდა ამისა, მე პიროვნულად შემიყვარდა ზოგიერთი მათგანი; ვატყობდი, მათაც შევუყვარდი. მოწაფეთა შორის მყავდა უკვე მოზრდილი რამდენიმე ფერმერის გოგონა, რომელთაც წერა-კითხვა და კერვა შეეძლოთ. მათ ვასწავლიდი საკითხებს გრამატიკიდან, გეოგრაფიიდან, ისტორიიდან. ასევე ვასწავლიდი ხელსაქმეს. შესანიშნავი ბუნებისანი იყვნენ; სწყუროდათ ახლის გაგება, სრულყოფა. მათ სახლში ბევრი კარგი საღამო გამიტარებია. მათი მშობლები დიდ ყურადღებას მაქცევდნენ. საოცრად მსიამოვნებდა მათი უბრალო პატივისცემის მიღება და ამ ყურადღებისთვის ყურადღებისავე მიგება, გულისხმიერად მიღება მათი განცდებისა, რასაც, როგორც ჩანს, სულ არ იყვნენ ჩვეულნი და რაც ერთდროულად ხიბლავდა და თაყვანისცემით აღავსებდა მათ... ეს, ერთი მხრივ, მათ თვალში მამაღლებდა და მეორე მხრივ, აღარ გრძნობდნენ მათთვის ჩვეულ განსხვავებულ დამოკიდებულებას.

ვიგრძენი, რომ სამეზობლოში ყველას ვუყვარდი. როდესაც გამოვიდოდი სახლიდან, ყოველი მხრიდან მესმოდა გულთბილი სალამი და ვხედავდი მეგობრულ ღიმილს. ხალხის თაყვანისცემა, თუნდაც მშრომელი ხალხისა, ისევე საამოა, როგორც «მშვიდად და განცხრომით მზეზე ჯდომა», როგორც სულიერ გრძნობათა კვირტების გაშლა და გაფურჩქვნა მზის სხივებისგან. ცხოვრების ამ ეტაპზე ჩემი გული მწუხარებისგან კი არ იძირებოდა, არამედ მადლიერების გრძნობით ივსებოდა. იმასაც გეტყვი, ჩემო მკითხველო, რომ დღე ილეოდა ჩემს მოწაფეებთან ღირსეულ საქმიანობაში, საღამო მშვიდად მიდიოდა ხატვასა და კითხვაში. ასეთი მშვიდი და სასარგებლო დღის მერე ღამით საოცარ სიზმრებს ვხედავდი. სიზმრებს ათასფერს, წარმტაცს, იდეალებით სავსეს, ამაღელვებელს, ქარიშხლიანს, სადაც არარეალურ სათავგადასავლო ამბებში, რისკსა და რომანტიკულ თავგანწირვაში ისევ და ისევ ვხვდებოდი განსაცდელში მყოფ მისტერ როჩესტერს და მაშინ მისი მკლავების შეგრძნება, მისი ხმის გაგონება, თვალებით შეხვედრა, ხელისა და ლოყების შეხება, სიყვარული მისგან და მისდამი, იმედი, რომ მის გვერდით ვიქნები მთელი სიცოცხლე _ პირვანდელი ძალითა და ცეცხლით განახლდებოდა ხოლმე ჩემში. მერე ვიღვიძებდი; მოვიგონებდი, სადა ვარ, რა მდგომარეობაში, ცახცახითა და თრთოლვით წამოვდგებოდი უფარდო საწოლიდან და ჩემი სასოწარკვეთისა და მოზღვავებული გრძნობების მოწმე მშვიდი და ბნელი ღამე გახლდათ. დილით კი ზუსტად ცხრა საათისთვის მე ისევ შევდიოდი სკოლაში მოთოკილი, დაწყნარებული და მომზადებული ყოველდღიურ მოვალეობათა შესასრულებლად.

როზამონდ ოლივერმა შეასრულა დანაპირები და მოდიოდა ხოლმე ჩვენს სანახავად. ჩვეულებრივ, დილით, ცხენის სეირნობისას, შემოივლიდა სკოლაში. თავისი ულაყით კარებს მოადგებოდა ხოლმე. უკან ცხენზე შემჯდარი მსახური მოსდევდა. ძნელია უკეთესი სანახაობა წარმოიდგინოთ, ვიდრე მეწამული ფერის სამოსში გამოწყობილი ეს გოგონა. შავი ხავერდის საცხენოსნო ქუდი მოხდენილად ედო იმ კულულებზე, ლოყებს რომ უკოცნიდა და ფარფატით მხრებამდე ეშვებოდა. ასე შედიოდა ის ამ უბრალო შენობაში და ჩაივლიდა გაოცებისგან თვალებდაჭყეტილ სოფლის ბავშვებს შორის. ის, ჩვეულებრივ, მოდიოდა ისეთ დროს, როდესაც მისტერ რივერსი გართული იყო გაკვეთილის გამოკითხვით. მე ვგონებ მისი გამოხედვა მღვდელს გულში ძალიან მწვავედ ხვდებოდა, თითქოს რაღაც ინსტინქტი ამცნობდა მის მოსვლას, მაშინაც კი, როდესაც ვერ ხედავდა მას. თუმცა კარის საპირისპიროდ იყურებოდა, გოგონა კარებთან გაჩნდებოდა თუ არა, მღვდელს ღაწვები აელეწებოდა, მარმარილოსგან თლილი ნაკვთები აღარ ემორჩილებოდნენ და სახე მთლიანად ეცვლებოდა; სახის ნაკვთების ეს უძრაობა უფრო მეტის მთქმელი იყო, ვიდრე აცახცახებული კუნთი ან ელვისებური გამოხედვა.

რასაკვირველია, გოგონა გრძნობდა თავის ძალას, არ შეეძლო და არც მალავდა მას. საკმარისი იყო მისი გამოჩენა, დალაპარაკება, მხიარული,

გამამხნევებელი, თითქმის კეკლუცი ღიმილი, რომ მიუხედავად ქრისტიანული სიმშვიდისა და ურყევობისა, სენტ-ჯონს ხელები უთრთოდა და თვალები ენთებოდა, თუ ტუჩებით არა, სევდიანი და მტკიცე გამოხედვით მაინც ამბობდა: «მიყვარხარ და ვიცი, შენი რჩეული ვარ. წარმატებისაგან თავბრუდახვევამ კი არ დამამუნჯა. მე რომ გული შემოგთავაზო, მჯერა, მიიღებ მას. მაგრამ ეს გული წმინდა საკურთხეველზე ასვენია. ცეცხლი ანთია მის გარშემო და მალე აღსრულდება მსხვერპლშეწირვა».

მაშინ გოგონა იმედგაცრუებულ ბავშვივით გაიბუტებოდა, ლუში ღრუბელი მოალბობდა მის კაშკაშა ბრწყინვალებას. სასწრაფოდ ხელს ჩამოართმევდა, ჯიუტად და კეკლუცად მოსწყდებოდა იმ ადგილს და ასე გმირულად, მარტვილურად თვალს მიეფარებოდა. რაღა თქმა უნდა, სენტ-ჯონი მთელ ქვეყანას არ დაზოგავდა, ოღონდ გასდევნებოდა, შეეჩერებინა და დაეძახნა მისთვის, მაგრამ ვერ თმობდა ზეცას, სიყვარულის მსხვერპლად ვერ ელეოდა ჭეშმარიტსა და ერთადერთ რწმენას მარადიული სამოთხისა. გარდა ამისა, უჭირდა ერთ პიროვნებაში ჩატეულიყო მისი ბუნება და ერთ ვნებაში გამოეხატა სული პოეტისა, მოხეტიალისა, მეოცნებისა და სულიერი მამისა. არც შეეძლო და არც სურდა უარი ეთქვა დიად მისიაზე, ვერ გაცვლიდა მას ვეილჰოლის სასახლესა და მყუდროებაზე. ბევრი რამ გავიგე ერთხელ თვითონ მისგან. მიუხედავად მისი ასეთი გულჩათხრობილი ხასიათისა, მაინც გავბედე და გულახდილ საუბარში გამოვიწვიე.

მის ოლივერი ძალიან ხშირად პატივს მდებდა და მოდიოდა ხოლმე ჩემთან კოტეჯში. კარგად გავიგე მისი ბუნება; არც არაფერი იყო მასში იდუმალი და დაფარული: მის ოლივერი კეკლუცი იყო, მაგრამ არა უგულო; მომთხოვნი, მაგრამ არა შეუბრალებელი ეგოისტი; დაბადებიდანვე ნებიერა, მაგრამ არა თავგასული; ფიცხი, მაგრამ კეთილი ბუნების; თვითდარწმუნებული (ან როგორ არ იქნებოდა, როცა სარკეში ჩახედვისას ასეთ სილამაზეს ხედავდა), მაგრამ არა პრანჭია; გულუხვიც იყო, გულახდილი, საკმაოდ ჭკვიანიც, მხიარულიც, ხალისიანი და წინდაუხედავი. ერთი სიტყვით, მეტისმეტად მომხიბვლელი მისი სქესის ისეთი კრიტიკული თვალით შემფასებელი ადამიანისთვისაც კი, როგორიც მე ვიყავი. მაგრამ, როგორც პიროვნება, ის დიდ ინტერესს არ იწვევდა ჩემში და არც ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე. ჭკუით სრულიად განსხვავდებოდა სენტ-ჯონის დებისაგან. მაინც მიყვარდა. მიყვარდა ისე, როგორც ერთ დროს ადელი. ერთი რამ ცხადია, ბავშვს, რომელსაც შენ ასწავლი და რომლისთვისაც ზრუნავ, უფრო მეტად უახლოვდები და გიყვარს, ვიდრე მომხიბვლელი, მაგრამ უკვე მოზრდილი პიროვნება.

ახირებულ ცნობისმოყვარეობას იჩენდა ჩემ მიმართ, თუმცა კეთილი გულით. მითხრა მისტერ რივერს ჰგავხართო (მხოლოდ, რასაკვირველია, ისიც არ დამიმალა, რომ ის ერთი ათად ჩემზე ლამაზი იყო. თქვენ, მართალია, პატარა, კოხტა, ფაქიზი არსება ხართ, მაგრამ ის ანგელოზივით მშვენიერიაო), სენტ-ჯონივით კეთილი, ჭკვიანი, მშვიდი, თავშეკავებული და მტკიცე ხართო.

ამტკიცებდა, რომ სოფლის სკოლის მასწავლებლისთვის მე lusus naturae ვიყავი. იმასაც ამბობდა, რომ ჩემი წარსული ცხოვრების ამბავი რომ სცოდნოდათ, შესანიშნავი რომანი დაიწერებოდა.

ერთ საღამოს ბავშვური ენერგიით, დაუფიქრებლად, მაგრამ არა შეურაცხმყოფელი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ჩემს კარადას და მაგიდის უჯრებს პატარა სამზარეულოში; იპოვა ორი ფრანგული წიგნი, შილერის ტომი, გერმანული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო და ლექსიკონი, სახატავი მოწყობილობა და რამდენიმე ესკიზი. მათ შორის შენიშნა ფანქრით ნახატი ერთ-ერთი ჩემი მოსწავლის, ქერუბიმივით მშვენიერი პატარა გოგონას თავი; მორტონის ველისა და გარშემორტყმული ტორფნარის სხვადასხვა პეიზაჟი. პირველად გაოცებისაგან გაშეშდა, მაგრამ შემდეგ სიამოვნებისგან აენთო.

_ შენ დახატე ეს სურათები? იცი ფრანგული და გერმანული? რა საყვარელი ხარ, რა საოცარი! ქალაქ ს-ში სკოლის მასწავლებელზე უკეთ ხატავ. ხომ არ დახატავდი ჩემს სურათს, მამისთვის რომ მეჩვენებინა?

_ სიამოვნებით, _ ვუპასუხე, სხეულში იმ ტკბილმა ჟუანტელმა დამიარა, მხატვარი რომ გრძნობს ხოლმე, თუ მას შესაძლებლობა აქვს ასეთი მშვენიერი და გასაოცარი სილამაზის პიროვნება ჰყავდეს მოდელად. ქალს მუქი აბრეშუმის კაბა ეცვა. მკლავები და კისერი შიშველი ჰქონდა; ერთადერთი სამკაული, რომელიც მხრებზე დაჰფენოდა, იყო მისი წაბლისფერი, საოცრად ლამაზი ბუნებრივი კულულები. მუყაოს თხელი ფურცელი ავიღე და ფრთხილად მოვხაზე მისი სახე. სიამით ვფიქრობდი, თუ როდის შევუდგებოდი საღებავებით ხატვას. ახლა უკვე ბნელდებოდა და ვუთხარი, მეორე დღეს მოსულიყო.

მას იმდენი ელაპარაკა ჩემზე მამასთან, რომ მეორე დღეს თვით მისტერ ოლივერი მოჰყვა თან. ეს იყო მაღალი, მსხვილნაკვთებიანი საშუალო ხნის ჭაღარა კაცი. მისი ლამაზი ასული მშვენიერ ყვავილს ჰგავდა ჟამთა სვლისაგან დათოვლილ კოშკის გვერდით. მისტერ ოლივერი სიტყვაძუნწი ადამიანი ჩანდა და, შესაძლებელია, ამაყიც. მე თავაზიანად მეპყრობოდა. ძალიან მოეწონა როზამონდას პორტრეტის მონახაზი; მითხრა, რომ აუცილებლად უნდა დამემთავრებინა და მთხოვა, ხვალ უსათუოდ მობრძანდით ჩვენთან ვეილჰოლში, საღამო ერთად გავატაროთო.

ვესტუმრე. ეს იყო დიდი, მშვენიერი ბინა, სადაც ყველაფერი პატრონის მოჭარბებულ სიმდიდრეზე ლაპარაკობდა. მთელი საღამო როზამონდა მხიარულებითა და სიამოვნებით იყო სავსე. მამამისი თავაზით მესაუბრებოდა ჩაის შემდეგ. შემიქო მორტონის სკოლაში ჩემი საქმიანობა და დასძინა, რაც ვნახე და გავიგე, მაფიქრებინებს, რომ, როგორც კი უფრო შესაფერის ადგილს იპოვით, მაშინვე დასტოვებთო, რადგან ეს საქმიანობა თქვენთვის მეტისმეტად უბრალოაო.

_ მართალია, მამიკო, _ წამოიძახა როზამონდამ. _ იმდენად ჭკვიანია, რომ თავისუფლად შეუძლია მაღალი საზოგადოების ოჯახში იმუშაოს აღმზრდელად.

მე კი ვფიქრობდი, რომ გაცილებით უმჯობესი იყო ჩემთვის აქ დარჩენა, ვიდრე მაღალი წრის ადამიანთა ოჯახში აღმზრდელად მუშაობა. მისტერ ოლივერმა მისტერ რივერსი და საერთოდ რივერსების ოჯახი პატივისცემით მოიხსენია. თქვა, ეს უძველესი გვარია ამ მხარეში, მათი წინაპარნი მდიდრები იყვნენო; ერთ დროს მთელი მორტონი მათ ეკუთვნოდათ; და ახლაც, მისტერ ოლივერის აზრით, ამ გვარის წარმომადგენელს შეეძლო, რასაკვირველია, თუ ის ამას მოინდომებდა, ბედი ყველაზე კარგ ოჯახთან დაეკავშირებინა. მეტად სწყინდა, რომ ასეთ მშვენიერ და ნიჭიერ ახალგაზრდა ადამიანს გადაწყვეტილი ჰქონდა მისიონერად წასვლა. ამით ის ზურგს აქცევდა დიდებულ ცხოვრებას. მივხვდი, რომ მისტერ ოლივერი წინააღმდეგი არ იყო როზამონდას თავისი ბედი სენტ-ჯონისთვის დაეკავშირებინა. როგორც ჩანდა, მისტერ ოლივერი ფიქრობდა, რომ ახალგაზრდა მღვდელს კარგი გვარიშვილობა, ძველისძველი წარმოშობა და შეუბღალავი შინაგანი ბუნება შეავსებდა მის უფულობას.

ეს მოხდა დღესასწაულის დღეს, ხუთ ნოემბერს. პატარა გოგონას, რომელიც ოთახის დალაგებაში მეხმარებოდა, ერთი პენი მივეცი გასამრჯელოდ და დიდად კმაყოფილი გავათავისუფლე. ერთი ლაქაც კი არ ჩანდა არსად, ყველაფერი ბრწყინავდა: გახეხილი იატაკი, გაპრიალებული ბუხარი და კარგად გაწმენდილი სკამები. თვით მეც ფაქიზად გამოვეწყვე და შემეძლო, როგორც მინდოდა, ისე გამეტარებინა მთელი დღე.

გერმანულიდან რამდენიმე ფურცლის გადათარგმნას ერთი საათი მოვუნდი; შემდეგ პალიტრა და სახატავი ფანქრები ავიღე: ჩემს საყვარელ და ამიტომაც უფრო იოლ საქმიანობას შევუდექი: უნდა დამემთავრებინა როზამონდ ოლივერის მინიატურა. უკვე დავამთავრე, მხოლოდ ფონი უნდა გამომეკვეთა და ჩაცმულობაზე _ ჩრდილები. კიდევ რამდენიმე წასმა სჭირდებოდა დაბურცულ ტუჩებს, რამდენიმე ხვეულა ფაქიზ კულულებს, ოდნავ მუქი ფერი ლაჟვარდი თვალების ქვეშ დაფენილ წამწამთა ჩრდილს. მთლიანად გამიტაცა ამ შესანიშნავ დეტალებზე მუშაობამ, რომ ამ დროს სწრაფი კაკუნი მომესმა. კარები გაიღო და სენტ-ჯონ რივერსი შემოვიდა.

_ მოვედი, გავიგო, როგორ ატარებთ დღესასწაულს, _ თქვა მან. _ იმედია, ფიქრებში არ ხართ წასული. ვხედავ, რომ არა, ძალიან კარგი. ხატვისას მარტოობას ვერც იგრძნობთ. იცით, ჯერ კიდევ არ მჯერა თქვენი, თუმცა შესანიშნავად გიჭირავთ თავი. წიგნი მოგიტანეთ, რომ საღამოობით მშვიდად იკითხოთ, _ მაგიდაზე ახლადგამოცემული პოემა დადო, ერთ-ერთი იმ შესანიშნავ ნაწარმოებთაგანი, რომლითაც მაშინდელი საზოგადოება იყო განებივრებული: ეს იყო თანამედროვე ლიტერატურის ოქროს ხანა. რა გაეწყობა! ჩვენი თაობის მკითხველებს ამ მხრივ ბედი ასე არ სწყალობთ. მაგრამ გულს ნუ გავიტეხთ! არ ვიწუწუნოთ, არც დავადანაშაულოთ ვინმე. ვიცი,

პოეზია არ ჩამქრალა, არც გენია დაკარგულა; ვინ მისცა მამონს ძალა შეზღუდოს ან ჩაკლას პოეზია ან გენია; ოდესმე კვლავ აღმოცენდება, ხორცს შეისხამს, მოიპოვებს თავისუფლებას და გაძლიერდება. ძლიერი ანგელოზები მფარველობენ მათ ზეცაში! როდესაც ბოროტი სულები ზეიმობენ, ისინი მხოლოდ იღიმებიან; მხოლოდ უძლურნი დასტირიან თავიანთ დაღუპვას. პოეზია გაქრა? გენია აღმოიფხვრა? არა, არასოდეს! ძალა დაკარგა? არა. ნებას ნუ მისცემთ შურს, რომ ასეთი რამ შთაგაგონოთ. ისინი არა მარტო ცოცხლობენ, არამედ ყველგან არიან და გვშველიან; მათი მაცოცხლებელი გავლენის გარეშე თქვენ ჯოჯოხეთში იქნებოდით. თქვენივე საკუთარი უბადრუკობის ჯოჯოხეთში.

ვიდრე მარმიონს ვფურცლავდი დიდი გატაცებით (ეს წიგნი მან მომიტანა), სენტ-ჯონი დაიხარა, რომ ჩემი ნახატი დაეთვალიერებინა. შეკრთა და მისი მაღალი სხეული კვლავ აიმართა. შევხედე. სიტყვა არ უთქვამს. თვალი მომარიდა. კარგად ვიცოდი, რას ფიქრობდა და გარკვევით ვკითხულობდი, რა ჰქონდა გულში. ამ წუთს მასზე უფრო მშვიდი და აუღელვებელი მე ვიყავი, დროებით მე მეკუთვნოდა უპირატესობა. განვიზრახე, შეძლებისდაგვარად დავხმარებოდი.

_ მთელი თავისი სიმტკიცისა და ნებისყოფის მიუხედავად, _ ვფიქრობდი, _ რა ძნელი საქმე განუზრახავს. ყოველ გრძნობასა და მწვავე ტკივილს გულში იხვევს, არ ამხელს, არავის ანდობს, არავის უზიარებს. დარწმუნებული ვარ, გულზე მოეშვება, რაიმეს რომ იტყოდეს მშვენიერ როზამონდზე, რომელიც, მისი აზრით, არ შეიძლება ცოლად შეირთოს. ძალიან მომინდა ამელაპარაკებინა.

პირველმა მე დავარღვიე სიჩუმე.

_ დაბრძანდით, მისტერ რივერს. _ ჩვეულებისამებრ მიპასუხა, არ შემიძლია დარჩენაო.

_ ძალიან კარგი, _ გონებაში ვუპასუხე. _ იდექით, თუ ასე გსურთ. მაგრამ, უდავოა, ჯერ ვერ წახვალთ: მარტოობა თქვენთვისაც აუტანელია. შევეცდები გავიკვლიო გზა თქვენი ნდობისაკენ, ვიპოვო ამ მარმარილოსავით მაგარ მკერდში გულისკენ მიმავალი ბილიკი და ვაპკურო მას თანაგრძნობის მაცოცხლებელი ბალზამის წვეთი.

_ ჰგავს ეს ნახატი? _ ვკითხე პირდაპირ.

_ ჰგავს? ვის? არც კი დავკვირვებივარ.

_ როგორ არა,, მისტერ რივერს.

ჩემმა ასეთმა უეცარმა და უცნაურმა პირდაპირობამ შეაკრთო: გაოცებულმა შემომხედა. «ოჰ, ეს ჯერ არაფერია», გუნებაში გავივლე.

«სრულებითაც არ ვაპირებ ამ ჯიუტობამ შემაშინოს, ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი ჩემს ძალას შესწევს». _ შემდეგ განვაგრძე:

_ კარგად და დაკვირვებითაც დაათვალიერეთ უკვე, მაგრამ არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, თუ ისევ ნახავთ.

ავდექი და ნახატი ხელში მივაჩეჩე.

_ კარგადაა შესრულებული, _ თქვა მან. _ მეტად ნაზი, ნათელი ფერებია, ძალიან ლამაზი და ზუსტად შესრულებული ნახატია.

_ დიახ, დიახ. ეს მე ვიცი. მაგრამ მსგავსებაზე რას იტყვით? ვის ჰგავს?

ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ თავს სძლია და მიპასუხა. _ ჩემი აზრით, მის ოლივერს.

_ რასაკვირველია, ახლა კი, სერ, მინდა ამ შესანიშავი მიხვედრილობისთვის დაგაჯილდოოთ. სიამოვნებით გპირდებით, რომ დიდი გულმოდგინებით დაგიხატავთ სწორედ ასეთსავე სურათს. მხოლოდ უნდა მითხრათ, რომ უარს არ იტყვით მის წაღებაზე. არ მინდა დრო ტყუილად დავხარჯო და შემოგთავაზოთ ისეთი საჩუქარი, რასაც უღირსად ჩათვლით.

კვლავ სურათს უმზერდა. რაც უფრო დიდხანს უყურებდა, მით უფრო უჭერდა ხელს, თითქოს მით უფრო სურდა მისი მიღება. «ჰგავს», _ ჩურჩულებდა. _ «თვალები კარგად არის დახატული; ფერიც; სიანკარეც, გამომეტყველებაც სწორედ ასეთი აქვს. თვალები იღიმებიან კიდეც».

_ გინდათ, გქონდეთ ასეთი სურათი, თუ ამით ტკივილს იგრძნობთ? მითხარით, მადაგასკარში, კეთილი იმედის კონცხსა და ინდოეთში ეს სურათი თან რომ გქონდეთ, დაგიმშვიდებთ სულს? თუ მოგონებებს გაგიღვიძებთ, ძალას გამოგაცლით და სევდას მოგგვრით?

ახლა მან მალულად შემომხედა, უნდოდ და შეშფოთებით, მერე კვლავ სურათს მოავლო თვალი.

_ თან რომ მინდა წავიღო, ეს ცხადია, მაგრამ არის თუ არა ეს მიზანშეწონილი ან გონივრული, მეორე ამბავია.

როდესაც დავრწმუნდი, რომ როზამონდას ნამდვილად მოსწონდა სენტ-ჯონი, მისტერ ოლივერიც არ იყო წინააღმდეგი მათი ქორწინებისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი აზრი ამ ცხოვრებაზე ბევრად უფრო უნუგეშო იყო ვიდრე სენტ-ჯონისა, მაინც გულით მინდოდა ხელი შემეწყო ამ საქმისთვის. ვფიქრობდი, რომ სენტ-ჯონი გახდებოდა მისტერ ოლივერის დიდი სიმდიდრის პატრონი, ეს შესაძლებლობას მისცემდა უფრო მადლიანი საქმეები ეკეთებინა, ვიდრე მისიონერად წასულიყო ტროპიკულ ქვეყნებში, სადაც მზე დააჭკნობდა მის გენიას და გამოუფიტავდა ძალას. ამაში დარწმუნებულმა ვუპასუხე:

_ რამდენადაც ვხედავ, უფრო გონიერი და მიზანშეწონილი იქნება ახლავე დაეუფლოთ ორიგინალს.

სენტ-ჯონი უკვე იჯდა: სურათი წინ მაგიდაზე ედო, შუბლი ხელებზე დაედო და თვალს ვერ აცილებდა. შევამჩნიე ჩემს გაბედულად ნათქვამ წინადადებაზე არც გაბრაზდა და არც გაუკვირდა. ისიც შევამჩნიე, რომ ამ საკითხზე ასე გულახდილი საუბარი, რომლის შესახებ ლაპარაკს წინათ ვერ ბედავდა, და შეგნება იმისა, რომ შეიძლებოდა მასზე ასე თავისუფლად ლაპარაკი, ახლა სიამოვნებასა და შვებას ჰგვრიდა. გულჩათხრობილ ხალხს უფრო ხშირად სჭირდება გულახდილი საუბარი თავის დარდსა და გრძნობებზე, ვიდრე გულღია ადამიანებს. ეს კაცი მტკიცე ჩანს, მაგრამ ბოლოს

და ბოლოს ისიც ხომ ადამიანია. ამგვარი ადამიანების სულის «წყნარ ზღვაში» ასე გაბედულად და კეთილი განზრახვით შეჭრა ხშირად კეთილი საქმეა და აუცილებელიც.

_ დარწმუნებული ვარ, რომ მას მოსწონხართ, _ ვუთხარი. მისი სკამის უკან ვიდექი. _ მამამისიც პატივს გცემთ. უფრო მეტიც, როზამონდა მშვენიერი ქალიშვილია; თუმცა უდარდელი, მაგრამ თქვენი სერიოზულობა ორივეს გეყოფათ. უნდა შეირთოთ.

_ მოვწონვარ? _ იკითხა მან.

_ რასაკვირველია; ყველაზე მეტად მოსწონხართ, სულ თქვენზე ლაპარაკობს. არაფერია მისთვის ამაზე მეტად სასიამოვნო და ხშირადაც გახსენებთ.

_ მსიამოვნებს, ამას რომ ამბობთ, _ მითხრა მან. _ და ძალიან მინდა კიდევ ილაპარაკოთ თხუთმეტი წუთის განმავლობაში. მან საათი ამოიღო და მაგიდაზე დადო, დრო რომ დაენიშნა.

_ რისთვის გავაგრძელო, _ ვკითხე, _ მაშინ, როდესაც თქვენ, როგორც ჩანს, უკვე ემზადებით ძლიერი საპასუხო დარტყმისთვის, ან ახალ ბორკილებს ჭედავთ თქვენი გულის შესაბორკად.

_ ნუ ფიქრობთ ასეთ საშინელებებზე. წარმომიდგინეთ, რომ მორჩილი და დამთმობი ვარ. ახლა ხომ მართლაც ასეა: მიწიერი სიყვარული ახლად ამოხეთქილი შადრევანივით ჩქეფს ჩემში. საამო ტალღები ტბორავს ველს, რომელსაც ასე ბეჯითად და მუყაითად ვქმნიდი, რომელზეც დაუღალავად ვთესდი კეთილ სურვილებს და უარს ვამბობდი საკუთარ თავზე. ახლა ეს ველი ნექტარივით ტკბილი ნიაღვრითაა დაფარული, ხოლო ნორჩი ყლორტები იღუპება; ტკბილმა საწამლავმა მოწამლა ისინი: ვეილჰოლში ვარ ნებიერად ჩამომჯდარი სასტუმრო ოთახში დივანზე, ჩემი საცოლე როზამონდ ოლივერის ფერხთით; ის ჩვეული ტკბილი ხმით მელაპარაკება; დამყურებს მშვენიერი თვალებით, თქვენ რომ ასე ოსტატურად გადმოხატეთ; მიღიმის მარჯნისფერი ტუჩებით. ის ჩემია და მე მას ვეკუთვნი. აი, ეს ცხოვრება და წარმავალი სამყარო სრულიად საკმარისია ჩემთვის. ჩუმად! ნუ ამოიღებთ ხმას! გული ნეტარებს, გრძნობები მოჯადოებულია. დეე, ეს წუთები ტკბილ ოცნებაში გაილიოს.

მადლი მოვიღე მასზე. საათი წიკწიკებდა. სენტ-ჯონი სწრაფად და ღრმად სუნთქავდა. ვდუმდი, ამ სიჩუმეში გაიარა თხუთმეტმა წუთმა. შემდეგ საათი აიღო, სურათი კვლავ დადო, წამოდგა და ბუხართან მივიდა.

_ ამგვარად, _ თქვა მან: _ ეს დრო ოცნებასა და ზმანებას შევწირე. შუბლი ცდუნებას მივაყრდნე მკერდზე და თავი ყვავილთა უღელში გავყავი ჩემივე ნებით. სიტკბოების თასი დავცალე. მაგრამ ყურთბალიში ცეცხლში გაეხვია; ყვავილების წნულში გველს მოვკარი თვალი; ღვინო მემწარა; დაპირებანი უიმედო მეჩვენა და შემოთავაზებული სურვილები _ ცრუ. მას კარგად ვხედავ და ვიცი კიდეც.

გაოცებულმა შევხედე.

_ უცნაურია, _ განაგრძო მან: _ მიუხედავად იმისა, რომ როზამონდ ოლივერი ასე გაგიჟებით მიყვარს, მიყვარს მთელი სულითა და გულით, პირველი სიყვარულით და თვით ქალიშვილიც საოცრად ლამაზი, ღვედივით მოქნილი და მომხიბვლელია, გონება მაინც მშვიდია, დინჯი; ვგრძნობ, რომ ის ცოლად არ გამომადგება. ვერ იქნება ჩემი ცხოვრების თანამგზავრი. ეს ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ გამომჟღავნდება. თორმეტი თვის ნეტარება შეიცვლება სამუდამო სინანულით. აი, ეს მე კარგად ვიცი.

_ მართლაცდა, უცნაურია, _ წამომცდა ჩემდა უნებურად.

_ და მაინც, _ განაგრძო ისევ: _ ძალიან ვიხიბლები მისი მშვენებით, მაგრამ ამავე დროს კარგად ვიცი ნაკლიც: ის ვერ თანაუგრძნობს ვერც ერთ საქმეს, რასაც მე ვესწრაფვი; მხარს ვერ დამიჭერს ვერაფერში. განა შეიძლება, როზამონდა იყოს წამებული, მშრომელი, ქალი _ მოციქული? იყოს მისიონერის მეუღლე? არა.

_ მაგრამ თქვენ აღარ იქნებით მისიონერი. შეგიძლიათ თქვენს განზრახვაზე ხელი აიღოთ.

_ ხელი ავიღო! როგორ! ჩემს მისწრაფებაზე? ამ დიად საქმეზე? იმ საქმეზე, რომელსაც აქ ვეწევი, რათა დავიმკვიდრო ზეციური სასუფეველი? აღარ მქონდეს იმედი, რომ ვიქნები მათ შორის, რომლებმაც ყველა პატივმოყვრული ოცნება ერთ დიად სურვილს დაუმორჩილეს; სურვილს, რომ გაუუმჯობესონ თანამოძმეებს ცხოვრება? შეიტანონ ცოდნა უვიცობის სამყაროში? შეცვალონ ომი მშვიდობით? მონობა _ თავისუფლებით, ცრურწმენა _ რელიგიით, ჯოჯოხეთის შიში _ ციური იმედით? ამაზე უნდა ავიღო ხელი? სულზე უტკბესია ეს საქმე ჩემთვის. აი, რას უნდა ველოდე მოუთმენლად, რითი უნდა ვსულდგმულობდე.

_ და მის ოლივერი? _ კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ მივუბრუნდი სენტ-ჯონს. _ ნუთუ თქვენთვის არაფერს ნიშნავს მისი იმედგაცრუება და დარდი?

_ მის ოლივერს უამრავი თაყვანისმცემელი და პირმოთნე ახვევია. ერთი თვეც არ გაივლის და ჩემი სახე მისი გულიდან წაიშლება. დამივიწყებს. გათხოვდება, ალბათ, მასზე, ვინც ჩემზე მეტად გააბედნიერებს.

_ როგორ გულგრილად ლაპარაკობთ, თქვენც ხომ სწორედ ეს ბრძოლა გაწამებთ. დარდისგან დნებით.

_ არა. თუ გავხდი, ეს იმიტომ, რომ მაწუხებს მომავალი, რომელიც ჯერ კიდევ მოუგვარებელია. ჩემი გამგზავრება ფერხდება. მხოლოდ ამ დილით შევიტყვე, რომ ჩემი შემცვლელი, რომლის ჩამოსვლასაც ასე დიდი ხანია ველი, ვერ ჩამოვა კიდევ სამ თვეს. ვინ იცის, იქნებ ეს სამი თვე ექვსად იქცეს.

_ როგორც კი მის ოლივერი შემოდის საკლასო ოთახში, თქვენ კანკალებთ და წითლდებით.

კვლავ გაოცება აღებეჭდა სახეზე. არ ეგონა, რომ ქალი ასეთ ლაპარაკს გაბედავდა მამაკაცთან. მე კი თავისუფლად ვგრძნობდი თავს ამ საუბრის დროს. ძლიერი, გულჩათხრობილი და დახვეწილი გემოვნების ადამიანთან საუბრისას, ქალი იქნებოდა ეს თუ მამაკაცი, ვერ მოვისვენებდი, ვიდრე ამ

პირობით ჩაკეტილობას არ გადავლახავდი და არ გადავაბიჯებდი ნდობის ზღურბლს, არ მოვიპოვებდი ადგილს მისი გულის სიღრმეში.

_ თავისებური ადამიანი ბრძანდებით, _ მითხრა სენტ-ჯონმა: _ მაგრამ მორცხვი არა ხართ. თქვენი სული გაბედულია და მზერა სულში ჩამწვდომი. მერწმუნეთ, ჩემი გრძნობები სწორად არ გესმით. თქვენ ისინი უფრო ღრმა და ძლიერი გგონიათ. მაწერთ ისეთ გრძნობებს, რაც სინამდვილეში არ გამაჩნია. როდესაც ვწითლდები და ვცახცახებ მის ოლივერის წინაშე, ჩემი თავი არ მებრალება, არამედ ვგმობ სისუსტეს. ვიცი, რომ ეს გრძნობა დამამცირებელია, რადგან ეს არის ვნებათა ღელვა და არა თრთოლვა სულისა. სული კლდესავით უტეხია, უძირო, ბობოქარ ზღვაში მტკიცედ აღმართული. მიცნობდეთ ისეთს, როგორიც სინამდვილეში ვარ: ცივს, გულქვა ადამიანს.

უნდოდ გავიღიმე.

_ ძალით მოიპოვეთ ჩემგან გულახდილობა, _ განაგრძო მან. _ და ახლა ეს გულახდილობა თქვენს განკარგულებაშია, თეთრი მოსასხამი რომ მოვიხადო, რომლითაც საქრისტიანო ფარავს მიწიერ ნაკლს, თქვენ წინაშე წარსდგება ბუნებით ცივი, გულქვა, პატივმოყვარე ადამიანი. ყველა სხვა გრძნობებიდან მხოლოდ ბუნებრივი სიყვარული მიმორჩილებს. ჩემი მეგზური მიზანია და არა გრძნობა; ჩემი პატივმოყვარეობა უსაზღვროა, ჩემი სურვილი _ ავმაღლდე, სხვებზე მეტი გავაკეთო _ გაუმაძღარია. ვაფასებ ამტანობას, სიმტკიცეს, შრომისმოყვარეობას, ნიჭს. მათი დახმარებით აკეთებენ ადამიანები დიად საქმეებს და აღწევენ დიდების მწვერვალებს, თქვენს შრომას დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალყურს, რადგან, ჩემი აზრით, თქვენ მუყაითი, წესიერი და ენერგიული ქალის განსახიერება ხართ და არა იმიტომ, რომ დიდად თანავუგრძნობდი იმ ტანჯვას, რაც გადაიტანეთ ან რასაც ახლა ჯერ კიდევ განიცდით.

_ თქვენ თავს წარმართ ფილოსოფოსად მაცნობთ, _ ვუთხარი.

_ არა. აი რა განსხვავებაა ჩემსა და დეისტ ფილოსოფოსებს შორის: მე რწმენა მაქვს და სახარების მწამს. თქვენ განსაზღვრებაში შეცდით. მე წარმართი კი არა, ქრისტიანი ფილოსოფოსი ვარ, იესოს მიმდევარი. მე მისმა მოწაფემ შევითვისე მისი წმინდა, მოწყალე, სიკეთის მომტანი მოძღვრება. მას ვქადაგებ. დავიფიცე, რომ განვფინო იგი. ბავშვობიდანვე მისი ერთგული ვარ და ჩემი ბუნებრივი შესაძლებლობანიც ასე განვითარდა: დასაწყისიდანვე შევიყვარე ფილანტროპია.

სენტ-ჯონმა ქუდი აიღო, რომელიც იქვე, ჩემს პალიტრასთან, მაგიდაზე იდო. ერთხელ კიდევ დახედა ნახატს.

_ რა ლამაზია, _ ჩაილაპარაკა მან. _ ამართლებს თავის სახელს, როზამუნდ.

_ ხომ არ დავხატო თქვენთვის?

_Cui bono? არა.

ნახატს სიფრიფანა ფურცელი გადააფარა, რომელზედაც ხატვის დროს ხელს ვდებდი, რომ მუყაო არ დამესვარა. რა დაინახა ამ სუფთა ფურცელზე, ვერ გეტყვით, მაგრამ რაღაცამ მიიპყრო მისი ყურადღება. მაშინვე დასწვდა

ფურცელს; კიდეც დახედა; შემდეგ მე შემომხედა. ენით გამოუთქმელი უცნაური და სრულიად გაურკვეველი მზერა მესროლა. თითქოს ზომავდა თითოეულ ჩემს ნაკვთს, სახეს, ჩაცმულობას. ელვისუმალ ამათვალ-ჩამათვალიერა. ბაგეები გაეხსნა, თითქოს რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ენაზე მომდგარი წინადადება ჩაახშო.

_ რა მოხდა? _ ვკითხე.

_ ისეთი არაფერი, _ მიპასუხა. დავინახე ფურცელი კვლავ დადო, სასწრაფოდ მოახია პატარა ნაწილი და ხელთათმანში ჩაიდო. მაშინვე დამიკრა თავი, ღამე მშვიდობისაო, მითხრა და გაუჩინარდა.

_ ხედავ? _ წამოვიძახე და უნებურად წამომცდა. _ დაუჯერებელია, მეც დავათვალიერე ფურცელი, მაგრამ ვერაფერი დავინახე, გარდა რამდენიმე მუქი საღებავის ლაქისა, სადაც ფერებს ერთმანეთს ვუხამებდი. ორიოდე წუთს ჩავფიქრდი ამ გამოცანაზე. ვერ მივხვდი. გადავწყვიტე, არ ღირს-მეთქი, თავი ვანებე და მალე გადამავიწყდა კიდეც.

თავი XXXIII

თოვას აპირებდა, როცა მისტერ სენტ-ჯონი წავიდა; მთელი ღამე ქარბუქი მძინვარებდა, მეორე დღეს სუსხიან ქარს ისევ ხშირი თოვა მოჰყვა. შეღამებისას ველი დაფარული იყო და თითქმის გაუვალი. დარაბა დავხურე. ქარს რომ თოვლი არ შემოეტანა, კარებთან ტილო დავფინე. ცეცხლს შევუკეთე. თითქმის ერთი საათი ვიჯექი კერასთან და ქარიშხლის ყრუ გუგუნს ვუსმენდი. შემდეგ ავანთე სანთელი, გადმოვიღე «მარმიონი» და კითხვა დავიწყე:

> დღე დაათენდა ნორმის ციხეს, ციცაბო-კლდიანს,
> ტვიდის მშვენიერ მდინარის კიდეს უძირო-წყლიანს,
> და შევიოტის მყუდრო მწვერვალთა;
> და გოდოლები მძიმედ ნაგები, კოშკი მთავარი,
> კედლები მცველად შემონაგები, თლილი, ჯავარი,
> თვალისმომჭრელად კრთოდა, ელავდა.

ლექსის მუსიკამ მალე დამავიწყა ქარბუქი.

უცებ ხმაური გავიგონე. მეგონა, ქარმა შეანჯღრია კარი. არა; სენტ-ჯონი რივერსი იყო. რაზა აეწია, სუსხიანი ქარბუქიდან _ ბობოქარი სიბნელიდან _ შემოსულიყო და ჩემ წინ იდგა. ლაბადა, რომელიც მის მაღალ ტანს ფარავდა, მყინვარივით თეთრი იყო. ისე ნაკლებად მოველოდი ვინმე სტუმარს თოვლით გადაკეტილი ველიდან იმ ღამეს, რომ მისმა დანახვამ შემაძრწუნა.

_ ცუდი ამბავია? _ შევეკითხე. _ მოხდა რამე?

_ არა. რა ადვილია თქვენი შეშფოთება! _ მიპასუხა მან. შემდეგ ლაბადა გაიხადა, კარებზე ჩამოჰკიდა და ტილო, რომელიც შემოსვლისას გასწია, ისევ

ძველ ადგილას დადო, ფეხები დააბაკუნა და თოვლი ჩამოიბერტყა ფეხსაცმლიდან.

_ მე წავბილწავ თქვენი იატაკის სიწმინდეს, _ მითხარ მან, _ მაგრამ უნდა მაპატიოთ ერთხელ. _ შემდეგ ცეცხლს მიუახლოვდა; _ მერწმუნეთ, ძალიან გამიჭირდა აქ მოსვლა, _ შენიშნა მან. იდგა და ხელებს ითბობდა ალზე. _ წელამდე ჩავეფალი ზვავში; საბედნიეროდ, თოვლი ჯერ კიდევ ფაფუკია.

_ რამ მოგიყვანათ? _ ვერ შევიკავე თავი.

_ საკმაოდ არასტუმართმოყვრული კითხვაა; მაგრამ, რადგან მეკითხებით, გიპასუხებთ: მინდა მოგელაპარაკოთ. მომბეზრდა მუნჯი წიგნები და ცარიელი ოთახები. გარდა ამისა, გუშინდელის შემდეგ მღელვარებას განვიცდი, როგორც ადამიანი, რომელსაც ზღაპრის ნახევარი უამბეს და მოუთმენლად ელის მისი დასასრულის მოსმენას.

ის დაჯდა. მე გამახსენდა მისი გუშინდელი უცნაური საქციელი და შიში შემეპარა, რომ ის სრულ გონებაზე არ იყო. მაგრამ თუ შეშლილი იყო, ეს იყო მეტად გულგრილი და თავშეკავებული სიგიჟე. არასოდეს მენახა, რომ მისი ლამაზი სახე უფრო მეტად ჰგვანებოდა ჩამოქანდაკებულ მარმარილოს, ვიდრე ახლა, როდესაც შუბლიდან თოვლით დასველებული თმა გადაიწია და ცეცხლის შუქი თავისუფლად ეცემოდა მის ნათელ შუბლს და ფერმკრთალ ლოყას. სამწუხაროდ, ამ სახეზე გარკვევით დავინახე ფიქრისა თუ სევდის ანაბეჭდი. ვიცდიდი; ველოდი, რომ იტყოდა ისეთ რამეს, რასაც ბოლოს და ბოლოს გავიგებდი; მაგრამ ახლა ხელი ნიკაპზე მიედო და თითი ტუჩზე: ის ფიქრობდა. თვალში მომხვდა, რომ მისი ხელიც ისეთივე გამხდარი იყო, როგორც სახე და, შესაძლოა, სრულიად უნებური სიბრალული ვიგრძენი მის მიმართ. გული ამიჩუყდა და ვთქვი:

_ ნეტავი დიანა და მერი მაინც ჩამოსულიყვნენ, რომ ერთად გეცხოვრათ. ძალიან ცუდია, რომ სულ მარტო ხართ. გარდა ამისა, სრულიად არ უფრთხილდებით თქვენს ჯანმრთელობას.

_ რატომ არა, _ წარმოთქვა მან. _ მე თავს ვუვლი, როცა საჭიროა. ახლა კარგად ვარ. რა მიჭირს ვითომ?

მისი სიტყვების უდარდელმა გულგრილობამ მაგრძნობინა, რომ ჩემი თანაგრძნობა სრულიად ზედმეტი იყო, ყოველ შემთხვევაში, მისი აზრით. გავჩუმდი.

იგი ისევ ამოძრავებდა თითს ზედა ტუჩის გასწვრივ. მისი მეოცნებე გამომეტყველებით აღვსილი თვალები ისევ ბუხართან მოგიზგიზე ალს ჩასჩერებოდა. გავიფიქრე, რომ საჭირო იყო მეთქვა რაიმე და ვკითხე, ორპირ ქარს ხომ არ გრძნობთ-მეთქი ზურგს უკან, კარიდან.

_ არა, არა, _ მოკლედ და საკმაოდ უკმეხად მომიგო მან.

«აბა, _ გავიფიქრე. _ თუ ლაპარაკი არ გინდათ, შეგიძლიათ ჩუმად იყოთ. თავს აღარ მოგაბეზრებთ მეტად და ჩემს წიგნს დავუბრუნდები".

სანთელს ღვენთი მოვაცილე და ხელახლა დავიწყე «მარმიონის» კითხვა. მალე მოუსვენრობამ შეიპყრო; მისმა მოძრაობებმა სასწრაფოდ მიიპყრეს ჩემი

ყურადღება. ჯიბიდან ტარსიკონის საფულე ამოიღო, საფულედან კი _ წერილი. ჩუმად წაიკითხა, დაკეცა, თავის ადგილას დააბრუნა და ისევ ფიქრებს მიეცა. ამაოდ ვცდილობდი მეკითხა. ამ შეუცნობელი ადამიანის არსებობა ჩემს ოთახში საშინლად მეუხერხულებოდა. მოუთმენლობა მაწუხებდა და არც მუნჯად ყოფნა მინდოდა. მან შეიძლება წინააღმდეგობა გამიწიოს, მაგრამ მე მაინც ვილაპარაკებ.

_ წერილი ხომ არ მიგიღიათ დიანა და მერისგან ამ ბოლო ხანებში?

_ არ მიმიღია იმ წერილის შემდეგ, რომელიც ერთი კვირის წინ გაჩვენეთ.

_ თქვენი საკუთარი გეგმები ხომ არ შეცვლილა? ხომ არ გიბრძანებენ ინგლისიდან წასვლას უფრო ადრე, ვიდრე თქვენ ელოდით?

_ ვშიშობ, რომ არა. ეს ბედნიერება იქნებოდა. მე ვინ მომცა ამის ბედი.

რადგან ისევ ჩიხში აღმოვჩნდი, საუბრის თემა შევცვალე. გადავწყვიტე, სკოლისა და ჩემი მოსწავლეების შესახებ მელაპარაკა.

_ მერი გერეტის დედა უკეთ არის და მერიც დღეს დილით მოვიდა სკოლაში. მომავალ კვირას ოთხი ახალი გოგონა მეყოლება ფაუნდრი კლოუზიდან. დღესაც მოვიდოდნენ, რომ არ ეთოვა.

_ მართლა?

_ მისტერ ოლივერი იხდის ორი მათგანის სწავლის ქირას.

_ ჰოო?

_ საშობაოდ ზეიმს აწყობს მთელი სკოლისათვის.

_ ვიცი.

_ თქვენი აზრი იყო?

_ არა,

_ მაშ, ვისი?

_ მგონი, მისი ქალიშვილის.

_ სავსებით მოსალოდნელია. ის ხომ ძალიან გულკეთილია.

_ დიახ.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. საათმა რვაჯერ დარეკა. რეკვამ სენტ-ჯონი გამოაფხიზლა. გაასწორა მანამდე გადაჯვარედინებული ფეხები, გაიმართა და მომიბრუნდა.

_ ცოტა ხნით წიგნს თავი ანებეთ და ცეცხლისკენ გადმოჯექით, _ მითხრა მან.

უსაზღვროდ გაოცებული, დავემორჩილე.

_ ნახევარი საათის წინ, _ განაგრძო მან, _ მე გითხარით, რომ მოუთმენლად ველი ზღაპრის დასასრულს-მეთქი. მოფიქრების შემდეგ მე მიმაჩნია, რომ ეს საქმე უფრო ადვილად მოგვარდება, თუ ჩემს თავზე ავიღებ თხრობას და თქვენ ჩემს მსმენელად გაგხდით. სანამ დავიწყებდე, უმჯობესი იქნება თუ გაგაფრთხილებთ, რომ ამბავი ცოტა გაცვეთილად მოგეჩვენებათ. მაგრამ მოძველებული დეტალები ხშირად იძენენ სიახლეს, როდესაც სხვისი პირიდან ისმენთ. სხვა მხრივ, გაცვეთილია თუ უცხო, ეს ამბავი მოკლე იქნება.

_ ოცი წლის წინ, სამრევლო მღვდლის ერთ ღარიბ თანაშემწეს, _ მისი სახელი ნუ დაგაინტერესებთ ამჟამად, _ შეუყვარდა მდიდარი კაცის ქალიშვილი. ქალსაც შეუყვარდა იგი და ცოლად გაჰყვა, თუმცა მეგობრები არ ურჩევდნენ. ქორწინების შემდეგ მეგობრებმა მაშინვე ზურგი აქციეს მას. ორი წელიც არ გასულიყო, რომ ეს დაუფიქრებელი წყვილი ცოცხალი აღარ იყო და ერთი საფლავის ქვის ქვეშ განისვენებდა გვერდიგვერდ (მე ვნახე მათი საფლავი. საფლავი ქვაფენილის ნაწილი იყო ერთ დიდ სასაფლაოზე, რომელზედაც იდგა ძველი შემჭვარტლული ტაძარი. ეს იყო _ შაირის ერთ-ერთ დიდ საფაბრიკო ქალაქში). მათ დარჩათ ქალიშვილი, რომელიც დაბადებიდანვე ქველმოქმედებამ მიიღო თავის წიაღში. ქველმოქმედებამ, რომელიც ისეთივე ცივი იყო, როგორც ის ზვავი, რომელშიც ამ საღამოს ჩავეფალი. ქველმოქმედებამ ეს უმეგობრო არსება დედამისის მდიდარი ნათესავების სახლში მიიყვანა. იგი აღზარდა ძალუამ (ახლა სახელებსაც ვახსენებ), რომელსაც ქ-ნი რიდი ერქვა. იგი გეიტსჰედში ცხოვრობდა. თქვენ შეკრთით, _ რაიმე ხმაური ხომ არ მოგესმათ? ალბათ ვირთხა ფხაკუნობს მეზობელი საკლასო ოთახის ჩალანგრებში. აქ ბეღელი იყო, სანამ შევაკეთებინებდი და შევცვლიდი. ბეღლები კი, ჩვეულებრივ, სავსეა ვირთხებით. _ მაშ, გავაგრძელოთ. ობოლმა ათი წელი დაჰყო ქ-ნ რიდთან. ვერ გეტყვით, ბედნიერი იყო თუ უბედური იქ. ეს ჩემთვის არ უთქვამთ. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ქ-მა რიდმა გადაიყვანა ბავშვი ერთ ადგილას, რომელსაც თქვენ იცნობთ. ეს იყო სწორედ ლოვუდის სასწავლებელი, სადაც თქვენ თვითონ ასე დიდხანს ცხოვრობდით. როგორც ჩანს, ის ღირსეულ საქმეს ეწეოდა და მოწაფეობის შემდეგ, ისევე, როგორც თქვენ, მასწავლებელი გახდა. _ უნდა გითხრათ, მაოცებს მოვლენათა მსგავსება თქვენსა და მის ცხოვრებას შორის. _ სკოლიდან წამოვიდა, რომ გამხდარიყო ბავშვის აღმზდელი ერთ ოჯახში. აქაც თქვენი ბედი ერთნაირი იყო. მან ითავა პატარა ბავშვის აღზრდა და განათლება, რომელსაც მისტერ როჩესტერი უწევდა მეურვეობას.

_ მისტერ რივერს! _ გავაწყვეტინე მე.

_ ვხვდები, რასაც გრძნობთ, _ თქვა მან, _ მაგრამ შეიკავეთ თქვენი გრძნობები ცოტა ხნით. მე თითქმის დავამთავრე. მომისმინეთ ბოლომდე. მე არაფერი ვიცი მისტერ როჩესტერის პიროვნების შესახებ, გარდა იმისა, რომ მან შესთავაზა საპატიო ქორწინება ამ ახალგაზრდა ქალს, რომელმაც მხოლოდ საკურთხეველთან შეიტყო, რომ მისტერ როჩესტერს ჰყავდა ცოლი, ცოცხალი, მაგრამ ჭკუაზე შეშლილი. როგორ იქცეოდა მისტერ როჩესტერი ამის შემდეგ, ან რას სთავაზობდა ქალს, შეიძლება მხოლოდ წარმოვიდგინოთ. მაგრამ, როდესაც გამოირკვა ერთი ამბავი, რის გამოც საჭირო იყო აღმზრდელის პოვნა, აღმოჩნდა, რომ ის წასულიყო, _ არავინ იცოდა, სად, როდის ან როგორ. მან თორნფილდჰოლი ღამით დატოვა. ამაოდ ეძებდნენ მის კვალს. მთელ იმ მხარეში მოიკითხეს; ვერაფერი ვერ გაიგეს მის შესახებ. მაგრამ მისი პოვნა აუცილებელი გახდა. ყველა გაზეთში გამოქვეყნდა განცხადებები. მე თვითონ

მივიღე წერილი ვინმე მისტერ ბრიგსისაგან. ამ რწმუნებულმა შემატყობინა ის ფაქტები, რომლებიც ახლა გიამბეთ. განა უცნარი ამბავი არ არის?

_ მითხარით, _ ვკითხე მე, _ რადგანაც, თუკი ამდენი რამ იცით, ამის თქმაც არ გაგიჭირდებათ, რა იცით მისტერ როჩესტერის შესახებ? როგორ არის? სად არის? რას აკეთებს? კარგად არის?

_ მე არაფერი ვიცი მისტერ როჩესტერის შესახებ; წერილში არაფერი წერია მის შესახებ, გარდა იმ უსინდისო და უკანონო ცდისა, რომლის შესახებ მოგახსენეთ. უფრო საინტერესო უნდა იყოს აღმზრდელის სახელი და მიზეზი, რატომ არის საჭირო მისი გამოჩენა.

_ მაშ, არავინ ყოფილა თორნფილდჰოლში? არავის უნახავს მისტერ როჩესტერი?

_ მგონი, არა.

_ მაგრამ ხომ მისწერეს მას?

_ რასაკვირველია.

_ რა თქვა მან? ვისა აქვს მისი წერილები?

_ მისტერ ბრიგსი მამცნობს, რომ მის თხოვნაზე პასუხი მისტერ როჩესტერისგან კი არ მოვიდა, არამედ ქალისგან, რომელიც ხელს აწერს: «ელის ფეიერფექსი».

სიცივემ და ძრწოლამ ამიტანა. როგორც ჩანს, გამართლდა ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა. ალბათ, ინგლისი დატოვა და სასოწარკვეთილებით თავგანწირულმა კონტინენტზე რომელიმე ჩვეულ ადგილს მიაშურა. რომელ გამაბრუებელ საშუალებას ეძებდა იქ თავისი აუტანელი ტანჯვის გასაქარვებლად? ვერ ვბედავდი ამ კითხვაზე პასუხის გაცემას. ოჰ, ჩემო საბრალო ბატონო. ერთ დროს თითქმის ჩემო მეუღლევ, რომელსაც ხშირად ვეძახდი «ჩემს ძვირფას ედვარდს!».

_ როგორც ჩანს, ცუდი ადამიანი იყო, _ შენიშნა მისტერ რივერსმა.

_ თქვენ არ იცნობთ მას; როგორ ბედავთ აზრის გამოთქმას მასზე, _ წარმოვთქვი აღელვებით.

_ ძალიან კარგი, _ მშვიდად მომიგო მან. _ მე სულ სხვა ამბები მაინტერესებს. უნდა დავამთავრო ჩემი თხრობა. რადგან თქვენ არ გსურთ აღმზრდელის ვინაობის გაგება, მე უნდა გითხრათ ის ჩემი ნებით. მოიცათ, აქ მიწერია. ყოველთვის უფრო დამაჯერებელია მნიშვნელოვანი ფაქტი, თუ ის ჩაწერილია კოხტად ჩაწიკწიკებული შავით თეთრზე.

მან ისევ ამოიღო საფულე. მშვიდად გახსნა და დაძებნა. ერთ-ერთი განყოფილებიდან ამოიღო დაძველებული ქაღალდის ფურცელი, რომელიც ნაჩქარევად იყო მოხეული. ამ სხვადასხვა საღებავებით დასვრილ ფურცელში სურათის ყდის მოტაცებული კიდე შევიცანი. ის წამოდგა და ქაღალდი თვალებთან ახლოს მომიტანა, და მე წავიკითხე ჩემი საკუთარი ხელით ჩინური ტუშით დაწერილი სიტყვები: «ჯეინ ეარი». როგორც ჩანს, ფიქრებში გართულს დამიწერია ის.

_ ბრიგსი მწერდა ვინმე ჯეინ ეარის შესახებ, _ თქვა სენტ-ჯონმა, _ განცხადებებშიც მას კითხულობდნენ. მე ვიცნობდი ვინმე ჯეინ ელიოტს. გამოვტყდები, მეც მქონდა ჩემი ეჭვები, მაგრამ მხოლოდ გუშინ იქცნენ ეს ეჭვები სინამდვილედ. აღიარებთ ამ სახელს თქვენად, თუ უარყოფთ ფსევდონიმს?

_ დიახ, დიახ, მაგრამ სად არის მისტერ ბრიგსი? მან შეიძლება მეტი იცოდეს მისტერ როჩესტერის შესახებ, ვიდრე თქვენ.

_ ბრიგსი ლონდონშია; ეჭვი მეპარება, რომ რაიმე იცოდეს მისტერ როჩესტერის შესახებ; მას მისტერ როჩესტერი არ აინტერესებს. თქვენ კი წვრილმანის დევნაში არსებითი ამბავი გავიწყდებათ; თქვენ არ მეკითხებით, რატომ გეძებდათ მისტერ ბრიგსი? რა უნდოდა მას თქვენგან?

_ ჰო, რა უნდოდა?

_ მხოლოდ ის, რომ შეეტყობინებინა თქვენთვის ბიძათქვენის, მადეირელი ჯონ ეარის სიკვდილი და, რომ მან დაგიტოვათ მთელი თავისი ქონება, რომ თქვენ ახლა მდიდარი ხართ. მხოლოდ ეს და მეტი არაფერი.

_ მე! მდიდარი?

_ დიახ. მისი ქონების მემკვიდრე.

სიჩუმე ჩამოვარდა.

_ რა თქმა უნდა, თქვენ უნდა დაამტკიცოთ თქვენი ვინაობა, _ ისევ განაგრძო სენტ-ჯონმა: _ აქ არავითარი სიძნელე არ იქნება. და შემდეგ შეგიძლიათ დაეპატრონოთ ქონებას. იგი დაბანდებულია ინგლისის სახელმწიფო პროცენტიან ქაღალდებში; ანდერძი და საჭირო საბუთები ბრიგსს აქვს.

სიახლე შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში! მოგეხსენება, მკითხველო, კარგია სიღარიბიდან სიმდიდრეში გადასვლა ერთ წუთში _ ძალიან კარგი; მაგრამ ადვილი არ არის მისი შეგრძნება ერთბაშად და ამიტომ არც სიამოვნება მოდის მაშინვე. თანაც ხომ არსებობს ცხოვრებაში სხვა გაცილებით უფრო ამაღელვებელი და აღმაფრთოვანებელი ამბები: სიმდიდრე მყარია, გარე სამყაროსგან დამოუკიდებული; იდეალური არაფერია მასში: ყველაფერი, რაც დაკავშირებულია მასთან, მყარია და ფხიზელი; და მისი გამოვლინებებიც ასეთივეა. არ გებადება ხტუნვის, ცქმუტვისა და ვაშას ძახილის სურვილი, როდესაც გაიგებ, რომ ქონება მიიღე. მაშინვე იწყებ ფიქრს იმ პასუხისმგებლობასა და საქმეზე, რომელიც ამასთან არის დაკავშირებული; ძლიერ კმაყოფილებასთან ერთად სერიოზული საზრუნავიც ჩნდება და ჩვენ თავს ვიკავებთ და ვუფიქრდებით ჩვენს ბედნიერებას შეკრული შუბლით.

გარდა ამისა, სიტყვას «მემკვიდრეობა» ყოველთვის ახლავს თან სიტყვები: «სიკვდილი, დასაფლავება». როგორც შევიტყვე, ბიძაჩემი გარდაცვლილიყო _ ჩემი ერთადერთი ნათესავი; იმ დღიდან, როცა გავიგე მისი არსებობის შესახებ, ვოცნებობდი, მენახა ის. ახლა კი ვეღარასოდეს ვერ ვნახავ. მერე, ეს ფული მივიღე მხოლოდ მე; მე და ჩემმა გახარებულმა ოჯახმა კი არა. მარტო მე. უეჭველია, ეს დიდი წყალობა იყო და დამოუკიდებლობის გრძნობაც

შესანიშნავი რამ გახლდათ, დიახ, ვგრძნობდი ამას. ეს ფიქრი ავსებდა ჩემს გულს.

_ შუბლზე ნათელი მოგეფინათ, როგორც იქნა. _ მითხრა მისტერ რივერსმა. _ მეგონა მედუზამ შემოგხედათ და ქვად უნდა ქცეულიყავით. იქნებ ახლა მაინც მკითხოთ, რამდენი ფული მიიღეთ?

_ ჰო, რამდენი?

_ ოჰ, ძალიან ცოტა, ბევრი არაფერი. ოცი ათასი გირვანქა სტერლინგი, მგონი. მაგრამ რა მოხდა?

_ ოცი ათასი გირვანქა?

კიდევ ახალი საოცრება! მე ვვარაუდობდი, რომ ოთხ-ხუთ ათასზე მეტი არ იქნებოდა. ამ ახალმა ამბავმა სუნთქვა შემიკრა ერთი წუთით. მისტერ სენტ-ჯონმა, რომლის სიცილი არასოდეს გამეგონა, ახლა გაიცინა.

_ იცით, _ თქვა მან. _ თქვენ რომ მკვლელობა ჩაგედინათ და მე მეთქვა თქვენთვის, რომ თქვენი ბოროტმოქმედება აღმოჩენილია, ალბათ მაშინაც არ გექნებოდათ ასეთი გაოგნებული გამომეტყველება.

_ თანხა ძალიან დიდია. იქნებ რაიმე შეცდომაა?

_ არავითარი შეცდომა.

_ იქნებ არასწორად წაიკითხეთ ციფრები, იქნებ ორი ათასია.

_ დაწერილია ასოებით და არა ციფრებით, _ ოცი ათასი.

ისე ვიგრძენი თავი, როგორც საშუალო მადის მქონე ადამიანი გრძნობს ხოლმე, როდესაც მარტო მიუჯდება ასი ადამიანისთვის გაშლილ სუფრას. მისტერ რივერსი წამოდგა და ლაბადა მოისხა.

_ ასეთი საშინელი ღამე რომ არ იყოს, _ მითხრა მან, _ ჰანას გამოგიგზავნიდით; ძალიან სასოწარკვეთილი სახე გაქვთ, ცოდვაა თქვენი მარტო დატოვება. მაგრამ საბრალო ჰანა ვერ ივლის ამ თოვლში ჩემსავით. მას ძალიან მოკლე ფეხები აქვს. ასე რომ, უნდა დაგტოვოთ მარტო თქვენს ნაღველთან. ღამე მშვიდობისა.

ახლა ის კარებთან იდგა და რაზას სწევდა. უცებ ერთი აზრი დამებადა.

_ მოიცადეთ! _ შევძახე.

_ რა იყო?

_ მიკვირს, რატომ მოგწერათ მისტერ ბრიგსმა ჩემს შესახებ თქვენ. საიდან იცოდა რომ თქვენ, ან როგორ წარმოიდგინა, რომ თქვენ, რომელიც ასე გადაკარგულ ადგილას ცხოვრობთ, დაეხმარებოდით მას ჩემს აღმოჩენაში?

_ ო! მე მღვდელი ვარ, _ თქვა მან, _ სამღვდელოებას ხშირად მიმართავენ უცნაური ამბების გამოსარკვევად,_ ისევ დაიჩხაკუნა რაზამ.

_ არა. ეს არ არის საკმარისი ჩემთვის! _ წამოვიძახე და, მართლაც, მის ნაჩქარევ და გაურკვეველ პასუხში იყო რაღაც, რამაც ჩემი ცნობისმოყვარეობა დაცხრომის ნაცვლად კიდევ უფრო გააღვივა.

_ ძალიან უცნაური საქმეა, _ ვთქვი მე. _ ყველაფერი უნდა ვიცოდე ამის შესახებ.

_ სხვა დროს გეტყვით.

_ არა. ამ საღამოს! ამ საღამოს! _ და როცა კარებისკენ შებრუნდა, მე ჩავდექი მასა და კარებს შორის. ის საკმაოდ დაბნეული ჩანდა.

_ ვერსადაც ვერ წახვალთ, სანამ ყველაფერს არ მეტყვით! _ წამოვიძახე მე.

_ მირჩევნია სხვა დროს გითხრათ.

_ მეტყვით! უნდა მითხრათ!

_ მირჩევნია, რომ დიანამ ან მერიმ გითხრან.

რასაკვირველია, ამ წინააღმდეგობამ ჩემი სურვილი უმაღლეს მწვერვალამდე მიიყვანა. ის უნდა დაკმაყოფილებულიყო. ასეც ვუთხარი.

_ მე ხომ გითხარით, მტკიცე ვარ-მეთქი, _ თქვა მან. _ ძნელია ჩემი დარწმუნება.

_ მეც მტკიცე ვარ. შეუძლებელია ჩემი თავიდან მოშორება.

_ გარდა ამისა, _ განაგრძო მან: _ ცივი ვარ. არავითარი აღგზნება არ მოქმედებს ჩემზე.

_ მე კი ცხელი ვარ და ცეცხლი ალღობს ყინულს. ალმა დაადნო თოვლი თქვენს ლაბადაზე. ალმა ჩამოადნო ის იატაკზე და ტალახიან გუბედ აქცია. თუ გსურთ, მისტერ რივერს, რომ გეპატიოთ უდიდესი დანაშაული, სამზარეულოს დასვრა, მითხარით, რაც იცით.

_ მაშ კარგი, _ მითხრა მან. _ ვნებდები, თუ თქვენს ძლიერ სურვილს არა, თქვენს სიჯიუტეს მაინც, ისევე, როგორც ქვა ცვდება გამუდმებული წვეთებისაგან. გარდა ამისა, რა მნიშვნელობა აქვს, ადრე თუ გვიან, ხომ უნდა გაიგოთ; თქვენ ჯეინ ეარი გქვიათ?

_ რასაკვირველია. ეს საკითხი ხომ უკვე მოვაგვარეთ.

_ თქვენ, შესაძლოა, არ იცით, რომ მე თქვენი მოგვარე ვარ? რომ ნათლობისას სენტ-ჯონ ეარ რივერსი დამარქვეს?

_ რა თქმა უნდა, არა! ახლა ვიხსენებ, რომ მინახავს ასო «ე» თქვენს ინიციალებს შორის იმ წიგნებში, რომლებიც სხვადასხვა დროს გითხოვებიათ ჩემთვის. მაგრამ მე არასოდეს არ მიკითხავს, რას ნიშნავდა ეს. მერე რა? მართლაც, _ შევჩერდი: ნება ვერ მივეცი ჩემს თავს დამეშვა, გამომეხატა სიტყვებით აზრი, რომელიც დამებადა, რომელსაც ხორცი შეესხა და ერთ წუთში გამოიკვეთა, როგორც ძლიერი, მყარი შესაძლებლობა. მოვლენები ჩამოყალიბდნენ, მოერგნენ ერთმანეთს და დაეწყვნენ მწკრივად. ეჭვი, რომლის რგოლები აქამდე უფორმო გროვას წარმოადგენდნენ, გასწორდა. ყოველი რგოლი სრულყოფილი იყო, ერთმანეთთან მჭიდროდ შეკავშირებული. ვიდრე სენტ-ჯონი მოასწრებდა კიდევ რაიმეს თქმას, ქვეშეცნეულად ვიცოდი, როგორი იყო მდგომარეობა. მაგრამ რადგან მკითხველს არ მოეთხოვება ასეთივე შინაგანი აღქმა, მე უნდა გავიმეორო მისი სიტყვები:

_ დედაჩემის გვარი ეარი იყო. მას ორი ძმა ჰყავდა. ერთი მღვდელი იყო. სწორედ მან შეირთო გეიტსჰედელი მის ჯეინ რიდი; მეორე კი _ ჯონ ეარი, ესკვაირი, ვაჭარი, რომელიც მადეირაზე, ფანჩელში ცხოვრობდა. მისტერ ბრიგსმა, მისტერ ეარის რწმუნებულმა, შარშან აგვისტოში წერილით გვაცნობა ბიძაჩვენის სიკვდილი. მან აგრეთვე მოგვწერა, რომ მან მთელი თავისი ქონება

დაუტოვა თავის ობოლ ძმისშვილს, მღვდლის ქალიშვილს. მან ჩვენ გვერდი აგვიქცია, რადგან ოდესღაც უსიამოვნება მოსვლია მამაჩვენთან, რომელიც ვერ აპატია ამ უკანასკნელს. რამდენიმე კვირის შემდეგ ისევ მივიღეთ წერილი მისტერ ბრიგსისგან, რომლითაც იტყობინებოდა, რომ მემკვიდრე დაიკარგა, და მეკითხებოდა, ხომ არ ვიცოდი რაიმე მის შესახებ. ქაღალდის ნაგლეჯზე შემთხვევით დაწერილმა სიტყვებმა მაპოვნინეს იგი. დანარჩენი თქვენც იცით. _ მან ისევ დააპირა წასვლა, მაგრამ მე გზა გადავუღობე.

_ ნება მომეცით, ვილაპარაკო, _ ვუთხარი მე. _ სული მომათქმევინეთ და ფიქრის საშუალება მომეცით, _ გავჩერდი. სენტ-ჯონი იდგა ჩემ წინ, ქუდით ხელში, საკმაოდ მშვიდი. მე განვაგრძე.

_ დედათქვენი მამაჩემის და იყო?

_ დიახ.

_ ესე იგი, ჩემი მამიდა, არა?

მან თავი დამიქნია.

_ ბიძაჩემი ჯონი თქვენი ბიძაც იყო? თქვენ, დიანა და მერი მისი დისშვილები ხართ, როგორც მე მისი ძმისა?

_ აუცილებლად.

_ მაშ, თქვენ სამნი ჩემი მამიდაშვილები ხართ; ჩვენი სისხლის ნახევარი ერთი წყაროდან მოედინება?

_ დიახ, ბიძაშვილ-მამიდაშვილები ვართ.

მე შევათვალიერე ის. ასე მეგონა, ძმა ვიპოვე-მეთქი. ძმა, რომლითაც შემეძლო მეამყა, რომელიც შემეძლო მყვარებოდა; და ორი და, რომლებსაც ისეთი თვისებები ჰქონდათ, რომ, როდესაც უცხონი მეგონა, ნამდვილ სიყვარულსა და აღფრთოვნებას იწვევდნენ ჩემში. ეს ორი ქალიშვილი, რომლებსაც ასეთი მწარე ინტერესითა და სასოწარკვეთილებით ვუცქეროდი, ვუცქეროდი სველ მიწაზე დაჩოქილი დაბალ გისოსიან ფანჯრიდან მურჰაუსის სამზარეულოში, ჩემი ახლო ნათესავები იყვნენ, და ეს ახალგაზრდა, წარმოსადეგი კაცი, რომელმაც თითქმის მომაკვდავი მიპოვა თავის სახლის ზღურბლზე, _ ჩემი სისხლი და ხორცი. როგორი დიდებული აღმოჩენა იყო მარტოხელა უბედურისათვის! აი, ეს იყო სიმდიდრე! სულიერი სიმდიდრე! წმინდა, ნამდვილი სიყვარულის საბადო. ეს იყო ღვთის წყალობა _ ნათელი, ბრწყინვალე და აღმაფრთოვანებელი; და არა მძიმე ოქროს საჩუქარი; თავისებურად მდიდრული და სასიხარულო, მაგრამ გამომაფხიზლებელი ტვირთი. უეცარი სიხარულით შემოვკარი ტაში, გულმა აჩქარებით დაიწყო ცემა და საამო ჟრუანტელმა დამიარა სხეულში.

_ ოჰ, როგორ მიხარია! როგორ მიხარია! _ შევძახე.

სენტ-ჯონმა გაიღიმა. _ ხომ გითხარით, რომ წვრილმანების ძებნაში მთავარი დაგავიწყდათ... _ მითხრა მან: _ თქვენ სერიოზულად აღიქვით სიმდიდრის მიღება; და ახლა ამ უმნიშვნელო ამბავმა აგაღელვათ.

_ რას ამბობთ? ეს შეიძლება იყოს უმნიშვნელო თქვენთვის. თქვენ გყავთ დები და არ გაინტერესებთ ბიძაშვილი. მე კი არავინ არ მყავს, ახლა კი შემეძინა

სამი მოზრდილი ნათესავი, ან ორი, თუ თქვენ არ გსურთ მათ რიცხვში ყოფნა. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ მიხარია.

სწრაფად გავიარე ოთახი: შევჩერდი. ფიქრები შემომაწვა სწრაფად, უფრო სწრაფად, ვიდრე მათ აღქმას და დალაგებას მოვახერხებდი; ფიქრები იმის შესახებ, თუ რა შეიძლება მომხდარიყო ან რა მოხდებოდა მალე. ცარიელ კედელს შევხედე: ამომავალ ვარსკვლავებით მოჭედილ ცად მომეჩვენა. თითოეული ვარსკვლავი ახალი სასიამოვნო მიზნებით მავსებდა. ახლა შემეძლო სარგებლობა მომეტანა მათთვის, ვინც სიცოცხლე შემინარჩუნა და ვინც აქამდე მხოლოდ მიყვარდა. ისინი უღელში იყვნენ შებმულნი; მე შემეძლო მათი გათავისუფლება; ისინი შორიშორს იყვნენ ერთმანეთისგან; მე შემეძლო მათი შეერთება კვლავ. ჩემი დამოუკიდებლობა და სიმდიდრე შეიძლებოდა მათიც ყოფილიყო. განა ოთხნი არ ვიყავით? თანაბრად განაწილებული ოცი ათასი გირვანქა სტერლინგი _ ხუთ ათასს შეადგენდა თითოეულისათვის. ეს ბევრიც იყო. სამართალი აღსრულდება და ყველა გაბედნიერდება. ახლა სიმდიდრე აღარ მაწვა ტვირთად. ახლა ეს აღარ იყო მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებული ფული; ეს იყო საწინდარი სიცოცხლის, იმედის, ბედნიერების.

ვერ გეტყვით, როგორი სახე მქონდა, როცა ამ აზრებმა შემომიტიეს. მაგრამ მალე ვიგრძენი, რომ მისტერ რივერსმა სკამი დამიდგა და ფრთხილად ცდილობდა დავესვი მასზე. მირჩია, დავმშვიდებულიყავი, მაგრამ უმწეობას და უიმედობას არ დავნებდი, ავუქნიე ხელი და ისევ დავიწყე ოთახში სიარული.

_ ხვალ დიანასა და მერის მისწერეთ, _ ვთქვი მე, _ რომ დაუყოვნებლივ შინ დაბრუნდნენ. დიანას უთქვამს, რომ ისინი ორივენი თავს მდიდრებად იგულებდნენ ათასი გირვანქა სტერლინგი რომ ჰქონდეთ, ასე რომ, ხუთი ათასი მათ სავსებით ეყოფათ.

_ მითხარით, საიდან შემიძლია მოგიტანოთ წყალი, _ მითხრა სენტ-ჯონმა; _ უნდა სცადოთ და დაშოშმინდეთ.

_ სისულელეა! როგორ გავლენას მოახდენს მემკვიდრეობის მიღება თქვენზე? დაგტოვებთ ინგლისში, შეგართვევინებთ მის ოლივერს და დაგასახლებთ, როგორც ჩვეულებრივ მოკვდავს?

_ თქვენ გონება გერევათ; ძალიან მოულოდნელად გითხარით ეს ამბავი. მისი მშვიდად მიღება თქვენს ძალ-ღონეს აღემატება.

_ მისტერ რივერს! მოთმინებას მაკარგვინებთ. მე გონზე ვარ. თქვენ ვერ გამიგეთ სწორად, ან თავს იკატუნებთ, თითქოს ვერ გამიგეთ.

_ უფრო სრულად რომ განმარტოთ თქვენი აზრი, უკეთესად გავიგებ.

_ განვმარტო! რა უნდა განვმარტო? შეუძლებელია არ გესმოდეთ, რომ ნახსენები თანხა, ოცი ათასი გირვანქა, თანაბრად რომ გავყოთ ძმისშვილსა და სამ დისშვილს შორის, ხუთ ათასს შეადგენს თითოეულის წილად. მე მინდა, რომ მისწეროთ თქვენს დებს იმ ქონების შესახებ, რომელიც მათ ერგოთ.

_ თქვენ გინდათ თქვათ, რომ თქვენ გერგოთ.

_ მე გითხარით ჩემი აზრი ამ საქმეზე. არც შემიძლია სხვა აზრი მქონდეს. მე არა ვარ უგულო ეგოისტი, ბრმად უსამართლო და უმადური. გარდა ამისა, გადაწყვეტილი მაქვს, სახლი მქონდეს და ნათესავები მყავდეს. მე მომწონდა მურჰაუსი და ვიცხოვრებ კიდეც მურჰაუსში; მიყვარს დიანა და მერი და სამუდამოდ დავუკავშირებ ჩემს სიცოცხლეს მათ. გამიხარდება და გამომადგება ხუთი ათასი გირვანქის მიღება; გამაწამებს და სულს შემიხუთავს ოცი ათასი, რომელიც საცა სამართალია, მე არც მეკუთვნის, თუნდაც კანონი ასე ითვალისწინებდეს. მე გაძლევთ თქვენ იმას, რაც ზედმეტია ჩემთვის. მოდით, ნუ ვიკამათებთ ამაზე, შევთანხმდეთ და ახლავე გადავწყვიტოთ ეს საკითხი.

_ თქვენ პირველი შეგრძნებები გამოქმედებთ. ასეთი საკითხი ბევრი ხნის ფიქრს მოითხოვს და მხოლოდ მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ თქვენი სიტყვა სარწმუნოდ.

_ ოჰ! თუ თქვენ მხოლოდ ჩემს გულწრფელობაში გეპარებათ ეჭვი, აღარ ვდარდობ. ხედავთ სამართლიანობას ასეთ გადაწყვეტილებაში?

_ დიახ, ვხედავ გარკვეულ სამართლიანობას; მაგრამ ის ეწინააღმდეგება წესს. გარდა ამისა, მთელი ქონება თქვენ გეკუთვნით კანონით. ბიძაჩემმა ის საკუთარი შრომით მოიპოვა. მას უფლება ჰქონდა დაეტოვებინა ის, ვისთვისაც მოისურვებდა. მან ის თქვენ დაგიტოვათ. ბოლოს და ბოლოს სამართლიანობა ამის ნებას გაძლევთ. შეგიძლიათ ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე თქვენს საკუთრებად იგულოთ ის.

_ ჩემთვის, _ ვთქვი მე, _ ეს არის როგორც გრძნობის, ისე სინდისის საქმე. მე უნდა დავაკმაყოფილო ჩემი გრძნობები. ძალიან იშვიათად მქონია ამის შესაძლებლობა. მთელი წელიწადიც რომ მეკამათოთ, წინააღმდეგობა გამიწიოთ და გამაბრაზოთ, მაინც არ ვიტყვი უარს იმ სიამოვნებაზე, რომელიც უეცრად დავინახე. ეს სიამოვნება არის ჩემთვის _ ნაწილობრივ მაინც გადავიხადო დიდი ვალი და მოვიპოვო მეგობრები, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გვერდში მეყოლებიან.

_ ახლა გგონიათ ასე, _ მომიგო სენტ-ჯონმა: _ რადგან არ იცით, რა არის ქონება და, აქედან გამომდინარე, ტკბობა სიმდიდრით. თქვენ ვერც წარმოიდგენთ იმ საკუთარი მნიშვნელობის შეგრძნებას, რომელსაც ოცი ათასი გირვანქა შეგძენთ. ვერც იმას წარმოიდგენთ, თუ რა ადგილს დაიკავებთ ამ თანხის გამო საზოგადოებაში; ვერც იმ პერსპექტივებს, რომლებსაც ის გაგიხსნით თქვენ. თქვენ ვერ...

_ თქვენ კი, _ გავაწყვეტინე მე, _ სრულიად ვერ წარმოიდგენთ დაძმური სიყვარულის წყურვილს. მე არასოდეს მქონია სახლი, არც და_ძმა მყოლია. მე უნდა მყავდეს ისინი და მეყოლება კიდეც. ხომ მიმიღებთ დად?..

_ ჯეინ, მე ვიქნები თქვენი ძმა, ჩემი დებიც იქნებიან თქვენი დები, ოღონდ ამისთვის არ არის საჭირო მსხვერპლი თქვენი მხრივ.

_ ძმა? დიახ, ათასი ლიეს მანძილზე! დები? დიახ, უცხო ხალხთან მონურ ჯაფაში! მე კი _ მდიდარი, ყელამდე ჩაფლული ოქროში, რომელიც მე არ

შემიძენია და რომლის ღირსი არა ვარ! თქვენ, უსახსროდ! სახელგანთქმული თანასწორობა და ძმობა! მჭიდრო კავშირი! თბილი დამოკიდებულება!

_ მაგრამ ხომ შეგიძლიათ თქვენი მისწრაფებები ოჯახური კავშირისა და შინაური ბედნიერებისადმი სხვა გზით განახორციელოთ; შეგიძლიათ გათხოვდეთ.

_ სისულელეა, ისევ! გავთხოვდე! არ მინდა გათხოვება, და არც არასოდეს გავთხოვდები.

_ ეს მეტისმეტია. ასეთი სახიფათო განცხადებები მოწმობს, რომ ძალიან აღელვებული ხართ.

_ ეს მეტისმეტი არ არის. ვიცი, რასაც ვგრძნობ, და რამდენადაც მძულს გათხოვებაზე ფიქრიც კი. არავინ არ წამიყვანს სიყვარულით; მე კი არ მინდა ფულადი სპეკულაციის საგანი გავხდე. არც უცხო ადამიანი მინდა, რომელიც ვერ თანამიგრძნობს და განსხვავებული იქნება ჩემგან. მე მინდა ჩემი სისხლი და ხორცი; ისეთი ადამიანები, რომლებთანაც საერთო მაქვს. გაიმეორეთ, რომ ჩემი ძმა იქნებით. როცა ეს სიტყვები წარმოთქვით, კმაყოფილი ვიყავი, ბედნიერი. გაიმეორეთ, თუ შეგიძლიათ, გაიმეორეთ გულწრფელად.

_ მე მგონი, შემიძლია, ვიცი, რომ ყოველთვის მიყვარდა საკუთარი დები; და ვიცი, რა არის ჩემი მათდამი სიყვარულის საფუძველი: მე პატივს ვცემ მათ, როგორც პიროვნებებს და აღფრთოვანებული ვარ მათი ნიჭით. თქვენც ჭკვიანი ხართ. თქვენი გემოვნება და ჩვევები დიანასა და მერის გემოვნებას და ჩვევებს ჰგავს. თქვენი საზოგადოება ყოველთვის სასიამოვნოა ჩემთვის; თქვენს საუბარში უკვე ვპოვე ნუგეში. ვგრძნობ, რომ თავისუფლად და სავსებით ბუნებრივად შემიძლია დაგითმოთ ადგილი ჩემს გულში, როგორც მესამე და ყველაზე პატარა დას.

_ გმადლობთ. ამ საღამოს ესეც საკმარისია ჩემთვის. ახლა უმჯობესია წახვიდეთ. რადგან თუ კიდევ დარჩით, შეიძლება ისევ გამაბრაზოთ რაიმე უნდობლობით.

_ სკოლა, მის ეარ? უნდა დაიხუროს, არა?

_ არა. მე დავრჩები აქ, სანამ შემცვლელს ვიშოვი.

მან კმაყოფილებით გაიღიმა. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და წავიდა.

არ არის საჭირო შემდგომი ბრძოლების დაწვრილებით აღწერა, არც იმ საბუთების მოყვანა, რომლებითაც ვსარგებლობდი, რომ მემკვიდრეობის საქმე ისე მომეგვარებინა, როგორც მსურდა. ძალიან გამიჭირდა, მაგრამ, რადგან გადაწყვეტილი მქონდა, რადგან ჩემმა მამიდაშვილებმა საბოლოოდ დაინახეს, რომ ნამდვილად და მტკიცედ მსურდა გამეყო ქონება და რადგან გულით იგრძნეს ჩემი განზრახვის სამართლიანობა, თანაც გულის სიღრმეში იცოდნენ, რომ თვითონაც ასე მოიქცეოდნენ _ დამთანხმდნენ ეს საქმე არბიტრის გადაწყვეტილებისათვის მიენდოთ. მსაჯულებად მისტერ ოლივერი და ერთი გამოცდილი ვექილი აირჩიეს. ორივემ გაიზიარა ჩემი აზრი. მე გავატარე ჩემი სურვილი. შეადგინეს ქონების ახალმფლობელთა სია. მასში შედიოდნენ: სენტ-ჯონი, დიანა, მერი და მე. თითოეულმა მიიღო თავისი წილი.

თავი XXXIV

ყველაფერი მოგვარდა შობის დამდეგს: ახლოვდებოდა საყოველთაო დღესასწაული. მე დავითხოვე მორტონის სკოლის მოწაფეები: ვეცადე, რომ ბავშვები დაუსაჩუქრებლად არ გამეშვა. კეთილი შემოსავალი ხელს უწყობს ხელგაშლილობას და გულიც კარგი სურვილებით ივსება; შესანიშნავია, როცა გასცემ რაიმეს, თუ თვითონაც ბევრი მიგიღია. ეს არის საუკეთესო გამოსავალი მოზღვავებული გრძნობების გამოსამჟღავნებლად. დიდი ხნის განმავლობაში სიამოვნებას მგვრიდა იმის შეგრძნება, რომ ბევრს ჩემი სოფლელი მოსწავლეებიდან ვუყვარდი და განშორებისას ეს გრძნობა უფრო ცხადი გახდა; მათ თავისი სიყვარული აშკარად და ძლიერად გამოამჟღავნეს. დიდი კმაყოფილება ვიგრძენი, როდესაც მივხვდი, რომ ნამდვილად მქონდა გარკვეული ადგილი მათ უმანკო გულებში. შევპირდი მათ, რომ მომავალში ყოველ კვირას ვინახულებდი და სკოლაში თითოსაათიან გაკვეთილს ჩავუ-ტარებდი.

მოგვიახლოვდა მისტერ რივერსი. მე უკვე ვნახე, როგორ დამწკრივდნენ ჩემ წინ კლასები, რომლებიც ახლა სამოცამდე გოგონას ითვლიდა, და კარები დავკეტე. ახლა გასაღებით ხელში ვიდექი და ექვსიოდე საუკეთესო მოსწავლეს ვეთხოვებოდი; მათთვის სპეციალური გამოსათხოვარი სიტყვა მქონდა. ასეთი თავდაჭერილი, კდემამოსილი, პატიოსანი და განათლებული გოგონები მხოლოდ ინგლისელ გლეხთა შვილებში თუ მოიძებნებოდა. ეს კი ბევრს ნიშნავს, რადგანაც ინგლისის გლეხობა ყველაზე უკეთ განათლებული, ზრდილი, და პატიოსანია მთელ ევროპაში. მას შემდეგ მე მინახავს paysannes და bauerinnen და საუკეთესონი მათგან, ჩემი აზრით, ბევრად უფრო უვიცები, უხეშნი და გამოსულელებულნი იყვნენ მორტონის გოგონებთან შედარებით.

_ როგორ ფიქრობთ, ანაზღაურდა თუ არა თქვენი მთელი წლის შრომა? _ მკითხა მისტერ რივერსმა, როცა ისინი წავიდნენ. _ განა სიამოვნებას არ განიჭებთ იმის შეგრძნება, რომ რაღაც ნამდვილად სასარგებლო გააკეთეთ თქვენი დროისა და თაობისათვის?

_ უეჭველად.

_ თქვენ კი მხოლოდ რამდენიმე თვე იმუშავეთ! განა კარგი არ იქნება მთელი სიცოცხლე თქვენი ერის სულიერ აღორძინებას შესწიროთ?

_ დიახ, _ ვთქვი მე, _ მაგრამ მე არ შემიძლია მთელი სიცოცხლე ასე ვიცხოვრო: მე ისევე მინდა საკუთარი გრძნობებით ვისიამოვნო, როგორც მინდა განვავითარო ისინი სხვებში. მე მინდა სიამოვნება. ნურც ჩემს სულს და ნურც სხეულს ნუღარ გაახსენებთ სკოლას; მე მოვრჩი ამ საქმეს და მსურს მთლიანად დავისვენო.

მას სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა.

_ რა იყო? რა უეცარი აღტყინებით ხართ შეპყრობილი? რას აპირებთ?

_ მოქმედებას, რამდენადაც შემიძლია. და, უპირველესად ყოვლისა, მინდა გთხოვოთ, გაათავისუფლოთ ჰანა და სხვა მოახლე იშოვოთ.

_ თქვენ გჭირდებათ?

_ დიახ, რომ მურჰაუსში წამომყვეს; დიანა და მერი ერთ კვირაში სახლში იქნებიან და მინდა, რომ ყველაფერი წესრიგში იყოს.

_ გასაგებია. მე მეგონა, თქვენ თვითონ აპირებდით სამოგზაუროდ წასვლას. ეს უკეთესია. ჰანა წამოვა თქვენთან ერთად.

_ მაშინ უთხარით ხვალისთვის მოემზადოს; აი, საკლასო ოთახის გასაღები; ჩემი კოტეჯის გასაღებს დილით მოგცემთ.

მან გამომართვა გასაღები. _ დიდი სიხარულით მაძლევთ, _ მითხრა მან. _ მე არ მესმის თქვენი სიხარული, რადგანაც ვერ მივხვედრილვარ, რა საქმიანობას შეუდგებით იმის ნაცვლად, რომელსაც თავს ანებებთ, რა მიზანი გაქვთ, რა მისწრაფება ცხოვრებაში?

_ ჩემი პირველი მიზანი იქნება მურჰაუსის საფუძვლიანი დალაგება (გრძნობთ მთელ ძალას ამ სიტყვებისა?). საფუძვლიანად დავალაგო მურჰაუსი საწოლი ოთახიდან სარდაფამდე; მეორე მიზანია _ ვაპრიალო ის ცვილით, ზეთით და ურიცხვი ტილოებით, სანამ ისევ დაიწყებდეს კრიალს, მესამე _ მათემატიკური სიზუსტით დავდგა ყოველი სკამი, მაგიდა, საწოლი, დავფინო ყოველი ხალიჩა. ამის შემდეგ უნდა გავანადგურო ნახშირისა და ტორფის მარაგი და დავანთო ცეცხლი ყოველ ოთახში, და უკანასკნელი მიზანია _ თქვენი დების ჩამოსვლამდე ორი დღით ადრე მე და ჰანა დავიწყებთ კვერცხების თქვეფას, მოცხარის რჩევას, საშობაო ნამცხვრების შეზავებას, ღვეზელებისთვის ხორცის კეპვას და განვადიდებთ სხვა სამზარეულო რიტუალებს, როგორსაც ვერავითარი სიტყვებით ვერ გავაგებინებ სწორედ ამ საკითხში ისეთ გაუთვითცნობიერებელ ადამიანს, როგორიც თქვენა ხართ. ჩემი მიზანია, მოკლედ რომ ვთქვათ, დიანას და მერის ჩამოსვლისათვის, მომავალ ხუთშაბათს, ყველაფერი სრულ წესრიგში მქონდეს; და შევუქმნა მათ შეხვედრის beau ideal, როცა ჩამოვლენ.

სენტ-ჯონმა გაიღიმა. მაგრამ მაინც არ ჩანდა კმაყოფილი.

_ ეს ყველაფერი კარგია ახლა, _ თქვა მან, _ მაგრამ ნამდვილად დარწმუნებული ვარ, როცა აღტყინების პირველი აღფრთოვანება გაივლის, ცოტა უფრო სხვა რამე მოგინდებათ, ვიდრე შინაურებთან ალერსი და სიხარულია.

_ ეს არის საუკეთესო რამ, რაც კი კაცობრიობას მოეპოვება, _ შევაწყვეტინე მე.

_ არა, ჯეინ, არა. ეს ქვეყანა არ არის სიამოვნებისთვის შექმნილი, ნურც ეცდებით ასეთი გახადოთ; არც დასვენებისთვის არის შექმნილი; ნუ გაზარმაცდებით, ჯეინ.

_ პირიქით, მე მუშაობას ვაპირებ.

_ ჯეინ, ახლა გაპატიებთ. გაძლევთ ნებას ორი თვის განმავლობაში დატკბეთ თქვენი ახალი მდგომარეობით მთლიანად, და ისიამოვნოთ ახლადშეძენილი

ნათესაური კავშირით, მაგრამ შემდეგში, იმედი მაქვს, თქვენი მზერა გასცდება მურჰაუსსა და მორტონს, დაძმურ საზოგადოებას, ეგოისტურ სიმშვიდესა და ცივილიზაციის სიუხვით მინიჭებულ სულიერ სიმყუდროვეს. იმედი მაქვს, თქვენი ენერგია ერთხელ კიდევ გვაგრძნობინებს თავის ძალას.

გაოცებულმა შევხედე.

_ სენტ-ჯონ, _ მივუგე, _ ჩემი აზრით, უმოწყალო ხართ ასე რომ ლაპარაკობთ. მინდა დედოფალივით დამშვიდებული და კმაყოფილი ვიყო. თქვენ კი მთავაზობთ კვლავ აფორიაქებულ, მოუსვენარ ცხოვრებას, რატომ?

_ იმიტომ, რომ მინდა სასარგებლოდ ვაქციო ის ნიჭი, რომლითაც ღმერთმა დაგაჯილდოვათ, და რომლის მკაცრ ანგარიშს მოგთხოვთ, ალბათ, ოდესმე. ჯეინ, გაფრთხილებთ, რომ გადევნებთ თვალყურს დაკვირვებით და მოუთმენლად. ეცადეთ დაზოგოთ ენერგია, რომლითაც ებმებით ჩვეულებრივ შინაურ სიამოვნებაში. ნათესაობას ნუ ებღაუჭებით ასე მწარედ; გადაინახეთ სიმტკიცე და ლტოლვა საჭირო საქმისთვის. ამაოდ ნუ დახარჯავთ მათ ასეთ უბრალო წარმავალი მიზნებისთვის. გესმით, ჯეინ?

_ დიახ, მაგრამ ეგ ამაო ლაპარაკია ჩემთვის. მე ვგრძნობ, რომ მაქვს საფუძველი ბედნიერებისთვის. მინდა და ვიქნები ბედნიერი. ნახვამდის.

ბედნიერიც ვიყავი მურჰაუსში. ბევრს ვმუშაობდი. ჰანაც ჩემსავით შრომობდა. მოხიბლული იყო ჩემით, როცა ხედავდა, როგორ მხიარულად ვფუსფუსებდი არეულ-დარეულ სახლში; როგორ ვწმენდდი, ვბერტყავდი, ვასუფთავებდი და ვამზადებდი საჭმელს. და მართლაც, ორიოდე დღის საშინელი არეულობის შემდეგ, საამო სანახავი იყო ჩვენ მიერ შექმნილი ქაოსიდან წესრიგის თანდათანობითი წარმოშობა. სანამ დალაგებას დავიწყებდით, მე გავემგზავრე ქალაქ ს-ში ახალი ავეჯის შესაძენად. ჩემმა მამიდაშვილებმა თავისუფალი მოქმედების უფლება მომცეს და საჭირო თანხაც გადავდეთ ამ მიზნით. საცხოვრებელ ოთახში და საწოლ ოთახებში თითქმის არაფერი არ შემიცვლია, რადგან ვიცოდი, რომ მერისა და დიანას ძველი მშობლიური მაგიდების, სკამებისა და საწოლების დანახვა უფრო გაუხარდებოდათ, ვიდრე ულამაზესი ახალი ნივთებისა. მაინც იყო საჭირო რაღაც სიახლის შემოტანა; მინდოდა მათ დაბრუნებისას სილამაზე ეგრძნოთ ყველგან. მუქი ფერის ახალი ლამაზი ხალიჩები და ფარდები, გულდასმით შერჩეული ფაიფურისა და ბრინჯაოს ძველებური ნივთები, ახალი გადასაფარებლები და სარკეები, ყუთები ტუალეტის მაგიდებზე ამ მიზანს ემსახურებოდნენ. მათში იგრძნობოდა სიახლე, მაგრამ თვალს არ ჭრიდა. დიდი სასტუმრო ოთახი და საწოლი სულ ახალი ავეჯით მოვაწყვე. ავეჯი ძველებური იყო, წითელი ხისა და მუქი წითელი ნაჭერი ჰქონდა გადაკრული. ფარდაგი ტალანში დავაგე და ხალიჩები კიბეზე. როცა ყველაფერი გაკეთდა, გავიფიქრე, მურჰაუსი ისევე სრულყოფილია თავისი სილამაზით, სიმყუდროვით და მხიარულებით, როგორც გარეთ წელიწადის ეს დროა სრულყოფილი თავისი სიცარიელით, უდაბურებით და სასოწარკვეთით.

როგორც იქნა, დადგა მოვლენებით სავსე ხუთშაბათი. დაღამებისას ველოდი მათ და, სანამ შებინდდებოდა, ცეცხლი დავანთეთ ზედა სართულშიც და ქვემოთაც. სამზარეულო სრულ წესრიგში იყო. მე და ჰანა ჩაცმულები ვიყავით და ყველაფერი მზად გვქონდა.

პირველად სენტ-ჯონი მოვიდა. ვთხოვე, სახლს არ გაკარებოდა, სანამ ყველაფერს მოვაწყობდით; და მართლაც, მის დასაფრთხობად საკმარისი აღმოჩნდა იმ ყოველდღიური უსიამოვნო არეულობის წარმოდგენაც კი, რომელიც იმ დროს ამ სახლის კედლებში სუფევდა. როდესაც მოვიდა, მე სამზარეულოში ვიყავი, ნამცხვრებს ვაცხობდი ჩაისთვის. კერას მოუახლოვდა და მკითხა, ბოლოს და ბოლოს იჯერეთ თუ არა გული სახლში მუშაობითო. პასუხის ნაცვლად შევთავაზე, დაეთვალიერებინა ჩემი შრომის შედეგი. ძლივს დავითანხმე გამომყოლოდა და ენახა სახლი. წამომყვა. თითოეულ ოთახს ღია კარიდან მოავლო თვალი და როდესაც ორივე სართული დავათვალიერეთ, მითხრა, ალბათ დიდი ჯაფა დაგადგათ და ძლიერ გადაიღალეთ ასე ცოტა ხანში ასე რომ შეგიცვლიათო ყველაფერი, მაგრამ არც ერთი სიტყვით არ გამოუხატავს სიამოვნება იმის გამო, რომ მისი სახლი ესოდენ გალამაზდა.

თითქოს ცივი წყალი გადამასხა ამ სიჩუმემ. ნეტავ ამ ცვლილებებმა მისთვის ძვირფასი ძველი ასოციაციები ხომ არ დაარღვიეს-მეთქი, გავიფიქრე. საკმაოდ ნირწამხდარმა ვკითხე, ასე ხომ არ მოხდა-მეთქი.

_ სულაც არაო, _ მითხრა. _ პირიქით, ვშიშობ, უფრო მეტი ყურადღება დაუთმეთ ამ ამბავს, ვიდრე საჭირო იყოო. _ მკითხა, რამდენი წუთი დავუთმე, მაგალითად, ამ ოთახის მოწყობის შესწავლას? ან, სხვათა შორის, ხომ ვერ ვეტყოდი, სად იყო ესა და ეს წიგნი?

ვუჩვენე ის წიგნი თაროზე. გადმოიღო, წავიდა თავის ჩვეულებრივ ადგილისკენ ფანჯარასთან და კითხვას შეუდგა.

არ მომეწონა, მკითხველო, ეს ამბავი. სენტ-ჯონი კარგი ადამიანი იყო, მაგრამ ვიგრძენი, რომ სწორი იყო, როცა მითხრა, გულქვა და ცივი ვარო. ცხოვრების ჰუმანურობა და სიტკბოება არ იზიდავდა მას. მშვიდი ცხოვრება არ ხიბლავდა. უფრო სწორად, იგი მიისწრაფოდა მხოლოდ იმისკენ, რაც ნამდვილად კეთილი და დიადი იყო. დასვენება არ უყვარდა, არც ის მოსწონდა, როცა სხვები მის გარშემო უსაქმოდ იყვნენ. როცა მე ვუყურებდი მის მაღალ შუბლს _ თეთრ, ქვასავით მშვიდსა და ფერმკრთალ, კითხვისაგან დაძაბულ სახის ლამაზ ნაკვთებს, უეცრად მივხვდი, რომ ის არ იქნებოდა კარგი ქმარი, რომ ძალიან ძნელი იქნებოდა მისი ცოლობა. თითქოს შთაგონების შედეგად მივხვდი, თუ როგორი სიყვარულით უნდა ჰყვარებოდა მას მის ოლივერი; ვეთანხმებოდი მას, რომ ეს იყო მხოლოდ მონური სიყვარული. მესმოდა, თუ როგორ სძულდა მას თავი იმ ვნებათაღელვის გამო, რომელსაც ეს სიყვარული იწვევდა მასში; როგორ სურდა მისი ჩახშობა და განადგურება; როგორი ეჭვით უყურებდა ამ გრძნობას, რადგან არ სჯეროდა, რომ მუდმივ ბედნიერებას მოუტანდა რომელიმე მათგანს. დავინახე, რომ ის შექმნილი იყო იმ მასალიდან, რომლიდანაც ბუნება ძერწავს თავის გმირებს _

ქრისტიანებსა და წარმართებს; თავის კანონმდებლებს, სახელმწიფო მოღვაწეებს, დამპყრობლებს; მტკიცე დასაყრდენს დიდი ინტერესების განვითარებისათვის; მაგრამ ოჯახის კერასთან ხშირად ცივსა და მძიმე სვეტს, კუშტსა და შეუფერებელს.

«ეს სასტუმრო ოთახი არ არის მისი სფერო,_ ვფიქრობდი მე. _ ჰიმალაის მთაგრეხილი, სამხრეთ აფრიკის ველები, ან თვით გვინეის სანაპიროს ციებცხელებიანი ჭაობებიც კი უფრო შეეფერება მას. რა თქმა უნდა, აარიდებს თავს ოჯახურ სიმყუდროვეს. ოჯახი არ არის მისი სტიქია; აქ მისი შეგრძნებები იყინება, აქ ვერ განვითარდებიან ისინი და ვერც შესაფერ გამოყენებას ჰპოვებენ. ის იმოქმედებს და ილაპარაკებს როგორც წინამძღოლი და სხვებზე მაღლა მდგომი მხოლოდ იქ, სადაც იქნება ხიფათი და ბრძოლა, სადაც გამბედაობას გამართლება აქვს, საჭიროა ენერგია და სიმტკიცე. ამ ოჯახურ კერაზე ნებისმიერ მხიარულ ბავშვს უპირატესობა ექნება მის წინაშე. ახლა მესმის. სწორია, რომ მისიონერის საქმე აირჩია.

_ მოდიან, მოდიან! _ წამოიძახა ჰანამ და სასტუმრო ოთახის კარი გააფრიალა. იმავე წუთს მხიარულად დაჰყეფა ბებერმა კარლომ. გარეთ გავვარდი. უკვე ბნელოდა, მაგრამ გარკვევით ისმოდა ბორბლების ხმაური. ჰანამ სასწრაფოდ აანთო ფარანი. ეტლი ჭიშკართან გაჩერდა; მეეტლემ გააღო კარი; ჯერ ერთი არსება გადმოვიდა ეტლიდან, მერე მეორე. ორივენი კარგად ნაცნობი. ერთი წუთის შემდეგ ჩემი სახე მათი ქუდების ქვეშ დაიმალა; ჯერ მერის რბილ ლოყას შევეხე, მერე დიანას გაშლილ კულულებს. იცინოდნენ, მკოცნიდნენ ჯერ მე, მერე ჰანას; ეფერებოდნენ კარლოს, რომელიც კინაღამ გაგიჟდა სიხარულისგან; კითხულობდნენ, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა, და როცა დადებითი პასუხი მიიღეს, სწრაფად შევიდნენ სახლში.

უიტკროსის გრძელ და მოუკირწყლავ გზაზე ჯაყჯაყით მავალ ეტლს დიანა და მერი ისე მოექანცა, რომ ორივენი თავს კარგა მიბეგვილებივით გრძნობდნენ. თანაც ღამის სუსხიან ჰაერს ემოქმედა და გათოშილიყვნენ. მაგრამ მოგუზგუზე ცეცხლის დანახვაზე სახეები გაებადრათ. სანამ მეეტლესა და ჰანას ბარგი შემოჰქონდათ, სენტ-ჯონი მოიკითხეს, იმავე წუთში ისიც გამოვიდა სასტუმრო ოთახიდან. ორივემ ერთდროულად შემოხვია მას მკლავები კისერზე. მან ორივეს აკოცა მშვიდად, დაბალი ხმით მიესალმა რამდენიმე სიტყვით, ცოტა ხანს იდგა და უსმენდა მათ (სანამ მას ელაპარაკებოდნენ), და შემდეგ განაცხადა, იმედი მაქვს, მალე შემოხვალთ სასტუმრო ოთახშიო და თავშესაფარივით მიაშურა იმ ოთახს.

სანთლებს მოვუკიდე ზევით ასასვლელად. მანამდე დიანამ ბრძანება გასცა, მეეტლე დაენაყრებინათ; ამის შემდეგ ორივე გამომყვა. მათ ესიამოვნათ სიახლე ოთახებში, მოეწონათ მათი მორთულობა; ახალი ფარდები და საფენები; ლამაზი ფერის ფაიფურის ლარნაკები; სიტყვები არ დაიშურეს აღფრთოვანების გამოსახატავად. ძალიან გამიხარდა, როცა დავინახე, რომ ჩემი საქმიანობა მათ სურვილებს ზუსტად დაემთხვა; გამიხარდა ისიც, რომ ამან კიდევ უფრო მეტი სილამაზე შესძინა მათ მხიარულ დაბრუნებას სახლში.

ის საღამო ძალიან სასიამოვნო იყო. ჩემი მამიდაშვილები იმდენად აღსავსენი იყვნენ სიხარულით, რომ მათმა ენამჭევრობამ და შენიშვნებმა სრულიად დაფარეს სენტ-ჯონის გულჩათხრობილობა. ამ უკანასკნელს გულწრფელად უხაროდა დების ჩამოსვლა, მაგრამ არ შეეძლო თანაგრძნობა გაეწია მათი მოზღვავებული სიხარულისათვის. ეს განსაკუთრებული ამბავი, ე. ი. დიანას და მერის ჩამოსვლა, სიამოვნებდა მას, მაგრამ თანმხლები მოვლენები, სასიხარულო ჟრიამული და სიტყვამრავალი შეხვედრა ღლიდა. ვგრძნობდი, რომ ოცნებობდა, მალე დამდგარიყო უფრო მშვიდი ხვალინდელი დღე. ჩაის შემდეგ დაახლოებით ერთმა საათმა გაიარა. მხიარულებამ ზენიტს მიაღწია, რომ ამ დროს კარზე კაკუნი გაისმა. ჰანა შემოვიდა და თქვა, ამ უდროო დროს ერთი საბრალო ბიჭი მოვიდაო, რომ მისტერ რივერსი გაჰყოლოდა მომაკვდავი დედის სანახავად.

_ სად ცხოვრობს, ჰანა?

_უიტკროს ბრაუსთან, თითქმის ოთხი მილის დაშორებით, და მთელი გზა სულ ტორფნარია.

_ უთხარი ბიჭს, რომ წამოვალ.

_ ჩემი აზრით, სერ, უმჯობესია, არ წახვიდეთ. ყველაზე სახიფათო გზაა ბნელში სასიარულოდ, მთელ იმ ჭაობში ბილიკიც კი არ არის. მერე ამისთანა სუსხიან ღამეს, საოცრად ცივი ქარი ქრის. უმჯობესია შეუთვალოთ, სერ, რომ ხვალ დილით მიხვალთ.

მაგრამ სენტ-ჯონი უკვე ტალანში იყო და ლაბადას ისხამდა. უსიტყვოდ, უყოყმანოდ წავიდა. ცხრა საათი იყო. მხოლოდ შუაღამეს დაბრუნდა მშვიდი და დაღლილი, მაგრამ უფრო ბედნიერი ჩანდა, ვიდრე წასვლამდე. მან მოიხადა თავისი ვალი, დაძაბა ნებისყოფა, იგრძნო საკუთარი ძალა და კმაყოფილი იყო თავისი თავით.

ვშიშობ, რომ მთელი მომდევნო კვირა ძნელი ასატანი იყო მისთვის. ეს იყო საშობაო კვირა; ჩვენ არ გვქონდა არავითარი აუცილებელი საქმე და მხიარულად ვატარებდით დროს ოჯახში. ტორფნარის ჰაერი, სახლის თავისუფლება, კეთილი ცხოვრების განთიადი ისე მოქმედებდა დიანასა და მერიზე, როგორც უკვდავების წყარო. მხიარულობდნენ დილიდან შუადღემდე და შუადღიდან დაღამებამდე. დაუსრულებლად შეეძლოთ ლაპარაკი; მათი საუბარი _ გონებამახვილური, შინაარსიანი, თავისებური, _ იმდენად მხიბლავდა, რომ სხვა რამის კეთებას მერჩია ყური მეგდო მათთვის და მონაწილეობა მიმეღო მათ საუბარში. სენტ-ჯონი არ კიცხავდა ჩვენს მხიარულებას, მაგრამ გაურბოდა მას. შინ იშვიათად იყო; დიდი მრევლი ჰყავდა შორიშორ დასახლებული. მოუცლელი იყო, რადგან ყოველდღე დადიოდა ღარიბთა და ავადმყოფთა სანახავად მის სხვადასხვა ნაწილში.

ერთ დილას, საუზმის დროს, დიანა ერთხანს დაფიქრდა და შემდეგ ჰკითხა მას, ხომ არ შეგიცვლიაო გეგმები.

პასუხად მიიღო: უცვლელია და არც შეიცვლებაო. გვამცნო, რომ მისი გამგზავრება ინგლისიდან უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო მომავალი წლისთვის.

_ როზამონდ ოლივერი? _ ჰკითხა მერიმ. სიტყვები, როგორც ჩანს, უნებლიეთ წამოსცდა, რადგან თქმა ვერ მოასწრო, რომ მაშინვე სახის ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს მათი დაბრუნება უნდაო. სენტ-ჯონს წიგნი ეჭირა ხელში, ასეთი უწესო ჩვეულება ჰქონდა,_ კითხვა უყვარდა ჭამის დროს, _ წიგნი დახურა და თავი ასწია.

_ როზამონდ ოლივერი, _ თქვა მან: _ მისტერ გრენბიზე თხოვდება. მისტერ გრენბის ვრცელი ნაცნობობა აქვს მაღალ საზოგადოებაში და მეტად პატივცემულ პიროვნებად ითვლება ს... _ ში. ის არის სერ ფრედერიკ გრენბის შვილიშვილი და მემკვიდრე. როზამონდას მამამ მიამბო ამის შესახებ გუშინ.

დებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე მე შემომხედეს; შემდეგ სამივემ მას შევხედეთ. ცივი იყო, გახევებული.

_ როგორც ჩანს, საქმე უეცრად გადაწყდა, _ თქვა დიანამ, _ არა მგონია, დიდი ხანია იცნობდნენ ერთმანეთს.

_ მხოლოდ ორი თვეა, ოქტომბერში შეხვდნენ ერთმანეთს საგრაფოს მეჯლისზე ქალაქ ს....- ში. მაგრამ, როდესაც კავშირს წინ არაფერი ეღობება, როგორც ამ შემთხვევაში, სადაც შეერთება ყოველმხრივ სასურველია, დაყოვნება საჭირო არ არის. ისინი დაქორწინდებიან მაშინვე, როგორც კი საცხოვრებელი ადგილი, რომელსაც სერ ფრედერიკი აძლევს, მზად იქნება მათ მისაღებად.

პირველივე შემთხვევისას, როცა სენტ-ჯონთან მარტო დავრჩი ამ ამბის გაგების შემდეგ, ცდუნებამ მაიძულა მეკითხა, ხომ არ დაამწუხრა ამ ამბავმა. მაგრამ შევატყვე, რომ თანაგრძნობა არ სჭირდებოდა და ნაცვლად შეცოდებისა სირცხვილი ვიგრძენი იმ სიბრალულის გამო, რომელიც ადრე გამოვიჩინე. გარდა ამისა, გადავეჩვიე მასთან ლაპარაკს. ისევ ძალიან ცივად ეჭირა თავი. მისი გულჩათხრობილობა ჩემს გულახდილობას ყინავდა. მან არ შეასრულა თავისი პირობა, რომ მომექცეოდა ისე, როგორც თავის დებს. გამუდმებით ვგრძნობდი, რომ დებისგან მანსხვავებდა და ცივად მექცეოდა. ეს კი სრულიადაც არ უწყობდა ხელს ჩვენ შორის გულთბილ დამოკიდებულებას. მოკლედ რომ ვთქვა. მას შემდეგ, რაც ჩვენი ნათესაობა დამტკიცდა და მასთან ერთ ჭერქვეშ დავიწყე ცხოვრება, გაცილებით უფრო დიდ მანძილს ვგრძნობდი ჩვენ შორის, ვიდრე მაშინ, როცა ის მიცნობდა, როგორც სკოლის მასწავლებელს. როცა ვიხსენებდი ხოლმე, რამდენ რამეს მანდობდა, სრულიად არ მესმოდა მისი ამჟამინდელი სიცივე.

ასეთი იყო საქმის ვითარება და ამიტომ ძალიან გამიკვირდა, როცა მან უეცრად ასწია თავი საწერი მაგიდიდან, რომლის წინაც დახრილი იყო, და მითხრა:

_ როგორც ხედავთ, ჯეინ, ვიბრძოლე და გავიმარჯვე.

ასეთმა მომართვამ შემაკრთო და ამიტომ პასუხი მაშინვე ვერ გავეცი. ერთი წუთის ყოყმანის შემდეგ ვუპასუხე:

_ დარწმუნებული ხართ, რომ არა ხართ იმ დამპყრობთა რიცხვში, რომელთაც გამარჯვება ძალიან ძვირად დაუჯდათ? ხომ არ დაგღუპავთ კიდევ ერთი ასეთი გამარჯვება?

_ მე მგონი, არა. და ასეც რომ მოხდეს, ეს არაფერს არ ნიშნავს. აღარასოდეს არ დამჭირდება ასეთი ბრძოლის გადატანა. ეს ბრძოლა გადამწყვეტია. ჩემი გზა ნათელია ახლა. ღმერთს მადლობას ვწირავ ამისთვის.

ამ სიტყვებით ისევ გაზეთებს დაუბრუნდა და დადუმდა.

როცა ჩვენმა საერთო ბედნიერებამ (დიანას, მერის და ჩემმა) უფრო მშვიდი ხასიათი მიიღო და ჩვენ ისევ შევუდექით ჩვეულ შრომასა და სწავლას, სენტ-ჯონი უფრო ხშირად იყო სახლში; ზოგჯერ საათობით იჯდა ოთახში ჩვენთან ერთად. სანამ მერი ხატავდა, დიანა უჯდა ენციკლოპედიას (რამაც ჩემი განცვიფრება და გაოცება გამოიწვია), მე კი გერმანულ ენას ვსწავლობდი, ის მუშაობდა რაღაც საიდუმლო ცოდნის მიღებაზე; ეს იყო რომელიღაც აღმოსავლური ენა, რომლის შესწავლა, როგორც ის ფიქრობდა, საჭირო იყო მისი გეგმების შესასრულებლად.

ასეთ საქმიანობაში გართული, როცა ის კუთხეში იჯდა ფანჯარასთან, საკმაოდ მშვიდი და საქმიანი ჩანდა. მაგრამ ხანდახან მისი ცისფერი თვალები ტოვებდნენ უცხოური გრამატიკის სახელმძღვანელოს და მოგვაშტერდებოდნენ ჩვენ, იმავე ოთახში მყოფთ და სწავლით გართულთ, უჩვეულო სიძლიერითა და დაკვირვებით. თუ მის მზერას დავიჭერდით, სწრაფად აგვარიდებდა ხოლმე თვალს. მაგრამ დროდადრო მისი მზერა კვლავ უბრუნდებოდა ჩვენს მაგიდას. ძალიან მაინტერესებდა ამ მზერის მნიშვნელობა, მაოცებდა, თუ რატომ არ ავიწყდებოდა გამოეხატა კმაყოფილება ისეთ უმნიშვნელო მოვლენაზე, როგორიც იყო ჩემი ყოველკვირეული სიარული მორტონის სკოლაში; და კიდევ უფრო მაოცებდა ერთი რამ: თუ ცუდი ამინდი იყო, ან ძლიერი ქარი, ან წვიმდა და მისი დები მთხოვდნენ, არ წავსულიყავი, ის აუცილებლად გააქარწყლებდა მათ მზრუნველობას და მაქეზებდა, რომ შემესრულებინა ჩემი ვალი ბუნების არახელსაყრელი მოვლენების მიუხედავად.

_ ჯეინი არც ისეთი სუსტი არსებაა, როგორც თქვენ გგონიათ, _ ამბობდა ხოლმე სენტ-ჯონი. _ ის მთიდან მოვარდნილ ქარსაც გაუძლებს, კოკისპირულ წვიმასაც და თოვლსაც, ისევე, როგორც ყოველი ჩვენგანი. ჯანმრთელიც არის და მოქნილიც. და უფრო კარგადაც გაუძლებს ჰავის ცვალებადობას, ვიდრე ბევრი უფრო ძლიერი აგებულების ადამიანი.

როდესაც ვბრუნდებოდი, ზოგჯერ საკმოდ დაღლილი და ცუდი ამინდისაგან გაწვალებული, ვერასოდეს ვერ ვბედავდი ჩივილს, რადგან ვიცოდი, რომ ეს გააბრაზებდა მას; მხოლოდ სიმტკიცის დანახვა ყველგან და ყველაფერში სიამოვნებდა, ხოლო საპირისპირო რამ საოცრად აღიზიანებდა.

მაგრამ ერთხელ, ნაშუადღევს, შინ დარჩენის ნებართვა მივიღე, რადგანაც გაციებული ვიყავი. მისი დები წავიდნენ მორტონში ჩემ მაგივრად. ვიჯექი და შილერს ვკითხულობდი; ის ჩაჰკირკიტებდა თავის ძნელად გასარჩევ აღმოსავლურ ნაწერებს. როცა თარგმანი სავარჯიშოთი შევცვალე, შემთხვევით მისკენ გავიხედე და დავინახე, რომ მისი მუდამ ფხიზელი ცისფერი თვალები მაკვირდებოდნენ. რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს, ვერ გეტყვით. მზერა ბასრი იყო, მაგრამ ისეთი ცივი, რომ ერთი წუთით ცრუმორწმუნის შიში ვიგრძენი _ თითქოს ჩემთან ერთად ოთახში რაღაც ზებუნებრივი ძალა იმყოფებოდა.

_ ჯეინ, რას აკეთებთ?

_ გერმანულს ვსწავლობ.

_ მე მინდა, რომ გერმანულს თავი დაანებოთ და ურდუ ისწავლოთ.

_ სერიოზულად ამბობთ?

_ იმდენად სერიოზულად, რამდენადაც საჭიროა და გეტყვით კიდეც, რატომ.

მან მითხრა, რომ თვითონ სწავლობს ურდუს ამჟამად, მაგრამ რაც უფრო წინ წავა, შესაძლოა, ძველად ნასწავლი დაავიწყდეს; ამიტომ მისთვის ძალიან კარგი იქნება მოწაფის ყოლა, რომელთან ერთად ხელახლა გაიმეორებს განვლილსა და, ამგვარად, კარგადაც დაიმახსოვრებს. შემდეგ მან თქვა, რომ ერთხანს ის მერყეობდა თავისი დები აერჩია ამ მიზნით, თუ მე; მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, არჩევანი ჩემზე გაეჩერებინა, რადგან დაინახა, რომ ჩვენ სამიდან ყველაზე დიდხანს მე შემეძლო მუშაობა. გავუწევ ამ სამსახურს? შესაძლოა, მსხვერპლის გაღება დიდხანს არ დამჭირდეს, რადგან მის წასვლამდე მხოლოდ სამი თვე იყო დარჩენილი.

სენტ-ჯონი არ იყო ისეთი კაცი, რომელსაც უარს ადვილად ეტყოდი: იგრძნობოდა, რომ ყოველგვარი შთაბეჭდილება, მტკივნეული თუ სასიამოვნო, ღრმა და სამუდამო კვალს ტოვებდა მის გონებაში. დავთანხმდი. როცა დიანა და მერი დაბრუნდნენ, დიანამ დაინახა, რომ მისმა მოწაფემ მის ძმასთან გადაინაცვლა. გაიცინა. დიანამ და მერიმაც დაადასტურეს, რომ სენტ-ჯონი ვერასოდეს ვერ დაითანხმებდა მათ ამგვარი ნაბიჯის გადადგმაზე. მან მშვიდად მიუგო:

_ ვიცი.

ის იყო მეტად მომთმენი, მეტად მომთხოვნი, მაგრამ ამასთანავე მეტად მკაცრი მასწავლებელი. ძალიან ბევრს ითხოვდა ჩემგან, და როცა მე ვაკმაყოფილებდი მის მოლოდინს, თავის მხრივ, სავსებით ამჟღავნებდა კმაყოფილებას. თანდათანობით მან მოიპოვა გარკვეული გავლენა ჩემზე და აზროვნების თავისუფლება წამართვა. მისი ქება და ყურადღება უფრო მბოჭავდა, ვიდრე მისი გულგრილობა. უკვე აღარ შემეძლო თავისუფლად ლაპარაკი და სიცილი, როცა ის ახლოს იყო, რადგან აბეზარი და ჯიუტი ინსტინქტი მაგონებდა, რომ მხიარულება (განსაკუთრებით ჩემი) უსიამოვნო იყო მისთვის. იმდენად გამიჯდა ძვალსა და რბილში, რომ მხოლოდ სერიოზული განწყობილება და საქმიანობა იყო მისაღები, მისი თანდასწრებით

სხვანაირ გუნებაზე ყოფნა ამაო ცდად მიმაჩნდა. რაღაც გამყინავი გავლენის ქვეშ მოვექეცი. მეუბნებოდა: წადი, _ მივდიოდი; მეუბნებოდა: მოდი, _ მოვდიოდი; ეს გააკეთე,_ ვაკეთებდი; მაგრამ თვითონ არ მომწონდა ჩემი დამონება; ბევრჯერ მინატრია, ნეტავ ძველებურად არ მომაქციოს ყურადღება-მეთქი.

ერთ საღამოს, როდესაც დაწოლის დროს მისი დები და მე გარშემო ვუდექით და მშვიდობის ღამეს ვუსურვებდით, მან, ჩვეულებისამებრ, აკოცა დებს. შემდეგ, ისევ ჩვეულების თანახმად, გამომიწოდა ხელი. დიანამ, რომელიც იმ საღამოს ცელქობის გუნებაზე იყო (მისთვის უჩვეულო იყო ძმის ზეგავლენით გამოწვეული ტკივილი, რადგან მას თვით ძლიერი ნებისყოფა ჰქონდა), წამოიძახა:

_ სენტ-ჯონ! შენ ხომ ეძახი ჯეინს შენს მესამე დას! მაგრამ სრულიადაც არ ექცევი, როგორც დას. მასაც უნდა აკოცო.

ხელი მკრა მისკენ. გავიფიქრე, დიანა ძალიან გამომწვევად მოიქცა-მეთქი და უსიამოვნო უხერხულობა ვიგრძენი. სანამ ამას ვფიქრობდი, სენტ-ჯონმა თავი დახარა. მისი ბერძნულნაკვთებიანი სახე მოუახლოვდა ჩემსას, თვალი თვალში გამიყარა და მაკოცა. არ არსებობს მარმარილოს კოცნა, ან ყინულის კოცნა, თორემ ვიტყოდი, ასე მაკოცა-მეთქი ჩემმა ღვთისმსახურმა მამიდაშვილმა. მაგრამ, შესაძლოა, არსებობდეს საცდელი კოცნა და ეს იყო სწორედ ასეთი კოცნა. კოცნის შემდეგ შემომხედა, რომ შედეგი დაენახა. შედეგი შესამჩნევი არ იყო. დარწმუნებული ვარ, რომ არ გავწითლებულვარ, შესაძლოა, ოდნავ გავფითრდი, რადგან ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ეს კოცნა ჩემი ბორკილების გასამაგრებელი იყო. ამის შემდეგ მას არასოდეს არ ავიწყდებოდა ეს ცერემონიალი, და სერიოზულობას და მორჩილებას, რომლითაც ვიტანდი მას ამ პროცესში, გარკვეული მომხიბვლელობა შეჰქონდა მის თვალში.

რაც შემეხება მე, დღითი დღე უფრო მეტად მსურდა მესიამოვნებინა მისთვის. მაგრამ ამასთანავე ვგრძნობდი, რომ ასეთი საქციელით სულ უფრო და უფრო ვკარგავდი ჩემი თავის ნაწილს, ვიხშობდი უნარს, ვიცვლიდი გემოვნებას და ვაიძულებდი ჩემს თავს გამეკეთებინა ისეთი რამ, რაც უცხო იყო ჩემი ბუნებისთვის. ამაოდ ცდილობდა ის აღემაღლებინა სული ჩემი. საათობით ვეწამებოდი იმისთვის, რომ მიმეღწია ჩემ წინ აღმართულ სიმაღ-ლემდე, მაგრამ ეს ისევე შეუძლებელი იყო, როგორც შეუძლებელი იყო ჩემი სახის არასწორი ნაკვთებიდან გამოეკვეთათ მისი სწორი და კლასიკურნაკვთებიანი სახე; ან ის, რომ ჩემი ცვალებადი მწვანე თვალებისთვის მიეცათ მისი თვალების ზღვისფერი და მათი დიადი ელვარება.

მაგრამ განა მარტო მისი ძალა მიმონებდა იმჟამად? უკანასკნელ ხანებში საკმაოდ ადვილი იყო ჩემთვის სევდიანი სახის მიღება. უბედურების წინათგრძნობა ღრღნიდა ჩემს გულს და დასაწყისშივე აშთობდა ჩემს ბედნიერებას. მე მაწუხებდა ეჭვის ავი სული.

გგონია, მკითხველო, რომ მისტერ როჩესტერი დავივიწყე ცხოვრების ადგილისა და მდგომარეობის გამოცვლის შემდეგ. ერთი წუთითაც არა. მე ისევ ვფიქრობდი მასზე. ეს ხომ ნისლი არ იყო, მზის სხივებს რომ გაეფანტა; ან ქვიშაზე დახატული სურათი, ქარიშხალს რომ წაელეკა; ეს იყო სახელი ფირფიტაზე ამოკვეთილი, რომელიც იმდენ ხანს გაძლებდა, რამდენსაც თვითონ ეს მარმარილოს ფირფიტა. ყველგან თან მდევდა სურვილი, გამეგო, რა დაემართა მას. როცა მორტონში ვიყავი, ყოველ საღამოს ვბრუნდებოდი ჩემს კოტეჯში, რომ ამაზე მეფიქრა და ახლაც მურჰაუსში ყოველ ღამე ამაზე ფიქრით მივაშურებდი ხოლმე საწოლს.

მისტერ ბრიგსთან ანდერძის შესახებ მიწერ-მოწერის დროს შევეკითხე მას, იცოდა თუ არა სად ცხოვრობდა მისტერ როჩესტერი ამჟამად და როგორ გრძნობდა თავს; როგორც ჯონი ვარაუდობდა, მან მართლაც არაფერი იცოდა მის შესახებ. შემდეგ მივწერე მისის ფეიერფექსს და ვთხოვე, მოეწერა რაიმე ამის შესახებ. დარწმუნებული ვიყავი, რომ პასუხს მალე მივიღებდი. ჩემს გაოცებას არ ჰქონდა საზღვარი, როცა ორი კვირა გავიდა და პასუხი არ იყო, მაგრამ, როცა ორი თვე გავიდა და ყოველდღიურ ფოსტას არაფერი მოჰქონდა ჩემთვის, უკიდურესმა მოუსვენრობამ შემიპყრო.

ისევ მივწერე. სავსებით შესაძლებელი იყო, რომ ჩემი პირველი წერილი დაიკარგა. ახალმა იმედებმა ახალი გზები გამონახეს. რამდენიმე კვირის განმავლობაში ისევ მინათებდნენ სიცოცხლეს; შემდეგ ისევე ადრინდელივით ჩაჰქრნენ და ჩაიფერფლენ. არც ერთი სტრიქონი, არც ერთი სიტყვა არ მიმიღია პასუხად. როცა ნახევარმა წელმა განვლო ამაო მოლოდინში, იმედი გადამიწყდა და ჩემს სულში სიბნელემ დაისადგურა.

გაზაფხულის მშვენიერი ამინდი იდგა, მაგრამ მე ვერ ვტკბებოდი. ზაფხული ახლოვდებოდა. დიანა ცდილობდა ჩემს გამხიარულებას. ცუდი ფერი გაქვს და ზღვაზე უნდა წაგიყვანოო, მეუბნებოდა. სენტ-ჯონი წინააღმდეგი იყო ჩვენი წასვლის. მისი თქმით, მე გართობა კი არა, საქმე მჭირდებოდა; რომ ჩემი იმჟამინდელი ცხოვრება მეტად უმიზნო იყო. ჩემი აზრით, სწორედ ამიტომ იყო, რომ მან მოუმატა ურდუში მეცადინეობასა და კიდევ უფრო მკაცრი და მომთხოვნი გახდა. მეც, როგორც სულელი, სრულიად არ ვუწევდი მას წინაღმდეგობას, ან უკეთ თუ ვიტყვი, წინააღმდეგობას ვერ ვუწევდი.

ერთ დღეს სამეცადინოდ ჩვეულებრივზე უფრო ცუდ გუნებაზე მივედი. მოშხამული გუნების მიზეზი იყო მწარე იმედგაცრუება. დილით ჰანამ მითხრა, რომ წერილი მოვიდა ჩემს სახელზე. როცა ამოსატანად ჩავედი, თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ დიდი ხნის ნანატრი ამბები მივიღე საბოლოოდ; მაგრამ დავინახე, რომ ეს იყო მისტერ ბრიგსის უმნიშვნელო ბარათი საქმის შესახებ. ამ მწარე იმედგაცრუებამ ცრემლები მომგვარა. და ახლა, როდესაც ვიჯექი და ვსწავლობდი ინდოელი მწერლის ძნელად გასარჩევ ასოებს და მაღალფარდოვან სტილს, თვალები ისევ ცრემლით მევსებოდა.

სენტ-ჯონმა დამიძახა საკითხავად. როცა ვცადე წაკითხვა, ხმამ მიმტყუნა; ქვითინმა ჩაახშო სიტყვები. სასტუმრო ოთახში მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით.

დიანა მუსიკაში მეცადინეობდა მისაღებ ოთახში, მერი ბაღში მუშაობდა. მაისის მშვენიერი დღე იყო, მოწმენდილი, მზიანი, ნიავი უბერავდა. სენტ-ჯონს გაოცება არ გამოუხატავს ჩემი გრძნობების გამომჟღავნებისას, არც მიზეზი უკითხავს. მხოლოდ მითხრა:

_ ჯობია, ცოტა ხანს დავიცადოთ, ჯეინ, სანამ დამშვიდდებით, _ სანამ მე მოზღვავებულ გრძნობებს ნაჩქარევად ვიმორჩილებდი, ის იჯდა მშვიდი და მოთმინებით სავსე, მაგიდაზე ეყრდნობოდა და იმ ექიმს ჰგავდა, ავადმყოფის მოსალოდნელ და გასაგებ კრიზისს მეცნიერის თვალით რომ აკვირდება. შევიკავე ქვითინი, თვალები შევიმშრალე და წავიბუტბუტე, ამ დილით თავს ცუდად ვგრძნობ-მეთქი. შემდეგ ჩემს საქმეს შევუდექი და დავამთავრე კიდეც. სენტ-ჯონმა შეინახა წიგნები, დაკეტა საწერი მაგიდის უჯრა და მითხრა:

_ ახლა, ჯეინ, თქვენ სასეირნოდ წახვალთ, ოღონდ ჩემთან ერთად.

_ დიანას და მერის დავუძახებ.

_ არა. მე მხოლოდ ერთი თანამგზავრი მინდა ამ დილით. და ეს თქვენ უნდა იყოთ. ჩაიცვით. გადით სამზარეულოს კარებიდან, გეზი მარშგლენის სათავისკენ აიღეთ. მეც ერთ წუთში დაგეწევით.

ჩემს საქციელში საშუალო გზის არჩევა არ მჩვეოდა. რამდენჯერაც ურთიერთობა მქონია თვითდარწმუნებულ მტკიცე ხასიათის მქონე ადამიანებთან, რომელთა ბუნება ჩემსას ეწინააღმდეგებოდა, მე არ ვიცოდი შუა ხაზის არჩევა: ან აბსოლუტურად ვნებდებოდი, ან გადამწყვეტ ბრძოლას ვიწყებდი. ყოველთვის ერთგულად მივყვებოდი ერთ ხაზს აჯანყების მომენტამდე, რომელიც ზოგჯერ ვულკანური სიძლიერით ვლინდებოდა, და გადავდიოდი მეორეზე. რადგანაც არც ჩემი იმჟამინდელი მდგომარეობა მაძლევდა საფუძველს, და არც განწყობილება მიკარნახებდა ამბოხს, გულმოდგინედ დავემორჩილე სენტ-ჯონის მითითებას. ათი წუთის შემდეგ ვიწრო ხეობის ბილიკზე მივაბიჯებდი მის გვერდით.

ნიავი დასავლეთიდან ქროდა, გორაკებიდან უბერავდა და თან მანანისა და ლერწმის სურნელი მოჰქონდა. ცა კრიალა და ლურჯი იყო; მდინარე, რომელიც ხეობას ჩამოუდიოდა, გაზაფხულის წვიმების შედეგად ადიდებულიყო და მოედინებოდა სავსე და ანკარა, მასში მზის ოქროსფერი სხივები და ცის კაბადონი ირეკლებოდა. სეირნობისას ბილიკიდან გადავუხვიეთ, რბილ ბუსნოზე მივდიოდით. დედამიწა ხავსით იყო მოფენილი და ზურმუხტისფერი დაჰკრავდა; აქა-იქ პაწაწინა თეთრი ყვავილი ჩანდა, ჭარბობდა ვარსკვლავის ფორმის ყვითელი მცენარე. ამასობაში გორაკები გარს შემოგვერტყნენ, ხეობის სათავე მათ შუაგულში მიიკლაკნებოდა.

_ აქ დავისვენოთ, _ მითხრა სენტ-ჯონმა, როცა კლდეთა ლაშქარს მივუახლოვდით; ეს კლდეები ხეობიდან გასასვლელს დარაჯობდნენ, რომელთა უკან ნაკადული ჩანჩქერად გადმოდიოდა. იქ, ცოტა უფრო მოშორებით, მთას დაებერტყა ბუსნო და ყვავილი. სამოსად მხოლოდ მანანა ჰქონდა, კლდე _ მოსართავად. იქ ბუნება სიველურეს აღწევდა და ხასხასა

ფერები მუქი ფერებით იცვლებოდა. ბუნება დარაჯობდა მარტოობის დაკარგულ იმედს. ეს იყო დუმილის უკანასკნელი თავშესაფარი.

დავჯექი. სენტ-ჯონი ჩემ ახლოს იდგა. მან ჯერ ხეობიდან გასასვლელს გახედა, მერე თვით ხეობას; მერე მისი მზერა მდინარეს გაჰყვა და მის ზედაპირზე არეკლილ უღრუბლო ცას. ქუდი მოიხადა, რომ ნიავს თმა აექოჩრა და შუბლზე ეკოცნა. თითქოს ამ ადგილის სულს ერთვოდა. თვალებით რაღაცას ეთხოვებოდა.

_ მე კიდევ ვნახავ ამას სიზმარში, _ თქვა მან ხმამაღლა, _ როცა მეძინება განგის ნაპირზე და კიდევ ერთხელ, უფრო დიდი ხნის მერე, როდესაც სხვა ძილი დამეუფლება, უფრო ბნელი მდინარის ნაპირთან.

უცნაური სიყვარული, უცნაური სიტყვებით გამოხატული! მკაცრი პატრიოტის ტრფიალი სამშობლოსადმი! ის დაჯდა. ნახევარი საათის განმავლობაში ვდუმდით. არც მე ამომიღია ხმა, არც მას უთქვამს არაფერი. შემდეგ მან ხელახლა წამოიწყო:

_ ჯეინ, ექვსი კვირის შემდეგ მივდივარ. მივდივარ «ისტ ინდიამენით», რომელიც ივნისის ოცში ტოვებს ინგლისის ნაპირებს.

_ ღმერთი იქნება თქვენი მფარველი, რადგან თქვენ მისი საქმისთვის იღვწით. _ მივუგე მე.

_ ჰო, _ თქვა მან. _ იქ არის ჩემი დიდება და სიხარული. უძლეველი ბატონის მსახური ვარ. ადამიანთა მფარველობით არ მივდივარ, არ ვემორჩილები უსუსურ კანონებს და ჩემისთანა სუსტი ჭიების ცოდვილ მფარველობას. ჩემი კანონმდებელი, ჩემი მეგზური _ ყოვლისშემძლე ღმერთია. მიკვირს, რომ ხალხი ჩემ გარშემო არ იწვის იმის სურვილით, რომ გაერთიანდეს ამავე დროშით, მისდიოს ამავე საქმეს.

_ ყველას არ შესწევს თქვენი ძალა. სისულელე იქნება, სუსტებს რომ გაუჩნდეთ სურვილი ძლიერებთან ერთად იარონ.

_ მე არ ვლაპარაკობ სუსტებზე, და არც ვფიქრობ მათზე. მე მივმართავ მხოლოდ იმათ, ვინც ღირსია ითავოს ეს საქმე და ძალუძს მისი შესრულება.

_ ასეთები ცოტანი არიან და ძნელია მათი პოვნა.

_ მართალს ამბობთ. მაგრამ როცა იპოვი, უნდა დასძრა ისინი ადგილიდან, მოუწოდო მათ მოქმედებისკენ, უჩვენო, თუ რა ნიჭი იმალება მათში და რისთვის ებოძათ იგი. ღვთის სიტყვები უჩურჩულო ყურში, ღვთის სახელით შესთავაზო ადგილი მის რჩეულთა რიგებში.

_ თუ ისინი მართლა არიან განკუთვნილი ასეთი საქმისთვის, განა მათ გული არ უკარნახებთ ამას?

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს რაღაც საზარელი ჯადო გარს მეხვეოდა, მოქმედებდა ჩემზე. ვცახცახებდი იმის შიშით, რომ რაღაც საბედისწერო სიტყვას გავიგონებდი, რომელიც უეცრად შემბოჭავდა და მომაჯადოებდა საბოლოოდ.

_ თქვენ რაღას გეუბნებათ გული? _ მკითხა სენტ-ჯონმა.

_ ჩემი გული დუმს, _ მივუგე შეძრწუნებულმა და აცახცახებულმა.

_ მაშინ მე უნდა ვილაპარაკო მის მაგივრად, _ განაგრძო ღრმა, შეუბრალებელმა ხმამ. _ ჯეინ, წამომყევით ინდოეთში; წამოდით, როგორც ჩემი დამხმარე, თანამოღვაწე.

ხეობა და ცა დატრიალდა ჩემ თვალწინ, მთები შეირყნენ. თითქოს ძახილი გავიგონე ზეციდან, თითქოს მაცნე გამომეცხადა, როგორც ოდესღაც მაკედონიაში მოხდა, და მაუწყა: «წამოდი და დაგვეხმარე!» მაგრამ მე მოციქული არ ვიყავი, მე ვერ დავინახე მაცნე, მე არ შემეძლო მისი ძახილის მიღება!

_ ოჰ, სენტ-ჯონ! _ შევძახე, _ შემიბრალეთ!

ვემუდარებოდი ადამიანს, რომელმაც თავისი მოვალეობის შესრულების დროს არც შებრალება იცოდა და არც სინანული. მან განაგრძო:

_ ღმერთმა და ბუნებამ მისიონერის ცოლობისთვის გაგაჩინათ. მან გონებით დაგაჯილდოვათ და არა გარეგნობით. თქვენ შრომისთვის ხართ დაბადებული და არა სიყვარულისთვის. თქვენ უნდა იყოთ მისიონერის ცოლი და იქნებით კიდეც. ჩემი იქნებით. მე თქვენ მჭირდებით. ჩემი სიამოვნებისთვის კი არა, ჩემი ბატონის სამსახურისთვის.

_ მე არ გამოვდგები ამისთვის. არ მიზიდავს ეს საქმე, _ მივუგე მე.

წინააღმდეგობას მოელოდა და ამიტომ არ გაბრაზებულა. და მართლაც, როცა ის მიეყრდნო კლდეს, გულხელი დაიკრიფა და სახე დაეძაბა, მივხვდი, რომ ის ელოდა ხანგრძლივსა და დამქანცველ წინააღმდეგობას. აღიჭურვა მოთმინებით და მიიღო გადაწყვეტილება, რომ გამარჯვება მას უნდა დარჩენოდა.

_ მორჩილება, ჯეინ, _ თქვა მან, _ ქრისტიანული ღირსებების საფუძველია. შენ მართალი ხარ, როცა ამბობ, რომ არ გამოდგები ამ საქმისთვის. ვინმე კი გამოდგება ამ საქმისთვის? ან იმათგან, ვინც ჭეშმარიტად გამოსადეგი იყო მისთვის, ვის მიაჩნდა თავი ამ მოწოდების ღირსად? მე, მაგალითად, მხოლოდ მტვერი ვარ და ფერფლი. წმიდა პავლეს მსგავსად ვაღიარებ, რომ ცოდვილთა შორის უცოდვილესი ვარ. მაგრამ ჩემს თავს არ ვაძლევ უფლებას, რომ პირადი სიმდიდრის შეგრძნებამ დამაშინოს. მე ვიცნობ ჩემს წინამძღოლს (ღმერთს); ვიცი, რომ იმდენად სამართლიანია, რამდენადაც ყოვლისშემძლე; და რადგანაც მან თავისი დიადი საქმის შესასრულებლად სუსტი იარაღი აირჩია, უსასრულო შესაძლებლობებით ბოლომდე შეავსებს იმას, რაც დააკლდა მის მსახურს. იფიქრე ჩემსავით. გწამდეს ჩემსავით. გევედრებით, დაეყრდნოთ საუკუნეთა კლდეს _ ქრისტიანულ სარწმუნოებას; ნუ იქნებით ეჭვებით შეპყრობილი და ის დაგეხმარებათ ადამიანური სისუსტის ტვირთის ტარებაში.

_ მე არ მესმის მისიონერთა ცხოვრების აზრი; არასოდეს არ მისწავლია მისიონერთა შრომა.

_ აქ, მიუხედავად ჩემი უმწეობისა, მე შემიძლია დაგეხმაროთ. შემიძლია განგისაზღვროთ თქვენი საქმე ყოველ საათს, ვიდგე თქვენს გვერდით ყოველთვის, დაგეხმაროთ ყოველ წუთს. ამის გაკეთება შემიძლია, რადგან მე

ვიცნობ თქვენს შესაძლებლობებს, მალე თქვენ ისეთივე ძლიერი და გაწაფული იქნებით, როგორც მე, და ჩემი დახმარება არ დაგჭირდებათ.

_ მაგრამ ჩემი შესაძლებლობანი? სად არიან ისინი, რომ გამომადგნენ ამ საქმეში? მე არ ვგრძნობ მათ. არაფერი მაგრძნობინებს მათ არსებობას ჩემში თქვენი ლაპარაკის დროს. არ ვგრძნობ არც ცეცხლის მოდებას, არც მაჯისცემის მომატებას, არც რაიმე ნუგეშსა და მხნეობას ჩემში. ოჰ, ნეტავ შემეძლოს გაჩვენოთ, თუ რამდენად ჰგავს ჩემი სული ბნელ საკანს, რომლის სიღრმეში ერთი შემაძრწუნებელი შიშია დატყვევებული _ შიში იმისა, რომ დამარწმუნებთ წამოვიწყო ისეთი რამ, რის შესრულებაც არ შემიძლია.

_ მისმინეთ! პასუხი მზად მაქვს. შეხვედრის დღიდან გადევნებდით თვალყურს. ათი თვის განმავლობაში ჩემი შესწავლის საგანი თქვენ იყავით. ნაირ-ნაირი ცდებით გამოგცადეთ. რა დავინახე და რა დასკვნა გამოვიტანე? დავინახე, რომ სოფლის სკოლაში თქვენ საქმეს კარგად ასრულებდით, ბეჯითად, პატიოსნად; საქმეს, რომელიც თქვენს ჩვევებს და მიდრეკილებებს ეწინააღმდეგება; მე დავინახე, რომ თქვენ ასრულებდით მას ჭკვიანურად და ტაქტით. თქვენ გაიმარჯვეთ, როდესაც გჭირდებოდათ. იმ სიმშვიდით, რომლითაც ასწავლიდით, თქვენ უეცრად მდიდარი შეიქენით. მე თქვენში დავინახე ადამიანი, რომლისთვისაც უცხოა დემასის სიხარბე, რომელსაც სიმდიდრე არ იზიდავს. როცა თქვენი ქონება ოთხ ნაწილად გაყავით, ერთი თქვენთვის დაიტოვეთ და სამი გაეცით განყენებული სამართლიანობის გულისთვის, მე დავინახე სული, რომელსაც განუზომლად სიამოვნებს მსხვერპლის გაღება. თქვენ დათმეთ საგანი, რომელიც გაინტერესებდათ და ჩემი სურვილით შეუდექით ჩემთვის სასურველ საქმეს. დაუღალავი სიბეჯითით აღწევდით წარმატებებს. შეუნელებელი ენერგიითა და შეურყეველი ნებისყოფით შეხვდით ამ სიძნელეებს. ამის მიხედვით, მე ვხედავ ისეთი თვისებების მქონე თანამგზავრს, როგორსაც ვეძებდი. ჯეინ, თქვენ ხართ დამჯერი, დამთმობი, ბეჯითი, ერთგული, მტკიცე, გულადი, ფაქიზი და ძალიან გამბედავი. ნუ გეეჭვებათ თქვენი თავის _ მე გენდობით მთლიანად. თქვენი დახმარება ინდოეთის სკოლების მართვაში და ინდოელ ქალთა შორის, დაუფასებელი იქნება ჩემთვის.

ჩემი რკინის აბჯარი შევიწროვდა; შეგონება შემოდიოდა ჩემში ნელი, მტკიცე ნაბიჯით. თუმცა თვალებს ვხუჭავდი, მაგრამ ეს უკანასკნელი სიტყვები მაინც იოლად მიიკვლევდნენ აქამდე თითქოს გადაკეტილ გზას. ჩემი მოვალეობა, აქამდე ასე ბუნდოვნად და უიმედოდ დაფანტული რომ მეჩვენებოდა, მისი სიტყვებით ჩამოყალიბდა, გარკვეული ფორმა მიიღო მის ხელში. პასუხს ელოდა სენტ-ჯონი. თხუთმეტი წუთი ვითხოვე მოსაფიქრებლად, სანამ გავბედავდი პასუხის მიცემას.

_ დიდი სიამოვნებით, _ მომიგო მან; წამოდგა, აუყვა ხეობას მცირე მანძილზე და ბუჩქად ამოსულ მანანებზე დაწვა. ასე იწვა იქ წყნარად.

შემიძლია გავაკეთო ის, რაც მას უნდა; იძულებული ვარ დავინახო და ვაღიარო ეს, _ ვფიქრობდი მე. _ ესე იგი, თუ ცხოვრება დამცალდა. მაგრამ მე

ვგრძნობ, რომ ინდოეთის მზის ქვეშ დიდი ხნის სიცოცხლე არ მიწერია. მერე რა? მას ეს არ ადარდებს: როცა ჩემი სიკვდილის ჟამი დადგება, იგი ჩემს თავს გადასცემს ღმერთს, რომელმაც გამაჩინა, სრული სიმშვიდითა და სიწმინდით. საქმე ნათელია ჩემთვის. ინგლისის დატოვება ნიშნავს საყვარელი, მაგრამ დაცარიელებული ქვეყნიდან წასვლას, რადგან მისტერ როჩესტერი იქ არ არის. გინდაც იყოს, რა აზრი აქვს ამას? ან რა აზრი შეიძლება ჰქონდეს ოდესმე. ახლა ჩემი მიზანია გავძლო უიმისოდ. განა სისულელე და სისუსტე არ არის, რომ დღე-დღეზე გადამაქვს, თითქოს ველი, სასწაულებრივი ცვლილება მოხდება და მე ისევ მასთან ვიქნები. რა თქმა უნდა, ახალი ინტერესი უნდა ვეძებო ცხოვრებაში დაკარგულის ნაცვლად (როგორც სენტ-ჯონმა თქვა ერთხელ). განა ის საქმე, რომელსაც ის გულით მთავაზობს, ახლა ყველაზე უფრო დიადი არაა იმათში, რომელსაც ადამიანი აირჩევს ან ღმერთი განუსაზღვრავს? განა მისი კეთილშობილური საზრუნავითა და დიდებული შედეგებით ყველაზე უკეთ არ შეივსება გატეხილი სიყვარულითა და გაცრუებული იმედებით გამოწვეული სიცარიელე? მე მგონი, საჭიროა დავთანხმდე და მაინც ჟრუანტელი მივლის. ოჰ, თუ სენტ-ჯონს გავყვები, ნახევარს ჩემი სულისას ვუღალატებ; თუ ინდოეთში წავალ, ნაადრევი სიკვდილისკენ გავეშურები. როგორ შეივსება დროის შუალედი ინგლისიდან ინდოეთში წასვლამდე და ინდოეთიდან საფლავამდე? ეს მე ძალიან კარგად ვიცი. ამასაც სრულიად ნათლად ვხედავ. ყოველ ღონეს დავძაბავ, რომ სენტ-ჯონის მოთხოვნები დავაკმაყოფილო, სანამ კუნთები არ ამტკივდება. ის კმაყოფილი იქნება ჩემით ძალიან, და მისი კმაყოფილება მის მოლოდინს გადააჭარბებს. თუ მე მართლაც წავედი მასთან ერთად, თუ მართლაც გავიღე მსხვერპლი, რომელსაც მთხოვს, ამას გავაკეთებ მთელი სულით და გულით. ყველაფერს მივიტან საკურ-თხეველზე: გულს, სიცოცხლეს, სრულ მსხვერპლს გავიღებ. არასოდეს არ ვეყვარები, მაგრამ კმაყოფილი იქნება ჩემით. მე ისეთ ენერგიას გამოვამჟღავნებ, რომელიც არასოდეს არ უნახავს; ისეთ შესაძლებლობებს ვუჩვენებ, რომლებიც ვერც კი წარმოუდგენია. დიახ, მე შემიძლია ვიმუშაო ისევე გულმოდგინედ, როგორც ის და არასოდეს დავიკვნესო მასავით.

_ მაშასადამე, მის მოთხოვნაზე დათანხმება შეიძლება, მხოლოდ ერთი პატარა რამ უშლის ხელს, ერთი საშინელი რამ. ის ცოლობას მთხოვს, მაგრამ ჩემდამი იმდენი გრძნობა აქვს, რაც ეგერ იმ ხეობაში უზარმაზარი პირქუში კლდის მიმართ, ზედ რომ მდინარე ქაფდება. მაფასებს ისე, როგორც ჯარისკაცი შეაფასებს კარგ იარაღს, მეტი არაფერი. მისი ცოლობა საჭირო რომ არ იყოს, საქმე არ შემაწუხებდა. მაგრამ შემიძლია კი ხელი შევუწყო მის მიერ გაან-გარიშებულ საქმეს, გულგრილად განახორციელოს თავის გეგმები და გავხდე მისი ცოლი? შემიძლია მივიღო საქორწინო ბეჭედი მისგან, ავიტანო ცოლქმრული მოვალეობის შესრულება (რასაც ეჭვს გარეშეა, ის გულდასმით შეასრულებს), როცა მეცოდინება, რომ სული სრულიად არ მონაწილეობს? შემიძლია ავიტანო ის აზრი, რომ ყოველი მოფერება მსხვერპლის გაღებაა მისი მხრიდან რაღაც იდეალის გამო? არა. ასეთი წამება საზარელი იქნება.

ვერასოდეს ვერ ავიტან მას. შემიძლია წავყვე როგორც და, როგორც ცოლი კი არასოდეს. ასეც ვეტყვი.

ბორცვისკენ გავიხედე. ის იწვა განრთხმული, როგორც ქანდაკება. სახე ჩემკენ მოებრუნებინა. გამჭრიახი თვალები დაკვირვებით ელავდნენ. ფეხზე წამოხტა და მომიახლოვდა.

_ მე მზად ვარ წამოვიდე ინდოეთში, თუ თავისუფალი ვიქნები.

_ თქვენს პასუხს განმარტება სჭირდება, _ მითხრა მან. _ ნათელი არ არის.

_ აქამდე ჩემი არამკვიდრი ძმა იყავით. მე _ თქვენი არამკვიდრი და, ვიყოთ ასე. უმჯობესია, არ დავქორწინდეთ.

მან გააქნია თავი.

_ ასეთი და-ძმობა არ გამოდგება ამ საქმეში. თქვენ რომ ჩემი ალალი და იყოთ, სხვა ამბავია. წაგიყვანდით და ცოლზე არ ვიფიქრებდი. მაგრამ ასეთ მდგომარეობაში ან ჩვენი კავშირი განმტკიცებული უნდა იყოს ღვთის მიერ ქორწინებით, ან მისი არსებობა შეუძლებელია. ყოველ სხვა გეგმას წინაღმდეგობები ეღობება წინ. განა ვერ ხედავთ, ჯეინ? დაფიქრდით ცოტა ხანს. თქვენი ძლიერი გონება მიგახვედრებთ.

დავფიქრდი, მაგრამ მაინც ჩემი გონება, ძლიერი თუ სუსტი, მხოლოდ იმ ერთ ფაქტზე მიმითითებდა, რომ ჩვენ არ გვიყვარდა ერთმანეთი, ისე, როგორც ცოლსა და ქმარს შეჰფერის, და ამიტომ ვასკვნიდი, რომ არ უნდა დავქორწინებულიყავით. ასეც ვთქვი. _ სენტ-ჯონ, _ ვუპასუხე: _ მე ძმად მიმაჩნიხართ. თქვენ კი დად მიგაჩნივართ. ჯობია, ეს ასევე დარჩეს.

_ არ შეიძლება, არ შეიძლება, _მიპასუხა მან მოკლედ, მძაფრი გადაწყევტილებით. _ არ ვარგა ასე. თქვენ თქვით, რომ წამომყვებით ინდოეთში. დაიმახსოვრეთ, რომ თქვით ეს.

_ ერთი პირობით.

_ კარგით. კარგით. ძირითადი ამბის, ჩემთან ერთად ინგლისის დატოვებისა და მომავალში თანამშრომლობის წინააღმდეგი არა ხართ. თქვენ უკვე თითქმის შეახეთ ხელი გუთანს. თქვენ ურყევი ხართ და ამიტომ უკან აღარ წაიღებთ სიტყვას. მხოლოდ ერთ რამეზე უნდა ფიქრობდეთ ახლა. თქვენს თავზე აღებული საქმე როგორ შეასრულოთ უკეთ. გაიმარტივეთ ინტერესები, გრძნობები, აზრები, სურვილები, მიზნები: შეაერთეთ ყველა მოსაზრება ერთ მიზნად, რომ შეასრულოთ ნაყოფიერად და ძლიერად თქვენი მისია უფალი ღმერთის წინაშე. ამისთვის თქვენ დამხმარე უნდა გყავდეთ და არა ძმა. დაძმური კავშირი მერყევია. თქვენ უნდა გყავდეთ მეუღლე. მეც არ მჭირდება და. და შეიძლება წამართვან ყოველ წუთს. მე მინდა ცოლი, ერთადერთი თანაშემწე, რომლის ნაყოფიერად გამოყენება შემიძლია ცხოვრებაში, და რომლის შენარჩუნება შემიძლია სიკვდილამდე.

როცა ის ლაპარაკობდა, ჟრუანტელი მივლიდა. ვგრძნობდი, როგორი გავლენა ჰქონდა მთელ ჩემს არსებაზე, როგორ იმორჩილებდა თითოეულ ჩემს ძარღვს.

_ მაშ სხვაგან ეძიეთ ცოლი, სენტ-ჯონ! ეძებეთ ისეთი, რომელიც თქვენი შესაფერისი იქნება.

_ თქვენ გინდათ თქვათ, ისეთი, რომელიც ჩემი მიზნის შესაფერისი იქნება და ჩემი საქმის შესაფერი. კიდევ გეუბნებით, მე ცხოვრების თანამგზავრად უმნიშვნელო პიროვნება, ჩვეულებრივი ადამიანი კი არ მჭირდება, ადამიანური ეგოისტური გრძნობებით, მე მინდა ის მისიონერი იყოს.

_ მე კი მისიონერს ჩემს ენერგიას ვაჩუქებ, რადგან მას მხოლოდ ეს სჭირდება, მაგრამ ვერ მივცემ ჩემს თავს. ეს მხოლოდ კიდევ უფრო წაახდენს საქმეს. მისთვის ამას ფასი არა აქვს და ჩემთვის დავიტოვებ.

_ არ შეიძლება. არ უნდა მოიქცეთ ასე. როგორ გგონიათ, ღმერთი დაკმაყოფილდება ნაწილობრივი მსხვერპლით? მიიღებს ის დასახიჩრებულ მსხვერპლს? მე ღვთის საქმეს ვიცავ. მინდა ჩაგრიცხოთ მის მებრძოლებში. მისი დროშის ქვეშ საბრძოლველად. მისი სახელით მე ვერ მივიღებ გაყოფილ ერთგულებას. ის სრული უნდა იყოს.

_ ოჰ, მე სიამოვნებით შევწირავ ღმერთს სულსა და გულს, _ წარმოვთქვი მე: _ მაგრამ თქვენ არ გჭირდებათ ის.

არ დავიფიცებ, მკითხველო, რომ არ იყო შეკავებული სარკაზმი არც ჩემს ტონში, როცა ეს წინადადება წარმოვთქვი და არც იმ გრძნობაში, რომელიც მას თან ახლდა. მე სენტ-ჯონისა აქამდე მალულად მეშინოდა, რადგან არ მესმოდა მისი. შიშში ვყავდი, რადგან ეჭვში ვიყავი. ამიტომ არ შემეძლო მეთქვა ამ ადამიანში რა ნაწილი იყო წმინდანისა და რა ნაწილი _ მოკვდავისა. მაგრამ ამ საუბრის დროს ბევრი რამ გახდა ჩემთვის ნათელი. მისი ბუნების ანალიზი ჩემ თვალწინ მიმდინარეობდა. მე დავინახე მისი სუსტი ადგილები. ჩავწვდი მათ. მივხვდი ამას, როდესაც ვიჯექი მანანით დაფარულ მდინარის ნაპირზე და ჩემ წინ ეს ლამაზი არსება იჯდა; მივხვდი, რომ ჩემსავით ცოდვილი ადამიანის ფეხებთან ვიჯექი. მის გულქვაობას და დესპოტიზმს ფარდა აეხადა, როდესაც ვიგრძენი, რომ მას ეს თვისებები ახასიათებდა, რომ ის არ იყო სრულყოფილი, გავმხნევდი. ის იყო ჩემნაირი ადამიანი, რომელთანაც კამათი შემეძლო, და თუ საჭიროდ ვცნობდი, წინააღმდეგობის გაწევაც.

როდესაც უკანასკნელი წინადადება წარმოვთქვი, ის დადუმდა. მე გავბედე შემეხედა მისთვის. მისი მზერა, ჩემკენ დახრილი, ერთდროულად ცივ გაოცებასა და მწვავე შეკითხვას გამოხატავდა. «დამცინავი ტონი აქვს? მე დამცინის?» _ თითქოს ამბობდა ის, _ «რას ნიშნავს ეს?»

_ ნუ დავივიწყებთ, რომ ეს სერიოზული საქმეა. _ თქვა მან ცოტა ხნის შემდეგ. _ ეს ისეთი საქმეა, რომელზეც შევცოდავთ, თუ ზერელედ ვიფიქრეთ. მე მჯერა, ჯეინ, რომ თქვენ ნამდვილად ამბობთ, რომ სულსა და გულს არ დაიშურებდით ღვთის საქმისათვის. მე მეტი არაფერი მინდა. ერთხელ და სამუდამოდ ამოიგდეთ გულიდან ადამიანი და მიანდეთ გული ჩვენს შემქმნელს და ჩვენი შემქმნელის სულიერი სამეფოს წინსვლა დედამიწაზე თქვენი ძირითადი სიამოვნება და მიზანი იქნება. თქვენ მზად იქნებით გააკეთით ის, რაც ხელს შეუწყობს მის საქმეს. დაინახავთ, როგორი ფიზიკური

და ბუნებრივი ძალა მოგვეცემა ქორწინების მეშვეობით. ეს ერთადერთი კავშირია, რომელიც სიმყარეს ანიჭებს ადამიანთა გეგმებს და მათ ბედს. როცა დასძლევთ ყველა უმნიშვნელო კაპრიზს, გრძნობებით გამოწვეულ სიძნელეებსა და უხერხულობას, პირადი მიდრეკილების ხარისხზე, ზომაზე, სიძლიერესა და სინაზეზე ფიქრს _ თქვენ თვითონ იჩქარებთ, რომ ქორწინება მოხდეს დაუყოვნებლივ.

_ ჰო? _ მოკლედ მოვჭერი მე. _ და შევხედე მის სახის ნაკვთებს, რომელთა ჰარმონიულობა სილამაზეს ქმნიდა; მაგრამ რომლებიც უცნაურად სასტიკნი იყვნენ მშვიდი სიმკაცრის გამო. შევხედე მის შუბლს, მბრძანებლურს, მაგრამ არა გულახდილს, მის თვალებს, მოელვარეს და ღრმას, გამჭრიახს, მაგრამ რომლებიც არასოდეს იყურებოდნენ თბილი მზერით; მის მაღალ, წარმოსადეგ ტანს და წარმოვიდგინე თავი მის ცოლად. ოჰ, არაფერი კარგი არ გამოვიდოდა აქედან. შესაძლებელი იყო, ვყოფილიყავი მხოლოდ მისი თანაშემწე და ამხანაგი. ასე ოკეანეებს გადავცურავდი მასთან ერთად; ვიშრომებდი აღმოსავლეთის ცის ქვეშ, აზიის უდაბნოებში; თაყვანს ვცემდი და შევეჯიბრებოდი მის გამბედაობას, საქმისადმი ერთგულებას და ენერგიას; წყნარად შევეგუებოდი მის უფროსობას; აუღელვებლად გამეცინებოდა მის ძვალ-რბილში გამჯდარ თავმოყვარეობაზე, განვასხვავებდი ქრისტიანს ადამიანისაგან; უაღრესად დავაფასებდი პირველს და თავისუფლად ვაპატიებდი მეორეს. ეჭვს გარეშეა, ბევრჯერ დავიტანჯებოდი, როცა მხოლოდ ამ მხრივ ვიქნებოდი დაკავშირებული მასთან. ჩემი სხეული საკმაოდ მკაცრ უღელში იქნებოდა შებმული, მაგრამ ჩემი გონება და გული თავისუფალი იქნებოდა, მე მაინც შემრჩებოდა ჩემი შეულახავი სული; ჩემი ბუნებრივი დაუმონებელი გრძნობები, რომლებიც დამამშვიდებდნენ მარტოობის წუთებში. ჩემს გონებაში დარჩებოდა კუნჭულები მხოლოდ ჩემთვის განკუთვნილი, სადაც მას ადგილი არასოდეს ექნებოდა. დამრჩებოდა სუფთა და დაცული გრძნობები, რომელთაც მისი სისასტიკე ვერასოდეს შელახავდა, ვერც მისი ჯარისკაცური ნაბიჯი გათელავდა. მაგრამ აუტანელი იქნებოდა მისი ცოლობა, ყოველთვის მის გვერდით ყოფნა; იძულებული ვიქნებოდი შემებოჭა და შემებორკა საკუთარი თავი, შემეკავებინა ჩემს სულში მოგიზგიზე ცეცხლი, რომელიც შთანთქავდა ჩემს სიცოცხლეს, ჩამეგუბებინა კივილი და ხმა არ დამეძრა.

_ სენტ-ჯონ! _ წამოვიძახე, როცა ასეთი დასკვნები გამოვიტანე ფიქრის შემდეგ.

_ რა? _ მკითხა მან ყინულივით ცივი ტონით.

_ მე ვიმეორებ: თანახმა ვარ წამოვიდე, როგორც თქვენი თანაშემწე მისიონერი, მე არ შემიძლია თქვენი ცოლობა. მე ვერ ვიქნები ცოლი და თქვენი მეორე ნახევარი.

_ თქვენ უნდა გახდეთ ჩემი მეორე ნახევარი, _ მიპასუხა მან მტკიცედ. _ წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერი არ გამოვა. როგორ შემიძლია კაცმა, რომელსაც ჯერ ოცდაათ წლამდე არ მიმიღწევია, წავიყვანო ინდოეთში

ცხრამეტი წლის ქალი, თუ იგი ჩემი ცოლი არ იქნება? დაუქორწინებლად როგორ შევძლებთ ერთად ყოფნას, _ ზოგჯერ სულ მარტოდმარტო, ზოგჯერ ველურ ტომთა შორის?

_ ძალიან კარგად, _ მოკლედ მოვჭერი მე. _ ასეთ მდგომარეობაში მე შემიძლია წამოსვლა ისე, თითქოს თქვენი ღვიძლი და ვიყო, ან როგორც თქვენსავით მამაკაცი და მღვდელი.

_ ცნობილია, რომ თქვენ ჩემი და არა ხართ. მე არ შემიძლია ხალხს გავაცნო თქვენი თავი ასე. ამის თქმამ შემიძლია დამღუპველი ეჭვები გამოიწვიოს. რაც შეეხება დანარჩენს, თუმცა მამაკაცის ძლიერი გონება გაქვთ, ქალის გულიც გაქვთ და ეს არ გამოდგება.

_ გამოდგება, _ ვთქვი მე ოდნავი ზიზღით, _ ძალიან კარგად. მე ქალის გული მაქვს, მაგრამ მაშინ არა, როდესაც საქმე თქვენ გეხებათ. თქვენ მიმართ მხოლოდ ამხანაგური გრძნობა მაქვს; თანამებრძოლის გულწრფელობა, ერთგულება, ძმობა, თუ გნებავთ თქვენ ეს; თუნდ ახლადმონათლულის ღრმა პატივისცემა მაღალი წოდების მღვდლის მიმართ და მეტი არაფერი. ნუ გეშინიათ.

_ მე ამის მეტი არაფერი მინდა. _ თქვა მან თავისთვის. _ ეს სწორედ ის არის, რაც მე მინდა. გზაზე წინააღმდეგობები მეღობება, ისინი უნდა მოისპოს. ჯეინ, თქვენ არ ინანებთ, თუ ჩემი ცოლი გახდებით; დამიჯერეთ; ჩვენ უნდა დავქორწინდეთ. ვიმეორებ: სხვა გზა არ არსებობს, და უეჭველია, ამ ქორწინებას იმდენი სიყვარული მოჰყვება, რომ ეს კავშირი თქვენს თვალში გაამართლოს.

_ ჩემთვის მიუღებელია თქვენი აზრი სიყვარულზე, _ წამომცდა მე. წამოვდექი და გავჩერდი მის წინ. ზურგით კლდეს ვეყრდნობოდი. _ მე პატივს არ ვცემ იმ ყალბ გრძნობას, რომელსაც თქვენ მთავაზობთ; დიახ, სენტ-ჯონ, პატივს არ გცემთ თქვენ, ამას რომ მთავაზობთ.

მან დაშტერებით შემომხედა. მიყურებდა და ლამაზად მოხაზული ტუჩები მოკუმა. შეურაცხყოფილი იყო, გაოცებული, თუ რაიმე სხვას გრძნობდა, ძნელია ამის თქმა. შესანიშნავად ფლობდა სახის გამომეტყველებას.

_ არ ველოდი ამ სიტყვებს თქვენგან. _ მითხრა მან. _ მე მგონი, არაფერი გამიკეთებია ისეთი, და არც მითქვამს, რომ ზიზღი დამემსახურებინა.

ჩემზე იმოქმედა მისმა თბილმა ტონმა და შემაძრწუნა მისმა მედიდურმა, მშვიდმა გამომეტყველებამ.

_ მაპატიეთ ჩემი სიტყვები, სენტ-ჯონ. მაგრამ თქვენი ბრალია, თქვენ გამომიწვიეთ, თვითონ წამოიწყეთ საუბარი თემაზე, რომელშიც ჩვენ ვერ ვთანხმდებით, _ თემაზე, რომელზეც ჩვენ არასოდეს არ უნდა ვილაპარაკოთ. სიყვარულის ხსენებაც კი განხეთქილების ვაშლია ჩვენ შორის. სინამდვილედ რომ ქცეულიყო, რას ვიზამდით? რას ვიგრძნობდით? ჩემო ძვირფასო მამიდაშვილებო, თავი დაანებეთ ქორწინების გეგმას; დაივიწყეთ ის.

_ არა, _ თქვა მან. _ ეს არის დიდი ხნის განმავლობაში გულით ნატარები გეგმა. ერთადერთი, რომელსაც შეუძლია მიმიყვანოს ჩემს დიად მიზანთან.

მაგრამ აღარ შეგაწუხებთ მეტს ამჟამად. ხვალ კემბრიჯში მივდივარ. იქ ბევრი მეგობარი მყავს და მსურს გამოვეთხოვო მათ. მე ორი კვირით წავალ. ეს დრო ჩემი წინადადების მოსაფიქრებლად გამოიყენეთ; და ნუ დაგავიწყდებათ, რომ თუ უარყოფთ მას, ამით ჩემზე კი არა, ღმერთზე იტყვით უარს. ჩემი საშუალებით ის გიხსნით გზას კეთილშობილური საქმისაკენ; ამ საქმის დაწყება შეგიძლიათ მხოლოდ, თუ ჩემი ცოლი იქნებით; თუ უარს იტყვით ჩემს ცოლობაზე, ამით თქვენ თავს ეგოისტური სიმყუდროვისა და უნაყოფო სიბნელის გზაზე დააყენებთ. გეშინოდეთ, რომ არ მოჰყვეთ იმათ რიგებში, ვინც სარწმუნოება უარყვეს და ურწმუნოებზე უარესნი არიან.

მან დაამთავრა ლაპარაკი. გაბრუნდა და ერთხელ კიდევ:

«შეხედა მდინარეს, შეხედა ბორცვს».

მაგრამ ამჯერად გრძნობები გულში ჩაიგუბა. მე არ ვიყავი მათი გაგონების ღირსი. როცა სახლისკენ მივყვებოდი გვერდით, მის გაქვავებულ სიჩუმეში კარგად ვხედავდი, თუ რა გრძნობები ამოძრავებდა ჩემ მიმართ. ის გრძნობდა სასტიკი და დესპოტური ბუნების ადამიანის იმედგაცრუებას, როდესაც ის წინააღმდეგობას წააწყდა იქ, სადაც მორჩილებას ელოდა. მას არ მოსწონდა საღი, უდრეკი მსჯელობა, რომლის საშუალებითაც მასში აღმოვაჩინე გრძნობები და აზრები, რომელთაც ვერ თანავუგრძნობდი: მოკლედ რომ ვთქვათ, როგორც ადამიანს, მას სურდა ჩემი ძალით დამორჩილება; მხოლოდ, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, იტანდა ასეთი მოთმინებით ჩემს სიჯიუტეს და ამდენ დროს მაძლევდა მოფიქრებისა და მონანიებისათვის.

იმ ღამეს, როცა დებს აკოცა, დაავიწყდა კიდეც, რომ თუნდაც ხელი ჩამოერთმია ჩემთვის. ოთახიდან ჩუმად გავიდა. მე, თუმცა არ მიყვარდა ის, ძალიან მეგობრულად ვიყავი განწყობილი მის მიმართ და ამიტომ მეწყინა მისი საქციელი. იმდენად მეწყინა, რომ ცრემლები მომადგა თვალებზე.

_ მგონი, შენ და სენტ-ჯონს უსიამოვნება მოგივიდათ, ჯეინ, _ მითხრა დიანამ. _ ტორფნარზე სეირნობის დროს. წადი, ის ტალანში გელოდება. შეგირიგდება.

ასეთ ვითარებაში არა ვარ ზედმეტად თავმოყვარე. მირჩევნია, ბედნიერი ვიყო, ვიდრე ღირსებით მეჭიროს თავი. ამიტომაც გავეკიდე მას. კიბის ძირში დამხვდა.

_ ღამე მშვიდობისა, სენტ-ჯონ! _ ვთქვი მე.

_ ღამე მშვიდობისა, ჯეინ! _ მომიგო მშვიდად.

_ მაშ, მომეცით ხელი, _ დავუმატე.

ცივად და ოდნავ ჩამომართვა ხელი. ძალიან უკმაყოფილო იყო იმით, რაც იმ დღეს მოხდა. არც გულთბილობა, არც ცრემლები არ იმოქმედებდა მასზე. არ შეიძლებოდა მასთან შერიგება: არც გამამხნევებელ ღიმილს მიიღებდით, არც დიდსულოვან სიტყვას. მაგრამ, როგორც ქრისტიანი, მაინც მშვიდი იყო და მოთმინებით სავსე. და როცა ვკითხე, მაპატია თუ არა, მიპასუხა, რომ არაფერი მქონდა საპატიებელი, რადგან შეურაცხყოფილი არ ყოფილა.

ამ სიტყვებით მან დამტოვა. მერჩია გაერტყა ჩემთვის.

თავი XXXV

სენტ-ჯონი არ წავიდა კემბრიჯში მეორე დღეს, როგორც თქვა ადრე. მან გამგზავრება ერთი კვირით გადადო, და მთელი ამ დროის განმავლობაში მაგრძნობინებდა, თუ როგორ შეიძლება დასაჯოს კარგმა, მაგრამ მკაცრმა, სინდისიერმა, მაგრამ უდრეკმა ადამიანმა ის, ვინც მას აწყენინა. მას არ გამოუმჟღავნებია აშკარა მტრობა, არ უთქვამს არც ერთი სასაყვედურო სიტყვა. ამას ახერხებდა ისეთი საქციელით, რომელიც მაგრძნობინებდა თანდათან, რომ მე მისი კეთილი დამოკიდებულება დავკარგე.

გულში არ ჰქონდა არაქრისტიანული შურისძიების გრძნობა; არც რამეს დამიშავებდა, რომ შესძლებოდა კიდეც რაიმე ვნების მოყენება; როგორც ბუნებით, ისე პრინციპების მიხედვით ის შურისძიების მდაბალ გრძნობაზე მაღლა იდგა. მან მაპატია ჩემი სიტყვები მისი და მისი სიყვარულის უპატივცემლობის შესახებ, მაგრამ მას არ დავიწყებია ეს სიტყვები და არც დაივიწყებდა ჩვენი სიცოცხლის მანძილზე. ყოველთვის, როცა მე მიყურებდა, მის გამოხედვაში ვხედავდი, რომ ისინი ჩვენ შორის იდგნენ. როდესაც ვლაპარაკობდი, ეს სიტყვები ესმოდა მას და მათი გამოძახილი ისმოდა ყოველ სიტყვაში, რომლითაც ის მპასუხობდა.

ის ჩემთან ლაპარაკს არ გაურბოდა; დილაობით ისევ მეძახდა ხოლმე თავის საწერ მაგიდასთან სამეცადინოდ; და ვშიშობ, რომ მის არსებაში ამ დროს მანკიერი ადამიანი ხარობდა. თუმცა ამ სიხარულს მასში მყოფი ნამდვილი ქრისტიანი არ იზიარებდა. მთელი ძალითა და ოსტატობით ცდილობდა ჩემთან ლაპარაკსა და მოქცევაში, რომელიც, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი გეგონებოდათ, ყოველი საქმითა და ყოველი ფრაზით არ გამოევლინა ის ინტერესი და კმაყოფილება, რაც ესოდენ მკაცრ მომხიბვლელობას ჰმატებდა მის მეტყველებას უწინ. ჩემთვის ის უკვე ხორცშესხმული არსება კი არა, მარმარილო იყო. მისი თვალი _ ცივი, მოელვარე ცისფერი ქვა; მისი ენა _ მოლაპარაკე ხელსაწყო, _ სხვა არაფერი.

ეს წამება იყო ჩემთვის _ დახვეწილი, ხანგრძლივი წამება. ჩემში ის ნელ აღშფოთებას და მწუხარებას იწვევდა; მაწვალებდა და მანადგურებდა. ისეთი გრძნობა მქონდა, მისი ცოლი რომ ვყოფილიყავი, ეს კარგი ადამიანი, წმინდა, როგორც ღრმა, უმზეო მდინარე, მალე მომკლავდა ისე, რომ ჩემი ძარღვებიდან სისხლის ერთ წვეთსაც არ დაღვრიდა, ან თავის კრისტალურ სინდისზე დანაშაულის უმცირეს ლაქასაც არ იტვირთებდა. განსაკუთრებით მაშინ ვგრძნობდი ამას, როცა მისი გულის მობრუნებას ვცდიდი ხოლმე. შეწყალება არ არსებობდა ჩემთვის. მას არ ტანჯავდა ჩვენი ურთიერთობის გაწყვეტა, არც შერიგება სწყუროდა. და თუმცა ხშირად ჩემი ცრემლები ასველებდნენ ფურცელს, რომელზეც ორივე ვიყავით დახრილი, როგორც ქვასა და ლითონზე, ეს მასზე არ მოქმედებდა. ამ დროს საკუთარი დების მიმართ ჩვე-

ულებრივზე უფრო რბილი იყო; თითქოს ეშინოდა, რომ მისი სიცივე საკმარისად არ დამარწმუნებდა, თუ რაოდენ ამოღებული და გაძევებული ვიყავი მისი გულიდან; ამისთვის ის კონტრასტს ქმნიდა ურთიერთობაში. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ის ასე იქცეოდა თავისი პრინციპებისა და არა სიბოროტის გამო.

წასვლის წინა ღამეს შემთხვევით დავინახე ბაღში სეირნობის დროს, მზის ჩასვლისას. როცა შევხედე, გამახსენდა, რომ ამ ადამიანმა, რომელიც ახლა მტრულად იყო განწყობილი ჩემ მიმართ, ერთხელ სიკვდილს გადამარჩინა. გამახსენდა, რომ ჩვენ ახლო ნათესავები ვიყავით. ამიტომ უკანასკნელად ვცადე დამებრუნებინა მისი მეგობრობა. გარეთ გავედი და მივუახლოვდი. ის დაყრდნობოდა პატარა ჭიშკარს. მე მაშინვე საქმეზე დავიწყე ლაპარაკი.

_ სენტ-ჯონ, მე უბედური ვარ, რადგან თქვენ ჯერ კიდევ ბრაზობთ ჩემზე. ვიყოთ მეგობრები.

_ იმედი მაქვს, ჩვენ მეგობრები ვართ, _ თქვა მან აუღელვებლად.

ის ისევ გასცქეროდა ამომავალ მთვარეს, რომელსაც ჩემი მიახლოებისას უყურებდა.

_ არა, სენტ-ჯონ, ჩვენ აღარა ვართ ისეთი მეგობრები, როგორიც ვიყავით. თქვენ ეს იცით.

_ არა? ეს არ არის მართალი. ჩემი მხრივ მე ცუდი არ მსურს თქვენთვის. _ პირიქით, ყველაფერი კარგი მინდა.

_ მე მჯერა, სენტ-ჯონ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ცუდი არავისთვის არ გინდათ. მაგრამ, რადგან მე თქვენი ნათესავი ვარ, მე უფრო მეტი სიყვარული მინდა, ვიდრე ის ყოვლისმომცველი გრძნობა, რომელიც თქვენ უცხოების მიმართ გაქვთ.

_ რა თქმა უნდა, _ თქვა მან. _ თქვენი სურვილი გონივრულია. მე სრულიადაც არ მიმაჩნიხართ უცხოდ.

ეს იყო ნათქვამი გულგრილი, მშვიდი ტონით, მაგრამ საკმაოდ შეურაცხმყოფელი და გამანადგურებელი იყო ჩემთვის. მე რომ სიამაყისა და ბრაზის გრძნობას ავყოლოდი, მაშინვე გავეცლებოდი, მაგრამ რაღაც მამოძრავებდა, რაც ბევრად უფრო ძლიერი იყო ამ გრძნობებზე. დიდ თაყვანს ვცემდი ჩემი მამიდაშვილის ნიჭსა და პრინციპებს. მისი მეგობრობა ძვირფასი იყო ჩემთვის. მისი დაკარგვა ძალიან მაწუხებდა. მე არ შემეძლო ასე ადვილად უარი მეთქვა და არ მეცადა დამებრუნებინა მისი მეგობრობა.

_ ასე უნდა დავშორდეთ ერთმანეთს, სენტ-ჯონ? როცა თქვენ ინდოეთში წახვალთ, დამტოვებთ ისე, რომ ერთ ტკბილ სიტყვასაც არ მეტყვით?

ახლა ის მოტრიალდა და პირდაპირ შემომხედა.

_ როცა მე ინდოეთში წავალ, ჯეინ, თქვენ აქ დაგტოვებთ? რა! თქვენ არ მოდიხართ ინდოეთში?

_ თქვენ ხომ თქვით, რომ არ შეიძლება ჩემი წამოსვლა, თუ თქვენი ცოლი არ ვიქნები?

_ თქვენ არ გახდებით ჩემი ცოლი? თქვენ ისევ თქვენს გადაწყვეტილებას ადგახართ?

მკითხველო, თქვენც ჩემსავით იცით, თუ რა სიცივე შეიძლება იგრძნოთ უგულო ადამიანის შეკითხვაში. როგორ ჰგავს მოზღვავებულ ზვავს მისი რისხვა ან გაყინული ზღვის დასკდომას მისი უკმაყოფილება?

_ არა, სენტ-ჯონ, მე არ ვიქნები თქვენი ცოლი. მე ჩემი გადაწყვეტილება არ შემიცვლია.

ზვავი დაიძრა და წინ წამოვიდა; მაგრამ ჯერ არ დამცემოდა.

_ კიდევ ერთხელ გეკითხებით, რატომ მეუბნებით უარს? _ მკითხა მან.

_ მაშინ იმიტომ გითხარით, _ მივუგე მე, _ რომ არ გიყვარდით. ახლა კი იმიტომ, რომ თითქმის გძულვართ. მე რომ თქვენზე გავთხოვილიყავი, თქვენ მომკლავდით. თქვენ ახლაც მკლავთ.

მას ტუჩები და ლოყები გაუფითრდა. მთლად გაუთეთრდა.

_ მე მოგკლავდით? მე გკლავთ? თქვენ არ უნდა ხმარობდეთ ამ სიტყვებს: ესოდენ შმაგს, მაცდურსა და ქალისთვის შეუფერებელს. ეს სიტყვები მოწმობენ, რომ თქვენი გონება ცუდ მდგომარეობაშია; ის მკაცრი განკიცხვის ღირსია; მისთვის გამართლება არ არსებობს. მაგრამ ადამიანის მოვალეობაა აპატიოს თავის მოძმეს, თუნდაც სამოცდაჩვიდმეტჯერ.

ახლა ყველაფერი დამთავრდა. როცა ნამდვილად მსურდა აღმომეფხვრა მისი გონებიდან პირვანდელი შეურაცხყოფის კვალი, ამ უდრეკ ზედაპირზე მეორე და გაცილებით უფრო ღრმა კვალი დავაჩნიე. მე თვითონ ამოვწვი ის.

_ ახლა ნამდვილად შემიძულებთ, _ ვთქვი მე. _ აზრი არა აქვს თქვენთან შერიგების ცდას. ვხედავ, რომ თქვენი სახით საუკუნო მტერი შევიძინე.

ამ სიტყვებმა კიდევ ახალი ზიანი მოიტანეს. უარესი, რადგან სიმართლეს შეეფერებოდნენ. ფერმკრთალი ტუჩები დაეკრუნჩხა წამიერად. ვიცოდი, თუ როგორი ფოლადისებური რისხვა გამოვიწვიე მასში. გული მომეწურა.

_ თქვენ უკუღმა გესმით ჩემი სიტყვები, _ ვუთხარი და ხელში ვტაცე ხელი. _ არავითარი სურვილი არა მაქვს ტკივილი ან მწუხარება მოგაყენოთ; დამიჯერეთ, არა მაქვს.

მან ძალიან მწარედ გაიღიმა. გადაჭრით გამომტაცა ხელიდან ხელი. _ მაშ თქვენ უკან მიგაქვთ თქვენი პირობა და აღარ წამოხვალთ ინდოეთში, არა? _ მკითხა მან ხანგრძლივი პაუზის შემდეგ.

_ წამოვალ, როგორც თქვენი თანაშემწე. _ მივუგე მე.

ამას მოჰყვა მეტად ხანგრძლივი სიჩუმე. რა ბრძოლა მიმდინარეობდა მის ბუნებასა და სათნოებას შორის, ვერ გეტყვით. დროდადრო თვალები უელავდა, უცნაური ჩრდილები უკრთოდა სახეზე. ბოლოს დაილაპარაკა:

_ ადრეც დაგიმტკიცეთ, რომ უაზრობაა, როცა თქვენი ხნის გაუთხოვარი ქალი სთავაზობს ჩემი ხნის უცოლო კაცს საზღვარგარეთ წამოგყვებიო. მე ეს ისე დაგისაბუთეთ, რომ მეგონა, მეორედ აღარ წამოიწყებდით ამაზე ლაპარაკს. ახლა, რაკი არ იშლით, _ მე ვნანობ ამას, _ ისევ თქვენ გამო.

სიტყვა გავაწყვეტინე. ყველაფერი, რაც კი საყვედურს წააგავდა, მაშინვე მიბრუნებდა ძალ-ღონეს.

_ გონებას მოუხმეთ, სენტ-ჯონ! თქვენი სიტყვები უაზრობას უახლოვდება. თქვენ თავს ისე მაჩვენებთ, თითქოს ჩემი სიტყვები გაძრწუნებთ. სინამდვილეში თქვენ შეძრწუნებული არა ხართ, რადგან თქვენისთანა მაღალი გონების პატრონი არ შეიძლება იყოს ისეთი გონებაჩლუნგი, ან ისეთი თავდაჯერებული, რომ ვერ გაიგოთ, რისი თქმა მინდა. ვიმეორებ, მე ვიქნები თქვენი თანაშემწე, თუ გსურთ; მაგრამ თქვენი ცოლი არასოდეს არ გავხდები.

ისევ საშინლად გაფითრდა, მაგრამ ისევე, როგორც მანამდე, შესანიშნავად დაიოკა ვნება. მან ხაზგასმით, მაგრამ მშვიდად მიპასუხა:

_ ქალი _ თანაშემწე, რომელიც ჩემი ცოლი არ არის, არ გამომადგება. ესე იგი, როგორც ჩანს, ჩემთან ერთად ვერ წამოხვალთ. მაგრამ თუ თქვენი სურვილი გულწრფელია, როცა ქალაქში ვიქნები, მოველაპარაკები რომელიმე ცოლიან მისიონერს, რომლის ცოლი მშველელს საჭიროებს. თქვენი სახსრები დამოუკიდებელს გაგხდით და მისიონერთა საზოგადოების დახმარება არ დაგჭირდებათ. ამგვარად, თქვენ არ დაგჭირდებათ თქვენი სიტყვის გატეხა და ამით თავის შერცხვენა, და არც იმ ჯგუფის მიტოვება, რომელსაც თქვენ უნდა შეუერთდეთ.

როგორც მკითხველმა იცის, მე სინამდვილეში არც პირობა მიმიცია და არც ხელშეკრულება დამიდვია ვინმესთან წასვლაზე. მისი სიტყვები მეტად მწარე და დესპოტური იყო.

_ ამაში სამარცხვინო არაფერია; არც სიტყვას ვტეხ, არც გავურბი რაიმეს. მე სრულიადაც არა ვარ ვალდებული, წავიდე ინდოეთში, განსაკუთრებით უცხოებთან ერთად. თქვენთან ერთად გავბედავდი და წამოვიდოდი, რადგან პატივს გცემთ, მჯერა თქვენი და როგორც დას, მიყვარხართ. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ, რა დროსაც და ვისთანაც ერთად არ უნდა წავიდე, ბუნების იმ პირობებში დიდხანს ვერ ვიცოცხლებ.

_ ა, თქვენ თქვენს თავზე ფიქრობთ, _ წარმოთქვა მან და ტუჩი აიბზიკა.

_ დიახ, ღმერთს ჩემთვის სიცოცხლე გადასაგდებად არ მოუცია, და მე რომ თქვენი სურვილი შევასრულო, როგორც ახლა ვფიქრობ, თვითმკვლელობა იქნება. კიდევ მეტი, სანამ მე საბოლოოდ გადავწყვეტ ინგლისის დატოვებას, დანამდვილებით უნდა ვიცოდე, ხომ არ მოვიტან მეტ სარგებლობას აქ დარჩენით, ვიდრე აქედან წასვლით.

_ რა გინდათ თქვათ მაგით?

_ სრულიად უსარგებლო იქნება ამის ახსნა თქვენთვის. მაგრამ არის ერთი რამ, რაც დიდი ხანია მტკივნეულ ეჭვს იწვევს ჩემში. მე ვერსად ვერ წავალ, სანამ რაიმე საშუალებით არ გავარკვევ ამ ამბავს.

_ მე ვიცი, რა გაქვთ გულში და საითკენ მიილტვით. ის ინტერესი, რომელსაც თქვენ გულით ატარებთ, უკანონოა და ღვთისგან შეუწყნარებელი. დიდი ხნის წინ უნდა მოგესპოთ იგი. უნდა წითლდებოდეთ ახლა, როცა მასზე ლაპარაკობთ. ისევ მისტერ როჩესტერზე ფიქრობთ?

ეს სიმართლე იყო და დუმილით ვაღიარე.

_ მისტერ როჩესტერის ძებნას აპირებთ?

_ უნდა გავიგო, რა დაემართა მას.

_ მეტი არაფერი დამრჩენია, _ თქვა მან, - გარდა იმისა, რომ ჩემს ლოცვებში მოგიხსენიოთ და მთელი გულისყურით შევთხოვო ღმერთს, რომ არ იქცეთ საზოგადოებისგან გარიყულ ადამიანად. მე მეგონა, რომ თქვენში ღვთის რჩეული შევიცანი. მაგრამ ღმერთი სხვანაირად ხედავს. აღსრულდეს ნება მისი.

მან გააღო ჭიშკარი, გავიდა გარეთ და ვიწრო ხეობას აუყვა. მალე თვალს მოეფარა.

როცა სასტუმრო ოთახში დავბრუნდი, დავინახე, რომ დიანა ძალზე ჩაფიქრებული იდგა. იგი ბევრად უფრო მაღალი იყო ჩემზე. მხარზე ხელი დამადო, დაიხარა და სახეში ჩამხედა.

_ ჯეინ, _ მითხრა მან, _ ამ ბოლო ხანებში მუდამ აღელვებული და ფერმკრთალი ხარ. დარწმუნებული ვარ, რომ რაღაც მოხდა. მითხარი, რა გეგმებს აწყობთ შენ და სენტ-ჯონი. მე გიყურებდით ფანჯრიდან ნახევარი საათის განმავლობაში. უნდა მაპატიოთ ეს ჯაშუშობა, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში, ღმერთმა იცის, რაზე არ ვფიქრობდი. სენტ-ჯონი ისეთი უცნაური ვინმეა, რომ...

ის შეჩერდა. მე ხმა არ ამომიღია. მალე მან განაგრძო:

_ დარწმუნებული ვარ იმ ჩემს ძმას რაღაც აზრები და გეგმები აქვს შენთან დაკავშირებით. დიდი ხანია, რაც გამოგარჩია სხვებში და დაინტერესდა შენით ისე, როგორც სხვა არც ერთი პიროვნებით არ დაინტერესებულა არასოდეს. რატომ? ნეტავი უყვარდე, ჯეინ. უყვარხარ?

მისი გრძელი ხელები დავიდე გახურებულ შუბლზე და ვუპასუხე:

_ არა, დი, ოდნავადაც არა.

_ მაშ, რატომ გაყოლებს თვალს მუდამ, რატომ უნდა განმარტოება შენთან და რატომ ჰყავხარ გამუდმებით თავისთან? მერიმ და მე დავასკვენით, რომ მას შენი ცოლად შერთვა უნდა.

_ მართალია. მან მთხოვა ცოლობა.

დიანამ ხელი ხელს შემოჰკრა. _ სულ ამაზე ვოცნებობდით და ვფიქრობდით. შენ ხომ გახდები მისი ცოლი, ჯეინ? და მაშინ ის ინგლისში დარჩება.

_ პირიქით, დიანა, ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ მან ცოლობა შემომთავაზა არის ის, რომ მას შესაფერი დახმარება სჭირდება თავისი საქმისათვის ინდოეთში.

_ რა? მას უნდა, რომ შენ ინდოეთში წახვიდე?

_ ჰო.

_ სიგიჟეა! _ წამოიძახა მან. _ სამ თვესაც ვერ გაძლებ იქ, დარწმუნებული ვარ. შენ არ წახვალ იქ. ხომ არ დათანხმდი, ჯეინ?

_ მე უარი ვუთხარი ცოლობაზე...

_ და, რა თქმა უნდა, მისი უკმაყოფილება გამოიწვიე? _ გამოთქვა მან აზრი.

_ საშინელი. ვშიშობ, რომ არასოდეს მაპატიებს. თუმცა შევთავაზე, რომ წავყვები, როგორც და.

_ ამის გაკეთება ნამდვილი სისულელეა, ჯეინ. წარმოიდგინე ის საქმე, რომელიც შენს თავზე აიღე: გამუდმებით უნდა იღლებოდე იმ ქვეყანაში, სადაც დაღლა ძლიერებსაც კი ჰკლავს. შენ კი სუსტი ხარ. ხომ იცნობ სენტ-ჯონს? ის შეუძლებელს მოგთხოვს. მასთან სიცხეშიც კი არ გექნება დასვენების უფლება. და, სამწუხაროდ, შევამჩნიე, შენ აიძულებ შენს თავს გააკეთო ის, რასაც ის ამოიჩემებს. მიკვირს, როგორ მოახერხე უარი მის ცოლობაზე. მაშ არ გიყვარს, ჯეინ?

_ როგორც ქმარი _ არა.

_ მაგრამ ხომ ლამაზია.

_ მე კი ძალიან შეუხედავი ვარ, დი. ჩვენ არა ვართ ერთმანეთის შესაფერი.

_ შეუხედავი! შენ? სრულიადაც არა. შენ მეტისმეტად ლამაზი ხარ, კარგი ხარ და ცოდვა ხარ იმისთვის, რომ ცოცხლად შეიწვა კალკუტაში, _ და ისევ სერიოზულად მემუდარა, რომ მის ძმასთან ერთად წასვლაზე ფიქრისთვისაც კი დამენებებინა თავი.

_ სწორი ხარ, _ მივუგე მე. _ რადგან ახლა, როდესაც გავიმეორე ჩემი წინადადება. რომ თანაშემწედ წავყვები, ის განცვიფრდა და არ მოეწონა, რომ მე თავდაჭერილობა მაკლია. თითქოს ფიქრობდა, რომ მე შეუფერებლად მოვიქეცი, როცა შევთავაზე მას დაუქორწინებლად წასვლა იქ; თითქოს თავიდანვე იმედი არ მქონოდეს, რომ ძმა ვპოვე მასში; თითქოს ყოველთვის ასეთად არ მიმაჩნდა.

_ რატომ გგონია, რომ მას არ უყვარხარ, ჯეინ?

_ უნდა მოუსმინო, როგორ ლაპარაკობს ამ საკითხზე. მან ბევრჯერ განმიმარტა, რომ მას ცხოვრების თანამგზავრი თავისთვის კი არა, თავის საქმისთვის უნდა. მან მითხრა, რომ მე სიყვარულისთვის კი არა, შრომისთვის ვარ შექმნილი. ეს უდავოდ მართალია, მაგრამ, ჩემი აზრით, თუ სიყვარულისთვის არ ვარ შექმნილი, აქედან გამომდინარეობს, რომ არც ქორწინებისთვის გამოვდგები. განა უცნაური არ იქნება, დი, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე მიჯაჭვული იყო ადამიანთან, რომელსაც მხოლოდ სასარგებლო იარაღად მიაჩნიხარ?

_ მიუღებელია, არაბუნებრივია. ამაზე ფიქრიც კი გამორიცხულია.

_ მერე, _ განვაგრძე მე, _ თუმცა ახლა მიყვარს მხოლოდ დაძმური სიყვარულით, მაგრამ შეიძლება, თუ მაიძულა, გავხდე მისი ცოლი, დასაშვებია, რომ შემიყვარდეს გარდაუვალი, უცნაური, გამაწამებელი სიყვარულით, იმიტომ, რომ ის ასეთი ნიჭიერია, და მის გამოხედვაში, საქციელში, საუბარში ზოგჯერ ისეთი სიდიადე იგრძნობა. ასეთ შემთხვევაში, ჩემი ხვედრი არაჩვეულებრივად მძიმე იქნება. მას არ ენდომება, რომ მიყვარდეს, და თუ გრძნობას გამოვამჟღავნებ, ის მაგრძნობინებს, რომ ეს ზედმეტია და მას არ სჭირდება, და თანაც არ შემფერის. მე ვიცი, რომ ასე მოიქცევა.

_ და მაინც, სენტ-ჯონი კარგი ადამიანია, _ წარმოთქვა დიანამ.

_ ის კარგი და დიდი ადამიანია. მაგრამ მას უწყალოდ ავიწყდება პატარა ადამიანების მოთხოვნილებები და გრძნობები, როდესაც იბრძვის თავისი საკუთარი დიადი აზრების განხორციელებისათვის. ამიტომ უმჯობესია, უმნიშვნელო ადამიანები არ გადაუდგნენ გზაზე, რომ წინსვლის დროს არ გასრისოს ისინი. აგერ, მოდის! მე დაგტოვებ, დიანა, _ ვუთხარი და ზევით გავეშურე, როცა დავინახე, რომ ის ბაღში შემოდიოდა.

მაგრამ იძულებული ვიყავი შევხვედროდი ვახშმის დროს. სუფრაზე ის ისევე თავდაჭერილი იყო, როგორც ყოველთვის. მე მეგონა, რომ არც დამელაპარაკებოდა და დარწმუნებული ვიყავი, ხელი აიღო ფიქრზე ჩვენი შეერთების შესახებ. როგორც შემდეგ დავინახე, ვცდებოდი ორივე საკითხში. ლაპარაკის დროს იგი მომმართავდა ჩვეულებრივად, უფრო სწორად, როგორც ის ბოლო დროს მომმართავდა ხოლმე _ ძალიან თავაზიანად. უდავოდ მან წმინდა სულს მოუხმო დასახმარებლად, იმ ბრაზის დასაოკებლად, რომელიც მასში გამოვიწვიე, და სწამდა, რომ კიდევ ერთხელ მაპატია.

საღამოს ლოცვების წინ წასაკითხავად ბიბლიის ოცდამეერთე თავი აირჩია. ყოველთვის სასიამოვნო იყო მოსმენა, როდესაც სენტ-ჯონი ბიბლიას კითხულობდა. არასოდეს არ ჟღერდა მისი ლამაზი ხმა ისე სავსედ და ტკბილად; არასოდეს არ იყო მისი მოქცევა ისე შთამაგონებელი თავისი კეთილშობილური სისადავით, როგორც იმ დროს, როცა ქადაგებდა ღვთიურ ჭეშმარიტებას; იმ საღამოს მისი ხმა უფრო საზეიმოდ ჟღერდა, მისი მოქცევა უფრო მეტად გვგვრიდა ჟრჟოლას, როცა ის იჯდა შინაურების წრეში (მაისის მთვარე შემოდიოდა უფარდო ფანჯრიდან და ისე ანათებდა ოთახს, რომ მაგიდაზე სანთელი თითქმის აღარ იყო საჭირო). ასე იჯდა ის დახრილი ძველ ბიბლიაზე და კითხულობდა ახალ ზეცასა და დედამიწაზე; გვიამბობდა, როგორ ჩამოვა ღმერთი დედამიწაზე და იცხოვრებს ადამიანთა შორის, როგორ მოწმენდს მათ თვალებიდან ცრემლს; გვპირდებოდა, რომ აღარ იქნება სიკვდილი, არც ნაღველი, არც ტირილი, აღარც ტკივილი, რადგან ყველაფერი რაც წინათ იყო, წავიდა.

მომდევნო სიტყვებმა უცნაურად ამაღელვეს, განსაკუთრებით, როცა ვიგრძენი, რომ ხმა ოდნავ თითქმის შეუმჩნევლად შეეცვალა და ამ დროს მზერა ჩემკენ მომართა.

_ «ის, ვინც მოითმენს, ყველაფერს მიიღებს: და მე ვიქნები მისი ღმერთი, და ის იქნება ჩემი ძე. მაგრამ, _ კითხულობდა ნელა, გარკვევით, _ «საზარელნი, ურწმუნონი და სხვანი მიიღებენ საკადრისს იმ ტბაში, რომელშიც ცეცხლი და გოგირდი იწვის, და რომელიც მეორე სიკვდილს უდრის».

ახლა ვიცოდი, როგორ ხვედრს მიქადდა სენტ-ჯონი. მშვიდი, დაუოკებელი ზეიმი, შერეული რაღაც ძლიერ სურვილთან, წითელ ხაზად მიჰყვებოდა ამ თავის უკანასკნელ დიდებულ სტრიქონებს. მკითხველს სჯეროდა, რომ მისი სახელი უკვე იყო მოხსენებული ქრისტეს წყალობის მქონეთა შორის და ის მოუთმენლად ელოდა იმ დროს, როდესაც შევიდოდა იმ ქალაქში, სადაც

ამქვეყნიურ მეფეებს მიაქვთ თავისი პატივი და დიდება; სადაც არც მზე და არც მთვარეა საჭირო, რადგან ღვთის სიდიადე ანათებს მას და ქრისტეა მისი სინათლე.

იმ ლოცვაში, რომელიც ამ თავს მოყვება, თავი მოუყარა მთელ თავის ენერგიას. მისმა სასტიკმა მგზნებარებამ გაიღვიძა. ის სრული გულწრფელობით კითხულობდა და ერკინებოდა ღმერთს და გადაწყვეტილი ჰქონდა გამარჯვება. მას ძალა მოჰქონდა უძლურთათვის; მეგზური იყო გზადაბნეულთათვის; დაბრუნება მოჰქონდა თერთმეტი საათის გავლის შემდეგ იმათთვის, ვისაც ამქვეყნიური ცდუნებანი და ხორცი სათნოების გზიდან მიეზიდებოდა. ის ემუდარებოდა, არწმუნებდა, და მოითხოვდა, რომ დაღუპვისაკენ მიმავალი ადამიანი გადაერჩინათ დაწვისაგან. პირველად, როცა ამ ლოცვას ვუსმენდი, მაოცებდა მისი გულწრფელობა, შემდეგ თანდათან გული ამიჩუყა და ბოლოს სევდით ამავსო, იმდენად გულწრფელად სწამდა თავისი მიზნის სიდიადე და სიკეთე; სხვებმაც, ვისაც ესმოდა მისი ვედრება, იგრძნეს ეს.

როცა ლოცვა დამთავრდა, გამოვეთხოვეთ მას. ის ძალიან ადრე უნდა წასულიყო დილით. დიანამ და მერიმ აკოცა მას და გავიდნენ ოთახიდან. მე მგონი, მათი წასვლა მისი ნაკარნახევი იყო. მე ხელი გავუწოდე და კეთილი მგზავრობა ვუსურვე.

_ გმადლობთ, ჯეინ. როგორც ვთქვი, კემბრიჯიდან ორი კვირის შემდეგ დავბრუნდები. მხოლოდ ეს დრო დაგრჩათ მოფიქრებისთვის. მე რომ ადამიანის სიამაყეს ვუგდებდე ყურს, აღარაფერს გეტყოდით ჩემთან დაქორწინებაზე. მე ჩემი მოვალეობა მაქვს და მტკიცედ ვემსახურები ჩემს მიზანს: _ ყველაფერი გავაკეთო ღვთის სადიდებლად. ჩემი მეუფე დიდხანს იტანჯებოდა. მეც დავიტანჯო. მე ვერ გაგწირავთ დასაღუპავად, როგორც რისხვის ჭურჭელს: მოინანიეთ და გადაწყვიტეთ, სანამ დრო გაქვთ. გახსოვდეთ, ჩვენ დაბადებული ვართ შრომისთვის. სანამ დღეა _ ვიცით, რომ «ღამე მაშინ დადგება, როცა არავინ იმუშავებს». გაიხსენეთ დივესის ბედი, რომელმაც ცხოვრებაში მიიღო ბედნიერება. ღმერთმა მოგცეთ ძალა, აირჩიოთ უკეთესი გზა!

უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმისას თავზე დამადო ხელი. ის გულწრფელად, თავმდაბლად ლაპარაკობდა; მისი მზერა, რა თქმა უნდა, არ იყო ისეთი, როგორითაც შეყვარებული კაცი უყურებს საყვარელ ქალს; ეს იყო მზერა პასტორის, რომელიც უყურებს თავის გზააბნეულ სამწყსოს, ან, უკეთ რომ ვთქვათ _ მფარველი ანგელოზის, რომელიც თვალყურს ადევნებს მისი მფარველობის ქვეშ მყოფ სულს. ყველა ნიჭიერ ადამიანს, მიუხედავად იმისა, მგრძნობიარეა ის თუ არა, ფანატიკოსია, მებრძოლი სულის მქონე თუ დესპოტი _ თუ ის გულწრფელია, აქვს ცხოვრებაში სიდიადის მომენტები: როცა ამარცხებს ვინმეს და ბატონობს მასზე. თაყვანისცემა ვიგრძენი სენტ-ჯონის მიმართ, ისეთი ძლიერი, რომ მისი გავლენით მივაღწიე იმ მდგომარეობამდე, რომელსაც მანამდე ასე დიდხანს გავურბოდი. მე მქონდა

სურვილი შემეწყვიტა ბრძოლა მასთან, _ მისი სურვილის ნაკადს გავყოლოდი, მისი არსებობის მორევს შევერთებოდი, და იქ ჩემი საკუთარი გულისხმა დამეკარგა. მე თითქმის ისევე ძლიერად ვიყავი შეპყრობილი მისით ახლა, როგორც მანამდე, თუმცა სულ სხვა გრძნობით, მეორე ადამიანით. ორივეჯერ სულელი ვიყავი. მაშინ რომ დავმორჩილებოდი იმას, ეს იქნებოდა პრინციპის დარღვევა. ახლა დანებება კი გონიერებიდან გადახვევა იქნებოდა. ასე ვფიქრობ ახლა, როდესაც ვიგონებ იმ კრიტიკულ მდგომარეობას და ვუყურებ მას დროის მშვიდი ფარდის იქიდან; იმ წუთში არ ვგრძნობდი საკუთარ უგუნურებას.

უძრავად ვიდექი ჩემი მოძღვრის ხელის შეხებისას. უარი დავიწყებული მქონდა, შიში _ დათრგუნვილი, ბრძოლის უნარი _ დაკარგული. შეუძლებელი, _ ჩემი ქორწინება სენტ-ჯონთან, შესაძლებლად მიმაჩნდა. ყველაფერი ძირფესვიანად იცვლებოდა ხელის ერთი უეცარი მოსმით. სარწმუნოება მომიწოდებდა; ანგელოზები მიხმობდნენ _ ღმერთი მიბრძანებდა _ ცხოვრება ერთდებოდა. _ სიკვდილის კარები იხსნებოდა და მის იქით მარადიულობა მოჩანდა. ასე მეგონა, რომ იმ ქვეყანაზე სიმშვიდისა და ნეტარებისათვის ყოველივე ამქვეყნიურის დათმობა შეიძლებოდა ერთ წამში. ბუნდოვნად განათებული ოთახი სავსე იყო სხვადასხვა ხილვით.

_ შეგიძლიათ გადაწყვიტოთ ახლა? _ მკითხა მისიონერმა. შეკითხვა ნაზი ხმით იყო დასმული. ასევე ნაზად მიმიზიდა თავისკენ. ოჰ, ეს სინაზე! რამდენად უფრო ძლიერია ის, ვიდრე ძალა. მე შემეძლო გამეწია წინააღმდეგობა სენტ-ჯონის რისხვისთვის: დრეკადი გავხდი, როგორც ლერწამი, მისი კეთილი მოპყრობის შედეგად და მაინც სულ მახსოვდა, თუ დავნებდებოდი, მაშინ არანაკლებ მანანებდა ოდესმე ჩემს პირვანდელ წინააღმდეგობას. მისი ბუნება არ შეცვლილა ერთი საათის გულწრფელი ლოცვის შედეგად. ის მხოლოდ ამაღლებული იყო.

_ მე გადავწყვეტდი, დარწმუნებული რომ ვიყო, _ მივუგე მე, _ დარწმუნებული რომ ვიყო, რომ ჩვენი ქორწინება მართლა ღვთის სასურველი საქმეა. აქვე შემოგფიცებდით ცოლობას, რაც არ უნდა მოხდეს მერე.

_ ჩემი ლოცვები ისმინა ღმერთმა, _ წამოიძახა სენტ-ჯონმა. უფრო მაგრად დამაჭირა ხელი თავზე, თითქოს თავისად მთვლიდა. მან მკლავი ისე მომხვია, თითქოს ვუყვარდი (მე ვამბობ «თითქოს» _ რადგან ვიგრძენი სხვაობა, _ რადგან ვიცოდი, თუ როგორი გრძნობაა როცა ვიღაცას უყვარხარ. მაგრამ სენტ-ჯონივით მეც აღარ ვფიქრობდი სიყვარულზე, ვფიქრობდი მხოლოდ მოვალეობაზე): მე შევებრძოლე ჩემს თავს, რადგან ჯერჯერობით სურათი ნათელი არ იყო ჩემთვის, მას ჯერ კიდევ ღრუბლები ფარავდა. გულწრფელად, ღრმად, მგზნებარედ მწყუროდა იმის გაკეთება, რაც სწორი იყო. ზეცას შევევედრე, _ «მიჩვენე, მიჩვენე გზა!» უჩვეულოდ აღელვებული ვიყავი; და იყო თუ არა ის, რაც მოჰყვა ამას, გამოწვეული ჩემი მღელვარებით, თვით მკითხველმა განსაჯოს.

სახლში სიწყნარე იყო, რადგან ყველას, ჩემსა და სენტ-ჯონის გარდა, ეძინა. ერთადერთი სანთელი ილეოდა. ოთახი სავსე იყო მთვარის შუქით. გული

სწრაფად და მძლავრად სცემდა. მე მესმოდა მისი ფეთქვა, უცებ ის გაჩერდა, რადგან რაღაც გამოუთქმელმა გრძნობამ გაიარა მასში და გადაეცა ჩემს თავსა და კიდურებს. ეს გრძნობა არ ჰგავდა ელექტრულ შოკს, დენის დავლას სხეულში, მაგრამ ისევე მწვავე, უცნაური და შემაკრთობელი იყო. მან ისე იმოქმედა ჩემს გრძნობებზე, რომ მასთან შედარებით ჩემი მდგომარეობა მანამდე უსიცოცხლობას უდრიდა. ამ გრძნობამ გამომაფხიზლა. რაღაცას ველოდი, თვალი და ყურიც ელოდა, ხორცი თრთოდა ძვლებზე.

_ რა გაიგონეთ? რას ხედავთ? _ ჩამეკითხა სენტ-ჯონი. არაფერს არ ვხედავდი, მაგრამ მომესმა სადღაც ხმის ძახილი:

_ ჯეინ! ჯეინ! ჯეინ! _ და სხვა არაფერი.

_ ოჰ, ღმერთო, რა არის ეს? _ აღმომხდა.

მე შემეძლო მეკითხა: _ საიდან ისმის? _ რადგან ხმა ოთახიდან არ მოდიოდა, არც სახლიდან, არც ბაღიდან, ის არც ჰაერიდან ისმოდა, არც დედამიწიდან, არც ზემოდან. მე მომესმა ის საიდან, არ ვიცი. ვერც ვერასოდეს გავიგებ. ეს იყო ადამიანის ხმა _ ნაცნობი, საყვარელი ხმა, რომელიც კარგად მახსოვდა _ ედვარდ ფეიერფექს როჩესტერის ხმა; მასში ტკივილი იგრძნობოდა, უბედურება, სიგიჟე, შეძრწუნება, გასაჭირი.

_ მოვდივარ, _ წამოვიძახე. _ მომიცადე! ო, მოვალ!

კარებს ვეცი და ტალანში გავიხედე. იქ ბნელოდა. გავვარდი ბაღში. იქ არავინ იყო.

_ სადა ხარ? _ შევძახე.

მარშგლენის იქით მთები გამომეხმაურნენ სუსტად _ სადა ხარ? _ ყური მივუგდე. ქარი კვნესოდა ნაძვებში, ტორფნარი დუმდა და ირგვლივ შუაღამის სიჩუმე გამეფებულიყო.

_ ძირს ცრუმორწმუნეობა, _ წარმოვთქვი მე, როდესაც აჩრდილი შავად წამოიმართა ჭიშკართან მდგომ შავ ურთხმელთან. _ ეს არც ტყუილია, არც ჯადოქრობა. ეს ბუნების საქმეა. ის აღელვებული იყო და _ არა, სასწაული არ მოუმოქმედებია, გააკეთა მხოლოდ ის, რაც შეეძლო.

გამოვექეცი სენტ-ჯონს, რომელიც გამომყვა და თან მაჩერებდა კიდეც. ახლა ჩემი ჯერი იყო ბატონობის. ახლა ძლიერი ვიყავი. ვუთხარი, გაჩუმდით-მეთქი. მინდოდა, რომ მარტო დავეტოვებინე. მარტო უნდა ვყოფილიყავი. მაშინვე დამემორჩილა. იქ, სადაც ბრძანების ძალა შეგწევს, მორჩილებას ყოველთვის იპოვი. ჩემს ოთახში ავედი, ჩავიკეტე, მუხლებზე დავეცი და ვილოცე ჩემე-ბურად; ჩემი ლოცვა სენტ-ჯონისას არ ჰგავდა, მაგრამ შვება მომიტანა. თითქოს ძალიან ახლოს ვიყავი ყოვლისშემძლე წმინდა სულთან. ჩემი სული მადლობის ნიშნად მის ფეხებთან დაემხო. მე წამოვდექი მადლობის შეწირვის შემდეგ, მივიღე გადაწყვეტილება და დავწექი. არ მეშინოდა, სული გამინათლდა და მოუთმენლად ველოდი გათენებას.

თავი XXXVI

ინათა. ალიონზე ავდექი. ერთ-ორ საათში ჩემს ოთახში ყველაფერი წესრიგში მოვიყვანე. ჩემი ნივთები კომოდსა და კარადაში ჩავალაგე, რათა ასე დამეტოვებინა ყველაფერი ჩემი ხანმოკლე მოგზაურობის დროს. საქმიანობაში გართულს შემომესმა, რომ სენტ-ჯონი ოთახიდან გამოვიდა. ჩემს კარებთან შეჩერდა; ვშიშობდი, დააკაკუნებს-მეთქი, მაგრამ არა. მან მხოლოდ ქაღალდის ფურცელი შემოაგდო კარის ქვეშ. ავიღე. წავიკითხე.

«თქვენ ისე უეცრად დამტოვეთ წუხელ. ოდნავ მეტ ხანს რომ დარჩენილიყავით, აუცილებლად ხელს მოჰკიდებდით ქრისტეს ჯვარს და ანგელოზის გვირგვინს. ორი კვირის შემდეგ ამავე დღეს ველი თქვენს საბოლოო გადაწყვეტილებას. ამ დროის განმავლობაში გაფრთხილდით და ილოცეთ. არ გძლიოთ ცდუნებამ: მწამს, თქვენი სული მზადაა დიადი საქმისათვის, მაგრამ ხორცი, როგორც ვხედავ, სუსტია. ვილოცებ თქვენთვის ყოველ წუთს. თქვენი სენტ-ჯონი».

«ჩემი სული, _ გონებაში ვპასუხობდი, _ მზადაა შეასრულოს ის, რაც ჭეშმარიტია; ხოლო ჩემი ხორცი, მწამს, საკმაოდ ძლიერია აღასრულოს ნება ღვთისა, თუკი ეს სურვილი ნათელია ჩემთვის. ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ ძლიერი იქნება, რომ ეძიოს, იკითხოს, ჰპოვოს გამოსავალი; სიბნელით მოცულ ეჭვს თავი დააღწიოს და ნახოს ჭეშმარიტების ნათელი დღე».

იდგა ივნისის პირველი, მაგრამ დილა მაინც ბურუსიანი და ცივი იყო. ფანჯრის მინაზე წვიმას შხაპუნი გაჰქონდა. შემომესმა, როგორ გაიღო სადარბაზოს კარები და სენტ-ჯონი გავიდა. ფანჯრიდან დავინახე, როგორ გაიარა მან ბაღი და დაადგა უიტკროსისკენ მიმავალ ბურუსში გახვეულ ტორფიან გზას. იქ საფოსტო ეტლს უნდა დახვედროდა.

«რამდენიმე საათში მეც იმავე გზას დავადგები, მამიდაშვილო ჩემო, _ ვფიქრობდი ჩემთვის, _ მეც უნდა შევხვდე საფოსტო ეტლს უიტკროსთან; მეც უნდა მოვიკითხო და ვნახო ადამიანი ინგლისში, ვიდრე სამუდამოდ მივატოვებ აქაურობას».

საუზმემდე ორი საათი იყო დარჩენილი. ამ დროის განმავლობაში ოთახში უხმაუროდ ბოლთას ვცემდი და ვფიქრობდი იმ საიდუმლო ხმაზე, რომელმაც მთლიანად შეცვალა ჩემი გეგმები. კვლავ აღსდგა ჩემში წინათ განცდილი გრძნობები; გამახსენდა, ყველაფერი როგორ უცნაურად მოხდა; ისე უცნაურად, რომ ძნელია აღწერაც. გამახსენდა ის ხმა და კვლავ ამაოდ ვეკითხებოდი ჩემს თავს, თუ საიდან მომესმა; როგორც ჩანს, ის ჩემგანვე მოდიოდა და არა გარე სამყაროდან. ნეტავ, უბრალოდ, ნერვიული მდგომარეობით გამოწვეული ხმა ხომ არ იყო, ან ხომ არ მომეჩვენა. არ მჯეროდა და ვერც გავრკვეულიყავი; ის უფრო ზეშთაგონებას ჰგავდა. გრძნობათა ეს გასაოცარი შეშფოთება იმ მიწისძვრას წააგავდა, რომელმაც დალეწა პავლესა და საილასის საპატიმრო. სულს გაუღო საკანის კარები და ბორკილები ჩამოხსნა; გამოაღვიძა ძილისგან და აღსდგა სული თრთოლვით, სმენადქცეული, განცვიფრებული; შემდეგ ისედაც გაოცებულს კიდევ სამჯერ შემომესმა მისი კივილი; გული ამიძგერდა და სულში ჩამწვდა; მაგრამ არ შემაშინა, არც თავზარი დამცა, არამედ

სიხარულით ამავსო, რომ ამ ცოდვილი სხეულისგან გათავისუფლებულს მიმაღებინა ეს გადაწყვეტილება.

«რამდენიმე დღეში, _ გადავწყვიტე ფიქრის შემდეგ,_ უთუოდ გავიგებ რაიმეს მასზე, ვინც წუხელ თავისთან მიხმობდა-მეთქი. წერილებით ხომ ვერაფერს გავხდი, წავალ, პირადად მივაკითხავ».

საუზმეზე დიანასა და მერის ვუთხარი, რომ მივდივარ და სულ მცირე ოთხი დღე მაინც დამჭირდებოდა ჩემი საქმისთვის.

_ მარტო მიდიხარ, ჯეინ? _ იკითხეს მათ.

_ დიახ. უნდა ვნახო ან რაიმე გავიგო ერთ მეგობარზე. ამ ბოლო დროს მასზე ფიქრი არ მასვენებს.

ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მათ თავში გაუელვა აზრმა, აკი ჩვენს მეტი არავინ გყავსო. განა ბევრჯერ თვით არ მითქვამს ეს მათთვის. ალბათ მეტყოდნენ კიდეც, მაგრამ ბუნებით იმდენად თავდაჭერილნი იყვნენ, არაფერი მითხრეს. დიანამ მხოლოდ ის მკითხა, დარწმუნებული ხარ, რომ აიტან ამ მგზავრობასო. ისიც დასძინა, ძალიან ფერმკრთალი ხარო. დავამშვიდე, ვუთხარი, მხოლოდ სულიერად ვარ შეშფოთებული და ესეც მალე გაივლის-მეთქი.

დანარჩენის მოგვარება ადვილი იყო; არავინ მაწუხებდა არც შეკითხვებით და არც ეჭვებით. ავუხსენი მათ, რომ არ შემეძლო მათთვის ჩემი გეგმები გამეცნო და ისინიც დაეთანხმნენ ჩემს ნათქვამს მათთვის ჩვეული კეთილშობილებითა და სიბრძნით. შესაძლებლობა მომცეს მემოქმედა, როგორც თავად ჩავთვლიდი საჭიროდ. განა მეც ასევე არ მოვიქცეოდი?

მურჰაუსიდან დღის სამ საათზე გავემგზავრე და მეხუთე საათი იყო დაწყებული, რომ უიტკროსის სანიშნე ბოძთან ვიდექი. ეტლს ველოდი, რომელსაც შორს, თორნფილდში უნდა წავეყვანე. მიტოვებული გზები და უკაცრიელი გორაკები დუმდნენ. სიჩუმეში ჯერ კიდევ შორიდან შემომესმა, როგორ მიახლოვდებოდა ეტლი. ეს სწორედ ის საფოსტო ეტლი იყო, რომელმაც ერთი წლის წინ, ზაფხულის ერთ საღამოს, ამავე ადგილას მომიყვანა _ უიმედო, უთვისტომო, მიზანდაკარგული. ეტლი გაჩერდა ჩემი ხელის დაქნევაზე. ჩავჯექი. ახლა უკვე მგზავრობის საფასურად არ მომიხდებოდა მთელი ჩემი ქონების მიცემა. კვლავ თორნფილდისაკენ მივდიოდი; თითქოს საფოსტო მტრედი ვიყავ და სახლში ვბრუნდებოდი.

ოცდათექვსმეტი საათი ვიყავი გზაში. უიტკროსი სამშაბათს დღისით დავტოვე და ხუთშაბათს ადრე დილით ეტლი გზაზე ერთ-ერთ სასტუმროსთან შეჩერდა, რათა ცხენებისთვის წყალი დაელევინებინათ. ვიცანი სასტუმრო, ირგვლივ მწვანედ აფეთქებული ცოცხალი ღობე, გადაჭიმული მინდვრები, საძოვარი ბორცვები; თითქოს დიდი ხნის ნაცნობი შემომეგებაო (ოჰ, როგორი სასიამოვნო იყო სირბილე და მწვანე სიხასხასე მორტონის ნორთმიდლენდის პირქუშ ტორფნართან შედარებით). დიახ, ვიცანი ჩემ წინ გადაჭიმული ადგილი. დავრწმუნდი, ჩემს მიზანთან ახლოს ვიყავი.

_ შორს არის აქედან თორნფილდი? _ ვკითხე იქვე მეჯინიბეს.

_ მხოლოდ ორი მილია, ქალბატონო, აი იმ მინდვრის გადაღმა.

«ჩემი მოგზაურობა დამთავრდა», _ გავიფიქრე. ეტლიდან ჩამოვედი. ბარგი ადგილობრივ მეჯინიბეს მივაბარე და ბარგის შესანახი ფული გადავიხადე. მეეტლეც გავისტუმრე და გზას გავუდექი. ამომავალი მზის სხივები სასტუმროს აბრაზე ციმციმებდნენ. წავიკითხე ოქროსფერი ასოებით დაწერილი სიტყვები: «როჩესტერთა ღერბი». გული ამოხტომას ლამობდა. ჩემი პატრონის მიწაზე მედგა ფეხი. მაგრამ ისევ ჩამწყდა რაღაც. ერთმა აზრმა გამიელვა:

«შენი პატრონი, ალბათ, ლამანშს იქითაა; ამას შენც ხვდები. ვთქვათ, თუნდაც თორნფილდშია, საითკენაც ასე მიეშურები. იცი, ვინაა მის გვერდით? მისი მთვარეული ცოლი. მაშასადამე, რა საქმე გაქვს მასთან? არც უნდა ესწრაფვოდე მასთან ლაპარაკს და მასთან ყოფნას. მთელი შენი შრომა ამაოა, უმჯობესია, უკან დაბრუნდე». _ გონი მირჩევდა: «წადი სასტუმროში და იქ ხალხისგან გაიგე ყველაფერი. იქ ყველა შენს კითხვას პასუხს გასცემენ. მაშინვე გაგიფანტავენ ეჭვებს. მიდი, აი, იმ კაცთან და ჰკითხე, მისტერ როჩესტერი შინ თუ არის».

ეს გონივრული აზრი იყო. მაგრამ თავს ძალა ვერ დავატანე ასე მოვქცეულიყავი, მეშინოდა არ გამეგო ისეთი რამ, რაც სასოწარკვეთილებაში ჩამაგდებდა. მერჩია ეჭვების ქსელში ვყოფილიყავი და რაღაცის იმედი მქონოდა. იქნებ ერთხელ კიდევ მენახა მისი მანათობელი ვარსკვლავის შუქით გაბრწყინებული ჰოლი. ჩემ წინ სწორედ ის ღობეზე გადასასვლელი და ის მინდვრები იყო, რომლებიც იმ დილით გადავიარე, თორნფილდიდან რომ მივრბოდი ჭკუადაკარგული. მაშინ ვერაფერს ვხედავდი, არაფერი მესმოდა, მხოლოდ გაჯავრება ბობოქრობდა ჩემში და უგზო-უკვლოდ მიმაქანებდა. ვიდრე გონზე მოვიდოდი და იმას მივხვდებოდი, სად მივრბოდი, თავი ამ მინდვრებს შორის ამოვყავი. როგორ მივიჩქაროდი! ზოგჯერ კიდეც მივრბოდი! მოუთმენლად ველოდი, თვალი მომეკრა ნაცნობ ტყეებისთვის! ოჰ, რა გრძნობამ შემიპყრო, როდესაც ვუცქეროდი განცალკევებულ ხეებს, მათ შორის მდებარე გორაკსა და მდელოს!

როგორც იქნა, გამოჩნდა ტყე. ერთად შეგროვილი ჭილყვავები აბნელებდნენ იქაურობას. მათი ჩხავილი არღვევდა დილის მყუდროებას. უცნაურმა სიხარულმა ამიტაცა. წინ გავეშურე. კიდევ ერთი მინდორი გადავიარე. ვიწრო ბილიკს დავადექი. და აი, ეზოს გარსმომდგარი კედლები, სახლის დამხმარე სათავსოები; თვით შენობაც; მაგრამ ჭილყვავების სადგომი ჯერ კიდევ არ ჩანდა. «წინა მხრიდან დავინახავ-მეთქი, _ გადავწყვიტე. _ «სადაც სასახლის ამაყი ქონგურები უეცრად გამაოცებს თავისი სიდიადით და სადაც მოვნახავ ჩემი პატრონის ფანჯარას; შესაძლებელია, ფანჯარასთან დგას, _ ის ხომ ადრე დგება; ან, იქნებ, ხეხილის ბაღში სეირნობს ახლა, ან სახლის წინ მოკირწყლულ გზაზე. ნუთუ მართლა ვნახავ! _ მხოლოდ ერთი წუთით! რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში გონიერება ისე არ უნდა დავკარგო, რომ მასთან მივირბინო. თუმცა ვერ გეტყვით. არ ვიცი. განა, ასეც რომ გამეკეთებინა, რა მოხდებოდა? ღმერთი იყოს შემწე _ რა მოხდებოდა? განა ვინმეს რამე დაუშავდება, რომ

მისმა შემოხედვამ კვლავ მაგრძნობინოს სიცოცხლე. მაგრამ მე ვბოდავ. ის ახლა, ალბათ, გასცქერის პირენეებიდან ამომავალ მზეს, ან, იქნებ, სამხრეთის წყნარ ზღვას.»

ხილნარის დაბალ ღობეს შემოვუარე და კუთხეში შევუხვიე. სწორედ იქ იყო ალაყაფის კარი, და მდელოც იქ იწყებოდა. კარები ქვის ორ ბოძზე იყო დამაგრებული, რომელთაც თავზე ქვისგანვე ნაკეთი ბურთები ედგათ გვირგვინად. ბოძის იქიდან თავისუფლად შემეძლო დამენახა შენობის მთელი წინა ფასადი. ფრთხილად გადავყავი თავი; სული მიმდიოდა, გამეგო _ რომელიმე საწოლი ოთახის დარაბები უკვე გააღეს თუ არა. ჩემი თავშესაფრიდან შესანიშნავად ვხედავდი ყველაფერს: ქონგურებს, ფანჯრებს, შენობის მთელ ფასადს.

ყვავები, რომლებიც თავზე დამფარფატებდნენ, ალბათ თვალყურს მადევნებდნენ, ვიდრე მე სახლის თვალიერებით ვიყავი გართული. ნეტავ, რას ფიქრობდნენ: ალბათ იმას, რომ ჩემი თავდაპირველი მეტისმეტი სიფრთხილე და სიმორცხვე თანდათანობით სითამამემ და გაბედულებამ შეცვალა. შევიჭყიტე; შემდეგ თავ-შესაფარს მოვწყდი, მდელოს გადავუარე, შენობის წინ გავჩერდი და დიდხანს დაკვირვებით ვათვალიერებდი. «რა თავლთმაქცური სიმორცხვე გამოვიჩინე, _ შეიძლება იკითხონ, _ და ახლა კი რა სულელური გაუფრთხილებლობით ვიქცევი?"

მაგალითს მოგიყვანთ, მკითხველო.

შეყვარებული საყვარელ არსებას ხავსით მოფენილ ნაპირთან დაძინებულს პოულობს. სურს თვალი მოჰკრას მის მშვენიერ სახეს ისე, რომ არ გააღვიძოს. ჩუმად მიიპარება ბალახზე და ფრთხილობს, სიჩუმე ოდნავი ხმაურითაც არ დაარღვიოს. ჩერდება; ეჩვენება, რომ ქალი შეინძრა; უკან იხევს; არაფრის გულისთვის არ უნდა გამოჩნდეს. ირგვლივ სიჩუმეა. კვლავ გადადგა წინ ნაბიჯი.ქალისკენ იხრება. მსუბუქი საბურავი ფარავს მის სახეს. ხდის საბურავს. უფრო იხრება, ახლა მის თვალწინაა განცხრომით გაწოლილი თვით მშვენიერი ზმანება; ნორჩი, ყვავილივით აფეთქებული და საყვარელი. როგორ თვალმოუცილებლივ უმზერს! ადგილზე შეშდება! როგორ კრთის! სასწრაფოდ და მგზნებარებით გულში იკრავს სხეულს, ერთი წუთის წინ თითის დაკარებასაც რომ ვერ უბედავდა. ხმამაღლა უხმობს; ძირს უშვებს სანუკვარ ტვირთს და გაშმაგებით დასცქერის. ეხვევა, უხმობს, გაშტერებით უმზერს; გრძნობს, მისი ხმა ან მისი მოძრაობა ვეღარ გააღვიძებს მას. მას ეგონა, რომ მის შეყვარებულს ტკბილად ეძინა: თურმე ის ქვად უქცევია სიკვდილს.

შიშით აღსავსე სიხარულით შევხედე დიდებულ შენობას: მხოლოდ ჩაშავებული ნანგრევები შემრჩა ხელთ.

აბა, რაღა საჭირო იყო ჭიშკრის ბოძს იქით დამალვა! ფარული თვალთვალი დარაბებისთვის, რომლის იქითაც მეგონა, რომ სიცოცხლე იღვიძებდა! რაღად ვუსმენდი კარების გაღებას, ფეხის ხმას ხრეშით მოფენილ ბილიკებზე! მდელო, ბაღი გადაეთელათ და გაენადგურებინათ. მთავარ შესასვლელთან ხახადაღებულ სიცარიელეს შევეფეთე. შენობა, როგორც ეს ერთხელ სიზმარში

ვნახე, ჰგავდა დაცარიელებულ ნაჭუჭს, რომლის მაღალ, ცეცხლისგან დანგრეულ კედლებში მხოლოდ უჩარჩო ფანჯრებიღა მოჩანდა. არც სახურავი, არც ქონგურები, არც საბუხრეები _ ყველაფერი ჩანგრეულიყო.

სიკვდილი ზეიმობდა შიგ. მდუმარებას ეპოვა იქ თავშესაფარი. განა კიდევ საკვირველია, რატომ რჩებოდა აქ გამოგზავნილი წერილები უპასუხოდ? ეს იყო ღაღადისი უდაბნოსა შინა. ჩაშავებული ქვები მეტყველებდნენ, თუ რა ბედი ეწია ჰოლს: ის დაიღუპა ხანძრისგან. მაგრამ რამ გამოიწვია ხანძარი? რა იმალებოდა ამ უბედურებაში? ნეტავ, კიდევ რა იმსხვერპლა ცეცხლმა, გარდა მარმარილოსი და ხის ჩუქურთმებისა? ხომ არ დაიღუპა ვინმე ქონებასთან ერთად? და თუ ასეა, ვინ? შემაძრწუნებელი კითხვაა. ვერავინ მიპასუხებდა. არავინ ჩანდა ირგვლივ; არც რაიმე ნიშანი, არც საბუთი.

გარს ვუვლიდი დაცარიელებულ შენობას, ჩამონგრეულ კედლებს და დავრწმუნდი, რომ ეს უბედურება უკვე დიდი ხანია, რაც თავს დასტყდომოდა მის მცხოვრებთ. ეტყობოდა, ზამთრის თოვლი ზვინებად დასწოლოდა ამ დაცარიელებულ თაღებს; ზამთრის წვიმები უფანჯრო ჩარჩოებზე შხაპუნობდა; დაგროვილ ნაგავზე მცენარეულობა ამწვანებულიყო გაზაფხულზე; მხოლოდ ბალახი და ხავსი მოჩანდა ჩამონგრეულ კედლებსა და ჩამოცვენილ ხის კოჭებს შორის. მაგრამ, ღმერთო! სად იყო ამ ნანგრევების ბედკრული პატრონი? რომელ ქვეყანაში? რომელ მხარეს შეაფარა თავი? ჩემდაუნებურად შევხედე რუხი ეკლესიის გო-დოლს ჭიშკრის ახლოს და ჩემს თავს ვკითხე: «ნუთუ დეიმერ დე როჩესტერის მარმარილოთი ნაგები ვიწრო სავანე გაიზიარა და მას შეაფარა თავი?»

ამ კითხვებზე პასუხი უნდა მიმეღო. პასუხს კი მხოლოდ სასტუმროში მივიღებდი და მაშინვე იქით გავეშურე. სასტუმროს პატრონმა თვით შემომიტანა საუზმე ოთახში. ვთხოვე, კარი დახურეთ და დაბრძანდით-მეთქი. მისთვის უნდა მეკითხნა. დაჯდა და ახლა უკვე აღარ ვიცოდი, როგორ დამეწყო; პასუხის მეშინოდა, მაგრამ გულისმომკვლელმა სანახაობამ, რომელიც ის იყო ვნახე, მომამზადა საშინელების მოსასმენად. სასტუმროს პატრონი საშუალო ხნის სანდომიანი შეხედულების ადამიანი იყო.

_ თქვენ ალბათ იცნობთ თორნფილდჰოლს? _ როგორც იქნა, მოვახერხე საუბრის დაწყება.

_ დიახ, ქალბატონო; წინათ იქ ვცხოვრობდი.

_ მართლა? _ მაგრამ ჩემ დროს არა, _ გავიფიქრე. _ არ გიცნობთ.

_ მე განსვენებულ მისტერ როჩესტერის მსახურთუხუცესი გახლდით, _ დასძინა მან.

«განსვენებულის!» _ თითქოს მთელი სიძლიერით დამეცა თავზე მეხი, რომლის არიდებასაც ასე ვცდილობდი.

_ განსვენებულის? _ ძლივს ამოვთქვი: _ განა მოკვდა?

_ მე ახლანდელი პატრონის მისტერ ედვარდის მამას ვგულისხმობ, _ განმიმარტა მან. სული მოვითქვი. სისხლმა დენა განაგრძო ძარღვებში. ამ სიტყვებით დავრწმუნდი, რომ მისტერ ედვარდი, _ ჩემი მისტერ როჩესტერი

(ღმერთმა დალოცოს ის, სადაც არის!) მაინც არის ცოცხალი და არის «ახლანდელი პატრონი». გულისსაამებელი სიტყვები! რაც არ უნდა მოჰყოლოდა ამ სიტყვებს, ყოველივეს ავიტანდი; შედარებით მშვიდად ავიტანდი. რადგან ცოცხალია, _ ვფიქრობდი, _ იმასაც ავიტან, რომ მითხრან ქვეყნის მეორე კიდეზე იმყოფებაო.

_ მისტერ როჩესტერი თორნფილდჰოლში ცხოვრობს ახლა? _ შევეკითხე. ვიცოდი, რასაც მიპასუხებდა; მაგრამ ვნატრობდი გამეგო, სად იყო ის ნამდვილად. თუმცა პირდაპირ არ ვეკითხებოდი.

_ არა, ქალბატონო, ოჰ, არა! იქ არავინ ცხოვრობს. თქვენ უცხო ჩანხართ ამ მხარეში, თორემ უსათუოდ გაიგებდით, რა მოხდა აქ გასულ შემოდგომას. თორნფილდჰოლიდან მხოლოდ ნანგრევებიღა დარჩა: მთლიანად დაიწვა მოსავლის აღების დროს. ენით აუწერელი უბედურება დატრიალდა! აურაცხელი ძვირფასეულობა დაიღუპა. ავეჯიდან თითქმის ვერაფერი გადაარჩინეს. ხანძარმა შუაღამისას იფეთქა და ვიდრე მილკოტიდან მანქანები მოვიდოდნენ, შენობა მთლად ცეცხლში გაეხვია. საშინელი სანახავი იყო! ჩემი თვალით ვნახე ყველაფერი.

_ შუაღამისას! _ ძლივს გასაგონად წარმოვთქვი. დიახ, ეს თორნფილდში საბედისწერო დრო გახლდათ._ გაიგეთ, რამ გამოიწვია ხანძარი? _ თითქმის ბრძანებით ვკითხე.

_ მიხვდნენ, ქალბატონო; რასაკვირველია, მხოლოდ მიხვდნენ. მე კი ვიტყოდი, ამაში ეჭვის მიტანა არ შეიძლება. თქვენ, რასაკვირველია, არ იცით, განაგრძო მან, თან სკამი ოდნავ მოსწია მაგიდისკენ და დაუმატა. _ რომ იმ სახლში ცხოვრობდა ერთი, ერთი... ლედი... მთვარეული.

_ რაღაც მსმენია მასზე.

_ მას არსად არ უშვებდნენ და მკაცრად ადევნებდნენ თვალს, ქალბატონო. რამდენიმე წლის განმავლობაში ხალხმა არც კი იცოდა, რომ ის ცოცხალი იყო. თვალი არავის მოუკრავს მისთვის. მათ მხოლოდ განაგონი ჰქონდათ, რომ ჰოლში ასეთი ვინმე ცხოვრობდა; მაგრამ ვინ იყო ის, ან რას წარმოადგენდა, არავინ იცოდა. ამბობდნენ, რომ მისტერ ედვარდმა ის საზღვარგარეთიდან ჩამოიყვანა; ზოგიერთი ამტკიცებდა, მისი მეუღლე იყოო; მაგრამ უცნაური რამ კი მოხდა ამ ერთი წლის წინ. ძალიან უცნაური.

გულში შიშმა გამკრა, რომ ჩემს საკუთარ ამბავს მოვისმენდი. ვცადე მთავარ ამბავს დაბრუნებოდა კვლავ.

_ ჰო, მერე, ის ლედი?

_ ის ლედი, ქალბატონო, _ მიპასუხა მან, _ მართლაც მისტერ როჩესტერის მეუღლე აღმოჩნდა. ეს ამბავი გამოირკვა ძალიან უცნაურად. ჰოლში ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა ლედი, აღმზრდელი, რომელიც მისტერ როჩესტერს შეუყვარდა...

_ მაგრამ ხანძარი, _ კვლავ მთავარ აზრს დავუბრუნდი.

_ სწორედ მაგაზე მოგახსენებთ, ქალბატონო. მისტერ როჩესტერს შეუყვარდა ეს ქალი. მოსამსახურენი ამბობდნენ, რომ არასოდეს არავინ უნახავთ ასე

შეყვარებული. სულ თან დასდევდა. ისინი მას ყოველთვის თვალს ადევნებდნენ; - მოგეხსენებათ, ქალბატონო, მოსამსახურეებს როგორ უყვართ ეს. _ მისტერ როჩესტერისთვის ეს ქალი ყველაზე ძვირფასი იყო. მხოლოდ ის ხედავდა მასში რაღაც დიდ სილამაზეს. ქალი, როგორც ამბობენ, ბავშვივით პატარა ტანის ყოფილა. მე თვით არ მინახავს ის, მაგრამ მოსამსახურე ქალი ლი მიყვებოდა მასზე. ლისაც ძალიან მოსწონდა ის. მისტერ როჩესტერი თითქმის ორმოცის იყო და ის აღმზრდელი კი ოცის ძლივს იქნებოდა, და იცით, როდესაც ამ ხნის ჯენტლმენებს შეუყვარდებათ ასეთი გოგონები, ისინი თითქოსდა მოჯადოებულნი არიან. ჰო, იმას ვამბობდი: მისტერ ედვარდს მისი ცოლად შერთვა უნდოდა.

_ ამ ამბავს სხვა დროს მომიყვებით, _ ვუთხარი. _ ახლა კი გარკვეული მიზეზების გამო მინდა ყველაფერი გავიგო იმ ხანძარზე. ეჭვობდნენ, რომ ამ ხანძარში ერია იმ მთვარეულის, მისის როჩესტერის, ხელი?

_ თქვენ სწორად მიხვდით, ქალბატონო. სრულიად ნათელია, რომ სწორედ მან და სხვა არავინ გადაწვა შენობა. მას მომვლელად ქალი ჰყავდა მიჩენილი სახელად მისის პული: საქმის მცოდნე და ძალიან სანდო ადამიანი, მაგრამ მას ერთი ნაკლი ჰქონდა, _ ყველა მომვლელის და ხანში შესული ქალებისთვის დამახასიათებელი ნაკლი, _ თან ყოველთვის ბოთლით ჯინი დაჰქონდა და დროდადრო ზედმეტსაც გადაჰკრავდა ხოლმე. არც გაემტყუნებოდა; ძალიან გამწარებული სიცოცხლე ჰქონდა. მაგრამ სმა მაინც სახიფათო იყო, რადგანაც, როდესაც მისის პულს მთვრალს ღრმად ეძინა, ეს გიჟი ლედი, რომელიც ჯადოქარივით ცბიერი იყო, მოიპარავდა ხოლმე მისი ჯიბიდან გასაღებს, ოთახიდან ჩუმად გამოვიდოდა, დაეხეტებოდა სახლში და რაც კი თავში მოუვლიდა, ყოველ საშინელებას სჩადიოდა. ამბობენ, ერთხელ თავისი ქმარი კინაღამ მძინარე არ გამოსწვა საწოლშიო. მე თვით არაფერი ვიცი ამის შესახებ. და აი, იმ ღამით მან ცეცხლი მოუკიდა პირველად თავის გვერდით მდებარე ოთახში ფარდებს; შემდეგ ერთი სართული ჩაიარა და გაეშურა იმ ოთახისკენ, რომელიც იმ აღმზრდელს ეკუთვნოდა (თითქოსდა მან იცოდა, რაში იყო საქმე და ემტერებოდა მას). ცეცხლი იქაც წაუკიდა საწოლს. საბედნიეროდ, იქ არავის ეძინა. აღმზრდელი ორი თვის წინ გაქცეულიყო სახლიდან; მისტერ როჩესტერი ყველგან ეძებდა მას, თითქოსდა ამქვეყნიდან მისთვის ყველაზე ძვირაფასი არსება დაკარგა; მაგრამ ვერაფერი შეიტყო მასზე. ამ ამბავმა გააშმაგა; უიმედობამ მთლად გადარია. ბუნებით ავი არ ყოფილა, მაგრამ მისი დაკარგვის შემდეგ ახლოს ვერავინ ეკარებოდა. არავის ღებულობდა. მისის ფეიერფექსი, თავისი მნე, გააგზავნა შორს, მისსავე ნათესავებ-თან. თუმცა ძალიან კარგად მოექცა. მთელი სიცოცხლის მანძილზე თანხა დაუნიშნა. ალალიც იყო ეს მისთვის. ძალიან კარგი ქალი იყო. მის ადელი, თავისი აღზრდილი, სკოლაში მიაბარა. გაწყვიტა ნაცნობობა აქაურ დიდგვაროვნებთან და განდეგილივით ჩაიკეტა ჰოლში.

_ როგორ! არ წასულა ინგლისიდან?

_ ინგლისიდან? ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! არა. ფეხი არ გადაუდგამს კარის ზღურბლზე. მხოლოდ ღამით აჩრდილივით დაეხეტებოდა ბაღსა და ხეხილნარში. გონებადაკარგულს ჰგავდა, _ და, ჩემი აზრით, ასეც იყო, რადგანაც თქვენ ვერასოდეს ნახავთ ისეთ ენერგიულ, მამაცსა და ჭკვიან ჯენტლმენს, როგორიც მისტერ როჩესტერი გახლდათ, ვიდრე იმ პატარა აღმზრდელმა მთლად არ მოუსპო ყველა სურვილი. სხვებივით არ იყო გადაყოლილი ღვინოს, ბანქოს ან დოღს. არც ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ თუ ვინმეს ჰქონდა ნებისყოფა და სიმამაცე, სწორედ მას. ბავშვობიდანვე ვიცნობდი და მე თვით ხშირად მინატრია, ნეტავ, ის მის ეარი ზღვას შთაენთქა-მეთქი, ვიდრე თორნფილდში მოვიდოდა.

_ ასე რომ, მისტერ როჩესტერი სახლში იყო, როდესაც ხანძარმა იფეთქა?

_ დიახ, შინ იყო. ის ავიდა ზედა სართულში, როდესაც ხანძარი გაძლიერდა, გააღვიძა მოსამსახურეები და უშველა დაბლა ჩასვლა. შემდეგ კი უკან აბრუნდა, რომ თავისი გიჟი ცოლი გამოეყვანა სენაკიდან. ამ დროს დაუძახეს, რომ ქალი სახურავზეაო, და მართლაც, ქონგურებთან იდგა, ხელებს იქნევდა და ისე გაჰკიოდა, რომ ერთ მილზე ისმოდა. საკუთარი თვალით ვხედავდი მას და მესმოდა ყველაფერი. ეს იყო მაღალი ქალი, შავი გრძელი თმით. გაშლილი თმა ცეცხლს შორის უფრიალებდა. ყველამ შევნიშნეთ, როგორ აძვრა მისტერ როჩესტერი პატარა მინის კარით სახურავზე, შემოგვესმა, რომ დაუძახა «ბერთა»; დავინახეთ, როგორ მიუახლოვდა და აქ, ქალბატონო, მან დაიწივლა, გადახტა და ერთ წამში დაენარცხა ქვაფენილს.

_ მკვდარი?

_ მკვდარი! რასაკვირველია, მკვდარი, როგორც ის ქვები, რომელთაც მისი ტვინი და სისხლი გადაესხა.

_ ღმერთო ჩემო!

_ დიახ, ქალბატონო. ეს საშინელება იყო.

მას შეაჟრჟოლა.

_ და შემდეგ? _ ვკითხე.

_ შემდეგ კი, ქალბატონო, სახლი მთლად ნაცრად იქცა. მხოლოდ კედლების ნანგრევებია დარჩენილი.

_ მეტი ხომ არავინ დაღუპულა?

_ არა, მაგრამ იქნებ უკეთესი ყოფილიყო.

_ რა გინდათ ამით თქვათ?

_ საბრალო მისტერ ედვარდი! _ წარმოთქვა მან. _ რას წარმოვიდგენდი, რომ ამას მოვესწრებოდი; ზოგნი ამბობენ, სამართლიანად დაისაჯაო, იმისთვის, რომ ასე საიდუმლოდ ინახავდა პირველ ქორწინებას და მის სიცოცხლეშივე აპირებდა მეორე ცოლის მოყვანასო, მაგრამ მე კი ძალიან მებრალება.

_ თქვენ ხომ თქვით, რომ ცოცხალი გადარჩაო? _ წამოვიძახე მე.

_ დიახ, დიახ, ცოცხალი გადარჩა, მაგრამ ბევრის აზრით უმჯობესია, მომკვდარიყო.

_ რატომ? როგორ? _ კვლავ გამეყინა სისხლი ძარღვებში. - სად არის ის? _ თითქმის ვუბრძანე: - ინგლისშია?

_ დიახ, ინგლისშია, ვერ დატოვებს ინგლისს. ჩემი აზრით, ის ერთ ადგილზეა მიჯაჭვული.

რა წამება იყო ეს ჩემთვის. ის კი, როგორც ჩანს, ახანგრძლივებდა ჩემს წამებას.

_ სულ მთლად ბრმაა, _ თქვა მან ბოლოს. _ დიახ, ჩვენი მისტერ ედვარდი ბრმაა.

შიშით ველოდი უარეს ამბებს. მეშინოდა, რომ მეტყოდა, გაგიჟდაო; როგორც იქნა, მოვიკრიბე მხნეობა, ვკითხე, რამ გამოიწვია ეს უბედურება-მეთქი.

_ ეს გამოიწვია მისმა მამაცობამ და ნაწილობრივ მისმა გულკეთილობამ, ქალბატონო. არ უნდოდა დაეტოვებინა სახლი, ვიდრე ყველას სამშვიდობოს არ გაიყვანდა. როდესაც მისის როჩესტერი გადმოვარდა ქონგურებიდან და მისტერ როჩესტერი დიდი კიბეებით ჩამოდიოდა, საშინელი ხმაური გაისმა უეცრად და ყველაფერი ჩაინგრა. ნანგრევებიდან გამოათრიეს ცოცხალი, მაგრამ საშინლად დასახიჩრებული. კოჭი ჩამოვარდა და კიდევ იმან დაიცვა; ერთი თვალი მთლად ამოუვარდა და ერთი ხელიც ისე დაუზიანდა, რომ მისტერ კარტერი იძულებული გახდა მაშინვე მოეკვეთა. მეორე თვალის ანთება დაეწყო და იმ თვალიდანაც მხედველობა დაკარგა. ახლა მთლად უმწეოა: ბრმა და ხეიბარი.

_ სად არის? ახლა სად ცხოვრობს?

_ ფერნდენში. აქედან დაახლოებით ოცდაათი მილის დაშორებით. იქ თავისი სათავადო სახლი უდგას. მაგრამ ადგილი უკაცრიელია.

_ ვინ არის მასთან?

_ მოხუცი ჯონი და მისი ცოლი. მეტი არავინ ისურვა. ძალიან გაუბედურებულია.

_ გაქვთ თქვენ რამე ეტლის მაგვარი?

_ გვაქვს მხოლოდ საფოსტო ეტლი, ქალბატონო, ძალიან კოხტა.

_ უთხარით, ახლავე მოამზადონ, და თუ თქვენი მეეტლე მიმიყვანს ფერნდენში დღეს დაღამებამდე, თქვენც და ისიც ორმაგ გასამრჯელოს მიიღებთ.

თავი XXXVII

სათავადო სახლი ფერნდენში შუაგულ ტყეში იდგა. ეს იყო საშუალო ზომის საკმაოდ ძველი შენობა, და არქიტექტურული თვალსაზრისით დიდს არაფერს წარმოადგენდა. ამ სახლზე წინათაც მსმენოდა. მისტერ როჩესტერი ხშირად ახსენებდა მას და ზოგჯერ მიდიოდა კიდეც იქ. ეს ადგილი მისტერ როჩესტერის მამას უყიდია სანადიროდ და გარეული ფრინველის მოსაშენებლად. თვით შენობას ალბათ გააქირავებდა კიდეც, მაგრამ მოიჯარე

ვერ იშოვა. სახლი მეტად მოუხერხებელი და ჯანმრთელობისათვის უვარგის ადგილას იდგა. ამიტომაც ფერნდენის სახლში არავინ ცხოვრობდა და ოთახებიც მოუწყობელი იყო. ალაგებდნენ მხოლოდ ორ თუ სამ ოთახს, სადაც პატრონი ათევდა ხოლმე ღამეს ნადირობის დროს.

უკვე ბნელდებოდა, შენობას რომ მივაღწიე. ცა მოღუშულიყო; ცივი ქარი ქროდა და წვრილი წვიმა ძვალ-რბილში ატანდა. დარჩენილი ერთი მილი ფეხით გავიარე; ეტლი გავუშვი; მეეტლეს შეპირებული ორმაგი გასამრჯელო მივეცი. ამ მცირე მანძილიდანაც კი შეუძლებელი იყო შენობის დანახვა, იმდენად ხშირი და უღრანი ტყე ეკრა გარშემო. გრანიტის ბოძებზე დამაგრებულმა ჭიშკარმა მიმახვედრა, სად უნდა შევსულიყავი. ჭიშკარი გავიარე და ხშირი ხეებისაგან ჩაბნელებულ ადგილას აღმოვჩნდი. ტყეში, დაბლა, მიიკლაკნებოდა ბილიკი ბალახით დაფარული და ერთმანეთზე მიჯრილი ხეებისა და ტოტების ჩრდილით დაფარული. მეც მას გავყევი. იმედი მქონდა საცხოვრებელ ადგილს მალე მივაღწევ-მეთქი. მაგრამ გზა არ ილეოდა. მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს ბოლო არ უჩანდა. არც მოსახლე ჩანდა ახლომახლო და არც არავითარი ბაღი.

ვიფიქრე, არასწორად მივდივარ და გზა დავკარგე-მეთქი. ტყის ხეებით ჩამომდგარ სიბნელეს საღამოს ბინდიც დაემატა. მიმოვიხედე, ეგებ მეორე გზა მეპოვნა, მაგრამ ამაოდ. მეორე ბილიკი ვერ ვნახე; მოჩანდა მხოლოდ ერთმანეთში გადახლართული ტოტები, აშოლტილი ხეები, ზაფხულის ხშირი ფოთლებით ჩაბურული; არსად ტაფობი.

მაინც წინ მივდიოდი. როგორც იქნა, გავიარე გზა. ხეები შეთხელდა. მალე ღობესაც მოვკარი თვალი; შემდეგ სახლსაც, რომელიც სიბნელეში ძლივს გავარჩიე ხეებისგან; მისი ძველთაძველი კედლები ხავსს დაეფარა და მწვანე სამოსით შეებურა. ურდული გამოვწიე, კარებში შევედი და შემოღობილ ბაღჩაში შევჩერდი. ტყე წრესავით გარს ევლებოდა ბაღს; არსად ყვავილი ან ყვავილნარი; მხოლოდ განიერი, ხრეშით მოფენილი ბილიკი ჰკვეთდა მოლს. ყოველივე ტყის მძიმე ჩარჩოში იყო ჩასმული. სახლს წინ ორი წაწვეტებული შუბლანა ჰქონდა. ფანჯრები ვიწრო და გისოსიანი. შესასვლელი კარიც ვიწრო იყო, კიბე ერთსაფეხურიანი. შენობა მართლაც ძალიან «მიყრუებულ ადგილას იდგა», როგორც ეს «როჩესტერთა გერბის» პატრონმა თქვა. გამოკეტილი ეკლესიის მდუმარება გამეფებულიყო იქ. მხოლოდ წვიმა ხმაურობდა ტყეში, ფოთლებზე.

_ ნუთუ აქ ცხოვრობენ? _ ვეკითხებოდი ჩემს თავს.

დიახ. აქაც შემოეღწია სიცოცხლეს. შემომესმა ხმაური. ვიწრო შესასვლელი კარი იღებოდა და ვიღაც გამოდიოდა შიგნიდან. კარი ნელ-ნელა გაიღო. ბინდბუნდში ვიღაც გამოვიდა და კიბეზე შეჩერდა. მამაკაცი იყო უქუდოდ. მან ხელი წინ გაიშვირა, თითქოს უნდოდა გაეგო, თუ წვიმდა. ბინდბუნდში მაინც ვიცანი ის _ ჩემი პატრონი, ედვარდ ფეიერფექს როჩესტერი.

ნაბიჯი შევანელე; სუნთქვა შემეკრა; შევჩერდი; მინდოდა მეცქირა. დავკვირვებოდი ერთხანს, და, ღმერთო ჩემო! ის ხომ ვერც დამინახავდა.

მოულოდნელად მოხდა ჩვენი შეხვედრა. ნეტარებას ტკივილიც ერთვოდა. კივილისაგან თავი ძლივს შევიკავე.

გარეგნულად კვლავ ღონიერი და ჯანმრთელი ჩანდა; სიარულიც გამართული ჰქონდა, თმა ყორანივით შავი. სახის ნაკვთები არც შეცვლოდა, არც ჩაცვენოდა. რაგინდ დიდი არ უნდა ყოფილიყო მისი მწუხარება ერთი წლის მანძილზე, მას არ შეეძლო ძალისაგან დაეცალა და მოესპო მისი ჯანმრთელობა. გამომეტყველება კი შეცვლოდა. სასოწარკვეთილება და ზრუნვა აღბეჭდვოდა სახეზე. გალიაში გამომწყვდეულ გააფთრებულ მხეცსა და გარეულ ფრინველს ჰგავდა, დარდისგან გულჩათხრობილს, ახლოს რომ ვერ გაეკარები. დატყვევებულ არწივს მივამგვანე, რომლის ელვარე თვალები ბოროტ ძალას შთაენთქა და სამსონივით დაებრმავებინა.

მკითხველო, ნუ ფიქრობთ, რომ ამ ბრმა, გაავებული ადამიანის მეშინოდა. თუ ასეა, მაშინ ვერ გიცნივართ. დარდი იმედმა გამიქარწყლა, თბილმა იმედმა, რომ მალე გავბედავდი და ვემთხვეოდი მის შემართულ შუბლს, ჯიუტად მოკუმულ ტუჩებს. თუმცა ჯერ არა. გადავწყვიტე, ერთხანს არ დავლაპარაკებოდი.

კიბე ჩამოიარა; ნელ-ნელა და ხელის ფათურით გაემართა მდელოსკენ. სადღა იყო მისი მტკიცე ნაბიჯები? მალე შეჩერდა, თითქოსდა არ იცოდა, რომელი გზით წასულიყო. ხელით ქუთუთოები აიწია, უხილავი მზერა დაძაბა, ცას მიაპყრო, მერე სახე მიაბრუნა ხეების მწკრივისაკენ, რომელიც თანდათან მაღლდებოდა. მისთვის ყველაფერი უკუნეთ სიბნელეს მოეცვა. მარჯვენა ხელი გაიწოდა (დასახიჩრებული მარცხენა ხელი მკერდში ჰქონდა ჩამალული), თითქოს სურდა ხელის შეხებით გაეგო, რა იყო მის გარშემო. მაგრამ ხელს მხოლოდ სიცარიელე შერჩა; მისგან ხეები რამდენიმე იარდით იყო დაშორებული. მეტი აღარ უცდია, ხელები მკერდზე დაიწყო და უდრტვინველად იდგა წვიმაში. წვიმა უსველებდა შიშველ თავს. ამ დროს საიდანღაც ჯონი გამოჩნდა და მიუახლოვდა.

_ ხომ არ დამეყრდნობით ხელზე, ბატონო, _ უთხრა მან. _ თავსხმაა. განა უმჯობესი არაა შინ შევიდეთ?

_ მარტო დამტოვე, _ გაისმა პასუხად.

ჯონი წავიდა. მე ვერ შემნიშნა. მისტერ როჩესტერი Aშეეცადა, მარტო გაევლო, მაგრამ ამაოდ: ფეხები არ ემორჩილებოდა. ხელის ფათურით კვლავ უკან, შენობისკენ გაბრუნდა. შევიდა და კარი მოხურა.

ახლა უკვე ახლოს მივედი სახლთან და დავაკაკუნე; ჯონის მეუღლემ გამომხედა.

_ მერი, _ წარმოვთქვი. _ გამარჯობათ, როგორ ხართ?

ის შეკრთა, თითქოს მის წინ აჩრდილი იდგა. დავამშვიდე. «ეს მართლა თქვენ ხართ, მის, ასე გვიან და თანაც ამ მიყრუებულ ადგილას?» მეუბნებოდა სულმოუთქმელად. პასუხად ხელი ჩამოვართვი და სამზარეულოში შევედით. ჯონი აგუზგუზებულ ბუხრის წინ იჯდა. რამდენიმე სიტყვით განვუმარტე, რომ ყველაფერი გავიგე, რაც მოხდა თორნფილდში ჩემი წასვლის შემდეგ.

ახლა მისტერ როჩესტერის სანახავად მოვედი-მეთქი, დავძინე. ვთხოვე ჯონს წასულიყო გზის პირას მდგარ სადარაჯო სახლში, სადაც ეტლი გავუშვი და იქ დატოვებული ბარგი მოეტანა. ქუდი მოვიხადე, შარფი შევიხსენი და მერის ვკითხე, შეიძლება ღამე გავათიო-მეთქი. როცა გავიგე, დარჩენა ძნელი იყო, მაგრამ მაინც შესაძლებელი, მაშ, დავრჩები-მეთქი, _ ვუთხარი.

სწორედ ამ დროს სასტუმროდან ზარის ხმა გაისმა.

_ როდესაც შეხვალთ, თქვენს ბატონს უთხარით, ვიღაცას თქვენთან ლაპარაკი უნდა-თქო, მაგრამ არ უთხრათ, რომ მე ვარ.

_ ვფიქრობ, არ მიგიღებთ, _ მიპასუხა მან. _ რადგანაც არავის ღებულობს.

როდესაც მერი დაბრუნდა, ვკითხე, რა თქვა.

_ უნდა შეატყობინოთ თქვენი გვარი და საქმე, რისთვისაც მოსულხართ.

შემდეგ ჭიქა წყლით აავსო და სანთლებთან ერთად სინზე დადო.

_ ამისთვის გეძახდათ? _ ვკითხე.

_ დიახ. ყოველთვის, როგორც კი დაბნელდება, სანთელს მანთებინებს, თუმცა ბრმაა.

_ მომეცით სინი, მე შევიტან.

სინი გამოვართვი. მერიმ სასტუმროს კარებთან მიმიყვანა. სინი თრთოდა. ჭიქიდან წყალი მეღვრებოდა, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. მან კარები გამიღო და, როცა ოთახში შევედი, კარი მომიხურა.

სასტუმრო ოთახში ბნელოდა. ბუხარში ცეცხლი უღიმღამოდ ენთო. ძველებურ მაღალ ბუხარს მიყრდნობოდა თავით ამ ოთახის ბრმა პატრონი. მისი ბებერი ძაღლი, პაილოტი, მისგან მოშორებით მოკუნტული იწვა, თითქოს ეშინოდა, რომ შემთხვევით არ დაედგათ ფეხი. პაილოტმა ჩემს შესვლისას ყურები ცქვიტა, შემდეგ ყეფითა და წკმუტუნით წამოხტა და ჩემკენ გამოექანა. კინაღამ სინი გამაგდებინა ხელიდან. როგორც იქნა, დავდე ის მაგიდაზე. ძაღლს მივეფერე და წყნარად ვუთხარი: «დაწექი». მისტერ როჩესტერი მისდა უნებურად მობრუნდა, რომ დაენახა, რაში იყო საქმე: მაგრამ, რადგანაც ვერაფერი დაინახა, მიბრუნდა და ამოიოხრა.

_ მომაწოდე წყალი, მერი, _ თქვა მან.

მივუახლოვდი ნახევრად სავსე ჭიქით. პაილოტი გამომყვა, ჯერ კიდევ შფოთავდა.

_ რაშია საქმე? _ იკითხა მან.

_ დაწექი, პაილოტ! _ კვლავ გავიმეორე.'

ტუჩებთან მიტანილი ჭიქა გაუშეშდა და სმენად იქცა. შემდეგ დალია და ჭიქა დადო.

_ ეს შენა ხარ, არა, მერი?

_ მერი სამზარეულოშია, _ ვუპასუხე.

სწრაფად გამოიწოდა ხელი, მაგრამ ვერ მხედავდა, სად ვიდექი და ამიტომ ვერ მომწვდა, «ვინ არის? ვინ არის?» კითხულობდა და თან, როგორც ჩანს, ცდილობდა _ დავენახე თავისი უსინათლო თვალებით. რა ამაო და

გულისმომკვლელი იყო ცდა! «მიპასუხეთ, კიდევ თქვით რამე!» _ მიბრძანა ხმამაღლა.

_ კიდევ ხომ არ ინებებთ წყალს, ბატონო? წყალი თითქმის სანახევროდ დავღვარე.

_ ვინ არის? რა არის? ვინ ლაპარაკობს?

_ პაილოტმა მიცნო; ჯონიმ და მერიმაც იციან, რომ მე აქ ვარ. მხოლოდ ამ საღამოს ჩამოვედი, _ ვუპასუხე.

_ ღმერთო ძლიერო! რა მემართება? რა მეჩვენება? რა ტკბილმა სიგიჟემ შემიპყრო!

_ არავითარი მოჩვენება, არც სიგიჟე. თქვენს გონებას მოჩვენება ვერაფერს დააკლებს; თქვენს სიმტკიცეს ვერას უზამს უგუნურება.

_ სად არის ის, ვინც ლაპარაკობს? თუ ეს მხოლოდ ხმაა? ოჰ, ვერ ვხედავ, მაგრამ უნდა ვიგრძნო, თორემ გული დაიმსხვრევა და გონს დავკარგავ. ვინა ხართ? რა ხართ? შემახეთ ხელი, თორემ მოვკვდები.

ის ხელის ფათურით გამოემართა. ხელი ვტაცე მის ხელს, რომელიც მეძებდა და ორივე ხელი მოვუჭირე.

_ სწორედ მისი თითებია! _ წამოიძახა მან. _ პატარა, ნაზი თითები! თუ ეს ასეა, მაშ თვითონაც აქ უნდა იყოს.

კუნთმაგარი ხელი გამომტაცა. მკლავზე მომკიდა, შემდეგ მხარზე, კისერზე, წელზე მომეხვია და მიმიზიდა.

_ ნუთუ ჯეინია? რა ხდება? ეს ხომ მისი სხეულია, ეს ხომ თვითონ არის.

_ და აი მისი ხმაც, _ დავუმატე, _ თვითონაც აქ არის და მისი გულიც. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ბატონო. როგორ მიხარია, რომ კვლავ თქვენ ახლოს ვარ.

_ ჯეინ ეარ! ჯეინ ეარ! _ მხოლოდ ამასღა ახერხებდა.

_ ჩემო ძვირფასო ბატონო, _ ვუპასუხე, _ ჯეინ ეარი ვარ. გიპოვეთ. დაგიბრუნდით.

_ მართლა? ცოცხალი ჯეინი დამიბრუნდა? თუ აჩრდილი მისი?

_ ხომ გრძნობთ შეხებას, ბატონო, აკი გულში მიკრავთ ასე მაგრად. განა მკვდარივით ცივი ვარ, ჰაერივით უხორცო?

_ ჩემი სიცოცხლე ჩემთანაა! ცოცხალია! ეს მართლაც მისი ხელებია. მისი ნაკვთები. მაგრამ ნუთუ შეიძლება ასეთი ნეტარება ამდენი უბედურების შემდეგ. არა, ეს სიზმარია. არაერთხელ დამსიზმრებია, როგორ ვიკრავდი გულში, აი, როგორც ახლა; ვკოცნიდი, აი ასე, _ ვგრძნობდი, რომ ვუყვარვარ და მჯეროდა, რომ არ მიმატოვებს.

_ მართლაც, არ მიგატოვებთ ამიერიდან, ბატონო.

_ არასოდეს მიგატოვებო, მოჩვენება ამბობს? მაგრამ მე ყოველთვის ვიღვიძებდი და ვგრძნობდი, რომ ეს მხოლოდ დაცინვა იყო. ისევ მარტო ვიყავი, მიტოვებული. ჩემი ცხოვრება წყვდიადია, უკაცრიელი და უიმედო; ჩემი სული ამაოდ მწყურვალია და წყალი აკრძალული აქვს; ჩემი გული მაშვრალია და ვერასოდეს ვერ მოიკლავს შიმშილს. ნაზი, ჰაეროვანი არსება

ახლა ჩემს მკლავებში ჩახვეული, გამიფრინდება ისევე, როგორც შენი დები გამიფრინდნენ ადრე. მაგრამ, ვიდრე წახვალ, მომეხვიე, ჯეინ, მაკოცე.

_ აი, ბატონო, აი.

ტუჩებით დავეკონე მის ერთ დროს ელვარე, მაგრამ ახლა უკვე ჩამქრალ თვალებს, თმა გადავუწიე და შუბლზე ვაკოცე. უცებ თითქოს გამოფხიზლდა, დარწმუნდა, რომ ყოველივე ნამდვილი იყო.

_ ნუთუ ეს შენა ხარ, ჯეინ? ნუთუ დამიბრუნდი?

_ მე ვარ.

_ მაშ, თხრილში ან წყალში არ გდიხარ მკვდარი? უცხოთა შორის არ დაეხეტები, როგორც გაძევებული.

_ არა, ბატონო, დამოუკიდებელი ადამიანი ვარ ახლა.

_ დამოუკიდებელი? რას ნიშნავს ეს, ჯეინ?

_ ბიძაჩემი, რომელიც მადეირაში ცხოვრობდა, გარდაიცვალა და ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგი დამიტოვა.

_ აი, ეს უკვე სინამდვილეა. ეს ცხადია, _ წამოიძახა მან. _ ეს ვერ დამესიზმრებოდა. გარდა ამისა, ეს მისი ხმაა, ასე მხნე და ამაღელვებელი, თანაც ნაზი, ჩემს დაფერფლილ გულს მალამოდ რომ ედება, სიცოცხლეს უბრუნებს. მაშ, ჯენეტ, დამოუკიდებელი ქალი ხართ? მდიდარი?

_ საკმაოდ მდიდარი, ბატონო. თუ ნებას არ მომცემთ თქვენთან ერთად ვიყო, მაშინ ავიშენებ ჩემს საკუთარ სახლს თქვენთან სულ ახლოს და საღამოობით, როდესაც მარტოობა მოგწყინდებათ, მოხვალთ და ჩემთან იქნებით.

_ მაგრამ მდიდარი ხართ, ჯეინ, და, უდავოა, მეგობრებიც გყავთ, რომლებიც თქვენზე ზრუნავენ და არ დაუშვებენ, რომ თავი შესწიროთ ჩემსავით ბრმას და ხეიბარს.

_ ხომ გითხარით, რომ არავისზე ვარ დამოკიდებული-მეთქი, ბატონო, და თანაც მდიდარი გახლავართ და საკუთარი თავის ბატონ-პატრონი.

_ და ჩემთან დარჩებით?

_ დიახ. თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით, თქვენი მეზობელი მინდა ვიყო, თქვენი მომვლელი, თქვენი მნე. ვხედავ, რომ მარტო ხართ. მინდა, თქვენი მეგობარი ვიყო - წაგიკითხოთ, ვისეირნოთ ერთად, ერთად ვისხდეთ, მოგიაროთ, ვიყო თქვენი თვალი და ხელი. ასე სევდიანი ნუ ხართ, ჩემო ძვირფასო ბატონო. ვიდრე პირში სული მიდგას, მარტო არ დაგტოვებთ.

არაფერი მიპასუხა, როგორც ჩანს, რაღაც სერიოზულმა, შავმა ფიქრებმა გაიტაცა. შემდეგ ამოიოხრა. ოდნავ გახსნა ბაგე, თითქოს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ კვლავ მოკუმა. მღელვარება ვიგრძენი. იქნებ სიჩქარისაგან წესიერად ვერ მოვიქეცი და მასაც სენტ-ჯონივით არ მოეწონა ჩემი ასეთი დაუფიქრებელი ლაპარაკი. იმიტომ ვთავაზობდი ყოველივე ამას, რომ მას გასჩენოდა სურვილი და თავისი ნებით ეთხოვა ჩემთვის ცოლად გავყოლოდი. მიუხედავად მისი მდგომარეობისა, მაინც დარწმუნებული ვიყავი და რაღაც იმედი მამხნევებდა, რომ ის თავის უფლებებს წამომიყენებდა, მისი ვყოფილიყავი. მაგრამ რადგან ერთი გადაკრული სიტყვაც კი არ დასცდენია

ამის შესახებ და გამომეტყველებაც უფრო სევდიანი გაუხდა, მოულოდნელად თავში აზრმა გამიელვა, ხომ არ შევცდი და ჩემდა უნებურად სულელურ მდგომარეობაში ჩავვარდი-მეთქი. ნაზად შევეცადე თავი გამეთავისუფლებინა მისი მკლავებისგან, მაგრამ მან უფრო მაგრად მიმიკრა.

_ არა, არა, ჯეინ, არ უნდა წახვიდეთ. ძლივს გიგრძენით, ძლივს მესმის თქვენი ხმა; თქვენმა აქ ყოფნამ შვება მაგრძნობინა; თქვენგან ვიგემე ნუგეშის სიტკბოება. ვერ დავთმობ ამ სიხარულს. ჩემს გულში აღარაფერი დარჩა თქვენ გარდა. თქვენ უნდა იყოთ ჩემთან. დეე, ყველამ დამცინოს, მიწოდოს სულელი, ეგოისტი, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას ჩემთვის. ჩემი სული გიხმობთ და უნდა დაკმაყოფილდეს კიდეც, თორემ საშინლად იძიებს შურს თავის უსულო ჩონჩხზე.

_ კარგით, ბატონო. დავრჩები თქვენთან. ხომ გითხარით კიდეც.

_ მაგრამ ამ დარჩენაში თქვენ ერთს გულისხმობთ და მე _ მეორეს. თქვენ, როგორც ჩანს, გადაწყვიტეთ იყოთ ჩემი თვალი და ხელი, პატარა კეთილი მომვლელი (თქვენ ხომ მოსიყვარულე გულისა და მაღალი სულის პატრონი ხართ) და ამან მე, ცხადია, შვება უნდა მაგრძნობინოს. ჩემი აზრით, ახლა მე თქვენდამი მამობრივი გრძნობები უნდა მქონდეს მხოლოდ. ასე ფიქრობთ, არა? აბა მითხარით.

_ როგორც თქვენ გსურთ, ისე ვიფიქრებ, ბატონო, სიამოვნებით ვიქნები თქვენი მომვლელი, თუ ასე გნებავთ.

_ მაგრამ მთელი თქვენი სიცოცხლე ხომ არ იქნებით ჩემი მომვლელი. ახალგაზრდა ხართ და ოდესმე ხომ უნდა გათხოვდეთ.

_ გათხოვება არ მადარდებს.

_ მაგრამ უნდა იფიქროთ, ჯენეტ. მე რომ ისეთივე ვყოფილიყავი, როგორც ერთ დროს, გაიძულებდით, რომ გეფიქრათ ამაზე. მაგრამ ახლა _ უსინათლო კუნძი ვარ!

კვლავ სევდამ დაუღარა სახე. მე კი, პირიქით, გულზე მომეშვა და მხნეობა შემმატა. ამ ბოლო სიტყვებით მივხვდი, რაშიც იყო სიძნელე და რადგანაც ამას სრულებით არ ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა ჩემთვის, წინანდელი ჩემი აღელვება გაქრა. საუბარი უფრო მხიარულად განვაგრძე.

_ ახლა კი დროა, ვინმემ იზრუნოს და ადამიანის იერი დაგიბრუნოთ, _ ვთქვი მე, და თან გრძლად ჩამოზრდილი თმები შუბლზე გადავუყავი. _ როგორც ვხედავ, ლომად ქცეულხართ. მინდვრად გაჭრილ ნაბუქოდონოსორს მაგონებთ. თმა არწივის ფრთებივით გაგიშლიათ და, ვგონებ, ფრჩხილებიც ფრინველთა ბრჭყალებს მიგიგავთ. ვნახო...

_ ამ მკლავზე არც ხელის მტევანი მაქვს და არც ფრჩხილები, _ თქვა მან. დამახინჯებული ხელი ხალათიდან გამოიღო და მაჩვენა, _ მხოლოდ ხელის მონარჩენი. საშინელი სანახავია არა, ჯეინ?

_ როგორ მტკივა გული, თქვენს მკლავს რომ ვხედავ, თქვენს თვალებს რომ ვუყურებ. სახიფათოა ამის გამო მეტისმეტად შეუყვარდეთ ადამიანს და გაგანებივროთ.

_ მე კი მეგონა, ზიზღს იგრძნობდით, ჯეინ, ჩემი მკლავისა და სახის ნაიარევის დანახვაზე.

_ მართლა? ასე ნუ მეტყვით, თორემ მე თქვენზე ცუდი აზრი შემექმნება. ახლა კი ნება მომეცით, ცოტა ხნით დაგტოვოთ, ბუხარი გავაწმენდინო და დავაგუზგუზო. გამოიცნობთ, სად ენთება ცეცხლი?

_ დიახ. მარჯვენა თვალით ვამჩნევ სინათლეს, _ ბუნდოვან წითელ ლაქას.

_ ხედავთ სანთლებს?

_ ძალიან ბუნდოვნად. თითოეული თითქოს ნათელი ღრუბელიაო.

_ მხედავთ მე?

_ ვერა, ჩემო ფერია. მაგრამ როგორი მადლობელი ვარ, რომ მესმის თქვენი ხმა და გეხებით.

_ რა დროს ვახშმობთ ხოლმე?

_ არ ვვახშმობ.

_ ამ საღამოს კი ივახშმებთ. მეც მშია და დარწმუნებული ვარ, თქვენც. მაგრამ, ალბათ, დაგავიწყდათ.

მერის დავუძახე და ოთახს მალე უფრო მხიარული იერი მივეცით. მისტერ როჩესტერსაც მოვუმზადე გემრიელი საჭმელი. სული სიხარულით თრთოდა. თავისუფლად და გულახდილად ვსაუბრობდით და თან ვახშამს შევექცეოდით. ვახშმის შემდეგაც კარგა ხანს ვიბაასეთ. ან რატომ უნდა ვყოფილიყავი გულჩახვეული, რად უნდა დამეფარა სიხარული და ბედნიერება. თავს კარგად ვგრძნობდი; ვიცოდი, მოვწონდი; რაც არ უნდა მეთქვა, რაც არ უნდა გამეკეთებინა, ამშვიდებდა და სიცოცხლეს მატებდა მას. რა სასიამოვნო შეგრძნებაა! ამან მთელი ჩემი არსება ხალისით და სინათლით აავსო. ერთმანეთის სიახლოვით სრულყოფილი გავიხადეთ სიცოცხლე. მიუხედავად იმისა, რომ ბრმა იყო, ღიმილი დასთამაშებდა სახეზე; სიხარული გამოსჭვიოდა მისი შუბლიდან; რბილი და თბილი გაუხდა სახის ნაკვთები.

ვახშმის შემდეგ უამრავი რამ მკითხა; სად ვიყავი, რას ვაკეთებდი, როგორ ვიპოვე ის. კითხვებზე მოკლედ ვპასუხობდი. უკვე გვიან იყო და დაწვრილებით ვერ მოვყვებოდი. გარდა ამისა, არ მინდოდა შევხებოდი მგრძნობიარე, მტკივნეულ ადგილს. ვშიშობდი, ხელმეორედ არ ამეფორიაქებინა მისი სული. ახლა ჩემი ერთადერთი მიზანი იყო, გამემხნევებინა ის. შევძელი კიდეც. როგორც ვთქვი, მისტერ როჩესტერი ჩინებულად გრძნობდა თავს. მაგრამ დროდადრო, როგორც კი გავჩუმდებოდი, აწრიალდებოდა, ხელს შემახებდა. «ჯეინ», _ მეძახდა.

_ მოჩვენება ხომ არა ხართ? ხომ ნამდვილად აქა ხართ?

_ ნამდვილად, მისტერ როჩესტერ.

_ ასე უეცრად როგორ აღმოჩნდით ამ ჩემს განმარტოებულ ბინაში ასეთ ბნელსა და პირქუშ საღამოს? როგორ მოხდა, რომ ხელი მოსამსახურისკენ გავიშვირე ჭიქის გამოსართმევად და ეს ჭიქა თქვენ მომაწოდეთ? ჩემს კითხვაზე ჯონის მეუღლის პასუხს ველოდი და ჩემს ყურთან გაისმა თქვენი ხმა?

_ იმიტომ, რომ მერის ნაცვლად მე შემოვედი სინით ხელში.

_ რამდენი სიამეა ამ საათებში, როდესაც თქვენთან ერთად ვარ. როგორი შავბნელი, მწუხარე და უიმედო იყო ჩემი ცხოვრება გასულ თვეებში. არაფერს ვაკეთებდი, არაფერს ველოდი; ღამეს დღისგან ვერ ვარჩევდი. ვგრძნობდი მხოლოდ სიცივეს, როდესაც ცეცხლი გაქრებოდა ბუხარში; შიმშილს, როდესაც მავიწყდებოდა ჭამა, სევდა არ მცილდებოდა. დროდადრო კი ვბობოქრობდი, გაშმაგებით მსურდა კვლავ შევხებოდი ჩემს ჯეინს. დიახ, მისი დაბრუნება უფრო მენატრებოდა, ვიდრე მხედველობის. ახლა კი, როგორ მოხდა, რომ ჯეინი ჩემთანაა და ამბობს, რომ ვუყვარვარ? მპირდება, რომ ისევე უეცრად არ მიმატოვებს, როგორც მოვიდა? შიში მიპყრობს, ვაითუ ჩემი ჯეინი ხვალ ვეღარ ვიპოვო-მეთქი.

დარწმუნებული ვიყავი, ასეთ დროს ყველაფერზე მეტად უბრალო, ჩვეული პასუხები დაარწმუნებდა მას, ეჭვებს გაუფანტავდა და მდგომარეობიდან გამოიყვანდა. ხელი გადავუსვი წარბებზე და შევნიშნე, რომ შეტრუსული ჰქონდა. საჭიროა, რამე ვიღონო, _ გავიფიქრე, _ რომ გაიზარდოს და კვლავ დაიბრუნოს შავი ფერი-მეთქი.

_ რატომ ცდილობთ ჩემთვის კარგის გაკეთებას, ჩემო მფარველო კეთილო სულო, თუკი საბედისწერო ჟამს კვლავ მიმატოვებთ, აჩრდილივით გაუჩინარდებით? ვერც გავიგებ, სად წახვედით, ან ისევ მიუწვდომელი იქნებით.

_ ჯიბის სავარცხელი ხომ არ გაქვთ თან, ბატონო?

_ რად გინდათ, ჯეინ?

_ რომ ეს აწეწილი შავი ფაფარი დაგივარცხნოთ. ახლომოსულ ადამიანს შეაშინებთ. თქვენი სიტყვებით მე ფერია ვარ. მაშ თქვენ ტყის მეფე იქნებით.

_ ასე საშიში ვარ, ჯეინ?

_ ძალიან, ბატონო. ყოველთვისაც ასეთი იყავით. განა თქვენ თვითონ არ იცით?

_ ჰმ! არ ვიცი, სად ცხოვრობდით, მაგრამ ვხედავ, ეშმაკობა არ დაგიკარგავთ.

_ მე კი ძალიან კარგ ხალხთან ვცხოვრობდი. თქვენზე გაცილებით უფრო კარგ ადამიანებთან. ასჯერ უფრო კარგებთან. მთელ ცხოვრებაში არასოდეს არ გქონიათ მათსავით დახვეწილი და ამაღლებული აზრები.

_ ეშმაკმა დალახვროს ისინი. ვისთან ცხოვრობდით?

_ თუ არ გაჩერდებით წყნარად, თმას დაგაწიწკნით, და მაშინ ხომ დარწმუნდებით, რომ ნამდვილი ადამიანი ვარ.

_ ვისთან ცხოვრობდით, ჯეინ?

_ ამ საღამოს ამას ვერ გაიგებთ, ბატონო. ხვალამდე უნდა მოითმინოთ. იცით, დაუმთავრებელი მოთხრობა იმის გარანტიას მოგცემთ, რომ ხვალ საუზმეზე გამოვჩნდები და დავამთავრებ. მართლა, უნდა ვიზრუნო, თქვენს ოთახში მხოლოდ ჭიქა წყლით კი არ შემოვიტანო, არამედ მოგიტანოთ კვერცხები, რომ არაფერი ვთქვა შემწვარ ლორზე.

_ დამცინავო არსებავ, ფერიად დაბადებულო და ადამიანურად აღზრდილო. უკვე თორმეტი თვე გავიდა, გული ასე არ ამძგერებია. მეფე საულს რომ თქვენ ჰყოლოდით დავითის ნაცვლად, ქნარის დაუხმარებლადაც განდევნიდა ბოროტ სულს.

_ აბა, სერ, უკვე სუფთად და კოხტად ხართ გამოწყობილი და დაგტოვებთ. ეს სამი დღეა გზაში ვარ და, ვგონებ, ძალიან დავიღალე. ღამე მშვიდობისა.

_ მხოლოდ ერთი სიტყვა, ჯეინ. მხოლოდ ქალები იყვნენ იქ, სადაც თქვენ ცხოვრობდით?

გამეცინა და გავიქეცი. კიბეებზე რომ ავდიოდი, მაშინაც მეცინებოდა. «კარგი აზრია», _ ვფიქრობდი მხიარულად. «როგორც ჩანს, ამ ეჭვიანობით შევძლებ გამოვიყვანო ის თავისი მელანქოლიური მდგომარეობიდან, ყოველ შემთხვევაში, ცოტა ხნით მაინც».

დილით ადრე გავიგონე, როგორ ადგა ის და ოთახებში დაბორიალობდა. ჩავიდა თუ არა მერი დაბლა, მისტერ როჩესტერმა ჰკითხა: მის ეარი აქ არისო? და შემდეგ დაუმატა: რომელ ოთახში დააბინავეთ? ნესტიანი ხომ არ არის? ადგა? წადით და ჰკითხეთ, ხომ არაფერი სურს? და როდის ჩამოვა ძირს?

ძირს ჩავედი, როდესაც ვიფიქრე, საუზმის დრო არის-მეთქი. ოთახში შევედი და ვიდრე ის გაიგებდა ჩემს შესვლას, შევათვალიერე. მართლაც, სავალალო სანახავი იყო, თუ როგორ დაემორჩილებინა ეს ძლიერი სული ფიზიკურ უძლურებას. თავის სავარძელში წყნარად იჯდა, მაგრამ ეტყობოდა, ვერ ისვენებდა; ვიღაცას ელოდა. სევდა, რომელიც ესოდენ ჩვეული გამხდარიყო მისთვის, კიდევ უფრო ნათელს ხდიდა მის ძლიერ ნაკვთებს. ეს გამომეტყველება მაგონებდა ჩამქრალ ნათურას, რომელიც კვლავ ელოდა ანთებას. მაგრამ, ვაი, რომ თვით აღარ შესწევდა ძალა აეგიზგიზებინა ეს ცხოველმყოფელი ცეცხლი; სხვაზე იყო დამოკიდებული. მინდოდა მხიარული და უზრუნველი სახე მქონოდა, მაგრამ ამ ძლიერი ადამიანის უმწეობამ გული მომიკლა. მაინც შეძლებისდაგვარად მხიარულად მივმართე:

_ ნათელი, მზიანი დილაა, ბატონო, წვიმამ გადაიღო და მშვენიერი დღეა. მალე უნდა გაისეირნოთ.

მასში თითქოს სიცოცხლემ იელვა. ნაკვთები გაუნათა.

_ ოჰ, თქვენ მართლაც აქ ყოფილხართ, ჩემო ტოროლა. მოდით ჩემთან. მაშ, არ წახვედით? არ გამიფრინდით? ამ ერთი საათის წინ გავიგონე, როგორ თქვენსავით გალობდა ტოროლა ტყეში, მაგრამ არც ის იყო საამო ჩემთვის და არც ამომავალი მზის სხივები. ამქვეყნად ყველა სასიამოვნო მელოდიას მხოლოდ ჯეინის ბაგეთაგან თუ გავიგებ (როგორ მიხარია, რომ ბუნებით ის ჩუმი არ არის); მზე ჩემთვის მაშინ ანათებს , როცა ის ჩემთანაა.

ცრემლებით ამევსო თვალები, როდესაც გავიგონე მისი აღსარება. როდესაც მივხვდი, რაოდენ იყო ის ჩემზე დამოკიდებული. კლდეზე მიჯაჭვულ მედიდურ არწივს ჰგავდა, რომელიც იძულებულია ბეღურას სთხოვოს მეურვეობა. მაგრამ მტირალა არ უნდა ვიყო. ცრემლები მოვიწმინდე და ფუსფუსით საუზმის მომზადებას შევუდექი.

თითქმის მთელი დილა გარეთ დავყავით. ნოტიო და დაბურული ტყიდან ნათელ მინდორზე გავედით. ავუწერე, როგორი დიდებული მწვანე სამოსი ჩაეცვათ მინდვრებს; ყვავილები და ცოცხალი ღობეები აყვავებულიყვნენ. თავზე ლაჟვარდოვანი ცა დაგვყურებდა. მოვუძებნე მყუდრო და მშვენიერი ადგილი. მშრალ მორზე დავსვი. უარი არ მითქვამს მის მუხლზე დავმჯდარიყავი. ან რატომ უნდა მეთქვა, როდესაც ორივენი თავს ერთად უფრო ბედნიერად ვგრძნობდით, ვიდრე ცალ-ცალკე. პაილოტიც იქვე იყო. ირგვლივ ყველაფერი დუმდა. მისტერ როჩესტერმა ეს სიჩუმე დაარღვია და თან გულში ჩამიკრა.

_ გულქვა, გულქვა მოღალატევ! ოჰ, ჯეინ, ვერ გადმოგცემთ, რა დამემართა, როდესაც გავიგე, რომ თორნფილდი მიატოვეთ და ვეღარსად გიპოვიდით. თქვენი ოთახის დათვალიერების შემდეგ დავრწმუნდი, თან არც ფული წაგეღოთ და არც სხვა ძვირფასი ნივთი, რომელიც გამოგადგებოდათ. მარგალიტების მანიაკი, მე რომ მოგეცით, ხელუხლებლად იდო ბუდეში. ჩემოდნები დაკეტილი და თასმებგადაჭერილი ისევ იქ იდგა, სადაც დავდგით საქორწინო მოგზაურობის წინ. რა ეშველება ჩემს სიყვარულს, _ ვეკითხებოდი ჩემს თავს. _ ასე მარტოდ რომ არის და თან უგროშოდ? რას აკეთებს ნეტავ? აბა მითხარი, რას აკეთებდა?

თხოვნაზე უარი არ მითქვამს და ვუამბე, თუ რა გადამხდა თავს ამ ერთ წელს. შედარებით რბილად მოვუყევი პირველი სამი დღის ხეტიალსა და შიმშილზე. რა საჭირო იყო ზედმეტი ტკივილი გამომეწვია მასში. მაგრამ ის ცოტაც საკმარისი აღმოჩნდა ამ წრფელი გულის ასაფორიაქებლად.

ასე როგორ მიმატოვეო, _ მითხრა მან: _ ასე უსახსროდ როგორ წახვედიო. უნდა გეთქვა რას აპირებდი; უნდა გქონოდა ჩემი ნდობა. არასოდეს ძალას არ დაგატანდი ჩემი მეუღლე გამხდარიყავი. მწარე ნაღველი მაგიჟებდა. ნამდვილად იმდენად მიყვარდი და ისე ფაქიზად, რომ არასოდეს ძალას არ დაგატანდი, არ გაგაწამებდი. მთელი ჩემი ქონების ნახევარს მოგცემდი და ერთ კოცნასაც არ მოგთხოვდიო სანაცვლოდ. ოღონდ ამ ვრცელს ქვეყანაზე ასე უმეგობროდ არ დაგეტოვებინეო. ალბათ უფრო მეტი გადაიტანე, ვიდრე მითხარიო. _ მეუბნებოდა.

_ ჰოდა, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ჩემი ტანჯვა, ის მეტად ხანმოკლე იყო, _ ვუპასუხე. შემდეგ კი მოვუყევი, როგორ მიმიღეს მურჰაუსში და როგორ დავიწყე სოფლის მასწავლებლად მუშაობა; როგორ ბედზე მომისწრო იმ ამბავმა, რომ მემკვიდრეობით ქონება დამიტოვეს; როგორ ვიპოვე ნათესავები. რასაკვირველია, თხრობის დროს ხშირად ვახსენებდი სენტ-ჯონის სახელს. როგორც კი ამბავი დავამთავრე, მისტერ როჩესტერი კვლავ დაუბრუნდა ამ სახელს.

_ მაშ, ეს სენტ-ჯონი შენი მამიდაშვილია?

_ დიახ.

_შენ მას ხშირად ახსენებ, ხომ არ მოგწონდა?

_ ის შესანიშნავი ადამიანია, ბატონო. აბა, როგორ არ უნდა მომწონდეს.

_ კარგი ადამიანი! ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ეს ზრდილი და ღირსეული კაცი ორმოცდაათამდე წლისაა. ამიხსენით, რას ნიშნავს?

_ სენტ-ჯონი მხოლოდ ოცდაცხრა წლისაა, ბატონო.

_ Jeune encore, _ როგორც ფრანგები ამბობენ. _ ალბათ დაბალი, ფლეგმატური და ულამაზო ადამიანია? მისი სიკარგე ალბათ იმაში გამოიხატება, რომ ცოდვები არ მიუძღვის, და არა ღვთით მონიჭებულ დახვეწილობაში.

_ ეს დაუშრეტელი ენერგიის ადამიანია; დიადსა და ამაღელვებელ საქმეებს ესწრაფვის.

_ მაგრამ ჭკუა? ალბათ ამ მხრივ ვერ გამოირჩევა, არა? კარგი აზრები აქვს, მაგრამ იმდენად უაზროდ გამოთქვამს, რომ ვერაფერს გაიგებთ.

_ ბევრს არ ლაპარაკობს, ბატონო, მაგრამ, რასაც ამბობს, ზუსტად ამბობს. შესანიშნავი ჭკუა-გონება აქვს. იქნებ, ბრწყინვალე არა, მაგრამ უდავოდ ღრმა.

_ მაშ, ის ნიჭიერი ადამიანია?

_ ნამდვილად.

_ მეტად განვითარებული?

_ სენტ-ჯონი დიდად ნასწავლი და განათლებული ადამიანია.

_ მაგრამ, ვგონებ, თქვი, რომ საქციელი არ მოგწონდა? ნამდვილი მღვდელია და პედანტი.

_ არაფერი მითქვამს მის საქციელზე. მაგრამ თუ არ მომეწონა, მაშ, ცუდი გემოვნება მქონია. ქცევა მეტად დახვეწილი, მშვიდი და ჯენტლმენის შესაფერი აქვს.

_ გარეგნობა? დამავიწყდა, როგორ ამიწერე. ვგონებ, საბრალო დიაკონია, არა? მაგრად მოჭერილი თეთრჰალსტუხიანი, სქელძირიანი მაღალყელიანი ფეხსაცმელებით, არა?

_ სენტ-ჯონი კოხტად იცვამს. ლამაზი მამაკაცია: მაღალი, ქერა, ცისფერი თვალებითა და ბერძნული პროფილით.

_ (გვერდზე) ეშმაკმა დალახვროს. _ (შემდეგ მე მომიბრუნდა), _ მოგწონდა, ჯეინ?

_ დიახ, მისტერ როჩესტერ. მომწონდა, მაგრამ მეორედ მეკითხებით ამას უკვე.

რასაკვირველია, მივხვდი, რაზე ფიქრობდა ჩემი თანამოსაუბრე. ეჭვიანობის გრძნობამ იმძლავრა მასში. ეს გრძნობა უსერავდა გულს. მაგრამ, ერთი მხრივ, კარგიც იყო, რადგან ამით ჭიასავით მღრღნელ სევდის ბორკილებს დროებით მაინც აღწევდა თავს. ამიტომაც არ მინდოდა მაშინვე მომეთოკა ეჭვიანობის გველი.

_ ჩემი კალთიდან ხომ არ ჩახვალთ, მის ეარ? _ გავიგონე სრულიად მოულოდნელი კითხვა.

_ რატომ, მისტერ როჩესტერ?

_ ეს-ეს არის ამიწერეთ ადამიანი, რომელიც სრულიად განსხვავდება ჩემგან და ძალიან კარგადაც დამიხატეთ მშვენიერი აპოლონი. თქვენი გონება მას

დაუპყრია: მაღალი, ქერა, ცისფერთვალება ადამიანი ბერძნული პროფილით. აქ კი თქვენ უყურებთ ვულკანს. ამ ნამდვილ მჭედელს, შავგვრემანს, ფართომხრებიანს; და, ამასთანავე, ბრმასა და კოჭლს.

_ არასოდეს მიფიქრია წინათ ამაზე. მართლაც რომ ვულკანს ჰგავხართ, ბატონო.

_ ჰოდა, შეგიძლიათ წახვიდეთ, მადამ. მაგრამ ვიდრე დამტოვებთ (აქ მან უფრო მძლავრად მომხვია ხელები), ხომ არ მიპასუხებდით ერთ-ორ კითხვაზე? _ აქ ის შეჩერდა.

_ რა კითხვაზე, მისტერ როჩესტერ?

ამჯერად მან მომიწყო დაკითხვა.

_ ვიდრე სენტ-ჯონი გაიგებდა, რომ თქვენ მისი ბიძაშვილი ხართ, მანამდე შემოგთავაზათ სკოლაში მასწავლებლობა?

_ დიახ.

_ ალბათ ხშირად ხვდებოდით მას. იქნებ ზოგჯერ მოდიოდა კიდეც თქვენთან სკოლაში?

_ ყოველდღე.

_ ალბათ იზიარებდა თქვენს გეგმებს, ჯეინ? დარწმუნებული ვარ, ჭკვიანური გეგმები გქონდათ; თქვენ ხომ ნიჭიერი ადამიანი ხართ.

_ დიახ, იზიარებდა.

_ და აღმოაჩინა ბევრი რამ თქვენში, რასაც არ მოელოდა? თქვენ ხომ არაჩვეულებრივი თვისებები გაქვთ.

_ რა მოგახსენოთ.

_ თქვენ ამბობთ, რომ სკოლასთან ახლოს იყო თქვენი კოტეჯი. მოსულა სენტ-ჯონი თქვენთან სახლში?

_ დროდადრო.

_ საღამოობით?

_ ერთხელ თუ ორჯერ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

_ რამდენ ხანს დარჩით მის დებთან და მასთან, როდესაც გაიგეთ, რომ ნათესავები ხართ?

_ ხუთი თვე.

_ რივერსი ბევრ დროს ატარებდა თქვენთან?

_ დიახ. უკანა ოთახი მისი სამეცადინო ოთახი იყო და, აგრეთვე, ჩვენიც. ის ფანჯარასთან იჯდა ხოლმე და ჩვენ _ მაგიდასთან.

_ ბევრს სწავლობდა?

_ ძალიან.

_ რას?

_ ურდუს.

_ თქვენ რას აკეთებდით ამ დროს?

_ პირველად გერმანულს ვსწავლობდი.

_ მან გასწავლათ?

_ არა. მან გერმანული არ იცის.
_ არაფერი უსწავლებია?
_ ცოტა ურდუ მასწავლა.
_ მისტერ რივერსი გასწავლიდათ ურდუს?
_ დიახ, ბატონო.
_ თავის დებსაც?
_ არა.
_ მხოლოდ თქვენ?
_ მხოლოდ მე.
_ თქვენ სთხოვეთ?
_ არა.
_ მას უნდოდა, რომ ესწავლებინა?
_ დიახ.
კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.
_ რატომ მოინდომა? რაში გამოგადგებოდათ ურდუ?
_ მას სურდა ინდოეთში წავყოლოდი.
_ აა! აი, ახლა მივაგენი საქმის ვითარებას. მას უნდოდა თქვენი ცოლად შერთვა?
_ მთხოვა, ცოლად გავყოლოდი.
_ ეს სიცრუეა. უსირცხვილოდ იგონებთ რაღაცას, რომ გამაბრაზოთ.
_ მომიტევეთ, ბატონო, მაგრამ ეს სრული ჭეშმარიტებაა. ერთხელ და ორჯერ არ მთხოვა ცოლად გავყოლოდი და ისე მტკიცედ ცდილობდა თავის მიზნის მიღწევას, როგორც ეს თქვენ გჩვევიათ ხოლმე.
_ მის ეარ, კვლავ გიმეორებთ: შეგიძლიათ დამტოვოთ. რამდენჯერ უნდა გითხრათ ერთი და იგივე? რატომ მოკალათებულხართ ჩემს მუხლებზე ასე ჯიუტად, მაშინ, როდესაც გითხარით, დამტოვეთ-მეთქი.
_ იმიტომ, რომ ძალიან კარგად ვგრძნობ თავს აქ.
_ არა, ჯეინ. აქ არა გრძნობთ თავს კარგად, რადგან თქვენი გული აქ არ არის; ის თქვენს მამიდაშვილთანაა, _ იმ სენტ-ჯონთან. აქამდე მეგონა, რომ ჩემი პატარა ჯეინი მხოლოდ მე მეკუთვნოდა! მჯეროდა, რომ მას ვუყვარდი, მიუხედავად იმისა, რომ მიმატოვა. ეს იყო ნეტარების წვეთი ტანჯვის ზღვაში. ვიდრე შორს იყავით, ვიდრე მწარედ დავტიროდი ჩვენს სიშორეს, ერთი წუთითაც არ მიფიქრია, რომ ის, ვისაც მე ვიგლოვდი, სხვას შეიყვარებდა! მაგრამ ახლა ამაოა გლოვა. ჯეინ, დამტოვეთ: წადით და გაჰყევით რივერსს.
_ გადმომაგდეთ მაშ, ბატონო, გამაგდეთ, რადგან ჩემი ნებით არსად წავალ.
_ ჯეინ, როგორ მიყვარს თქვენი ხმა. ის კვლავ იმედს მაძლევს, ისე მართალია. ამ ხმას ერთი წლით უკან გადავყავარ. მავიწყდება, რომ სხვა მოვალეობანი გაძევთ. მაგრამ არა. სულელი არა ვარ. წადით.
_ სად უნდა წავიდე, ბატონო?
_ თქვენი გზით. წადით თქვენ მიერ ამორჩეულ მეუღლესთან.
_ ვინ არის ჩემი მეუღლე?

_ თვითონ იცით. სენტ-ჯონ რივერსია.

_ ის ჩემი მეუღლე არ არის, არც იქნება არასოდეს. მას არ ვუყვარვარ, არც მე მიყვარს. მას უყვარს (თუკი მას შეუძლია სიყვარული და ეს სიყვარული თქვენი სიყვარულისგან მთლიანად განსხვავდება) მშვენიერი ახალგაზრდა ლედი, სახელად როზამონდა. სენტ-ჯონს ჩემი ცოლად შერთვა უნდოდა მხოლოდ იმიტომ, რომ, მისი აზრით, მისიონერის ცოლად მე გამოვდგებოდი და არა როზამონდა. ის კეთილი და დიადია, მაგრამ მკაცრი; ხოლო ჩემთვის აისბერგივით ცივი. თქვენგან ის სრულიად განსხვავდება, ბატონო. მე არ ვიქნები ბედნიერი მის გვერდით, არც მის ახლოს, არც მასთან. მას ჩემთვის არც სითბო აქვს, არც სიყვარული. ვერაფერს ხედავს ჩემში მიმზიდველს; თვით ახალგაზრდობასაც კი. ის ჩემში ხედავს მხოლოდ გონებას. მაშ, უნდა დაგტოვოთ, ბატონო, და წავიდე მასთან?

უნებურად გამაჟრჟოლა და ინსტინქტურად უფრო ჩავეკარი ჩემს ბრმასა და მაინც მეტად საყვარელ პატრონს. მან გაიღიმა.

_ როგორ, ჯეინ! ეს მართალია? მართლა ასეა საქმე თქვენსა და რივერსს შორის?

_ ნამდვილად, ბატონო. ოჰ, ბატონო, რაში გჭირდებათ ეჭვიანობა! მინდოდა ოდნავ გამეწვალებინეთ, რომ სევდა დაგეძლიათ. მეგონა ნაღველზე უფრო სასარგებლო სიბრაზე იქნებოდა თქვენთვის. თუ ასე გსურთ რომ მიყვარდეთ, ნუთუ არ შეგიძლიათ დაინახოთ, მართლაც როგორ მიყვარხართ. მაშ უნდა იამაყოთ და დამშვიდდეთ. ჩემი გული თქვენია, ბატონო. მთლიანად თქვენ გეკუთვნით. ის თქვენთანვე დარჩება, თუნდაც ბედმა სამუდამოდ თქვენს თავს მომაშოროს.

მაკოცა, მაგრამ მწარე ფიქრმა კვლავ მოუღრუბლა სახე. _ საცოდავ ბრმასთან! ხეიბართან, _ ბუტბუტებდა მწარედ.

მოვეფერე, რომ დამემშვიდებინა. ვიცოდი, რაზე ფიქრობდა და მინდოდა დავლაპარაკებოდი, მაგრამ ვერ ვბედავდი. ერთი წუთით თავი გვერდზე მიიბრუნა და დავინახე, დახშული თვალიდან როგორ ჩამოუგორდა ცრემლი ვაჟკაცურ ლოყაზე. გული პირამდე ამევსო.

_ აბა რით განვსხვავდები თორნფილდის ბაღის დამეხილი წაბლის კუნძისგან. _ რამდენიმე ხნის შემდეგ თქვა მან. _ რა უფლება აქვს ამ კუნძს ყვავილობა აუკრძალოს მშვენიერ ვაშლის ხეს.

_ სულაც არა ხართ კუნძი, ბატონო. არც ელვისგან დანაცრული ხე. ისევ მწვანით ხართ დაფარული, ისევ ძლიერი ხართ. თქვენი ფესვები ყლორტებს ამოიყრიან თქვენივე ნების გარეშე. მათთვის სიხარულის წყარო იქნება თქვენი უხვი ჩრდილი. გაიზრდებიან და თქვენკენ გამოიწვდიან ტოტებს, შემოგეტმასნებიან, რადგან თქვენი ძლიერება მათი საიმედო თავშესაფარია.

კვლავ გაიღიმა. დავამშვიდე.

_ ჯეინ, მეგობრებს გულისხმობთ? _ მკითხა.

_ დიახ, მეგობრებს. _ ყოყმანით ვუპასუხე, რადგან მეგობრებზე მეტს ვგულისხმობდი, მაგრამ ვერ ვუთხარი სხვა სიტყვით. თვითონ მიშველა.

_ ეჰ, ჯეინ, მე ცოლი მჭირდება.

_ მართლა, ბატონო?

_ დიახ. ეს ახალი ამბავია თქვენთვის?

_ რასაკვირველია. არაფერი გითქვამთ ამის შესახებ წინათ.

_ სასიამოვნო ახალი ამბავია?

_ ეს დამოკიდებულია გარემოებაზე, ბატონო. თქვენს არჩევანზე.

_ რომელიც თქვენ უნდა მოგანდოთ, ჯეინ. თქვენს გადაწყვეტილებას შევასრულებ.

_ მაშ, ამოირჩიეთ, ბატონო, ის, ვისაც ყველაზე მეტად უყვარხართ.

_ ამოვირჩევ მას, ვინც ყველაზე მეტად მიყვარს. ჯეინ, გამომყვებით ცოლად?

_ დიახ, ბატონო.

_ საბრალო ბრმას, რომელიც ხელით უნდა ატაროთ?

_ დიახ, ბატონო.

_ ხეიბარს, ოცი წლით თქვენზე უფროსს, რომელსაც უნდა მოუაროთ?

_ დიახ, ბატონო.

_ ნამდვილად, ჯეინ?

_ ჭეშმარიტად, ბატონო.

_ ოჰ, ჩემო საყვარელო! ღმერთმა დაგლოცოთ და მოგიზღოთ სამაგიერო.

_ მისტერ როჩესტერ, თუკი ოდესმე კარგი საქმე გამიკეთებია, ან კარგი განზრახვა მქონია, თუკი ოდესმე გულწრფელად და უმანკოდ შეევედრებივარ ღმერთს, თუკი ოდესმე ალალმართლად რაიმე შემითხოვია, ღმერთმა ახლა დამაჯილდოვა: ამქვეყნად არ არსებობს თქვენს ცოლობაზე დიდი ბედნიერება ჩემთვის.

_ მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენთვის ბედნიერებაა, როცა მსხვერპლად ეწირებით.

_ მსხვერპლად ვეწირები! რას ვწირავ? შიმშილს ვწირავ და საკვებს ვიღებ; ლოდინს ვწირავ იმისთვის, რომ დადგეს დრო და მოვეხვიო ჩემთვის ყველაზე ძვირფას ადამიანს; ვეამბორო, ვინც მიყვარს; თავი მივაყრდნო, ვისიც მჯერა. ეს მსხვერპლის შეწირვაა? თუ ეს ასეა, მაშ მსხვერპლად შეწირვა სასიამოვნოა ჩემთვის.

_ მერე შესძლებთ შეეგუოთ ჩემს უძლურებას, ჯეინ? უყუროთ ჩემს ნაკლს?

_ არც ერთი არ გაგაჩნიათ ჩემთვის, ბატონო. ახლა უფრო მიყვარხართ, როდესაც შემიძლია გამოგადგეთ მეტად, ვიდრე მაშინ, როდესაც ამაყი და დამოუკიდებელი იყავით, როდესაც თქვენ იყავით ყველას მფარველი და დამხმარე.

_ აქამდე მძულდა, როდესაც მეხმარებოდნენ და ხელით დავყავდი, ამიერიდან ვგრძნობ, ასე აღარ იქნება. მეჯავრებოდა, დავყრდნობოდი დაქირავებულ ადამიანის მხარს, მაგრამ, რა სასიამოვნოა ვიგრძნო ჯეინის პატარა თითები. სრული მარტოობა მერჩია მოსამსახურეების გამუდმებით აქ ყოფნას. მაგრამ ჯეინის ნაზი ზრუნვა ჩემთვის სიამოვნების უშრეტი წყაროა.

ჯეინ, ეს ყოველივე ჩემთვის ხელსაყრელია, მაგრამ ვაითუ თქვენ ხელს არ გაძლევთ?

_ მთლიანად, ბატონო.

_ რადგან საქმე ასეა, რაღას უნდა ველოდოთ. ახლავე დავიწეროთ ჯვარი.

ლაპარაკობდა გაცხოველებით და სახეზეც ემჩნეოდა ეს. მასში კვლავ იჩინა თავი ძველებურმა ცხოველმყოფელობამ.

_ ყოველგვარი დაყოვნების გარეშე ერთნი უნდა გავხდეთ, ჯეინ. უნდა მივიღოთ ნებართვა და შემდეგ ჯვარი დავიწეროთ.

_ მისტერ როჩესტერ, ახლაღა შევნიშნე მზე საკმაოდ გადაიწვერა და პაილოტი ალბათ სახლში წავიდა საჭმელად. მიჩვენეთ საათი.

_ ქამარზე დაიმაგრე, ჯენეტ, და შენ გქონდეს. მე არაფერში მჭირდება.

_ თითქმის ნაშუადღევის ოთხი საათია, ბატონო. არ გშიათ?

_ ორი დღის შემდეგ ჩვენი ქორწილი იქნება, ჯეინ. ძვირფასი ტანსაცმელი და სამკაულები ნუ გაფიქრებს. ამას არავითარი ფასი არა აქვს.

_ მზემ სხივებით ამოაშრო წვიმის წვეთები, ბატონო. ნიავიც არ იძვრის. ჩამოცხა.

_ იცი, ჯეინ, შენი მარგალიტების პატარა მანიაკი მაქვს ამ ჩემს ბრინჯაოსფერ კისერზე ჰალსტუხის ქვეშ. ჩემი ერთადერთი საუნჯის დაკარგვის დღიდან მის სამახსოვროდ დამაქვს, არ მომიშორებია.

_ ტყით წავიდეთ. ასე ჩრდილში ვივლით.

მისტერ როჩესტერი თავის ფიქრებს მიჰყვებოდა და ყურადღებას არ მაქცევდა.

_ ჯეინ, გავბედავ და გეტყვი; რომ ალბათ ურწმუნო ძაღლს მიწოდებ, მაგრამ ახლა ჩემი გული ყოვლისშემქმნელი ღმერთის წყალობით მადლიერების გრძნობითაა სავსე. მისი მზერა განსხვავდება ჩვეულებრივი მზერისაგან. ის უფრო შორსმჭვრეტელია. ადამიანივით არ მსჯელობს. გაცილებით გონივრულად სჯის. ვცდებოდი. კინაღამ შევბღალე ჩემი უმწიკვლო ყვავილი, კინაღამ ცოდვა დავწამე მის უმანკოებას. ყოვლად ძლიერმა გამომტაცა ის ხელიდან. მე კი ჯიუტად ვბობოქრობდი და თითქმის ვწყევლიდი კიდეც ამ მოწყალებას. იმის მაგივრად, რომ ამ მსჯავრს დავმორჩილებოდი, ურჩობა გამოვიჩინე. ღვთიურმა სამართალმა თავისი გაიტანა. უბედურება უხვად დამატყდა თავს. იძულებული ვიყავი, გადამევლო სიკვდილის ველი. მისი სასჯელი მეტად დიდი იყო. ერთ-ერთმა სასჯელმა სამუდამოდ მომარჯულა. იცით, როგორ ვამაყობდი ჩემი სიძლიერით. ახლა კი რაღაა? როგორც ბავშვს არ შეუძლია სხვისი დახმარება თავისი უმწეობის გამო, ასევე მე ვერას ვარგებ ჩემი ძალით სხვას. მხოლოდ გვიან, ჩემო ჯეინ, ძალიან გვიან შევიცანი ჩემს ბედში ღმერთის ხელი. სინდისის ქენჯნამ შემიპყრო და სინანულმა; შევთხოვდი ყოვლისშემქმნელს, ეპატიებინა ჩემი ცოდვები. ზოგჯერ ვლოცულობდი კიდეც ცოტა ხანს, მაგრამ მეტად გულწრფელად. რამდენიმე დღის წინ, არა, შემიძლია გითხრა, ეს მოხდა ოთხი დღის წინ, გასულ ორშაბათს ღამით საოცარ განწყობილებაზე ვიყავი. გაშმაგება ნაღველმა შეცვალა და სიბრაზე _ სევდამ.

დიდი ხანია ვფიქრობდი, რომ რადგან ვერსად ვერ გიპოვეთ, ალბათ, მკვდარი იყავით. იმ ღამით გვიან, ალბათ, თერთმეტსა თუ თორმეტ საათზე, ვიდრე ჩემს ცივ საწოლს მივაშურებდი, ღმერთს შევთხოვე, რომ თუ შესაძლებლად ჩათვლიდა, წავეყვანე ამ ქვეყნიდან იმ სამყაროში, სადაც ჯეინთან შეხვედრის იმედი მექნებოდა.

ჩემს ოთახში ღია ფანჯარასთან ვიჯექი. მშვიდი ღამის ჰაერი მსიამოვნებდა. ვარსკვლავებს ვერ ვხედავდი, მაგრამ ბუნდოვანი, ჩემი თვალისთვის ოდნავ შესამჩნევი სინათლით ვიცოდი, რომ ბადრი მთვარე ამოსულიყო. მენატრებოდი, ჯენეტ! მთელი სულით და გულით გნატრობდი! მორჩილად და სევდით მივმართე ღმერთს, ნუთუ არ კმარა-მეთქი ჩემთვის ასეთი სიმარტოვე, ტანჯვა, წამება. ნუთუ ვეღარ ვეღირსები-მეთქი სიამესა და მშვიდობას. ვგრძნობდი, რომ საკმარისად დავისაჯე, რომ მეტის ატანა აღარ შემეძლო. ვემუდარებოდი მას. და აი, ჩემი გულის ნატვრის მთელი ალფა და ომეგა უნებურად მოსწყდა ჩემს ბაგეებს და გამოიხატა სიტყვებში: ჯეინ! ჯეინ! ჯეინ!

_ ეს სიტყვები ხმამაღლა წარმოთქვით?

_ დიახ, ჯეინ. ვინმეს რომ გაეგო, აუცილებლად გიჟად ჩამთვლიდა, იმდენად ფანატიკური სიძლიერით წარმოვთქვი.

_ და ეს მოხდა გასულ ორშაბათს ღამით, დაახლოებით შუაღამისას?

_ დიახ. მაგრამ დროს არა აქვს მნიშვნელობა. რაც შემდეგ მოხდა, ისაა უცნაური. ალბათ ცრუმორწმუნედ ჩამთვლი. რაღაც რწმენისადმი მიდრეკილება ყოველთვის მქონდა და ახლაც მაქვს სისხლში. ასეა თუ ისე, ეს სიმართლეა, ყოველ შემთხვევაში მართალია ის, რაც გავიგონე და რასაც ახლა გეტყვი:

როდესაც წამოვიძახე «ჯეინ! ჯეინ! ჯეინ!» რაღაც ხმამ, ვერ გეტყვით საიდან, მაგრამ ხმა კი ვიცანი, მიპასუხა, «მოვდივარ. დამიცადეთ». ერთი წუთის შემდეგ კი ქარმა ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვები მომიტანა: «სად ხართ?»

თუკი შევძლებ, მინდა გადმოგცე ის ფიქრი, ის სურათი, რაც ამ ხმამ გამოიწვია ჩემში. მაგრამ ძნელია გადმოგცე ის, რაც მინდა. ფერნდენი, როგორც ხედავ, უღრან ტყეშია ჩაფლული, სადაც ყოველი ხმა ყრუდ ისმის და უკვალოდ იკარგება. «სად ხართ?» თითქოს მთებს შორის გაისმა, რადგან შემომესმა, მთებმა რომ ბანი მისცეს მას. თითქოს ამ წუთს უფრო გრილი და მაცოცხლებელი ნიავი შეეხო ჩემს შუბლს. მომეჩვენა, თითქოს ვხვდები ჯეინს სადღაც უკაცრიელ, მიყრუებულ ადგილას. ალბათ სულიერად კიდეც შევხვდით ერთმანეთს. შენ, უეჭველია, ამ დროს ღრმა ძილში იყავი, ჯეინ. ალბათ შენმა სულმა მიატოვა თავისი სამყოფელი და მოევლინა ჩემსას, რომ დაემშვიდებინა, რადგანაც ეს შენი ხმა იყო. _ ისე ვარ დარწმუნებული ამაში, როგორც ახლა მე სული მიდგას: _ შენი ხმა იყო!

მკითხველო, სწორედ ორშაბათს ღამით, _ დაახლოებით შუაღამისას,_ მეც მომესმა საიდუმლო ძახილი: ეს ის სიტყვები იყო, მე რომ ვუპასუხე იმ ძახილს. ყურს ვუგდებდი მისტერ როჩესტერის თხრობას, მაგრამ ჩემი ზმანება არ გამიმჟღავნებია. ამ თანდამთხვევამ იმდენად გამაოცა და გამაოგნა, რომ

მსჯელობის კი არა, ლაპარაკის უნარიც კი წამართვა. რაიმე რომ მეთქვა, ჩემი ნათქვამი აუცილებლად მოახდენდა ღრმა შთაბეჭდილებას ჩემი მსმენელის სულზე და ამ სულისთვის გადატანილი ტანჯვის გამო სულ მცირედიც კი კვლავ სევდით აავსებდა; საჭირო არ იყო ამ ზებუნებრივი ძალის ჩრდილში შეყვანა. ამიტომ გულში შევინახე, მაგრამ საოცრად მიკვირდა.

_ აღარ გაგიკვირდება, _ განაგრძობდა ჩემი პატრონი, _ რომ, როდესაც წუხელ ისე მოულოდნელად მომევლინე, არ მჯეროდა, რომ ეს შენ ხარ და არა შენი ხმა და ზმანება, რომელიც მიწყდება და გაუჩინარდება, როგორც შუაღამის ჩურჩული და მთების გამოძახილი მიწყდა იმ ღამით. მაგრამ მადლობა ღმერთს! ვიცი, რომ ეს სულ სხვაა. დიახ. მადლობას ვწირავ უფალს.

მუხლიდან ჩამომსვა, წამოდგა, ქუდი მოწიწებით მოიხადა, არაფრის მხილველი თვალები დედამიწას მიაპყრო და ასე უსიტყვო მორჩილებით იდგა. მხოლოდ მესმოდა მადლიერების გამომხატველი სიტყვები:

_ მადლობას ვწირავ ყოვლისშემქმნელს, რომ განკითხვის დღეს მოიღო მოწყალება. თავმდაბლად ვთხოვ მაცხოვარს მომცეს ძალა შევიძლო ძველებურზე უფრო წმინდა გავიხადო ჩემი ცხოვრება.

შემდეგ ხელი გამომიწოდა წასაყვანად. ძვირფას ხელს ხელი მოვკიდე, ერთხანს ტუჩებთან მივიკარი და შემდეგ მხრებზე შემოვიხვიე. მასზე გაცილებით დაბალი ვიყავი და, ამგვარად, მის საყრდენსაც წარმოვადგენდი და მეგზურსაც. ტყეში შევედით და სახლისკენ გავეშურეთ.

თავი XXXVIII

მკითხველო, მე მისი მეუღლე გავხდი. უხმაუროდ გადავიხადეთ ქორწილი. მისტერ როჩესტერი და მე, მღვდელი და კიდევ ერთი სასულიერო პირი, მხოლოდ ესენი ვიყავით ეკლესიაში. დავბრუნდით თუ არა, სამზარეულოს მივაშურე, სადაც მერი სადილს ამზადებდა, ხოლო ჯონი დანებს წმენდდა. მათ მივუბრუნდი:

_ მერი, ამ დილით მისტერ როჩესტერმა და მე ჯვარი დავიწერეთ.

ამ სახლის მნე და მისი მეუღლე ისეთ წესიერ, ფლეგმატურ ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნოდნენ, ვისთვისაც უშიშრად შეგეძლოთ მნიშვნელოვანი ახალი ამბავი რა დროსაც გინდოდათ გეთქვათ. თქვენ არ მოისმენდით არც ყურისწამღებ გამკივან წამოძახილებს და არც თავბრუს დაგახვევდნენ გაკვირვების გამომხატველი სიტყვები. მაგრამ ამჯერად მერიმ შემომხედა და დამაკვირდა: ციცხვი, რომლითაც აშიშხინებულ წიწილებს ცხიმს უსვამდა, რამდენიმე წამს ჰაერში გაუშეშდა. ცოტა ხნით ჯონმაც თავი ანება დანების გაპრიალებას, შემდეგ მერი კვლავ წიწილების შეწვას მიუბრუნდა და მხოლოდ ეს წარმოთქვა:

_ მართლა, მის?

რამდენიმე ხნის შემდეგ განაგრძო. _ დაგინახეთ დილით ბატონთან ერთად რომ წახვედით. მაგრამ არ ვიცოდი, რომ ეკლესიაში მიდიოდით ჯვარის

დასაწერად. _ და წიწილებს წვენი დაასხა. ჯონს შევხედე. ყურებამდე იღიმებოდა.

_ მერის ვუთხარი, ეს საქმე ასე დამთავრდება-მეთქი. ვიცოდი, ედვარდი (ჯონი მათი დიდი ხნის მსახური იყო. პატრონი მის ხელში გაიზარდა და ამიტომ ხშირად ეძახდა მას ნათლობის სახელს) _ ვიცოდი, ედვარდი როგორ მოიქცეოდა. დარწმუნებული ვიყავი, დიდხანს არ დაიცდიდა. სწორადაც მოიქცა, ჩემი აზრით. ბედნიერებას გისურვებთ, მის! _ და ზრდილობიანად დამიკრა თავი.

_ გმადლობთ, ჯონ. მისტერ როჩესტერმა დამავალა თქვენ და მერის გადმოგცეთ ეს. _ ხელში ხუთი გირვანქა სტერლინგის ბანკნოტი ჩავუდე, პასუხს არ დავუცადე და სამზარეულოდან გამოვედი. როდესაც რამდენიმე ხნის შემდეგ ამ ოთახს ჩავუარე, ყური მოვკარი შემდეგ სიტყვებს:

_ შესაძლებელია ეს უფრო გამოადგეს, ვიდრე რომელიმე დიდებული ლედი. _ და შემდეგ. _ ლამაზი არაა, მაგრამ არც ამაყია. გულკეთილი ჩანს, ყველა ამჩნევს, რომ მისტერ როჩესტერისთვის ლამაზიცაა.

დაუყოვნებლივ შევატყობინე ყველაფერი მურჰაუსსა და კემბრიჯში. ავუხსენი, რატომ მოვიქეცი ასე. დიანამ და მერიმ მაშინვე მოიწონეს ჩემი ნაბიჯი. დიანამ შემატყობინა: მოვიცდი, ვიდრე თაფლობის თვე გაქვთ და შემდეგ კი სიამოვნებით გინახულებთო.

_ უმჯობესია, ნუ დაუცდის ჩვენი თაფლობის თვის გასვლას, ჯეინ. _ მითხრა მისტერ როჩესტერმა, წერილი რომ წავუკითხე, _ თორემ დიდხანს მოუხდება ლოდინი. ჩვენი თაფლობის თვე მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე გაგვინათებს გზას და მისი სხივები ჩაქრება მხოლოდ შენსა და ჩემს საფლავებზე.

სენტ-ჯონი როგორ შეხვდა ამ ამბავს, არ ვიცი; წერილზე არ მიპასუხა. მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ მომწერა; არ უხსენებია მისტერ როჩესტერის სახელი და არც ჩემს ქორწინებას შეხებია. წერილი მეტად თავშეკავებული, სერიოზული იყო, მაგრამ თბილი. ამის შემდეგ თუმცა იშვიათად, მაგრამ მწერს ხოლმე წერილებს. იმედს გამოთქვამს, რომ ბედნიერი ვარ და სჯერა, რომ მე იმ ურწმუნოთა რიცხვს არ ვეკუთვნი, რომელთაც მხოლოდ მიწიერი საქმეები აინტერესებთ.

ადელი ხომ არ დაგავიწყდათ, მკითხველო? მე არ დამვიწყებია. ვთხოვე მისტერ როჩესტერს და მისი თანხმობით წავედი და ვინახულე ის სკოლაში, სადაც მივაბარეთ. სიხარულისგან გადაირია, როცა დამინახა. მეც ავღელდი. გამხდარი და გაფითრებული ჩანდა. აქ ყოფნა მიჭირსო, მითხრა. გავიგე, რომ სასწავლებლის წესები და მეცადინეობა მეტისმეტად მკაცრი იყო ამ ხნის ბავშვებისთვის და შინ წამოვიყვანე. მინდოდა, ისევ მე მეთავა მისი აღზრდა, მაგრამ მალე მივხვდი, ეს შეუძლებელი იყო. მთელი ჩემი დრო და ზრუნვა სჭირდებოდა მეორე ადამიანს: _ ჩემს მეუღლეს. ასე რომ, მოვძებნე უფრო შესაფერისი სასწავლებელი იქვე ახლოს, სადაც მისი ნახვა ხშირად შემეძლებოდა. ისე გავაკეთე, რომ არაფერი ჰკლებოდა. მალე თავის ახალ ბინას

შეეჩვია და თავს ბედნიერად გრძნობდა. სწავლაშიც წინ მიდიოდა. ჯანსაღმა ინგლისურმა აღზრდა-განათლებამ აღმოფხვრა მასში მისი ფრანგული აღზრდით მიღებული ნაკლოვანებანი. ასე რომ, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მისი სახით სასიამოვნო და ზრდილი ადამიანი მყავს სახლში; დამჯერი, კარგი ბუნების და კეთილშობილური აზრების მქონე. თავისი კეთილი დამოკიდებულებით ჩემდამი და ჩემი ახლობლებისადმი მან ჩემი ყველა უმცირესი სიკეთეც კი უხვად გადამიხადა.

ჩემი ამბავი დასასრულს უახლოვდება. კიდევ ორიოდე სიტყვა ჩემს ოჯახურ ცხოვრებასა და მათ ბედზე, რომელთა სახელებსაც ხშირად ვახსენებდი თხრობის დროს და ვამთავრებ.

უკვე ათი წელია, რაც გავთხოვდი. ვიცი, რას ნიშნავს ცოცხლობდე მხოლოდ იმისთვის, რომელიც ყველაზე მეტად გიყვარს ამქვეყნად. ჩემს თავს უბედნიერეს ადამიანად ვთვლი და სიტყვებიც არ მყოფნის ჩემი ბედნიერების ასაწერად. მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთის სიცოცხლით ვცოცხლობთ. არც ერთი ქალი არ ყოფილა ჩემზე უფრო ახლოს თავის მეუღლესთან. სულით და ხორცით ერთნი ვართ. ყოველთვის ბედნიერი ვარ მის ახლოს და ისიც ბედნიერია. არ ვბეზრდებით ერთმანეთს, ერთმანეთს არ ვღლით, ისევე, როგორც საკუთარი გულის ფეთქვა არ დაგვღლის არც ერთს. ამიტომაც ყოველთვის ერთად ვართ. ჩვენთვის ერთად ყოფნა შეიცავს მარტოდ ყოფნის თავისუფლებას და ერთად ყოფნის მხიარულებას. მე მგონი, მთელი დღე ვლაპარაკობთ: საუბარი ერთმანეთთან, ეს არის სინამდვილეში მხიარული და ხმამაღალი ფიქრი. ვენდობი მას, ისევე, როგორც ის მე. შესანიშნავად ვეწყობით ხასიათებით ერთმანეთს და ამიტომ ჩვენ შორის სრული თანხმობაა.

ჩვენი ქორწინებიდან ორი წლის მანძილზე მისტერ როჩესტერს მხედველობა არ დაბრუნებია. შესაძლებელია, ამ გარემოებამაც დაგვაახლოვა ასე ერთმანეთთან, ასე დაგვაკავშირა ერთმანეთს! მე ხომ მაშინ მისი თვალი ვიყავი, როგორც ახლა მისი მარჯვენა. ერთი სიტყვით, მე ვიყავი (როგორც ის ხშირად მიწოდებდა) მისი თვალისჩინი. ბუნებას ჩემი თვალით უყურებდა, წიგნებს ჩემი თვალით კითხულობდა; არასოდეს არ ვიღლებოდი მის მაგივრად დამენახა ყველაფერი, ამეწერა მინდორი, ხე, ქალაქი, მდინარე, ღრუბელი ან მზის სხივი _ რაც ჩვენ თვალწინ იშლებოდა. მეთქვა ამინდზეც და ხმით მეგრძნობინებინა მისთვის ის, რისი შეგრძნებაც მის თვალებს არ შეეძლოთ. არასოდეს არ ვიღლებოდი, ვუკითხავდი წიგნებს. მიმყავდა მისთვის სასურველ ადგილებში, ვაკეთებდი, რაც მას უნდოდა. ეს საქმიანობა მაგრძნობინებდა ნეტარებას სრულყოფილს, საამოს, თუმცა ოდნავ სევდიანს, რადგან მას სადღაც აწუხებდა ეს სამსახური, თუმცა ტკივილსა და დამცირებას არ განიცდიდა მისგან. იმდენად ვუყვარდი, რომ იცოდა, მე არ მიმძიმდა მისი სამსახური. გრძნობდა, იმდენად მიყვარდა, რომ ამ ზრუნვის გამოჩენა ჩემთვის სურვილის შესრულება იყო.

ორი წლის მერე, ერთ დილით, როდესაც წერილს ვწერდი მისი კარნახით, მოვიდა, დაიხარა ჩემს თავთან და მკითხა:

_ ჯეინ, რაიმე მოციმციმე სამკაული ხომ არ გიკეთია ყელზე?

ოქროს საათი მქონდა ძეწკვზე და ვუპასუხე: _ კი.

_ და ბაცი ცისფერი კაბა გაცვია?

ასეც იყო. მაშინ მან მითხრა: _ რამდენიმე ხანია მეჩვენება, რომ თვალზე ბინდი თითქოს შემითხელდა და ახლა კი დავრწმუნდი, რომ ეს მართლაც ასეა.

ლონდონში წავედით. რჩევისთვის გამოჩენილ თვალის ექიმს მივმართეთ და მალე მისტერ როჩესტერს ერთ თვალში მხედველობა დაუბრუნდა. გარკვევით ვერ ხედავს. არც კითხვა შეუძლია და არც წერა, მაგრამ დაუხმარებლად შეუძლია სიარული. ცა აღარ არის ცარიელი მისთვის, დედამიწაც აღარ არის წყვდიადით მოცული. როდესაც თავისი პირველი შვილი მიაწოდეს, დაინახა, რომ ბიჭს მისი თვალები გამოჰყოლოდა, ისეთივე დიდრონი, შავი და მოელვარე, მას რომ ერთ დროს ჰქონდა. ამიტომ მთელი გულით ერთხელ კიდევ აღიარა, რომ ღმერთმა მოწყალე თვალით გადმოხედა.

ჩემი ედვარდი და მე ბედნიერები ვართ. ჩვენს ბედნიერებას ისიც აძლიერებს, რომ ჩვენთვის საყვარელი ადამიანებიც თავს ბედნიერად გრძნობენ. დიანა და მერი ორივენი გათხოვდნენ. რიგრიგობით ყოველ წელს ისინი გვესტუმრებიან ხოლმე და ჩვენც მივდივართ მათ სანახავად. დიანას მეუღლე საზღვაო კაპიტანია; მამაცი ოფიცერი და კარგი ადამიანი. მერის მეუღლე კი სასულიერო პირია: სენტ-ჯონთან ერთად სწავლობდა კოლეჯში. ცოდნითა და შეხედულებებით თავისი გულის რჩეულის ღირსია. კაპიტან ფიცჯეიმსსა და მისტერ უორტონს ძალიან უყვართ თავიანთი ცოლები და ისინიც ასევე პასუხობენ მათ სიყვარულს.

რაც შეეხება სენტ-ჯონ რივერსს, მან დატოვა ინგლისი, ინდოეთში წავიდა და თავის არჩეულ გზას დაადგა. თავისი საქმის პიონერი მტკიცედ დააბიჯებს კლდეებსა და ხიფათში და არ იცის დაღლა. უყოყმანოდ, ერთგულად, თავდადებულად, მონდომებითა და წრფელი გულით შრომობს თავისი მოდგმის საკეთილდღეოდ და ცოდვებს უმსუბუქებს. გოლიათური ხელით ანადგურებს მათში დაბუდებულ ხელისშემშლელ აზრებს და გვაროვნული უპირატესობის რწმენას. ის, შეიძლება, შეუბრალებელია; შეიძლება, მომთხოვნია, პატივმოყვარეც, მაგრამ მისი სიმკაცრე იმ გრეიტჰარტის სიმკაცრეს ჰგავს, რომელიც პილიგრიმის ქარავანს იცავს აპოლიონის თავდასხმისაგან. მომთხოვნელობა _ იმ მოციქულისას, რომელიც ქრისტესთვის ღაღადებს, როცა ამბობს: «ვინც გაჩნდება ჩემ შემდეგ, უარი თქვას თავის თავზე, აღიღოს ჯვარი და გამომყვეს». პატივმოყვარეობა იმ მაღალი სულის მატარებელი ადამიანისა აქვს, რომელიც მიზნად ისახავს პირველი ადგილი დაიკავოს მიწიდან ამაღლებულთა შორის და უმწიკვლოდ წარსდგეს მეუფის წინაშე, რომლებიც იზიარებენ წამებულთა გამარჯვებებს; რომლებიც არიან მოწოდებულნი, რჩეულნი და ერთგულნი.

სენტ-ჯონი უცოლოა. არც შეირთავს ცოლს. თავისი თავი ამ მძიმე საქმეს შესწირა. და ეს საქმეც დასასრულს უახლოვდება. მისი დიდებულების მზე უკვე ჩადის. მისმა უკანასკნელმა წერილმა ამატირა, მაგრამ მაინც ნეტარებით

ამავსო. ის ელის თავის ჯილდოს, გვირგვინს, რომელსაც ვერავითარი ფულით ვერ იყიდი. ვიცი, შემდეგი წერილი უცნობისგან მომივა და მამცნობს, რომ ეს ქველი და ერთგული მსახური საბოლოოდ თავისთან მიიხმო უფალმა. მაშ, რატომ ვიტირო? სიკვდილის შიში ვერ ჩააბნელებს სენტ-ჯონის უკანასკნელ საათს; მისი გონება ნათელი იქნება; გული უშიშარი; იმედი ნამდვილი; რწმენა შეუდრეკელი. ამის საწინდარია მისი სიტყვები:

_ ჩემმა პატრონმა, _ მწერს ის. _ წინასწარ გამაფრთხილა. ყოველდღე უფრო და უფრო გარკვევით მესმის. _ მალე მოგევლინები! და ყოველ საათს მეტი მონდომებით ვპასუხობ: «ამინ; აღსრულდეს ნება შენი, იესო მაცხოვარო!»

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

გვ.14. «პ ა მ ე ლ ა» _ ინგლისელი მწერლის სამუელ რიჩარდსონის (1689 _ 1751) რომანი.

გვ.14. ჰ ე ნ რ ი მ ო რ ლ ე ნ დ ი _ რომელიღაც დავიწყებული რომანის გმირი.

გვ.17. ო ლ ი ვ ე რ გ ო ლ დ ს მ ი თ ი _ (1728 _ 1774) ინგლისელი პოეტი.

გვ.28. არ იცოდით, თუ რასა იქმოდით _ ქრისტიანული ლეგენდის მიხედვით, ქრისტემ ასე მიმართა თავის მწვალებლებს.

გვ.35. გ ა ი ფ ო კ ს ი _ ოფიცერი, რომელსაც ბრალად ედებოდა შეთქმულებაში მონაწილეობა (1605 წ.).

გვ.74. «რ ა ს ე ლ ა ს ი, ა ბ ი ს ი ნ ი ე ლ ი პ რ ი ნ ც ი» _ ინგლისელი პოეტის სამუელ ჯონსონის რომანი.'

გვ.75. ფ ე ლ ი ქ ს ი _ ბიბლიის მიხედვით, მსაჯული, რომელიც საქმეს უფრო ხელსაყრელი შემთხვევისთვის გადადებდა.

გვ.90. ბ ე თ ე ზ დ ა ს ტ ბ ა _ ბიბლიის მიხედვით, ტბა იერუსალიმში, რომლის წყალი ჰკურნავდა ყოველგვარ ავადმყოფობას.

გვ.100. ბ ა რ მ ს ა ი დ ი ს ვ ა ხ შ ა მ ი _ ოცნებით წარმოდგენილი ვახშამი.

გვ.111. კვლავ აღვსდგები (ლათ.).

გვ.134. თ ო რ ნ ფ ი ლ დ ი _ (thorn _ ინგლ. ეკალი _ ეკლის ხეებით დაფარული მიდამო.

გვ.136. ეს ჩემი აღმზრდელია? (ფრანგ.).

გვ.137. დიახ, რასაკვირველია (ფრანგ.).

გვ.139. «თაგვების შეთქმულება» _ ლაფონტენის იგავ-არაკი (ფრანგ.).

გვ.139. რა დაგემართათ? _ იკითხა ერთ-ერთმა თაგუნამ: - ილაპარაკე (ფრანგ.).

გვ.145. ლ უ რ ჯ წ ვ ე რ ა _ ზღაპრული პერსონაჟი.

გვ.146. სადილისათვის სუფრა უკვე გაშლილია... რაც შემეხება მე, ძალიან მშია (ფრანგ.).

გვ.150. მალე დაბრუნდით, ჩემო მეგობარო, ჩემო ძვირფასო მადმუაზელ ჯეინ! (ფრანგ.).
გვ.161. თავის მეგობარ მისტერ ედვარდ როჩესტერზე (ფრანგ.).
გვ.161. ეს იმას ნიშნავს, რომ ყუთში იქნება საჩუქარი ჩემთვის და, ალბათ, თქვენთვისაც, მადმუაზელ. მისტერ როჩესტერი მელაპარაკა თქვენზე, თქვენი სახელი მკითხა და მითხრა: _ პატარა, გამხდარი, ფერმკრთალი არსება ხომ არ არისო, და მეც ვუპასუხე, სწორედ ასეთია-მეთქი. მე ხომ მართალი ვუთხარი, არა, მადმუაზელ? (ფრანგ.).
გვ.164. თქვენს პატარა ჩემოდანში ხომ არის რაღაც საჩუქარი მადმუაზელ ეარისთვის, არა, სერ? (ფრანგ.).
გვ.172. ლ ა ტ მ ო ს ი ს მ თ ა _ მთა აზიაში ეგეოსის ზღვის ახლოს.
გვ.175. პატარა ჩემოდანი (ფრანგ.).
გვ.176. ჩემი ყუთი... ჩემი ყუთი.
გვ.176. ჩუმად იყავი, ბავშვო, გასაგებია? (ფრანგ.).
გვ.176. ღმერთო ჩემო, რა ლამაზია! (ფრანგ.).
გვ.176. პირისპირ (ფრანგ.).
გვ.181. და მეც ამას მოვითხოვ (ფრანგ.).
გვ.187. მ ი დ ი ა _ სამეფო აზიაში, რომელმაც თავის ძლიერებას მიაღწია მე IX—VII საუკუნეებში ჩვენს ერამდე..
გვ.189. მე უნდა გავსინჯო... ახლავე (ფრანგ.).
გვ.190. მიხდება ეს კაბა, ფეხსაცმელები და მაღალყელიანი წინდები? ასე მგონია, ვიცეკვებ (ფრანგ.).
გვ.190. _ ოჰ, სერ, დიდი მადლობა ასეთი სიკეთისათვის... _ ასე ამბობდა დედაჩემი, არა, სერ? (ფრანგ.).
გვ.191. მგზნებარე სიყვარული ფრანგ.).
გვ.191. ათლეტური აღნაგობა (ფრანგ.)
გვ.191. აპოლონ ბელვედერელი _ ღმერთი აპოლონი, რომელიც მიჩნეულია მამაკაცის სრულყოფილი სილამაზის იდეალად.
გვ.191. მაქმანი (ფრანგ.).
გვ.192. ჩემო ანგელოზო (ფრანგ.)
გვ.192. ეტლის შესასვლელი ჭიშკარი.
გვ.194. ლ ე ვ ი ა თ ა ნ ი _ ბიბლიური გადმოცემით ზღვის უზარმაზარი ურჩხული.
გვ.211. რა დაგემართათ, მის ეარ? თითები ფოთოლივით გიკანკალებთ და ლოყები ალუბლებს დაგმსგავსებიათ!
გვ.224. სადილისთვის კაბებს იცვლიან. როდესაც დედასთან ვცხოვრობდი და სტუმრები გვყავდა, ყველგან თან დავყვებოდი ქალბატონებს. შევდიოდი მათთან სასტუმრო ოთახსა და მათ საწოლ ოთახებში. ხშირად თვალყურს ვადევნებდი, როგორ აცმევდნენ მათ და თმას ვარცხნიდნენ. რა კარგი იყო! ასე კაცი ბევრ რამეს ისწავლის.

გვ.224. ო, დიახ, მადმუაზელ. აი უკვე ხუთი თუ ექვსი საათია, არაფერი გვიჭამია (ფრანგ.).

გვ.225. ხომ ძალიან საწყენი იქნება (ფრანგ.).

გვ.228. შეიძლება იმ მშვენიერი ყვავილებიდან ერთი ავიღო, მადმუაზელ? მხოლოდ იმისათვის, რომ ჩემს გარეგნობას სრული იერი მიეცეს? (ფრანგ.).

გვ.229. საყვარელი, მიმზიდველი სახე (ფრანგ.).

გვ.232. საღამო მშვიდობისა, ქალბატონებო (ფრანგ.).

გვ.232. მსახიობს, კეთილშობილი მამის როლებს რომ ასრულებს (ფრანგ.).

გვ.238. ნაზი გრძნობა (ფრანგ.).

გვ.238. გარდა ამისა (ფრანგ.).

გვ.239. რ ი ჩ ო _ იტალიელი მუსიკოსი, მერი სტიუარტის ფავორიტი.

გვ.240. მთელი სულით და გულით (ფრანგ.).

გვ.240. ასეთი რამ არ გაბედოთ (ფრანგ.).

გვ.244. ბ რ ა ი დ _ პატარძალი.

გვ.246. ბ რ ა ი დ უ ე ლ ი _ ლონდონელი ტყვე, რომელიც 1864 წელს ჩამოახრჩვეს.

გვ.254. აი, მისტერ როჩესტერი უკან ბრუნდება! (ფრანგ.).

გვ.260. სწორედ დროა! (ფრანგ.).

გვ.296. ა რ ი ე ლ ი _ გიჟმაჟი (მხიარული), ჰაეროვანი სული შექსპირის «ქარიშხალში».

გვ.335. დ ე დ ო ფ ა ლ ი ბ ო ა დ ი ს ი _ ბრიტების დედოფალი, რომელიც აუჯანყდა რომაელებს პირველ საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვით.

გვ.336. საღამო მშვიდობისა (ფრანგ.).

გვ.336. საზღვარი აღარა აქვს თავისი ინგლისელი დედიკოს უკან დაბრუნების გამო. (ფრანგ.).

გვ.371. ს ა მ კ უ დ ი ა ნ ი ფ ა შ ა _ (ფაშას) _ ასე უწოდებდნენ მას მაღალი ღირსების პატივსაცემად, რადგან მის ალამზე გამოხატული იყო სამი ცხენის კუდი, რომელიც მის წინ მიჰქონდათ.

გვ.372. გავხალისდე (ფრანგ.).

გვ.374. სტრიქონები შოტლანდიელი პოეტის რობერტ ბერნსის (1759 _ 1796) ლექსის წანამძღვარიდან.

გვ.407. ფ ა ნ ჩ ე ლ ი _ ქალაქი კუნძულ მადეირაზე.

გვ.410. ბიბლიის მიხედვით, განრისხებულმა ღმერთმა ერთ ღამეში განგმირა ყველა პირველშობილი ბავშვი ეგვიპტეში.

გვ.411. «ნუ წახვალ ჩემგან შორს...» სიტყვები ფსალმუნიდან.

გვ.411. ამ ღვართქაფმა სულში ჩაიარა; მე გაუვალ ლაფში ჩავეფალი; _ სიტყვები ფსალმუნიდან («მთელი წყალი შენი და ტალღა შენი თავს გადამევლო»).

გვ.416. ა ჩ ე ნ ი ს თ ა ვ შ ე ს ა ფ ა რ ი _ ბიბლიის მიხედვით აჩენმა თავის ხალხს ღვთის გულისწყრომა თავს დაატეხა, რადგან მტრის ბანაკიდან წამოღებული დიდი ნადავლი საკუთარ თავშესაფარში დამალა.

გვ.433. მ ე ს ა ლ ი ნ ა _ რომაელი იმპერატორის კლავდიუსის ზნედაცემული მეუღლის სახელი.

გვ.437. ე პ ი კ უ რ ე ლ ი _ განცხრომის და პირადი სიამოვნების მოყვარული ადამიანი.

გვ.504. ლ ო ტ ი ს მ ე უ ღ ლ ე _ ბიბლიის მიხედვით, სოდომის ქალაქიდან გაქცევისას უკან იხედებოდა და ღვთის ბრძანებით იქცა მარილის სვეტად.

გვ.504. პ ე რ ი _ მითოლოგიური ულამაზესი ქალი, რომლიც ადამიანს ავი სულისგან იცავდა.

გვ.513. ბუნების ახირებულება, რაღაც არაჩვეულებრივი (ლათ.).

გვ.515. ხ უ თ ი ნ ო ე მ ბ ე რ ი _ ეს დღე წინათ ინგლისში ითვლებოდა დღესასწაულად.

გვ.516. «მ ა რ მ ი ო ნ ი» _ უოლტერ სკოტის (1771 _ 1832) ეპიკური პოემა.

გვ.522. რ ო ზ ა მ უ ნ დ _ ამქვეყნიური ვარდი _ rosa mund (ლათ.).

გვ.522. რისთვის? (ლათ.).

გვ.539. გლეხი ქალები (ფრანგ.).

გვ.639. გლეხი ქალები (გერმ.).

გვ.555. «ი ს ტ - ი ნ დ ი ა მ ე ნ ი» _ გემის სახელია.

გვ.558. დ ე მ ა ს ი _ ბიბლიური ადამიანი, რომელმაც სიმდიდრის გულისთვის მიატოვა პავლეს ჯვარი.

გვ.577. დ ი ვ ე ს ი _ მდიდარი ადამიანი (ბიბლიური).

გვ.581. პ ა ვ ლ ე დ ა ს ა ი ლ ა ს ი _ ბიბლიის მიხედვით, ორი მისიონერი, რომელიც საპატიმროდან იხსნა მიწისძვრამ.

გვ.603. ს ა უ ლ ი _ბიბლიის მიხედვით, დავითი იყო მწყემსი და მომღერალი, ფსალმუნის შემქმნელი, რომელმაც მეფე საულისთვის დაუკრა ქნარზე და განდევნა ბოროტი სული, რომლითაც საული იყო შეპყრობილი.

გვ.606. ჯერ კიდევ ახალგაზრდა! (ფრანგ.).

გვ.620. გ რ ე ი ტ ჰ ა რ ტ ი («პილიგრიმის მოგზაურობიდან») _ მან ქრისტეს მეუღლე და ბავშვები მიიყვანა ზეციურ ქალაქში.

გვ.620. ა პ ო ლ ი ო ნ ი («პილიგრიმის მოგზაურობიდან») _ ეშმაკი, შეიარაღებული ცეცხლოვანი ისრებით.